

ევროკავშირის სასამართლო პრაქტიკა

ამონარიდები ევროკავშირის სასამართლოს რჩეული
გადანწყვეტილებებიდან

ნონა გელაშვილი
ეთერ ყამარაული

gtz



Im Auftrag des
Bundesministerium für
wirtschaftliche Zusammenarbeit
und Entwicklung

წინამდებარე წიგნი გამოცემულია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) ფინანსური მხარდაჭერით. გამომცემელი არ იღებს პასუხისმგებლობას წიგნის შენაარსობრივი მხარის სისწორეზე.

Das vorliegende Buch wurde mit finanzieller Unterstützung der Deutschen Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH herausgegeben. Der Herausgeber übernimmt für die Richtigkeit und Vollständigkeit des Inhaltes keine Verantwortung.

© გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), 2010
© ნონა გელაშვილი, 2010
© ეთერ ყამარაული, 2010

ISBN 978-99940-47-64-2

წინამდებარე გამოცემის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტ გვერდზე: www.gtz.de/law-caucasus

GTZ-ის პროგრამა „სამართლისა და იუსტიციის რეფორმის კონსულტაცია სამხრეთ კავკასიაში“ შოთა რუსთაველის გამზ. 30
0146 თბილისი
ტელ.: +995 32 933712
ელ.-ფოსტა: legalreform_caucasus@gtz.de

gtz



Im Auftrag des:
Bundesministerium für
wirtschaftliche Zusammenarbeit
und Entwicklung

ჩვენი მიზანი

შპს გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ) არის მსოფლიო მასშტაბის მქონე საწარმო საერთაშორისო თანამშრომლობისა და მდგრადი განვითარების დარგში. ის მხარს უჭერს გერმანიის ფედერალურ მთავრობას განვითარების პოლიტიკის მიზნების განხორციელებაში. GTZ სთავაზობს გლობალიზირებულ მსოფლიოს აქტუალური პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური საკითხების გადაჭრის მომავალზე ორიენტირებულ გზებს, იგი მხარს უჭერს კომპლექსურ რეფორმებს და განვითარების პროცესებს რთულ პირობებშიც კი. მისი მიზანია, ადამიანების ცხოვრების პირობების მდგრადი გაუმჯობესება.

ჩვენი დამკვეთები

GTZ არის ფედერალური საწარმო, რომლის სათაო ოფისი განთავსებულია ეშბორნში, მაინის ფრანკფურტთან. ის ჩამოყალიბდა 1975 წელს როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. მისი მთავარი დამკვეთია გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო (BMZ). გარდა ამისა, ის მუშაობს სხვა ფედერალური უწყებების, ასევე სხვა ქვეყნების მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების დაკვეთით, როგორცაა ევროკომისია, გაერო ან მსოფლიო ბანკი, აგრეთვე კერძო ორგანიზაციების დავალებითაც. GTZ თავის ამოცანებს ახორციელებს საერთო სარგებლობისათვის. ზედმეტი თანხები გამოიყენება მხოლოდ საკუთარივე პროექტებისათვის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და მდგრადი განვითარების მხარდასაჭერად.

მსოფლიო მასშტაბი

GTZ წარმოდგენილია აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკის, ხმელთაშუა ზღვისპირეთისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონების, ასევე ევროპის, კავკასიისა და შუა აზიის 120-ზე მეტ ქვეყანაში. აქედან 92 ქვეყანაში მას საკუთარი ოფისები გააჩნია. მთელი მსოფლიოს გარშემო მას დასაქმებული ჰყავს 12.000 თანამშრომელი, აქედან 9.000 ადამიანი ადგილობრივი თანამშრომელია. ეშბორნის ცენტრალურ ოფისში და გერმანიის სხვა ოფისებში დაახლოებით 1.500 ადამიანი მუშაობს.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში BMZ-ის დავალებით GTZ სხვადასხვა პროექტს ახორციელებს სამართლისა და იუსტიციის რეფორმების მხარდასაჭერად. ამ პროექტების ფარგლებში მუშაობენ როგორც მოკლე-, ისევე გრძელვადიანი მონვეული ექსპერტები, რომლებიც ახორციელებენ საკანონმდებლო კონსულტაციას და ატარებენ კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებს, ასევე მონაწილეობას ლებულობენ სპეციალურ კონფერენციებში. პუბლიკაციების - მასალათა კრებულის - ფარგლებში გამოიცემა მოხსენებები, ასევე პროექტების სხვა მასალები. გარდა ამისა, გამოიცემა პერიოდული სპეციალური ლიტერატურაც.

შესავალი

ევროკავშირმა იმისათვის, რომ დღევანდელი სახით ჩამოყალიბებულიყო განვითარების მრავალი ეტაპი განვლო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აქტუალური გახდა ერთიანი ევროპული სტრუქტურის ჩამოყალიბება. ამ მიზნით 1952 წელს დაარსდა ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება ექვსი ევროპული სახელმწიფოს მონაწილეობით: გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი. ეს იყო წარმატებული მცდელობა იმისა, რომ ევროპული სახელმწიფოების უპირველეს ყოვლისა კი გერმანიისა და საფრანგეთის ქვანახშირისა და ფოლადის წარმოება ევროპულ გაერთიანებაში ერთად მოექცა. აღნიშნული თავისთავად ევროპის ეკონომიკურ-პოლიტიკურ და უსაფრთხოების ინტერესებს ასახავდა და განამტკიცებდა. ამ გაერთიანების შექმნა შეიძლება შეფასდეს ევროკავშირის საწყისად.

უკვე 1957 წელს რომის ხელშეკრულებებით დაარსდა ევროპული ეკონომიკური გაერთიანება და ევროპული ატომური გაერთიანება. ამით ევროპულმა გაერთიანების პროცესმა გააგრძელა მზარდი სექტორული ინტეგრაციის პროცესი. ეს შეესაბამებოდა ნეო ფუნქციონალისტების თეზას "ე.წ. "Spill-over-effect"-ს. აღნიშნულის მიხედვით სექტორული მზარდი ინტეგრაცია გამოიწვევდა სულ უფრო და უფრო მზარდ ინტეგრაციას ეკონომიკურ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა სფეროებში.

ეს სამი ევროპული გაერთიანება თავიდანვე ორი საერთო ინსტიტუციონალური ორგანოს საშუალებით მოქმედებდა. ეს იყო ევროპული სასამართლო და ევროპული პარლამენტი. 1965 წლიდან კი შეიქმნა ასევე სამივე გაერთიანებისათვის საერთო კომისია და საბჭო.

შემდგომი განვითარების ეტაპებზე მნიშვნელოვანი იყო ერთიანი ევროპული აქტების მიღება (1987 წელს), რომლითაც შიდა ბაზრის პროგრამა იქნა შემუშავებული, ასევე მაასტრიხტის ხელშეკრულების მიღება (1992 წელი), რომლითაც შეიქმნა ეკონომიკური და სავალუტო კავშირი.

მაასტრიხტის ხელშეკრულებამ (ევროპული კავშირის შესახებ ხელშეკრულება) უფრო მეტად გააღმავა ევროპული ინტეგრაციის პროცესი. ეს შეეხებოდა განსაკუთრებით შიდა ბაზრის ჩამოყალიბების პროცესს, რაც გამოიხატა სავალუტო კავშირის შექმნით. ამ ხელშეკრულებით შეიქმნა ევროპული კავშირი, რომლის ქვეშ მოიაზრებოდა სამივე ევროპული გაერთიანება, საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა და პოლიციისა და იურიდიული თანამშრომლობა სისხლის სამართლის საკითხებში. აქედან მხოლოდ ევროპული გაერთიანება იყო ყველაზე დიდი ფუნქციების მატარებელი. დანარჩენი ორი სამთავრობათაშორისო სტრუქტურას წარმოადგენდა.

1997 წლის ამსტერდამის ხელშეკრულებით მოხდა სისტემის შემდგომი დახვეწა. უპირველეს ყოვლისა ამ ხელშეკრულებით კავშირი გაფართოებისათვის უნდა მომზადებულიყო. შეიცვალა საბჭოში გადაწყვეტილების მიღების პროცედურა, ევროპული პარლამენტის უფლებები კანონშემოქმედების პროცესში უფრო გაფართოვდა. მესამე სექტორის, პოლიციისა და იურიდიული თანამშრომლობა სისხლის სამართლის საკითხების გარკვეული ნაწილები ევროპული გაერთიანების კომპეტენციაში გადავიდა.

ამას მოჰყვა ნიცის ხელშეკრულება, რომელიც ძალაში 2003 წელს შევიდა. მისი ძირითადი მიზანი ისევ ინსტიტუციონალურ რეფორმაში მდგომარეობდა, რომლის მიხედვითაც ევროპული კავშირი გაფართოებისათვის კერძოდ კი 25 წევრი სახელმწიფოსათვის უნდა მომზადებულიყო. ნიცის კონფერენციაზე მოხდა ძირითადი უფლებების ქარტიის წარმოდგენა, რომელიც არ იყო გაერთიანების სამართლის შემადგენელი ნაწილი და

არ ჰქონდა სავალდებულო იურიდიული ძალა, მაგრამ სამართლებრივ-პოლიტიკური ასპექტიდან გამომდინარე მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენდა.

ამ დროისათვის ევროპულ კავშირში განევრიანებული იყო უკვე 15 ევროპული სახელმწიფო. გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, ნიდერლანდებისა და ლუქსემბურგის გარდა მის წევრებს შეადგენდნენ: დანია, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია (1973 წელი), საბერძნეთი (1981 წელი), ესპანეთი, პორტუგალია (1986 წელი), ფინეთი, ავსტრია, შვედეთი (1995 წელი). მათ მოჰყვათ აღმოსავლეთის ქვეყნები: ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ჩეხეთი, უნგრეთი, მალტა და კვიპროსი (2004 წელი), ხოლო 2007 წელს 27 წევრი სახელმწიფო იყო უკვე ევროკავშირის წევრი ბულგარეთთან და რუმინეთთან ერთად.

დიდი გაფართოების შემდეგ ევროკავშირის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად კიდევ ერთხელ დადგა ინსტიტუციონალური რეფორმების საკითხი. ევროპული კონსტიტუციის მარცხის შემდეგ 2007 წლის პირველ ნახევარში ისევ დაიწყო მუშაობა რეფორმატორულ ხელშეკრულებაზე. უკვე 2007 წლის 13 დეკემბერს მზად იყო ხელშეკრულება, რომელსაც ლისაბონში მთავრობების წარმომადგენლებმა მოაწერეს ხელი. 27 სახელმწიფოში ჩატარებული რეფერენდუმების შედეგად ლისაბონის ხელშეკრულება ძალაში 2009 წლის პირველ დეკემბერს შევიდა. ის წარმოადგენს კონსოლიდირებულ ტექსტებს ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებისა და ყოფილი ევროპული გაერთიანების დაარსების შესახებ ხელშეკრულების ახლა უკვე ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების ტექსტებისა.

ლისაბონის ხელშეკრულების მიხედვით ევროკავშირი კვლავ რჩება ნაწილობრივ ინტეგრირებულ ნაწილობრივ კი სამთავრობათშორისო სახელმწიფოთა კავშირად, რომელიც არც ფედერალური სახელმწიფოა და არც კონფედერაცია, არამედ სახელმწიფოსთან ახლოს მდგომი შუალედური ფორმა. იგი დაფუძნებულია განუსაზღვრელი დროით და მის წევრებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ ნებაყოფლობით დატოვონ კავშირი. ლისაბონის ხელშეკრულებაც ღიად ტოვებს ევროკავშირის განვითარების მომავალს.

სწორედ იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის არაკლასიკურ სუბიექტს, რომლის ფუნქციები და კომპეტენციები სახელმწიფოსთანაა მიახლოებული, მისი სამართლებრივი სტრუქტურა და სისტემაც ასევე მრავალრივი და საინტერესოა. სწორედ ევროკავშირის სამართალი წარმოადგენს იმ ძირითად საყრდენს, რომლის საშუალებითაც მუდმივად ინტეგრაციის პროცესში მყოფი გაერთიანება ფუნქციონირებს და სულ უფრო და უფრო იძენს რეგულირების ახალ სფეროებსა და კომპეტენციებს. ამ მხრივ ევროკავშირის სასამართლოს პრაქტიკა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ევროპული ინტეგრაციის გზაზე. სასამართლოს განმარტებები და ინტერპრეტაციები კარგ საფუძველს აძლევს ევროკავშირის ორგანოებს შექმნან უფრო დეტალური და ფართო რეგულაციები.

წარმოდგენილი წიგნი მიზნად ისახავს ევროკავშირის ძირითადი სამართლებრივი პრინციპებისა და სამართლებრივი კულტურის გადმოცემას. ევროკავშირის სამართალი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული სამართალი კონრეტულ საკითხებთან მიმართებაში მრავალ საინტერესო მიდგომას გვთავაზობს, რაც თავის მხრივ არგუმენტაციის სიზუსტესა და საკითხის მრავალმხრივ ხედვას მოითხოვს.

წიგნი აგებულია ევროკავშირის სასამართლო პრაქტიკაზე. მასში გადმოცემულია და თემატურად დალაგებულია სასამართლო პრაქტიკიდან ის საქმეები, რომლებმაც

მოგვცეს ამა თუ იმ საკითხის განმარტება და შესაბამისად შექმნეს პრეცედენტული სამართალი.

წიგნი შედგება ხუთი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში ასახულია ევროკავშირის ფუნქციონირების ძირითადი სამართლებრივი საფუძვლები. როგორც სახელმწიფოსთან მიახლოებული და მოწინავე ღირებულებების მქონე საერთაშორისო ორგანიზაცია, აუცილებელია ის ფლობდეს დემოკრატიულ პრინციპებს. სწორედ ამ ძირითად დემოკრატიულ პრინციპებს ეხება ეს ნაწილი. ამავე ნაწილში განხილულია ევროკავშირის უფლებამოსილებებიც, რომლებიც მუდმივად სადაოა წევრი სახელმწიფოების კომპეტენციებთან მიმართებაში.

წიგნის მეორე ნაწილი ეთმობა მთლიანად ევროკავშირის სამართლის სისტემასა და მის მოქმედებას. ამ ნაწილში განხილულია სამართლის სტრუქტურა და მისი ცალკეული ელემენტების მოქმედება. ამ მხრივ ძალზედ საინტერესოა წევრი სახელმწიფოსა და ევროკავშირის სამართლის ურთიერთმიმართება, ასევე ევროკავშირის სამართლის მოქმედების თავისებურებები სხვა საერთაშორისო სამართლის სუბიექტის სამართალთან მიმართებაში.

დისკრიმინაციის აკრძალვა და ძირითადი უფლებების დაცვაზე ზრუნვა ევროკავშირის სამართლის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ძირითადი უფლებების შესახებ სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება ეს ის ტიპურია შემთხვევაა, როდესაც ევროკავშირის სასამართლომ ხელშეკრულებებში არსებული ხარვეზები სამოსამართლო პრაქტიკის გზით შეავსო.

მეოთხე ნაწილი ევროკავშირის ძირითად თავისუფლებებს შეეხება. ეს ის უმნიშვნელოვანესი სფეროა, რომელიც ევროკავშირის ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს და მას როგორც ასეთს ახასიათებს. ძირითადი თავისუფლებები მოიცავენ ოთხ უმნიშვნელოვანეს სფეროს: საქონლის გადაადგილების თავისუფლება, მუშახელის გადაადგილების თავისუფლება, საზოგადოებათა დაფუძნების თავისუფლება და მომსახურების გადაადგილების თავისუფლება.

ბოლო მეხუთე ნაწილი შეეხება ევროკავშირის საკონკურენციო სამართალს, რომელიც ასევე უმნიშვნელოვანეს რგოლს წარმოადგენს ევროკავშირის სრულყოფილი ეკონომიკური ფუნქციონირებისათვის. ამ ნაწილში მკითხველს ექნება საშუალება გაეცნოს თანამედროვე საკონკურენციო სამართლის ტერმინების სასამართლოსეულ განმარტებებს, რომლებიც თავისი ხასიათიდან გამომდინარე სავალდებულონი არიან და ერთგვაროვან პრაქტიკას აყალიბებენ.

გარდა ამისა, წიგნში მოცემულია ევროპული ეკონომიკური გაერთიანების, მასტრიხტის, ამსტერდამისა და ლისაბონის ხელშეკრულებების მუხლების შესაბამისობის ტაბულა, რაც დაეხმარება მკითხველს, სასამართლო გადაწყვეტილებებში მითითებული მუხლების ნუმერაციით მოიძიოს ლისაბონის ხელშეკრულებაში არსებული შესაბამისი მუხლი.

აქვე მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებას და კერძოდ, სამართლისა და იუსტიციის რეფორმების მხარდაჭერის პროგრამას საქართველოში, რომელმაც საშუალება მოგვცა შეგვედგინა და გამოგვექვეყნებინა წინამდებარე წიგნი.

ონა გელაშვილი LL.M.Eur (Tbilisi); M.E.S (Hamburg)

სარჩევი

პირველი ნაწილი

ევროკავშირის სამართლებრივი საფუძვლები

I.	ევროკავშირის უმნიშვნელოვანესი მიზნები, ამოცანები და მისი სამართლებრივი სისტემის თავისებურება -----	1
1.	ევროკავშირის მიზნები და ამოცანები -----	1
2.	ევროკავშირის სამართლებრივი სისტემის თავისებურება -----	2
II.	ევროკავშირის პრინციპები -----	4
1.	დემოკრატიის პრინციპი -----	4
2.	სამართლებრივი პრინციპი -----	5
ა)	სამართლებრივი უსაფრთხოება -----	6
ბ)	პროპორციულობის პრინციპი -----	6
გ)	გამჭვირვალობისა და დასაბუთებულობის პრინციპი -----	7
3.	ხელისუფლების დანაწილების პრინციპი -----	10
III.	კომპეტენციები -----	11
1.	შეზღუდული უფლებამოსილების პრინციპი -----	11
ა)	სამართლებრივი საფუძვლის სწორად შერჩევა -----	14
2.	შეესების კომპეტენცია -----	15
3.	ნაგულისხმევი კომპეტენციები -----	16
4.	ევროკავშირის კომპეტენციების წევრი სახელმწიფოების კომპეტენციებთან მიმართებით -----	18
ა)	სუბსიდიურობის პრინციპი -----	18

მეორე ნაწილი

ევროკავშირის სამართალი და მისი მოქმედება

I.	ევროკავშირის სამართლის მოქმედება -----	21
1.	ევროკავშირის სამართლის უშუალო მოქმედება -----	21
ა)	ევროკავშირის სამართლის უშუალო მოქმედების წინაპირობები -----	24
2.	ევროკავშირის სამართლის უპირატესი იურიდიული ძალა ეროვნულ სამართალთან შედარებით -----	32
II.	ევროკავშირის სამართლის ნორმატიული სისტემა -----	38
1.	პირველადი სამართალი -----	38
ა)	სადამფუძნებლო ხელშეკრულებები -----	38
ბ)	საყოველთაო სამართლებრივი პრინციპები -----	39
2.	საერთაშორისო ხელშეკრულებები -----	39
3.	მეორადი სამართალი -----	43
ა)	რეგულაციები -----	43
ბ)	დირექტივა -----	46
(1)	დირექტივის შიდასახელმწიფოებრივ სამართალთან იმპლემენტაცია -----	46
(i)	იმპლემენტაცია ვადების დაცვით -----	48

(ii) ნვერი სახელმწიფოების ვალდებულება საიმპლემენტაციო ვადის ამონურვამდე -----	49
(iii) ვალდებულებები საიმპლემენტაციო ვადის ამონურვის შემდეგ -----	51
(2) დირექტივების უშუალო მოქმედება -----	51
(i) დირექტივების უშუალო ჰორიზონტალური მოქმედება (მოქმედება მესამე პირების მიმართ) -----	55
(ii) ობიექტური მოქმედება: დირექტივების შესაბამისი განმარტება; მესამე პირების მიმართ დირექტივების არაპირდაპირი ჰორიზონტალური მოქმედება -----	62
(3) სახელმწიფოების პასუხისმგებლობა -----	66
გ) გადაწყვეტილება -----	70
(1) სავალდებულობა -----	70
(2) ინდივიდუალური მოქმედება -----	75
(3) უშუალო მოქმედება -----	80
დ) რეკომენდაციები და პოზიციები -----	80
ე) დაუსახელებელი სამართლებრივი აქტები -----	82

მესამე ნაწილი

დისკრიმინაციის აკრძალვა და ძირითადი უფლებები ევროკავშირის სამართალში

I. მოქალაქეობის საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვა -----	83
1. დისკრიმინაციის აკრძალვის მოქმედება ევროკავშირის სამართალში -----	85
ა) გამოყენება პირთა წრის მიმართ -----	90
ბ) დისკრიმინაციის შინაარსი -----	91
გ) გამამართლებელი საფუძველები -----	93
2. დისკრიმინაციის აკრძალვა შრომით ურთიერთობებში -----	96
ა) დაცული სიკეთე -----	97
(1) თანაბარი და თანაბარანაზღაურებადი სამუშაო -----	103
(2) დისკრიმინაციის აკრძალვის განვრცობა სამუშაო პირობებზე -----	107
ბ) გამოყენება პირთა წრის მიმართ -----	116
დ) დისკრიმინაციის ფორმები -----	117
(1) პირდაპირი/ლია დისკრიმინაცია -----	117
(2) არაპირდაპირი/ფარული დისკრიმინაცია -----	120
(3) პოზიტიური დისკრიმინაცია -----	124
ე) გამამართლებელი საფუძველები -----	126
ვ) სამართლებრივი შედეგები -----	129
3. საყოველთაო თანასწორობის პრინციპი როგორც საყოველთაო სამართლებრივი პრინციპი -----	130
ა) საკუთარი მოქალაქეების დისკრიმინაცია -----	130
II. ძირითადი უფლებები ევროკავშირის სამართალში -----	136
1. ძირითადი უფლებები როგორც ევროკავშირის სამართლით დაცული საყოველთაო პრინციპები და მათი მოქმედება -----	136

ა) საკუთრების უფლება, პროფესიის თავისუფლება -----	141
ბ) გაერთიანების თავისუფლება -----	152
გ) პირადი სფეროს დაცვა -----	153
დ) საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობა -----	153
ე) აზრის, პრესის, მედიისა და ინფორმაციის თავისუფლება -----	153
ვ) სხვა ძირითადი უფლებები -----	159
2. ძირითადი უფლებებისა და ძირითადი თავისუფლების კოლიზია -----	161

მეოთხე ნაწილი

ძირითადი თავისუფლებები

I. საქონლის თავისუფალი გადაადგილება -----	164
1. საქონლის ცნება -----	164
2. აკრძალვები ობიექტების მიხედვით -----	171
ა) ბაჟისა და ანალოგიური მოქმედების გადასახადების აკრძალვა -----	171
ბ) რაოდენობრივი შეზღუდვებისა და ანალოგიური მოქმედების ღონისძიებების აკრძალვა -----	175
3. აკრძალვების ფორმები -----	181
ა) დისკრიმინაციის აკრძალვა -----	181
ბ) ზოგადი შეზღუდვის აკრძალვა -----	182
4. გამამართლებელი საფუძვლები -----	185
ა) ხელშეკრულებაში გათვალისწინებული გამამართლებელი საფუძვლები -----	185
ბ) დაუნერეელი გამამართლებელი საფუძვლები -----	188
II. მუშახელის გადაადგილების თავისუფლება -----	198
1. მუშახელის გადაადგილების თავისუფლების ცნება -----	198
2. აკრძალვის ფორმები -----	202
ა) დისკრიმინაციის აკრძალვა -----	202
ბ) საყოველთაო შეზღუდვის აკრძალვა -----	207
3. ოჯახის წევრთა უფლებები -----	210
4. მუშახელის გადაადგილების თავისუფლების მოქმედება მესამე პირების მიმართ -----	212
5. გამამართლებელი საფუძვლები -----	213
ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამამართლებელი საფუძვლები -----	213
ბ) დაუნერეელი გამამართლებელი საფუძვლები -----	215
III. დაფუძნების თავისუფლება -----	216
1. დაფუძნების თავისუფლების შინაარსი -----	216
2. დაფუძნების თავისუფლების დისკრიმინაციისა და საყოველთაო შეზღუდვის აკრძალვა -----	226
3. გამამართლებელი საფუძვლები -----	226
ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამამართლებელი საფუძვლები -----	226

ბ) დაუნერელი გამამართლებელი საფუძვლები -----	227
IV. მომსახურების თავისუფლება -----	231
1. მომსახურების სახეები -----	233
2. დისკრიმინაციისა და შეზღუდვის აკრძალვა -----	234
3. გამამართლებელი საფუძვლები -----	236
ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამამართლებელი საფუძვლები -----	236
ბ) დაუნერელი გამამართლებელი საფუძვლები -----	237

მეხუთე ნაწილი

საკონკურენციო სამართალი

I. შესაბამისი ბაზრის დეფინიცია სასამართლოს გადაწყვეტილებების მიხედვით -----	249
II. საკონკურენციო სამართლის სუბიექტები; შეთანხმებების, გადაწყვეტილებების და შეთანხმებული პრაქტიკის განსაზღვრება -----	255
1. სანარმო და სანარმოთა ასოციაცია -----	255
2. დაქირავებულები და პროფესიული კავშირები -----	258
ა) დაქირავებულები -----	258
ბ) პროფესიული კავშირები -----	259
3. ერთიანი ეკონომიკური უწყება -----	260
4. „შეთანხმების“, „გადაწყვეტილების“ და „შეთანხმებული პრაქტიკის“ მნიშვნელობა -----	261
5. მნიშვნელოვანი ეფექტი კონკურენციაზე -----	265
III. დომინანტური მდგომარეობა და მდგომარეობის ბოროტად გამოყენება -----	266
1. დომინანტური მდგომარეობა -----	266
2. მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მნიშვნელობა -----	267
IV. დომინანტური მდგომარეობის დადგენა -----	269
V. ქმედება, რომელიც შეიძლება იყოს მდგომარეობის ბოროტად გამოყენება -----	294
VI. კარტელი და ოლიგოპოლია -----	340
VII. სადისკრიმინაციო შეთანხმებები -----	351
VIII. შერწყმა -----	356
IX. ინტელექტუალური საკუთრების უფლება -----	407
X. საჯარო სანარმოები -----	418
XI. გაერთიანებული სანარმო -----	460

ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებისა და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მუხლების შესაბამისობის ტაბულა -----	468
ევროკავშირის სასამართლო გადაწყვეტილებების სარჩევი -----	484

პირველი ნაწილი

ევროკავშირის სამართლებრივი საფუძვლები

I. ევროკავშირის უმნიშვნელოვანესი მიზნები, ამოცანები და მისი სამართლებრივი სისტემის თავისებურება

1. ევროკავშირის მიზნები და ამოცანები

დასკვნა. ევროპული ეკონომიკური სივრცე¹:

17. როგორც ეს, განსაკუთრებით, ევროპული ეკონომიკური სივრცის² ხელშეკრულების მე-2, მე-8ა და 102-ე ა მუხლებიდან გამომდინარეობს, **ის ისწრაფვის ეკონომიკური ინტეგრაციისაკენ, რომელიც შიდა ბაზარსა და ეკონომიკურ და სავალუტო კავშირში მოიაზრება**. ამასთან, გაერთიანების ხელშეკრულებები, ერთად აღებული, ერთიანი ევროპული აქტების პირველი მუხლის მიხედვით, მიზნად ისახავენ, კონკრეტული წვლილი შეიტანონ ევროპული კავშირის წარმატებაში.

18. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების დებულებები, რომლებიც აწესრიგებენ თავისუფალ მიმოქცევასა და კონკურენციას, არავითარ შემთხვევაში არ არის თვითმიზანი, არამედ მხოლოდ ამ მიზნების განხორციელების საშუალებაა.

¹ Opinion of the Court of 14 December 1991; Opinion delivered pursuant to the second subparagraph of Article 228 (1) of the Treaty; Draft agreement between the Community, on the one hand, and the countries of the European Free Trade Association, on the other, relating to the creation of the European Economic Area; Opinion 1/91; European Court reports 1991 Page I-06079.

² 1992 წლის 2 მაისს პორტოში ხელი მოეწერა ევროპული ეკონომიკური სივრცის შესახებ ხელშეკრულებას ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასა და ევროპული თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას შორის. ამ დროისათვის ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრი იყო ევროპული კავშირის 12 წევრი სახელმწიფო (ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, დიდი ბრიტანეთი, დანია, ირლანდია, საბერძნეთი, ესპანეთი, პროტუგალია), ხოლო ევროპული თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციაში 7 სახელმწიფო (ავსტრია, ფინეთი, ისლანდია, ნორვეგია, შვედეთი, შვეიცარია და ლიხტენშტაინი). ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1994 წლის პირველ იანვარს, ლიხტენშტაინისათვის 1995 წლის პირველ იანვარს, ხოლო შვეიცარიას არ მოუხდენია ხელშეკრულების რატიფიცირება. ამ ხელშეკრულებით გაუქმდა ყოველგვარი ბაჟი მასში მონაწილე ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობისას. დღევანდელი მდგომარეობით, ხელშეკრულება ითვალისწინებს შიდა ბაზარში ევროპული კავშირის არანეერი სახელმწიფოების ჩართვას. აღნიშნული ხელშეკრულება მოქმედებს ევროპულ კავშირსა და მის არანეერ შემდეგ ევროპულ სახელმწიფოებს შორის: ლიხტენშტაინი, ნორვეგია და ისლანდია. 1957 წლის 25 მარტს რომში ხელი მოეწერა ევროპული ეკონომიკური გაერთიანების დაარსების შესახებ მრავალმხრივ შეთანხმებას საფრანგეთს, გერმანიას, ნიდერლანდებს, ლუქსემბურგს, ბელგიასა და იტალიას შორის. მიზანი იყო წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ორგანიზაციის ამოცანები გაფართოვდა, 1993 წლის მაასტრიხტის ხელშეკრულებით, მას ევროპული გაერთიანება დაერქვა.

საქმე *Gaston Schul*³:

33. (...) (ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-2 და მე-3 მუხლებში დასახელებული ხელშეკრულების) მიზნებიდან უპირველესი მიზანი საერთო ბაზრის შექმნაა. საერთო ბაზრის ცნება (...) ეფუძნება შიდა გაერთიანების ვაჭრობაში ყველა დაბრკოლების აღმოფხვრას ეროვნული ბაზრების ერთ ბაზრად შერწყმის მიზნით, რომლის პირობები რეალურ შიდა ბაზარს მაქსიმალურად უახლოვდება.

2. ევროპის კავშირის სამართლებრივი სისტემის თავისებურება

საქმე *van Gend & Loos*⁴:

9. ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მიზანია საერთო ბაზრის შექმნა, რომლის ფუნქციონირება უშუალოდ შეეხება გაერთიანების ცალკეულ პირებს; ამით ასევე ნათქვამია, რომ ეს ხელშეკრულება უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ შეთანხმება, რომელიც მხოლოდ ურთიერთვალდებულებებს ამკვიდრებს ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს შორის. ეს აზრი დასტურდება ხელშეკრულების პრეამბულით, რომელიც მიმართავს არა მარტო მთავრობებს, არამედ ხალხებსაც. ეს კიდევ უფრო მეტად თვალნათლივ დასტურდება ისეთი ორგანოების შექმნით, რომელთაც გადაცემული აქვთ სუვერენული უფლებები. ამ უფლებების განხორციელება თანაბრად შეეხება როგორც წევრ სახელმწიფოებს, ასევე მოქალაქეებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გაერთიანებაში შემავალი სახელმწიფოების მოქალაქეები მონოდებულნი არიან, წვლილი შეიტანონ გაერთიანების ფუნქციონირებაში ევროპული პარლამენტისა და ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის მეშვეობით. ასევე, 177-ე მუხლის ფარგლებში სასამართლოსათვის დაკისრებული ვალდებულება, უზრუნველყოს ხელშეკრულების ერთიანი განმარტება ეროვნული სასამართლოების მიერ, ამტკიცებს იმას, რომ სახელმწიფოებისათვის ამოსავალი იყო, მოქალაქეებს შესძლებოდათ, გაერთიანების სამართალზე დაყრდნობით მიემართათ ეროვნული სასამართლოებისათვის.

10. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ გაერთიანება საერთაშორისო სამართლის ახალი სამართლებრივი სისტემაა, რომლის სასარგებლოდაც სახელმწიფოებმა, თუნდაც გარკვეულ ფარგლებში, საკუთარი სუვერენული უფლებები შეიზღუდეს, ეს არის სამართლებრივი სისტემა, რომლის სამართალსუბიექტები არა მარტო წევრი სახელმწიფოები, არამედ ერთეულები არიან.

საქმე *Costa v. E.N.E.L.*⁵:

ეროვნული სასამართლოს ვალდებულებაა, გამოიყენოს შიდასახელმწიფოებრივი სამართალი.

იტალიის მთავრობა სამშვიდობო სასამართლოს შუამდგომლობას მიიჩნევს „აბსოლუტურად დაუშვებლად“, რადგან ეროვნულ სასამართლოს უნდა გამოეყენებინა შიდასახელმწიფოებრივი სამართალი და, აქედან გამომდინარე, არ უნდა ემოქმედა 177-ე მუხლის მიხედვით.

³ Judgment of the Court of 5 May 1982; *Gaston Schul Douane Expeditieur BV v Inspecteur der Invoerrechten en Accijnzen, Roosendaal*; Case 15/81; European Court reports 1982 Page 01409.

⁴ Judgment of the Court of 5 February 1963; *NV Algemene Transport- en Expeditie Onderneming van Gend & Loos v Netherlands Inland Revenue Administration*; Case 26-62; European Court reports English special edition Page 00001.

⁵ Judgment of the Court of 15 July 1964; *Flaminio Costa v E.N.E.L.*; Case 6/64; European Court reports; English special edition Page 00585.

ჩვეულებრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებისაგან განსხვავებით, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულებამ⁶ შექმნა საკუთარი სამართლებრივი წესრიგი, რომელიც მისი ძალაში შესვლის შემდეგ გადატანილია წევრი სახელმწიფოების სამართლებრივ წესრიგებში და გამოიყენება მათი სასამართლოების მიერ. რადგან გაერთიანების განუსაზღვრელი დროით დაფუძნებით, გაერთიანებისა, რომელიც აღჭურვილია საკუთარი ორგანოებით, სამართალ- და ქმედუნარიანობით, საერთაშორისო ქმედუნარიანობითა და, განსაკუთრებით, ნამდვილი სუვერენული უფლებებით, რომლებიც, თავის მხრივ, წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილებების შეზღუდვისა და გაერთიანებაზე წევრი სახელმწიფოების სუვერენული უფლებების გადაცემის შედეგად წარმოიშვა, წევრმა სახელმწიფოებმა, თუნდაც ერთ გარკვეულ სფეროში, შეიზღუდეს სუვერენული უფლებები და ამგვარად შექმნეს სამართლებრივი სხეული, რომელსაც სავალდებულო ძალა აქვს როგორც მისი ერთეულებისათვის და თავად ამ წევრი სახელმწიფოებისათვის.

საქმე *Internationale Handelsgesellschaft*⁷:

3. გაერთიანების სამართლის ერთიანი მოქმედება შეილახებოდა, თუ გაერთიანების ორგანოთა მოქმედებების ნამდვილობაზე გადაწყვეტილებების მიღებისას ეროვნული სამართლის ნორმები და პრინციპები იქნებოდა წამოწეული. ასეთი მოქმედებების ნამდვილობა შესაძლებელია, მხოლოდ გაერთიანების სამართლის მიხედვით განიხილებოდეს, რადგან ხელშეკრულებით შექმნილი, და ამით ავტონომიური სამართლებრივი წყაროდან გამომდინარე სამართალზე, მისი დამოუკიდებლობის გამო, უპირატესი ძალა არ შეიძლება ჰქონდეს შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ ნორმებს, როგორებიც არ უნდა იყვნენ ისინი, თუ მას არ ჩამოვართმევთ გაერთიანების სამართლის ხასიათს და თუ კითხვის ნიშნის ქვეშ არ დავაყენებთ გაერთიანების სამართლებრივ პრინციპს. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება განხილულ იქნეს გაერთიანების მოქმედება ან წევრ სახელმწიფოში ამ ქმედების ნამდვილობა, როდესაც საჩივარი აღიძვრება იმის გამო, რომ დარღვეულია ძირითადი უფლებები, რომლებიც კონკრეტული სახელმწიფოს კონსტიტუციის მიერ მოცემული ფაბულით ან ეროვნული კონსტიტუციის სტრუქტურული პრინციპებითაა გადმოცემული.

დასკვნა ევროპული ეკონომიკური სივრცე⁸:

21. ამის საპირისპიროდ, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულებას, მიუხედავად იმისა, რომ ის საერთაშორისო შეთანხმების ფორმითაა დადებული, არანაკლები იურიდიული ძალა აქვს, ვიდრე სამართლებრივი გაერთიანების კონსტიტუციურ დოკუმენტს. ევროპული სასამართლოს მუდმივი პრაქტიკის მიხედვით, გაერთიანების ხელშეკრულებებმა შექმნეს ახალი სამართლებრივი წესრიგი, რომლის სასარგებლოდაც სახელმწიფოებმა საკუთარი სუვერენული უფლებები სულ უფრო ფართო სფეროებში შეიზღუდეს და რომლის სამართალსუბიექტები არა მარტო წევრი სახელმწიფოები, არამედ ასევე მისი მოქალაქეებიც არიან (...).

⁶ 1957 წლის 25 მარტს რომში ხელი მოეწერა ევროპული ეკონომიკური გაერთიანების დარსების შესახებ მრავალმხრივ შეთანხმებას საფრანგეთს, გერმანიას, ნიდერლანდებს, ლუქსემბურგს, ბელგიასა და იტალიას შორის. მიზანი იყო წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ორგანიზაციის ამოცანები გაფართოვდა, 1993 წლის მასტრიხტის ხელშეკრულებით, მას ევროპული გაერთიანება დაერქვა.

⁷ Judgment of the Court of 17 December 1970; Internationale Handelsgesellschaft mbH v Einfuhr- und Vorratsstelle für Getreide und Futtermittel; Case 11-70; European Court reports 1970 Page 01125.

⁸ იხ. 1-ლი სქოლიო.

II. ევროკავშირის პრინციპები

ევროკავშირის ვინაიდან აქვს პრეტენზია, რომ მან ჩამოაყალიბა საერთაშორისო სამართლის ახალი სამართლებრივი წესრიგი, რომელიც სხვა სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებლად ქმნის სამართალს და რომლის მიერ შექმნილი სამართალი წევრი სახელმწიფოების სამართალთან უპირატესი ძალით სარგებლობს, აუცილებელია არსებობდეს გაერთიანებაში ის პრინციპები, რომლებიც შეინარჩუნებენ წევრი სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი საერთო ღირებულებების მაღალ დონეს და უფრო მეტად განავითარებენ მას. ეს პრინციპები ხელშეკრულებებთან ერთად⁹ ფართოდაა ასახული ევროპის სასამართლო პრაქტიკაში.

1. დემოკრატიის პრინციპი

საქმე *Roquette Frères*¹⁰:

33. ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ შეთანხმების 43-ე მუხლის მე-2 აბზაცის მე-3 პუნქტი და ხელშეკრულების შესაბამისი დებულებებით გათვალისწინებული მოსმენის პროცედურა საშუალებას აძლევს პარლამენტს, გაერთიანების კანონშემოქმედებით პროცესში ეფექტურად მიიღოს მონაწილეობა. ეს უფლებამოსილება ხელშეკრულებით გაიზნული ინსტიტუციური ბალანსისათვის არის არსებითი. ის გაერთიანების დონეზე ასახავს, თუნდაც შეზღუდულად, მაგრამ მაინც, იმ ძირითად დემოკრატიულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც ხალხები საჯარო ხელისუფლების განხორციელების მონაწილეები ხდებიან თავიანთი წარმომადგენლების კრების საშუალებით. პარლამენტის სათანადოდ მოსმენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში არსებითი პროცედურული ნორმაა, რომლის უგულებელყოფა შესაბამისი ქმედების ბათილობას იწვევს.

საქმე *Titandioxid*¹¹:

19. თანამშრომლობის პროცედურის ფარგლებში საბჭო კვალიფიციური უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას, თუ მას სურს მიიღოს ევროპული პარლამენტის მიერ ფორმულირებულ და კომისიის მიერ გადასინჯულ წინადადებაში შეტანილი ცვლილებები. განსხვავებით ამისაგან, საბჭო ერთხმად იღებს გადაწყვეტილებას, თუ პარლამენტი ამ საერთო მიდგომას უარყოფს, ან, თუ მას კომისიის მიერ გადასინჯული წინადადების შეცვლა სურს. თანამშრომლობის პროცედურის არსებითი ელემენტი დაირღვეოდა, თუ საბჭო, ამავე დროს, მე-100 ა და 130-ე ა მუხლებსაც დაეყრდნობოდა და ნებისმიერ შემთხვევაში ერთხმად მიიღებდა გადაწყვეტილებას.

20. ამით თანამშრომლობის პროცედურით დასახული მიზანი, გაძლიერდეს ევროპული პარლამენტის მონაწილეობა გაერთიანების კანონშემოქმედებით პროცესში, დადგებოდა კითხვის ნიშნის ქვეშ. როგორც სასამართლომ 1980 წლის 29 ოქტომბრის საქმეში – 138/79 (...) და საქმეში – 139/79 (...) დაადგინა, ასეთი თანამონაწილეობა გაერთიანების დონეზე ასახავს ძირითად დემოკრატიულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც ხალხები მათი წარმომადგენლების კრების მეშვეობით საჯარო ხელისუფლების განხორციელებაში მონაწილეობენ.

⁹ იხ. ევროპული კავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლის პირველი აბზაცი.

¹⁰ Judgment of the Court of 29 October 1980; SA Roquette Frères v Council of the European Communities; Case 138/79; European Court reports 1980 Page 03333.

¹¹ Judgment of the Court of 11 June 1991; Commission of the European Communities v Council of the European Communities; Case C-300/89; European Court reports 1991 Page I-02867.

2. სამართლებრივი პრინციპი

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს შეიცავს ევროკავშირის სამართლებრივი წესრიგიც. ცალკეული სამართლებრივი პრინციპები გამოხატულებას პოვენენ ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილებებში.

საქმე *Granaria*¹²:

5. ხელშეკრულებისათვის საფუძვლად დადებული კანონშემოქმედებისა და მართლმსაჯულების სისტემიდან გამომდინარეობს, რომ გაერთიანების სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის დაცვის თვალსაზრისით, მართალია, ერთეულებს აქვთ შესაძლებლობა, სადავო გახადონ რეგულაციების ნამდვილობა სასამართლოს წინაშე, მაგრამ ეს პრინციპი ასევე ავალდებულებს გაერთიანების სამართალს დაქვემდებარებულ ნებისმიერ პირსა თუ დაწესებულებას, მანამ აღიარონ რეგულაციების სრულყოფილად მოქმედება, ვიდრე მათ კომპეტენტური სასამართლო არ გააუქმებს.

საქმე *Les Verts*¹³:

23. ამასთან, ჯერ უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული ეკონომიკური გაერთიანება ისეთი სახის სამართლებრივი გაერთიანებაა, რომელშიც არც წევრ სახელმწიფოებს და არც გაერთიანების ორგანოებს ჩამორთმეული არ აქვთ კონტროლის უფლება იმაზე, შეესაბამებიან თუ არა მათი მოქმედებები გაერთიანების კონსტიტუციურ დოკუმენტს — ხელშეკრულებას. ერთი მხრივ, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების შექმნილია სამართლებრივი დაცვის ფართო სისტემა, რომლის ფარგლებშიც ევროპულ სასამართლოს გადაცემული აქვს გაერთიანების ორგანოთა მოქმედებების სამართალშესაბამისობის გადასინჯვის უფლება.

გაერთიანებული საქმეები *Hoechst*¹⁴:

საქმის ფაბულა: სააქციო საზოგადოება *Hoechst AG* ასაჩივრებდა კომისიის მიერ მასთან ჩატარებულ ჩხრეკას, რომელიც საჭიროდ მიიჩნია კომისიამ, რათა გამოეკვლია ამ იურიდიული პირის მიერ საკონკურენციო სამართლის წესების დარღვევის ფაქტები.

19. ამასთან, წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი წესრიგების მიხედვით საჯარო ხელისუფლების ჩარევა ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირის პირად საქმიანობაში საჭიროებს სამართლებრივ საფუძველს და გამართლებული უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით; შესაბამისად, ეს სამართლებრივი წესრიგები ითვალისწინებენ, თუმცა განსხვავებულად, მაგრამ მაინც, დაიცვან პირები თვითნებური და არაპროპორციული ჩარევისაგან. ამგვარი დაცვის აუცილებლობა აღიარებულ უნდა იქნეს როგორც გაერთიანების სამართლის ზოგადი პრინციპი.

¹² Judgment of the Court of 13 February 1979; *Granaria BV v Hoofdproduktschap voor Akkerbouwprodukten*; Case 101/78; European Court reports 1979 Page 00623.

¹³ Judgment of the Court of 23 April 1986; *Parti écologiste “Les Verts” v European Parliament*; Case 294/83; European Court reports 1986 Page 01339.

¹⁴ Judgment of the Court of 21 September 1989; *Hoechst AG v Commission of the European Communities*; Joined cases 46/87 and 227/88; European Court reports 1989 Page 02859.

ა) სამართლებრივი უსაფრთხოება

საქმე *Gebroeders*¹⁵:

27. სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი გაერთიანების სამართლის ძირითადი პრინციპია (შეადარეთ 1983 წლის 21 სექტემბრის განაჩენი გაერთიანებულ საქმეებში – 205/82-215/82, *Deutsche Milchkantor*, 1983 წლის კრებული, 2633), რომელიც განსაკუთრებით მოითხოვს, რომ წესი, რომელიც გადამხდელისათვის ვალდებულებებს წარმოშობს, ნათელი და გასაგები იყოს, რათა მას შეეძლოს, არაორაზროვნად გააცნობიეროს თავისი უფლებები და მოვალეობები და ამგვარად მიიღოს გადაწყვეტილებები (შეადარეთ განაჩენები: 1981 წლის 9 ივლისის საქმეში – 169/80, *Gondrad Frerres*, 1981 წლის კრებული 1931, და 1989 წლის 22 თებერვლის განაჩენი გაერთიანებულ საქმეებში – 92/87 და 93/87, კომისია საფრანგეთისა და გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1989 წლის კრებული, 405).

საქმე *Ireland v. Commission*¹⁶:

18. გარდა ამისა, გაერთიანების სამართლებრივი აქტები, როგორც ეს ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ გადაწყვიტა, უნდა იყოს ერთმნიშვნელოვანი და შესაბამის პირებს უნდა შეეძლოს მისი მოქმედების წინასწარ განჭვრეტა. სამართლებრივი უსაფრთხოების ეს ცნება განსაკუთრებით იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც საქმე შეეხება ნორმებს, რომლებსაც შეიძლება ფინანსური შედეგები ჰქონდეს. შესაბამის პირებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ზუსტად შეიცნონ ამ ნორმებით მათზე დაკისრებული ვალდებულებების მოცულობა.

ბ) პროპორციულობის პრინციპი.

საქმე *Hermann Schröder*¹⁷:

21. პროპორციულობის პრინციპი, სასამართლოს მუდმივი პრაქტიკის შესაბამისად, განეკუთვნება გაერთიანების სამართლის ზოგად სამართლებრივ პრინციპებს. ამ პრინციპის მიხედვით, ღონისძიებები, რომლის მეშვეობითაც ეკონომიკურ სუბიექტებს ფინანსური ვალდებულებები დაეკისრებათ, მხოლოდ მაშინ არის მართლზომიერი, როცა ის შესაბამისი წესით გათვალისწინებული დასაშვები მიზნების მისაღწევად გამოსადეგი და აუცილებელია. ამასთან, თუ რამდენიმე გამოსადეგი ღონისძიებაა ასარჩევი, უნდა შეირჩეს ყველაზე ნაკლებად მავალდებულებელი და დაკისრებული ვალდებულებები შესაბამისად პროპორციული/თანაზომიერი უნდა იყოს დასახული მიზნებისა.

საქმე *Liselotte Hauer*¹⁸:

პროპორციულობის პრინციპი გამოიყენება როგორც სამართლებრივი აქტების გამოცემის, ასევე მათი აღსრულების დროს. ის გამოყენებულია ევროპის სასამართლოს პრაქტიკაში როგორც ძირითად თავისუფლებაში ჩარევის გამამართლებელი საფუძვლების ფარგლები, ე.წ. საზღვრების საზღვრები.

¹⁵ Judgment of the Court of 13 February 1996; *Gebroeders van Es Douane Agenten BV v Inspecteur der Invoerrechten en Accijnzen*; Case C-143/93; European Court reports 1996 Page I-00431.

¹⁶ Judgment of the Court of 15 December 1987; *Ireland v Commission of the European Communities*; Case 325/85; European Court reports 1987 Page 05041.

¹⁷ Judgment of the Court (Fifth Chamber) of 11 July 1989; *Hermann Schröder HS Kraffutter GmbH & Co. KG v Hauptzollamt Gronau*; Case 265/87; European Court reports 1989 Page 02237.

¹⁸ Judgment of the Court of 13 December 1979; *Liselotte Hauer v Land Rheinland-Pfalz*; Case 44/79; European Court reports 1979 Page 03727.

გ) გამჭვირვალობისა და დასაბუთებულობის პრინციპი

საქმე *Svenska Journalistförbundet*¹⁹:

საქმის ფაბულა: 1981 წელს შვედეთის სამეფოს ევროკავშირში განწევრიანებასთან დაკავშირებით, ჟურნალისტთა კავშირმა შვედი მოქალაქეების ინფორმაციის მიღების უფლების გადასინჯვის მიზნით მოითხოვა დოკუმენტაცია ევროპული საპოლიციო სამსახურის შექმნის თაობაზე შვედეთის კომპეტენტური სამინისტროდან. 20 მოთხოვნილი დოკუმენტიდან მიიღო 18 დოკუმენტი. ამ დოკუმენტების გარკვეული ნაწილი არ იკითხებოდა. ამის შემდგომ მან დოკუმენტები მოითხოვა უშუალოდ ევროპული საბჭოდან, საიდანაც მხოლოდ 2 დოკუმენტი მიიღო, ხოლო დანარჩენის გაცნობაზე უარი დასაბუთებული იყო იმით, რომ ისინი „93/731 გადაწყვეტილების მე-4 მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით საიდუმლოების პრინციპს ექვემდებარებოდნენ.“

109. 93/731 გადაწყვეტილება არის ღონისძიება, რომელიც მოქალაქეებს საბჭოს მფლობელობაში არსებულ დოკუმენტებთან დაშვების უფლებას აძლევს. მისი სისტემატიზაციის მიხედვით, ის მოქმედებს ზოგადად დოკუმენტებთან დაშვების თაობაზე ნებისმიერ განაცხადზე, და ნებისმიერს შეუძლია, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მოითხოვოს საბჭოს ნებისმიერი დოკუმენტი (...)

110. გადაწყვეტილების მე-4 მუხლი შეიცავს საბჭოს დოკუმენტებთან მოქალაქეების დაშვების ზოგადი პრინციპიდან გამონაკლისების ორ ჯგუფს. ეს გამონაკლისები განმარტებულ და გამოყენებულ უნდა იქნეს ვინაობა, იმისათვის, რომ ზოგადი პრინციპი, რომელიც ამ გადაწყვეტილებაშია ასახული, არ შეილახოს(...)

111. გამონაკლისების პირველი ჯგუფი, მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სავალდებულოა. ის ითვალისწინებს, რომ აკრძალულია საბჭოს იმ დოკუმენტთან დაშვება, რომლის გავრცელება საჯარო ინტერესებს (საჯარო უსაფრთხოება, საერთაშორისო ურთიერთობები, ვალუტის სტაბილურობა, მართლმსაჯულება, საინსპექციო- და საგამოძიებო საქმიანობები) საფრთხეს შეუქმნიდა. (...) აქედან გამომდინარე, საბჭო ვალდებულია, უარი თქვას იმ დოკუმენტებთან დაშვებაზე, რომლებიც ამ პირველ ჯგუფში მოხსენიებულ გამონაკლისებში ხვდება, როცა ამის შესაბამისი დამადასტურებელი გარემოება არსებობს (შეადარეთ *Carvel and Guardian Newspaper v. Council*, 64-ე პუნქტი).

112. თუმცა გამონათქვამის – „შეუქმნიდა“ – კონიუნქტურული ფორმიდან გამომდინარეობს, რომ საბჭომ მტკიცებულება – დოკუმენტის საჯაროობა საფრთხეს შეუქმნიდა საჯარო ინტერესს – მხოლოდ იმგვარად უნდა წარმოაჩინოს, რომ მან ყოველ დოკუმენტთან დაკავშირებით, რომელთან დაშვებაც მოთხოვნილია, გადასინჯოს, ფაქტობრივად შესაძლებელია თუ არა, ამ დოკუმენტის საჯაროობამ, მასში არსებული ინფორმაციების გამო, დააზიანოს საჯარო ინტერესის ერთი ასპექტი, რომელიც გამონაკლისების პირველ ჯგუფშია დაცული. ეს თუ ასეა, საბჭომ უარი უნდა უთხრას აღნიშნულ დოკუმენტთან დაშვების შესახებ განმცხადებელს (განაჩენი – *Intercorp v. Commission*, 52-ე პუნქტი, 1998 წლის 19 მარტის განაჩენი საქმეზე T-83/96, *Van der Val v. Commission*, 1998 წლის კრებული, II-545, 43-ე პუნქტი).

113. ამისგან განსხვავებით, მეორე ჯგუფი, პირდაპირი მნიშვნელობით, უფლებამოსილებითი ნორმაა. აღნიშნულის მიხედვით, საბჭოს შეუძლია, უარი თქვას დოკუმენტებთან დაშვებაზე ასევე თავისი კონსულტაციების საიდუმლოების დაცვის მიზნით. (...)

¹⁹ Judgment of the Court of First Instance (Fourth Chamber, extended composition) of 17 June 1998; *Svenska Journalistförbundet v Council of the European Union*; Case T-174/95; European Court reports 1998 Page II-02289.

ამით საბჭოს აქვს მოქმედების გარკვეული არეალი, რომელიც მას ნებას რთავს, უარი განაცხადოს თავისი კონსულტაციების დროს მიღებულ დოკუმენტებთან დაშვებაზე, თუმცა ამ მოქმედების არეალის ფარგლებში რეალურად უნდა განსაჯოს დოკუმენტების მიმართ მოქალაქის ინტერესი, თავისი კონსულტაციების საიდუმლოების ინტერესებიდან გამომდინარე (განაჩენი – *Carvel and Guardian Newspaper v. Council*, 64-ე-65-ე პუნქტები).
(...)

116. ცალკეულ შემთხვევებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულება, ერთი მხრივ, საშუალებას მისცემს შესაბამის პირს, თავისი უფლებების განხორციელების მიზნით გაეცნოს მიღებული ზომების საფუძვლებს და, მეორე მხრივ, გაერთიანების მოსამართლეს, აკონტროლოს გადაწყვეტილების მართლზომიერება (...).

117. მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება, რომლითაც უარი ეთქვათ დოკუმენტებთან დაშვებაზე, უნდა შეიცავდეს — დოკუმენტების, სულ ცოტა, ყოველი შესაბამისი ჯგუფისათვის — სპეციფიკურ საფუძვლებს, რომელთა გამოც მოთხოვნილი დოკუმენტების საჯაროობა, საბჭოს შეხედულებით, 93/731 გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ გამონაკლისებს შორის ხვდება (განაჩენები: *WWF UK v. Komission*, 64, 74, *Interporc v. Commission*, 54).

118. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში (...) საბჭო, უბრალოდ, განსაზღვრავს, რომ შესაბამისი 16 დოკუმენტის საჯაროობა ლახავს საჯარო ინტერესს (საჯარო უსაფრთხოებას) და რომ ეს დოკუმენტები საბჭოს კონსულტაციებს შეეხებოდა, რომელშიც შესული იყო ასევე მისი წევრების მოსაზრებები და ამ საფუძვლით საიდუმლოდ დაცვის ვალდებულებას ექვემდებარებოდა.

119. მიუხედავად იმისა, რომ საბჭო ერთდროულად საჯარო ინტერესის (საჯარო უსაფრთხოების) დაცვისათვის სავალდებულო გამონაკლისსა და მისი კონსულტაციების საიდუმლოების ფაკულტატიურ გამონაკლისს ეყრდნობა, ის ზუსტად არ განსაზღვრავს, ეყრდნობა ყველა ამ დოკუმენტის მიმართ ერთდროულად ორივე გამონაკლისს, თუ მიიჩნევს, რომ გარკვეული დოკუმენტები პირველი გამონაკლისის, ხოლო დანარჩენები მეორე გამონაკლისების ჯგუფში ექცევიან.
(...)

121. სასამართლო პრაქტიკა აჩვენებს, რომ საჯარო უსაფრთხოების ცნებას არაერთი მნიშვნელობა აქვს. ეს ცნება მოიცავს წვერი სახელმწიფოს როგორც შიდა, ისე საგარეო უსაფრთხოებას (სასამართლოს განაჩენი 1995 წლის 17 ოქტომბრის საქმეში – *C-70/94, Verner*, 25-ე პუნქტი). ასევე მოიცავს არსებითი მნიშვნელობის რესურსების მიწოდების შეწყვეტას, როგორცაა ნავთობი, რომელიც სახელმწიფოს არსებობას საფრთხეს უქმნის (სასამართლოს განაჩენი 1984 წლის 10 ივლისის საქმეში – *72/83, Campus Oil*, 34-ე პუნქტი). მან შეიძლება მოიცვას ასევე საქმის ისეთი შემადგენლობები, რომლებშიც გარკვეული დოკუმენტების საჯაროობა დააბრკოლებდა უშუალოდ დანესებულებების მცდელობებს, თავიდან აიცილონ დანაშაული, როგორც ამას მომჩივანი მიუთითებს.

122. (...) დოკუმენტების უმრავლესობა, რომლებთანაც დაშვება უარყოფილ იქნა, შეეხებოდა მხოლოდ ევროპოლის შესახებ შეთანხმებათა დოკუმენტების გამოცემაზე გამართულ მოლაპარაკებებსა, და განსაკუთრებით საპრეზიდენტო დელეგაციისა და სხვა დელეგაციების მოლაპარაკებების ფარგლებში გამოთქმულ პოზიციებს, და არა ევროპოლის საქმიანობას. რადგან საბჭომ არ განსაზღვრა, საჯარო უსაფრთხოების თუ რომელ ასპექტს შელახავდა დოკუმენტების საჯაროობა, მომჩივანს არ ჰქონია შესაძლებლობა, შეეცნო მიღებული ზომის საფუძვლები და ამით მან ვერ შეძლო თავისი უფლების

განხორციელება. შედეგად სასამართლოსაც არ შეუძლია განსაჯოს საფუძვლები, რომლის გამოც აღნიშნული დოკუმენტები საჯარო ინტერესის (საჯარო უსაფრთხოების) გამონაკლისებში შეიძლება მოხვდეს და არა საბჭოს განხილვების საიდუმლოების გამონაკლისებში.

123. საბჭოს არ შეუძლია ამტკიცოს, რომ დასაცავი საჯარო ინტერესის ბუნებიდან და ამ გამონაკლისის სავალდებულო ხასიათიდან გამომდინარე იგი ვერ განმარტავდა გამონაკლისის გამოყენების მიზეზებს ისე, რომ ამ გამონაკლისის არსებითი მიზანი არ შეეღაზა. (...) შინაარსის გამოაშკარავების გარეშე შესაძლებელი იყო იმ საფუძვლების ჩამოყალიბება, რის გამოც გარკვეული დოკუმენტები მომჩივანს არ გადაეცა.

124. საბოლოოდ, რაც საბჭოს კონსულტაციების საიდუმლოების გამონაკლისს შეეხება, გასაჩივრებულ გადანყვეტილებასი არ არის სპეციფიკურად გადმოცემული, რომ დაშვების შესახებ განაცხადის თაობაზე მთელი რიგი ამ დოკუმენტებისა საჯარო ინტერესის დაცვის გამონაკლისში ხვდებოდა (იხ. 119-ე პუნქტი). მომჩივანს ამის გამო არ შეეძლო გამოერიცხა ის ფაქტი, რომ მას უარი ეთქვა დოკუმენტების ნაწილთან დაშვებაზე, რადგან ისინი მხოლოდ საბჭოს განხილვების საიდუმლოების გამონაკლისში ხვდებოდნენ.

125. გასაჩივრებული გადანყვეტილების შინაარსი არ აძლევს საშუალებას მომჩივანს და ამით სასამართლოსაც, გადაამონმოს, შეასრულა თუ არა საბჭომ თავისი ვალდებულება, 93/731 გადანყვეტილების მე-4 მუხლის მე-2 აბზაციდან გამომდინარე, ერთმანეთთან მიმართებით განესაჯა თითოეულის ინტერესი. რადგან გასაჩივრებული გადანყვეტილება მხოლოდ განსაზღვრავს, რომ მოთხოვნილი დოკუმენტები შეეხება საბჭოს კონსულტაციებს მისი წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებების ჩათვლით, მაგრამ მასში შეუტყობადია, განსაჯა თუ არა საბჭომ მოქალაქის ინტერესი - მიიღოს ინფორმაცია – თავისი კონსულტაციების საიდუმლოების აუცილებლობასთან მიმართებით (შეადარეთ *Carvel and Guardian Newspaper v. Council*, 74-ე პუნქტი). (...)

129. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული გადანყვეტილება არ შეესაბამება ევროპული გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 190-ე მუხლის დასაბუთების მოთხოვნებს და უნდა გაუქმდეს (...).

საქმე *W. Beus GmbH & Co. v. Hauptzollamt München*²⁰:

საქმის ფაბულა: მომჩივანი სანარმო უარს აცხადებდა, აგრარულ ბაზარზე გადაეხადა გარკვეული გადასახადი და სადავოდ ხდიდა რეგულაციის დასაბუთებას, რომელიც გადასახადის სიდიდეს ადგენდა.

ხელშეკრულების 190-ე მუხლში დადგენილი დასაბუთების ვალდებულების მოცულობა დამოკიდებულია სადავო ღონისძიების სამართლებრივ ბუნებაზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს შეეხება რეგულაციას, ანუ ზოგადი ხასიათის სამართლებრივ აქტს. ასეთი ღონისძიების დასაბუთება შესაძლოა, შემოიფარგლოს იმით, რომ მასში გადმოიცეს საერთო სურათი, რომელმაც ამ ზომების მიღება გამოიწვია, და დასახელდეს საერთო მიზნები, რაც ამ ღონისძიებით უნდა მიიღნეს. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება იმის მოთხოვნა, რომ მან დეტალურად გადმოსცეს ის მრავალრიცხოვანი და მრავალგანშტოებიანი ფაქტობრივი გარემოება, რომელთა საფუძველზეც გამოიცა რეგულაცია.

²⁰ Judgment of the Court of 13 March 1968; *W. Beus GmbH & Co. v Hauptzollamt München*; Case 5-67; European Court reports English special edition Page 00083.

რაც შეეხება დასაბუთების მოცულობას აღნიშნულის შესახებ, სასამართლო საქმეში *Roquette Frères II*²¹ განმარტავს:

II (...) დასაბუთების მოვალეობის დარღვევა

23. მომჩივანი საბჭოს ადანაშაულებს, რომ (...) დადგენილებების უკუქმედება არ არის განმარტებული და რომ ამით ხელშეკრულების 190-ე მუხლი დაირღვა.

24. სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, ხელშეკრულების 190-ე მუხლით მოთხოვნილი დასაბუთება უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტული სამართლებრივი აქტის სამართლებრივ ბუნებას. გაერთიანების დაწესებულების მიერ გამოცემულ სადავო სამართლებრივ აქტი ნათლად და ერთმნიშვნელოვნად უნდა შეიცნობოდეს მისი მოსაზრებები, ისე, რომ შესაბამის პირებს შეეძლოთ მიღებული ღონისძიების საფუძვლების გაგება და სასამართლოს შეეძლოს თავისი კონტროლის განხორციელება. რაც შეეხება ერთეულების მიმართ არსებულ ღონისძიებებს აღნიშნულთან მიმართებით, სასამართლოს დამოკიდებულება ასეთია:

საქმე *Tradax Graanhandel*²²:

საქმის ფაბულა: მომჩივანი სადავოდ ხდის იმას, რომ კომისიამ, მიუხედავად მომჩივნის წერილობითი მოთხოვნისა, არ გადასცა მას ის დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც კომისიამ სიმინდის იმპორტის გადასახადები დაადგინა.

18. ბოლოს, რაც ადმინისტრირების კანონშესაბამისობისა და სამართლებრივი დაცვის გარანტიის პრინციპებს შეეხება, 1965 წლის პირველი დეკემბრის 16/65 საქმეზე მიღებული განაჩენიდან, რომელსაც მომჩივანი ეყრდნობა, არ გამომდინარეობს, რომ კომისიის ზოგადი ვალდებულებაა, გამოაქვეყნოს იმპორტზე გადასახადების გამოთვლები, რადგან იმაზე, თუ ზუსტად როგორ უნდა დასაბუთდეს სამართლებრივი აქტი თავისუფალი სასაზღვრო ფასების დადგენისას, სასამართლომ დაადგინა: ადმინისტრაციას „შეუძლია შემოიფარგლოს იმით, (...) რომ განზოგადებულად განსაზღვროს არსებითი ასპექტები, რომელსაც მათი ფაქტობრივი შეფასება ემყარება, ასევე განისაზღვროს ამ შეფასებისას შესაბამისი პროცედურა; ფაქტების შეტყობინება კი არ არის აუცილებელი“ (...).

3. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი

საქმე *Meroni*²³:

ხელშეკრულების მე-3 მუხლში ჩამოთვლილი მიზნები მოქმედებს არა მხოლოდ უმაღლესი დაწესებულებისათვის, არამედ, ზოგადად, „გაერთიანების ორგანოებისათვის (...), თითოეული მათგანისათვის მიკუთვნებული უფლებამოსილებების ფარგლებისა და საერთო ინტერესების შესაბამისად.“ ამ დებულებებიდან უნდა დავაკვნათ, რომ გაერთიანების ორგანიზატორული შემადგენლობისათვის დამახასიათებელი ხელისუფლების ბალანსი უმთავრესი გარანტიაა, განსაკუთრებით სანარმოებისა და სანარმოთა გაერთიანებების სასარგებლოდ, რომელთა მიმართაც ხელშეკრულება გამოიყენება.

²¹ Judgment of the Court (Second Chamber) of 30 September 1982; SA Roquette Frères v Council of the European Communities; Isoglucose; Case 110/81; European Court reports 1982 Page 03159.

²² Judgment of the Court (First Chamber) of 15 March 1984; Tradax Graanhandel BV v Commission of the European Communities; Cif prices for cereals; Case 64/82; European Court reports 1984 Page 01359.

²³ Judgment of the Court of 13 June 1958; Meroni & Co., Industrie Metallurgiche, SpA v High Authority of the European Coal and Steel Community; Case 9-56; European Court reports; English special edition Page 00133.

საქმე *European Parliament v. Council*²⁴:

23. ხელშეკრულებების მიხედვით, სასამართლო ვალდებულია, თვალყური ადევნოს სამართლის დაცვას მისი განმარტებისა და გამოყენებისას. აქედან გამომდინარე, მას უნდა შეეძლოს ინსტიტუციური ბალანსის შენარჩუნება და პარლამენტის ამ მიზნით მოწვევისას უზრუნველყოს (მისი) პარლამენტის უფლებამოსილებების დაცვაზე სასამართლო კონტროლი ისეთი სამართლებრივი საშუალებით, რომელიც მას თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას მისცემს.

24. ამ ამოცანის შესრულებისას ევროპულმა სასამართლომ პარლამენტი, მართალია, არ უნდა ჩათვალოს ორგანოდ, რომელსაც ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 173-ე მუხლის (ცვლილების შემდეგ ევროპული გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 230-ე მუხლის) ან ევროპული ატომური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 146-ე მუხლის მიხედვით სარჩელის აღძვრის უფლება აქვს, ისე, რომ არ დაადასტუროს სამართლებრივი დაცვის აუცილებლობა.

25. თუმცა მას აკისრია ვალდებულება, ინსტიტუციური ბალანსის შესახებ ხელშეკრულების დებულებების სრული მოქმედება უზრუნველყოს და იზრუნოს იმაზე, რომ არ მოხდეს პარლამენტის, ისევე როგორც სხვა ორგანოების, უფლებამოსილებების შელახვა, ასევე მაშინაც, თუ მათ არ ექნებათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაჩივრების შესაძლებლობები, რომლებითაც მათ მყარად და ეფექტურად შეუძლიათ ისარგებლონ.

26. ხელშეკრულებებში არარსებობა დებულებისა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს პარლამენტის უფლებას – წარადგინოს საჩივარი ქმედების ბათილად გამოცხადების შესახებ, პროცედურულ-სამართლებრივ ხარვეზად უნდა გამოცხადდეს, თუმცა ეს არ უნდა აჭარბებდეს ევროპული გაერთიანებების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულებებით დადგენილი ინსტიტუციური ბალანსის შენარჩუნებისა და დაცვის უმთავრეს ინტერესს.

27. შესაბამისად, პარლამენტს შეუძლია, სასამართლოში აღძვრას სარჩელი საბჭოს ან კომისიის ქმედების ბათილად ცნობის შესახებ, თუ ეს საჩივარი თავისი უფლებამოსილებების დაცვისკენაა მიმართული და საჩივრის მხოლოდ იმ საფუძვლებს დაეყრდნობა, რომლებშიც ამ უფლებამოსილებების დარღვევაზე იქნება მითითებული.

III. კომპეტენციები

1. შეზღუდული უფლებამოსილების პრინციპი

შეზღუდული უფლებამოსილების პრინციპი, რომელიც ევროპის გაერთიანებას განასხვავებს სახელმწიფოებისაგან, გამოიხატება იმით, რომ გაერთიანებას არ გააჩნია კომპეტენცია, განსაზღვროს თავისი კომპეტენციები (კომპეტენცია კომპეტენციაზე). მას აქვს ის უფლებამოსილებები, რომლებიც ხელშეკრულებით არის მისთვის გათვალისწინებული და რომელიც მას წევრმა სახელმწიფოებმა საკუთარი სუვერენული უფლებების შეზღუდვის ხარჯზე გადასცეს.

²⁴ Judgment of the Court of 4 October 1991; *European Parliament v Council of the European Communities*; *Radioactive contamination of foodstuffs*; Case C-70/88; *European Court reports 1991 Page I-04529.*

დასკვნა. *European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms*²⁵;

საქმის ფაბულა: საკითხი შეეხებოდა ევროპული გაერთიანების ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპულ კონვენციასთან მიერთებას.

23. ხელშეკრულების მე-3 ბ მუხლის მიხედვით, გაერთიანება მოქმედებს ამ ხელშეკრულებით მისთვის გადაცემული უფლებამოსილებებისა და მიზნების ფარგლებში; მას, აქედან გამომდინარე, მხოლოდ შეზღუდული უფლებამოსილებები აქვს.

24. შეზღუდული უფლებამოსილების პრინციპი მოქმედებს გაერთიანების როგორც შიდა, ისე საერთაშორისო სამართლებრივი ქმედების მიმართ.

ხელშეკრულებაში ნათლადაა მითითებული, რომ გაერთიანებას, რათა მან იმოქმედოს საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში, ხელშეკრულებაში მითითებული უნდა ჰქონდეს მიზანი და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედების უფლებამოსილება. გაერთიანების მიზნები ჩამოყალიბებულია ხელშეკრულების შესავალ დებულებებში.

ევროპული კავშირის ხელშეკრულებაში საუბარია „ევროპის ხალხების უფრო და უფრო მჭიდრო კავშირის (იდეის) განხორციელებაზე“ (პირველი მუხლი, მე-2 აბზაცი). იმ შემთხვევაში, თუ ამ იდეას ავიღებთ ევროპული კავშირის უფლებამოსილებების განსაზღვრის ამოსავალ წერტილად, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ევროპული კავშირი არის ინტეგრაციული გაერთიანება, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ თანდათანობით დააახლოოს ევროპული ხალხები ერთმანეთთან და შექმნას ევროპულ ხალხთა მჭიდრო კავშირი. კავშირი, როგორც დროში ფუნქციურად მზარდი სუბიექტი, კონკრეტული განვითარების დონის მიხედვით ზრდის და ავითარებს თავისი მოქმედების არეალს.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო გაერთიანების კომპეტენციების ფართოდ განმარტების მეთოდს აქტიურად იყენებს, რაც არაერთმნიშვნელოვნად ხელს უწყობს გაერთიანების ინტეგრაციას.

საქმე *Casagrande*²⁶:

6. განათლების პოლიტიკა, როგორც ასეთი, მართალია, არ განეკუთვნება იმ „მატერიებს“, რომლებიც ხელშეკრულებამ გაერთიანების ორგანოთა კომპეტენციებს დაუქვემდებარა, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ გაერთიანებისთვის გადაცემული უფლებამოსილებების განხორციელება როგორმე უნდა შეიზღუდოს, მაშინ, როცა მათ ისეთ ღონისძიებებზე შეიძლება მოახდინონ ზეგავლენა, რომლებიც განათლების პოლიტიკის გატარებისათვის არის მიღებული. (...) მიუხედავად იმისა, რომ შიდასახელმწიფოებრივი სამართლით უფლებამოსილი ორგანოების საქმეა, დაადგინოს 1612/68 რეგულაციის მე-12 მუხლში დასახელებული პირობები, ისინი გამოიყენებიან ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე ადგილობრივი მუშახელის ბავშვებსა და სხვა წევრი სახელმწიფოს მუშახელის ბავშვებს შორის, რომლებიც პირველ სახელმწიფოში ცხოვრობენ. ამასთან, რადგან ხელშეკრულების 189-ე მუხლის თანახმად, რეგულაციები მოქმედებენ საყოველთაოდ, სავალდებულონი არიან თითოეულ ნაწილში და მოქმედებენ ყველა წევრ სახელმწიფოში უშუალოდ, მათი მოქმედება არ არის დამოკიდებული იმაზე, არის თუ არა შესაბამისი პირობები დადგენილი ცენტრალური ხელისუფლების, ფედერაციული

²⁵ Opinion of the Court of 28 March 1996; Accession by the Community to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms; Opinion 2/94; European Court reports 1996 Page I-01759.

²⁶ Judgment of the Court of 3 July 1974; Donato Casagrande v Landeshauptstadt München; Preliminary ruling requested by the Verwaltungsgericht München – Germany; Case 9-74; European Court reports 1974 Page 00773.

სახელმწიფოს შემადგენელი ერთეულის ორგანოებისა თუ სხვა ადგილობრივი დანესებულებებისა თუ ორგანოების სამართლებრივი ნორმებით, რომლებიც შიდასახელმწიფოებრივ სამართალს უთანაბრდება.

საქმე *Decker*²⁷:

საქმის ფაბულა: ლუქსემბურგის მოქალაქეს ლუქსემბურგელმა ექიმმა გამოუწერა სათვალე. მოქალაქემ იგი შეიძინა ბელგიაში და ლუქსემბურგის კომპეტენტურ დანესებულებაში მოითხოვა საფასურის ანაზღაურება. ანაზღაურებაზე მას უარი უთხრეს იმ მოტივით, რომ საზღვარგარეთ განუელი მომსახურება ანაზღაურდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ამისთვის წინასწარი ნებართვა ექნებოდა.

20. ლუქსემბურგის, ბელგიის, საფრანგეთისა და გაერთიანებული სამეფოს მთავრობა განმარტავს, რომ სადავო რეგულირება მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების შესახებ არ ექცევა ევროპული გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 30-ე მუხლის მოქმედების ფარგლებში, რადგან ის სოციალური უსაფრთხოების სფეროს ნაწილს შეეხება.

21. ევროპული სასამართლოს მუდმივი პრაქტიკის მიხედვით, გაერთიანების სამართალი არ ეხება წევრი სახელმწიფოების კომპეტენციას საკუთარი სოციალური უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბების სფეროში. (1984 წლის 17 ივნისის საქმე – C-238/82, *Duphar*, 1984 წლის კრებული, 523, მე-16 პუნქტი, და 1997 წლის 17 ივნისის საქმე – C-70/95, *Sodemare*, 1997 წლის კრებული, I-3395, 27-ე პუნქტი).

22. გაერთიანების დონეზე ვინაიდან არ არსებობს ერთიანი სტანდარტი, თითოეული წევრი სახელმწიფოს სამართალი ადგენს, თუ რა წინაპირობების დაცვით შეიძლება, ერთი მხრივ, გარკვეული სოციალური უსაფრთხოების სისტემასთან შეერთების უფლება ან ვალდებულება (1980 წლის 24 აპრილის საქმე – 110/79, *Coonan*, 1980 წლის კრებული, 1445, მე-12 პუნქტი და 1991 წლის 4 ოქტომბრის საქმე – C-349/87, *Parachi*, 1991 წლის კრებული, I-4501, მე-15 პუნქტი) და, მეორე მხრივ, მოთხოვნის უფლება მომსახურების განევაზე (1997 წლის 30 იანვრის საქმეების – C-4/95 და C-5/95, *Stober* – 1997 წლის კრებული, I-511, 36-ე პუნქტი).

23. თუმცა წევრმა სახელმწიფოებმა, როგორც ეს გენერალურმა ადვოკატმა თავისი დასკვნის მე-17 და 25-ე პუნქტებში განმარტა, ამ უფლებამოსილების განხორციელებისას პატივი უნდა სცენ გაერთიანების სამართალს.

24. ამგვარად, სოციალური უსაფრთხოების სფეროში წევრ სახელმწიფოთა ის ღონისძიებები, რომლებსაც შესაძლოა, ზეგავლენა ჰქონდეთ სამედიცინო პროდუქციის გასაღებასა და არაპირდაპირ მათი შემოტანის შესაძლებლობებზე, ექვემდებარებიან ევროპული გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების საქონლის თავისუფალი მოძრაობის თაობაზე დებულებებს (განაჩენი *Duphar*, 18).

25. ის, რომ სადავო რეგულირება სოციალური უსაფრთხოების სფეროს განეკუთვნება, არ გამოირიცხავს ევროპული გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 30-ე მუხლის გამოყენებას.

²⁷ Judgment of the Court of 28 April 1998; *Nicolas Decker v Caisse de maladie des employés privés*; Case C-120/95; European Court reports 1998 Page I-01831.

ა) სამართლებრივი საფუძვლის სწორად შერჩევა:

სწორად რომ განისაზღვროს, მაგალითად, არის თუ არა რომელიმე სამართლებრივი აქტის გამოცემა ევროპული გაერთიანების კომპეტენცია, აუცილებელია, სწორად შეირჩეს სამართლებრივი საფუძველი (უფლებამოსილება და მიზანი).

საქმე *თამბაქოს რეკლამის დირექტივა*²⁸:

საქმის ფაბულა: 1998 წლის 6 ივლისს ევროპულმა პარლამენტმა და საბჭომ გამოსცა დირექტივა 98/43/EG თამბაქოს ნაწარმის სასარგებლოდ რეკლამისა და დასპონსორების შესახებ წვერი სახელმწიფოების სამართლებრივი და ადმინისტრაციული ნორმების ჰარმონიზაციის მიზნით. დირექტივა ეყრდნობოდა ევროპული გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-100ა მუხლს, 57-ე მუხლის მე-2 აბზაცსა და 66-ე მუხლს. გერმანიამ მხარი არ დაუჭირა ამ დირექტივას და ბათილად ცნობის შესახებ სარჩელი აღძრა. საკითხი შეეხებოდა იმას, შედიოდა თუ არა დირექტივის გამოცემა, მე-100ა მუხლის შესაბამისად, ევროპული გაერთიანების უფლებამოსილებებში, როგორც კომპეტენცია შიდა ბაზარზე, რადგან მოსარჩელები აღნიშნავდნენ, რომ დირექტივა ჯანმრთელობის პოლიტიკის მიზნებს ისახავდა და რომ ევროპული გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 152-ე მუხლის მე-4 აბზაცის გ ქვეპუნქტი არაორაზროვნად გამოიციხავდა ჯანმრთელობის პოლიტიკის წარმოებას ევროპული გაერთიანების მიერ.

83. (...) ეს მუხლი (რომელიც საფუძვლად დაედო დირექტივის გამოცემას) თუ ისე არ განიმარტა, რომ ის გაერთიანების კანონმდებელს შიდა ბაზრის რეგულირების ზოგად კომპეტენციას ანიჭებს, წინააღმდეგობაში მოვიდოდა არა მხოლოდ ამ დასახელებული დებულების სიტყვასიტყვით მნიშვნელობასთან, არამედ შეუსაბამო იქნებოდა ასევე ევროპული გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-3 მუხლის ბ ქვეპუნქტში გადმოცემულ პრინციპთან, რომლის მიხედვით, გაერთიანების უფლებამოსილებები ეფუძნება ცალკეულ უფლებამოსილებებს.

84. მე-100ა მუხლის საფუძველზე გამოცემულ სამართლებრივ აქტს უნდა ჰქონდეს შიდა ბაზრის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების წინაპირობების გაუმჯობესების რეალური მიზანი. მე-100ა მუხლის სამართლებრივ საფუძვლად არჩევისათვის საკმარისი რომ ყოფილიყო მხოლოდ ეროვნულ ნორმებს შორის განსხვავებების აღმოჩენა და ძირითადი თავისუფლებებისათვის აბსტრაქტული საფრთხის ან აქედან წარმოშობილი კონკურენციის წესების შესაძლო დარღვევების გამოვლენა, სამართლებრივი

საფუძვლის შერჩევაზე სასამართლო კონტროლის განხორციელება ყოველგვარ ეფექტს დაკარგავდა. ამგვარად, სასამართლოს ხელი შეეშლებოდა ევროპული გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 164-ე მუხლით დაკისრებული ამოცანის შესრულებაში, უზრუნველყო ხელშეკრულების განმარტებისა და გამოყენებისას სამართლის დაცვა.

85. სასამართლომ მე-100ა მუხლის სამართლებრივ საფუძვლად შერჩევის გადასინჯვისას უნდა დაადგინოს, სადავო სამართლებრივი აქტი რეალურად ისახავდა თუ არა გაერთიანების კანონმდებლობის მიერ გადმოცემულ მიზნებს (შეადარეთ განსაკუთრებით განაჩენები: *ესპანეთი საბჭოს წინააღმდეგ*, 25-ე-41-ე პუნქტები და 1997 წლის 13 მაისის საქმე – C-233/94, *გერმანია პარლამენტისა და საბჭოს წინააღმდეგ*, მე-10-21-ე პუნქტები).

86. თუმცა შესაძლოა, მე-100ა მუხლი, როგორც ეს სასამართლომ საქმის –*ესპანეთი საბჭოს წინააღმდეგ* – განაჩენის 35-ე პუნქტში დაადგინა, განხილულ იქნეს სამართლებრივ საფუძვლად, თუ ის ეროვნული სამართლებრივი ნორმების ჰეტეროგენულად განვითარე-

²⁸ Judgment of the Court of 5 October 2000; Federal Republic of Germany v European Parliament; Case C-376/98.

ბის შედეგად ვაჭრობისათვის ახალი დაბრკოლებების წარმოშობას შეუშლიდა ხელს. ასეთი დაბრკოლებების წარმოშობა უნდა იყოს სავარაუდო, და გატარებული ღონისძიება ამ დაბრკოლებების წარმოშობის თავიდან აცილებას უნდა ისახავდეს მიზნად.

87. ზემოთ აღნიშნული საფუძვლები მოქმედებენ ასევე ევროპული გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 57-ე მუხლის მე-2 აბზაცისა და 66-ე მუხლის განმარტების შემთხვევაშიც, რომელიც ნათლად ითვალისწინებს მომსახურების სფეროსთან გამარტივებულად დაშვებისათვის გასატარებელ ღონისძიებებს. ასევე, ამ დებულებებით გაერთიანების კანონმდებელს ენიჭება კომპეტენცია, გაატაროს სპეციალურად შიდა ბაზრის ფუნქციონირების გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებები.

რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც რამდენიმე სამართლებრივი საფუძველი შეიძლება არსებობდეს გაერთიანების ამა თუ იმ ქმედებისათვის, სასამართლო საქმეში *British American Tobacco*²⁹ აღნიშნავს:

93. მუდმივი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, გაერთიანების კომპეტენციების სისტემის ფარგლებში სამართლებრივი აქტისათვის სამართლებრივი საფუძვლის არჩევა უნდა ეფუძნებოდეს სასამართლოს მიერ გადასინჯვად ობიექტურ გარემოებებს. ამ გარემოებებს მიეკუთვნება განსაკუთრებით სამართლებრივი აქტის მიზანი და შინაარსი (...)

94. თუ გაერთიანების სამართლებრივი აქტის გადასინჯვის შედეგად დგინდება, რომ მას ორი მიზანი ან ორი კომპონენტი აქვს, და ერთი აქედან უფრო არსებითი ან უპირატესია, მეორეს კი უფრო მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, მაშინ სამართლებრივი აქტი უნდა დაეყრდნოს მხოლოდ ერთ სამართლებრივ საფუძველს, კერძოდ იმას, რომელიც არსებით ან უპირატეს მიზანს ან კომპონენტს მოითხოვს (...). თუ ისეა, რომ სამართლებრივი აქტით ერთდროულად მიიღწევა რამდენიმე მიზანი, რომლებიც განუშორებლად ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ისე, რომ ერთი მეორესთან მიმართებით მეორეხარისხოვანი არ არის და არ აქვს უშუალო ხასიათი, მაშინ ასეთი სამართლებრივი აქტი, როგორც გამონაკლისი, შეიძლება დაეყრდნოს სხვადასხვა შესაბამის სამართლებრივ საფუძველს (...).

2. შევსების კომპეტენცია

საქმე *ზოგადი პრეფერენციული სისტემა*³⁰:

13. „სამართლებრივი აქტის სამართლებრივ საფუძვლად 235-ე მუხლზე დაყრდნობა, როგორც ეს თავად მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს, მხოლოდ მაშინაა გამართლებული, როდესაც არ არსებობს ხელშეკრულების სხვა დებულება, რომელიც გაერთიანების ორგანოებს სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის აუცილებელ უფლებამოსილებას ანიჭებს,,

დასკვნა. *European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms*³¹:

29. 235-ე მუხლმა უნდა შექმნას ბალანსი იმ შემთხვევებში, როდესაც გაერთიანების ორგა-

²⁹ Judgment of the Court of 10 December 2002; The Queen and Secretary of State for Health, ex parte: British American Tobacco (Investments) Ltd and Imperial Tobacco Ltd; Case C-491/01.

³⁰ Judgment of the Court of 26 March 1987; Commission of the European Communities v Council of the European Communities; Generalized tariff preferences - Action for annulment - Legal basis - Obligation to state reasons for Community measures; Case 45/86; European Court reports 1987 Page 01493.

³¹ იხ. 28-ე სქოლიო.

ნობს ხელშეკრულების სპეციფიკური დებულებებით მკაფიოდ ან ნაგულისხმევად მინიჭებული უფლებამოსილებები არ გააჩნიათ და, ამასთან, ეს უფლებამოსილებები აუცილებელია, რათა გაერთიანებამ საკუთარი ამოცანები ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად განახორციელოს.

30. როგორც შეზღუდული უფლებამოსილების პრინციპზე დაფუძნებული ინსტიტუციური წესრიგის შემადგენელი ნაწილი, არ შეიძლება ეს დებულება საფუძველს იძლეოდეს იმისას, რომ ზოგადი ჩარჩოების იქით გავრცელდეს გაერთიანების უფლებამოსილებათა სფერო, რომელიც ხელშეკრულების დებულებათა მთელი რიგიდან, და განსაკუთრებით იმ დებულებებიდან, გამომდინარეობს, რომლებიც გაერთიანების ამოცანებსა და საქმიანობას ადგენენ. ის ყოველი შემთხვევისთვის არ შეიძლება იყოს სამართლებრივი საფუძველი ისეთი დებულებების მისაღებად, რომლებიც, საქმის მიხედვით, მისი შედეგებიდან გამომდინარე, ხელშეკრულებით ამისათვის გათვალისწინებული პროცედურის დაცვის გარეშე, ხელშეკრულების ცვლილებამდე მიდის.
(...)

34. მართალია, ადამიანის უფლებების დაცვა გაერთიანების მოქმედების მართლზომიერების წინაპირობაა, მაგრამ კონვენციასთან მიერთებას შედეგად ადამიანის უფლებების დაცვის დღესდღეობით არსებული გაერთიანების სისტემის არსებითი ცვლილება მოჰყვებოდა, რადგან ამ კონვენციასთან მიერთება გამოიწვევდა საერთაშორისოსამართლებრივი, სხვაგვარად ინსტიტუციურულ სისტემაში გაერთიანების ჩართვას და კონვენციის მთელი დებულებების გადმოტანას გაერთიანების სამართლებრივ წესრიგში.

35. ადამიანის უფლებების დაცვის სისტემის ასეთი ცვლილება გაერთიანებაში, რომელსაც ექნებოდა არსებითი ინსტიტუციური ზემოქმედება როგორც გაერთიანებაზე, ისე წევრ სახელმწიფოებზე, საკონსტიტუციო სამართლებრივი განზომილებისა იქნებოდა და თავისი არსით გადააჭარბებდა 235-ე მუხლით დადგენილ საზღვრებს, რაც შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

36. აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ გაერთიანებას, გაერთიანების სამართლის არსებული მდგომარეობით, არ გააჩნია უფლებამოსილება, მიუერთდეს კონვენციას.

3. ნაგულისხმევი კომპეტენციები

ნაგულისხმევი კომპეტენციების თეორია განავითარა ევროპულმა სასამართლომ თავისი პრაქტიკიდან გამომდინარე. მასში ძირითადად მოიაზრება გაერთიანების საგარეო ურთიერთობების სფერო, და გულისხმობს პრინციპს, რომლის მიხედვითაც ის უფლებამოსილებები, რომლებიც გაერთიანებას შიდა დონეზე ხელშეკრულებით მინიჭებული აქვს, უნდა ჰქონდეს ასევე საგარეო ურთიერთობების წარმართვის დროსაც.

საქმე საერთაშორისო საგზაო მოძრაობაში მატარებლის ეკიპაჟის სამუშაოს შესახებ – ევროპული შეთანხმება³²:

საქმის ფაბულა: 1962 წელს სხვასთან ერთად, ასევე ევროპული ეკონომიკური გაერთიანების სახელმწიფოებს შორისაც დაიდო ევროპული შეთანხმება საერთაშორისო საგზაო მოძრაობაში დასაქმებული ეკიპაჟის მუშაობის შესახებ. რადგან საკმარისი

³² Judgment of the Court of 31 March 1971; Commission of the European Communities v Council of the European Communities.; European Agreement on Road Transport; Case 22-70; European Court reports 1971 Page 00263.

სარატიფიკაციო სიგელები არ იყო, 1967 წელს განმეორებით გაიმართა მოლაპარაკებები; ამის პარალელურად გაერთიანების დონეზე ანალოგიურ საკითხზე გამოვიდა რეგულაცია. საბჭოს დადგენილების თანახმად, წევრ სახელმწიფოებს უნდა მიეყვანათ მოლაპარაკებები ბოლომდე და სახელმწიფოებს შეთანხმებაზე უნდა მოეწერათ ხელი. საბჭოს დადგენილების საწინააღმდეგოდ კომისიამ საჩივარი შეიტანა სასამართლოში, იმ მოტივით, რომ მხოლოდ გაერთიანებას ჰქონდა აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერის კომპეტენცია.

12. რადგან ხელშეკრულება სატრანსპორტო პოლიტიკის სფეროში — საგზაო მოძრაობაში მატარებლის ეკიპაჟის სამუშაოს შესახებ შეთანხმება არსებითად ასეთ შეთანხმებაა - საერთაშორისო ხელშეკრულების გამომუშავებასა და დადებას განსაკუთრებული დებულებებით არ არეგულირებს, უნდა მივმართოთ გაერთიანების სამართლის ზოგად სისტემას მესამე სახელმწიფოებთან ურთიერთობის სფეროში.

13/14. 210-ე მუხლი ადგენს: „გაერთიანებას აქვს სამართალსუბიექტობა.“ ეს დებულება, რომელიც ხელშეკრულების „ზოგადი და დასკვნითი დებულებების“ შემცველ მეექვსე თავის დასაწყისშია, ნიშნავს, რომ გაერთიანებას საგარეო ურთიერთობებში შეუძლია, სახელშეკრულებო ურთიერთობები დაამყაროს მესამე სახელმწიფოებთან და რომ მას აქვს ხელშეკრულების პირველი თავის საერთო სფეროებში განერილი მიზნები, რომლებიც მეექვსე თავს ავსებენ.

15/19. კონკრეტულ შემთხვევაში გამოსაკვლევად, არის თუ არა გაერთიანება კომპეტენტური საერთაშორისო ხელშეკრულების დადებაში, ამ თვალსაზრისით უნდა მივმართოთ ხელშეკრულების სისტემასა და მატერიალურ დებულებებს. ასეთი კომპეტენცია შეიძლება გამომდინარეობდეს არა მარტო ხელშეკრულებით მკაფიოდ განსაზღვრულ (სფეროებში) (...), არამედ ასევე ხელშეკრულების სხვა დებულებებიდან და მის ფარგლებში გამოცემული გაერთიანების ორგანოების სამართლებრივი აქტებიდან. განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, რომლებშიც გაერთიანებამ გამოსცა ნორმები ხელშეკრულებით გათვალისწინებული საერთო პოლიტიკის განხორციელებისათვის, და რომლებიც ნებისმიერი ფორმით ითვალისწინებენ საერთოსამართლებრივ ნორმებს, არ აძლევს უფლებას არც ცალკე წევრ სახელმწიფოს და არც ერთად მოქმედ წევრ სახელმწიფოებს, აიღონ მესამე სახელმწიფოების წინაშე ისეთი ვალდებულებები, რომლებიც ამ ნორმებს ლახავენ. იმ მოცულობით, რა მოცულობითაც გაერთიანების სამართალშემოქმედება ვითარდება, მხოლოდ გაერთიანებას შეუძლია გაერთიანების სამართლებრივი წესრიგის მთელ სფეროში მოქმედებისათვის მესამე სახელმწიფოების წინაშე აიღოს და შეასრულოს ხელშეკრულებითი ვალდებულებები. გამომდინარე აქედან, ხელშეკრულების ნორმების აღსრულებისას შიდაგაერთიანების ღონისძიებებისათვის მოქმედი წესი არ შეიძლება საგარეო ურთიერთობებისაგან განცალკევებით იქნეს განხილული.

4. ევროკავშირის კომპეტენციები წევრი სახელმწიფოების კომპეტენციებთან მიმართებით

ა) სუბსიდიურობის პრინციპი

1977 წლის ოქმი სუბსიდიურობისა და პროპორციულობის პრინციპის გამოყენების შესახებ³³

3. სუბსიდიურობის პრინციპი კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს უფლებამოსილებებს, რომლებიც ევროპულ გაერთიანებას ხელშეკრულების საფუძველზე სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტების შესაბამისად აქვს. ხელშეკრულების მე-3 ბმუხლის მე-2 აბზაცში დასახელებული კრიტერიუმები მოქმედებს იმ სფეროებში, რომლებშიც გაერთიანებას განსაკუთრებული კომპეტენციები არ გააჩნია. სუბსიდიურობის პრინციპი არის ის ძირითადი მიმართულება, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული გაერთიანების დონეზე ეს უფლებამოსილებები. სუბსიდიურობა არის დინამიკური კონცეფცია და გამოყენებულ უნდა იქნეს ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მიზნების მიხედვით. სუბსიდიურობის პრინციპიდან გამომდინარე, გაერთიანების საქმიანობა მისი უფლებამოსილებების ფარგლებში შეიძლება გაფართოვდეს, როდესაც გარემოებები ამას მოითხოვენ, ასევე შეიზღუდოს ან საერთოდ შეწყდეს, როდესაც ის გაუმართლებელი ხდება.

(...)

5. გაერთიანების ღონისძიებები მხოლოდ მაშინაა გამართლებული, როდესაც სუბსიდიურობის პრინციპის ორივე პირობა შესრულებულია: შესაბამის ღონისძიებათა მიზნები საკმარისად ვერ მიიღწევა წევრი სახელმწიფოების ღონისძიებებით მათი საკონსტიტუციო წესრიგის ფარგლებში და, აქედან გამომდინარე, ამ მიზნების განხორციელება უფრო კარგად შესაძლებელია გაერთიანების ღონისძიებებით.

საკითხის განხილვისას, არის თუ არა დასახელებული წინაპირობა შესრულებული, საჭიროა გათვალისწინება შემდეგი ამოსავალი მომენტებისა:

- შესაბამის სფეროს აქვს ტრანსნაციონალური ასპექტები, რომელნიც წევრი სახელმწიფოების ღონისძიებებით საკმარისად ვერ მოწესრიგდება;
- გაერთიანების ღონისძიებები ხელშეკრულების მოთხოვნებთან წინააღმდეგობაში მოვიდოდნენ (მაგალითად, საკონკურენციო სამართლის წესების დარღვევის აღმოფხვრის, დაფარული სავაჭრო შეზღუდვების თავიდან აცილების ან ეკონომიკური და სოციალური თანამშრომლობის გაძლიერების მოთხოვნილება) ან სხვაგვარად წევრი სახელმწიფოების ინტერესები მნიშვნელოვნად შეილახებოდა;
- ღონისძიებებს გაერთიანების დონეზე მათი მოცულობის ან მათი მოქმედების გამო მნიშვნელოვანი უპირატესობები აქვთ წევრი სახელმწიფოების დონეზე მიღებულ ღონისძიებებთან შედარებით.

საქმე *გაერთიანებული სამეფო საბჭოს წინააღმდეგ*³⁴:

საქმის ფაბულა: დიდმა ბრიტანეთმა 93/104 ევროპული გაერთიანების დირექტივის ბათილად ცნობის შესახებ საჩივარი შეიტანა სასამართლოში. საბჭომ დირექტივა, რომელიც მუშახელის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებს შე-

³³ გაერთიანების ხელშეკრულებისა და კავშირის ხელშეკრულების ოქმები ამ ხელშეკრულებათა შემადგენელი ნაწილებია, ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 311-ე მუხლის მიხედვით.

³⁴ Judgment of the Court of 12 November 1996; United Kingdom of Great Britain and Northern Ireland v Council of the European Union; Case C-84/94; European Court reports 1996 Page I-05755.

ეხებოდა, მიიღო და გამოსცა ევროპული გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 118-ე ა მუხლის საფუძველზე. დიდი ბრიტანეთი აცხადებს, რომ გაერთიანება არ არის კომპეტენტური, მიიღოს აღნიშნული აქტი და ასევე განმარტავს, რომ ამ დირექტივის სამართლებრივი საფუძველი არასწორადაა შერჩეული.

46. გაერთიანებული სამეფო აცხადებს, რომ გაერთიანების კანონმდებელმა არც სრულყოფილად გადასინჯა და არც საკმარისად განსაჯა, რომ ამ სფეროს აქვს ტრანსნაციონალური ასპექტები, რომელნიც ეროვნული ღონისძიებებით შესაბამისად ვერ იქნებოდა მოწესრიგებული (...), რომ გაერთიანების ქმედებას თვალსაჩინო უპირატესობები ექნებოდა წევრი სახელმწიფოების დონეზე გატარებულ ქმედებასთან მიმართებით.

47. 118-ე ა მუხლი ავალდებულებს საბჭოს, მიიღოს მინიმალური რეგულირებები, რათა დასაქმებულის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის დონის ამაღლებაში ჰარმონიზაციის გზით შეიტანოს წვლილი. აღნიშნული ვალდებულება, 118-ე ა მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით, პირველ რიგში ეკისრებათ **წევრ სახელმწიფოებს**. მას შემდეგ, რაც საბჭომ დაადგინა, რომ დასაქმებულის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის არსებული დონე უნდა გაუმჯობესდეს და ამ სფეროში არსებული პირობები თანადროული პროგრესით ჰარმონიზებულ უნდა იქნეს, ამ მიზნების მიღწევა მინიმალური ნორმების დადგენის საშუალებით უცილობლად განაპირობებს გაერთიანების დონეზე გასატარებელ ქმედებას, რაც, როგორც სხვა, ისე ამ შემთხვევაში, წევრ სახელმწიფოებს დიდი მოცულობით გადააბარებს აუცილებელი აღმასრულებელი მეთოდების მოწესრიგების საკითხს (...).

საქმე *British American Tobacco*³⁵:

177. სუბსიდიურობის პრინციპი ასახულია ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-2 აბზაცში. ამ ნორმის მიხედვით, გაერთიანება იმოქმედებს მხოლოდ იმ სფეროებში, რომლებიც მის გამომრიცხავ უფლებამოსილებებში არ შედის, და რამდენადაც შესაბამის ღონისძიებათა მიზნების საკმარისად მიღწევა წევრი სახელმწიფოების დონეზე რთულია, იმდენად იოლია მათი მიღწევა გაერთიანების დონეზე, მათი მოცულობისა და მოქმედებების გამო.

178. „ევროპული გაერთიანების დაარსების შესახებ“ ხელშეკრულებაზე თანდართული „სუბსიდიურობისა და პროპორციულობის პრინციპების გამოყენების შესახებ ოქმის“ მე-3 აბზაცის მიხედვით, სუბსიდიურობის პრინციპი არ აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ იმ უფლებამოსილებას, რომელიც ევროპულ გაერთიანებას ხელშეკრულების საფუძველზე სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტების შესაბამისად აქვს.

179. სუბსიდიურობის პრინციპი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც გაერთიანების კანონმდებელი ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 95-ე მუხლს ეყრდნობა, რადგან ეს ნორმა მას არ ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას შიდა ბაზარზე ეკონომიკური საქმიანობის მოწესრიგებისათვის, არამედ იგი ანიჭებს მას მხოლოდ უფლებამოსილებას, გააუმჯობესოს ის პირობები, რომლებიც საჭიროა ამ ბაზრის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირებისათვის, საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილებისათვის, წარმოქმნილი დაბრკოლებებისა თუ საკონკურენციო წესების დარღვევების აღმოფხვრის გზით.

180. იმის გადასაწყვეტად, არის თუ არა დირექტივა სუბსიდიურობის პრინციპის შესაბამისად გამოშვებული, უპირველესად, უნდა გადაისინჯოს, შეიძლება თუ არა შესაბამისი ღონისძიების მიზნის უკეთ მიღწევა გაერთიანების დონეზე.

³⁵ იხ. 33-ე სქოლიო.

181. როგორც სასამართლომ ამ განაჩენის 124-ე პუნქტში დაადგინა, დირექტივის მიზანია იმ დაბრკოლებების აღმოფხვრა, რომლებსაც ნევრ სახელმწიფოში მოქმედ ნორმებს შორის არსებული განსხვავებები განაპირობებს. ამავდროულად, ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 95-ე მუხლის მე-3 აბზაცის შესაბამისად, მან უნდა უზრუნველყოს ჯანმრთელობის დაცვის მაღალი სტანდარტი.

182. ეს მიზანი სათანადოდ ვერ მიიღწევა მხოლოდ ნევრი სახელმწიფოს დონეზე გატარებული ღონისძიებით, ის მოითხოვს ღონისძიებას გაერთიანების დონეზე, როგორც ამაზე ამ შემთხვევაში ეროვნული სამართლებრივი ნორმების ჰეტეროგენული განვითარებაც მიუთითებს.

183. აქედან გამომდინარეობს, რომ შესაბამისი ღონისძიების მიზანი უკეთესად მიიღწევა გაერთიანების დონეზე დირექტივის მიღებით.

184. ამგვარად დგინდება, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში კომისიის მიერ მიღებული ღონისძიების მოცულობა, ასევე სუბსიდიურობის პრინციპის მოთხოვნები არ არის დარღვეული, რადგან ეს ღონისძიება, როგორც ამ განაჩენის 122-ე და 124-ე პუნქტებიდან გამომდინარეობს, მხოლოდ იმდენადაა საკმარისი, რამდენადაც იგი დასახული მიზნების განხორციელებისათვის არის აუცილებელი.

185. პირველი კითხვის „ე“ ქვეპუნქტის პასუხად ზემოაღნიშნული საფუძვლებიდან გამომდინარეობს, რომ დირექტივა სუბსიდიურობის პრინციპთან შეუსაბამობის გამო არ არის ბათილი.

საქმე *Chafiq Ayadi*³⁶:

106. ამდენად, გასათვალისწინებელია ის, რომ ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით, სუბსიდიურობის პრინციპი მოქმედებს მაშინ, როდესაც გაერთიანება მხოლოდ იმ სფეროებში მოქმედებს, რომლებიც არ შედიან მის განსაკუთრებულ კომპეტენციებში, (გაერთიანება მოქმედებს) იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც შესაბამისი ღონისძიების მიზნები ნევრი სახელმწიფოების დონეზე არასაკმარისად მიიღწევა, გაერთიანების დონეზე კი უკეთესად შეიძლება განხორციელდეს მისი მოცულობის ან მოქმედების გათვალისწინებით.

107. მუდმივი პრაქტიკის საფუძველზე გაერთიანების მოსამართლე გაერთიანების სამართლებრივ აქტებს გადაამოწმებს ამ ზოგადი პრინციპის გათვალისწინებით (იხილეთ ამ საკითხზე სასამართლოს 2002 წლის 10 დეკემბრის განაჩენი საქმეზე – C-491/01, *British American Tobacco (Investments) and Imperial Tobacco*, კრებული, 2002, I-11453, 177-იდან 185-ამდე პუნქტები, და 2005 წლის 14 აპრილის განაჩენი საქმეზე – C-110/03, *ბელგია კომისიის წინააღმდეგ*, კრებული, 2005, I-2801, 58-ე პუნქტი; 2003 წლის 23 ოქტომბრის სასამართლოს განაჩენი T-65/98, *Van den Berg Fuds v Commission*, 2003 წლის კრებული, II-4653, 197-ე და 198-ე პუნქტები).

108. თუმცა სასამართლოს აზრით ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების მე-60 და 301-ე მუხლების მოქმედების სფეროში ეს ზოგადი პრინციპი იმ შემთხვევაშიც კი არ უნდა გამოიყენებოდეს, თუ ეს დებულებები არ გაითვალისწინებდნენ განსაკუთრებულ კომპეტენციას (ამასთან დაკავშირებით იხ. მე-60 მუხლის მე-2 აბზაცი).

109. რადგან ეს ნორმები მესამე სახელმწიფოებთან ეკონომიკური ურთიერთობების შეჩერებასთან ან შეზღუდვასთან დაკავშირებით ითვალისწინებენ გაერთიანების მხრი-

³⁶ Judgment of the Court of First Instance of 12 July 2006; Case T-253/02; *Chafiq Ayadi v Council of the European Union*.

დან მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, რომელშიც ეს „აუცილებლად იქნა მიჩნეული“ საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შესახებ ევროპული კავშირის ხელშეკრულების დებულებების მიხედვით მიღებულ საერთო პოზიციაში ან საერთო მოქმედებაში.

110. ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების მე-60 და 301-ე მუხლების გამოყენების სფეროში ევროპული გაერთიანების ხელშეკრულება კავშირს ანიჭებს უფლებამოსილებას, მიიღოს გადაწყვეტილება გაერთიანების საქმიანობის აუცილებლობაზე. ასეთი გადაწყვეტილება არის კავშირის უფლებამოსილების განხორციელების ნაწილი. ის გამორიცხავს, რომ ერთეულებმა ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-2 აბზაცში გათვალისწინებული სუბსიდიურობის პრინციპით კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ისეთი საქმიანობის მართლზომიერება, რომელსაც გაერთიანება საერთო პოზიციის ან საერთო მოქმედების მიხედვით კავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში ახორციელებს.

მეორე ნაწილი

ევროკავშირის სამართალი და მისი მოქმედება

I. ევროკავშირის სამართლის მოქმედება

ევროკავშირის სამართალი განსხვავდება არსებული საერთაშორისო სამართლებრივი სისტემებისაგან თავისი ზენაციონალობით. მასში მოიაზრება: სამართლის უშუალო მოქმედება წევრ სახელმწიფოებში, მისი უპირატესობა წევრი სახელმწიფოების სამართალთან მიმართებით, ვალდებულება – განიმარტოს შიდასახელმწიფოებრივი სამართალი ევროკავშირის სამართლის შესაბამისად და წევრი სახელმწიფოების პასუხისმგებლობის დაყენება მათ მიერ ევროკავშირის სამართლის დარღვევისას.

1. ევროკავშირის სამართლის უშუალო მოქმედება:

სამართლის უშუალო მოქმედების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი განაჩენია საქმეზე *van Gend & Loos*³⁷:

საქმის ფაბულა: ნიდერლანდურმა სატრანსპორტო ფირმამ *van Gend & Loos*-მა 1960 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან ნიდერლანდებში შეიტანა ქიმიური ნივთიერებები. 1960 წლის პირველ მარტს საბაჟო ტარიფის ახალი რეგულირების საფუძველზე ნიდერლანდების საფინანსო სამსახურმა მას იმპორტისათვის 8% ბაჟი გადაახდევინა. მას შემდეგ, რაც ფირმამ უშედეგოდ იჩივლა ამ გადასახადის არამართლზომიერების საფუძველზე, მან მიმართა ნიდერლანდების ადმინისტრაციულ სასამართლოს. საჩივარი საბუთდებოდა, სხვასთან ერთად, იმით, რომ ნიდერლანდების სამეფოს მთავრობამ ბაჟი გაზარდა სამიდან რვა პროცენტამდე (ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების ძალაში შესვლის დროს ბაჟი საქონლის ღირებულების სამ პროცენტს შეადგენდა). ადმინისტრაციულმა სასამართლომ ევროპული სასამართლოს მიმართ ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 177-ე მუხ-

³⁷ Judgment of the Court of 5 February 1963; NV Algemene Transport- en Expeditie Onderneming van Gend & Loos v Netherlands Inland Revenue Administration; Case 26-62; European Court reports English special edition Page 00001.

ლის ფარგლებში და დაუსვა კითხვა – მოქმედებდა თუ არა ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-12 მუხლი ეროვნული სამართლებრივი წესრიგის ფარგლებში და შესაძლებელი იყო თუ არა ერთეულთა უფლებების უშუალოდ ამ მუხლიდან წარმოშობა, ისე, რომ ისინი ეროვნულ მოსამართლეებს გაეთვალისწინებინათ.

7. სატარიფო კომისია პირველ რიგში სვამს კითხვას, მოქმედებს თუ არა მე-12 მუხლი შიდასახელმწიფოებრივ სამართალში უშუალოდ იმგვარად, რომ ერთეულებს ამ მუხლიდან წარმოეშვათ უფლებები, რომლებიც ეროვნულმა მოსამართლეებმა უნდა გაითვალისწინონ.

8. აქვს თუ არა საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულების დებულებებს ასეთი მოქმედების არეალი, უნდა გადაწყდეს ამ დებულებათა არსის, სისტემატიკისა და შინაარსის მიხედვით.

9. ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მიზანია საერთო ბაზრის შექმნა, რომლის ფუნქციონირება უშუალოდ შეეხება გაერთიანებას მიკუთვნებულ ცალკეულ პირებს; ამით ასევე ნათქვამია, რომ ეს ხელშეკრულება უფრო მეტია, ვიდრე, უბრალოდ, შეთანხმება, რომელიც მხოლოდ ურთიერთვალდებულებებს ამკვიდრებს ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს შორის. ეს აზრი დასტურდება ხელშეკრულების პრეამბულით, რომელიც მიმართავს არა მარტო მთავრობებს, არამედ ხალხებსაც. ის კიდევ უფრო თვალნათლივ დასტურდება ასევე ისეთი ორგანოების შექმნით, რომელთაც გადაცემული აქვთ სუვერენული უფლებები, რომელთა განხორციელებაც თანაბრად შეეხება როგორც წევრ სახელმწიფოებს ასევე მოქალაქეებს. გასათვალისწინებელია ასევე ის, რომ გაერთიანებაში შემავალი სახელმწიფოების მოქალაქეები მონოდებულნი არიან, ევროპული პარლამენტისა და ეკონომიკური და სოციალური კომიტეტების საშუალებით გაერთიანების ფუნქციონირებაში შეიტანონ წვლილი. ასევე 177-ე მუხლის ფარგლებში სასამართლოსათვის დაკისრებული ვალდებულება, უზრუნველყოს ხელშეკრულების ერთიანი განმარტება ეროვნული სასამართლოების მიერ, ამტკიცებს, რომ სახელმწიფოებისათვის ამოსავალი იყო, მოქალაქეებს შესძლებოდათ გაერთიანების სამართალზე დაყრდნობით მიემართათ ეროვნული სასამართლოებისათვის.

10. აღნიშნულიდან უნდა დავასკვნათ, რომ გაერთიანება საერთაშორისო სამართლის ახალი სამართლებრივი წესრიგია, რომლის სასარგებლოდაც სახელმწიფოებმა, თუნდაც გარკვეულ ფარგლებში, სუვერენული უფლება შეიზღუდეს. სამართლებრივ წესრიგს, რომლის სამართლებრივი სუბიექტები არა მარტო წევრი სახელმწიფოები, არამედ ერთეულებიც არიან, წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობებისაგან დამოუკიდებელმა გაერთიანების სამართალმა, აქედან გამომდინარე, ერთეულებს უნდა დააკისროს როგორც ვალდებულებები ისე უფლებები. ასეთი უფლებები წარმოიშობა არა მხოლოდ მაშინ, როცა ხელშეკრულება ამას ნათლად გამოხატავს, არამედ იმ ერთმნიშვნელოვანი ვალდებულებების საფუძველზეც, რომლებსაც ხელშეკრულება ერთეულებს, ისევე როგორც წევრ სახელმწიფოებსა და გაერთიანების ორგანოებს, აკისრებს.

11. ბაჟისა და თანაბარი მოქმედების გადასახადების სფეროში ხელშეკრულების სისტემატიკასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მე-9 მუხლი, რომლის მიხედვითაც გაერთიანების საფუძველი არის საბაჟო კავშირი, როგორც არსებითი ნორმა, კრძალავს ბაჟისა და თანაბარი მოქმედების გადასახადებს. ეს დებულება აისახება ხელშეკრულების შესავალ ნაწილში, რომელიც „გაერთიანების საფუძველებს“ აღწერს; ის გამოიყენება და განიმარტება მე-12 მუხლში.

12. მე-12 მუხლი შეიცავს ნათელ და შეუზღუდავ აკრძალვას, ვალდებულებას, არა მოქმედების, არამედ უმოქმედობისას. ეს ვალდებულება, გარდა ამისა, ასევე არ შემოიფარგლება სახელმწიფოების დათქმით, რომლის შესრულებაც დაექვემდებარებოდა რომელიმე შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ აქტს. მე-12 მუხლის აკრძალვა, მისი არსიდან გამომდინარე, უპირატესად გამოსადეგია იმისათვის, რომ უშუალოდ იმოქმედოს წევრ სახელმწიფოებსა და მის სამართალს დაქვემდებარებული ერთეულების სამართლებრივ ურთიერთობებში.

13. მე-12 მუხლის აღსრულება არ საჭიროებს გარკვეულ ჩარევას სახელმწიფო კანონმდებლის მხრიდან. გარემოება, რომ ეს მუხლი წევრ სახელმწიფოებს უმოქმედობის ვალდებულების ადრესატებად ასახელებს, არ გამორიცხავს, რომ ეს ვალდებულება ერთეულთა უფლებებს შეეხება.

14. მითითება სამი მთავრობისა, რომლებმაც სასამართლოში წერილობითი განმარტებები წარადგინეს ხელშეკრულების 169-ე და 170-ე მუხლებთან მიმართებით, არასწორია. თუ ხელშეკრულება დასახელებულ მუხლებში კომისიასა და წევრ სახელმწიფოებს შესაძლებლობას აძლევს, მოიწვიონ სასამართლო იმ შემთხვევაში, თუ ერთი სახელმწიფო თავის ვალდებულებებს არ ასრულებს, არ ნიშნავს იმას, რომ ერთეულებისათვის შეუძლებელია, შესაბამის შემთხვევაში ეროვნული მოსამართლეებისაგან ამავე ვალდებულების განხორციელება მოითხოვონ. ისევე როგორც ის ფაქტი, რომ ხელშეკრულება კომისიას აძლევს საშუალებას, უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, არ გამორიცხავს შესაძლებლობას, ეროვნული სასამართლოების წინაშე კერძო პირთა შორის სასამართლო პროცესებში ამ ვალდებულებების დარღვევაზე აღძრან სარჩელი.

15. იმ შემთხვევაში, თუ წევრი სახელმწიფოების მიერ მე-12 მუხლის დარღვევის საწინააღმდეგო გარანტიები მხოლოდ 169-ე და 170-ე მუხლებით გათვალისწინებული პროცედურებით შემოიფარგლებოდა, მაშინ ერთეულების ინდივიდუალური უფლებების ყოველი უშუალო სასამართლო გზით დაცვა გამორიცხული იქნებოდა. ამ დებულებების გამოყენება, ამასთან, იქნებოდა არაეფექტური, თუ ეს ხელშეკრულების დებულებების დაცვის გარეშე გამოცემული სახელმწიფო გადაწყვეტილების აღსრულების შემდეგ მოხდებოდა. საკუთარი უფლებების დაცვით დაინტერესებული ერთეულების აქტიურობა ეფექტური კონტროლია, რომელიც ავსებს 169-ე და 170-ე მუხლების საფუძველზე კომისიისა და წევრი სახელმწიფოების მიერ განსახორციელებელ კონტროლს.

16. როგორც ზემოაღნიშნული საფუძვლებიდან გამომდინარეობს, ხელშეკრულების არსის, სისტემატიკისა და შინაარსის გათვალისწინებით, მე-12 მუხლი ისე უნდა განიმარტოს, რომ ის უშუალოდ მოქმედებს და წარმოშობს ინდივიდუალურ უფლებებს, რომლებიც სახელმწიფო სასამართლოებმა უნდა დაიცვან. (...)

საქმე *Simmenthal SpA*³⁸:

უშუალო მოქმედება ამ თვალსაწიერიდან ნიშნავს, რომ გაერთიანების სამართლის დებულებებმა მათი ძალაში შესვლიდან და მათი ძალაში ყოფნის მთელ დროს სრულად და ერთიანად უნდა იმოქმედონ ყველა წევრ სახელმწიფოში. ეს დებულებები ამით ყველა იმათი უფლებებისა და მოვალეობების უშუალო წყაროა, რომლებსაც ისინი შეეხებიან, მიუხედავად იმისა, არიან ესენი წევრი სახელმწიფოები თუ ერთეულები, რომლებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ, რომლებიც გაერთიანების სამართალს ექვემდებარებიან. ეს მოქმედება ვრცელდება ასევე ნებისმიერ სასამართლოზე, რომელიც

³⁸ Judgment of the Court of 9 March 1978; Amministrazione delle Finanze dello Stato v Simmenthal SpA; Case 106/77; European Court reports 1978 Page 00629.

მონვეულია კომპეტენციის მიხედვით და, როგორც წევრ სახელმწიფოს, ორგანოს აქვს ამოცანა, დაიცვას უფლებები, რომელთაც გაერთიანების სამართალი ერთეულებს ანიჭებს.

საქმე *Ariete Spz*³⁹:

12. 1976 წლის 16 დეკემბრის განაჩენების მიხედვით (Rewe and Comet, საქმეები 33 და 45/76, კრებული, 1976, 1989 ან 2043), ამოცანა, უზრუნველყოს სამართლის დაცვა, რომელიც გამომდინარეობს გაერთიანების სამართლის ერთეულების მიმართ უშუალო მოქმედებიდან, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-5 მუხლში გამოთქმული თანამშრომლობის ვალდებულების პრინციპის შესაბამისად, ეკისრებათ შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოებს. გაერთიანების სამართლის ახლანდელი მდგომარეობით, გაერთიანების სამართლებრივი ნორმის არარსებობის შემთხვევაში დავის სფეროში ან არაკეთილსინდისიერად მოპოვებული თუ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე აკრეფილი ცალკეული გადასახადების სფეროში კომპეტენტური სასამართლოებისა და სასამართლო პროცედურის დადგენა, რამაც უნდა უზრუნველყოს ერთეულების გაერთიანების სამართლის უშუალო მოქმედებიდან გამომდინარე უფლებების დაცვა, შესაბამისი წევრი სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლის საქმეა. ამასთან, ეს დებულებები არ უნდა ჩამოუვარდებოდეს შიდასახელმწიფოებრივ სამართალთან დაკავშირებულ შესაბამის საჩივრებს. არავითარ შემთხვევაში მათ არ უნდა გახადონ ამ უფლებების განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელი, რომელთა დაცვაც ცალკეულ ეროვნულ სასამართლოებს ევალებათ.

ა) ევროკავშირის სამართლის უშუალო მოქმედების წინაპირობები

საქმე *Firma Molkerei-Zentrale*⁴⁰:

ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 95-ე მუხლის პირველი აბზაცის მოქმედების შესახებ (პირველი და მეხუთე შეკითხვები).

1. პირველი კითხვის პირველი ნაწილი შეეხება იმას, „ევროპული სასამართლო (...) ემყარება თუ არა თავის 1966 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებას 57/65 საქმეში გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 95-ე მუხლის პირველი აბზაცი უშუალოდ მოქმედებს და ერთეულების ინდივიდუალურ უფლებებს წარმოშობს, რომლებიც ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა დაიცვან.“

2. შეკითხვის მეორე ნაწილით მომმართავ სასამართლოს აინტერესებს, (...) სხვა სიტყვებით: არის თუ არა ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 95-ე მუხლის მე-3 აბზაცით წევრი სახელმწიფოების საკანონმდებლო სუვერენიტეტი ასევე შიდა გადასახადების სფეროში შელახული.

ა. ევროპული სასამართლოს მიერ დასახელებულ განაჩენში მოცემული განმარტების საპირისპიროდ ფედერალური საფინანსო სასამართლო გამოთქვამს აზრს, რომ მას ხელშეკრულების 95-ე მუხლში არანაირი დასაყრდენი არ აქვს.
(...)

³⁹ Judgment of the Court (Third Chamber) of 10 July 1980; Amministrazione delle finanze dello Stato v Ariete SpA.; Case 811/79; European Court reports 1980 Page 02545.

⁴⁰ Judgment of the Court of 3 April 1968; Firma Molkerei-Zentrale Westfalen/Lippe GmbH v Hauptzollamt Paderborn; Case 28-67; European Court reports English special edition Page 00143.

ამ საპასუხო არგუმენტის გადასინჯვისას როგორც ამ ნორმის შინაარსს, ასევე ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების არსს უნდა დავეყრდნოთ. ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მიზანია საერთო ბაზრის შექმნა, რომლის ფუნქციონირება უშუალოდ შეეხება გაერთიანების ერთეულებს. ამით ამავედროულად ნათქვამია, რომ ეს ხელშეკრულება უფრო მეტია, ვიდრე შეთანხმება, რომელიც მხოლოდ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის ურთიერთსანაცვლო ვალდებულებებს წარმოშობს; გაერთიანება ასახავს ახალ სამართლებრივ წესრიგს, რომლის სასარგებლოდაც სახელმწიფოებმა, თუნდაც გარკვეულ ფარგლებში, საკუთარი სუვერენული უფლებები შეიზღუდეს, სამართლებრივ წესრიგს, რომლის სამართლებრივი სუბიექტები არა მარტო წევრი სახელმწიფოები, არამედ ერთეულებიც არიან. წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობისაგან დამოუკიდებელმა გაერთიანების სამართალმა უნდა მიანიშნოს ერთეულებს, რომ მათ არა მარტო ვალდებულებებს აკისრებს, არამედ უფლებებსაც ანიჭებს. ასეთი უფლებები წარმოიშობა არა მარტო მაშინ, როცა ხელშეკრულება ამას თვალნათლივ განსაზღვრავს, არამედ ერთმნიშვნელოვანი ვალდებულებების საფუძველზე, რომელთაც ხელშეკრულება ერთეულებს, ისევე როგორც წევრ სახელმწიფოებსა და გაერთიანების ორგანოებს, აკისრებს. ამასთან, აუცილებელია, და თან საკმარისიც, რომ ხელშეკრულების ნორმები, რომელთაგანაც ასეთი უფლებები გამომდინარეობს, თავისი არსით გამოდგეს წევრ სახელმწიფოებსა და მის სამართალს დაქვემდებარებულ ერთეულებს შორის სამართლებრივ ურთიერთობებში უშუალო მოქმედებისთვის.

95-ე მუხლის პირველი აბზაცი შეიცავს დისკრიმინაციის აკრძალვას, რომელიც ნათელ და უპირობო ვალდებულებას ადგენს. ეს ვალდებულება არაა რაიმე პირობაზე მიბმული; ის არ საჭიროებს განხორციელებისა თუ ნამდვილობისათვის არანაირ შემდგომ ღონისძიებებს გაერთიანების ორგანოებისა თუ წევრი სახელმწიფოების მხრიდან. აკრძალვითი ნორმა, აქედან გამომდინარე, არის სრული, სამართლებრივად სრულყოფილი და შესაბამისად გამოსადეგი, რათა უშუალოდ იმოქმედოს წევრ სახელმწიფოებსა და მის სამართალს დაქვემდებარებულ პირებს შორის სამართლებრივ ურთიერთობებში. ის, რომ 95-ე მუხლის პირველი აბზაცი წევრ სახელმწიფოებს დისკრიმინაციის აკრძალვის ადრესატებად მოიხსენიებს, არ ნიშნავს, ამ აკრძალვის გამოყენება უშუალოდ ერთეულების სასარგებლოდ არ შეიძლებოდეს.

(...)

დარღვევა უფლებებისა, რომლებსაც გაერთიანების სამართლებრივი ნორმა ერთეულებს ანიჭებს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამართლებრივი საშუალებების დაურღვევლად შესაძლებელია გასაჩივრდეს ეროვნულ სასამართლოებში. ეს საჩივრები არ შეიძლება გაუთანაბრდეს 95-ე და 97-ე, 155-ე და 169-ე მუხლებთან კავშირში არსებულ უფლებამოსილებებს, რომლებიც გაერთიანების ორგანოებს აქვთ. ერთეულების საჩივარი მიზნად ისახავს ინდივიდუალური უფლებების დაცვას კონკრეტულ შემთხვევაში, ამის საპირისპიროდ გაერთიანების ორგანოების ჩარევის მიზანია გაერთიანების სამართლის საყოველთაო და ერთიანი დაცვა. დაცვა, რომელსაც ხელშეკრულების სისტემა ერთეულებს მათი ინდივიდუალური უფლებების დარღვევისას ანიჭებს, და გაერთიანების ორგანოებისათვის განკუთვნილი უფლებამოსილებები, აიძულონ წევრი სახელმწიფოები, დაიცვან ხელშეკრულების მიზნები, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან საგნით, მიზნებითა და მოქმედებით და ერთმანეთს არ უნდა შევადაროთ.

(...)

ეს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე მსჯელობა ვერ გამოიყენება ხელშეკრულებით შექმნილი სამართლებრივი ნორმების მიმართ. ხელშეკრულების ძირითადი პრინციპებისა და მიზნების, რომელთაც ხელშეკრულების

დებულებები უნდა ემსახურებოდნენ, და, მათი გამოსადეგობის მიხედვით, აღნიშნული დებულებები ხდება შიდასახელმწიფოებრივი სამართლის შემადგენელი ნაწილი ისე, რომ ამისათვის სახელმწიფოებრივი ღონისძიებები საჭირო არ არის. ნევრ სახელმწიფოში წარმოშობილ სიძნელეებს არ შეუძლია გაერთიანების სამართლის უშუალოდ მოქმედი ნორმის სამართლებრივი ბუნების შეცვლა, თუ ასეთი წარმოიშობა; ეს მით უფრო, რომ გაერთიანების სამართალი ნებისმიერ ნევრ სახელმწიფოში თანაბრად მოქმედებს. რაც შეეხება განსაკუთრებით ხელშეკრულების 95-ე მუხლში არსებულ აკრძალვას, ის ხელშეკრულების მიხედვით ვერ იმოქმედებდა, თუ ამ ნორმის მოქმედება სახელმწიფოს მიერ შესაბამისი აღმასრულებელი ღონისძიების გატარებაზე იქნებოდა დამოკიდებული, რაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის და ამ აღმასრულებელი ღონისძიების გამოუყენებლობისას დადგენილი აკრძალვა არ იმოქმედებდა.

(...)

97-ე მუხლი რთავს ნებას სახელმწიფოებს, რომლებიც ბრუნვის გადასახადს რამდენიმეფაზიანი გადასახადების კუმულაციური სისტემით კრეფენ, 95-ე და 96-ე მუხლების ძირითადი პრინციპების დაცვით დაანესონ საშუალო ტარიფები. ამის მიხედვით, მართალია, 95-ე და 97-ე მუხლებით მონესრიგებული შემადგენლობები ურთიერთდაკავშირებულია და ორივე ნორმა ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 97-ე მუხლი, რომელიც მრავალფაზიანი რთული კუმულაციური გადასახადების სისტემის განსაკუთრებულ წესს შეიცავს, ამ სისტემის თავისებურებებისა და დასახელებული მუხლის აღსრულების განსაკუთრებული წესის გამო, 95-ე მუხლისაგან უნდა გაიმიჯნოს.

როცა 97-ე მუხლი ნევრ სახელმწიფოებს ნებას რთავს, საშუალო ტარიფები დაადგინონ, და მათ აძლევს საშუალებას, გადაწყვიტონ, გამოიყენებენ თუ არა ისინი ამ უფლებას, მაშინ სახელმწიფოებში, რომლებმაც ეს წესისამებრ გააკეთეს, ტარდება გაერთიანების ნორმის აღმასრულებელი შემდგომი ღონისძიებები. ამ ღონისძიებების შესახებ არსებობს გადაწყვეტილებაზე თავისუფალი მოქმედების არეალი, რაც, ღონისძიების ჩამოყალიბებისა და შედეგების მიხედვით, გაერთიანების სამართლის ამდროინდელი მდგომარეობით 97-ე მუხლის ნორმების ყოველგვარ უშუალო მოქმედებას გამორიცხავს. საქონლის ჯგუფებისა და — გამოთვლის შესახებ გაერთიანების სამართლის ნორმების არარსებობის გამო — საშუალო ტარიფის დადგენისას ნევრ სახელმწიფოებს აქვთ მოქმედების არეალი, რომლის გამოყენებაც კომისიის მხრიდან გადაისინჯება და 97-ე მუხლის უშუალო გამოყენებას გამორიცხავს.

ამ მდგომარეობის გამო 97-ე მუხლი ერთეულებს არ ანიჭებს ფედერალური საფინანსო სასამართლოს შეკითხვაში დასახელებულ ინდივიდუალურ უფლებებს. ეს შედეგი დასტურდება 97-ე მუხლის მე-2 აბზაციითაც, რომელიც კომისიას ავალდებულებს, სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შესაბამის საშუალო მაჩვენებლებს არ გამოიყენებს, 95-ე მუხლის ძირითადი პრინციპების მიხედვით, მიიღოს „შესაბამისი დირექტივები და გადაწყვეტილებები“.

97-ე მუხლი უკვე თავისი აგებულებით ცხადყოფს, რომ ის ერთეულების ინდივიდუალურ უფლებებს არ ადგენს, რაც ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ, თუ ნევრი სახელმწიფო, რომელიც რამდენიმეფაზიანი გადასახადების კუმულაციურ სისტემას იყენებს, საშუალო მაჩვენებელს ადგენს.

საქმე *Franz Grad v. Finanzamt Traunstein*⁴¹:

საქმის ფაბულა: მიუნხენის ფინანსურმა სამსახურმა მიმართა ევროგაერთიანების სასამართლოს ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 177-ე მუხლის საფუძველზე და საბჭოს 1965 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებისა და საბჭოს 1967 წლის 11 აპრილის დირექტივის განმარტება მოითხოვა. კითხვები შეეხებოდა იმას, ჰქონდა თუ არა გადაწყვეტილების მე-4 მუხლის მე-2 აბზაცს დირექტივის პირველ მუხლთან კავშირში უშუალო მოქმედება წევრ სახელმწიფოებსა და ერთეულებს შორის და წარმოშობდა თუ არა ეს ნორმები უფლებებს ადამიანებისათვის, რომლებიც ეროვნული სასამართლოების მხრიდან დაცული უნდა ყოფილიყვნენ.

3. შეკითხვა შეეხება გადაწყვეტილებისა და დირექტივის დებულებათა საერთო მოქმედებას. ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 189-ე მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილება მის ყველა ნაწილში სავალდებულოა მათთვის, რომელთაც ის ასახელებს. ამ მუხლის მიხედვით, დირექტივა სავალდებულოა ყოველი ადრესატი წევრი სახელმწიფოსათვის მიზნის განხორციელების კუთხით, ხოლო მიზნის განხორციელების ფორმისა და საშუალების არჩევანს უტოვებს შიდაეროვნულ ორგანოებს.

4. ფედერალური მთავრობა თავის განმარტებებში გამოთქვამს აზრს, რომ 189-ე მუხლი გამორიცხავს გადაწყვეტილებებისა და დირექტივების კითხვაში მოხსენიებული მოქმედების შესაძლებლობას იმით, რომ ის, ერთი მხრივ, რეგულაციებისა და, მეორე მხრივ, გადაწყვეტილებებისა და დირექტივების მოქმედებებს განასხვავებს ერთმანეთისაგან; ასეთი მოქმედებები უფრო მეტად რეგულაციებისათვისაა დამახასიათებელი.

5. მართალია, 189-ე მუხლის მიხედვით, რეგულაციები უშუალოდ მოქმედებენ და, შესაბამისად, მათი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, უშუალო მოქმედების შესაძლებლობა აქვთ, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ ამ მუხლში მოხსენიებული სამართლებრივი აქტების სხვა კატეგორიებს არასოდეს შეუძლიათ მსგავსად მოქმედება. სახელდობრ, დებულება, რომ გადაწყვეტილებები ადრესატებისათვის ყველა ნაწილში სავალდებულოა, უშვებს კითხვას იმის თაობაზე, გადაწყვეტილებით დადგენილი ვალდებულების დარღვევის გამო საჩივრის აღძვრა ადრესატების წინააღმდეგ მხოლოდ გაერთიანების ორგანოებს შეუძლიათ, თუ ასეთი უფლება აქვს ნებისმიერს, რომელიც ამ ვალდებულების შესრულებითაა დაინტერესებული. 189-ე მუხლით გადაწყვეტილებისათვის მიკუთვნებული სავალდებულო მოქმედების ძალა არ იქნებოდა შესაბამისი იმასთან, ძირითადად რომ გამოგვერიცხა აღნიშნული პირების შესაძლებლობა, გაესაჩივრებინათ გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულება, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, რომლებშიც გაერთიანების ორგანოები გადაწყვეტილებით ერთ ან ყველა წევრ სახელმწიფოს გარკვეული ქმედების განხორციელების ვალდებულებას დააკისრებდა. სასარგებლო მოქმედება („*effet utile*“) შესუსტდებოდა, თუ ამ სახელმწიფოს ცალკეული პირები სასამართლოში ამას არ გაასაჩივრებდნენ და ეროვნული სასამართლოები გადაწყვეტილების ამ დებულებებს, როგორც გაერთიანების სამართლის შემადგენელ ნაწილს, არ გაითვალისწინებდნენ. კერძოდ, შესაძლებელია, გადაწყვეტილების მოქმედება სხვაგვარი იყოს, ვიდრე რეგულაციის ნორმისა; თუმცა ეს განსხვავება არ გამორიცხავს, რომ საბოლოო შედეგი, კერძოდ ერთეულების უფლება, გაასაჩივრონ გარკვეული ღონისძიება სასამართლოში, შესაბამის შემთხვევაში რეგულაციის ნორმის უშუალოდ გამოყენების ანალოგიური იყოს.

⁴¹ Judgment of the Court of 6 October 1970; *Franz Grad v Finanzamt Traunstein*; Case 9-70; European Court reports 1970 Page 00825.

6. 177-ე მუხლის, რომლის მიხედვითაც ეროვნული სასამართლოები უფლებამოსილი არიან, ევროპულ სასამართლოს განურჩევლად დაუსვან კითხვა ორგანოების ყველა მოქმედებების ნამდვილობისა და განმარტების შესახებ, სხვასთან ერთად წარმოშობს წინაპირობას, რომ ამ ერთეულებს აქვთ შესაძლებლობა, მიმართონ ეროვნულ სასამართლოებს ამ ქმედებების გამო. **აქედან გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაისინჯოს, დადგენილება, რომელზეცაა საუბარი, თავისი სამართლებრივი ბუნების, სისტემატიკისა და შინაარსის მიხედვით გამოსადეგია თუ არა, რომ უშუალო მოქმედება ჰქონდეს ქმედების ადრესატებსა და მესამე პირებს შორის სამართლებრივ ურთიერთობებში.**

7. საბჭოს 1965 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება, რომელიც ყველა წევრი სახელმწიფოსადმი მიმართული, ეყრდნობა განსაკუთრებით ხელშეკრულების 75-ე მუხლს, რომელიც საბჭოს ანიჭებს უფლებამოსილებას, საერთო სავაჭრო პოლიტიკის განხორციელებისათვის „საერთო წესების“, „ხელმისაწვდომობის საერთო პირობები“ და „ყველა სხვა მიზნობრივი ნორმა“ მიიღოს. აქედან გამომდინარე, საბჭოს აქვს მისაღები ღონისძიებების ძალზე ფართო არჩევანი. სადავო გადაწყვეტილება, საერთო ჯამში, ადგენს სახელმწიფო ნორმების ჰარმონიზაციის პოლიტიკის ფარგლებში დასახულ მიზნებსა და მათი განხორციელების დროს. ამ მიზნების თვალსაზრისით, გადაწყვეტილების მე-4 მუხლის პირველი აბზაცი ითვალისწინებს, რომ წევრი სახელმწიფოები, როგორც კი საერთო დამატებითი ღირებულების საგადასახადო სისტემა საბჭოს მიერ დადგინდება და წევრ სახელმწიფოებში ძალაში შევა, ვალდებულნი იქნებიან, გამოიყენონ ისინი კიდევ განსასახლვრი მოდულოებით სარკინიგზო, საგზაო და შიდა სანაოსნო მოძრაობაში საქონლის გადაზიდვებისას. ამ მუხლის მე-2 აბზაცი ადგენს, რომ ეს საერთო დამატებითი ღირებულების საგადასახადო სისტემა ყველაზე გვიან მისი ძალაში შესვლიდან დაიკავებს ადგილს სპეციფიკური გადასახადებისას, რომელსაც დამატებითი ღირებულების გადასახადის ნაცვლად გადაიხდიან, მანამ დასახელებული სატრანსპორტო საშუალებებით საქონლის გადაზიდვა ასეთ გადასახადებს დაექვემდებარება.

8. ეს ნორმა ამით ორ ვალდებულებას აკისრებს წევრ სახელმწიფოებს: პირველი, არა უგვიანეს ერთი კონკრეტული თარიღისა, საერთო დამატებითი ღირებულების საგადასახადო სისტემა სარკინიგზო, საგზაო და შიდა სანაოსნო ტრანსპორტით საქონლის გადაზიდვაზე გაავრცელოს, და მეორე, ეს სისტემა, მე-2 აბზაციის მიხედვით, სპეციფიკური გადასახადების ნაცვლად შემოიღოს არა უგვიანეს მისი ძალაში შესვლიდან. ეს მეორე ვალდებულება მოიცავს, როგორც ჩანს, ისეთი გადასახადების დაწესების ან ხელმეორედ შემოღების აკრძალვას, რომლებითაც თავიდან იქნება აცილებული საერთო დამატებითი ღირებულების საგადასახადო სისტემის სატრანსპორტო სისტემაში ანალოგიური სახის დამატებითი საგადასახადო წესებთან დამთხვევა.

9. საფინანსო სამსახურის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში შეკითხვა უმთავრესად შეეხება ამ მეორე ვალდებულებას. ეს ვალდებულება არის მისი არსიდან გამომდინარე, იძულებითი და საყოველთაო, მაშინაც კი, როცა ნორმა მისი ძალაში შესვლის თარიღს ღიად ტოვებს. ის თვალნათლივ უარს ეუბნება წევრ სახელმწიფოებს, კუმულაცია მოახდინოს საერთო ბრუნვის საგადასახადო სისტემისა სპეციფიკურ გადასახადებთან, რომლებსაც დამატებითი ღირებულების გადასახადების ნაცვლად გადაიხდიან. ეს ვალდებულება არის უპირობო და საკმარისად ნათელი და ზუსტი, რომ ჰქონდეს უშუალო მოქმედების ძალა წევრ სახელმწიფოებსა და ერთეულებს შორის.

გაერთიანებული საქმეები *Peter Kaefer and Andréa Procacci*⁴²:

საქმის ფაბულა: ეროვნულმა სასამართლომ მიმართა ევროპულ სასამართლოს ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 177-ე მუხლით (ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 234-ე მუხლით) გათვალისწინებული წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურით და სთხოვა ორ საქმეში საბჭოს 1986 წლის 30 ივნისის 86/283/EWG დადგენილების 176-ე მუხლის განმარტება. საქმეები ეხებოდა გერმანელ პეტერ კაეფერს, რომელსაც უარი ეთქვა, მხოლოდ ტურისტული ვიზით მიეღო ყოფნის ნებართვა საფრანგეთის რესპუბლიკის პოლინეზიაში, ხოლო მეორეს, იტალიის მოქალაქე პროკაჩის, რომელსაც დეპორტაცია ემუქრებოდა ამ მხარიდან იმის გამო, რომ მის ტურისტულ ვიზას ვადა ჰქონდა გასული. აღნიშნული დადგენილების 176-ე მუხლის მიხედვით, „დაფუძნებისა და მომსახურების განევის წესების თვალსაზრისით, ქვეყნებისა და მხარეების კომპეტენტური ორგანოები არადისკრიმინაციულად ეპყრობიან წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს. თუ ამ კონკრეტულ სფეროში წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია, არადისკრიმინაციულად მიუდგეს (საფრანგეთის) მოქალაქეებს, რომელთა მუდმივი ადგილსამყოფელი ამ ქვეყანაში ან მხარეშია, ასევე იმ საზოგადოებებს, რომლებიც შესაბამისი ქვეყნის ან მხარის სამართლებრივ ნორმებს ექვემდებარებიან და იქ არიან დაფუძნებულები, მაშინ ამ ქვეყნის ან მხარის კომპეტენტური ორგანო არ არის ვალდებული, უზრუნველყოს ასეთი მიდგომა.

უშუალო მოქმედების შესახებ შეკითხვასთან დაკავშირებით

21. შეკითხვის მეორე ნაწილი შეეხება დადგენილების 176-ე მუხლის უშუალო მოქმედებას.

22. საფრანგეთისა და ბრიტანეთის მთავრობები, ასევე კომისია იმ აზრზეა, რომ 86/283/EWG დადგენილებას არ აქვს უშუალო მოქმედების ძალა, რადგან ის სასამართლო პრაქტიკით ამისთვის შემუშავებულ კრიტერიუმებს სადავო დებულებების მიზანთან, სახეობასთან, სისტემატიკასა და შინაარსთან დაკავშირებით არ შეესაბამება.

23. გაერთიანებული სამეფოს შეხედულებით, გაერთიანების სამართლის უშუალო მოქმედება სასამართლომ 1963 წლის 5 თებერვლის საქმეში 26/62 (*van Gend & Loos*, კრებული, 1963, 1) ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მიზნიდან გამომდინარე – ერთიან ბაზარზე ეკონომიკური ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად – აღიარა; ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მეოთხე ნაწილის მიზანი არის, არა დააფუძნოს ერთიანი ბაზარი ან წვლილი შეიტანოს მის დაფუძნებაში, არამედ ოკეანის იქითა ქვეყნებისა და მხარეების მაცხოვრებელთა საჭიროებას ხელი შეუწყოს, რათა მათ განავითარონ ურთიერთობები.

24. ამ არგუმენტაციის გაზიარება არ შეიძლება. გაერთიანებული სამეფოს მიერ მაგალითად მოყვანილი განაჩენის გამოტანის შემდეგ სასამართლომ მრავალჯერ მიიღო გადაწყვეტილება საკითხებზე, რომლებიც შეეხებოდა გაერთიანების მესამე სახელმწიფოებთან დადებული შეთანხმების დებულებების შესაძლო უშუალო მოქმედებას. შემდგომი მუდმივი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, საბჭოს დადგენილების დებულებები უშუალოდ მოქმედებენ წევრ სახელმწიფოებსა და მათ მოქალაქეებს შორის ურთიერთობებში იმ თვალსაზრისით, რომ ისინი ერთეულებს უფლებებს ანიჭებენ, რომლებიც ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა დაიცვან, **იმდენად, რამდენადაც ეს დებულებები წევრ სახელმწიფოებს უპირობო და საკმარისად ნათელ და ზუსტ ვალდებულებას აკისრებენ** (იხ. 1970 წლის 6 ოქტომბრის განაჩენი საქმეზე 9/70, *Grad*,

⁴² Judgment of the Court of 12 December 1990; *Peter Kaefer and Andréa Procacci v French State*; Joined cases C-100/89 and C-101/89; European Court reports 1990 Page I-04647.

1970 წლის კრებული, 825, მე-9 პუნქტი; დადგენილებებზე, რომლებიც ასოციაციის ხელშეკრულებების საფუძველზე გამოიცა, იხილე 1990 წლის 20 სექტემბრის განაჩენი საქმეზე C-192/89, *Sevince*, 1990 წლის კრებული, I-3461).

25. საფრანგეთმა და კომისიამ ამასთან დაკავშირებით წარმოადგინეს მოსაზრებები, რომ დადგენილების 176-ე მუხლი მხოლოდ პირობით ვალდებულებას შეიცავს შედეგის დადგომისათვის, რადგან ამ დებულებაში ნაცვალგების პირობაა ჩადებული. ამიტომ, კომისიის აზრით, ყოველი წევრი სახელმწიფოს საქმეა, დაადგინოს, შეუძლია თუ არა მას, უზრუნველყოს გათვალისწინებული არადისკრიმინაციული მოპყრობა გარკვეული საქმიანობისათვის.

26. **დებულება უპირობოა, თუ ის წევრ სახელმწიფოებს არ აძლევს მოქმედების თავისუფლებას.**

27. დადგენილების 176-ე მუხლის მიხედვით, კომპეტენტური ორგანოები, როგორც კი ნაცვალგება უზრუნველყოფილია, ვალდებული არიან, სხვა წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეების მიმართ მათი დაფუძნებისა და მომსახურების განვეისას არ გამოიყენონ დისკრიმინაციული მიდგომა; ეს დებულება წევრ სახელმწიფოებს არ უტოვებს მოქმედების თავისუფლებას. კომპეტენტური ორგანოებისა და, შესაბამის შემთხვევაში, ეროვნული სასამართლოების საქმეა, გადაწყვიტონ, არის თუ არა ნაცვალგება გარანტირებული.

28. ამიტომ ეროვნული სასამართლოს შეკითხვის მეორე ნაწილს უნდა გაეცეს პასუხი, რომ სხვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქეს, იმ სახელმწიფოსგან განსხვავებით, რომელთანაც ქვეყანას ან მხარეს განსაკუთრებული ურთიერთობები აქვს, შეუძლია ამ ქვეყნის ან მხარის კომპეტენტური ორგანოების წინაშე დაეყრდნოს 86/283 დადგენილების 176-ე მუხლით გარანტირებულ დისკრიმინაციის აკრძალვას, იქ დაფუძნების ან მომსახურების განვეის მიზნით, თუ ის იმ წინაპირობებს ასრულებს, რომლებითაც ამ ქვეყანაში ან მხარეში არადაფუძნებულმა ამ ერთეულის მოქალაქემ უნდა შეასრულოს, და თუ ეს წევრი სახელმწიფო, რომლის მოქალაქეც ის არის, პირებს შესაბამისი ქვეყნიდან ან მხარიდან არადისკრიმინაციულად ექცევა.

საქმე *Costa v. E.N.E.L*⁴³:

საქმის ფაბულა: 1962 წელს იტალიამ სახელმწიფოს საკუთრებაში მოაქცია ელექტროენერჯის გამომუშავებისა და განაწილების სისტემა. ამ მიზნით მან დააარსა E.N.E.L-ი, რომელსაც, როგორც იურიდიულ პირს, გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში მოქცეული ელექტროსანარმოები. კოსტა ამ მოქმედების შედეგად განსახელმწიფოებრივებული Edison Volta-ს აქციონერი იყო. ის უარს აცხადებდა, E.N.E.L-ისათვის გადაეხადა ელექტროენერჯის გადასახადი და ამ საკითხზე წამოჭრილ დავასთან დაკავშირებით ჩიოდა, რომ ეს აქტი ეწინააღმდეგებოდა ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 102-ე, 93-ე, 53-ე და 37-ე მუხლებს. იტალიის სასამართლომ ამ დავის ფარგლებში ევროპულ სასამართლოს ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 177-ე მუხლის საფუძველზე მიმართა შეკითხვით.

ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 177-ე მუხლის მოქმედებასთან დაკავშირებით დასმული შეკითხვის შეჯერება

მოპასუხე მხარე სადავოდ ხდის, რომ დასმული შეკითხვა მიზნად ისახავს 177-ე მუხლით დადგენილი პროცედურით შიდასახელმწიფოებრივი კანონის ხელშეკრულებასთან შესაბამისობაზე გადაწყვეტილების მიღებას.

⁴³ იხ. მე-5 სქოლიო.

დასახელებული მუხლის მიხედვით, ეროვნულმა სასამართლოებმა, რომლის გადანყვეტილებები შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი საშუალებებით ვეღარ გასაჩივრდება, სასამართლოსთან უნდა იშუამდგომლონ წინასწარი გადანყვეტილებისათვის „ხელშეკრულების განმარტების“ მიზნით, თუ ისმება შეკითხვა ამ განმარტების თაობაზე. ეს დებულება (ევროპულ) სასამართლოს არ აძლევს უფლებას, გაავრცელოს ხელშეკრულება ცალკეულ შემთხვევაზე და არც — როგორც ეს 169-ე მუხლის პროცედურითაა შესაძლებელი — გადანყვეტოს შიდასახელმწიფოებრივი ღონისძიების ხელშეკრულებასთან შესაბამისობა.
(...)

ხელშეკრულების არააუცილებელი განმარტების საკითხი.

გასაჩივრებულთა, რომ მილანის სამშვიდობო სასამართლომ ხელშეკრულების იმ დებულებების განმარტება მოითხოვა, რომელიც არ არის აუცილებელი მასთან წარმოებული სამართლებრივი დავის გადანყვეტისათვის.

177-ე მუხლის არსი სახელმწიფო სასამართლოებისა და ევროპული სასამართლოს ამოცანების ნათლად გამიჯვნაა. ის სასამართლოს არც კონკრეტულ შემთხვევაზე გადანყვეტილების მიღებისა და არც განმარტებაზე შუამდგომლობის საფუძვლებისა და მიზნების გადასინჯვის უფლებამოსილებას არ აძლევს.
(...)

მილანის სამშვიდობო სასამართლოს კითხვები შემდგომ შეეხება იმას, უშუალოდ მოქმედებენ თუ არა 102-ე, 93-ე, 53-ე და 37-ე მუხლები და წარმოშობენ თუ არა ისინი ერთეულების უფლებებს, რომლებიც გასათვალისწინებელია შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების მიერ. დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა შინაარსი აქვთ ამ დებულებებს?

102-ე მუხლის განმარტება:

102-ე მუხლის მიხედვით: „წევრი სახელმწიფო, რომელიც მიზნად ისახავს... ისეთი სამართლებრივი თუ ადმინისტრაციული ნორმის გამოცემას, რომელიც, 101-ე მუხლის მიხედვით, გაყალბებს უყრის საფუძველს“, ... კომისიასთან გადის კონსულტაციებს“. შესაბამისად, ამ გაყალბების თავიდან აცილების მიზნით, კომისიას შეუძლია, წევრ სახელმწიფოებს მისცეს სასარგებლო რჩევები.

ეს მუხლი არის „სამართლებრივი ნორმების ჰარმონიზაციის შესახებ“ თავში და მან ხელი უნდა შეუშალოს იმ განსხვავებების გაზრდას, რომლებიც ხელშეკრულების მიზნების გადასახედიდან შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ წესრიგებს შორის არსებობს. ამ დებულებით წევრმა სახელმწიფოებმა ვალდებულია აიღეს, დაქვემდებარებოდნენ მიზნობრივ მოსმენით პროცედურას, რითაც მოქმედების თავისუფლება შეიზღუდეს.

სახელმწიფოები კომისიასთან წინასწარ გადიან კონსულტაციებს, მაშინ, როდესაც მათი კანონშემოქმედებითი გეგმები, თუნდაც ევენტუალურად, მაგრამ მაინც, გაყალბების საფრთხეს შეიძლება შეიცავდნენ. ამით მათ გაერთიანების წინაშე აიღეს ვალდებულება, რომელიც არსებობს მათ, როგორც სახელმწიფოების, მიმართ და ერთეულებისთვის არანაირ უფლებას არ წარმოშობს. აღნიშნული უნდა გაითვალისწინონ ეროვნულმა სასამართლოებმა.

კომისია მონოდებულია, სახელმწიფოებისაგან მოითხოვოს ამ მუხლის ნორმების დაცვა. თუმცა ეს არ ანიჭებს კერძო პირებს უფლებას, გაერთიანების სამართლის ფარგლებში, 177-ე მუხლის მიხედვით, იჩივლონ მონაწილე სახელმწიფოების მხრიდან ან კომისიის მიერ ამ ნორმებით დადგენილი ვალდებულების დარღვევის შესახებ. (...)

53-ე მუხლის განმარტებისათვის:

53-ე მუხლით წევრი სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ, არ შემოიღონ სხვა წევრი სახელმწიფოების სუბიექტების მიმართ დაფუძნების შემზღვეველი ახალი გარემოებები, იმდენად, რამდენადაც ეს ხელშეკრულებით სხვაგვარად არ არის დადგენილი. წევრი სახელმწიფოების ეს ვალდებულება სამართლებრივად წმინდა უმოქმედობის ვალდებულებაა, რომელიც არანაირი პირობით არ იზღუდება და არ საჭიროებს წევრი სახელმწიფოებისა და კომისიის მხრიდან შემდგომი ღონისძიებების შესრულებას მისი აღსრულებისა ან მოქმედებისათვის. ამდენად, ის არის სრული, სამართლებრივად სრულყოფილი და, შესაბამისად, გამოსადეგი, რომ უშუალოდ იმოქმედოს წევრ სახელმწიფოებსა და ერთეულებს შორის.

ეს ნათლად გამოხატული აკრძალვა, რომელიც მთელ გაერთიანებაში ძალაში შევიდა ხელშეკრულებით და ამგვარად წევრი სახელმწიფოების სამართალწესრიგის შემადგენელი ნაწილი გახდა, თავად მათთვისაა (წევრი სახელმწიფოებისთვისაა) სავალდებულო და უშუალოდ შეეხება მის სამართალს დაქვემდებარებულ ერთეულებს; მათ შეუძლიათ, ამ ნორმებით გათვალისწინებული უფლებები გამოიყენონ. ისინი უნდა გაითვალისწინონ ეროვნულმა სასამართლოებმაც.

საქმე *Fernando Roberto Giménez Zaera*⁴⁴:

9. ეროვნული სასამართლოს სხვა შეკითხვები არსებითად შეეხება იმას, თუ რამდენად ენიშნა ამდგენილება ეროვნულ სამართლებრივ ნორმებში თანამდებობის პირების მიერ მიღებული შემოსავლიდან ასაკის გამო პენსიის კუმულაციის აკრძალვის დაწესება ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-2, 117-ე და 118-ე მუხლებს.

10. ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-2 მუხლი აღწერს ევროპული ეკონომიკური გაერთიანების ამოცანას. მასში დასახელებული მიზნები დაკავშირებულია გაერთიანების არსებობასა და ფუნქციონირებასთან; მათი განხორციელება უნდა იყოს საერთო ბაზრის შექმნისა და წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური პოლიტიკის პროგრესული დაახლოების არა მხოლოდ შედეგი, არამედ მიზნებიც, რომელთა მიღწევა ხელშეკრულების არსებით საგანია.

11. რაც შეეხება ცხოვრების დონის სტანდარტის განსაკუთრებით დაჩქარებულად აწევის ხელშეწყობას, უნდა დადგინდეს, რომ ეს ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შექმნასთან დაკავშირებული მიზანია, რომელიც თავისი ზოგადი ხასიათისა და საერთო ბაზრის შექმნასა და ეკონომიკური პოლიტიკის პროგრესულად დაახლოებასთან სისტემური კავშირის საფუძველზე არც წევრი სახელმწიფოების სამართლებრივ ვალდებულებებს წარმოშობს და არც ერთეულთა უფლებებს ითვალისწინებს.

2. ევროკავშირის სამართლის უპირატესი იურიდიული ძალა ეროვნულ სამართალთან შედარებით

საქმე *Costa v E.N.E.L.*⁴⁵:

გაერთიანების სამართლის დებულებების ცალკეული წევრი სახელმწიფოების სამარ-

⁴⁴ Judgment of the Court of 29 September 1987; *Fernando Roberto Giménez Zaera v Institut Nacional de la Seguridad Social and Tesorería General de la Seguridad Social*; Case 126/86; European Court reports 1987 Page 03697.

⁴⁵ იხ. სქოლიო 5.

თალში გადატანა და, ზოგადად, ხელშეკრულების არსი და შინაარსი განსაზღვრავს, რომ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ, შემდგომ ნაცვალგების პრინციპზე მიღებული სამართლებრივი წესრიგის საწინააღმდეგოდ ცალმხრივი ღონისძიებები გაატარონ. აქედან გამომდინარე, ასეთი ღონისძიებები ეწინააღმდეგება გაერთიანების სამართლებრივი წესრიგის გამოყენებას, რადგან ეს საფრთხეს შეუქმნიდა ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე-2 აბზაცში ჩამოყალიბებული მიზნების განხორციელებას და გამოინვევდა მე-7 მუხლში გამოსატყული აკრძალვის საწინააღმდეგო დისკრიმინაციებს, თუ გაერთიანების სამართალი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით სახელმწიფოდან სახელმწიფოში განსხვავებულად იმოქმედებდა. ვალდებულებები, რომლებიც წევრმა სახელმწიფოებმა აიღეს გაერთიანების დაარსების შესახებ ხელშეკრულებაში, იქნებოდა არა აუცილებელი, არამედ მხოლოდ ევენტუალური, თუ ისინი მონაწილე სახელმწიფოების შემდგომი კანონშემოქმედებითი აქტებით კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდებოდნენ. იქ, სადაც ხელშეკრულებას „სურს“, სახელმწიფოებს ამა თუ იმ საკითხთან ცალმხრივი მიდგომის უფლება მინიჭოს, აკეთებს ამას ნათელი დებულებებით (მაგ.: მე-15 მუხლი, 93-ე მუხლის მე-3 აბზაცი, 223-ე-225-ე მუხლები). გამონაკლის ნებართვებზე სახელმწიფოთა განაცხადებისათვის ცალკე სანებართვო პროცედურაა გათვალისწინებული (მაგ.: მე-8 მუხლის მე-4 აბზაცი, მე-17 მუხლის მე-4 აბზაცი, 25-ე, 26-ე, 73-ე მუხლები, 93-ე მუხლის მე-3 აბზაცის მე-3 ქვეპუნქტი და 226-ე მუხლი), რაც უშინაარსო იქნებოდა, თუ სახელმწიფოებს ექნებოდათ შესაძლებლობა, თავიანთი ვალდებულებები მოეხსნათ მხოლოდ კანონების მიღებით.

გაერთიანების სამართლის უპირატესობა ასევე დასტურდება 189-ე მუხლით. აღნიშნულის მიხედვით, რეგულაცია არის „სავალდებულო“ და „უშუალოდ მოქმედებს ყოველ წევრ სახელმწიფოში“. ეს დებულება, რომელიც არ ექვემდებარება რაიმე სახის შეზღუდვას, გახდებოდა უმნიშვნელო, თუ წევრი სახელმწიფოები თავიანთი საკანონმდებლო აქტებით, რომლებსაც გაერთიანების სამართალზე უპირატესი ძალა ექნებოდათ, ცალმხრივად დააკარგვინებდნენ მას ეფექტურობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ხელშეკრულებით შექმნილ და ამით ავტონომიური სამართლებრივი წყაროდან გამომდინარე სამართალზე მისი დამოუკიდებლობის გამო არანაირ, ნებისმიერი სახით გამოხატულ, შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ დებულებებს არ აქვთ უპირატესი ძალა, თუ მას ჩამორთმეული არ ექნება გაერთიანების სამართლის დამახასიათებელი ნიშანი და თუ გაერთიანების სამართლებრივი პრინციპი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგება.

სახელმწიფოებმა საბოლოოდ შეიზღუდეს საკუთარი სუვერენული უფლებები იმით, რომ მათ, ხელშეკრულების დებულებების მიხედვით, უფლებები და მოვალეობები, რომლებიც აქამდე მათ შიდა სამართლებრივ წესრიგებს ექვემდებარებოდა, გაერთიანების სამართლებრივ წესრიგს გადასცეს. აღნიშნულის უკან გამოთხოვა გაერთიანების ცნებასთან შეუსაბამო ცალმხრივი ღონისძიებით არ შეიძლება. შედეგად 177-ე მუხლი გამოიყენება შიდასახელმწიფოებრივი კანონების გაუთვალისწინებლად, თუ ხელშეკრულების განმარტებასთან დაკავშირებული კითხვა დაისმება.

საქმე *Simmenthal*⁴⁶:

17/18. გაერთიანების სამართლის უპირატესი იურიდიული ძალის პრინციპიდან გამომდინარე, ხელშეკრულების დებულებებსა და გაერთიანების ორგანოთა უშუალოდ მოქმედ სამართლებრივ აქტებს წევრი სახელმწიფოების შიდა სამართალთან დაკავშირებით აქვთ არა მარტო ის შედეგი, რომ მათი ძალაში შესვლით ყოველგვარი პირობის გარეშე მოქ-

⁴⁶ იხ. სქოლიო 38.

მედი ეროვნული სამართლის დებულება, რომელიც ეწინააღმდეგება მას, არ გამოიყენება, არამედ ის, რომ, რადგან უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ეს დებულებები და სამართლებრივი აქტები ყოველ წევრ სახელმწიფოში არსებული სამართლებრივი წესრიგის ნაწილია, გაერთიანების სამართალთან შეუსაბამო სახელმწიფოს ნებისმიერი ახალი საკანონმდებლო აქტის ძალაში შესვლა უნდა დაბრკოლდეს. თუ ისეთ ეროვნულ საკანონმდებლო აქტებს ექნებოდათ გარკვეული სამართლებრივი ნამდვილობა, რომლებიც იმ სფეროებში იჭრებიან, რომელთაც გაერთიანების კანონშემოქმედებით ძალაუფლებაზე აქვთ ზემოქმედება, ან სხვაგვარად გაერთიანების სამართლის დებულებებთან შეუსაბამოა, მაშინ უარყოფილი უნდა ყოფილიყო ვალდებულებების ეფექტურობა, რომლებიც წევრმა სახელმწიფოებმა ხელშეკრულებით, ყოველგვარი დათქმის გარეშე და შეუქცევადად იკისრეს, და თვით გაერთიანების საფუძველი უნდა დამდგარიყო კითხვის ნიშნის ქვეშ.

19/20. ანალოგიური დასკვნა გამომდინარეობს ხელშეკრულების 177-ე მუხლის არსიდან და შინაარსიდან, რომლის მიხედვითაც ეროვნული სასამართლოები უფლებამოსილი არიან, ყოველთვის მიმართონ ევროპულ სასამართლოს, თუ განაჩენის გამოტანისათვის გაერთიანების სამართლის განმარტებისა თუ მოქმედების საკითხზე წინასწარი გადანყვეტილებაა საჭირო. ამ დებულების პრაქტიკული ეფექტურობა შემცირდებოდა, თუ სასამართლოს ჩამოერთმეოდა უფლება, უშუალოდ გამოეყენებინა გაერთიანების სამართალი გადანყვეტილების ან ევროპული სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად.

21/23. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონვეული ნებისმიერი ეროვნული მოსამართლე ვალდებულია, შეუზღუდავად გამოიყენოს გაერთიანების სამართალი და დაიცვას უფლებები, რომელთაც ეს სამართალი ერთეულებს ანიჭებს. ამ შემთხვევაში ის ეროვნული სამართლის ყოველ შესაძლო საპირისპირო დებულებას, სულ ერთია, გამოცემულია გაერთიანების ნორმის მიღებამდე თუ მისი მიღების შემდეგ, გამოუყენებლად ტოვებს. ამის მიხედვით, ეროვნული სამართლებრივი წესრიგის ან ყოველი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული ან სასამართლო პრაქტიკის დებულება გაერთიანების სამართალში არსებულ მოთხოვნებთან შეუსაბამო იქნებოდა, რაც, თავის მხრივ, გაერთიანების სამართლის ეფექტურობის შესუსტებას გამოიწვევდა, თუ ამ სამართლის გამოყენებისათვის კომპეტენტურ სასამართლოს ჩამოერთმეოდა უფლებამოსილება, გაეკეთებინა ყველაფერი აუცილებელი უკვე ამ ეტაპზე იმ შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმების გასაუქმებლად, რომლებიც გარემოებების მიხედვით გაერთიანების ნორმების სრული ეფექტურობისათვის დაბრკოლებას ქმნიდნენ.
(...)

24. აქედან გამომდინარე, პირველ შეკითხვაზე უნდა ვუპასუხოთ, რომ ეროვნული სასამართლო, რომელმაც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნდა გამოიყენოს გაერთიანების სამართლის დებულებები, მონოდებულია, იზრუნოს ამ ნორმების სრულ ეფექტურობაზე, რომლის დროსაც ის აუცილებლობის შემთხვევაში ეროვნული სამართლის ნებისმიერ — ასევე შემდგომ — დებულებას, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის გაერთიანების

სამართალთან, საკუთარი გადანყვეტილების მიღების უფლებამოსილებიდან გამომდინარე, გამოუყენებლად ტოვებს, ისე, რომ ის არ მიმართავს ან არ ელოდება ამ დებულების წინასწარი აღმოფხვრის საკანონმდებლო თუ სხვა საკონსტიტუციო სამართლებრივ პროცედურას.

საქმე *Internationale Handelsgesellschaft*⁴⁷:

1. მაინის ფრანკფურტის ადმინისტრაციულმა სასამართლომ 1970 წლის 18 მარტის დადგენილებით 1970 წლის 26 მარტს ევროპულ სასამართლოს ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 177-ე მუხლით წარუდგინა ორი შეკითხვა: მარცვლეულის საერთო საბაზრო ორგანიზაციის შესახებ საბჭოს 1967 წლის 13 ივნისის 120/67/EWG რეგულაციისა და იმპორტისა და ექსპორტის ლიცენზიების შესახებ კომისიის 1967 წლის 21 აგვისტოს 437/67/EWG რეგულაციაში გათვალისწინებული ექსპორტის ლიცენზიების და მასთან დაკავშირებული გირაოს დადების — შემდგომ გირაოს წესის – სისტემის ნამდვილობის შესახებ.

ორი წარმოდგენილი დადგენილების საფუძვლების მიხედვით, ადმინისტრაციულმა სასამართლომ დასახელებული დებულებების მართლზომიერება უარყო და აუცილებლად მიიჩნია, გაერკვია არსებული სამართლებრივი ბუნდოვანება. ადმინისტრაციული სასამართლოს აზრით, გირაოს წესი არღვევს ეროვნული საკონსტიტუციო სამართლის გარკვეულ სტრუქტურულ პრინციპებს, რომლებიც გაერთიანების სამართლის ფარგლებში გარანტირებული უნდა იყვნენ, ასე რომ, ზენაციონალური სამართლის უპირატესი იურიდიული ძალა გერმანიის კონსტიტუციის პრინციპების წინაშე უკანა პლანზე უნდა გადავიდეს. განსაკუთრებით ეწინააღმდეგება გირაოს წესი განვითარების და თვითგამოხატვის თავისუფლების, ეკონომიკური თავისუფლებისა და პროპორციულობის პრინციპებს, რომლებიც, კერძოდ, კონსტიტუციის მე-2 მუხლის პირველი აბზაციდან და მე-14 მუხლიდან გამომდინარეობენ (ძირითადი კანონი).

გაერთიანების სამართლის წესრიგში ძირითადი უფლებების დაცვის საკითხზე

3. გაერთიანების სამართლის ერთიანი მოქმედება შეილახებოდა, თუ გაერთიანების ორგანოების მოქმედებათა ნამდვილობაზე გადაწყვეტილებების მიღებისას ეროვნული სამართლის ნორმები და პრინციპები იქნებოდა ნამოწეული. ასეთი მოქმედებების ნამდვილობა შესაძლებელია მხოლოდ გაერთიანების სამართლის მიხედვით განიხილებოდეს, რადგან ხელშეკრულებით შექმნილი და ამით ავტონომიური სამართლებრივი წყაროდან გამომდინარე სამართალზე მისი დამოუკიდებლობის გამო უპირატესი ძალა არ შეიძლება ჰქონდეს შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ ნორმებს, როგორებიც არ უნდა იყვნენ ისინი, თუ მას არ ჩამოვართმევთ გაერთიანების სამართლის ხასიათს და თუ კითხვის ნიშნის ქვეშ არ დავაყენებთ გაერთიანების სამართლებრივ პრინციპს. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება შეეხებოდეს გაერთიანების ქმედების ნამდვილობას ან მის გამოყენებას წევრ სახელმწიფოში საჩივარი იმაზე, რომ დარღვეულია ძირითადი უფლებები, რომლებიც კონკრეტული სახელმწიფოს კონსტიტუციის მიერ მოცემული ფაბულითაა გადმოცემული, ანდა დარღვეულია ეროვნული კონსტიტუციის სტრუქტურული პრინციპები.

აღსანიშნავია ევროპული სასამართლოს დადგენილება სან მიშელის საქმეზე, რომლის მიხედვითაც სასამართლომ დაუშვებლად ცნო მომჩივანის განაცხადი, სადაც პირი ითხოვდა საქმის შეჩერებას მანამდე, სანამ ეროვნული საკონსტიტუციო სასამართლო არ მიიღებდა გადაწყვეტილებას კონკრეტულ საკითხზე.

ბრძანება საქმეზე *San Michele SpA*⁴⁸:

მომჩივანი შუალედური განცხადებით ითხოვს, ევროპულ სასამართლოში არსებული 9/65 სამართლებრივი დავა, რომელშიც ზემდგომი დანქნებულების 1964 წლის 13 ნოემ-

⁴⁷ იხ. მე-7 სქოლიო.

⁴⁸ Order of the Court of 22 June 1965. - Acciaierie San Michele SpA (in liquidation) v High Authority of the ECSC. - Case 9-65; European Court reports English special edition Page 00027.

ბრის გადაწყვეტილებაა გასაჩივრებული, შეჩერდეს მანამ, სანამ იტალიის საკონსტიტუციო სასამართლო ევროპული გაერთიანების ქვანახშირისა და ფოლადის დაარსების შესახებ ხელშეკრულების გარკვეული ნორმების კონსტიტუციურობაზე გადაწყვეტილებას მიიღებს.

მასალები იძლევა საშუალებას, მხარეების მონერილობების საფუძველზე გადაწყვეტილება იქნეს მიღებული ამ შუალედური განცხადების საფუძველიანობაზე.

ფირმა „San Michele“ ევროპული სასამართლოს 1962 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე ელექტროენერჯის საბუთების წარმოუდგენლობის გამო, რაც აუცილებელი იყო გამოქვითვის მოცულობის დასადგენად, ზემდგომმა დაწესებულებამ 1962 წლის 18 დეკემბერს დააჯარიმა. დასახელებულმა საწარმომ ამ გადაწყვეტილების აღსრულება სადავო გახადა და საქმე ტურინის ტრიბუნალში აღძრა იმ საფუძველზე, რომ ხელშეკრულების გარკვეული ნორმები მის მიმართ არ გამოიყენებოდა, რადგან ისინი იტალიის სამართლებრივ წესრიგში ჩვეულებრივი კანონით იყვნენ იმპლემენტირებულნი.

გამომდინარე იქიდან, რომ დასახელებულმა ტრიბუნალმა ეჭვი შეიტანა ხელშეკრულებაზე დაფუძნებული სამართლის „უპირატესობასა“ და გაერთიანების ინსტიტუციების და სამართლებრივი პროცედურების კონსტიტუციურობაში, 1964 წლის 19 დეკემბრის ბრძანებით, „აშკარად არა უსაფუძვლოდ“, გამოაცხადა დასახელებული ანტიკონსტიტუციურობის საკითხი და ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 33-ე, 41-ე და 91-ე მუხლების სამართლებრივ ნამდვილობაზე გადაწყვეტილების მისაღებად საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა.

გამომდინარე აქედან, მომჩივანი თავის შუალედურ განაცხადში, რომელსაც ეს შემადგენლობა უდევს საფუძველად, ეყრდნობა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსალოდნელი გადაწყვეტილების „აბსოლუტურ“ სავალდებულოებას და მიიჩნევს, რომ ამით „იტალიის მოქალაქეების მიმართ მართლმსაჯულების განმახორციელებელი ნებისმიერი სასამართლო“ ვალდებულია, თავისი პროცედურა შეაჩეროს.

ევროპულ სასამართლოს, როგორც სასამართლოს, რომელიც უზრუნველყოფს ხელშეკრულების განმარტებისას ან მისი გამოყენებისას სამართლის დაცვას, შეუძლია განიხილოს მხოლოდ სარატიფიკაციო სიგელი, რომელიც იტალიის სახელით 1952 წლის 22 ივლისს იქნა დეპონირებული და რომლითაც სხვა სარატიფიკაციო სიგელებთან ერთად ხელშეკრულება ძალაში შევიდა.

(...)

რამდენადაც სარატიფიკაციო სიგელებიდან, რომლებითაც წევრმა სახელმწიფოებმა თანაბრად აიღეს ვალდებულება, გამომდინარეობს, რომ ყველა წევრი სახელმწიფო ხელშეკრულებას, საბოლოოდ და დამატებითი პროტოკოლით გათვალისწინებული დათქმების გარდა, სხვა დათქმების გარეშე, თანაბარი პირობებით შეუერთდა, შესაბამისად, გაერთიანების სამართლებრივ წესრიგს დაარღვევდა, თუ წევრი სახელმწიფოს მოქალაქე ამ განეწინააღმდეგებდა დააყენებდა.

ეს განსაკუთრებით იმიტომ არის დაუშვებელი, რომ პროცესის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღება სარატიფიკაციო სიგელის უგულებელყოფის გზით გაერთიანების მნიშვნელობის შემცირების ან მხოლოდ ხელშეკრულების ნაწილობრივი მიღების ან ხელშეკრულების ცალკეული წევრი სახელმწიფოებისათვის განსხვავებული სამართლებრივი მოქმედების ტოლფასი იქნებოდა, ან გარკვეული სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის ნორმების მოქმედებისაგან თავის არიდების შესაძლებლობას შექმნიდა.

იტალიის რესპუბლიკის მონაწილეობა გაერთიანების ორგანოებში და იმ უფლებებსა და ვალდებულებებში, რომლებიც ხელშეკრულებამ წარმოშვა, გამორიცხავს შესაძლებლობას, მისმა მოქალაქეებმა თავი აარიდონ ხელშეკრულების სრულყოფილ და ერთიან გამოყენებას და ამ გზით გაერთიანების სხვა ერთეულებისაგან განსხვავებულად მოეპყრონ მათ.

ამდენად, გაერთიანების პოლიტიკასთან შეუსაბამობის გამო უარყოფილ უნდა იქნეს ყოველი განცხადება, რომელთა მიზანია ამ სახის დისკრიმინაციების დამკვიდრება, ისინი ხელშეკრულებაში არანაირი სარატიფიკაციო კანონით არ მოიაზრებიან და აკრძალულია.

შუალედური ზომების მიღების შესახებ განაცხადი ამიტომ უარსაყოფია.

ევროკავშირის სამართლის უშუალო მოქმედებისა და უპირატესი იურიდიული ძალის შესახებ პრინციპები გარკვეულად შეჯერებულადაა წარმოდგენილი საქმეში *Factortame Ltd*⁴⁹:

17. როგორც ეს მასალებიდან, განსაკუთრებით კი წარმოდგენილი განაჩენიდან და ამ დავით დაკავებულ ეროვნულ სასამართლოებში ზემოთ აღნიშნული პროცედურის მიმდინარეობის აღწერილობიდან გამომდინარეობს, მომმართველი სასამართლოს შეკითხვა ძირითადად შეეხება იმას, უნდა გამოიყენოს თუ არა ეროვნულმა სასამართლომ მასთან აღძრულ სამართლებრივ დავაში გაერთიანების სამართალთან დაკავშირებული ეროვნული სამართლის ის ნორმა, რომელიც, მისი აზრით, დროებითი დადგენილების მიღებას ეწინააღმდეგება.

18. სასამართლომ 1978 წლის 9 მარტის საქმის 106/77 განაჩენში (*Simmenthal*, 1978 წლის კრებული, 629-ე პუნქტი) გადაწყვიტა, რომ გაერთიანების სამართლის უშუალოდ მოქმედი დებულებები „სრულად მოქმედებენ ერთიანად მთელ წევრ სახელმწიფოებში მათი ძალაში შესვლიდან და მთელი მათი მოქმედების განმავლობაში“ (მე-14-მე-16 პუნქტები), და რომ, „გაერთიანების სამართლის უპირატესობის პრინციპიდან გამომდინარე, ხელშეკრულების დებულებები და გაერთიანების ორგანოთა უშუალოდ მოქმედი სამართლებრივი აქტები მხოლოდ მათი ძალაში შესვლით წევრი სახელმწიფოების შიდა სამართალთან მიმართებით უპირობოდ (ინვევენ) სახელმწიფოს მოქმედი სამართლის ყოველი საპირისპირო დებულების გამოუყენებლობას“ (პუნქტები 17-18).

19. ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, შიდასახელმწიფოებრივმა სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ იმ უფლებების დაცვა, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-5 მუხლში გამოხატული თანამშრომლობის ვალდებულების პრინციპის შესაბამისად, რომლებიც წარმოიშობა ერთეულებისათვის გაერთიანების სამართლის უშუალო მოქმედებიდან (შეადარეთ უახლესი განაჩენები 1980 წლის 10 ივლისის საქმეში 811/79, *Ariete*, და საქმეში 826/79, *Mireco*, კრებული, 1980, 2545 ან 2559).

20. ევროპულმა სასამართლომ, გარდა ამისა, გადაწყვიტა, რომ ეროვნული სამართლებრივი წესრიგის ყოველი დებულება ან ყოველი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული ან სასამართლო პრაქტიკა გაერთიანების სამართლის ბუნებაში არსებულ მოთხოვნებთან შეუსაბამო იქნებოდა და ამით გაერთიანების სამართლის ეფექტურობის შემცირებას გამოიწვევდა, თუ ის (გაერთიანების) სამართლის გამოყენებაზე კომპეტენტურ სასამართლოს ჩამოართმევდა უფლებამოსილებას, მიეღო ნებისმიერი აუცილებელი ზომა

⁴⁹ Judgment of the Court of 19 June 1990; *The Queen v Secretary of State for Transport, ex parte: Factortame Ltd and others*; Case C-213/89; European Court reports 1990 Page I-02433.

შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დებულებების გამოყენების თავიდან ასაც-
ილებლად, რომლებიც გარემოებების შესაბამისად, თუნდაც დროებით, დაბრკოლებას
შეუქმნიდნენ გაერთიანების ნორმების სრულ ეფექტურობას (1978 წლის 9 მარტის
განაჩენი, *Simmmenthal*, 21-ე-23-ე პუნქტები).

21. გაერთიანების სამართლის სრული ეფექტურობა შესუსტდებოდა ასევე მაშინ, თუ
გაერთიანების სამართლის ფარგლებში განსახილველი სამართლებრივი დავით დაკავე-
ბულ სასამართლოს ეროვნულსამართლებრივი ნორმით ხელი შეეშლებოდა დროებითი
დადგენილების მიღებაში, რათა უზრუნველყო გაერთიანების სამართლიდან გამომ-
დინარე უფლებაზე შემდგომი სასამართლო გადაწყვეტილების ეფექტურობა. (...)

II. ევროკავშირის სამართლის ნორმატიული სისტემა:

ევროკავშირის სამართლის სისტემა პირობითად იყოფა პირველადი და მეორადი სამარ-
თლის ნორმებად. პირველად სამართალში მოიაზრება ის ნორმები, რომელთა საფუძ-
ველზეც შეიქმნა ევროპული გაერთიანებები და რომლებიც ამ ორგანოების საქმიანობის
სამართლებრივი საფუძვლები და ჩარჩოებია; მეორადი სამართალი არის პირველადი
სამართლიდან გამომდინარე სამართლის ნორმები, რომლებიც ევროკავშირის ორგან-
ოთა მიერაა მიღებული პირველადი სამართლის საფუძველზე. ასეთი ტიპური ნორმები
მონესრიგებულია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ 288-ე მუხლში, რომელიც
ჩამოთვლის მის სამართლებრივ ინსტრუმენტებს. ესენია: რეგულაციები, დირექტივები,
გადაწყვეტილებები, პოზიციები და რეკომენდაციები.

1. პირველადი სამართალი

ა) სადამფუძნებლო ხელშეკრულებები

ევროპული სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში სადამფუძნებლო ხელშეკრულებებს
აიგივებს საკონსტიტუციო ძალის მქონე დოკუმენტებთან.

საქმე *Les Verts*⁵⁰:

23. (...) ევროპული ეკონომიკური გაერთიანება (არის) ისეთი სახის სამართლებრივი
გაერთიანება (...), რომლის არც წევრი სახელმწიფოებისა და არც გაერთიანების ორ-
განოთა ქმედებები გაერთიანების საკონსტიტუციო დოკუმენტთან, ხელშეკრულებასთან
შესაბამისობაზე კონტროლს არ არიან ჩამოცილებულნი (...).

რაც შეეხება პირველადი და მეორადი სამართლის ურთიერთდამოკიდებულებას საქმეში
– *Petronis*⁵¹ – სასამართლო აღნიშნავს:

11/13. სოციალურ სფეროში მიღებული რეგულაციების საფუძვლები, ჩარჩოები და
საზღვრები (...) არის ხელშეკრულების 48-ე-51-ე მუხლები⁵².

⁵⁰ Judgment of the Court of 23 April 1986; Parti écologiste “Les Verts” v European Parliament; Action for annulment -
Information campaign for the elections to the European Parliament; Case 294/83; European Court reports 1986 Page
01339.

⁵¹ Judgment of the Court of 21 October 1975; Teresa and Silvana Petroni v Office national des pensions pour travailleurs
salariés (ONPTS), Bruxelles.; Case 24-75; European Court reports 1975 Page 01149.

⁵² ანალოგიურია: Judgment of the Court of 5 October 1978; Institut national d’assurance maladie-invalidité and Union
nationale des fédérations mutualistes neutres v Antonio Viola; Case 26/78; პუნქტი 9/14.

საქმე *Commission v Germany*⁵³:

52. თუ გაერთიანების მეორადი სამართლის დებულება საჭიროებს განმარტებას, მაშინ ის შესაძლებლობისამებრ ისე უნდა განიმარტოს, რომ შესაბამისი იყოს ხელშეკრულების ნორმებისა. გარდა ამისა, შეძლებისდაგვარად აღმასრულებელი რეგულაცია უნდა განიმარტოს მთავარი რეგულაციის დებულებების შესაბამისად (1993 წლის 24 ივნისის განაჩენი საქმეში *C-90/92, Dr. Tretter*, 1993 წლის კრებული, I-3569, მე-11 პუნქტი). ანალოგიურად, გაერთიანების მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების უპირატესობიდან გამომდინარე, გაერთიანების მეორადი სამართლის დებულებებთან მიმართებით საჭიროა ისინი განიმარტონ შეძლებისდაგვარად ამ ხელშეკრულებების თანახმად.

პირველადი სამართლის დებულებების მოქმედებასთან დაკავშირებით იხილეთ მეორე ნაწილის პირველი თავის ქვეთავები: „ევროკავშირის სამართლის უშუალო მოქმედება“ და „ევროკავშირის სამართლის უპირატესი იურიდიული ძალა“.

ბ) საყოველთაო სამართლებრივი პრინციპები:

სამართლებრივი ვაკუუმის შესავსებად ევროპული სასამართლო იყენებს საყოველთაო სამართლებრივი პრინციპების ცნებას, რომლებიც ევროპული გაერთიანების სამართლის დაუნერვლი ნორმებია. ეს პრინციპები მოქმედებს ყველა ან უმრავლეს წევრ სახელმწიფოში.

საქმე *Internationale Handelsgesellschaft*⁵⁴:

4. (...) რადგან ძირითადი უფლებები მიეკუთვნება საყოველთაო სამართლებრივ პრინციპებს, რომელთა დაცვასაც უზრუნველყოფს ევროპული სასამართლო, მათი უზრუნველყოფა უნდა მოხდეს, მართალია, წევრი სახელმწიფოების საერთო საკონსტიტუციო ტრადიციებიდან გამომდინარე, მაგრამ გაერთიანების სტრუქტურისა და მიზნების ფარგლებში. (...)

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი საყოველთაო სამართლებრივ პრინციპებში უკავიათ ძირითად უფლებებს⁵⁵.

2. საერთაშორისო ხელშეკრულებები

საქმე *R. da V. Haegeman*⁵⁶:

ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 228-ე და 238-ე მუხლების მიხედვით, საბჭოს მიერ დადებული შეთანხმება გაერთიანებისათვის 177-ე მუხლის პირველი აზნაცის „ბ“ პუნქტის თანახმად გაერთიანების ორგანოს მოქმედებაა. ასეთი შეთანხმების დებულებები, ძალაში შესვლის შემდეგ, გაერთიანების სამართლებრივი წესრიგის ინტეგრალური შემადგენელი ნაწილი ხდება.

⁵³ Judgment of the Court of 10 September 1996; *Commission of the European Communities v Federal Republic of Germany*; Case C-61/94; European Court reports 1996 Page I-03989.

⁵⁴ იხ. მე-7 სქოლიო.

⁵⁵ აღნიშნულზე დანვრლებით იხილეთ მესამე ნაწილი, ძირითადი უფლებების შესახებ თავი.

⁵⁶ Judgment of the Court of 30 April 1974; *R. & V. Haegeman v Belgian State*; Case 181-73; European Court reports 1974 Page 00449.

795. Microsoft-ი ამყარებს თავის არგუმენტაციას ზემოთ 781-ე პუნქტში მითითებული საქმეში – *კომისია გერმანიის წინააღმდეგ* – მიღებული განაჩენის 52-ე პუნქტის მიხედვით; იქ (ევროპულმა) სასამართლომ აღნიშნა, რომ გაერთიანების სამართალი, ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 82-ე მუხლის ჩათვლით, უნდა განიმარტოს სავალდებულო საერთაშორისოსამართლებრივი ხელშეკრულებების თვალსაზრისით, როგორცაა TRIPS-ის შეთანხმება⁵⁸. ზეპირ პროცესზე Microsoft-მა განაცხადა, რომ ის დასახელებული კონვენციის დებულებების უშუალო მოქმედებას არანაირად არ ეხებოდა.

796. სასამართლო იმ აზრზეა, რომ *Microsoft*-ს არ შეუძლია, წარმატებით დაეყრდნოს 781-ე პარაგრაფში მოხსენიებულ განაჩენს საქმეში – *კომისია გერმანიის წინააღმდეგ*.

797. ამ განაჩენის 52-ე პუნქტში აღნიშნულია, სხვასთან ერთად, რომ „**გაერთიანების მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების უპირატესი იურიდიული ძალა გაერთიანების მეორადი სამართლის დებულებებთან მიმართებით (იძლევა საშუალებას) შეძლებისდაგვარად ამ ხელშეკრულებებთან კავშირში უნდა განიმარტოს.**“

798. (ევროპული) სასამართლოს მიერ გამოთქმული პრინციპი განმარტების შესაბამისობის შესახებ არ გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც სადავო საერთაშორისოსამართლებრივ შეთანხმებას გაერთიანების სამართლის შესაბამის დებულებებთან უპირატესი იურიდიული ძალა არ გააჩნია. რადგან საერთაშორისოსამართლებრივ ხელშეკრულებას, როგორცაა TRIPS-ის შეთანხმება, გაერთიანების პირველად სამართალთან მიმართებით უპირატესი იურიდიული ძალა არ აქვს, არ შეიძლება ეს პრინციპი გამოყენებულ იქნეს, როცა განსამარტავი დებულება — როგორც აქაა — ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 82-ე მუხლია.

როგორც აღნიშნული პრაქტიკიდან ჩანს, საერთაშორისო ხელშეკრულებას აქვს მეორად სამართალზე უპირატესი, ხოლო პირველად სამართალზე ქვემდგომი იურიდიული ძალა, რადგან ის განხილულია როგორც გაერთიანების ორგანოთა ქმედებები, რომლებიც ზოგადად მეორადი სამართლის მახასიათებელია.

რაც შეეხება გაერთიანების მიერ გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედებას, ევროპულმა სასამართლომ საქმეში – *Igor Simutenkov* _ აღნიშნა⁵⁹:

საქმის ფაბულა: რუსეთის მოქალაქე იგორ სიმუტენკოვი მართლზომიერად ცხოვრობდა და მუშაობდა ესპანეთში. ის ფეხბურთელი იყო და *დეპორტივო ტენერიფას* კლუბთან ჰქონდა ხელშეკრულება დადებული. 2001 წლის იანვარში მან მოითხოვა ისეთივე ლიცენზიის მიღება, როგორც ჰქონდათ გაერთიანების წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს. თავისი მოთხოვნის გასამყარებლად დაეყრდნო რუსეთსა და ევროპულ გაერთიანებებს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების 23-ე მუხლის პირველ აბზაცს, რომლის მიხედვითაც: „წევრ სახელმწიფოებში მოქმედი სამართლებრივი ნორმების, პირობებისა და პროცედურის დაურღვევლად, გაერთიანება და მისი წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ რუსეთის მოქალაქეს, რომელიც ერთი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მართლზომიერად არის დასაქმებული,

⁵⁷ Judgment of the Court (Grand Chamber) 17 September 2007 In Case T-201/04, *Microsoft Corp., v Commission of the European Communities*.

⁵⁸ „ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების სავაჭრო ასპექტების შესახებ ხელშეკრულება“ დადებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში 1994 წელს.

⁵⁹ Judgment of the Court of 12. April 2005; *Igor Simutenkov v Ministerio de Educación y Cultura, Real Federación Española de Fútbol*; Case C-265/03.

სამუშაო პირობების, ანაზღაურების ან სამსახურიდან გათავისუფლების თვალსაზრისით ისე უნდა მოეპყრონ, რომ ამან არ გამოიწვიოს მოქალაქეობის საფუძველზე საკუთარ მოქალაქეებთან მიმართებით მისი დისკრიმინაცია.“

გაერთიანებასა და რუსეთს შორის გაფორმებული პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულების 23-ე მუხლის პირველი აბზაცის უშუალო მოქმედებასთან დაკავშირებით

20. გამომდინარე იქიდან, რომ გაერთიანებასა და რუსეთს შორის პარტნიორობის შესახებ დადებული შეთანხმების დებულებების ამ ხელშეკრულების მხარეების (შემდგომში: მხარეები) სამართლებრივ წესრიგებში მოქმედების საკითხი შეთანხმებით მონესრიგებული არ არის, ევროპულმა სასამართლომ ამ საკითხზე ისევე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, როგორც ყველა სხვა განსამარტ საკითხზე, რომელიც გაერთიანებაში ხელშეკრულების გამოყენებასთანაა დაკავშირებული (1999 წლის 23 ნოემბრის განაჩენი საქმეში C-149/96, *პორტუგალია საბჭოს წინააღმდეგ*, 1999 წლის კრებული, I-8395, 34-ე პუნქტი).

21. ევროპული სასამართლოს მუდმივი პრაქტიკის მიხედვით, გაერთიანებასა და მესამე სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულების დებულება უშუალოდ გამოიყენება, თუ ის მისი შინაარსის გათვალისწინებით და ხელშეკრულების მიზნისა და ბუნების თვალსაზრისით, ნათელ და ზუსტ ვალდებულებას შეიცავს, რომლის შესრულება და მოქმედება არ არის დამოკიდებული შემდგომი აქტის მიღებაზე (2001 წლის 27 სექტემბრის განაჩენი საქმეში C-63/99, *Gloszczuk*, 2001 წლის კრებული, I-6369, 30-ე პუნქტი, და 2003 წლის 8 მაისის განაჩენი საქმეში C-171/01, *Wählergruppe Gemeinsam*, 2003 წლის კრებული, I-4301, 54-ე პუნქტი).

22. გაერთიანებასა და რუსეთს შორის პარტნიორობის შესახებ დადებული ხელშეკრულების 23-ე მუხლის პირველი აბზაცის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ ეს დებულება ნათელ, ზუსტ, და არა რაიმე პირობებზე დამოკიდებულ, ფორმულირებას შეიცავს, რომელიც ყოველ წევრ სახელმწიფოს უკრძალავს, დაჩაგროს რუსეთის მოქალაქეები მათი მოქალაქეობის საფუძველზე ამ სახელმწიფოს მოქალაქეებთან მიმართებით სამუშაო პირობების, ანაზღაურებისა თუ სამსახურიდან გათავისუფლების თვალსაზრისით. მუშახელი, რომლის სასარგებლოდაც არის ეს დებულება, მოიცავს პირებს, რომლებიც ფლობენ რუსეთის მოქალაქეობას და წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე დასაქმებულები არიან მართლზომიერად.

23. ასეთი თანასწორობის მოთხოვნა ადგენს სრულიად განსაზღვრული შედეგის ვალდებულებას და თავისი არსით გამოდგება იმისათვის, რომ ერთეული დაეყრდნოს ეროვნულ სასამართლოში საკუთარი მოთხოვნის გასამყარებლად და ამ ნორმამ გამოუყენებლად დატოვოს დისკრიმინირებადი ნორმები, ისე, რომ საჭირო აღარ იყოს რაიმე აღმასრულებელი ღონისძიების მიღება (2002 წლის 22 იანვრის განაჩენი საქმეში C-162/00, *Pokrzepowicz-Meyer*, 2002 წლის კრებული, I-1049, 22-ე პუნქტი, და განაჩენი *Wählergruppe Gemeinsam*, 58-ე პუნქტი).

24. ეს განმარტება კითხვის ნიშნის ქვეშ არ ხვდება რუსეთსა და გაერთიანებას შორის პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულების 23-ე მუხლის პირველი აბზაცის ფორმულირებით „წევრ სახელმწიფოებში მოქმედი სამართლებრივი ნორმების, პირობებისა და პროცედურის დაურღვევლად“ და არც ხელშეკრულების 48-ე მუხლით. ეს დებულებები, კერძოდ, არ შეიძლება ისე განიმარტოს, რომ წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ, 23-ე მუხლის პირველი აბზაცით გათვალისწინებული დისკრიმინაციის აკრძალვის გამოყენება შეხედულების მიხედვით შეზღუდონ, რადგან ასეთი განმარტებით დასახლებული დებულება აზრს დაკარგავდა და პრაქტიკული ეფექტურობა აღარ ექნებოდა (განაჩენი *Pokrzepowicz-*

Meyer, 23-ე და 24-ე პუნქტები, ასევე 2003 წლის 8 მაისის განაჩენი საქმეში C-438/00, *Deutscher Handballbund*, 2003 წლის კრებული, I-4135, 29-ე პუნქტი).

25. გაერთიანებებსა და რუსეთს შორის დადებული პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულების 27-ე მუხლი ასევე არ ენიშნავს ამ ხელშეკრულების 23-ე მუხლის პირველი აბზაცის უშუალოდ მოქმედებას. ის გარემოება, რომ 27-ე მუხლი ითვალისწინებს 23-ე მუხლის აღსრულებას სათანამშრომლო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, არ ხდის ამ დებულების გამოყენებას მისი აღსრულებისა თუ მისი მოქმედებისას სხვა აქტის მიღებაზე დამოკიდებულს. ის როლი, რომელსაც 27-ე მუხლი ამ საბჭოს ანიჭებს, გამოიხატება იმით, რომ გაამარტივოს დისკრიმინაციის აკრძალვის რეგულირების დაცვა; თუმცა ის არ შეიძლება ისე იქნეს გაგებული, რომ თითქოსდა ზღუდავს ამ აკრძალვის უშუალო გამოყენებას (ამასთან მიმართებით იხილეთ 1991 წლის 31 იანვრის განაჩენი საქმეში C-18/90, *Kziber*, 1991 წლის კრებული, I-199, მე-19 პუნქტი, და 1999 წლის 4 მაისის განაჩენი საქმეში C-262/96, *Stürül*, 1999 წლის კრებული, I-2685, 66-ე პუნქტი).

26. დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ გაერთიანებებსა და რუსეთს შორის პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულების 23-ე მუხლის პირველ აბზაცში გამოხატული დისკრიმინაციის აკრძალვა უშუალოდ მოქმედებს, არ ენიშნავს ამ ხელშეკრულების საგანს და არც მის სამართლებრივ ბუნებას.

27. ხელშეკრულების პირველი მუხლის მიხედვით, ამ ხელშეკრულებით მხარეებს შორის უნდა დამყარდეს პარტნიორობა, რომლის მიზანია, სხვასთან ერთად, ხელი შეუწყოს მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობების განვითარებას, მათ შორის: ვაჭრობისა და ჰარმონიული ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისუფლებებს და რუსეთის ფედერაციასა და ევროპაში თანამშრომლობის უფრო დიდ სივრცეს შორის ეტაპობრივ ინტეგრაციას.

28. გარემოება, რომ ეს ხელშეკრულება შემოიფარგლება მხარეებს შორის პარტნიორობის დამყარებით, ისე, რომ არ ითვალისწინებს რუსეთის ფედერაციის ასოცირებასა და მის მომავალ შეერთებას ევროპულ გაერთიანებებთან, არ გამორიცხავს მისი ზოგიერთი დებულების უშუალო გამოყენებას. ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარეობს, რომ, როდესაც ხელშეკრულება მხარეებს შორის თანამშრომლობას ამყარებს, მასში არსებულ გარკვეულ დებულებებს ამ განაჩენის 21-ე პუნქტით დასახელებული წინაპირობების არსებობისას შეუძლია უშუალოდ დაარეგულიროს ერთეულების სამართლებრივი მდგომარეობა (შეადარეთ განაჩენი *Kziber*, 21-ე პუნქტი; 1998 წლის 15 იანვრის განაჩენი საქმეში C-113/97, *Babahenini*, 1998 წლის კრებული, I-183, მე-17 პუნქტი, და 1998 წლის 16 ივნისის განაჩენი საქმეში C-162/96, *Racke*, 1998 წლის კრებული, I-3655, 34-ე-36-ე პუნქტები).

29. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა დადგინდეს, რომ გაერთიანებებსა და რუსეთს შორის პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულების 23-ე მუხლის პირველი აბზაცი უშუალოდ გამოიყენება, ისე, რომ ერთეულებს, რომლებსაც ის შეეხება, უფლება აქვთ, ნევრი სახელმწიფოების სასამართლოებში დაეყრდნონ მას.

3. მეორადი სამართალი

ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 249-ე მუხლის მიხედვით, ერთობლივად ევროპული პარლამენტი და საბჭო, ცალკე საბჭო და ცალკე კომისია გამოსცემენ რეგულაციებს, დირექტივებსა და გადაწყვეტილებებს, იძლევიან რეკომენდაციებს ან იღებენ პოზიციებს.

ა) რეგულაციები

საქმე *Variola*⁶⁰:

საქმის ფაბულა: იტალიამ საბჭოს მიერ გამოცემული ორი რეგულაციის ფარგლებში, რომლებიც შეეხებოდა მესამე სახელმწიფოებიდან იმპორტზე ბაჟისა და ანალოგიური მოქმედების გადასახადებს, შიდასახელმწიფოებრივ სამართალში ტრანსფორმაცია მოახდინა. იტალიამ კანონით დაანესა გადასახადი მარცვლეულზე და დასახელებული რეგულაციების ძალაში შესვლა ცალმხრივად გარკვეული დროით გადადო. მას შემდეგ, რაც ფირმა „Variola“-მ არგენტინიდან იტალიაში შემოიტანა მარცვლეული და, სხვასთან ერთად, დასახელებული გადასახადი იტალიის საბაჟო სამსახურში გადაიხადა, იჩივლა იტალიის კომპეტენტურ სასამართლოში გადასახადების უკან დაბრუნების მოთხოვნით, იმ არგუმენტაციით, რომ მისი აკრეფა რეგულაციების უშუალოდ მოქმედების წესს ეწინააღმდეგებოდა. საქმე მივიდა ევროპული სასამართლოსათვის წინასწარი გადაწყვეტილების შუამდგომლობით გადაგზავნამდე 177-ე მუხლის საფუძველზე:

8. ხელშეკრულების 189-ე მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით, რეგულაცია „მოქმედებს საყოველთაოდ“ და „უშუალოდ ყოველ წევრ სახელმწიფოში“. უკვე თავისი სამართლებრივი ბუნებითა და ფუნქციით გაერთიანების სამართლის წყაროების სისტემაში ის უშუალოდ მოქმედებს და გამოდგება იმისათვის, რომ ერთეულებისათვის წარმოშვას უფლებები, რომელთა დაცვის ვალდებულება ეროვნულ სასამართლოებს ეკისრებათ. (...)

10. უშუალო მოქმედების წინაპირობაა, რომ რეგულაცია ძალაში შედის და სამართალსუბიექტების სასარგებლოდ მოქმედებს ან მათთვის ვალდებულებებს წარმოშობს, ისე, რომ ის ამისათვის ეროვნულ სამართალში საიმპლემენტაციო რაიმე ღონისძიებას არ საჭიროებს. ხელშეკრულებიდან გამომდინარე რატიფიცირებისას ნაკისრი ვალდებულებების საფუძველზე წევრ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ არ დაუშვან უშუალო მოქმედება, რომელიც რეგულაციებსა და გაერთიანების სამართლის სხვა ნორმებს აქვთ, ამ ვალდებულების კეთილსინდისიერად დაცვა მთელ გაერთიანებაში რეგულაციების ერთდროულად და ერთიანად გამოყენების აუცილებელი წინაპირობაა.

11. წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა მიიღონ განსაკუთრებით ისეთი ღონისძიებები, რომლებიც გამოდგებიან იმისათვის, რომ ევროპული სასამართლოს კომპეტენცია შეკვეცონ გაერთიანების სამართლის განმარტებისა თუ გაერთიანების ორგანოების მიერ განხორციელებული ქმედებების მოქმედების საკითხებზე. შესაბამისად, დაუშვებელია პრაქტიკა, რომლითაც ნორმების გაერთიანების სამართლებრივი ნორმის ბუნება ადრესატებისთვის გაუგებარი დარჩება. ევროპული სასამართლოს კომპეტენცია, სახელდობრ 177-ე მუხლისც საფუძველზე, არ მცირდება, ეროვნული კანონით გაერთიანების სამართლის ნორმების შიდასახელმწიფოებრივ სამართალში ტრანსფორმირების მცდელობების დაურღვევლად. (...)

⁶⁰ Judgment of the Court of 10 October 1973; Fratelli Variola S.p.A. v Amministrazione italiana delle Finanze; Case 34-73; European Court reports 1973 Page 00981.

15. ნევრი სახელმწიფოების სამართლებრივ წესრიგში უშუალო მოქმედებას, რომელიც გაერთიანების რეგულაციებსა და გაერთიანების სამართლის სხვა ნორმებს აქვთ, როგორცაა, მაგალითად, ხელშეკრულების მე-9 მუხლი – ბაჟის ანალოგიური მოქმედების გადასახადების აკრძალვა და შემდგომი მუხლები – არ შეუძლიათ, წინ აღუდგნენ სასამართლოებს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმებით, ისე, რომ არ შეეხონ გაერთიანების სამართლის ნორმების არსებით საფუძველს და ასევე გაერთიანების სამართლებრივი წესრიგის უპირატესი იურიდიული ძალის ძირითად პრინციპს. ეს განსაკუთრებით მოქმედებს იმ დროისათვის, როცა გაერთიანების ნორმები ძალაში შევიდა და ერთეულთა უფლებები წარმოშვა. რადგან გაერთიანების სამართლის ერთიანი და ერთდროული გამოყენება მთელ გაერთიანებაში გარანტირებულ უნდა იქნეს, ნევრ სახელმწიფოებს არ აქვთ უფლება, მათთვის აშკარად გაცემული ნებართვის გარეშე გაერთიანების ნორმების ძალაში შესვლის თარიღი გადაწიონ.

საქმე *Leonesio*⁶¹:

19. ამ დროის შემდეგ (რეგულაციით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ) წარმოშობენ აღნიშნული რეგულაციები ერთეული ფერმერებისათვის უფლებას, მოითხოვონ პრემიის გადახდა, ისე, რომ შესაბამისი ნევრ სახელმწიფოს არ შეუძლია, თავისი სამართლებრივი ნორმებისა და თავისი ადმინისტრაციული პრაქტიკიდან გამომდინარე, ამ გადახდის ვალდებულების საწინააღმდეგო არგუმენტების დაყენება. (...)

20. იტალიის მთავრობა ასაჩივრებს, რომ შესაბამისი რეგულაციები არ იძლეოდა პრემიის გადახდისათვის არანაირი პრეტენზიის საფუძველს მანამ, სანამ სახელმწიფოებრივი კანონმდებელი აუცილებელ მეთოდებს ამისათვის არ მიიღებდა.

21/23. (...) თუ იტალიის რესპუბლიკის საწინააღმდეგო არგუმენტი მისაღები იქნებოდა, მაშინ იტალიის ფერმერები სხვა ნევრი სახელმწიფოების ფერმერებთან შედარებით არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ; ამით დაირღვეოდა ფუნდამენტური სამართლებრივი ნორმა, რომელიც მოითხოვს რეგულაციების ერთიან გამოყენებას მთელ გაერთიანებაში. (...) გაერთიანების რეგულაციებს ყველა ნევრი სახელმწიფოს ერთეულებისათვის ერთნაირი მოქმედების ძალა უნდა ჰქონდეთ, რის გამოც ხდებოდა ისინი შიდასახელმწიფო სფეროში გამოყენებადი სამართლებრივი სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომელთა 189-ე მუხლით (ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 249-ე მუხლით) გათვალისწინებული უშუალო მოქმედება იმგვარად უნდა განხორციელდეს, რომ ერთეულებმა შეძლონ გაერთიანების რეგულაციებზე დაყრდნობა, რათა შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი წესრიგის ნორმები და პრაქტიკები მათ საწინააღმდეგო ვერ იქნეს გამოყენებული. (...)

საქმე *Hauptzollamt Hamburg*⁶²:

4. რადგან რეგულაცია (...) ხელშეკრულების 189-ე მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით ყველა ნევრ სახელმწიფოში უშუალოდ მოქმედებს, მათ (სახელმწიფოებს) (...) უფლება არ აქვთ, რეგულაციის განხორციელებისათვის გაატარონ ღონისძიებები, რომელთა მიზანია (ამ რეგულაციის) დებულებების შევსება ან მათი მოქმედების ფარგლების შეცვლა. რამდენადაც ნევრმა სახელმწიფოებმა საკანონმდებლო უფლებამოსილებები (...) გადასცეს გაერთიანებას საერთო აგრარული ბაზრის სწორი ფუნქციონირების უზ-

⁶¹ Judgment of the Court of 17 May 1972; Orsolina Leonesio v Ministero dell'agricoltura e foreste; Case 93-71; European Court reports 1972 Page 00287.

⁶² Judgment of the Court of 18 February 1970; Hauptzollamt Hamburg-Oberelbe v Firma Paul G. Bollmann; Case 40-69; European Court reports 1970 Page 00069.

რუნველსაყოფად, ამდენად არ არიან ისინი უფლებამოსილნი, მიიღონ ამ სფეროში ნორმატიული დებულებები.

5. აქედან გამომდინარე, (წვერი სახელმწიფოები ვალდებული არიან), უნდა გააკეთონ ყველაფერი აუცილებელი, რათა აღმოფხვრან ის დაბრკოლებები, რომლებიც რეგულაციის გამოყენებისას (...) შეიძლება წარმოიშვას მათი კანონმდებლობის გამო. ამდენად, წვერი სახელმწიფოებს არ აქვთ შესაძლებლობა, გამოსცენ ნორმები, რომლებიც ექცევიან რეგულაციის მოქმედების სფეროში.

საქმე *Zerbone*⁶³:

22/27. გაერთიანების რეგულაცია სავალდებულოა ყველა მის ნაწილში და უშუალოდ მოქმედებს ყოველ წვერი სახელმწიფოში, როგორც ეს (ევროპულმა) სასამართლომ უკვე სხვა კონტექსტში, განსაკუთრებით 1973 წლის 10 ოქტომბრის განაჩენში (*Variola*, საქმე 34/73, 1973 წლის კრებული, 981) აღნიშნა, უშუალო მოქმედების წინაპირობაა ის, რომ რეგულაცია ძალაში შედის და სამართლებრივი სუბიექტების სასარგებლოდ მოქმედებს ან მათთვის ვალდებულებებს წარმოშობს ისე, რომ არ საჭიროებს ეროვნულ სამართალში ჩართვისათვის რაიმე ღონისძიებების მიღებას. წვერმა სახელმწიფოებმა, მათზე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებებიდან გამომდინარე, არ უნდა ჩაშალონ რეგულაციებისა და გაერთიანების სამართლის სხვა ნორმების უშუალო მოქმედება. ამ მოვალეობის კეთილსინდისიერი დაცვა მთელ გაერთიანებაში გაერთიანების რეგულაციების თანადროული და ერთიანი გამოყენების წინაპირობაა. გარდა ამისა, წვერმა სახელმწიფოებმა არ უნდა გაატარონ ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ერთეულებს დაუშლავს გაერთიანების სამართლებრივი ნორმის ბუნებასა და მის მოქმედებას, ასევე არ უნდა მისცენ მათ ასეთი ღონისძიების გატარების უფლება საკანონმდებლო უფლებამოსილებით აღჭურვილ შიდასახელმწიფოებრივ უწყებებს. მაშინაც კი, როდესაც ცალკეული სახელმწიფოებრივი ადმინისტრაცია განმარტების სიძნელისას მიიჩნევს, რომ იძულებულია, გაერთიანების რეგულაციის აღსრულებისათვის გაატაროს ღონისძიებები და აღმოფხვრას ამ შემთხვევაში წარმოქმნილი ეჭვი, მას ამის გაკეთების უფლება აქვს მხოლოდ გაერთიანების დებულებათა დაცვით, და ისე, რომ ეს ცალკეული სახელმწიფოებრივი დანებებულებები ვერ დაადგენენ სავალდებულო მოქმედების განმარტებით წესებს.

საქმე *Commission v. Kingdom of the Netherlands*⁶⁴:

თეზისი 2. ის გარემოება, რომ საჯარო მოხელის სტატუტი რეგულაციის მსგავსი მოქმედებით ყველა წვერი სახელმწიფოში უშუალოდ მოქმედებს და სამართლის სუბიექტებს აქვთ მინიმალური გარანტია იმით, რომ შეუძლიათ დაეყრდნონ სტატუტს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოებში, ვერ გაათავისუფლებს წვერი სახელმწიფოებს ვალდებულებისაგან, გამოუშვან საჭირო შიდასახელმწიფოებრივი ღონისძიებები, რათა, როდესაც ეს აუცილებელია, უზრუნველყონ სტატუტის შეუზღუდავი გამოყენება.

საქმე *Commission v. Ireland*⁶⁵:

45/51. რეგულაციის გეოგრაფიული გამოყენების სფეროს დასადგენად (...) მისი დებულებები, სამართლებრივი ფარგლების გათვალისწინებით, რომელშიც რეგულაციაა

⁶³ Judgment of the Court of 31 January 1978; *Fratelli Zerbone Snc v Amministrazione delle finanze dello Stato*; Case 94/77; European Court reports 1978 Page 00099.

⁶⁴ Judgment of the Court of 20 March 1986; *Commission of the European Communities v Kingdom of the Netherlands*; Case 72/85; European Court reports 1986 Page 01219.

⁶⁵ Judgment of the Court of 16 February 1978; *Commission of the European Communities v Ireland*; Sea fisheries; Case 61/77; European Court reports 1978 Page 00417.

მიღებული, ასევე მისი მიზნის მიხედვით უნდა განიმარტოს. რეგულაციებს, როგორც ხელშეკრულების საფუძველზე ორგანოების მიერ მიღებულ ზომებს, ძირითადად აქვთ ანალოგიური გეოგრაფიული გამოყენების სფერო, თავად ხელშეკრულების მსგავსად.

ბ) დირექტივა:

საქმე *Marleasing SA*⁶⁶:

8. როგორც ეს ევროპულმა სასამართლომ 1984 წლის 10 აპრილის საქმეში 14/83 (*Von Colson und Kamann*, 1984 წლის კრებული, 1891, 26-ე პუნქტი) გადანყვიტა, დირექტივით ნევრ სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება, მიაღწიონ ამ დირექტივით გათვალისწინებულ მიზანს, ასევე, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად, ნევრი სახელმწიფოები, ნებისმიერი საჯარო უწყება და მათი უფლებამოსილების ფარგლებში სასამართლოები მოვალენი არიან, ამ ვალდებულის შესრულებისათვის გაატარონ ზოგადი თუ განსაკუთრებული სახის ნებისმიერი გამოსადეგი ღონისძიება. აქედან გამომდინარეობს, რომ ეროვნულ სასამართლოს თუ უწევს ეროვნული სამართლის განმარტება, — სულ ერთია, არის ის დირექტივამდე თუ დირექტივის შემდეგ მიღებული, — მან შეძლებისდაგვარად დირექტივის მიზანთან და შინაარსთან ახლოს უნდა განმარტოს იგი, რათა მიაღწიოს დირექტივით დასახულ მიზანს და შეასრულოს ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 189-ე მუხლის მე-3 აბზაცის მოთხოვნა.

საქმე *Fratelli Costanzo SpA*⁶⁷:

31. ამასთან, ურთიერთსაპირისპირო ხასიათი ექნებოდა ისეთ გადაწყვეტილებას, რომ, ერთი მხრივ, ერთეულებს, რომლებიც ამის წინაპირობებს ასრულებენ, შეძლებოდათ ეროვნული სასამართლოების წინაშე დირექტივის დებულებებზე დაყრდნობა ადმინისტრაციის ქმედების გაპროტესტების მიზნით, ხოლო მეორე მხრივ, მიგველო მოსაზრება, რომ დირექტივის დებულებების დაცვის მიზნით ადმინისტრაცია არ არის ვალდებული, დირექტივასთან წინააღმდეგობრივი ეროვნული სამართლის დებულებები არ გამოიყენოს. თუ ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი წინაპირობები დაკმაყოფილებულია და ერთეულებს შეუძლიათ დირექტივებზე დაყრდნობა ეროვნული სასამართლოების წინაშე, ადმინისტრაციის ყველა სუბიექტი, თემებისა და სხვა ადმინისტრაციული ერთეულების ჩათვლით, ვალდებულია, გამოიყენოს ეს დებულებები.

(1) დირექტივის შიდასახელმწიფოებრივ სამართალთან იმპლემენტაცია

საქმე *Kommission v Italian*⁶⁸:

ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 189-ე მუხლის მე-3 აბზაციდან გამომდინარეობს, რომ დირექტივის იმპლემენტაცია შიდასახელმწიფოებრივ სამართალში უცილობლად არ მოითხოვს, მისი დებულებები ფორმალურად და სიტყვიერად იყოს გადმოცემული განსაკუთრებულ საკანონმდებლო ნორმაში; დირექტივის შინაარსის მიხედვით, შესაძლოა საკმარისი იყოს ზოგადი სამართლებრივი ჩარჩო, თუ ის

⁶⁶ Judgment of the Court of 13 November 1990; *Marleasing SA v La Comercial Internacional de Alimentacion SA.*; Case C-106/89; European Court reports 1990 Page I-04135.

⁶⁷ Judgment of the Court of 22 June 1989; *Fratelli Costanzo SpA v Comune di Milano*; Case 103/88; European Court reports 1989 Page 01839.

⁶⁸ Judgment of the Court of 9 April 1987; *Commission of the European Communities v Italian Republic*; Case 363/85; European Court reports 1987 Page 01733.

ფაქტობრივად დირექტივის სრულყოფილ გამოყენებას საკმარისად განსაზღვრულად და ნათლად უზრუნველყოფს (...).

საქმე *Commission v Germany*⁶⁹:

თეზისი 1. როგორც ეს ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 189-ე მუხლის მე-3 აბზაციდან გამომდინარეობს, დირექტივის იმპლემენტაცია წევრ სახელმწიფოში არ მოითხოვს კანონმდებლის უცილობელ საქმიანობას. სახელდობრ, შესაძლებელია, ზოგადად საკონსტიტუციო და ადმინისტრაციულსამართლებრივმა საფუძვლებმა განსაკუთრებული სამართლებრივი თუ ადმინისტრაციული ნორმებით იმპლემენტაცია ზედმეტი გახადოს. თუმცა ეს წესი არსებობს მაშინ, როდესაც ასეთი საფუძვლები ფაქტობრივად უზრუნველყოფს ეროვნული დაწესებულებების მიერ დირექტივის სრულყოფილ გამოყენებას და რომ ამ საფუძვლებიდან გამომდინარე სამართლებრივი მდგომარეობა, დირექტივაში ერთეულების უფლებების არსებობისას, საკმარისად ზუსტი და ნათელია და მოსარგებლეებს შესაძლებლობა ექნებათ, იცოდნენ თავიანთი უფლებების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში გაასაჩივრონ ისინი ეროვნულ სასამართლოებში.

საქმე *Commission v. Italian Republic*⁷⁰:

10. (...) არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ წევრმა სახელმწიფომ დირექტივიდან გამომდინარე ვალდებულება შეასრულა მასში ჩადებული მოთხოვნების მხოლოდ პრაქტიკაში გატარებით. გამომდინარე იქიდან, რომ ყოველმა წევრმა სახელმწიფომ შესაბამისი დირექტივა ისე უნდა აღასრულოს, როგორც დირექტივაში მიზნად დასახული სამართლებრივი მდგომარეობის ერთმნიშვნელოვნებისა და სიზუსტის მოთხოვნებს სრულყოფილად შეესაბამება (...). ამიტომ მხოლოდ ადმინისტრაციული პრაქტიკა, რომელიც ადმინისტრაციას შეუძლია სურვილის მიხედვით შეცვალოს და რომელიც მხოლოდ არასაკმარისადაა ცნობილი, არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც ვალდებულების სამართლებრივად ეფექტური აღსრულება, რომელსაც ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 189-ე მუხლის მე-3 აბზაცი დირექტივების ადრესატ წევრ სახელმწიფოებს აკისრებს.

ანალოგიური მოსაზრებაა გამოთქმული საქმეში – *Commission v. Kingdom of Belgium*⁷¹:

ყოველმა წევრმა სახელმწიფომ ისე უნდა შეასრულოს დირექტივა, როგორც ეს სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნას სრულად შეესაბამება და შედეგად დირექტივის დებულებების იმპლემენტაცია უნდა მოახდინოს იმპერატიულ ეროვნულ დებულებებში. წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია, სამართლებრივად ეფექტურად შეასრულოს თავისი დირექტივიდან გამომდინარე ვალდებულებები უბრალო ცირკულარული წერილის გამოშვებით, რომელს შეცვლაც ადმინისტრაციას სურვილის მიხედვით შეუძლია.

საქმე *Commission v. Germany*⁷²:

20. (...) გერმანია და კომისია, კერძოდ, დავობენ იმაზე, რამდენად აქვთ იმპერატიული ხასიათი ადმინისტრაციულ-ტექნიკურ დებულებებს გერმანულ მეცნიერებასა და პრაქტიკაში. კომისიამ მიუთითა სასამართლო პრაქტიკაზე, რომლის მიხედვითაც, აღ-

⁶⁹ Judgment of the Court of 23 May 1985; Commission of the European Communities v Federal Republic of Germany; Case 29/84; European Court reports 1985 Page 0166.

⁷⁰ Judgment of the Court of 1 March 1983; Commission of the European Communities v Italian Republic; Case 300/81; European Court reports 1983 Page 00449.

⁷¹ Judgment of the Court of 2 December 1986; Commission of the European Communities v Kingdom of Belgium; Case 239/85; European Court reports 1986 Page 03645.

⁷² Judgment of the Court of 30 May 1991; Commission of the European Communities v Federal Republic of Germany, Case C-361/88; European Court reports 1991 Page I-02567.

მინისტრაციულ-ტექნიკური დებულებების იმპერატიული ხასიათი, განსაკუთრებით კი საგადასახადო სამართლის სფეროში, არ არსებობს; გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ კი, თავის მხრივ, სასამართლო პრაქტიკა მოიყვანა მაგალითად, რომლის მიხედვითაც, ასეთი ხასიათი ბირთვული ენერჯის სფეროში აღიარებულია. გასათვალისწინებელია, რომ გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჰაერის სისუფთავის დაცვის ინსტრუქციის ფარგლებში მიღებული არცერთი ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილება არ მოიყვანა მაგალითად, რომლის მიხედვითაც, ამ ადმინისტრაციულ ნორმას, გარდა ადმინისტრაციისათვის სავალდებულოობისა, მესამე პირების მიმართ ექნებოდა უშუალო მოქმედება. ამდენად, არ შეიძლება ითქვას, რომ ერთეულებს შეუძლიათ, ნათელი წარმოდგენა ჰქონდეთ თავისი უფლებების მოცულობაზე, რათა ეროვნული სასამართლოების წინაშე გაასაჩივრონ ისინი (...).

21. ამგვარად, არ დასტურდება, რომ (სადავო) დირექტივის მე-2 მუხლის პირველი აბზაცის იმპლემენტაცია უდავო ვალდებულებითა და კონკრეტულობით ზუსტად და ნათლად მოხდა, რაც ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით აუცილებელია, რათა შეესაბამებოდნენ სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნებს.

(i) იმპლემენტაცია ვადების დაცვით

საქმე *Inter-Environnement Wallonie ASBL v. Région wallonne*⁷³:

40. უპირველეს ყოვლისა, ხელშეკრულების 189-ე მუხლის მე-3 აბზაცით და თვით დირექტივით დაკისრებული იძულებითი ვალდებულებაა ნევრი სახელმწიფოს ვალდებულება, დირექტივით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა.

საქმე *Commission v. Italian Republic*⁷⁴:

7. (...) დირექტივის კეთილსინდისიერი აღსრულება სწორედ იმიტომ არის ასე მნიშვნელოვანი, რომ აღმასრულებელი ღონისძიებები ექვემდებარება ნევრი სახელმწიფოების შეხედულებას იმ პირობით, რომ, თუ (დირექტივით) დასახული მიზნები დადგენილ ვადებში არ მიიღწევა, ეს სამართლებრივი ღონისძიებები არ იმოქმედებენ. ვინაიდან დირექტივის დებულებებს არანაკლები იძულებითი მოქმედება აქვთ ადრესატ ნევრ სახელმწიფოსთან მიმართებით, ვიდრე გაერთიანების სამართლის სხვა დებულებებს, ასეთი მოქმედება იმ დებულებებსაც აქვთ, რომლებიც გათვალისწინებული (აღმასრულებელი) ღონისძიებების გატარების ვადებს ადგენენ.

საქმე *Commission v. Italian Republic*⁷⁵:

11/13. ნევრ სახელმწიფოს არ შეუძლია დაეყრდნოს სხვა ნევრი სახელმწიფოების მიერ დირექტივით დადგენილი ვალდებულების დაგვიანებით შესრულებას საკუთარი ვალდებულებების, თუნდაც დროებითი, შეუსრულებლობის გასამართლებლად. ხელშეკრულებამ თავის სამართალს დაქვემდებარებულ სხვადასხვა სამართალსუბიექტს შორის შექმნა არა მარტო ურთიერთსანაცვლო ვალდებულებები, არამედ შექმნა ახალი სამართ-

⁷³ Judgment of the Court of 18 December 1997; *Inter-Environnement Wallonie ASBL v Région wallonne*; Case C-129/96; European Court reports 1997 Page I-07411.

⁷⁴ Judgment of the Court of 21 June 1973; *Commission of the European Communities v Italian Republic*; *Forest reproductive material*; Case 79-72; European Court reports 1973 Page 00667.

⁷⁵ Judgment of the Court of 26 February 1976; *Commission of the European Communities v Italian Republic*; Case 52-75; European Court reports 1976 Page 00277.

ლებრივი წესრიგი, რომლითაც დაადგინა სამართალსუბიექტთა უფლებამოსილებები, უფლებები, ვალდებულებები, ასევე განსაზღვრა სხვა სამართალდარღვევათა გამოვლენისა და სანქციონირებისათვის აუცილებელი პროცედურები. თუ ვადა, რომლის განმავლობაშიც დირექტივა უნდა აღსრულდეს, ძალზე ხანმოკლეა, მაშინ, გაერთიანების სამართლის მიხედვით, წევრ სახელმწიფოს მხოლოდ ერთი შესაძლებლობა აქვს – გადადგას გაერთიანების დონეზე შესაბამისი ნაბიჯები, რათა გაერთიანების კომპეტენტურ ორგანოებს ვადის საჭირო გახანგრძლივებაზე მიუთითოს (...).

14. საბოლოოდ უნდა მიეთითოს იმაზე, რომ წევრ სახელმწიფოებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმის მიუხედავად, თუ რომელმა სახელმწიფო ორგანომ გამოიწვია საკუთარი ქმედებით (ამ ვალდებულების) დარღვევა, და რომ წევრ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ დაეყრდნონ შიდასახელმწიფოებრივი სამართლის დებულებებს, ჩვეულებებსა და გარემოებებს, მათ მიერ გაერთიანების დირექტივებით დადგენილი ვალდებულებებისა და ვადების დაუცველობის გასამართლებლად.

საქმე *Commission v. Kingdom of the Netherlands*⁷⁶:

12/14. (...) არგუმენტი იმის შესახებ, რომ ამ დირექტივის გამოუყენებლობას უარყოფითად არ უმოქმედია საერთო ბაზრის ფუნქციონირებაზე, ამ დირექტივით დასახული მიზნის მიხედვით უარყოფილ უნდა იქნეს. ნიდერლანდების სამეფომ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულება დაარღვია, როდესაც არ მოახდინა დირექტივის აღსრულებისათვის აუცილებელი დებულებების გათვალისწინებულ ვადებში ძალაში შეყვანა.

(ii) წევრი სახელმწიფოების ვალდებულება საიმპლემენტაციო ვადის ამონურვამდე:

საქმე *Inter-Environnement Wallonie ASBL v. Région wallonne*⁷⁷:

45. წევრი სახელმწიფოები, მართალია, არ არიან ვალდებულნი, ეს ღონისძიებები (იგულისხმება საიმპლემენტაციო ღონისძიებები) საიმპლემენტაციო ვადის გასვლამდე გაატარონ, (...) თუმცა ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-2 აბზაციდან და 189-ე მუხლის მე-3 აბზაცთან კავშირში და თვით დირექტივიდან გამომდინარეობს, რომ მათ ამ ვადაში არ უნდა მიიღონ ისეთი დებულებები, რომლებიც სერიოზულად დააყენებდა კითხვის ნიშნის ქვეშ ამ დირექტივით გათვალისწინებულ მიზანს.
(...)

48. თუ შესაბამისი ნორმები, მაგალითად, დირექტივის როგორც საბოლოო და სრულყოფილი იმპლემენტაციაა, მაშინ ის გარემოება, რომ ისინი მას არ შეესაბამებიან, შესაძლებელია იძლეოდეს ვარაუდის საფუძველს, რომ დირექტივით გათვალისწინებული მიზანი არ შეიძლება მიღწეულ იქნეს ვადის დაცვით, თუ არ არის შესაძლებელი ამ დებულებათა დროული ცვლილება.

საქმე *Criminal proceedings against Kolpinghuis Nijmegen BV*⁷⁸:

საქმის ფაბულა: ნიდერლანდების პროკურატურამ საქონლის ინსპექციის სამსახურის საზედამხედველო ოქმის საფუძველზე, „*Kolpinghuis Nijmegen BV*“-ს დააკისრა ჯარიმა,

⁷⁶ Judgment of the Court of 11 April 1978; *Commission of the European Communities v Kingdom of the Netherlands; Metrology*; Case 95/77; European Court reports 1978 Page 00863.

⁷⁷ იხ. სქოლიო 73.

⁷⁸ Judgment of the Court (Sixth Chamber) of 8 October 1987; *Criminal proceedings against Kolpinghuis Nijmegen BV*; Case 80/86; European Court reports 1987 Page 03969.

რადგან ის თავისი მინერალური წყლის დასახელებით ჰყიდდა და რეზერვად ინახავდა ნახშირორჟანგით გაზავებულ ჩვეულებრივ ონკანის წყალს, რაც ნიდერლანდურ სამართლებრივ ნორმებსა და შესაბამის ევროპული გაერთიანების დირექტივას ეწინააღმდეგებოდა. დირექტივა გამოშვებული იყო 1980 წლის 15 ივლისს და ნევრ სახელმწიფოებს ეცნობათ 1980 წლის 17 ივლისს, ის ყველაზე გვიან, ოთხი წლის შემდეგ (1984 წლის 17 ივლისამდე) უნდა იმპლემენტირებულიყო შიდასახელმწიფოებრივ სამართალში; ნიდერლანდებში კი მისი იმპლემენტაცია, ფაქტობრივად 1985 წლის 8 აგვისტოს მოხდა. საქონლის ინსპექციის სამსახურის ოქმი შედგენილი იყო 1984 წლის 7 აგვისტოს, ანუ მანამ, სანამ ნიდერლანდების მიერ იქნებოდა აღნიშნული დირექტივა იმპლემენტირებული. ეროვნულმა სასამართლომ წარმოადგინა კითხვები: მესამე კითხვა შეეხებოდა იმას, უნდა ეხელმძღვანელა თუ შეეძლო ეხელმძღვანელა ეროვნულ სასამართლოს შიდასახელმწიფო სამართლებრივი ნორმის განმარტებისას მოქმედი დირექტივის შინაარსით; მეოთხე კითხვის მიხედვით, მესამე კითხვაზე პასუხის გასაცემად – მნიშვნელობა აქვს თუ არა ამ შემთხვევაში იმას, რომ დირექტივის საიმპლემენტაციო ვადა იმ დროისათვის (1984 წლის 7 აგვისტოსათვის) არ იყო ამოწურული.

11. მესამე კითხვა შეეხება იმას, რამდენად უნდა გაითვალისწინოს, ან შეუძლია გაითვალისწინოს, შიდასახელმწიფოებრივმა სასამართლომ შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმის განმარტებისას დირექტივის შინაარსი.

12. როგორც ეს ევროპულმა სასამართლომ 1984 წლის 10 აპრილის განაჩენში საქმეში 14/83 (*Von Colson and Kamann*, 1984 წლის კრებული, 1891) დაადგინა, ნევრ სახელმწიფოებს აკისრიათ დირექტივიდან გამომდინარე ვალდებულება, მიაღწიონ მასში გათვალისწინებულ მიზანს, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-5 მუხლის მიხედვით ასევე ნევრი სახელმწიფოების, საჯარო უწყებებისა და საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში სასამართლოების მოვალეობაა, ამ ვალდებულების შესასრულებლად მიიღონ ყველა საჭირო ზოგადი თუ კონკრეტული ხასიათის ზომა. აქედან გამომდინარეობს, რომ ეროვნული სასამართლო ვალდებულია, ეროვნული სამართლის გამოყენებისას, განსაკუთრებით კი დირექტივის აღსრულებისათვის მიღებული სპეციალური კანონის დებულებების გამოყენებისას, განმარტოს ეროვნული სამართალი დირექტივის შინაარსისა და მიზნის გათვალისწინებით, რათა მიაღწიოს 189-ე მუხლის მე-3 აბზაცში დასახელებულ მიზანს.

13. შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს ვალდებულება, დაეყრდნოს ეროვნული სამართლის შესაბამისი დებულებების განმარტებისას დირექტივის შინაარსს, საზღვრებს პოულობს საყოველთაო სამართლებრივ პრინციპებში, რომელიც გაერთიანების სამართლის ნაწილია, განსაკუთრებით, სამართლებრივი უსაფრთხოებისა და უკუქცევის აკრძალვის პრინციპებში. ამგვარად, ევროპულმა სასამართლომ 1987 წლის 11 ივნისის განაჩენში საქმეში 14/86 (*Pretore von Salo*, 1987 წლის კრებული, 2545) სწორად აღნიშნა, რომ ნევრი სახელმწიფოს მიერ გამოცემული შიდასახელმწიფოებრივი საიმპლემენტაციო სამართლებრივი ნორმების გარეშე დირექტივას არ შეუძლია იმოქმედოს თავისთავად, დაადგინოს ან გაამკაცროს მისი დებულებების დამრღვევის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

14. მესამე შეკითხვაზე პასუხი უნდა გაეცეს, რომ ნევრი სახელმწიფოს სასამართლომ შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმები განმარტოს დირექტივის შინაარსისა და მიზნის გათვალისწინებით, რათა ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 189-ე მუხლის მე-3 აბზაცში დასახელებულ მიზანს მიაღწიოს, რადგან დირექტივა ნევრი სახელმწიფოს საიმპლემენტაციო სამართლებრივი ნორმების გარეშე ვერ იმოქმედებს, ვერ დაადგენს და ვერ გაამკაცრებს იმათ სისხლისსამართლებრივ

პასუხისმგებლობას, რომლებიც დირექტივის დებულებებს არღვევენ.

მეოთხე შეკითხვასთან დაკავშირებით

15. შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, შეიძლება თუ არა დირექტივის დებულებებზე შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს წინაშე დაყრდნობა, მხოლოდ მაშინ ისმება, როცა შესაბამისმა წევრმა სახელმწიფომ დირექტივა ვადების დაუცველად ან შიდასახელმწიფოებრივ სამართალში მხოლოდ არასაკმარისად ჩართო. ამაზე პასუხის გასაცემად მნიშვნელობა არ აქვს, იყო თუ არა ამონურული წევრ სახელმწიფოში საიმპლემენტაციო ვადა იმ კონკრეტული დროისათვის. რაც შეეხება მესამე კითხვას, რომელიც შეეხება შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს ვალდებულების ან შესაძლებლობის ფარგლებს, განმარტოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმები დირექტივის გათვალისწინებით, პასუხი უნდა გაეცეს, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა არ აქვს, საიმპლემენტაციო ვადა არის თუ არა ამონურული.

16. მეოთხე შეკითხვას აქედან გამომდინარე უნდა ვუპასუხოთ, რომ წინამდებარე პასუხებისათვის სულ ერთია, იყო თუ არა წევრი სახელმწიფოსათვის დირექტივის საიმპლემენტაციო ვადა იმ დროისათვის ამონურული.

(iii) ვალდებულებები საიმპლემენტაციო ვადის ამონურვის შემდეგ

საქმე *Sabine von Colson and Elisabeth Kamann*⁷⁹:

(...) დირექტივიდან გამომდინარე, წევრი სახელმწიფოს ვალდებულებაა, მიაღწიოს მასში გათვალისწინებულ მიზანს, ასევე წევრი სახელმწიფოების, საჯარო უწყებებისა და კომპეტენციების ფარგლებში, ასევე სასამართლოების მოვალეობაა ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-5 მუხლის მიხედვით მიიღონ ამ ვალდებულების შესრულებისათვის ზოგადი და განსაკუთრებული სახის ყველა შესაბამისი ზომა. აქედან გამომდინარეობს, რომ ეროვნული სასამართლოს მოვალეობაა, ეროვნული სამართლის გამოყენებისას, განსაკუთრებით სპეციალურად დირექტივის განხორციელებისათვის გამოშვებული კანონის ნორმების გამოყენებისას, ეროვნული სამართალი დირექტივის შინაარსისა და მიზნის თვალთახედვით განმარტოს, რათა მიაღწიოს 189-ე მუხლის მე-3 აბზაცში დასახელებულ მიზანს.

(2) დირექტივების უშუალო მოქმედება

საქმე *Yvonne van Duyn*⁸⁰:

12. მართალია, 189-ე მუხლის მიხედვით, რეგულაციები უშუალოდ მოქმედებენ და შედეგად შეუძლიათ, უკვე მათი სამართლებრივი ბუნების გამო, უშუალოდ წარმოშვან უფლებები და ვალდებულებები. აქედან არ გამომდინარეობს, რომ ამ მუხლში დასახელებული სამართლებრივი აქტების სხვა კატეგორიებს არასოდეს შეუძლიათ მსგავსი მოქმედებების განხორციელება. დირექტივისათვის 189-ე მუხლით მინიჭებული სავალდებულო მოქმედების ძალა იქნებოდა მიუღებელი, შესაბამის პირებს, ძირითადად, რომ არ ჰქონოდათ შესაძლებლობა, გაეკეთებინათ აპელირება დირექტივით დაკისრებულ ვალდებულებაზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, რომლებშიც გაერ-

⁷⁹ Judgment of the Court of 10 April 1984; Sabine von Colson and Elisabeth Kamann v Land Nordrhein-Westfalen; Case 14/83; European Court reports 1984 Page 01891.

⁸⁰ Judgment of the Court of 4 December 1974; Yvonne van Duyn v Home Office; Public policy; Case 41-74; European Court reports 1974 Page 01337.

თიანების დაწესებულებები წევრ სახელმწიფოებს დირექტივით გარკვეული მოქმედების შესრულებას ავალდებულებენ; ასეთი ღონისძიების სასარგებლო მოქმედება („effect utile“) შესუსტდებოდა, თუ ერთეულები სასამართლოში ვერ დაეყრდნობოდნენ მას და ეროვნული სასამართლოები მას, როგორც გაერთიანების სამართლის შემადგენელ ნაწილს, ვერ გაითვალისწინებდნენ. (...) აქედან გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაიხედოს, არის თუ არა დებულება, რომელსაც ეს შეეხება, სამართლებრივი ბუნებით, სისტემატიკითა და შინაარსით გამოსადეგი, უშუალოდ იმოქმედოს სამართლებრივ ურთიერთობებში წევრ სახელმწიფოებსა და ერთეულებს შორის.

საქმე *Tullio Ratti*⁸¹:

(...) მანამ წევრი სახელმწიფოებისათვის დირექტივის დებულებების მათ შიდასახელმწიფოებრივ წესრიგში აღსრულების ვადა არ არის ამოწურული, დირექტივას არ შეუძლია უშუალო მოქმედება; ეს მოქმედება წარმოიშობა მხოლოდ დადგენილი დროის მონაკვეთის ბოლოს და მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, რომ შესაბამისი სახელმწიფო დირექტივას არ შეასრულებს.

საქმე *Felicitas*⁸²:

ყოველთვის, როდესაც დირექტივა წესისამებრ არის აღსრულებული, მისი მოქმედება შეეხება ერთეულებს შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მიერ მიღებული აღმასრულებელი ღონისძიებებით, ისე, რომ არ საჭიროებს გადასინჯვას, ასრულებს თუ არა შესაბამისი ნორმა იმ წინაპირობებს, რომლებზეც დამოკიდებული იქნებოდა ერთეულების შესაძლებლობა, დაყრდნობდნენ ამ ნორმებს ისე, რომ არ ყოფილიყო დირექტივა წესისამებრ იმპლემენტირებული.

საქმე *Verbond van Nederlandse Ondernemingen*⁸³:

189-ე მუხლით დირექტივებისათვის მინიჭებულ სავალდებულო ძალასთან შეუთავსებელი იქნებოდა, შესაბამისი პირებისათვის ჩამოგვერთვა დირექტივით გათვალისწინებულ ვალდებულებებზე დაყრდნობის შესაძლებლობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, რომლებშიც დირექტივით გარკვეული მოქმედების ვალდებულება გაერთიანების დაწესებულებების მიერ დაკისრებული აქვთ წევრ სახელმწიფოებს, ასეთი ღონისძიების პრაქტიკული ეფექტურობა შესუსტდებოდა, თუ ერთეულებს არ შეეძლებოდათ სასამართლოებში მათზე დაყრდნობა და ეროვნულ სასამართლოებს არ შეეძლებოდათ მათი, როგორც გაერთიანების სამართლის, შემადგენელი ნაწილის გათვალისწინება. ეს, უპირველესად, იმ შემთხვევისთვის მოქმედებს, როდესაც ერთეულები დირექტივის ნორმას ეროვნული სასამართლოს წინაშე ეყრდნობიან იმ მიზნით, რომ დადგინდეს, მოქმედებდნენ თუ არა კომპეტენტური ეროვნული უწყებები დირექტივის იმპლემენტაციის ფორმისა და საშუალების არჩევანისას ამ დირექტივით დადგენილ ფარგლებში.

საქმე *Yvonne van Duyn*⁸⁴:

12. (...) შესაბამის პირებს შეუძლიათ, დირექტივით დაკისრებულ ვალდებულებაზე დაყრდნობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, რომლებშიც გაერთიანების დაწესებულებები წევრ სახელმწიფოებს დირექტივით გარკვეული მოქმედების

⁸¹ Judgment of the Court of 5 April 1979; Criminal proceedings against Tullio Ratti; Case 148/78; European Court reports 1979 Page 01629.

⁸² Judgment of the Court (Third Chamber) of 15 July 1982; Felicitas Rickmers-Linie KG & Co. v Finanzamt für Verkehrsteuern, Hambourg; Case 270/81; European Court reports 1982 Page 02771.

⁸³ Judgment of the Court of 1 February 1977; Verbond van Nederlandse Ondernemingen v Inspecteur der Invoerrechten en Accijnzen; Case 51-76; European Court reports 1977 Page 00113.

⁸⁴ იხ. მე-80 სქოლიო.

განხორციელებას ავალდებულებენ. ასეთი ღონისძიების გამოსადეგი მოქმედება („*effet utile*“) შესუსტდებოდა, თუ ერთეულები სასამართლოს წინაშე მას არ დაეყრდნობოდნენ და სახელმწიფო სასამართლოები ვერ შეძლებდნენ მისი, როგორც გაერთიანების სამართლის, შემადგენელი ნაწილის გათვალისწინებას. (...)

საქმე *Ursula Becker*⁸⁵:

25. შესაბამისად, ერთეულებს შეუძლიათ ვადების დაცვით მიღებული საიმპლემენტაციო ღონისძიებების არარსებობისას დირექტივების დებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც შინაარსობრივად უპირობო და საკმარისად ზუსტია, დირექტივასთან შეუსაბამო ნებისმიერი შიდასახელმწიფოებრივი ნორმის გასაჩივრება; ერთეულებს შეუძლიათ ასევე ამ დებულებებს დაეყრდნონ, თუ ისინი უფლებებს ადგენენ, რომლებიც შესაძლებელია სახელმწიფოების სანინააღმდეგოდ გასაჩივრდეს.

საქმე *British Gas*⁸⁶:

ერთეულებს შეუძლიათ დირექტივის შინაარსობრივად უპირობო და საკმარისად ზუსტ დებულებებს დაეყრდნონ ორგანიზაციების ან დაწესებულებების წინააღმდეგ, რომლებიც სახელმწიფოს ან მის ზედამხედველობას არიან დაქვემდებარებული ან განსაკუთრებული უფლებებით არიან აღჭურვილნი, რომლებიც უფრო მეტია, ვიდრე კერძო პირებს შორის ურთიერთობების დამარეგულირებელი ნორმების მიხედვითაა განსაზღვრული. ყოველ შემთხვევაში, მათ შეუძლიათ, ეს იმ დაწესებულებების მიმართ გააკეთონ, რომლებიც, მათი სამართლებრივი ფორმისგან დამოუკიდებლად, სახელმწიფო სამართლებრივი აქტის ძალით სახელმწიფო ზედამხედველობით მომსახურებას საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე ახორციელებენ და, ამასთან, განსაკუთრებული უფლებებით არიან აღჭურვილნი, იმაზე უფრო მეტით, ვიდრე ეს კერძო პირთა შორის ურთიერთობებისთვისაა განკუთვნილი.

საქმე *M. H. Marshall v Southampton*⁸⁷:

46. იმაზე უნდა მიეთითოს, რომ ევროპული სასამართლოს მუდმივი პრაქტიკის მიხედვით (შეადარეთ, განსაკუთრებით, 1982 წლის 19 იანვრის განაჩენი საქმეზე 8/81, *Becker*, 1982 წლის კრებული, 53-ე პუნქტი). ყველა ამ შემთხვევაში, რომლებშიც დირექტივის დებულებები შინაარსობრივად უპირობო და საკმარისად ზუსტია, ერთეულები უფლებამოსილნი არიან, სახელმწიფოს წინააღმდეგ დაეყრდნონ ამ დებულებებს, თუ სახელმწიფომ ეს დირექტივა შიდასახელმწიფოებრივ სამართალში არ ჩართო ვადის დაცვით ან მისი იმპლემენტაცია არასწორად მოახდინა.

47. ეს პრაქტიკა ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ 189-ე მუხლით დირექტივისათვის მინიჭებულ სავალდებულო ხასიათთან იქნებოდა შეუსაბამო, თუ შესაბამის პირებს არ შეეძლებოდათ დაყრდნობოდნენ დირექტივით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ევროპულმა სასამართლომ აქედან გამომდინარე დაასკვნა, რომ წევრ სახელმწიფოს, რომელმაც დირექტივით გათვალისწინებული აღმასრულებელი ღონისძიებები ვადის დაცვით არ გაატარა, არ შეუძლია, ერთეულების წინააღმდეგ დაეყრდნოს იმას, რომ მან დირექტივიდან გამომდინარე ვალდებულებები არ შეასრულა.

⁸⁵ Judgment of the Court of 19 January 1982; *Ursula Becker v Finanzamt Münster-Innenstadt*; Case 8/81; European Court reports 1982 Page 00053.

⁸⁶ Judgment of the Court of 12 July 1990; *A. Foster and others v British Gas plc*; Case C-188/89; European Court reports 1990 Page I-03313.

⁸⁷ Judgment of the Court of 26 February 1986; *M. H. Marshall v Southampton and South-West Hampshire Area Health Authority (Teaching)*; Case 152/84; European Court reports 1986 Page 00723.

48. იმ არგუმენტთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც დირექტივაზე დაყრდნობა ერთეულის წინააღმდეგ არ შეიძლება, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 189-ე მუხლის მიხედვით, დირექტივის სავალდებულო ხასიათი, რომელსაც ეფუძნება ეროვნულ სასამართლოებში დირექტივაზე დაყრდნობით დარღვეული უფლების გასაჩივრების შესაძლებლობა, მოქმედებს მხოლოდ ამ დირექტივის ადრესატი „ყოველი წევრი სახელმწიფოს მიმართ.“ აქედან გამომდინარეობს, რომ თავად დირექტივას არ შეუძლია წარმოშვას ერთეულთა ვალდებულებები და რომ ამიტომ დირექტივის დებულება არ შეიძლება გამოიყენებოდეს ცალკეული პირის საწინააღმდეგოდ. ამიტომ შემონიშნებას საჭიროებს, უნდა ვივარაუდოთ თუ არა ამ შემთხვევაში იმაზე, რომ მოპასუხემ იმოქმედა როგორც ერთეულმა.

49. იმ შემთხვევაში, თუ სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე მოქალაქეებს შეუძლიათ, სახელმწიფოს წინააღმდეგ დაეყრდნონ დირექტივას, უნდა დადგინდეს, რომ მათ ამის გაკეთება შეუძლიათ იმისგან დამოუკიდებლად, სახელმწიფო მოქმედებს, როგორც დამსაქმებელი, თუ როგორც საჯარო უფლებამოსილების მატარებელი. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში თავიდან უნდა იქნეს აცილებული ის, რომ სახელმწიფომ გაერთიანების სამართლის უგულებელყოფით მიიღოს სარგებელი.

50. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ამ საფუძვლების გამოყენება-არგამოყენების საკითხის გადაწყვეტა ეროვნულ სასამართლოს აკისრია, რომელმაც, სხვათა შორის, მის მიერ წარმოდგენილ დადგენილებაში აღნიშნა, რომ მოპასუხე „Southampton and South-West Hampshire Area Health Authority (Teaching)“ სახელმწიფო უწყება იყო.

51. გაერთიანებული სამეფოს მიერ წარმოდგენილი არგუმენტი იმის შესახებ, რომ მოპასუხის მიმართ დირექტივაზე დაყრდნობა შესაძლებელი იყოს მხოლოდ მაშინ, თუ მოპასუხე სახელმწიფო დაწესებულების რანგში იმოქმედებდა, გამოიწვევს განზრახ და გაუმართლებელ განსხვავებას სახელმწიფოსა და კერძო მუშახელის უფლებებს შორის. თუმცა ასეთი განსხვავების თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, თუ აღნიშნული წევრი სახელმწიფო დირექტივას წესისამებრ ჩართავდა ეროვნულ სამართალში.

52. საბოლოოდ, რაც შეეხება შეკითხვას, არის თუ არა 76/207 დირექტივის მე-5 მუხლის პირველი აბზაცი, რომელიც ამ დირექტივის მე-2 მუხლის პირველი აბზაციით დადგენილ თანასწორობის პრინციპს აღასრულებს, შინაარსობრივად უპირობო და საკმარისად ზუსტი იმისათვის, რომ ერთეულებს შეეძლოთ სახელმწიფოს წინააღმდეგ მასზე დაყრდნობა, უნდა დადგინდეს, რომ ეს დებულება, ცალკე აღებული, ზოგადად და ერთმნიშვნელოვნად კრძალავს ყოველგვარ დისკრიმინაციას სქესის საფუძველზე, სამუშაო პირობების თვალსაზრისით, სამსახურიდან დათხოვნის ჩათვლით. დებულება ამით საკმარისად ზუსტია იმისათვის, რომ მოქალაქემ ის გამოიყენოს სასამართლოში.

53. გარდა ამისა, უნდა გადამოწმდეს, შესაძლებელია თუ არა, უპირობოდ იქნეს მიჩნეული დისკრიმინაციის აკრძალვა, მიუხედავად იმისა, რომ დირექტივით გათვალისწინებულია გამონაკლისები და გარემოება, რომ წევრმა სახელმწიფოებმა მე-5 მუხლის მე-2 აბზაციის შინაარსის მიხედვით აუცილებელი ღონისძიებები უნდა გაატარონ ეროვნულ სამართალში თანასწორობის პრინციპის გამოყენების უზრუნველსაყოფად.

54. რაც შეეხება 76/207 დირექტივის პირველი მუხლის მე-2 აბზაცში ფორმულირებულ დათქმას სოციალური უსაფრთხოების სფეროში თანასწორობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ დათქმით არ იქმნება რაიმე წინაპირობა, რომელზეც იქნებოდა დამოკიდებული დირექტივის მოქმედების სფეროში და განსაკუთრებით დირექტივის მე-5 მუხლთან მიმართებით ამ პრინციპის გამოყენება, მიუხედავად იმისა, რომ ის დირექტივის შინაარსობრივი მოქმედების სფეროდან სოციალური

უზრუნველყოფის სფეროს გამორიცხავს. ამდენად, 76/207 დირექტივის მე-2 მუხლით ამ დირექტივის მოქმედების სფეროდან დადგენილი გამონაკლისები არ არის ამ შემთხვევის შესაბამისი.

55. აქედან გამომდინარეობს, რომ 76/207 დირექტივის მე-5 მუხლი არავითარ შემთხვევაში არ ანიჭებს წევრ სახელმწიფოებს უფლებამოსილებას, შეზღუდონ მათ მისი მოქმედების ფარგლებში თანასწორობის პრინციპის გამოყენება ან დაუქვემდებარონ რაიმე წინაპირობებს. ეს დებულება საკმარისად ზუსტი და უპირობოა იმისათვის, რომ ერთეულებმა ის სასამართლოში გამოიყენონ. ამით თავიდან უნდა იქნეს აცილებული ისეთი ეროვნული დებულების გამოყენება, რომელიც მე-5 მუხლის პირველ აბზაცს არ შეესაბამება.

56. ამდენად, მეორე შეკითხვაზე პასუხი უნდა გაეცეს, რომ საბჭოს 1976 წლის 9 თებერვლის 76/207 დირექტივის მე-5 მუხლის პირველი აბზაცი, რომელიც კრძალავს სქესის საფუძველზე დისკრიმინაციას სამუშაო პირობებში, სამსახურიდან გათავისუფლების ჩათვლით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დამსაქმებლის სტატუსით მოქმედი სახელმწიფო დაწესებულების საწინააღმდეგოდაც, იმ მიზნით, რომ არ მოხდეს იმ ნებისმიერი ეროვნული დებულების გამოყენება, რომელიც მე-5 მუხლის პირველ აბზაცს არ შეესაბამება.

საქმე *Yvonne van Duyn*⁸⁸:

24. ამიტომ იმ წევრ სახელმწიფოს, რომელმაც დირექტივის აღმასრულებელი ღონისძიებები ვადის დაცვით არ მიიღო, არ შეუძლია ერთეულების წინააღმდეგ გამოიყენოს ის, რომ მან დირექტივიდან გამომდინარე ვალდებულებები არ შეასრულა.

საქმე *Criminal proceedings against Kolpinghuis Nijmegen BV*⁸⁹:

9. 1986 წლის 26 თებერვლის საქმის 152/84 (*Marshall*, 1986 წლის კრებული, 723-ე პუნქტი) განაჩენში ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 189-ე მუხლის მიხედვით, დირექტივის სავალდებულო ხასიათი, რომელსაც ეფუძნება შესაძლებლობა, დაეყრდნონ დირექტივას ეროვნული სასამართლოს წინაშე, არსებობს მხოლოდ „ყოველი იმ წევრი სახელმწიფოსათვის, რომლის მიმართაცაა ის გამოსული“, აქედან გამომდინარეობს, რომ თავისთავად დირექტივას არ შეუძლია, ერთეულებს დააკისროს ვალდებულებები და რომ, აქედან გამომდინარე, დირექტივის დებულება არ შეიძლება იქნეს გამოყენებული შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოში პირის საწინააღმდეგოდ.

10. შესაბამისად (წინასწარი გადაწყვეტილების შუამდგომლობით მომმართველი სასამართლოს კითხვაზე) პასუხი უნდა გაეცეს, რომ შიდასახელმწიფოებრივ უწყებას არ შეუძლია დაეყრდნოს ერთეულის წინააღმდეგ დირექტივის დებულებას, რომლის აუცილებელი იმპლემენტაციაც შიდასახელმწიფოებრივ სამართალში ჯერ კიდევ არ მომხდარა.

(i) დირექტივების უშუალო ჰორიზონტალური მოქმედება (მოქმედება მესამე პირების მიმართ):

საქმე *Faccini Dori*⁹⁰:

საქმის ფაბულა: დავის საგანი წნავლის შესახებ ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმების

⁸⁸ იხ. მე-80 სქოლიო.

⁸⁹ იხ. 78-ე სქოლიო.

⁹⁰ Judgment of the Court of 14 July 1994; Paola Faccini Dori v Recreb Srl; Case C-91/92; European Court reports 1994 Page I-03325.

საკითხი იყო. აღნიშნული ხელშეკრულება დადებული იყო ოფისის გარეთ, მილანის ვაგზის ახლოს. 85/77 დირექტივის მე-5 მუხლი ითვალისწინებდა მომხმარებლის უფლებების დაცვას ოფისების გარეთ. იგი ითვალისწინებდა მომხმარებლის უფლებას, ცალმხრივად შეენეციტა ხელშეკრულება, რომელიც ოფისების გარეთ იქნებოდა დადებული. თუმცა აღნიშნული დირექტივა მისი საიმპლემენტაციო ვადის ამონაწერის მიუხედავად იტალიის მიერ არ იყო იმპლემენტირებული. მომმართველ სასამართლოს აინტერესებდა, შეიძლებოდა თუ არა დირექტივის გამოყენება მაშინ, როდესაც მისი საიმპლემენტაციო ვადა ამონაწერი იყო, ხოლო სახელმწიფოს ჯერ არ მოეხდინა მისი იმპლემენტაცია.

19. მომმართველი სასამართლო მეორე შეკითხვაში წამოჭრილი პრობლემა უფრო ზუსტად შეეხება იმას, შეუძლია თუ არა მომხმარებელს, მენარმესთან დადებული ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის უფლება იმ დირექტივის საფუძველზე გამოიყენოს და ეროვნულ სასამართლოში განსახილველად შეიტანოს, თუ დირექტივის იმპლემენტაციისათვის გათვალისწინებული ვადის განმავლობაში მისი იმპლემენტაციისათვის არანაირი ღონისძიება არ გატარებულა.

20. როგორც ეს ევროპულმა სასამართლომ 1986 წლის 26 თებერვლის 152/84 საქმის (*Marshall*, 1986 წლის კრებული, 723, 48) განაჩენში და შემდეგ მუდმივ სასამართლო პრაქტიკაში დაამკვიდრა, **არ შეუძლია დირექტივას, თვითონ დააკისროს მოქალაქეს მოვალეობები**, ასე რომ, მის მიმართ დირექტივაზე უშუალოდ დაყრდნობა, როგორც ასეთზე, შეუძლებელია.
(...)

22. ამდენად, საკმარისია მითითება იმაზე, რომ, როგორც ეს 1986 წლის 26 თებერვლის განაჩენიდან გამომდინარეობს (*Marshall*, პუნქტი 48 და შემდგომი პუნქტები), სასამართლო პრაქტიკა სახელმწიფო დანესებულებების საწინააღმდეგოდ დირექტივის დებულებებზე დაყრდნობით გასაჩივრების შესაძლებლობის განმარტებისას იმას ეფუძნება, რომ, 189-ე მუხლის მიხედვით, დირექტივა სავალდებულოა მხოლოდ „ყოველი ადრესატი წევრი სახელმწიფოსათვის“. ამ სასამართლო პრაქტიკით თავიდან უნდა იქნეს აცილებული ის, რომ „სახელმწიფომ სარგებელი მიიღოს გაერთიანების სამართლის მოთხოვნების შეუსრულებლობიდან.“

23. მიუღებელი იქნებოდა, რომ სახელმწიფოს შეეძლოს, უარი უთხრას თავის მოქალაქეებს უფლებების განხორციელებაზე, თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობიდან გამომდინარე, რაც გარკვეული ნორმების მიღებით გამოიხატება და რასაც გაერთიანების კანონმდებელი სახელმწიფოს აკისრებს ან სახელმწიფო უწყებებსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობების მოსაწესრიგებლად ან ამ მოქალაქეებისათვის უფლებების მისანიჭებლად. ამგვარად, ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა, რომ შესაძლებელია, სახელმწიფოს (ან სახელმწიფო დანესებულებების) წინააღმდეგ მოხმობილ იქნეს გარკვეული დებულებები საჯარო შესყიდვების ჩატარების წესის შესახებ (1989 წლის 22 ივნისის განაჩენი საქმეზე 103/88, *Fratelli Costanzo*, 1989 წლის კრებული, 1839) და დამატებითი ღირებულების გადასახადის ჰარმონიზების შესახებ დირექტივიებიდან (შეადარეთ 1982 წლის 19 იანვრის განაჩენი საქმეზე *Becker* 8/81, 1982 წლის კრებული, 53).

24. ამ სასამართლო პრაქტიკის გავრცელება მოქალაქეებს შორის ურთიერთობებზე იქნებოდა გაერთიანებისათვის უფლებამოსილების აღიარება, უშუალოდ დაეკისრებინა ვალდებულებები მოქალაქეებისათვის, მაშინ, როდესაც მას ეს შეუძლია, მხოლოდ რეგულაციების მიღების უფლებამოსილების ფარგლებში.

25. შედეგად, მომხმარებელს არ შეუძლია დაეყრდნოს დირექტივას და მოიხმოს იგი ეროვნულ სასამართლოში მენარმესთან დადებული ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის უფლების განხორციელების მიზნით, თუ დირექტივის იმპლემენტაცია გათვალისწინებული ვადის განმავლობაში არ მომხდარა.

გენერალურ ადვოკატ ლენცის მიერ გამოთქმული მოსაზრებით⁹¹, ნაკლოვანებებით იმპლემენტირებულ ან საერთოდ არაიმპლემენტირებული დირექტივებისათვის უნდა მიენიჭებინათ უშუალო ჰორიზონტალური მოქმედება:

არაიმპლემენტირებული დირექტივის მოქმედების შესახებ შეკითხვაზე, რომელიც მოქმედებს პირებს შორის კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, ანუ ეგრეთ წოდებული ჰორიზონტალური მოქმედებისას, დღემდე და მუდმივი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, არსებობს მხოლოდ ერთი მოკლე და ნათელი პასუხი: **დირექტივას არ შეუძლია დააკისროს ერთეულებს ვალდებულება.**

ევროპული სასამართლო ამ თეზისს ასაბუთებს შემდეგნაირად: „... ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 189-ე მუხლის მიხედვით, დირექტივის სავალდებულო ხასიათი ემყარება შესაძლებლობას, დაეყრდნონ მას ეროვნულ სასამართლოებში მხოლოდ „ყოველი ადრესატი წევრი სახელმწიფოს მიმართ“. აქედან გამომდინარეობს, რომ დირექტივას არ შეუძლია, თავად წარმოშვას ერთეულთა ვალდებულებები და რომ დირექტივის დებულება, აქედან გამომდინარე, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირის საწინააღმდეგოდ“.

ხაზგასმა ერთმნიშვნელოვნად კერძო პირების ვალდებულებებით დატვირთვის უარყოფაა. ხელშეკრულების ტექსტის მიხედვით, სავალდებულოდ მოქმედებს ის მხოლოდ წევრი სახელმწიფოებისათვის, რომლებიც დირექტივების ადრესატები არიან.

შეიძლებოდა, ამ ადგილზე დაგვესრულებინა განმარტებები და დღემდე არსებული სასამართლო პრაქტიკის შენარჩუნებისთვის დაგვეჭირა მხარი.

ამგვარი მიდგომა თუმცა მე არადამაკმაყოფილებლად მიმაჩნია. *Foster and Marleasing*-ის სასამართლო პრაქტიკას მოჰყვა მეცნიერებაში იმ მოსაზრებების გამრავლება, რომლებიც მხარს უჭერენ დირექტივების ჰორიზონტალურ მოქმედებას. ევროპული სასამართლოს წევრთაგან დღემდე გენერალურმა ადვოკატმა ვან გერვენმა და სულ ახლახან გენერალურმა ადვოკატმა იაკობსმა — არა როგორც გადასაწყვეტ საკითხზე პასუხის ფარგლებში — აზრი გამოთქვეს დირექტივების ჰორიზონტალური გამოყენების სასარგებლოდ.

დირექტივების ჰორიზონტალური მოქმედების მომხრეთა აზრები იმ მისწრაფებიდან გამომდინარეობენ, რომ დაეხმარონ გაერთიანების კანონმდებლის მიერ სახელმწიფოებისათვის დაკისრებული სამართლებრივი ვალდებულებით მოსარგებლებს საკუთარი უფლებების განხორციელებაში და მათი მდგომარეობა გაურკვეველი ვადით არ დაუქვემდებარონ იმ წევრი სახელმწიფოს სურვილს, რომელმაც გაუშვა ვადა მისი იმპლემენტირებისათვის.

შიდა ბაზრის – სივრცის შიდა საზღვრების გარეშე – დასრულების დროს, როდესაც გამოიცემა კერძო პირთა სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებისათვის პროგრესული ჰარმონიზაციის ნორმები, ჩემთვის თვალსაჩინოა, განვსაჯო დირექტივების მოქმედება. 85/577 დირექტივის საფუძვლებში გაერთიანების კანონმდებელმა დამაჯერებლად აღწერა სამართლის დაახლოების მოთხოვნა: „სამართლებრივ ნორმებს

⁹¹ Schuetz, Bruha, Koenig, Casebook Europarecht, 2004 წლის გამოცემა, გვ. 142.

შორის განსხვავებებმა შესაძლოა უშუალო ზემოქმედება იქონიოს საერთო ბაზრის ფუნქციონირებაზე. ამდენად, საჭიროა, ურთიერთშესაბამისობაში მოვიდნენ შესაბამისი დებულებები.“

არგუმენტთა ნაწილში, რომლებიც დირექტივების ჰორიზონტალური მოქმედებისათვისაა გამოთქმული, უპირველესად უნდა დადგეს თანაბარი საკონკურენციო პირობების შესახებ არგუმენტი. გარდა ამისა, ჰორიზონტალური მოქმედების არალიარების გამო ხშირად დისკრედიტირებულნი არიან გაერთიანების სამართლით მოქმედი წევრი სახელმწიფოს სამართლის სუბიექტები.

დირექტივების ჰორიზონტალური მოქმედების სასარგებლოდ ლაპარაკობს ასევე ძირითადი უფლების რანგში მდგომი დისკრიმინაციის აკრძალვა, და კერძოდ არაერთი თვალსაზრისით. ჯერ ერთი არადაამაკმაყოფილებელია, როდესაც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს, იმის მიხედვით, შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობები აქვთ სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებასთან თუ კერძო პირთან, განსხვავებულ წესებს ექვემდებარებიან; მეორე მხრივ. წინააღმდეგობაში მოდის ეს შიდა ბაზრის მოთხოვნებთან, თუ ერთეულებისათვის განსხვავებულ წევრ სახელმწიფოებში განსხვავებული უფლება მოქმედებს, მიუხედავად იმისა, რომ ჰარმონიზების ნორმები გაერთიანებამ უკვე მიიღო. განსხვავებების შენარჩუნება სამართლის ურთიერთშესაბამისობაში მოყვანის გაცხადებული მიზნის საპირისპიროა. ეს დასკვნა არ შეიძლება დირექტივის ბუნებაზე მითითებით იქნეს დაკნინებული, რომლის მიხედვითაც წევრ სახელმწიფოებში განსხვავებული პირობები თავისთავად არსებობს დირექტივის იმპლემენტაციამდე, თუმცა არაერთგვაროვნება მისაღებია მხოლოდ საიმპლემენტაციო ვადის გასვლამდე. დირექტივის მიზნებში შედის, რომ ამის შემდეგ არსებობდეს ურთიერთგათანაბრებული/ერთნაირი პირობები.

დისკრიმინაციის არგუმენტი მასტრიხტის ხელშეკრულების ძალაში შესვლითა და ევროპული გაერთიანების ხელშეკრულებაში ასახული საკავშირო მოქალაქეობით იძენს მნიშვნელობას. ხელშეკრულები სახელმწიფოების სურვილით ევროპული კავშირის შესახებ ხელშეკრულებას „ევროპული გაერთიანებების დაფუძნებით დაწყებული ევროპული ინტეგრაციის პროცესი ახალ საფეხურზე“ აჭყავს. ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების მე-3ა და მე-7ა მუხლებში წინაა წამოწეული შიდა ბაზრის მნიშვნელობა. ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების მე-2, მე-3 და მე-3ა მუხლები ითხოვენ მეტ ერთიანობას ეკონომიკურ პოლიტიკაში, მე-3 მუხლის „ს“ ქვეპუნქტი მოითხოვს მომხმარებელთა დაცვის გაუმჯობესებაში წვლილის შეტანას. დეტალური დებულებები ამასთან დაკავშირებით განერილია 129-ე ა მუხლში. საკავშირო მოქალაქეობის დამკვიდრება აღძრავს მოლოდინს, რომ საკავშირო მოქალაქეებს გაერთიანების სამართალი ნებისმიერ შემთხვევაში თანასწორად მიუდგება.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თუ დირექტივები, რომლებიც მომართულნი არიან კერძო პირთა შორის ურთიერთობებში სამოქმედოდ და შეიცავენ ნორმებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ხელშეკრულების სუსტი მხარის დაცვას, არ იქნებიან იმპლემენტირებულნი შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, მაშინ მათ *effet utile* წაერთმევათ. საიმპლემენტაციო ვადის ამონურვის შემდეგ ამიტომ შესაძლებელი უნდა იყოს ზუსტი და უპირობო შინაარსის დამცავი ნორმების გამოყენება. (...)

დირექტივის ჰორიზონტალური მოქმედების არგუმენტაციისას უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ მოქმედების დონე და მოქმედების სახე პრინციპულად სხვა ხარისხისაა, ვიდრე ვერტიკალური მოქმედებისას შესაძლოა პირთა მიმართ. მაშინ როცა დირექტივების უშუალო გამოყენება, ჩვეულებრივი გაგებით, წევრი სახელმწიფოს მიერ გაერთიანების

სამართლის დარღვევისას ერთეულებსა და სახელმწიფოს შორის სამართლებრივ ურთიერთობას უშუალოდ ადგენს, კერძო მესამე პირს არ გააჩნია არანაირი ზემოქმედების საშუალება დირექტივის აღსრულებაზე. ნევრი სახელმწიფოების მიმართ დირექტივების უშუალოდ გამოყენების სასარგებლოდ მოყვანილი არგუმენტები და სამართლებრივი პრინციპები, რომ ნევრმა სახელმწიფომ არ უნდა მიიღოს არანაირი სარგებელი მის მიერ გაერთიანების სამართლის დარღვევის გამო, ისევე მცირედ ეხება კერძო პირთა შორის ურთიერთობას, როგორც უშუალოდ გამოყენების სახით სახელმწიფოს მიმართ სანქციის ხასიათს.

(...) უშუალოდ გამოყენებადი დირექტივის დებულებას უფრო მეტად *erga omnes* მოქმედება მიენიჭებოდა. ის ამით ხელშეკრულების უშუალოდ მოქმედ ნორმებს გაუთანაბრდებოდა. დირექტივის ჰორიზონტალურად მოქმედი ნორმა გაერთიანების სამართლის უპირატესი იურიდიული ძალის კატეგორიაში მიიღებდა მონაწილეობას, რაც მისასაღმებელი იქნებოდა გაერთიანების სამართლის ერთიანი და ეფექტურად გამოყენების ინტერესისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ჰორიზონტალურ ურთიერთობებში დირექტივის უშუალოდ მოქმედების სასარგებლოდ ჩამოთვლილი საფუძვლები სასურველი ჩანს, წონადი არგუმენტები არსებობს სამართლის ამგვარად განვითარების საწინააღმდეგოდაც.

საწინააღმდეგო არგუმენტების ფარგლებში რეგულარულად მიეთითება ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 189-ე მუხლის სიტყვასიტყვით მნიშვნელობასა და დირექტივის ბუნებაზე, რომლის მიხედვითაც დირექტივა სავალდებულოა მხოლოდ ნევრი სახელმწიფოებისათვის და მხოლოდ დასახული მიზნის მიღწევის თვალსაზრისით.

ჩემი აზრით, ეს არგუმენტები შესაძლებელია გაბათილდეს. ჯერ ერთი, რაც შეეხება ნევრი სახელმწიფოების თავისუფლებას, არჩიოს დირექტივის განხორციელების ფორმა და საშუალება, ეს სრულიად ხელშეუხებელია გარდამავალი დროის გასვლამდე. თვით ამის შემდეგ — ცალკეული ნორმების პირდაპირი მოქმედებისათვის დადგენილი წინაპირობების არსებობის შემთხვევაშიც — ნევრ სახელმწიფოებს იქ, სადაც კი დირექტივა ამის საშუალებას იძლევა, შეუძლიათ შეხედულებისამებრ ჩამოაყალიბონ ნორმა. დირექტივის დებულებების მხოლოდ მცირე ნაწილი იქნება გამოსადეგი ჰორიზონტალური მოქმედებისათვის. გარდა ამისა, ნევრ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ საიმპლემენტაციო ვადის გასვლის შემდეგ დაეყრდნონ თავისუფლებებს, რომლებიც მათ მიენიჭათ მხოლოდ იმ მიზნით, რომ სათანადოდ და ვადების დაცვით აღესრულებინათ დირექტივა.

ნევრი სახელმწიფოს ვალდებულება, აღასრულოს დირექტივის მიზნები, წარმოიშობა უშუალოდ დირექტივის ძალაში შესვლიდან. დირექტივის მიზნების განხორციელების თვალსაზრისით, როგორც წესი, არ არსებობს ნევრი სახელმწიფოების თავისუფალი მოქმედების არეალი. დირექტივის მიზნებში შედის, მაგალითად, არა უგვიანეს საიმპლემენტაციო ვადის გასვლამდე დაცვითი ნორმებისათვის სავალდებულო სამართლებრივი ძალის მინიჭება. ამგვარი ნორმების სავალდებულოობა — როგორც ეს მე უკვე აღვნიშნე — გაერთიანების კანონმდებლის სურვილია და დირექტივის ბუნებაში დევს. დირექტივები არ არის უფრო ნაკლები ხარისხის სამართლებრივი აქტები, მათი აღსრულება ნევრ სახელმწიფოებს ავალბათ, რომელთაც ხელშეკრულებით აკისრიათ ვალდებულება, დროულად და სრულყოფილად მოახდინონ მათი იმპლემენტაცია.

დირექტივის ბუნება, აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, არ ეწინააღმდეგება მის ჰორიზონტალურ მოქმედებას. ასევე არ წაიშლებოდა რეგულაციასა და დირექტივას შორის ზღვარი, რადგან დირექტივის უშუალო მოქმედება იქნებოდა არსებითი მხოლოდ

საიმპლემენტაციო ვადის გასვლის შემდეგ და მხოლოდ ნათელი და უპირობო ნორმების შემთხვევაში.

სამართლებრივი სახელმწიფოს ასპექტების გათვალისწინებით, დირექტივის ჰორიზონტალური გამოყენების საწინააღმდეგო არგუმენტად მოყვანილია მესამე პირების ვალდებულებებით დატვირთვის დაუშვებლობა. ამ არგუმენტის უგულვებელყოფა რეალურად არ შეიძლება. საკითხავია, შესაძლებელია თუ არა, წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი წესრიგის ფარგლებში სამართლებრივად მოქმედი კერძო პირი ვალდებულებებით დაიტვირთოს, რომლებიც გამომდინარეობენ არა მის მიმართ გამოსული არაიმპლემენტირებული დირექტივიდან, რომლითაც მას, სხვათაშორის, ვადის გამშვები წევრი სახელმწიფოსგან არ შეუძლია რაიმე სარგებლის მიღება.

სამართლებრივი უსაფრთხოების საფუძვლებიდან გამომდინარე, მეჩვენება, რომ დირექტივების ჰორიზონტალური მოქმედება, ვალდებულებით დატვირთული მესამე პირების გადმოსახედიდან ძალზე პრობლემატურია. იმის შეცნობა, რომ აქამდე უშუალოდ მოქმედი დირექტივებით ვალდებულებით კერძო პირების არაპირდაპირ დატვირთვა აქამდე ხდებოდა, — მაგალითად, შეცდომების მეშვეობით ტენდერისას, რომელიც სხვა შემთავაზებლების, ანდა ტენდერის გამარჯვებულის, სამართლებრივ მდგომარეობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს (...), — არ აბათილებს ჰორიზონტალური მოქმედების საწინააღმდეგო მოსაზრებას, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს.

საკანონმდებლო აქტებით მოქალაქეების ვალდებულებებით დატვირთვისათვის ელემენტარული წინაპირობაა ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება. ამ წინაპირობას არ ასრულებს დირექტივები, რომლებიც ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე გამოიცემა. ვერ დაგვეხმარება ასევე დირექტივების, როგორც გამოქვეყნების არასაჭირო სამართლებრივი აქტების, ევროპული გაერთიანებების ოფიციალურ გამოცემაში გამოქვეყნების პრაქტიკა. ევროპული გაერთიანებების ოფიციალურ გამოცემაში დირექტივების გამოქვეყნება წმინდა დეკლარაციული ხასიათისაა და არა ეფექტურობის წინაპირობა, რაც შემთხვევიდან შემთხვევამდე თვალნათელი ხდება იმით, რომ სქოლიოში წევრ სახელმწიფოებს მიეთითებათ დირექტივის გამოქვეყნების დღეზე, რადგან გამოქვეყნებით დირექტივა ძალაში შედის. სამართლებრივი აქტის გაცნობის შესაძლებლობა მის კონსტიტუციურ საქვეყნოობას ვერ ცვლის.

იმ დირექტივებისათვის სხვა მდგომარეობაა, რომლებიც 1993 წლის პირველ ნოემბერს მასტრიხტის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ გამოიცა და მას შემდეგ დღემდე გამოიცემა. ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 191-ე მუხლი დირექტივებისათვისაც ითვალისწინებს გაერთიანების ოფიციალურ გამოცემაში გამოქვეყნებას. საჯაროობის ნაკლოვანების არგუმენტი ვეღარ გამოდგება ამ ახალი დირექტივების ჰორიზონტალური მოქმედების საწინააღმდეგოდ.

სამართლებრივი უსაფრთხოების, როგორც ვალდებულებით დატვირთული მოქალაქის ძირითადი უფლების, საფუძვლებიდან გამომდინარე, საზოგადოება უკვე უნდა მომზადდეს იმისათვის, რომ მომავალში დირექტივების უშუალო ჰორიზონტალური მოქმედება მისაღები იყოს. ამ საფუძვლებიდან გამომდინარე, მისასაღმებელია სასამართლოს წევრების აღნიშნული პოზიციები.

ვალდებულებით დატვირთული კერძო პირების სასარგებლოდ და დირექტივების ჰორიზონტალური მოქმედების საპირისპიროდ მოხსენიებულია ნდობის დაცვა. დაცვას დაქვემდებარებული ნდობა უდავოდ იმგვარად შეიცნობა, რომ კერძო პირს არ უნდა

სჭირდებოდა და მატებით ვალდებულებების წარმოშობაზე ვარაუდი, თუ ის მართლ-ზომიერად თავისი წევრი სახელმწიფოს სამართლებრივი წესრიგის ფარგლებში მოქმედებს. სხვა მხრივ დირექტივის გამოქვეყნების და საიმპლემენტაციო ვადის გასვლის შემდეგ ასეთი ვალდებულებით დატვირთვა გასათვალისწინებელია. მე ვეკითხები საკუთარ თავს, საჭიროებს თუ არა დაცვას ნდობა იმისა, რომ ეროვნული კანონმდებელი გაერთიანების სამართლის საწინააღმდეგოდ იმოქმედებს?

დირექტივების ჰორიზონტალური მოქმედების საწინააღმდეგოდ არსებობს არგუმენტი, რომელიც ეყრდნობა დემოკრატიის პრინციპს. ისედაც გაერთიანების კანონმდებლობის ფარგლებში მრავალჯერ ნახსენები დემოკრატიის დეფიციტი გაძლიერდება, თუ დირექტივების გამოყენება ეროვნული პარლამენტების გვერდის ავლით მოხდება.

რაც სადავო დემოკრატიის დეფიციტს შეეხება, მინდა ერთი აღვნიშნო, რომ ევროპული პარლამენტის თანამონაწილეობის უფლებები ერთიანი ევროპული აქტებითა და მასტრიხტის ხელშეკრულებით საფეხურებრივად გაძლიერებულია. ხოლო სხვა მხრივ, ჩემი აზრით, წევრი სახელმწიფოს კანონმდებლისათვის გვერდის ავლაზე არ შეიძლება იყოს საუბარი.

ეროვნულ კანონმდებელს საიმპლემენტაციო ვადაში აქვს ყველა თავისუფლება, აირჩიოს ფორმა და ინსტრუმენტი დირექტივის წევრი სახელმწიფოს სამართალში იმპლემენტაციისათვის. საიმპლემენტაციო ვადის გასვლის შემდეგაც არსებობს წევრი სახელმწიფოს კანონმდებლის მიერ იმპლემენტაციის განხორციელების ვალდებულება და რჩება მოქმედების არეალი ამ მოვალეობის ასე თუ ისე შესასრულებლად, იმდენად, რამდენადაც დირექტივა ამას უშვებს. საბოლოოდ დირექტივის ნორმები ან დამცავი ნორმები, რომლებიც იმდენადაა განსაზღვრული, რომ მოქმედებისათვის რაიმე შევსებას არ საჭიროებს, და, ამდენად, ეროვნულმა კანონმდებელმა პირდაპირ უნდა გამოიტანოს, წევრი სახელმწიფოების სამართლებრივ წესრიგში წინასწარ იმოქმედებენ სამართლებრივად ამ ნორმის ადრესატების ურთიერთობებში. წევრი სახელმწიფოს სამართალში დირექტივის იმპლემენტაციამდე გარდამავალი ეტაპისა და ამის შემდგომი დროის სამართლებრივი მდგომარეობის გახლეჩის შიში არ მიმაჩნია გამართლებულად, რადგან ჰორიზონტალური მოქმედებისათვის გამოსადეგი ნორმები საიმპლემენტაციო აქტშიც უნდა აისახოს.

ჩემი აზრით, არ არის დამაჯერებელი საწინააღმდეგო მოსაზრება იმის შესახებ, რომ დირექტივების ჰორიზონტალური მოქმედების აღიარება დირექტივების იმპლემენტაციისას წევრი სახელმწიფოების გაუფრთხილებლობას გაზრდის. ეს იმიტომ, რომ წევრი სახელმწიფოს კანონმდებელი რჩება პასუხისმგებელი დირექტივის სრულ აღსრულებაზე. ჰორიზონტალური მოქმედების ძირითადად აღიარებამ შესაძლოა, შესაბამის შემთხვევაში წევრი სახელმწიფო აიძულოს, მოახდინოს მისი იმპლემენტაცია ვადის დაცვით, რათა იმაზე ადრე თვითონ გადადგას ნაბიჯები, ვიდრე გაერთიანება და წევრი სახელმწიფოების დაწესებულებები და სასამართლოები დირექტივის დებულებებს ჰორიზონტალურ ურთიერთობებში გამოიყენებენ. ჩემი აზრით, თანაბარია არგუმენტები დირექტივების ჰორიზონტალურად გამოყენების აღმზრდელობით ხასიათზე, ისე, რომ არც მხარდამჭერი და არც საპირისპირო არ არის გადანონვადი.

ვიდრე დასკვნამდე მივიდოდე, მინდა ასევე მივუთითო იმაზე, რომ დირექტივების ჰორიზონტალურად მოქმედების დადასტურების შემთხვევაში გამოტანილ უნდა იქნეს სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით შესაბამისი დასკვნები. რეგულაციებისა და გადანყვეტილებების მსგავსად 173-ე მუხლის მე-2 აბზაცით უნდა შეიძლებოდეს მათი გასაჩივრება.

შედეგად მე იმ აზრზე ვარ, რომ, სამართლებრივი უსაფრთხოების საფუძვლების გამო, დირექტივების ჰორიზონტალური მოქმედება წარსულში შეუძლებელი იყო. დასახელებულ საზღვრებში ეს მისაღები მეჩვენება მომავალში გაერთიანების სამართლის ერთიანი და ეფექტური გამოყენების ინტერესებისათვის. ამდენად, კერძო პირების ვალდებულებით დატვირთვა, ვფიქრობ, მისაღებია, რადგან ეს არ იქნება იმაზე მეტი, ვიდრე ეს წევრი სახელმწიფოს მიერ გაერთიანების სამართლით გათვალისწინებული მოქმედების შედეგად დადგებოდა. პროცესის რისკი კი საბოლოოდ აკისრია მხარეს, რომელიც დირექტივის უპირობო და საკმარისად ზუსტ დებულებას გამოიყენებს.

(ii) ობიექტური მოქმედება: დირექტივების შესაბამისი განმარტება; მესამე პირების მიმართ დირექტივების არაპირდაპირი ჰორიზონტალური მოქმედება

საქმე *Marleasing*⁹²:

საქმის ფაბულა: პროცესი ეხებოდა ესპანეთის სასამართლოში არსებულ სამართლებრივ დავას – Marleasing SA-ს, როგორც მომჩივანსა, და ესპანურ სააქციო საზოგადოებას, როგორც მოპასუხეს, შორის. Marleasing-მა პროცესის მსვლელობისას მოითხოვა მოპასუხის იმ ხელშეკრულების ბათილად აღიარება, რომლითაც ეს საზოგადოება იყო დაარსებული, რადგან არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი, წარმოადგენდა მხოლოდ მოჩვენებით იურიდიულ პირს, და მისი მიზანი მესამე ფირმის კრედიტორის, ამავდროულად მოპასუხე ფირმის თანადამფუძნებლის, დაზარალება იყო. ესპანეთის კანონმდებლობის მიხედვით, ასეთი წინაპირობები ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი იყო. მოპასუხე მხარემ წარმოადგინა ამ მოთხოვნის საწინააღმდეგო არგუმენტაცია, რომელიც, სხვათა შორის, ეყრდნობოდა 61/151 დირექტივის მე-11 მუხლს, რომელშიც სააქციო საზოგადოების ბათილობის შემთხვევები იყო ჩამოთვლილი. ამ საფუძვლებს შორის არ იყო ვადის დაცვით იმპლემენტირებული. შესაბამისად, წარმოიშვა კითხვა, მოქმედი ესპანური სამართალი დირექტივის დებულებების შინაარსით უნდა ყოფილიყო თუ არა განმარტებული კერძო სამართლის სუბიექტებს შორის დავაში.

8. როგორც ევროპულმა სასამართლომ გადაწყვიტა (...), **წევრ სახელმწიფოებს აკისრიათ დირექტივიდან გამომდინარე ვალდებულება, რომ ამ დირექტივაში გათვალისწინებული მიზანი იქნეს მიღწეული, ასევე წევრი სახელმწიფოების, საჯარო უწყებებისა და მათი კომპეტენციის ფარგლებში ასევე სასამართლოების მოვალეობაა, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად, ამ ვალდებულებების შესრულებისათვის მიიღოს ზოგადი თუ განსაკუთრებული სახის ნებისმიერი გამოსადეგი ღონისძიება. აქედან გამომდინარეობს, რომ ეროვნულმა სასამართლომ, რომელმაც ეროვნული სამართლის გამოყენებისას ეს სამართალი უნდა განმარტოს, — სულ ერთია, შეეხება ეს დირექტივამდე თუ დირექტივის შემდეგ მიღებულ ნორმებს, — ეს უნდა გააკეთოს შეძლებისდაგვარად დირექტივის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობისა და მიზნის მიხედვით, რათა დირექტივით დასახულ მიზანს მიაღწიოს და ამგვარად ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 189-ე მუხლის მე-3 აბზაცის მოთხოვნა შეასრულოს.**

9. ეროვნული სამართლის განმარტების მოთხოვნა, რომელიც 68/151 დირექტივის მე-11 მუხლთანაა შესაბამისობაში, კრძალავს სააქციო საზოგადოებებთან დაკავშირებული ეროვნული სამართლებრივი ნორმების ისეთ განმარტებას, რომელიც გამოიწვევდა სააქციო საზოგადოების ბათილობას სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე, ვიდრე დირექტივის მე-11 მუხლში ეს ამომწურავადაა ჩამოთვლილი. (...)

⁹² იხ. 66-ე სქოლიო.

13. ამდენად, დასმულ შეკითხვას პასუხი უნდა გაეცეს, რომ ეროვნულმა სასამართლომ, სადაც სამართლებრივი დავა იმ სფეროში მიმდინარეობს, რომელიც 68/151 დირექტივის გამოყენების სფეროში თავსდება, თავისი ეროვნული სამართალი ამ დირექტივის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობისა და მიზნის გათვალისწინებით უნდა განმარტოს, რათა ხელი შეუშალოს, რომ სააქციო საზოგადოება ბათილად იქნეს მიჩნეული სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე, ვიდრე ეს დირექტივის მე-11 მუხლში ამომწურავადაა ჩამოთვლილი.

საქმე *Faccini Dori*⁹³:

28. მომმართველი სასამართლოს მეოთხე შეკითხვა შეეხება იმას, არის თუ არა ადმინისტრაცია — კომუნალურ დონეზეც — ისევე, როგორც ეროვნული სასამართლო, ვალდებული, გამოიყენოს საბჭოს 71/305 დირექტივის 29-ე მუხლის მე-5 აბზაცი და გამოუყენებლად დატოვოს ეროვნული სამართლის ის დებულებები, რომლებიც მასთან შესაბამისობაში არ არიან.

29. ამაზე უნდა მიეთითოს, რომ ევროპულმა სასამართლომ თავის განაჩენებში 1982 წლის 19 იანვრის საქმეში 8/81 (*Becker*, 1982 წლის კრებული, 53, 71) და 1986 წლის 26 თებერვლის საქმეში 152/84 (*Marshall*, 1986 წლის კრებული, 737, 748) დაადგინა, რომ, თუ სახელმწიფომ დირექტივის იმპლემენტაცია ეროვნულ სამართალში ვადის დაუცველად ან არასაკმარისად მოახდინა, ერთეულებს ეროვნულ სასამართლოში სახელმწიფოს მიმართ ამ დებულებებზე დაყრდნობა შეუძლიათ ყველა იმ შემთხვევაში, რომლებშიც დირექტივის დებულებები შინაარსობრივად უპირობო და საკმარისად ზუსტია.

30. ერთეულებს შეუძლიათ ეროვნული სასამართლოებში დასახელებული წინაპირობებით დირექტივის დებულებებზე დაყრდნობა, იმიტომ, რომ ვალდებულებები, რომლებიც ამ დებულებებიდან გამომდინარეობენ, ნევრი სახელმწიფოების ყველა დაწესებულებებისათვის მოქმედებენ.

31. ამასთან, იქნებოდა ეს ურთიერთსაპირისპირო, თუ ერთეულები ეროვნული სასამართლოების წინაშე დირექტივის დებულებებს დაეყრდნობოდნენ, რომლებიც ზემოთ მითითებულ წინაპირობებს ასრულებდნენ, რათა ადმინისტრაციის მოქმედება სადავო გაეხადათ, ხოლო ამის საპირისპიროდ (ევროპულ სასამართლოს) მიეჩნია, რომ ადმინისტრაციას არ ჰქონდა დირექტივის დებულებათა მოქმედების უზრუნველყოფის მიზნით ეროვნული სამართლის იმ დებულებების გამოყენებლობის ვალდებულება, რომლებიც ამ დირექტივასთან შესაბამისობაში არ იქნებოდნენ. თუ ევროპული სასამართლო პრაქტიკით დადგენილი წინაპირობები შესრულებულია იმისათვის, რომ ერთეულებს შეეძლოთ ეროვნულ სასამართლოებში დირექტივის დებულებებზე დაყრდნობა, მაშინ ნებისმიერი მმართველი ერთეული თემი, სხვა ტერიტორიული გაერთიანებების ჩათვლით, ვალდებულია, გამოიყენოს ეს დებულებები.

32. რაც განსაკუთრებით 71/305 დირექტივის 29-ე მუხლის მე-5 აბზაცს შეეხება, პირველი კითხვის შემონგების შედეგად ნათელია, რომ ეს დებულება უპირობო და საკმარისად ზუსტია. ასე რომ, ერთეულებს შეუძლიათ, მათ სახელმწიფოს წინააღმდეგ დაეყრდნონ. ამდენად, ერთეულებს აქვთ უფლება, ეროვნულ სასამართლოებში ამ დებულებებს დაეყრდნონ, და ნებისმიერი მმართველი ერთეული თემი სხვა ტერიტორიული ორგანოების ჩათვლით, როგორც ეს ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, ვალდებულია, გამოიყენოს ისინი.

⁹³ იხ. 90-ე სქოლიო.

33. ამდენად, მეოთხე კითხვას პასუხი უნდა გაეცეს, რომ ადმინისტრაცია, კომუნალურ დონეზეც, როგორც ეროვნული სასამართლო, ვალდებულია, საბჭოს 71/305 დირექტივის 29-ე მუხლის მე-5 აბზაცი გამოიყენოს და ეროვნული სამართლის ის დებულებები გამოიყენებლად დატოვოს, რომლებიც მასთან შესაბამისობაში არ არიან.

საქმე *Unilever Italia SpA*⁹⁴:

საქმის ფაბულა: 1998 წლის 3 აგვისტოს იტალიაში ამოქმედდა კანონი ზეთის ზეთის ბოთლების ეტიკეტირების შესახებ, რომელიც ზეთის ზეთის განსხვავებული სახეების ადგილწარმოშობის შესახებ გარკვეული მონაცემების არსებობის ვალდებულებას ადგენდა. კანონის დებულებები ეწინააღმდეგებოდა ნორმებისა და ტექნიკური დებულებების სფეროში საინფორმაციო პროცედურის შესახებ 83/189 დირექტივის მიზნებს, რადგან დირექტივა ზოგადად კრძალავდა 1999 წლამდე ამ სფეროში რაიმე სახის ეროვნული ნორმის მიღებას, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში ამ დირექტივის მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული პროცედურების ფარგლებში სახელმწიფოებს ეკისრებოდათ ვალდებულება, შესაბამისი კანონპროექტი წინასწარ გადაეცათ კომისიისათვის.

1998 წლის 29 სექტემბერს ფირმა Unilever-მა ფირმა Central Food-ს მისი დაკვეთით მიანოდა 648 ლიტრი ნატურალური ზეთის ზეთი. 1998 წლის 30 სექტემბერს Central Food-მა შეატყობინა Unilever-ს, რომ მიწოდებული ზეთის ზეთი, ზემოხსენებული კანონის შესაბამისად, არ იყო მარკირებული, ამიტომ ის უარს ამბობდა შესაბამისი თანხის გადახდაზე და Unilever-ს მოსთხოვა, დროებით საწყობში დასაწყობებული საქონელი უკან მიეღო. 1998 წლის 2 ოქტომბერს Unilever-ი Central Food-ს აღნიშნულ საკითხში დაუპირისპირდა. ის აღნიშნავდა, რომ კომისიამ 83/189 დირექტივით განსაზღვრული პროცედურის ფარგლებში იტალიას მოსთხოვა, არ მიეღო რაიმე სახის ნორმები 1999 წლის 5 მაისამდე ზეთის მარკირების თაობაზე და თვლიდა, რომ იტალიის კანონის გამოყენება არ შეიძლებოდა. ის ამბობდა, რომ მის მიერ მიწოდებული ზეთის ზეთი სრულიად შეესაბამებოდა იტალიის სამართლებრივ აქტებს, და Central Food-ს მოსთხოვა, მიეღო საქონელი და გადაეხადა საფასური. რადგან Central Food-ი ხელახლა უარს ამბობდა გადახდაზე, 1998 წლის 21 ოქტომბერს Unilever-მა მილანის კომპეტენტურ უწყებაში შეიტანა განაცხადი მიწოდების ადეკვატური თანხის გადახდის შესახებ გაფრთხილების გამოცემის მოთხოვნით.

აღნიშნულმა უწყებამ შეაჩერა პროცედურა და წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის ფარგლებში ევროპულ სასამართლოს მიმართა შეკითხვით: ნევრი სახელმწიფოს სასამართლოს, რომელშიც განაცხადია შესული, ნატურალური ზეთის ზეთის საფასურის გადახდაზე გაფრთხილების გამოცემის შესახებ, რომლის მარკირება — ნევრ სახელმწიფოში ძალაში შესულ და მოქმედ — კანონს ეწინააღმდეგება, შეუძლია თუ არა ამ გაფრთხილების გამოცემა ისე, რომ კანონი არ გამოიყენოს, რადგან ევროპულმა კომისიამ ნატურალური ზეთის ზეთის ადგილწარმოშობის შესახებ ეროვნული კანონის პროექტის გადასინჯვისა და გადაცემისას 83/189 დირექტივის მე-9 მუხლის მე-3 აბზაცის საფუძველზე დაადგინა, რომ 1999 წლის 14 სექტემბრამდე ფორმალურად ნევრმა სახელმწიფომ არ უნდა გამოუშვას არანაირი სამართლებრივი ნორმები ზეთის ზეთის გასაღებასთან დაკავშირებით?

45. (...) გადასასინჯია, შესაძლებელია თუ არა ერთეულებს შორის ხელშეკრულებითი ვალდებულებებისა და უფლებების შესახებ სამოქალაქო სასამართლებრივ დავაში

⁹⁴ Judgment of the Court of 26 September 2000; Unilever Italia SpA and Central Food SpA.; Case C-443/98.

83/189 დირექტივის მე-9 მუხლის დარღვევით გამოცემული ტექნიკური ნორმების გამოუყენებლად დატოვება.

46. უპირველესად უნდა დადგინდეს, რომ ასეთი სახის სამოქალაქოსამართლებრივი დავის ფარგლებში 83/189 დირექტივის მე-9 მუხლის დარღვევით გამოცემული ტექნიკური დებულების გამოყენებამ შესაძლებელია დებულებებთან შეუსაბამო პროდუქტის გამოყენებისა და გასაღების შეზღუდვა გამოიწვიოს.

47. პირვანდელ პროცესში ეს შეესაბამება სინამდვილეს, რადგან იტალიის სამართლებრივი ნორმების გამოყენებამ შესაძლოა Unilever-ის მიერ ნატურალური ზეთუნის ზეთის ამ ფირმის საშუალებით მიმოქცევაში გაშვება შეზღუდოს.
(...)

49. ამით ევროპული სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარეობს, რომ ტექნიკური დებულების გამოუყენებლობა, რომელიც 83/189 დირექტივის მე-8 მუხლის შესაბამისად არ არის გადაცემული, (...) შესაძლოა, მისაღები იყოს ერთეულებს შორის სამართლებრივ დავაში. ანალოგიური შეეხება ასევე დირექტივის მე-9 მუხლში ასახული ვალდებულებების შეუსრულებლობას და, ამდენად, არ არსებობს მიზეზი, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სფეროში ერთეულებს შორის სამართლებრივ დავებს, როგორც ეს *Cia Security International*-ის საქმეში იყო, სხვანაირად მივუდგეთ, ვიდრე სამართლებრივ დავებს, რომლებშიც, როგორც ამ პროცესში, ერთეულები ხელშეკრულებითი უფლებებისა და ვალდებულებების გამო ურთიერთდაპირისპირებულნი არიან.

50. კერძოდ, დირექტივას თვითონ, როგორც ეს ირლანდიისა და დანიის მთავრობებმა აღნიშნეს, არ შეუძლია ერთეულთა ვალდებულებები წარმოშვას და ამიტომ არ შეიძლება მათი ერთეულების წინააღმდეგ გამოყენება (შეადარეთ განაჩენი 1994 წლის 14 ივლისის საქმეში *C-91/92, Faccini Dori*, 1994 წლის კრებული, I-3325, მე-20 პუნქტი); ეს პრაქტიკა არ მოქმედებს, თუმცა იმ შემთხვევისათვის, რომელშიც 83/189 დირექტივის მე-8 და მე-9 მუხლები არ სრულდება, რაც თავისთავად პროცედურის არსებითი დარღვევაა, და ამ მუხლების დარღვევით გამოშვებული ტექნიკური დებულებების გამოუყენებლობას განაპირობებს.

51. ასეთ შემთხვევაში 83/189 დირექტივა — სხვაგვარად, ვიდრე დირექტივის არაიმპლემენტაციისას, რომელსაც ორივე მთავრობის მიერ ციტირებული პრაქტიკა შეეხებოდა — არავითარ შემთხვევაში სამართლებრივი ნორმის მატერიალურ შინაარსს არ ადგენს, რომლის საფუძველზეც ეროვნულმა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს მასთან არსებული სამართლებრივი დავა. ის არ წარმოშობს არც უფლებებს და არც ვალდებულებებს ერთეულებისათვის.

52. ყველა ამ მოსაზრებების საფუძველზე შეკითხვას პასუხი უნდა გაეცეს, რომ ეროვნულმა სასამართლომ ერთეულებს შორის ხელშეკრულებით უფლებებსა და ვალდებულებებზე სამოქალაქოსამართლებრივ დავაში არ უნდა გამოიყენოს ეროვნული ტექნიკური დებულები, რომელიც 83/189 დირექტივის მე-9 მუხლის მიხედვით შეჩერებული ვადის დროს არის გამოშვებული.

(3) სახელმწიფოების პასუხისმგებლობა

გაერთიანებული საქმეები *Andrea Francovich*⁹⁵:

საქმის ფაბულა: ევროპული ეკონომიკური გაერთიანების 1980 წლის 20 ნოემბრის 80/987 დირექტივა, რომელიც შეეხებოდა დამსაქმებლის გადახდისუუნარობის დროს დასაქმებულის დაცვის სფეროში წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი ნორმების ჰარმონიზაციას, იმპლემენტირებულ უნდა ყოფილიყო 1983 წლის 23 ნოემბრამდე. წევრ სახელმწიფოებს დირექტივით სხვასთან ერთად ეკისრებოდათ ვალდებულება, შეექმნათ საგარანტიო ფონდი, რომლიდანაც უნდა დაეკმაყოფილებინათ დასაქმებულები, რომლებიც დამსაქმებლის გადახდისუუნარობის გამო ხელფასს ვერ მიიღებდნენ. იტალიამ ამ დირექტივის იმპლემენტაცია არათუ ვადის დაცვით არ მოახდინა, არამედ საერთოდ არ ჩართო იგი შიდასახელმწიფოებრივ სამართალში და ასეთი საგარანტიო ფონდებიც არ შეუქმნია.

ანდრეა ფრანკოვიჩი 1983 წლის 11 იანვრიდან 1984 წლის 7 აპრილამდე მუშაობდა იტალიაში დაფუძნებულ ფირმაში (Viacenza-ში) სადაც მან კუთვნილი ხელფასის მხოლოდ ნაწილი მიიღო. მისი მცდელობა, მიეღო თავისი ხელფასი იძულებითი აღსრულების გზით, უშედეგო აღმოჩნდა, რადგან ფირმას აღარ გააჩნდა ქონება, რომლიდანაც შესაძლებელი იქნებოდა დამსაქმებლის დაკმაყოფილება. მომჩივანი იტალიის სახელმწიფოსაგან მოითხოვდა ევროპული ეკონომიკური გაერთიანების 80/987 დირექტივით გათვალისწინებულ გარანტიას ხელფასის შემდგომ მიღებაზე და ასევე მიღებული ზარალის ანაზღაურებას.

33. გაერთიანების სამართლებრივი დებულებების სრული ეფექტურობა შეილახებოდა და დასახელებული უფლებების დაცვის ხარისხი შემცირდებოდა, თუ ერთეულებს არ ექნებოდათ შესაძლებლობა, იმ შემთხვევაში მოეთხოვათ ანაზღაურება, რომელშიც მათი უფლებები წევრი სახელმწიფოს მიერ გაერთიანების სამართლის დარღვევით იქნებოდა ხელყოფილი.

34. წევრი სახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურების განევის შესაძლებლობა უპირველესად მაშინ არის აუცილებელი, როდესაც გაერთიანების სამართლებრივი დებულებების სრული მოქმედება სახელმწიფო მოქმედებაზეა (...) დამოკიდებული, და ერთეულები კი ეროვნულ სასამართლოებში სახელმწიფოს უმოქმედობის შემთხვევაში ვერ სარგებლობენ მათთვის გაერთიანების სამართლით მინიჭებული უფლებებით. (...)

38. წინაპირობები, რომლებიც იძლევიან გაერთიანების სამართლით გათვალისწინებული სახელმწიფო პასუხისმგებლობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, დამოკიდებულია გაერთიანების სამართლის დარღვევის სახეზე, რომელიც გამონეულ ზიანს უდევს საფუძვლად.

39. თუ წევრი სახელმწიფო არღვევს (...) ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 189-ე მუხლის მე-3 აბზაციდან გამომდინარე თავის ვალდებულებას — მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა დირექტივით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად, -, გაერთიანების ამ სამართლებრივი რეგულირების სრული ეფექტურობისათვის საჭიროა პრეტენზიის წარდგენა ზიანის ანაზღაურებაზე, რაც, თავის მხრივ, სამი წინაპირობის არსებობაზეა დამოკიდებული.

⁹⁵ Judgment of the Court of 19 November 1991; *Andrea Francovich and Danila Bonifaci and others v Italian Republic*; Joined cases C-6/90 and C-9/90; European Court reports 1991 Page I-05357.

40. პირველი, დირექტივით გათვალისწინებული მიზანი უნდა მდგომარეობდეს ერთეულებისათვის უფლებების მინიჭებაში; მეორე, ამ უფლებების შინაარსის განსაზღვრა შესაძლებელი უნდა იყოს დირექტივის საფუძველზე; მესამე უნდა არსებობდეს მიზეზშედეგობრივი კავშირი (კაუზალური კავშირი) სახელმწიფოსათვის დაკისრებული ვალდებულების დარღვევასა (დირექტივის იმპლემენტაციასა) და დაზარალებულისათვის წარმოშობილ ზარალს შორის. (შეადარეთ ასევე საქმე C-91/92, *Faccini Dori*, 1994 წლის კრებული, I-3325, 3357, 27-ე-29-ე პუნქტები) (...)

42. ამის მიუხედავად, სახელმწიფომ ეროვნული დელიქტური სამართლის ფარგლებში უნდა აღმოფხვრას ზიანის შედეგები. გაერთიანების სამართლებრივი რეგულირების წესის არარსებობისას ცალკეული წევრი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი წესრიგის საქმეა, განსაზღვროს კომპეტენტური სასამართლოები და გასაჩივრების პროცედურები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ერთეულებისათვის გაერთიანების სამართლიდან წარმოშობილი უფლებების სრული დაცვა. (...)

საქმე *British Telecommunications plc.*⁹⁶:

38. ხელშეკრულებით შექმნილი სამართლებრივი წესრიგის არსიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პრინციპი იმ ზიანისათვის, რომელიც ერთეულებს მიადგათ სახელმწიფოს მიერ გაერთიანების სამართლის დარღვევის შედეგად (1991 წლის 19 ნოემბრის გაერთიანებული საქმეები – C-6/90 და C-9/90, *Francoovich* და სხვ., (...) 35-ე პუნქტი, და 1996 წლის 5 მარტის გაერთიანებულ საქმეებში – C-46/93 და C-48/93, *Brasserie du Pêcheur and Factortame*, 31-ე პუნქტი). აქედან გამომდინარეობს, რომ ეს პრინციპი წევრი სახელმწიფოს მიერ გაერთიანების სამართლის დარღვევის ნებისმიერი შემთხვევისათვის მოქმედებს (განაჩენი *Brasserie du Pêcheur and Factortame*, 32-ე პუნქტი).

39. უკანასკნელად დასახელებულ განაჩენში ევროპულმა სასამართლომ, წევრი სახელმწიფოს მიერ გაერთიანების სამართლის დარღვევის თვალსაზრისით, (...) გადაწყვიტა, რომ გაერთიანების სამართალი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას აღიარებს, თუ შესრულებულია სამი წინაპირობა. კერძოდ ის: რომ დარღვეული სამართლებრივი ნორმა მიზნად უნდა ისახავდეს ერთეულებისათვის უფლებების მინიჭებას; რომ დარღვევა უნდა იყოს საკმარისად კვალიფიციური და რომ სახელმწიფოსათვის დაკისრებული ვალდებულების დარღვევასა და დაზარალებული პირისათვის მიყენებულ ზიანს შორის უშუალო მიზეზშედეგობრივი კავშირი უნდა არსებობდეს (50-ე და 51-ე პუნქტები).

40. ეს წინაპირობები მოქმედებს ასევე იმ (...) შემთხვევაში, როდესაც წევრი სახელმწიფო არ ახდენს გაერთიანების დირექტივის სათანადოდ იმპლემენტაციას შიდასახელმწიფოებრივ სამართალში. (...) წევრი სახელმწიფოების პასუხისმგებლობისათვის ვინრო წინაპირობების დადგენა ამ შემთხვევაში (დირექტივის არასათანადოდ იმპლემენტაციის შემთხვევაში) იმ საფუძველზეა გამართლებული, რომლებიც ევროპულმა სასამართლომ უკვე განავითარა გაერთიანების ორგანოების ან წევრი სახელმწიფოების დელიქტებზე პასუხისმგებლობის ვინრო კონცეფციის გამართლებისათვის იმ სფეროებში კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების გამო, რომლებიც გაერთიანების სამართალში შედიან და რომლებშიც ისინი ფართო სამოქმედო არეალს ფლობენ; ამას მიეკუთვნება ის მოსაზრება, რომ საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელებას

⁹⁶ Judgment of the Court of 26 March 1996; *The Queen v H. M. Treasury, ex parte British Telecommunications plc.*; Case C-392/93; European Court reports 1996 Page I-01631.

ყოველთვის არ შეიძლება შეეშალოს ხელი ზიანის ანაზღაურების შესახებ საჩივრის შესაძლებლობით, როცა გაერთიანების ორგანოებისა თუ წევრი სახელმწიფოების მხრიდან საყოველთაო ინტერესი იმ ღონისძიებების გატარებას მოითხოვს, რომლებსაც შეუძლიათ ერთეულთა ინტერესების შელახვა. (შეადარეთ, განსაკუთრებით, 1978 წლის 25 მაისის განაჩენი საქმეებში: 83/76, 94/76, 4/77, 15/77 და 40/77, HNL და სხვები საბჭოსა და კომისიის წინააღმდეგ, 1978 წლის კრებული, 1209, მე-5 და მე-5 პუნქტები და განაჩენი *Brasserie du Pecheur and Factortame*, 45-ე პუნქტი).

42. ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, დარღვევა საკმარისად კვალიფიციურად უნდა მიიჩნეს, თუ ორგანომ ან წევრმა სახელმწიფომ მათი საკანონმდებლო უფლებამოსილების გამოყენებისას მის საზღვრებს აშკარად და მნიშვნელოვნად გადააცილა (...)

43. წინამდებარე შემთხვევაში უნდა დადგინდეს, რომ დირექტივის მე-8 მუხლის პირველი აბზაცი არაზუსტია და რომ ევროპული სასამართლოს მიერ ამ განაჩენით გათვალისწინებული განმარტების გვერდით ასევე შესაძლებელია ისეთი ინტერპრეტაცია, როგორც კეთილსინდისიერად გააკეთა გაერთიანებულმა სამეფომ იმ მოსაზრებების საფუძველზე, რომელთა უგულებელყოფა არ შეიძლება (იხ ზემოთ, მე-20-22-ე პუნქტები). ეს განმარტება, რომელსაც სხვა წევრი სახელმწიფოებიც უჭერენ მხარს, აშკარად არ ეწინააღმდეგება დირექტივის სიტყვასიტყვით მნიშვნელობასა და მიზანს.

44. ამასთან, გაერთიანებულმა სამეფომ ვერ შეძლო ევროპული სასამართლო პრაქტიკიდან სადავო ნორმის განმარტებისათვის მოეყვანა მაგალითი, რომლის მიმართაც ასევე კომისიამ მისი რეგულაციების – (...) – გამოშვებისას არ გამოთქვა მოსაზრება.

45. ის, რომ წევრმა სახელმწიფომ დირექტივის იმპლემენტაციისას საჭიროდ მიიჩნია, თავად განესაზღვრა მე-8 მუხლის საფუძველზე დირექტივის მოქმედების სფეროდან ამოღებული სამსახურები და ამით მე-8 მუხლი დაარღვია, ამ გარემოებებში არ შეიძლება საკმარისად კვალიფიციურ დარღვევად იქნეს მიჩნეული, როგორც ეს *Brasserie du Pecheur and Factortame*-ის განაჩენშია.

46. მე-4 კითხვას პასუხი უნდა გაეცეს, რომ თუ წევრი სახელმწიფო დირექტივის იმპლემენტაციისას საკუთარ შიდასახელმწიფოებრივ სამართალში თავად განსაზღვრავს დამკვეთის სამსახურებს, რომლებზეც მე-8 მუხლის მიხედვით დირექტივის მოქმედება არ ვრცელდება, მაშინ ის გაერთიანების სამართლის საფუძველზე არ არის ვალდებული, აუნაზღაუროს დამკვეთს ამ შეცდომით გამოწვეული ზიანი.

გაერთიანებული საქმეები Dillenkofer⁹⁷:

25. ერთი მხრივ, დარღვევა საკმარისად კვალიფიციურია, როცა ორგანო ან წევრი სახელმწიფო კანონშემოქმედების პროცესში მისი უფლებამოსილებების დადგენილ საზღვრებს აშკარად და მნიშვნელოვნად გადასცილდება (შეადარეთ განაჩენები 1978 წლის 25 მაისის საქმეებში: 83/76, 94/76, 4/77, 15/77 და 40/77, HNL და სხვები საბჭოსა და კომისიის წინააღმდეგ, კრებული 1978, 1209, მე-6 პუნქტი, *Brasserie du Pecheur and Factortame*, 55-ე პუნქტი, და *British Telecommunications*, 42-ე პუნქტი); მეორე მხრივ შეიძლება საკმარისი იყოს მხოლოდ გაერთიანების სამართლის დარღვევა, რათა დადასტურდეს საკმარისად კვალიფიციური დარღვევა. ეს იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ წევრ სახელმწიფოს არ ჰქონდა არჩევანი სამართლის დარღვევის ამ მომენტში სხვადასხვა საკანონმდებლო

⁹⁷ Judgment of the Court of 8 October 1996; Erich Dillenkofer, Christian Erdmann, Hans-Jürgen Schulte, Anke Heuer, Werner, Ursula and Trosten Knor v Bundesrepublik Deutschland; Joined cases C-178/94, C-179/94, C-188/94, C-189/94 and C-190/94; European Court reports 1996 Page I-04845.

შესაძლებლობას შორის და მნიშვნელოვნად შემცირებული ან საერთოდ ნულამდე დაყვანილი შესაძლებლობა ჰქონდა, ემოქმედა თავისი შეხედულებით. (შეადარეთ განაჩენი *Hedley Lomas*, 28-ე პუნქტი).

26. თუ წევრი სახელმწიფო, როგორც ეს *Francovich*-ის საქმეშია, ხელშეკრულების 189-ე მუხლის მე-3 აბზაცის დარღვევით დირექტივაში განსაზღვრული ვადის ფარგლებში არ მიიღებს არანაირ ზომას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ამ დირექტივით განსაზღვრული მიზნის მიღწევისათვის აუცილებელია, ის მაშინ აშკარად და არსებითად სცილდება უფლებამოსილებების განხორციელებისათვის დადგენილ საზღვრებს.
(...)

28. ზიანის ანაზღაურება არ უნდა იყოს განსაკუთრებით იმაზე დამოკიდებული, არის თუ არა ბრალეული (განზრახ ან გაუფრთხილებლობით) (...) სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელმაც, სავარაუდოდ, ეს დაარღვია.
(...)

72. შემდგომ ეროვნულმა სასამართლომ, ევროპული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ასანაზღაურებელი ზიანის განსაზღვრისას მუდმივად უნდა განსაჯოს, შეეცადა თუ არა დაზარალებული, შესაბამისი ფორმით ზიანის დადგომისათვის ხელი შეეშალა ან ზიანის მოცულობა შემცირებინა.

გაერთიანებული საქმეები *Brasserie du Pêcheur SA, Factortame Ltd*⁹⁸:

56. ამდენად, განსახილველ საკითხებს, რომლებიც კომპეტენტურმა სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, განეკუთნება: დარღვეული ნორმების სიზუსტისა და გასაგებობის ხარისხი, თავისუფალი სამოქმედო არეალის მოცულობა, რომელსაც დარღვეული ნორმა ეროვნულ თუ გაერთიანების ორგანოებს უტოვებს; საკითხი, დარღვევა ჩადენილია განზრახ თუ განზრახვის გარეშე ან ზიანი განზრახ თუ განზრახვის გარეშე არის მიყენებული; გასათვალისწინებელია კონკრეტული სამართლებრივი გაუგებრობის მიტევებისა თუ მიუტევებლობის მოტივები და გარემოება – გაერთიანების ორგანოს მოქმედებამ შესაძლოა წვლილი შეიტანა იმაში, რომ ეროვნული ღონისძიებები ან პრაქტიკები არ განხორციელებულა, ან დამკვიდრდა და ხორციელდება გაერთიანების სამართლის დარღვევით.

57. ყოველ შემთხვევაში, გაერთიანების სამართლის დარღვევა არის აშკარად კვალიფიციური, თუ ის მაინც განაგრძობს არსებობას განაჩენის გამოტანის მიუხედავად, რომელშიც დადასტურებულია დარღვევის ფაქტი ან წინასწარი გადანყვეტილების პროცესში გამოტანილი განაჩენის ან ევროპული სასამართლოს მუდმივი პრაქტიკის მიუხედავად, რომელიც მიუთითებს სადავო მოქმედების არამართლზომიერებაზე.

გენერალური ადვოკატი საქმეში – *Hedley Loma* – აცხადებს⁹⁹:

სახელმწიფოს მიმართ პასუხისმგებლობის დაყენების შესახებ საჩივარი არასრული უშუალო მოქმედების საწინააღმდეგო საშუალებაა, სადაც ერთეულებს ენიჭებათ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ევროპული სასამართლო სადავო დებულებებს გარკვეული სახით უშუალო მოქმედებას ანიჭებს, რადგან პირს შეუძლია დაეყრდნოს მის არაიმპლემენტაციას, რათა მიიღოს გადანყვეტილება. კრედიტორს არ შეუძლია, სასამართლო წესით დირექტივით გათვალისწინებული უფლების მოვალეს

⁹⁸ Judgment of the Court of 5 March 1996; *Brasserie du Pêcheur SA v Bundesrepublik Deutschland and The Queen v Secretary of State for Transport*, ex parte: *Factortame Ltd and others*; Joined cases C-46/93 and C-48/93; European Court reports 1996 Page I-01029.

⁹⁹ Schuetze, Bruha, Koenig; *Casebook Europarecht*; 2004, გვ. 151.

გადაახდევინოს, რადგან ეს მოვალე დაუდგენელია. როგორც დაზარალებულ პირს, შეუძლია იმოქმედოს სახელმწიფოს წინააღმდეგ პასუხისმგებლობის დაყენების შესახებ საჩივრის მეშვეობით, რომელიც არასაკმარის იმპლემენტაციას ეყრდნობა. პასუხისმგებლობის დაყენების შესახებ საჩივარი არასაკმარისი იმპლემენტაციისა და ნაკლოვანი უშუალო მოქმედების ადგილს იკავებს.

ასე ხდება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის წარმოშობა, კონკრეტულ შემთხვევაში დირექტივის ნაკლოვანი იმპლემენტაციისას (...), ეფექტური სანქცია, ზენოლის საშუალება ან იმპლემენტაციისაკენ ბიძგი. (...)

გ) *გადაწყვეტილება:*

გაერთიანებული საქმეები S.N.U.P.A.T. I¹⁰⁰:

(...) ღონისძიების როგორც გადაწყვეტილების სამართლებრივი კვალიფიკაცია დამოკიდებულია, უპირველეს ყოვლისა, მის საგანსა და შინაარსზე.

საქმე *Sucriplex¹⁰¹:*

14. ამის საწინააღმდეგოდ მომჩივნები აცხადებენ, რომ კომისიის წერილმა გამოამყლავნა მათ წინააღმდეგ ხელშეკრულების 189-ე მუხლის (ახლა ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 249-ე მუხლის) მნიშვნელობით გადაწყვეტილების მიღების განზრახვა (...).

15. **რათა დადგინდეს, არის თუ არა** კომისიის 1979 წლის 3 ივლისის წერილი **გადაწყვეტილება**, რომელიც მომჩივნების მიერ ხელშეკრულების 173-ე მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით, შეიძლება გასაჩივრდეს, **უნდა გადაისინჯოს, შეუძლია თუ არა მას სამართლებრივი მოქმედება.** (შეადარეთ ასევე საქმე 242/81, *Roquette Freres v Council (Isoglucose)*, კრებული 1982, 3213, 3229 და შემდეგი, მე-3-მე-6 პუნქტები, საქმე 117/86, *Ufade v Council and Cimmission*, კრებული 1986, 3255, 3259, მე-8 პუნქტი და შემდგომი).

(1) სავალდებულობა:

გაერთიანებული საქმეები Usines Emile Henricot¹⁰²:

ხელშეკრულების მე-14 მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილებები უმაღლესი ორგანოს, ესე იგი მისი წევრების კოლეგიის, მიერ მიიღება.

გარდა ამისა, **რადგან ისინი „ყველა მის ნაწილშია სავალდებულო“, (*obligatoires en tous leurs elements*), უნდა იყვნენ ნათლად იმისათვის განსაზღვრულნი, რომ მის ადრესატებს მიანიჭონ უფლებები და დააკისრონ ვალდებულებები.**

გარდა ამისა, სიტყვების ბუნებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარეობს, რომ „გადაწყვეტილება“ **გამოხატავს შიდა ადმინისტრაციული პროცედურის დასრულებას, რომელშიც უმაღლესმა ორგანომ საკუთარი ნება ჩამოაყალიბა, და ამით მან ეს ნება საბოლოოდ გამოხატა.**

¹⁰⁰ Judgment of the Court of 17 July 1959; Société nouvelle des usines de Pontlieue - Aciéries du Temple (S.N.U.P.A.T.) v High Authority of the European Coal and Steel Community; Joined cases 32/58 and 33/58; European Court reports English special edition Page 00127.

¹⁰¹ Judgment of the Court (Second Chamber) of 27 March 1980; Sucriplex SA and Westzucker GmbH v Commission of the European Communities; Case 133/79; European Court reports 1980 Page 01299.

¹⁰² Judgment of the Court of 5 December 1963; Société anonyme Usines Emile Henricot and others v High Authority of the European Coal and Steel Community; Joined cases 23, 24 and 52-63; European Court reports English special edition Page 00217.

ბოლოს, შესაბამისი პირების დასაცავი ინტერესები მოითხოვს, რომ მათ უნდა შეეძლოს, გამოქვეყნების ხასიათის მიხედვით, მძიმე სამართლებრივი შედეგების გააზრება და უკვე მისი გარეგანი ფორმით განსაკუთრებით დადგენილი გასაჩივრების ვადის გარკვევა. ამდენად, შესაძლებელია, გადაწყვეტილებად მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ფორმით გამოქვეყნება, რომლის ადრესატებს შეუძლიათ, ერთმნიშვნელოვნად დაასკვნან, რომ ეს ასეთი სამართლებრივი აქტია.

საქმე *Compagnie des forges de Chatillon*¹⁰³.

(...) გადაწყვეტილებები ცნობადი უნდა იყოს, როგორც კომპეტენტური უწყების განაცხადი და უნდა წარმოშობდეს სამართლებრივ შედეგებს; მათ უნდა დაასრულონ შიდა პროცედურა, რომელშიც ორგანომ საკუთარი ნება ჩამოაყალიბა, და ასახონ საბოლოო დადგენილებები, რომელთა ფორმა ადრესატებს საშუალებას აძლევს, დაადგინონ, რომ სახეზეა გადაწყვეტილება.

საქმე *S.N.U.P.A.T. II*¹⁰⁴.

სადავო წერილი არ ასახავს არც მისი ფორმისა და არც მისი შინაარსის მიხედვით უმაღლესი ორგანოს გადაწყვეტილებას. რაც შეეხება ფორმას, ეს წერილი საბაზრო განყოფილების ხელმძღვანელის მიერაა ხელმოწერილი, კერძოდ, მისი სახელით და არა უმაღლესი ორგანოს სახელით ან მისი დავალებით; ამდენად, ის არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც უმაღლესი ორგანოს გადაწყვეტილება. შინაარსობრივად ის იმის დადგენით შემოიფარგლება, რომ ევროპული სასამართლოს 1959 წლის 17 ივლისის განაჩენები უმაღლესი ორგანოს სამსახურებმა უნდა გადასინჯონ, რომ ის აუცილებელ გადაწყვეტილებებს გამოუშვებს და რომ საბაზრო განყოფილების შეხედულებით არ არსებობს რაიმე საფუძველი სამოხელეო შეცდომის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისა. ასეთი განმარტება არც საყოველთაო წესს ადგენს და არც ინდივიდუალურ ინტერესებში საბოლოო ჩარევას ნიშნავს.

საქმე *International Business Machines (IBM II)*¹⁰⁵.

9. იმისათვის, რომ დადგინდეს, არის თუ არა გასაჩივრებული ღონისძიებები 173-ე მუხლის მიხედვით მოქმედებები, უნდა დავეყრდნოთ მათ არსს. ევროპული სასამართლოს მუდმივი პრაქტიკის მიხედვით, ყველა ღონისძიება არის მოქმედება ან გადაწყვეტილება, რომელსაც სავალდებულო სამართლებრივი ხასიათი აქვს, და რომელიც მომჩივნის ინტერესს მის სამართლებრივ მდგომარეობაში ჩარევით ლახავს. აღნიშნულზე შესაძლებელია, 173-ე მუხლის თანახმად, საჩივრის აღძვრა. ამ მოქმედებების თუ გადაწყვეტილების ფორმა კი, ძირითადად, მის გასაჩივრებაზე ზეგავლენას არ ახდენს.

10. მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების შემთხვევაში, რომლებიც მრავალფაზიან პროცედურაში, განსაკუთრებით კი შიდა პროცედურის დასასრულს, გამოდიან, (...) გასაჩივრება, ძირითადად, იმ ღონისძიებების მიღების შემდეგადაა შესაძლებელი, რომლებიც ამ პროცედურის დასრულებისას კომისიის ან საბჭოს პოზიციას საბოლოოდ დაადგენენ, და არა შუალედური ღონისძიებებისას, რომლებმაც საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მოამზადონ.

¹⁰³ Judgment of the Court of 16 June 1966; *Compagnie des forges de Châtillon, Commentry & Neuves-Maisons v High Authority of the ECSC*; Case 54-65; European Court reports English special edition Page 00185.

¹⁰⁴ Judgment of the Court of 22 March 1961; *Société nouvelle des usines de Pontlieue - Acières du Temple (S.N.U.P.A.T.) v High Authority of the European Coal and Steel Community*; Joined cases 42 and 49/59; European Court reports English special edition Page 00053.

¹⁰⁵ Judgment of the Court of 11 November 1981; *International Business Machines Corporation v Commission of the European Communities*; Case 60/81; European Court reports 1981 Page 02639.

11. ოდნავ განსხვავებული იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ქმედებებს ან გადაწყვეტილებებს მოსამზადებელი პროცედურის ფარგლებში ექნებოდათ არა მარტო ზემოთ აღწერილი სამართლებრივი ნიშნები, არამედ საბოლოოდ თავად დაასრულებდნენ განსაკუთრებულ პროცედურას, რაც იმისაგან განსხვავდება, რომელმაც კომისიას ან საბჭოს გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა უნდა მისცეს.
(...)

19. საჩივრის პუნქტების შესახებ შეტყობინება არ წარმოშობს კონკრეტული სანარმოს ვალდებულებას, შეცვალოს მან საქმიანობის პრაქტიკა და გადასინჯოს ის; მას არ აქვს ასევე ზეგავლენა იმაზე, ჩამოერთვას მისთვის მინიჭებული დაცვის უფლება (...). კონკრეტული სანარმო შესაძლებელია გაფრთხილებულ იქნეს საჩივრის პუნქტების შესახებ შეტყობინებაში, რომ არსებობს სერიოზული საფრთხე, რომ კომისია მას ჯარიმას დააკისრებს, თუმც საბოლოოდ ეს არის ფაქტობრივი და არა სამართლებრივი შედეგი, რომელიც საჩივრის პუნქტების შესახებ შეტყობინებით შეიძლება იქნეს გამოწვეული.
(...)

21. ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ (არ არის) საჩივრის პუნქტების შესახებ შეტყობინება თავისი ბუნებითა და სამართლებრივი მოქმედებით ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 173-ე მუხლის მიხედვით გადაწყვეტილებებმა, რომელთა მიმართაც საჩივარი დაიშვა. (...)

საქმე *Air France*¹⁰⁶:

1. იმის დასადაგენად, სახეზეა თუ არა ღონისძიება ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 173-ე მუხლის მიხედვით, უნდა დავეყრდნოთ მის არსს. ყველა ღონისძიება, რომელიც სავალდებულო სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს, რომელიც, თავის მხრივ, მომჩივანის სამართლებრივ მდგომარეობაში ჩარევით მის ინტერესებს მნიშვნელოვნად ლახავს, არის მოქმედება ან გადაწყვეტილება, რომლის მიმართაც შესაძლებელია ბათილობის შესახებ საჩივრის აღძვრა.

4064/89 რეგულაციის მიხედვით, სანარმოთა გაერთიანებების კონტროლის ფარგლებში საკონკურენციო საკითხებში კომისიის კომპეტენტური წარმომადგენლის პრესმდივნის მიერ კომისიის სახელით გაკეთებული განცხადების ბათილად ცნობის შესახებ საჩივარი აღიძრა. ეს განცხადება ეხებოდა იმას, რომ ორი სანარმოს განზრახული გაერთიანება ამ დადგენილების მოქმედების სფეროში არ ხვდებოდა, რადგან, რეგულაციის პირველი მუხლის თვალსაზრისით, ეს გაერთიანება უმნიშვნელო იყო გაერთიანების სივრცისათვის.

ამგვარად, გაჟღერებული გადაწყვეტილება, რომელიც კომისიამ მისი კომპეტენციის შემოწმების შემდეგ ამ დაგეგმილი გაერთიანების მიმართ გამოსცა, წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს:

- ნევრი სახელმწიფოების მიმართ, რომელთა კომპეტენცია სადავო გაერთიანების შეფასებაზე ნამდვილად დასტურდება მათი ეროვნული სამართლით ტერიტორიული შემხებლობიდან გამომდინარე, და მეორეც, ნევრი სახელმწიფოს ან ნევრი სახელმწიფოების მხრიდან ყოველი სამართლებრივი ეჭვი რეგულაციის 22-ე მუხლის შესამე აზრის გამოყენების წინაპირობების შესრულების თვალსაზრისით აღმოფხვრება;
- გაერთიანებული სანარმოების მიმართ, რომლებიც, რეგულაციის მე-4 მუხლის

¹⁰⁶ Judgment of the Court of First Instance (Second Chamber) of 24 March 1994; Société Anonyme à Participation Ouvrière Compagnie Nationale Air France v Commission of the European Communities; Case T-3/93; European Court reports 1994 Page II-00121.

პირველი აზრის შესაბამისად, სადავო გაერთიანების შესახებ კომისიასთან განცხადების ვალდებულებისაგან გათავისუფლდნენ, და მათ ეძლევათ შესაძლებლობა მათი პროექტის მყისიერად განხორციელებისა;

- კონკურენტების მიმართ, რომელთა მდგომარეობას ბაზარზე შესაძლოა უშუალოდ შეეხოს გაერთიანების ამგვარად წარმოქმნა.

2. ფორმის არჩევა არაფერს ცვლის ორგანოს მოქმედების არსზე. ფორმას, რომელშიც ქმედება ხორციელდება, ძირითადად არ აქვს ზეგავლენის ძალა ბათილად ცნობის შესახებ საჩივრის აღძვრაზე. ის, რომ ქმედება უჩვეულო ფორმითაა გამოხატული, (...) არ უდგას წინ ბათილად ცნობის შესახებ საჩივრის აღძვრას, იმდენად, რამდენადაც ქმედებამ მესამე პირების მიმართ აჩვენა სამართლებრივი შედეგები. ეს არის კომისიის წევრის სახელით გაკეთებული განცხადების შემთხვევა, როგორც ეს პრესსააგენტოს მიერ იქნა გავრცელებული.

საქმე *Sucrimex*¹⁰⁷:

15. იმისათვის, რომ დადგინდეს, კომისიის 1979 წლის 3 ივლისის წერილი არის თუ არა გადანყვეტილება, რომელიც ხელშეკრულების 173-ე მუხლის მე-2 აზრის მიხედვით, მოსარჩელების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს, გადასასინჯია, შეეძლო თუ არა მას სამართლებრივი შედეგების წარმოქმნა.

16. დადგენილია, რომ გაერთიანების დებულებების აღსრულება საექსპორტო ხარჯების ანაზღაურების სფეროში ამისათვის განსაზღვრული შიდასახელმწიფოებრივი უწყებების კომპეტენციაში ხვდება და რომ კომისია არ არის უფლებამოსილი, მიიღოს გადანყვეტილებები მათ განმარტებაზე. მას აქვს მხოლოდ აზრის გამოხატვის შესაძლებლობა, რომელიც შიდასახელმწიფოებრივი უწყებებისათვის სავალდებულო არ არის.

17. გარდა ამისა, არც გასაჩივრებული წერილის შინაარსიდან და არც მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან არ გამომდინარეობს, რომ ის რაიმე სახით სამართლებრივად მოქმედებს.

18. ამ დადგენილებებიდან გამომდინარეობს, რომ წინამდებარე შემთხვევაში კომისია ისე არ მოქმედებს, რომ მისი ქმედება, შესაძლებელია, ბათილად ცნობის შესახებ საჩივრის საგანი იყოს.

გაერთიანებული საქმეები S.N.U.P.A.T. I¹⁰⁸:

შეუძლია თუ არა მომჩივანს, დამატებით გასაჩივროს უმაღლესი ორგანოს 1957 წლის 18 დეკემბრისა და 1958 წლის 17 აპრილის წერილები?

ევროპული სასამართლოს მუდმივი პრაქტიკის თანახმად, საწარმოს, რომელიც ასაჩივრებს ინდივიდუალურ გადანყვეტილებას, შეუძლია, ამ გადანყვეტილების საფუძველად არსებული ზოგადი გადანყვეტილებების არამართლზომიერება გაასაჩივროს.

მხარეები ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ (...) 1958 წლის 12 მაისის წერილი და 1958 წლის პირველი ივნისის დუმილით უარყოფილი გადანყვეტილება შეეხება უმაღლესი ორგანოს ზემოდასახელებულ წერილში წარმოდგენილ პრინციპებს. ეს, ფაქტობრივად, თვალნათელი შემთხვევაა. აქედან გამომდინარე, უნდა გადაისინჯოს, არის თუ არა ეს წერილები გადანყვეტილებები.

არის 1957 წლის 18 დეკემბრის წერილი გადანყვეტილება?

¹⁰⁷ Judgment of the Court (Second Chamber) of 27 March 1980; Sucrimex SA and Westzucker GmbH v Commission of the European Communities; Case 133/79; European Court reports 1980 Page 01299.

¹⁰⁸ იხ. მე-100 სქოლიო.

უმაღლესი ორგანოს 1957 წლის 18 დეკემბრის წერილი განსაზღვრავს ზოგად პრინციპს იმდენად, რამდენადაც ის ჯართის შემთხვევებისათვის (ჯართის იმ კატეგორიის) ცნების დადგენას შეეხება, რომელსაც საწარმო უსასყიდლოდ იღებს.

ეს წერილი 1958 წლის პირველ თებერვალს ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების ოფიციალურ გამოცემაში გამოქვეყნდა და გაერთიანების ყველა საწარმოსათვის გახდა ცნობილი. ჯართის გამოყენების გერმანული საზოგადოების 1958 წლის 6 თებერვლის შეკითხვაზე უმაღლესი ორგანოს საბაზრო განყოფილებამ თავის 1958 წლის 19 თებერვლის პასუხში დასახელებულ წერილს უწოდა „გადანყვეტილება“.

თუმცა მოსარჩელის მოსაზრების საპირისპიროდ 1957 წლის 18 დეკემბრის წერილი, ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს გადანყვეტილებად.

მართალია, 1957 წლის 18 დეკემბრის წერილი იყო განცხადების პასუხი, რომლითაც ჯართის გამოყენების ერთიანმა ბიურომ, თავისი წევრების არაერთგვაროვანი მოსაზრებების გამო, (აღნიშნულ) ცნებაზე შუამდგომლობით მიმართა უმაღლეს ორგანოს, 2/57 გადანყვეტილების მე-15 მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად განემარტა იგი. უმაღლესმა ორგანომ თავის პასუხში განმარტა, რომ ბიუროს მიერ ამ ფორმით წარმოდგენილი შეკითხვა „არასწორად იყო დასმული“, რადგან ბიურო „თავიდანვე დუმილით (ამ ცნების სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე) მოქმედებდა“ და რომ ეს კრიტერიუმი შესაწარმუნებელი იყო.

აქედან გამომდინარეობს, რომ უმაღლეს ორგანოს არ ჰქონდა განზრახული, მასთან დაყენებული ფორმალური განაცხადის შესაბამისად გამოეცა გადანყვეტილება, არამედ საბოლოოდ უნდოდა პრინციპების დადასტურება, რომლებზეც ის სამართლიანად თუ უსამართლოდ ვარაუდობდა, რომ ლოგიკურად გამომდინარეობდა 2/57 ძირითადი გადანყვეტილებიდან. ამის სასარგებლოდ მეტყველებს ასევე ის ფაქტი, რომ ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების დაარსების შესახებ ხელშეკრულების 53-ე მუხლის ბ ქვეპუნქტის თანახმად, 2/57 გადანყვეტილების შეცვლისათვის აუცილებელი იქნებოდა მინისტრთა საბჭოს წინასწარ ერთხმად მიღებული თანხმობა, ანუ ის, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ იყო შესრულებული. ამასთან, არ არსებობს საბაზი ვარაუდისა, რომ უმაღლესი ორგანო ამ სავალდებულო ნორმას განზრახ დაარღვევდა.

ეს მოსაზრებები არ ბათილდება იმითაც, რომ უმაღლესი ორგანოს საბაზრო განყოფილებამ ჯართის გადამუშავების გერმანული გაერთიანების 1958 წლის 6 თებერვლის ფორმალურ წერილზე საპასუხოდ განაცხადა, რომ 1957 წლის 18 დეკემბრის წერილი ფაქტობრივად იყო „გადანყვეტილება“. როგორც საბაზრო განყოფილების პასუხის შინაარსიდან ჩანს, ეს წერილი საბოლოოდ უმაღლესი ორგანოს მოხელის შეხედულებას გამოხატავს და ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ გადმოსცემს აუცილებლად მის განზრახვებს.

ამასთან, ზემოაღნიშნული სუბიექტური მოსაზრებები არ შეიძლება იყოს, აბსოლუტურად გადამწყვეტი 1957 წლის 18 დეკემბრის წერილის სამართლებრივი ბუნების დასადგენად, რადგან ერთი ღონისძიების სამართლებრივი კვალიფიკაცია, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია მის საგანსა და შინაარსზე.

დასახელებული წერილი ასახავს ზემდგომი ორგანოს შიდასამსახურებრივ მითითებას, რომლითაც ის მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებს მათი საქმიანობის მიმართულებებს აძლევს. ამ წერილს ამგვარად შეეძლო უშუალო ვალდებულებები წარმოეშვა მხოლოდ ადრესატებისათვის, და არა ჯართის გადამამუშავებელი საწარმოე-

ბისათვის, რაც, გარდა ამისა, იმ ფაქტით დასტურდება, რომ წერილი, რომელიც 1957 წლის 18 დეკემბრითაა დათარიღებული, პირველად გაერთიანების ოფიციალურ გამოცემაში 1958 წლის პირველ თებერვალს გამოქვეყნდა.

ზემოაღნიშნული საფუძვლების მიხედვით, 1957 წლის 18 დეკემბრის წერილი, ხელშეკრულების თვალსაზრისით, გადაწყვეტილება არ არის.

არის თუ არა 1958 წლის 17 აპრილის წერილი გადაწყვეტილება?

ზემოაღნიშნული დასკვნები 1957 წლის 18 დეკემბრის წერილის თაობაზე ვრცელდება, ასევე ზოგადად, 1958 წლის 17 აპრილის წერილზეც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ეს წერილი, საბოლოოდ, განკუთვნილი იყო, ალენერა ბიუროსათვის ის საფუძვლები, რომლებითაც უმაღლესმა ორგანომ მისი 18 დეკემბრის წერილით ორი კონკრეტული საწარმო გადასახადებისაგან გაათავისუფლა, კერძოდ ამ საწარმოთა საამქროები „გაერთიანდა ჯართის გამოშუქების იმ ერთ თუ რამდენიმე საამქროსთან ადგილობრივად, რომლებიც მათ არ ეკუთვნით“. ეს წერილი ადგენს არა ახალ პრინციპს, არამედ, საბოლოოდ, ნათლად ადასტურებს პრინციპს, რომელიც ადმინისტრაციამ 2/57 გადაწყვეტილების აღსრულებისას უკვე დუმილით გამოიყენა.

1958 წლის 17 აპრილის წერილი არ არის გადაწყვეტილება ხელშეკრულების მიხედვით.

(2) ინდივიდუალური მოქმედება:

გაერთიანებული საქმეები *Fédération nationale de la boucherie en gros et du commerce en gros des viandes*¹⁰⁹:

ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 189-ე მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილება მხოლოდ იმათთვის არის სავალდებულო (...), რომლებსაც ის ასახელებს. (...) გადაწყვეტილების არსებითი ნიშანია ის, რომ იგი მხოლოდ იმ პირებს მიმართავს, „რომელთაც ის ასახელებს“ (...) და (...) გამოყენებადია გარკვეული რაოდენობის დასახელებული ან იდენტიფიცირებადი ადრესატების მიმართ.

გაერთიანებული საქმეები *Calpak SpA and Società Emiliana Lavorazione Frutta SpA*¹¹⁰:

7. 173-ე მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით, ერთეულებს შეუძლიათ იმოქმედონ ნებისმიერი გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი რეგულაციების სახით გამოვიდნენ, მათ უშუალოდ და ინდივიდუალურად შეეხებათ. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით ხელი უნდა შეეშალოს იმას, რომ გაერთიანების ორგანოებს მიეცეთ საშუალება, მხოლოდ რეგულაციის ფორმის არჩევით ერთეულებს ჩამოართვან იმ რეგულირების გასაჩივრების უფლება, რომელიც მათ უშუალოდ და ინდივიდუალურად შეეხებათ; ამგვარად, უნდა დადგინდეს, რომ ფორმის არჩევა ვერ ცვლის ქმედების სამართლებრივ ბუნებას. (მუდმივი სასამართლო პრაქტიკა; შეადარეთ საქმე 117/86, *Ufade v Council and Commission*, 1986 წლის კრებული, 3255, 3259, მე-8 პუნქტი; დაკავშირებული საქმეები T-481/93 და T-484/93, *Vereniging van Exporteurs in Levende Varkens v Commission*, 1995 წლის კრებული, II-2941, 2958, 39-ე პუნქტი; საქმე T-122/96, *Fed-*

¹⁰⁹ Judgment of the Court of 14 December 1962; *Fédération nationale de la boucherie en gros et du commerce en gros des viandes and others v Council of the European Economic Community*; Case 19/62 to 22/62; European Court reports English special edition Page 00491.

¹¹⁰ Judgment of the Court of 17 June 1980; *Calpak SpA and Società Emiliana Lavorazione Frutta SpA v Commission of the European Communities*; Joined cases 789 and 790/79; European Court reports 1980 Page 01949.

erawione Nazionale del Cemmercio Oleario (Federolio) კომისიის წინააღმდეგ, 1997 წლის კრებულის, II-1559, 1578, 50-ე პუნქტი).

გაერთიანებულ საქმეებში *Confederation Nationale des Producteurs de Fruits et Legumes*; გენერალური ადვოკატი¹¹¹:

როგორც დავადგინეთ, 189-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ განსხვავებული ღონისძიებები, რომელთა მიღება საბჭოსა და კომისიას შეუძლიათ, განსაკუთრებით რეგულაცია და გადანყვეტილებაა. რეგულაცია მოქმედებს საყოველთაოდ. ის ყველა ნაწილში სავალდებულოა და ყოველ წევრ სახელმწიფოში მოქმედებს უშუალოდ. გადანყვეტილება სავალდებულოა ყველა მის ნაწილში იმათთვის, რომელთაც ის ასახელებს. რეგულაციის განმარტება ემთხვევა ექვსივე ქვეყნისათვის ნაცნობ ამ განსაკუთრებული ადმინისტრაციული ღონისძიების სახის საყოველთაოდ მოქმედ ცნებას: კერძოდ, ფორმალური თვალსაზრისით ადმინისტრაციულ ღონისძიებას, რადგან გამოიცემა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე დამოკიდებული ორგანოს ან თავად აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ; მატერიალური თვალსაზრისით კი არის ნორმატიული ხასიათის ნორმა, ნამდვილი მეორადი კანონმდებლობა, რომელიც ობიექტურად ადგენს მის მიერ მოცულ ყველა შემთხვევაზე გამოყენებად ნორმას, რომელიც არ არის მიბმული კონკრეტულ პირსა თუ ერთეულზე.

გადაწყვეტილების განმარტება ეჭვგარეშეა, რომ უფრო სასარგებლო იყო, რადგან სიტყვას „გადაწყვეტილება“ რამდენიმე მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. განსაკუთრებით ხშირად ის ფართო გაგებით მოიაზრება, რაც ყველა ადმინისტრაციულ ღონისძიებას მოიცავს, რომლებიც სამართლებრივ მდგომარეობას ქმნის ან ცვლის, ან ვალდებულებებს წარმოშობს: რეგულაცია ამ მხრივ მხოლოდ გადაწყვეტილების ქვესახეა, ისვე როგორც კოლექტიური ორგანოს „დადგენილება (Deliberation)“, სპეციალურად ფრანგული სამართლიდან ნასესხები ცნება, რომელმაც ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულებაში სირთულეები წარმოქმნა. შემდგომ ამისა, უნდა განსხვავდეს „ზოგადი“ გადაწყვეტილებები, რომლებიც არ არის აუცილებელი, რეგულაციები იყოს (მაგ., გადაწყვეტილება, რომლითაც დგინდება გაერთიანებაში ნაკლოვანი მდგომარეობა, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 59-ე მუხლის პირველი აბზაცი) და „ინდივიდუალური“ გადაწყვეტილებები.

რომის ხელშეკრულებას სურდა დაედგინა ტერმინოლოგია. გადაწყვეტილების მის მიერ მოცემული განმარტება („გადაწყვეტილება ყველა მის ნაწილში იმათთვისაა სავალდებულო, რომელთაც ის ასახელებს“) მეჩვენება, რომ ძალზე შეესაბამება ინდივიდუალური გადაწყვეტილების ცნებას. თავისთავად ერთსა და იმავე გადაწყვეტილებას შეიძლება რამდენიმე ადრესატი ჰყავდეს (მრავლობითი „მათ“ ამას მოიაზრებს): ეს შეეხება მაშინ კოლექტიურ გადაწყვეტილებას, რომელიც სინამდვილეში მნიშვნელოვანია ინდივიდუალურ გადაწყვეტილებათა მთელი რიგისათვის.

ამ თვალსაზრისით „გადაწყვეტილება“ მოიცავს არა რეგულაციას, არამედ მისი საპირისპიროა. რომის ხელშეკრულების თანახმად, ერთი და იგივე ღონისძიება ერთდროულად არ შეიძლება იყოს გადაწყვეტილება და რეგულაცია, როდესაც 173-ე მუხლში საუბარია „გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ... მიღებულია როგორც რეგულაციები“. იგი გულისხმობს ისეთ მითითებებს, რომლებიც მხოლოდ „გარეგნულადაა“ რეგულაციები, რეალურად კი, რადგან ისინი შინაარსობრივად გადაწყვეტილებებია, არ აქვთ რეგულაციის ხასიათი. ეს არის ასევე საფუძველი იმისათვის, რომ ხელშეკრულება ითვალისწინებს მათთვის, გადაწყვეტილებებისათვის, მოქმედი ნორმების გამოყენებას, უპირველეს ყოვლისა კი, საჩივრების თვალსაზრისით, რომლის საგანიც შეიძლება

¹¹¹ Schuetz, Bruha, Koenig; Casebook Europarecht; 2004, გვ. 163.

ისინი გახდნენ.

შეიძლება საქმე სხვაგვარად ყოფილიყო მხოლოდ მაშინ, თუ სიტყვა „გადაწყვეტილება“ 173-ე მუხლის მე-2 აბზაცში ზოგადად იქნებოდა გასაგები, როგორც „ლონისძიების“ სინონიმი და არ ექნებოდა ის ზუსტი მნიშვნელობა, რომელსაც მას 189-ე მუხლი ანიჭებს. (...) მაგრამ, ბატონებო, ამ თეზისის შენარჩუნება რთულია, თუ მოინდომებთ, განსახილველი ნორმის სრულყოფილად წაკითხვას.

გასაჩივრების უფლება, „ფიზიკური და იურიდიული პირების“ გარდა, ასევე ენიჭებათ ნევრ სახელმწიფოებს, საბჭოსა და კომისიას, უპირველესად, „მათ მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების“ წინააღმდეგ: ეს ზუსტად შეესაბამება 189-ე მუხლში მოცემული გადაწყვეტილების განმარტებას. გასაჩივრების უფლების ორივე სხვა შემთხვევა განაპირობებს როგორც ერთს, ისე მეორეს, რომ გადაწყვეტილება ფიზიკურ და იურიდიულ პირს უნდა შეეხებოდეს უშუალოდ და ინდივიდუალურად“. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ვინმეს მიმართ „ინდივიდუალურად შეხებადი“ გადაწყვეტილება შეიძლება არ იყოს ინდივიდუალური გადაწყვეტილება? არ არის აქ სიტყვებით თამაში? სწორედ ეს ინდივიდუალური ხასიათი, რომელიც ლონისძიებას ფიზიკური თუ იურიდიული პირის მიმართ აქვს, ამის საწინააღმდეგოდ ამართლებს იმ პირისათვის გასაჩივრების უფლების მინიჭებას, რომელიც ამით ადრესატს უთანაბრდება.

ამიტომ, ვფიქრობ, გადაწყვეტილება, 173-ე მუხლის მე-2 აბზაცის თვალსაზრისით, შეიძლება იყოს მხოლოდ ინდივიდუალური, რომელიც რეგულაციის სახით არის მიღებული.

ზოგიერთი მომჩივანი სწორედ იმას ასაბუთებს, რომ გასაჩივრებული ლონისძიებები, მინიმუმ, მათ გასაჩივრებულ დებულებებში სინამდვილეში ინდივიდუალური გადაწყვეტილებებია და არა რეგულაციები; (...) რადგან, 189-ე მუხლის მიხედვით, რეგულაცია „უნდა მოქმედებდეს საყოველთაოდ“, რაც 26-ე რეგულაციისას არ არის სახეზე; რადგან ლონისძიებებს, რომლებიც მხოლოდ პირთა გარკვეულ კატეგორიებსა და ჯგუფებს შეეხებოდა, არ შეიძლებოდა ჰქონოდა საყოველთაო ხასიათი. ბატონებო, რეგულაციის ცნებაზე ასეთი მოსაზრება შეცდომაა. რეგულაციისათვის დამახასიათებელია არა მისი შინაარსობრივი თუ სივრცეში მოქმედების სფეროზე ფართოდ თუ ვიწროდ განვრცობა, არამედ მისი არაპიროვნული გამოყენება ობიექტურად განსაზღვრულ შემთხვევებზე, როგორ ვიწროდ და ზუსტადაც უნდა იყვნენ ისინი შემოფარგლულნი. რეგულაცია, როგორც ეს უკვე აღინიშნა, ინდივიდუალური გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ მოიწოდება, რომელიც ერთ ან რამდენიმე სამართალსუბიექტს, ერთ ან რამდენიმე ინდივიდს შეეხება. ეს ცნებები იმდენად ელემენტარულია, რომ შემდგომი განმარტებები მე საჭიროდ არ მეჩვენება.

გაერთიანებული საქმეები *Fédération nationale de la boucherie en gros et du commerce en gros des viandes*¹¹²;

2. ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 189-ე მუხლის მიხედვით რეგულაცია საყოველთაოდ მოქმედებს და მოქმედებს ყოველ ნევრ სახელმწიფოში, მაშინ როცა გადაწყვეტილება მხოლოდ იმათთვისაა სავალდებულო, რომელთაც ის ასახელებს. შესაბამისი განმასხვავებელი ნიშანი განჭვრეტილ უნდა იქნეს სადავო ლონისძიების საყოველთაო „მოქმედების“ არსებობასა თუ არარსებობაში.

გადაწყვეტილების არსებითი ნიშანია ის, რომ იგი მხოლოდ იმ პირებს მიმართავს, „რომელთაც ასახელებს“, მაშინ, როცა რეგულაციას არსებითად ნორმატიული ხასიათი აქვს და გამ-

¹¹² იხ. 109-ე სქოლიო.

ოიყენება არა მოხსენიებული ანდა იდენტიფიცირებადი ადრესატების განსაზღვრული რაოდენობის მიმართ, არამედ მოქმედებს ერთიანად და აბსტრაქტულად გამოყოფილ პირთა წრეებში. რათა ნათელი იყოს, სახეზეა გადაწყვეტილება თუ რეგულაცია, გამოკვლეულ უნდა იქნეს, შეეხება თუ არა სადავო ღონისძიება ინდივიდუალურად გარკვეულ პირებს. თუ მისი მიმღები ორგანოს მიერ რეგულაციად დასახელებული ღონისძიება შეიცავს ნორმებს, რომლებიც გარკვეულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს არა მხოლოდ უშუალოდ, არამედ ინდივიდუალურადაც შეეხება, მაშინ ნებისმიერ შემთხვევაში ამ ნორმებს — მიუხედავად იმისა, ეს ღონისძიება არის თუ არა სწორად მიღებული რეგულაციის სახით მთლიანად — არ შეიძლება მიენიჭოს რეგულაციის ხასიათი. ისინი შესაძლოა ამით შესაბამისი პირების მიერ 173-ე მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად, გასაჩივრდნენ.

3. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სადავო ღონისძიება დასახელდა „რეგულაციად“ იმ ორგანოს მიერ, რომელმაც ის გამოსცა. მომჩივნები კი იმ აზრზე არიან, რომ გასაჩივრებულ დებულებას სინამდვილეში „რეგულაციის სახით მიღებული გადაწყვეტილების“ ხასიათი აქვს. ეჭვგარეშეა, შესაძლებელია, რომ გადაწყვეტილებას ჰქონდეს ასევე ძალზე ფართო გამოყენების სფერო. მაგრამ დაუშვებელია, ღონისძიება, რომელიც ობიექტურად განსაზღვრულ შემადგენლობებზეა გამოყენებადი და ყველა ნევრ სახელმწიფოში წარმოშობს უშუალო სამართლებრივ შედეგებს პირთა წრეებისათვის, რომელთაც ის საყოველთაო და აბსტრაქტული ფორმით აყალიბებს, განხილულ იქნეს გადაწყვეტილებებად, თუ არ აღმოჩნდება, რომ გარკვეული პირებს ის 173-ე მუხლის მე-2 აბზაცის თვალსაზრისით ინდივიდუალურად ეხებათ.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში გასაჩივრებული დებულება ყველა ნევრ სახელმწიფოში წარმოშობს უშუალო სამართლებრივ შედეგებს პირთა გარკვეული წრეებისათვის, რომლებიც საყოველთაო და აბსტრაქტული ფორმით არის ასახული. მისი მოქმედების სფეროში მოქცეულ პირთა წრეებს, კერძოდ ნევრ სახელმწიფოებში სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებულებსა და მათ გაერთიანებებს, ის ანიჭებს უფლებას შეთანხმებებზე, გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებზე უფრო შეზღუდული წინაპირობებით, ვიდრე ხელშეკრულების მხოლოდ 85-ე მუხლის გამოყენების საფუძველზე მიენიჭებოდათ მათ.

დასადგენია ასევე, გასაჩივრებული დებულება შეეხება თუ არა მომჩივანს ინდივიდუალურად.

თუნდაც ეს დებულება პროდუქტით მოვაჭრე და ამით მომჩივანი კავშირების ნევრთა ინტერესებს შეეხებოდეს, და ამით ეს მოვაჭრეები ცოტათი უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ, ვიდრე სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებულები მისი უშუალო კონკურენტები, უნდა დადგინდეს, რომ იმ მოვაჭრეებზე, რომლებიც მომჩივანი კავშირების ნევრები არიან, ეს დებულები ისევე ვრცელდება თუ არა, როგორც ეს მთელს გაერთიანებაში პროდუქციით მოვაჭრე ყველა სხვა პირზე. გარდა ამისა, მოსაზრება, რომ თითქოს კავშირს, როგორც სანარმოთა ჯგუფის წარმომადგენელს, ინდივიდუალურად შეხებოდა ამ ჯგუფის ზოგად ინტერესთან დაკავშირებული ღონისძიება, არამყარია. ამ მოსაზრების გაზიარებას შედეგად მოჰყვებოდა ის, რომ ერთი ჯგუფის ნევრების ზოგადი ინტერესი, რომლებსაც ნამდვილი რეგულაციები შეეხებოდათ, მიიჩნეოდა როგორც ერთი სამართლებრივი სუბიექტის ინტერესი; ეს ხელშეკრულების სისტემასთან შეუსაბამო იქნებოდა, რადგან, აღნიშნულის მიხედვით, კერძო პირებს შეუძლიათ, გაასაჩივრონ მხოლოდ ინდივიდუალური გადაწყვეტილებები, რომლის ადრესატები ისინი არიან, ან ღონისძიებები, რომლებიც მათ ამგვარად შეეხებიან.

შედეგად უნდა დადგინდეს, რომ სადავო დებულება მომჩივანს ინდივიდუალურად არ შეეხება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოპასუხემ სწორად დაასახელა გასაჩივრე-

ბული დებულება რეგულაციად.

საქმე *Koninklijke Scholten Honig NV*¹¹³:

20/22. რეგულაცია, რომელშიც გარკვეული მარცვლეულისა და ბრინჯის პროდუქტის წარმოებისას ანაზღაურება მთელი ეკონომიკური წლისათვის შემცირდება და შემდგომი ეკონომიკური წლიდან აღმოიფხვრება, მისი სამართლებრივი ბუნებით არის საყოველთაო მოქმედების ღონისძიება, ხელშეკრულების 189-ე მუხლის თვალსაზრისით, რადგან ის ობიექტურად განსაზღვრულ შემთხვევებზე გამოიყენება და სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს ზოგადად და აბსტრაქტულად შემოსაზღვრული პირთა ჯგუფების მიმართ. ის მომჩივანს შეეხება მხოლოდ როგორც ხილის შაქრის მაღალი შემცველობის – გლეუკოზის მწარმოებელს ყოველგვარი სხვა სპეციფიკურობის გარეშე.

(...) (გადაწყვეტილება კატეგორიზებულ უნდა იქნეს მაშინ, როდესაც ის) პირების შემოსაზღვრულ წრეს (მიმართავს), რომელიც მოქმედების ვადის განმავლობაში არ იცვლება, ე.ი. (...) შესაბამისი პირების წრე ერთმნიშვნელოვნად და ამომწურავადაა იდენტიფიცირებადი (...).

(თუ ღონისძიება პირიქით მოქმედებს), (...) ადრესატი პირების არაიდენტიფიცირებადი წრის მიმართ, ადრესატების აბსტრაქტული კატეგორიის მიმართ (...) (მაშინ ეს რეგულაციაა).

23/25. გარდა ამისა, ღონისძიება რეგულაციის ხასიათს იმით არ კარგავს, რომ ის მოცემულ მომენტში რაოდენობისა თუ დასახლების მიხედვით ადრესატი პირების მეტ-ნაკლები სიზუსტით იდენტიფიცირებას შესაძლებელს ხდის, თუ ღონისძიება, დასახული მიზნიდან გამომდინარე, მიმართულია სამართლებრივი ან ფაქტობრივი სახის ობიექტურ შემადგენლობაზე. ის, რომ შეიძლება სამართლებრივმა ნორმამ ადრესატ ერთეულ პირებთან მიმართებით კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულად იმოქმედოს, რეგულაციის ხასიათს არ ართმევს, თუ მისი შემადგენლობა ობიექტურად დადგენილია. თუ წარმოებისას ანაზღაურების შესახებ წესს რეგულაციის ხასიათს მხოლოდ იმიტომ ჩამოართმევდნენ, რომ ის ერთი შემადგენლობის საფუძველზე გარკვეულ პროდუქციას შეეხება და მის მწარმოებლებს მოიცავს, რაც მათ ყველა სხვა პირისგან გამოყოფს, მაშინ გადაწყვეტილების ცნება იმ მოცულობით გაიზრდებოდა, რომ ხელშეკრულების სისტემას საფრთხე შეექმნებოდა, რომელიც ბათილად ცნობის შესახებ ერთეულების საჩივრებს მხოლოდ ინდივიდუალურად, მისი მისამართით მიღებულ გადაწყვეტილებებზე ან იმ ღონისძიებებზე უშვებს, რომლებიც ანალოგიურად მიიღება.

საქმე *Deutz und Geldermann, Sektkellerei Breisach (Baden) GmbH v Council*¹¹⁴:

8. ღონისძიება არ კარგავს თავის ხასიათს, როგორც რეგულაცია, მხოლოდ იმით, რომ ის პირები მათი რაოდენობით ან სახელით იდენტიფიცირებადი არიან, რომელთა მიმართაც გამოიყენება ის მოცემული დროის განმავლობაში, და თუ ეს ღონისძიება გამოყენებადია დასახული მიზნის ფარგლებში იმ სამართლებრივი თუ ფაქტობრივი სახის ობიექტურ შემადგენლობაზე, რომელსაც ის განსაზღვრავს.

9. ინდივიდუალურად ეხებათ პირებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ შეეხებათ ის, მათი სამართლებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, იმ გარემოებების საფუძველზე, რომლებიც მათ სხვა პირთა წრიდან გამოყოფენ და ინდივიდუალიზებას უკეთებენ როგორც

¹¹³ Judgment of the Court of 5 May 1977; *Koninklijke Scholten Honig NV v Council and Commission of the European Communities*; Case 101/76; European Court reports 1977 Page 00797.

¹¹⁴ Judgment of the Court (Sixth Chamber) of 24 February 1987; *Deutz und Geldermann, Sektkellerei Breisach (Baden) GmbH v Council of the European Communities*; Case 26/86; European Court reports 1987 Page 00941.

ადრესატებს (მუდმივი სასამართლო პრაქტიკა; შეადარეთ ასევე საქმე 242/81, *Roquette Freres v Council*, მე-7 პუნქტი).

(3) უშუალო მოქმედება

საქმე *Franz Grad v Finanzamt Traunstein*¹¹⁵.

5. მართალია, 189-ე მუხლის მიხედვით, რეგულაციები გამოიყენებიან უშუალოდ და შედეგად უკვე მათი სამართლებრივი ბუნების გამო შეუძლიათ უშუალოდ იმოქმედონ. აქედან არ გამომდინარეობს, რომ ამ მუხლში დასახელებული სამართლებრივი აქტების სხვა კატეგორიები არასოდეს იმოქმედებენ ანალოგიურად. სახელდობრ დებულება, რომ გადანყვეტილება ყველა მის ნაწილში ადრესატებისათვის სავალდებულოა, დასაშვებს ხდის შეკითხვას იმის შესახებ, გადანყვეტილებით ადრესატებისათვის წარმოშობილი ვალდებულების შეუსრულებლობის გასაჩივრება მხოლოდ გაერთიანების ორგანოებს შეუძლიათ, თუ ასეთი უფლება ასევე ამ ვალდებულების შესრულებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს აქვს. გადანყვეტილებებისათვის 189-ე მუხლით მინიჭებულ სავალდებულო ხასიათთან იქნებოდა შეუთავსებელი, ძირითადად, გამოგვერიცხა გადანყვეტილებით დაკისრებულ ვალდებულებებზე დაინტერესებული პირების დაყრდნობის შესაძლებლობა. განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, რომელშიც გაერთიანების ორგანოები გადანყვეტილებით ერთ ან ყველა წევრ სახელმწიფოს გარკვეულ მოქმედებას ავალდებენ, ასეთი ღონისძიების სასარგებლო მოქმედება (*effet utile*) შესუსტდებოდა, თუ ამ სახელმწიფოს მოქალაქეები სასამართლოს წინაშე ვერ დაეყრდნობოდნენ მას და სახელმწიფო სასამართლოები ვერ გაითვალისწინებდნენ მას, როგორც გაერთიანების სამართლის შემადგენელ ნაწილს. მართალია, შესაძლებელია რეგულაციის ნორმის მოქმედებისაგან განსხვავდებოდეს გადანყვეტილების მოქმედება; თუმცა ეს განსხვავება არ გამორიცხავს, რომ საბოლოო შედეგი, კერძოდ ის, რომ ერთეულს უფლება აქვს, დაეყრდნოს ღონისძიებას სასამართლოში, ანალოგიური შეიძლება იყოს იმისა, რაც შესაბამის შემთხვევაში უშუალოდ გამოყენებადი რეგულაციის ნორმის შემთხვევაში იქნებოდა.

6. 177-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო სასამართლოები უფლებამოსილი არიან, ევროპულ სასამართლოს მიმართონ ორგანოების ნებისმიერი მოქმედების ნამდვილობისა და განმარტების მოთხოვნით, სხვათა შორის წარმოშობს წინაპირობას, რომ ერთეულს შეუძლიათ ამ სასამართლოებში დასახელებულ ქმედებებს დაეყრდნონ. ამიტომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შემოწმდეს დებულება, რომელსაც ეს შეეხება, მისი სამართლებრივი ბუნების, სისტემატიკისა და შინაარსის მიხედვით არის თუ არა გამოსადეგი, უშუალოდ იმოქმედოს მის ადრესატებსა და მესამე პირებს შორის სამართლებრივ ურთიერთობებში.

დ) რეკომენდაციები და პოზიციები

საქმე *Salvatore Grimaldi v Fonds des maladies professionnelles*¹¹⁶.

საქმის ფაბულა: იტალიის მოქალაქე სალვატორე გრიმალდი 1953 წლიდან 1980 წლამდე მუშაობდა ბელგიაში. იგი დაავადებული იყო ძვლებისა და მოხრილობის ნერვული დაავადებით რაც გამონვყული იყო პნევმატური ჩაქუჩის მუდმივი გამოყენებით. შრომითი

¹¹⁵ Judgment of the Court of 6 October 1970; *Franz Grad v Finanzamt Traunstein*; Case 9-70; European Court reports 1970 Page 00825.

¹¹⁶ Judgment of the Court (Second Chamber) of 13 December 1989; *Salvatore Grimaldi v Fonds des maladies professionnelles*; Case C-322/88; European Court reports 1989 Page 04407.

დაავადების აღიარების შესახებ განაცხადი ბელგიის შესაბამისმა ორგანომ ურაცო იმ მოტივით, რომ ეს დაავადება არ იყო ბელგიის შესაბამის ცხრილში გათვალისწინებული, თუმცა გათვალისწინებული იყო შრომით დაავადებათა ევროპულ სიაში, რომლის მიღების რეკომენდაცია კომისიამ ნევრ სახელმწიფოებს მისცა. ბატონმა გრიმალდომ იჩივლა ბელგიის კომპეტენტურ სასამართლოში, რომელმაც ევროპულ სასამართლოს წინასწარი გადანყვეტილების პროცედურით მიმართა და ჰკითხა, არაიმპლემენტირებულ რეკომენდაციას ხელშეკრულების 189-ე მუხლის მე-5 აბზაცის მიხედვით შეეძლო თუ არა უშუალოდ ემოქმედა:

7. რადგან წარმოდგენილი შეკითხვა შეეხება რეკომენდაციის განმარტებას, რომელსაც ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 189-ე მუხლის მე-5 აბზაცის **მიხედვით არ აქვს სავალდებულო მოქმედების ძალა**, გამოსაკვლევი, სასამართლო, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 177-ე მუხლის მიხედვით, უფლებამოსილია თუ არა, მიიღოს გადანყვეტილება.

8. ამდენად, საკმარისია იმის დადგენა, რომ 177-ე მუხლი — სხვაგვარად, ვიდრე ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 173-ე მუხლი, რომელიც ევროპული სასამართლოს მიერ რეკომენდაციის ხასიათის ქმედებების გადასინჯვას გამოიციხავს — ევროპულ სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას, წინასწარი გადანყვეტილების პროცედურით გადანყვეტილება მიიღოს გაერთიანების ორგანოთა ქმედებების ნამდვილობასა და განმარტებაზე ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. (...)

10. (...) შეკითხვა უნდა გავიგოთ შემდეგნაირად: შეუძლია თუ არა რეკომენდაციებს მათი აღმასრულებელი ეროვნული ღონისძიებების არარსებობისას წარმოშვას ერთეულთა უფლებები, რომლებზე დაყრდნობაც მათ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების წინაშე შეუძლიათ.

11. ევროპული სასამართლოს მუდმივი პრაქტიკიდან გამომდინარეობს, რომ, მართალია, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 189-ე მუხლის თანახმად, რეგულაციები უშუალოდ მოქმედებენ და უკვე მათი სამართლებრივი ბუნების გამო შეუძლიათ უშუალოდ გამოიყენებოდნენ, მაგრამ ეს არ გამოიციხავს იმას, რომ ამ მუხლში დასახელებული სამართლებრივი აქტების სხვა კატეგორიებს არ შეუძლიათ ანალოგიურად იმოქმედონ (შეადარეთ, განსაკუთრებით, 1982 წლის 19 იანვრის განჩენი საქმეში 8/81, *Becker Finanzamt Muenster-Innenstadt*, 1982 წლის კრებული, 53-ე პუნქტი). (...)

15. რაც შეეხება ორივე რეკომენდაციას, როგორც წინა პროცედურის საგანთ, დასადგენია, მიუთითებენ თუ არა ისინი მათ დასაბუთებაში ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 155-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც კომისიას რეკომენდაციების გაცემის ზოგადი უფლებამოსილება აქვს, და ასევე ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 117-ე და 118-ე მუხლებზე. როგორც ეს ევროპულმა სასამართლომ თავის განჩენში 1987 წლის 9 ივლისის გაერთიანებულ საქმეებზე: 281/85, 283/85, 284/85 და 287/85 (*გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საფრანგეთი, ნიდერლანდები, დანია და გაერთიანებული სამეფო კომისიის წინააღმდეგ*, 1987 წლის კრებული, 3203), გადანყვიტა, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 118-ე მუხლი ცნობს ნევრ სახელმწიფოების კომპეტენციას სოციალურ საკითხებში, იმდენად, რამდენადაც ამ საკითხებს ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების სხვა ნორმები არ ეხება და ეს ნორმები ნევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის ფარგლებში არ სრულდება, რომლის განხორციელებასაც კომისია უზრუნველყოფს.

16. ამ გარემოებებში არ შეიძლება არსებობდეს ეჭვი, რომ სადავო ღონისძიებები ნამდვილი რეკომენდაციებია, ე.ი. ქმედებები, რომელთაც მათი ადრესატების მიმართ სავალდებულო მოქმედება არ შეიძლება ჰქონდეთ. ისინი შედეგად ვერ წარმოშობენ ერთეულებისათვის შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოებში განსახორციელებელ უფლებებს.
(...)

17. თუმცა შუამდგომლობის აღმძვრელ სასამართლოს შეკითხვაზე სრულყოფილი პასუხის გასაცემად იმაზე უნდა მიეთითოს, რომ არ შეიძლება სამართლებრივად სრულიად უმოქმედოდ იქნენ მიჩნეული სადავო ღონისძიებები. კერძოდ, შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოები ვალდებულნი არიან, მათთან აღძრული სამართლებრივი დავის გადანყვეტისას გაითვალისწინონ რეკომენდაციები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი ანალიზს მათი აღსრულებისათვის გამოშვებული შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმების განმარტებაზე აკეთებენ, ან, როდესაც მათ გაერთიანების სავალდებულო ნორმები უნდა შეავსონ.

ე) დაუსახელებელი სამართლებრივი აქტები

საქმე *Commission v Council*¹¹⁷:

34/37. საბჭოს მიაჩნია, რომ 1970 წლის 20 მარტის დადგენილება 173-ე მუხლის პირველი აბზაცის პირველი წინადადების მიხედვით, არ არის ქმედება, რომლის გასაჩივრება შესაძლებელია, რადგან ის არც თავისი ფორმით, არც საგნითა თუ შინაარსით არ არის რეგულაცია, გადანყვეტილება, არც დირექტივა, 189-ე მუხლის თანახმად, ის არის მხოლოდ საბჭოს ფარგლებში ნევრ სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური შეთანხმება, რომელიც, როგორც ასეთი, უფლებას არ წარმოშობს, ასევე არ წარმოშობს ვალდებულებას და არ ცვლის სამართლებრივ მდგომარეობას. (...)

38/42. ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 173-ე მუხლის მიხედვით. ევროპული სასამართლო ზედამხედველობას უწევს „საბჭოს ქმედების მართლზომიერებას (...), თუ ეს არ შეეხება რეკომენდაციებსა და პოზიციებს“. ეს მუხლი მათზე საჩივრის აღძვრის შესაძლებლობას აძლევს ნევრ სახელმწიფოებსა და ორგანოებს, ხოლო — 189-ე მუხლის ბოლო აბზაცის მიხედვით არასავალდებულო — „რეკომენდაციებსა ან პოზიციებზე“, ასეთ შესაძლებლობას გამორიცხავს. ეს იმიტომ, რომ საჩივრის აღძვრის შესაძლებლობა უნდა არსებობდეს ორგანოების ნებისმიერი იმ ქმედების საწინააღმდეგოდ, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. ეს სარჩელი უნდა ემსახურებოდეს 164-ე მუხლის ნორმის მიხედვით ხელშეკრულების განმარტებისას და გამოყენებისას სამართლის დაცვის უზრუნველყოფას. დაშვების წინაპირობების შემზღუდველი განმარტება, რომ სარჩელის აღძვრა შესაძლებელი იყოს მხოლოდ 189-ე მუხლში დასახელებული ქმედებების სახეების მიმართ, ამ მიზანთან შეუსაბამო იქნებოდა. საჩივარი ორგანოების ყველა იმ ქმედების მიმართ უნდა იყოს დაშვებული, რომლებიც იმისათვის არიან განსაზღვრულნი, რომ წარმოშვან სამართლებრივი შედეგები, მათი სამართლებრივი ბუნებისა და ფორმის მიუხედავად.

¹¹⁷ Judgment of the Court of 31 March 1971; Commission of the European Communities v Council of the European Communities; European Agreement on Road Transport; Case 22-70; European Court reports 1971 Page 00263.

მესამე ნაწილი

დისკრიმინაციის აკრძალვა და ძირითადი უფლებები ევროკავშირის სამართალში

I. მოქალაქეობის საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვა

გაერთიანებული საქმეები *Phil Collins*¹¹⁸:

32. ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-7 მუხლი კრძალავს „ყოველგვარ დისკრიმინაციას მოქალაქეობის საფუძველზე“, უფრო მეტიც, ის მოითხოვს იმ პირების მიმართ სრულყოფილ თანაბარ მოპყრობას, რომლებიც გაერთიანების დონეზე დარეგულირებულ სიტუაციაში იმყოფებიან (...)

34. ევროპული სასამართლოს მუდმივი პრაქტიკის მიხედვით, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-7 მუხლის პირველ აბზაცში ასახული უფლება თანაბარ მოპყრობაზე უშუალოდ გაერთიანების სამართლის მიერაა მინიჭებული. (შეადარეთ 1989 წლის 2 თებერვლის განაჩენი საქმეში 186/87 *Cowan*, 1989 წლის კრებული, მე-11 პუნქტი). ეს უფლება, შესაბამისად, შეიძლება ეროვნული სასამართლოს წინაშე გასაჩივრდეს, რათა მისგან მოთხოვნილ იქნეს ეროვნული კანონის იმ დისკრიმინირებადი დებულებების გამოუყენებლად ცნობა, რომლებიც სხვა წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს არ იცავენ, ხოლო თავის მოქალაქეებს ასეთი დაცვის ქვეშ აყენებენ.

აღნიშნულ საქმეებზე გენერალურმა ადვოკატმა განაცხადა¹¹⁹:

რთულია შეიცნო, რატომ მიანიჭეს ხელშეკრულების ავტორებმა დისკრიმინაციის აკრძალვას ასეთი დიდი როლი. ხელშეკრულების ძირითადი მიზანია, მიღწეულ იქნეს ინტეგრალური ეკონომიკა, რომელშიც შესაძლებელი იქნება სანარმოო ფაქტორებისა და ნაწარმის თავისუფლად და დაუბრკოლებლად მოძრაობა, რომელთა საშუალებითაც სახსრების ეფექტური გადანაწილება და სამუშაოს უკეთესი დანაწილება უნდა მიიღწეს. ამ მიზნის განხორციელების უდიდესი დაბრკოლება იყო ურიცხვი დისკრიმინაციული დებულებები და პრაქტიკები, რომლითაც ეროვნული მთავრობები, როგორც წესი, საკუთარ მენარმებსა და მუშახელს იცავდა საზღვარგარეთული კონკურენციისაგან. რომც არ იყოს საკმარისი მხოლოდ დისკრიმინაციული დებულებებისა და პრაქტიკების გაუქმება, რათა მიღწეულ იქნეს ხელშეკრულებით მიზანდასახული ეკონომიკური ინტეგრაციის მაღალი სტანდარტი, ის მაინც ერთმნიშვნელოვნად არსებითი წინაპირობაა. (...)

მოქალაქეობის საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვა ასევე იმიტომ არის დიდი სიმბოლური მნიშვნელობის, რომ ის აჩვენებს, გაერთიანება არა მხოლოდ ეკონომიკური შეთანხმებაა წევრი სახელმწიფოების მთავრობებს შორის, არამედ საერთო სანარმოა, რომელშიც ევროპის ყოველ ცალკეულ მოქალაქეს შეუძლია მონაწილეობის მიღება. ყოველი წევრი სახელმწიფოს მოქალაქე უფლებამოსილია, იცხოვროს სხვა წევრ სახელმწიფოებში ერთსა და იმავე პირობებში, იმუშაოს და სახელმწიფოს შიდა მოსახლეობის მსგავსად დაკავდეს როგორც მენარმე. არ შეიძლება მათი მიჩნევა უცხოებად, მიმღებმა სახელმწიფო ორგანოებმა ისინი უნდა მიიღოს როგორც გაერთიანების მოქალაქეები, რომლებსაც „ხელშეკრულების მოქმედების სფეროში“ ყველა იმ პრივილეგიის მოთხოვნის უფლება აქვს, რომლებიც მიმღები სახელმწიფოს მოქალაქეებისათვისაა გათვალისწინებული. გაერთიანების სამართლის არცერთი სხვა ასპექტი

¹¹⁸ Judgment of the Court of 20 October 1993, *Phil Collins v Imtrat Handelsgesellschaft mbH and Patricia Im- und Export Verwaltungsgesellschaft mbH and Leif Emanuel Kraul v EMI Electrola GmbH*; Joined cases C-92/92 and C-326/92.

¹¹⁹ Schuetz, Bruha, Koenig; Casebook *Europarecht*, გვ. 781.

არ შეეხება ერთეულებს ისე უშუალოდ და არ შეაქვს ისეთი ნვლილი საერთო იდენტურებისა და საერთო ბედის გრძობის გასავითარებლად (როგორც დისკრიმინაციის აკრძალვა), მის გარეშე ხელშეკრულების პრეამბულაში პროკლამირებული „ევროპული ხალხების მზარდი მჭიდრო კავშირი“ იქნებოდა ცარიელი ფრაზა.

(...)

მოქალაქეობის საფუძვლებზე დისკრიმინაციის აკრძალვა, სხვასთან ერთად, გაერთიანების სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპია. ის არის ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების წამყვანი მოტივი. იგი ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-7 მუხლში ზოგადადაა გადმოცემული. (...) დისკრიმინაციის ეს საყოველთაო აკრძალვა ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების სხვა სპეციალურ ნორმებში უფრო დანვრილებით არის ასახული.

შეადარეთ ასევე საქმე *Criminal proceedings against Gianfranco Perfili*¹²⁰:

11. ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების მე-2 და მე-3 მუხლები მიზნად ისახავს განსაკუთრებით ერთიანი ბაზრის შექმნას, რომელშიც საქონელი, პირები, მომსახურებები და კაპიტალი ნამდვილ საკონკურენტო პირობებში შესაძლოა თავისუფლად გადაადგილდებოდნენ. ეს მიზანი უზრუნველყოფილ იქნება სხვასთან ერთად ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების მე-6 მუხლით გათვალისწინებული მოქალაქეობის საფუძვლებზე დისკრიმინაციის აკრძალვით (...)

საქმე *Ian William Cowan*¹²¹:

საქმის ფაბულა: ბატონი კოვანი, ბრიტანეთის მოქალაქე, იმყოფებოდა პარიზში, როდესაც მასზე ყაჩაღური თავდასხმა მოხდა. რადგან ბოროტმოქმედი ვერ იქნა იდენტიფიცირებული, კოვანმა მოითხოვა ზიანის ანაზღაურება, რასაც ფრანგული კანონმდებლობა მსგავს შემთხვევებში აძლევდა საფრანგეთის მოქალაქეებსა და უცხოელებს, რომლებიც ფლობდნენ ეგრეთ წოდებულ უცხოელთა მონუმბას ან რომელთა მოქალაქეობის სახელმწიფოსთანაც საფრანგეთს ჰქონდა შესაბამისი ხელშეკრულება დადებული. ბატონი კოვანი ფრანგული კანონმდებლობით დადგენილ წესს მიიჩნევდა დისკრიმინაციულად.

დისკრიმინაციის აკრძალვის შინაარსი

11. გარდა ამისა, უნდა მიეთითოს იმაზე, რომ თანაბარი მოპყრობის მოთხოვნა უშუალოდ გაერთიანების სამართლიდან გამომდინარეობს და ამიტომ არ შეიძლება დამოკიდებული იყოს შესაბამისი წევრი სახელმწიფოს უწყებების მიერ ნებართვის გაცემაზე.

12. ბოლოს გასახსენებელია, რომ — როგორც ეს ევროპულმა სასამართლომ პირველად თავის 1972 წლის 22 ივნისის საქმის 1/72 (*Frilli*, 1972 წლის კრებული, 457-ე პუნქტი) განაჩენში აღნიშნა — გაერთიანების სამართალში ასახული მოთხოვნის უფლება თანაბარ მოპყრობაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული ნაცვალგების შეთანხმების არსებობაზე, რომელიც დადებულია შესაბამის წევრ სახელმწიფოსა და სახელმწიფოს შორის, რომლის მოქალაქეც ამ მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირია.

13. იმდენად, რამდენადაც მოქმედებს დისკრიმინაციის აკრძალვა, ერთ წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია პირისათვის, რომელიც გაერთიანების სამართლის მიერ დარეგულირე-

¹²⁰ Judgment of the Court (Sixth Chamber) of 1 February 1996; *Criminal proceedings against Gianfranco Perfili*; C-177/94; European Court reports 1996 Page I-00161.

¹²¹ Judgment of the Court of 2 February 1989, *Ian William Cowan v Trésor public*; Case 186/87; European Court reports 1989 Page 00195.

ბულ სიტუაციაშია, უფლების მინიჭება გახადოს დამოკიდებული იმაზე, ფლობს თუ არა ის უცხოელთა მონმობას, ან არის თუ არა იმ სახელმწიფოს მოქალაქე, რომელმაც ნაცვალ-გების შეთანხმება დადო ამ წევრ სახელმწიფოსთან.

საქმე *Criminal proceedings against Vincent Auer*¹²²:

15. ამ დებულებების განმარტებისას ანგარიში უნდა გაენიოს მათ მდებარეობას ხელშეკრულების საერთო სისტემაში ისევე, როგორც ხელშეკრულების მიზნებს.

16/18. გაერთიანების საქმიანობა, საერთო ბაზრის შექმნის თვალსაზრისით, მოიცავს, სხვასთან ერთად, ხელშეკრულების მე-3 მუხლის მიხედვით, პირებისა და მომსახურების თავისუფლად გადაადგილებისათვის დაბრკოლებების აღმოფხვრას. ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-7 მუხლის მიხედვით, ამ ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში მოქალაქეობაზე დაფუძნებული ყოველგვარი დისკრიმინაცია აკრძალულია. შესაბამისად, პირების თავისუფალმა გადაადგილებამ წვლილი უნდა შეიტანოს საერთო ბაზრის შექმნაში, რომელშიც წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს საშუალება ექნებათ, მათი ეკონომიკური საქმიანობები განახორციელონ იქ დაფუძნებით ან გაერთიანების მთელ ტერიტორიაზე მომსახურებების განევით.

1. დისკრიმინაციის აკრძალვის მოქმედება ევროკავშირის სამართალში:

საქმე *B.N.O. Walrave and L.J.N. Koch*¹²³:

საქმის ფაბულა: ნიდერლანდების მოქალაქეები – ვალვარე და კოხი – ასაჩვირებდნენ საერთაშორისო ველოსიპედისტთა კავშირის (*Union Cycliste Internationale; UCI*) მიერ დადგენილ წესს, რომლის მიხედვითაც ველომრბოლელი და დამხმარე ერთი და იმავე მოქალაქეობისა უნდა ყოფილიყვნენ. ისინი ამ რეგულირებას დისკრიმინაციულად მიიჩნევდნენ და აღნიშნავდნენ, რომ მრბოლელსა და მის მიმყოფს შორის დადებული ხელშეკრულება შრომითი ხელშეკრულებაა და ამით ის გაერთიანების სამართლის მოქმედების სფეროში ექცეოდა. მოქალაქეობის პირობა ეწინააღმდეგებოდა ცვლილების შემდგომ, ახლა უკვე ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების მე-12, 39-ე და 49-ე მუხლებით გათვალისწინებულ მოქალაქეობის საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვას.

26/27. ეროვნული სასამართლო სვამს შემდეგ კითხვას, რამდენად გამოიყენება დისკრიმინაციის აკრძალვა სამართლებრივ ურთიერთობებზე მსოფლიო მასშტაბით დასაქმებული სპორტული კავშირის ფარგლებში. ევროპულ სასამართლოს ასევე ეთხოვა გადანყვეტილება იმ საკითხზე, განსხვავებულად უნდა იქნეს თუ არა განხილული სამართლებრივი მდგომარეობა იმის მიხედვით, ტარდება სპორტული შეჯიბრება გაერთიანების შიგნით თუ მის გარეთ.

28/29. დისკრიმინაციის აკრძალვაზე მისი სავალდებულო ხასიათის გამო ყურადღება უნდა გამახვილდეს მთელ იმ სამართლებრივ ურთიერთობებზე მსჯელობისას, რომლებიც მათი წარმოშობისა თუ მათი შედეგების დადგომის ადგილის მიხედვით გაერთიანების ტერიტორიასთან სივრცობრივ კავშირში არიან. თითოეული სახელმწიფოს მოსამართლის

¹²² Judgment of the Court of 7 February 1979, Criminal proceedings against Vincent Auer; Case 136/78, European Court reports 1979 Page 00437.

¹²³ Judgment of the Court of 12 December 1974, B.N.O. Walrave and L.J.N. Koch v Association Union cycliste internationale, Koninklijke Nederlandsche Wielren Unie and Federación Española Ciclismo; Case 36-74, European Court reports 1974 Page 01405.

საქმეა, თითოეული შემთხვევის გარემოებათა გათვალისწინებით, ამ სივრცობრივი კავშირის შესახებ დაადგინოს განაჩენი და ამ ურთიერთობების სამართლებრივი მოქმედების თვალსაზრისით გააკეთოს დასკვნები დისკრიმინაციის აკრძალვის შესაძლო დარღვევაზე.

საქმე *Françoise Gravier v City of Liège*¹²⁴:

19. (...) განათლებისა და განათლების პოლიტიკის ორგანიზაცია, როგორც ასეთი, (არ განეკუთვნება) მატერიებს, რომლებიც ხელშეკრულების მიხედვით გაერთიანების ორგანოების კომპეტენციაშია; **თანაბრად დაშვება და მონაწილეობა გაკვეთილზე და მონაწილეობა განათლებაში, განსაკუთრებით, როდესაც ეს შეეხება პროფესიულ განათლებას, არ დგას გაერთიანების სამართლის გარეთ.**

საქმე *Steven Malcolm Brown*¹²⁵:

14. მომმართველ სასამართლოს მეორე შეკითხვით აინტერესებს, ხდება თუ არა ევროპული ეკონომიკური გაერთიანების ხელშეკრულების მე-7 მუხლის თვალსაზრისით, ამ ხელშეკრულების მოქმედების სფეროში ისეთი გადასახადები, რომელთაც წევრი სახელმწიფო უხდის თავად სტუდენტებს ან უნივერსიტეტებს ამ სტუდენტების ცხოვრებისათვის ან ლექციებისათვის.

15. 1985 წლის 13 თებერვლის საქმის 283/83 (*Gravier*, 1985 წლის კრებული, 606) განაჩენში **ევროპულმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მოქალაქეობის საფუძველზე არათანაბარი მოპყრობა ევროპული ეკონომიკური გაერთიანების ხელშეკრულების მე-7 მუხლით აკრძალული დისკრიმინაციაა, თუ ასეთი მოპყრობა ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში ექცევა და რომ პროფესიულ განათლებაზე დასაშვები წინაპირობები მისი მოქმედების სფეროში ექცევა.** 1988 წლის 2 თებერვლის საქმის 24/86 (*Blazit*, 1988 წლის კრებული, 0000) განაჩენში ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ უმაღლეს სასწავლებელთა სპეციალობები ზოგადად ასრულებენ წინაპირობებს, რომლებითაც ისინი მიჩნეული არიან ევროპული ეკონომიკური გაერთიანების ხელშეკრულების მიხედვით პროფესიულ განათლებად.

16. (...) ევროპულ სასამართლოს (არ დასჭირდა) გამოეხატა თავისი პოზიცია განაჩენებში იმ საკითხთან დაკავშირებით, აქვს თუ არა სხვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელიც ასეთ სწავლას იწყებს, უფლება, მოითხოვოს სახელმწიფო დახმარება, რომელიც ამ სახელმწიფოს მოქალაქეს ეძლევა.

17. **იმ პირობით, რომ ეს შემწეობა ემსახურება მხოლოდ სასწავლო დაწესებულებაში მისაღები გადასახადების ან სხვა, განსაკუთრებით კი, ლექციებზე დაშვებისათვის სასწავლო გადასახადების, დაფარვას, 1985 წლის 13 თებერვლის დასახელებული განაჩენიდან გამომდინარეობს, რომ პროფესიულ განათლებასთან დაშვების წინაპირობების შესრულებისათვის შემწეობა ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მოქმედების სფეროში ექცევა და, ამდენად, მის მიმართ გამოიყენება მოქალაქეობის საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვა, რაც დადგენილია ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-7 მუხლით.**

18. ამ წინაპირობით და დღეს არსებული გაერთიანების სამართლის განვითარების

¹²⁴ Judgment of the Court of 13 February 1985, *Françoise Gravier v City of Liège*; Case 293/83, European Court reports 1985 Page 00593.

¹²⁵ Judgment of the Court of 21 June 1988, *Steven Malcolm Brown v The Secretary of State for Scotland*; Case 197/86, European Court reports 1988 Page 03205.

მდგომარეობით უნდა დადგინდეს, რომ ის დახმარება, რომელიც სტუდენტებს ცხოვრებისათვის (ეძლევათ) (...), ძირითადად ევროპული ეკონომიკური გაერთიანების ხელშეკრულების მე-7 მუხლის თვალსაზრისით ამ ხელშეკრულების მოქმედების სფეროს გარეთაა. კერძოდ, ის, ერთი მხრივ, ექცევა განათლების პოლიტიკის სფეროში, რომელიც, როგორც ასეთი, გაერთიანების ორგანოების კომპეტენციას არ ექვემდებარება (...), და, მეორე მხრივ, ექცევა სოციალურ პოლიტიკაში, რომელიც წევრი სახელმწიფოების კომპეტენციას განეკუთვნება, იმდენად, რამდენადაც ის ევროპული ეკონომიკური გაერთიანების ხელშეკრულების განსაკუთრებული დებულებების საგანი არ არის (...).

19. ამდენად, მეორე კითხვას პასუხი უნდა გაეცეს, რომ გადასახადები, რომელთაც ახორციელებს წევრი სახელმწიფო სტუდენტების მიმართ ან მათთვის უნივერსიტეტების მიერ ლექციებისათვის მოთხოვნილი გადასახადების დაფარვისათვის, ექცევა ევროპული ეკონომიკური გაერთიანების ხელშეკრულების მე-7 მუხლის თვალსაზრისით ამ ხელშეკრულების მოქმედების სფეროში, მაგრამ, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების ხელშეკრულების მე-7 მუხლის თვალსაზრისით, ამ ხელშეკრულების მოქმედების სფეროში არ ექცევა გადასახადები სტუდენტების ცხოვრებისათვის.

საქმე *Criminal proceedings against Horst Otto Bickel and Ulrich Franz*¹²⁶:

საქმის ფაბულა: ავსტრიის მოქალაქე ბიკელი, სატიერთო მანქანის მძღოლი, და გერმანიის მოქალაქე ფრანცი, ტურისტი, იმყოფებოდნენ იტალიაში, როდესაც მათ წინააღმდეგ იტალიის სასამართლომ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. სასამართლო მდებარეობდა სამხრეთ ტიროლში. ბრალდებულებმა მოითხოვეს სასამართლო პროცესის გერმანულ ენაზე ჩატარება, რადგან ასეთი უფლება სამხრეთ ტიროლის სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული იყო სამხრეთ ტიროლში არსებული გერმანულენოვანი თემის წარმომადგენლებისათვის. ხელშეკრულების 177-ე მუხლის მიხედვით სასამართლომ მიმართა ევროპულ სასამართლოს კითხვით – გაერთიანების სამართლის მიხედვით უნდა გამოეყენებინა თუ არა მას სამხრეთ ტიროლის პროვინციის მოქალაქეებისათვის გათვალისწინებული საპროცესო ნორმები ამ პროვინციის ტურისტების მიმართაც, რომლებიც სხვა წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები იყვნენ.

14. ხელშეკრულების მე-7 მუხლში გადმოცემული „მოქალაქეობის საფუძველზე დისკრიმინაციის,, აკრძალვიდან გამომდინარეობს, რომ პირებს, რომლებიც გაერთიანების სამართლით დარეგულირებულ სიტუაციაში იმყოფებიან, ისევე უნდა მოეპყრონ, როგორც შესაბამისი წევრი სახელმწიფო საკუთარ მოქალაქეებს ექცევა (1989 წლის 2 თებერვლის განაჩენი საქმეში 186/87, *Cowan*, 1989 წლის კრებული, 195, მე-10 პუნქტი).

15. გაერთიანების სამართლით დარეგულირებულ სიტუაციებს განეკუთვნება, სხვებთან ერთად, ისინი, რომლებიც ხელშეკრულების 59-ე მუხლით მინიჭებული მომსახურების თავისუფლად განევის უფლებაში ექცევა. ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ეს უფლება მოიცავს მომსახურების მიმღების უფლებას, წავიდეს სხვა წევრ სახელმწიფოში მომსახურების მისაღებად (განაჩენი *Cowan*, მე-15 პუნქტი). 59-ე მუხლის სფეროში ექცევა წევრი სახელმწიფოების ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც მიდის სხვა წევრ სახელმწიფოში და იღებს მომსახურებას, ან ეძლევა შესაძლებლობა, მიიღოს ასეთი მომსახურება, ისე რომ არ ისარგებლოს ხელშეკრულებით გარანტირებული სხვა თავისუფლებით. ამ მოქალაქეებს, რომელთაც ასევე ბატონი ბიკელი და ბატონი ფრანცი განეკუთვნებიან, შეუძლიათ წავიდნენ მიმღებ სახელმწიფოში და იქ თავისუფლად გადაადგილდნენ. გარდა ამისა, ხელშეკრულების მე-8ა მუხლი განსაზღვრავს: „კავ-

¹²⁶ Judgment of the Court of 24 November 1998, Criminal proceedings against Horst Otto Bickel and Ulrich Franz; Case C-274/96, European Court reports 1998 Page I-07637.

შირის ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება, წვერი სახელმწიფოების სუვერენულ ტერიტორიაზე ამ ხელშეკრულებითა და აღმასრულებელი ნორმებით გათვალისწინებული შეზღუდვებისა და პირობების დაცვით თავისუფლად გადაადგილდნენ და დარჩნენ წვერ სახელმწიფოებში”

16. კავშირის მოქალაქეების შესაძლებლობა, ერთი სახელმწიფოს ადმინისტრაციულ და იუსტიციის უწყებებთან იურთიერთოს გარკვეულ ენაზე, როგორც ეს ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს შეუძლიათ, გამოდგება იმისათვის, რომ გადავიდეს სხვა წვერ სახელმწიფოში გადაადგილებისა და ყოფნის თავისუფლების განხორციელება. ... შედეგად პირებს, როგორც ამ შემთხვევაში ბატონი ბიკელი და ბატონი ფრანცი იყენებენ სხვა წვერ სახელმწიფოში გადაადგილებისა და ყოფნის უფლებას, ხელშეკრულების მე-6 მუხლის მიხედვით, აქვთ უფლება, მოითხოვონ, მოეპყრონ მათ და ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს ერთნაირად, თუნდაც იქ (მიმღებ სახელმწიფოში) დაშვებული ენით სარგებლობის თვალსაზრისით.

17. მართალია, ძირითადად წვერი სახელმწიფოების კომპეტენციას სისხლის სამართალი და სისხლის სამართლის პროცესი, რომელთაც განეკუთვნება საპროცესო ენის შესახებ სადავო ნორმები, თუმცა გაერთიანების სამართალი, მუდმივი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ამ კომპეტენციას საზღვრებს უწესებს: ამგვარმა სამართლებრივმა ნორმებმა არ უნდა გამოიწვიონ არც პირების დისკრიმინაცია, რომელთაც გაერთიანების სამართალი თანასწორობის მოთხოვნის უფლებას ანიჭებს, და არც გაერთიანების სამართლით გარანტირებული ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვა (ამ თვალსაზრისით, განაჩენი *Cowan*, მე-19 პუნქტი).

18. თუ მათ შეუძლიათ შელახონ წვერ სახელმწიფოთა იმ მოქალაქეების უფლება, რომლებიც იყენებენ თავის უფლებას, გადაადგილდნენ ან დარჩნენ სხვა წვერ სახელმწიფოში, მაშინ ამ სახელმწიფოს სისხლის სამართლის სასამართლოებში გამოყენებული პროცესუალური ენის შესახებ ეროვნულმა რეგულირებამ უნდა გაითვალისწინოს ხელშეკრულების მე-6 მუხლი.

19. წარმოდგენილი შეკითხვის პირველ ნაწილზე ამგვარად უნდა გაეცეს პასუხი: ხელშეკრულების გამოყენების სფეროში ექცევა და ამ ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისი უნდა იყოს ეროვნული რეგულირებით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება იმაზე, რომ გაიმართოს სისხლის სამართლის პროცესი სხვა ენაზე, ვიდრე შესაბამისი სახელმწიფოს ძირითად ენაზე.

20. ხელშეკრულების მე-6 მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის აკრძალვის ყოველი დარღვევის ასაცილებლად, ბატონი ბიკელისა და ბატონი ფრანცის მოსაზრებით მოთხოვნის უფლება იმაზე, რომ პროცესი გერმანულად წარიმართოს, კავშირის ყველა მოქალაქეს ენიჭება, თუ ეს მოთხოვნის უფლება ყველა წვერი სახელმწიფოს მოქალაქისათვის არის გათვალისწინებული.

21. იტალიის მთავრობა აცხადებს, რომ სადავო უფლება მხოლოდ მოქალაქეებს ენიჭებათ, რომლებიც ბოცენის პროვინციის გერმანულენოვან ჯგუფს მიეკუთვნებიან და ამ პროვინციაში ცხოვრობენ. სადავო ნორმების მიზანია, აღიაროს იმ პიროვნების ეთნიკურ-კულტურული იდენტურობა, რომელიც დაცულ უმცირესობას მიეკუთვნება. აქედან გამომდინარეობს, რომ არ შეიძლება კონკრეტული ეთნიკურ-კულტურული უმცირესობის ენის გამოყენების მოთხოვნის უფლება გავრცელდეს სხვა წვერი სახელმწიფოს მოქალაქეზე, რომელიც ამ სადავო რეგიონში შემთხვევით და დროებით იმყოფება, რადგან მას აქვს საშუალებები, მიუხედავად იმისა, რომ ის კონკრეტული სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე არ ლაპარაკობს, თავი დაიცვას სათანადოდ.

(...)

24. აქედან გამომდინარეობს, რომ სხვა წევრი სახელმწიფოების გერმანულენოვანი მოქალაქეები, რომლებიც ბოცენის პროვინციაში მოძრაობენ და იქ იმყოფებიან, იტალიის გერმანულენოვან მოქალაქეებთან შედარებით, რომლებიც ამ რეგიონში ცხოვრობენ, ნაკლებად ხელსაყრელ მდგომარეობაში არიან. მაშინ როდესაც იტალიის გერმანულენოვან მოქალაქეს, რომელიც ბოცენის პროვინციაში ცხოვრობს და რომლის წინააღმდეგაც იქ ბრალი აღიძვრება, შეუძლია მიაღწიოს პროცესის გერმანულ ენაზე წარმართვას, ხოლო ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა სხვა წევრი სახელმწიფოს გერმანულენოვან მოქალაქეს, რომელიც ამავე პროვინციაში მოძრაობს, არ გააჩნია.

25. როგორც ამას იტალიის მთავრობა აცხადებს, სხვა წევრი სახელმწიფოების გერმანულენოვან მოქალაქეებს, რომლებიც ბოცენის პროვინციაში ცხოვრობენ, შეუძლიათ სადავო ნორმას დაეყრდნონ და იქ გერმანულ ენაზე დაიცვან თავი, ისე, რომ არ არსებობს არათანაბარი მოპყრობა რეგიონის მაცხოვრებელთა შორის მოქალაქეობის საფუძველზე, თუმცა უნდა დადგინდეს, უპირატეს მდგომარეობაშია თუ არა იტალიის მოქალაქე სხვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქესთან მიმართებით. კერძოდ, იტალიის გერმანულენოვანი მოქალაქეების უმეტესობას შეუძლია მოითხოვოს, რომ მთელი პროცესის განმავლობაში ბოცენის პროვინციაში გერმანული ენა იქნეს გამოყენებული, რადგან ისინი სადავო რეგულირებით გათვალისწინებული ცხოვრების ადგილის წინაპირობას ასრულებენ, მაშინ როდესაც სხვა წევრი სახელმწიფოების გერმანულენოვანი მოქალაქეების უმრავლესობას არ შეუძლიათ დაეყრდნონ ამ რეგულირებით მონიჭებულ უფლებას, რადგან ისინი ამ კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებენ.

26. შედეგად, ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს სხვა წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებთან მიმართებით, რომლებიც ახორციელებენ მათ უფლებას თავისუფლად გადაადგილებაზე, უპირატესობას ანიჭებს ისეთი რეგულირება, როგორიც ამოსავალი სამართლებრივი დავის რეგულირებაა, რომლის მიხედვითაც, გარკვეული ორგანოს ტერიტორიაზე კონკრეტული პირის ენაზე სისხლის სამართლის პროცესის გამართვის მოთხოვნის უფლება ამ პირის საცხოვრებელ ადგილზეა დამოკიდებული, და იგი ამით ეწინააღმდეგება ხელშეკრულების მე-6 მუხლით გათვალისწინებულ დისკრიმინაციის აკრძალვას.

გაერთიანებული საქმეები *Phil Collins*¹²⁷:

საქმის ფაბულა: წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურით შესამონმებელი იყო, ეწინააღმდეგებოდა თუ არა საავტორო უფლებების შესახებ გერმანული სამართლის რეგულირება გაერთიანების სამართალს. ამ ნორმის მიხედვით, შიდასახელმწიფოებრივ ხელოვანებს შესაძლებლობა ეძლეოდათ, მათი თანხმობის გარეშე მათი ნაწარმოებების გავრცელება აეკრძალათ. ეს თანხმობის წინაპირობა არსებობდა დამოუკიდებლად ადგილისა; ხოლო სხვა წევრი სახელმწიფოების ხელოვანებს ასეთ უფლებას ანიჭებდა მხოლოდ გერმანიაში განხორციელებულ ღონისძიებებზე.

20. ამ უფლებების სპეციფიკურობა, როგორც ისინი ეროვნული სამართლებრივი ნორმებითაა მოწესრიგებული, ისაა, რომ უზრუნველყოს პიროვნული უფლებებისა და ეკონომიკური უფლებების დაცვა. პიროვნულობის დაცვა საშუალებას აძლევს ავტორებს და დასაქმებულ ხელოვანთ, განსაკუთრებით ებრძოლოს ნაწარმოების ნებისმიერ დამახინჯებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან სხვაგვარ შეცვლას, რაც შეიძლება მისი პატივისა თუ იმიჯის შემლახველი იყოს. გარდა ამისა, საავტორო უფლებას და მასთან დაკავშირებულ დაცვით უფლებებს აქვთ ეკონომიკური ხასიათი, რადგან ისინი ითვალისწინებენ უფლებამოსილებას, გამოიყენონ დაცული ნაწარმოები კომერციული მიზნით (...).

¹²⁷ იხ. 118-ე სქოლიო.

22. როგორც სხვა სამენარმეო და კომერციული საკუთრებითი უფლებები, ასევე ლიტერატურული და ხელოვნების ნაწარმოებთა საკუთრებით მინიჭებული ექსკლუზიური უფლებები შეეხება გაერთიანების ფარგლებში საქონლისა და მომსახურებების გაცვლას, ასევე შეეხება ის საკონკურენტო ურთიერთობებს. ამ საფუძვლის მიხედვით, ეს უფლებები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ეროვნული სამართლებრივი ნორმებით წესრიგდებიან, ევროპული სასამართლოს მუდმივი პრაქტიკის მიხედვით, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მოთხოვნებს ექვემდებარებიან და ამდენად მისი გამოყენების სფეროში ექცევიან.

23. ამგვარად, ისინი ექვემდებარებიან მაგ.: ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 30-ე და 36-ე მუხლებს საქონლის თავისუფლად გადაადგილების შესახებ. ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მუსიკალურ ნაწარმოებებს შეიცავენ ბგერის მატარებლები/ფირები, რომლებიც წარმოადგენენ საქონელს, რომელთა გაცვლა გაერთიანების სფეროში დასახელებული ნორმებით წესრიგდება (...).

24. გარდა ამისა, საზოგადოებათა საქმიანობა საავტორო უფლებების აღსრულებასთან დაკავშირებით მომსახურების თავისუფლად გადაადგილების თაობაზე ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 59-ე და 66-ე მუხლების მოქმედების სფეროში ექცევა. როგორც ევროპულმა სასამართლომ (...) საქმეში 7/82 (*GVL v Commission*, 1983 წლის კრებული, 483, 39-ე პუნქტი) აღნიშნა, ამ საქმიანობამ ისეთი სახე არ უნდა მიიღოს, რომ მან მომსახურების თავისუფლად გადაადგილების შეფერხება და, განსაკუთრებით, დასაქმებულ ხელოვანთა უფლებების გამოყენება საერთო ბაზრის დანაწილების შედეგით გამოიწვიოს. (...)

27. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ საავტორო უფლება და დაკავშირებული დამცავი უფლებები, რომლებიც განსაკუთრებით შიდაგაერთიანებაში საქონლისა და მომსახურების გაცვლაზე მისი ზემოქმედებების გამო ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების გამოყენების სფეროში ექცევიან, ძალაუვნებურად ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-7 მუხლის პირველ აბზაცში ასახულ საყოველთაო დისკრიმინაციის აკრძალვას ექვემდებარებიან, ისე, რომ აუცილებელი არ არის, დაკავშირებულნი იყვნენ ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 30-ე, 36-ე, 59-ე და 66-ე მუხლების განსაკუთრებულ ნორმებთან.

ა) გამოყენება პირთა წრის მიმართ

საქმე *Walrave and Koch*¹²⁸:

16/19. მე-7, 48-ე და 59-ე მუხლებისათვის საერთოა, რომ ისინი მათი მოქმედების სფეროში კრძალავენ მოქალაქეობის საფუძველზე ნებისმიერ განსხვავებულ მოპყრობას. განსხვავებული მოპყრობის აკრძალვა მოქმედებს არა მარტო სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცემული აქტებისათვის, არამედ ვრცელდება ის ასევე სხვა ღონისძიებებზეც, რომლებიც სამუშაო და მომსახურების სფეროში შეიცავენ კოლექტიურ რეგულირებას. რადგან პირთა და მომსახურების თავისუფლად გადაადგილებისათვის დაბრკოლებების აღმოფხვრას — გაერთიანების ერთ-ერთი არსებით მიზანს, რომელიც ხელშეკრულების მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტშია გადმოცემული — საფრთხე შეექმნებოდა, თუ სახელმწიფო დაბრკოლებებთან ბრძოლაში კერძო სამართლებრივ გაერთიანებებსა და დაწესებულებებს, მათი სამართლებრივი ავტონომიურობიდან გამომდინარე, ამგვარი დაბრკოლებე-

¹²⁸ იხ. 123-ე სქოლიო.

ბის შექმნის საშუალება მიეცემოდათ; და რადგან, სხვათაშორის, შრომითი პირობები სხვადასხვა წევრი სახელმწიფოს მიხედვით სხვადასხვაგვარად, ან კანონებითა და დადგენილებებით, ან კერძო პირებს შორის ხელშეკრულებებით და სხვა სამართლებრივი ქმედებებით რეგულირდება, აკრძალვის მხოლოდ სახელმწიფო ღონისძიებაზე გავრცელება საფრთხეს შეუქმნიდა სადავო აკრძალვის მთელ გაერთიანებაში ერთიან გამოყენებას (შეადარეთ ასევე საქმე 13/76, *Dona v Mantero*, 1976 წლის კრებული, 1333, 1341).

გენერალური ადვოკატი გაერთიანებულ საქმეებში *Phil Collins*¹²⁹:

არაერთი განაჩენიდან (...) ერთმნიშვნელოვნად გამომდინარეობს, რომ ეროვნული სასამართლოები ვალდებული არიან, გამოუყენებლად დატოვონ ეროვნული ნორმები, რომლებიც მე-7 მუხლს ეწინააღმდეგებიან. ამასთან, **ნათელია, რომ ეს ვალდებულება არა მარტო სახელმწიფოს წინააღმდეგ პროცესში, არამედ ასევე კერძო პირთა შორის სამართლებრივი დავებშიც არსებობს.**

იმავე *საქმეზე* სასამართლომ დაადგინა¹³⁰:

24. გარდა ამისა, საავტორო უფლებების განხორციელების სფეროში საზოგადოებების საქმიანობა ექცევა მომსახურების თავისუფლად გადაადგილების შესახებ ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 59-ე და 66-ე მუხლების ნორმებში (...).

(...)

33. ამიტომ წარმოდგენილ შეკითხვას პასუხი უნდა გაეცეს და ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-7 მუხლის პირველი აბზაცი ისე უნდა განიმარტოს, რომ **ამ ნორმასთან წინააღმდეგობაში მოდიან წევრი სახელმწიფოს ის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც სხვა წევრი სახელმწიფოების ავტორებსა და დასაქმებულ ხელოვანებს, ასევე მათ, რომლებიც მათგან უფლებებს იღებენ, გარკვეული წინაპირობების არსებობისას უფლებას არ აძლევენ, ისარგებლონ უფლებით, რომელიც ამ სამართლებრივი ნორმების მიხედვით ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს აქვთ.** კერძოდ იმ უფლებით, რომ სახელმწიფოს შიგნით აკრძალოს მისი თანხმობის გარეშე ჩანერგილი ხმის მატარებლის გასაღება, თუ ის საზღვარგარეთ ჩაიწერა.

ბ) დისკრიმინაციის შინაარსი:

საქმე *Commission v Italian Republic*¹³¹:

12. როგორც ევროპულმა სასამართლომ უკვე გადაწყვიტა, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-7 და 59-ე მუხლების მიხედვით, **აკრძალულია წევრი სახელმწიფოს მუზეუმებთან სხვა წევრი სახელმწიფოების მოქალაქეების დაშვების შესახებ ისეთი ეროვნული რეგულირება, რომელიც მხოლოდ უცხოელი ტურისტების დისკრიმინაციას შეიცავს** (1994 წლის 15 მარტის განაჩენი საქმეში – C-45/93, *კომისია ესპანეთის წინააღმდეგ*, 1994 წლის კრებული, I-911).

საქმე *Mund & Fester v. Hatrex Internationaal Transport*¹³²:

საქმის ფაბულა: საქმეში ევროპულ სასამართლოს აზრი უნდა გამოეთქვა – შეიცავდა

¹²⁹ Schuetz, Bruha, Koenig; Casebook Europarecht; 2004, გვ. 789.

¹³⁰ იხ. 119-ე სქოლიო.

¹³¹ Judgment of the Court of 16 January 2003 Commission of the European Communities v Italian Republic, Case C-388/01.

¹³² Judgment of the Court of 10 February 1994; Mund & Fester v Hatrex Internationaal Transport; Case C-398/92; European Court reports 1994 Page I-00467.

თუ არა სამოქალაქო სამართლის პროცესის 917-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი ფარულ დისკრიმინირებად ნორმას. ამ დებულების მიხედვით, შესაძლებელია ქონების დაყადაღება, თუ განაჩენი მოვალის მიმართ საზღვარგარეთ უნდა აღსრულდეს. მაშინ, როდესაც შიდასახელმწიფოებრივად აღსასრულებელი განაჩენი ყადაღაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვება, თუ მისი შეფარდების გარეშე აღსრულება შესაძლოა არსებითად გართულდეს ან შეუძლებელი გახდეს.

16. სამოქალაქო სამართლის პროცესის 917-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცი (არ ითვალისწინებს) აშკარა დისკრიმინაციას მოქალაქეობის საფუძველზე, რადგან დებულება ვრცელდება ყველა შემთხვევაზე, რომლებშიც განაჩენი საზღვარგარეთ უნდა აღსრულდეს, და, კერძოდ, ასევე მაშინ, როცა დაყადაღებული ქონება ასევე შეიძლება გერმანულ მოქალაქეს ეკუთვნოდეს, თუმცა, როგორც ამას კომისია სწორად აღნიშნავს, ასეთი შემთხვევა იშვიათია, რადგან საზღვარგარეთ იძულებითი აღსრულების უმრავლესობა შეეხება ფიზიკურ პირებს, რომლებიც არ ფლობენ გერმანულ მოქალაქეობას, ან იურიდიულ პირებს, რომლებსაც თავიანთი ადგილსამყოფელი გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში არ აქვთ. აქედან გამომდინარეობს, რომ სადავო ეროვნული დებულება, ფაქტობრივად, იმავე შედეგამდე მიდის, როგორც ეს ხდება მოქალაქეობის საფუძველზე დისკრიმინაციის შემთხვევაში.
(...)

14. მუდმივი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-7 მუხლი კრძალავს ხელშეკრულების მოქმედების სფეროში მოქალაქეობის საფუძველებიდან გამომდინარე ყოველ დისკრიმინაციას. ეს მუხლი კრძალავს არა მარტო აშკარა დისკრიმინაციას მოქალაქეობის საფუძველზე, არამედ დისკრიმინაციის ყველა ფარულ ფორმას, რომლებიც სხვა განმასხვავებელი ნიშნების გამოყენებით ანალოგიურ შედეგამდე მიდის (...).

15. ეროვნული ნორმა, რომელსაც ეს კონკრეტული პროცესი შეეხება, შეიცავს დისკრიმინაციის ფარულ ფორმას.

საქმე *Commission v Ireland*¹³³:

საქმის ფაბულა: ირლანდიამ თავისი სათევზაო ზონებისათვის მიიღო რეგულირების წესი, რომლის მიხედვით აიკრძალა ისეთი გემებით თევზაობა, რომელთა სიგრძე აღემატებოდა 33 მეტრს, ან რომელთა ძრავის სიძლიერე 1100 ცხენის ძალას არ აღემატებოდა. ეს რეგულირება შეეხებოდა ყველას, თუმცა იმ გემებს შორის, რომლებიც ამ ზონებში თევზაობდნენ, უმრავლესობა იყო სხვა ქვეყნის დროშის ქვეშ მცურავი გემი და ამ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდნენ, ფაქტობრივად, გამონაკლისი მხოლოდ ირლანდიური გემები იყო.

69/72. კომისიის შეხედულებით, ირლანდიის მიერ შემოღებული ზომები, რომლებიც მოჩვენებითად ისეთ ნეიტრალურ კრიტერიუმებს ეფუძნება, როგორებიცაა სათევზაო გემების სიგრძე და ძრავის სიმძლავრე, სინამდვილეში დისკრიმინირებადია ორი საფუძველიდან გამომდინარე: აღმოჩნდა, რომ სადავო დებულებებში არსებულ შეზღუდვებს არ შეესაბამებოდა ირლანდიური სათევზაო ფლოტის მხოლოდ ორი გემი, რომელთაგანაც ერთს, როგორც ეს დანამდვილებით ცნობილია, აკრძალულ ზონაში არასოდეს უთევზავია, მაშინ როდესაც ეს ღონისძიება უფრო მკაცრად შეეხო სხვა წევრი სახელმწიფოების ფლოტებს (...); გარდა ამისა, ამ ღონისძიებებმა განსხვავებულ წევრ სახელმწი-

¹³³ Judgment of the Court of 16 February 1978; Commission of the European Communities v Ireland; Sea fisheries; Case 61/77; European Court reports 1978 Page 00417.

ფოებს შორის არათანაბარი მოპყრობა გამოიწვია, რადგან ნიდერლანდების სათევზაო ფლოტი, რომლის არსებითი ნაწილი დიდი გემებისაგან შედგება, თითქმის სრულად გამოეთიშა შესაბამის სათევზაო ზონებს, უფრო ნაკლები მოცულობით, მაგრამ ასევე გამოეთიშა სათევზაო ზონებს ფრანგული სათევზაო ფლოტი. ირლანდიამ ამ ღონისძიებით დაარღვია ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-7 მუხლით დადგენილი დისკრიმინაციის საყოველთაო აკრძალვა და 101/76 რეგულაციის მე-2 მუხლის პირველი აბზაცი (...).

78/80. როგორც ევროპულმა სასამართლომ სხვა კონტექსტში (...) უკვე არაერთხელ განაცხადა, გაერთიანების სამართალში ასახული ნორმა თანასწორობის შესახებ კრძალავს არა მარტო აშკარა დისკრიმინაციას მოქალაქეობის საფუძველზე, არამედ ასევე დისკრიმინაციის ყველა ფარულ ფორმას, რომელთაც ანალოგიური შედეგი აქვთ. უეჭველად ამგვარად მოქმედებენ სადავო ღონისძიებებში ასახული კრიტერიუმები, რადგან ისინი ირლანდიური წყლებიდან სხვა წვერი სახელმწიფოების სათევზაო ფლოტების მნიშვნელოვან ნაწილს აძევენ, მაშინ როდესაც ანალოგიური ღონისძიებები ირლანდიელი მოქალაქეებისათვის არ არის შესაბამისად მძიმე. ამდენად, ეს ღონისძიება ეწინააღმდეგება ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-7 მუხლს, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას მოქალაქეობის საფუძველზე, და 101/76 რეგულაციის მე-2 მუხლის პირველ აბზაცს, რომლის მიხედვითაც ცალკეული წვერი სახელმწიფოების რეგულირებები განსხვავებულად არ უნდა ეპყრობოდნენ სხვა წვერ სახელმწიფოებს, რომლებიც თევზრენვას ეწევიან მათ სუვერენიტეტსა თუ საჯარო ხელისუფლებაში არსებულ საჯარო წყლებში.

გ) გამამართლებელი საფუძვლები:

საქმე *Italian v. Commission*¹³⁴.

საქმის ფაბულა: იტალიამ გაასაჩივრა კომისიის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც კომისიამ განსაკუთრებული გადასახადები დაანესა იტალიიდან იმპორტირებული მაცივრებისათვის საფრანგეთში, რადგან იტალიური მაცივრები, რომლებსაც ბევრად უფრო დაბალი ღირებულება ჰქონდათ, ვიდრე თავად ფრანგული თუ სხვა წვერი სახელმწიფოებიდან იმპორტირებულს, დიდი რაოდენობით შემოდის საფრანგეთში, რის გამოც საფრთხე შეექმნა ადგილობრივ წარმოებას. იტალიის მთავრობა ამ გადანყვეტილებას მიიჩნევდა დისკრიმინაციულად.

არათანაბარი მოპყრობა არაიდენტიურ შემთხვევებში არ არის დისკრიმინაცია. უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევაში, შინაარსობრივი თვალსაზრისიდან გამომდინარე, არ არის დისკრიმინაცია, მაშინ როდესაც, ერთი შეხედვით, შეიძლება ასეთ მიიჩნეოდეს. (...)

კომისია, როცა ის დამცავ ღონისძიებებს ნებას რთავს, არის უფლებამოსილი, (...) სახელმწიფოების მიხედვით დიფერენციაცია გააკეთოს, თუ ის, ობიექტური საფუძვლებიდან გამომდინარე, ამას საჭიროდ მიიჩნევს. (...)

წინამდებარე შემთხვევაში ეს იმაზე დამოკიდებული, სირთულეები, რომელთაც ეს შეეხება, ამართლებენ თუ არა იტალიის იმპორტზე დაცვითი ღონისძიებების შეზღუდვას. (...)

¹³⁴ Judgment of the Court of 17 July 1963; Italian Republic v Commission of the European Economic Community; Case 13-63; European Court reports English special edition Page 00165.

(...) მოპასუხეს შეეძლო, აზრი გამოეთქვა, (...) რომ იტალიიდან იმპორტის ძლიერი გაზრდა სხვა ნევრი სახელმწიფოებიდან (...) იმპორტის მოცულობასთან შედარებით სპეციფიკურ ღონისძიებებს ამართლებენ (...).

ყველა ამ საფუძვლებიდან გამომდინარე, გამართლებულია (კომისიის) მოსაზრებები (...), მხოლოდ იტალიის ნაწარმს დააკისროს გადასახადები. დისკრიმინაციის ბრალდება ამდენად უარსაყოფია (შეადარეთ ასევე C-44/94, *Fishermens Organisation*, 1995 წლის კრებული, I-3115, 3149, 44-ე პუნქტი).

საქმე *Hochstrass v Court*¹³⁵:

7. ევროპული სასამართლოს მუდმივი პრაქტიკის მიხედვით, საყოველთაო თანასწორობის პრინციპი გაერთიანების სამართლის ძირითად პრინციპებს განეკუთვნება; მოქალაქეობის საფუძვლებზე დისკრიმინაციის აკრძალვა ამ პრინციპის განსაკუთრებულ ფორმულირებას ასახავს. ამის მიხედვით, ერთნაირი მდგომარეობები არ შეიძლება განსხვავებულად დარეგულირდეს, თუ ეს დიფერენცირება ობიექტურად არ არის გამართლებული. დასახელებული პრინციპი აშკარად ითხოვს, რომ ერთნაირ სიტუაციებში მოხელეების მიმართ ერთნაირი ნორმები იქნეს გამოყენებული, გაერთიანების კანონმდებელს კი არ ართმევს საშუალებას, გათვალისწინებულ იქნეს ობიექტურად განსხვავებული პირობები ან მოვლენები, რომელშიც შესაბამისი პირები ცხოვრობენ.

8. 912/78. რეგულაციის შესაბამისი დებულების ნამდვილობის გადასინჯვისათვის გამოკვლეულ უნდა იქნეს, არსებობს თუ არა განსხვავებულად მოპყრობის გამამართლებელი ობიექტური ნიშნები იმ მოხელეების მიმართ, რომლებიც არ ფლობენ მათი სამსახურის ადგილის სახელმწიფოს მოქალაქეობას, იმ მოხელეებთან შედარებით, რომლებიც დასახელებული სახელმწიფოს მოქალაქეობას ფლობენ ან ფლობდნენ.

9. შედეგად გამოკვლეულ უნდა იქნეს, რეგულირება (...) საერთო ჯამში წარმოშობს თუ არა თანასწორობას, რომელიც მოხელეებს შორის უნდა არსებობდეს, თუ წარმოშობს უთანასწორობას. (...)

12. (...) სადავო არ არის, რომ მოხელეს, რომელიც არ ფლობს და არ ფლობდა სახელმწიფოს მოქალაქეობას, რომლის სუვერენულ ტერიტორიაზეცაა მისი სამსახურის ადგილი, მისი უცხოური სტატუსის გამო, სამართლებრივი თუ ფაქტობრივი ხასიათის ზიანი შეიძლება მიადგეს სამოქალაქო, ოჯახურ, აღმზრდელობით, კულტურულ თუ პოლიტიკურ სფეროში, მაშინ, როდესაც ამ სახელმწიფოს მოქალაქეები ამგვარ ზიანს არ განიცდიან. რადგან ნებაყოფლობით გადასახლებისათვის (გაერთიანების ორგანოებში სამუშაოს დასაწყებად) დადგენილმა დანამატმა ყველა ის ზიანი უნდა გაათანაბროს, რომლებიც მოხელეებს მათი უცხოური სტატუსის გამო შესაძლებელია მიადგეთ, გაერთიანების კანონმდებელი ამ ფაქტობრივი მდგომარეობის თავისუფლად შეფასებისას სამართლიანად მხოლოდ მოქალაქეობის საფუძველს დაეყრდნო. საზღვარგარეთის დანამატის განსაზღვრისას, რომლის მიზანია „განსაკუთრებული ტვირთები და ზიანები გაათანაბროს, რაც თან სდევს სამსახურის დაწყებას გაერთიანებათა ორგანოებში მოხელის მიერ საცხოვრებელი ადგილის იძულებით შეცვლისას“, გადამწყვეტ კრიტერიუმად მოხელის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი მიიჩნია და მოქალაქეობა მხოლოდ მეორეხარისხოვნად გაითვალისწინა, (საქმე 21/74, *Ariola*, 1975 წლის 20 თებერვლის განაჩენი, მე-8 პუნქტი, 1975 წლის კრებული, 221).

¹³⁵ Judgment of the Court (Second Chamber) of 16 October 1980; René Hochstrass v Court of Justice of the European Communities; Official - Foreign residence allowance; Case 147/79; European Court reports 1980 Page 03005.

13. მაშინაც კი, როდესაც მოხელეებს მათი ექსპატრიაციის უარყოფითი შედეგები განსხვავებული ინტენსიურობით შეიძლება შეეხოთ, მოქალაქეობის კრიტერიუმს მაინც აქვს მრავალი უპირატესობა: ის ერთიანია, რადგან ყველა მოხელისთვის თანაბრად, მათი სამსახურებრივი ადგილის მიუხედავად, მოქმედებს; მისი ხასიათიდან და ერთიანობიდან გამომდინარე, ობიექტურია იმ საშუალო ზიანთან მიმართებით, რომელიც, პირთა პიროვნული მდგომარეობის თვალსაზრისით შედეგად მოჰყვება ექსპატრიაციას, და ის უშუალო კავშირშია რეგულირების მიზანთან, აანაზღაუროს მიმღებ ქვეყანაში უცხოელთა სტატუსიდან გამომდინარე სირთულეები და უარყოფითი მხარეები.

14. მაშინაც კი, როდესაც ზოგადი აბსტრაქტული რეგულირების გამოცემა გაუთვალისწინებელ არახელსაყრელ შემთხვევებს იწვევს, კანონმდებელს არ შეიძლება ბრალად დაედოს ზოგადი კატეგორიების ჩამოყალიბება, თუ ისინი, არსიდან გამომდინარე დასახული მიზნის თვალსაზრისით, დისკრიმინირებადნი არ არიან.

გენერალური ადვოკატი საქმეში *Hochstrass v Court*¹³⁶:

(...) მოქალაქეობაზე მიბმულ ყოველ განსხვავებაში არ შეიძლება გაერთიანების სამართლის მიერ აკრძალული დისკრიმინაციის დანახვა. ამ თვალსაზრისით მას არ ეყრდნობა ასევე ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-7 მუხლი, რომელიც განხილულ უნდა იქნეს გაერთიანების სამართლის საფუძვლად არსებული დისკრიმინაციის საყოველთაო აკრძალვის კონკრეტიზაციად – არა როგორც მოქალაქეობის საფუძველზე დიფერენციაციის აკრძალვა, არამედ როგორც მოქალაქეობის საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვა. ევროპული სასამართლოს მუდმივი პრაქტიკის მიხედვით, დისკრიმინაციაში მოიაზრება მხოლოდ ობიექტურად გაუმართლებელი დიფერენცირება. ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-7 მუხლის მიხედვით, წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს ერთნაირად უნდა მოეპყრონ, თუ არ არსებობს არანაირი განსაკუთრებული ამ არათანაბარი მოპყრობის გამამართლებელი საფუძვლები. აქედან გამომდინარე, მაგალითად, მოქალაქეობამ თითქმის არანაირი როლი არ უნდა შეასრულოს მოხელეების სტატუსის მე-7 და 24-ე მუხლების მიხედვით მოხელის დანიშვნის, გადაყვანის ან კარიერასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში.

მეორე მხრივ, როგორც კი განსხვავებული მოპყრობა უცხოელთა მდგომარეობით მართლდება, არ არსებობს ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-7 მუხლის მიხედვით აკრძალული დისკრიმინაცია და ამით ასევე არც მოხელეების თანაბრად მოპყრობის პრინციპი ირღვევა. გარდა ამისა, ასევე გადაადგილებისა და დაფუძნების თავისუფლების სფეროში, როგორც ეს გათვალისწინებული გამოწვევისგან გამომდინარეობს, შესაძლოა განსხვავებულად მოეპყრონ საჯარო წესრიგის, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დამრღვევ პირებს, რომლებიც ამ წევრი სახელმწიფოს მოქალაქეები არ არიან, ისე, რომ ეს ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-7 მუხლის დისკრიმინაციის აკრძალვის დარღვევა არ იქნება.

¹³⁶ Schuetz, Bruha, Koenig; Casebook Europarecht, 2004, 93.

2. დისკრიმინაციის აკრძალვა შრომით ურთიერთობებში

საქმე *Defrenne v Sabena II*¹³⁷:

26/29. ევროპულმა სასამართლომ უკვე ბევრჯერ დაადგინა, რომ ადამიანთა ძირითადი უფლებების დაცვა გაერთიანების სამართლის საყოველთაო პრინციპებს განეკუთვნება, და იგი მან (ევროპულმა სასამართლომ) უნდა უზრუნველყოს. ეჭვი არაა, რომ სქესის ნიშნით დისკრიმინაციების აღმოფხვრა ამ ძირითად უფლებებს განეკუთვნება. (...)

საქმე *Defrenne v. Sabena I*¹³⁸:

8/11. 119-ე მუხლი ემსახურება ორმაგ მიზანს: ერთი მხრივ, მან თავიდან უნდა აიცილოს ის მდგომარეობა, რომ ცალკეული წევრი სახელმწიფოების სოციალური კანონმდებლობის განსხვავებული განვითარების დონის გამო იმ წევრ სახელმწიფოებში დაფუძნებული საწარმოები, რომლებმაც თანაბარი ანაზღაურების პრინციპი, ფაქტობრივად, შეასრულეს, დაიჩაგრონ გაერთიანების შიდა კონკურენციაში იმ საწარმოებთან მიმართებით, რომლებიც იმ სახელმწიფოებში არიან დაფუძნებულნი, რომლებმაც ეს დისკრიმინაცია ქალი მუშახელის მიმართ ჯერ კიდევ არ აღმოფხვრეს; მეორე მხრივ ეს დებულება ემსახურება გაერთიანების სოციალურ მიზნებს, რომელნიც შემოიფარგლება არა მხოლოდ ეკონომიკური კავშირით, არამედ, როგორც ამას ხელშეკრულების პრეამბულა გამოყოფს, მასში შედის ერთიანი მიდგომით სოციალური წინსვლის უზრუნველყოფა და სწრაფვა ევროპელი ხალხების ცხოვრებისა და დასაქმების პირობების მუდმივი გაუმჯობესებისაკენ. ეს მიზანი იმითაცაა საყურადღებო, რომ 119-ე მუხლი სოციალური პოლიტიკისათვის მიძღვნილ თავშია მოქცეული, რომლის დასაწყისი დებულება, 117-ე მუხლი, მიუთითებს „აუცილებლობაზე (...), იმოქმედონ მუშახელის ცხოვრებისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის და ამით წინსვლის გზაზე მისი ჰარმონიზაცია შესაძლებელი გახადონ“.

12. ამ ორმაგი ეკონომიკური და სოციალური მიზანდასახულობიდან გამომდინარეობს, რომ თანაბარი ანაზღაურების პრინციპი გაერთიანების საფუძვლებს მიეკუთვნება. (...)

28/29. (...) რადგან ეს გამობატულება, ხელშეკრულების ენობრივი გამოყენების მიხედვით, ემსახურება სწორედ იმას, რომ გარკვეული ნორმები დასახელებულიყვნენ როგორც ძირითადი ნორმები, როგორც ეს, მაგალითად, „პრინციპებისათვის“ მიძღვნილი ხელშეკრულების პირველ ნაწილის სათაურიდან და 113-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომლის მიხედვითაც გაერთიანების სავაჭრო პოლიტიკა უნდა აისახოს „ერთიანი პრინციპებით“. თუ ვინმეს სურდა, ეს ცნება იმდენად შეესუსტებინა, რომ მას მხოლოდ გაურკვეველი მითითების რანგი ჰქონოდა, ამით უშუალოდ გაერთიანების საფუძვლები და მისი საგარეო ურთიერთობების ერთიანობა დაირღვეოდა. (...)

40. 119-ე მუხლით თანაბარი ხელფასის შესახებ პრინციპზე დაყრდნობა შეუძლიათ შესაბამის პირებს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოებში. ეს სასამართლოები ვალდებული არიან, დაიცვან უფლებები, რომლებსაც ეს დებულება სამართალსუბიექტებს ანიჭებს; განსაკუთრებით მოქმედებს ეს დისკრიმინაციების შემთხვევაში, რომელთაც სათავე უშუალოდ სამართლებრივ ნორმებში ან კოლექტიურ შეთანხმებებში უდევთ, ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც ქალი თუ მამაკაცი მუშახელი ერთნაირი სამუშაოსათვის

¹³⁷ Judgment of the Court of 15 June 1978; Gabrielle Defrenne v Société anonyme belge de navigation aérienne Sabena; Case 149/77; European Court reports 1978 Page 01365.

¹³⁸ Judgment of the Court of 8 April 1976; Gabrielle Defrenne v Société anonyme belge de navigation aérienne Sabena; Case 43-75; European Court reports 1976 Page 00455.

ერთსა და იმავე კერძო ან საჯარო სანარმოში, ან სამსახურში არათანაბარ გასამრჯელოს იღებს.

საქმე *Susan Jane Worringham and Margaret Humphreys v Lloyds Bank Limited*¹³⁹:

23. როგორც ეს ევროპულმა სასამართლომ წინა გადაწყვეტილებებში (...) აღნიშნა, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 199-ე მუხლი დისკრიმინაციების ყველა სახეობაზეა უშუალოდ გამოყენებადი, რომლის მიხედვითაც უკვე ნორმაში მითითებული კრიტერიუმების საშუალებით განისაზღვრება თანაბარი სამუშაო და თანაბარი გასამრჯელო, ისე, რომ არ არის აუცილებელი გაერთიანების ან ეროვნული ღონისძიების გატარება ამ კრიტერიუმების განსაზღვრა-გამოყენებისათვის. (...) ამ შემთხვევებში სასამართლოს შეუძლია, მიიღოს ფაქტის დამდგენი ყველა გარემოება, რომელიც მას საშუალებას მისცემს, განსაჯოს, იღებს თუ არა ქალი მომსახურე უფრო ნაკლებ ანაზღაურებას, ვიდრე მამაკაცი მომსახურე, რომელიც თანაბარ ან ანალოგიური ღირებულების სამუშაოს ასრულებს.

საქმე *Kathleen Hill and Ann Stapleton*¹⁴⁰:

41. ამოსავალი პროცესის ყველა მხარე და მომმართველი სასამართლო თანხმდებიან იმაზე, რომ თითქმის ყველა მომსახურე, რომლებიც სამუშაო ადგილს ირლანდიის საჯარო სამსახურში ინაწილებენ, ქალბატონები არიან. ამოსავალი პროცესის აქტების მიხედვით, მუშახელის თითქმის 83 პროცენტი მხოლოდ იმიტომ იღებს გადაწყვეტილებას დასაქმდეს განაკვეთურ სამუშაო ადგილზე, რომ შეძლოს ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა სამუშაო და საოჯახო ვალდებულებებისა, რომელთაც ბავშვების აღზრდა მიეკუთვნება.

42. გაერთიანების პოლიტიკა ამ სფეროში უნდა იყოს საყრდენი და თუ შესაძლებელია, სამუშაო პირობები საოჯახო ვალდებულებებთან შეთანხმებული. ქალის დაცვა ოჯახსა და პროფესიაში, ისევე როგორც მამაკაცისა, არის პრინციპი, რომელიც, როგორც ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ბუნებრივი შედეგი, გაერთიანების წევრი სახელმწიფოების სამართლებრივ წესრიგებში ფართოდაა გათვალისწინებული და აღიარებულია გაერთიანების სამართლით.

ა) დაცული სიკეთე:

საქმე *Defrenne v Sabena II*¹⁴¹:

19/23. 117-ე და 118-ე მუხლების სანინალმდევოდ, რასაც, არსებითად, პროგრამული ხასიათი აქვს, 119-ე მუხლი მამაკაც და ქალ მუშახელს შორის ხელფასის საფუძველზე დისკრიმინაციის პრობლემით შემოფარგლული განსაკუთრებული დებულებაა, რომლის გამოყენება ზუსტ წინაპირობებს უკავშირდება. ამდენად, ამ მუხლის მოქმედების სფერო არ შეიძლება გავრცელდეს დასაქმების ურთიერთობათა სხვა ასპექტებზე, გარდა იმისა, რომელსაც ის აშკარად ეყრდნობა. განსაკუთრებით ის ფაქტი, რომ დასაქმებისათვის განსაზღვრული პირობების შექმნას — როგორცაა განსაკუთრებით ასაკის ზღვრის დადგენა — ფინანსური შედეგი შეიძლება ჰქონდეს, არ არის საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ ეს პირობები 119-ე მუხლის მოქმედების სფეროში მოექცნენ, რადგან ეს მუხლი თავისთავად

¹³⁹ Judgment of the Court of 11 March 1981; Susan Jane Worringham and Margaret Humphreys v Lloyds Bank Limited; Case 69/80; European Court reports 1981 Page 00767.

¹⁴⁰ Judgment of the Court (Sixth Chamber) of 17 June 1998; Kathleen Hill and Ann Stapleton v The Revenue Commissioners and Department of Finance; Case C-243/95; European Court reports 1998 Page I-03739.

¹⁴¹ იხ. 137-ე სქოლიო.

ვად სამუშაოს სახესა და ამ სამუშაოს ანაზღაურებას შორის ურთიერთდამოკიდებულება-ზეა აგებული. 119-ე მუხლის კრიტერიუმი – ორივე სქესის მუშახელის მიერ განეული სამუშაოების ურთიერთშედარება – არის ფაქტორი იმისა, რომ ყველა მუშახელი, სავარაუდოდ, თანაბარ მდგომარეობაში იმყოფება, მაშინ, როდესაც სხვა სამუშაო ან დასაქმების პირობების განსჯა რამდენიმე თვალსაზრისით ისეთ ფაქტორებს რთავს თამაშში, რომლებიც — იმის გათვალისწინებით, რომ სამუშაო პროცესში ქალს განსაკუთრებული ადგილი უკავია — მუშახელის სქესთანაა დაკავშირებული. 119-ე მუხლის სიტყვები ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ უშუალო მოქმედება, რომელიც ამ დებულებას თავის ჩვეულ სფეროში უნდა მიენიჭოს, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება და, მეორე მხრივ, სფეროში ერევა, რომლის განსჯის უფლებამოსილება 117-ე და 118-ე მუხლების საფუძველზე მასში დასახელებულ უწყებებს (კომისიასთან ერთად, პირველ რიგში, ნეერ სახელმწიფოებს) აქვთ.

საქმე *Arbeiterwohlfahrt der Stadt Berlin e.V. v Monika Bötzel*¹⁴².

12. ევროპული სასამართლოს მუდმივი პრაქტიკის მიხედვით, (...) „ანაზღაურების“ ცნება ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლის მნიშვნელობით მოიცავს ყველა თანამედროვე ან მომავალ ნაღდი ანგარიშსწორებით თუ ნატურით მიღებულ სიკეთეს, წინაპირობაა, რომ მას დამსაქმებელი დასაქმებულს, სულ მცირე, არაპირდაპირი სამსახურებრივი ურთიერთობების საფუძველზე ანიჭებს, იქნება ეს სამუშაო ხელშეკრულების საფუძველზე, სამართლებრივი ნორმების საფუძველზე თუ ნებაყოფლობით.

საქმე *Douglas Harvey Barber v Guardian Royal Exchange Assurance Group*¹⁴³.

31. (...) მეორე მხრივ, მომმართველ სასამართლოს სურს იცოდეს, თანაბარი ანაზღაურების პრინციპი დაცულ უნდა იქნეს ანაზღაურების თითოეული შემადგენელი ნაწილის შემთხვევაში, თუ დასაქმებულისათვის საერთო ჯამში გადახდილი ანაზღაურების შემთხვევაში.
(...)

33. რაც (ამ შეკითხვას) შეეხება, მითითებულ უნდა იქნეს 1988 წლის 30 ივნისის განაჩენზე საქმეში 318/86 (კომისია საფრანგეთის წინააღმდეგ, 1988 წლის კრებული, 3559, 27-ე პუნქტი) და 1989 წლის 17 ოქტომბრის განაჩენზე საქმეში 109/88 (*Handels-OG Kontorfunktionaerernes Forbund I Danmark Dansk Arbejdsgiverforening fuer Danfoss A/S*, 1989 წლის კრებული, 3199, მე-12 პუნქტი), რომლებშიც ევროპულმა სასამართლომ ძირითად მნიშვნელობას გაუსვა ხაზი, რომელიც გამჭვირვალებასა და, სახელდობრ, შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების მეშვეობით კონტროლის შესაძლებლობაშია, რათა ყოველი დისკრიმინაცია სქესის საფუძველზე თავიდან იქნეს აცილებული და თუ საჭიროა, აღმოიფხვრას იგი.

34. რაც შეეხება იმ საკითხის გადასინჯვის მეთოდს, თანაბარი ანაზღაურების პრინციპი არის თუ არა დაცული, დასადგენია, რომ ასეთი სასამართლო კონტროლი რთული იქნებოდა და 119-ე მუხლის პრაქტიკული ეფექტურობა შესაბამისად შემცირდებოდა, თუ ეროვნული სასამართლოები ვალდებულნი იქნებოდნენ, მთლიანად შეეფასებინათ ქალი და მამაკაცი მუშახელის მიერ განსხვავებულ შემთხვევებში მიღებული ანაზღაურება და შეედარებინათ ისინი ერთმანეთთან. ნამდვილი გამჭვირვალება, რომელიც ეფექტური

¹⁴² Judgment of the Court (Sixth Chamber) of 4 June 1992; *Arbeiterwohlfahrt der Stadt Berlin e.V. v Monika Bötzel*; Case C-360/90; European Court reports 1992 Page I-03589.

¹⁴³ Judgment of the Court of 17 May 1990; *Douglas Harvey Barber v Guardian Royal Exchange Assurance Group*; Case C-262/88; European Court reports 1990 Page I-01889.

კონტროლის ნებას რთავს, მხოლოდ მაშინაა უზრუნველყოფილი, როდესაც თანაბარი ანაზღაურების პრინციპი ქალი და მამაკაცი მუშახელისათვის გადახდილი ანაზღაურების ყოველი ცალკეული შემადგენელი ნაწილისათვის მოქმედებს.

35. შეკითხვას, ამდენად, უნდა გაეცეს პასუხი (...). თანაბარი ანაზღაურების პრინციპი ანაზღაურების ყოველი ცალკეული შემადგენელი ნაწილისათვის, და არა მარტო მუშახელისათვის, გადახდილი ანაზღაურების საერთო შეფასების მიხედვით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.

საქმე *Helga Nimz v Freie und Hansestadt Hamburg*¹⁴⁴:

7. მომმართველი სასამართლოს პირველი შეკითხვა შეეხება იმას, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლის მიხედვით, ნებადართულია თუ არა, რომ ეროვნული საჯარო სამსახურისათვის დადებული სატარიფო ხელშეკრულების დებულებით უფრო მაღალანაზღაურებად ჯგუფში გადასვლისათვის მუშახელის ის სამუშაო დრო, რომელიც რეგულარული სამუშაო დროის მინიმუმ სამ მეოთხედს შეადგენს, სრულად იანგარიშება, ხოლო იმ მუშახელის სამუშაო დრო, რომელიც რეგულარული სამუშაო დროის ნახევარსა და სამ მეოთხედს შორის მერყეობს, გამოიანგარიშება მხოლოდ როგორც რეგულარული სამუშაო დროის ნახევარი, თუ ამ უკანასკნელად დასახელებული მუშახელის ჯგუფს უფრო მეტად ქალები განეკუთვნებიან, ვიდრე მამაკაცები.

8. ამ კითხვის საგნობრივი პასუხისათვის ჯერ უნდა გადაისინჯოს, დანიშნულება მაღალანაზღაურებად ჯგუფში ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლის მოქმედების სფეროს განეკუთვნება თუ არა.

9. აქტივიდან გამომდინარეობს, რომ წინამდებარე შემთხვევაში ეს შეეხება ანაზღაურების ჯგუფებში კვაზიავტომატურად დახარისხების სისტემას, რომელიც სატარიფო ხელშეკრულებაში არსებული სამსახურებრივი დროის ნორმებს ეყრდნობა. ეს ნორმები განსაზღვრავენ ანაზღაურების განვითარებას, რომელიც აქვს მუშახელს საქმიანობის შეუცვლელად.

10. შედეგად ამ გარემოებებში მაღალანაზღაურებად ჯგუფში კვაზიავტომატური დანიშნულების შესახებ ნორმები ძირითადად ექცევიან ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლით გათვალისწინებული ანაზღაურების ცნების ქვეშ.
(...)

12. აქტივიდან გამომდინარეობს, რომ სატარიფო ხელშეკრულების სადავო ნორმის მიხედვით, სრული განაკვეთით დასაქმებულის სამუშაო დროის ნახევრიდან ორ მესამედამდე დასაქმებული პირები ორმაგად უფრო მეტ ნამსახურობის წლებს საჭიროებენ უფრო მაღალანაზღაურებად ჯგუფში გადასასვლელად, ვიდრე სრულად მომუშავეები. ისეთი სატარიფო ხელშეკრულება, როგორიც ესაა და რომელიც დამსაქმებელს აძლევს უფლებას, საერთო ანაზღაურებაში განსხვავება შეინარჩუნოს დასაქმებულების ორ ჯგუფს შორის, კერძოდ ერთი მხრივ, მათ, ვინც სამუშაო საათების გარკვეულ მინიმუმს კვირის ან თვის განმავლობაში გამოიმუშავენ, და მეორე მხრივ მათ, რომლებიც ანალოგიურ საქმეზე მინიმალურ საათობრივ რაოდენობას ვერ აღწევენ, ფაქტობრივად იწვევს ქალი მუშახელის დისკრიმინაციას მამაკაცთან შედარებით, თუ დადგინდება, რომ, ქალებთან შედარებით, პროცენტულად მნიშვნელოვნად მცირე

¹⁴⁴ Judgment of the Court (Sixth Chamber) of 7 February 1991; *Helga Nimz v Freie und Hansestadt Hamburg*; Case C-184/89; European Court reports 1991 Page I-00297.

რაოდენობა მამაკაცებისა მუშაობს განაკვეთური დატვირთვით. (...)

საქმე *Dansk Handel & Service*¹⁴⁵:

32. როგორც ევროპულმა სასამართლომ 1989 წლის 13 ივლისის განაჩენით საქმეში 171/88 (*Rinner-Kuehn*, 1989 წლის კრებული, 2743) დაადგინა, ხელშეკრულების 119-ე მუხლის მიხედვით, **გასამრჯელო, რომელსაც დასაქმებული დამსაქმებლისაგან ავადმყოფობის გამო შვებულების დროს იღებს, ექცევა ანაზღაურების ცნებაში, რომელიც ყველა თანადროულ სიკეთეს მოიცავს**, იმ პირობით, რომ დამსაქმებელი დასაქმებულს ამ სიკეთეს, სულ მცირე, არაპირდაპირ, სამსახურებრივი ურთიერთობის საფუძველზე ანიჭებს, იქნება ეს სამართლებრივი ნორმების მიხედვით, თუ ნებაყოფლობით დადებული სამუშაო ხელშეკრულება (შეადარეთ 1990 წლის 17 მაისის განაჩენი საქმისა – C-262/88, *Barber*, 1990 წლის კრებული, I-1889, მე-12 პუნქტი, და 1996 წლის 6 თებერვლის განაჩენი საქმისა – C-457/93, *Lewark*, კრებული I-243, 21-ე პუნქტი).

საქმე *Boetel*¹⁴⁶:

11. ჯერ უნდა დადგინდეს, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლისა და 75/117 დირექტივის მიხედვით, ექცევა თუ არა „ანაზღაურების“ ცნებაში კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებებისათვის გადახდილი თანხა — სამუშაოდან ანაზღაურებადი გათავისუფლებისა თუ ზედმეტი საათების ანაზღაურების ფორმით. (...).

12. ევროპული სასამართლოს მუდმივი პრაქტიკის თანახმად (1989 წლის 13 ივლისის განაჩენი საქმისა – 171/88, *Rinner-Kuehn*, 1989 წლის კრებული 2743, და 1990 წლის 17 მაისის განაჩენი საქმისა – C-262/88, *Barber*, 1990 წლის კრებული, I-1889) „ანაზღაურების“ ცნება მოიცავს ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლის მიხედვით, ყველა თანადროულ ან მომავალში მიღებულ სიკეთეს ნაღდი ანგარიშსწორებით თუ ნატურით, იმ პირობით, რომ მას დამსაქმებელი დასაქმებულს, სულ მცირე, არაპირდაპირი სამსახურებრივი ურთიერთობის საფუძველზე ანიჭებს, იქნება ეს სამართლებრივი ნორმების საფუძველზე თუ ნებაყოფლობით დადებული სამუშაო ხელშეკრულება.

13. ეს განსაზღვრება მოიცავს ასევე შემთხვევას, რომელიც ახლა მომმართველ სასამართლოში განიხილება.

14. მაშინაც კი, როდესაც **ანაზღაურება**, როგორც ეს ეროვნულ სასამართლო პროცესშია, არ გამომდინარეობს სამუშაო ხელშეკრულებიდან, ისიც დამსაქმებლის მიერ სამართლებრივი ნორმების და სამუშაო ურთიერთობების საფუძველზე გადაიხდევინება. საწარმოს საბჭოს წევრები, მათი სტატუსიდან გამომდინარე, საწარმოში დასაქმებულის თავისებურებით გამოირჩევიან და მათი ვალდებულებაა პერსონალის ინტერესების დაცვა; ისინი ამით საწარმოში ჰარმონიული სამუშაო ურთიერთობების არსებობას უწყობენ ხელს და, ამდენად, ეს მათ ზოგად ინტერესებშია.

15. გარდა ამისა, ანაზღაურება, რომლის გადახდა ისეთი რეგულირების საფუძველზე ხდება, როგორც ეს ეროვნულ სასამართლო პროცესშია, უზრუნველყოფს საწარმოს საბჭოს წევრების შემოსავალს, მაშინაც კი, როდესაც ის კვალიფიკაციის ასამაღლე-

¹⁴⁵ Judgment of the Court (Sixth Chamber) of 19 November 1998; *Handels- og Kontorfunktionærernes Forbund i Danmark*, acting on behalf of Berit Høj Pedersen v Fællesforeningen for Danmarks Brugsforeninger and Dansk Tandlerforening and Kristelig Funktionær-Organisation v Dansk Handel & Service; Case C-66/96; European Court reports 1998 Page I-07327.

¹⁴⁶ იხ. 142-ე სქოლიო.

ბელი ღონისძიებების განმავლობაში არ ახორციელებს სამუშაო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქმიანობას.

საქმე *Gabrielle Defrenne v. Belgian State*¹⁴⁷;

5/6. ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლის მიხედვით, წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ თანაბარ სამუშაოზე მამაკაცისა და ქალის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის გამოყენება. ამ ნორმის მე-2 აბზაცში ანაზღაურების ცნება განვრცობილია ყველა თანადროულ თუ მომავალ ნაღდ ანგარიშსწორებაზე თუ ნატურით გადახდაზე, იმ პირობით, რომ დამსაქმებელი დასაქმებულს, სულ მცირე, არაპირდაპირი სამსახურებრივი ურთიერთობის საფუძველზე უხდის.

7/12. აქედან გამომდინარე, ანაზღაურება, რომელიც მისი ბუნების კვალობაზე სოციალური უსაფრთხოების მომსახურებაა, ძირითადად, არ გამოირიცხება ანაზღაურების ცნებიდან, თუმცა არ შეიძლება ჩაერთოს ანაზღაურების ცნებაში. როგორც 119-ე მუხლითაა დადგენილი, ისეთი ანაზღაურებები, რომლებიც უშუალოდ კანონით რეგულირდება, შეიძლება სანარმოო შიგნით სახელშეკრულებო შეთანხმებების ან შესაბამის სანარმოო სფეროში მიღებული სოციალური უზრუნველყოფის სისტემების, ან მომსახურებების საგანი იყოს, განსაკუთრებით ეს შეეხება პენსიას ასაკის გამო, და სავალდებულოა დასაქმებულების ზოგადად განსაზღვრული ჯგუფებისათვის. რეგულირების ეს წესი უზრუნველყოფს დასაქმებულების პრეტენზიებს საკანონმდებლო სისტემებიდან გამომდინარე, რომელთა დაფინანსებაზეც დასაქმებულები, დამსაქმებლები და, შესაბამის შემთხვევაში, საჯარო ხელისუფლება იმ მოცულებით მონაწილეობს, რომელიც უფრო ნაკლებადაა დამოკიდებული დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის არსებულ სამსახურებრივ ურთიერთობაზე, ვიდრე სოციალურ-პოლიტიკურ საფუძველზე. დამსაქმებელთა წილი ამ სისტემების დაფინანსებაში არ ნიშნავს არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ გადახდას დასაქმებულისათვის. დასაქმებული, გარდა ამისა, ნორმალურ შემთხვევაში კანონით გათვალისწინებულ მომსახურებებს მიიღებს არა დამსაქმებლის შენატანის საფუძველზე, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ის ასრულებს საკანონმდებლო წინაპირობებს, რათა მიიღოს ეს მომსახურება. ეს ასევე შეეხება განსაკუთრებულ რეგულირების წესებს, რომლებიც ზოგადი საკანონმდებლო სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ფარგლებში სპეციალურად დასაქმებულების გარკვეული ჯგუფებისათვის მოქმედებს. აქედან გამომდინარე, უნდა დადგინდეს, რომ დისკრიმინაციები, რომლებიც ასეთი სისტემების გამოყენებიდან გამომდინარეობს, ხელშეკრულების 119-ე მუხლის ფარგლებში არ ექცევა.

13. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, 119-ე მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით, სოციალური უზრუნველყოფის საკანონმდებლო სისტემის ფარგლებში მინიჭებული პენსია ასაკის გამო არ არის ანაზღაურება, რომელსაც დამსაქმებელი დასაქმებულს უხდის სამსახურებრივი ურთიერთობის საფუძველზე.

საქმე *Barber*¹⁴⁸;

საქმის ფაბულა: ბატონი ბარბერი მუშაობდა ერთ-ერთ სანარმოოში, რომელსაც კანონით დაშვებული საკუთარი საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა ჰქონდა. ეს სისტემა ნებაყოფლობითი იყო და პირებს შეეძლოთ ან კანონით გათვალისწინებული საპენსიო უზრუნველყოფა მიეღოთ, ანდა ამ სისტემაში მიეღოთ მონაწილეობა, და მამინ შედარებით უფრო ნაკლებ თანხას გადაიხდიდნენ საპენსიო უზრუნველყოფისათვის. ბატონი

¹⁴⁷ Judgment of the Court of 25 May 1971; Gabrielle Defrenne v Belgian State; Case 80-70; European Court reports 1971 Page 00445.

¹⁴⁸ იხ. 143-ე სქოლიო.

ბარბერი სწორედ ამ სისტემაში ჩაერთო. სანარმოო საფუძვლებიდან გამომდინარე, მისი სამსახურიდან გათავისუფლება მანამდე მოხდა, ვიდრე ის საპენსიო ასაკს მიაღწევდა. შესაბამისად, იმისათვის, რომ მას პენსია მიეღო გარკვეული დროის განმავლობაში, დაცდა მოუწევდა, თუმცა მის მდგომარეობაში მყოფი ქალი მაშინვე მიიღებდა პენსიას, იმ ასაკობრივი განსხვავებიდან გამომდინარე, რომელიც დადგენილი იყო მამაკაცებისა და ქალების პენსიაში გასვლის შემთხვევებისათვის. ბატონი ბარბერი მიიჩნევდა, რომ ეს დისკრიმინირებადი სისტემა იყო, რომელიც არ რეგულირდებოდა პირდაპირ კანონით და დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შეთანხმებით განისაზღვრებოდა.

25. ამასთან დაკავშირებით, უპირველესად, უნდა დადგინდეს, რომ ეს სისტემები სოციალურ პარტნიორებს შორის შეთანხმებების ან დამსაქმებლის ცალმხრივი გადაწყვეტილებების საფუძველზე წარმოიშობა. მათ, საჯარო ხელისუფლების ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე, სრულად მხოლოდ დამსაქმებელი აფინანსებს. შესაბამისად, ასეთი სისტემები განეკუთვნება იმ სისტემებს, რომლებსაც დამსაქმებლები დასაქმებულებს ანიჭებენ.

26. მეორე, ეს სისტემები სავალდებულოდ არ ვრცელდება დასაქმებულთა ზოგადად შემოფარგლულ ჯგუფებზე – უმეტესწილად შეეხება გარკვეულ სანარმოებში დასაქმებულებს, ისე, რომ ასეთ სისტემასთან მიკუთვნება აუცილებლად კონკრეტულ დამსაქმებელთან სამუშაო ურთიერთობებიდან გამომდინარეობს. გარდა ამისა, დასახელებული სისტემებისათვის მოქმედებს საკუთარი რეგულირების წესები, მაშინაც კი, როდესაც ისინი შიდასახელმწიფო სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისად შეიქმნენ და ასრულებენ აღიარებისათვის ამ ნორმებით დადგენილ წინაპირობებს (...).

27. მესამე, დასადგენია, რომ 119-ე მუხლის გამოყენება ასევე იმით არ გამოირიცხება, რომ ამ სისტემების ფარგლებში გადახდილი შენატანები და მიღებული მომსახურებები ნაწილობრივ ზოგადი საკანონმდებლო სისტემის შენატანებისა და მომსახურებების ადგილს იკავებენ. როგორც ეს აქტებიდან გამომდინარეობს, სანარმოო სისტემებს შეუძლიათ, (...) მათ მიკუთვნებულ პირებს უფრო მეტი მომსახურება გაუწიონ, ვიდრე ისინი ამას საკანონმდებლო სისტემის ფარგლებში მიიღებდნენ, ისე, რომ მათი ეკონომიკური ფუნქცია იმ წევრ სახელმწიფოებში არსებული შემავსებელი სისტემების ანალოგიურია, სადაც დასაქმებულის დაზღვევისა და შენატანის ვალდებულება საკანონმდებლო სისტემის ფარგლებში არსებობს და რომლიდანაც გამონაკლისი არ არის. ევროპულმა სასამართლომ თავის 1986 წლის 13 მაისის განაჩენში საქმეზე – 179/84 (*Bilka Kaufhaus v. Weber von Hartz*, 1986 წლის კრებული, 1607, 1625 შემდეგი, მე-20-22-ე პუნქტები) გადანიშნა, რომ მომსახურებები, რომლებიც სოციალური უზრუნველყოფის შემავსებელი სისტემიდან მიენიჭება, 119-ე მუხლის მიხედვით, ანაზღაურების ცნებაში ექცევა.

28. შედეგად, პენსია, რომელსაც, საკანონმდებლო სისტემის ნაცვლად, არსებული სანარმოო სისტემის ფარგლებში იხდიან, სოციალური უსაფრთხოების ეროვნული საკანონმდებლო სისტემის მომსახურებებისაგან განსხვავებით, არის ანაზღაურება, რომელსაც დამსაქმებელი დასაქმებულს სამსახურებრივი ურთიერთობის საფუძველზე უხდის; ის ამით ექცევა ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლის მოქმედების სფეროში.
(...)

31. (სასამართლოს წინაშე დამსული) შეკითხვები შეეხება იმას, მოდის თუ არა წინააღმდეგობაში ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლთან სქესის საფუძველზე საპენსიო ასაკის განსხვავებული რეგულირების წესი. ეს რეგულირება, თავის მხრივ, შეესაბამება საპენსიო ასაკის სისტემის ფარგლებში ეროვნულ საკანონმდებლო რეგულირებას. აღნიშნული რეგულირების მიხედვით,

სანარმოო საფუძვლების გამო სამსახურიდან დათხოვნილ მამაკაცს მხოლოდ ჩვეულებრივი საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ აქვს უფლება, მიიღოს პენსია, მაშინ როდესაც ქალს ანალოგიურ შემთხვევაში პენსიის მოთხოვნის უფლება დათხოვნისთანავე აქვს (...).

32. კითხვისათვის საკმარისია იმის დადგენა, რომ 119-ე მუხლი ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, თუ რას ეფუძნება არათანაბარი მოპყრობა, კრძალავს მამაკაცებისა და ქალების არათანაბარ მოპყრობას ანაზღაურების საკითხებში. შედეგად, სქესის მიხედვით განსხვავებული საპენსიო ასაკის დადგენა საკანონმდებლო სისტემის ნაცვლად არსებული სანარმოო სისტემის ფარგლებში ეწინააღმდეგება 119-ე მუხლს, მაშინაც კი, როდესაც ეს განსხვავება მამაკაცებისა და ქალების საპენსიო ასაკში ეროვნული საკანონმდებლო სისტემისათვის მოქმედ რეგულირების წესს შეესაბამება (შეადარეთ ასევე საქმე 152-84, *Marshall Southampton and south-west Hampshirearea v. Health Authority*, 1986 წლის კრებული, 723, 745, 32-ე პუნქტი).

(1) თანაბარი და თანაბარანაზღაურებადი სამუშაო:

საქმე *J.P. Jenkins v Kingsgate*¹⁴⁹.

9. პირველი სამი კითხვიდან და მომართვის საფუძვლებიდან გამომდინარეობს, რომ მომართველ სასამართლოს ძირითადად სურს იცოდეს, შეიძლება თუ არა განაკვეთურად განეული სამუშაოსა და ანალოგიურ სამუშაოს შორის, რომელიც მთელი სამუშაო დროის განმავლობაში ხორციელდება, ანაზღაურების რაოდენობრივი განსხვავება ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლის მიხედვით აკრძალული დისკრიმინაცია იყოს, თუ განაკვეთურად მომუშავეთა ჯგუფი მხოლოდ ან უმეტესწილად ქალი დასაქმებულებისაგან შედგება.

10. ამგვარად გაგებულ შეკითხვებს ისე უნდა გაეცეს პასუხი, რომ 119-ე მუხლი მიზნად ისახავს, უზრუნველყოს ერთნაირ სამუშაოზე მამაკაცებისა და ქალების თანაბარი ანაზღაურების პრინციპის გამოყენება. ამ დებულების საფუძველზე აკრძალული განსხვავებული მოპყრობა შეეხება მხოლოდ ისეთ მოპყრობას, რომელიც დასაქმებულების განსხვავებულ სქესს ეყრდნობა. ამდენად, მხოლოდ ფაქტი, რომ განაკვეთური სამუშაოსათვის უფრო მცირე საათობრივი ხელფასი გადაიხდება, ვიდრე სრული განაკვეთით მომუშავისათვის, არ არის 119-ე მუხლით აკრძალული დისკრიმინაცია, თუ ეს საათობრივი ანაზღაურება, სქესის განსხვავების მიუხედავად, ორივე სქესის დასაქმებულებისათვის მოქმედებს.

11. თუ ამგვარი განსხვავება არ არის, მაშინ გარემოება, რომ დროის მიხედვით გადახდილი სამუშაო კვირის სამუშაო საათების რაოდენობის მიხედვით განსხვავებული საათობრივი ხელფასი გადაიხდება, არ ეწინააღმდეგება ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლში ასახული თანაბარი ანაზღაურების პრინციპს, თუ განსხვავებული ხელფასი განაკვეთურად და სრული განაკვეთის სამუშაოს ფაქტორებს ემყარება, რომლებიც ობიექტურად გამართლებულია და არაფერი გააჩნიათ საერთო სქესის საფუძველზე დისკრიმინაციასთან.

(...)

20. როგორც ეს პირველი დამასაბუთებელი საფუძვლიდან გამომდინარეობს, ამ დირექტივის არსებითი მიზანი ხელშეკრულების 119-ე მუხლის მიხედვით, მამაკაცისა და ქალის თანაბარი ანაზღაურების დასახელებული პრინციპის განხორციელებაშია. ამასთან,

¹⁴⁹ Judgment of the Court of 31 March 1981; *J.P. Jenkins v Kingsgate (Clothing Productions) Ltd*; Case 96/80; European Court reports 1981 Page 00911.

დირექტივის მეოთხე დამასაბუთებელ საფუძველში დეტალურად გადმოცემულია „მიზანი (...), რომ ძირითადი სამართლებრივი ნორმები უნდა გაძლიერდეს თანასწორუფლებიანობის პრინციპის კონკრეტულად გამოყენების გასაადვილებელი დებულებებით.“

21. ამ დირექტივის პირველი მუხლის პირველი აბზაცი განსაზღვრავს, რომ ის იმეორებს ხელშეკრულების 119-ე მუხლში დასახელებული თანაბარი ანაზღაურების პრინციპს, და მე-2 აბზაცში ადგენს მისი გამოყენების წინაპირობებს იმ შემთხვევისათვის, რომელშიც ანაზღაურების დასადგენად პროფესიული ნიშნით დახარისხების სისტემა გამოიყენება.

22. აქედან გამომდინარეობს, რომ საბჭოს 75/117 დირექტივის პირველი მუხლი, რომელმაც არსებითად ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლში დასახელებული თანაბარი ანაზღაურების პრინციპის კონკრეტული გამოყენება უნდა გააადვილოს, ამ პრინციპის შინაარსსა და მოქმედების არეალს არავითარ შემთხვევაში არ ეხება, ისე როგორც ეს უკანასკნელად დასახელებულ ნორმაშია განსაზღვრული.

საქმე *Mary Murphy and others v. An Bord Telecom Eireann*¹⁵⁰:

9. მართალია, რომ ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლი, შინაარსის შესაბამისად, მამაკაცებისა და ქალებისათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის გამოყენებას მხოლოდ თანაბარი ან ევროპული სასამართლოს მუდმივი პრაქტიკის მიხედვით თანაბარღირებულებიანი სამუშაოს შემთხვევისათვის ითვალისწინებს (...).

საქმე *Gisela Rummler v. Dato-Druck GmbH*¹⁵¹:

11. წარმოდგენილ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჯერ უნდა მიეთითოს 75/117 დირექტივის პირველი მუხლის პირველ აბზაცში ასახულ პრინციპზე, რომელიც ითვალისწინებს თანაბარი სამუშაოს ან თანაბარი ღირებულების მქონე სამუშაოს დროს ანაზღაურების შემადგენელ ნაწილებსა და ანაზღაურების პირობებში სქესის საფუძველზე ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრას.

12. ეს პრინციპი სრულდება პირველი მუხლის მე-2 აბზაცით, რომლის მიხედვით, პროფესიული დახარისხების სისტემა „უნდა ეყრდნობოდეს საერთო კრიტერიუმებს მამაკაცი და ქალი დასაქმებულებისათვის და უნდა იყოს იმდენად სრულყოფილი, რომ გამორიცხავდეს სქესის საფუძველზე დისკრიმინაციას.“

13. გარდა ამისა, თანაბარი ანაზღაურების პრინციპი არსებითად მოითხოვს, რომ ობიექტურად იყოს გათვალისწინებული გასაწევი სამუშაოს სახე. თანაბარი სამუშაო ან თანაბარი ღირებულების მქონე სამუშაო უნდა ანაზღაურდეს თანაბრად, იმისგან დამოუკიდებლად, განეულია ეს სამუშაო ქალისა თუ მამაკაცის მიერ. როდესაც ხელფასის დადგენისას პროფესიული დაჯგუფების სისტემა გამოიყენება, მას, ერთი მხრივ, უნდა დაედოს ერთი და იგივე კრიტერიუმები საფუძველად, იმის მიუხედავად, სამუშაო ხორციელდება მამაკაცისა თუ ქალის მიერ, ხოლო მეორე მხრივ, მთელი თავისი ერთიანობით, ფაქტობრივად, არ უნდა იწვევდეს ერთი სქესის დასაქმებულთა საყოველთაო დისკრიმინაციას მეორე სქესის მიმართ.

¹⁵⁰ Judgment of the Court of 4 February 1988; *Mary Murphy and others v An Bord Telecom Eireann*; Case 157/86; European Court reports 1988 Page 00673.

¹⁵¹ Judgment of the Court (Fifth Chamber) of 1 July 1986; *Gisela Rummler v Dato-Druck GmbH*; Case 237/85; European Court reports 1986 Page 02101.

14. შედეგად, დირექტივის პირველი მუხლის მოთხოვნებს შეესაბამება კრიტერიუმები, თუ ისინი ადეკვატურია გასანევი საქმიანობიდან – განსაკუთრებული ფიზიკური დატვირთვიდან თუ ფიზიკურად რთულად შესასრულებელი სამუშაოდან – გამომდინარე. დისკრიმინაციის აკრძალვასთან შესაბამისობაშია ის, რომ ხელფასის საფეხურების დიფერენციაციისთვის უნდა გამოიყენებოდეს ისეთი კრიტერიუმი, რომელიც ემყარება საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი ობიექტურად გაზომვადი ძალის მობილიზებასა თუ ამ სამუშაოს ობიექტურ სირთულეს.

15. მაშინაც კი, როდესაც გარკვეულმა კრიტერიუმმა, როგორც საჭირო ფიზიკური დატვირთვაა, ფაქტობრივად, შეიძლება მამაკაც დასაქმებულებს მიანიჭოს უპირატესობა, რადგან იქიდან უნდა გამოვიდეთ, რომ ზოგადად ისინი ფიზიკურად უფრო ძლიერნი არიან, ვიდრე ქალი დასაქმებულები. ამ კრიტერიუმის დისკრიმინაციულ ხასიათზე მსჯელობისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პროფესიული ნიშნით დაჯგუფების სისტემის ფარგლებში მთელი სისრულით ასევე სხვა კრიტერიუმები, რომლებიც ხელფასის დონის დადგენისას ასრულებენ გარკვეულ როლს. **სისტემა მხოლოდ იმიტომ არ არის დისკრიმინირებადი, რომ მისი კრიტერიუმებიდან ერთი იმ თავისებურებებს ემყარება, რომლებსაც მამაკაცები უფრო ფლობენ.** პროფესიული ნიშნით დაჯგუფების სისტემა რომ არ იყოს, საერთო ჯამში, დისკრიმინირებადი და შეესაბამებოდეს დირექტივის პრინციპებს, ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ შესაბამისი საქმიანობის შემთხვევაში ისეთ თანაბარი ღირებულების მქონე სამუშაო ადგილებსაც მოიცავდეს, რომელთა შორისაც გათვალისწინებული სხვა კრიტერიუმებისთვის ქალი დასაქმებულები განსაკუთრებულად სასარგებლო შეიძლება იყვნენ.

16. ეროვნული სასამართლოების საქმეა, კონკრეტულ შემთხვევაში განსაჯონ, პროფესიული ნიშნით დაჯგუფების სისტემა მისი ერთიანობით ყველა იმ კრიტერიუმს სამართლიანად ითვალისწინებს თუ არა, რომელთა საფუძველზეც ხელფასი უნდა დიფერენცირდეს მთელ სანარმოში სამუშაოს ხასიათის მიხედვით.

საქმე *Macarthy's Ltd v Wendy Smith*¹⁵²:

10. (...) ეროვნული სასამართლოების მიერ დისკრიმინაციის შემადგენლობის დადგენის კრიტერიუმად ევროპულმა სასამართლომ განსაკუთრებით მიიჩნია მამაკაცი და ქალი დასაქმებულების არაერთგვაროვანი ანაზღაურება, რომლებიც თანაბარ სამუშაოზე ერთსა და იმავე სამსახურში ან სანარმოში იქნებოდნენ დასაქმებულები.

11. **გადამწყვეტი, ამასთან, არის მტკიცებულება, რომ მამაკაცსა და ქალს, რომლებიც „თანაბარ სამუშაოს“ 119-ე მუხლის მიხედვით ასრულებენ, განსხვავებულად ექცევიან.** ამ ცნების მოქმედების არეალის დავინროება არ შეიძლება ისე, რომ ამ ცნებამ მხოლოდ (ანაზღაურების) თანადროულობის შემთხვევაში იმოქმედოს, რადგან ეს შეეხება წმინდა ხარისხობრივ ცნებას, რომელიც აშკარად შესაბამისი სამუშაოს სახეს ეყრდნობა.

12. თუმცა უნდა აღინიშნოს, (...) რომ არ შეიძლება გამოირიცხოს ისეთი შემთხვევა, როდესაც: ორ დასაქმებულს განსხვავებული ანაზღაურება ჰქონდეთ ერთსა და იმავე სამუშაო ადგილზე სხვადასხვა დროს. ამ შემთხვევაში ეს განსხვავებები სხვა გარემოებებით უნდა აიხსნებოდეს, რომლებსაც არაფერი საერთო არ გააჩნიათ სქესის საფუძველზე დისკრიმინაციასთან. ეს არის ფაქტების საკითხი, რაც შიდასახელმწიფო სასამართლოებმა უნდა განიხილონ.

¹⁵² Judgment of the Court of 27 March 1980; *Macarthy's Ltd v Wendy Smith*; Case 129/79; European Court reports 1980 Page 01275.

13. აქედან გამომდინარე, (მომმართველი სასამართლოს) პირველ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი, რომ ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლში ასახული პრინციპი თანაბარი სამუშაოს პირობებში მამაკაცებისა და ქალებისათვის თანაბარი ანაზღაურების შესახებ არ შემოიფარგლება იმ შემთხვევებით, რომლებშიც მამაკაცი და ქალები ერთდროულად ერთსა და იმავე დამსაქმებელთან თანაბარ სამუშაოს ასრულებენ.

საქმე *Mary Murphy*¹⁵³:

საქმის ფაბულა: ირლანდიურ სანარმოში დასაქმებულმა ქალებმა გაასაჩივრეს ეროვნულ სასამართლოში მათ მიმართ არათანაბარი მოპყრობა, რომელიც იმაში გამოიხატებოდა, რომ ქალების შრომა სანარმომ უფრო მაღალღირებულად შეაფასა, ვიდრე მამაკაცისა, რომელსაც ქალებთან შედარებით უფრო მაღალი ანაზღაურება ჰქონდა. სასამართლომ შეკითხვით მიმართა ევროპულ სასამართლოს – მოიცავდა თუ არა თანაბარ სამუშაოზე თანაბარი ანაზღაურების პრინციპი ასევე თანაბარ ანაზღაურებას თანაბარი ღირებულების სამუშაოზე, თუ მოსარჩელის სამუშაო უფრო მაღალი ღირებულების იქნებოდა, ვიდრე უფრო მაღალანაზღაურებადი მამაკაცი დასაქმებულის მიერ განეული სამუშაო?

7. ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, **წვერი სახელმწიფოები ვალდებული არიან, „თანაბარ სამუშაოზე მამაკაცებისა და ქალების თანაბრად ანაზღაურების პრინციპი“ გამოიყენონ და შეინარჩუნონ. ევროპული სასამართლოს მუდმივი პრაქტიკის მიხედვით, (...) ეს ნორმა უშუალოდ მოქმედებს, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, როცა მამაკაცი და ქალი, დასაქმებული ერთნაირი სამუშაოთი ერთსა და იმავე კერძო ან საჯარო სანარმოში ან სამსახურში, არათანაბარ ანაზღაურებას იღებს.**

8. საზოგადოება *An Bord Telecom Elreann*-ის აზრით, ეს პრინციპი არ მოქმედებს ისეთ შემთხვევაში, როცა ანაზღაურება დაბალია მაღალღირებულებიანი სამუშაოსათვის. თავისი შეხედულების დასასაბუთებლად ის განმარტავს, რომ „თანაბარი სამუშაოს“ გამოხატულება 119-ე მუხლში არ უნდა იქნეს ისე გაგებული, რომ ის არათანაბარ სამუშაოს მოიცავს; სანინააღმდეგო განმარტება მიგვიყვანდა იქამდე, რომ განსხვავებული ღირებულების სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურება უნდა გადახდილიყო.

9. სწორია, რომ ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია მამაკაცისა და ქალისათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპი მხოლოდ თანაბარი, ანდა როგორც ეს ევროპული სასამართლოს მუდმივი პრაქტიკით დამკვიდრდა, თანაბარი ღირებულების სამუშაოს შემთხვევებში და არა არათანაბარი ღირებულების სამუშაოს შემთხვევაში. თუ ეს პრინციპი კრძალავს გარკვეული სქესის დასაქმებულებისათვის სქესის საფუძველზე უფრო დაბალი ანაზღაურების გადახდას, ვიდრე ამას სხვა სქესის დასაქმებულები ანალოგიური ღირებულების სამუშაოს შესრულებისათვის იღებენ, მაშინ სწორედ რომ ენინააღმდეგება ამას (ამ პრინციპს) ნაკლები ანაზღაურების მიცემა იმ დასაქმებულებისათვის, რომლებიც მაღალი ღირებულების სამუშაოს ასრულებენ.

10. სანინააღმდეგო განმარტება იქამდე მიგვიყვანდა, რომ თანაბარი ანაზღაურების პრინციპს ეფექტურობა გამოეცლებოდა და აზრს დაკარგავდა. როგორც ირლანდიის მთავრობამ სწორად წარმოადგინა, დამსაქმებელი ამ შემთხვევაში პრინციპს ადვილად აუვლიდა გვერდს და გარკვეული სქესის დასაქმებულებს დამატებით ან უფრო რთულ დავალებებს დააკისრებდა, რათა მათთვის უფრო ნაკლები ანაზღაურება მიეცა.

¹⁵³ Judgment of the Court of 4 February 1988; *Mary Murphy and others v An Bord Telecom Eireann*; Case 157/86; European Court reports 1988 Page 00673.

(2) დისკრიმინაციის აკრძალვის განვრცობა სამუშაო პირობებზე:

საქმე *Elisabeth Johanna Pacifica Dekker*¹⁵⁴.

10. განსახილველია, არის თუ არა, დირექტივის თვალსაზრისით, (ევროპული ეკონომიკური გაერთიანების დირექტივა 76/207) მომმართველი სასამართლოს მიერ დასახელებულ შემთხვევაში სამუშაოზე დანიშვნაზე უარი უშუალო დისკრიმინაცია სქესის საფუძველზე. ამ შეკითხვის პასუხის შინაარსი იმაზეა დამოკიდებული, დანიშვნაზე უარის ძირითადი საფუძველი განუზრახველად მოქმედებს ორივე სქესის დასაქმებულისათვის, თუ ის მხოლოდ ერთისთვის მოქმედებს ამ ორი სქესიდან.

11. დამსაქმებელმა ქალბატონ დეკერის დანიშვნაზე უარი არსებითად იმით დაასაბუთა, რომ მას არ შეეძლო, რისკების ფონდიდან მოეთხოვა ანაზღაურება (ქალბატონი დეკერის) ავადმყოფობის ხარჯებისა, რომელიც მას უნდა გადაეხადა მისთვის ორსულობის განმავლობაში და რომ ის მაინც იძულებული იქნებოდა, მის მაგივრად დროებით შემსრულებელი დაენიშნა. ამ სიტუაციიდან გამომდინარეობს, რომ, ერთი მხრივ, სადავო ეროვნული რეგულირება ორსულობას ავადმყოფობას უთანაბრებს და, მეორე მხრივ, ავადმყოფობის თანხის რეგულაცია არ შეიცავს ნორმას, რომლითაც ორსულობას რისკების ფონდიდან არაანაზღაურებადი ავადმყოფობის შემთხვევებიდან გამორიცხავს.

12. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დანიშვნაზე უარი ორსულობის გამო მხოლოდ ქალების შემთხვევაში არსებობს და, ამდენად, სქესის საფუძველზე უშუალო დისკრიმინაციაა. უარი (სამსახურში) მიღებაზე ორსულობისას გაცდენილი დროის ფინანსური ზეგავლენის გამო განხილულ უნდა იქნეს როგორც უარი, რომლის საფუძველი არსებითად ორსულობაა. ასეთი დისკრიმინაციის გამართლება არ შეიძლება ფინანსური ზიანით, რომელსაც დამსაქმებელი მიიღებდა ორსული ქალის დანიშვნით, მისი დედობის პერიოდში შვებულების გამო.(...)

14. ზემოთქმულიდან გამომდინარე, პირველ წარმოდგენილ შეკითხვას პასუხი უნდა გაეცეს, რომ დამსაქმებელი ეწინააღმდეგება უშუალოდ საბჭოს 1976 წლის 9 თებერვლის 76/207 დირექტივის მე-2 მუხლის პირველი აბზაცისა და მე-3 მუხლის პირველი აბზაცის თანასწორუფლებიანობის პრინციპს მამაკაცებისა და ქალების **დასაქმებასთან დაშვების, პროფესიული განათლებისა და პროფესიული წინსვლის, ასევე სამუშაო პირობების თვალსაზრისით თანასწორუფლებიანობის პრინციპის განხორციელებას**, თუ ის უარს აცხადებს, გააფორმოს შრომითი ხელშეკრულება მისთვის მისაღებ კანდიდატთან იმის გამო, რომ მას ეშინია, ორსული ქალის დანიშვნისას არ მიადგეს ზიანი, რაც შრომისუუნარობის შესახებ სახელმწიფო რეგულირების წესიდან გამომდინარეობს და რომლის მიხედვითაც ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებული მდგომარეობა უთანაბრდება ავადმყოფობას.

15. მეორე შეკითხვა (...) შეეხება იმას, არის თუ არა პირველი კითხვის პასუხისათვის მნიშვნელოვანი, რომ მამაკაცს არ მიუღია მონაწილეობა გამოცხადებული ვაკანსიის კონკურსზე.

16. მოპასუხის აზრით, მეორე შეკითხვას დადებითი პასუხი უნდა გაეცეს, რადგან ეს შეეხება არა აბსტრაქტული ღონისძიების დისკრიმინირებად ხასიათს, არამედ დამსაქმებელი ამ შემთხვევაში კონკრეტულ გადაწყვეტილებას იღებს, არ დანიშნოს

¹⁵⁴ Judgment of the Court of 8 November 1990; Elisabeth Johanna Pacifica Dekker v Stichting Vormingscentrum voor Jong Volwassenen (VJV-Centrum) Plus; Case C-177/88; European Court reports 1990 Page I-03941.

კონკრეტული კანდიდატი. თუ დამსაქმებელი მხოლოდ მდებარეობითი სქესის კანდიდატებს შორის აკეთებს არჩევანს, არ შეიძლება აქ საუბარი იყოს სქესის საფუძველზე დისკრიმინაციაზე, რადგან დამსაქმებელი ამ შემთხვევაში ფინანსური თუ ადმინისტრაციული სახის სხვა მოსაზრებებით მოქმედებს.

17. ამასთან მიმართებით დასადგენია, რომ პასუხი შეკითხვაზე, უარი ქალის (სამსახურში) მიღებაზე არის პირდაპირი თუ არაპირდაპირი დისკრიმინაცია, დამოკიდებულია ამ უარის მოტივზე. **თუ ის გულისხმობს, რომ შესაბამისი პირი ორსულადაა, მაშინ გადაწყვეტილება უშუალო კავშირშია კანდიდატის სქესთან. აქედან გამომდინარე, პირველი წარმოდგენილი კითხვის პასუხისათვის არ უნდა იყოს მნიშვნელოვანი, მიიღო თუ არა მონაწილეობა ამ კონკურსში მამაკაცმა.**

საქმე *Silke-Karin Mahlburg*¹⁵⁵:

19. მომმართველ სასამართლოს თავისი შეკითხვით სურს იცოდეს, კრძალავს თუ არა დირექტივის მე-2 მუხლის პირველი აზნატი, არ დანიშნოს ორსული უვადო (სამუშაო) ადგილზე მხოლოდ იმიტომ, რომ მას ორსულობის განმავლობაში მისი მდგომარეობით გამოწვეული დასაქმების კანონისმიერი აკრძალვის გამო თავიდანვე არ აქვს ამ ადგილზე დასაქმების უფლება.

20. ორსულობის გამო დანიშნაზე უარი სახეზეა მხოლოდ ქალებთან მიმართებით და ეს არის სქესის საფუძველზე უშუალო დისკრიმინაცია (1990 წლის 8 ნოემბრის განაჩენი საქმეზე – C-177/88, *Dekker*, 1990 წლის კრებული, I-3941, მე-12 პუნქტი).

21. სხვაგვარად, ვიდრე *Dekker*-ის საქმეშია, არათანაბარი მოპყრობა ამ შემთხვევაში ემყარება არა უშუალოდ დამსაქმებლის ორსულობას, არამედ გამომდინარეობს ამ მდგომარეობასთან დაკავშირებული კანონისმიერი დასაქმების აკრძალვიდან.

22. დედის დაცვის კანონით დადგენილი ეს აკრძალვა ეყრდნობა დირექტივის მე-2 მუხლის მე-3 აზნაცს, რომლის მიხედვითაც, ის ნორმებს ქალის დაცვის შესახებ, განსაკუთრებით კი ორსულობისა და დედობის შესახებ, არ ეწინააღმდეგება.

23. ამის მიხედვით, განსახილველია, დამსაქმებელს, დირექტივის მიხედვით, აქვს თუ არა უფლება, უვადო სამუშაო ხელშეკრულების დადებაზე უარი იმიტომ განაცხადოს, რომ დასაქმებული, როგორც მომავალი დედა, მისი დასაქმების აკრძალვის გამო დასაკავებელ სამუშაო ადგილზე არ შეიძლება დასაქმდეს.

24. ამასთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ორსულის გათავისუფლება უვადო შტატიდან არ შეიძლება იმით დასაბუთდეს, რომ მას არ აქვს უნარი, დააკმაყოფილოს მისი შრომითი ხელშეკრულების არსებითი წინაპირობებიდან ერთი. დამსაქმებლისთვის დასაქმებულის (სამსახურში) გამოცხადება, მართალია, თავისდაუნებურად არსებითი წინაპირობაა შრომითი ხელშეკრულების სათანადოდ შესრულებისათვის, თუმცა ორსულობის განმავლობაში და მშობიარობის შემდეგ ქალისათვის გაერთიანების სამართლით გარანტირებული დაცვა არ უნდა იყოს დამოკიდებული იმ საკითხზე, საწარმოს სათანადო ფუნქციონირებისათვის არის თუ არა აუცილებელი მისი საწარმოში ყოფნა დეკრეტული შევბულების პერიოდის განმავლობაში. საწინააღმდეგო განმარტებები დირექტივის დებულებებს დაუკარგავდა პრაქტიკულ ეფექტურობას (1994 წლის 14 ივლისის განაჩენი საქმეზე – C-32/93, *Webb*, 1994 წლის კრებული, I-3567, 26-ე პუნქტი).

¹⁵⁵ Judgment of the Court of 3 February 2000; *Silke-Karin Mahlburg and Land Mecklenburg-Vorpommern*; Case C-207/98.

25. ამასთან, კანონით ორსულების ღამით მუშაობის აკრძალვა, რომელიც ძირითადად შეესაბამება დირექტივის მე-2 მუხლის მე-3 აბზაცს, ასევე არ გამოდგება განუსაზღვრელი დროით დადებული შრომითი ხელშეკრულების გაუქმებისათვის, (...) რადგან ასეთი აკრძალვა შესაძლებელია მოქმედებდეს მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდიდან მხოლოდ განსაზღვრულ მონაკვეთში (...).

26. **ბოლოს, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა (...), რომ უფლებებმა, რომლებიც ქალებს აქვთ დირექტივის მე-2 მუხლის მე-3 აბზაცის მიხედვით, არ შეიძლება ხელი შეუშალოს დასაქმების დაწყებასა და სამუშაო პირობებს და რომ დირექტივა, ამდენად, შინაარსობრივ და არა ფორმალურ თანასწორობას ისახავს მიზნად.**

27. ამ პრაქტიკიდან გამომდინარეობს, რომ მომავალი დედების დაცვის შესახებ ნორმების გამოყენებამ არ უნდა შეუშალოს ხელი მათ დასაქმებას და დამსაქმებელს არ აძლევს უფლებას, ორსული კანდიდატის დანიშვნაზე განაცხადოს უარი მხოლოდ იმიტომ, რომ ამ კანდიდატს ორსულების დასაქმების აკრძალვის გამო თავიდანვე და ასევე მისი ორსულობის განმავლობაში არ შეუძლია დაიკავოს უვადო შტატი. (...)

30. წარმოდგენილ შეკითხვაზე პასუხი უნდა გაეცეს, რომ დირექტივის მე-2 მუხლის პირველი და მე-3 აბზაცებით აკრძალულია ორსულების უვადო შტატში მიღებაზე უარი იმ საფუძვლით, რომ მათ არ შეუძლიათ იმუშაონ ამ ადგილზე მთელი ორსულობის პერიოდში, მათი მდგომარეობიდან გამომდინარე დასაქმების აკრძალვის გამო.

საქმე *Evelyne Thibault*¹⁵⁶:

19. (...) უნდა განიხილოს თუ არა 1976 წლის 9 თებერვლის ევროპული ეკონომიკური გაერთიანების 76/207 დირექტივის პირველი მუხლის 1.2 აბზაცი, 1.5 აბზაცი, პირველი აბზაცი და, შესაბამის შემთხვევაში, მე-2 მუხლის მე-4 აბზაცი იმგვარად, რომ ისინი კრძალავენ ქალისათვის უფლების ჩამორთმევას, მოითხოვოს (თავისი საქმიანობის) შეფასება და, შესაბამისად, მიიღოს პროფესიული წინსვლის შანსი, იმიტომ, რომ ის თავისი დეკრეტული შვებულების გამო სანარმოს საქმიანობას ჩამორჩა? (...)

24. დირექტივა უშვებს ისეთ ეროვნულ ნორმებს, რომლებიც ქალებისათვის უზრუნველყოფენ განსაკუთრებულ უფლებებს მათი ორსულობისა და დედობის გამო, მაგალითად, დედობის შვებულების მოთხოვნის უფლება (იხ. 1990 წლის 8 ნოემბრის განაჩენი საქმეზე C-179/88, *Hendels OG Kontorfunktionaernes Forbund*, 1990 წლის კრებული, I-3979, მე-15 პუნქტი).

25. გარდა ამისა, დირექტივის მე-2 მუხლის მე-3 აბზაცი წევრ სახელმწიფოებს უტოვებს უფლებას, შეინარჩუნონ ან მიიღონ „ორსულობისა და დედობის პერიოდში“, ქალთა დაცვის მიზნით, ნორმები. თანასწორუფლებიანობის პრინციპთან მიმართებით აღიარებულია უფლება, ერთი მხრივ, ორსულობისა და მის შემდეგ ქალის ფიზიკური მდგომარეობის გამო მის დაცვაზე და, მეორე მხრივ, დედასა და შვილს შორის განსაკუთრებული დამოკიდებულების გამო იმ დროის განმავლობაში, რომელიც უშუალოდ მოსდევს ორსულობასა და მშობიარობას (...).

¹⁵⁶ Judgment of the Court (Sixth Chamber) of 30 April 1998; Caisse nationale d'assurance vieillesse des travailleurs salariés (CNAVTS) v Evelyne Thibault. Case C-136/95; European Court reports 1998 Page I-02011.

26. დირექტივით აღიარებულმა ამგვარმა უფლებებმა უნდა უზრუნველყონ მამაკაცებსა და ქალებს შორის თანასწორუფლებიანობა კარიერის დაწყებაში (მე-3 მუხლის პირველი აბზაცი) და შრომით პირობებში (მე-5 მუხლის პირველი აბზაცი). იმ უფლებების განხორციელებამ, რომლებიც ქალებს მე-2 მუხლის მე-3 აბზაციის საფუძველზე ენიჭებათ, არ უნდა შეუშალოს ხელი დასაქმებას და არ უნდა იმოქმედოს უარყოფითად მათ სამუშაო პირობებზე. დირექტივა, შესაბამისად, მიზნად ისახავს შინაარსობრივ და არა ფორმალურ თანასწორუფლებიანობას.

27. ყოველწლიურ შეფასებასა და ამით პროფესიული წინსვლის შესაძლებლობაზე თითოეული დასაქმებულის უფლება, დირექტივის მე-5 მუხლის პირველი აბზაციის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია.

28. ამიტომ გადასასინჯია, დირექტივის მე-5 მუხლის პირველი აბზაცისა და მე-2 მუხლის მე-3 აბზაციის თვალსაზრისით, სქესის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე ანიჭებს თუ არა სადავო რეგულირება დასაქმებულებს ერთსა და იმავე პირობებს.

29. დისკრიმინაციის აკრძალვა მოითხოვს, რომ დასაქმებულმა, რომელსაც დედობის შვებულების პერიოდში შრომითი ხელშეკრულებით დამსაქმებლის მიმართ გააჩნია ვალდებულებები, არ დაკარგოს თანაბარი შრომითი პირობების მოთხოვნის უფლება. (...)

32. აქედან გამომდინარე, ქალი, რომელსაც შრომით პირობებში იმით მიადგება ზიანი, რომ მას მისი დეკრეტული შვებულებით გამოწვეული არყოფნით წაერთმევა უფლება, მოითხოვოს (მისი საქმიანობის) წლიური შეფასება და, შესაბამისად, წაერთმევა პროფესიული წინსვლის შესაძლებლობა, მიჩნეულ უნდა იქნეს დისკრიმინირებულად მისი ორსულობის და დედობის შვებულების საფუძველზე. ასეთი ქმედება, დირექტივის მიხედვით, არის დისკრიმინაცია უშუალოდ სქესის საფუძველზე.

33. აქედან გამომდინარე, დასმულ კითხვაზე პასუხი უნდა გაეცეს, რომ ეროვნული რეგულირება, რომელიც ქალს ართმევს მოთხოვნის უფლებას შეფასებაზე და ამით ართმევს პროფესიული წინსვლის შესაძლებლობას, რადგან ის საწარმოს მისი დედობის შვებულების გამო ჩამორჩა, დირექტივის მე-2 მუხლის მე-3 აბზაცსა და მე-5 მუხლის პირველ აბზაცს ეწინააღმდეგება.

საქმე *Belinda Jane Coote v. Granada Hospitality Ltd.*¹⁵⁷:

22. დირექტივის მე-6 მუხლის მიხედვით, (...) ნებისმიერს აქვს უფლება, მოითხოვოს ეფექტური სამართლებრივი დაცვა კომპეტენტურ სასამართლოში იმ ქმედებების წინააღმდეგ, რომლებიც, მისი აზრით, არღვევენ დირექტივაში ასახულ ცნებას მამაკაცებისა და ქალების თანასწორუფლებიანობის შესახებ. ნევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, უზრუნველყონ ეფექტური სასამართლო კონტროლი გაერთიანების სამართლისა და შიდასახელმწიფო სამართლის შესაბამისი დებულებების დასაცავად, რომელიც დირექტივით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებას ემსახურება. (შეადარეთ განაჩენი *Johnston*, მე-19 პუნქტი). (...)

24. დირექტივის მე-6 მუხლში ასახული ეფექტური სასამართლო კონტროლის პრინციპი იქნებოდა გამოფიტული, თუ მის მიერ მინიჭებული დაცვა ისეთ ღონისძიებებზე არ გავრცელდებოდა, რომლებიც მოიცავენ თანასწორუფლებიანობის პრინციპის შენარჩუნებისათვის დასაქმებულის საჩივარზე დამსაქმებლის რეაქციას, როგორც ეს

¹⁵⁷ Judgment of the Court of 22 September 1998; *Belinda Jane Coote v Granada Hospitality Ltd.*; Case C-185/97; European Court reports 1998 Page I-05199.

ამ კონკრეტულ შემთხვევაშია. ისეთი ღონისძიებების შიშით, რომელთა გამო გასაჩივრება შეუძლებელი იქნებოდა, დასაქმებულს, რომელიც დისკრიმინირებულად იგრძნობდა თავს, შეიძლება თავი შეეკავებინა თავისი უფლებების სასამართლოში დაცვისაგან. ასეთ ღონისძიებებს შეეძლო დირექტივით დასახული მიზნის განხორციელებისათვის დიდი საფრთხე შეექმნა.
(...)

26. დირექტივის მე-7 მუხლი წევრ სახელმწიფოებს აშკარად ავალდებულებს, შეიმუშაონ (...) აუცილებელი ღონისძიებები, რათა დაიცვან დასაქმებულები (სამუშაო ადგილებიდან) გათავისუფლებისაგან, რომელზეც დამსაქმებელი იღებს გადაწყვეტილებას თანაბარუფლებიანობის პრინციპის დაცვის მიზნით მის წინააღმდეგ წარდგენილ სასამართლო საჩივარზე პასუხად.

27. (...) მამაკაცებსა და ქალებს შორის შანსების ფაქტობრივად თანაბრობის შექმნის შესახებ დირექტივით დასახული მიზნისა (1993 წლის 2 აგვისტოს განაჩენი *Marshall*, 24-ე პუნქტი) და ეფექტიანი სასამართლოს გზით სამართლებრივი დაცვის მოთხოვნის უფლების ძირითადი მნიშვნელობის გათვალისწინებით, დირექტივის მე-7 მუხლის მიხედვით, ერთმნიშვნელოვნად საწინააღმდეგო დებულების არარსებობის გამო არ შეიძლება დავასკვნათ, რომ კანონმდებელს სურდა დასაქმებულის დაცვა შემოეფარგლა მხოლოდ დამსაქმებლის ისეთი სადამსჯელო ღონისძიებით, როგორცაა (სამუშაო ადგილიდან) განთავისუფლება, რომელიც, მართალია, განსაკუთრებით რთული მაგრამ არა ერთადერთი ღონისძიებაა, რომლითაც დასაქმებული ეფექტურად შეიძლება შეშინდეს და თავი შეიკავოს სასამართლო გზით უფლების დაცვის მოთხოვნისაგან. ასეთ შემთხვევებში ღონისძიებებს მიეკუთვნება ასევე ღონისძიებები, რომლებიც, როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დამსაქმებლის წინააღმდეგ საჩივარზე რეაქციით გამოიხატება და (სამუშაო ადგილიდან) გათავისუფლებულ დასაქმებულს ახალი ადგილის მოძებნაში შეუშლის ხელს.

28. მომმართველ სასამართლოს პასუხი უნდა გაეცეს, რომ წევრი სახელმწიფოები, დირექტივის მე-6 მუხლის მიხედვით, ვალდებულნი არიან, გამოსცენ შიდასახელმწიფოებრივი ნორმები, რომლებიც აუცილებელია, დირექტივის მიხედვით, სასამართლოს გზით დასაქმებულის უფლების დაცვის იმ შემთხვევისათვის უზრუნველსაყოფად, რომელშიც დამსაქმებელი თანასწორუფლებიანობის პრინციპის დასაცავად აღძრული საჩივრის საპასუხოდ შრომითი ურთიერთობის დამთავრების შემდეგ უარს აცხადებს, გასცეს შრომითი დოკუმენტაცია.

საქმე *Tanja Kreil and Bundesrepublik Deutschland*¹⁵⁸.

საქმის ფაბულა: მომჩივანმა 1996 წელს განაცხადა პრეტენზია, ჩარიცხულიყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეიარაღებულ ჯარში. გამომდინარე იქიდან, რომ მომჩივანი ქალი იყო, ხოლო გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით ქალებს ეკრძალებოდათ, სამხედრო ძალების სანიტარიული და მუსიკის სამსახურების გარდა, სხვა სამხედრო სამსახურში ჩარიცხვა, ამიტომ მას უარი უთხრეს მიღებაზე. მომჩივანმა გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება ევროპული ეკონომიკური გაერთიანების 76/207 დირექტივის საფუძველზე და განაცხადა, რომ ეს დისკრიმინაცია იყო. გერმანია, ძირითადად, თავს იცავდა იმ არგუმენტით, რომ თავდაცვა გაერთიანების სამართალს არ განეკუთვნებოდა, იგი ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა იყო, რომელშიც წევრ სახელმწიფოებს სუვერენიტეტი ჰქონდათ.

¹⁵⁸ Judgment of the Court of 11 January 2000; *Tanja Kreil and Bundesrepublik Deutschland*; Case C-285/98.

15. როგორც ევროპულმა სასამართლომ C-273/97 საქმეზე (*Sirdar*, 1999 წლის კრებული, I-7403) 1999 წლის 26 ოქტომბერს დადგენილი განაჩენის მე-15 პუნქტში აღნიშნა, ნევრი სახელმწიფოების საქმეა, მიიღონ შესაბამისი ღონისძიებები შიდა და გარე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ასევე გადანყვეტილებები მათი შეიარაღებული ძალების ორგანიზების მიზნით. აქედან არ გამომდინარეობს, მაგრამ ამგვარი გადანყვეტილებები მთლიანად გაერთიანების სამართლის მოქმედებიდან ამოღებულია.

16. სახელდობრ, ხელშეკრულება ითვალისწინებს, როგორც ევროპულმა სასამართლომ ეს უკვე დაადგინა, გამონაკლისებს საჯარო უსაფრთხოების საფუძვლებიდან მხოლოდ 36-ე, 48-ე, 56-ე, 22-ე და 224-ე მუხლებში; ისინი შეეხებიან სრულიად განსაზღვრულ უჩვეულო შემთხვევებს. ამ მუხლებიდან არ გამომდინარეობს ზოგადი, ხელშეკრულებისათვის თვისებრივი დათქმა, რომლის მიხედვითაც ყოველი ღონისძიება, რომელიც კი საჯარო უსაფრთხოების ინტერესიდან გამომდინარე მიიღება, გაერთიანების სამართლის გამოყენების სფეროდან ამოღებულ იქნება. თუ ასეთი დათქმა ხელშეკრულების დებულებების განსაკუთრებული შემადგენელი ნაწილებისაგან დამოუკიდებლად იქნებოდა აღიარებული, მაშინ მას შეეძლო შეეღობა გაერთიანების სამართლის ვალდებულებითი ძალა და ერთიანი გამოყენება. (შეადარეთ 1986 წლის 15 მაისის განაჩენი საქმეზე 222/84, *Jonston*, 1986 წლის კრებული, 1651, 26-ე პუნქტი და *Sirdar*, მე-16 პუნქტი).

17. საჯარო უსაფრთხოების ცნება, ხელშეკრულების ზემოთ დასახელებული მუხლების მიხედვით, მოიცავს როგორც ნევრი სახელმწიფოს შიდა უსაფრთხოებას, რომელსაც შეეხება ეს პროცესი და რომელიც *Johnston*-ის განაჩენს ედო საფუძვლად, ასევე გარე უსაფრთხოებას, რომელიც პროცესის საგანი იყო, რამაც *Sirdar*-ის განაჩენამდე მიგვიყვანა (...).

18. გარდა ამისა, ხელშეკრულებაში გათვალისწინებული გამონაკლისები შეეხება მხოლოდ საქონლის, პირებისა და მომსახურებების გადაადგილების თავისუფლებას და არა ხელშეკრულების სოციალურ ნორმებს, რომელთაც განეკუთვნება ქალბატონი კრაილის მიერ გასაჩივრებული პრინციპი მამაკაცებისა და ქალების თანასწორუფლებიანობის შესახებ. მუდმივ სასამართლო პრაქტიკას შეესაბამება ის, რომ ამ პრინციპს საყოველთაო მოქმედება აქვს და რომ დირექტივა საჯაროსამართლებრივი სამსახურებრივი ურთიერთობებისათვის გამოიყენება (...).

19. შედეგად, იმ შემთხვევაში, როგორც ეს ამოსავალი პროცესია, დირექტივა გამოიყენება.

20. დირექტივის მე-2 მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით, ნევრ სახელმწიფოებს აქვთ უფლებამოსილება, ისეთი პროფესიული საქმიანობები, რომელთათვისაც სქესი მისი სახეობისა თუ პირობების გამო უპირობო წინაპირობაა, გამორიცხულ იქნეს დირექტივის გამოყენების სფეროდან, სადაც გასახსენებელია ის, რომ ეს დებულება, როგორც გამონაკლისი, დირექტივაში ასახული ინდივიდუალური უფლებიდან ვინროდ უნდა იქნეს განმარტებული. (შეადარეთ განაჩენები: *Johnston*, 36-ე პუნქტი და *Sirdar*, 23-ე პუნქტი).

21. ამგვარად დაადგინა ევროპულმა სასამართლომ, მაგალითად, რომ სქესი უპირობო წინაპირობა შეიძლება იყოს ისეთ შრომით ურთიერთობებში, როგორებიცაა სასჯელად-სრულების დაწესებულებებში ზედამხედველისა და უფროსი ზედამხედველის თანამდებობა (1988 წლის 30 ივნისის განაჩენი საქმეზე 318/86, *Commission v. France*, 1988 წლის

კრებული, 3559, მე-11-მე-18 პუნქტები), გარკვეული საქმიანობებისათვის, როგორცაა პოლიცია, მძიმე შიდა დაძაბულობებში (განაჩენი *Johnston*, 36-ე და 37-ე პუნქტები) ან ასევე სამსახური სპეციალურ საბრძოლო ერთეულებში (განაჩენი *Sirdar*, 29-ე-31-ე პუნქტები).

22. **წევრ სახელმწიფოს შეუძლია, ასეთი საქმიანობებისათვის მოსამზადებელი პროფესიული განათლება შემთხვევის მიხედვით მამაკაცებისათვის, ან ქალებისათვის განსაზღვროს. წევრი სახელმწიფოები, როგორც ეს დირექტივის მე-9 მუხლის მე-2 აბზაციდან გამომდინარეობს, ვალდებული არიან, ასეთ შემთხვევაში შესაბამისი საქმიანობები რეგულარული პერიოდულობით გადასინჯონ, რათა სოციალური განვითარების გათვალისწინებით დაადგინონ, დირექტივის ზოგადი დარეგულირების წესიდან გამონაკლისი შეიძლება თუ არა შენარჩუნდეს.** (შეადარეთ განაჩენები: *Johnston*, 37-ე პუნქტი და *Sirdar*, 25-ე პუნქტი).

23. ისეთი ძირითადი უფლებიდან, როგორცაა თანასწორუფლებიანობა გამონაკლისის მოცულობის დადგენისას, გარდა იმისა, როგორც ეს ევროპულმა სასამართლომ *Johnston*-ის განაჩენის 38-ე პუნქტსა და *Sirdar*-ის განაჩენის 26-ე პუნქტში აღნიშნა, პროპორციულობის პრინციპი უნდა იქნეს დაცული, რომელიც გაერთიანების სამართლის საყოველთაო პრინციპებს განეკუთვნება. ამის მიხედვით, გამონაკლისები არ უნდა სცილდებოდეს იმ საზღვრებს, რაც დასახული მიზნების მისაღწევად ზომიერი და აუცილებელია; შემდგომ თანასწორუფლებიანობის პრინციპი შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი, რამდენადაც ეს შესაძლებელია საჯარო უსაფრთხოების მოთხოვნებთან, რომლებიც განმსაზღვრელია შესაბამისი საქმიანობების განხორციელების პირობებისათვის.

24. თუმცა ეროვნულ დაწესებულებებს გარემოებების მიხედვით აქვთ გარკვეული მოქმედების არეალი, როდესაც ისინი იღებენ ზომებს წევრი სახელმწიფოს საჯარო უსაფრთხოებისათვის (...).

25. აქედან გამომდინარე, როგორც ეს ევროპულმა სასამართლომ *Sirdar*-ის განაჩენის 28-ე პუნქტში აღნიშნა, გადასასინჯია, ფაქტობრივად ემსახურებიან თუ არა მიზანს – უზრუნველყოფილ იქნეს საჯარო უსაფრთხოება – კონკრეტული შემთხვევის გარემოებებში ღონისძიებები, რომლებიც მიიღეს ეროვნულმა დაწესებულებებმა მათი უფლებამოსილების ფარგლებში, და არიან თუ არა ისინი ზომიერი და აუცილებელი ამ მიზნის მისაღწევად.

26. როგორც წინამდებარე განაჩენის მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებშია დადგენილი, ძირითადი პროცესის მომჩივანის მოთხოვნა, დაენიშნათ ის შეიარაღებული ძალების სამსახურში, უარყოფილია გერმანული სამართლის დებულებებზე დაყრდნობით, რომელთა მიხედვით, ქალებს სრულად ეკრძალებათ იარაღით სამსახური და მათი დაშვება ნებადართულია მხოლოდ სანიტარიულ და სამხედრო სამუსიკო სამსახურებში.

27. მოცულობითი შინაარსიდან გამომდინარე, ასეთი გამორიცხვა, რომელიც შეიარაღებული ძალების თითქმის ყველა სამხედრო სამსახურს შეეხება, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს გამონაკლის ღონისძიებად, რომელიც გამართლებული იქნებოდა შესაბამისი საქმიანობების სპეციფიკური ხასიათით ან მისი განხორციელების განსაკუთრებული პირობებით. დირექტივის მე-2 მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით კი, გამონაკლისები შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ სპეციფიკურ საქმიანობებს (...).

28. გარდა ამისა, შეიარაღებული ძალების არსის გათვალისწინებითაც კი მხოლოდ ის ფაქტი, რომ მის წევრებს იარაღის გამოყენება შეიძლება დაევალოთ, ვერ გაამართ-

ლებს ქალებისათვის უფლების ჩამორთმევას, დაინყონ სამხედრო სამსახური. როგორც გერმანიის მთავრობამ განმარტა, ფედერალური არმიის სამსახურებში არსებობს იარაღის შესწავლის საშუალება, სადაც ქალებიც დაიშვებიან, რათა ამ სამსახურების პერსონალს შეეძლოს თავდაცვა და უკიდურესი აუცილებლობისას დახმარება.

29. ამით ეროვნულ უწყებებს, თავიანთი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით, არ შეეძლოთ შეენარჩუნებინათ აღნიშნული გამოწვევის, და პროპორციულობის პრინციპის დარღვევის გარეშე ზოგადად იქიდან ამოსულიყვნენ, რომ ფედერალური არმიის მთლიანი შეიარაღებული ერთეულები შემდგომაც მხოლოდ მამაკაცებისაგან უნდა შედგებოდეს.

30. ხოლო საბოლოოდ, რაც დირექტივის მე-2 მუხლის მე-2 აბზაცის გამოყენებას შეეხება, რომელსაც გერმანიის მთავრობა ასევე დაეყრდნო, ამ დებულებამ, როგორც ეს ევროპულმა სასამართლომ *Johnston*-ის განაჩენის 44-ე პუნქტში აღნიშნა, **უნდა დაიცვას, ერთი მხრივ, ქალის ფიზიკური მდგომარეობა და, მეორე მხრივ, დედასა და შვილს შორის განსაკუთრებული დამოკიდებულება. აღნიშნულის მიხედვით, ქალები არ შეიძლება გამოეთიშონ დასაქმებას იმ დასაბუთებით, რომ ისინი მამაკაცებთან შედარებით უფრო მეტად უნდა იყვნენ დაცულები საფრთხეებისაგან, რაც განსაკუთრებულ დირექტივაში ქალის დაცვის ამკარად გამოხატული აუცილებლობისაგან განსხვავდება.**

31. იარაღით სამსახურიდან ქალების სრული გამორიცხვა არ განეკუთვნება იმ არათანაბარ მოპყრობას, რომელიც, დირექტივის მე-2 მუხლის მე-3 აბზაცის მიხედვით, ქალის დაცვისათვისაა დაშვებული.

32. წარმოდგენილ კითხვას შესაბამისად უნდა გაეცეს პასუხი, რომ დირექტივას ეწინააღმდეგება ეროვნული დებულებების გამოყენება, რომლებიც, როგორც გერმანული სამართლის დებულებები, ქალების სამსახურს იარაღით ზოგადად გამორიცხავენ და მათ მხოლოდ სანიტარიულ და სამხედრო სამუსიკო სამსახურებში უშვებენ.

საქმე *Alexander Dory and Bundesrepublik Deutschland*¹⁵⁹:

30. ამდენად, წევრი სახელმწიფოების მიერ მიღებული ზომები არ არიან გაერთიანების სამართლის მოქმედებიდან ამოღებულნი, საერთო ჯამში, უკვე არა იმიტომ, რომ ისინი მიიღეს საჯარო უსაფრთხოების ან ქვეყნის თავდაცვის ინტერესიდან გამომდინარე.

31. კერძოდ, ხელშეკრულება, როგორც ეს ევროპულმა სასამართლომ უკვე დაადგინა, გამონაკლისებს ითვალისწინებს საჯარო უსაფრთხოების საფუძვლებიდან გამომდინარე, მხოლოდ ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 30-ე, 39-ე, 46-ე, 58-ე, 64-ე 296-ე და 297-ე მუხლებით; ისინი ეხებიან სრულიად განსაზღვრულ განსაკუთრებულ შემთხვევებს. ამ დებულებებიდან არ გამომდინარეობს ზოგადი, ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი პირობა, რომ ყოველი ღონისძიება, რომელიც საჯარო უსაფრთხოების ინტერესიდან გამომდინარე მიიღება, გაერთიანების სამართლის მოქმედების სფეროდან არის ამოღებული. თუ ასეთი პირობა ხელშეკრულების დებულებების განსაკუთრებული შემადგენელი ნაწილებისაგან დამოუკიდებლად აღიარებულ იქნებოდა, მაშინ მას გაერთიანების სამართლის სავალდებულოობა და ერთიანი გამოყენება შეეძლო შეეღობა. (შეადარეთ 1986 წლის 15 მაისის განაჩენი საქმეზე – 222/84, *Johnston*, 1986 წლის კრებული, 1651, 26-ე პუნქტი, განაჩენი *Sirdar*, მე-16 პუნქტი და *Kreil*, მე-16 პუნქტი).
(...)

¹⁵⁹ Judgment of the Court of 11 March 2003; *Alexander Dory and Bundesrepublik Deutschland*; Case C-186/01.

34. (...) ევროპულმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ 76/20 დირექტივა გამოიყენება შეიარაღებულ ძალებში დასაქმებაზე და რომ გადასასინჯია, ღონისძიებები, რომლებიც ეროვნულმა უწყებებმა მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების გზით მიიღეს, ფაქტობრივად საჯარო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზანს ემსახურებიან თუ არა და არიან თუ არა ისინი თანაზომიერი და აუცილებელი, რათა ამ მიზანს მიაღწიონ (განაჩენები: *Sirdar*, 28-ე პუნქტი და *Kreil*, 25-ე პუნქტი).

35. არ შეიძლება გაერთიანების სამართლის მოქმედების სფეროდან წევრ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების ორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილებების სრულად ამოღება, განსაკუთრებით, როდესაც ეს შეეხება შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებით მამაკაცებისა და ქალების თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვას, უპირველეს ყოვლისა, ამ პრინციპის დაცვას სამხედრო პროფესიასთან დაშვებისას. თუმცა აქედან არ გამომდინარეობს, რომ წევრი სახელმწიფოების გადაწყვეტილებები, სამხედრო ორგანიზაციის თვალსაზრისით, რომლის მიზანიცაა მისი სუვერენული ტერიტორიისა და მისი უპირობო ინტერესების დაცვა, გაერთიანების სამართლის მოქმედების სფეროში ექცევა.

36. მართალია, როგორც ევროპულმა სასამართლომ ეს განაჩენებში – *Sirdar* (მე-15 პუნქტი) და *Kreil* (მე-15 პუნქტი) – აღნიშნა, საკუთარი შეიარაღებული ძალების ორგანიზება იმ წევრი სახელმწიფოების საქმეა, რომლებმაც უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები თავიანთი შიდა და გარე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

37. გერმანიის მთავრობამ აღნიშნა, რომ საყოველთაო სამხედრო სამსახურს გერმანიაში, როგორც პოლიტიკურად, ისე შეიარაღებულ ძალების ორგანიზაციის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს. მან თავის წერილობით განცხადებებსა და ზეპირ პროცესზე აღნიშნა, რომ სამხედრო ვალდებულებას შეუძლია წვლილი შეიტანოს სამხედრო აპარატის დემოკრატიულ გამჭვირვალობაში, ეროვნულ ერთობაში, შეიარაღებულ ძალებსა და მოსახლეობას შორის მჭიდრო კონტაქტის შენარჩუნებაში, ასევე, თავდაცვის შემთხვევაში, შეიარაღებული ძალების აუცილებელი მობილურობის უზარის არსებობაში.

38. ძირითად კანონში ასახული ასეთი გადაწყვეტილებით სამხედრო ვალდებულება ტერიტორიული უსაფრთხოების ინტერესიდან გამომდინარე წესდება, მიუხედავად იმისა, რომ ეს ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდებისათვის სამუშაო ბაზრის ხელმისაწვდომობაზე უარყოფითად მოქმედებს. მას უპირატესობა აქვს ახალგაზრდა ადამიანების სამუშაო ბაზარში ჩართვის პოლიტიკურ მიზნებთან მიმართებით.

39. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გადაწყვეტილება, განამტკიცოს თავისი თავდაცვა ნაწილობრივ სამხედრო სავალდებულო სამსახურით, ასეთი გადაწყვეტილების გამოხატულებაა სამხედრო ორგანიზების თვალსაზრისით, რომლის მიმართაც გაერთიანების სამართალი ამავე სამართლის მიხედვით არ გამოიყენება.

40. მხოლოდ მამაკაცებისათვის გათვალისწინებული სავალდებულო სამხედრო სამსახური, მართალია, ნიშნავს, როგორც წესი, შესაბამისი პირების მიმართ მართი პროფესიული კარიერის დაყოვნებას, მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო სამსახური ერთეულ განვეულებს შესაძლებლობას აძლევს, მიიღონ დამატებითი განათლება ან მოგვიანებით სამხედრო კარიერა დაიწყონ.

41. პროფესიულ კარიერაში შეფერხება განვეულებისათვის არის წევრი სახელმწიფოს გადაწყვეტილების არათავიდანაცლებადი შედეგი სამხედრო ორგანიზების თვალსაზრისით და არ მიდის იმ შედეგამდე, რომლითაც ეს გადაწყვეტილება გაერთიანების სამართლის მოქმედების სფეროში ექცევა. რადგან წევრი სახელმწიფოების კომპეტენციაში

ჩარევა იქნებოდა, თუ მას უარყოფითი ზეგავლენა ექნებოდა დასაქმებასთან დაშვებაზე, რომლითაც შესაბამისი წვერი სახელმწიფო იძულებული იქნებოდა, სამხედრო სამსახურში არსებული ვალდებულება ქალებზე განეგრცო და მათთვის ამით ანალოგიური ზიანი დასაქმებასთან დაშვებაზე მიეყენებინა, ან სამხედრო სავალდებულო სამსახური გაუქმებინა.

42. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მომმართველი სასამართლოს შეკითხვას პასუხი უნდა გაეცეს, რომ გაერთიანების სამართალს არ ეწინააღმდეგება სამხედრო სავალდებულო სამსახური მხოლოდ მამაკაცებისათვის.

საქმე *Roks and others*¹⁶⁰:

34. (...) არჩეული მეთოდები წვერი სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებიან, რომლის სამართლებრივ ნორმებზეცაა ახლა საუბარი, და ამ მიზნის მისაღწევად გამოსადეგი და აუცილებელია (1992 წლის 19 ნოემბრის განაჩენი საქმეზე C-226/91, *Molenbroek*, 1992 წლის კრებული, I-5943, მე-13 პუნქტი).

35. საბიუჯეტო მოსაზრებები შესაძლოა წვერი სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ედოს საფუძვლად და სოციალური დაცვის ღონისძიებების სახესა თუ მოცულობაზე, რომელიც მას სურს მიიღოს, ზემოქმედებდეს. მათ არა აქვთ ამ პოლიტიკით დასახული მიზანი და ერთ-ერთი სქესის დისკრიმინაციის გამართლება აქედან გამომდინარე არ შეუძლიათ.

36. თუ, გარდა ამისა, აღიარებული იქნებოდა, რომ საბიუჯეტო საფუძვლებს მამაკაცებისა და ქალების არათანაბარი მოპყრობის გამართლება შეეძლო, რაც სხვა შემთხვევაში 79/7 დირექტივის მე-4 მუხლის პირველი აბზაცით აკრძალული შუალობითი დისკრიმინაცია სქესის საფუძველზე იქნებოდა, მაშინ მას შედეგად ექნებოდა, რომ გაერთიანების სამართლის ისეთი ძირითადი რეგულირების წესის გამოყენება და მისი მოცულობა, როგორცაა მამაკაცებისა და ქალების თანასწორობა დროისა და სივრცის მიხედვით, წვერი სახელმწიფოების სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობის შესაბამისად განსხვავებული შეიძლება ყოფილიყო.

ბ) გამოყენება პირთა წრის მიმართ:

საქმე *Gerardus Cornelis Ten Oever*¹⁶¹:

13. ამ განმარტებას არ ეწინააღმდეგება ის, რომ გონებრივად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პენსიას, მისი ცნებიდან გამომდინარე, არა დასაქმებულს, არამედ შეზღუდული შესაძლებლობის მქონეს უხდინან, რომლის სათავე ასეთი პირის მეუღლის საპენსიო სისტემასთან მიკუთვნებაშია, ისე, რომ ამ პირს პენსიის მოთხოვნის უფლება მისი მეუღლისა და მის დამსაქმებელს შორის საქმიანი ურთიერთობის ფარგლებში აქვს და პენსია მისი მეუღლის დასაქმების საფუძველზე ეძლევა.

14. პირველ შეკითხვას უნდა ვუპასუხოთ, რომ საწარმოო საპენსიო სისტემის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის გათვალისწინებული პენსია, რომელსაც ისეთივე ნიშნები აქვს, როგორც სადავო საკითხს ეროვნულ სასამართლო

¹⁶⁰ Judgment of the Court of 24 February 1994; M. A. De Weerd, née Roks, and others v Bestuur van de Bedrijfsvereniging voor de Gezondheid, Geestelijke en Maatschappelijke Belangen and others; Case C-343/92; European Court reports 1994 Page I-00571.

¹⁶¹ Judgment of the Court of 6 October 1993; Gerardus Cornelis Ten Oever v Stichting Bedrijfspensioenfondsvoor het Glazenwassers- en Schoonmaakbedrijf; Case C-262/88 Barber; Case C-109/91; European Court reports 1993 Page I-04879.

პროცესში, ექცევა ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლის მოქმედების სფეროში.

საქმე *Defrenne v. Sabena II*¹⁶²:

38/39. ასევე არამყარია არგუმენტი, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ თანაბარი ანაზღაურების პრინციპის გამოყენება შეცვლიდა შეთანხმებებს, რომლებიც ხელშეკრულების მხარეებმა მათი პირადი თუ პროფესიული ავტონომიურობის განხორციელების გზით მიიღეს ინდივიდუალური თუ კოლექტიური სამუშაო ხელშეკრულებების სახით; 119-ე მუხლის მიხედვით, მამაკაც და ქალ დასაქმებულებს შორის დისკრიმინაციების აკრძალვა სავალდებულოა არა მხოლოდ საჯარო დანესებულებებისათვის, არამედ ის ვრცელდება, ასევე, დამოკიდებული საქმიანობის კოლექტიურად მომწესრიგებელ ნებისმიერ სატარიფო ხელშეკრულებასა და ნებისმიერ ხელშეკრულებაზე კერძო პირთა შორის (შეადარეთ ასევე საქმე C-33/89, *Kowalska*, 1990 წლის კრებული, I-2591, 2611 და შემდგომ, მე-12, მე-16 პუნქტები; საქმე C-184/89, *NIMZ*, 1991 წლის კრებული, I-297, 318, მე-11 პუნქტი; საქმე C-281/97, *Krueger*, 1999 წლის კრებული, I-5127, 5147, მე-20 პუნქტი).

დ) დისკრიმინაციის ფორმები

(1) პირდაპირი/ლია დისკრიმინაცია:

საქმე *Macarthy Smith*¹⁶³:

10. ევროპულმა სასამართლომ როგორც თავის 1976 წლის 8 აპრილის განაჩენში (*Defrenne II*) განმარტა, ეს ნორმა (119-ე მუხლი), უშუალო (...) ღია დისკრიმინაციების ყველა სახეობაზეა გამოყენებადი (...)

საქმე *Defrenne v Sabena II*¹⁶⁴:

16/20. 119-ე მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, წევრი სახელმწიფოები მოწოდებული არიან, „თანაბარ სამუშაოზე მამაკაცებისა და ქალების თანაბარი ანაზღაურების პრინციპი“ გამოიყენონ და შეინარჩუნონ. მუხლის მე-2 და მე-3 აბზაცები უმატებენ მთელ რიგ დეტალურ განმარტებებს პირველ აბზაცში გამოყენებული „ანაზღაურებისა“ და „სამუშაოს“ ცნებებს. ამ დებულებების გამოყენებისათვის 119-ე მუხლის მთლიანი გამოყენების სფეროს ფარგლებში უნდა გაკეთდეს განსხვავება, ერთი მხრივ, პირდაპირ, ღია დისკრიმინაციებსა, რომლებიც უკვე ნორმაში გამოყენებული ნიშნების მიხედვით ერთნაირ სამუშაოსა და თანაბარ ანაზღაურებას ადგენენ, და, მეორე მხრივ, არაპირდაპირ, ფარულ დისკრიმინაციას შორის (...).

21/24. პირდაპირი დისკრიმინაციები, რომლებიც განსაზღვრულია 119-ე მუხლში გამოყენებული კრიტერიუმების საფუძველზე, გამოდინარეობს სამართლებრივი ნორმებიდან ან კოლექტიური ხელშეკრულებებიდან და მათი მიკვლევა წმინდა სამართლებრივი ანალიზით შესაძლებელია. გარდა ამისა, მათში მოიაზრება ერთნაირ სამუშაოზე ერთსა და იმავე საჯარო თუ კერძო სამსახურსა თუ სანარმოში მამაკაცი და ქალი დასაქმებულებისათვის არათანაბარი ანაზღაურების შემთხვევა (...)

¹⁶² იხ. 137-ე სქოლიო.

¹⁶³ იხ. 152-ე სქოლიო.

¹⁶⁴ იხ. 137-ე სქოლიო.

40. ამის მიხედვით, პირველ კითხვას პასუხი უნდა გაეცეს: თანაბარი სამუშაო ანაზღაურების შესახებ 119-ე მუხლში ასახული პრინციპის გამოყენება შეუძლიათ შესაბამის პირებს ეროვნულ სასამართლოებში. ეს სასამართლოები ვალდებული არიან, დაიცვან უფლებები, რომლებსაც ეს დებულება სამართალსუბიექტებს ანიჭებს; ეს განსაკუთრებით შეეხება დისკრიმინაციების შემთხვევას, რომლებიც წარმოიშობიან უშუალოდ სამართლებრივი ნორმებისა თუ კოლექტიური ხელშეკრულებების საფუძველზე, ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მდებარეობით და მამრობითი სქესის დასაქმებულები ერთნაირი სამუშაოსათვის ერთსა და იმავე კერძო ან საჯარო საწარმოში არათანაბარ ანაზღაურებას იღებენ.

საქმე *Worrunhamund v. Humphreys Lloyds Bank*¹⁶⁵.

საქმის ფაბულა: მოქალაქეები ასაჩივრებდნენ რეგულირებას, რომლის მიხედვითაც 25 წლამდე მამაკაცი დასაქმებულები საპენსიო უზრუნველყოფის ფონდში იხდიდნენ გარკვეულ თანხას, რომელიც ანაზღაურდებოდა დამსაქმებლის მიერ ხელფასზე 5%-იანი დანამატის სახით, მაშინ, როდესაც ქალი დასაქმებულები, რომლებიც ასევე 25 წლამდე იყვნენ, არ იხდიდნენ ამ თანხას და, შესაბამისად, მამაკაც დასაქმებულს მთლიანი ხელფასი უფრო მაღალი ჰქონდა, ვიდრე ანალოგიური სამუშაოთი დაკავებულ ქალს. გარდა ამისა, სამსახურებრივი ურთიერთობის დასრულების შემდეგ მამაკაც დასაქმებულებს ამ შენატანების საფუძველზე უფრო მეტი სოციალური ხასიათის შეღავათები ჰქონდათ, ვიდრე ქალებს.

24. ეს ის შემთხვევაა, როდესაც შენატანის ვალდებულება მხოლოდ მამაკაცი, და არა ქალი დასაქმებულებისათვის არის გათვალისწინებული. ამ დროს მამაკაც დასაქმებულებს სავალდებულო შენატანები დამსაქმებლისაგან დანამატის ფორმით მთლიან ხელფასზე ერიცხებათ. აღნიშნულის შედეგად, მამაკაცი დასაქმებულებისათვის უფრო მაღალი ანაზღაურებაა გათვალისწინებული 119-ე მუხლის მე-2 აბზაცის შინაარსით, ვიდრე ქალი დასაქმებულებისათვის, რომლებიც ანალოგიურ სამუშაოს ან ანალოგიური ღირებულების სამუშაოს ასრულებენ.

25. მაშინ როდესაც ქალი დასაქმებულებისთვის არ არსებობს შეტანის ვალდებულება, შენატანების გამოქვითვის შემდეგ მამაკაცი დასაქმებულების ხელფასი თანაბრია ქალი დასაქმებულების შენატანებით დაუტვირთავ ხელფასთან; თუმცა მამაკაცი და ქალი დასაქმებულების მთლიან ხელფასებს შორის განსხვავება არის დისკრიმინაციის წყარო, რომელიც ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლს ეწინააღმდეგება, რადგან მამაკაცი დასაქმებულები ამ არაერთგვაროვნების საფუძველზე იღებენ მომსახურებას, და არ იღებენ ქალი დასაქმებულები, რომლებიც ანალოგიურ ან ანალოგიური ღირებულების სამუშაოს ასრულებენ, ან ამ ფაქტის საფუძველზე ისეთ მომსახურებებს ან სოციალურ შეღავათებს იღებენ, რომლებიც უფრო მეტია, ვიდრე ქალ დასაქმებულებს შეუძლიათ მოითხოვონ.

26. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა იმითაც, რომ — როგორც წინამდებარე შემთხვევაში — დასაქმებულებს, რომლებიც გარკვეულ ასაკს მიღწევის შემდეგ სამუშაო ურთიერთობას ახორციელებენ, განსაზღვრული წინაპირობების შესრულების შემდეგ უზრუნველდებიან, სულ მცირე, „შენატანების ანალოგიური ღირებულების პრემიის“ სახით დამსაქმებლის სახელით გადახდილი შენატანების ნაწილი და დასაქმებულისათვის გადახდილი მთლიანი ხელფასის რაოდენობა განსაზღვრავს გარკვეულ მომსახურებებსა და სოციალურ შეღავათებს — როგორცაა ანაზღაურება (სამუშაო ურთიერთობიდან) გასვლისათვის, შემწეობები უმუშევრობის გამო, ოჯახური დახმარებები თუ შეღავათები

¹⁶⁵ იხ. 139-ე სქოლიო.

საიპოთეკო და სხვა სახის სესხებზე, რომელთა მოთხოვნის უფლება ორივე სქესის დასაქმებულებს უნდა ჰქონდეთ.

27. ამ შემთხვევაში გარემოება, რომ დამსაქმებელი შენატანებს მხოლოდ მამაკაცი დასაქმებულების სახელით იხდის და არა ქალი დასაქმებულების, რომლებიც ანალოგიურ ან ანალოგიური ღირებულების სამუშაოს ასრულებენ, დასაქმებულთა ამ ორი ჯგუფის ანაზღაურების არაერთგვაროვნებას იწვევს. მათი დადგენა უშუალოდ მომმართველ სასამართლოს შეუძლია ანაზღაურების შესაბამისი შემადგენელი ნაწილების საშუალებით და ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლში დასახელებული კრიტერიუმებით.

28. ამ საფუძვლებიდან გამომდინარე, მესამე შეკითხვას პასუხი უნდა გაეცეს, რომ ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლზე ყურადღების გამახვილება შეუძლიათ ეროვნულ სასამართლოებს და ისინი ვალდებული არიან, ამ დებულებით ერთეულებისათვის მინიჭებული უფლებები (...) (დაიცვან) (...).

საქმე *Dansk Handel & Service*¹⁶⁶.

საქმის ფაბულა: დანიის სასამართლომ ევროპულ სასამართლოს მიმართა წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის ფარგლებში ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 177-ე მუხლის საფუძველზე შეკითხვით, ეწინააღმდეგებოდა თუ არა ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლს შიდასახელმწიფოებრივი დებულებები, რომელთა მიხედვითაც ორსულს, რომელიც ორსულობის გამო შრომისუუნარო იყო, უფლება ჰქონდა, მოეთხოვა არა სრული ხელფასი, არამედ მხოლოდ დღიური თანხის გადახდა ადგილობრივი დაწესებულებისაგან, მაშინ როდესაც დასაქმებულები შრომისუუნარობისას ავადმყოფობის გამო იღებდნენ სრულ ხელფასს დამსაქმებლისაგან.

33. მიუხედავად იმისა, რომ ორსულობა არავითარ შემთხვევაში არ უთანაბრდება ავადმყოფურ მდგომარეობას (1994 წლის 14 ივლისის განაჩენი საქმისა – C-32/93, *Webb*, 1994 წლის კრებული, I-3567, 25-ე პუნქტი), შესაძლებელია, ამ დროის განმავლობაში არსებობდეს ჩივილები და გართულებები, რომლებიც ქალს აიძულებს, ექიმის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იყოს და შესაბამის შემთხვევაში მთელი ორსულობის პერიოდში საკუთარ თავს გაუფრთხილდეს ნებისმიერი თვალსაზრისით. ეს ჩივილები და გართულებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ შრომისუუნარობა, ორსულობასთან დაკავშირებულ რისკებს განეკუთვნება და მდგომარეობის განსაკუთრებულობას იწვევს (1998 წლის 30 ივნისის განაჩენი საქმეზე C-394/96 *Brown*, 1998 წლის კრებული, I-4185, 22-ე პუნქტი).

34. ამ შემთხვევაში, როგორც აქტებიდან გამომდინარეობს, ყოველ დასაქმებულს, მოქმედი ეროვნული სამართლებრივი ნორმების მიხედვით, ავადმყოფობის შემთხვევაში სრული ხელფასის მოთხოვნის უფლება აქვს.

35. შედეგად, ის გარემოება, რომ ქალი თავისი დეკრეტის დაწყებისას არ იღებს სრულ გასამრჯელოს, თუ მისი შრომისუუნარობა ორსულობაზე დამოკიდებული ავადმყოფური მდგომარეობიდან გამომდინარეობს, ძირითადად, ემყარება ორსულობას და, ამდენად, არის დისკრიმინაცია.

¹⁶⁶ Judgment of the Court (Sixth Chamber) of 19 November 1998; Handels- og Kontorfunktionærernes Forbund i Danmark, acting on behalf of Berit Høj Pedersen v Fællesforeningen for Danmarks Brugsforeninger and Dansk Tandlerforening and Kristelig Funktionær-Organisation v Dansk Handel & Service; Case C-66/96; European Court reports 1998 Page I-07327.

(2) არაპირდაპირი/ფარული დისკრიმინაცია

საქმე *Jenkins v. Kingsgate*¹⁶⁷:

13. თუ აღმოჩნდება (...), რომ იმ დასაქმებულებიდან, რომლებიც კვირის სამუშაო საათების მინიმუმს სრულად ასრულებენ და შედეგად საათობრივი ხელფასის სრულად მოთხოვნის უფლება აქვთ, ქალებს მნიშვნელოვნად მცირე პროცენტული წილი უკავიათ, ვიდრე მამაკაცებს, მაშინ ასეთი არათანაბარი ანაზღაურება ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლს ეწინააღმდეგება. (ამ მუხლის დარღვევა სახეზეა), თუ იმ სიძნელების გათვალისწინებით, რომელსაც ქალი დასაქმებულები აწყდებიან კვირის სამუშაო საათების მინიმუმის შესრულებისას, შესაბამისი სანარმოს სახელფასო პოლიტიკა ისეთი გარემოებებით არ აიხსნება, რომლებიც გამორიცხავენ დისკრიმინაციას სქესის საფუძველზე.

(...)

15. შეკითხვებს (...) პასუხი უნდა გაეცეს, რომ განსხვავებული ანაზღაურება სრულად და განაკვეთურად დასაქმებულებისათვის (...) მაშინ არის ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლით აკრძალული დისკრიმინაცია, თუ რეალურად ეს მხოლოდ არაპირდაპირი მეთოდია, განაკვეთურ სამუშაოზე დასაქმებულის ხელფასი იმიტომ დანიონ, რომ დასაქმებულთა ეს ჯგუფი მხოლოდ, ან უმეტესწილად, ქალებისაგან შედგება.

საქმე *Nimz*¹⁶⁸:

7. მომმართველი სასამართლოს პირველი შეკითხვა ასეთია: ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლით დასაშვებია თუ არა, ეროვნული საჯარო სამსახურისათვის დადებული სატარიფო ხელშეკრულებით უფრო მაღალ-ანაზღაურებად ჯგუფში გადასვლისათვის იმ დასაქმებულების სამუშაო დრო გამოიანგარიშებოდეს სრულად, რომლებიც, სულ მცირე, ჩვეულებრივი სამუშაო დროის სამი მეოთხედის განმავლობაში მუშაობენ, ხოლო დასაქმებულების სამუშაო დრო, რომელიც ჩვეულებრივი სამუშაო დროის ნახევარსა და სამ მეოთხედს შორის მერყეობს, მხოლოდ ნახევრად იანგარიშებოდეს, და ეს მაშინ, როდესაც დასაქმებულების ამ უკანასკნელად დასახელებულ ჯგუფში უფრო მეტი ქალები არიან, ვიდრე კაცები.

(...)

12. აქტებიდან გამომდინარეობს, რომ, სატარიფო ხელშეკრულების სადავო დებულებათა მიხედვით, მუშახელი, რომელიც დასაქმებულია სრული განაკვეთის სამუშაო დროის სამ მეოთხედზე მცირე და ამავე დროის ნახევარზე მეტი სამუშაო დროით, საჭიროებს მაღალანაზღაურებად ჯგუფში გადასასვლელად ნამსახურების ორმაგად მეტ წლებს, ვიდრე ეს სრულ განაკვეთზე დასაქმებულისათვისაა გათვალისწინებული. ისეთი სატარიფო ხელშეკრულება, როგორიც წინამდებარეა, რომელიც დამსაქმებლებს აძლევს უფლებას, დასაქმებულთა ორ ჯგუფს შორის — პირებს, რომლებიც კვირის ან თვის განმავლობაში სამუშაო საათების განსაზღვრულ მინიმუმს ასრულებენ და პირებს შორის, რომლებიც ანალოგიური დავალებებისას ამ საათების მინიმუმს ვერ ასრულებენ — შეინარჩუნოს საერთო ანაზღაურების არაერთგვაროვნება, იწვევს, ფაქტობრივად, ქალი დასაქმებულების დისკრიმინაციას მამაკაც დასაქმებულებთან შედარებით, თუ დადგინდება, რომ პროცენტულად მნიშვნელოვნად უფრო ცოტა მამაკაცია განაკვეთურ სამუშაოზე, ვიდრე ქალი. ასეთი სატარიფო ხელშეკრულება ძირითადად მიჩნეულ უნდა იქნეს ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლ-

¹⁶⁷ იხ. 145-ე სქოლიო.

¹⁶⁸ იხ. 140-ე სქოლიო.

თან შეუსაბამოდ. (...)
(...)

15. აქედან გამომდინარე, მომმართველი სასამართლოს პირველ კითხვას პასუხი უნდა გაეცეს: ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლი უნდა განიმარტოს ისე, რომ იგი არ უშვებს ეროვნული საჯარო სამსახურისათვის დადებული სატარიფო ხელშეკრულებით უფრო მაღალი ანაზღაურების ჯგუფში გადასვლისათვის დასაქმებულის სამსახურებრივი დროის სრულად გამოანგარიშებას, რომელიც რეგულარული სამუშაო დროის, სულ მცირე, სამი მეოთხედია, მაშინ, როდესაც დასაქმებულების სამსახურებრივი დრო, რომელთა სამუშაო დრო რეგულარული სამუშაო დროის ნახევარსა და სამ მეოთხედს შორის მერყეობს, მხოლოდ ნახევრად გამოიანგარიშება, თუ აღმოჩნდა, რომ უკანასკნელად დასახელებულ დასაქმებულთა ჯგუფში მნიშვნელოვნად ნაკლები რაოდენობით მამაკაცია, ვიდრე ქალი. (ეს დებულება მოქმედებს), იმ შემთხვევის გარდა, თუ დამსაქმებელი დაამტკიცებს, რომ სატარიფო ხელშეკრულების დებულება ობიექტური კრიტერიუმებითაა გამართლებული, რომლებიც განსაკუთრებით იმაზეა დამოკიდებული, თუ რა კავშირია საქმიანობის სახესა და იმ გამოცდილებას შორის, რომელსაც პირი განეული სამუშაო საათების გარკვეული რაოდენობის მიხედვით მოიპოვებს.

საქმე *Rinner Kuehn FWW v. Spezial Gebaedereinigung*¹⁶⁹:

8. წარმოდგენილი შეკითხვიდან და წარმოდგენილი დადგენილების საფუძვლებიდან გამომდინარეობს, რომ მომმართველ სასამართლოს ძირითადად სურს იცოდეს, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლსა და საბჭოს 75/117 დირექტივას ხომ არ ეწინააღმდეგება ეროვნული რეგულირება, რომელიც დამსაქმებლებს უფლებას აძლევს, არ გადაუხადონ ავადმყოფობის შემთხვევაში იმ დასაქმებულებს, რომელთა რეგულარული სამუშაო დრო კვირის განმავლობაში 10 საათს ან თვის განმავლობაში 45 საათს არ აღემატება, მაშინ, როდესაც დასაქმებულთა ამ კატეგორიას, უმეტესწილად, ქალები შეადგენენ.

9.● 119-ე მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით წევრი სახელმწიფოები მონოდებულნი იყვნენ, პირველ საფეხურზე მამაკაცებისა და ქალების თანაბარი ანაზღაურების პრინციპი გამოეყენებინათ. აქედან გამომდინარეობს, რომ 119-ე მუხლი წევრ სახელმწიფოებს შედეგის დადგომის ვალდებულებას აკისრებს, რომელიც სავალდებულო ძალით გარკვეული ვადის განმავლობაში უნდა შესრულებულიყო (1976 წლის 8 აპრილის განაჩენი საქმეზე – 43/75, 1976 წლის კრებული, 455).

10. როგორც ეს აქტებიდან გამომდინარეობს, გერმანული კანონის სადავო დებულების თანახმად, ავადმყოფობის შემთხვევაში მხოლოდ იმ დასაქმებულებს აქვთ უფლება, დამსაქმებლისაგან მოითხოვონ ხელფასის გადახდა, რომელთა სამუშაო დრო კვირის განმავლობაში 10 საათს, ანდა თვის განმავლობაში 45 საათს აღემატება. რადგან ეს გადახდა ექცევა 119-ე მუხლის მე-2 აბზაცში გამოყენებული ანაზღაურების ცნებაში, გერმანული კანონის სადავო დებულება დამსაქმებელს უფლებას აძლევს, საერთო ხელფასის რაოდენობასთან დაკავშირებით დასაქმებულთა ორი კატეგორია განასხვავოს: ისინი, რომლებიც კვირის ან თვის განმავლობაში სამუშაო საათების მინიმუმს ასრულებენ და ისინი, რომლებიც, მართალია, ანალოგიურ სამუშაოს ასრულებენ, თუმცა მინიმალური ოდენობის საათებს არ მუშაობენ.

წარმოდგენილი დადგენილებიდან გამომდინარეობს ასევე, რომ პროცენტულად მნიშ-

¹⁶⁹ Judgment of the Court (Sixth Chamber) of 13 July 1989; Ingrid Rinner-Kühn v FWW Spezial-Gebäudereinigung GmbH & Co. KG; Case 171/88.

ვენლოვნად უფრო ცოტა ქალი ასრულებს კვირისა თუ თვის მინიმალურ სამუშაო საათებს, ვიდრე მამაკაცი და რომ ხელფასის შემდგომი გადახდის მოთხოვნის წინაპირობა ავადმყოფობის გამო შრომისუუნარობაა.
(...)

12. ამ გარემოებების გათვალისწინებით უნდა დადგინდეს, რომ ისეთი დებულება, როგორც ახლა განიხილება, შედეგად ქალ დასაქმებულებს, მამაკაც დასაქმებულებთან შედარებით, დისკრიმინირებულ მდგომარეობაში აყენებს და, ძირითადად, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლის მიზანს არ შეესაბამება.

საქმე *Boetel*¹⁷⁰.

16. მეორე მხრივ, დასადგენია, განასხვავებენ თუ არა საწარმოს საბჭოს წევრებისაგან, რომლებიც სრული განაკვეთით მუშაობენ, ამავე საბჭოს განაკვეთურად დასაქმებულ წევრებს ეროვნული რეგულირებები, რომელნიც კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებზე მონაწილეობისას მათ მატერიალურ ანაზღაურებას შეეხება.

17. საწარმოს საბჭოს წევრების ორივე ჯგუფი კვალიფიკაციის ასამაღლებელ ამ ღონისძიებებზე ერთნაირი რაოდენობის საათებს ატარებენ. მაგრამ მაშინ, თუ საწარმოს სამუშაო დროს ჩატარებული ღონისძიებები განაკვეთურად მომუშავე საწარმოს საბჭოს წევრების ინდივიდუალურ სამუშაო დროს აღემატება, ისინი დამსაქმებლისაგან უფრო დაბალ მატერიალურ ანაზღაურებას იღებენ, ვიდრე სრული განაკვეთით დასაქმებული წევრები და შედეგად განსხვავებულად უდგებიან მათ.
(...)

24. გარდა ამისა, არგუმენტაცია, რომ კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებზე მონაწილეობისათვის ეროვნული სამართლით დადგენილი ანაზღაურება გამოიანგარიშება იმ სამუშაო საათების მიხედვით, რომლებიც მათ არ უმუშავიათ, არ ცვლის არაფერს იმაში, რომ საწარმოს საბჭოს განაკვეთურად დასაქმებული წევრები უფრო ნაკლებ მატერიალურ სიკეთეს იღებენ, ვიდრე სრული განაკვეთით მომუშავე მათი კოლეგები, მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებულთა ორივე ჯგუფი საბოლოოდ, განურჩევლად, ამ კურსებს საათების თანაბარი რაოდენობით გადიან, რათა კარგად მუშაობისა და საწარმოს ზოგადი კეთილდღეობისათვის შესაძლებელი იყოს ეფექტური მოქმედება დასაქმებულთა ინტერესებისათვის.

25. საბოლოოდ, ასეთი მდგომარეობა ასევე გამოდგება იმისათვის, რომ განაკვეთურად დასაქმებულებმა, რომლებიც უმეტესწილად ქალებისაგან შედგება, თავი შეიკავონ საწარმოს საბჭოს წევრის საქმიანობის განხორციელებაში მონაწილეობისაგან ან ამ საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელი ცოდნის მიღებისაგან, რაც ართულებს დასაქმებულთა ამ კატეგორიით საწარმოს საბჭოს კვალიფიციური წევრების შევსებას.
(...)

27. მომმართველ სასამართლოს პასუხი უნდა გაეცეს, რომ ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლს და საბჭოს 75/117 დირექტივას ეწინააღმდეგება ეროვნული რეგულირება, რომელიც მნიშვნელოვანწილად უფრო ქალებისათვის მოქმედებს, ვიდრე მამაკაცებისათვის და დამოკიდებულს ხდის მათ ინდივიდუალურ სამუშაო დროზე იმ მატერიალურ ანაზღაურებას, რომელსაც საწარმოს საბჭოს განაკვეთურად მომუშავე წევრები მათი დამსაქმებლისაგან სამუშაო დროს ანაზღაურებადად გათავისუფლებისას ან კვალიფიკაციის ასამაღლებელ

¹⁷⁰ იხ 142-ე სქოლიო.

კურსებში მონაწილეობისას ზედმეტი საათების ანაზღაურების სახით იღებენ. ეს კურსები სანარმოს საბჭოს საქმიანობისათვის აუცილებელ ცოდნას იძლევა და ეწყობა სანარმოს სამუშაო დროის განმავლობაში, თუმცა მათი ხანგრძლივობა განაკვეთურად დასაქმებულების ინდივიდუალურ სამუშაო დროს სცილდება. სრული განაკვეთით დასაქმებული სანარმოს საბჭოს წევრები კი იმავე კურსებში მონაწილეობისათვის იღებენ იმდენსავე მატერიალურ ანაზღაურებას, რამდენსაც ისინი სრული განაკვეთით მუშაობისას მიიღებდნენ.

საქმე *Johanna Lewark*¹⁷¹:

24. გერმანიის მთავრობა, ისევე როგორც მომმართველი სასამართლო, იმ აზრზეა, რომ სამართლებრივი ნორმებიდან არ გამომდინარეობს განაკვეთურად და სრულად დასაქმებულთა მიმართ არათანაბარი მოპყრობა. უფრო მეტიც, მათ თანაბრად იცავენ შემოსავლის შემცირებისაგან, რომელიც გამომდინარეობს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში მათი მონაწილეობიდან.

25. როგორც ვეროპულმა სასამართლომ ამასთან დაკავშირებით განმარტა, არათანაბარი მოპყრობა მხოლოდ მაშინ არის სახეზე, როდესაც სამუშაო საათების თანაბარი რაოდენობის დროს სრული განაკვეთით დასაქმებულთათვის გადახდილი საერთო თანხა უფრო მეტია, ვიდრე განაკვეთურად დასაქმებულისა.

26. ამ შემთხვევაში არ არის სადავო, რომ სანარმოს საბჭოს განაკვეთურად მომუშავე წევრები სამუშაო საათების იმავე რაოდენობით მუშაობის შედეგად უფრო ნაკლებ ანაზღაურებას იღებენ, ვიდრე სრული განაკვეთით დასაქმებული წევრები იმ შემთხვევაში, როდესაც სანარმოს საბჭოს მუშაობისათვის აუცილებელი საკვალიფიკაციო კურსები სანარმოს სრული სამუშაო დროის განმავლობაში, მაგრამ მათი ინდივიდუალური სამუშაო დროის შემდეგ, ტარდება.

27. ამის საპირისპიროდ არ გამოდგება არგუმენტი, რომ სანარმოს საბჭოს წევრების დროის ხარჯვა ასეთ კურსებზე უშუალოდ სამუშაო ხელშეკრულებიდან არ გამომდინარეობს, რადგან საკმარისია ის, რომ დროის ასეთი დახარჯვა სამუშაო ხელშეკრულების საფუძველზე მოხდეს, რადგან ეს ანაზღაურების ცნების შესახებ 22-ე და 23-ე პუნქტებში გამოთქმული დასკვნების ფარგლებში ხდება.

28. თუ არსებობს არათანაბარი მოპყრობა, როგორც ეს ამ შემთხვევაშია, მაშინ განაკვეთურად დასაქმებულების გამორიცხვა გარკვეული ანაზღაურების მიღებისაგან, მუდმივი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ეწინააღმდეგება 119-ე მუხლს, როცა მამაკაცებთან შედარებით ქალების მნიშვნელოვნად უფრო ნაკლები პროცენტული რაოდენობაა დასაქმებული სრულ განაკვეთზე და ეს ღონისძიება — ქალი დასაქმებულებისათვის არსებული სირთულეების გათვალისწინებით, იმუშაონ სრულ განაკვეთზე — ვერ აიხსნება იმ ფაქტორებით, რომლებიც სქესის საფუძველზე დისკრიმინაციას გამორიცხავენ (1981 წლის 31 მარტის განაჩენები საქმეზე 96/80, *Jenkins*, 1981 წლის კრებული და 1986 წლის 13 მაისის საქმეზე 170/84, *Bilka*, 1986 წლის კრებული, 1607).

როგორც ეს წარმოდგენილი დადგენილებიდან გამომდინარეობს, შრომისა და სოციალური სტატისტიკის ოფიციალური მონაცემების 1991 წლის ივნისის ბოლოს განაკვეთურად დასაქმებულების 93,4%-ს შეადგენდნენ ქალები, ხოლო 6,6%-ს მამაკაცები. შრომის სამხარეო სასამართლომ წარმოადგინა მოსაზრება, რომ განაკვეთურად დასაქმებული

¹⁷¹ Judgment of the Court of 6 February 1996; Kuratorium für Dialyse und Nierentransplantation e.V. v Johanna Lewark; Case C-457/93; European Court reports 1996 Page I-00243.

მამაკაცებისა და ქალების ექსტრემალურად არათანაბარი რაოდენობრივი შეფარდების საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ ასევე ქალებისა და მამაკაცების წილი საწარმოს საბჭოს წევრებს შორის განაკვეთურად დასაქმებულთა შორისაც, როგორც მინიმუმ, ანალოგიური შეფარდებებით იარსებებდა.

30. რადგან ეს დებულებები საეჭვოდ არ იქნა მიჩნეული, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეროვნულ სასამართლო პროცესში სადავო სამართლებრივი ნორმების გამოყენებას, ძირითადად, ქალი დასაქმებულების არაპირდაპირ დისკრიმინაციამდე მივყავართ, რაც ეწინააღმდეგება ხელშეკრულების 119-ე მუხლსა და დირექტივას.

(3) პოზიტიური დისკრიმინაცია:

საქმე *Kalanke*¹⁷²:

22. ისეთი ეროვნული რეგულირება, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ქალებს (სამსახურში) დანიშვნისა ან წახალისებისას, არ უწყობს ხელს თანაბარი შანსების ჩამოყალიბებას და სცილდება დირექტივის მე-2 მუხლის მე-4 აბზაცით გათვალისწინებული გამონაკლისის საზღვრებს.

(...)

24. მომმართველი სასამართლოს შეკითხვაზე შესაბამისად პასუხი უნდა გაეცეს, რომ დირექტივის მე-2 მუხლის პირველი და მე-4 აბზაცებს ეწინააღმდეგება ისეთი ეროვნული რეგულირება, რომლითაც (...) ქალ კანდიდატებს ავტომატურად ენიჭებათ უპირატესობა თანაბარი კვალიფიკაციის მქონე განსხვავებული სქესის კანდიდატებს შორის იმის გამო, რომ წახალისონ ისინი იმ სფეროებში, რომელშიც ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილი.

საქმე *Marshall*¹⁷³:

25. იმ რეგულირებისაგან განსხვავებით, რომელიც *Kalanke*-ს განაჩენის საგანი იყო, ამ შემთხვევაში სადავო დებულება შეიცავს ერთ დათქმას, რომლის მიხედვითაც, ქალებს არ მიენიჭებათ უპირატესობა (სამსახურში დანიშვნისას), თუ მამაკაცი კანდიდატის პიროვნული თვისებები უფრო მისაღები იქნება („ღია დათქმა“).

(...)

26. უკანასკნელად დასახელებული ნორმით (ევროპული ეკონომიკური გაერთიანების 76/207 დირექტივის მე-2 მუხლის მე-4 აბზაცი) განსაზღვრული და შემოფარგლულია მიზანი, რომ ნება დართოს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც თითქოსდა დისკრიმინირებადია, რეალურად კი მიზნად ისახავს სოციალურ სინამდვილეში არსებული ფაქტობრივი უთანასწორობის აღმოფხვრასა და შემცირებას (1988 წლის 25 ოქტომბრის განაჩენი საქმეზე 312/86, *Commission v France*, 1988 წლის კრებული, 6315, 6336 შემდეგი, მე-15 პუნქტი, და განაჩენი საქმეზე *Kalanke*, მე-18 პუნქტი).

27. ამდენად, კარიერის დაწყებისა და წინსვლის სფეროებში დასაშვებია ისეთი ეროვნული ღონისძიებების გატარება, რომლებიც ქალებს უკეთეს მდგომარეობაში აყენებს და უუმჯობესებს მათ შესაძლებლობას, შრომის ბაზარზე სხვებთან კონკურენციაში ჩაებან და თანაბარი პირობების არსებობისას, მამაკაცების მსგავსად, პროფესიული კარიერა

¹⁷² Judgment of the Court of 17 October 1995; Eckhard Kalanke v Freie Hansestadt Bremen; Case C-450/93; European Court reports 1995 Page I-03051.

¹⁷³ Judgment of the Court of 11 November 1997; Hellmut Marshall v Land Nordrhein-Westfalen; Case C-409/95; European Court reports 1997 Page I-06363.

შეიქმნან (განაჩენი საქმეზე *Kalanke*, მე-19 პუნქტი).

28. როგორც ეს საბჭომ ქალებისათვის პოზიტიური ღონისძიებების ხელშეწყობის შესახებ 1984 წლის 13 დეკემბრის 84/635 რეკომენდაციაში აღნიშნა, არ არის საკმარისი „თანასწორუფლებიანობის სფეროში ერთეულების უფლებების დაცვისათვის მოქმედი სამართლებრივი ნორმები ყველა უთანასწორობის აღმოსაფხვრელად, თუ მთავრობები, სოციალური პარტნიორები და სხვა მონაწილე უწყებები ერთდროულად არ იმუშავენ, რათა შრომის სფეროში იბრძოლონ ქალების დისკრედიტაციის წინააღმდეგ, რაც წარმოდგენებით, ქცევის წესებითა და საზოგადოებრივი სტრუქტურებით არის გამოწვეული“ (განაჩენი *Kalanke*, მე-20 პუნქტი).

29. როგორც მოპასუხემ და რამდენიმე მონაწილე მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა, ნათელია, რომ თავად თანაბარი კვალიფიკაციისას არსებობს ტენდენცია, რომ მამაკაც კანდიდატებს ქალ კანდიდატებთან მიმართებით უპირატესობა მიენიჭოთ; ეს დამოკიდებულება, უპირველეს ყოვლისა, პროფესიულ საქმიანობაში ქალის როლისა და უნარის შესახებ ცრუ წარმოდგენებსა და სტერეოტიპებს ეფუძნება, ასევე, მაგალითად, შიშს იმისას, რომ ქალები თავის კარიერას უფრო იოლად შეწყვეტენ, რომ მათი სამუშაო დრო სახლისა და ოჯახური საქმეების გამო ნაკლებად მოქნილი შეიძლება იყოს ან მას ისინი ორსულობის, მშობიარობისა თუ შვილის ბუნებრივად კვების გამო უფრო ხშირად შეწყვეტენ.

30. ამის მიხედვით, მარტო ის ფაქტი, რომ განსხვავებული სქესის ორი კანდიდატი თანაბრად კვალიფიციურია, არ ნიშნავს იმას, რომ მათ თანაბარი შანსები აქვთ.

31. შედეგად, მე-2 მუხლის მე-4 აბზაცის მოქმედების სფეროში შესაძლოა მოექცეს ისეთი ეროვნული რეგულირება, რომლითაც თანაბარი კვალიფიკაციის მამაკაც კანდიდატებთან შედარებით ქალებს ღია დათქმის პირობით უპირატესობა მიენიჭებათ ისეთ სფეროებში, რომლებშიც ისინი ნაკლებად არიან წარმოდგენილნი, რადგან ასეთ რეგულირებას შეუძლია, წვლილი შეიტანოს იმ უარყოფითი შედეგების გათანაბრებაში, რომლებიც ზემოთ აღწერილი წარმოდგენებისა და ქცევის წესებიდან გამომდინარეობენ, და ამით მას შეუძლია, სოციალურ სინამდვილეში არსებული ფაქტობრივი უთანასწორობა შეამციროს.

32. რადგან მე-2 მუხლის მე-4 აბზაცი გამონაკლისია დირექტივაში ასახული ინდივიდუალური უფლებიდან, ქალი კანდიდატების თავისებურად წამახალისებელმა ამ ეროვნულმა ღონისძიებამ არ უნდა მიანიჭოს მათ აბსოლუტური და უპირობო უპირატესობა და ამ დებულებაში გათვალისწინებული გამონაკლისის საზღვრები არ უნდა გადაილახოს (განაჩენი საქმეზე – *Kalanke*, 21-ე-22-ე პუნქტები).

33. *Kalanke*-ს განაჩენში სადავო რეგულირების საწინააღმდეგოდ ისეთი ეროვნული რეგულირება, როგორც ეს ამ კონკრეტულ შემთხვევაშია და რომელიც შეიცავს ღია დათქმას, არ სცილდება დადგენილ საზღვრებს, როცა ის მამაკაც კანდიდატებს, რომლებიც ქალი კანდიდატების თანაბარ კვალიფიკაციას ფლობენ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვაკანსიაზე განაცხადების ობიექტურად განხილვის გარანტიას აძლევს. ამ დროს გათვალისწინებულ იქნება კანდიდატის პიროვნებისათვის დამახასიათებელი კრიტერიუმები და ქალი კანდიდატებისათვის მინიჭებული უპირატესობა არ იმოქმედებს, თუ ერთი ან რამდენიმე კრიტერიუმი მამაკაცი კანდიდატის სასარგებლოდ იქნება. თუმცა ამ კრიტერიუმებს ქალ კანდიდატებთან მიმართებით არ უნდა ჰქონდეთ დისკრიმინაციული ხასიათი.

ე) გამამართლებელი საფუძვლები:

საქმე *Brunnhofer Bank v. Der Oesterreichischen Postkasse AG*¹⁷⁴;

საქმის ფაბულა: მომჩივანი ჩივის რომ მოპასუხეს, რომელიც მამაკაცია, დამქირავებელი უფრო მაღალ ანაზღაურებას უხდის, ვიდრე მას. ორივე დასაქმებული კოლექტიური ხელშეკრულების საფუძველზე მოხვდა ერთსა და იმავე სახელფასო ჯგუფში. შესაბამისად, მომჩივანი ასკვნის აქედან, რომ ისინი თანაბარ ან თანაბარი ღირებულების სამუშაოს ეწეოდნენ. თუმცა მოპასუხეს ჰქონდა უფრო მეტი დანამატი, ვიდრე მომჩივანს. ამასთან, მომჩივანი მიმაგრებული იყო საზღვარგარეთთან მუშაობის განყოფილებასთან და გარკვეული სასწავლო დროის შემდეგ უნდა გამხდარიყო ამ განყოფილების უფროსი. მაგრამ პირადი და პროფესიული პრობლემების გამო ის არ დაინიშნა იქ და გადაყვანილ იქნა სამართლებრივ განყოფილებაში, ვიდრე საერთოდ მოპასუხე დაინიშნებოდა ამ დამსაქმებელთან. თუმცა იქაც ვერ გაამართლა იმედები და დაითხოვეს.

მოპასუხე აცხადებს, რომ რეალურად მათ ეძლეოდათ თანაბარი ხელფასი, ხოლო დანამატი განსხვავებული იყო, რაც ეყრდნობოდა ობიექტურ ფაქტორებს, კერძოდ იმას, რომ ის მნიშვნელოვან საქმიანობას ეწეოდა: ზრუნავდა მნიშვნელოვან კლიენტებზე და ჰქონდა ასევე მინდობილობა — დამსაქმებლის სახელით სავალდებულო თანხმობები გაეცა, მაშინ როდესაც მომჩივანი არ ზრუნავდა კლიენტებზე და არც ასეთი მინდობილობა ჰქონია. გარდა ამისა, მათი საქმიანობები ხარისხობრივად ბევრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან და მომჩივანის კარიერა ბევრად ადრე წავიდა უკან, ვიდრე მოპასუხე დაინიშნებოდა.

62. (...) დამსაქმებელს შეეძლო, განსხვავებული ანაზღაურება გამართლებინა **ობიექტური კრიტერიუმებით**, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო სქესის საფუძველზე დისკრიმინაციასთან, რომელშიც ის დაამტკიცებდა, რომ ქალთან შედარებით მამაკაცი კოლეგისათვის უფრო მეტი თვიური დანამატის გადახდა ემყარება სქესისაგან დამოუკიდებელ განსხვავებას.

საქმე *Jenkins v Kingsgate*¹⁷⁵;

10. (...) 119-ე მუხლი მიზნად ისახავს, უზრუნველყოს თანაბარ სამუშაოზე მამაკაცისა და ქალის თანაბარი ანაზღაურების პრინციპი. განსხვავებული მოპყრობის დროს, რაც ამ დებულების მიხედვით აკრძალულია, საკითხი შეეხება მხოლოდ იმას, რომ ეს დასაქმებულთა განსხვავებულ სქესს ემყარება. აქედან გამომდინარე, მხოლოდ ის ფაქტი, რომ განაკვეთურად დასაქმებულს სრულ განაკვეთზე დასაქმებულთან შედარებით უფრო ნაკლებ ხელფასს უხდიან, არ არის 119-ე მუხლით აკრძალული დისკრიმინაცია, თუ ეს საათობრივი ანაზღაურებები სქესისაგან დამოუკიდებლად ორივე ჯგუფის დასაქმებულებისათვის მოქმედებს.

11. თუ ასე (სქესის საფუძველზე) განსხვავებულად არ მოეპყრობიან, მაშინ ის გარემოება, რომ დროის მიხედვით ანაზღაურებადი სამუშაო განსხვავებულად ანაზღაურდება კვირის სამუშაო საათების მიხედვით, არ ეწინააღმდეგება ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლში ასახული თანაბარი ანაზღაურების პრინციპს, თუ **განაკვეთური და სრული სამუშაოს განსხვავებული ანაზღაურება იმ ფაქტორებს ეყრდნობა, რომლებიც ობიექტურადაა გამართლებული და არაფერი აქვთ საერთო სქესის საფუძველზე დისკრიმინაციასთან.** (...)

¹⁷⁴ Judgment of the Court of 26 June 2001; Case C-381/99, Susanna Brunnhofer and Bank der österreichischen Postsparkasse AG.

¹⁷⁵ იხ. 149-ე სქოლიო.

12. ეს შესაძლებელია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დამსაქმებელი იმით, რომ ის განაკვეთური სამუშაოსათვის უფრო ნაკლებ საათობრივ ანაზღაურებას იხდის, ვიდრე სრული სამუშაოსათვის, ობიექტურად გამართლებული ეკონომიკური საფუძვლებიდან გამომდინარე მიზანს ისახავს – დასაქმებულის სქესისაგან დამოუკიდებლად სრულ სამუშაო დროს მიმზიდველობა შესძინოს.

საქმე *Bilka v. Weber von Hartz*¹⁷⁶.

35. კომისიის შეხედულებით, არ არის საკმარისი, 119-ე მუხლის დარღვევის გამორიცხვა მხოლოდ იმით, რომ დამსაქმებელი სახელფასო პოლიტიკით სხვა მიზანს ისახავს, ვიდრე ქალების დისკრიმინაციას, რომელსაც საბოლოოდ ქალ დასაქმებულს აყენებს უფრო ცუდ მდგომარეობაში. როგორც ევროპულმა სასამართლომ 1981 წლის 31 მარტის განაჩენში დაადგინა, დამსაქმებელმა ასეთი სახელფასო პოლიტიკა ამ დებულების თვალსაზრისით რომ გააძარტლოს, უნდა მოიყვანოს ობიექტურად გამართლებული ეკონომიკური საფუძვლები, რაც მისი სანარმოს გაძლოლასთან იქნება დაკავშირებული. შემდგომ, სადავო სახელფასო პოლიტიკა იმის მიხედვით უნდა განიხილებოდეს, არის თუ არა ის დამსაქმებლის მიერ დასახული მიზნებისათვის აუცილებელი და პროპორციული.

36. მომმართველი სასამართლოს საქმეა, — რომელიც არის საქმის შემადგენლობის განხილვაზე კომპეტენტური, — დაადგინოს, არის თუ არა და რამდენად შეიძლება იყოს ის საფუძვლები ობიექტურად გამართლებული ეკონომიკური საფუძვლები, რომლებიც, მართალია, დასაქმებულის სქესისაგან დამოუკიდებლად გამოიყენება, თუმცა შედეგად ქალებს უფრო მეტად შეეხება, ვიდრე მამაკაცებს. თუ მომმართველი სასამართლო დაადგენს, რომ მოპასუხის მიერ არჩეული მეთოდები სანარმოს ნამდვილ მოთხოვნებს ემსახურებიან და ამ მიზნის მისაღწევად გამოსადეგი და აუცილებელია, მაშინ გარემოება, რომ ეს ღონისძიება არსებითად მეტი რაოდენობის ქალს შეეხება, ვიდრე მამაკაც დასაქმებულს, არ არის საკმარისი იმის დასადგენად, რომ ის წინააღმდეგობაში მოდის 119-ე მუხლთან.

საქმე *Rinner Kuehn FWW v. Spezial Genaeudereinigung*¹⁷⁷.

14. (...) თუ წევრ სახელმწიფოს ამის საწინააღმდეგოდ შეუძლია წარმოადგინოს, რომ შერჩეული მეთოდები მისი სოციალური პოლიტიკის აუცილებელ მიზანს ემსახურებიან და ამ მიზნის მისაღწევად გამოსადეგი და აუცილებელია, მაშინ მხოლოდ იმ გარემოებით, რომ კანონის დებულებები, არსებითად, მეტი რაოდენობის ქალს შეეხება, ვიდრე მამაკაც დასაქმებულებს, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს 119-ე მუხლის დარღვევად.

გენერალური ადვოკატი საქმეზე *Johanna Lewark*¹⁷⁸:

ევროპული სასამართლოს მუდმივი პრაქტიკის მიხედვით, მომმართველ სასამართლოს, რომელიც არის მხოლოდ კომპეტენტური საქმის შემადგენლობის განხილვასა და შიდასახელმწიფო სამართლის განმარტებაზე, ეკისრება ვალდებულება, დაადგინოს, არის თუ არა და თუ არის, მაშინ რამდენადაა გამართლებული ობიექტური საფუძვლებით კანონის რეგულირება, რომელიც, მართალია, დასაქმებულის სქესისაგან დამოუკიდებლად მოქმედებს, მაგრამ შედეგად ქალებს უფრო მეტად შეეხება, ვიდრე მამაკაცებს და ამ ობიექტურ საფუძვლებს არ გააჩნიათ არაფერი საერთო სქესის საფუძველზე დისკრიმინაციასთან (განაჩენები საქმეებზე 171/88, *Rinner Kuehn* (1989 წლის კრებული

¹⁷⁶ Judgment of the Court of 13 May 1986; *Bilka - Kaufhaus GmbH v Karin Weber von Hartz*; Case 170/84; European Court reports 1986 Page 01607.

¹⁷⁷ იხ. 157-ე სქოლიო.

¹⁷⁸ Schuetz, Bruha, Koenig; Casebook Europarecht, 2004, გვ. 824.

2734), მე-15 პუნქტი და 170/84, *Bilka* (1986 წლის კრებული, 1607) 36-ე პუნქტი).

თუმცა ევროპულმა სასამართლომ გამართლების საკითხთან დაკავშირებით გარკვეული პრინციპები დაადგინა. მან როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალურ-პოლიტიკური საფუძვლები ობიექტურად გამართლებულად აღიარა. მისი პრაქტიკის მიხედვით, ობიექტურად გამართლებულმა საფუძვლებმა — თუ ისინი სანარმოს მოთხოვნებიდან და მიზნებიდან გამომდინარეობენ — სხვადასხვა კრიტერიუმი უნდა მოიცვას, როგორებიცაა: დასაქმებულის მოქნილობა, სამუშაო დროზე და ადგილთან მორგების შესაძლებლობა, მისი განათლება, ან მისი სანარმოში მუშაობის გამოცდილების ხანგრძლივობა (განაჩენი საქმეზე 109/88, *Handeks OG Kontorfunktionaerernes Forbund v. Denmark*, 1989 წლის კრებული, 3199, 22-ე-24-ე პუნქტები). საქმეში – *Enderby* – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა: ობიექტურად გამართლებული ეკონომიკური საფუძვლები შრომის ბაზრის მდგომარეობაზე არის დამოკიდებული. შრომის ბაზარმა დამსაქმებელი შეიძლება მიიყვანოს იმ მდგომარეობამდე, რომ გარკვეული საქმიანობისათვის ანაზღაურება გაზარდოს კანდიდატების მოზიდვის მიზნით (განაჩენი საქმეზე C-172/92, *Endebry*, 1993 წლის კრებული, I-5535, 26-ე პუნქტი). ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ ეროვნულმა უწყებებმა გაერთიანების სამართლის გამოყენებისას პროპორციულობის პრინციპი უნდა დაიცვან. აქედან გამომდინარე, ეროვნულმა სასამართლომ, სადაც მან შეძლო განესაზღვრა, რომ საბაზრო მდგომარეობის გამო მოხდა გასამრჯელოს გაზრდა, უნდა მიიჩნიოს ანაზღაურების მომატება გამართლებულად (განაჩენი საქმეზე *Endebry*, 27-ე პუნქტი).

(...)

ობიექტურად გამართლების თვალსაზრისით, ევროპული სასამართლო პრაქტიკიდან შეიძლება შემდეგი დასკვნები გამოვიტანოთ: დადგენილია, რომ, თუ ღონისძიება ერთი სქესის დასაქმებულების არსებითად მეტ რაოდენობას შეეხება, ვიდრე მეორეს, მაშინ მტკიცების ტვირთი იმისა, რომ არათანაბარი მოპყრობა ობიექტური მიზნებით გამართლებულია, მას აწევს, ვინც ასეთი ობიექტური გამამართლებელი საფუძვლების არსებობაზე აკეთებს აპელირებას. ჩვეულებრივ შემთხვევაში ეს არის კონკრეტული შემთხვევის გარემოებებიდან გამომდინარე – ან დამსაქმებელი, ან წევრი სახელმწიფო. მიუხედავად იმისა, რომ ევროპულ სასამართლოს შეუძლია, ძირითადი პრინციპები გადმოსცეს, ხშირად იმის დადგენა, პროპორციულობის პრინციპის დაცვით გამართლებულია თუ არა კონკრეტული შემთხვევის გარემოებების მიხედვით მამაკაცებისა და ქალების არაერთგვაროვანი მოპყრობა, ეკისრება ეროვნულ სასამართლოს. თუმცა ევროპულ სასამართლოს შეუძლია, გარკვეული მოსაზრებით, თავად უარყოს, როდესაც ეს, როგორც მან საქმეში – *Rinner Kuehn and Nimz* — დაადგინა, საბოლოოდ ეხება საყოველთაო მოსაზრებებს დასაქმებულების გარკვეულ კატეგორიაზე, ან როდესაც ეს ამკარად არაღამაჯერებელია და მისი შეფასება ცალკეული შემთხვევის განსაკუთრებულ გარემოებებზე არ არის დამოკიდებული, რაც მხოლოდ ეროვნულ სასამართლოს შეუძლია გააკეთოს.

გარდა ამისა, ჩემი აზრით, შესაძლოა, ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ საფუძვლებს შორის განსხვავებულ იქნეს. მაშინ როდესაც ეკონომიკური საფუძვლებით გამართლებას საჭიროებს მამაკაცებისა და ქალების მიმართ განსხვავებული მოპყრობა, როგორც წესი, აუცილებელია, განხილულ იქნეს ცალკეული შემთხვევის განსაკუთრებული გარემოებები, ამავე დროს, გასათვალისწინებელია ბაზრის მოთხოვნები და შესაბამისი დამსაქმებლის მოთხოვნებიც. ხოლო მაშინ, როდესაც განსხვავებული მოპყრობა უშუალოდ ეროვნული სამართლებრივი ნორმებიდან მომდინარეობს და მათი გამართლებისათვის სოციალურ-პოლიტიკური საფუძვლებია მოყვანილი, ნაკლებად მოსალოდნელია,

შესაბამისი დასაქმებულისა და დამსაქმებლის განსაკუთრებულ მდგომარეობას გადამწყვეტი ზეგავლენა ჰქონდეს. ასეთ შემთხვევაში ევროპულმა სასამართლომ შესაძლებელია ეროვნულ სასამართლოს უფრო ზუსტი მითითებები მისცეს.

საქმე *Kathleen Hill and Ann Stapleton*¹⁷⁹:

40. გამამართლებელ ეკონომიკურ საფუძვლებთან დაკავშირებით უნდა დადგინდეს, რომ დამსაქმებელს (აქ: ირლანდიის სახელმწიფო) არ შეუძლია სამუშაო ადგილების გადანაწილების რეგულირების დისკრიმინაციული ხასიათი გამართლოს მხოლოდ იმით, რომ ასეთი დისკრიმინაციის აღმოფხვრა მას დამატებით ხარჯებს წარმოუქმნიდა (შეადარეთ, ასევე, საქმე C-343/92, *Rocks* და სხვები, 1994 წლის კრებული, I-571, 600, 34-ე-36-ე პუნქტები).

ვ) სამართლებრივი შედეგები:

საქმე *Kowalska*¹⁸⁰:

17. მეორე კითხვა ეხება შედეგებს, რომლებიც დგება, — განსაკუთრებით, სატარიფო ხელშეკრულების მხარეების ავტონომიურობის თვალსაზრისით, — როცა მომართველი სასამართლო დაადგენს ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლთან ეროვნული დებულების შეუთავსებლობას, როგორც წარმოდგენილი სატარიფო შეთანხმების დათქმაა (შეეხება გარდამავალ თანხას სამუშაო ხელშეკრულებიდან გამოსვლის გამო).

18. როგორც ევროპულმა სასამართლომ 1976 წლის 8 აპრილის განაჩენში საქმეზე – 43/75 (*Defrenne II*) – გადაწყვიტა, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლი საკმარისად განსაზღვრულია, რათა შესაბამისმა პირმა შეძლოს შიდასახელმწიფო სასამართლოში ამ დებულების გამოყენების მოთხოვნა, ისე, რომ სასამართლო ეროვნულ სამართლებრივ ნორმებს, სატარიფო ხელშეკრულების რეგულირებების ჩათვლით, რომლებიც 119-ე მუხლთან შეუსაბამობაშია, არ გამოიყენებს.

19. 1989 წლის 13 დეკემბრის განაჩენიდან საქმეზე – C-102/88 (*Ruzious Wilbrink*, 1989 წლის კრებული, 4311) – გამომდინარეობს, რომ არაპირდაპირი დისკრიმინაციის შემთხვევაში დისკრიმინირებული ჯგუფის წევრებს, იქნებიან ესენი მამაკაცები თუ ქალები, მათი საქმიანობის მოცულობის შესაბამისად, აქვთ უფლება, სხვა დასაქმებულთა მსგავსად მოითხოვონ ერთნაირი რეგულირების გამოყენება, ეს მოქმედებს ასევე სატარიფო ხელშეკრულებებში არსებული დისკრიმინირებადი რეგულირებებისათვის.

საქმე *Coloroll Pension Trustees*¹⁸¹:

30. კითხვის მეორე ნაწილთან მიმართებით, რომელიც შეეხება თანასწორუფლებიანობის აღდგენის მეთოდებს, უნდა მიეთითოს იმაზე, რომ ევროპულმა სასამართლომ პროგრესის გზაზე 119-ე მუხლსა და შრომის პირობების დაახლოებასთან დაკავშირებით დასახლებული განაჩენის *Defrenne* მე-15 პუნქტში ეროვნული სასამართლო პროცესის კონტექსტში, რომელიც ხელფასის მიხედვით დისკრიმინაციისას შეეხებოდა ანაზღაურების

¹⁷⁹ Judgment of the Court (Sixth Chamber) of 17 June 1998; *Kathleen Hill and Ann Stapleton v The Revenue Commissioners and Department of Finance*; Case C-243/95; European Court reports 1998 Page I-03739.

¹⁸⁰ Judgment of the Court (Sixth Chamber) of 27 June 1990; *Maria Kowalska v Freie und Hansestadt Hamburg*; Case C-33/89; European Court reports 1990 Page I-02591.

¹⁸¹ Judgment of the Court of 28 September 1994; *Coloroll Pension Trustees Ltd v James Richard Russell, Daniel Mangham, Gerald Robert Parker, Robert Sharp, Joan Fuller, Judith Ann Broughton and Coloroll Group plc.*; Case C-200/91; European Court reports 1994 Page I-04389.

მოთხოვნის უფლებას, ის მოსაზრება უარყო, რომ ამ მუხლის გამოყენება დაბალი ხელფასებისა და გასამრჯელოების გაზრდის გარდა სხვა გზით არ შეიძლებოდა.

31. შემდგომ ევროპულმა სასამართლომ 1991 წლის 7 თებერვლის განაჩენში საქმეზე – C-184/89 (Minz, 1991 წლის კრებული, I-297, მე-18-მე-20 პუნქტები) აღნიშნა, რომ ეროვნული სასამართლოები მონოდებულნი არიან, არ გამოიყენონ არც ერთი ეროვნული დისკრიმინირებადი დებულება, ისე, რომ არ უნდა მოითხოვონ მათი წინასწარი აღმოფხვრა სატარიფო შეთანხმებებისა თუ რაიმე საკონსტიტუციოსამართლებრივი პროცედურის მეშვეობით და არ უნდა დაელოდონ მათ; დისკრიმინირებული ჯგუფის წევრების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს ანალოგიური რეგულირება, როგორც ეს სხვა დასაქმებულებისათვის მოქმედებს, ამასთან, რეგულირების ეს წესი მანამ, სანამ ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 119-ე მუხლი შიდასახელმწიფოებრივ სამართალში არ არის წესისამებრ აღსრულებული, ერთადერთ მოქმედ საყრდენ სისტემად რჩება.

32. როგორც კი ევროპულმა სასამართლომ ანაზღაურების სფეროში დისკრიმინაცია დაადგინა და მანამ, სანამ საპენსიო სისტემის ფარგლებში თანასწორუფლებიანობის აღდგენისათვის ღონისძიებები არ არის მიღებული, 119-ე მუხლის დაცვა შესაძლებელია, მხოლოდ იმით იქნეს უზრუნველყოფილი, რომ დისკრიმინირებული ჯგუფის წევრებს მიეცემათ ისეთივე მატერიალური ანაზღაურება, როგორც პრივილეგირებული ჯგუფის წევრებს აქვთ.

33. სხვა რამ მოქმედებს დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ ნორმების ძალაში შესვლის შემდეგ დადგენილ სამუშაო საათებთან მიმართებით, რადგან ღონისძიებები, რომლებითაც აღდგება თანაბარუფლებიანობა მანამდე პრივილეგირებული პირებისათვის მატერიალური სიკეთეების შეზღუდვის გზით, არ ეწინააღმდეგება 119-ე მუხლს. 119-ე მუხლი მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ მამაკაცები და ქალები თანაბარ სამუშაოზე თანაბარ ანაზღაურებას იღებდნენ, ისე, რომ ანაზღაურების რაიმე რაოდენობას არ ადგენს.

3. საყოველთაო თანასწორობის პრინციპი როგორც საყოველთაო სამართლებრივი პრინციპი

ა) საკუთარი მოქალაქეების დისკრიმინაცია:

ევროკავშირის სამართალი არ არეგულირებს წმინდა შიდასახელმწიფოებრივ შემთხვევებს. აღნიშნულს განეკუთვნება, მაგალითად, ისეთი კაზუსები, რომელთა დროსაც საზღვრის გადაკვეთის ელემენტი არ არის სახეზე. ასეთ შემთხვევებში ევროკავშირის სამართალი პირდაპირ არ არეგულირებს სახელმწიფოსა და მის მოქალაქეს შორის ურთიერთობას დისკრიმინაციის თვალსაზრისიდან გამომდინარეც. საკუთარი მოქალაქის მიმართ, რომლის მოქმედება არ ექცევა ევროკავშირის სამართლის მოქმედების სფეროში, დისკრიმინაციის პირდაპირი აკრძალვა ევროკავშირის სამართალში არ არსებობს, რადგან ამ საკითხს სახელმწიფოსა და მის მოქალაქეს შორის ურთიერთობისას აღნიშნული სამართალი ზოგადად განიხილავს სახელმწიფოს შიდა საქმედ.

საქმე *Vilker Steen v. Deutsche Bundespost*¹⁸²:

საქმის ფაბულა: მომჩივანს, რომელიც მოპასუხესთან დანიინაურებულ იქნა ტექნიკურ სამსახურში, არ უნდოდა გამხდარიყო მოხელე, რადგან მას ამ შემთხვევაში უფრო დაბალი ანაზღაურება ექნებოდა. მაშინ მოპასუხემ იგი რანგით უფრო დაბალ თანამდებობაზე დანიშნა, რამაც მომჩივნის უკმაყოფილება გამოიწვია. მაშინდელი კანონმდებლობის მიხედვით, სამოხელეო თანამდებობები მხოლოდ გერმანიის მოქალაქეებს შეეძლოთ დაეკავებინათ. მომჩივანი აცხადებდა, რომ მის, როგორც გერმანელი მოქალაქის, მიმართ დისკრიმინაციულად მოქმედებდა ის რეგულირება, რომ მას უნდა მიეღო მოხელის რანგში უფრო ნაკლებანაზღაურებადი სამსახური, მაშინ, როდესაც ანალოგიური სამსახური უცხოელს შეეძლო დაეკავებინა შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. მომჩივანი ეყრდნობოდა ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-7 და 48-ე მუხლების ნორმებს.

9. **დისკრიმინაციის პრობლემა**, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 48-ე მუხლის მიხედვით, **წარმოჩნდება წევრი სახელმწიფოს მიდგომით სხვა წევრი სახელმწიფოს იმ მოქალაქის დასაქმებასთან, რომლებსაც სურთ პირველად დასახელებულ სახელმწიფოში მუშაობა. მუდმივი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, (...) თავისუფლად გადაადგილების შესახებ ხელშეკრულების დებულებები არ გამოიყენება იმ საქმიანობებზე, რომელთა ელემენტები წევრი სახელმწიფოს საზღვრებს არ სცდება; არის თუ არა ეს ასეთი შემთხვევა, დამოკიდებულია ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელნიც ეროვნულმა სასამართლომ უნდა განიხილოს.**

10. მომმართველი სასამართლოს მიერ წარმოდგენილი დადგენილებით მიღებული დებულებები შეეხება სამართლებრივ დავას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ფოსტის სამსახურში დანიშვნის შესახებ გერმანიის ფედერალურ ფოსტასა და გერმანიის მოქალაქეს შორის, რომელსაც არ გამოუყენებია გაერთიანების შიგნით თავისუფლად გადაადგილების უფლება.

11. საქმის ასეთი შემადგენლობა არაფერს გვთავაზობს ისეთს, რითაც გაერთიანების სამართლის მიერ მოცული საკითხები კავშირში იქნებოდა დასაქმებულების თავისუფლად გადაადგილების სფეროსთან.

12. ამიტომ წარმოდგენილ შეკითხვებზე პასუხი უნდა გაეცეს, რომ წევრი სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელსაც არასოდეს უსარგებლია გაერთიანების შიგნით თავისუფლად გადაადგილების უფლებით, საქმის შემადგენლობის თვალსაზრისით, არ შეუძლია დაეყრდნოს ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-7 და 48-ე მუხლებს.

გაერთიანებული საქმეები *Morson and Jhanhan v. Netherlands*¹⁸³:

15. თუმცა ნათელია, რომ დასახელებული დებულებები შეიძლება მოყვანილ იქნეს, თუ შესაბამისი საქმის შემადგენლობა გაერთიანების სამართლის მოქმედების სფეროში ექცევა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში გაერთიანების შიგნით დასაქმებულის თავისუფლად გადაადგილების სფეროში. ეს დასკვნა გამომდინარეობს არა მხოლოდ ამ მუხლის შემადგენლობიდან, არამედ შესაბამება ასევე მის მიზანს, კერძოდ, ნვლილი შეიტანოს საერთო ბაზრის შექმნისათვის ყველა დაბრკოლების აღმოფხვრაში, რომელშიც წევრი

¹⁸² Judgment of the Court (Second Chamber) of 28 January 1992; Volker Steen v Deutsche Bundespost. Case C-332/90; European Court reports 1992 Page I-00341.

¹⁸³ Judgment of the Court of 27 October 1982; Elestina Esselina Christina Morson v State of the Netherlands and Head of the Plaatselijke Politie within the meaning of the Vreemdelingenwet; Sweradjie Jhanjan v State of the Netherlands; Joined cases 35 and 36/82; European Court reports 1982 Page 03723.

სახელმწიფოების მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა, ამ სახელმწიფოების სუვერენულ ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილდნენ ეკონომიკურად დასაქმების მიზნით.

16. აქედან გამომდინარეობს, რომ დასაქმებულების თავისუფლად გადაადგილების თაობაზე ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების ნორმები და მათი აღსრულებისათვის მიღებული რეგულირებები ვერ გამოიყენება საქმეების ისეთ შემადგენლობებზე, რომლებსაც არ აქვთ შეხების წერტილები საქმის შემადგენლობასთან, რომელსაც გაერთიანების სამართალი ემყარება.

17. ეს დანამდვილებით ხდება იმ დასაქმებულებთან მიმართებით, რომლებსაც არასოდეს უსარგებლიათ გაერთიანების ფარგლებში თავისუფლად გადაადგილების უფლებით.

საქმე *Hurd v. Jones*¹⁸⁴:

56. ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-7 მუხლზე დაყრდნობით ნევრ სახელმწიფოს არ შეიძლება აეკრძალოთ, სხვა ნევრი სახელმწიფოს მოქალაქეებთან შედარებით უფრო არახელსაყრელი საგადასახადო რეგულირება გაავრცელონ საკუთარ მოქალაქეებზე, როდესაც ისინი მის ტერიტორიაზე განლაგებული ევროპული სკოლის სასწავლო დაწესებულების ნევრები არიან.

გაერთიანებული საქმეები *Land Nordrhein-Westfalen*¹⁸⁵:

23. ამასთან, უნდა დადგინდეს, რომ ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების მე-8 მუხლით გათვალისწინებული საკავშირო მოქალაქეობა არ ისახავს მიზნად, ხელშეკრულების მოქმედების სფერო ისეთ შიდა შემადგენლობებზე განავრცოს, რომლებსაც არ აქვთ შეხება გაერთიანების სამართალთან (...). ისეთი დისკრედიტაცია, რომელსაც შეიძლება დაექვემდებარონ ნევრი სახელმწიფოს მოქალაქეები ამ სახელმწიფოს სამართლის მიხედვით, მისი მოქმედების სფეროში ექცევიან და, ამდენად, ამ სახელმწიფოს შიდასამართლებრივი სისტემის ფარგლებში უნდა გადაწყდეს მათი საკითხი.

საქმე *J.Knoors Staatssecretaris van Economische Zaken*¹⁸⁶:

საქმის ფაბულა: ნიდერლანდების მოქალაქე დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა ბელგიაში. თავდაპირველად დასაქმებული იყო ის, როგორც დაქირავებული, საინსტალაციო ფირმაში და შემდგომ დამოუკიდებლად ეწეოდა ასეთ მომსახურებებს. მან მოქალაქეობის ქვეყნისაგან მოითხოვა ნებართვის გაცემა, რათა თავის მოქალაქეობის სახელმწიფოში განეხორციელებინა ეს საქმიანობა, რაზეც კომპეტენტური უწყებებისაგან უარი მიიღო. უარი ეფუძნებოდა იმას, რომ მას, ნიდერლანდების სამართლებრივი ნორმების მიხედვით, არ ჰქონდა შესაბამისი კვალიფიკაცია. ამასთან, ამ ორგანოების მოსაზრებით, მას, როგორც ნიდერლანდების მოქალაქეს, არ შეეძლო დაყრდნობოდა ევროგაერთიანების დირექტივას, რომლის მიხედვითაც პირი, თუკი ერთ ნევრ სახელმწიფოში ლეგალურად ეწეოდა გარკვეულ ეკონომიკურ საქმიანობას, სხვა ნევრი სახელმწიფო ვალდებულია, აღიაროს მისი კვალიფიკაცია და დაუშვას იგი ასეთი საქმიანობის განსახორციელებლად საკუთარ სუვერენულ ტერიტორიაზეც. ამ დავაში ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ნიდერლანდების მოქალაქესაც შეეძლო დაყრდნობოდა დირექტივის დებულებებს და ნიდერლანდები ვალდებული იყო, ელიარებინა მისი კვალიფიკაცია.

¹⁸⁴ Judgment of the Court of 15 January 1986; Derrick Guy Edmund Hurd v Kenneth Jones (Her Majesty's Inspector of Taxes); Case 44/84; European Court reports 1986 Page 00029.

¹⁸⁵ Judgment of the Court (Third Chamber) of 5 June 1997; Land Nordrhein-Westfalen v Kari Uecker and Vera Jacquet v Land Nordrhein-Westfalen; Joined cases C-64/96 and C-65/96; European Court reports 1997 Page I-03171.

¹⁸⁶ Judgment of the Court of 7 February 1979; J. Knoors v Staatssecretaris van Economische Zaken; Case 115/78; European Court reports 1979 Page 00399.

24. მართალია, დაფუძნებისა და მომსახურების განვეის შესახებ ხელშეკრულების დებულებები წმინდა შიდასახელმწიფოებრივ შემადგენლობებზე არ გამოიყენება, თუმცა 52-ე მუხლით აბელირება „წვერი სახელმწიფოს მოქალაქეობაზე“, რომელსაც „სხვა წვერი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე“ სურს დაფუძნდეს, არ უნდა განიმარტოს ისე, რომ წვერი სახელმწიფოს მოქალაქეებზე არ მოქმედებს გაერთიანების სამართალი, თუ ისინი წარმოშობის ქვეყანასთან ისეთსავე მდგომარეობაში არიან, როგორც ყველა სხვა პირი ხელშეკრულებით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების თვალსაზრისით და თუ ეს მდგომარეობა გამონვეულია იმით, რომ მოქალაქეები სხვა წვერი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე იყვნენ დაფუძნებულები და იქ გაერთიანების სამართლით აღიარებული პროფესიული კვალიფიკაცია მიიღეს.

საქმე *The Queen Immigration Appeal Tribunal and Surinder Singh*¹⁸⁷:

საქმის ფაბულა: ინდოეთის მოქალაქე დაქორწინდა 1982 წელს დიდ ბრიტანეთში ბრიტანელზე. 1983 წლიდან 1985 წლამდე მეუღლეები გერმანიაში იყვნენ დასაქმებულები დაქირავებით სამუშაოზე. ამის შემდეგ ისინი დაბრუნდნენ დიდ ბრიტანეთში, რათა მალაზია გაეხსნათ. მას შემდეგ, რაც 1987 წელს დროებითი გაყრის განაჩენი იქნა გამოცემული, ინდოელ მეუღლეს მოსთხოვეს დიდი ბრიტანეთის დატოვება. მას შემდეგ, რაც მან ეს არ გააკეთა, გამოსცეს დეპორტაციის განკარგულება, რომლის გამოც მან სარჩელი შეიტანა. ეროვნულმა სასამართლომ ევროპულ სასამართლოს მიმართა შეკითხვით, ანიჭებდა თუ არა ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 52-ე მუხლი და ევროპული ეკონომიკური გაერთიანების 73/148 დირექტივა მომჩივანს უფლებას, როგორც ბრიტანეთის მოქალაქის მეუღლეს, რომელიც სხვა წვერი სახელმწიფოდან დიდ ბრიტანეთში დაბრუნდა, რათა იქ მალაზია გაეხსნა, დარჩენილიყო დიდ ბრიტანეთში. ბრიტანეთის მთავრობა აცხადებდა, რომ კონკრეტულ შემთხვევაზე გაერთიანების სამართალი არ მოქმედებდა.

19. წვერი სახელმწიფოს მოქალაქეს შეეძლო, თავი შეეკავებინა თავისი წარმოშობის ქვეყნის დატოვებისაგან სხვა წვერი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მიხედვით დამოუკიდებელი თუ დაქირავებული საქმიანობის განვეის მიზნით იმ შემთხვევაში, თუ ის მისი მოქალაქეობის წვერი სახელმწიფოში დაბრუნებისას, იმ მიზნით, რომ დამოუკიდებელი თუ დაქირავებული საქმიანობა განახორციელოს, ვერ ისარგებლებდა შემოსვლის ან დარჩენისას იმ შეღავათებით, რომლებიც, სულ მცირე, თანაბარია იმ შეღავათებისა, რომლებიც მათ აქვთ ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულებით ან მეორადი სამართლით სხვა წვერი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე.

20. იგი თავს შეიკავებდა ასევე, განსაკუთრებით, მაშინ, თუ მის მეუღლეს და მის ბავშვებს არ ექნებოდათ ნებართვა, ამ სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე იმ პირობებით შემოსულიყვნენ და იქ დარჩენილიყვნენ, თუ, სულ მცირე, თანაბარი იქნებოდა იმ პირობებისა, რომლებსაც გაერთიანების სამართალი სხვა წვერი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე ანიჭებს მათ.

21. აქედან გამომდინარეობს, რომ წვერი სახელმწიფოს მოქალაქე, რომელიც სხვა წვერი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე შევიდა, რათა იქ, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 48-ე მუხლის თანახმად, დამოუკიდებელი საქმიანობა განახორციელებინა, და ბრუნდება, რათა თავისი მოქალაქეობის წვერი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე დაფუძნდეს და დამოუკიდებელი საქმიანობა

¹⁸⁷ Judgment of the Court of 7 July 1992; *The Queen v Immigration Appeal Tribunal et Surinder Singh*, ex parte Secretary of State for Home Department; Case C-370/90; European Court reports 1992 Page I-04265.

განახორციელოს, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 52-ე მუხლის მიხედვით, უფლება აქვს, ამ უკანასკნელად დასახელებული სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე თავის მეუღლესთან ერთად, რომელიც მესამე სახელმწიფოს მოქალაქეობას ფლობს, 1612/68 დირექტივით, 68/360 ან 73/148 დირექტივებით გათვალისწინებული პირობებით ერთად იცხოვროს.

22. მართალია, ერთი წევრი სახელმწიფოს მოქალაქის შემოსვლასა და ყოფნას ამ სახელმწიფოში, როგორც ამას გაერთიანებული სამეფო აცხადებს, განაპირობებს მისი მოქალაქეობიდან გამომდინარე უფლებები და არა ის უფლებები, რომლებსაც გაერთიანება მას ანიჭებს. განსაკუთრებით სახელმწიფოს, როგორც ეს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-4 ოქმის მე-3 მუხლშია გათვალისწინებული, არ შეუძლია, საკუთარი მოქალაქე გააძევოს თავისი სუვერენული ტერიტორიიდან, ან უარი უთხრას შემოსვლაზე.

23. ამ შემთხვევაში საქმე შეეხება არა ეროვნულ სამართალს, არამედ თავისუფლად გადაადგილებისა და დაფუძნების უფლებას, რომელსაც გაერთიანების მოქალაქეს ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 48-ე და 52-ე მუხლები ანიჭებენ. ეს უფლებები ვერ იმოქმედებდნენ სრულად, თუ გაერთიანების მოქალაქე თავს შეიკავებდა მათი განხორციელებისაგან იმ დაბრკოლებების გამო, რომლებიც მისი წარმოშობის ქვეყანაში არსებობენ მისი მეუღლისათვის ამ სახელმწიფოში შესვლისას და იქ დარჩენისას. ამ საფუძვლიდან გამომდინარე, გაერთიანების მოქალაქის მეუღლეს, რომელმაც ეს უფლებები გამოიყენა, უნდა ჰქონდეს მისი (გაერთიანების მოქალაქის) წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისას, სულ მცირე, შესვლისა და იქ დარჩენის ისეთივე უფლებები, რომელთაც გაერთიანების სამართალი მას მიანიჭებდა იმ შემთხვევაში, თუ მისი მეუღლე სხვა წევრ სახელმწიფოში შევიდოდა ან ამ წევრ სახელმწიფოში დარჩებოდა. გარდა ამისა, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 48-ე და 52-ე მუხლების საფუძველზე წევრ სახელმწიფოებს არ ერთმევათ უფლება, საკუთარი მოქალაქეების უცხოელ მეუღლეებზე შემოსვლისა და დარჩენის დამარეგულირებელი ისეთი დებულებები გამოიყენონ, რომლებიც მათ უფრო მეტ უფლებებს ანიჭებთ, ვიდრე გაერთიანების სამართალი.

საქმე *Mary Carpenter v. Secretary of State for the Home Department*¹⁸⁸;

საქმის ფაბულა: ქალბატონი კარპენტერი, რომელიც ფილიპინების მოქალაქე იყო, დიდ ბრიტანეთში არალეგალურად იმყოფებოდა, ვიდრე ის 1996 წელს პიტერ კარპენტერზე არ დაქორწინდა. ეს უკანასკნელი ბრიტანეთის მოქალაქე იყო. მას სარეკლამო სააგენტო დიდ ბრიტანეთში ჰქონდა. საქმის მნიშვნელოვან ნაწილს იგი სხვა წევრი სახელმწიფოების კლიენტებთან აწარმოებდა, რომლებთანაც ბატონი კარპენტერი ხშირად მიემგზავრებოდა. ქალბატონი კარპენტერის მიერ გაკეთებული განაცხადი ყოფნის უფლების მინიჭების შესახებ უარყოფილ იქნა 1996 წელს, და მას დაემუქრა გაძევება. აღნიშნული გაასაჩივრა მან. ის აცხადებდა, რომ მისი მეუღლე მომსახურების განევის თავისუფლებას იყენებდა და ეყრდნობოდა ქვეყანაში შემოსვლისა და ყოფნის მეორად სამართალს – ევროპული ეკონომიკური გაერთიანების 73/148 დირექტივას. მოპასუხე უწყება და კომისია კი ედავებოდნენ, რომ ეს შეეხებოდა შიდა შემადგენლობას, რადგან ბატონი კარპენტერი თავის ოჯახთან ერთად მხოლოდ დიდ ბრიტანეთში იყო ნაცხოვრები.

28. წინასწარ იმაზე უნდა მიეთითოს, რომ ხელშეკრულების დებულებები მომსახურების თავისუფლად გადაადგილების შესახებ და მისი აღსრულებისათვის მიღებული ნორმები

¹⁸⁸ Judgment of the Court of 11 July 2002 *Mary Carpenter and Secretary of State for the Home Department*; Case C-60/00.

არ შეიძლება გამოიყენებოდნენ საქმის ისეთ შემადგენლობებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ კავშირი გაერთიანების სამართლით მოცულ ერთ-ერთ საკითხთან (...).

29. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ (...) ბატონი კარპენტერის პროფესიული საქმიანობა მნიშვნელოვანწილად იყო სხვა წევრ სახელმწიფოებში დაფუძნებული კლიენტებისათვის გასამრჯელოს საფუძველზე მომსახურების განწევა. ასეთი მომსახურებები, ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 49-ე მუხლის მიხედვით, მომსახურებების ცნებაში იმ შემთხვევაში მოიაზრება, თუ მომსახურების გამწევი ამ მიზნით მომსახურების მიმღების წევრ სახელმწიფოში მიემგზავრება, ასევე მაშინ, როდესაც ის საზღვრის იქით ეწევა მომსახურებებს, გაუსვლელად იმ წევრი სახელმწიფოდან, სადაც ის ცხოვრობს (...).

30. ბატონი კარპენტერი ამით იყენებს ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 49-ე მუხლით მისთვის გარანტირებულ უფლებას მომსახურების თავისუფლად გადაადგილების შესახებ. როგორც ევროპულმა სასამართლომ განმეორებით გადანყვიტა, სხვადასთან ერთად მომსახურების გამწევს, იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, სადაც ის დაფუძნებულია, შეუძლია ამ უფლებას დაეყრდნოს, თუ მომსახურება გაიწევა სხვა წევრ სახელმწიფოში დაფუძნებული მომსახურების მიმღების მიმართ (...).

39. ნათელია, რომ კარპენტერის დაცვლება ოჯახური ცხოვრებიდან მასზე უარყოფითად იმოქმედებდა და ამით იმ პირობებზე იმოქმედებდა უარყოფითად, რომელშიც ბატონი კარპენტერი თავის ძირითად თავისუფლებას იყენებს. ეს თავისუფლება ვერ აღსრულდებოდა სრულად, თუ ბატონი კარპენტერი შეიკავებდა თავს მისი განხორციელებისაგან ისეთი დაბრკოლებების გამო, რომლებიც მისი წარმოშობის ქვეყანაში მისი მეუღლისათვის იქ შესვლისას და დარჩენისას იარსებებდა (...).

41. ქალბატონი კარპენტერის გამოძევების შესახებ გადაწყვეტილება არის ოჯახური ცხოვრების პატივისცემაზე ბატონი კარპენტერის უფლებაში 1950 წლის 4 ნოემბერს რომში ხელმოწერილი ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით ჩარევა, რაც იმ ძირითად უფლებებს განეკუთვნება, რომლებიც დაცულია გაერთიანების სამართლებრივ წესრიგში ერთიანი ევროპული აქტების პრეამბულაშიც და ევროპული კავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-2 აბზაცით ევროპული სასამართლოს მუდმივი პრაქტიკის მიხედვით.

43. ქალბატონი კარპენტერის გამოძევების შესახებ გადაწყვეტილება, რაც იმ პირობებში, როგორც ეს ეროვნულ პროცესშია მიღებული, არ იცავს თანაზომიერებას, ერთი მხრივ, შესაბამისი პირის ინტერესებსა, კერძოდ, ბატონი კარპენტერის უფლებას ოჯახური ცხოვრების პატივისცემაზე და, მეორე მხრივ, საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას შორის.

46. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან წარმოდგენილ შეკითხვაზე პასუხი უნდა გაეცეს, რომ ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 49-ე მუხლი ოჯახური ცხოვრების პატივისცემაზე, ძირითადი უფლების თვალსაზრისით, ისე უნდა იქნეს განმარტებული, რომ ის ისეთ სიტუაციაში, როგორიც აღნიშნული მდგომარეობაა, კრძალავს, რომ წარმოშობის წევრმა სახელმწიფომ აუკრძალოს ამ სახელმწიფოში დაფუძნებულ და სხვა წევრ სახელმწიფოებში მომსახურების გამწევი პირის მეუღლეს, რომელიც მესამე სახელმწიფოს მოქალაქეა, დარჩეს თავის სუვერენულ ტერიტორიაზე.

II. ძირითადი უფლებები ევროკავშირის სამართალში

ევროპული კავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლის პირველი აბზაცი:

„კავშირი ეყრდნობა თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პრინციპებს, ასევე სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს.“

1. ძირითადი უფლებები როგორც გაერთიანების სამართლით დაცული საყოველთაო პრინციპები და მათი მოქმედება

საქმე *Erich Stauder v. City of Ulm*¹⁸⁹:

1. 1969 წლის 18 ივნისის დადგენილებით შტუტგარტის ადმინისტრაციულმა სასამართლომ ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 177-ე მუხლის საფუძველზე წარადგინა შეკითხვა, შეესაბამებოდა თუ არა მოქმედი გაერთიანების სამართლის საყოველთაო სამართლებრივ პრინციპებს ის ფაქტი, რომ ევროპული გაერთიანებების კომისიის 1969 წლის 12 თებერვლის ევროპული ეკონომიკური გაერთიანების 69/71 გადაწყვეტილების მე-4 მუხლით გარკვეული სოციალური დახმარების გაცემა იაფი კარაქის სახით დაიშვებოდა მხოლოდ მიმღები პირის მიერ, საკუთარი სახელისა და გვარის გამყიდველისათვის განდობის შემთხვევაში.

(...)

6. შესაბამისად, სადავო ნორმა განმარტებისას არ ითვალისწინებს უფლებამოსილი პირის სახელისა და გვარის დასახელებას, მაგრამ ასევე არ კრძალავს ამას. ამიტომ კომისიას შეეძლო, ამის შესასწორებლად 1969 წლის 29 ივნისს მიეღო გადაწყვეტილება, რომ ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია განსხვავებულ ინდივიდუალიზებად მეტოდებს შორის შეარჩიოს ერთ-ერთი.

7. ამ განმარტებისას სადავო ნორმა არ შეიცავს ისეთს, რაც ადამიანის ძირითად უფლებებს, რომლებსაც გაერთიანების სამართლებრივი წესრიგის საყოველთაო პრინციპები მოიცავენ, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა. აღნიშნული პრინციპების დაცვას უზრუნველყოფს ევროპული სასამართლო.

გენერალური ადვოკატი საქმეზე – *Liselotte Hauer*¹⁹⁰:

(...) შეხედულება, რომ თითქოს დასაშვებია, ევროპული სასამართლოს ნაცვლად უმაღლესი ინსტანციის სასამართლოსათვის მიმართვა გაერთიანებისაგან ძირითადი უფლებების დაცვის მოთხოვნის მიზნით, არ არის მისაღები. განსაკუთრებით არ არის ეს მისაღები გაერთიანებების სამართალშემოქმედებითი საქმიანობებით გამოწვეული დარღვევების დადგენის მიზნით. მხოლოდ გაერთიანების სასამართლოს საქმეა უზრუნველყოფის (ადამიანის ძირითადი უფლებების) დაცვა მისი კომპეტენციების ფარგლებში. გაერთიანების სამართლის ერთიანი გამოყენება და წევრი სახელმწიფოების სამართლებრივ სისტემებთან შედარებით მისი უპირატესი მოქმედების ძალა არ უნდა დადგეს საფრთხის ქვეშ ეროვნული სასამართლოების ჩარევის გზით, თუ ეს შეეხება იმის დადგენას, შესაბამისობაშია თუ არა ის გაერთიანების ნოემბრის ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ პრინციპებთან.

¹⁸⁹ Judgment of the Court of 12 November 1969, *Erich Stauder v City of Ulm* – Sozialamt, Case 29-69.

¹⁹⁰ Judgment of the Court of 13 December 1979, *Liselotte Hauer v Land Rheinland-Pfalz*, Case 44/79.

საქმე *Internationale Handelsgesellschaft mbH*¹⁹¹:

გაერთიანების სამართლებრივ წესრიგში ძირითად უფლებათა დაცვა:

3. გაერთიანების სამართლის ერთიანი მოქმედება შეილახებოდა, თუ გაერთიანების ორგანოთა ქმედებების ნამდვილობის საკითხზე გადანყვეტილების მიღებისას ეროვნული სამართლის ნორმებსა და პრინციპებს გამოიყენებდნენ. ასეთი ქმედებების ნამდვილობა შეიძლება შეფასდეს მხოლოდ გაერთიანების სამართლის საფუძველზე, რადგან ხელშეკრულებით შექმნილ და ამით ავტონომიური სამართლებრივი წყაროდან მომდინარე სამართალს მისი დამოუკიდებლობის გამო არ შეიძლება წინ უსწრებდეს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმები, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა სახისა და შინაარსის არიან ეს ნორმები, გარდა იმ შემთხვევისა, რომ მას, როგორც გაერთიანების სამართალს, უნდა ჩამოერთვას თავისი ბუნება და თუ თავად გაერთიანების სამართლებრივი საფუძველი უნდა დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ. ამიტომ გაერთიანების ქმედების სამართლებრივ შედეგებსა თუ მის ნამდვილობას ერთ წევრ სახელმწიფოში ვერ შეეხება ის ფაქტი, თუ გასაჩივრდება ამ სახელმწიფოს კონსტიტუციის მიერ მოცემული გამოხატულებით ძირითადი უფლებების ან ეროვნული კონსტიტუციის სტრუქტურული პრინციპების დარღვევის საკითხი.

4. ამასთან, უნდა გადამოწმდეს, უგულვებლყოფილია თუ არა გაერთიანების შესაბამისი სამართლებრივი გარანტია, რადგან ძირითადი უფლებების დაცვა საყოველთაო სამართლებრივ პრინციპებს განეკუთვნება, რომელთა დაცვასაც ევროპული სასამართლო უზრუნველყოფს. ამ უფლებების უზრუნველყოფა წევრი სახელმწიფოების საერთო საკონსტიტუციო ტრადიციებიდან გამომდინარე უნდა ხდებოდეს, თუმცა ისინი გაერთიანების სტრუქტურასა და მიზნებში უნდა თავსდებოდეს. ამიტომ ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ გამოთქმული ექვსის საფუძველზე უნდა გადამოწმდეს, გირაოს რეგულირებაში დაარღვია თუ არა ძირითადი უფლებები, რომელთა დაცვაც გაერთიანების სამართლის წესრიგმა უნდა უზრუნველყოს.

საქმე *Nold v. Commission*¹⁹²:

საქმის ფაბულა: ქვანახშირით მოვაჭრე მომჩივანმა *Nold*-მა მოითხოვა კომისიის გადანყვეტილების ბათილად აღიარება, რომელიც *Ruhrkohle AG*-ს ნებას რთავდა, ქვანახშირით პირდაპირი მიწოდება იმაზე დამოკიდებული გაეხადა, იყო თუ არა დადებული ორწლიანი ხელშეკრულება წლიური კონტინგენტის – 6000 ტონის შემადგენლობით.

ფირმა *Nold*-ი ასაჩივრებდა, სხვასთან ერთად, კომისიის გადანყვეტილებით გათვალისწინებული რეგულირებით ძირითადი უფლებების დარღვევას, რადგან ის პირველი ხელიდან გააძევა, იმის გამო, რომ მას არ შეეძლო ასეთი რაოდენობის კონტინგენტის მიღება.

9. კომისიამ თავისი გადანყვეტილების საფუძველებში აღნიშნა, რომ მას შეგნებული ჰქონდა, ახალი სავაჭრო რეგულირების წესის დამკვიდრება მოვაჭრეების ნაწილს წაართმევდა შესაძლებლობას, უშუალოდ შეეძინათ ნედლეული მწარმოებლისაგან, რადგან ეს მოვაჭრეები ვერ შეძლებდნენ ზემოთ დასახელებული ვალდებულებების აღებას. კომისია თავის პოზიციას იმით ხსნის, რომ *Ruhrkohle AG*-ს ქვანახშირის გაყიდვების ძლიერი უკუსვლის გამო, თავისი გასაღების სისტემის რაციონალიზაცია და მისი უშუალო თანამშრომლობა იმ მოვაჭრეების წრეზე უნდა შეეზღუდა, რომლებსაც შეს-

¹⁹¹ Judgment of the Court of 17 December 1970, *Internationale Handelsgesellschaft mbH v Einfuhr- und Vorratsstelle für Getreide und Futtermittel*, Case 11-70.

¹⁹² Judgment of the Court of 14 May 1974, *J. Nold, Kohlen- und Baustoffgroßhandlung v Commission of the European Communities*, Case 4-73.

აძლებლობა ექნებოდათ, მისთვის გარანტია მიეცათ შესაბამისი მოცულობის გასაღების თაობაზე. წლიურ მინიმალურ რაოდენობასთან დაკავშირებული ხელშეკრულებითი ვალდებულების აუცილებლობა, კერძოდ, სამთო-სანარმოო საზოგადოებისათვის უნდა უზრუნველყოს რეგულარული გასაღება იმ ოდენობით, რაც მათი პროდუქციის წარმოების ტემპზე იქნება მორგებული.

10. კომისიისა და დავის მხარეთა განმარტებებიდან გამომდინარეობს, რომ ზემოთ დასახელებული კრიტერიუმების დადგენა არა მარტო სანარმოს საამქროთა ტექნიკური პირობებით, არამედ მართლდება განსაკუთრებული ეკონომიკური სიძნელებით, რომლებიც ქვანახშირის მოპოვების დონის უკუსვლამ განაპირობა.
(...)

12. მომჩივანი ასაჩივრებს, რომ ის ზოგიერთ ძირითად უფლებაში შეზღუდულია, რადგან შეზღუდვები, რაც გამოიწვია კომისიის მიერ ნებადართულმა ახალმა სავაჭრო რეგულირებამ, არ აძლევდა მას საშუალებას, უშუალოდ პირველი ხელიდან მიეღო ნედლეული, რითაც მისი რენტაბელურობა და მისი სანარმოს საქმიანობის თავისუფლად განვითარება ილაზებოდა იმგვარად, რომ მისი არსებობა საფრთხის ქვეშ დგებოდა. ამგვარად, ახალი რეგულირების წესი მის უფლებას, რაც საკუთრების უფლებას უთანაბრდება, ასევე უფლებას თავისუფალ პროფესიულ საქმიანობაზე ლახავდა. ორივე უფლება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონით, სხვა წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციითა და სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით, კერძოდ, 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპული კონვენციითა და 1952 წლის 20 მარტის დამატებითი ოქმითაა დაცული.

13. ევროპულმა სასამართლომ უკვე გადაწყვიტა, რომ ძირითადი უფლებები საყოველთაო სამართლებრივ პრინციპებს განეკუთვნებიან, რომლებსაც ის იცავს, და რომ ის ამ უფლებების უზრუნველყოფისას წევრი სახელმწიფოების საერთო საკონსტიტუციო ტრადიციებს ეყრდნობა. ამის მიხედვით, მას არ შეუძლია ღონისძიების სამართლიანად აღიარება, რომელიც ამ სახელმწიფოების კონსტიტუციებით აღიარებულ და დაცულ ძირითად უფლებებთან შეუთავსებელია. ასევე ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებებმა, რომელთა დადებაში წევრი სახელმწიფოები მონაწილეობდნენ, ან რომელთაც ისინი შეუერთდნენ, შეიძლება მითითებები მოგვცენ, რომლებიც გაერთიანების სამართლის ფარგლებში უნდა იქნეს გათვალისწინებული. ამ პრინციპების მეშვეობით, მომჩივნის მიერ გასაჩივრებულ პუნქტებზე უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღება.

14. მართალია, წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციური წესრიგი იცავს საკუთრებას და ამგვარად უზრუნველყოფს მუშაობის, ვაჭრობისა და სხვა პროფესიულ საქმიანობათა თავისუფლებებს, მაგრამ ამგვარად გარანტირებული უფლებები შორსაა იმისგან, ისარგებლონ შეზღუდული უპირატესობით; მათი განხილვა უნდა მოხდეს დაცული სამართლებრივი სიკეთებისა და საქმიანობების სოციალური ფუნქციის თვალსაზრისით. ამ საფუძვლიდან გამომდინარე, ამ სახის უფლებები, როგორც წესი, მხოლოდ იმ პირობითაა დაცული, რომ დაექვემდებარონ საჯარო ინტერესებში არსებულ შეზღუდვებს. გაერთიანების სამართლებრივ წესრიგში გამართლებულია, რომ ამ უფლებებს გარკვეული შეზღუდვები დაუწესონ, რომლებიც გამართლებულია გაერთიანების საერთო კეთილდღეობის მიზნებით, მანამ, სანამ ეს შეზღუდვები უფლებების არსებით შემადგენელ ნაწილს არ შეეხებიან. რაც შეეხება განსაკუთრებით სანარმოს დაცვას, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ის წმინდა სავაჭრო ინტერესებსა და პერსპექტივებზე გავრცელდეს, რომლის ბუნდოვანება ეკონომიკური საქმიანობის არსს განეკუთვნება.

15. მომჩივნის მიერ გასაჩივრებული ზიანი უფრო მეტად ეკონომიკურმა განვითარებაში გამოიწვია, ვიდრე გასაჩივრებულმა გადაწყვეტილებამ. ეკონომიკაში ცვლილებების ფონზე, რაც ქვანახშირის გამოშვებების დაცემამ გამოიწვია, მომჩივნის საქმე იყო, ახალ მდგომარეობას შეგუებოდა და თავის მხრივ აუცილებელი ცვლილებები განეხორციელებინა.

საქმე *Liselotte Hauer*¹⁹³:

13. ადმინისტრაციულმა სასამართლომ თავის დადგენილებაში გამოხატა შეხედულება: თუ 1162/76 დადგენილების ინტერპრეტირება იმგვარადაა საჭირო, რომ ის ზოგად, მევენახეობისათვის გამოსადეგ ნიადაგზე ყოვლისმომცველ აკრძალვას ადგენდეს, აღნიშნული დებულება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოუყენებადად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან ეჭვი არსებობდა მის შესაბამისობაზე ძირითადი კანონის მე-12 და მე-14 მუხლებით გარანტირებულ ძირითად უფლებებთან, კერძოდ, საკუთრებისა და თავისუფლად პროფესიული საქმიანობის განხორციელების უფლებასთან.

14. როგორც ევროპულმა სასამართლომ თავის 1970 წლის 17 დეკემბრის (*Internationale Handelsgesellschaft*, 1970 წლის კრებული, 1125) განაჩენში აღნიშნა, გაერთიანების ორგანოების მიერ ძირითადი უფლებების ნებისმიერი დარღვევის ფაქტი არ შეიძლება შეფასდეს სხვაგვარად, ვიდრე თავად გაერთიანების სამართლის ფარგლებში. განსაკუთრებული ან გარკვეული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის ან კონსტიტუციურ წესრიგზე დამოკიდებული შეფასებითი კრიტერიუმების დადგენა გაერთიანების სამართლის მატერიალურ ერთიანობასა და მის ეფექტურობას შელახავდა და შედეგად უცილობლად ექნებოდა საერთო ბაზრის ერთიანობის დაბრკოლება და გაერთიანების ერთობის საფრთხის ქვეშ დაყენება.

15. ევროპულმა სასამართლომ დასახელებულ განაჩენსა და შემდგომ თავის 1974 წლის 14 მაისის განაჩენში (*Nold*, 1974 წლის კრებული, 491), გარდა ამისა, აღნიშნა, რომ ძირითადი უფლებები იმ საყოველთაო სამართლებრივ პრინციპებს განეკუთვნება, რომლებსაც ევროპული სასამართლო იცავს. ამ უფლებების უზრუნველყოფისათვის ევროპულმა სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციების საერთო ტრადიციებიდან გამომდინარე, ისე, რომ გაერთიანებაში არცერთი ღონისძიება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სამართლებრივად, რომლებიც ამ სახელმწიფოების კონსტიტუციებში დაცულ ძირითად უფლებებთან შეუსაბამობაში არიან; ასევე ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებებმა, რომელთა დადებაშიც წევრი სახელმწიფოები მონაწილეობდნენ, ანდა რომლებსაც ისინი შეუერთდნენ, შესაძლოა მოგვცეს მითითებები, რომელთა გათვალისწინებაც საჭიროა გაერთიანების სამართლის ფარგლებში. ეს შეხედულება მოგვიანებით ასამბლეის, საბჭოსა და კომისიის 1977 წლის 5 აპრილის საერთო განცხადებაში იქნა აღიარებული, რომელიც, — ევროპულ სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით, — ერთი მხრივ, წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციებით გარანტირებული უფლებებისა და, მეორე მხრივ, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ 1950 წლის 4 ნოემბრის ევროპულ კონვენციაზე მიუთითებს (ოფიციალური გამოცემა, 1977, C 103/1).

საქმე *Max.Mobil Telekommunikation Service GmbH*¹⁹⁴:

48. წინამდებარე საჩივარი მიმართულია სამართლებრივი აქტის წინააღმდეგ, რომლითაც იგი იქნა უარყოფილი. საჩივრის გულისყურით და მიუკერძოებლად განხილვაზე

¹⁹³ იხ მე-18 სქოლიო.

¹⁹⁴ 30 January 2002, Max.Mobil Telekommunikation Service GmbH, established in Vienna (Austria) v Commission of the European Communities, Case T-54/99.

არსებობს მოთხოვნის უფლება მონესრიგებულ მმართველობაზე უფლების ფარგლებში, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს საყოველთაო პრინციპებს განეკუთვნება და წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციური ტრადიციებისათვის საერთოა. 2000 წლის 7 დეკემბერს ნიცაში პროკლამირებული ევროპული კავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის 41-ე მუხლის პირველი აბზაცი (ოფიციალური გამოცემა C 364, გვ. 1; შემდგომ ძირითადი უფლებების ქარტია) განამტკიცებს, რომ ყოველ პირს აქვს უფლება, მისი საქმეები კავშირის ორგანოებისა და დაწესებულებების მიერ მიუკერძოებლად, სამართლიანად და სათანადო ვადის ფარგლებში იქნეს განხილული. ამიტომ, უპირველესად, ამ უფლებისა და მმართველობის შესაბამისი ვალდებულების ხასიათი და მოცულობა უნდა გადაიხინჯოს გაერთიანების საკონკურენციო სამართლის გამოყენების განსაკუთრებულ ფარგლებში ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც ამას წინამდებარე საქმეში მომჩივანი ამტკიცებს.
(...)

57. გარდა ამისა, ასეთი სასამართლო კონტროლი ასევე მიეკუთვნება წევრი სახელმწიფოების საკონსტიტუციო ტრადიციებისათვის საერთო საყოველთაო სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის პრინციპებს, როგორც ძირითადი უფლებების ქარტიის 47-ე მუხლი ადასტურებს, რომლის მიხედვითაც თითოეულ პირს, რომელსაც ჩამოერთვა კავშირის სამართლით გარანტირებული უფლებები, შეუძლია მიმართოს სასამართლოს ეფექტური სამართლებრივი მექანიზმით.

გენერალური ადვოკატი საქმეზე – *BECTU*¹⁹⁵:

უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია ის ფაქტი, რომ ეს პრეტენზია ევროპული კავშირის ძირითადი უფლებების ქარტიაში საზეიმოდ უკვე დადასტურებულია, რომელიც 2000 წლის 7 დეკემბერს ევროპული პარლამენტის, საბჭოსა და კომისიის მიერ პროკლამირებულია, რომლის მიხედვითაც — ხშირად ეროვნული პარლამენტების მკაფიო მანდატის საფუძველზე — სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურთა მიერ მიღებულია ქარტიის 31-ე მუხლის მე-2 აბზაცი, კერძოდ, ადგენს: ყოველ დასაქმებულს უფლება აქვს, მოითხოვოს სამუშაო დროის მაქსიმუმის დადგენა, დღიური და კვირის დასვენების დროისა და ასევე ფასიანი წლიური შვებულების დადგენა. ეს დებულება გამომდინარეობს, ერთი მხრივ, ევროპული სოციალური ქარტიის მე-2 მუხლიდან და გაერთიანების ქარტიის დასაქმებულის უფლებების მე-8 ნომრიდან, ხოლო მეორე მხრივ, ითვალისწინებს ასევე 93/104 ევროპული გაერთიანების დირექტივას სამუშაო დროის შედეგების გარკვეული ასპექტების შესახებ.

ევროპული კავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის, ისევე როგორც მანამდე მიღებული სამართლებრივი ნორმების, ავთენტიკური ნორმატიული მოქმედება არ აღიარებულა, ესე იგი, ის არის წმინდა ფორმალური დოკუმენტი დამოუკიდებელი სავალდებულო მოქმედების გარეშე. რომც არ იყოს საჭირო, უკვე დაწყებულია ფართო დებატები. ისინი შეეხება იმ მოქმედებებს, რომელთა გავრცობა ქარტიას სხვა ფორმებითა და სხვა გზებით შეუძლია. ნათელია, რომ ის ისეთ დებულებებს შეიცავს, რომელთა მეშვეობითაც სხვა ადგილას დადგენილი უფლებების მნიშვნელოვანი ნაწილი აშკარად აღიარებულ იქნება. პრეამბულაში, გარდა ამისა, იკითხება: ეს ქარტია ადასტურებს გაერთიანების და კავშირის კომპეტენციებისა და ამოცანების და სუბსიდიურობის პრინციპის დაცვით იმ უფლებებს, რომლებიც გამომდინარეობს წევრი სახელმწიფოების საერთო საკონსტიტუციო ტრადიციებიდან და საერთო საერთაშორისო ვალდებულებებიდან, ევროპული კავშირის შესახებ და გაერთიანების ხელშეკრულებებიდან, ადამიანის უფლე-

¹⁹⁵ Opinion od Advocate General Tizzano delivered on 8 February 2001; Case C-173/99; Broadcasting, Entertainment, Cinematographic and Theatre Union (BECTU) v Secretary of State for Trade and Industry.

ბებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპული კონვენციიდან, გაერთიანებისა და ევროპის საბჭოს მიერ მიღებული სოციალური ქარტიის, ასევე ევროპული გაერთიანებების სასამართლო პრაქტიკიდან და ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო პრაქტიკიდან.

ამდენად, ჩემი აზრია, რომ არ შეიძლება ძირითადი უფლების ხასიათისა და მოცულობის შესახებ სამართლებრივ დავაში ქარტიის შესაბამისი დებულებების იგნორირება და, უპირველესად, მათი აშკარა დეფინიცია, როგორც არსებითი მასშტაბი გაერთიანების ფარგლებში მოქმედი ყველა სუბიექტისათვის, — ნევრი სახელმწიფოების, (გაერთიანების) ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, — მანამ, სანამ მათი დებულებები ამაზე ნებას დართავენ. ამ თვალსაზრისით, ჩემი აზრით, ქარტია შეიცავს ყველაზე უფრო კვალიფიციურ და ერთმნიშვნელოვან დადასტურებას იმისას, რომ არსებობს ძირითადი უფლების ხასიათის მოთხოვნის უფლება ფასიან წლიურ შევბუღებაზე.

საქმე *Hermann Schröder HS Kraftfutter GmbH & Co. KG v. Hauptzollamt Gronau*¹⁹⁶:

14. მუდმივი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით (იხ. განსაკუთრებით 1979 წლის 13 დეკემბრის განაჩენი საქმეში 44/79, Hauer, 1979 წლის კრებული, 3727) ძირითადი უფლებები განეკუთვნება საყოველთაო სამართლებრივ პრინციპებს, რომელთაც ევროპული სასამართლო იცავს. ამ უფლებების უზრუნველყოფისას ევროპულმა სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ნევრი სახელმწიფოების საკონსტიტუციო ტრადიციებით, ისე, რომ გაერთიანებაში არცერთი ღონისძიება არ უნდა იქნეს სამართლებრივად აღიარებული, რომელიც შეუსაბამო იქნება ამ სახელმწიფოების კონსტიტუციებით დაცულ ძირითად უფლებებთან.

გაერთიანებული საქმეები *Hoechst AG v. Commission*¹⁹⁷:

13. მუდმივი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ძირითადი უფლებები მიეკუთვნებიან საყოველთაო სამართლებრივ პრინციპებს, რომლებსაც (ევროპული) სასამართლო იცავს ნევრი სახელმწიფოების საერთო საკონსტიტუციო ტრადიციებიდან და საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, რომელთა დადებამაც ნევრი სახელმწიფოები მონაწილეობდნენ ან შემდგომ მიუერთდნენ მათ. (...) ამასთან, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ 1950 წლის 4 ნოემბრის ევროპულ კონვენციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს (...).

ა) საკუთრების უფლება, პროფესიის თავისუფლება:

საქმე *Liselotte Hauer*¹⁹⁸:

17. საკუთრების უფლება უზრუნველყოფილია გაერთიანების სამართლებრივ წესრიგში ნევრი სახელმწიფოების საკონსტიტუციო ტრადიციების შესაბამისად, რომლებიც ასახულია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის დამატებით ოქმში.

18. ამ ოქმის პირველი მუხლი ადგენს:

„ყოველ ფიზიკურ პირს ან იურიდიულ პირს აქვს საკუთრების დაცვის უფლება. არავის არ უნდა ჩამოერთვას საკუთრება, იმ შემთხვევის გარდა, თუ საჯარო ინტერესი ამას მოითხოვს, და ესეც მხოლოდ კანონით და საერთაშორისო სამართლის საყოველთაო

¹⁹⁶ Judgment of the Court (Fifth Chamber) of 11 July 1989; *Hermann Schröder HS Kraftfutter GmbH & Co. KG v Hauptzollamt Gronau*; Case 265/87.

¹⁹⁷ იხ. მე-14 სქოლიო.

¹⁹⁸ იხ. მე-18 სქოლიო.

პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.

წინამდებარე დებულებები არანაირად არ ლახავენ სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენონ ისეთი კანონები, რომლებსაც ის აუცილებლად მიიჩნევს საყოველთაო ინტერესების შესაბამისად საკუთრების დარეგულირებისა თუ გამოყენებისათვის, ანდა გადასახადებისა თუ სხვა გადასახადების და ფულადი ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.“

19. საკუთრების დაცვის უფლების დადასტურების შემდეგ ამ ნორმაში საკუთრების უფლების შესაძლო შეზღუდვის ორი ფორმაა გათვალისწინებული: ერთი შეზღუდვაა მესაკუთრისათვის ამ უფლების ჩამორთმევა, ხოლო მეორე – ამ უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა. წინამდებარე შემთხვევაში აკრძალვა, დაირგოს ახალი ნერგები, უდავოა, რომ არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საკუთრების ხელყოფის ღონისძიებად, რადგან მესაკუთრეს შეუძლია, თავისი საკუთრება განაგოს და სხვა ნებადართული გზით გამოიყენოს. ამის საპირისპიროდ უდავოა, რომ ეს აკრძალვა ზღუდავს საკუთრებით სარგებლობას.

20. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს მითითებები, რომლებიც ცხრა წევრი სახელმწიფოს საკონსტიტუციო ნორმებიდან და საკონსტიტუციო პრაქტიკიდან გამომდინარეობენ. ამასთან, უპირველესად უნდა დადგინდეს, რომ კანონმდებელს ამ ნორმებისა და დასახელებული პრაქტიკის მიხედვით, ნება აქვს დართული, კერძო საკუთრებით სარგებლობა საყოველთაო ინტერესების მიხედვით დაარეგულიროს. ამ მიზნით რამდენიმე კონსტიტუცია მითითებას იძლევა საკუთრების არსში შემავალ ვალდებულებებზე (გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის მე-2 აბზაცის პირველი წინადადება), საკუთრების სოციალურ ფუნქციაზე (იტალიის კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 აბზაცი), მისი გამოყენების დამოკიდებულებაზე საერთო კეთილდღეობის მოთხოვნებთან (გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის მე-2 აბზაცის მე-2 წინადადება და ირლანდიური კონსტიტუციის 43.2.2. მუხლი). მრავალ წევრ სახელმწიფოში უამრავმა საკანონმდებლო აქტებმა საკუთრების უფლების ამ სოციალურ ფუნქციას კონკრეტული გამოხატულება მიანიჭეს. ამგვარად, ყველა წევრ სახელმწიფოში არსებობს მინისა და სასოფლო-სამეურნეო სფეროში, წყლის სამართალში, გარემოს დაცვაში, რეგიონული ინფრასტრუქტურისა და ურბანიზაციის სფეროს სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ზღუდავენ მინაზე საკუთრებით სარგებლობას, რაც მნიშვნელოვანია ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

21. გაერთიანების, განსაკუთრებით, ყველა მევენახეობის მიმდევარ ქვეყანაში, მართალია, არსებობს განსხვავებულად მკაცრი, მაგრამ სავალდებულო სამართლებრივი ნორმები ვაზის სახეობათა არჩევასა და დარგვის მეთოდებთან დაკავშირებით. არცერთ ქვეყანაში არ განიხილება ეს ნორმები საკუთრების უფლების დაცვასთან შეუსაბამოდ.

22. ამდენად, წევრი სახელმწიფოების საერთო საკონსტიტუციო კონცეფციების გათვალისწინებით და მუდმივი საკანონმდებლო პრაქტიკის მიხედვით, განსხვავებულ სფეროებში გარემოება, რომ ვაზის დარგვა 1162/76 რეგულაციის შეზღუდვებს ექვემდებარება, პრინციპულად არ შეიძლება გასაჩივრდეს. ამ შემთხვევაში ეს შეეხება მრავალი წევრი სახელმწიფოს საკონსტიტუციო წესრიგში არსებული და თანაბრად ან მსგავსი ფორმით მართლზომიერად აღიარებული შეზღუდვის სახეს.

23. ამ დადგენილებით ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ წამოჭრილი პრობლემა ჯერ კიდევ სრულად არ არის გადაჭრილი. მაშინაც კი, როდესაც გაერთიანებას არ შეიძლება ჩამოერთვას შესაძლებლობა, საკუთრების უფლების განხორციელება საერთო ბაზრის ორგანიზაციისა და სტრუქტურულ-პოლიტიკური საფუძვლების ფარგლებში შეზ-

ლუდოს, გადასამონმებელია, ფაქტობრივად შეესაბამება თუ არა სადავო რეგულირებაში არსებული შეზღუდვები გაერთიანების საერთო კეთილდღეობის მიზნებს და გვევლინებიან თუ არა ისინი, დასახული მიზნის თვალსაზრისით, არაპროპორციულ, მიუღებელ ჩარევად მესაკუთრის უფლებებში, რაც საკუთრების უფლების არსს შეეხება. რეალურად ამ პრეტენზიას გამოთქვამს მომჩივანი სადავო პროცესში. მისი აზრით, კანონმდებელს შეუძლია შეზღუდოს მევენახეობის საკუთრებით სარგებლობა მხოლოდ ხარისხობრივი პოლიტიკის საფუძვლებიდან გამომდინარე; ის, ამდენად, ფლობს შეუვალ უფლებას, რადგან მისი ნაკვეთის მევენახეობისათვის მზაობა აღიარებულია. ამდენად, გადასასინჯია, რა მიზანს ემსახურება სადავო რეგულაცია და არსებობს თუ არა ამ რეგულაციით გათვალისწინებულ ღონისძიებებსა და აღნიშნულ შემთხვევაში კომისიის მიერ დასახულ მიზანს შორის შესაბამისი მიმართება.

24. 1162/76 რეგულაცია განხილულ უნდა იქნეს მხოლოდ ღვინისათვის საერთო ბაზრის ორგანიზაციის კონტექსტში, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული გაერთიანების მიერ დასახულ სტრუქტურულ-პოლიტიკურ მიზნებთან ამ სფეროში. ეს მიზნები გამომდინარეობს 816/40 დირექტივიდან (...), რომელიც სადავო რეგულაციას საფუძვლად უდევს.

25. ყველა ამ სამართლებრივი აქტიდან გამომდინარეობს, რომ საერთო ბაზრის ორგანიზაციაზეა მიმართული გაერთიანების მიერ დაწყებული და ნაწილობრივ განხორციელებული პოლიტიკა, რომელიც შეეხება ღვინის სექტორის სტრუქტურულ გაუმჯობესებას. ამ მიდგომით ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 39-ე მუხლის მიზნების ფარგლებში ორმაგი მიზანი უნდა იქნეს მიღწეული, კერძოდ, პირველი, წარმოშვას ღვინის ბაზრის ხანგრძლივი ბალანსი მწარმოებლისათვის მოგების მომტანი და მომხმარებლისათვის მისაღები ფასის დონეზე, და, მეორე, გააუმჯობესოს მიმოქცევაში გაშვებული ღვინის ხარისხი, რათა მიღწეულ იქნეს რაოდენობრივი ბალანსისა და ხარისხობრივად გაუმჯობესების ორმაგი მიზანი. გაერთიანების რეგულირება ღვინისათვის ინვესტიციების ფართო სფეროს ითვალისწინებს, რომელიც როგორც ღვინის პროდუქციის, ისე მისი გასაღების საფეხურზე მოქმედებს.

26. ამ მხრივ განსაკუთრებით მითითებულ უნდა იქნეს 816/17 დირექტივის მე-17 მუხლზე, რომელიც ასახულია 337/79 დირექტივის 31-ე მუხლში უფრო დეტალურად. ამის მიხედვით, წევრმა სახელმწიფოებმა გაერთიანების პროგრამის ფარგლებში უნდა განახორციელონ დარგვისა და გამოშუშავების პროცესის კოორდინებული წინასწარი დაგეგმვა. ამ დაგეგმვისათვის შესაძლებელია მიღებულ იქნეს დებულებები დარგვის წესებზე, ახალ წარგავებზე, (...) და ვაზის ფართობებით სარგებლობის ამოცანებზე.

27. ამ ფარგლებში გამოცემულ იქნა 1162/76 რეგულაცია (...). მან შესაძლებელი უნდა გახადოს ჭარბი რაოდენობის მუდმივი ზრდის განდევნა მყისიერი მოქმედებით და გაერთიანების ორგანიზებს უნდა მისცეს აუცილებელი დრო სტრუქტურული პოლიტიკის განსახორციელებლად, რომელმაც დასაწერი ფართობებისა და ვაზის სახეობების ამორჩევის გზით, გაერთიანების ცალკეული სავენახე ტერიტორიების მოთხოვნებისა და თავისებურებების გათვალისწინებით ასევე წარმოების მეთოდების რეგულირების გზით ხელი უნდა შეუწყოს ძვირფასი პროდუქციების განვრცობას.

28. იმისათვის, რომ ამ ორმაგ მიზანს გაეწიოს ანგარიში, საბჭომ 1162/76 რეგულაციით გამოაცხადა ახალი წერების დარგვის ზოგადი აკრძალვა, ისე, რომ არ განასხვავა — გარდა სრულად განსაზღვრული გამოწვევისა — ნიადაგის თავისებურებები. მისი ზოგადი ხასიათის მიხედვით საბჭოს მიერ გამოცხადებული აკრძალვა მხოლოდ დროებითი დადგენილებაა. ის იმისთვისაა განკუთვნილი, კონიუნქტურულად ჭარბი

პროდუქცია მყისიერი მოქმედებით აღმოფხვრას და ერთდროულად მოამზადოს საბოლოო სტრუქტურული ღონისძიებები.

29. ამ გაგებით გაკრიტიკებული ღონისძიება არ იწვევს საკუთრების უფლების განხორციელების გაუმართლებელ შეზღუდვას. რადგან ისეთ მდგომარეობაში, რომელიც ხასიათდება მზარდი ჭარბი პროდუქციით, მევენახეობის ახალი ფართობების ათვისებას ეკონომიკური თვალსაზრისით არ ექნებოდა სხვაგვარი ზემოქმედება, გარდა ზედმეტი პროდუქციის მოცულობის გაზრდისა. გარდა ამისა, ასეთი განვრცობის შემთხვევაში ამ საფეხურზე იარსებებდა გაერთიანების დონეზე სტრუქტურული პოლიტიკის განხორციელების გართულების საფრთხე, თუ ის მევენახეობისათვის გათვალისწინებული ნიადაგის შერჩევის უფრო მკაცრი კრიტერიუმების გამოყენებას დაეყრდნობა, ვიდრე ამას მოქმედი ეროვნული სამართლებრივი ნორმები ითვალისწინებს.

30. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ საკუთრებით სარგებლობის შეზღუდვა, რაც გულისხმობს 1162/76 დირექტივით გამოცხადებულ დროებით აკრძალვას ვაზის ახლად დარგვასთან დაკავშირებით, გამართლებულია გაერთიანების საერთო კეთილდღეობის მიზნებით და გაერთიანების სამართლებრივი წესრიგით აღიარებული და გარანტირებულ საკუთრების უფლების არსს არ შეეხება.

საქმე *Germany v. Council*¹⁹⁹:

საქმის ფაბულა: გერმანიამ ბანანების საერთო ბაზრის ორგანიზების შესახებ საბჭოს 1993 წლის 13 თებერვლის რეგულაციის (404/93) ბათილად ცნობა მოითხოვა. რეგულაციის საფუძვლებში აღნიშნული იყო, რომ მანამდე არსებობდა ეროვნული საბაზრო წესრიგები, რომლებიც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ზოგ წევრ სახელმწიფოს, რომელნიც არ აწარმოებდა ბანანს აფრიკის, კარიბისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებიდან (შემდგომში – AKP-ის ქვეყნები) იმპორტირებული ბანანის პროდუქციის პრივილეგირებულ იმპორტს ანიჭებდა უპირატესობას, გარკვეულ წევრ სახელმწიფოებს ჰქონდათ ლიბერალური იმპორტის რეჟიმი, ხოლო გარკვეულს დამცავი ბარიერები. აღნიშნული ხელს უშლიდა გაერთიანების დონეზე ბანანის პროდუქციის საერთო ბაზრის ჩამოყალიბებას. სწორედ ამ განსხვავებებმა განაპირობეს ერთიანი რეგულაციის მიღება. ამ რეგულაციით საერთო ბაზრის მიზნებიდან და საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე (იგულისხმება LOME-ს კონვენცია AKP-ის ქვეყნებთან) შემოღებულ იქნა სხვადასხვა საბაჟო კონტინგენტები AKP-ის ქვეყნებიდან და მესამე სახელმწიფოებიდან, ამასთან, პირველი ჯგუფის ქვეყნებიდან იმპორტი ნულოვანი ტარიფით იბეგრებოდა, მაშინ როდესაც მესამე სახელმწიფოებიდან შემოტანილ ბანანის პროდუქციაზე გარკვეული ბაჟი იყო გათვალისწინებული. გარდა ამისა წესდებოდა ნებართვა იმპორტზე, რომელიც გაიცემოდა კომისიის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. აღნიშნულ რეგულირებებს ასაჩივრებდა გერმანია, რადგან მას მანამდე არსებული შეთანხმების საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა ამონიურული იყო, წლიურად მესამე ქვეყნებიდან შემოჰქონდა ბაზრის მოთხოვნაზე მოჭრილი ბანანის პროდუქციის მოცულობა ნულოვანი ტარიფით. შედეგად გერმანიის მიერ მესამე ქვეყნებიდან შემოტანილ ბანანის პროდუქციას კონკურენციას ვერ უწევდა ვერც გაერთიანებისა და ვერც AKP-ის სახელმწიფოებიდან შემოტანილი ბანანის პროდუქცია, რომელთა ღირებულება ბაზარზე მნიშვნელოვანწილად აღემატებოდა მესამე ქვეყნებიდან შემოტანილ ბანანის პროდუქციას. გერმანია სხვასთან ერთად აცხადებდა, რომ ამ რეგულაციით ირღვეოდა საკუთრების უფლება და პროფესიული საქმიანობის განხორციელების უფლება.

¹⁹⁹ Judgment of the Court of 5 October 1994; Federal Republic of Germany v Council of the European Union; Case C-280/93; European Court reports 1994 Page I-04973.

77. საკუთრების უფლებაში ჩარევასთან დაკავშირებით მომჩივანი აცხადებს, რომ სადავო რეგულაციით იმ ეკონომიკურ სუბიექტებს, რომლებიც ტრადიციულად მესამე ქვეყნების ბანანების იმპორტს ახორციელებდნენ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩამოერთვათ საბაზრო წილები და ამით მათი საკუთრების უფლება დაირღვა და ჩარევა მოხდა პროფესიული საქმიანობის განხორციელების უფლებაში.

78. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ როგორც საკუთრების უფლება, ისე თავისუფალი პროფესიული საქმიანობა გაერთიანების სამართლის საყოველთაო პრინციპებს განეკუთვნება. ეს პრინციპები კი არ შეიძლება შეუზღუდავად მოქმედებდნენ, არამედ განხილულ უნდა იქნენ მათი საზოგადოებრივი ფუნქციის თვალსაზრისიდან გამომდინარე. შედეგად საკუთრების უფლების განხორციელება და თავისუფალი პროფესიული საქმიანობა შეიძლება შეიზღუდოს საერთო ბაზრის ორგანიზაციის ფარგლებში, თუ ეს შეზღუდვები ფაქტობრივად გაერთიანების საერთო კეთილდღეობის მიზნებს ემსახურება და დასახულ მიზანთან მიმართებით არ არის ისეთი მიუღებელი არაპროპორციული ჩარევა, რომელიც ამგვარად გარანტირებულ უფლებების არსს შეეხება (...).

79. მესამე ქვეყნის ბანანის გამსაღებელთა საკუთრების უფლება კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგება გაერთიანების კვოტის შემოღებით და მისი გადანაწილების შესახებ დებულებებით. არცერთ ეკონომიკურ სუბიექტს არ შეუძლია ბაზრის ნაწილის საკუთრების უფლებაზე განაცხადოს პრეტენზია, რომელსაც ის ფლობდა საერთო საბაზრო ორგანიზაციის დაწესების დროს, რადგან ასეთი საბაზრო წილი მხოლოდ წამიერი ეკონომიკური პოზიციაა და დამოკიდებულია გარემოებების ცვლილებასთან დაკავშირებულ რისკებზე.

80. ეკონომიკურ სუბიექტს არ შეუძლია, პრეტენზია განაცხადოს კეთილსინდისიერად მიღებულ უფლებაზე ან არსებული სიტუაციის შენარჩუნების მხოლოდ სამართლიან ნდობაზე, რომლებიც გაერთიანების ორგანოების გადაწყვეტილებებით და მათი შეხედულებით შეიძლება შეიცვალოს (შეადარეთ 1982 წლის 28 ოქტომბრის განაჩენი საქმეზე – 52/81, *Faust v. Kommission*, 1982 წლის კრებული, 3745, 27-ე პუნქტი), განსაკუთრებით მაშინ არა, როდესაც არსებული სიტუაცია საერთო ბაზრის წესებს შეესაბამება.

81. პროფესიის განხორციელების თავისუფლებაში სადავო ჩარევასთან დაკავშირებით უნდა დადგინდეს, რომ საბაჟო კვოტისა და მისი განაწილების მექანიზმის შემოღებამ, განსაკუთრებით, გერმანულ ბაზარზე, ფაქტობრივად, შეცვალა ეკონომიკური სუბიექტის კონკურენციული მდგომარეობა. ამ სუბიექტს, როგორც ერთადერთს, აქამდე შეეძლო მესამე სახელმწიფოთა ბანანის პროდუქცია ყოველგვარი საბაჟო შეზღუდვის გარეშე წლიურად ბაზრის მოთხოვნებზე მოჭრილი კვოტის ფარგლებში შემოეტანა. მაგრამ გადასასინჯია ასევე, შეესაბამებთან თუ არა რეგულაციით შემოღებული შეზღუდვები გაერთიანების საერთო კეთილდღეობის მიზნებს და შეეხება თუ არა ის ამ უფლების არსს.

82. ეკონომიკური სუბიექტისათვის მესამე ქვეყნების ბანანის პროდუქციის გერმანულ ბაზარზე შემოტანის შესაძლებლობის შეზღუდვა ბუნებრივად დაკავშირებულია საერთო ბაზრის შექმნასთან, რაც მიზნად ისახავს, უზრუნველყოს ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 39-ე მუხლის მიზნების დაცვა და LOME-ს შეთანხმების საფუძველზე გაერთიანების მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების უზრუნველყოფა. რადგან განსხვავებული ეროვნული რეგულირებების გაუქმებამ, განსაკუთრებით გამონაკლისი რეგულირებისა, რომლიდანაც ეკონომიკური სუბიექტები გერმანული ბაზრიდან შემდგომაც იღებდნენ სარგებელს, და დამცავი რეგულირებების

გაუქმებამ, რომლებითაც სარგებლობდნენ სხვა წევრი სახელმწიფოების შიდა ბაზრებზე გაერთიანებისა და AKP-ის ბანანის პროდუქციის გამსაღებლები, აუცილებელი გახდა მესამე ქვეყნებიდან ბანანის პროდუქციის იმპორტის მოცულობის შეზღუდვა გაერთიანებაში. აქ საქმე, სახელდობრ, ეხებოდა იმას, რომ ერთდროულად გარანტირებული ყოფილიყო საერთო ბაზრის ორგანიზაცია და თავიდან აცილებულიყო იმ დამცავი ბარიერების გაუქმების შედეგად გაერთიანებისა და AKP-ის ბანანის პროდუქციის განდევნა საერთო ბაზრიდან, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მათ გასაღებას მესამე ქვეყნების ბანანის პროდუქციასთან კონკურენციის გარეშე.

83. ბანანის პროდუქციის გამსაღებელთა განსხვავებული სიტუაცია, წევრი სახელმწიფოების მიხედვით, მოითხოვდა, თავის მხრივ, ცალკეული შიდა ბაზრების ინტეგრაციის თვალსაზრისით, საბაჟო კონტინგენტის გადანაწილების მექანიზმის შემოღებას შესაბამისი ეკონომიკური სუბიექტების სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. ეს მექანიზმი მიზნად ისახავს, აიძულონ გაერთიანებისა და ტრადიციული AKP-ის ბანანის პროდუქციის გამსაღებლები, შემოიტანონ მესამე ქვეყნების ბანანის პროდუქცია, ისევე როგორც მიზნად ისახავს, მესამე ქვეყნების ბანანის პროდუქციის იმპორტიორებს უზიდავოს იმისკენ, რომ გაასაღონ გაერთიანებისა და AKP-ის ბანანის პროდუქცია. გარდა ამისა, მან მესამე ქვეყნების ბანანის პროდუქციის შემომტან ეკონომიკურ სუბიექტებს უნდა მისცეს ხანგრძლივადიანი შესაძლებლობა, გაერთიანების საერთო კვოტის მიხედვით, მონაწილეობა მიიღონ საიმპორტო კვოტების ორივე ნაწილში.

84. რაც შეეხება განსაკუთრებით მომჩივანის კრიტიკას, თითქოსდა რეგულაციის გამოყენებამ გამოიწვია იმპორტზე ნებართვებით ვაჭრობა ერთი მხრივ, გაერთიანების და ტრადიციული პარტნიორი AKP-ის ქვეყნების ბანანის პროდუქციის გამსაღებლებსა და მეორე მხრივ მესამე სახელმწიფოებიდან ტრადიციულ იმპორტიორებს შორის ამ იმპორტიორების საზიანოდ, უნდა მიეთითოს იმაზე, რომ რეგულაცია მე-20 მუხლში ნებართვების გადაცემის პრინციპს აღიარებს. ამ პრინციპს იმ პრაქტიკულ შედეგამდე მივყავართ, რომ ნებართვის მფლობელს, ნაცვლად იმისა, რომ თავად შემოიტანოს და გაყიდოს მესამე სახელმწიფოს ბანანები, შეუძლია გადასცეს თავისი უფლება იმპორტზე სხვა ეკონომიკურ სუბიექტს, რომელსაც თავად სურს პროდუქციის შემოტანა.

85. გადაცემის პრინციპი (...) ვრცელდება არა მარტო ბანანის პროდუქციის საერთო საბაზრო ორგანიზებაზე, არამედ შეეხება ასევე აგრარული პოლიტიკის სხვა სექტორებსაც, განსაკუთრებით კი მესამე ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებს.

86. გარდა ამისა, იმპორტზე ნებართვის გადაცემა არის შესაძლებლობა, რომლითაც სარგებლობა ეკონომიკური სუბიექტების სხვადასხვა ჯგუფს, მათი საქმიანი ინტერესის მიხედვით, რეგულაციის საფუძველზე შეუძლიათ. ფინანსური უპირატესობა, რომელიც გაყიდვის ამ სახემ გაერთიანებისა და ტრადიციული AKP-ის ბანანების გამსაღებლებს შეუძლია შეუქმნას, არის ნებართვების გადაცემის პრინციპის აუცილებელი შედეგი და უნდა განიხილებოდეს საერთო ღონისძიებების ზოგად კონტექსტში. ეს ღონისძიებები გამოსცა საბჭომ გაერთიანებისა და ტრადიციული AKP-ის პროდუქციის გასაღების გარანტირების თვალსაზრისით. ამ კონტექსტში ეს უპირატესობა უნდა განიხილებოდეს საშუალებად, რომელმაც ეკონომიკური მონაწილეების კონკურენტუნარიანობაში, გაასაღონ გაერთიანებისა და AKP-ის ბანანების პროდუქცია, წვლილი უნდა შეიტანოს და გაამარტივოს წევრი სახელმწიფოების ბაზრების ინტეგრაცია.

87. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ მესამე ქვეყნების ბანანის პროდუქციის ტრადიციული გამსაღებლების თავისუფალ პროფესიულ საქმიანობაში რეგულაციით

განხორციელებული ჩარევა შეესაბამება გაერთიანების საერთო კეთილდღეობის მიზნებს და ამ უფლების არსს არ ეხება.

88. მომჩივანი, გარდა ამისა, ასაჩივრებს, რომ მესამე ქვეყნებთან ვაჭრობის რეგულირების წესი არღვევს პროპორციულობის პრინციპს, რადგან AKP-ის ქვეყნების მწარმოებლების მხარდაჭერისა და ასევე გაერთიანების მწარმოებელთა შემოსავლის უზრუნველყოფის მიზნის მიღწევა შესაძლებელი იყო ისეთი ღონისძიებებით, რომლებიც ეკონომიკური სუბიექტების გარკვეული ჯგუფების ინტერესებსა და კონკურენციას ნაკლებად შელახავდა.

89. ამდენად, გასახსენებელია ის, რომ გაერთიანების კანონმდებელს აქვს გადაწყვეტილების მიღების ფართო არეალი საერთო აგრარული პოლიტიკის სფეროში, რაც შეესაბამება პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, რომელსაც მას ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-40 და 43-ე მუხლები აკისრებენ.

90. ევროპულმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ამ სფეროში მიღებული ღონისძიების მართლობიერება მხოლოდ მაშინ შეიძლება შეილახოს, თუ ეს ღონისძიება კომპეტენტური ორგანოს მიერ დასახული მიზნის მისაღწევად **აშკარად გამოუდგარია. თუ გაერთიანების კანონმდებელი, განსაკუთრებით რეგულირების წესის გამოცემისათვის, იძულებულია ამ რეგულირების წესის მომავალი ზემოქმედებები შეაფასოს და ამ ზემოქმედებების ზუსტად განჭვრეტა ვერ ხდება, მაშინ მისი შეფასება მხოლოდ მაშინ უნდა იქნეს გაპროტესტებული, როცა ის რეგულირების წესის მიღებისას მის ხელთ არსებული დასკვნების თვალსაზრისით აშკარად მცდარი ჩანს (...).**

91. ევროპული სასამართლო კონტროლის ასეთი შეზღუდვა განსაკუთრებით მაშინ არის მისაღები, როცა საბჭო თავს თვლის იძულებულად, საერთო ბაზრის ორგანიზაციის განხორციელებისას განსხვავებული ინტერესები გააწონასწოროს და ამ თვალსაზრისით საკუთარ პასუხისმგებლობაში არსებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების ფარგლებში გააკეთოს არჩევანი.

92. წინამდებარე შემთხვევაში ევროპული სასამართლოს წინაშე გამართული მსჯელობებიდან გამომდინარეობს, რომ საბჭო შეეცადა შეეთანხმებინა, განსაკუთრებით, გარკვეული ბანანის პროდუქციის მწარმოებელი წევრი სახელმწიფოების ურთიერთსაპირისპირო ინტერესები. ერთმანეთთან შეეთანხმებინა, ერთი მხრივ, მათი ინტერესები, რომლებიც მიისწრაფოდნენ იქითკენ, რომ ეკონომიკურად მეზობელ რეგიონებში მცხოვრები სასოფლო მეურნეობით დაკავებული მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქციის გასაღება უზრუნველყოთ და ამით თავიდან აეცილებინათ სოციალური არეულობა, და, მეორე მხრივ, იმ წევრი სახელმწიფოების ინტერესები, რომლებიც არ აწარმოებენ ბანანის პროდუქციას და რომელთაც სურთ თავიანთი მომხმარებლებისათვის საუკეთესო ფასებისა და მესამე ქვეყნის პროდუქციაზე შეუზღუდავი დაშვების უზრუნველყოფა.

93. გერმანიის მთავრობა მიუთითებს იმაზე, რომ დასახული მიზანი შეიძლება მიღწეული ყოფილიყო ნაკლებად მკვეთრი ღონისძიებით (...).

94. კერძოდ, არ გამოირიცხება, რომ შეიძლებოდა, დასახული შედეგის მისაღწევად სხვა მეთოდები გამოეყენებინათ, თუმცა ევროპულ სასამართლოს არ შეუძლია თავისი შეხედულებით შეცვალოს საბჭოს შეფასება იმ საკითხში, მეტ-ნაკლებად მიზანშეწონილია თუ არა გაერთიანების კანონმდებლის მიერ შერჩეული ღონისძიება, თუ არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ეს ღონისძიებები დასახული მიზნის მისაღწევად აშკარად გამოუსადეგარი იყო.

95. მომჩივანმა კი არ დაასაბუთა, რომ საბჭომ აშკარად გამოუსადეგარი ღონისძიებები მიიღო, ან რომ ამავე საბჭომ დასკვნების მიხედვით, რომელიც მას ამ რეგულირების წესის მიღებისას ჰქონდა, აშკარად მცდარი შეფასება განახორციელა.

96. ამდენად, მესამე ქვეყნებთან ვაჭრობის რეგულირების წესი, განსაკუთრებით საბა-
ყო კონტინგენტისა და გადანაწილების მექანიზმის შემოღება, საერთო ხარისხობრივი და გასაღების ნორმების, ასევე სუბსიდიების რეგულირებასთან ერთად, ერთი ინსტრუ-
მენტია, რაც რეგულაციითაა გათვალისწინებული, რათა გაერთიანების პროდუქციის გასაღება უზრუნველყოს.

97. გარდა ამისა, არ არის აშკარა, რომ მომჩივნის მიერ შემოთავაზებული ალტერნა-
ტიული ღონისძიება გამოდგებოდა ბაზრების ინტეგრაციის მიზნის მისაღწევად, რაც საერთო ბაზრის ნებისმიერ ორგანიზებას უდევს საფუძვლად.

98. აქედან გამომდინარეობს, რომ საჩივრები საკუთრების უფლების, კეთილსინდისი-
ერად შექმნილი უფლებების დარღვევაზე, პროფესიის თავისუფლად განხორციელებაში ჩარევასა და პროპორციულობის პრინციპის დაუცველობაზე უარყოფილ უნდა იქნეს.

საქმე *Fishermens's Organisation*²⁰⁰.

საქმის ფაბულა: დიდი ბრიტანეთის სასამართლომ მიმართა ევროპულ სასამართლოს ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 234-ე მუხლის (წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურა) ფარგლებში მეთევზეთა ორგანიზაციის მიერ წამოჭრილი პრობლემის თაობაზე. ორგანიზაცია ასაჩივრებდა ეროვნულ ღონისძიებას, რომელიც კომისიის მიერაც იყო ნებადართული და რომლის მიხედვითაც 10 მეტრზე უფრო დიდ სათევზაო გემებს წლის განმავლობაში გარკვეული რაოდენობის დღეებზე მეტი ეკრძალებოდათ ზღვაში ყოფნა. ამ რეგულირებას ისინი საკუთრებისა და პროფესიის თავისუფლად განხორციელებაში უხემ ჩარევად მიიჩნევდნენ. სასამართლომ ეროვნული ღონისძიება გაამართლა დასახული მიზნებიდან გამომდინარე. კერძოდ, თევზჭერისა და ზღვის პროდუქტების მოცულობების ურთიერთგათანაბრებისა და ამით სექტორული განვითარების მოსაზრებებიდან გამომდინარე და აღნიშნა:

55. ამ პრინციპების დარღვევის ბრალდებასთან დაკავშირებით უნდა დადგინდეს, რომ მუდმივი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, როგორც საკუთრების უფლება, ისე პრო-
ფესიის თავისუფლად განხორციელება განეკუთვნება გაერთიანების სამართლის საყ-
ოველთაო პრინციპებს. ამ პრინციპებს არ შეუძლიათ საყოველთაო მოქმედება და უნდა განიხილებოდნენ საზოგადოებრივი ფუნქციის თვალსაზრისით. შედეგად, საკუთრების უფლების განხორციელება და პროფესიის თავისუფლად განხორციელება შეიძლება, სახელდობრ კი საერთო საბაზრო ორგანიზაციის ფარგლებში, დაექვემდებაროს შეზღუდ-
ვებს. ამასთან, ეს შეზღუდვები, ფაქტობრივად, უნდა შეესაბამებოდნენ გაერთიანების საერთო კეთილდღეობის მიზნებს და, დასახული მიზნის თვალსაზრისით, არ უნდა იყოს სახეზე არაპროპორციული მიუღებელი ჩარევა, რაც ამგვარად გარანტირებულ უფლების არსს შეეხება (განაჩენი *Germany v. Council*, 78-ე პუნქტი).

²⁰⁰ Judgment of the Court of 17 October 1995; *The Queen v Minister of Agriculture, Fisheries and Food, ex parte National Federation of Fishermen's Organisations and others and Federation of Highlands and Islands Fishermen and others*; Case C-44/94; European Court reports 1995 Page I-03115.

56. სადავო ეროვნული ღონისძიებები, რომლებსაც მოიცავს კომისიის სანებართვო გადაწყვეტილება, რომლის ნამდვილობა სადავო არაა, ფაქტობრივად, შეესაბამება თევზრენვის სექტორში გაერთიანების საერთო კეთილდღეობის მიზნებს, რადგან ისინი მიმართულია ამ სექტორის სტრუქტურულ გაუმჯობესებაზე და არა არაპროპორციულ, მიუღებელ ჩარევაზე, რაც გარანტირებული უფლების არსებითი შემადგენელი ნაწილია.

საქმე *SMW Winzersekt*²⁰¹:

20. მომჩივნის აზრით, სადავო დებულება მას უზღუდავდა როგორც საკუთრების უფლებას, ისე მისი პროფესიის თავისუფლად განხორციელებას, ორივე კი გაერთიანების სამართლის საყოველთაო პრინციპებს განეკუთვნებოდა. ის აცხადებს, რომ „*methode champenoise*“-ს, ანუ „შამპანურის მეთოდის“, მითითებას (ნაწარმზე) მისი საქმიანობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რომელიც მას საშუალებას აძლევს, საჯაროობისათვის ნათელი გახადოს პროდუქციის შექმნის პროცესი. ეს პროცესი მას უპირატესობას ანიჭებს გერმანული შუშუნა ღვინის მწარმოებლების უმრავლესობასთან მიმართებით, რომლებიც ან ეგრეთ წოდებული „*cuve-close*“ პროცედურით (შუშუნა ღვინის სახეობის პროცედურით) ან ტრანსვაზიურობის პროცედურით აწარმოებდნენ, ორი პროცედურა, რომლებიც ნაკლებხარჯიანია, ვიდრე „*methode champenoise*“, ანუ „შამპანურის მეთოდი“, და მწარმოებლებს აძლევს შესაძლებლობას, თავიანთი პროდუქცია მომხმარებელს ბევრად უფრო ნაკლებ ფასში შესთავაზონ, ვიდრე მომჩივანს აქვს ამის შესაძლებლობა. ამასთან, ეს მონაცემი მისი სამწარმოო ქონების აქტივებს განეკუთვნება, რაც საკუთრების უფლების დაცვის ქვეშაა. თუკი მომჩივანს აღარ შეეძლებოდა „*methode champenoise*“-ს, ანუ „შამპანურის მეთოდის“ მარკირების გამოყენება, ის კონკურენტებთან მიმართებით არახელსაყრელ პირობებში იქნებოდა და საერთოდ მის, როგორც საწარმოს, არსებობასაც შეექმნებოდა საფრთხე. (...)

24. პროფესიის თავისუფლად განხორციელებაში ჩარევასთან დაკავშირებით უნდა დადგინდეს, რომ (სადავო რეგულაცია) არ ერევა მომჩივნის მიერ გასაჩივრებული პროფესიის განხორციელების უფლების არსებით შემადგენელ ნაწილში, რადგან ის მხოლოდ ასეთი უფლების განხორციელების მოდალობებს შეეხება, ისე, რომ მის არსებობას თვით საფრთხეს არ უქმნის. ამდენად, გადასასინჯია, ემსახურებიან თუ არა ამ დებულებებით დასახული მიზნები საერთო კეთილდღეობას, ახორციელებენ თუ არა ისინი არაპროპორციულ ჩარევას მწარმოებლების მდგომარეობაში და საბჭო გასცილდა თუ არა ამ შემთხვევაში მისი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას.

25. ღვინოების წარმოშობისა და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის დაცვა, რაც 2333/92 დირექტივის მიზნებს განეკუთვნება, ემსახურება საერთო კეთილდღეობას. ამ მიზნის მისაღწევად საბჭოს შეეძლო მიეჩინა, არსებითად, ის, რომ, ერთი მხრივ, საბოლოო მომხმარებელი ყოფილიყო ზუსტად ინფორმირებული, რაც აუცილებელია შესაბამისი პროდუქციის შეფასებისათვის, და, მეორე მხრივ, მწარმოებელს არ ჰქონოდა შესაძლებლობა, მიეღო სარგებელი თავისი პროდუქციის გარეგნული მსგავსებიდან იმ პროდუქციასთან მიმართებით, რომელიც მწარმოებელმა სხვა ტერიტორიაზე აწარმოა. ეს ნიშნავს, რომ ღვინის მწარმოებელს არ შეიძლება მიეცეს უფლება, მისი პროდუქციის წარმოშობის მეთოდების მონაცემებში გამოიყენოს გეოგრაფიული მონაცემები, რომლებიც არ შეესაბამებიან ღვინის ფაქტობრივი წარმოშობის ადგილს.

²⁰¹ Judgment of the Court of 13 December 1994; *SMW Winzersekt GmbH v Land Rheinland-Pfalz*; Case C-306/93; European Court reports 1994 Page I-05555.

26. ეს მიზანი განსაკუთრებით ხორციელდება 2333/92 დირექტივის მე-6 მუხლით, რომლის მიხედვითაც წარმოშობის მეთოდების შესახებ მონაცემების გამოყენებისას მხოლოდ მაშინ შეიძლება გეოგრაფიული ერთეულის სახელწოდებაზე მითითება, როცა ამ კონკრეტულ ღვინოზე ნებადართულია ამ გეოგრაფიული მონაცემის გამოყენება.

27. შედეგად, ამ დებულებაში არსებული აკრძალვა, სადავო რეგულაციით დასახული მიზნის თვალსაზრისით, არ არის აშკარად არაპროპორციული.

საქმე *Metronome Musik GmbH*²⁰²:

საქმის ფაბულა: ევროპულ სასამართლოს მიმართეს წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურით 1992 წლის 19 ნოემბრის ევროპული ეკონომიკური გაერთიანების 92/100 დირექტივის დებულებების მართლზომიერების შესახებ. აღნიშნული დირექტივით გათვალისწინებული იყო ინტელექტუალური სამართლის სფეროში გარკვეული რეგულირების წესები. მომმართველი სასამართლო სვამდა კითხვას, შეესაბამებოდა თუ არა დირექტივით გათვალისწინებული რეგულირება, რომლის მიხედვითაც ნებადართული იყო ამ დირექტივით გათვალისწინებული ობიექტებისა და საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების ორიგინალებისა და გასამრავლებელი საგნების გაქირავება და სარგებლობაში გადაცემა, გაერთიანების სამართლებრივი წესრიგით გარანტირებულ ძირითად უფლებებს, კერძოდ კი უფლებას ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლებაზე.

21. მუდმივი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, პროფესიის თავისუფლად განხორციელება, ისევე როგორც საკუთრების უფლება, გაერთიანების სამართლის საყოველთაო პრინციპებს განეკუთვნება. ამ პრინციპებს არ შეუძლიათ საყოველთაოდ იმოქმედონ, ისინი მათი საზოგადოებრივი ფუნქციის თვალსაზრისით განიხილებიან. შედეგად, პროფესიის თავისუფლად განხორციელება, ისევე როგორც საკუთრების უფლების განხორციელება, შეზღუდვებს შეიძლება დაექვემდებაროს, იმდენად, რამდენადაც ეს შეზღუდვები, ფაქტობრივად, საერთო კეთილდღეობის მიზნებს შეესაბამებიან და დასახულ მიზანთან მიმართებით არ არიან არაპროპორციულები, და არ ახორციელებენ ისეთ გაუმართლებელ ჩარევას, რომელიც ამგვარად გარანტირებულ უფლებების არსს შეეხება. (შეადარეთ, განსაკუთრებით, 1995 წლის 17 ოქტომბრის განაჩენი საქმეზე – C-44/94, *Fishermen's Organisations*, 1995 წლის კრებული, I-3115, 55-ე პუნქტი).

22. დირექტივის მიხედვით, გაერთიანებაში უნდა დამკვიდრებულიყო ინტელექტუალური საკუთრების სფეროში გაქირავების, დროებით სარგებლობაში გადაცემისა და გარკვეულ საავტორო უფლებებთან დაკავშირებული უფლებების ერთიანი დაცვა. დირექტივის პირველი სამი დამასაბუთებელი საფუძვლით, ეს ჰარმონიზება მიზნად ისახავს ეროვნულ სამართლებრივ ნორმებს შორის არსებული განსხვავებების აღმოფხვრას, რაც ვაჭრობაში დაბრკოლებებისა და საკონკურენციო სამართლის წესების დარღვევის მიზეზი ხდება და, ამდენად, შეუძლია, ხელი შეუშალოს შიდა ბაზრის შექმნასა და ფუნქციონირებას. როგორც სპეციალურად დირექტივის მეოთხე, მეხუთე და მეექვსე საფუძვლებიდან ირკვევა, გაქირავების უფლება, რომელსაც მზარდი მნიშვნელობა ენიჭება გაერთიანების ეკონომიკური და კომერციული განვითარებისათვის ამ სფეროში არსებული მეკობრეობის გამო, სახელდობრ უზრუნველყოფს შესაძლებლობას, ავტორმა და მოქმედმა ხელოვანებმა მიიღონ შესაბამისი შემოსავალი და სათანადოდ იყოს უზრუნველყოფილი უჩვეულოდ მაღალი და რისკიანი ინვესტიციები, რაც, განსაკუთრებით, აუცილებელია ფირებისა და ხმის ჩასანერი საგნების წარმოებისათვის.

²⁰² Judgment of the Court of 28 April 1998, *Metronome Musik GmbH v Music Point Hokamp GmbH*, Case C-200/96.

23. ეს მიზნები, ფაქტობრივად, შეესაბამებიან გაერთიანების საერთო კეთილდღეობას. ამდენად, განსაკუთრებით იმაზე უნდა მიეთითოს, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე საავტორო უფლების დაცვა, რაც ხელშეკრულების 36-ე მუხლის მიხედვით, სამენარმეო და კომერციულ საკუთრებას მიეკუთვნება, საერთო კეთილდღეობის საფუძვლებია, რომლებმაც საქონლის თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვები შეიძლება გაამართლოს (...).

24. რაც შეეხება სპეციალურად პროცესის მოპასუხის მიერ წამოწეულ საკითხს გაქირავების განსაკუთრებული უფლების მქონეთა წრეში ხმის ჩასაწერი საგნების მწარმოებლის ჩართვასთან დაკავშირებით, ის გამართლებულია უკიდურესად მაღალი და რისკის შემცველი ინვესტიციების უზრუნველსაყოფად, რაც აუცილებელია ხმის ჩასაწერი საგნების წარმოებისათვის და ავტორის მიერ ახალი ნაწარმოებების შემდგომი შექმნისათვის. როგორც გენერალურმა ადვოკატმა თავისი დასკვნის 26-ე პუნქტში განმარტა, მწარმოებლისათვის განსაკუთრებული უფლების მინიჭება დაცვის ეფექტური ფორმაა ახალი ტექნოლოგიებითა და მეკობრეობის მზარდი საფრთხის გათვალისწინებით, რასაც ხმის ჩასაწერი ნაწარმის უკიდურესად მარტივად გამრავლების შესაძლებლობა უწყობს ხელს. ასეთი უფლების გარეშე არ იქნებოდა უზრუნველყოფილი იმათი ანაზღაურება, რომლებიც დებენ ინვესტიციებს ამ პროდუქციის წარმოებაში, რასაც ყოველ შემთხვევაში ახალი ნაწარმოებების შექმნის საქმიანობაზე ზეგავლენა ექნებოდა.

25. გარდა ამისა, როგორც ეს მონაწილეების უმრავლესობამ აღნიშნა, ხმის ჩასაწერი ნაწარმის მწარმოებლისათვის და ამ ნაწარმზე სხვა უფლებების მესაკუთრეებისათვის განსაკუთრებული უფლების მინიჭების ვალდებულება, რომლითაც მათ საშუალება აქვთ, ნება დართონ ან აკრძალონ ამ პროდუქციის სამენარმეო მიზნებისათვის გაქირავება, შეესაბამება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სავაჭრო ასპექტების შესახებ ხელშეკრულების მე-11 და მე-14 მუხლებს (*TRIPS*) (...).

26. ამდენად, არ შეიძლება, პროფესიის თავისუფლად განხორციელების საყოველთაო პრინციპი საყოველთაო პრინციპებისაგან დამოუკიდებლად იქნეს განმარტებული, რომლებიც ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვასა და ამ სფეროში გაერთიანების და წევრი სახელმწიფოების მიერ აღებულ საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს შეეხებიან. რადგან არ აღმოჩნდა, რომ დასახული მიზნები ისეთი ღონისძიებებითაც მიიღწეოდა, რომლებიც ხმის ჩასაწერი ნაწარმის სამენარმეო მიზნით გაქირავებაზე სპეციალიზებული პირების ან საწარმოების პროფესიის თავისუფლად განხორციელებას უფრო ძლიერად დაიცავდნენ, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს არაპროპორციულად და მიუღებლად გაქირავების განსაკუთრებული უფლების დანესების შედეგები. (...)

29. მომმართველ სასამართლოს, ამდენად, პასუხი უნდა გაეცეს, რომ წინამდებარე საკითხის გადასინჯვამ შედეგად არ მოგვცა ისეთი რამ, რაც დირექტივის პირველი მუხლის პირველი აბზაცის ნამდვილობას შელახავდა.

გაერთიანებული საქმეები *SpA Ferriera Valsabbia*²⁰³:

88. რამდენიმე მომჩივანი აცხადებს, რომ ფასების მინიმუმის დადგენა, თუ ის შენარჩუნდება, ისეთ ურთიერთობამდე მიგვიყვანს, რომ ადამიანის უფლებებისა

²⁰³ Judgment of the Court of 18 March 1980, *SpA Ferriera Valsabbia and others v Commission of the European Communities, Concrete reinforcement bars*, Joined cases 154, 205, 206, 226 to 228, 263 and 264/78, 39, 31, 83 and 85/79.

და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის პირველ დამატებით ოქმში ასახული საკუთრების უზრუნველყოფის დარღვევის შედეგად საწარმოები თავიანთი ბიზნესის გარეშე დარჩებიან.

89. ევროპულმა სასამართლომ უკვე 1974 წლის 14 მაისის განაჩენში საქმეზე – 4/73 (*Nold*, 1974 წლის კრებული, 491) საზი გაუსვა, რომ საკუთრების უზრუნველყოფა არ შეიძლება სავაჭრო ინტერესების დაცვაზე იქნეს განვრცობილი, რომლის ბუნდოვანება განეკუთვნება ეკონომიკური საქმიანობის არსს. გარდა ამისა, არ არის არც ერთი შემთხვევა ცნობილი, რომლის დროსაც საწარმო იძულებული იქნებოდა, შეეჩერებინა საქმიანობა ევროპული ეკონომიკური გაერთიანების 962/77 გადაწყვეტილების გამო.

გაერთიანებული საქმეები *Zuckerfabrik Süderdithmarschen AG*²⁰⁴:

72. დუსელდორფის ფინანსური სასამართლოს აზრით, საკუთრებაზე ძირითადი უფლება და საწარმოების თავისუფლება არამართლობიერად შეილახებოდა, თუ საწარმო ვერ შეძლებდა ეკონომიკური წლის განმავლობაში დაგროვებული გადასახადების შესაბამის ეკონომიკურ წელში მიღებული მოგებიდან დაფარვას, და ვალდებული იქნებოდა დაეფარა ის მხოლოდ მისი რეზერვებიდან, ანუ მისი შემადგენლობიდან.

73. ევროპულმა სასამართლომ უკვე გადაწყვეტა (შეადარეთ განსაკუთრებით 1989 წლის 11 ივლისის განაჩენი საქმეზე – 265/87, *Schraeder*, 1989 წლის კრებული, 2237, მე-15 პუნქტი), რომ საკუთრების უფლება და პროფესიის თავისუფლად განხორციელება, განსაკუთრებით საერთო საბაზრო ორგანიზაციის ფარგლებში, შეზღუდვებს შეიძლება დაექვემდებარონ, რამდენადაც ეს შეზღუდვები, ფაქტობრივად, გაერთიანების საერთო კეთილდღეობის მიზნებს შეესაბამება და დასახული მიზნის თვალსაზრისით, არ არის არაპროპორციული და არც მიუღებელი ჩარევაა, რომელიც ასე გარანტირებულ უფლებებს მის არსებით ნაწილში შეეხება.

74. როგორც გაერთიანებულმა სამეფომ სწორად აღნიშნა, გადასახადის გადახდის ვალდებულება არ შეიძლება საკუთრების უფლების დარღვევად იქნეს მიჩნეული.

75. ამდენად, უნდა დადგინდეს, რომ განსაკუთრებული გადასახადები შაქრის მწარმოებლების საკუთრებას არ ეწინააღმდეგება.

ბ) გაერთიანების თავისუფლება:

საქმე *Jean-Marc Bosman*²⁰⁵:

79. გაერთიანების თავისუფლებასთან (...) მიმართებით აღიარებულ უნდა იქნეს, რომ ეს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-11 მუხლში ასახული პრინციპია, რაც წევრი სახელმწიფოების საერთო საკონსტიტუციო ტრადიციებიდან გამომდინარეობს და განეკუთვნება იმ ძირითად უფლებებს, რომლებიც გაერთიანების სამართლის წესრიგში დაცულია ევროპული სასამართლოს მუდმივი პრაქტიკის მიხედვით (...).

²⁰⁴ Judgment of the Court of 21 February 1991, *Zuckerfabrik Süderdithmarschen AG v Hauptzollamt Itzehoe and Zuckerfabrik Soest GmbH v Hauptzollamt Paderborn*, Joined cases C-143/88 and C-92/89.

²⁰⁵ Judgment of the Court of 15 December 1995, *Union royale belge des sociétés de football association ASBL v Jean-Marc Bosman, Royal club liégeois SA v Jean-Marc Bosman and others and Union des associations européennes de football (UEFA) v Jean-Marc Bosman*; Case C-415/93.

გ) პირადი სფეროს დაცვა:

საქმე *X v. Commission*²⁰⁶.

17. (პირადი ცხოვრების პატივისცემის ძირითადი უფლება) მოიცავს განსაკუთრებით პირის უფლებას, საიდუმლოდ შეინახოს თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობა.

დ) საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობა:

საქმეები – *Hoechst*²⁰⁷:

17. რადგან მომჩივანი, გარდა ამისა, დაეყრდნო იმ აუცილებლობებს, რაც საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებიდან გამომდინარეობს, უნდა დადგინდეს, რომ ასეთი უფლება ფიზიკური პირების პირადი საცხოვრებელი ბინისათვის აღიარებულ უნდა იქნეს გაერთიანების სამართლებრივ წესრიგში, როგორც წევრი სახელმწიფოების სამართლის საერთო პრინციპი, მაგრამ სანარმოებისათვის არაა, რადგან წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი წესრიგები არცთუ უმნიშვნელოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ოფიციალური უწყებების მიერ ამ უფლებაში ჩარევისაგან დაცვის სახისა და მოცულობის თვალსაზრისით.

18. სხვა რამ არ გამომდინარეობს ასევე ადამიანის უფლებების შესახებ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლიდან, რომლის პირველი აბზაცის მიხედვით, „ყოველ ადამიანს (...) აქვს უფლება, მოითხოვოს პირადი და ოჯახური ცხოვრების, მისი საცხოვრებელი ბინისა და მიმონერის პატივისცემა“. ამ მუხლის დაცვის სფერო შეეხება პიროვნულობის თავისუფალ განვითარებას და ამიტომ არ ვრცელდება ოფისებზე. გარდა ამისა, უნდა დადგინდეს, რომ ამასთან დაკავშირებით არ არსებობს ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო პრაქტიკა.

საქმე *Roquette Freres*²⁰⁸:

29. (...) სანარმოების ოფისების დაცვის მოცულობის დადგენისას გასათვალისწინებელია *Hoechst v. Commission* განაჩენის შემდეგ ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული სასამართლო პრაქტიკა, რომლიდანაც გამომდინარეობს, რომ, ერთი მხრივ, საცხოვრებელი ბინის დაცვა, რომელსაც ადამიანის უფლებების შესახებ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი შეეხება, გარკვეულ გარემოებებში ოფისებზეც შეიძლება გავრცელდეს და, მეორე მხრივ, ამ ჩარევის გამართლება ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, უფრო ფართო შეიძლება იყოს პროფესიული ან სამსახურებრივი საქმიანობებისათვის, ვიდრე სხვა შემთხვევებში (...).

ე) აზრის, პრესის, მედიისა და ინფორმაციის თავისუფლება:

საქმე *Familiapress*²⁰⁹:

24. თუ წევრი სახელმწიფო ეყრდნობა იძულებით მოთხოვნებს, რათა გაამართლოს რეგულირება, რომელმაც შესაძლებელია დააბრკოლოს საქონლის თავისუფალი გად-

²⁰⁶ Judgment of the Court of 5 October 1994; X v, Commission of the European Communities; Case C-404/92 P.

²⁰⁷ იხ. მე-14 სქოლიო.

²⁰⁸ Judgment of the Court of 22 October 2002, *Roquette Frères SA v Directeur général de la concurrence, de la consommation et de la répression des fraudes*, Third party: Commission of the European Communities, Reference for a preliminary ruling from the Cour de cassation, C-94/00.

²⁰⁹ Judgment of the Court of 26 June 1997, *Vereinigte Familiapress Zeitungsverlags- und vertriebs GmbH v Heinrich Bauer Verlag*, Case C-368/95.

აადგილება, ეს გამართლება, გარდა ამისა, უნდა განიმარტოს საყოველთაო სამართლებრივი პრინციპებისა და, განსაკუთრებით, ძირითადი უფლებების მიხედვით (...).

25. ამ ძირითად უფლებებს განეკუთვნება ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ კონვენციის მე-19 მუხლში არსებული აზრის გამოხატვის თავისუფლება (...).

საქმე *Connolly*²¹⁰:

37. მუდმივი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ძირითადი უფლებები განეკუთვნებიან საყოველთაო სამართლებრივ პრინციპებს, რომელთა დაცვასაც უზრუნველყოფს ევროპული სასამართლო. ამასთან, ევროპული სასამართლო ხელმძღვანელობს წევრი სახელმწიფოების საერთო საკონსტიტუციო ტრადიციებით და ასევე იმ მითითებებით, რომლებსაც იძლევიან ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა დადებამაც წევრი სახელმწიფოები მონაწილეობდნენ და რომლებსაც ისინი შეუერთდნენ. ამასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპულ კონვენციას (შეადარეთ, სხვასთან ერთად, ასევე 1991 წლის 18 ივნისის განაჩენი საქმეზე – C-260/89, *ERT*, 1991 წლის კრებული, I-2925, 41-ე პუნქტი).

38. ეს პრინციპები, სხვასთან ერთად, ასახულია ევროპული კავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-2 აბზაცში, რომელიც ადგენს: „კავშირი პატივს სცემს ძირითად უფლებებს, როგორც ეს გარანტირებულია 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპული კონვენციით (შემდგომში – ევროპული კონვენცია) და როგორც ეს გამომდინარეობს წევრი სახელმწიფოების საერთო საკონსტიტუციო ტრადიციებიდან გაერთიანების სამართლის საყოველთაო პრინციპების სახით.“

39. როგორც ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ გადაწყვიტა, აზრის გამოხატვის თავისუფლება არის „(დემოკრატიული საზოგადოების) ერთ-ერთი არსებითი ფუნდამენტი და მისი წინსვლისა და ყოველი ინდივიდის რეალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა. ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 აბზაცის შესაბამისად, ის მოქმედებს არა მხოლოდ „ინფორმაციებისა“ და „იდეებისათვის“, რომელთაც თანხმობა სჭირდებათ ან რომლებიც მიჩნეულია უვნებლად ან უმნიშვნელოდ, არამედ ასევე ინფორმაციებისა და იდეების მთელი რიგისათვის, რომლებიც სახელმწიფოს ან მოსახლეობის ნაწილს შეურაცხყოფას აყენებენ, მოთმინებას აკარგვენ ან ხელს უშლიან. ამას მოითხოვს, კერძოდ, პლურალური საზოგადოება, ტოლერანტობა და დიდსულოვნება, რომლის გარეშეც არ იქნება „დემოკრატიული“ საზოგადოება“ (ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო, *Handyside*, განაჩენები 1976 წლის 7 დეკემბრის, სერია „ა“, №24, \$49; *Muller* 1988 წლის 24 მაისი, სერია „ა“, №133, \$33, და *Vogt v. Germany* 1995 წლის 26 სექტემბერი, სერია „ა“, №323, \$52).

40. აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით, შესაძლოა შეიზღუდოს, რომლის თანახმად, ამ თავისუფლების განხორციელება ვალდებულებებთან და პასუხისმგებლობასთანა დაკავშირებული; ამდენად, ის შესაძლებელია, დაექვემდებაროს ფორმალურ ნორმებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სასჯელის საფრთხეებს, რომლებიც კანონით გათვალისწინებულია და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოებისათვის, ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან საჯარო უსაფრთხოებისათვის, წესრიგის შენარჩუნების ან დანაშაულთა თავიდან აცილებისათვის, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვისათვის, კარგი რეპუტაციის

²¹⁰ Judgment of the Court of 6 March 2001, *Bernard Connolly v Commission of the European Communities*, Case C-274/99 P.

ან სხვათა უფლებების დაცვისათვის, საიდუმლო ინფორმაციების გავრცელების თავიდან აცილებისათვის ან ავტორიტეტისა და მართლმსაჯულების დაცვისათვის“.

41. თუმცა ეს შეზღუდვები უნდა განიმარტოს ვინროდ. ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, თვისებრივი სიტყვა „აუცილებელი“ მე-10 მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად, ნიშნავს „აუცილებელ საზოგადოებრივ მოთხოვნას“; ამის მიხედვით, „წევრი სახელმწიფოები ფლობენ გარკვეული გადანაცვტილების მიღების თავისუფლებას იმაზე, არსებობს თუ არა ეს მოთხოვნა“; თუმცა ჩარევა „დასახულ გამართლებულ მიზანთან სწორ მიმართებაში“ უნდა იყოს და „საფუძვლები, რომლებსაც ეროვნული უწყებები თავისი გამართლებისათვის ეყრდნობიან“, უნდა იყოს „შესაბამისი და საკმარისი“ (შეადარეთ განსაკუთრებით განაჩენები *Vogt v. Germany*, §52 და *Wille v. Liechtenstein* 1999 წლის 28 ოქტომბერი, პროცესი №28396/95, §§61-63). ამასთან, ყოველი წინასწარი შეზღუდვა საჭიროებს განსაკუთრებულ გადასინჯვას (შეადარეთ 1996 წლის 25 ნოემბრის განაჩენი *Wingrove v. United Kingdom, Reports of Judgments and Decisions*, 1996-V, გვ. 1957, §§58 და 60).

42. შემდგომ ამისა, შეზღუდვები სამართლებრივ ნორმაში ისე ზუსტად უნდა გაიწეროს, რომ შესაბამის პირებს შეეძლოთ, თავისი ქცევა წარმართონ, სათანადო კვალიფიციური რჩევის მიღების შემდეგ (შეადარეთ ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო, განაჩენი *Sunday Times v. United Kingdom*, 1979 წლის 26 აპრილი, სერია „ა“, №30, §49).

43. როგორც ევროპულმა სასამართლომ უკვე გადანყვიტა, მოხელეები და ევროპული გაერთიანებების მოსამსახურეები სარგებლობენ აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლებით, რომლებიც გაერთიანების ორგანოების საქმიანობაში შედიან. ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, გამოხატო ზეპირად ან წერილობით შეხედულებები, რომლებიც იმ გაერთიანების ორგანოს შეხედულებისგან განსხვავდება, რომელშიც ის დასაქმებულია, ანდა რომლებიც უმცირესობის აზრს გამოხატავენ ამ ორგანოს საწინააღმდეგოდ.

44. დემოკრატიულ საზოგადოებაში ასევე ლეგიტიმურია, მოხელეები მათი მდგომარეობის გამო ისეთ ვალდებულებებს დაუქვემდებარონ, როგორც გათვალისწინებულია სტატუტის მე-11 და მე-12 მუხლებში. ასეთი ვალდებულებები, ძირითადად, დადგენილია ნდობის ურთიერთობის შესანარჩუნებლად, რაც უნდა არსებობდეს გაერთიანების ორგანოსა და მის მოხელეებსა თუ მოსამსახურეებს შორის.

45. არ არის სადავო, რომ ამ ვალდებულებების მოცულობა დამოკიდებულია იმ სამსახურის ხასიათზე, სადაც შესაბამისი პირია დასაქმებული, ან თანამდებობაზე, რომელსაც ის იკავებს სამსახურებრივ იერარქიაში (შეადარეთ ამ თვალსაზრისით ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო, განაჩენი *Wille v Liechtenstein*, §63, და კომისიის მოხსენება (ადამიანის უფლებების ევროპული კომისია) 1984 წლის 11 მაისი, საქმე *Glaserapp*, სერია „ა“, №104, §124).

46. აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლების განხორციელების განსაკუთრებული შეზღუდვები, ძირითადად, ლეგიტიმური მიზნით შეიძლება გამართლდნენ, კერძოდ, იმით, რომ დაცულ იქნეს სხვათა უფლებები ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით. წინამდებარე შემთხვევაში ეს ინსტიტუციების უფლებებია, რომელთაც საყოველთაო ინტერესებში არსებული ამოცანების შესრულება აკისრიათ და ამ ამოცანების სათანადოდ შესრულების მოლოდინი მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ.

47. დებულებები, რომლებიც არეგულირებენ ევროპული საჯარო სამსახურისათვის დაკისრებულ ვალდებულებებსა და მის პასუხისმგებლობას, ამ მიზანს ემსახურებიან.

ამიტომ საჯარო მოსამსახურემ განსაკუთრებით სტატუტის მე-11, მე-12 და მე-17 მუხლებიდან გამომდინარე თავისი ვალდებულებები გაერთიანების იმ ორგანოს მიმართ, რომელთაც ის ემსახურება, წერილობით ან ზეპირად აზრის გამოთქმით არ უნდა დაარღვიოს, რადგან ის ნდობის ურთიერთობას ანგრევს, რომელიც მას გაერთიანების ამ ორგანოსთან აკავშირებს, და ამიტომ მისთვის მოგვიანებით ძნელი ან შეუძლებელი იქნება, მოხელეებთან თანამშრომლობის გზით შეასრულოს დაკისრებული ამოცანები.

48. მისი კონტროლის განხორციელებისას გაერთიანების სასამართლომ უნდა გადაამოწმოს შესაბამისი შემთხვევის გარემოებათა მიხედვით, დაცულია თუ არა სათანადო ბალანსი აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე ერთეულების ძირითად უფლებასა და გაერთიანების ორგანოს იმ სამართლიან ინტერესს შორის, რომ მისმა მოხელეებმა და სხვა მოსამსახურეებმა მათი ვალდებულებებისა და მათი პასუხისმგებლობის დაცვით იმუშაონ.

49. როგორც ადამიანის უფლებების სასამართლომ ამასთან დაკავშირებით გადაწყვიტა, გასათვალისწინებელია, რომ, „მე-10 მუხლის მე-2 აბზაცის თვალსაზრისით, მოხელეების მიერ აზრის თავისუფლად გამოხატვისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მათ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, რომლებიც ამართლებენ ეროვნული უწყებებისათვის გარკვეული უფლებამოსილების მინიჭებას, რათა შეაფასონ, არის თუ არა გასაჩივრებული შეზღუდვა ზემოთ დასახელებულ მიზანთან სამართლიან მიმართებაში“ (შეადარეთ ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო, განაჩენები – *Vogt v. Germany* (...)).

50. ამ ზოგადი საფუძვლებიდან გამომდინარე, როგორც ეს (ადამიანის უფლებათა ევროპულმა) სასამართლომ გასაჩივრებული განაჩენის 148-ე და 155-ე პუნქტებამდე მოიყვანა, განმარტებულ და გამოყენებულ უნდა იქნეს სტატუტის მე-17 მუხლის მე-2 აბზაცი.

51. ამ დებულების მიხედვით, გაერთიანებების საქმიანობის შესახებ ტექსტების გამოქვეყნება თანხმობით ხდება. ამ თანხმობაზე უარის განცხადება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მას შეუძლია „შელახოს გაერთიანებების ინტერესები“. ამ შემთხვევაში საბჭოს რეგულაციაში, როგორც უარის ერთადერთი საფუძველი, არის „სხვათა უფლებების (...) დაცვა“. ეს ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 აბზაცისა და ადამიანის უფლებების სასამართლოს მიერ აზრის თავისუფლად გამოხატვის შეზღუდვის განმარტების მიხედვით გამამართლებელი საფუძველია. ამდენად, მომჩივნის საჩივრები იმის შესახებ, რომ სტატუტის მე-17 მუხლის მე-2 აბზაცი არ ისახავს ლეგიტიმურ მიზანს და რომ აზრის თავისუფლად გამოხატვის შეზღუდვისათვის არ არსებობს სამართლებრივი ნორმა, უარსაყოფია.

52. აზრის თავისუფლად გამოხატვის ძირითად უფლებას არ ეწინააღმდეგება ამ შემთხვევაში არსებული შეზღუდვა მხოლოდ იმით, რომ მას წინასწარი თანხმობის ფორმა აქვს, როგორც ეს სასამართლომ გასაჩივრებული განაჩენის 152-ე პარაგრაფში გადაწყვიტა.

53. სტატუტის მე-17 მუხლის მე-2 აბზაცი ერთმნიშვნელოვნად ადგენს თანხმობის გაცემის პრინციპს, რომლის გაცემაზეც უარი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაშია შესაძლებელი. რადგან ეს დებულება ორგანოებს ნებას რთავს, არ გასცენ თანხმობა გამოქვეყნებაზე, და ამით ქმნის მძიმე ჩარევის შესაძლებლობას აზრის გამოხატვის თავისუფლებაში, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების არსებითი ფუნდამენტია, ის ვინროდ უნდა იქნეს განმარტებული და წინამდებარე განაჩენის 41-ე პუნქტში ნამოყენებული წინაპირობების მკაცრი დაცვით გამოყენებული. ამდენად, გამოქვეყნე-

ბაზე თანხმობა მხოლოდ მაშინ შეიძლება არ გაიცეს, როდესაც ამან შესაძლოა, გაერთიანებათა ინტერესებს მძიმე ზიანი მიაყენოს.
(...)

57. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს ასევე, რომ შესაბამისმა ორგანომ სტატუტის მე-17 მუხლის მე-2 აბზაცის გამოყენებისას უნდა გაითვალისწინოს განსხვავებული ინტერესები და, ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება გაერთიანებების ინტერესების შელახვის ხარისხს უნდა მიაქციოს.

საქმე *Grogan*²¹¹:

საქმის ფაბულა: ამ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენდა საკითხი, ზღუდავდა თუ არა მომსახურების განვების თავისუფლებას ის ნევრი სახელმწიფო, სადაც აკრძალული იყო ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა და სადაც სტუდენტური გაერთიანებები ავრცელებდნენ ბროშურებს სხვა ნევრ სახელმწიფოში არსებული იმ კლინიკების სახელებისა და მისამართების მითითებით, რომლებიც ასეთ მომსახურებას ლეგალურად ეწეოდნენ. ევროპულმა სასამართლომ, გამომდინარე იქიდან, რომ ეს გაერთიანებები საკუთარი სურვილით, და არა კლინიკების დავალებით, მოქმედებდნენ, არ დაუქვემდებარა ეს შემთხვევა ევროგაერთიანების სამართალს და აღნიშნა, რომ აქ საკითხი უფრო მეტად აზრის გამოხატვის თავისუფლებას შეეხებოდა, რომელიც ამ შემთხვევაში ეროვნული სასამართლოს განსჯადი იყო.

24. რაც, უპირველესად, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 59-ე მუხლს შეეხება, რომელიც თავისუფლად მომსახურების გადაადგილების ყოველგვარ შეზღუდვას კრძალავს, ძირითადი პროცესის საქმის შემადგენლობიდან გამომდინარეობს, რომ კავშირი სტუდენტური გაერთიანებების (...) საქმიანობასა და ორსულობის სამედიცინო გზით შეწყვეტას შორის, რომელიც სხვა ნევრი სახელმწიფოს კლინიკებში ხორციელდება, ძალზე სუსტია იმისათვის, რომ ინფორმაციების გავრცელების აკრძალვა განვიხილოთ ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 59-ე მუხლის შეზღუდვად.

25. თუ ამ პროცესის მიხედვით, სადავო ინფორმაციების გამავრცელებელი სტუდენტური გაერთიანებები არ მუშაობენ კლინიკებთან, რომელთა მისამართებს ისინი აქვეყნებენ, მაშინ ეს სიტუაცია განსხვავდება იმათგან, რომელთა საფუძველზეც ევროპულმა სასამართლომ 1990 წლის 7 მარტის განაჩენში საქმეზე C-362/88 (*GB INNI BM*, 1990 წლის კრებული, I-667) აზრი გამოთქვა, რომ საქმიანი რეკლამის გავრცელების აკრძალვამ შესაძლოა შელახოს საქონლის თავისუფლად გადაადგილება და ამიტომ ექცევა ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 30-ე, 31-ე და 36-ე მუხლების მოქმედების სფეროში.

26. ინფორმაციები, რომელთაც მომმართველი სასამართლოს შეკითხვები შეეხება, არ ვრცელდება სხვა ნევრ სახელმწიფოში დაფუძნებული ეკონომიკური სუბიექტის დავალებით. უფრო მეტიც, ისინი აზრისა და ინფორმაციის გავრცელების თავისუფლების გამოყენებაა, რაც დამოუკიდებელია სხვა ნევრ სახელმწიფოში დაფუძნებული კლინიკების ეკონომიკური საქმიანობისაგან.

27. აქედან გამომდინარეობს, რომ ყოველ შემთხვევაში ინფორმაციების გავრცელების აკრძალვა გარემოებების მიხედვით, როგორც ამ პროცესშია აღწერილი, არ შეიძლება განხილულ იქნეს ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 59-ე მუხლის შეზღუდვად. (...)

²¹¹ Judgment of the Court of 4 October 1991; *The Society for the Protection of Unborn Children Ireland Ltd v Stephen Grogan and others*; Case C-159/90; European Court reports 1991 Page I-04685.

31. როგორც სხვასთან ერთად, ასევე 1991 18 ივნისის განაჩენიდან საქმეზე C-260/89 (*Elleniki Radiophonia Tileorassi*, 1991 წლის კრებული, I-2925, 42-ე პუნქტი) გამომდინარეობს, ევროპულმა სასამართლომ წინასწარი გადანყვეტილების პროცედურის დროს, მაშინ, როდესაც ეროვნული რეგულირება გაერთიანების სამართლის მოქმედების სფეროში ექცევა, მომმართველ სასამართლოს უნდა მიუთითოს ყველა იმ საინტერპრეტაციო კრიტერიუმზე, რომელიც მას სჭირდება, რათა შეძლოს იმ რეგულირების ძირითად უფლებებთან შესაბამისობის შეფასება, რომელთაც იცავს ევროპული სასამართლო და რომლებიც განსაკუთრებით ადამიანის უფლებების შესახებ ევროპული კონვენციიდან გამომდინარეობენ. ამის საპირისპიროდ მას არ გააჩნია ეს კომპეტენცია იმ ეროვნულ რეგულირებასთან მიმართებით, რომელიც გაერთიანების სამართლის მოქმედების სფეროში არ ექცევა. ამ პროცესის საქმის შემადგენლობისა და ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 59-ე და 62-ე მუხლების მოქმედების სფეროსთან მიმართებით გაკეთებული დასკვნებიდან გამომდინარე, მომმართველ სასამართლოში წარმოებული დავის საგანი – აკრძალვა — სწორედ ასეთი შემთხვევაა.

32. ამდენად, მომმართველი სასამართლოს მეორე და მესამე შეკითხვაზე პასუხი უნდა გაეცეს, რომ წევრი სახელმწიფო არ არღვევს გაერთიანების სამართალს, როდესაც მის მიერ აკრძალულია ორსულობის სამედიცინო გზით ხელოვნურად შეწყვეტა და უკრძალავს სტუდენტურ გაერთიანებებს, გაავრცელონ ინფორმაციები სხვა წევრ სახელმწიფოში არსებული კლინიკების სახელებისა და მისამართების შესახებ, სადაც ლეგალურია ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა, (...) თუ ამ ინფორმაციების გავრცელება არანაირად არ გამომდინარეობს შესაბამისი კლინიკებიდან.

საქმე *Augustin Oyowe and Amadou Traore*²¹²:

საქმის ფაბულა: ორი რედაქტორი, რომლებიც მუშაობდნენ კომისიის მიერ დაარსებული თანამშრომლობის ევროპულ საზოგადოებაში და აფრიკის, კარიბისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების საინფორმაციო ჟურნალს გამოსცემდნენ, ასაჩივრებდნენ იმას, რომ არ განიხილებოდნენ კომისიის მოხელეებად. ისინი, აქედან გამომდინარე, კომისიას დისკრიმინაციულ მოპყრობაში ადანაშაულებდნენ. კომისიამ, სხვასთან ერთად, თავი იმართლა იმით, რომ მათი მოხელეებად დანიშვნა განსაკუთრებული ერთგულების ვალდებულების გამო შეუსაბამო იქნებოდა მათ სარედაქციო საქმიანობასთან.

16. (...) გაერთიანების მიმართ კომისიის მოხელეების, მათი სამოხელეო სტატუსის მიხედვით, ერთგულების ვალდებულება ყოველ შემთხვევაში ისე არ უნდა განიმარტოს, რომ ის აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან შეუსაბამოა. ეს არის ძირითადი უფლება, რომლის დაცვასაც ევროპული სასამართლო გაერთიანების სამართლებრივი წესრიგის ფარგლებში უზრუნველყოფს და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ იგი, როგორც ეს ამ შემთხვევაშია, ჟურნალისტებს ეხება, რომელთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დაწერონ, სრულიად დამოუკიდებლად, როგორც აფრიკის, კარიბისა და წყნარი ოკეანის სახელმწიფოების, ასევე გაერთიანების თვალთახედვიდან.

17. ამდენად, დადგინდა, რომ კომისიამ მოხელეებად დანიშვნაზე მომჩივნების განაცხადის უარყოფის გამართლება ვერ შეძლო (...).

²¹² Judgment of the Court (Second Chamber) of 13 December 1989; *Augustin Oyowe and Amadou Traore v Commission of the European Communities*; Case C-100/88; European Court reports 1989 Page 04285.

ვ) სხვა ძირითადი უფლებები:

საქმე *Vivien Prais v. Council of the European Communities*²¹³:

6/9. მომჩივანი, უპირველესად, ასაჩივრებს იმას, რომ თავისი რელიგიური შეხედულებების გამო მისი განცხადების უარყოფით მას ხელი შეეშალა, შერჩევით პროცესში მიეღო მონაწილეობა, და კერძოდ დაირღვა სტატუტის 27-ე მუხლის მე-2 აბზაცი, რომლის მიხედვითაც მოხელეები არჩეულ უნდა იქნენ რასის, სარწმუნოებისა და სქესის მიუხედავად. გარდა ამისა, ის აცხადებს, რომ გაერთიანების სამართალი კრძალავს ნებისმიერ დისკრიმინაციას რელიგიური საფუძვლებიდან გამომდინარე, რადგან ასეთი დისკრიმინაციები ეწინააღმდეგება ადამიანთა ძირითად უფლებებს, რომელთა დაცვასაც უზრუნველყოფს ევროპული სასამართლო; გარდა ამისა, ის ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 აბზაცს ეყრდნობა, რომლის მიხედვითაც: „რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლება არ შეიძლება შეიზღუდოს, გარდა კანონით გათვალისწინებული შეზღუდვებისა, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საჯარო უსაფრთხოების, საჯარო წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის ან სხვების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე“. (...)

12/19. (...) თუ ეს შეეხება გამოცდებით (მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე) შერჩევას, თანასწორუფლებიანობის პრინციპი მოითხოვს, რომ გამოცდები ყველა მონაწილისათვის თანაბარ პირობებში ჩატარდეს, ხოლო წერიტი გამოცდების შემთხვევაში, მონაწილეთა სამუშაოების შედარების პრაქტიკული სირთულეებიდან გამომდინარე, აუცილებელია, ეს გამოცდები ყველასთვის თანაბარი იყოს. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, ყველა მონაწილემ წერიტი გამოცდები ერთსა და იმავე დროს ჩააბაროს. ამ მოთხოვნის თვალსაზრისით, მონაწილეების ინტერესშია, შეაფასოს, რომ გამოცდები არ ჩატარდეს მათთვის არახელსაყრელ დღეს. თუ მონაწილე ატყობინებს შესაბამის უწყებას, რომ რელიგიური ცნება მას ხელს უშლის, გარკვეულ დღეებში მონაწილეობა მიიღოს გამოცდებში, მაშინ უწყებამ მას ანგარიში უნდა გაუწიოს და საგამოცდო დღის შესახებ შეთანხმებისას უნდა შეეცადოს, ასეთი თარიღების დანიშვნა თავიდან აიცილოს (...). მართალია, სასურველია, შესაბამისმა უწყებამ ზოგადად ინფორმაცია მოიპოვოს იმ თარიღების შესახებ, რომლებიც, რელიგიური საფუძვლებიდან გამომდინარე, არ არის დაშვებული, და ამ თარიღებში გამოცდების დანიშვნის თავიდან არიდებას შეეცადოს; თუმცა, დასახელებული საფუძვლებიდან გამომდინარე, არ უნდა მოხდეს იმით ხელმძღვანელობა, რომ სამოხელეო სტატუტი ან დასახელებული ძირითადი უფლებები დამნიშნავ უწყებას ვალდებულებას აკისრებენ, თავიდან აირიდოს იმ რელიგიურ მოთხოვნასთან კონფლიქტი, რომლის თაობაზეც ისინი არ ყოფილან გაფრთხილებულნი. (...)

საქმე *Commission of the European Communities v. Federal Republic of Germany*²¹⁴:

5. 1612/68 დირექტივის მე-10 მუხლის პირველი და მე-2 აბზაცები დროებით სხვადასხვა ადგილზე დასაქმებულის ოჯახის წევრებს ანიჭებს უფლებას, იცხოვროს დასაქმებულის ბინაში მისი სამუშაო ადგილის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, თუ ეს დასაქმებული ერთი წევრი სახელმწიფოს მოქალაქეა; მე-10 მუხლის მე-3 აბზაცის

²¹³ Judgment of the Court (First Chamber) of 27 October 1976, Vivien Prais v Council of the European Communities, Case 130-75.

²¹⁴ Judgment of the Court of 18 May 1989, Commission of the European Communities v Federal Republic of Germany, Case 249/86.

მიხედვით, „პირველი და მე-2 აბზაცების გამოყენების წინაპირობაა (...) ის, რომ თავისი ოჯახისათვის დასაქმებული მისი სამუშაო ადგილის სახელმწიფოში არსებული ისეთი ბინით უნდა სარგებლობდეს, როგორც შეესაბამება სამუშაო ადგილის სახელმწიფოს დასაქმებული მოქალაქის ნორმალურ მოთხოვნილებებს; ამ დებულებამ არ უნდა გამოიწვიოს სამუშაო ადგილის სახელმწიფოს დასაქმებულ მოქალაქეებსა და გაერთიანების სხვა წევრი სახელმწიფოების დასაქმებულებს შორის დისკრიმინაცია“. მხარეები ამ დებულების განმარტებას სადავოდ ხდიან.
(...)

8. საბჭოს 1612/68 რეგულაცია უფრო დაწვრილებით განმარტავს დასაქმებულთა თავისუფლად გადაადგილების პრინციპის შინაარსს, როგორც ეს ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 48-ე და 49-ე მუხლებშია ასახული. ამიტომ რეგულაცია ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების დასახელებული დებულებების თვალსაზრისით უნდა იქნეს განმარტებული, რომლის მიხედვითაც ყველა აუცილებელი ღონისძიება უნდა იქნეს მიღებული, რათა დასაქმებულების თავისუფლად გადაადგილების საკითხი პროგრესულად დარეგულირდეს.

9. ასევე ევროპულმა სასამართლომ თავის 1976 წლის 8 აპრილის განაჩენში საქმეზე 48/75 (*Royer*, 1976 წლის კრებული, 497) გადაწყვიტა, რომ წევრი სახელმწიფოს მოქალაქეების უფლება, შევიდნენ სხვა წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე და დარჩნენ იქ ხელშეკრულებით დასახელებული მიზნებით — განსაკუთრებით იმისათვის, რომ მოძებნონ იქ დამოუკიდებელი თუ დამოკიდებული საქმიანობა, ან განახორციელონ ასეთი საქმიანობა, ან იყვნენ მეუღლესთან თუ ოჯახის სხვა წევრებთან, გამომდინარეობს უშუალოდ ხელშეკრულებიდან ან, საქმის მდგომარეობის მიხედვით, მისი აღსრულებისათვის მიღებული დებულებებიდან და, შედეგად, ეს უფლებები არსებობს წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური უწყების მიერ ბინადრობის ნებართვის გაცემისაგან დამოუკიდებლად.

10. შემდგომ, 1612/68 რეგულაცია უნდა განიმარტოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლში დასახელებული ოჯახური ცხოვრების პატივისცემაზე უფლების ქრილში. ეს უფლება განეკუთვნება ძირითად უფლებებს, რომლებიც ერთიანი ევროპული აქტების პრეამბულაში დადასტურებულია და მუდმივი ევროპული სასამართლო პრაქტიკით გაერთიანების სამართლითაა აღიარებული.

11. საბოლოოდ, 1612/68 რეგულაციის მე-10 მუხლის მე-3 აბზაცი, ამ რეგულაციის სისტემისა და მიზნის მიხედვით, უნდა განიმარტოს. ამათი საერთო კავშირიდან გამომდინარეობს, რომ დასაქმებულის ოჯახის წევრების თავისუფლად გადაადგილების ინტერესებისათვის საბჭო, ერთი მხრივ, დაეყრდნო იმას, რომ, ადამიანური თვალსაზრისიდან გამომდინარე, დასაქმებულისათვის მნიშვნელოვანია თავის ოჯახთან ერთად ცხოვრება და, მეორე მხრივ, დასაქმებულისა და მისი ოჯახის ინტეგრაცია მიმღებ წევრ სახელმწიფოში მნიშვნელოვანია, ამ სახელმწიფოს მოქალაქეებთან თანასწორუფლებიანობის ნებისმიერი თვალსაზრისიდან გამომდინარე.

საქმე *Dieter Krombach and André Bamberski*²¹⁵:

25. მუდმივი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ძირითადი უფლებები განეკუთვნებიან საყოველთაო სამართლებრივ პრინციპებს, რომელთა დაცვასაც უზრუნველყოფს ევროპული სასამართლო (...).

²¹⁵ Judgment of the Court of 28 March 2000, *Dieter Krombach and André Bamberski*, Case C-7/98.

26. ამგვარად, ევროპულმა სასამართლომ ნათლად აღიარა ამ ძირითადი უფლებებიდან განვითარებული გაერთიანების საყოველთაო სამართლებრივი პრინციპი, რომ ყოველ პირს აქვს უფლება, მოითხოვოს სამართლიანი სასამართლო პროცესი (...).

42. ევროპული სასამართლო პრაქტიკიდან, რომელიც ზემოთ 25-ე პუნქტში ასახული პრინციპების საფუძველზე განვითარდა, (...) გამომდინარეობს, რომ დაცვის უფლებების განხორციელება ნებისმიერ სასამართლო პროცესში, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს შესაბამისი პირისათვის დამამძიმებელი ღონისძიების მიღება, გაერთიანების სამართლის ფუნდამენტური პრინციპია, რომელიც მაშინაც უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, როცა სადავო პროცედურისათვის რეგულირების წესი არ არსებობს (...).

43. ევროპულმა სასამართლომ ასევე გადაწყვიტა, რომ შეთანხმებამ, მართალია, უნდა უზრუნველყოს სასამართლო გადაწყვეტილებების ორმხრივი აღიარებისა და აღსრულების ფორმალობების გამარტივება, მაგრამ ამ მიზნის მიღწევა არ შეიძლება სამართლებრივ მოსმენაზე მოთხოვნის უფლების შელახვით (...).

2. ძირითადი უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების კოლიზია

საქმე *Familiapress*²¹⁶:

საქმის ფაბულა: წარმოდგენილი საკითხის შესწავლიდან ირკვეოდა, რომ ავსტრიაში მოქმედი კანონმდებლობის, კერძოდ კი კონკურენციის საკანონმდებლო რეგულირებით, იკრძალებოდა პერიოდულ გამოცემებში მომგებიანი გამოცანების ან თამაშების დაბეჭდვა. გერმანული კანონმდებლობა ამას არ კრძალავდა. გერმანული გამოცემლობა, რომელიც თავის გამოცემებში ხშირად იყენებდა მაღალფასიანი პრიზების გათამაშებისათვის შესაბამის გამოცანებს, ამას მიიჩნევდა საქონლის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვად. ავსტრიის მთავრობა ირწმუნებოდა, რომ ავსტრიაში პერიოდული გამოცემები კონცენტრირებული იყო, და ამგვარი თამაშების დაშვება აშკარად არათანაბარ პირობებში ჩააყენებდა მსხვილ და წვრილ გამოცემლობებს, ეს უკანასკნელნი კი ვერ გაუძლებდნენ კონკურენციას და ბაზრიდან გაქრებოდნენ.

18. მედიის მრავალფეროვნების შენარჩუნება შესაძლოა, სავალდებულო აუცილებლობაა, რომელიც საქონლის თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვას ამართლებს. მრავალფეროვნებას წვლილი შეაქვს, კერძოდ, აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლების დაცვაში, რომელიც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლითაა დაცული და რომელსაც გაერთიანების სამართლებრივი წესრიგით დაცული ძირითადი უფლებები განეკუთვნება (...).

19. ასეთი ეროვნული ნორმები მუდმივი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით (...) მხოლოდ მაშინაა დასაშვები, როდესაც ის დასახულ მიზანთან თანაზომიერია და როდესაც ეს მიზანი ვერ მიიღწევა ღონისძიებით, რომელიც შიდაგაერთიანების სავაჭრო ურთიერთობას ნაკლებად ზღუდავს. (...)

²¹⁶ იხ. 209-ე სქოლიო.

24. მაშინ, როდესაც ნევრი სახელმწიფო ეყრდნობა სავალდებულო აუცილებლობას, რათა გამართლებულ იქნეს რეგულირება, რომელმაც შესაძლოა საქონლის თავისუფლად გადაადგილება შელახოს, ის სხვასთან ერთად უნდა განიმარტოს საყოველთაო სამართლებრივი პრინციპებისა და განსაკუთრებით ძირითადი უფლებების თვალსაზრისით. (...)

25. ამ ძირითად უფლებებს მიეკუთვნება ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ კონვენციის მე-10 მუხლში ასახული აზრის გამოხატვის თავისუფლება (...).

26. ისეთი გაზეთების გაყიდვის აკრძალვამ, რომლებიც შესაძლებელს ხდიან პრიზების გათამაშებაში მონაწილეობას, შესაძლოა, შელახოს აზრის თავისუფლება. თუმცა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი უშვებს ამ თავისუფლებიდან გამონაკლისებს მედიის მრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით, თუ ის კანონითაა მოწესრიგებული და დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელია (...).

27. ამდენად, მე-19-26-ე პუნქტებში გამოხატული მოსაზრებების საფუძველზე გამოკვლევულ უნდა იქნეს, არის თუ არა ამ სასამართლო პროცესში სადავო ეროვნული აკრძალვა მედიის მრავალფეროვნების შენარჩუნების თანაზომიერი და ეს მიზანი შეიძლება თუ არა მიიღწეს ღონისძიებებით, რომლებიც შიდაგაერთიანების სავაჭრო ურთიერთობას, ასევე აზრის თავისუფლებას ნაკლებად ზღუდავენ.

28. ამ მიზნით, ერთი მხრივ, გამოკვლევულ უნდა იქნეს, არიან თუ არა გაზეთები, რომლებიც საპრიზო გათამაშებებით, გამოცანებისა თუ მომგებიანი თამაშების ფარგლებში მოგების შანსს იძლევიან, ბეჭდვითი მედიის სხვა მცირე სანარმოებთან კონკურენციაში, რომელთაგანაც ივარაუდება, რომ მათ არ შეუძლიათ შესაბამისი პრიზების დანეცება, და რომლებსაც სურთ, სადავო რეგულირების დაცვა, მეორე მხრივ, შეიძლება თუ არა ასეთმა მომგებიანმა შანსმა მყიდველი მოიზიდოს, რამაც მოთხოვნის გადანაწილება შეიძლება გამოიწვიოს.

29. ეროვნული სასამართლოს საქმეა, ავსტრიის პრესის ბაზრის შესწავლის საფუძველზე შეაფასოს, სრულდება თუ არა ეს წინაპირობები.

30. ამ შესწავლის ფარგლებში შესაბამისი პროდუქციის ბაზარი უნდა გაიმიჯნოს და საბაზრო წილი, რომლებსაც ერთეული გამომცემლები თუ პრესის კონცერნები ფლობენ, ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს.

31. ამასთან, ეროვნულმა სასამართლომ გარემოებათა მთელი რიგის საფუძველზე, — როგორებიცაა: რეკლამა ყდაზე, რომელიც მოგების შანსებზე მიუთითებს; მოგების ალბათობა; პრიზის ღირებულება; ამოცანის გადაჭრაზე მოგების დამოკიდებულება, რაც გარკვეულ ფანტაზიას, მოქნილობასა თუ ცოდნას მოითხოვს; — რომლებმაც შეიძლება შესყიდვის გადანყვეტილებაზე ზეგავლენა მოახდინონ, უნდა შეაფასოს, თუ რამდენადაა შესაძლებელი, ამ პროდუქტმა მომხმარებლის თვალში შეცვალოს ის გაზეთები, რომლებიც არ სთავაზობენ მათ რაიმე სახის მოგების შანსებს.

32. ბელგიისა და ნიდერლანდების მთავრობა გამოხატავს აზრს, რომ ავსტრიის კანონმდებელს შეეძლო მიეღო ისეთი ღონისძიებები, რომლებიც საქონლის თავისუფლად გადაადგილების უფლებას ნაკლებად შელახავდა, ვიდრე იმ გაზეთების გასაღების პირდაპირ აკრძალვა, რომლებიც მოგების შანსებს იძლეოდა; მაგალითად ავსტრიისათვის განსაზღვრულ გამოცემაში იმ გვერდის გაშავება ან ჩამოცილება, რომელზეც განთავსებულია მომგებიანი თამაში ან მითითება, რომ მოგების შანსი ავსტრიის მკითხ-

ველებზე არ ვრცელდება.

33. აქტებიდან გამომდინარეობს, რომ სადავო აკრძალვა გაზეთების ბრუნვაში გაშვებას ეწინააღმდეგება, რომლის დროსაც ასეთი ღონისძიებები იქნა გამოყენებული. თუ ეროვნული სასამართლო დაადგენს, რომ მაინც ასეთ შემთხვევასთან აქვს საქმე, აკრძალვა იქნებოდა არაპროპორციული.

34. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეროვნულ სასამართლოს პასუხი უნდა გაეცეს, რომ ნევრის სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმების გამოყენება, რომელთა მიხედვითაც მის ტერიტორიაზე სხვა ნევრ სახელმწიფოში წარმოებული პერიოდული გაზეთის გასაღება ამ სახელმწიფოში დაფუძნებული საწარმოს მიერ აკრძალულია, იმის გამო რომ ეს გაზეთი საპრიზო გამოცანებსა თუ მომგებიან თამაშებს შეიცავს, რაც უკანასკნელად დასახელებულ სახელმწიფოში მართლზომიერადაა შეფასებული, არ ეწინააღმდეგება ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 30-ე მუხლს, თუ ეს აკრძალვა მედიის მრავალფეროვნების შენარჩუნებასთან შესაბამის პროპორციასთან და ეს მიზანი ღონისძიებებით ვერ მიიღწევა, რომლებიც უფრო ნაკლებად შემზღუდავია. ეს განსაკუთრებით განაპირობებს იმას, რომ გაზეთების, რომლებიც მომგებიანი თამაშების, გამოცანებისა თუ პრიზების გამოცხადებების ფარგლებში მოგების შანსებს იძლევიან, ბეჭდვითი მედიის სხვა უფრო მცირე საწარმოებთან კონკურენციაში იმყოფებიან, რომელთაგანაც ივარაუდება, რომ მათ შესაბამისი პრიზების დაწესება არ შეუძლიათ, და რომ მოგების ასეთმა შანსმა მოთხოვნის გადანაწილება შეიძლება გამოიწვიოს. შემდგომ ეროვნული აკრძალვა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გაზეთების ბრუნვაში გაშვებას, რომლებიც, პრიზების გათამაშებას, გამოცანებსა თუ მომგებიან თამაშებს შეიცავს, თუმცა მკითხველებს შესაბამის ნევრ სახელმწიფოში ასეთი მოგების შანსს არ აძლევს. ეროვნული სასამართლოს საქმეა, შესაბამისი ეროვნული პრესის ბაზრის გამოკვლევის საფუძველზე გადანიჭოს, არის თუ არა ეს წინაპირობები შესრულებული.

საქმე *Terrapin (Overseas) Ltd. v. Terranova*²¹⁷:

5. საქონლის თავისუფლად გადაადგილების შესახებ ხელშეკრულების ნორმების საფუძველზე, განსაკუთრებით კი 30-ე მუხლის მიხედვით, იმპორტზე რაოდენობრივი შეზღუდვები და ყველა ანალოგიური მოქმედების ღონისძიებები ნევრ სახელმწიფოებს შორის აკრძალულია. 36-ე მუხლის მიხედვით, არ ეწინააღმდეგება იმპორტზე აკრძალვებსა და შეზღუდვებს ისეთი დებულებები, რომლებიც სამენარმეო და კომერციული საკუთრების დაცვის ინტერესებითაა გამართლებული. ამასთან, ამ მუხლის შინაარსიდან და მდებარეობიდან გამომდინარეობს, რომ ხელშეკრულება, მართალია, ნევრ სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული სამენარმეო უფლებების დაცვის არსებობას არ შეეხება, მაგრამ ამ უფლებების განხორციელება, გარემოებების მიხედვით, ხელშეკრულების აკრძალვითი ნორმებით შეიძლება შეიზღუდოს.

საქმე *Sirena S.r.l. v. Eda S.r.l. and others*²¹⁸:

5. საქონლის თავისუფლად მიმოქცევის შესახებ ნორმების სფეროში 36-ე მუხლი უშვებს იმპორტის აკრძალვასა და იმპორტზე შეზღუდვებს, რომლებიც გამართლებულია სამენარმეო და კომერციული საკუთრების დაცვის საფუძველზე. ეს მხოლოდ იმ მკაფიო პირობით, რომ „ისინი არ უნდა იყვნენ ნევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობის შეზღუდვის არც თვითნებური დისკრიმინაცია და არც ფარული შეზღუდვა“.

²¹⁷ Judgment of the Court of 22 June 1976, *Terrapin (Overseas) Ltd. v. Terranova Industrie CA Kapferer & Co*, Case 119-75.

²¹⁸ Judgment of the Court of 18 February 1971, *Sirena S.r.l. v. Eda S.r.l. and others*, Case 40-70.

36-ე მუხლი, მართალია, განეკუთვნება წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაში რაოდენობრივი შეზღუდვების შესახებ თავს, თუმცა ის იმ პრინციპის გამოხატულებაა, რომელიც საკონკურენტო სამართალში შეიძლება გამოიყენებოდეს. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების 85-ე და 86-ე მუხლები წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით აღიარებული სამენარმეო დაცვის უფლებებს არ ეხება, შესაძლებელია, ამ უფლებების დაცვა ამ ნორმებში დასახელებულ აკრძალვებში მოექცეს.

მეოთხე ნაწილი

ძირითადი თავისუფლებები

შიდა ბაზრის იდეის განსახორციელებლად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია საქონლის, პირების, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. აღნიშნული ევროპის გაერთიანების სამართალში ცნობილია ძირითადი თავისუფლებების სახელით.

I. საქონლის თავისუფალი გადაადგილება:

1. საქონლის ცნება:

საქმე ხელოვნების ნაწარმოებები¹⁹:

ხელშეკრულების მე-9 მუხლის შესაბამისად, გაერთიანების საფუძველი არის საბაჟო კავშირი, „რომელიც საქონლის მთელ მიმოქცევაზე ვრცელდება“. საქონელი, ამ ნორმის მიხედვით, გულისხმობს პროდუქციას, რომელსაც ფულადი ღირებულება აქვს და ამიტომ სავაჭრო გარიგებების ობიექტი შეიძლება იყოს.

საქმეში *Giuseppe Sacchi*²⁰:

4. ორივე პირველი შეკითხვა შეეხება იმას, გამოიყენება თუ არა საერთო ბაზრის ფარგლებში საქონლის თავისუფალი მოძრაობის პრინციპი სატელევიზიო გადაცემებთან მიმართებით, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს მათ ეკონომიკურ ასპექტებს ეხება, და არღვევს თუ არა ამ პრინციპს ერთი წევრი სახელმწიფოს მიერ სააქციო საზოგადოებისათვის მინიჭებული ერთპიროვნული უფლება, გააშუქოს ნებისმიერი სახის სატელევიზიო გადაცემები, მათ შორის სარეკლამო მიზნებისთვისაც.

5. პასუხი დამოკიდებულია საკითხის წინასწარ გარკვევაზე, უთანაბრდება თუ არა სატელევიზიო გადაცემები პროდუქციას, ანუ საქონელს, მე-3 მუხლის „ა“ და მე-9 მუხლის მიხედვით, და ასევე ხელშეკრულების მეორე ნაწილის I თავის დასახელებას.

6. ხელშეკრულებაში ნათლად გამოხატული საწინააღმდეგო დებულებების არარსებობის გამო სატელევიზიო გადაცემები თავისი ბუნებით უნდა განიხილებოდეს როგორც მომსახურება. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ მომსახურებები, რომლებიც, როგორც წესი, გარკვეული გადასახადის გადახდის საფუძველზე გაიწევა, საქონლის თავისუფალი მოძრაობის შესახებ დებულებების მოქმედების არეალში მოექცნენ. თუმცა მე-60 მუხლის მიხედვით, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ისინი ამ დებულებების მოქმედების ფარგლებში ექცევიან. შესაბამისად, სატელევიზიო გადაცემები, როგორც ასეთი, სარე-

¹⁹ Judgment of the Court of 10 December 1968; Commission of the European Communities v Italian Republic; Case 7-68.

²⁰ Judgment of the Court of 30 April 1974; Giuseppe Sacchi; Case 155-73; European Court reports 1974 Page 00409.

კლამო მიზნების ჩათვლით, მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დებულებების მოქმედების ფარგლებში ექცევა.

7/8. ამის საპირისპიროდ, სხვა ნივთებით, ხმოვანი ფირებითა და სხვა პროდუქციით ვაჭრობა, რომელიც სატელევიზიო გადაცემებისათვის გამოიყენება, საქონლის თავისუფალი მოძრაობის შესახებ დებულებებს ექვემდებარება.

საქმე *ASBL Vereniging van Vlaamse Reisbureaus*²²¹:

28. ამ შეკითხვასთან მიმართებით ეროვნულ სასამართლოს აინტერესებს, შეესაბამებიან თუ არა სადავო ბელგიური დებულებები, ტურისტულ ბიუროებს შორის, ტურისტულ სააგენტოებსა და ტურისტულ მოგზაურობათა განმახორციელებლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 30-ე და 34-ე მუხლებს.

29. ამასთან. იმაზე უნდა მიეთითოს, რომ 30-ე და 34-ე მუხლები ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების პირველ ნაწილს განეკუთვნებიან, რაც საქონლის თავისუფალ გადაადგილებას შეეხება. ამის მიხედვით, ნევრ სახელმწიფოებს შორის აკრძალულია იმპორტსა და ექსპორტზე რაოდენობრივი შეზღუდვები და ანალოგიური მოქმედების ღონისძიებები.

30. გამომდინარე იქიდან, რომ ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 30-ე მუხლი შეეხება მხოლოდ სახელმწიფოებრივ ღონისძიებებს და არა სანარმოთა მოქმედებებს, გადასასინჯია, შეესაბამება თუ არა ისეთი ეროვნული დებულებები, როგორებიც ამ საქმეში ფიგურირებენ, ამ მუხლებს.

31. ამგვარ ეროვნულ დებულებებთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ ისინი არც მიზნად ისახავენ და არც ინვევენ ნევრ სახელმწიფოებს შორის საქონლის მოძრაობის შეზღუდვას.

32. მოგზაურობები, შესაბამის პროფესიულ ჯგუფებში მისთვის გამოყენებული დასახელების მიუხედავად, არის საქონელი და არა მომსახურებები. ამდენად, დებულებები, როგორებიცაა სადავო ბელგიური ნორმები, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 30-ე ან 34-ე მუხლებთან შეუსაბამოდ.

საქმე *Regina v Ernest George Thompson*²²²:

23/25. განსაკუთრებით 106-ე მუხლი ვალდებულებას აკისრებს „თითოეულ ნევრ სახელმწიფოს (...), ნება დართონ საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის მოძრაობაზე დანესებული გადასახადების გადახდისა ასევე იმ ნევრი სახელმწიფოს ვალუტით, რომელშიც დაფუძნებულია კრედიტორი ან მოსარგებლე, ასევე ნება დართონ კაპიტალისა და გასამრჯელოების ტრანსფერს, რამდენადაც ამ ხელშეკრულებით ნევრ სახელმწიფოთა შორის ლიბერალიზებულია საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და პირების მოძრაობა.“ ამ დებულებამ უნდა უზრუნველყოს გადახდები, რომლებიც კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციისათვის და ასევე საქონლის, მომსახურებისა და პირების თავისუფლად მოძრაობისათვისაა აუცილებელი. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ გადახდის საშუალება ხელშეკრულების სისტემაში განხილული არ უნდა იქნეს

²²¹ Judgment of the Court of 1 October 1987; ASBL Vereniging van Vlaamse Reisbureaus v ASBL Sociale Dienst van de Plaatselijke en Gewestelijke Overheidsdiensten; Case 311/85; European Court reports 1987 Page 03801.

²²² Judgment of the Court of 23 November 1978; Regina v Ernest George Thompson, Brian Albert Johnson and Colin Alex Norman Woodiwiss; Reference for a preliminary ruling; Court of Appeal (England) - United Kingdom; Case 7/78; European Court reports 1978 Page 02247.

როგორც საქონელი, რომელიც ხელშეკრულების 30-ე-37-ე მუხლების მოქმედების სფეროში ექცევა.

26. ხურდები ვერცხლის შენარევებით, რომლებიც წევრ სახელმწიფოში კანონიერი გადახდის საშუალებაა, თავისი შინაარსით გადახდის საშუალებად უნდა იქნეს მიჩნეული; აქედან გამომდინარეობს, რომ მათი ტრანსფერი ხელშეკრულების 30-ე-37-ე მუხლების მოქმედების სფეროში არ ექცევა.

27/28. მიუხედავად იმისა, რომ ბუნდოვანია, რამდენადაა (კონკრეტული) მონეტა კანონით გათვალისწინებული გადახდის საშუალება, ნათელია, რომ **ამ მონეტებით ვაჭრობა წევრი სახელმწიფოების სავალუტო ბაზარზე დაშვებულია და, შესაბამისად, მათ ფულის ფუნქცია აქვთ. მათი ტრანსფერიც, შესაბამისად, კლასიფიცირებულ უნდა იქნეს როგორც გადახდები, რომლებიც არ ექცევიან ხელშეკრულების 30-ე-37-ე მუხლების მოქმედების სფეროში.**
(...)

30/31. პირველი „გ“ შეკითხვა შეეხება წევრი სახელმწიფოს ვერცხლის მინარევებიან მონეტებს, რომლებიც **ამ წევრ სახელმწიფოში გადახდის კანონიერი საშუალება იყო, და აღარ აქვთ ეს ფუნქცია და არც განადგურებას ექვემდებარებიან.** ასეთი მონეტები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს გადახდის საშუალებად ზემოთ დასახელებული გაგებით, მათი კლასიფიცირება შეიძლება საქონლად, რომელიც ხელშეკრულების 30-ე-37-ე მუხლების მოქმედების სფეროში ექცევა.

საქმე *Commission v. Kingdom of Belgium*²²³:

23. უდავოა, რომ მეორადი გადაამუშავებისა და მეორადი გამოყენების ნარჩენებს შესაბამისი გადაამუშავების შემდეგ საკუთარი სავაჭრო ღირებულება აქვთ და არის საქონელი, რომლის მიმართაც მოქმედებს ხელშეკრულება. ისინი ამგვარად ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 30-ე და შემდგომი მუხლების მოქმედების სფეროში ექცევიან.

24. ამის საპირისპიროდ, ევროპულ სასამართლოში დავა იყო, განიხილებიან თუ არა საქონლად ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 30-ე მუხლის მიხედვით ის ნარჩენები, რომლებიც არ მიიღებიან მეორადი გადაამუშავებისა და მეორადი გამოყენების შედეგად, იმდენად, რამდენადაც მათ არ გააჩნიათ სავაჭრო ღირებულება და, შედეგად, არ შეიძლება იყვნენ ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი. ასეთი ნარჩენების განადგურებისა თუ დასაწყობების პროცესები ხელშეკრულების მომსახურების თავისუფლად მოძრაობის შესახებ დებულებებში ექცევა.

26. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ საკმარისია იმაზე მითითება, რომ საგნები, რომლებიც სავაჭრო გარიგებების თვალსაზრისით საზღვარზე გადაიტანება, მიუხედავად ამ გარიგებების ხასიათისა, 30-ე მუხლის მოქმედების სფეროში ექცევიან.

27. როგორც ეს ევროპულ სასამართლოში იქნა წარმოდგენილი, მეორადი გამოყენებისა და არამეორადი გამოყენების ნარჩენებს შორის განსხვავება, პრაქტიკული თვალსაზრისიდან გამომდინარე, ძალზე ძნელია, რაც განსაკუთრებით საზღვარზე კონტროლს შეეხება. ასეთი განსხვავება, კერძოდ, ეყრდნობა ბუნდოვან კრიტერიუმებს, რომლებიც დროთა განმავლობაში ტექნიკური პროგრესის მიხედვით შეიძლება შეიცვალოს. ამასთან, ნარჩენების გამოყენება დამოკიდებულია გადაამუშავების ხარჯებზე და ამით მეორადი გამოყენების რეიტაბელურობაზე, ასე რომ, ამ საკითხის შეფასება აუცილებლად სუბიექ-

²²³ Judgment of the Court of 9 July 1992; Commission of the European Communities v Kingdom of Belgium; Case C-2/90; European Court reports 1992 Page I-04431.

ტურია და დამოკიდებულია ცვლად ფაქტორებზე.

28. შესაბამისად, ნარჩენები, არის მეორადი გამოყენების თუ არა, უნდა ჩაითვალოს პროდუქციად, რომელთა მოძრაობა, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 30-ე მუხლის მიხედვით, ძირითადად, არ შეიძლება შეიზღუდოს.

საყურადღებოა ევროკავშირის 1992 წლის 12 ოქტომბრის რეგულაციით 2913/92 გათვალისწინებული დებულებები საქონლის წარმოშობის ადგილთან დაკავშირებით:

მუხლი 4

7. გაერთიანების საქონელი:

- საქონელი, რომელიც 23-ე მუხლში დასახელებული წინაპირობებით, მთლიანად გაერთიანების საბაჟო ტერიტორიაზეა მოპოვებული ან წარმოებული, ისე, რომ მათ არ აქვთ დამატებული გაერთიანების საბაჟო ტერიტორიის გარეთ არსებული ქვეყნებისა თუ მხარეებიდან იმპორტირებული საქონელი. (...)
 - საქონელი, რომელიც გადაყვანილია საბაჟო, სამართლებრივად თავისუფალ, მიმოქცევაში და იმპორტირებულია იმ ქვეყნებიდან თუ მხარეებიდან, რომლებიც არ შედიან გაერთიანების საბაჟო ტერიტორიის ფარგლებში;
 - საქონელი, რომელიც გაერთიანების საბაჟო ტერიტორიაზე ან მხოლოდ მეორე აბზაცში დასახელებული საქონლის გამოყენებით ან პირველ ორ აბზაცში დასახელებული საქონლის გამოყენებითაა მოპოვებული ან წარმოებული;
- (...)

მუხლი 23

- (1) წარმოშობის ქვეყნის საქონელია, რომელიც მთლიანად ამ ქვეყანაშია მოპოვებული ან წარმოებული.
- (2) მთლიანად ქვეყანაში მოპოვებული ან წარმოებული საქონელია:
 - ა) მინერალური ნივთიერებები, რომლებიც ამ ქვეყანაშია მოპოვებული;
 - ბ) მცენარეული პროდუქცია, რომელიც ქვეყანაშია მოყვანილი;
 - გ) ცოცხალი ცხოველები, რომლებიც ამ ქვეყანაში დაიბადნენ ან გამოიჩინენ და გაიზარდნენ;
 - დ) პროდუქცია, რომელიც ამ ქვეყანაში არსებული ცოცხალი ცხოველებისაგან მიიღება;
 - ე) ნანადირევი და დაჭერილი თევზი, რომლებიც ამ ქვეყანაშია მოპოვებული;
 - ვ) ზღვაში თევზჭერით მოპოვებული პროდუქცია და ზღვის სხვა პროდუქცია, რომლებიც ქვეყნის შიდა წყლების გარეთ გემიდანაა დაჭერილი და რომლებიც ამ ქვეყნის გემების რეესტრშია დარეგისტრირებული ან შეტანილი და ამ ქვეყნის დროშის ქვეშ დაცურავენ;
 - ზ) საქონელი, რომელიც თევზის გადამამუშავებელ გემზე ვ ქვეპუნქტში დასახელებული პროდუქციიდან არის წარმოებული, შეიქმნა ამ ქვეყანაში, თუ ეს თევზის გადამამუშავებელი გემი ამ ქვეყნის გემების რეესტრშია დარეგისტრირებული ან შეტანილი და ამ ქვეყნის დროშის ქვეშ დაცურავენ;
 - თ) პროდუქცია, რომელიც ზღვის ფსკერიდან ან ზღვის ფსკერის ქვემოთ შიდა წყლების გარეთაა მოპოვებული, თუ ეს ქვეყანა ზღვის ამ ფსკერის თუ ფსკერის ქვემოთ არსებული რესურსებით სარგებლობის განსაკუთრებულ უფლებებს ფლობს;
 - ი) ნაშთი და ნარჩენები, რომლებიც რჩება წარმოების პროცესში, და ძველი ნივთები, თუ ისინი ამ ქვეყანაშია შეგროვებული და მხოლოდ ბუნებრივი რესურსების მოპოვების მიზნითაა მოპოვებული.

ოვებისათვის შეიძლება გამოდგენენ;

კ) საქონელი, რომელიც ამ ქვეყანაში მხოლოდ „ა“-დან „ი“ ქვეპუნქტების ჩათვლით ამ ქვეპუნქტებში დასახელებული საქონლიდან ან წარმოების ნებისმიერ დონეზე მათი საბოლოო პროდუქციიდანაა წარმოებული.

(3) მე-2 აბზაცის მიხედვით, „ქვეყნის“ ცნება მოიცავს ამ ქვეყნის შიდა წყლებს.

მუხლი 24

საქონლის, რომლის წარმოებაშიც ორი ან მეტი ქვეყანა მონაწილეობდა, წარმოშობის ქვეყანაა ის, რომელშიც ბოლო არსებითი და ეკონომიკურად გამართლებული დამუშავება ან გადამუშავება მოხდა, რაც განახორციელა ამისათვის შექმნილმა საწარმომ და აწარმოა ახალი პროდუქცია, ან რაც წარმოების მნიშვნელოვანი საფეხურია.

საქმე *Brother International GmbH*²²⁴:

საქმის ფაბულა: „*Brother International*“-ს 1984 და 1985 წლებში ტაივანიდან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შემოჰქონდა ელექტრონული საწერი დანადგარები, რომელთაც იგი არეგისტრირებდა როგორც ტაივანში წარმოებულ საქონელს. 1986 წლის სექტემბერში განხორციელებული შემოწმების შემდეგ გერმანიის შესაბამისი უწყებები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ამ საწარმოს მიერ ტაივანიდან შემოტანილი ნაწარმი მიჩნეული უნდა ყოფილიყო სინამდვილეში იაპონიაში წარმოებულ საქონლად და ამით ის მოექცეოდა იაპონიაში წარმოებული ელექტრონული საწერი დანადგარების იმპორტზე ანტიდემპინგური ბაჟის შესახებ საბჭოს მიერ გამოცემული რეგულაციის მოქმედების სფეროში. გისენის მთავარმა საბაჟო სამსახურმა საწარმოსაგან მოითხოვა 3 210 277, 83 გერმანული მარკის ოდენობის ანტიდემპინგური ბაჟის გადახდა.

„*Brother International*“-მა ეს მოთხოვნა გაასაჩივრა და ფინანსურ საკითხებზე ჰესენის სასამართლოსგან მოითხოვა აღსრულების გაუქმება. იგი თავის მოთხოვნას ასაბუთებდა იმით, რომ ტაივანში სრულყოფილად აღჭურვილი ფაბრიკა იყო, რომელშიც, არსებითად, იაპონიაში წარმოებული და ტაივანში შეტანილი ცალკეული ნაწილების მონტაჟი ხდებოდა და მზა პროდუქცია იქმნებოდა. შესაბამისად, ეს დანადგარები მიჩნეული უნდა ყოფილიყო ტაივანში წარმოებულად. ანტიდემპინგური საბაჟო რეგულირებისათვის გვერდის ავლად არ შეიძლებოდა ეს ჩათვლილიყო, რადგან ამ რეგულირების შემოღებამდე, 1982 წლიდან არსებობდა ეს ფაბრიკა და მამინაც ამგვარად შეჰქონდათ გერმანიაში საწერი დანადგარები. მთავარი საბაჟო სამსახურის შეხედულებით, ტაივანში არსებული ფაბრიკა მხოლოდ „სახრახნისის ფაბრიკა“ იყო, რადგან იქ ბოლოს და ბოლოს მხოლოდ ცალკეული ნაწილების გახსნა და შეერთება ხდებოდა. ეს სამუშაო არ იყო არსებითი და არც ეკონომიკურად გამართლებული, იმისათვის, რომ ამ დამუშავებისა თუ გადამუშავების ადგილი მიჩნეულიყო წარმოების ადგილად.

11. პირველი კითხვით მომმართველ სასამართლოს სურს იცოდეს, რა წინაპირობების გათვალისწინებით არის საკმარისი წინასწარ სხვა ქვეყანაში დამზადებული ცალკეული ნაწილების მხოლოდ მონტაჟი, რომ ამგვარად წარმოებული პროდუქცია მიჩნეულ იქნეს იმ ქვეყანაში წარმოებულად, სადაც მოხდა მონტაჟი.

(...)

13. *Brother International*-ის შეხედულებით, რეგულაციის მე-5 მუხლი (№802/68; შეესაბამება დღეს მოქმედი რეგულაციის 24-ე მუხლს) ტექნიკური ხასიათის კრიტერიუმებს ადგენს და მონტაჟი გადამუშავების კლასიკური პროცესია ამ ნორმის მიხედვით, თუ

²²⁴ Judgment of the Court of 13 December 1989; *Brother International GmbH v Hauptzollamt Gießen*; Case C-26/88; European Court reports 1989 Page 04253.

ცალკეული ნაწილებისაგან ახალი შინაარსობრივად მთლიანი პროდუქცია წარმოიშობა, როგორც ეს ამ შემთხვევაშია. (...)

14. კომისიის შეხედულებით, ამის საპირისპიროდ მხოლოდ წინასწარ დამზადებული ცალკეული ნაწილების მონტაჟი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს არსებით დამუშავებად ან გადამუშავებად რეგულაციის მე-5 მუხლის მიხედვით, როდესაც ეს პროცესი გასაწვევი სამუშაოს, საგნობრივი დანახარჯისა და მიღებული ღირებულების მიხედვით უფრო ნაკლები მნიშვნელობისაა, ვიდრე სხვა ქვეყანასა თუ ქვეყნებში განხორციელებული დამუშავება-გადამუშავების პროცესები.

15. ევროპული სასამართლოს განმარტებით რეგულაციის მე-5 მუხლიდან გამომდინარეობს, რომ გადამწყვეტი კრიტერიუმი ბოლო არსებითი დამუშავება-გადამუშავებაა. (...)

16. რეგულაციის მე-5 მუხლი არ არეგულირებს, თუ რამდენადაა შესაძლებელი მონტაჟის პროცედურა არსებითი დამუშავება-გადამუშავება იყოს. კიოტოს შეთანხმების მე-6 მუხლი (საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზების შესახებ საერთაშორისო შეთანხმება) აყალიბებს:

„არაარსებითი დამუშავება-გადამუშავებაა სამუშაო პროცესები, რომლებსაც მცირედ შეაქვთ წვლილი საქონლის არსებით ნიშნებსა თუ თავისებურებებში, განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც მხოლოდ ერთი ან რამდენიმე მომდევნო პროცესებისაგან შედგება: მარტივი აწყობითი სამუშაოები; (...)

17. მარტივია აწყობითი სამუშაოები, რომლებიც არ მოითხოვენ განსაკუთრებულად კვალიფიციურ სამუშაო ძალას და არც მაღალგანვითარებულ დანადგარებს, განსაკუთრებით არც მონტაჟისათვის აღჭურვილ ფაბრიკებს. ასეთი პროცესები არ შეიძლება მივიჩნიოთ პროცესებად, რომლებსაც შესაბამისი საქონლის არსებითი ნიშნებისა თუ თავისებურებების შექმნაში წვლილი შეაქვთ. (...)

19. მონტაჟის ადგილი შეიძლება იყოს წარმოების ადგილი მაშინ, როდესაც ის, ტექნიკური და ასევე შესაბამისი საქონლის დეფინიციის თვალსაზრისით, წარმოების გადამწყვეტი ფაზაა, რომლის განმავლობაში (...) საქონელს განსაკუთრებული ხარისხობრივი თავისებურება ენიჭება (...).

20. მონტაჟის ცნებაში არსებული პროცედურების მრავალრიცხოვნებისას შესაძლებელია მოიაზრებოდეს ისეთი შემთხვევები, როდესაც საქონლის წარმოების ადგილის დადგენა ტექნიკური კრიტერიუმებით არ ხერხდება. ამ შემთხვევებში დასახმარებლად მონტაჟით მიღებული ღირებულების კრიტერიუმი უნდა წამოინიოს წინ.

21. ამ კრიტერიუმის მნიშვნელობა, სხვათა შორის, კიოტოს შეთანხმებთაც დასტურდება; ამ შეთანხმების დ.1 დანართის მე-3 მუხლის შენიშვნაში გათვალისწინებულია, რომ არსებითი გადამუშავების კრიტერიუმი პრაქტიკაში, როგორც წესი, ღირებულების პროცენტულ წილზე შეიძლება მოვიდეს, თუ გამოყენებული საქონლის საერთო ღირებულების ეს პროცენტული წილი ან ღირებულებითი ნამატის პროცენტული წილი გარკვეულ რაოდენობას შეადგენს.

22. ამ კრიტერიუმის გამოყენებისას და, განსაკუთრებით, შეკითხვაზე პასუხის გაცემისას, რამდენს უნდა შეადგენდეს ღირებულებითი ნამატი, რათა განისაზღვროს ამ საქონლის წარმოების ადგილი, იმით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რომ მონტაჟის პროცესებმა

მთლიანობაში საბოლოო პროდუქციის სავაჭრო ღირებულების საგრძნობი ამაღლება უნდა გამოინვიოს. ამდენად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადასამონებელია, ამართლებს თუ არა მონტაჟის ქვეყანაში ღირებულებითი ნამატის ოდენობა სხვა სახელმწიფოებში ღირებულებით ნამატთან შედარებით, იმისათვის, რომ მონტაჟის ქვეყანა მიჩნეულ იქნეს წარმოშობის ქვეყნად.

23. თუ საქონლის წარმოებაში მონაწილეობს მხოლოდ ორი ქვეყანა და ტექნიკური კრიტერიუმებით შემონმება აღმოჩნდება გამოუსადეგარი საქონლის წარმოშობის ადგილის დასადგენად, მაშინ ამ საქონლის მხოლოდ მონტაჟი ამ ქვეყანაში წინასწარ სხვა ქვეყანაში დამზადებული ცალკეული ნაწილებით არ არის საკმარისი იმის დასადგენად, რომ წარმოებული პროდუქციის წარმოშობის ადგილი ის ქვეყანაა, სადაც მონტაჟი განხორციელდა, ეს მაშინ, თუ იქ განხორციელებული ღირებულებითი ნამატი საგრძნობლად მცირეა სხვა ქვეყანაში განხორციელებულ ღირებულებით ნამატთან შედარებით. დასადგენია, რომ საქმის ასეთი შემადგენლობისას ღირებულების 10%-ზე ნაკლები პროცენტული ნამატი — რასაც კომისიის მიერ გაკეთებულ განმარტებებში ასახული შეფასებაც შეესაბამება — არავითარ შემთხვევაში საკმარისი არ არის იმისათვის, რომ წარმოშობის ქვეყანა განისაზღვროს.
(...)

25. პირველ შეკითხვას, შესაბამისად, პასუხი უნდა გაეცეს, რომ წინასწარ ერთ ქვეყანაში დამზადებული ცალკეული ნაწილების მეორე ქვეყანაში წმინდა მონტაჟი საკმარისია იმისათვის, რომ ამით შექმნილ პროდუქციას წარმოშობის ქვეყნად განუსაზღვრო მონტაჟის ქვეყანა, იმ შემთხვევაში, თუ მონტაჟი, ტექნიკური თვალსაზრისით და შესაბამისი საქონლის დეფინიციის თვალსაზრისით, წარმოების გადამწყვეტი ფაზაა, რომელზეც (...) შესაბამისი საქონელი შეიძენს მისთვის განსაკუთრებულ ხარისხობრივ მახასიათებლებს; თუ ამ კრიტერიუმის გამოყენებას შედეგად ვერ მივყავართ, მაშინ უნდა შემონმდეს, მთელი სამონტაჟო პროცედურები იწვევენ თუ არა საბოლოო პროდუქციის სავაჭრო ღირებულების საგრძნობ გაზრდას საბოლოო ფაზაზე.
(...)

26. მეორე კითხვით მომმართველ სასამართლოს სურს იცოდეს, შემადგენელი ნაწილების წარმოების ქვეყნიდან სამონტაჟო პროცესის სხვა ქვეყანაში გადატანა, რომელშიც უკვე არსებული საამქროები გამოიყენება, ამართლებს თუ არა ვარაუდს, რომ ასეთი გადატანა მიზნად ისახავს მხოლოდ რეგულირებების, განსაკუთრებით კი ანტიდემპინგური ბაჟის რეგულირების, თავიდან აცილებას, დირექტივის მე-6 მუხლის მიხედვით.

ეს რეგულირება ადგენს:

27. დამუშავება-გადამუშავების შემთხვევაში, როდესაც დადგენილია ან როდესაც დადგენილი ფაქტები ისეთ ვარაუდს ამართლებენ, რომ ისინი მიზნად ისახავენ, თავიდან აიცილონ რეგულირებები, რომლებიც გაერთიანებაში ან წევრ სახელმწიფოებში გარკვეული ქვეყნების საქონლისათვის მოქმედებენ, მაშინ ამგვარად მიღებული საქონლის მე-5 მუხლის მიხედვით, დამუშავება-გადამუშავების ქვეყანას წარმოშობის მახასიათებელი უნდა ჩამოერთვას.

28. მონტაჟის გადატანა შემადგენელი ნაწილების წარმოების ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში უკვე არსებული საამქროების გამოყენებით თავისთავად არ წარმოშობს ასეთ ვარაუდს. შესაძლებელია, სახელდობრ, არსებობდეს უამრავი სხვა საფუძველი, რომლებმაც შესაძლოა გაამართლონ ასეთი გადატანა. თუმცა, თუ არსებობს დროის მიხედვით კავშირი შესაბამისი რეგულირების ძალაში შესვლასა და მონტაჟის გადატანას შორის, მაშინ შესაბამისი ეკონომიკურ სუბიექტს ეკისრება ვალდებულება, დაამტკიცოს, რომ მან საგნო-

ბრივად გამართლებული საფუძვლის გამო, და არა შესაბამისი დებულებების შედეგების თავიდან აცილების მიზნით, იმ ქვეყანაში განახორციელა სამონტაჟო პროცედურები, რომლიდანაც საქონელი იქნა ექსპორტირებული.

29. მომმართველი სასამართლოს მეორე შეკითხვაზე, შესაბამისად, პასუხი უნდა გაეცეს, რომ მონტაჟის გადატანა შემადგენელი ნაწილების წარმოების ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში, რომელშიც უკვე არსებული საამქროები გამოიყენება, თავისთავად არ ამართლებს ვარაუდს, რომ ასეთი გადატანა მხოლოდ რეგულირებების მოქმედებისათვის თავის არიდებას ისახავს მიზნად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს დროის მიხედვით კავშირი შესაბამისი რეგულირების ძალაში შესვლასა და მონტაჟის გადატანას შორის. ამ შემთხვევაში შესაბამისი ეკონომიკურ სუბიექტს ეკისრება ვალდებულება, დაამტკიცოს, რომ სამონტაჟო პროცედურები საგნობრივად გამართლებული საფუძვლით, და არა შესაბამისი დებულებების შედეგების თავიდან აცილების მიზნით, იმ ქვეყანაში განახორციელა, საიდანაც საქონელი იქნა იმპორტირებული.

2. აკრძალვები ობიექტების მიხედვით

ა) ბაჟისა და ანალოგიური მოქმედების გადასახადების აკრძალვა

საქმე *Commission of the European Communities v. Italian Republic*²²⁵;

3. ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-9 მუხლის მიხედვით, გაერთიანების საფუძველია საბაჟო კავშირი, რაც ემყარება წევრ სახელმწიფოებს შორის ბაჟისა და ანალოგიური მოქმედების გადასახადების აკრძალვას და ასევე მესამე სახელმწიფოების მიმართ საერთო საბაჟო ტარიფის დადგენას.
(...)

11/14. (ბაჟი – ესაა) ფინანსური ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა საზღვრის გადაკვეთის მიზეზით და საქონლის თავისუფალ მოძრაობას აბრკოლებს.

გაერთიანებული საქმეები *Commission v. Grand Duchy*²²⁶;

მე-9 მუხლის მიხედვით, გაერთიანების საფუძველია საბაჟო კავშირი, რომელიც ბაჟისა და ანალოგიური მოქმედების გადასახადების აკრძალვას ეყრდნობა.

მე-12 მუხლის მიხედვით, იმპორტზე ახალი ბაჟის (...) ან ანალოგიური მოქმედების გადასახადების შემოღება, ხოლო მოქმედების გაზრდა აკრძალულია.

მხოლოდ ის ფაქტი, რომ ამ მუხლმა ადგილი პოვა „გაერთიანების საფუძვლებისათვის“ მიძღვნილი ნაწილის თავში, მე-9 მუხლმა პირველი კარის „საქონლის თავისუფლად გადაადგილების შესახებ“ დასაწყისში, მე-12 მუხლმა „ბაჟის გაუქმებისადმი“ მიძღვნილი ნაწილის შესავალში, საკმარისად უსვამს ხაზს მათში ასახული აკრძალვების მნიშვნელოვან როლს.

ხელშეკრულებამ ამით ამ აკრძალვებს მიანიჭა შეძლებისდაგვარად დიდი ძალა; იმ სულისკვეთებით, რომ მრავალგვარი საბაჟო და საგადასახადო სამართლებრივი პრაქტიკე-

²²⁵ Judgment of the Court of 1 July 1969; *Commission of the European Communities v Italian Republic*; Case 24-68; European Court reports 1969 Page 00193.

²²⁶ Judgment of the Court of 14 December 1962; *Commission of the European Economic Community v Grand Duchy of Luxembourg and Kingdom of Belgium*; Joined cases 2/62 and 3/62; *European Court reports English special edition Page 00425*.

ბის მეშვეობით ამ აკრძალვების თავიდან აცილებისათვის შეეშალა ხელი, შეეცადა, იგი ამ აკრძალვების მოქმედებისას აღმოეფხვრა ყველა შესაძლო შეცდომა. მე-17 მუხლი ითვალისწინებს (გაუქმებულია ამსტერდამის ხელშეკრულებით), რომ მე-9 მუხლის აკრძალვები ასევე მაშინ მოქმედებენ, როდესაც ეს შეეხება ფინანსურ ბაჟებს. 95-ე მუხლი, რომელმაც თავისი ადგილი „გაერთიანების პოლიტიკისადმი“ მიძღვნილ ნაწილში, „საგადასახადო ნორმების“ თავში პოვა, იმისათვისაა განსაზღვრული, რომ თავიდან აიცილოს აკრძალვების მოქმედების სფეროში შეჭრა, რომლებიც ფისკალური ღონისძიებებით შეიძლება მიიღწეს. ეს სულისკვეთება იქამდე მიდის, რომ ეს მუხლი სახელმწიფოებს უკრძალავს, სხვა წევრი სახელმწიფოების საქონელი ნებისმიერი ფორმით ფინანსურად უფრო მძიმედ დატვირთონ, ვიდრე საკუთარი ან ამ სახელმწიფოების საქონელზე აკრიფონ შიდასახელმწიფო გადასახადები, რომლებიც გამოდგება შიდასახელმწიფო საქონლის არაპირდაპირ „დასაცავად“.

იქიდან გამომდინარე, რომ მე-9 და მე-12 მუხლები გარკვეული, განსაზღვრული და უპირობოა, ასევე ამ დებულებებსა და მთელ ხელშეკრულებაში არსებული ლოგიკიდან გამომდინარეობს, რომ ახალი ბაჟების დაწესების აკრძალვა საქონლის თავისუფლად მოძრაობის პრინციპებთან კავშირში ძირითადი ნორმაა და ამიტომ ნებისმიერი გამონაკლისი, რომლებიც, სხვათა შორის, ვინაობა იქნებოდა განსამარტი, ერთმნიშვნელოვნად უნდა ჩამოყალიბდეს.

ბაჟის „ანალოგიური მოქმედების გადასახადის“ ცნება არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს განხილული როგორც ბაჟის აკრძალვის საყოველთაო პრინციპიდან გამონაკლისი, პირიქით, ის მისი აუცილებელი შევსებაა, რომლის დახმარებითაც ამ აკრძალვას შეუძლია იმოქმედოს.

ამგამონათქვამთან რომ მუდმივად გამოიყენებას იტყვას „ბაჟი“, ეს გამოხატავს ხელშეკრულების შემქმნელის განზრახვას, აკრძალოს არა მარტო ისეთი ღონისძიებები, რომლებიც საკმაოდ თვალსაჩინოდ ბაჟის კლასიკური ფორმით გამოიხატებიან, არამედ ასევე ნებისმიერი ისეთი, რომელსაც სხვა დასახელება აქვს ან სხვა შემოვლითი გზებით წესდება, მაგრამ ბაჟის ანალოგიური დისკრიმინაციული ან პროტექციონისტული მოქმედება აქვს.

რათა შესაძლებელი გახდეს იმის დადგენა, რომ გადასახადს ბაჟის ანალოგიური მოქმედება აქვს, ეს მოქმედება განხილულ უნდა იქნეს ხელშეკრულების მიზნების თვალსაზრისიდან გამომდინარე, განსაკუთრებით იმ ნაწილის, იმ კარისა და იმ თავის მიზნების მიხედვით, სადაც მე-9 და მე-12 მუხლებია განთავსებული, ესე იგი, საქონლის თავისუფლად გადაადგილებასთან მიმართებით და, საზოგადოდ, მე-3 მუხლის მიზნების თვალსაზრისით, რომელიც მიმართულია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ.

ამდენად, არაა ეს იმაზე დამოკიდებული, სახეზეა მთელი რიგი საბაჟო მოქმედებებისა, თუ მხოლოდ ერთი იმათგანი, ანდა ეს მოქმედებები სხვა არსებით თუ არაარსებით მიზნებს მისდევენ, არამედ საკმარისია, ლახავდეს გადასახადი ხელშეკრულებაში დასახელებულ მიზნებს და ცალმხრივი გადაწყვეტილებით იყოს მიღებული და არა გაერთიანების სამართლით გათვალისწინებული პროცედურის გზით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბაჟის ანალოგიური მოქმედების გადასახადები მე-9 და მე-12 მუხლების თანახმად, მათი დასახელებისა და აკრეფის სახის მიუხედავად, არის იმპორტისას ან, მოგვიანებით, ცალმხრივად დაკისრებული ფინანსური ვალდებულება, რომელიც შეეხება ერთი წევრი სახელმწიფოდან იმპორტირებულ საქონელს და არ შეეხება მსგავს შიდასახელმწიფო საქონელს. ამით ის ამ იმპორტირებულ საქონელს აძვირებს და საქონლის თავისუფლად გადაადგილებაზე ისევე ზემოქმედებს, როგორც ბაჟი.

ბელგიაში 1957 წლის 16 აგვისტოს სამეფო დადგენილებითა და ლუქსემბურგში 1957 წლის 20 აგვისტოს დიდი ჰერცოგის დადგენილებით დაწესებული გადასახადი ორცხოობილაზე არის „იმპორტზე განსაკუთრებული გადასახადი“, „რომელიც აიკრიფება იმპორტზე ნებართვის გაცემისას“.

ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მაგრამ მის ძალაში შესვლამდე, დაწესებული გადასახადის მართლზომიერება არ დგას კითხვის ნიშნის ქვეშ.

სადავოა 1958 წლის პირველი იანვრის შემდეგ ამ გადასახადის გაზრდა და მისი გავრცელებაც საერთო საბაჟო ტარიფის სატარიფო ნომრით 19.08 ორცხოობილის მსგავს პროდუქციაზე, რომელიც განხორციელდა ორივე სახელმწიფოში 1960 წლის 14 და 17 თებერვლის დადგენილებებით.

გადასახადის ასეთი გაზრდა და განვრცობა შესაბამისი პროდუქციის იმპორტზე და მისი მიზეზით აკრეფილ გადასახადზე, რომელიც ამ საქონელს საბოლოოდ მათი იმპორტის მიზეზით ეხება, წარმოშობს დისკრიმინაციისა და პროტექციის ვარაუდს. ეს კი ეწინააღმდეგება საქონლის თავისუფლად გადაადგილების არსებით პრინციპს, რომელიც ამგვარი პრაქტიკების განზოგადებით სრულად დაკარგავდა არსს.

მოპასუხეები ამის საპირისპიროდ აცხადებენ, რომ 95-ე მუხლის პირველი აბზაცი ასეთი გადასახადის დაწესებას უშვებს, მაშინ, როდესაც ის შიდასახელმწიფოებრივი ფინანსური ვალდებულებების საპირწონეა, რომლებიც დამოუკიდებელი საბაზრო პოლიტიკის საფუძვლებიდან გამომდინარე შიდასახელმწიფოებრივ წარმოებას აკისრია.

ისინი სადავო გადასახადს დოტაციური ფასის ლოგიკურ შედეგად ასახელებენ, რაც მათ შიდასახელმწიფო (...) წარმოების სასარგებლოდ ხელშეკრულების აგრარული ნორმებით გათვალისწინებული გამონაკლისი რეგულირებების საფუძველზე დაანესეს.

95-ე მუხლის გამოყენება, რომელიც ხელშეკრულების მე-3 ნაწილის „საგადასახადო ნორმებისადმი“ მიძღვნილ მე-2 თავის დასაწყისშია, არ ვრცელდება სურვილისამებრ ფინანსური ვალდებულებების ყველა ფორმაზე. ამ შემთხვევაში სადავო გადასახადი არც მისი ფორმისა და არც მისი ნათლად გამოხატული ეკონომიკური მიზნით არ ჩანს, როგორც საგადასახადო სამართლებრივი ნორმა, რომელიც შესაძლებელი იქნებოდა, 95-ე მუხლის მოქმედების არეალში მოგვექცია.

გარდა ამისა, ამ მუხლის მოქმედების სფერო იმგვარად ვერ გაფართოვდება, რომ გაათანაბროს იმპორტირებულ საქონელთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულება სხვაგვარად, მაგალითად, მსგავსი შიდასახელმწიფო საქონლის ეკონომიკურ ფინანსურ ვალდებულებებთან. თუ ასეთი გაათანაბრება დასაშვები იქნებოდა, მაშინ ნებისმიერ სახელმწიფოს თავისი შიდა სუვერენიტეტის საფუძველზე, სურვილის მიხედვით, შეეძლებოდა ამ მხრივ მრავალფეროვნებით გამორჩეულ რომელიმე საქონელზე დაკისრებული ვალდებულებები გაეთანაბრებინა, რაც მიგვიყვანდა ხელშეკრულების პრინციპების გამოუსწორებელ დარღვევამდე.

იმპორტირებულ საქონელზე „გადასახადების“ დაწესებას 95-ე მუხლის პირველი აბზაცი მხოლოდ იმ ოდენობით უშვებს, რა ოდენობითაც იგივე გადასახადები ანალოგიური სახით მსგავს შიდასახელმწიფო საქონელზე წესდება. გარდა ამისა, იმაზე უნდა მიეთითოს, რომ სადავო გადასახადი მოცემულ შემთხვევაში მიზნად ისახავს არა შიდასახელმწიფო და იმპორტირებულ საქონელზე არათანაბარი გადასახადების გათანაბრებას, არამედ ამ საქონლის ფასების გაათანაბრებას. სახელდობრ, მოპასუხეებმა განაცხადეს, რომ გადასახადი იმისათვისაა განსაზღვრული, „გაუთანაბრონ უცხოური საქონლის ფასი ბელგიური პროდუქციის ფასს“. მათ ასევე ეჭვი გამოთქვეს, არის თუ

არა შეუსაბამო ხელშეკრულების მიზნებთან, რომ ერთიანი ბაზრის ფარგლებში ერთი ქვეყნის მწარმოებელს შეეძლოს ნედლეულის უფრო იაფად შექმნა, ვიდრე სხვა წევრი სახელმწიფოს მწარმოებელს.

ამასთან, ისინი გვერდს უვლიან პრინციპს, რომლის მიხედვითაც გაერთიანების საქმიანობა მოიცავს ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც საერთო ბაზრის ფარგლებში კონკურენციას იცავს ფალსიფიკაციისაგან. მოპასუხის თეზისის გათვალისწინება გამოიწვევდა იმ მდგომარეობას, რომელიც სრულიად საპირისპირო იქნებოდა იმისა, რასაც ხელშეკრულება ესწრაფვის და, ამდენად, აბსურდული იქნებოდა.
(...)

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბელგიასა და ლუქსემბურგში ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ გადასახადების გაზრდა და მათი გავრცელება ორცხობილის მსგავს საქონელზე არის ბაჟის ანალოგიური მოქმედების გადასახადი, მე-9 და მე-12 მუხლების მიხედვით.

საქმე *Commission of the European Communities v. Italian Republic*²²⁷:

საქმის ფაბულა: ამ შემთხვევაში საქმე შეეხებოდა ისეთ მოსაკრებელს, რომელიც იტალიამ დაანესა იმპორტირებულ და ექსპორტირებულ საქონელზე. ამ გადასახადით ფინანსდებოდა სტატისტიკის წარმოება, რომლის მიზანი იყო, შეედგინა სრულყოფილი და ზუსტი ინფორმაცია ექსპორტირებული და იმპორტირებული საქონლის მოცულობასა და სახეობაზე. პროცესის განმავლობაში იტალია ამტკიცებდა, რომ ეს სტატისტიკა გამოსადეგი და სასარგებლო იყო ასევე ეკონომიკური სუბიექტებისათვის, რადგან მათ ამით შესაძლებლობა ეძლეოდათ, თვალყური ედევნებინათ საქონლის მოძრაობის განვითარებისათვის უფრო ზუსტად, რითაც უკეთ შეძლებდნენ კონკურენციაში საკუთარი პოზიციების დანახვას. ამდენად, ეს მოსაკრებელი იტალიის უწყებების მხრიდან მომსახურების განვითარების საფასური იყო.

3. მე-12 მუხლის მიხედვით აკრძალულია იმპორტსა და ექსპორტზე ახალი ბაჟებისა და ანალოგიური მოქმედების გადასახადების დანესება. მე-13 და მე-16 მუხლების მიხედვით (გაუქმებულია ამსტერდამის ხელშეკრულებით), წევრ სახელმწიფოებს შორის მოქმედი ბაჟები იმპორტსა და ექსპორტზე და ასევე ანალოგიური მოქმედების გადასახადები უნდა გაუქმდეს ამ მუხლებით გათვალისწინებული ცალკეული დებულებების მიხედვით და მითითებულ ვადებში.

4/5. ადგილი, რომელსაც ეს მუხლები ხელშეკრულების „გაერთიანების საფუძვლები-სადმი“ მიძღვნილ ნაწილში იკავებენ, — მე-9 მუხლი „საქონლის თავისუფლად მოძრაობის“ კარის დასაწყისში, მე-12, მე-13 და მე-16 მუხლები „ბაჟის გაუქმების“ შესახებ ნაწილში, — მასში გამოთქმული აკრძალვების მნიშვნელობას საკმარისად უსვამს ხაზს. ამ აკრძალვებს ისეთი იძულებითი ძალა აქვთ, რომ ხელშეკრულება ესწრაფვის, აღმოფხვრას მათი გამოყენებისას ყოველგვარი ხარვეზი, რათა ხელი შეუშალოს საბაჟო თუ საგადასახადო პრაქტიკებით მათთვის გვერდის ავლას. ამგვარად, მე-17 მუხლი ადგენს (ამსტერდამის ხელშეკრულებით გაუქმებულია), რომ მე-9 მუხლის აკრძალვები მოქმედებს ასევე ფინანსური ბაჟებისათვის. 95-ე მუხლმა, რომელიც მდებარეობს „გაერთიანების პოლიტიკის“ ნაწილსა და „საგადასახადო ნორმების“ კარში, შიდასახელმწიფო საქონელთან შედარებით იმპორტზე უფრო მაღალი გადასახადების დანესების აკრძალვით ყველა ხარვეზი უნდა აღმოფხვრას, რათა საგადასახადო ღონისძიებებით არ დაირღვეს აკრძალვითი ნორმები.

²²⁷ Judgment of the Court of 1 July 1969; Commission of the European Communities v Italian Republic; Case 24-68; European Court reports 1969 Page 00193.

6/7. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბაჟის გადასახადის აკრძალვა არ არის დამოკიდებული იმპორტირებული საქონლის კონკურენტუნარიანობაზე იმპორტის მიმღები ქვეყნის პროდუქციასთან. საბაჟო ბარიერების გაუქმებით უნდა გაუქმდეს არამარტო მათი დამცავი ფუნქცია; ხელშეკრულებას სურდა, უფრო მეტი – საყოველთაო – მოქმედება მიენიჭებინა ბაჟისა და ანალოგიური მოქმედების გადასახადების აკრძალვებისათვის, რათა საქონლის თავისუფალი მოძრაობა უზრუნველყო. მთელი ამ სისტემიდან, მისი მიზნებიდან, ასევე წევრ სახელმწიფოებს შორის საქონლის მოძრაობისას ყველანაირი ბაჟის აკრძალვის საყოველთაოობიდან და აბსოლუტური ხასიათიდან გამომდინარეობს, რომ ყოველგვარი ბაჟის აკრძალვა მოქმედებს, მიუხედავად იმ მიზნისა, რისთვისაც ის შეიქმნა და მიუხედავად ამ ბაჟით მიღებული შემოსავლების გამოყენების მიზნისა. ამ აკრძალვის გამართლება იმით შეიძლება, რომ ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც იხდიან საზღვრების გადაკვეთის ნიადაგზე, საქონლის თავისუფლად მოძრაობას აბრკოლებს, მაშინაც კი, როდესაც ეს ვალდებულება რაოდენობრივად ასეთი მცირეა.

8/9. ანალოგიური მოქმედების გადასახადებზე ბაჟის აკრძალვის განვრცობამ უნდა სრულყოფილ და ეფექტურად ჩამოაყალიბოს ბაჟისაგან წარმოშობილი სავაჭრო დაბრკოლებების გაუქმების საკითხი. ამ ორი ურთიერთშემავსებელი ცნების გამოყენებით ხელი უნდა შეშლოდა წევრ სახელმწიფოთა შორის ვაჭრობაში გაერთიანების შიგნით საქონლის მიმოქცევაზე მათ მიერ საზღვრის გადაკვეთის გამო ფინანსური ვალდებულებების დაწესებას. იმისათვის, რომ გაირკვეს, აქვს თუ არა ბაჟის ანალოგიური მოქმედება გადასახადს, განსაკუთრებით საქონლის თავისუფლად მოძრაობის თვალსაზრისით, საჭიროა მისი შედარება იმ მიზნებთან, რომლებსაც ითვალისწინებს ხელშეკრულების მე-9, მე-12, მე-13 და მე-16 მუხლები. ცალმხრივად, შიდა და უცხოურ საქონელზე საზღვრის გადაკვეთის გამო დაწესებული ფინანსური ვალდებულება, მიუხედავად მისი რაოდენობრივი სიმცირისა და იმისა, რომ ის არ არის ბაჟი ჩვეულებრივი გაგებით და მიუხედავად მისი დასახელებისა და დაბეგვრის ფორმისა, იგი ანალოგიური მოქმედების გადასახადია ხელშეკრულების მე-9, მე-12, მე-13 და მე-16 მუხლების მიხედვით, მაშინაც კი როდესაც ის სახელმწიფოს სასარგებლოდ არ აიკრიფება და არ გააჩნია დისკრიმინაციული ან პროტექციონისტული მოქმედება და როცა ამ ვალდებულებით დატვირთული საქონელი შიდასახელმწიფო პროდუქციასთან კონკურენციაში არ არის.

10. საერთო ჯამში დასახელებული ნორმებიდან და ხელშეკრულების სხვა დებულებებთან მათი მიმართებიდან გამომდინარეობს, რომ საქონლის თავისუფლად გადაადგილების პრინციპთან დაკავშირებული ბაჟისა და ანალოგიური მოქმედების გადასახადების აკრძალვა არსებითი ნორმაა, რომელიც სხვა ხელშეკრულების სხვა დებულებების დაურღვევლად არ უშვებს გამონაკლისებს.

ბ) რაოდენობრივი შეზღუდვებისა და ანალოგიური მოქმედების ღონისძიებების აკრძალვა:

საქმე *Gustave Dassonville*²²⁸:

საქმის ფაბულა: გუსტავ დასონვილმა (*Gustave Dassonville*), რომელსაც ბიზნესი ჰქონდა საფრანგეთში, და მისმა შვილმა, რომელიც მამის სანარმოს ფილიალს უძღვებოდა, 1970 წელს ბელგიაში შეიტანეს „ჯონნი ვოლკერისა“ (*Johnnie Walker*) და „ვატ 69“ (*Vat 69*) მარკის შოტლანდიური ვისკი (*Scotch Whisky*). ეს მარკები გუსტავ დასონვილმა ფრანგული

²²⁸ Judgment of the Court of 11 July 1974; Procureur du Roi v Benoît and Gustave Dassonville; Case 8-74; European Court reports 1974 Page 00837.

სანარმოსაგან შეიძინა. ბოთლებზე გაკეთებულ ეტიკეტებზე იყო წარწერა „ბრიტანული საბაჟოს წარმოშობის სერტიფიკატი“ (*British Customs Certificate of Origin*). გარდა ამისა, მასზე იყო წარწერა ფრანგული საბაჟო რეგისტრიდან საქონლის გასაღებაზე ნებართვის ნომრისა და ამ ნებართვის გაცემის თარიღის შესახებ. ეს ნებართვა იყო ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც, ფრანგული კანონმდებლობის მიხედვით, იმ პროდუქციასთან ერთად უნდა ყოფილიყო, რომელიც წარმოშობის ადგილის სახელწოდებას ატარებდა. ბელგიაში წარმოშობის ადგილით დასახელებული „მოტლანდიური ვისკი“ დაშვებული იყო, თუმცა იკრძალებოდა ისეთი სპირტიანი სასმელის შემოტანა-გასაღება, რომელსაც არ გააჩნდა წარმოშობის ქვეყნიდან შესაბამისი დოკუმენტი, საიდანაც ჩანდა, რომ იგი მართლზომიერად ატარებდა ამ სახელწოდებას. რადგანაც ასეთი დოკუმენტი დასონვილების პროდუქციას არ გააჩნდა, პროკურატურამ აღძრა მათ წინააღმდეგ საქმე, ხოლო ეროვნულმა სასამართლომ წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურით მიმართა ევროპულ სასამართლოს შეკითხვით: ბელგიის აღნიშნული რეგულირება იყო თუ არა რაოდენობრივი შეზღუდვა ან ანალოგიური მოქმედების ღონისძიება ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 30-ე მუხლის მიხედვით. ამას ამტკიცებდნენ ბრალდებულებიც. აღნიშნული რეგულირების წესი გამოორიცხავდა სხვა ქვეყნიდან საქონლის შემოტანას, გარდა წარმოშობის ქვეყნისა და ამით ზღუდავდა წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობას.

წევრი სახელმწიფოების ყოველი სავაჭრო რეგულირება, რომელიც გამოდგება იმისათვის, რომ გაერთიანების შიგნით პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ფაქტობრივად თუ პოტენციურად ხელი შეუშალოს ვაჭრობას, მიჩნეულ უნდა იქნეს რაოდენობრივი შეზღუდვის ანალოგიური მოქმედების ღონისძიებად.

საქმე *Commission of the European Communities v. Ireland*²²⁹:

1. ევროკავშირის კომისიამ საჩივრით მიმართა ევროპული სასამართლოს კანცელარიას 1981 წლის 15 სექტემბერს იმასთან დაკავშირებით, რომ ირლანდიამ დაარღვია თავისი ვალდებულებები, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, იმით, რომ მან სახელმწიფოში ორგანიზება გაუკეთა ირლანდიური პროდუქციის გასაღებისა და შესყიდვის ხელშეწყობის კამპანიას.

I. დავის საგანი

2. არგუმენტირებულ პოზიციაში, რომლითაც კომისიამ მიმართა ირლანდიას 1981 წლის 25 თებერვალს კამპანიის გამო, – სახელწოდებით: „იყიდეთ ირლანდიური“, – ადგენდა, რომ ირლანდიის მთავრობამ 1978 წლის იანვარში შეადგინა სამწლიანი პროგრამა ირლანდიური პროდუქციის ხელშეწყობის მიზნით. კამპანია დაიწყო 1978 წლის 18 იანვარს ირლანდიის ინდუსტრიის, ვაჭრობისა და ირლანდიელი მინისტრის სიტყვით გამოსვლით. მინისტრმა ამ გამოსვლაში განაცხადა, რომ კამპანიის მიზანი იყო „იმპორტზე მომხმარებელთა საერთო დანახარჯების 3%-ის ირლანდიური პროდუქციით ჩანაცვლება“. კამპანია შედგებოდა „მრავალი კარგად მოფიქრებული ინიციატივისაგან, რომლებიც ერთად შეადგენდნენ ირლანდიური საქონლის ხელშეწყობის ინტეგრალურ პროგრამას სპეციალური შემოთავაზებებით იმისათვის, რომ მწარმოებელი, მოვაჭრე და მომხმარებელი მიეზიდათ“.

ირლანდიის მთავრობამ მთელი რიგი ღონისძიებებისა გაატარა და ატარებს, ირლან-

²²⁹ Judgment of the Court of 24 November 1982; *Commission of the European Communities v Ireland*; Case 249/81; *European Court reports 1982 Page 04005*

დიური პროდუქციის ამ განმარტებების შესაბამისად წასახალისებლად. არგუმენტირებული პოზიცია ასახელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- ა) იმ მომხმარებლისათვის უფასო საინფორმაციო სამსახურის შექმნა, რომლებსაც სურთ იცოდნენ საქონლის გარკვეული ჯგუფის რომელი პროდუქცია არის ირლანდიაში წარმოებული და სად შეიძლება მათი მიღება („*Shoptlink-Service*“);
- ბ) გამოფენის შესაძლებლობების შექმნა მხოლოდ ირლანდიური პროდუქტისათვის დუბლინის დიდ საგამოფენო ცენტრში, რომელიც ეკუთვნის ირლანდიური საქონლის საბჭოს (*Irish Goods Council*), თავის მხრივ, არის ოფიციალური უწყება;
- გ) „გარანტირებულად ირლანდიური“ (*Guaranteed Irish*) ეტიკეტის გამოყენების წახალისება ირლანდიაში წარმოებული პროდუქციის ირლანდიური საქონლის საბჭოს მიერ დაწესებული განსაკუთრებული რეგულირების წესით, რომლის მიხედვითაც ამ ეტიკეტის პროდუქციაზე საჩივრის განხილვის პროცედურა იქმნებოდა;
3. დ) ირლანდიური საქონლის საბჭოს მიერ დიდი სარეკლამო კამპანიის ჩატარება ირლანდიური პროდუქციის სასარგებლოდ, განსაკუთრებით ამ დაწესებულების მიერ გამოქვეყნებული და გავრცელებული ბროშურებით, რომელშიც მომხმარებელს მოუწოდებენ, შეიძინოს მხოლოდ შიდასახელმწიფო საქონელი.
4. კომისია თავის საჩივარში იმაზე მიუთითებს, რომ ირლანდიის მთავრობა ახლა *Shoptlink Service*-სთან დაკავშირებულ საქმიანობას ასრულებს და დუბლინში გამოფენის შესაძლებლობები გააუქმა. ამის საწინააღმდეგოდ კი ორივე სხვა საქმიანობა გააგრძელა, კერძოდ სამი წლის გასვლის შემდეგაც, რომლის განმავლობაშიც იგეგმებოდა კამპანიის გამართვა. სარეკლამო კამპანია, გარდა ამისა, თანდათან გაფართოვდა, განსაკუთრებით ირლანდიური პროდუქციის გაფართოებული რეკლამით პრესასა და ტელევიზიაში.
(...)
6. რაც შეეხება სარეკლამო კამპანიას, ირლანდიის მთავრობა აცხადებს, რომ ის ირლანდიური საქონლის საბჭოს საქმიანობების ნაწილია. ეს დაწესებულება კი არ შეიძლება ჩაითვალოს ირლანდიურ უწყებად, ის მხოლოდ კავშირია, რომლითაც ირლანდიის ინდუსტრიის სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლები თანამშრომლობას ახორციელებენ საერთო ინტერესიდან გამომდინარე. ირლანდიური საქონლის საბჭოს საქმიანობები არ ეფუძნებოდა არავითარ ოფიციალურ რეგულირებას, და მთავრობის მონაწილეობა განისაზღვრებოდა მხოლოდ ფინანსური დახმარებითა და მორალური მხარდაჭერით.
7. კომისიის მოხსენების მიხედვით, ირლანდიური საქონლის საბჭოს ქმედებები, უდავოდ, ირლანდიურ მთავრობას უნდა მიეწეროს. ის, სხვასთან ერთად, აღნიშნავს, რომ კავშირის სამეთვალყურეო საჭოს წევრები ამ დაწესებულების წესდების მიხედვით ინიშნებიან ინდუსტრიის, ვაჭრობისა და ენერგეტიკის მინისტრის მიერ.
8. კომისიის შეხედულებით, ირლანდიაში ირლანდიური პროდუქციის გასაღებისა და შესყიდვის წახალისების კამპანია იმპორტის შეზღუდვის ანალოგიური მოქმედების ღონისძიებაა. ირლანდია აცხადებს, რომ ირლანდიის მთავრობას არასოდეს მიუღია „ზომა“ ხელშეკრულების 30-ე მუხლის მიხედვით, და, მეორე, ირლანდიური საქონლის საბჭოსათვის განეული ფინანსური დახმარება უნდა შეფასდეს არა ხელშეკრულების 30-ე მუხლის, არამედ 92-ე და 93-ე მუხლების მიხედვით.
9. სანამ ამ არგუმენტებს შევეხებით, გასარკვევია ირლანდიური საქონლის საბჭოს პოზიცია.

II. ირლანდიური საქონლის საბჭო

10. ირლანდიური საქონლის საბჭო დაარსდა 1978 წლის 25 აგვისტოს სადავო კამპანიის დაწყებიდან რამდენიმე თვეში, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება კაპიტალის გარეშე; შესაბამისად ის დარეგისტრირდა კაპიტალური საზოგადოებების შესახებ ირლანდიის კანონით (*Companies Act 1963*). ირლანდიური საქონლის საბჭო სინამდვილეში ორი ორგანოს შერწყმით წარმოიშვა: ეროვნული განვითარების საბჭოსა (*National Developments Council*), რომელიც იყო კაპიტალური საზოგადოებების შესახებ კანონის შესაბამისად დარეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, და ირლანდიური პროდუქციის ხელშეწყობისა და გასაღების სამუშაო ჯგუფისაგან.

11. ირლანდიის მთავრობა აცხადებს, რომ ირლანდიური საქონლის საბჭო დაარსებულია მთავრობის მეთაურობით, რათა სიძნელეების დასაძლევად მოახდინოს ირლანდიის ინდუსტრიის სტიმულირება. საბჭო დაარსდა იმ ჩარჩოების შესაქმნელად, რომელშიც ინდუსტრიის განსხვავებულ სფეროებს, საერთო ინტერესიდან გამომდინარე, შეეძლოთ ეპოვათ სათანამშრომლო პუნქტები.

12. ირლანდიური საქონლის საბჭოს წესდების თანახმად, ამ ორგანოს სამეთვალყურეო საბჭო შედგება ათი წევრისაგან. თითოეულ წევრს ინვესსიის ინდუსტრიის, ვაჭრობისა და ენერჯეტიკის მინისტრი; მინისტრი სამეთვალყურეო საბჭოს ერთ წევრს ნიშნავს პრეზიდენტად. წევრები და ასევე პრეზიდენტი ხუთი წლის ვადით მოიწვევიან, და მათი ვადა შეიძლება გაგრძელდეს. პრაქტიკაში სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მინისტრის მიერ ისე აირჩევა, რომ მათ წარმოადგინონ ირლანდიის ეკონომიკის შესაბამისი სფერო.

13. ცნობიდან, რომელიც ირლანდიის მთავრობამ ევროპულ სასამართლოს მისცა, გამომდინარეობს, რომ ირლანდიური საქონლის საბჭოს საქმიანობები იმ სახსრებით ფინანსდება, რომელიც ირლანდიის მთავრობისა და კერძო ინდუსტრიის მიერ გაიღება.

(...)

15. აღნიშნულის მიხედვით, ირლანდიის მთავრობა ინვესსიის ირლანდიური საქონლის საბჭოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, მხარს უჭერს მას საჯარო სახსრებით, რომლებიც მისი ხარჯების დიდ ნაწილს შეადგენს და ადგენს საბოლოოდ ირლანდიური პროდუქციის გასაღებისა და შესყიდვის წახალისებისათვის ამ დაწესებულების მიერ წარმოებული კამპანიის ხანგრძლივადიან მიზნებს. ამ გარემოებებში ირლანდიურ მთავრობას ხელშეკრულების მუხლებით მისთვის დაკისრებული ვალდებულების თავიდან აცილების მიზნით არ შეუძლია დაეყრდნოს იმას, რომ კამპანიას კერძო სამართლის საზოგადოება აწარმოებს.

(...)

21. ირლანდიის მთავრობა აცხადებს, რომ 30-ე მუხლში რაოდენობრივი შეზღუდვების ანალოგიური მოქმედების ღონისძიებების აკრძალვა შეეხება მხოლოდ „ღონისძიებებს“, ესე იგი უწყების მიერ გამოცემულ სავალდებულო სამართლებრივ აქტებს. ირლანდიის მთავრობას კი ასეთი სამართლებრივი აქტი არ გამოუცია, მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ ირლანდიის ინდუსტრიას მორალური მხარდაჭერა გამოუცხადა და ფინანსურად დაეხმარა.

26. ირლანდიური პროდუქციის გასაღებისა და შესყიდვის ხელშეწყობი სარეკლამო კამპანია არ შეიძლება ცალკე იქნეს განხილული: ის, როგორც წარმოშობით მთავრობის პროგრამის ნაწილი, დაკავშირებული იყო ეტიკეტის – „გარანტირებულად ირლანდი-

ურის“ დამკვიდრებასა და ამ ეტიკეტის მქონე პროდუქციაზე საჩივრების განხილვის განსაკუთრებულ პროცედურასთან. ირლანდიურ პროდუქციაზე საჩივრების განხილვის რეგულირება ადასტურებს მის საორგანიზაციო დონესთან ერთად ასევე კამპანიის სახელწოდებით – „იყიდეთ ირლანდიურის“ – დისკრიმინაციულ ხასიათს.

27. ამ გარემოებებში ეს ორივე საქმიანობა სცილდება ირლანდიის მთავრობის მიერ დანყებული და მისი მხარდაჭერით განხორციელებული ეროვნული პრაქტიკის საზღვრებს. სხვა წევრი სახელმწიფოებიდან იმპორტზე (ამ პრაქტიკის) შესაძლო ზეგავლენა უთანაბრდება სავალდებულო ხასიათის მთავრობის აქტებს.

28. ასეთ პრაქტიკაზე ხელშეკრულების 30-ე მუხლის აკრძალვის გაუვრცელებლობა არ შეიძლება მხოლოდ იმიტომ, რომ ის იმ გადანყვეტილებებს არ ეყრდნობა, რომლებიც საწარმოებისათვის სავალდებულოა. თვით წევრი სახელმწიფოს მთავრობის აქტებსაც, რომელთაც სავალდებულო ძალა არ გააჩნიათ, შეუძლიათ ამ სახელმწიფოში მოვაჭრეებისა და მომხმარებლის მოქმედებაზე ზეგავლენა მოახდინონ და ამით არ დაუშვან ხელშეკრულების მე-2 მუხლში დასახელებული და მე-3 მუხლში გაერთიანების დეტალურად აღწერილი მიზნების განხორციელება.

29. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ასეთი შემზღუდველი პრაქტიკა გამოიხატება მთავრობის მიერ განსაზღვრული პროგრამის განხორციელებით, რომელიც, თავის მხრივ, საერთო ჯამში ეროვნულ ეკონომიკას შეეხება და წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობას ზღუდავს; და რომელიც, თავის მხრივ, სტიმულირებას უკეთებს ეროვნული პროდუქციის შესყიდვას ეროვნულ ფარგლებში სარეკლამო კამპანიის დახმარებით და განსაკუთრებული, მხოლოდ შიდასახელმწიფო საქონლისათვის მოქმედი პროცედურის დამკვიდრებით, როდესაც ეს საქმიანობები საერთო ჯამში მიენერება მთავრობას და ორგანიზებული ფორმით მთელ ქვეყანაში ხორციელდება.

30. ირლანდიამ ამით ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები დაარღვია, როდესაც მან ქვეყნის შიგნით ირლანდიური პროდუქციის გასაღებისა და შესყიდვის ხელშეწყობის კამპანია განახორციელა.

საქმე *Commission v. French Republic*²³⁰:

საქმის ფაბულა: კომისიამ საფრანგეთი დაადანაშაულა ხელშეკრულების 30-ე მუხლის დარღვევაში. კერძოდ იმაში, რომ საფრანგეთმა არ მიიღო შესაბამისი ზომები, რომ დაუბრკოლებლად მომხდარიყო ბოსტნეულისა და ხილის შემოტანა საფრანგეთში. ამას საფუძვლად დაედო ის, რომ წლების განმავლობაში ფრანგი გლეხები აპროტესტებდნენ სხვა წევრი სახელმწიფოებიდან ამ პროდუქციის შემოტანას და პროტესტს გამოთქვამდნენ ისეთი ფორმებით, როგორებიცაა: სატვირთო მანქანების განადგურება, მუქარა მძღოლებისა და დისტრიბუტორების მიმართ. ფრანგი სამართალდამცავები ან არაფერს აკეთებდნენ ამის თავიდან ასაცილებლად, ან არასაკმარის ზომებს იღებდნენ.

28. განსაკუთრებით 30-ე მუხლის მიხედვით აკრძალულია იმპორტზე რაოდენობრივი შეზღუდვები და ასევე ანალოგიური მოქმედების ნებისმიერი ღონისძიება.

29. ეს ამ დებულების კონტექსტის მიხედვით ნიშნავს, რომ გაერთიანების შიდა ვაჭრობაში იმპორტის ნაკადის ყველა პირდაპირი თუ არაპირდაპირი, ფაქტობრივი თუ პოტენციური შეზღუდვა უნდა აღმოიფხვრას.

30. შიდა საზღვრების გარეშე ბაზრის განხორციელებისათვის აუცილებელია 30-ე მუხლი.

²³⁰ Judgment of the Court of 9 December 1997; Commission of the European Communities v French Republic; Case C-265/95; European Court reports 1997 Page I-06959.

ის ამით კრძალავს არა მარტო ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც სახელმწიფოს მიენერება და წევრ სახელმწიფოთა შორის სავაჭრო დაბრკოლებებს ქმნიან, არამედ ის შეიძლება გავრცელდეს ასევე ისეთ შემთხვევებზე, როდესაც წევრი სახელმწიფო არ იღებს ზომებს, ჩაერიოს საქონლის თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვებში, რომლის გამომწვევი მიზეზებიც სახელმწიფოდან არ მომდინარეობს.

31. გაერთიანების შიდა სავაჭრო მიმოქცევა შესაძლოა იმითაც შეილახოს, რომ წევრი სახელმწიფო უმოქმედოდაა ან შესაძლებლობას უშვებს ხელიდან, მიიღოს საკმარისი ზომები საქონლის თავისუფლად გადაადგილების დამაბრკოლებელი გარემოებების აღმოფხვრისათვის, რომლებსაც ამ ტერიტორიაზე განსაკუთრებით კერძო პირების მოქმედებები განაპირობებენ და რომლებიც სხვა წევრი სახელმწიფოების პროდუქციის წინააღმდეგაა მიმართული.

32. 30-ე მუხლი წევრ სახელმწიფოებს უკრძალავს არა მარტო ისეთი საკუთარი მოქმედებებისა თუ ქცევების განხორციელებას, რომლებსაც შეუძლიათ ვაჭრობაში დაბრკოლება გამოიწვიონ, არამედ ავალდებულებს მათ ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების მე-5 მუხლთან კავშირში მიიღონ ყველა აუცილებელი და გამოსადეგი ღონისძიება, რომ თავიანთ ტერიტორიაზე ამ ძირითადი უფლების დაცვა უზრუნველყონ.

საქმე *Commission v. Germany*²³¹.

14. საქონლის თავისუფლად მოძრაობის შესახებ ხელშეკრულების ნორმები, კერძოდ კი 30-ე მუხლი კრძალავს რაოდენობრივ შეზღუდვებს იმპორტზე და ანალოგიური მოქმედების ღონისძიებებს წევრ სახელმწიფოთა შორის. კომისიის ევროპული ეკონომიკური გაერთიანების 70/50 დირექტივის მე-2 მუხლის მე-3 აბზაცის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, ხელშეკრულების 30-ე და შემდგომი მუხლების მიხედვით აკრძალულია ისეთი ღონისძიებები, „რომლებიც მხოლოდ ეროვნული საქონლისათვის ითვალისწინებენ გარკვეული სახელწოდებების მინიჭებას, რომლებიც არც წარმოშობის ადგილის დასახელებაა და არც თავდაპირველი დასახელება“. იმით, რომ 1971 წლის ღვინის შესახებ სამართლებრივი რეგულირება ასეთი დასახელებების ტარების უფლებას მხოლოდ ეროვნულ პროდუქციას ანიჭებს და სხვა წევრი სახელმწიფოების პროდუქციას უცნობი ან მომხმარებლის მიერ ნაკლებად დაფასებული დასახელებებისა კენ უზიძგებს, გამოდგება იმისათვის, რომ უპირატესობა მისცეს ეროვნულ პროდუქციას გერმანულ ბაზარზე სხვა წევრი სახელმწიფოების პროდუქციის საზიანოდ. ამდენად, ეს რეგულირება შეიცავს რაოდენობრივი შეზღუდვის ანალოგიური მოქმედების ღონისძიებას დასახელებული დებულებების მიხედვით, რომელიც მესამე ქვეყნებიდან შუშხუნა ღვინის იმპორტთან დაკავშირებით საბჭოს 816/70 დირექტივის მე-12 მუხლის მე-2 აბზაცის „ბ“ ქვეპუნქტს ეწინააღმდეგება. იმისათვის, რომ ამ აკრძალვამ იმოქმედოს, არ საჭიროებს დადგენას, ასეთი ღონისძიება, ფაქტობრივად, ზღუდავს თუ არა აღნიშნული პროდუქციის იმპორტს; (...).

გაერთიანებული საქმეები: *Criminal proceedings against Jan van de Haar and Kaveka de Meern BV*²³².

13. 30-ე მუხლი არ განასხვავებს ღონისძიებებს, რომლებიც რაოდენობრივი შეზღუდვების ანალოგიური მოქმედების ღონისძიებად შეიძლება განიხილებოდნენ, იმ ნიშნით, თუ რა ხარისხით იწვევენ ისინი წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობის დაბრკოლებას. თუ

²³¹ Judgment of the Court of 20 February 1975; *Commission of the European Communities v the Federal Republic of Germany*; Case 12-74; European Court reports 1975 Page 00181.

²³² Judgment of the Court (First Chamber) of 5 April 1984; *Criminal proceedings against Jan van de Haar and Kaveka de Meern BV*; Joined cases 177 and 178/82; European Court reports 1984 Page 01797.

ეროვნული ღონისძიება გამოდგება იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს იმპორტს, მაშინ ის თავად კვალიფიცირებულ უნდა იქნეს რაოდენობრივი შეზღუდვის ანალოგიური მოქმედების ღონისძიებად, მაშინაც კი, თუ დაბრკოლება მცირეა და თუ იმპორტირებული პროდუქციის გასაღების სხვა შესაძლებლობებიც არსებობს.

3. აკრძალვების ფორმები:

ა) დისკრიმინაციის აკრძალვა

ხელშეკრულებაში დაფიქსირებული აკრძალვები შეეხება მხოლოდ საქონლის იმპორტსა და ექსპორტს. ეს აკრძალვები თავისთავად მიმართულია იმ ღონისძიებებისაკენ, რომლებიც განარჩევს ერთმანეთისაგან შიდა პროდუქციას და გარე პროდუქციას და ამ კრიტერიუმებით ახდენს მათ დისკრიმინაციას იმ მიზნით, რომ შეიზღუდოს საქონლის მოძრაობა წევრ სახელმწიფოებს შორის. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომაც იმსჯელა ამ ღონისძიებების დისკრიმინაციულობაზე და განასხვავა დისკრიმინაციის ორი სახე: ეგრეთ წოდებული ღია დისკრიმინაცია, რომელიც განსხვავებულ რეგულირებებს აწესებს შიდა და გარე პროდუქციაზე და ფარული დისკრიმინაცია, რომელიც ერთნაირ რეგულირებებს შეიცავს, მაგრამ, ფაქტობრივად, განსხვავებულად მოქმედებს.

საქმე *Association des Centres distributeurs Édouard Leclerc*²³³:

23. ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 30-ე მუხლის მიხედვით, აკრძალულია რაოდენობრივი შეზღუდვები იმპორტზე, ასევე აკრძალულია რაოდენობრივი შეზღუდვების ანალოგიური მოქმედების ღონისძიებები წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაში. მუდმივი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ანალოგიური მოქმედების ღონისძიებად მიჩნეულ უნდა იქნეს ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც გამოდგება იმისათვის, რომ შეზღუდოს წევრ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო ურთიერთობა პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ფაქტობრივად თუ პოტენციურად. ეს განსაკუთრებით ისეთი ეროვნული რეგულირებისას ხდება, რომელიც შიდა და იმპორტირებული პროდუქციის დიფერენციაციას ახდენს ან იმპორტირებული პროდუქციის გასაღებას შიდაპროდუქციასთან შედარებით რაიმე სახით ართულებს.

საქმე *Riccardo Tasca*²³⁴ თეზისი:

2. ეროვნული ღონისძიება უკვე მიჩნეული უნდა იქნეს რაოდენობრივი შეზღუდვის ანალოგიური მოქმედების ღონისძიებად, როდესაც მას შეუძლია შეზღუდოს იმპორტი წევრ სახელმწიფოებს შორის პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ფაქტობრივად თუ პოტენციურად.

3. შიდა და იმპორტული პროდუქციისათვის განურჩევლად მოქმედი ფასების მაქსიმუმის დადგენა, როგორც ასეთი, მართალია, არ არის რაოდენობრივი შეზღუდვის ანალოგიური მოქმედების ღონისძიება, მაგრამ მას შეუძლია ასეთი მოქმედება ჰქონდეს, თუ ის იმგვარად განისაზღვრება, რომ შეუძლებელი გახდება იმპორტული პროდუქციის გასაღება ან შიდა პროდუქციასთან შედარებით გაძნელება მისი გასაღება. ამდენად, ფასების მაქსიმუმის დადგენა მოქმედებს იმპორტულ პროდუქციაზე როგორც რაოდენობრივი შეზღუდვების ანალოგიური მოქმედების ღონისძიება, თუ ის ისე დაბალია, რომ მოვაჭრე, რომელსაც სურს აღნიშნული პროდუქციის შესაბამის წევრ სახელმწიფოში შემოტანა, — იმპორ-

²³³ Judgment of the Court of 10 January 1985; *Association des Centres distributeurs Édouard Leclerc and others v SARL "Au blé vert"* and others; Case 229/83; European Court reports 1985 Page 00001.

²³⁴ Judgment of the Court of 26 February 1976; *Riccardo Tasca*; Case 65-75; European Court reports 1976 Page 00291.

ტული პროდუქციის ზოგადი მდგომარეობის გათვალისწინებით შიდა პროდუქციასთან შედარებით — მხოლოდ ზარალს მიიღებს.

ბ) ზოგადი შეზღუდვის აკრძალვა

საქმე *Joseph Henri Thomas Blesgen*²³⁵:

საქმის ფაბულა: ბელგიაში მოქმედებდა აკრძალვა, რომლის მიხედვითაც სასმელების ჩამოსასხმელი ჯიხურების მფლობელებს, რომლებიც ადგილზე ასხამდნენ და ყიდდნენ უშუალო მოხმარებისათვის, ეკრძალებოდათ გარკვეულ ადგილებში შენახვა, გაყიდვა და შეთავაზება იმ ალკოჰოლური სასმელებისა, რომელთა ალკოჰოლური შემცველობა 15 გრადუს ცელსიუსზე 22%-ს აღემატებოდა.

7. ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 30-ე მუხლის მიხედვით წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაში იმპორტზე აკრძალულია რაოდენობრივი შეზღუდვები და ასევე ანალოგიური მოქმედების ღონისძიებები. აქედან გამომდინარეობს, რომ ყოველი შიდასახელმწიფოებრივი ღონისძიება, რომელიც გამოდგება იმისათვის, რომ გაერთიანების შიდა სავაჭრო ურთიერთობა პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ფაქტობრივად თუ პოტენციურად შეზღუდოს, უნდა განიხილებოდეს რაოდენობრივი შეზღუდვის ანალოგიური მოქმედების ღონისძიებად. როგორც ევროპულმა სასამართლომ თავის 1980 წლის 10 ივლისის განაჩენში (საქმე 152/78, *კომისია საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ*, 1980 წლის კრებული, 2299) აღნიშნა, გარკვეული პროდუქციის მიმოქცევაში გაშვების შესახებ სამართლებრივმა ნორმებმა, რომლებიც იმპორტს უშუალოდ არ არეგულირებენ, საქმის შემადგენლობის მიხედვით, შესაძლოა სხვა სახელმწიფოებიდან პროდუქციის შემოტანის შესაძლებლობები შელახონ და ამით ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 30-ე მუხლის აკრძალვის სფეროში მოექცნენ.

8. გარდა ამისა, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 30-ე მუხლით გათვალისწინებული **აკრძალვა** კომისიის 1969 წლის 22 დეკემბრის 70/50/EWG დირექტივა (ოფიციალური გამოცემა L 13, 1970 წლის 19 იანვრის, გვ. 29) იმპორტზე რაოდენობრივი შეზღუდვების ანალოგიური მოქმედების იმ ღონისძიებების აღმოფხვრის შესახებ, რომლებიც არ ექცევიან ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული ნორმების მოქმედების სფეროში, **მოიცავს ისეთ ღონისძიებებსაც საქონლის მიმოქცევაში გაშვებასთან დაკავშირებით, რომლებიც შიდა და შემოტანილ საქონელზე განურჩევლად გამოიყენება და რომელთა შემზღუდავი ხასიათი საქონლის მიმოქცევაზე ამგვარი სავაჭრო რეგულირებების ფარგლებში ჩვეულებრივ მოქმედებებს სცდება.**

9. ეს, უპირველესად, არ შეეხება იმ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ უშუალო მოხმარებისათვის მაღალი ალკოჰოლური შემცველობის სასმელის გაყიდვას იმ ადგილებში, რომლებიც საჯაროა, და არ ეხებიან ამგვარი სასმელების გასაღების სხვა ფორმებს. ამასთან მიმართებით უნდა დადგინდეს, რომ სადავო ალკოჰოლური სასმელების გაყიდვისათვის დადგენილი შეზღუდვები არ განასხვავებს ერთმანეთისაგან სასმელს მისი სახისა თუ წარმოშობის მიხედვით. ამგვარი საკანონმდებლო ღონისძიება სინამდვილეში არანაირ კავშირში არ არის საქონლის შემოტანასთან და, ამ საფუძველიდან გამომდინარე, არ შეუძლია შელახოს წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობა.

²³⁵ Judgment of the Court of 31 March 1982; *Joseph Henri Thomas Blesgen v Belgian State*; Case 75/81; European Court reports 1982 Page 01211.

საქმე *Torfaen Borough Council*²³⁶.

10. მომმართველ სასამართლოს მისი პირველი შეკითხვით სურს იცოდეს ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 30-ე მუხლის მიხედვით, მოიცავს თუ არა რაოდენობრივი შეზღუდვების ანალოგიური მოქმედების ღონისძიებები ისეთ სამართლებრივ ნორმებსაც, რომლებიც ინდივიდუალურ მენარმეებს უკრძალავს კვირაობით მალაზიების გაღებას, თუ ეს აკრძალავს ინვესს სხვა წევრი სახელმწიფოებიდან შემოტანილი საქონლის ჩათვლით საქონლის გასაღების შემცირებას.

11. უპირველესად, უნდა დადგინდეს, რომ შიდასახელმწიფოებრივი რეგულირებები, რომლებიც ინდმენარმეებს უკრძალავენ თავიანთი მალაზიების გაღებას, ერთიანად შეეხება როგორც შემოტანილ, ასევე შიდა პროდუქციას. ძირითადად წევრი სახელმწიფოებიდან შემოტანილი პროდუქციის გასაღება არ არის გაძნელებული შიდა პროდუქციასთან შედარებით.

12. ევროპულმა სასამართლომ 1985 წლის 11 ივლისის განაჩენში (გაერთიანებულ საქმეებში – 60 და 61/84 (*Cinetheque* 1985 წლის კრებული, 2605, 2618)) შემოტანილ და შიდა პროდუქციაზე განურჩევლად მოქმედ აკრძალვასთან (ვიდეოკასეტების რეალიზაციის აკრძალვა) დაკავშირებით გადაწყვიტა, რომ ასეთი აკრძალვა მხოლოდ მაშინ შეესაბამება ხელშეკრულებაში ასახული საქონლის თავისუფლად მოძრაობის პრინციპს, როდესაც გაერთიანების შიდა ვაჭრობის დაბრკოლებები, რომლებიც ასეთი აკრძალვებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს, არ სცდება დასახული მიზნის ფარგლებს და როდესაც ეს მიზანი გაერთიანების სამართლითაა გამართლებული.

13. ამ შემთხვევაში კი, პირველ რიგში, უნდა გადაისინჯოს, სადავო რეგულირების წესი გაერთიანების სამართლით გამართლებულ მიზანს ემსახურება თუ არა. ამასთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ 1981 წლის 14 ივლისის განაჩენში (საქმე 155/80, *Oebel*, 1981 წლის კრებული, 1993) დაადგინა, რომ საცხობი და საკონდიტრო მენარმეობის სამუშაო, გადასაზიდი და გასაღების დროის შიდასახელმწიფოებრივი რეგულირება სამართლიანი ეკონომიკურ-პოლიტიკური და სოციალურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, რაც ხელშეკრულების საყოველთაო ინტერესში არსებულ მიზნებს შეესაბამება.

14. ეს შეხედულება საცალო ვაჭრობის გასაღების დროის შიდასახელმწიფოებრივი რეგულირებებისათვისაც მოქმედებს. ასეთი რეგულირებები გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებების გამოხატულებაა, რომლებიც ქვეყანაში ან რეგიონში სოციალურ და კულტურულ თავისებურებებს უნდა შეესაბამებოდნენ. მათი შეფასებაც გაერთიანების სამართლის არსებული მდგომარეობით წევრი სახელმწიფოების საქმეა. გარდა ამისა, ასეთი რეგულირებები არ არის იმისათვის, რომ მოაწესრიგონ წევრ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო ნაკადები.

15. შემდგომ უნდა გადაისინჯოს, ასეთი შიდასახელმწიფოებრივი რეგულირების მოქმედებები სცილდება თუ არა იმას, რაც საჭიროა დასახული მიზნის მისაღწევად. როგორც, კერძოდ, კომისიის 1969 წლის 22 დეკემბრის 70/50/EEC დირექტივის მე-3 მუხლიდან გამომდინარეობს (ოფიციალური გამოცემა, 1970 წელი, L 13, გვ. 29), 30-ე მუხლის აკრძალვა შეეხება საქონლის მიმოქცევაში გაშვების შესახებ ეროვნულ ღონისძიებებს, რომელთა შემზღუდავი მოქმედებები საქონლის მოძრაობაზე ამგვარი სავაჭრო რეგულირებების ჩვეულებრივი მოქმედების ფარგლებს სცილდება.

²³⁶ Judgment of the Court (Sixth Chamber) of 23 November 1989; *Torfaen Borough Council v B & Q plc*; Case C-145/88; European Court reports 1989 Page 03851.

16. კითხვა – რეალურად ჯდება თუ არა გარკვეული ეროვნული რეგულირების მოქმედებები ამ ფარგლებში – ფაქტობრივ ხასიათს ატარებს და ამდენად შიდასახელმწიფო სასამართლოების გადასაწყვეტია.

17. ამდენად, პირველ შეკითხვას პასუხი უნდა გაეცეს, რომ ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 30-ე მუხლი უნდა განიმარტოს ისე, რომ მასში გამოთქმული აკრძალვა არ მოქმედებს ისეთი ეროვნული რეგულირებისათვის, რომელიც საცალო მოვაჭრეებს უკრძალავს, თავისი მაღაზიები გახსნან კვირაობით, თუ ამგვარად შესაძლო შემზღუდავი მოქმედებები გაერთიანების შიდა ვაჭრობაზე ასეთი რეგულირების ჩვეული მოქმედების ფარგლებს არ სცილდება.

გაერთიანებული საქმეები: *Criminal proceedings against Bernard Keck and Daniel Mithouard*²³⁷.

საქმის ფაბულა: 1989 წელს საფრანგეთში არაერთ სავაჭრო ცენტრში გარკვეული პროდუქტი არამომგებიან ფასში გაიყიდა, ანუ ამ პროდუქციის ფასი რეალურ ფასზე დაბალი იყო. თუმცა ასეთ ფასებში მეორე ხელიდან გაყიდვა აკრძალული იყო ფრანგული კანონით. პროკურატურამ ამ სავაჭრო ცენტრების ხელმძღვანელების კეკისა და მიტუარის წინააღმდეგ აღძრა საქმე. ეროვნულმა სასამართლომ ევროპულ სასამართლოს მიმართა შეკითხვით, ასეთი აკრძალვა შეესაბამებოდა თუ არა ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულებით დადგენილ საქონლის, მომსახურების, კაპიტალის თავისუფლად გადაადგილებისა და თავისუფალი კონკურენციის შექმნის პრინციპებს და ეწინააღმდეგებოდა თუ არა მოქალაქეობის საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვას.

11. ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 30-ე მუხლის მიხედვით, წევრ სახელმწიფოებს შორის აკრძალულია რაოდენობრივი შეზღუდვები და ანალოგიური მოქმედების ნებისმიერი ღონისძიება. მუდმივი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, რაოდენობრივი შეზღუდვის ანალოგიური მოქმედების ღონისძიება ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც გამოდგება იმისათვის, რომ შეზღუდოს გაერთიანების შიდა ვაჭრობა პირდაპირ თუ არაპირდაპირ ფაქტობრივად თუ პოტენციურად.

12. ეროვნული სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ზოგადად კრძალავენ არამომგებიან ფასში მეორე ხელიდან გაყიდვას არ ისახავს მიზნად წევრ სახელმწიფოებს შორის საქონლის მოძრაობის რეგულირებას.

13. მართალია, ასეთ სამართლებრივ ნორმებს შეუძლიათ შეზღუდონ სხვა წევრი სახელმწიფოების პროდუქციის გასაღების მოცულობა იმდენად, რამდენადაც ისინი ეკონომიკურ სუბიექტებს ართმევენ გასაღების ხელშეწყობის მეთოდს. თუმცა საკითხავია, საკმარისია თუ არა ეს შესაძლებლობა იმისათვის, რომ სადავო სამართლებრივი ნორმები განხილულ იქნეს როგორც იმპორტზე რაოდენობრივი შეზღუდვების ანალოგიურად მოქმედი ღონისძიება.

14. რადგან ეკონომიკური სუბიექტები უფრო და უფრო ხშირად ეყრდნობიან ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 30-ე მუხლს, რათა ყოველი რეგულირება გაასაჩივრონ, რასაც მათ საქმიან თავისუფლებაზე ზეგავლენა აქვს, ევროპულ სასამართლოს აუცილებლად მიაჩნია, გადასინჯოს და ნათლად დაადგინოს ამ სფეროში თავისი პრაქტიკა.

²³⁷ Judgment of the Court of 24 November 1993; Criminal proceedings against Bernard Keck and Daniel Mithouard; References for a preliminary ruling: Tribunal de grande instance de Strasbourg – France; Free movement of goods – Prohibition of resale at a loss; Joined cases C-267/91 and C-268/91; European Court reports 1993 Page I-06097.

15. *Cassis de Dijon*-ის განაჩენის მიხედვით (1979 წლის 20 თებერვლის განაჩენი, საქმე 120/78, რევე-ცენტრალ (*Rewe-Zentral*), 1979 წლის კრებული, 649), 30-ე მუხლით აკრძალული ანალოგიურად მოქმედი ღონისძიებებია საქონლის თავისუფლად გადაადგილების ის დაბრკოლებები, რომლებიც წარმოიშობიან სამართლებრივი ნორმების ჰარმონიზების არარსებობის გამო და ადგენენ სხვა წევრ სახელმწიფოებში მართლზომიერად წარმოებული და მიმოქცევაში მართლზომიერად გაშვებული საქონლის მიმართ გარკვეულ ნორმებთან შესაბამისობის მოთხოვნებს (როგორებიცაა: მათი დასახელება, ფორმა, ზომა, წონა, შემადგენლობა, გახსნა, ეტიკეტირება და შეფუთვა), მაშინაც კი, როდესაც ეს ნორმები მოქმედებს განურჩევლად ყველა პროდუქციის მიმართ და თუ ამ ნორმების მოქმედება არ მართლდება მიზნით, რომელიც საყოველთაო ინტერესშია და საქონლის თავისუფლად მოქმედების მოთხოვნებზე მალლა დგას.

16. ამის სანინალმდეგოდ და დღემდე არსებული პრაქტიკის საპირისპიროდ, საქონლის გასაღების გარკვეული მოდალობების შემზღუდევი ან ამკრძალავი ეროვნული დებულებებიარ ზღუდავენ, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ფაქტობრივად თუ პოტენციურად, წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობას, დასონვილის განაჩენის მიხედვით (1974 წლის 11 ივლისის განაჩენი საქმეზე 8/74, 1973 წლის კრებული, 837), იმ შემთხვევაში, თუ ეს დებულებები მოქმედებენ ყველა შესაბამისი ეკონომიკური სუბიექტის მიმართ, რომლებიც საქმიანობენ სახელმწიფოში, და თუ ისინი შიდა პროდუქციის გასაღებას და სხვა წევრი სახელმწიფოების პროდუქციას სამართლებრივად და ფაქტობრივადც ერთნაირად შეეხებიან.

17. თუ, კერძოდ, ეს წინაპირობები შესრულებულია, მაშინ ამგვარი რეგულირებები არ კრძალავს და შიდა პროდუქციასთან შედარებით უფრო მეტად არ ზღუდავს სხვა წევრი სახელმწიფოს პროდუქციის გასაღებას, თუ ეს პროდუქცია ამ სახელმწიფოს მიერ დადგენილ დებულებებს შეესაბამება. ამდენად, ეს რეგულირებები არ ექცევიან ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 30-ე მუხლის მოქმედების სფეროში.

4. გამამართლებელი საფუძვლები

ა) ხელშეკრულებაში გათვალისწინებული გამამართლებელი საფუძვლები

საქმე *Régina v. Pierre Bouchereau*²³⁸:

თავის 1974 წლის 4 დეკემბრის განაჩენში (საქმე 41/74, *Van Duyn*, 1974 წლის კრებული, 1337, 1350) ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ საჯარო წესრიგის ცნება გაერთიანების სამართალში ვინაოდ უნდა იქნეს გაგებული, კერძოდ, როდესაც ის მუშახელის თავისუფლად გადაადგილების არსებითი პრინციპიდან გამონაკლისს ამართლებს; ამდენად, მისი მოცულობითობა ყოველი წევრი სახელმწიფოს მიერ ცალმხრივად გაერთიანების ორგანოების გადასინჯვის გარეშე არ შეიძლება განისაზღვროს. იმავე განაჩენში ასევე დადგინდა, რომ განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც შესაძლოა საჯარო წესრიგის ცნებაზე აპელირებას ამართლებენ, ქვეყნიდან ქვეყანაში და დროთა განმავლობაში განსხვავებული შეიძლება იყოს, ისე, რომ კომპეტენტურ შიდასახელმწიფო უწყებებს შეფასების არეალი ხელშეკრულებისა და მისი გამოყენებისათვის მიღებული ნორმებით დადგენილ საზღვრებში აქვთ. ეროვნული უწყების აპელირება საჯარო

²³⁸ Judgment of the Court of 27 October 1977; *Régina v Pierre Bouchereau*; Case 30-77; European Court reports 1977 Page 0199.

წესრიგის ცნებაზე, თუ მან გაერთიანების სამართალს დაქვემდებარებული პირების თავისუფლად გადაადგილების გარკვეული შეზღუდვები უნდა გაამართლოს, ყოველ შემთხვევაში განაპირობებს, რომ გარდა საჯარო წესრიგის დარღვევისა, რომელსაც ნებისმიერი კანონის დარღვევა იწვევს, ფაქტობრივი და საკმარისად მძიმე საფრთხე უნდა არსებობდეს, რომელიც საზოგადოების ძირითად ინტერესს შეეხება.

საქმე *Association des Centres distributeurs Édouard Leclerc and others v SARL "Au blé vert" and others*²³⁹:

29. ამასთან, უნდა ითქვას, რომ ისეთი ეროვნული რეგულირება, რომელიც მოვაჭრეს ავალდებულებს, საბოლოო გაყიდვისას გარკვეული ფასები შეინარჩუნოს და რომელიც იმპორტირებული პროდუქციის გასაღებას ზიანს აყენებს, მხოლოდ ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 36-ე მუხლში მითითებული საფუძვლებით შეიძლება გამართლდეს.

საქმე *Conegate Limited v. HM Customs & Excise*²⁴⁰:

საქმის ფაბულა: სამართლებრივი დავა შეეხებოდა გერმანიიდან გადმოგზავნილ საქონლის პარტიას, რომელიც დააყადაღეს გაერთიანებული სამეფოს საბაჟო სამსახურებმა. გადასინჯვისას დაადგინეს, რომ ეს საქონელი ძირითადად შედგებოდა გასაბერი თოჯინებისა და სხვა ნივთებისაგან, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად ეროტიკული ხასიათის იყო. მათ ეს საქონელი მიიჩნიეს „უზნეოდ და გამრყენელად“, საბაჟო კანონმდებლობის მიხედვით. საბაჟო სამმართველოს მოთხოვნით, სასამართლომ კონფისკაცია გაუკეთა ამ საქონელს. მომჩივანი ასაჩივრებდა, რომ ეს ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 30-ე მუხლის დარღვევა იყო, რომელიც საჯარო ზნეობის საფუძვლით არ მართლდებოდა, რადგან როგორც ევროპულმა სასამართლომ საქმეში 34/79 ჰენ და დერბი (*Henn and Derby*) აღნიშნა, იმპორტის აკრძალვა შეიძლება გამართლდეს საზოგადოებრივი ზნეობის საფუძვლებიდან გამომდინარე და რომ, ძირითადად, წვერი სახელმწიფოების საქმეა განსაზღვროს ეს ცნება, მაგრამ ასეთი აკრძალვა თვითნებური დისკრიმინაციაა 36-ე მუხლის მე-2 წინადადების მიხედვით, როდესაც შესაბამის წვერ სახელმწიფოში ანალოგიური საქონლით მართლზომიერი ვაჭრობა დაიშვება.

13. პირველი კითხვა წარმოშობს ზოგად პრობლემას, შეიძლება თუ არა გარკვეული საქონლის იმპორტის აკრძალვა საზოგადოებრივი ზნეობის საფუძვლებიდან გამომდინარე იქნეს გამართლებული, თუ ეს შესაბამისი წვერი სახელმწიფოს სამართალში ანალოგიური პროდუქციის წარმოებისა და მიმოქცევაში გაშვებისათვის ეროვნული საჯარო ტერიტორიის ფარგლებში არ იკრძალება.

14. ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 36-ე მუხლის თანახმად, გაერთიანების შიგნით საქონლის თავისუფლად მოძრაობის შესახებ დებულებები, სხვასთან ერთად, მაშინაც არ ეწინააღმდეგებიან იმპორტის აკრძალვას, როდესაც ეს აკრძალვა „საზოგადოებრივი ზნეობის საფუძვლებითაა“ გამართლებული. როგორც ევროპულმა სასამართლომ თავის 1979 წლის 14 დეკემბრის დასახელებულ განაჩენში გადაწყვიტა, ძირითადად ყოველი წვერი სახელმწიფოს საქმეა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ცნება თავის ტერიტორიაზე საკუთარი ღირებულებებითა და მის მიერ არჩეული ფორმით განსაზღვროს.

²³⁹ იხ. 233-ე სქოლიო.

²⁴⁰ Judgment of the Court (Fourth Chamber) of 11 March 1986; *Conegate Limited v HM Customs & Excise*; Case 121/85; European Court reports 1986 Page 01007.

15. მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანების სამართალი წევრ სახელმწიფოებს უფლებას აძლევს გარკვეული საგნების მიმართ გარყვნილებისა და უზნეობის კრიტერიუმები საკუთარი მასშტაბებით შეაფასოს, არ შეიძლება საქონლის გამომწვევი მოქმედება საკმარისად მძიმედ მიიჩნიო საქონლის თავისუფალი მოძრაობის შეზღუდვების გასამართლებლად, როცა იგივე წევრი სახელმწიფო ანალოგიური საქონლის მიმართ, რომელიც მის სუვერენულ ტერიტორიაზე ინარმოება და მიმოქცევაში გაიშვება, არ იღებს არანაირ სისხლისსამართლებრივ თუ სხვა სერიოზულ და ეფექტურ ღონისძიებებს მისი გასაღების თავიდან ასაცილებლად.

16. ამდენად, წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია დაეყრდნოს საზოგადოებრივი ზნეობის საფუძვლებს სხვა წევრი სახელმწიფოებიდან საქონლის იმპორტის აკრძალვის გასამართლებლად, როდესაც მისი სამართლით არანაირი აკრძალვა არ არსებობს მის ტერიტორიაზე ანალოგიური საქონლის წარმოებასა თუ მიმოქცევაში გაშვებაზე.

საქმე *Campus Oil Limited and others v. Minister for Industry and Energy and others*²⁴¹.

32. როგორც ევროპულმა სასამართლომ განმეორებით გადაწყვიტა (1979 წლის 12 ივლისის განაჩენი საქმეზე 153/78, კომისია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ, 1979 წლის კრებული, 2555 და იქ დასახელებული განაჩენები), ხელშეკრულების 36-ე მუხლი წევრი სახელმწიფოების განსაკუთრებული კომპეტენციის გარკვეულ სფეროებში შედის, უფრო მეტიც, ის საქონლის თავისუფლად გადაადგილების პრინციპიდან გამონაკლისებს შიდასახელმწიფოებრივი ნორმებით მხოლოდ იმდენად უშვებს, რამდენადაც ეს ამ მუხლში დასახელებული მიზნებითაა გამართლებული და ასეთად რჩება.

33. ამ თვალსაზრისიდან უნდა გადაისინჯოს, ფარავს თუ არა პირველ შეკითხვაში დასახელებულ საფუძვლებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების ცნება, რომელსაც ირლანდიის მთავრობა განსაკუთრებულად ეყრდნობა და რომელიც სხვაგვარადაა მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში, ვიდრე საზოგადოებრივი წესრიგის ცნება.

34. ამ თვალსაზრისით დადგენილია, რომ ნავთობპროდუქტები, მათი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, როგორც ენერჯის წყარო თანამედროვე ეკონომიკაში სახელმწიფოს არსებობისათვის არსებითია, რადგან არა მარტო მისი ეკონომიკის ფუნქციონირებაა მასზე დამოკიდებული, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ასევე მისი დაწესებულებებისა და მნიშვნელოვანი საჯარო სამსახურების ფუნქციონირება და თავად მოსახლეობის გადარჩენა. ნავთობპროდუქტებით მომარაგების შეწყვეტასა და ამით სახელმწიფოს არსებობისათვის საფრთხის შექმნას შეუძლია მძიმედ შელახოს საზოგადოებრივი უსაფრთხოება, რომლის დაცვასაც 36-ე მუხლი ითვალისწინებს.

35. მართალია, როგორც ეს ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ, ბოლოს კი თავის 1982 წლის 9 ივნისის განაჩენში საქმეზე 95/81 (კომისია იტალიის წინააღმდეგ, 1982 წლის კრებული, 2187) გადაწყვიტა, 36-ე მუხლი მიზნად ისახავს არაეკონომიკური სახის ინტერესების დაცვას. რადგან წევრ სახელმწიფოს არ შეიძლება უფლება მიეცეს, ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ნორმების მოქმედებას თავი აარიდოს ეკონომიკურ სირთულეებზე დაყრდნობით, რომლებიც გაერთიანების შიდა ვაჭრობის დაბრკოლებების აღმოფხვრით წარმოიქმნებიან. სახელმწიფოს არსებობისათვის იმ ფართო შედეგების გამო, რომლებიც შესაძლოა ჰქონდეს ნავთობპროდუქტებით მომარაგების შეწყვეტას, უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ ნავთობპროდუქტებით მინიმალური უზრუნველყოფის განზრახვა სცილდება წმინდა ეკონომიკური სახის მოსაზრებებს და ამით, შესაძლოა, ასახავდეს მიზანს, რომელიც საზოგადოებრივი უსაფრთხოების ცნების ქვეშ ექცევა.

²⁴¹ Judgment of the Court of 10 July 1984; *Campus Oil Limited and others v Minister for Industry and Energy and others*; Case 72/83; European Court reports 1984 Page 02727.

36. დასამატებელია, რომ 36-ე მუხლის გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, გამართლებულია თუ არა აღნიშნული რეგულირება ობიექტური, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მოთხოვნებისათვის საკმარისი გარემოებებით. როგორც კი ეს გამართლება არსებობს, მაშინ 36-ე მუხლის გამოყენებას არ გამოირიცხავს ფაქტი, რომ რეგულირება არა მხოლოდ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნებისათვის, არამედ ასევე სხვა წევრი სახელმწიფოს მიერ დასახული ეკონომიკური სახის მიზნებისათვისაც გამოდგება.

37. როგორც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა (შეადარეთ 1987 წლის 12 ოქტომბრის განაჩენის საქმეზე 12/78, *Eggers*, 1978 წლის კრებული, 1935, და 1983 წლის 22 მარტის განაჩენი საქმეზე 42/82, *კომისია საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1983 წლის კრებული, 1013) 36-ე მუხლი უნდა განიმარტოს როგორც ხელშეკრულების ძირითადი პრინციპიდან გამონაკლისი, რომ ის თავის მოქმედებებში არ უნდა სცილდებოდეს იმას, რაც მის მიერ გარანტირებული ინტერესების დაცვისათვისაა აუცილებელი; ამ მუხლის საფუძველზე მიღებულმა ღონისძიებებმა არ უნდა შექმნან დაბრკოლებები იმპორტზე, რომლებიც ამ მიზნებთან არათანაზომიერია. 36-ე მუხლის საფუძველზე მიღებული ღონისძიებები შესაძლებელია მხოლოდ მაშინ გამართლდეს, როდესაც ისინი გამოდგებიან ამ ხელშეკრულებით დაცული ინტერესებისათვის (...).

ბ) დაუნერგელი გამამართლებელი საფუძველები

საქმე *Rewe-Zentral AG v. Bundesmonopolverwaltung für Branntwein*²⁴²:

საქმის ფაბულა: სააქციო საზოგადოება „რევე ცენტრალეს“ (*Rewe Zentrale*), რომლის სათავე ოფისი იყო კელნში, შემოჭჭონდა 15-იდან 20%-ამდე ალკოჰოლური შემცველობის ლიქიორი „*Cassis de dijón*“-ი გერმანიაში. გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, ლიქიორი უნდა ყოფილიყო მხოლოდ 32%-იანი ალკოჰოლური შემცველობის, ამიტომ „*Cassis de dijón*“-ი ვერ გაიშვებოდა მიმოქცევაში. ეს აკრძალავს შეეხებოდა იმპორტულ და შიდა პროდუქციას განურჩევლად. ხოლო „რევე ცენტრალეს“ აზრით, ეს რეგულირება, ფაქტობრივად, გამოდევნიდა ბაზრიდან ფრანგულ სპირტიან სასმელებს, რადგან ტრადიციულად ფრანგული სასმელები დაბალპროცენტიანი იყო.

8. გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს გაერთიანების მიერ მიღებული დებულება ღვინის სპირტის წარმოებისა და მიმოქცევაში გაშვების შესახებ, (...), წევრი სახელმწიფოების საქმეა, მიიღონ ღვინის სპირტისა და ალკოჰოლური სასმელების წარმოებისა და მიმოქცევაში გაშვების შესახებ შესაბამისი ნორმები საკუთარ ტერიტორიაზე. გაერთიანების შიდა ვაჭრობაში დაბრკოლებები მისაღებია, თუ ეს დებულებები აუცილებელია სავალდებულო მოთხოვნების საფუძველებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით ისეთი მოთხოვნებისა, როგორებიცაა: ეფექტური საგადასახადო კონტროლი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა, სავაჭრო ურთიერთობის კეთილსინდისიერება და მომხმარებელთა დაცვა.

9. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ, რომელმაც ამ სასამართლო პროცესში განმარტებები გააკეთა, არაერთი საკითხი წამოიწია ალკოჰოლური სასმელების ალკოჰოლური შემადგენლობის შესახებ დებულებების გასამართლებლად, რომლებიც ეყრდნობიან, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას და, მეორე მხრივ, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან მომხმარებლის დაცვას.

²⁴² Judgment of the Court of 20 February 1979; *Rewe-Zentral AG v Bundesmonopolverwaltung für Branntwein*; Reference for a preliminary ruling: Hessisches Finanzgericht – Germany; Measures having an effect equivalent to quantitative restrictions; Case 120/78; European Court reports 1979 Page 00649.

10. რაც შეეხება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას, გერმანული მთავრობა აცხადებს, რომ ალკოჰოლური შემადგენლობის მინიმუმის დადგენამ ეროვნულ სამართალში ხელი უნდა შეუშალოს ეროვნული ბაზრის ასეთი ალკოჰოლური სასმელებით და, განსაკუთრებით, ასეთი ზომიერი ალკოჰოლური შემადგენლობის სასმელებით გადავსებას, რადგან ასეთმა პროდუქციამ შეიძლება უფრო ადვილად გამოიწვიოს შეჩვევა, ვიდრე მაღალი ალკოჰოლური შემადგენლობის სასმელებმა.

11. ასეთი მოსაზრებები არამყარია. რადგან მომხმარებელს ბაზარზე აქვს აურაცხელი შემოთავაზება განსხვავებული პროდუქციისა უფრო მცირე თუ საშუალო ალკოჰოლური შემადგენლობის და, გარდა ამისა, გერმანულ ბაზარზე თავისუფლად გასაღებული სასმელების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მაღალი ალკოჰოლური შემცველობისაა, როგორც წესი, გაზავებულად მოიხმარება.

12. გერმანიის მთავრობა აცხადებს, რომ გარკვეული ლიქიორების ალკოჰოლური შემადგენლობის მინიმუმის დადგენამ მომხმარებელი უნდა დაიცვას მწარმოებლისა თუ მოვაჭრეების არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან. ეს არგუმენტაცია ემყარება იმას, რომ გარკვეულ სასმელებში ალკოჰოლური შემადგენლობის შემცირება მათ მოუტანდა უპირატესობას უფრო მაღალი ალკოჰოლური შემცველობის სასმელებთან შედარებით, რადგან ღვინის სპირტი არის მასზე დაკისრებული მაღალი გადასახადის გამო სასმელის ყველაზე ძვირი შემადგენელი ნაწილი. თუ მოხდებოდა ისე, რომ დაუშვებდნენ თავისუფალ მიმოქცევას ისეთი ალკოჰოლური პროდუქციისას, რომელიც ალკოჰოლური შემადგენლობის თვალსაზრისით მხოლოდ წარმოშობის ქვეყნის რეგულირებას შეესაბამებოდა, მაშინ ეს გამოიწვევდა იმას, როგორც ამას გერმანიის მთავრობა ფიქრობს, რომ გაერთიანებაში საერთო სტანდარტად იქნებოდა ერთ რომელიმე წევრ სახელმწიფოში დაშვებული ყველაზე დაბალი ალკოჰოლური პროცენტულობის ღვინის სპირტი (...).

13. როგორც კომისიამ სწორად აღნიშნა, (...) არ შეიძლება ასე შორს წასვლა. არ შეიძლება, რომ ალკოჰოლური შემადგენლობის მინიმუმის დადგენა მივიჩნიოთ კეთილსინდისიერი სავაჭრო ურთიერთობის აუცილებელ არსებით გარანტიად, რადგან ყოველგვარი გართულებების გარეშე მყიდველისათვის შესაბამისად შეტყობინება შესაძლებელია იმით, რომ პროდუქციის შეფუთვაზე მიეთითოს მისი წარმოშობისა და ალკოჰოლური შემადგენლობის შესახებ მონაცემები.

14. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ალკოჰოლური სასმელების ალკოჰოლური შემადგენლობის მინიმუმის დადგენის შესახებ დებულებები არ ისახავენ ისეთ მიზანს, რომელიც უფრო მაღლაა, ვიდრე საქონლის თავისუფლად გადაადგილების საყოველთაო ინტერესი, რომელიც გაერთიანების საფუძველია. პრაქტიკულად ასეთი დებულებები, უპირველეს ყოვლისა, უპირატესობას ანიჭებენ მაღალი ალკოჰოლური შემადგენლობის სასმელებს, რითაც სხვა წევრი სახელმწიფოების პროდუქციას, რომლებიც ამ წინაპირობებს არ ასრულებენ, ეროვნული ბაზრიდან განდევნიან. ამდენად, ხელშეკრულების 30-ე მუხლთან შეუსაბამო სავაჭრო დაბრკოლებას ქმნის ის ფაქტი, რომ წევრი სახელმწიფო სამართლებრივი ნორმებით ცალმხრივად ადგენს საქონლის მიმოქცევაში გაშვების წინაპირობად ალკოჰოლური შემადგენლობის მინიმუმს.

საქმე *Eugen Schmidberger*²⁴³:

საქმის ფაბულა: ავსტრიის გარემოს დაცვის კავშირმა, ავსტრიული კანონმდებლობის შესაბამისად, განაცხადი გააკეთა ბრენერის ავტობანზე პარასკევს, 1998 წლის 12 ივნისის 11 საათიდან შაბათამდე – 13 ივნისის 16 საათამდე მანიფესტაციის გამართვის თაობაზე. ხუთშაბათი – 11 ივნისი დავსვენების დღე იყო, ხოლო შაბათსა და კვირას, ჩვეულებრივ, სატვირთო მანქანების მოძრაობის შეზღუდვა მოქმედებდა. გამომდინარე იქიდან, რომ შეკრების თავისუფლება კონსტიტუციითაა დაცული, ავსტრიის სამართალდამცავები ითმენდნენ ამ შეკრების განხორციელებას. ამასთან, ყველანაირად ცდილობდნენ (შემოვლითი გზების მითითებით, განსაკუთრებული მატარებლებით), შეემცივებინათ ბლოკადით გამოწვეული შეზღუდვები. მომჩივანმა, რომელიც ავსტრიიდან ჩრდილო იტალიაში რკინისა და ხის გადაზიდვებით იყო დაკავებული, გაასაჩივრა ავსტრიის სახელმწიფოს ქმედება, რომელმაც ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის თავისუფლად მოძრაობა.

64. (...) გარემოება, რომ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურმა უწყებებმა უარი არ განაცხადეს შეკრების განხორციელებაზე, რომელმაც ისეთი მნიშვნელოვანი საგზაო კავშირის 30-საათიანი შეწყვეტელი ბლოკადა გამოიწვია, როგორცაა ბრენერის ავტობანი, შესაძლოა ასახავდეს გაერთიანებაში საქონლის მოძრაობის შეზღუდვას (...) და განხილულ უნდა იქნეს ამდენად რაოდენობრივი შეზღუდვების ანალოგიურად მოქმედების ძიებად (...), რომელიც, ძირითადად, შეუთავსებელია გაერთიანების სამართლით, კერძოდ კი ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 30-ე და 34-ე მუხლებსა და მე-5 მუხლში გათვალისწინებულ ვალდებულებებთან, თუ უარის განუცხადებლობა შესაძლოა ობიექტურად გამართლდეს. (...)

65. მომმართველ სასამართლოს თავისი მე-4 შეკითხვით არსებითად სურს იცოდეს, შესაძლოა თუ არა, გაერთიანების ვალდებულება გადაფაროს საქონლის თავისუფლად მოძრაობის სფეროში 1998 წლის 12 და 13 ივნისის შეკრების მიზანმა. კერძოდ მიზანმა, რომ დემონსტრანტებმა მიუთითონ ბრენერის ავტობანის სატვირთო მანქანების მუდმივად მზარდი მოძრაობით გამოწვეულ საფრთხეზე, რომელიც ექმნება გარემოსა და ჯანმრთელობას და ამით აიძულონ კომპეტენტური უწყებები, გაამკაცრონ მოძრაობის მოსაწესრიგებელი ზომები და შეამცირონ ეკოლოგიურად მალალი მგრძნობელობის ალპების რეგიონში ასეთი მოძრაობით გამოწვეული გარემოს დაბინძურება. (...)

67. იმისათვის, რომ წევრი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის წინაპირობები და, განსაკუთრებით, ამ წევრი სახელმწიფოს მიერ გაერთიანების სამართლის დარღვევის საკითხი შეფასდეს (...), განხილულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ წევრი სახელმწიფოს მოქმედება თუ უმოქმედობა.

68. აქ, ამდენად, გასათვალისწინებელია მხოლოდ მიზანი, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ეროვნული დაწესებულებები მაშინ, როდესაც მათ მდუმარედ მისცეს თანხმობა, ანუ უარი არ განუცხადეს ამ შეკრების განხორციელებაზე.

69. ამასთან, სასამართლო აქტებიდან გამომდინარეობს, რომ ავსტრიული უწყებები აზრის გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების მოსაზრებებით ხელმძღვანელობდნენ, რაც ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასა და ავსტრიის კონსტიტუციაშია ასახული და გარანტირებული. (...)

²⁴³ Judgment of the Court of 12 June 2003; Eugen Schmidberger, Internationale Transporte und Planzüge and Republik Österreich; Case C-112/00.

71. ამდენად, უნდა გავიხსენოთ, რომ მუდმივი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ძირითადი უფლებები განეკუთვნებიან საყოველთაო სამართლებრივ პრინციპებს, რომელთა დაცვასაც ევროპული სასამართლო უზრუნველყოფს. ამასთან, ევროპული სასამართლო ეყრდნობა წევრი სახელმწიფოების საერთო საკონსტიტუციო ტრადიციებს და ასევე მითითებებს, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებებიდან გამომდინარეობენ და რომელთა დადებაში წევრი სახელმწიფოები მონაწილეობდნენ, ან რომლებსაც ისინი შემდგომ მიუერთდნენ. ამავე დროს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ევროპულ კონვენციას აქვს (...).

72. ამ სასამართლო პრაქტიკაში გამომუშავებული პრინციპები ხელახლა დადასტურებულია ერთიანი ევროპული აქტების პრეამბულასა და ევროპული კავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-2 აბზაცში. (...)

73. აქედან გამომდინარეობს, რომ გაერთიანებაში არ იქნება არც ერთი ღონისძიება აღიარებული სამართლებრივად, რომელიც შეუსაბამო იქნება ადამიანის უფლებების ამგვარად აღიარებულ და გარანტირებულ დაცვასთან. (...)

74. გამომდინარე იქიდან, რომ ამის მიხედვით, ძირითად უფლებებს როგორც გაერთიანებამ, ისე წევრმა სახელმწიფოებმა უნდა სცენ პატივი. ამ უფლებების დაცვა სამართლიანი ინტერესია, რომლითაც ძირითადად შესაძლებელია გაერთიანების სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებების შეზღუდვის გამართლება და ასევე ხელშეკრულებით გარანტირებული ისეთი ძირითადი თავისუფლების შეზღუდვის გამართლება, როგორცაა საქონლის თავისუფლად გადაადგილება. (...)

78. ამასთან, ერთი მხრივ, უნდა დადგინდეს, რომ საქონლის თავისუფლად გადაადგილება, მართალია, ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების სისტემის ძირითად პრინციპს ასახავს, მაგრამ ის გარკვეული წინაპირობების არსებობისას შეიძლება შეიზღუდოს ამ ხელშეკრულების 36-ე მუხლში ჩამოთვლილი საფუძვლების **ან საყოველთაო ინტერესების სავალდებულო მოთხოვნებიდან გამომდინარე**, როგორც ამას ევროპული სასამართლო თავისი მუდმივი პრაქტიკის მიხედვით 120/78 საქმეზე (*Rewe-Zentral, „Cassis de Dijon“*, 1979 წლის კრებული, 649) 1979 წლის 20 თებერვალს დადგენილი განაჩენიდან მოყოლებული აღიარებს.

79. მეორე მხრივ, ძირითადი უფლებები, რომელსაც სასამართლო პროცესი შეეხება, მართალია, ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციითაა აღიარებული და დემოკრატიული საზოგადოების არსებით საფუძვლებად გვევლინებიან, თუმცა, როგორც ეს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 აბზაცისა და მე-11 მუხლის შინაარსიდან ნათლად გამომდინარეობს, აზრის გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება შესაძლებელია დაექვემდებაროს შეზღუდვებს. ასეთი შეზღუდვები უნდა იყოს გამართლებული საყოველთაო ინტერესიდან გამომდინარე მიზნებით და გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით. ეს შეზღუდვები უნდა ისახავდნენ ამ მუხლების ერთი ან რამდენიმე დებულებით გათვალისწინებულ გამამართლებელ მიზანს და საჭირო უნდა იყოს დემოკრატიული საზოგადოებისათვის, ესე იგი, შეზღუდვები გამართლებული უნდა იყოს სავალდებულო საზოგადოებრივი მოთხოვნილებებით და, განსაკუთრებით, თანაზომიერი უნდა იყოს დასახული მიზნისა (შეადარეთ ამ თვალსაზრისით 1997 წლის 26 ივნისის განაჩენი (საქმე C-368/95, *Familiapress*, 1997 წლის კრებული, I-3689, 26-ე პუნქტი) (...)

80. ამგვარად, აზრის გამოხატვისა და მშვიდობიანად შეკრების თავისუფლება, რომლებიც გარანტირებულია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპული კონვენციით, (...) შეუძლებელია მოქმედებდეს შეზღუდვად, აუცილებელია მათი დანახვა მათივე საზოგადოებრივი ფუნქციიდან გამომდინარე. შედეგად, ამ უფლებების განხორციელება შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს, თუ ეს შეზღუდვები, ფაქტობრივად, გაერთიანების კეთილდღეობის მიზნებს შეესაბამებინ და არ ერევიან დასახულ მიზნებში გაუმართლებლად, რომელიც ამგვარად დაცული უფლებების არსს შეეხება (...)

81. შესაბამისად, უნდა შეფასდეს არსებული ინტერესები და ყოველი კონკრეტული შემთხვევის გარემოებათა მთელი რიგის გათვალისწინებით უნდა დადგინდეს, არის თუ არა დაცული ბალანსი ამ ინტერესებს შორის.

82. ამ თვალსაზრისით, კომპეტენტური უწყებები ფლობენ მოქმედების ფართო სპექტრს, თუმცა გადასასინჯია, თანაზომიერია თუ არა გაერთიანების შიდა ვაჭრობაზე დადგენილი შეზღუდვები სამართლიან მიზანთან, რომლითაც ისინი ხელმძღვანელობენ, ამ შემთხვევაში, ძირითადი უფლებების დაცვასთან.

83. ამ სასამართლო პროცესში იმაზე უნდა მიეთითოს, რომ მისი მახასიათებელი გარემოებები ერთმნიშვნელოვნად განსხვავდება იმ საქმეში არსებული გარემოებებიდან, რამაც საქმეში – *კომისია საფრანგეთის წინააღმდეგ* – დადგენილ განაჩენამდე მიგვიყვანა და რომელიც მომჩივანმა ავსტრიაში წაყენებულ თავის საჩივარში როგორც პრეცედენტული შემთხვევა ისე გამოიყენა.

84. ფაქტების საპირისპიროდ, რომლებზეც ევროპულმა სასამართლომ *კომისია საფრანგეთის წინააღმდეგ* საქმის განაჩენში 38-ე პუნქტიდან 53-ე პუნქტამდე იმსჯელა, ჯერ ერთი, უნდა დადგინდეს, რომ ამ პროცესში სადავო შეკრება ჩატარდა მას შემდეგ, რაც ეროვნული სამართლით გასაცემ ნებართვაზე განაცხადი იქნა წარდგენილი და კომპეტენტურმა დანესებულებებმა უარი განაცხადეს.

85. მეორეც, ბრენერის ავტობანზე დემონსტრანტების ყოფნამ საგზაო მოძრაობა ერთ მონაკვეთზე ერთხელ დაახლოებით 30 საათის განმავლობაში შეაჩერა. გარდა ამისა, გეოგრაფიული სივრცისა და უნესრიგობების სიმძიმის თვალსაზრისით, ამ შეკრებით საქონლის თავისუფალი გადაადგილება უფრო ნაკლებად შეიზღუდა, ვიდრე *კომისია საფრანგეთის წინააღმდეგ* საქმეში.

86. მესამე, უდავოა, რომ აქ საქმე შეეხებოდა შეკრებას, რომლითაც მოქალაქეები თავის ძირითად უფლებებს ახორციელებდნენ და რომლის დროსაც ისინი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მნიშვნელოვნად მიჩნეულ აზრს გამოხატავდნენ; გარდა ამისა, დადგენილია, რომ ეს საჯარო დემონსტრაცია მიზნად არ ისახავდა გარკვეული სახისა თუ წარმოშობის საქონლით ვაჭრობის შეზღუდვას. ამის საპირისპიროდ, საქმეში – *კომისია საფრანგეთის წინააღმდეგ* – დემონსტრანტები ერთმნიშვნელოვნად ისახავდნენ მიზნად, შეეჩერებინათ საფრანგეთის რესპუბლიკის გარდა სხვა წევრი სახელმწიფოების გარკვეული პროდუქციის მოძრაობა, როდესაც ისინი არა მარტო აბრკოლებდნენ სადავო პროდუქციის ტრანსპორტირებას არამედ ანადგურებდნენ მათ საფრანგეთში და საფრანგეთის გავლით ტრანსპორტირებისას და ასევე მაშინ, როდესაც ამ პროდუქციას უკვე ამ წევრი სახელმწიფოს მალაზიებში აწყობდნენ.

87. მეოთხე, უნდა დადგინდეს, რომ კომპეტენტური დანესებულებები ამ შემთხვევაში სხვადასხვა ჩარჩო და თანმდევ ღონისძიებებს ატარებდნენ, რათა საგზაო მოძრაობის შეფერხება შეძლებისდაგვარად შეემცირებინათ. ამდენად, ისინი განსაკუთრებით

პოლიციის ძალებთან, დემონსტრაციის ორგანიზატორებისა და სხვა საავტომობილო კლუბებთან ერთად ესწრაფოდნენ, უზრუნველყოთ შეკრების წესრიგის ფარგლებში მიმდინარეობა. ამ თარიღამდე ბევრად უფრო ადრე ფართო საინფორმაციო კამპანია გაიმართა მედიისა და საავტომობილო კლუბების მეშვეობით ავსტრიასა და მოსაზღვრე ქვეყნებში და შეთავაზებულ იქნა განსხვავებული შემოვლითი გზები, ისე, რომ შესაბამისი ეკონომიკური სუბიექტები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი შეკრების დადგენილი ადგილისა და დროის განმავლობაში მოძრაობის შეზღუდვის შესახებ და დროულად შეეძლოთ ემოქმედათ, რომ ამ შეზღუდვებს მომზადებული შეხვედროდნენ. ამასთან, შეკრების ადგილას შექმნილი იყო მომწესრიგებელი სამსახური.

88. გარდა ამისა, ნათელია, რომ ეს ცალკეული ქმედება, რომელზეც აქაა საუბარი, არ ქმნის საფრთხის შეგრძნების ზოგად ატმოსფეროს საზოგადოებრივი წესრიგის მძიმე და განმეორებით იმ დარღვევების საპირისპიროდ, რომლებიც აღინიშნა საქმეში – კომისია საფრანგეთის წინააღმდეგ, რასაც საერთო სავაჭრო ნაკადზე თავისთავად უარყოფითად შეიძლება ემოქმედა.

89. საბოლოოდ, უნდა გავითვალისწინოთ, (...) ეროვნულ უწყებებს შეეძლოთ ევარაუდათ, რომ ისეთ გარემოებებში, როგორც ეს ამ სასამართლო პროცესშია წარმოდგენილი, შეკრების აკრძალვა შესაძლოა დემონსტრანტების საჯაროდ მშვიდობიანად შეკრებისა და აზრის გამოხატვის ძირითად უფლებაში ჩარევა ყოფილიყო.

90. სადავო შეკრების ადგილის, მაგალითად, ბრენერის ავტობანის გვერდით, ასევე მისი ხანგრძლივობის — მხოლოდ რამდენიმე საათით — მკაცრი შეზღუდვები შესაძლოა აღქმული ყოფილიყო როგორც გადაჭარბებული შეზღუდვა, რომელსაც ამ აქციის ზეგავლენისათვის არსის დაკარგვა შეეძლო. მართალია, კომპეტენტური ეროვნული დანესებულებები უნდა ესწრაფოდნენ, რომ საზოგადოებრივ გზებზე დემონსტრაციებს ნაკლები ზეგავლენა ჰქონდეს მოძრაობის თავისუფლებაზე, თუმცა მათ ეს ინტერესი უნდა განიხილონ დემონსტრანტების ინტერესთან მიმართებით. დემონსტრანტების ინტერესი ამ შემთხვევაში მათი აქციის მიზნებზე საზოგადოებრივი ყურადღების გამახვილებაა.

91. მართალია, ჩვეულებრივ, ასეთ აქციას მასში არამონაწილე პირებისთვის გარკვეული ზიანი მოაქვს, რაც განსაკუთრებით მათი მოძრაობის თავისუფლების შეზღუდვით გამოიხატება, მაგრამ, ძირითადად, ეს აქცია მისაღები უნდა იყოს იმდენად, რამდენადაც მის არსებით მიზანს აზრის მართლზომიერად საჯაროდ გამოხატვა შეადგენს.

92. მომწივანმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე განაცხადა, რომ ნებისმიერ სხვა გადაწყვეტილებას შეეძლო, რთულად კონტროლირებადი რეაქციების საფრთხე წარმოეშვა, რომელსაც შესაძლოა შეექმნა უფრო მეტად მძიმე დაბრკოლებები გაერთიანების შიდა ვაჭრობისათვის და საზოგადოებრივი წესრიგისათვის. მაგალითად, ასეთი დაბრკოლებები შეიძლებოდა გამოხატულიყო „არაკონტროლირებადი“ დემონსტრაციებით, ამ საპროტესტო მოძრაობის მომხრეებსა და მონიხაღმდეგეებს შორის შეტაკებებით ან დემონსტრანტების ძალადობრივი ქმედებებით, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ საკუთარი ძირითადი თავისუფლებების განხორციელებას ეშლებოდა ხელი.

93. ამდენად, ეროვნულ დანესებულებებს, მიუხედავად გადაწყვეტილების იმ ფართო სპექტრისა, რომელიც მათ ამ საკითხში ჰქონდათ, შეეძლოთ გონივრულად ევარაუდათ, რომ შეკრების ლეგიტიმური მიზანი ამ შემთხვევაში არ შეიძლებოდა მიღწეული ყოფილიყო ისეთი ღონისძიებით, რომელიც გაერთიანების შიდა ვაჭრობას უფრო ნაკლებად შეზღუდავდა.

94. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირველ და მეოთხე შეკითხვებს პასუხი უნდა გაცეს, რომ ნევრი სახელმწიფოების კომპეტენტურ უწყებებს არ დაურღვევიათ ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 30-ე და 34-ე მუხლები მე-5 მუხლთან კავშირში, როდესაც საქმის გარემოებების გათვალისწინებით შეკრების ჩატარებაზე უარი არ განუცხადებიათ.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სავალდებულო მოთხოვნებით გარკვეული შეზღუდვების გამართლება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ეს შეზღუდვები არადისკრიმინაციულია და მოქმედებენ განურჩევლად.

საქმე *Commission v. Ireland*²⁴⁴:

10. როგორც ეს ევროპულმა სასამართლომ განმეორებით დაადგინა (1979 წლის 20 თებერვლის განაჩენი საქმეზე 120/78, *Rewe-Zentrale*, 1979 წლის კრებული, 649; 1980 წლის 16 ივლისის განაჩენი საქმეზე 788/79, *Gilli*, 1980 წლის კრებული, 2071; 1981 წლის 19 თებერვლის განაჩენი საქმეზე 130/80, *Kelderman*, 1981 წლის კრებული, 527), რომელიმე პროდუქციის წარმოებასა და მიმოქცევაში გაშვების შესახებ გაერთიანების რეგულირების არარსებობისას ნევრი სახელმწიფოების საქმეა, თავის სუვერენულ ტერიტორიაზე მიიღოს ამ პროდუქციის წარმოება-გასაღებასა და მოხმარებასთან დაკავშირებული ნორმები, თუმცა იმ პირობით, რომ ეს ნორმები გაერთიანების შიდა ვაჭრობას არ დააბრკოლებენ; **ეროვნული რეგულირება, რომელიც შიდა და იმპორტულ პროდუქციაზე განურჩევლად მოქმედებს, 30-ე მუხლის მოთხოვნებისაგან მხოლოდ მაშინ შეიძლება განსხვავდებოდეს, როდესაც გამართლებულია სავალდებულო მოთხოვნებით, განსაკუთრებით კი, სავაჭრო ურთიერთობის კეთილსინდისიერებისა და მომხმარებელთა დაცვის უზრუნველსაყოფად.**

11. ამ შემთხვევაში ეს შეეხება არა ისეთ რეგულირებას, რომელიც შიდა და იმპორტირებულ პროდუქციაზე განურჩევლად მოქმედებს, არამედ საქმე გვაქვს ნორმების კომპლექსთან, რომელიც **მხოლოდ იმპორტულ პროდუქციას შეეხება და, ამდენად, დისკრიმინირებადი ხასიათი აქვთ. ამ საფუძვლიდან გამომდინარე, ზემოთ დასახელებული პრაქტიკა, რომელიც მხოლოდ ისეთ სამართლებრივ ნორმებს ეყრდნობა, რომლებიც შიდა და შემოტანილი პროდუქციის მიმოქცევაში გაშვებას ერთნაირად არეგულირებს, ამ კონკრეტული სადავო ღონისძიებების მიმართ არ გამოიყენება.**

აქვე აღსანიშნავია თანაზომიერების/პროპორციულობის პრინციპი, რომელიც ევროკავშირის სამართალში ნებისმიერი შეზღუდვის დროს გამოიყენება.

საქმე *Walter Rau Lebensmittelwerke v. De Smedt PVBA*²⁴⁵:

12. როგორც ევროპულმა სასამართლომ 1979 წლის 20 თებერვლის განაჩენში საქმეზე 120/78 (*Rewe-Zentral*, (...)) და შემდგომ განმეორებით დაადგინა, შესაბამისი პროდუქციის მიმოქცევაში გაშვების შესახებ გაერთიანების რეგულირების არარსებობისას შესაძლოა არსებობდეს გაერთიანების თავისუფალი შიდა ვაჭრობის ისეთი დაბრკოლებები, რომლებიც განსხვავებული ეროვნული რეგულირებებიდან გამომდინარეობს. ამ შემთხვევაში ასეთი ეროვნული რეგულირებები შიდა და შემოტანილი პროდუქციაზე განურჩევლად უნდა მოქმედებდნენ, და მათი გამართლება შესაძლებელი უნდა იყოს სავალდებულო

²⁴⁴ Judgment of the Court of 17 June 1981; Commission of the European Communities v Ireland; Case 113/80; European Court reports 1981 Page 01625.

²⁴⁵ Judgment of the Court of 10 November 1982; Walter Rau Lebensmittelwerke v De Smedt PVBA; Case 261/81; European Court reports 1982 Page 03961.

მოთხოვნებით, მათ შორის, მომხმარებელთა დაცვის სავალდებულო მოთხოვნებითაც. ეს რეგულირება კი, უპირველეს ყოვლისა, დასახული მიზნის თანაზომიერი უნდა იყოს. თუ წევრ სახელმწიფოს შეუძლია ერთი მიზნის მისაღწევად განსხვავებულ გამოსადეგ მეთოდებს შორის გააკეთოს არჩევანი, მაშინ მან უნდა აირჩიოს ისეთი მეთოდი, რომელიც საქონლის თავისუფალ გადაადგილებას ყველაზე უფრო ნაკლებად შეზღუდავს. (...)

17. (...) არ არის სადავო ისეთი ცვლილება, რომელიც მიზნად ისახავს მომხმარებლის დაცვას იმ თვალსაზრისით, რომ მათ კარგად განასხვავონ ერთმანეთისაგან კარაქი და მარგარინი. მაგრამ თუ წევრი სახელმწიფო ისეთ სამართლებრივ ნორმებს განსაზღვრავს, რომლებითაც სხვა წევრ სახელმწიფოში მართლზომიერად წარმოებული და მიმოქცევაში გაშვებული მარგარინისათვის სავალდებულო შეფუთვის მხოლოდ გარკვეულ ფორმას, მაგალითად კუბიკის, დაადგენს და შეფუთვის ყველანაირ სხვა ფორმას აკრძალავს, მაშინ ის ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელზე შორს მიდის. მომხმარებლის დაცვის ეფექტურად უზრუნველყოფა შესაძლებელია ასევე სხვა ისეთი ღონისძიებებითაც, როგორცაა, მაგალითად, ეტიკეტირების ნორმები, რომლებიც საქონლის თავისუფლად მოძრაობას უფრო ნაკლებად შეზღუდავს.

საქმე *Commission v. Germany*²⁴⁶:

26. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა შეეცადა, თავისი რეგულირება ჯერ ჯანმრთელობის დაცვის მიზეზებით გაემართლებინა. მისი აზრით, ლუდის სხვაგვარი შემადგენლობის დაშვება, ვიდრე ეს ლუდის გადასახადის შესახებ კანონის მე-9 პარაგრაფითაა გათვალისწინებული, გამოიწვევდა დამატებითი ნივთიერებების შერევას. თუმცა ზეპირ განხილვაზე ფედერალურმა მთავრობამ აღიარა, რომ ამავე კანონის მე-10 პარაგრაფი, რომელიც დასახელების რეგულირებით შემოიფარგლება, მხოლოდ მომხმარებლის დაცვას ემსახურება. ამ რეგულირებას უკავშირებდნენ ისინი სასმელის „ლუდით“ დასახელებას, რომელიც წარმოებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ ამ კანონის მე-9 პარაგრაფში მითითებული ნივთიერებებისაგან. ამასთან, თავიდან უნდა აცილებულიყო მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა პროდუქციის სახეობასთან დაკავშირებით. (დებულება) წარმოშობდა მოლოდინს, რომ გარკვეული სასმელი „ლუდის“ სახელწოდებით შესაბამისი იქნებოდა (გერმანიის კანონმდებლობით გათვალისწინებულ) ლუდის წარმოების მოთხოვნებთან (ლუდის სინმინდის მოთხოვნასთან), მაშინ, როდესაც სინამდვილეში ეს ასე არ იქნებოდა. ფედერალური მთავრობა არ ეთანხმება იმას, რომ რეგულირება პროტექციონისტულ მიზნებს ემსახურება. ის ამის გასაბათილებლად აღნიშნავს, რომ ნივთიერებები, რომელთა გამოყენებასაც ლუდზე გადასახადის შესახებ კანონის მე-9 პარაგრაფის პირველი და მე-2 აბზაცები ითვალისწინებს, არ არის აუცილებლად შიდასახელმწიფოებრივი წარმოშობის და რომ დასახელების – „ლუდი“ – გამოყენების უფლება აქვს ყველა ეკონომიკურ სუბიექტს, რომლებიც მიმოქცევაში უშვებენ პროდუქციას და ეს პროდუქცია აღნიშნულ ნორმებთან შესაბამისადაა წარმოებული; ამ ნორმებით დადგენილი მოთხოვნების თავისუფლად შესრულება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზღვრებს გარეთაცაა შესაძლებელი.

27. ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 30-ე მუხლით რაოდენობრივი შეზღუდვების ანალოგიურად მოქმედი ღონისძიებების აკრძალვა, ევროპული სასამართლოს მუდმივი პრაქტიკის მიხედვით (შეადარეთ, უპირველესად, 1974 წლის 11 ივლისის განაჩენი საქმეზე 8/74, *Dassonville*, 1974 წლის კრებული, 837) მოიცავს „წევრი სახელმწიფოების ნებისმიერ სავაჭრო რეგულირებას, რომელმაც შესა-

²⁴⁶ Judgment of the Court of 12 March 1987; Commission of the European Communities v Federal Republic of Germany; Case 178/84; European Court reports 1987 Page 01227.

ძლოა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ფაქტობრივად თუ პოტენციურად დააბრკოლოს გაერთიანების შიდა ვაჭრობა“.

28. გარდა ამისა, ევროპულმა სასამართლომ თავის მუდმივ პრაქტიკაში (სხვასთან ერთად, 1979 წლის 20 თებერვლის განაჩენში საქმეზე 120/78 (*Rewe (Cassis de Dijon)*), 1979 წლის კრებული, 649, და 1982 წლის 10 ნოემბრის განაჩენი საქმისა 261/81, *Rau*, 1982 წლის კრებული, 3961) აღნიშნა: „...აღნიშნული პროდუქციის მიმოქცევაში გაშვების შესახებ გაერთიანების რეგულირების არარსებობის გამო გაერთიანების შიდა თავისუფალი ვაჭრობის დაბრკოლებები, რომლებიც ეროვნულ რეგულირებებს შორის არსებული განსხვავებებიდან გამომდინარეობენ, შეიძლება არსებობდნენ, თუ ასეთი ეროვნული რეგულირება შიდა და შემოტანილ პროდუქციაზე განურჩევლად მოქმედებს, და თუ ის გამართლებულია სავალდებულო მოთხოვნების აუცილებლობით, მათ შორის მომხმარებელთა დასაცავად. რეგულირება, უპირველესად, თანაზომიერი უნდა იყოს დასახული მიზნისა. თუ წევრ სახელმწიფოს შეუძლია ერთი და იმავე მიზნის მისაღწევად განსხვავებულ მეთოდებს შორის გააკეთოს არჩევანი, მაშინ მან ის მეთოდი უნდა აირჩიოს, რომელიც საქონლის თავისუფლად მოძრაობისათვის ყველაზე ნაკლებ შემზღვეველი იქნება“.

29. უდავოა, რომ ლუდზე გადასახადის შესახებ კანონის მე-10 პარაგრაფის გამოყენება სხვა წევრი სახელმწიფოების ლუდზე, რომლის წარმოების პროცესში სხვა ნივთიერებები გამოიყენება, განსაკუთრებით კი სიმინდი ან ხორბალი, და არა ქერის ალაო, დააბრკოლებს ასეთი ლუდის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შემოტანას.

30. ამდენად, გადასამონმებელია, შესაძლებელია თუ არა, ამ ნორმის გამოყენება მომხმარებელთა დაცვის თვალსაზრისით არსებული სავალდებულო მოთხოვნებით იქნეს გამართლებული.

31. ამდენად, ფედერაციული რესპუბლიკის მოსაზრება, რომ ამ კანონის მე-10 პარაგრაფი გერმანელი მომხმარებლის დაცვისათვის აუცილებელია იმიტომ, რომ მათ წარმოდგენაში ლუდის დასახელება მხოლოდ ამ კანონის მე-9 პარაგრაფში გათვალისწინებული ნივთიერებებისაგან შეიძლება იწარმოოს, არ უნდა იქნეს გაზიარებული.

32. პირველ რიგში, მომხმარებელთა წარმოდგენები, რომლებიც წევრი სახელმწიფოების მიხედვით განსხვავებული შეიძლება იყოს, შეიძლება, დროთა განმავლობაში ერთსა და იმავე წევრ სახელმწიფოშიც კიდევ უფრო განვითარდნენ. საერთო ბაზრის დამკვიდრება ერთ-ერთი არსებითი ფაქტორია იმისათვის, რომ წვლილი შეიტანოს ასეთ განვითარებაში. მაშინ, როდესაც მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანისაგან დასაცავად რეგულირება უშვებს ასეთ განვითარებას, კანონის მე-10 პარაგრაფით გათვალისწინებული რეგულირებით ის იზღუდება. როგორც ევროპულმა სასამართლომ სხვა კონტექსტში აღნიშნა (1980 წლის 27 თებერვლის განაჩენი საქმეზე 170/78, *კომისია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1980 წლის კრებული, 417), არ შეიძლება წევრი სახელმწიფოს სამართალი „იმას ემსახუროდეს, რომ მომხმარებელთა არსებული ჩვეულებები გაყინოს, რათა შიდა ინდუსტრიამ, რომელიც ზრუნავს მათ დაკმაყოფილებაზე, არსებული უპირატესობა შეინარჩუნოს“.

33. მეორე, გაერთიანების სხვა წევრ სახელმწიფოებში „ლუდის“ დასახელების შესაბამისი დასახელებები არის ქერის ალაოს დუღილის შედეგად მიღებული სასმელი, ამასთან, შეიძლება იყოს ეს მხოლოდ ქერის ალაოს ან სიმინდთან თუ ხორბალთან ერთად დუღილის შედეგად მიღებული სასმელი. ანალოგიური მოქმედებს ასევე გაერთიანების სამართლისათვის, როგორც ეს საერთო საბაჟო სატარიფო ნომრიდან – 22.03 – გამომდინარეობს. თავად გერმანელმა კანონმდებელმაც ლუდზე გადასახადის შესახებ კანონის

მე-9 პარაგრაფის მე-7 და მე-8 აბზაცებში დასახელება „ლუდი“ იმ სასმელებზეც გამოიყენა, რომელიც ამ კანონის მე-9 პარაგრაფის პირველი და მე-2 აბზაცებით გათვალისწინებულ საწარმოო ნორმებს არ შეესაბამებოდა.

34. გერმანული დასახელება „ლუდი“ და გაერთიანების სხვა წევრი სახელმწიფოების ენების შესაბამისი დასახელებები არ შეიძლება მხოლოდ ისეთ ლუდს გულისხმობდეს, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოქმედი ნორმებით არის წარმოებული.

35. უპირველესად დაშვებულია, რომ მომხმარებელს, რომელიც გარკვეული ინგრედიენტებით წარმოებულ ლუდს განსაკუთრებულ თვისებებს ანიჭებს, მისცენ შესაძლებლობა, გააკეთოს არჩევანი ამ თვალსაზრისით. თუმცა, როგორც ევროპულმა სასამართლომ უკვე გადაწყვიტა (1981 წლის 9 დეკემბრის განაჩენი საქმისა – 193/80, *კომისია იტალიის წინააღმდეგ*, 1981 წლის კრებული, 3019), ეს შესაძლოა მოხერხდეს ასევე ისეთი საშუალებებით, რომლებიც სხვა წევრ სახელმწიფოებში მართლზომიერად წარმოებულ და მიმოქცევაში მართლზომიერად გაშვებული პროდუქციის შემოტანას არ ზღუდავს. ეს შესაძლებელია, „განსაკუთრებით, გასაღებული პროდუქციის სახეობის შესაბამისი ეტიკეტირების ვალდებულებით“. ლუდის წარმოების პროცესში გამოყენებული ნივთიერებების მითითებით „მომხმარებელს შეეძლება, ყველა გარემოების გაცნობის შემდეგ გააკეთოს არჩევანი; ასევე სავაჭრო საქმიანობისა და მომხმარებელთათვის შეთავაზების გამჭვირვალობა იქნებოდა (...) უზრუნველყოფილი“. ამას უნდა დაემატოს ის, რომ დასახელების ამგვარი რეგულირება არ უნდა იწვევდეს იმ ლუდის ნეგატიურად შეფასებას, რომელიც არ შეესაბამება ლუდზე გადასახადის შესახებ კანონის მე-9 პარაგრაფის მოთხოვნებს.

36. ფედერალური მთავრობის მიერ გამოთქმული მოსაზრების საპირისპიროდ დასახელების ასეთი რეგულირება პრაქტიკულია ასევე ისეთ პროდუქციაზე, როგორცაა ლუდი, რომელიც მომხმარებელზე არა ბოთლებით ან სხვა ჭურჭლით გაიცემა და რომლებიც შესაძლებელია შეიცავდნენ სათანადო მონაცემებს. ეს კვლავ დასტურდება თავად გერმანული რეგულირებით. ლუდზე გადასახადის შესახებ კანონის გარდამავალი დებულებების მე-2 პარაგრაფის პირველი და მე-2 აბზაცები შეიცავს მომხმარებლისათვის ასევე ისეთი ლუდის შემადგენლობის გაცნობის რეგულირებას, რომელიც ბარიდან ჩამოისხმება. აუცილებელი მონაცემები დატანებულ უნდა იქნეს კათხებზე (...).

37. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 30-ე მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებები დაარღვია, როდესაც მან მართლზომიერად წარმოებულ და მიმოქცევაში მართლზომიერად გაშვებულ იმპორტირებულ ლუდზე გაავრცელა ლუდზე გადასახადის შესახებ კანონის მე-10 პარაგრაფის მიხედვით გათვალისწინებული დასახელების რეგულირების წესი.

II. მუშახელის გადაადგილების თავისუფლება:

1. მუშახელის გადაადგილების თავისუფლების ცნება

საქმე *Merci convenzionali porto di Genova SpA*²⁴⁷:

13 (...) მუშახელის ცნება ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 48-ე მუხლის მიხედვით, ნიშნავს ისეთ ურთიერთობას, რომლის დროსაც პირი გარკვეული დროის განმავლობაში სხვისთვის მისი მითითებით საქმიანობას ეწევა და ამ საქმიანობის საპასუხოდ ის იღებს ანაზღაურებას.

საქმე *D.M. Levin*²⁴⁸:

საქმის ფაბულა: ბრიტანეთის მოქალაქე ქალბატონი ლევინი, რომელიც მესამე სახელმწიფოს მოქალაქის მეუღლეა, მოითხოვდა ნიდერლანდებში ყოფნის უფლების მინიჭებას. მისი მოთხოვნა უარყოფილ იქნა იმით, რომ ის არ მუშაობდა და, შესაბამისად, არ შეეძლო ესარგებლა ევროგაერთიანების ფარგლებში მუშახელისათვის მინიჭებული შეღავათებით. ქალბატონი ლევინი აცხადებდა, რომ მან ამასობაში დაიწყო დამოუკიდებელი მუშაობა, საიდანაც მიღებული შემოსავალი ნიდერლანდების სამართლებრივი ნორმებით დადგენილი საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთ იყო. გარდა ამისა, ის თავს ირჩენდა იმ ქონებიდან მიღებული შემოსავლით, რომელიც მას და მის მეუღლეს ეკუთვნოდათ. ეროვნულმა სასამართლომ მიმართა ევროპულ სასამართლოს შეკითხვით, ვრცელდებოდა თუ არა მუშახელის გადაადგილების თავისუფლება პირზე, რომელიც დამოუკიდებელ სამუშაოს ასრულებდა და აქედან მიღებული შემოსავალი საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთ იყო.

9. მუშახელის თავისუფლად გადაადგილებიდან გამომდინარე უფლებები, განსაკუთრებით კი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე შესვლისა და დარჩენის უფლება, დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა პირი მუშახელი; კერძოდ იმაზე, საქმიანობს თუ არა ეს პირი სახელფასო თუ საგასამრჯელო ურთიერთობების ფარგლებში, ანდა თუ სურს ასეთი საქმიანობის განხორციელება; „მუშახელის“ და „სახელფასო და საგასამრჯელო ურთიერთობებში საქმიანობის“ ცნებები არცერთ შესაბამის დებულებებში ნათლად არ არის განსაზღვრული, ამიტომ მათი მნიშვნელობა გამოკვლეულ უნდა იქნეს საყოველთაოდ აღიარებული განმარტებითი პრინციპების გამოყენებით და ხელშეკრულების კონტექსტისა და მიზნების გათვალისწინებით, ამ ცნებების ჩვეულებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე.

10. ნიდერლანდებისა და დანიის მთავრობები აცხადებენ, რომ ხელშეკრულების 48-ე მუხლზე დაყრდნობა მხოლოდ იმ პირებს შეუძლიათ, რომლებიც, სულ მცირე, საარსებო მინიმუმის იმ ოდენობის ანაზღაურებას იღებენ, რომლებიც მათი სამუშაო ადგილის წვერი სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმებითაა დადგენილი, ან, რომლებიც შესაბამის პროფესიულ სფეროში სრული განაკვეთით მომუშავეისათვის გათვალისწინებულ სამუშაო საათებში მუშაობენ. მანამ, სანამ არ არსებობს გაერთიანების შესაბამისი სამართლებრივი დებულებები, საარსებო შემოსავლის მინიმუმისა და სამუშაო საათების მინიმუმის დადგენა ეროვნული კრიტერიუმებით ხდება.

²⁴⁷ Judgment of the Court of 10 December 1991; *Merci convenzionali porto di Genova SpA v Siderurgica Gabrielli SpA*; Case C-179/90; European Court reports 1991 Page I-05889.

²⁴⁸ Judgment of the Court of 23 March 1982; *D.M. Levin v Staatssecretaris van Justitie*; Case 53/81; European Court reports 1982 Page 01035.

11. ამ არგუმენტაციის გათვალისწინება არ შეიძლება. როგორც ევროპულმა სასამართლომ 1964 წლის 19 მარტის განაჩენში საქმეზე 75/63 (*Unger*, კრებული, გვ. 379) გადაწყვიტა, „მუშახელის“ და „სახელფასო და საგასამრჯელო ურთიერთობებში საქმიანობის“ ცნებები არ შეიძლება განიმარტოს წევრი სახელმწიფოების სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით; უფრო მეტიც, მათ გაერთიანების სამართლებრივი მნიშვნელობა აქვთ. სხვაგვარად, შეუძლებელი იქნებოდა მუშახელის გადაადგილების თავისუფლების შესახებ გაერთიანების სამართლებრივი ნორმების დაცვა, რადგან გაერთიანების ორგანოთა კონტროლის გარეშე ამ ცნებების შინაარსის შეცვლა და განსაზღვრა შესაძლებელი იქნებოდა ცალმხრივად ეროვნული სამართლებრივი ნორმებით; ამით ნებისმიერ სახელმწიფოს შეეძლებოდა, სურვილისამებრ პირთა გარკვეული ჯგუფები ხელშეკრულების დაცვისთვის ჩამოეშორებინა.

12. ეს იქნებოდა კერძოდ ის შემთხვევა, როდესაც, მუშახელის თავისუფლად გადაადგილებიდან გამომდინარე უფლებების განხორციელება დამოკიდებული იქნებოდა მიმღები სახელმწიფოს სამართალში დადგენილი საარსებო მინიმუმის კრიტერიუმზე. ამ შემთხვევაში გაერთიანების შესაბამისი დებულებები სხვადასხვა წევრ სახელმწიფოსა და პირთა წრის მიხედვით განსხვავებულად იმოქმედებდა. აქედან გამომდინარე, „მუშახელისა“ და „სახელფასო და საგასამრჯელო ურთიერთობაში საქმიანობის“ ცნებები უნდა დადგინდეს გაერთიანების სამართლებრივი წესრიგის საფუძვლებიდან გამომდინარე.

13. ეს ცნებები ხელშეკრულებით გარანტირებული ძირითადი თავისუფლებების მოქმედების სფეროს ადგენენ და ამიტომ არ შეიძლება მათი ვიწროდ განმარტება.

14. ამ მოსაზრებას შეესაბამება ის, რომ 1612/68 რეგულაციის დასაბუთებაში წევრი სახელმწიფოს, ძირითადად, ნებისმიერ მუშახელს, კერძოდ ხანგრძლივად დასაქმებულს, სეზონურ თუ იმ მუშახელს, რომელიც სამსახურში მისასვლელად კვეთს საზღვარს, ასევე იმ მუშახელს, რომელიც თავის საქმიანობას მომსახურებასთან კავშირში ახორციელებს, თანაბარი უფლება აქვთ, განახორციელონ მათ მიერ არჩეული საქმიანობა გაერთიანების ფარგლებში. გარდა ამისა, 68/360 დირექტივის მე-4 მუხლის მიხედვით, დასაქმებულს ქვეყანაში ყოფნის უფლება აქვს მხოლოდ პირადობის მონმობის, რომლითაც ის ამ სუვერენულ ტერიტორიაზე შემოვიდა და სამუშაოზე დანიშნვის ბრძანების ან მუშაობის მონმობის ჩვენების საფუძველზე, ისე, რომ, დირექტივის მიხედვით, მნიშვნელობა არ აქვს სამუშაოს სახესა თუ მისგან მიღებული ანაზღაურების რაოდენობას.

15. ეს განმარტება, რომელიც ამ ცნებებს სრული მოქმედების ძალას ანიჭებს, შეესაბამება ხელშეკრულების მიზნებს. ამ მიზნებს, მე-2 და მე-3 მუხლების მიხედვით, განეკუთვნება ასევე წევრ სახელმწიფოებს შორის პირების თავისუფლად გადაადგილებისათვის დაბრკოლებების აღმოფხვრა, რომ მან, სხვასთან ერთად, გაერთიანების შიგნით ეკონომიკური ცხოვრების ჰარმონიულად განვითარებისა და ცხოვრების დონის ამაღლებას შეუწყოს ხელი. განაკვეთური დასაქმება პირების უმრავლესობისთვის ცხოვრების პირობების ამაღლების ეფექტური საშუალებაა, მაშინაც კი, თუ ის ისეთ შემოსავლებთანაა დაკავშირებული, რომლებიც საარსებო მინიმუმად აღიარებულ ოდენობაზე ნაკლებია. ამიტომ გაერთიანების სამართლის პრაქტიკული ეფექტურობა შეილახებოდა და ხელშეკრულების მიზნების მიღწევა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა, თუ მხოლოდ ის პირები ისარგებლებდნენ მუშახელის გადაადგილების თავისუფლებით, რომლებიც ხანგრძლივადიან სამსახურებში იქნებოდნენ დასაქმებული და ისეთ შემოსავალს მიიღებდნენ, რომელიც, სულ მცირე, შესაბამის პროფესიულ დარგში საარსებო მინიმუმს უთანაბრდება.

16. შედეგად, მუშახელისა და სახელფასო თუ საგასამრჯელო ურთიერთობაში დასაქმების ცნებები ისე უნდა იქნეს გაგებული, რომ მუშახელის გადაადგილების თავისუფლება ასევე ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც მხოლოდ განაკვეთურად არიან დასაქმებული სახელფასო თუ საგასამრჯელო ურთიერთობებში, ან უნდათ ასეთის დაწყება და აქედან იღებენ მხოლოდ შესაბამის დარგში გარანტირებული მინიმალური შემოსავლის ზღვარზე უფრო დაბალ ანაზღაურებას ან მიიღებდნენ ასეთს. ამდენად, არ შეიძლება განსხვავებულად ეპყრობოდნენ პირებს, რომლებიც კმაყოფილებიან ამგვარი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით, და იმ პირებს, რომლებიც ამ შემოსავლებს სხვა იმ შემოსავლებით ავსებენ, რომლებიც ქონებიდან თუ ოჯახის წევრის სხვა სამუშაოდან მიღებული შემოსავლებისაგან შედგება.

საქმე *Gustaff Desiderius Antonissen*²⁴⁹:

საქმის ფაბულა: ბელგიის მოქალაქე ბატონი ანტონისე, რომელიც სამუშაო ადგილს ეძებდა, 1984 წლის ოქტომბერში გაემგზავრა დიდ ბრიტანეთში, სადაც ის 1986 წლის სექტემბერში კოკაინის ფლობა-გასაღების ფაქტზე დააკავეს. 1987 წლის მარტში მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, რომლის დარჩენილი ნაწილი 1987 წლის დეკემბერში პირობითი მსჯავრით შეეცვალა. 1987 წლის ნოემბერში გამოვიდა მისი დეპორტაციის განკარგულება, რაც ბატონმა ანტონისემ გაასაჩივრა. სასამართლო აღნიშნავდა, რომ მომჩივანი დეპორტაციისაგან დაცვასთან დაკავშირებით ევროპული ეკონომიკური გაერთიანების 64/221 დირექტივის ნორმებს არ ექვემდებარებოდა, რადგან სამსახურის ძებნის ექსთენიანი ვადა გასული იყო და, ამდენად, მას გაერთიანების მუშახელის სტატუსით სარგებლობა არ შეეძლო. უზენაესმა სასამართლომ ევროპულ სასამართლოს მიმართა შეკითხვით – შეესაბამებოდა თუ არა ეროვნული რეგულირება ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 39-ე და 48-ე მუხლებს, რომლის მიხედვითაც სხვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქე შეიძლებოდა გაეძევებინათ წევრ სახელმწიფოში შესვლიდან ექვს თვეში, თუ ის ვერ დაინყებდა მუშაობას.

8. ეროვნული სასამართლოს შეკითხვა შეეხება იმას, ართმევს თუ არა დასაქმებულის გადაადგილების თავისუფლების შესახებ გაერთიანების სამართალი წევრ სახელმწიფოს უფლებას, გააძევოს სხვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქე თავისი ტერიტორიიდან ისე, რომ მისი გასაჩივრების უფლება არ დაირღვეს, იმ შემთხვევაში, თუ ეს მოქალაქე სამუშაო ადგილის ძებნის მიზნით მის ტერიტორიაზე შევიდა და ექვსი თვის განმავლობაში ვერ იპოვა ასეთი ადგილი.

9. ამასთან, (სასამართლოს მიერ) აღინიშნა, რომ ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 48-ე მუხლის შინაარსის მიხედვით, გაერთიანების მოქალაქეებს თავისუფლად გადაადგილების უფლება წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე მხოლოდ იმისათვის ენიჭება, რომ მონაწილეობა მიიღონ ფაქტობრივად შემოთავაზებულ ადგილებზე გამოცხადებულ კონკურსში (მე-3 აბზაცის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები); ამის საპირისპიროდ, ამ სახელმწიფოში ყოფნის უფლება დასაქმების განხორციელებაზეა მიბმული.

10. ასეთი განმარტება გამორიცხავს წევრი სახელმწიფოს მოქალაქეების უფლებას, გაემგზავრონ სხვა სახელმწიფოებში თავისუფლად და დარჩნენ იქ სამუშაო ადგილის მოსაძებნად; ეს არასწორია.

11. ევროპული სასამართლოს მუდმივი პრაქტიკის მიხედვით, დასაქმებულის თავისუფლად გადაადგილება გაერთიანების საფუძვლებს განეკუთვნება; ამდენად, შესაბამისი

²⁴⁹ Judgment of the Court of 26 February 1991; The Queen v Immigration Appeal Tribunal, ex parte Gustaff Desiderius Antonissen; Case C-292/89; European Court reports 1991 Page I-00745.

დებულებები ფართოდ უნდა განიმარტოს (...).

12. გარდა ამისა, 48-ე მუხლის მე-3 აბზაცის ვინროდ განმარტება შეუმცირებდა წევრი სახელმწიფოს დასაქმების მსურველ მოქალაქეს შანსებს, ეპოვნა სხვა წევრ სახელმწიფოებში სამუშაო ადგილი; ის ამით ამ დებულებას თავის პრაქტიკულ ეფექტურობას დაუკარგავდა.

13. 48-ე მუხლის მე-3 აბზაცი ისე უნდა განიმარტოს, რომ ის ამომწურავად არ ჩამოთვლის უფლებებს, რომლებიც წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს დასაქმებულის თავისუფლად გადაადგილების სფეროში აქვთ; ამ თავისუფლებას განეკუთვნება წევრი სახელმწიფოების მოქალაქეების უფლება, თავისუფლად გადაადგილდნენ სხვა წევრ სახელმწიფოებში და იქ დარჩნენ სამუშაოს მოსაძებნად.
(...)

16. 48-ე მუხლის პრაქტიკული ეფექტურობა დაცულია, თუ დრო, რომელსაც გაერთიანების სამართალი ან გაერთიანების სამართლებრივი რეგულირების არარსებობისას წევრი სახელმწიფოს სამართალი შესაბამის პირებს აძლევს, შეესაბამება იმ დროის ხანგრძლივობას, რომელიც საკმარისია ამ წევრ სახელმწიფოში პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაო ადგილის შესახებ ინფორმაციისა და, საჭიროების შემთხვევაში, გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.
(...)

ა) გაერთიანების სამართალი არ არეგულირებს იმას, თუ რამდენი ხნის განმავლობაში შეუძლიათ გაერთიანების მოქალაქეებს, დარჩნენ სამუშაო ადგილის მოძებნის მიზნით წევრ სახელმწიფოში. შესაბამისი ეროვნული სამართალი ამისათვის ითვალისწინებს ექვს თვეს. ეს, ძირითადად, საკმარისადაა მიჩნეული, რათა პირს დართონ ნება, მიმღებ წევრ სახელმწიფოში მისი პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამის ვაკანტურ სამუშაო ადგილებზე მიიღოს ინფორმაცია და, საჭიროების შემთხვევაში, მონაწილეობა მიიღოს კონკურსში; დროში ასეთი შეზღუდვა საფრთხის ქვეშ არ აყენებს თავისუფლად გადაადგილების პრინციპის პრაქტიკულ ეფექტურობას. თუ პირი ამ დროის გასვლის შემდეგ დაამტკიცებს, რომ მას კიდევ აქვს პერსპექტივა, იპოვოს სამუშაო, მაშინ მიმღებ სახელმწიფოს არ შეუძლია მისი გაძევება.

ეროვნული სასამართლოს მიერ წარმოდგენილ შეკითხვებზე პასუხი უნდა გაეცეს, რომ დასაქმებულის თავისუფლად გადაადგილების შესახებ გაერთიანების სამართალი წევრ სახელმწიფოს არ ართმევს უფლებას, გააძევოს სხვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქე გასაჩივრების უფლების დაცვით – ეს იმ შემთხვევაში, თუ პირი მის ტერიტორიაზე სამუშაო ადგილის მოძებნის მიზნით შევიდა, ექვსი თვის შემდეგაც ვერ იპოვა სამუშაო ადგილი და თუ ვერ ამტკიცებს, რომ მას კიდევ აქვს პერსპექტივა, იპოვოს სამუშაო.

საქმე *Jean Noël Royer*²⁵⁰:

31/32. ა) წევრი სახელმწიფოს მოქალაქეთა უფლება, შევიდნენ და დარჩნენ სხვა წევრ სახელმწიფოში ხელშეკრულებაში დასახელებული მიზნით, – განსაკუთრებით, იქ დამოუკიდებელი თუ დამოკიდებული საქმიანობის მოსაძებნად ან განსახორციელებლად, ანდა მეუღლესთან თუ ოჯახის სხვა წევრებთან დასარჩენად, – უშუალოდ ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს ან, საკითხის მიხედვით, მისი აღსრულებისათვის მიღებული დებულებებიდან. შედეგად, ეს უფლება არსებობს წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ ქვეყანაში ყოფნის ნებართვის გაცემისაგან დამოუკიდებლად. ამ ნებართვის გაცემა უფლების წარმომშობი არ არის, უფრო მეტად, ამით წევრი სახელმწიფოს მიერ საბოლოოდ დგინდება, რა პიროვნული სტატუსი აქვს სხვა

²⁵⁰ Judgment of the Court of 8 April 1976; *Jean Noël Royer*; Case 48-75.

წვერი სახელმწიფოს მოქალაქეს, გაერთიანების სამართლის დებულებების მიხედვით.

34/36. ბ) 68/630 დირექტივის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 აბზაცების მიხედვით, წვერი სახელმწიფოები — მე-10 მუხლის დებულებების დაურღვევლად – „ანიჭებენ“ პირებს, რომლებიც დირექტივაში მითითებულ საბუთებს წარმოადგენენ, თავიანთ სუვერენულ ტერიტორიაზე ყოფნის უფლებას და მის „მტკიცებულებად“ ქვეყანაში ყოფნის განსაკუთრებულ ნებართვას გასცემენ. ამ დებულებებით უნდა დაადგინონ ხელშეკრულებიდან უშუალოდ გამომდინარე უფლებათა განხორციელების პრაქტიკული დებულებები. აქედან გამომდინარეობს, რომ წვერი სახელმწიფოების უწყებებმა უნდა მიანიჭონ თითოეულ პირს ქვეყანაში ყოფნის უფლება, რომელიც დირექტივის პირველ მუხლში დასახელებულ ჯგუფებს განეკუთვნება და რომელსაც ეს შეუძლია დაამტკიცოს მე-4 მუხლის მე-3 აბზაცში ცალ-ცალკე დასახელებული საბუთების წარმოდგენით.

37. შეკითხვაზე, შესაბამისად, პასუხი უნდა გაეცეს, რომ წვერი სახელმწიფოები, 68/360 დირექტივის მე-4 მუხლის მიხედვით, ვალდებული არიან, ქვეყანაში ყოფნის ნებართვა გასცენ ნებისმიერზე, რომელიც შესაბამისი დოკუმენტებით დაამტკიცებს, რომ ის დირექტივის პირველ მუხლში დასახელებული ჯგუფებიდან რომელიმეს განეკუთვნება.

2. აკრძალვის ფორმები

ა) დისკრიმინაციის აკრძალვა

საქმე *Pietro Pinna*²⁵¹:

საქმის ფაბულა: დავა ეფუძნებოდა იტალიის მოქალაქის საჩივარს, რომელიც დასაქმებული იყო საფრანგეთში და გარკვეული დროის განმავლობაში მისი ოჯახის წევრები ცხოვრობდნენ იტალიაში. საფრანგეთში დასაქმებული პირი ითხოვდა მისი ოჯახის წევრებისათვის განკუთვნილი სოციალური შემწეობის მიღებას. საფრანგეთი ამ მოთხოვნას იმ მოტივით არ უკმაყოფილებდა, რომ ოჯახის წევრები მასთან ერთად არ ცხოვრობდნენ და მათი ადგილსამყოფელი საფრანგეთის ტერიტორიაზე არ იყო.

23. (...) თანასწორობის პრინციპი კრძალავს არა მარტო მოქალაქეობის საფუძველზე ამკარა დისკრიმინაციებს, არამედ დისკრიმინაციის ყველა დაფარულ ფორმას, რომელიც ფაქტობრივად მსგავს შედეგს იწვევს სხვა განმასხვავებელი ნიშნების გამოყენებით.

24. (...) მიუხედავად იმისა, რომ, ფრანგული სამართლებრივი ნორმებით, საფრანგეთში დასაქმებული ფრანგი და არაფრანგი მუშახელის მოთხოვნის უფლება ოჯახურ შემწეობებზე ერთი და იმავე კრიტერიუმით დგინდება, ამ კრიტერიუმს (საცხოვრებელი ადგილის მოთხოვნას) მაინც არავითარ შემთხვევაში არ აქვს თანაბარი მნიშვნელობა არაფრანგი მუშახელისათვის. გარემოება, რომ ოჯახის წევრები საფრანგეთის გარეთ ცხოვრობენ, ძირითადად, მიგრანტი მუშახელისათვის დამახასიათებელი პრობლემაა. ამიტომ ეს კრიტერიუმი არ გამოდგება ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 48-ე მუხლით გათვალისწინებული თანასწორუფლებიანობის უზრუნველსაყოფად (...).

²⁵¹ Judgment of the Court of 15 January 1986; *Pietro Pinna v Caisse d'allocations familiales de la Savoie*; Case 41/84; European Court reports 1986 Page 00001.

საქმე *Pilar Allué and Carmel Mary Coonan*²⁵²:

საქმის ფაბულა: ესპანეთისა და ბრიტანეთის მოქალაქეები 1980 წლიდან 1986 წლამდე ვენეციის უნივერსიტეტში დასაქმებულები იყვნენ, როგორ უცხო ენის ლექტორები. 1986 წლის დასაწყისში უნივერსიტეტმა შეატყობინა მათ, რომ შრომითი ხელშეკრულებები აღარ გადავადდებოდა. აღნიშნული ემყარებოდა შიდა რეგულაციას, რომლის მიხედვითაც უცხო ენის ლექტორებთან ხელშეკრულებები დაიდებოდა წლიურად და ხუთი წლის განმავლობაში ერთი წლით გაგრძელდებოდა. მოსარჩელები ასაჩივრებდნენ ამ გადაწყვეტილებას და აცხადებდნენ, რომ მათი შრომითი ხელშეკრულებები დადებული იყო განუსაზღვრელი ვადით. ეროვნულმა სასამართლომ ევროპულ სასამართლოს მიმართა შეკითხვით, რამდენად შეესაბამებოდა ეროვნული რეგულაცია დასაქმებულების მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დისკრიმინაციის აკრძალვას.

11. ამასთან, უნდა დადგინდეს, რომ ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, თანასწორობის პრინციპი, რომელიც აისახა ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 48-ე მუხლში, **კრძალავს არა მარტო ღია დისკრიმინაციას მოქალაქეობის საფუძველზე, არამედ ასევე დისკრიმინაციის ყოველგვარ ფარულ ფორმას, რომელიც სხვა განმასხვავებელი ნიშნების გამოყენებით ფაქტობრივად იმავე შედეგს იწვევს** (სხვასთან ერთად, 1986 წლის 15 იანვრის განაჩენი საქმისა 41/84, *Pinna*, 1986 წლის კრებული, 1).

12. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ სადავო სამართლებრივ ნორმებში უცხო ენის ლექტორთა საქმიანობის პერიოდში უნივერსიტეტში გათვალისწინებული შეზღუდვა, მიუხედავად იმისა, რომ ის შესაბამისი დასაქმებულის მოქალაქეობისაგან დამოუკიდებლად მოქმედებს, ძირითადად, შეეხება დასაქმებულებს, რომლებიც სხვა წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები არიან. სახელდობრ, იტალიის მთავრობის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, უცხო ენების ლექტორების მხოლოდ 25%-ს აქვს იტალიის მოქალაქეობა.

13. სასამართლო პროცესში სადავო სამართლებრივი ნორმების გასამართლებლად იტალიის მთავრობამ განაცხადა, რომ ეს ერთადერთი საშუალებაა უნივერსიტეტისათვის, ჰყავდეს უცხო ენის ისეთი ლექტორები, რომლებიც მშობლიურ ენაზე ასწავლიან და ამ ენის ცოდნა და პრაქტიკა განახლებული აქვთ.

14. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მშობლიურ ენასთან კონტაქტის დაკარგვის საფრთხე, კულტურული კავშირების ინტენსიურობისა და კომუნიკაციის გამარტივების გამო, თითქმის არ არსებობს და, გარდა ამისა, უნივერსიტეტებს აქვთ შესაძლებლობა, შეამონმონ ლექტორების ცოდნის დონე. გარდა ამისა, უნდა დადგინდეს, რომ სადავო სამართლებრივი ნორმების მიხედვით, ლექტორი უნივერსიტეტის მიერ ინიშნება ამავე წევრი სახელმწიფოს სხვა უნივერსიტეტში ექვსწლიანი სამუშაო გამოცდილების შემდეგ; აღნიშნული საქმიანობის დროში შეზღუდვა არ შეიძლება გამართლებულ იქნეს იტალიის მთავრობის მიერ მოყვანილი საფუძვლით.

²⁵² Judgment of the Court (Fifth Chamber) of 30 May 1989; *Pilar Allué and Carmel Mary Coonan v Università degli studi di Venezia*; Case 33/88; European Court reports 1989 Page 01591.

საქმე *Roland Schumacker*²⁵³:

საქმის ფაბულა: ბელგიის მოქალაქე ცხოვრობდა ბელგიაში თავის ოჯახთან ერთად. ბელგიაში საქმიანობის შემდეგ იგი 1988 წლიდან 1989 წლამდე დასაქმებული იყო კელნში, როგორც მუშახელი. მას ამ დროს საცხოვრებელი ადგილი ჰქონდა ბელგიაშიც და შემოსავლის 90%-ზე მეტს იღებდა გერმანიაში. ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ბელგიასა და გერმანიას შორის არსებული ხელშეკრულებით, საშემოსავლო დაბეგვრა ექვემდებარებოდა გერმანიის სამართალს. გერმანიის სამართალი განასხვავებდა დაბეგვრის წესს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მათ, ვინც გერმანიის გარეთ ცხოვრობდნენ, არ შეეძლოთ, საგადასახადო შეღავათებზე პრეტენზია განეცხადებინათ. განსაკუთრებით არ იყო გათვალისწინებული პირადი და ოჯახური მდგომარეობა.

27. სამართლებრივი ნორმები, რომელთაც სასამართლო პროცესი შეეხება, შესაბამისი გადამხდელის მოქალაქეობისაგან დამოუკიდებლად მოქმედებს.

28. მაგრამ არსებობს საფრთხე, რომ, ძირითადად, სხვა წევრი სახელმწიფოების მოქალაქეთა საზიანოდ მოქმედებენ იმგვარი ეროვნული სამართლებრივი ნორმები, რომლებიც საცხოვრებელი ადგილის კრიტერიუმის საფუძველზე პირებს განსხვავებულად უდგებიან და სხვაგან მცხოვრებ პირებს გარკვეულ საგადასახადო შეღავათებს არ ანიჭებენ, მაშინ როდესაც გერმანიაში მაცხოვრებლებს ასეთ შეღავათებს ანიჭებენ. ეს იმიტომ, რომ გერმანიის ფარგლებს გარეთ უმეტესად არაგერმანელი მოქალაქეები ცხოვრობენ.

29. ამ გარემოებებში საგადასახადო შეღავათები, რომლებიც მხოლოდ ქვეყანაში მაცხოვრებლებს ენიჭებათ, შესაძლებელია იყოს მოქალაქეობის საფუძველზე არაპირდაპირი დისკრიმინაცია.

საქმე *F.C. Terhoeve*²⁵⁴:

საქმის ფაბულა: 1990 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით დამსაქმებელმა ნიდერლანდების მოქალაქე გაგზავნა დიდ ბრიტანეთში სამუშაოდ. განსხვავებული საგადასახადო სისტემის გამო დიდ ბრიტანეთში ამ პირს დაეკისრა უფრო მეტი გადასახადი სოციალური მომსახურებისათვის, ვიდრე მას დაეკისრებოდა მთელი წლის განმავლობაში, იქ რომ ყოფილიყო დასაქმებული.

37. ევროპულმა სასამართლომ გამოხატა პოზიცია, რომ გადაადგილების თავისუფლების შესახებ ხელშეკრულების დებულებათა მთელმა რიგმა უნდა შეამსუბუქოს გაერთიანების ტერიტორიაზე პროფესიული საქმიანობის ნებისმიერი სახით განხორციელება და ის ეწინააღმდეგება ისეთ ღონისძიებებს, რომლებმაც გაერთიანების მოქალაქეები შეიძლება ნაკლებ ხელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენოს, თუ მათ სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე სურთ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება (...).

38. ამასთან დაკავშირებით. სხვა წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს აქვთ, განსაკუთრებით, უშუალოდ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება, რომ დატოვონ საკუთარი წარმოშობის ქვეყანა, რათა წავიდნენ ან დარჩნენ სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით (...).

²⁵³ Judgment of the Court of 14 February 1995; Finanzamt Köln-Altstadt v Roland Schumacker; Case C-279/93; European Court reports 1995 Page I-00225.

²⁵⁴ Judgment of the Court of 26 January 1999; F.C. Terhoeve v Inspecteur van de Belastingdienst Particulieren/Ondernemingen buitenland; Reference for a preliminary ruling: Gerechtshof 's-Hertogenbosch – Netherlands; Case C-18/95; European Court reports 1999 Page I-00345.

39. დებულებები, რომლებიც სხვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქეებს ხელს უშლიან ან შესაძლებლობას უქმნიან, თავი შეიკავონ საკუთარი წარმოშობის ქვეყნის დატოვებისაგან, გადაადგილების თავისუფლებას ზღუდავენ მაშინაც კი, როდესაც ისინი შესაბამისი მუშახელის მოქალაქეობისაგან დამოუკიდებლად მოქმედებენ (...).

40. წევრი სახელმწიფოს მოქალაქემ შეიძლება თავი შეიკავოს სხვა წევრ სახელმწიფოში ხელშეკრულებით დამოკიდებული საქმიანობის განხორციელების მიზნით იმ სახელმწიფოს დატოვებისაგან, სადაც ცხოვრობს, თუ ის ვალდებული გახდება, გადაიხადოს უფრო მეტი სოციალური გადასახადი იმასთან შედარებით, რომელსაც ის გადაიხდიდა იმავე წევრ სახელმწიფოში მთელი წლის განმავლობაში ცხოვრებისას (...).

41. ამდენად, ისეთი ეროვნული რეგულირება, რომელსაც ეს სასამართლო პროცესი შეეხება, ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 48-ე მუხლით აკრძალული დაბრკოლებაა მუშახელის გადაადგილებასთან დაკავშირებით. ამდენად, ზედმეტია მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, სახეზეა თუ არა მოქალაქეობაზე დაფუძნებული არაპირდაპირი დისკრიმინაცია, რომელიც ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების მე-7 ან 48-ე მუხლებით, ან 1612/68 დირექტივის მე-7 მუხლის მე-2 აბზაცით შესაძლოა, აკრძალული იყოს, ანდა, არსებობს თუ არა ამასთან დაკავშირებით სავარაუდო რეგულირება.

საქმე *María Martínez Sala*²⁵⁵.

საქმის ფაბულა: ესპანეთის მოქალაქე მარტინეზ სალა 12 წლის ასაკიდან ცხოვრობდა გერმანიაში, სადაც ის 1976 წლიდან 1986 წლამდე და შემდეგ 1989 წლის სექტემბერ-ოქტომბერში სხვადასხვა საქმიანობას ახორციელებდა, როგორც მუშახელი. როგორც მუშახელი ის იღებდა სოციალურ დახმარებას. მას 1984 წლამდე ჰქონდა ქვეყანაში ყოფნის ნებართვა, შემდგომ ამისა, ის კომპეტენტური უწყებებიდან იღებდა ცნობებს, რომ ვალდებული იყო, მოეთხოვა ქვეყანაში ყოფნის ნებართვა. ევროპული დახმარების შესახებ 1952 წლის შეთანხმების საფუძველზე მას ქვეყნიდან გაძევება დაემუქრა. შემდგომ კი 1995 წლამდე მიიღო ყოფნის ნებართვა. იმ დროს, როდესაც სალას არ გააჩნდა ყოფნის ნებართვა, მოითხოვა შემწეობა ბავშვის აღზრდაზე. ბაიერნის უწყებებმა ამაზე უარი უთხრეს იმ მოტივით, რომ ის არ იყო გერმანიის მოქალაქე და არც ქვეყანაში ყოფნის ნებართვას ფლობდა. ეს უარი გაასაჩივრა მან. ეროვნულმა სასამართლომ ევროპულ სასამართლოში წარადგინა შეკითხვები, უნდა განხილულიყო თუ არა ქალბატონ სალას საქმე 1993 წელს, როგორც დასაქმებულისა, და იყო თუ არა ბავშვის აღზრდისათვის შემწეობა სოციალური შეღავათი 1612/68 რეგულაციის მიხედვით; ასევე, შესაბამისობაში იყო თუ არა გაერთიანების სამართალთან ეროვნული რეგულაცია, რომლის მიხედვითაც სხვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის აღზრდის ფულის გადაცემა ქვეყანაში ყოფნის ნებართვაზე იყო დამოკიდებული, მიუხედავად იმისა, რომ პირი ქვეყანაში ლეგალურად იმყოფებოდა.

53. ქვეყანაში ყოფნის უფლების აღიარების თვალსაზრისით, ქვეყანაში ყოფნის ნებართვას (...) მხოლოდ დეკლარაციული მოქმედება და მტკიცებულებითი ფუნქცია აქვს (...), თუმცა აქტებიდან გამომდინარეობს, რომ ქვეყანაში ყოფნის ნებართვას სადავო მომსახურების მინიჭებისათვის კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს.

54. თუ წევრი სახელმწიფო საკუთარი ადმინისტრაციის მიერ მიღებული დოკუმენტის წარდგენას სხვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქისაგან ითხოვს, რომელსაც სურს აღზრდაზე სადავო შემწეობის მიღება და თუ ეს წევრი სახელმწიფო ასეთ დოკუმენტს კონსტიტუციურ მოქმედებას ანიჭებს, ამავე ქვეყნის მოქალაქეებს კი ასეთი დოკუმენტი არ სჭირდებათ, მაშინ ეს მიუთითებს არათანასწორ მოპყრობაზე.

²⁵⁵ Judgment of the Court of 12 May 1998; *María Martínez Sala v Freistaat Bayern*; Case C-85/96; European Court reports 1998 Page I-02691.

55. ხელშეკრულების გამოყენების სფეროში ასეთი არათანასწორი მიდგომა, თუ ის არ არის გამართლებული, ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების მე-6 მუხლით აკრძალული დისკრიმინაციაა.

56. გერმანიის მთავრობამ სხდომაზე აღნიშნა, რომ, (...) მართალია, ეს წინაპირობა, ხელშეკრულების მე-6 მუხლის მიხედვით, არათანაბარ მიდგომას ასახავდა, მაგრამ განაცხადა, რომ სასამართლო პროცესში განსახილველი საქმე არც საგნობრივად და არც სუბიექტის მხრივ ხელშეკრულების მოქმედების სფეროში არ თავსდებოდა, ასე რომ, მომჩივანს არ შეეძლო, დაყრდნობოდა ამ დებულებას.

57. რაც შეეხება შინაარსის მიხედვით მოქმედებას, უნდა მიეთითოს პირველ, მეორე და მესამე შეკითხვათა პასუხებზე, რომელთა მიხედვითაც სასამართლო პროცესში აღზრდის სადავო შემწეობა, ეჭვგარეშეა, გაერთიანების სამართლის მოქმედების სფეროში ექცევა.
(...)

59. იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მუშახელად, კომისია აცხადებს, რომ ის ნებისმიერ შემთხვევაში ევროპული კავშირის შესახებ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან, 1993 წლის პირველი ნოემბრიდან, ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების მე-8 ა მუხლის თანახმად, ფლობდა ქვეყანაში ყოფნის უფლებას; ეს მუხლი ითვალისწინებს შემდეგს: „კავშირის ნებისმიერ მოქალაქეს უფლება აქვს, წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე ხელშეკრულებითა და აღმასრულებელი ნორმებით გათვალისწინებული შეზღუდვებისა და პირობების გათვალისწინებით თავისუფლად გადაადგილდეს და დარჩეს იქ.“ ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების მე-8 მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით, კავშირის მოქალაქე არის პირი, რომელიც წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობას ფლობს.

60. ისეთ შემთხვევაში, როგორცაც ეს სასამართლო პროცესი შეეხება, არ არის საჭირო, გადაისინჯოს, შეუძლია თუ არა ამ პირს შესაბამისი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ხელშეკრულების მე-8 ა მუხლიდან გამომდინარე, ქვეყანაში ყოფნის ახალი უფლება მოითხოვოს, რადგან ის იქ უკვე ნებადართულად იმყოფებოდა, იმის მიუხედავად, რომ მას არ ჰქონდა მიღებული იქ ყოფნის შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

61. მომჩივანი, როგორც წევრი სახელმწიფოს მოქალაქე, რომელიც სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მართლზომიერად იმყოფება, პირთა წრის მიხედვით ექცევა კავშირის მოქალაქეობის შესახებ ხელშეკრულების დებულებების მოქმედების სფეროში.

62. ხელშეკრულების მე-8 მუხლის მე-2 აბზაცი კავშირის მოქალაქის სტატუსს უკავშირებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს, მათ შორის ასევე ხელშეკრულების მე-6 მუხლში დადგენილ უფლებას, არ იქნეს დისკრიმინირებული მოქალაქეობის გამო ხელშეკრულების შინაარსობრივი მოქმედების ფარგლებში.

63. შედეგად, კავშირის მოქალაქეს, როგორც ეს ამ შემთხვევაში მომჩივანია და რომელიც მიმღები წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფება, შეუძლია დაეყრდნოს გაერთიანების სამართლის შინაარსობრივი მოქმედების ფარგლებში ხელშეკრულების მე-6 მუხლს. მას შეუძლია დაეყრდნოს ამ მუხლს მაშინაც, როდესაც სახელმწიფო ისეთი მომსახურების განწევას, რომელსაც ის ყოველ ადამიანს უწევს, ვინც მართლზომიერად იმყოფება ამ სახელმწიფოში, აბრკოლებს ან მასზე უარს ეუბნება პირს, რადგან ის არ ფლობს ისეთ დოკუმენტს, რომელიც ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს არ სჭირდებათ და რომლის გაცემის დაბრკოლება ან საერთოდ გაცემაზე უარისთქმა შეუძლია ამ სახელმწიფოს ადმინისტრაციას.

64. ამდენად, სადავო არათანასწორი მოპყრობა ხელშეკრულების მოქმედების სფეროში ექცევა და არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს გამართლებულად. ეს შეეხება, კერძოდ, მომჩივნის დისკრიმინაციას მოქალაქეობის საფუძვლებზე. ევროპული სასამართლოსათვის არ უცნობიათ რაიმე ისეთი გარემოების შესახებ, რაც ასეთ არათანაბარ მოპყრობას გამართლებდა.

ბ) საყოველთაო შეზღუდვის აკრძალვა

საქმე *Bosman*²⁵⁶:

საქმის ფაბულა: ბელგიის მოქალაქე ბატონი ბოსმანი იყო პროფესიონალი ფეხბურთელი, რომელიც 1988 წლიდან ბელგიის პირველ ლიგაში – „ლუტიხში“ თამაშობდა. 1990 წლიდან მისი ხელშეკრულების მოქმედების ვადა იწურებოდა და რადგან ბატონ ბოსმანს არ სურდა უფრო დაბალი ანაზღაურების მიღება, სატრანსფერო სიაში შევიდა – 11,7 მილიონი ბელგიური ფრანკის გადახდის შემდეგ მოხდებოდა მისი ტრანსფერი. ბატონ ბოსმანს სურდა საფრანგეთის მეორე ლიგაში გადასვლა. ბელგიაში მოქმედი წესების მიხედვით, ხელშეკრულების ვადის ამონურვის შემდეგ საჭირო იყო კავშირის მხრიდან გარკვეული განაცხადის გაცემა, რომლითაც ფეხბურთელს ექნებოდა თამაშის ლიცენზია. ასეთი განაცხადის გაცემა კი დამოკიდებული იყო სატრანსფერო თანხის მიღებაზე. გამომდინარე იქიდან, რომ ბელგიის საფეხბურთო კავშირს ეჭვი შეეპარა ტრანსფერის გადახდისუნარიანობაზე, არ გასცა ასეთი განაცხადი. რადგან ტრანსფერის განხორციელების შემდგომი მცდელობებიც უშედეგოდ დასრულდა, ბატონმა ბოსმანმა იჩივლა ასეთი რეგულირების წინააღმდეგ, ასევე გააპროტესტა დადგენილი უცხოელთა დათქმა, რომლის მიხედვითაც საფეხბურთო შეჯიბრებებზე უცხოელი მოთამაშეების რაოდენობა არ უნდა ყოფილიყო 3-ზე მეტი.

სპორტულმა კავშირებმა ეს დათქმა ახსნეს იმით, რომ ის გამართლებული იყო არაეკონომიკური სპორტული საფუძვლებით, რომ ამით ყოველ კავშირს საკუთარ ქვეყანასთან კავშირი უნდა შეენარჩუნებინათ და ფაქტობრივადაც წარმოედგინათ საკუთარი ქვეყანა კავშირებს, რომლებიც საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობდნენ.

ეროვნულმა სასამართლომ მიმართა ევროპულ სასამართლოს შეკითხვით, თუ რამდენად შეესაბამებოდა სატრანსფერო და უცხოელთა რეგულირებები ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების მოთხოვნებს, განსაკუთრებით კი მუშახელის გადაადგილების თავისუფლებას.

93. როგორც ეს ევროპულმა სასამართლომ უკვე აღნიშნა, მუშახელის გადაადგილების თავისუფლება გაერთიანების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია, და ხელშეკრულების დებულებები, რომლებიც ამ თავისუფლებას უზრუნველყოფენ, გარდამავალი დროის გასვლის შემდეგ უშუალოდ მოქმედებენ.

94. ევროპულმა სასამართლომ, შემდგომ ამისა, გამოთქვა მოსაზრება, რომ თავისუფლად გადაადგილების შესახებ ხელშეკრულების დებულებებმა უნდა შეამსუბუქოს გაერთიანების ტერიტორიაზე ყველანაირი სახის პროფესიული საქმიანობის განხორციელება და მათ ეწინააღმდეგებიან ისეთი ღონისძიებები, რომლებსაც შეუძლიათ, ზიანი მიაყენონ გაერთიანების მოქალაქეებს, თუ მათ სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება მოუწოდებდა (...).

²⁵⁶ იხ. 205-ე სქოლიო.

95. ამასთან დაკავშირებით, სხვა წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს აქვთ განსაკუთრებით ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება, დატოვონ თავისი წარმოშობის ქვეყანა, რათა ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად სხვა წევრ სახელმწიფოში გაემურონ და იქ დარჩნენ (...).

96. **დებულებები, რომლებიც ერთი წევრი სახელმწიფოს მოქალაქეებს თავისუფლად გადაადგილებაზე საკუთარი უფლების გამოყენებისას აზრკოლებენ ან აიძულებენ, თავი შეიკავონ თავისი წარმოშობის ქვეყნის დატოვებისაგან, ამ თავისუფლებას ზღუდავენ მაშინაც კი, როდესაც ისინი შესაბამისი დასაქმებულის მოქალაქეობისაგან დამოუკიდებლად მოქმედებენ (...).**
(...)

98. მართალია, რომ ამოსავალ სამართლებრივ დავაში არსებული სატრანსფერო რეგულირებები მოქმედებს ასევე კავშირებს შორის მოთამაშეების გაცვლაზე, რომლებიც ერთსა და იმავე წევრ სახელმწიფოში განსხვავებულ ეროვნულ გაერთიანებებს განეკუთვნებიან და რომ გაცვლა კავშირებს შორის, რომლებიც ერთსა და იმავე ეროვნულ გაერთიანებას განეკუთვნებიან, ექვემდებარება შესაბამის წესებს.

99. როგორც ბატონმა ბოსმანმა დანიის მთავრობისადმი მიწერილ განცხადებასა და გენერალურმა ადვოკატმა დასკვნითი სიტყვის 209-ე და 210-ე პუნქტებში აღნიშნეს, ეს წესები ზღუდავენ მოთამაშეების თავისუფლად გადაადგილებას, რომლებსაც სურთ, საქმიანობა განახორციელონ სხვა წევრ სახელმწიფოში. ეს შეზღუდვა გამოიხატება იმით, რომ მოთამაშეებს კავშირებთან დადებული შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგაც ხელი ეშლება ამ კავშირების დატოვებაში.

100. დასახელებული რეგულირებები ლახავენ, კერძოდ, მუშახელის გადაადგილების თავისუფლებას, რადგან ამ რეგულირებების მიხედვით, პროფესიონალ ფეხბურთელს არ აქვს საშუალება, განახორციელოს თავისი საქმიანობა ამა თუ იმ წევრი სახელმწიფოს კავშირში, თუ ამ კავშირმა არ გადაუხადა სატრანსფერო ანაზღაურება ძველ კავშირს, რომლის რაოდენობა ორივე კავშირს შორის შეთანხმდა ან სპორტული კავშირების ნორმების მიხედვით განისაზღვრა.

101. როგორც მომმართველმა სასამართლომ სწორად აღნიშნა, ამ დასკვნასთან კავშირში არ არის უეფას მიერ 1990 წელს მიღებული სატრანსფერო რეგულირებები, რომელთა მიხედვითაც ორივე კავშირს შორის ეკონომიკური ურთიერთობები გავლენას არ ახდენს მოთამაშის საქმიანობაზე, რომელსაც შეუძლია, თავისუფლად ითამაშოს თავისი ახალი კავშირისათვის. უკანასკნელად დასახელებული კავშირი ვალდებულია, სადავო ანაზღაურება გადაუხადოს; სხვაგვარად მას დისციპლინური ღონისძიებები ელოდება, რამაც შეიძლება ვალის გამო მისი გარიცხვა გამოიწვიოს, რაც ასევე „ეფექტურად“ უშლის მას ხელს, დასახელებული ანაზღაურების გადახდის გარეშე დაავალდებულოს სხვა წევრი სახელმწიფოს კავშირის მოთამაშე.

102. ეს არც *URBSFA*-სა და *UEFA*-ს მიერ ევროპულ სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით მოყვანილი არგუმენტებით მტკიცდება სხვანაირად. მათი აზრით, ხელშეკრულების 30-ე მუხლის გამოყენება ისეთ ღონისძიებებზე გამოორიციხულია, რომლებიც გასაღების გარკვეულ მოდალობებს ზღუდავენ ან კრძალავენ; ეს ღონისძიებები უნდა მოქმედებდნენ ყველა შესაბამისი ეკონომიკური მონაწილისათვის, რომელიც თავის საქმიანობას სახელმწიფოს შიგნით ახორციელებს; როგორც სამართლებრივად, ისე ფაქტობრივად ერთნაირად უნდა არეგულირებდნენ შიდასახელმწიფო პროდუქციისა და სხვა წევრი სახელმწიფოების პროდუქციის გასაღებას (შეადარეთ 1993 წლის 24 ნოემბრის განაჩენი საქმეზე C-267/91 და C-268/91, *Keck*, 1993 წლის კრებული, I-6097, მე-16 პუნქტი).

103. ამის საპირისპიროდ, საკმარისია იმაზე მითითება, რომ, მართალია, ამ სასამართლო პროცესში განსახილველი წესები მოქმედებენ როგორც იმ კავშირებს შორის ტრანსფერებზე, რომლებიც ერთსა და იმავე წევრ სახელმწიფოში განსხვავებულ ეროვნულ გაერთიანებებს განეკუთვნებიან, ასევე კავშირებს შორის ტრანსფერებზე, რომლებიც ერთსა და იმავე ეროვნულ გაერთიანებას განეკუთვნებიან; მაგრამ ეს არაფერს ცვლის იმაში, რომ ეს წესები სხვა წევრი სახელმწიფოების სამუშაო ბაზარზე მოთამაშეების დაშვებაზე უშუალო ზეგავლენას ახდენენ და ამით შეუძლიათ შელახონ დასაქმებულების თავისუფლად გადაადგილება. ისინი არ შეიძლება გაუთანაბრდნენ საქონლის გაყიდვის მოდალობების შესახებ რეგულირებებს, რომლებიც, *Keck und Mithouard*-ის განაჩენის მიხედვით, ხელშეკრულების 30-ე მუხლის მოქმედების სფეროში არ ექცევა (შეად., მომსახურების თავისუფლად გადაადგილებისათვის ასევე 1995 წლის 10 მაისის განაჩენი საქმეზე C-384/93, *Alpine Investments*, 1995 წლის კრებული, I-1141, 36-ე-38-ე პუნქტები). (...)

116. როგორც ეს ევროპულმა სასამართლომ ზემოთ, 87-ე პუნქტში აღნიშნა, ხელშეკრულების 48-ე მუხლი ვრცელდება სპორტული კავშირების მიერ დადგენილ რეგულირებებზე, რომლებიც პროფესიონალი სპორტსმენების დამოკიდებული საქმიანობის განხორციელების წინაპირობებს ადგენენ. ამდენად, გადასასინჯია, არის თუ არა უცხოელთა დათქმა 48-ე მუხლით მუშახელის თავისუფლად გადაადგილების აკრძალული შეზღუდვა.

117. 48-ე მუხლის მე-2 აბზაცი მკაფიოდ ითვალისწინებს, რომ მუშახელის თავისუფალი გადაადგილება მოიცავს, მოქალაქეობის გამო წევრი სახელმწიფოების მუშახელის დასაქმების, ანაზღაურებისა და სხვა სამუშაო პირობების თვალსაზრისით, მათდამი განსხვავებული მოპყრობის აკრძალვას.

118. ეს დებულება, სხვასთან ერთად, აღსრულდა საბჭოს მიერ 1968 წლის 15 ოქტომბერს მიღებული გაერთიანებაში მუშახელის თავისუფლად გადაადგილების შესახებ ევროპული ეკონომიკური გაერთიანების 1612/68 რეგულაციის მე-4 მუხლით, რომლის მიხედვითაც სხვა წევრი სახელმწიფოების მოქალაქეების მიმართ არ გამოიყენება იმ წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი და ადმინისტრაციული ნორმები, რომლებიც საწარმოს უზღუდავს შესაძლებლობას, დაასაქმოს უცხოელი მუშახელი ეკონომიკური დარგის, სფეროების მიხედვით, ანდა მთლიან სუვერენულ ტერიტორიაზე რაოდენობრივად თუ წილობრივად.

119. ის ეწინააღმდეგება ამ პრინციპს, თუ სპორტული გაერთიანებების რეგულირებებში არსებული დათქმები სხვა წევრი სახელმწიფოების მოქალაქეების უფლებას ზღუდავენ, მიიღონ მონაწილეობა საფეხბურთო თამაშებში, როგორც პროფესიონალმა ფეხბურთელებმა (...).

120. ამასთან, არანაირ როლს არ ასრულებს გარემოება, რომ ეს დათქმები არ შეეხება დასახელებულ მოთამაშეთა დასაქმებას, რაც არ იზღუდება, არამედ მხედველობაში მისაღები კავშირების შესაძლებლობა, მიაღებინონ მათ მონაწილეობა ოფიციალურ თამაშებში. რადგან ამ შეხვედრებში მონაწილეობა პროფესიონალი ფეხბურთელის საქმიანობის არსებითი მიზანია, სრულიად ნათელია, რომ ისეთი რეგულირება, რომელიც ამ მონაწილეობას ზღუდავს, ზღუდავს ასევე აღნიშნული მოთამაშის დასაქმების შესაძლებლობებს.

3. ოჯახის ნევროთა უფლებები:

საქმე *Emir Gül*²⁵⁷:

საქმის ფაბულა: კვიპროსის მოქალაქე, ექიმი, ბატონი გული თავის მეუღლესთან, ბრიტანეთის მოქალაქესთან, ერთად ცხოვრობდა გერმანიაში. მან სტამბულში დაამთავრა სამედიცინო ფაკულტეტი და გერმანული უწყებების მიერ მიიღო პროფესიული საქმიანობის ნებართვა მხოლოდ იმ პირობით, რომ ის კურსების გავლის შემდეგ დაბრუნდებოდა თავის სამშობლოში ან სხვა რომელიმე განვითარებად სახელმწიფოში. მას შემდეგ, რაც მან განათლების მიღების პროცესი წარმატებით დაასრულა, მოითხოვა პროფესიის განხორციელების მუდმივი ნებართვა. იგი ეყრდნობოდა მეუღლის მოქალაქეობას და ასევე იმას, რომ მეუღლე გერმანიაში პარიკმახერად მუშაობდა. სახელმწიფომ ამაზე უარი განუცხადა იმ მოტივით, რომ ასეთ ნებართვას გერმანიის მოქალაქეს, გაერთიანების მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს ანიჭებდნენ. ეს უარი გაასაჩივრეს სასამართლოში, ხოლო ეროვნულმა სასამართლომ ევროპულ სასამართლოს შევითხვით მიმართა, მოიცავდა თუ არა მეუღლის უფლება სახელფასო ან საგასამრჯელო ურთიერთობის დაწყებაზე 1612/68 რეგულაციის მე-11 მუხლით ასევე ისეთ საქმიანობას, როგორცაა ექიმის პროფესია და ექვემდებარება თუ არა ის პროფესიული საქმიანობის დაწყების შესახებ განსაკუთრებულ დებულებებს.

14. (...) მე-11 მუხლი არ გამორიცხავს სახელფასო თუ საგასამრჯელო ურთიერთობის სფეროდან პროფესიულ საქმიანობას; ეს ნორმა უნდა განიმარტოს 1612/68 რეგულაციის მიზნის თვალსაზრისით, კერძოდ, უზრუნველყოფილ იქნეს დასაქმებულის თავისუფლად გადაადგილება გაერთიანების ფარგლებში. როგორც ეს ამ რეგულაციის დასაბუთებაშია მოხსენიებული, თავისუფლად გადაადგილება არის „მუშახელისა და მისი ოჯახის“ ძირითადი თავისუფლება (მესამე საფუძველი); ის მოითხოვს, აღმოიფხვრას მუშახელის მობილურობის ყველა დამაბრკოლებელი გარემოება, განსაკუთრებით „დასაქმებულის უფლებასთან დაკავშირებული, შეძლოს თავისი ოჯახის ჩამოყვანა ქვეყანაში და ჰქონდეს მიმღებ ქვეყანაში მისი ოჯახის ინტეგრაციისათვის შესაბამისი პირობები“ (მეხუთე საფუძველი).

15. იმისათვის, რომ იმუშაოს ისეთი პროფესიით, როგორცაა ექიმის პროფესია, რომლისთვისაც მოქმედებს ამ პროფესიით მუშაობის დაწყებისა და განხორციელებისათვის განსაკუთრებული ნორმები, მესამე ქვეყნიდან ჩამოსული მიგრანტი დასაქმებულის მეუღლე უნდა აკმაყოფილებდეს ორ მოთხოვნას: იგი უნდა ფლობდეს მიმღები ნევრო სახელმწიფოს სამართლით ამ პროფესიის განხორციელებისათვის საჭირო კვალიფიკაციებსა და დიპლომებს და უნდა იცავდეს ამ პროფესიისათვის მოქმედ განსაკუთრებულ დებულებებს, ამასთან, ეს მოთხოვნები ისეთივე უნდა იყოს, როგორსაც მიმღები ნევრო სახელმწიფო საკუთარი მოქალაქეებისათვის ითვალისწინებს. აქტებიდან გამომდინარეობს, რომ მომჩივანი აკმაყოფილებს ორივე მოთხოვნას.
(...)

18. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სახელფასო და საგასამრჯელო ურთიერთობაში ყოველი პროფესიული საქმიანობის განხორციელების უფლება, 1612/68 რეგულაციის მე-11 მუხლის მიხედვით, აქვს მუშახელის მეუღლეს, რომელიც, თავის მხრივ, გაერთიანების ფარგლებში მუშახელის თავისუფლად გადაადგილების უფლებით სარგებლობს; ასევე სარგებლობს უფლებით, განხორციელოს პროფესიული საქმიანობა, რომელიც, როგორც სამედიცინო პროფესია, ექვემდებარება ოფიციალურ

²⁵⁷ Judgment of the Court (Fourth Chamber) of 7 May 1986; *Emir Gül v Regierungspräsident Düsseldorf*; Case 131/85; European Court reports 1986 Page 01573.

დაშვებას ან პროფესიულ-სამართლებრივ ნორმებს. ეს იმ შემთხვევაში, თუ მეუღლე, მიმღები წევრი სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმების მიხედვით, ამ პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო პროფესიულ კვალიფიკაციასა და დიპლომებს ფლობს.

19. მომმართველი სასამართლოს მეორე შეკითხვა შეეხება იმას, შეუძლია თუ არა 1612/68 რეგულაციის მე-11 მუხლით უფლებამოსილ პირს, რომელიც მესამე სახელმწიფოს მოქალაქეა, ამ რეგულაციის მე-3 მუხლის პირველი აბზაცის პირველი ქვეპუნქტის პირველ წინადადებას დაეყრდნოს. ამ დებულების მიხედვით, წევრი სახელმწიფოს სამართლებრივი და ადმინისტრაციული ნორმები ან ადმინისტრაციული პრაქტიკები, რომლებიც ზღუდავენ სამუშაო ადგილების შეთავაზებასა და სამუშაოზე განაცხადს, დასაქმებასთან დაშვებასა და უცხოელების მიერ მათ განხორციელებას ან ისეთ პირობებზე ხდიან დამოკიდებულს, რომლებიც ქვეყნის მოქალაქეებისათვის არ მოქმედებენ, ამ რეგულაციის ფარგლებში არ გამოიყენება.

20. როგორც ეს კომისიამ სწორად აღნიშნა, მიგრანტი დასაქმებულის მეუღლის უფლებები, 1612/68 დირექტივის მე-10 და მე-11 მუხლების მიხედვით, იმ უფლებებთანაა დაკავშირებული, რომლებიც ამ დასაქმებულს ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 48-ე მუხლისა და დირექტივის პირველი და შემდგომი მუხლების მიხედვით აქვს. რამდენადაც მეუღლეს შეუძლია, დაეყრდნოს ამ უფლებებს და ისინი, მე-11 მუხლის მიხედვით, მოიცავენ სახელფასო თუ საგასამრჯელო ურთიერთობაში საქმიანობის დაწყებას, მან ამ საქმიანობის განხორციელება უნდა შეძლოს ისეთ-სავე პირობებში, რომლებშიც დასაქმებული, რომელსაც თავისუფლად გადაადგილების უფლება აქვს, თავის საქმიანობას ახორციელებს. ამდენად, დირექტივის მე-3 მუხლის პირველი აბზაცი მიმღები წევრი სახელმწიფოს დანესტებულებებს ავალდებულებს მეუღლის მიმართ არადისკრიმინაციულ მოპყრობას. „**მოქალაქის მსგავსი მოპყრობა**“, რისი მოთხოვნის უფლებაც წევრი სახელმწიფოების მუშახელს აქვს, ვრცელდება ასევე მის მეუღლეზე.

21. ამდენად, მეორე შეკითხვას პასუხი უნდა გაეცეს, რომ, 1612/68 რეგულაციის მე-11 მუხლის თანახმად, უფლებამოსილ პირს მისი მოქალაქეობისაგან დამოუკიდებლად შეუძლია დაეყრდნოს ამ რეგულაციის მე-3 მუხლის პირველი აბზაცის პირველი ქვეპუნქტის პირველ წინადადებას.

საქმე *Donato Casagrande*²⁵⁸:

საქმის ფაბულა: იტალიის მოქალაქე კასაგრანდე, რომლის გარდაცვლილი მამა დასაქმებული იყო გერმანიაში, დედასთან ერთად (ასევე იტალიის მოქალაქე), დაბადებიდან ცხოვრობდა გერმანიაში და სკოლაშიც იქვე დადიოდა. მან მოითხოვა განათლების წამახალისებელი დახმარების მიღება, რომელიც თვეში 70 გერმანულ მარკას შეადგენდა. მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რადგან ასეთი დახმარება გათვალისწინებული იყო გერმანელი მოქალაქეებისათვის, მოქალაქეობის არმქონეებისა და თავშესაფრის მქონე პირებისათვის. სასამართლომ მიმართა ევროპულ სასამართლოს შეკითხვით – შეესაბამებოდა თუ არა ეროვნული დებულება 1612/68 რეგულაციის მე-12 მუხლის პირველ აბზაცს.

6. განათლების პოლიტიკა, მართალია, როგორც ასეთი, არ განეკუთვნება სფეროს, რომელიც ხელშეკრულებამ გაერთიანების ორგანოების კომპეტენციას არ დაუქვემდებარა, თუმცა აქედან არ გამომდინარეობს, რომ გაერთიანებისათვის გადაცემული ამ უფლებამოსილებების განხორციელება რამენაირად შეიზღუდებოდა, თუ ისინი ზეგავლენას მოახდენდნენ

²⁵⁸ Judgment of the Court of 3 July 1974; Donato Casagrande v Landeshauptstadt München; Case 9-74; European Court reports 1974 Page 00773.

ისეთ ღონისძიებებზე, რომლებიც განათლების პოლიტიკასთანაა დაკავშირებული (...). მაშინაც კი, როდესაც შინაარსობრივი რეგულირების საგნის მიხედვით, კომპეტენტური ორგანოების საქმეა, შიდასახელმწიფოებრივი სამართლით დაადგინონ 1612/68 რეგულაციის მე-12 მუხლში დასახელებული წინაპირობები, მათი გამოყენება უნდა მოხდეს ამ სახელმწიფოს მოქალაქეებისა და ამ სახელმწიფოში მცხოვრები სხვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქეების შვილებს შორის ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

4. მუშახელის გადაადგილების თავისუფლების მოქმედება მესამე პირების მიმართ

საქმე *Roman Angonese*²⁵⁹:

საქმის ფაბულა: იტალიის მოქალაქე ბატონ ანგონეს მშობლიური ენა გერმანული იყო. მან ავსტრიაში მიიღო უმაღლესი განათლება და გადაწყვიტა, მონაწილეობა მიეღო იტალიაში, სამხრეთ ტიროლის ოლქის ბოცენის ერთ-ერთ საბანკო დაწესებულებაში გამოცხადებული ვაკანსიის კონკურსში. თუმცა მონაწილეობა შეეძლო მხოლოდ იმას, ვინც წარმოადგენდა ორი ენის ფლობის შესაბამის სერტიფიკატს. ასეთ სერტიფიკატს იძლეოდა ბოცენის პროვინციის დაწესებულება შესაბამისი გამოცდის ჩაბარების შემდეგ, რომელიც გარკვეული პერიოდულობით ტარდებოდა. გამომდინარე იქიდან, რომ ბატონი ანგონეზე ორენოვანი იყო, მაგრამ ასეთ სერტიფიკატს არ ფლობდა, არ დაუშვეს შესარჩევ კონკურსზე, რაც გაასაჩივრა სასამართლოში, როგორც ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 39-ე მუხლის დარღვევა.

30. უპირველესად უნდა დადგინდეს, ხელშეკრულების 48-ე მუხლში დისკრიმინაციის აკრძალვა ჩამოყალიბებულია ზოგადად და არა სპეციალურად წევრი სახელმწიფოების მისამართით.

31. ამგვარად, ევროპულმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მოქალაქეობაზე დაფუძნებული განსხვავებული მიდგომის აკრძალვა მოქმედებს არა მარტო სახელმწიფო ორგანოების აქტებისათვის, არამედ ვრცელდება ასევე სხვა ღონისძიებებზე, რომლებიც შეიცავენ სამუშაო და მომსახურების განევის სფეროში კოლექტიურ რეგულირებას (...).

32. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ წევრ სახელმწიფოებს შორის თავისუფლად გადაადგილების დაბრკოლებების აღმოფხვრა საფრთხის ქვეშ დადგებოდა, თუ სახელმწიფოებრივი წარმოშობის შეზღუდვების აკრძალვას აზრი დაეკარგებოდა, და თუ არასაჯარო სამართალს დაქვემდებარებული გაერთიანებები და დაწესებულებები საკუთარ სამართლებრივ ავტონომიას გამოიყენებდნენ (...).

33. ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამუშაო პირობები, წევრი სახელმწიფოების მიხედვით, ნაწილობრივ კანონებით ან დადგენილებებით და ნაწილობრივ კერძო პირების მიერ დადებული ხელშეკრულებებით ან მათ მიერ მიღებული სხვა აქტებით რეგულირდება და მხოლოდ ოფიციალური უწყებების ღონისძიებებზე მოქალაქეობის საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვის გავრცელება გამოიწვევდა მის განსხვავებულ მოქმედებას (...).

34. ასევე ევროპულმა სასამართლომ გადაწყვიტა: ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების გარკვეული ნორმები ნათლად მხოლოდ წევრ სახელმწიფოებს მიმართავენ, არ გამორიცხავს ამავდროულად მათ შესაძლებლობას, უფლებები მიანიჭონ დაინტერესებულ პირებს ყველა აღწერილი ვალდებულების დაცვით (შეადარეთ 1976 წლის 8 აპრილის განაჩენი საქმეზე 43/75, *Defrenne*, 1976 წლის კრებული, 455, 31-ე პუნქტი). ევროპული სასა-

²⁵⁹ Judgment of the Court of 6 June 2000; *Roman Angonese and Cassa di Risparmio di Bolzano SpA*; Case C-281/98.

მართლო ხელშეკრულების სავალდებულო ხასიათის ნორმასთან დაკავშირებით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დისკრიმინაციის აკრძალვა მოქმედებს ნებისმიერი დამოკიდებული საქმიანობის კოლექტიურად მომწესრიგებელი სატარიფო ხელშეკრულებების მიმართ და ნებისმიერ ხელშეკრულებებზე კერძო პირებს შორის (შეადარეთ განაჩენი *Defrenne*, 39-ე პუნქტი).

35. ეს მოსაზრება შეეხება, უპირველესად, ხელშეკრულების 48-ე მუხლს, რომელშიც განსაზღვრულია ძირითადი თავისუფლება და რომელიც ასახავს ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების მე-6 მუხლში გამოთქმული საყოველთაო დისკრიმინაციის აკრძალვის სპეციფიკურ სახეს. ამასთან კავშირში მან, როგორც ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 119-ე მუხლმა, უნდა უზრუნველყოს სამუშაო ბაზარზე არადისკრიმინაციული მოპყრობა.

36. მოქალაქეობის საფუძველზე დისკრიმინაციულად მოპყრობის აკრძალვა, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების 48-ე მუხლით, მოქმედებს ასევე კერძო პირების მიმართ.

5. გამამართლებელი საფუძვლები:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამამართლებელი საფუძვლები

ხელშეკრულებით გამამართლებელ საფუძვლებად გათვალისწინებულია „საზოგადოებრივი წესრიგი, უსაფრთხოება და ჯანმრთელობა“.

საქმე *Yvonne van Duyn*²⁶⁰:

საქმის ფაბულა: 1968 წლიდან ბრიტანეთის მთავრობამ განსხვავებული ღონისძიებები გაატარა, რათა შეეზღუდა დიდ ბრიტანეთში საიენტოლოგიის მიმდინარეობის (რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა) საქმიანობა, რომელიც სოციალურად ზიანის მომტანად დასახელდა. ამ ღონისძიებებს შორის იყო ისეთი ღონისძიება, რომელიც ითვალისწინებდა იმ უცხოელებისათვის სამუშაო ნებართვის გაცემაზე უარის თქმას, რომლებიც ამ მიმდინარეობისათვის მუშაობდნენ. ნიდერლანდების მოქალაქე ვან დიონს, რომელიც ცნობილი საიენტოლოგი იყო, სურდა, მდივნის ადგილი დაეკავებინა საიენტოლოგიის ეკლესიაში და ამ მიზნით გაემგზავრა დიდ ბრიტანეთში. შესვლაზე მას უარი უთხრეს. ეს გაასაჩივრა ქალბატონმა დიონმა და განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთი ამით დასაქმებულის თავისუფლად გადაადგილებას ზღუდავდა.

18/19. წარმოდგენილ შეკითხვაში წამოწეულია პრობლემა, თუ როგორ უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ სადავო ორგანიზაციის საქმიანობა, რომელიც, ნევრი სახელმწიფოს შეხედულებით, საჯარო ინტერესებს ეწინააღმდეგება, შიდასახელმწიფო სამართლით არ არის აკრძალული. საჯარო წესრიგის ცნება გაერთიანების სამართალში, მაშინ, როდესაც ის დასაქმებულის გადაადგილების თავისუფლების არსებითი პრინციპიდან გამონაკლისს ამართლებს, ვინაობა უნდა იქნეს გაგებული; აქედან გამომდინარე, მისი მოცულობა არ შეიძლება გაერთიანების ორგანოების მიერ გადამოწმების გარეშე ცალმხრივად ნევრი სახელმწიფოს მიერ განისაზღვროს. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, რომ ის განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც შეძლებისდაგვარად საჯარო წესრიგის ცნებაზე დაყრდნობას ამართლებენ, ქვეყნისა და დროის მიხედვით განსხვავებული

²⁶⁰ Judgment of the Court of 4 December 1974; *Yvonne van Duyn v Home Office*; Case 41-74; European Court reports 1974 Page 01337.

იყოს, ისე, რომ კომპეტენტურ შიდასახელმწიფოებრივ უწყებებს ხელშეკრულებით დადგენილ საზღვრებში ჰქონდეთ შეფასების არეალი. თუ წევრი სახელმწიფოების კომპეტენტურმა უწყებებმა გარკვეული ორგანიზაციის საქმიანობის მიმართ საკუთარი პოზიცია ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრეს და ეს საქმიანობა საზოგადოებისათვის საფრთხის შემქმნელად დასახელეს და ამ საქმიანობასთან საბრძოლველად მიიღეს ადმინისტრაციული ზომები, მაშინ წევრი სახელმწიფო არ არის ვალდებული, აკრძალოს ისინი კანონით, იმისათვის, რომ საჯარო წესრიგზე დაყრდნობა შეეძლოს, თუ ასეთი ღონისძიებები გარემოებების მიხედვით არამიზნობრივად მიიჩნევა.

20. ბოლოს წარმოდგენილი შეკითხვა ხაზს უსვამს პრობლემას, შეუძლია თუ არა წევრ სახელმწიფოს, საჯარო წესრიგის საფუძვლებზე დაყრდნობით, თავი დაიცვას იმით, რომ მის სუვერენულ ტერიტორიაზე სხვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქეს ეკრძალება გაერთიანებასა თუ ორგანიზაციაში ანაზღაურებადი სამუშაოს დაწყება, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი მოქალაქეები ასეთ შეზღუდვას არ ექვემდებარებიან.

21/23. ხელშეკრულება, მართალია, აღიარებს ცალკეული წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს შორის დისკრიმინაციის აკრძალვის გარეშე დასაქმებულის თავისუფლად გადაადგილების პრინციპს, თუმცა 48-ე მუხლის მე-3 აბზაცი ამ პრინციპიდან გამომდინარე უფლებებს წინაპირობას უნესებს, რომელიც საჯარო წესრიგის, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საფუძვლებით გამართლებულ შეზღუდვებს შეეხება. ამ წინაპირობებს ექვემდებარება, შესაბამისად, სხვასთან ერთად, ასევე უფლებები: შეეცადო შემოთავაზებული ვაკანსიის დაკავებას, თავისუფლად გადაადგილდე წევრი სახელმწიფოების სუვერენულ ტერიტორიაზე ამ მიზნით, დარჩე წევრი სახელმწიფოში საქმიანობის განსახორციელებლად. ეს წინაპირობა ხდის შესაძლებელს, უარი უთხრან წევრი სახელმწიფოს მოქალაქეს, შევიდეს და დარჩეს სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ეს იმ შემთხვევაში, თუ ამ წინაპირობის საფუძვლები სახეზეა; **მეორე მხრივ, საერთაშორისოსამართლებრივი პრინციპით, რომელიც ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულებას არ უნდოდა უყურადღებოდ დაეტოვებინა წევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში, წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია, საკუთარ მოქალაქეს აუკრძალოს საკუთარ ქვეყანაში შესვლა და დარჩენა. ამის მიხედვით, წევრ სახელმწიფოს საჯარო წესრიგის საფუძვლებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი უთხრას სხვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქეებს დასაქმებულის თავისუფლად გადაადგილების პრინციპიდან გამომდინარე სამართლებრივი უპირატესობების მინიჭებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ის საკუთარ მოქალაქეებს არ აკისრებს მსგავს შეზღუდვებს.**

საქმე *Carmelo Angelo Bonsignore*²⁶¹:

საქმის ფაბულა: იტალიის მოქალაქე ჩავიდა გერმანიაში, რათა დაეწყო მუშაობა ქიმიკოსად. 1971 წელს მან ნებართვის გარეშე შეიძინა იარაღი და ნადირობისას გაუფრთხილებლობით მოკლა თავისი უმცროსი ძმა. სასამართლომ იარაღის უკანონოდ ტარებისათვის ჯარიმა შეუფარდა და დამნაშავედ ცნო ძმის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობაში, თუმცა სასჯელი არ შეუფარდა. მოკლე ხანში მის წინააღმდეგ გამოვიდა დეპორტაციის განკარგულება, რომლის საფუძვლად მოყვანილი იყო არგუმენტი, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა იმ უცხოელების შესაშინებლად, რომლებიც უნებართვოდ იქნდნენ იარაღს. ეროვნულმა სასამართლომ ევროპულ სასამართლოს მიმართა შეკითხვით – შეიძლებოდა თუ არა პირის გაძევება ზოგადი პრევენციის მიზნით, თუ მას აუცილებლად სპეციალური პრევენციის საფუძვლები უნდა ჰქონოდა.

²⁶¹ Judgment of the Court of 26 February 1975; *Carmelo Angelo Bonsignore v Oberstadtdirektor der Stadt Köln*; Case 67-74; European Court reports 1975 Page 00297.

5. (...) ეს დებულებები უნდა განიმარტოს დირექტივის მიზნებიდან გამომდინარე; აღნიშნულის მიხედვით, განსაკუთრებით საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად უნდა მოხდეს (ხელშეკრულების 48-ე და 56-ე მუხლები გამამართლებელი ღონისძიებების კოორდინაცია, რათა მათი გამოყენება შესაბამისობაში მოვიდეს ხელშეკრულების მოქმედების სფეროში გაერთიანების ფარგლებში თავისუფლად გადაადგილების ფუნდამენტურ პრინციპთან და საკუთარი და სხვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქეებს შორის ყოველგვარი სახის დისკრიმინაციის სრულ აღმოფხვრასთან.

6. ამ გადმოსახედიდან დირექტივის მე-3 მუხლს იმ დასკვნამდე მიყვავართ, რომ კონკრეტული შემთხვევისაგან მოწყვეტილმა მოსაზრებებმა არ შეიძლება გადამწყვეტი როლი შეასრულოს გაერთიანების წევრი სახელმწიფოების მოქალაქეთა სანინალმდგომ საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებელი ღონისძიებების გატარებისას; ეს განსაკუთრებით გამომდინარეობს პირველი აზრებიდან, რომლის მიხედვითაც გადამწყვეტი შეიძლება იყოს მხოლოდ შესაბამისი პირის „პიროვნული ქცევა“. რადგან თავისუფლად გადაადგილების პრინციპიდან გამონაკლისები ვინაობა განსამარტი დებულებებია, „პიროვნული ქცევის“ ცნება გამოსხატავს მოთხოვნას, რომ გადაცემის ღონისძიებები უნდა დაეყრდნოს მხოლოდ საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოებისათვის საფრთხის შექმნის ისეთ საფუძვლებს, რომლებიც შეიძლება მომდინარეობდნენ ამ კონკრეტული პირებისაგან.

7. ამდენად, დასმულ შეკითხვებს პასუხი უნდა გაეცეს, რომ 64/221 დირექტივის მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 აზრები ენინალმდგეგება წევრი სახელმწიფოს მოქალაქის გადაცემას, რაც ხდება სხვა უცხოელების დაშინების მიზნით, ანუ ეროვნული სასამართლოს ფორმულირებით რომ ვინელმძღვანელოთ, როდესაც ის ეფუძნება „ზოგადი პრევენციის“ საფუძვლებს.

ბ) დაუნერელი გამამართლებელი საფუძვლები:

საქმე *Maria Chiara Spotti v. Freistaat Bayern*²⁶²:

18. გამომდინარე იქიდან, რომ უცხო ენების ლექტორთა უმრავლესობა უცხოელი მოქალაქეები არიან, ეს არათანაბარი მიდგომა გამოდგება იმისათვის, რომ ისინი გერმანელ მოქალაქეებთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, და ამით შეადგენს ევროპული ეკონომიკური გაერთიანების ხელშეკრულების 48-ე მუხლის მე-2 აზრებით აკრძალულ არაპირდაპირ დისკრიმინაციას, თუ ის არ არის გამართლებული საგნობრივი საფუძვლებით.

19. ამასთან მიმართებით ეროვნული სასამართლო სვამს მეორე შეკითხვას, არის თუ არა ეს რეგულირება იმდენად გამართლებული, რამდენადაც აუცილებელია აქტუალური გაკვეთილის უზრუნველსაყოფად. (...)

20. როგორც ევროპულმა სასამართლომ 1989 წლის 30 მაისის განაჩენში – *Alue* - გადანყვიტა, გაკვეთილის აქტუალობაზე დამყარებული მოთხოვნების უზრუნველყოფა არ ამართლებს უცხო ენების ლექტორთა შრომითი ხელშეკრულებების ვადებში შეზღუდვას. ის საფრთხე, რომ ლექტორი დაკარგავს მშობლიურ ენასთან კონტაქტს კულტურული გაცვლისა და კავშირების შემსუბუქების გათვალისწინებით, ძალზე მცირეა; გარდა ამისა, უნივერსიტეტებს აქვთ შესაძლებლობა, გადაამონმონ ლექტორთა ცოდნის დონე.

²⁶² Judgment of the Court of 20 October 1993; *Maria Chiara Spotti v Freistaat Bayern*; Case C-272/92; European Court reports 1993 Page I-05185.

საქმე *Jean-Marc Bosman*²⁶³:

104. სატრანსფერო წესები დასაქმებულის თავისუფლად გადაადგილებას ზღუდავს. ისინი, ძირითადად, აკრძალულია ხელშეკრულების 48-ე მუხლით. სხვაგვარად მხოლოდ მაშინ იქნებოდა, თუ ეს წესები ხელშეკრულებასთან შესაბამისობაში არსებულ გამართლებულ მიზანს მოემსახურებოდა და გამართლებული იქნებოდა საყოველთაო ინტერესის სავალდებულო საფუძვლებით. ასეთ შემთხვევაში ამ წესების გამოყენება გამოსადეგი უნდა იყოს დასახული მიზნების განხორციელების უზრუნველსაყოფად და არ უნდა მიდიოდეს იმაზე შორს, ვიდრე ეს ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი (...).

III. დაფუძნების თავისუფლება

ამ კარის მოქმედების სფეროში წვერი სახელმწიფოს მოქალაქე ფიზიკური პირების თანასწორნი არიან წვერი სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმებით დაარსებული საზოგადოებები, რომელთა საწესდებო ადგილსამყოფელი, ძირითადი მმართველობა ან მათი ძირითადი ადგილსამყოფელი გაერთიანების ფარგლებში მდებარეობს.

საზოგადოებებს წარმოადგენენ სამოქალაქო და სავაჭრო სამართლით დაარსებული საზოგადოებები, მათ შორის ამხანაგობები და სავაჭრო თუ კერძო სამართლის სხვა იურიდიული პირები, გარდა იმ საზოგადოებებისა, რომელთა მიზანი არ არის სამეწარმეო საქმიანობა.

1. დაფუძნების თავისუფლების შინაარსი

საქმე *The Queen v. Secretary of State for Transport, ex parte Factortame Ltd*²⁶⁴:

20. (...) ევროპული ეკონომიკური გაერთიანების ხელშეკრულების 52-ე მუხლის მიხედვით, დაფუძნების ცნება მოიცავს განუსაზღვრელი დროით ეკონომიკური საქმიანობის რეალურად განხორციელებას სხვა წვერი სახელმწიფოში მყარი დაწესებულების საშუალებით (...).

საქმე *Costa v. E.N.E.L.*²⁶⁵:

მოთხოვნილი განმარტების გაკეთებისას 53-ე მუხლი განხილულ უნდა იქნეს დაფუძნების უფლების შესახებ თავთან კავშირში, რომელშიც ისაა ასახული. იქ, უპირველესად, 52-ე მუხლში განერილია ერთი წვერი სახელმწიფოს ერთეულების მეორე წვერი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე თავისუფლად დაფუძნების შეზღუდვების თანდათანობითი გაუქმება; შემდეგ მოსდევს მას 53-ე მუხლის ნორმა, რომ „წვერი სახელმწიფოები საკუთარ სუვერენულ ტერიტორიაზე სხვა წვერი სახელმწიფოების ერთეულებისათვის დაფუძნების თავისუფლებაზე ახალ შეზღუდვებს“ არ დაანესებენ. შესაბამისად, უნდა დადგინდეს, თუ რა შინაარსი აქვს სხვა წვერი სახელმწიფოების ერთეულების დაფუძნების თავისუფლებას.

ამას ანესრიგებს 53-ე (2) მუხლი. ამ მუხლის მიხედვით, დაფუძნების თავისუფლება მოიცავს დამოუკიდებელი ანაზღაურებადი საქმიანობის დაწყებასა და განხორციელებას ისევე, როგორც სანარმოების დაფუძნებასა და ხელმძღვანელობას „მიმღებ სახელმწი-

²⁶³ იხ. 205-ე სქოლიო.

²⁶⁴ Judgment of the Court of 25 July 1991; *The Queen v Secretary of State for Transport, ex parte Factortame Ltd and others*; Case C-221/89; European Court reports 1991 Page I-03905.

²⁶⁵ იხ. მე-6 სქოლიო.

ფოში ამ სახელმწიფოს სამართალს დაქვემდებარებული ერთეულების მიმართ მოქმედი დებულებებით“. 53-ე მუხლი მოითხოვს მხოლოდ იმას, რომ სხვა წევრი სახელმწიფოების ერთეულების დაფუძნება არ უნდა ექვემდებარებოდეს უფრო მკაცრი ნორმების მქონე ახალ ღონისძიებებს, ვიდრე სახელმწიფოს შიდა ერთეულების დაფუძნება; ეს, სანარმოს სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ვრცელდება ყველაზე.

საქმე *Reinhard Gebhard*²⁶⁶:

საქმის ფაბულა: გერმანიის მოქალაქე ბატონ გებჰარდს 1977 წლიდან შტუტგარტში ადვოკატად მუშაობის ნებართვა ჰქონდა; მისი იტალიელი მეუღლე 1978 წლიდან ცხოვრობდა მილანში; სწორედ მილანში მუშაობდა ბატონი გებჰარდი ერთ-ერთ საადვოკატო ფირმაში ჯერ თანამშრომლად და შემდეგ პარტნიორად. 1989 წელს მან მილანში გახსნა საკუთარი საადვოკატო ფირმა „Avvocato“, სადაც თავის იტალიელ კოლეგებთან ერთად მუშაობდა. ამის გამო მის წინააღმდეგ დისციპლინური პროცედურა აღიძრა იმ მოტივით, რომ ის ამ დასახელებას იყენებდა არამართლზომიერად იტალიის კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ. ბატონი გებჰარდი ასაჩივრებდა, რომ იტალიამ დაარღვია ევროკავშირის დირექტივა და შეზღუდა ის მომსახურების განწევის თავისუფლებაში. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა:

22. ამდენად, უნდა დადგინდეს, რომ მომსახურების თავისუფლების შესახებ თავის ნორმები დაფუძნების უფლების შესახებ თავის ნორმებთან მიმართებით სუბსიდიურია, პირველი, რადგან 59-ე მუხლის პირველი აბზაცი თავისი შინაარსით, განაპირობებს, რომ შესაბამისი მომსახურების გამწევი და მიმღები სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში არიან „დაფუძნებულები“, და, მეორე, რადგან მე-60 მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით, მომსახურების შესახებ დებულებები გამოიყენებიან მხოლოდ მაშინ, როდესაც დაფუძნების უფლების შესახებ ნორმები არ გამოიყენება. ამგვარად, აუცილებელია, გადაისინჯოს „დაფუძნების“ ცნების მოქმედების არეალი.

ხელშეკრულების 52-ე-58-ე მუხლებში გათვალისწინებული დაფუძნების უფლება აქვთ როგორც იურიდიულ პირებს, 58-ე მუხლის მიხედვით, ასევე ფიზიკურ პირებს, რომლებიც გაერთიანების წევრი სახელმწიფოს მოქალაქეები არიან. გამონაკლისებისა და პირობების გათვალისწინებით ეს უფლება მოიცავს ყოველგვარი სახის დამოუკიდებელი საქმიანობის განხორციელებასა და დაწყებას, საწარმოების დაარსებასა და გაძლოლას და აგენტურების, ფილიალებისა თუ შვილობილი საწარმოების დაარსებას ნებისმიერ სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

შედეგად, პირი შეიძლება დაფუძნდეს ხელშეკრულების მიხედვით ერთზე მეტ წევრ სახელმწიფოში, და, კერძოდ, საზოგადოებების შემთხვევაში, აგენტურების, ფილიალებისა თუ შვილობილი საზოგადოებების დაარსებით და, როგორც ეს ევროპულმა სასამართლომ თავისუფალ პროფესიაში დასაქმებული პირების შემთხვევაში აღნიშნა, მეორე პროფესიული ადგილის დაარსებით (შეადარეთ 1984 წლის 12 ივლისის განაჩენი საქმეზე 107/83, *Klopp*, 1984 წლის კრებული, 2971, მე-19 პუნქტი).

21. დაფუძნების ცნება, ხელშეკრულების მიხედვით, არის ძალზე ფართო, რომელიც გულისხმობს გაერთიანების მოქალაქის შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს სტაბილურად და განგრძობადი ფორმით სხვა წევრი სახელმწიფოს, და არა თავისი წარმოშობის ქვეყნის, ეკონომიკურ ცხოვრებაში და აქედან მიიღოს სარგებელი, რომლითაც გაერთიანების შიგნით წახალისებულ იქნება დამოუკიდებელი საქმიანობების სფეროში ეკონომიკური და სოციალური ურთიერთკავშირი (შეადარეთ 1974 წლის 21

²⁶⁶ Judgment of the Court of 30 November 1995; Reinhard Gebhard v Consiglio dell'Ordine degli Avvocati e Procuratori di Milano; Case C-55/94; European Court reports 1995 Page I-04165.

იენისის განაჩენი საქმეზე 2/74, *Reyners*, 1974 წლის კრებული, 631, 21-ე პუნქტი).

ამის საპირისპიროდ მომსახურებების შესახებ თავის ნორმები, განსაკუთრებით ხელშეკრულების მე-60 მუხლის მე-3 აბზაცი ითვალისწინებს იმ შემთხვევას, რომელშიც მომსახურების გამწვევი სხვა წევრ სახელმწიფოში მიემგზავრება თავისი საქმიანობის დროებით განსახორციელებლად.

22. როგორც ეს თემა გენერალურმა ადვოკატმა წამოწია, სადავო საქმიანობის დროებითი ხასიათი უნდა შეფასდეს არა მომსახურების ხანგრძლივობის, არამედ მისი სიხშირის, რეგულარული განმეორებადობისა თუ განგრძობადობის გათვალისწინებით. მომსახურების დროებითი ხასიათი არ გამოირიცხავს ხელშეკრულების მიხედვით მომსახურების გამწვევის შესაძლებლობას, მიმღებ წევრ სახელმწიფოში აღიჭურვის გარკვეული ინფრასტრუქტურით (ბიუროს, საექიმო კაბინეტებისა თუ ოფისების ჩათვლით), თუ ეს ინფრასტრუქტურა საჭიროა სადავო მომსახურების განწვეისათვის.

22. ეს სიტუაცია განსხვავდება ბატონი გებჰარდის სიტუაციისაგან, რომელიც, როგორც სხვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქე, სტაბილურ და განგრძობად პროფესიულ საქმიანობას ეწევა, რომელშიც ის პროფესიული ადგილმდებარეობიდან სხვასთან ერთად ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს ემსახურება. ეს მოქალაქე ექცევა დაფუძნების უფლების შესახებ თავის ნორმებში და არა მომსახურების შესახებ თავის ნორმებში.

საქმე *Daily Mail*²⁶⁷:

საქმის ფაბულა: ბრიტანული სამართლით დაარსებულ და დარეგისტრირებულ ჰოლდინგ „Daily Mail“-ს წესდებით გათვალისწინებული სათავო ოფისი ჰქონდა ბრიტანეთში. მაგრამ საგადასახადო საფუძვლებიდან გამომდინარე, სურდა სათავო ოფისის ნიდერლანდებში გადატანა ისე, რომ შეენარჩუნებინა ბრიტანული სამართლით მინიჭებული ბრიტანული იურიდიული პირის სტატუსი. ბრიტანული სამართლის მიხედვით, სათავო ოფისის გადატანა დაიშვებოდა, თუმცა საგადასახადო საფუძვლებიდან გამომდინარე, საჭირო იყო ფინანსთა სამინისტროს თანხმობა. ფინანსთა სამინისტრომ კი ასეთი თანხმობა არ გასცა, რაც კომპანიამ გაასაჩივრა. შედეგად, ეროვნულმა სასამართლომ ევროპულ სასამართლოს მიმართა შეკითხვით – დაფუძნების თავისუფლება ართმევა თუ არა წევრ სახელმწიფოს უფლებას, საკუთარი სამართლით დაარსებული საზოგადოების სათავო ოფისის გადატანა საკუთარ თანხმობაზე გაეხადა დამოკიდებული.

16. მართალია, ამ დებულებებმა თავისი ჩამოყალიბების მიხედვით, უნდა უზრუნველყოს მიმღებ წევრ სახელმწიფოში, განსაკუთრებით, მისი მოქალაქეების მსგავსი მოპყრობა, თუმცა ის ასევე უკრძალავს წარმოშობის ქვეყანას, საკუთარი მოქალაქისა თუ თავისი სამართლით დაარსებულ, 58-ე მუხლის მიხედვით, პირს შეუშალოს ხელი სხვა წევრ სახელმწიფოში დაფუძნების პროცესში. (...)

17. საზოგადოება ახორციელებს დაფუძნების უფლებას, ზოგადად, აგენტურების, ფილიალებისა თუ შვილობილი საზოგადოებების დაარსებით, როგორც ეს ნათლადაა გათვალისწინებული 52-ე მუხლის პირველი აბზაცის მე-2 წინადადებაში. ასე დაფუძნდა მომჩივანი, როდესაც მან ნიდერლანდებში გახსნა ინვესტიციების საკონსულტაციო ბიურო. გარდა ამისა, საზოგადოებას შეუძლია გამოიყენოს დაფუძნების უფლება მაშინ, როდესაც ის მონაწილეობს სხვა წევრ სახელმწიფოში საზოგადოების დაარსებაში; ახალი საზოგადოების კაპიტალში მონაწილეობის საკითხში ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 221-ე მუხლი უზრუნველყოფს ისეთ მოპყრობას,

²⁶⁷ Judgment of the Court of 27 September 1988; *The Queen v H. M. Treasury and Commissioners of Inland Revenue, ex parte Daily Mail and General Trust plc*; Case 81/87; European Court reports 1988 Page 05483.

როგორც ეს შიდასახელმწიფო პირებისათვისაა გარანტირებული.

18. ამ სასამართლო პროცესში სადავო ბრიტანული სამართლებრივი ნორმა არანაირად არ ზღუდავს ასეთი დაფუძნების უფლებას. ის არ აბრკოლებს ასევე ბრიტანული სამართლის საზოგადოების კაპიტალის ნაწილობრივ თუ სრულ გადატანას სხვა წევრ სახელმწიფოში ახალდაარსებულ საზოგადოებაზე, შესაბამის შემთხვევაში ბრიტანული საზოგადოების ლიკვიდაციისა და ამით საგადასახადო ანგარიშის დასრულების შემდეგ. ფინანსთა სამინისტროს თანხმობა გათვალისწინებულია მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, როდესაც ამ საზოგადოებას თავისი სამართლებრივი ბუნების შენარჩუნებით და ბრიტანული სამართლის საზოგადოების სახით სურს სათავო ოფისის გაერთიანებული სამეფოდან გადატანა.

19. ფიზიკური პირებისაგან განსხვავებით, საზოგადოებები სამართლებრივი წესრიგის საფუძველზე, გაერთიანების სამართლის არსებული მდგომარეობით ეროვნული სამართლებრივი წესრიგის მიხედვით ფუძნდებიან. იმ ეროვნული სამართლებრივი წესრიგის მიღმა, რომელიც მათ დაარსებასა და არსებობას არეგულირებს, ამ საზოგადოებებს ნამდვილობა არ გააჩნიათ.

20. არსებითი განსხვავებები არსებობს წევრ სახელმწიფოთა სამართალს შორის, იმის მიხედვით, თუ რა არის ეროვნულ ტერიტორიასთან საზოგადოების დაარსების დამაკავშირებელი, ასევე ეს განსხვავებები არსებობს ეროვნული სამართლით დაარსებული საზოგადოების შესაძლებლობებში, შეცვალოს ეს კავშირი. ამაზე მიუთითა კომისიამ. გარკვეული სახელმწიფოების სამართლის მიხედვით, მათ ტერიტორიაზე უნდა იყოს არა მარტო წესდების მიხედვით განსაზღვრული სათავო ოფისი, არამედ საზოგადოების ფაქტობრივი ადგილი ანუ საზოგადოების ძირითადი მმართველობა; საზოგადოების ხელმძღვანელობის გადატანა ამ ტერიტორიიდან განაპირობებს საზოგადოების ლიკვიდაციას, რასაც შედეგად მოაქვს ლიკვიდაცია საზოგადოებრივ და საგადასახადო სამართლებრივ სფეროში. სხვა სახელმწიფოები საზოგადოებებს ანიჭებენ უფლებას, გადაიტანონ თავიანთი ძირითადი მმართველობა საზღვარგარეთ, მაგრამ ზოგიერთი წევრი სახელმწიფო, და მათ შორის გაერთიანებული სამეფოც, ამ უფლებას ზღუდავს; გადატანის სამართლებრივი შედეგები, განსაკუთრებით საგადასახადო სფეროში, წევრი სახელმწიფოების მიხედვით განსხვავდება.

21. ევროპული ეკონომიკური გაერთიანების ხელშეკრულება ამ განსხვავებებს ეროვნულ სამართალში ანგარიშს უწევს. საზოგადოებების განსაზღვრების დროს, რომელთა სასარგებლოდაცაა გათვალისწინებული დაფუძნების თავისუფლება, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 58-ე მუხლით ერთნაირადაა ყურადღება გამახვილებული საზოგადოების სანესდებო ადგილსამყოფელზე, ძირითადი მმართველობის ადგილსა და ძირითად ადგილსამყოფელზე, როგორც კონკრეტულ სამართალთან დამაკავშირებელ რგოლზე. აუცილებლობისას ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 220-ე მუხლი ითვალისწინებს წევრ სახელმწიფოებს შორის შეთანხმების დადებას იმისათვის, რომ სხვასთან ერთად უზრუნველყოფილ იქნეს სამართლებრივი სტატუსის შენარჩუნება ერთი წევრი სახელმწიფოდან სხვა წევრ სახელმწიფოში ადგილსამყოფელის გადატანისას. დღემდე ასეთი შეთანხმება ძალაში არ შესულა.

22. ასევე გაერთიანების შესახებ სამართლის კოორდინაციისათვის მიღებული დირექტივებიდან, რომლებიც ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 54-ე მუხლის მე-3 აბზაცის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზეა მიღებული, არც ერთი არ შეეხება ზემოაღნიშნულ განსხვავებებს.

23. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულება ამ განსხვავებებს, რომლებიც წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი წესრიგების საზოგადოებათა გარკვეულ წევრ სახელმწიფოებთან მაკავშირებელსა და, შესაბამისად, მათი წესდების მიხედვით განსაზღვრული ადგილსამყოფელის თუ ნამდვილი ადგილსამყოფელის სხვა წევრ სახელმწიფოში გადატანის მოდალობებს შეეხება, განიხილავს როგორც პრობლემას, რომლებიც დაფუძნების თავისუფლების შესახებ დებულებებით არ არის გადანყვეტილი, არამედ გადანყვეტას მოითხოვს სამართალწარმოებისა თუ ხელშეკრულების დადების გზით; ამგვარი რამ კი ჯერჯერობით მიგნებულ არ არის.

24. ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 52-ე და 58-ე მუხლები ეროვნული სამართლის საზოგადოებებს არ ანიჭებენ უფლებას, წევრი სახელმწიფოს სამართლით დაფუძნებული გაერთიანების სტატუსის შენარჩუნებით გადაიტანონ საკუთარი სათავო ოფისი სხვა წევრ სახელმწიფოში.

საქმე *Centros Ltd*²⁶⁸:

საქმის ფაბულა: დანიის მოქალაქეებმა, ქალბატონმა და ბატონმა ბრაიდებმა, დააარსეს, ბრიტანეთის სამართლის მიხედვით, იურიდიული პირი „Centros Ltd“, რომლის ადგილსამყოფელი, წესდების მიხედვით, იყო მათი მეგობრის სახლი. იურიდიულმა პირმა არანაირი საქმიანობა არ დაიწყო დიდ ბრიტანეთში, გარკვეული ხნის შემდეგ მათ მოითხოვეს ბრიტანეთის შესაბამის ორგანოებში „Centros“-ის ფილიალის შეტანა რეესტრში, რომელიც უნდა დაეარსებინათ დანიაში. დიდი ბრიტანეთის შესაბამისმა უწყებებმა ამაზე უარი უთხრეს იმ მოტივით, რომ ბრაიდების მიზანი „Centros“-ის ინგლისში დაარსებისას იყო დანიის სანესდებო კაპიტალზე მოთხოვნისათვის (რომელიც, არსებითად, მაღალი იყო, ვიდრე ბრიტანეთის სამართლით განსაზღვრული სანესდებო კაპიტალის მოცულობა) გვერდის ავლა. ამას არ უარყოფდნენ მომჩივანი მხარეები, მაგრამ ეყრდნობოდნენ ევროპული გაერთიანების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დაფუძნების თავისუფლებას, და ბრიტანეთის უწყებების გადანყვეტილებას, არ შეეტანათ რეესტრში დანიაში დასაარსებელი ფილიალის მონაცემები, მიიჩნევდნენ დაფუძნების თავისუფლების შეზღუდვად.

17. საქმის შემადგენლობა, რომლის დროსაც ერთი წევრი სახელმწიფოს სამართლით დაფუძნებულ საზოგადოებას სურს სხვა წევრ სახელმწიფოში ფილიალის დაარსება, ექცევა გაერთიანების სამართალში. არ აქვს მნიშვნელობა იმ ფაქტს, რომ საზოგადოება ერთ სახელმწიფოში დაარსდა ძირითადად მეორე სახელმწიფოში, ან მხოლოდ ამ მეორე სახელმწიფოში საქმიანობის განსახორციელებლად (შეადარეთ ამ მიზნით განაჩენი *Segers*, მე-16 პუნქტი).

18. ის, რომ მეუღლე ბრაიდებმა „Centros“-ი გაერთიანებულ სამეფოში იმ მიზნით დააარსეს, რათა თავიდან აეცილებინათ დანიური სამართლის მოთხოვნა მინიმალური კაპიტალის შესახებ, რაც არც წერილობით და არც ზეპირად მათ არ უარუყვიათ, არაფერს ცვლის იმაში, რომ დანიაში ფილიალის დაარსება ბრიტანული საზოგადოების მიერ ხელშეკრულების 52-ე მუხლისა და 58-ე მუხლით განსაზღვრულ დაფუძნების თავისუფლებაში ექცევა. ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 52-ე და 58-ე მუხლების გამოყენების საკითხი კერძოდ სხვაა, ვიდრე ის, წევრ სახელმწიფოს შეუძლია თუ არა მიიღოს ზომები იმისათვის, რომ საკუთარმა მოქალაქეებმა ევროპული გაერთიანების ხელშეკრულებით დადგენილი შეღავათების ბოროტად გამოყენებით ეროვნული სამართლის მოქმედებისათვის თავის

²⁶⁸ Judgment of the Court of 9 March 1999; *Centros Ltd v Erhvervs- og Selskabsstyrelsen*; Case C-212/97; European Court reports 1999 Page I-01459.

არიდება ვერ შეძლონ.

(...)

24. ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, წევრი სახელმწიფო, მართალია, უფლებამოსილია, მიიღოს ზომები, რათა მისმა ზოგიერთმა მოქალაქემ ევროპული გაერთიანების ხელშეკრულებით განსაზღვრული შესაძლებლობების ბოროტად გამოყენებით ეროვნული სამართლისათვის თავის არიდება ვერ შეძლოს; გაერთიანების სამართალზე ბოროტად გამოყენებით ან მოტყუებით დაყრდნობა აკრძალულია (...).

25. მართალია, ეროვნულ სასამართლოებს კონკრეტულ შემთხვევაში, გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით, ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე შეუძლიათ, მხედველობაში მიიღონ შესაბამის პირთა ქცევები, რომლებიც მიმართულია მოტყუებისა და ბოროტად გამოყენებისაკენ, და ასევე შეუძლიათ მათ გაერთიანების სამართალზე დაყრდნობის უფლება ჩამოართვან. მაგრამ მათ ასეთი ქცევის შეფასებისას უნდა დაიცვან სადავო დებულების მიზნები (...).

26. ამ შემთხვევაში ეროვნული ნორმები, რომელთა თავიდან აცილებაც აღნიშნულ პირებს სურდათ, არის დებულებები საზოგადოებების დაარსების შესახებ, და არა გარკვეული პროფესიული საქმიანობის განხორციელების შესახებ. დაფუძნების თავისუფლების შესახებ ხელშეკრულების ნორმების მიზანი არის სწორედ ის, რომ წევრი სახელმწიფოს სამართლით დაარსებულ საზოგადოებებს, რომლებსაც გაერთიანების ფარგლებში აქვთ საწესდებო ადგილსამყოფელი, ძირითადი მმართველობა ან ძირითადი ადგილსამყოფელი, ნება მისცენ, აგენტურის, ფილიალისა თუ შვილობილი საზოგადოების საშუალებით დასაქმდნენ სხვა წევრ სახელმწიფოებში.

27. ეს, როგორც ასეთი, არ არის დაფუძნების უფლების ბოროტად გამოყენება, როდესაც წევრი სახელმწიფოს მოქალაქე, რომელსაც სურს საზოგადოების დაარსება, აარსებს მას იმ წევრ სახელმწიფოში, რომლის საზოგადოებათა შესახებ ნორმები მას ყველაზე დიდ თავისუფლებას აძლევს, ხოლო სხვა წევრ სახელმწიფოში აარსებს ის ფილიალებს. წევრი სახელმწიფოს სამართლის მიხედვით, საზოგადოების დაფუძნების უფლება და სხვა წევრ სახელმწიფოში ფილიალის დაფუძნების უფლება უშუალოდ გამომდინარეობს შიდა ბაზარში ევროპული გაერთიანების ხელშეკრულებით გარანტირებული დაფუძნების თავისუფლებიდან.

საქმე *Überseering BV*²⁶⁹:

საქმის ფაბულა: მომჩივანი იყო ნიდერლანდების სამართლით დაფუძნებული იურიდიული პირი „*Überseering BV*“, რომელიც მინას ფლობდა დიუსელდორფში. მომჩივანმა მოპასუხე გერმანული საწარმო დაიქირავა გარკვეული სამუშაოების ჩასატარებლად, მაგრამ, რადგან ჩატარებული სამუშაოთი კმაყოფილი არ დარჩა, გადანყვიტა, ეჩივლა მისთვის სასამართლოში. გერმანულმა სასამართლოებმა საჩივარი არ მიიღეს, იმ მოტივით, რომ, გერმანული სამართლით, იურიდიული პირი ამ სტატუსს იღებს იმ სახელმწიფოს სამართლის მიხედვით, სადაც აქვს მას ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. გამომდინარე იქიდან, რომ ასეთი ადგილსამყოფელი, მათი აზრით, *Überseering*-ის შემთხვევაში იყო გერმანიაში და არა ნიდერლანდებში, მათ არ აღიარეს ის ნიდერლანდების სამეფოს იურიდიულ პირად. შესაბამისად, არ განიხილეს ის მხარედ, რადგან მას არ გააჩნდა არანაირი სტატუსი, რითაც შესაძლებელი იქნებოდა სასამართლოში მხარედ მონაწილეობა.

²⁶⁹ 5 November 2002 *Überseering BV and Nordic Construction Company Baumanagement GmbH (NCC)*; Case C-208/00.

დაფუძნების თავისუფლების შესახებ ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების დებულებების გამოყენება

52. გერმანიის, ესპანეთისა და იტალიის მთავრობების (...) მოსაზრების საპირისპიროდ უნდა განიმარტოს, რომ გაერთიანების სამართლის თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით, დაფუძნების თავისუფლების შესახებ გაერთიანების სამართლის ნორმების მოქმედების სფეროში ექცევა ის რეგულირებები, რომლებიც შეეხება ერთ წევრ სახელმწიფოში მართლზომიერად დაფუძნებულ საზოგადოებას და თუ ამ საზოგადოებას საწესდებო ადგილსამყოფელი ამ სახელმწიფოში აქვს, მაგრამ მეორე წევრი სახელმწიფოს სამართლით მიიჩნევა, რომ ამ მეორე სახელმწიფოში მოხდა საზოგადოების ფაქტობრივი ადგილსამყოფელის გადატანა მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებისათვის საზოგადოების ყველა წილის გადაცემის შემდეგ. (...)

55. განსაკუთრებით უნდა მიეთითოს იმაზე, რომ, მართალია, ხელშეკრულებებს, რომელთა დადებისკენაც უბიძგებს ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 293-ე მუხლი, და ასევე ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 44-ე მუხლში გათვალისწინებულ ჰარმონიზების დირექტივებს შეუძლიათ შეამსუბუქონ დაფუძნების თავისუფლების განხორციელება, მაგრამ ამ თავისუფლების გამოყენება არ შეიძლება დამოკიდებული იყოს ასეთი ხელშეკრულებების დადებაზე.

56. როგორც ევროპულმა სასამართლომ ეს სხვა შემთხვევაში უკვე აღნიშნა, დაფუძნების თავისუფლება, რომელსაც ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 43-ე მუხლი გაერთიანების მოქალაქეებისათვის ითვალისწინებს, მოიცავს დამოუკიდებელი შრომითი საქმიანობის დაწყებისა და განხორციელების უფლებას, ასევე საწარმოების შექმნისა და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლებას იმ დებულებების მიხედვით, რომლებიც დაფუძნების ადგილის სახელმწიფოში ამ სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის მოქმედებენ.

57. აქედან უშუალოდ გამომდინარეობს, რომ ამ საზოგადოებებს აქვთ უფლება, სხვა წევრ სახელმწიფოში განახორციელონ საქმიანობა. ამასთან, მათი საწესდებო ადგილსამყოფელი, მათი ძირითადი მმართველობა ან ძირითადი ადგილსამყოფელი გამოიყენება იმისათვის, რომ განისაზღვროს წევრი სახელმწიფოს სამართლებრივ წესრიგთან კავშირი, ისევე, როგორც ფიზიკური პირების შემთხვევაში გამოიყენება მათი მოქალაქეობა. (...)

59. დაფუძნების თავისუფლებით სარგებლობის მოთხოვნის უფლება გამომდინარეობს ყველა იმ წევრი სახელმწიფოს მიერ ამ საზოგადოებების სტატუსის სავალდებულო აღიარებიდან, რომელშიც ამ საზოგადოებებს სურთ დაფუძნდნენ.

60. ამდენად, არ არის აუცილებელი, წევრმა სახელმწიფოებმა დადონ ორმხრივი შეთანხმებები საზოგადოებათა აღიარების შესახებ, რათა ამ საზოგადოებებს, რომლებიც 48-ე მუხლში დასახელებულ წინაპირობებს ასრულებენ, შეეძლოთ დაფუძნების თავისუფლებით სარგებლობა, რაც მათ გარდამავალი პერიოდის გასვლის შემდეგ ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების უშუალოდ მოქმედი 43-ე და 48-ე მუხლებით აქვთ მინიჭებული. შედეგად, ამ მუხლების სრული ეფექტურობის შეზღუდვის გამამართლებელი საფუძველი არ შეიძლება იქიდან გამომდინარეობდეს, რომ დღემდე ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 293-ე მუხლის საფუძველზე დადებული არ არის საზოგადოებების აღიარების შესახებ ორმხრივი ხელშეკრულებები.

61. მეორე, უნდა განვიხილოთ არგუმენტი, რომელიც ევროპული სასამართლოს განხ-

ილვის ეპიცენტრში იყო და რომელიც *Daily Mail and General Trust PLC*-ის განაჩენს ემყარება. ეს არგუმენტი განხილულ უნდა იქნეს იმდენად, რამდენადაც საჭიროა *Daily Mail and General Trust PLC*-ის განაჩენებში არსებული სიტუაციის შედარება საქმის ამ კონკრეტულ შემადგენლობასთან. კერძოდ, იმ მდგომარეობასთან, რომელსაც გერმანული სამართალი სხვა წევრი სახელმწიფოს სამართლით დაარსებული საზოგადოების სამართალუნარიანობისა და ქმედუნარიანობის დაკარგვას უკავშირებს.

62. ამდენად, უნდა მიეთითოს იმაზე, რომ *Daily Mail and General Trust PLC*-ის განაჩენი საზოგადოებასა და მისი დაფუძნების ადგილის წევრ სახელმწიფოს შორის ურთიერთობებს იმ შემთხვევაში შეეხება, რომელშიც საზოგადოებას სხვა წევრ სახელმწიფოში თავისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელის გადატანა დაფუძნების ადგილის სახელმწიფოს მიერ მინიჭებული სამართლებრივი სტატუსის დაცვით სურდა.

63. როგორც ნიდერლანდებისა და გაერთიანებული სამეფოს მთავრობები, ისევე კომისია და თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის სახელმძღვანელო ორგანო აცხადებს, *Überseering*-ს არასოდეს განუცხადებია, რომ სურდა ადგილსამყოფელის გერმანიაში გადატანა. არასოდეს დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ მისი სამართლებრივი არსებობა სანარმოს მთელი წილების გერმანიაში მცხოვრებ პირებზე გასხვისების შემდეგ დაფუძნების ადგილის სახელმწიფოს სამართლის მიხედვით. განსაკუთრებით არასოდეს გამხდარა ეს სანარმოს ლიკვიდაციის მიზეზი ნიდერლანდური სამართლის მიხედვით, რომლითაც მას არასოდეს შეუწყვეტია არსებობა.
(..)

65 საქმეში, რომლის მიხედვით ეს განაჩენი გამოიტანეს, გაერთიანებული სამეფოს სამართლით დაარსებულ საზოგადოება *„Daily Mail and General Trust PLC“*-ს, რომელსაც იქ როგორც სანესდებო, ასევე ფაქტობრივი ადგილსამყოფელი ჰქონდა, სურდა ფაქტობრივი ადგილსამყოფელის სხვა წევრ სახელმწიფოში გადატანა მისი სამართლებრივი სტატუსის ანუ ინგლისური სამართლის საზოგადოების სტატუსის დაცვით; ამისათვის საჭირო ნებართვა ბრიტანეთის უწყებებმა არ გასცა. მან ამ უწყებებს უჩივლა გაერთიანებული სამეფოს უზენაეს სასამართლოში და ასაჩივრებდა, რომ ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 52-ე-58-ე მუხლები მას ანიჭებდნენ უფლებას, გადაეტანა მმართველობის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი სხვა წევრ სახელმწიფოში წინასწარი ნებართვისა და სამართალსუბიექტობის დაკარგვის გარეშე.

66. ამ შემთხვევაში სხვაგვარად, ვიდრე ეს *Daily Mail and General Trust PLC*-ის საქმეშია, საკითხი არ დგას ისე, თუ როგორ უნდა მოექცეს წევრი სახელმწიფო სხვა წევრ სახელმწიფოში მართლზომიერად დაარსებულ საზოგადოებას, რომელიც პირველ წევრ სახელმწიფოში დაფუძნების თავისუფლებით სარგებლობს.
(...)

70. ამასთან, ევროპული სასამართლო იმის დადგენით შემოიფარგლა, რომ წევრი სახელმწიფოს სამართლით ხდება იმის შეფასება, შეუძლია თუ არა ამ სამართლით დაარსებულ საზოგადოებას, გადაიტანოს წესდებით განსაზღვრული ადგილსამყოფელი ან მართვის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი სხვა წევრ სახელმწიფოში ისე, რომ დაფუძნების ადგილის სახელმწიფოს სამართლებრივი წესრიგით მისთვის მინიჭებული სამართალსუბიექტობა არ დაკარგოს და ეროვნული სამართლებრივი ნორმებით მოხდეს ასეთი გადატანის მოდალობების დადგენა. აქედან გამომდინარე, მან დაასკვნა, რომ წევრ სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა, დაუდგინოს საკუთარი სამართლებრივი წესრიგით დაარსებულ საზოგადოებას, მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელის გადატანის

თვალსაზრისით შეზღუდვები, თუ მას სურს, ამ სახელმწიფოს სამართლით მისთვის მინიჭებული სამართალსუბიექტობა შეინარჩუნოს.

71. ევროპულმა სასამართლომ ამის საპირისპიროდ არ გამოხატა პოზიცია ისეთ საკითხზე, როგორც ამჯერად განიხილება. კერძოდ, მაშინ, როდესაც წევრი სახელმწიფოს სამართლით დაფუძნებული საზოგადოება სხვა წევრი სახელმწიფოს სამართლით მიჩნეულია ისეთ საზოგადოებად, რომელმაც საკუთარი მმართველობის ადგილსამყოფელი გადაიტანა სხვა სახელმწიფოში, ამ სხვა წევრ სახელმწიფოს შეუძლია თუ არა, უარი თქვას მისი სამართალსუბიექტობის აღიარებაზე, რომელიც დაფუძნების სახელმწიფოს სამართლებრივი წესრიგის მიხედვით მას აქვს მინიჭებული.

72. *Daily Mail and General Trust PLC*-ის შესახებ განაჩენის 23-ე პუნქტის ზოგადი შინაარსის მიუხედავად, ევროპულ სასამართლოს არ უნდოდა, წევრი სახელმწიფოებისათვის მიეცა შესაძლებლობა, საზოგადოებების შესახებ ეროვნულ სამართალზე გაეხადა დამოკიდებული სხვა წევრ სახელმწიფოში მართლზომიერად დაარსებული საზოგადოების მიერ საკუთარ სუვერენულ ტერიტორიაზე დაფუძნების თავისუფლების ფაქტობრივი გამოყენება, თუ ისინი მიიჩნევდნენ, რომ ამ საზოგადოებამ ფაქტობრივი ადგილსამყოფელი მის სუვერენულ ტერიტორიაზე გადაიტანა.

73. შედეგად *Daily Mail and General Trust PLC*-ის განაჩენიდან არ გამომდინარეობს, რომ დაფუძნების ადგილის წევრ სახელმწიფოში იმ საზოგადოების სამართალსუბიექტობის საკითხი დაფუძნების თავისუფლების შესახებ ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების დებულებებს არ ექვემდებარება, რომელიც წევრი სახელმწიფოს სამართლითაა დაარსებული და სხვა წევრი სახელმწიფოს სამართლით მიიჩნევა, რომ მან ფაქტობრივი ადგილსამყოფელი ამ წევრ სახელმწიფოში გადაიტანა.
(...)

95 პირველი შეკითხვის პასუხიდან გამომდინარეობს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც წევრი სახელმწიფოს სამართლით დაარსებული საზოგადოება, რომლის ტერიტორიაზეც მას სანესდებო ადგილსამყოფელი აქვს, სხვა წევრ სახელმწიფოში დაფუძნების თავისუფლებას იყენებს, მაშინ სხვა წევრი სახელმწიფო ვალდებულია, ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 43-ე და 48-ე მუხლების თანახმად, აღიაროს ამ საზოგადოების უფლებაუნარიანობა და სამართალსუბიექტობა, რომელსაც ეს საზოგადოება დაარსების ქვეყნის სამართლით ფლობს.

საქმე *Jean Reyners*²⁷⁰:

საქმის ფაბულა: ნიდერლანდიების მოქალაქე დაბადებული იყო ბელგიაში და იქ იზრდებოდა, ბელგიაში ისწავლა და დოქტორანტიურაც იქ დაამთავრა. როდესაც საადვოკატო მომსახურებაზე განაცხადი გააკეთა, მას, მოქალაქეობის საფუძვლიდან გამომდინარე, უარი უთხრეს. შესაბამისი ბელგიური ნორმების მიხედვით, მხოლოდ ბელგიის მოქალაქეს შეეძლო გაეწია საადვოკატო მომსახურება. უცხოელებს შეეძლოთ ასეთი საქმიანობის განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაცვალგების პრინციპზე დაყრდნობით მათი წარმოშობის ქვეყანა ანალოგიურ უფლებას მინიჭებდა ბელგიელებს საკუთარ ტერიტორიაზე.

42/43. 55-ე მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით, დაფუძნების უფლების შესახებ თავი არ გამოიყენება „იმ წევრ სახელმწიფოში ისეთ საქმიანობებზე, რომლებიც წევრ სახელმწიფოში მუდმივად ან ნაწილობრივ დაკავშირებულია საჯარო ხელისუფლების

²⁷⁰ Judgment of the Court of 21 June 1974; *Jean Reyners v Belgian State*; Case 2-74; European Court reports 1974 Page 00631.

განხორციელებასთან, (...)“ იმ არსებითი მნიშვნელობის გამო, რომელიც ხელშეკრულების ფარგლებში დაფუძნების თავისუფლებისა და სახელმწიფოს მოქალაქეების მსგავსი მოპყრობის პრინციპებს აქვთ, 55-ე მუხლის პირველი აბზაცში (ახლა ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 45-ე მუხლის პირველი აბზაცი) დაშვებული გამონაკლისები არ შეიძლება უფრო ფართოდ გამოიყენებოდეს, ვიდრე ამას მოითხოვს მიზანი, რომლისთვისაც ისინია გათვალისწინებული.

44/45. შემთხვევისათვის, თუ 52-ე მუხლში დასახელებული დამოუკიდებელი საქმიანობები გარკვეულ დავალებებთან არის დაკავშირებული, რომელიც საჯარო ხელისუფლების განხორციელებისას სრულდება, 55-ე მუხლის პირველმა აბზაცმა წევრ სახელმწიფოებს უნდა მისცეს შესაძლებლობა, ასეთ საქმიანობებთან არ დაუშვან უცხოელები. ამგვარად, სრულად იქნება დაცული სახელმწიფო მოთხოვნები, თუ უცხოელი მოქალაქეები, საბოლოოდ, ისეთი საქმიანობიდან შორს იქნებიან, რომლებიც, როგორც ასეთი, საჯარო ხელისუფლების განხორციელებაში უშუალო და სპეციფიკურ მონაწილეობას მიიღებენ.

46/47. 55-ე მუხლში დაშვებული გამონაკლისის განვრცობა მთლიანად ერთ პროფესიაზე მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ასეთი საქმიანობები ერთმანეთთან იმგვარად იქნებოდა დაკავშირებული, რომ შესაბამისი წევრი სახელმწიფოსათვის დაფუძნების ლიბერალიზაცია ვალდებულებას წარმოშობდა, უცხოელების მიერ საჯარო ხელისუფლების განხორციელება — თუნდაც დროებით — დაეშვა. ასეთი განვრცობა არ არის მისაღები, თუ თავისუფალი პროფესიის ფარგლებში ისეთი საქმიანობები, რომლებიც, შესაბამისად, საჯარო ხელისუფლების განხორციელებასთანაა დაკავშირებული, აღნიშნული პროფესიული საქმიანობის ისეთი ნაწილი იქნება, რომლის გაცალკევება მთლიანისაგან შესაძლებელია.

48/50. 57-ე მუხლის მიხედვით, განსაკუთრებით ადვოკატის პროფესიისათვის მოქმედი ეროვნული ნორმების ჰარმონიზების შესახებ დირექტივის არარსებობისას ამ პროფესიის განხორციელება ცალკეული წევრი სახელმწიფოების სამართალს ექვემდებარება. 55-ე მუხლის პირველ აბზაცში გათვალისწინებული დაფუძნების თავისუფლების შეზღუდვებზე ნებისმიერი აპელირება განხილულ უნდა იქნეს, ამდენად, ყოველი წევრი სახელმწიფოსათვის ცალ-ცალკე შესაბამისი პროფესიული სტრუქტურისა და პროფესიული საქმიანობის შესახებ ეროვნული დებულებების მიხედვით. ამ შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ დაფუძნების თავისუფლების პრინციპიდან 55-ე მუხლით აღიარებულ გამონაკლისებს აქვთ გაერთიანების სამართლებრივი საზღვრები, რომლითაც თავიდან უნდა იქნეს აცილებული ამ სფეროში წევრი სახელმწიფოების ცალმხრივი ღონისძიებებით ხელშეკრულებისათვის პრაქტიკული ეფექტურობის ჩამორთმევა.

51/53. პროფესიული საქმიანობები, რომლებიც გულისხმობენ სასამართლოებთან ურთიერთობას, როგორც ასეთი, საჯარო ხელისუფლების განხორციელებაში არ მონაწილეობენ, როცა ისინი პერიოდულად, ორგანულად სასამართლო პროცესში არიან ჩართულნი და სასამართლოების დავალებათა შესრულებისას სავალდებულო თანამშრომლობას ახორციელებენ. განსაკუთრებით საადვოკატო პროფესიის ისეთი ტიპური საქმიანობები, როგორებიცაა სამართლებრივი კონსულტაცია და სამართლებრივი დახმარება, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ასეთი სახის მონაწილეობად, ისევე, როგორც დამკვეთის წარდგენა და დაცვა სასამართლოს წინაშე, მაშინაც კი, როდესაც ასეთი ჩართულობა ან დახმარება სავალდებულოა კანონით, ან მხოლოდ ადვოკატისთვისაა განწერილი, რადგან ამ ამოცანების განხორციელება სამართლებრივ შეფასებასა და მართლმსაჯულების უფლებამოსილების თავისუფალ განხორციელებას არ შეეხება (...).

2. დაფუძნების თავისუფლების დისკრიმინაციისა და საყოველთაო შეზღუდვის აკრძალვა

საქმე *Dieter Kraus*²⁷¹:

30. 48-ე და 52-ე მუხლები ადგენენ, რომ დასაქმებულის გადაადგილებისა და დაფუძნების თავისუფლებები უნდა განხორციელდნენ გარდამავალი დროის დასრულებამდე, ამით ისინი გარკვეული შედეგის განხორციელების ნათლად განსაზღვრულ ვალდებულებას ადგენენ, რომლის შესრულება, მართალია, გაერთიანების ღონისძიებებით შეიძლება შემსუბუქდეს, მაგრამ არ უნდა გახდეს დამოკიდებული რაიმე წინაპირობაზე. გარემოება, რომ ამგვარი ღონისძიებები ჯერ კიდევ არ არის მიღებული, არ აძლევს წევრ სახელმწიფოს უფლებას, ჩამოართვას გაერთიანებას დაქვემდებარებულ პირს ხელშეკრულებით მისთვის გარანტირებული თავისუფლებების განხორციელების უფლება.

31. გარდა ამისა, წევრი სახელმწიფოები ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-5 მუხლის მიხედვით, ვალდებული არიან, მიიღონ ზოგადი და კონკრეტული სახის საჭირო ღონისძიებები ამ ვალდებულებათა შესრულების მიზნით, რომლებიც ხელშეკრულებიდან გამომდინარეობენ, და არ უნდა განახორციელონ ისეთი ზომები, რომლებმაც, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნან ხელშეკრულების მიზნების განხორციელებას.

32. აქედან გამომდინარე, 48-ე და 52-ე მუხლებს ეწინააღმდეგება ნებისმიერი ეროვნული რეგულირება სხვა წევრ სახელმწიფოში მიღებული შემავსებელი აკადემიური ხარისხის ტარების წინაპირობების შესახებ, რომელიც, მართალია, მოქალაქეობის საფუძვლებიდან გამომდინარე არადისკრიმინირებადია, თუმცა შესაძლებელს ხდის, რომ გაერთიანების მოქალაქეების მიერ, ამ რეგულირების მიმღები წევრი სახელმწიფოს მოქალაქეების ჩათვლით, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულებით გარანტირებული ძირითადი თავისუფლებების განხორციელება დააბრკოლოს ან ნაკლებად მიმზიდველი გახადოს.²⁷²

3. გამამართლებელი საფუძვლები

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამამართლებელი საფუძვლები

საქმე *Commission v. Kingdom of Spain*²⁷³:

40. უსაფრთხოების დაცვის კომპანიებისა და დაცვის პერსონალისათვის კანონის მე-7 და მე-10 მუხლებით დაწესებული მოთხოვნა მოქალაქეობაზე გამორიცხავს, რომ სხვა სახელმწიფოს ერთეულებმა ან კომპანიებმა განახორციელონ კერძო დაცვა.

41. გარკვეულ პროფესიულ საქმიანობებთან დაშვების ამგვარი ზოგადი აკრძალვა გაუმართლებელია საჯარო წესრიგის, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საფუძვლებით, 48-ე მუხლის მე-3 აბზაცისა და ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების მე-5 მუხლის მიხედვით.

²⁷¹ Judgment of the Court of 31 March 1993; Dieter Kraus v Land Baden-Württemberg; Case C-19/92; European Court reports 1993 Page I-01663.

²⁷² დამატებით იხილეთ გვ. 164 და შემდეგი.

²⁷³ Judgment of the Court (Fifth Chamber) of 29 October 1998; Commission of the European Communities v Kingdom of Spain; Case C-114/97; European Court reports 1998 Page I-06717.

42. წევრი სახელმწიფოების უფლება, შეზღუდოს პირების თავისუფლად გადაადგილება საზოგადოებრივი წესრიგის, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საფუძვლებიდან გამომდინარე, მიზნად ისახავს არა ისეთი ეკონომიკური სფეროების, როგორცაა, მაგალითად, კერძო დაცვის სამსახურები, ამ პრინციპის გამოყენების სფეროდან ამოღებას, არამედ აძლევს წევრ სახელმწიფოებს საშუალებას, ჩამოართვან ასეთ პირებს მის სახელმწიფო ტერიტორიაზე შესვლისა და ყოფნის უფლება, თუ მათი ამ ტერიტორიაზე შესვლა და დარჩენა თავისთავად საჯარო წესრიგის, უსაფრთხოებისა თუ ჯანმრთელობის საფრთხეს ქმნის (...).

45. ეს წინაპირობა არ არის აუცილებელი აღნიშნულ წევრ სახელმწიფოში საჯარო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, და ამდენად არ ექცევა 56-ე მუხლის პირველი აბზაცის და, შესაბამის შემთხვევაში, ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 66-ე მუხლთან კავშირში გათვალისწინებულ გამონაკლისში.

46. კერძოდ, ამ გამამართლებელ საფუძველზე დაყრდნობა შესაძლებელია მაშინ, როდესაც სახეზეა რეალური და საკმარისად დიდი საფრთხე, რომელიც საზოგადოების ძირითად ინტერესს შეეხება (შეადარეთ, საჯარო წესრიგის თვალსაზრისით, განაჩენი *Bouchereau*, 35-ე პუნქტი).

47. ესპანეთის მთავრობის მოსაზრების საპირისპიროდ არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს, თითქოს ეს საფრთხე იმიტომ არსებობს, რომ სადავო ნორმის გარეშე ესპანეთის დანებსებულებები ვერ შეძლებენ კერძო დაცვის სამსახურების მიერ განხორციელებული საქმიანობების ეფექტურად გაკონტროლებას. წევრ სახელმწიფოში დაფუძნებული ყოველი სანარმოს გაკონტროლება შესაძლებელია მისი მმართველი პერსონალის საცხოვრებელი ადგილისაგან დამოუკიდებლად და ასევე შესაძლებელია მასზე სანქციების დაკისრებაც.

ბ) დაუნერგელი გამამართლებელი საფუძვლები:

საქმე *Jean Thieffry v. Conseil de l'ordre des avocats à la cour de Paris*²⁷⁴:

საქმის ფაბულა: ბელგიის მოქალაქემ, რომელიც ადვოკატი იყო, მოითხოვა პარიზის სააპელაციო სასამართლოში მისთვის საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისათვის უფლების მინიჭება. მას ამ მოთხოვნაზე უარი უთხრეს იმის გამო, რომ ის არ ფლობდა არც ფრანგულ დიპლომს და არც დოქტორებისათვის საფრანგეთის მიერ მინიჭებულ ხარისხს, თუმცა მას ჰქონდა საფრანგეთის უნივერსიტეტის მიერ აღიარებული სამართლის დოქტორის ნოდება, ასევე საადვოკატო საქმიანობის განხორციელების შესახებ სერტიფიკატი, რომელიც მან საფრანგეთში ჩაბარებული გამოცდის შედეგად მიიღო.

11/12. იმისათვის, რომ გამარტივდეს დამოუკიდებელი საქმიანობების დაწყება და განხორციელება, 57-ე მუხლი საბჭოს ავალდებულებს, მიიღოს ღირექტივა, ერთი მხრივ, გამოცდების სერტიფიკატების აღიარების შესახებ და, მეორე მხრივ, დამოუკიდებელი საქმიანობების დაწყებისა და განხორციელების შესახებ წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი და ადმინისტრაციული ნორმების კოორდინაციის მიზნით. ამ მუხლმა შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს დაფუძნების თავისუფლება საყოველთაო ინტერესით გამართლებულ პროფესიულ რეგულირებებთან, კერძოდ: ორგანიზებულობის, კვალიფიკაციის, პროფესიული ეთიკის, კონტროლის, ვალდებულებისა და პასუხისმგებლობის შესახებ ნორმები, იმ პირობით, რომ ისინი დისკრიმინაციის გარეშე გამოიყენებან.

²⁷⁴ Judgment of the Court of 28 April 1977; *Jean Thieffry v Conseil de l'ordre des avocats à la cour de Paris*; Case 71-76; European Court reports 1977 Page 00765.

13/14. ხელშეკრულების 54-ე მუხლის მიხედვით, 1961 წლის 18 დეკემბერს მიღებული „დაფუძნების თავისუფლების შეზღუდვების გაუქმების ზოგად პროგრამაში“ საბჭომ გამოხატა მისწრაფება, რომ უნდა აღმოიფხვრას არა მარტო აშკარა დისკრიმინაციები, არამედ ასევე დისკრიმინაციის ყველა ფარული ფორმა; შეზღუდვებად, რომლებიც უნდა აღმოიფხვრან, დაასახელა მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეთავში ყველა ის პირობა „რომლებზეცაა დამოკიდებული დამოუკიდებელი საქმიანობის დაწყება თუ განხორციელება სამართლებრივი ან ადმინისტრაციული ნორმის, ანდა ადმინისტრაციული პრაქტიკის საფუძველზე, თუ ეს წინაპირობები, მართალია, მოქალაქეობისაგან დამოუკიდებლად მოქმედებენ, მაგრამ ამ მომსახურების განწევაში, ძირითადად ან მხოლოდ, უცხოელებს უშლიან ხელს“ (1962 წლის ოფიციალური გამოცემა, 36-ე გვერდი). დაფუძნების თავისუფლების შეზღუდვის გაუქმების თვალსაზრისით მიღებული პროგრამა ხელშეკრულების შესაბამისი დებულებების განხორციელებისათვის საჭირო მომენტებზე ამახვილებს ყურადღებას.
(...)

15/18. ყველა დასახელებული დებულებიდან გამომდინარეობს, რომ პროფესიული რეგულირებების გათვალისწინებით, რომლებიც საყოველთაო ინტერესებითაა გამართლებული, დაფუძნების თავისუფლება განეკუთვნება ხელშეკრულების მიზნებს. თუ ამის შესახებ თავად გაერთიანების სამართალი არაფერს ადგენს, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ამ მიზნის განხორციელება წევრი სახელმწიფოების ღონისძიებებით ხდება. მათ აკისრიათ ვალდებულება, ხელშეკრულების მე-5 მუხლის მიხედვით, მიიღონ „ყველა ზოგადი თუ კონკრეტული სახის საჭირო ღონისძიება იმ ვალდებულებების შესრულებისათვის, რომლებიც გაერთიანების ორგანოთა მოქმედებებიდან ან ხელშეკრულებიდან გამომდინარეობენ“, და არ გაატარონ ისეთი ღონისძიებები, რომლებსაც „შეუძლიათ, საფრთხე შეუქმნან ხელშეკრულების მიზნების განხორციელებას“. 52-ე მუხლში გათვალისწინებული დაფუძნების თავისუფლების ფაქტობრივი გამოყენება, თუ ეს თავისუფლება შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს წევრ სახელმწიფოში საჯარო ადმინისტრაციის პრაქტიკის ან იქ მოქმედი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, ან პროფესიული ორგანიზაციის მიერ, არ შეიძლება გაერთიანების სამართალს დაქვემდებარებულ პირს მხოლოდ იმიტომ ჩამოერთვას, რომ ხელშეკრულების 57-ე მუხლში გათვალისწინებული დირექტივა გარკვეული პროფესიისათვის ჯერ კიდევ არ არის მიღებული. რადგან დაფუძნების თავისუფლების რეალური გამოყენება შესაძლებელია წარმართოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმებისა და პრაქტიკების გარემოებათა მიხედვით, კომპეტენტურმა საჯარო უწყებებმა, კანონით აღიარებული პროფესიული ორგანიზაციების ჩათვლით, უნდა უზრუნველყონ, დაფუძნების თავისუფლებების შესახებ ხელშეკრულების დებულებების ერთ-ერთი მიზნის შესაბამისად, ამ სამართლებრივი ნორმებისა და პრაქტიკების გამოყენება.

19. თავისუფლება, განსაკუთრებით, არამართლზომიერად შეიზღუდებოდა, თუ ხელშეკრულების გამოყენების სფეროში მოქცეული პირი, რომელიც ფლობს დაფუძნების ადგილის სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ თანაბარი ძალის მქონედ აღიარებულ საგამოცდო სერტიფიკატს და, ამის გარდა, ასრულებს ამ ქვეყანაში მოქმედ განსაკუთრებულ წინაპირობებს პროფესიული განათლების თვალსაზრისით, ამ წევრ სახელმწიფოში პროფესიულ საქმიანობას ვერ განახორციელებდა მხოლოდ იმიტომ, რომ არ ფლობს ამ ქვეყნის შესაბამის საგამოცდო სერტიფიკატს, რომელიც მისი საგამოცდო სერტიფიკატის თანაბარი ძალის მქონეა.

საქმე *Irène Vlassopoulou*²⁷⁵:

საქმის ფაბულა: საბერძნეთის მოქალაქე ირენე ვლასოპოლუმ საბერძნეთში დაამთავრა სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი და აიღო დიპლომი. აღნიშნული დიპლომით მას შეეძლო საბერძნეთში ადვოკატად ემუშავა. გარდა ამისა, სადოქტორო დაიცვა ტიუბინგენის უნივერსიტეტში, გერმანია. გარკვეული პერიოდის განმავლობაში პრაქტიკა გაიარა ასევე გერმანულ საადვოკატო ბიუროში, სადაც, ძირითადად, გერმანული სამართლით იყო დაკავებული. მას 1988 წელს უარი ეთქვა დამოუკიდებელი საადვოკატო მომსახურების განხორციელებაზე იმ მოტივით, რომ არ ჰქონდა სასამართლოს თანამდებობისათვის საჭირო მომზადება, რაც უნდა ჰქონოდა პირს, რომელსაც სურდა, გერმანიაში საადვოკატო მომსახურების განევა.

15. ამასთან, უნდა დადგინდეს, რომ ეროვნულმა საკვალიფიკაციო წინაპირობებმა, მაშინაც კი, როდესაც ისინი მოქალაქეობის საფუძვლებზე დისკრიმინაციის გარეშე გამოიყენებან, შეიძლება ისე იმოქმედონ, რომ სხვა წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეების ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 52-ე მუხლით გარანტირებული დაფუძნების უფლების განხორციელებას შეუშალონ ხელი. ეს შეიძლება მაშინ მოხდეს, როდესაც სადავო ეროვნული ნორმები არ ითვალისწინებს პირის მიერ სხვა წევრ სახელმწიფოში მიღებულ ცოდნასა და უნარებს.
(...)

16. წევრმა სახელმწიფომ, რომელსაც წარედგინა გარკვეულ პროფესიაზე დაშვების განაცხადი და რომლის დაკმაყოფილება, ეროვნული სამართლის მიხედვით, დიპლომისა თუ პროფესიული კვალიფიკაციის ფლობაზეა დამოკიდებული, პირის დიპლომები, საგამოცდო სერტიფიკატები თუ უნარების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები, რომლებიც მან მოიპოვა იმისათვის, რათა ეს პროფესია სხვა წევრ სახელმწიფოში განეხორციელებინა, ეროვნული სამართლით ისე უნდა განიხილოს, რომ შეადაროს ამ დიპლომებით დადასტურებული საგნის ცოდნა ეროვნული სამართლით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს.

17. ამ საგამოცდო პროცედურამ მიმღები წევრი სახელმწიფოს დაწესებულებას უნდა მისცეს შესაძლებლობა, ობიექტურად დაადგინოს, ადასტურებს თუ არა უცხოური დიპლომი მისი მფლობელის იმ ცოდნასა და უნარებს, როგორსაც შიდასახელმწიფო დიპლომი ითვალისწინებს, ან, სულ მცირე, ადასტურებს თუ არა ის შიდასახელმწიფო დიპლომის ანალოგიურ ცოდნასა და უნარებს. საზღვარგარეთის დიპლომის თანაბრობის შეფასება მხოლოდ იმით უნდა მოხდეს, თუ რა მასშტაბის ცოდნისა და უნარების ფლობის ვარაუდია შესაძლებელი ამ დიპლომის მფლობელის მიმართ სწავლის სახისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით და პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, რომელსაც ის შეეხება. (...).

18. თუმცა ამ გადამონმების ფარგლებში წევრმა სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს ის ობიექტური განსხვავებები, რომლებიც არსებობენ წარმოშობის ქვეყანაში, როგორც სადავო პროფესიის სამართლებრივი ჩარჩოების კუთხით, ისე ამ პროფესიის სფეროს თვალსაზრისით. საადვოკატო პროფესიის შემთხვევაში, წევრ სახელმწიფოს შეუძლია, დიპლომების შედარება მოახდინოს შესაბამის ეროვნულ სამართლებრივ სისტემებს შორის არსებული განსხვავებების გათვალისწინებით.

²⁷⁵ Judgment of the Court of 7 May 1991; *Irène Vlassopoulou v Ministerium für Justiz, Bundes- und Europaangelegenheiten Baden-Württemberg*; Case C-340/89; European Court reports 1991 Page I-02357.

19. თუ ამ შედარების შედეგად დადგინდა, რომ საზღვარგარეთის დიპლომით დამონმებული ცოდნა და უნარები შეესაბამება ეროვნული სამართლებრივი ნორმების მოთხოვნებს, მაშინ წევრმა სახელმწიფომ უნდა აღიაროს, რომ ეს დიპლომი ასრულებს ამ ნორმებით დაწესებულ წინაპირობებს. თუ ამის საწინააღმდეგოდ, შედარებიდან გამომდინარეობს, რომ ეს ცოდნა და უნარები მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება ერთმანეთს, მაშინ მიმღებ წევრ სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს შესაბამისი პირისაგან ცნობა, რომ მას აქვს ასეთი დამატებითი ცოდნა და უნარები.

20. ამდენად, კომპეტენტურმა ეროვნულმა უწყებებმა უნდა შეაფასონ, საკმარისია თუ არა მიმღებ წევრ სახელმწიფოში სწავლისა თუ პრაქტიკული გამოცდილების ფარგლებში მიღებული ცოდნა იმ ცოდნის მიღების დასტურად, რომელიც, დიპლომის მიხედვით, ამ პირს აკლია.
(...)

22. შედეგად, იმაზე უნდა მიეთითოს, რომ ეროვნული უწყებების მიერ საზღვარგარეთის დიპლომით დადასტურებული ცოდნისა და უნარების შედარების პროცედურა უნდა შეესაბამებოდეს მიმღები წევრი სახელმწიფოს სამართლით დადგენილ პროცედურას, რომელიც შესაბამისი უნდა იყოს გაერთიანების სამართლის მოთხოვნებისა, გაერთიანების მოქალაქეებისათვის ხელშეკრულებით მინიჭებული ძირითადი თავისუფლებების ეფექტურად დაცვის მიზნით. ამიტომ, გაერთიანების სამართლის მიხედვით, ყოველი გადაწყვეტილების გადასინჯვა მის მართლზომიერებაზე სასამართლო გზით შესაძლებელი უნდა იყოს და აღნიშნულმა პირმა უნდა იცოდეს იმ საფუძვლების შესახებ, რომელსაც მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება ეყრდნობა (...).

საქმე *Reinhard Gebhard*²⁷⁶:

35. დამოუკიდებელი საქმიანობის დაწყება და განხორციელება შესაძლებელია, დამოკიდებული იყოს გარკვეულ საყოველთაო ინტერესებით გამართლებული სამართლებრივი და ადმინისტრაციული ნორმების დაცვაზე, მაგალითად, როგორცაა ორგანიზებულიობის, კვალიფიკაციის, პროფესიული ეთიკის, კონტროლის, ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის შესახებ ნორმებზე (...). ამ დებულებებმა შესაძლოა, განსაკუთრებით, გაითვალისწინონ, რომ სპეციფიკური საქმიანობის განხორციელების უფლება, გარემოების მიხედვით, შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ დიპლომის, საგამოცდო სერტიფიკატისა და სხვა ცნობების მფლობელებს, გარკვეული პროფესიების მქონე პირებს და იმ პირებს, რომლებიც გარკვეულ წესრიგს ან კონტროლს ექვემდებარებიან. მათ შეიძლება დაუწესონ დასახელებათა გამოყენებისათვის, მაგალითად, როგორცაა „Avvocato“, გარკვეული წინაპირობები.

36. თუ ასეთი სპეციფიკური საქმიანობის დაწყება ან განხორციელება მიმღებ წევრ სახელმწიფოში ასეთ წინაპირობებს ექვემდებარება, მაშინ სხვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქეები, რომლებსაც უნდათ ასეთი საქმიანობის განხორციელება, ძირითადად, ამ პირობებს უნდა ასრულებდნენ. ამიტომ 57-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ საბჭო გამოსცემს დირექტივებს (...) დიპლომების, საგამოცდო სერტიფიკატებისა და სხვა ცნობების, ასევე დამოუკიდებელი საქმიანობების დაწყებისა და განხორციელების შესახებ ეროვნული დებულებების კოორდინაციისათვის.

²⁷⁶ იხ. 266-ე სქოლიო.

37. ევროპული სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარეობს, რომ ეროვნული ღონისძიებები, რომლებსაც შეუძლიათ დააბრკოლონ ან ნაკლებად მიზიდველი გახადონ ხელშეკრულებით გარანტირებული ძირითადი თავისუფლებების განხორციელება, უნდა ასრულებდნენ ოთხ წინაპირობას: ისინი არადისკრიმინაციულად უნდა გამოიყენებოდნენ, გამართლებული უნდა იყვნენ საყოველთაო ინტერესის სავალდებულო საფუძვლებით, უნდა გამოდგებოდნენ იმისათვის, რათა უზრუნველყონ დასახული მიზნის მიღწევა და არ უნდა სცილდებოდნენ იმ საზღვრებს, რაც აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად (შეადარეთ 1993 წლის 31 მარტის განაჩენი საქმეზე *C-19/92, Kraus*, 1993 წლის კრებული, I-1663, 32-ე პუნქტი).

38. ასევე, ნევრმა სახელმწიფოებმა მათი ეროვნული ნორმების გამოყენებისას არ უნდა დატოვონ უყურადღებოდ ის ცოდნა და კვალიფიკაცია, რომელიც აღნიშნულ პირს სხვა ნევრ სახელმწიფოებში უკვე აქვს მიღებული (შეადარეთ 1991 წლის განაჩენი საქმეზე *C-340/89, Vlassopoulou*, 1991 წლის კრებული, I-2357, მე-15 პუნქტი). მათ უნდა გაითვალისწინონ დიპლომების თანაბრობა (შეადარეთ განაჩენი საქმეზე *Thieffry*, მე-19 და 27-ე პუნქტები) და შესაბამის შემთხვევაში მათ ეროვნულ ნორმებში მოთხოვნილი ცოდნისა და კვალიფიკაციის შედარება უნდა მოახდინონ აღნიშნული პირის ცოდნასა და კვალიფიკაციასთან (შეადარეთ განაჩენი საქმეზე *Vlassopoulou*, მე-16 პუნქტი).

IV. მომსახურების თავისუფლება:

აღნიშნული თავისუფლება სუბსიდიურია, რაც ნიშნავს იმას, რომ თუ შემადგენლობა არ ექცევა საქონლის, პირების გადაადგილებისა და კაპიტალის გადაადგილების თავისუფლებაში, მაშინ გამოიყენება მომსახურების თავისუფლება²⁷⁷.

საქმე *Reisebüro Broede v. Gerd Sandker*²⁷⁸:

18. გერმანიის მთავრობა და კომისია, უპირველესად, განიხილავენ იმ საკითხს, შეეხება წარმოდგენილი შეკითხვა დაფუძნების თუ მომსახურების თავისუფლებას. (...)

19. მომსახურების შესახებ თავის ნორმები დაფუძნების უფლების შესახებ თავთან მიმართებით სუბსიდიურია (1995 წლის 30 ნოემბრის განაჩენი საქმეზე *C-55/94, Gebhard*, 1995 წლის კრებული, I-4165, 22-ე პუნქტი).

20. ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 52-ე-58-ე მუხლების ნორმების მიხედვით, დაფუძნების ცნება ძალზე ფართოა; ის მოიცავს გაერთიანების წევრების შესაძლებლობას, სტაბილურად და განგრძობადად მიიღონ მონაწილეობა სხვა ნევრი სახელმწიფოს ეკონომიკურ ცხოვრებაში, ვიდრე წარმოშობის ქვეყნისა და აქედან მიიღონ სარგებელი, რითაც გაერთიანების შიგნით დამოუკიდებელი საქმიანობების სფეროში წახალისდება ეკონომიკური და სოციალური კავშირები (განაჩენი *Gebhard*, 25-ე პუნქტი).

21. ამის საპირისპიროდ, მომსახურებების შესახებ თავის ნორმები, განსაკუთრებით ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების მე-60 მუხლი ითვალისწინებს, რომ მომსახურების გამწევი თავის საქმიანობას დროებით სხვა ნევრ სახელმწიფოში ახორციელებს. საქმიანობის დროებითი ხასიათი არ გამორიცხავს შესაძლებლობას, მომსახურების გამწევი გარკვეული ინფრასტრუქტურით იყოს აღჭურვილი, როგორებიცაა: ბიურო, სამედი-

²⁷⁷ აღნიშნულზე იხილეთ ასევე დაფუძნების თავისუფლების თავში

²⁷⁸ Judgment of the Court (Fifth Chamber) of 12 December 1996; *Reisebüro Broede v Gerd Sandker*; Case C-3/95; European Court reports 1996 Page I-06511.

ცინო კაბინეტი ან ოფისი, თუ ეს ინფრასტრუქტურა სადავო მომსახურების განწესათვის არის აუცილებელი (განაჩენი საქმეზე *Gebhard*, 26-ე და 27-ე პუნქტები).

22. მომმართველი სასამართლოს საქმეა ხანგრძლივობის, პერიოდულობისა და საქმიანობის განგრძობადობის გათვალისწინებით გადასინჯოს, ახორციელებს თუ არა ის გერმანიაში საქმიანობას დროებით ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების მიხედვით.

საქმე *Giuseppe Sacchi*²⁷⁹:

საქმის ფაბულა: იტალიის სამართლის მიხედვით, ტელევიზია იყო ბუნებრივი მონოპოლია, რომელსაც გარკვეული იურიდიული პირი წარმოადგენდა და რომლის უფლებაც მას სახელმწიფოსაგან ჰქონდა მინიჭებული. ბატონ სარის ჰქონდა კერძო ტელევიზია, რომელიც სახელმწიფოს მიერ არ იყო ნებადართული. მას შემდეგ, რაც მან უარი განაცხადა გადასახადების გადახდაზე, მის წინააღმდეგ საქმე აღიძრა. მან სატელევიზიო გადაცემების გაშვების აკრძალვა როგორც იტალიაში, ასევე საზღვარგარეთის ტელევიზიებში მიიჩნია გაერთიანების სამართლის დარღვევად.

6. საწინააღმდეგო ხელშეკრულების დებულებების არარსებობის გამო სატელევიზიო გადაცემების, მათი ბუნებიდან გამომდინარე, მომსახურებებად მიჩნევა უპრიანია. მართალია, არ გამოირიცხება, რომ, როგორც წესი, გასამრჯელოს საფუძველზე განეული მომსახურებები საქონლის თავისუფლად მოძრაობის შესახებ დებულებებში ექცევიან. თუმცა ეს მხოლოდ მე-60 მუხლის მიხედვით, მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუ ისინი ამ დებულებებს ექვემდებარებიან, და სატელევიზიო გადაცემების გაშვება, როგორც ასეთი, სარეკლამო მიზნების ჩათვლითაც, ექცევა მომსახურებების შესახებ ხელშეკრულების ნორმების მოქმედების სფეროში.

საქმე *Rush Portuguesa*²⁸⁰:

10. წარმოდგენილი შეკითხვები (...) შეეხება ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 59-ე და მე-60 მუხლებით გარანტირებული მომსახურების თავისუფლად გადაადგილებისა და მისაერთებელი აქტების 215-ე და შემდგომ მუხლებში გათვალისწინებული მუშახელის თავისუფლად გადაადგილებიდან გამონაკლისების ურთიერთმიმართების პრობლემას.

11. ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 59-ე მუხლში გათვალისწინებული მომსახურების თავისუფლად გადაადგილება, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-60 მუხლის შინაარსის მიხედვით, ნიშნავს, რომ მომსახურების გამწვევს თავისი საქმიანობის განხორციელების მიზნით შეუძლია, დროებით თავისი საქმიანობა განახორციელოს იმ სახელმწიფოში, სადაც უნდა მოხდეს ამ მომსახურების განწევა, და კერძოდ „იმ წინაპირობებით, რომლებსაც ეს სახელმწიფო საკუთარი მოქალაქეებისათვის ითვალისწინებს“.

12. შედეგად, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 59-ე და მე-60 მუხლები წევრ სახელმწიფოს ხელს უშლის, სხვა წევრ სახელმწიფოში დაფუძნებული მომსახურების გამწვევს პირს აუკრძალოს მთელი თავისი პერსონალით თავისუფლად შემოსვლა პირველად დასახლებული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ან აღნიშნული პერსონალის შემოსვლა დამოკიდებული გახადოს რაიმე შემზღუდავ წინაპირობებზე, როგორებიცაა: პერსონალის ადგილზე დანიშვნის პირობა ან სამუშაო ნებართვის ქონის ვალდებულება. ასეთი წინაპირობების დაკისრებისას შესაძლოა, მიმღებ სახელმწიფოში

²⁷⁹ Judgment of the Court of 30 April 1974; *Giuseppe Sacchi*; Case 155-73.

²⁸⁰ Judgment of the Court of 27 March 1990; *Rush Portuguesa Lda v Office national d'immigration*; Case C-113/89; European Court reports 1990 Page I-01417.

დაფუძნებულ კონკურენტთან შედარებით, რომელსაც შეუძლია, საკუთარი პერსონალი დაუბროკლებლად იმსახუროს, სხვა წევრი სახელმწიფოს მომსახურების გამწვევის დისკრიმინაცია მოხდეს, და ამით მისი მომსახურების განწვევის უნარი შეილახოს (...).

14. მისაერთებელი აქტების 216-ე მუხლში გათვალისწინებული გამონაკლისი შეეხება 1612/68 რეგულაციის პირველ ნაწილს (დასაქმებასთან დაშვება). შიდასახელმწიფოებრივი თუ შეთანხმებაში არსებული დებულებები, რომლებიც ამ გამონაკლისის მოქმედების პერიოდში ძალაში რჩებიან, შეეხება შესვლის ნებართვასა და სახელფასო თუ საგასამრჯელო ურთიერთობებში საქმიანობებთან დაშვებას. აქედან გამომდინარეობს, რომ 216-ე მუხლის გამონაკლისი რეგულირება გამოიყენება, როდესაც საქმე პორტუგალიელი დასაქმებულის სხვა წევრი სახელმწიფოს სამუშაო ბაზარზე დაშვებას შეეხება, ასევე, როდესაც ეს შეეხება ასეთი პორტუგალიელი დასაქმებულისა და მისი ოჯახის წევრის შესვლასა და ქვეყანაში დარჩენას. ეს მოქმედება იმიტომაა გამართლებული, რომ ასეთ შემთხვევებში არსებობს მიმღები წევრი სახელმწიფოს სამუშაო ბაზრის ხელშეშლის საფრთხე.

15. სხვაგვარად ხდება იმ შემთხვევაში, როგორც ეს ამ სამართლებრივ დავაშია, თუ საქმე შეეხება დასაქმებულის ადგილის დროებით შეცვლას, რომელიც გაგზავნილია სხვა წევრ სახელმწიფოში, რათა მისი დამსაქმებლის მომსახურებების ფარგლებში სამშენებლო სამუშაოები განახორციელოს. ასეთი დასაქმებულები მათი ამოცანების შესრულების შემდეგ ბრუნდებიან თავიანთ წარმოშობის ქვეყანაში ისე, რომ არ გამოდიან მიმღები წევრი სახელმწიფოს სამუშაო ბაზარზე.

1. მომსახურების სახეები:

საქმე *Mellina Agosta Srl*²⁸¹:

საქმის ფაბულა: იტალიაში სამართლებრივი დავის დროს უცხოური ვალუტის კონტროლი ხდებოდა. მცხოვრებნი ვალდებულნი იყვნენ, სპეციალური სამსახურებისათვის საკუთარი ვალუტა გადაეცათ. უცხოეთში მიმავალთათვის კი ბანკები ამ პირებს აძლევდნენ 500000 ლირის ოდენობის უცხოურ ვალუტას. იტალიის მოქალაქეებს, ლუიზიასა და კარბონეს, სურდათ გერმანიასა და საფრანგეთში სამკურნალოდ და ასევე ტურისტული მიზნით წასვლა. მათ სხვადასხვა ბანკში მოაგროვეს ვალუტა, უფრო მეტი, ვიდრე დაშვებული იყო, რის გამოც დაეკისრათ მაღალი ჯარიმები. ეს გაასაჩივრეს მათ და აღნიშნეს, რომ ასეთი ქმედება კაპიტალისა და საგადასახადო საშუალებების მოძრაობის თავისუფლების შეზღუდვა იყო.

10. ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 59-ე მუხლის თანახმად, წევრი სახელმწიფოების იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც, მომსახურების მიმღები პირების სახელმწიფოს გარდა, გაერთიანების სხვა წევრ სახელმწიფოში ეწვიან მომსახურებას, მომსახურებათა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვები გაუქმებულია. მომსახურებისათვის ან ამ მომსახურების გამწვევი უნდა ჩავიდეს წევრ სახელმწიფოში, სადაც მომსახურების მიმღებია, ან მიმღები უნდა ჩავიდეს იმ წევრ სახელმწიფოში, სადაც მომსახურების გამწვევია. მაშინ როდესაც პირველი შემთხვევა მე-60 მუხლის მე-3 აბზაცში ნათლადაა გამოხატული, მეორე შემთხვევა მისი აუცილებელი შემავსებელი ნაწილია. მისი მიზანია, მოხდეს ყოველი ანაზღაურებადი საქმიანობის ლიბერალიზაცია, რომელიც არ ექცევა საქონლისა და კაპიტალის, ასევე პირთა გადაადგილების თავისუფლებაში. (...)

²⁸¹ Judgment of the Court of 5 October 1983; Ministero delle Finanze v Esercizio Magazzini Generali SpA and Mellina Agosta Srl; Joined cases 186 and 187/82.

13. მომსახურების თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვების გაუქმების შესახებ ზოგადი პროგრამის ავტორებმა ეს პროგრამა ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 106-ე მუხლის საფუძველზე შემუშავეს. ამით მათ ნათლად გამოხატეს, რომ ამას საგადასახადო საშუალების მიმოქცევაზე და მომსახურების მოძრაობის ლიბერალიზაციაზე ექნებოდა ზეგავლენა. ამ მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით, უნდა მოხდეს იმ გადასახადების ლიბერალიზება, რომლებიც შეეხებიან საქონლისა და მომსახურების მიმოქცევას, რამდენადაც ლიბერალიზებულია ნევრ სახელმწიფოებს შორის საქონლისა და მომსახურების მიმოქცევა.
(...)

16. აქედან გამომდინარეობს, რომ მომსახურების თავისუფალი მიმოქცევა მოიცავს ასევე მომსახურების მიმღების თავისუფლებას, წავიდეს სხვა ნევრ სახელმწიფოში მომსახურების მისაღებად ისე, რომ შეზღუდვებით — და ასევე საგადასახადო საშუალებების თვალსაზრისით — არ დაბრკოლდეს, და რომ ტურისტები, ისევე როგორც პირები, რომლებსაც სურთ სამედიცინო მომსახურების მიღება, და ისინი, ვინც სასწავლო და საქმიან ვიზიტებს ახორციელებენ, მიჩნეულ უნდა იქნენ მომსახურებების მიმღებებად.

2. დისკრიმინაციისა და შეზღუდვის აკრძალვა:

საქმე *Bond van Adverteerders and others v. The Netherlands State*²⁸²:

საქმის ფაბულა: სამართლებრივი დავის მოსარჩელები იყვნენ სარეკლამო გაერთიანება, სარეკლამო სააგენტოების, ასევე საკაბელო ქსელის ხელმძღვანელები, რომლებიც უცხოურ სატელევიზიო პროგრამებს მაუწყებლობდნენ. ეს პროგრამები გადასცემდნენ სპეციალურად ნიდერლანდების მაყურებლებისათვის რეკლამებს. ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, აკრძალული იყო უცხოური პროგრამების საშუალებით ნიდერლანდებში რეკლამებისა და მორბენალი სტრიქონების გაშვება. შიდასახელმწიფოებრივი მაუწყებლებსაც ეკრძალებოდათ რეკლამების გაშვება, მაგრამ მათ შეეძლოთ, გარკვეული ფონდისაგან შეეძინათ სარეკლამო დრო და ამგვარად გაეშვათ რეკლამები. ნიდერლანდების მთავრობა ამ რეგულირებას ამყარებდა იმით, რომ ამით ხელი ეშლებოდა კომერციული მიზნებისათვის საკაბელო არხის შექმნას. ეს ასევე ემსახურებოდა ნიდერლანდებში პლურალიზმისა და არაკომერციული შიდასახელმწიფოებრივი არხების შენარჩუნებას.

რეკლამის აკრძალვასთან დაკავშირებით

21. ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 59-ე მუხლის მიხედვით, მომსახურების თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა გარდამავალი დროის დასრულებამდე უნდა გაუქმდეს გაერთიანების შიგნით ნევრი სახელმწიფოების მოქალაქეებისათვის, რომლებიც საქმიანობენ გაერთიანების მომსახურების მიმღები სახელმწიფოს გარდა სხვა სახელმწიფოში.

22. ისეთი სარეკლამო აკრძალვა, როგორსაც შეიცავს საკაბელო რეგულირება, არის მომსახურების თავისუფლად მოძრაობის ორმაგი შეზღუდვა. ის, ერთი მხრივ, ერთ ნევრ სახელმწიფოში დაფუძნებულ საკაბელო ქსელის ხელმძღვანელს აბრკოლებს, გაავრცელოს სხვა ნევრ სახელმწიფოებში დაარსებული მაუწყებლების მიერ შემოთავაზებული სატელევიზიო პროგრამები; მეორე მხრივ კი ამ მაუწყებლებს უფლებას ართმევს, საკუთარ პროგრამებში — სხვასთან ერთად, მიმღებ სახელმწიფოში დაფუძნებული სარეკლამო ფირმების სასარგებლოდ — ისეთი შეტყობინებები გააკეთოს, რომლებიც სპეციალურად ამ სახელმწიფოს პუბლიკას მიმართავს.

²⁸² Judgment of the Court of 26 April 1988; *Bond van Adverteerders and others v The Netherlands State*; Case 352/85.

23. ნიდერლანდების მთავრობის აზრით, საკაბელო რეგულირებით რეკლამის აკრძალვა შეეხება სხვა წევრი სახელმწიფოს მაუწყებლებს, ისევე, როგორც მაუწყებლობის შესახებ კანონით რეკლამის აკრძალვა შეეხება ნიდერლანდების სამინისტროში აკრედიტაციაცავილი მაუწყებლებს; ეს აკრძალვა უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგან ის კრძალავს არა ყოველგვარ სარეკლამო შეტყობინებებს, არამედ მხოლოდ იმათ, რომლებიც სპეციალურად ნიდერლანდების პუბლიკისთვისაა განსაზღვრული. აქედან გამომდინარეობს, რომ, თუ მომსახურების თავისუფლად გადაადგილება შეზღუდება და ეს არ არის დისკრიმინირებადი სახის, მაშინ ის ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 95-ე მუხლის აკრძალვაში არ ექცევა.

24. ეს მოსაზრება არ არის გასაზიარებელი. ეს არ შეეხება ეროვნულ მაუწყებლებსა და სხვა წევრი სახელმწიფოების მაუწყებლებს შორის შედარებას; უფრო მეტად, შესაძარბელია ნიდერლანდების მაუწყებლობის საერთო მდგომარეობა საზღვარგარეთის მაუწყებელთან.

25. ამ თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ ფონდის ვალდებულება მხოლოდ ისაა, იზრუნოს რეკლამის მაუწყებლობის შესახებ კანონთან ტექნიკურ და ფინანსურ შესაბამისობაზე; ეს ფონდი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს პროგრამების ორგანიზატორად. იგი არეგულირებს საბოლოოდ სარეკლამო შეტყობინებების გადაცემას, რომელიც ხორციელდება მესამე პირის მიერ, რომელსაც ის დროს მიყიდის.

26. ამდენად, დისკრიმინაცია სახეზეა, რადგან რეკლამის აკრძალვა, საკაბელო რეგულირების მიხედვით, სხვა წევრი სახელმწიფოების მაუწყებლებს ართმევს შესაძლებლობას, პროგრამაში გაუშვან სპეციალურად ნიდერლანდების პუბლიკისთვის სარეკლამო რგოლები, მაშინ როდესაც მაუწყებლობის შესახებ კანონი ამგვარი გადაცემების გაშვების უფლებას შიდასახელმწიფო პროგრამების მაუწყებლებს აძლევს.

27. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკლამის აკრძალვა, როგორცაა შეიცავს საკაბელო რეგულირება, იწვევს მომსახურების თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვას, რომელიც ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 59-ე მუხლით აკრძალულია.

საქმე *Manfred Säger v. Dennemeyer & Co. Ltd*²⁸³:

საქმის ფაბულა: სამართლებრივი დავის მომჩივანი იყო მანფრედ ზეგერი, რომელიც მიუნხენში საპატენტო სამართლის სპეციალობით საქმიანობდა. მოპასუხე ინგლისური სამართლით დაარსებული საზოგადოება იყო, რომელიც ასევე პატენტების სფეროში საქმიანობდა. თუმცა გერმანიაში საზოგადოებაზე ამ საქმიანობისათვის დაკისრებული თანხა უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ადვოკატების. საერთოდ, გერმანიის კანონმდებლობით ადვოკატებისათვის იყო განსაზღვრული ასეთი საქმიანობის განხორციელება.

11. წარმოდგენილი შეკითხვა (...) ისე უნდა იქნეს გაგებული, ეწინააღმდეგება თუ არა ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 59-ე მუხლს ეროვნული რეგულირება, რომელიც სხვა წევრ სახელმწიფოში დაფუძნებულ სანარმოს იმიტომ უკრძალავს სახელმწიფოში მყოფი პატენტის მფლობელებისათვის მათ პატენტებზე ყურადღების დევნებას და მის შესანარჩუნებლად გათვალისწინებული გადასახადების გადახდას, რადგან ეს საქმიანობა, ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, იმ პირებისათვისაა გათვალისწინებული, რომლებიც ფლობენ განსაკუთრებულ პროფესიულ კვალიფიკაციას, მაგალითად, როგორც ადვოკატი საპატენტო საკითხებში.

²⁸³ Judgment of the Court of 25 July 1991; Manfred Säger v Dennemeyer & Co. Ltd.; Case C-76/90; European Court reports 1991 Page I-04221.

12. უპირველესად, იმაზე უნდა მივითითოს, რომ ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 59-ე მუხლი (ცვლილების შემდეგ, ახლა, ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 49-ე მუხლი) მოითხოვს არა მარტო მომსახურების გამწვევის მიმართ დისკრიმინაციათა სახეების აღმოფხვრას მოქალაქეობის საფუძველზე, არამედ ასევე ნებისმიერი შეზღუდვის — თუ ის განურჩევლად მოქმედებს შიდასახელმწიფო და სხვა წევრი სახელმწიფოს მომსახურების გამწვევის მიმართ — გაუქმებას, თუ მათ შეუძლიათ, აკრძალოს ან დააბრკოლოს მომსახურების გამწვევის საქმიანობა, რომელიც სხვა წევრ სახელმწიფოში ცხოვრობს და იქ მართლზომიერად მსგავს მომსახურებებს გასწევს.

13. წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია, თავის სუვერენულ ტერიტორიაზე მომსახურებების განწვევა დამოკიდებული გახადოს ყველა იმ წინაპირობის დაცვაზე, რომლებიც დაფუძნებისათვის მოქმედებენ, და ამით ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების დებულებებს წაართვას პრაქტიკული ეფექტურობა, რომელთა მიზანი სწორედ მომსახურების თავისუფლების უზრუნველყოფაა. ასეთი შეზღუდვა სწორედ რომ დაუშვებელია, როდესაც, როგორც ეს ამ შემთხვევაშია, მომსახურება გაინწევა სხვაგვარად, ვიდრე ეს ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-60 მუხლის მე-3 აბზაცითაა (ახლა ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 50-ე მუხლის მე-3 აბზაცი) გათვალისწინებული, ანუ ისე, რომ მომსახურების გამწვევს არ სჭირდება მომსახურების განწვევის ადგილის სახელმწიფოში წასვლა.

3. გამამართლებელი საფუძვლები:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამამართლებელი საფუძვლები

საქმე *Erich Ciola v. Land Vorarlberg*²⁸⁴:

საქმის ფაბულა: ავსტრიის მოქალაქე ბოდენზეზე აქირავებდა ნაგების დასაყენებელ ადგილებს. მიღებული ნორმატიული აქტის მიხედვით, 1996 წლიდან იკრძალებოდა 60 ადგილზე მეტის გაქირავება ნაგების მფლობელებზე, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობდნენ. აღნიშნულმა მოქალაქემ 2-ით მეტი გააქირავა ასეთ პირებზე და დაეკისრა ჯარიმა. სასამართლომ ევროპულ სასამართლოს მიმართა შეკითხვით — ადგილების გაქირავების ასეთი შეზღუდვა შესაბამისობაში იყო თუ არა მომსახურების თავისუფლებასთან.

14. მართალია, დასაყენებელი ადგილების რაოდენობის შეზღუდვა, რომლებიც ამ ქვეყანაში არმცხოვრებ მფლობელებზე შეიძლება გაიცეს, არ ემყარება მოქალაქეობას — ასე რომ, ის არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს პირდაპირ დისკრიმინაციად, თუმცა გადამწყვეტი კრიტერიუმი ამ შეზღუდვისათვის არის ადგილი, სადაც ნავის მფლობელებს აქვთ საცხოვრებელი ადგილი. მუდმივი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ეროვნულ სამართლებრივ ნორმაში, რომელიც საცხოვრებელი ადგილის კრიტერიუმით განასხვავებს, არსებობს საფრთხე, რომ ის ძირითადად სხვა წევრი სახელმწიფოების მოქალაქეების საზიანოდ იმოქმედებს, რადგან ამ ქვეყანაში არმცხოვრები პირები უმეტესად უცხოელები არიან (...).

²⁸⁴ Judgment of the Court (Second Chamber) of 29 April 1999; *Erich Ciola v Land Vorarlberg*; Case C-224/97; European Court reports 1999 Page I-02517.

15. იმისათვის, რათა დასაყენებელი ადგილების კონტინგენტირება სხვა წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებისათვის საერთო კეთილდღეობის აუცილებელი საფუძვლებით გაემართლებინათ, ფორარლბერგის მხარემ სხდომაზე მიუთითა იმ აუცილებლობაზე, რომ ამ ადგილებზე ხელმისაწვდომობა იქ მცხოვრებთათვის გარანტირებული უნდა ყოფილიყო, რათა ისინი არ დაჩაგრულიყვნენ უცხოელებთან მიმართებით, რომლებიც მზად იყვნენ, უფრო მაღალი თანხები გადაეხადათ დაქირავებისათვის. რადგან აღნიშნული ადგილების საერთო რაოდენობა, გარემოს დაცვის მიზეზებიდან გამომდინარე, შეზღუდული იყო, ამ კონტინგენტირების გაუქმება გაზრდიდა ზენოლას მიწის უწყებებზე.

16. შიდასახელმწიფოებრივი ნორმები, რომლებიც მომსახურებისათვის არ მოქმედებენ განურჩევლად ანუ მოქმედებენ ამ მომსახურების გამწვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და ამდენად დისკრიმინირებას ახდენენ, მხოლოდ მაშინ შეიძლება შეესაბამებოდნენ გაერთიანების სამართალს, როდესაც ისინი ექცევიან მკაფიოდ განსაზღვრული დებულების მოქმედების სფეროში, როგორცაა, მაგალითად, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 56-ე მუხლი (...); თუმცა ეკონომიკური მიზნები არ შეიძლება იყოს საჯარო წესრიგის საფუძვლები, ამ მუხლის მიხედვით (...).

17. გამომდინარე იქიდან, რომ ფორარლბერგის მიწამ ადგილების უცხოელების მიმართ კონტინგენტირების გამამართლებელ საფუძვლებად მოიყვანა არა საჯარო წესრიგი, უსაფრთხოება თუ ჯანმრთელობა, არამედ ეკონომიკური საფუძვლები, რომლებიც ადგილობრივი მფლობელების სასარგებლოდაა გათვალისწინებული, ამიტომ ხელშეკრულების 56-ე მუხლის გამოყენება ამ შემთხვევისათვის არ შეიძლება (...).

ბ) დაუნერგელი გამამართლებელი საფუძვლები

საქმე *Stichting Collectieve Antennevoorziening Gouda*²⁸⁵:

საქმის ფაბულა: სამართლებრივი დავა შეეხებოდა საზღვარგარეთულ პროგრამებში გაშვებულ რეკლამებს, რომლებიც ნიდერლანდურ ენაზე იყო და რომლებიც შიდასახელმწიფოებრივ რეგულირებას ეწინააღმდეგებოდა. ეროვნული რეგულაციის მიხედვით, საზღვარგარეთის რეკლამები შესაბამისი უნდა ყოფილიყო ისეთივე შეზღუდვებისა, როგორც შიდასახელმწიფოებრივი მაუწყებლებისათვის იყო დანესებული. კერძოდ, საზღვარგარეთის მაუწყებლებს დამოუკიდებელი ნიდერლანდური იურიდიული პირისათვის უნდა გადაეცათ, სხვასთან ერთად, რეკლამები და აქედან მიღებული შემოსავლები პროგრამების განხორციელებისათვის მოეხმარათ. მომჩივანი მხარე ამ რეგულირებაში მომსახურების თავისუფლების შეზღუდვას ხედავდა. ნიდერლანდების მთავრობა მიუთითებდა იმაზე, რომ ეს რეგულირება ნიდერლანდებში პლურალიზმისა და მაუწყებლობის არაკომერციულობას უზრუნველყოფდა.

10. ევროპული სასამართლოს მუდმივი პრაქტიკა ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს (...), რომ ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 59-ე მუხლი მოითხოვს, აღმოიფხვრას მომსახურებათა გამწვევის ნებისმიერი დისკრიმინაცია, პირველ რიგში, მოქალაქეობის საფუძველზე ან იმ გარემოების საფუძველზე, რომ ის სხვა წევრ სახელმწიფოშია დამკვიდრებული და მომსახურების განწვევის ადგილის წევრ სახელმწიფოში.

²⁸⁵ Judgment of the Court of 25 July 1991; *Stichting Collectieve Antennevoorziening Gouda and others v Commissariaat voor de Media*; Case C-288/89; European Court reports 1991 Page I-04007.

11. როგორც ევროპულმა სასამართლომ 1988 წლის 26 აპრილის განაჩენში (საქმე 352/85, *Bond van Adverteerders*, 1988 წლის კრებული, 2085, 32-ე და 33-ე პუნქტები) დაადგინა, ისეთი შიდასახელმწიფოებრივი ნორმები, რომლებიც ნებისმიერ მომსახურებაზე, მისი წარმომავლობის მიუხედავად, არ მოქმედებენ განურჩევლად, მხოლოდ მაშინ შეესაბამებიან გაერთიანების სამართალს, როდესაც ისინი ექცევიან ისეთ მკაფიოდ განსაზღვრული დებულების მოქმედების ფარგლებში, როგორცაა, მაგალითად, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 56-ე მუხლი. ამ განაჩენიდან (34-ე პუნქტი), გარდა ამისა, გამომდინარეობს, რომ ეკონომიკური მიზნები, ამ მუხლის მიხედვით, არ შეიძლება საჯარო წესრიგის საფუძვლები იყოს.
(...)

13. მუდმივი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, (...) ასეთი დაბრკოლებები ექცევიან 59-ე მუხლის მოქმედების სფეროში, რამდენადაც შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმების გამოყენება მომსახურების უცხოელ გამწვევებზე საყოველთაო ინტერესში შემავალი სავალდებულო მიზეზებით არ არის გამართლებული. (...)

14. ამასთან მიმართებით ევროპული სასამართლოს მიერ უკვე საყოველთაო ინტერესებში შემავალ სავალდებულო საფუძვლებად აღიარებულია: მომსახურების მიმღებების დასაცავად გარკვეული პროფესიული რეგულირებები (...), ინტელექტუალური საკუთრების დაცვა (...), დასაქმებულის დაცვა (...), მომხმარებლის დაცვა (...), ეროვნული ისტორიული და ხელოვნების მემკვიდრეობის მიღება (...), არქეოლოგიური, ისტორიული და ხელოვნების საგანძურის მნიშვნელობის ამაღლება და ქვეყნის ხელოვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცოდნის საუკეთესო საშუალებით გავრცელება (...).

15. საბოლოოდ, მუდმივი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სხვა წევრ სახელმწიფოებში დაფუძნებული მომსახურების გამწვევის მიმართ შიდასახელმწიფოებრივი ნორმებით შესაძლებელი უნდა იყოს მათ მიერ დასახული მიზნის განხორციელების უზრუნველყოფა და ეს ნორმები არ უნდა სცილდებოდნენ ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელ მასშტაბს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ანალოგიური შედეგი არ უნდა მიიღწეოდეს უფრო ნაკლებად მკვეთრი რეგულირებებით (...).

16. დასახელებული საფუძვლებით, უნდა გადაისინჯოს, ზღუდავს თუ არა დასახელებული კანონის 66-ე მუხლის პირველი აბზაცის „ბ“ ქვეპუნქტი, მომმართველი სასამართლოს აზრით, არადისკრიმინირებადი დებულება, მომსახურების თავისუფლად გადაადგილებას და, თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებელია თუ არა ამ შეზღუდვების გამართლება.

მომსახურების თავისუფალ გადაადგილებაზე შეზღუდვების არსებობასთან დაკავშირებით

17. ამასთანავე, უნდა დადგინდეს, რომ დასახელებული კანონის 66-ე მუხლის პირველი აბზაცის ბ) ქვეპუნქტის მე-2 წინადადებაში გათვალისწინებული წინაპირობები მომსახურების თავისუფალი გადაადგილების ორმაგ შეზღუდვას ადგენს: ერთი მხრივ, ის ხელს უშლის ერთ წევრ სახელმწიფოში არსებულ მაუნყებელს, გადმოსცეს რადიო- და სატელევიზიო პროგრამები, რომლებიც სხვა წევრ სახელმწიფოში დაფუძნებული მაუნყებლების მიერ გადმოიცემა, თუ ეს პროგრამები არ შეესაბამებიან ამ წინაპირობებს; ხოლო მეორე მხრივ, ზღუდავს ამ სხვა წევრ სახელმწიფოში არსებული მაუნყებლების შესაძლებლობას, განსაკუთრებით, მიმღებ წევრ სახელმწიფოში დაფუძნებული საწარმოსათვის, სპეციალურად ამ სახელმწიფოს პუბლიკისათვის განსაზღვრული სარეკლამო რგოლები ჩართონ თავიანთ პროგრამაში.

18. ამდენად, მომმართველი სასამართლოს პირველ შეკითხვას პასუხი უნდა გაეცეს, რომ ისეთი წინაპირობები, როგორც დადგენილია დასახელებული კანონის 66-ე მუხლის პირველი აბზაცის ბ ქვეპუნქტის მე-2 წინადადებაში, არის ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 59-ე მუხლის მიხედვით მომსახურების თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა.

ამ შეზღუდვების გამართლების შესაძლებლობასთან დაკავშირებით

19. როგორც კომისიამ სწორად აღნიშნა, ეს წინაპირობები ორ სხვადასხვა ჯგუფს განეკუთვნებიან: პირველი, არსებობს წინაპირობები, რომლებიც შეეხებიან: მაუნყებლობის სტრუქტურას, მაუნყებლის რეკლამის დამოუკიდებელი იურიდიული პირის მიერ გადაცემას, რეკლამიდან შემოსული თანხის სრულად პროგრამის განხორციელებისათვის გამოყენებას – არ უნდა გამოიყენებოდეს მესამე პირის მიერ მოგების მიღების მიზნით; გარდა ამისა, არსებობს წინაპირობები, რომლებიც თავად რეკლამას შეეხება: ერთმნიშვნელოვნად შეცნობადი და პროგრამის სხვა ნაწილებისაგან განცალკევებული უნდა იყოს რეკლამა, მისი ხანგრძლივობა გადაცემის სრული დროის 5%-ს არ უნდა აღემატებოდეს, კვირაობით სარეკლამო რგოლების გაშვება დაუშვებელია.

20. მომმართველი სასამართლოს მეორე და მესამე შეკითხვებზე პასუხის გასაცემად წინაპირობების განხილვა, რომლებიც, ძირითადად, ასეთი შეზღუდვების გამართლების საკითხს შეეხება, ცალ-ცალკე უნდა მოხდეს.

ა — წინაპირობებთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წევრ სახელმწიფოებში დაფუძნებული მაუნყებლების სტრუქტურას შეეხება

21. იმ წინაპირობებთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წევრ სახელმწიფოებში დაფუძნებული მაუნყებლების სტრუქტურას შეეხებიან, ნიდერლანდების მთავრობა აცხადებს, რომ ისინი იმ წინაპირობებს შეესაბამებიან, რომლებსაც ნიდერლანდების მაუნყებლები უნდა ასრულებდნენ. მოთხოვნა, რომ სარეკლამო რგოლები პროგრამების მწარმოებლებისაგან განცალკევებულ იურიდიულ პირს უნდა განეხორციელებინა, შეესაბამებოდა შიდასახელმწიფო უწყებებისათვის დასახელებული კანონით კომერციული რეკლამის გაშვების აკრძალვას; ამ რეკლამის გადაცემა რადიო- და ტელევიზიო სარეკლამო ფონდს (*Stichting Etherreclame*; შემდგომ – რსსფ) შეეძლო. სხვა წევრი სახელმწიფოს მაუნყებლებისათვის დაკისრებულ ვალდებულებას, არ მოეტანათ მესამე პირებისათვის მოგება, უნდა უზრუნველყო მაუნყებლობის არაკომერციული ხასიათი, რაც კანონს შიდასახელმწიფო მაუნყებლებისათვის სურდა შეენარჩუნებინა. და, ბოლოს, მოთხოვნა – სარეკლამო შემოსავლები პროგრამის აღსრულებაზე უნდა მიმართულიყო, გამომდინარეობდა იქიდან, რომ სხვა წევრი სახელმწიფოს მაუნყებლები უნდა გათანაბრებოდნენ შიდასახელმწიფოებრივ სისტემას, რადგან აქ რსსფ-ის მიერ მიღებული სარეკლამო შემოსავლების დიდი ნაწილი რადიოსა და ტელევიზიის წარმოების ხარჯებს ფარავდა.

22. გარდა ამისა, ნიდერლანდების მთავრობა აცხადებს, რომ ეს შეზღუდვები გამართლებულია მაუნყებლობის სექტორის კულტურული პოლიტიკის სავალდებულო მოთხოვნებით. ამ პოლიტიკას უნდა დაეცვა განსხვავებული საზოგადოებრივი, კულტურული, რელიგიური და სულიერი მიმართულებების მრავალფეროვნება ნიდერლანდებში, რამდენადაც ისინი პრესაში, რადიოსა თუ ტელევიზიაში უნდა გაშლილიყვნენ. ამ მიზანს შეიძლებოდა საფრთხე დამუქრებოდა, თუ მენარმეებს, რომლებიც გასცემდნენ სარეკლამო შეკვეთებს, დიდი ზეგავლენა ექნებოდათ პროგრამის ჩამოყალიბებაზე.

23. მართალია, ამგვარად გაგებული კულტურული პოლიტიკა შესაძლოა, იყოს საყოველთაო ინტერესის სავალდებულო საფუძველი, რომელიც ამართლებს მომსახურების გადაადგილების შეზღუდვას. პლურალისტური მაუნციბლობის შენარჩუნება, რომელიც ამ ნიდერლანდურმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს, დაკავშირებულია ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულ აზრის თავისუფლებასთან, რომელიც განეკუთვნება გაერთიანების სამართლებრივი წესრიგით დაცულ ძირითად უფლებებს (1974 წლის 14 მაისის განაჩენი საქმისა 4/73, Nold. 1974 წლის კრებული, 491, მე-13 პუნქტი).

24. ამასთან, უნდა დადგინდეს, რომ არ არსებობს არანაირი აუცილებელი კავშირი ასეთ კულტურულ პოლიტიკასა და იმ წინაპირობებს შორის, რომლებიც საზღვარგარეთის მაუნციბელთა სტრუქტურას შეეხება. იმისათვის, რომ პლურალისტური მაუნციბლობა იყოს უზრუნველყოფილი, არავითარ შემთხვევაში არ არის აუცილებელი, შიდასახელმწიფოებრივმა სამართალმა სხვა ნევრ სახელმწიფოში დაფუძნებულ მაუნციბლებს დააკისროს ვალდებულება, შესაბამისობაში მოვიდნენ ნიდერლანდურ მოდელთან, თუ მათ პროგრამების გადაცემა სურთ, რომლებიც ნიდერლანდების პუბლიკისათვის სარეკლამო რგოლებს შეიცავენ. თუ ნიდერლანდების მთავრობას სურს ამ მრავალფეროვნების შენარჩუნება, მას შეუძლია, საკუთარი დანესებულებებით შემოფარგლოს ეს რეგულირება.

25. წინაპირობების, რომლებიც საზღვარგარეთული მაუნციბლების სტრუქტურას შეეხება, არ შეიძლება მივიჩნიოთ ობიექტურად აუცილებელ ღონისძიებებად პლურალისტური ეროვნული მაუნციბლობის შენარჩუნების საყოველთაო ინტერესის დასაცავად.

ბ — იმ წინაპირობებთან დაკავშირებით, რომლებიც სარეკლამო რგოლებს შეეხება

26. ნიდერლანდების მთავრობის აზრით, კომისიის მიერ გამოთქმული აზრის საწინააღმდეგოდ, არც გარკვეულ დღეებში სარეკლამო რგოლების აკრძალვასა და არც ხანგრძლივობის შეზღუდვას ან რეკლამის ცნობადობის გარანტირებას და მისი სხვა პროგრამებისაგან გაცალკევებას არ აქვს დისკრიმინირებადი ხასიათი. რსსფ-ის მიერ განეული მომსახურებები ანალოგიურ შეზღუდვებს ექვემდებარებიან. ნიდერლანდების მთავრობა ამ თვალსაზრისით მიუთითებს კანონის 39-ე მუხლზე, რომლიდანაც გამომდინარეობს, რომ (...) რსსფ შიდასახელმწიფო ქსელში არსებულ სამაუნციბლო დროს იმგვარად ანაწილებდა, რომ შიდასახელმწიფო მაუნციბლების პროგრამები არ განევეტილიყო. გარდა ამისა, ამავე მუხლით სამაუნციბლო დრო კვირაობით არ იყო გათვალისწინებული.

27. ამასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ სარეკლამო რგოლების გაშვების შეზღუდვები, როგორც იყო, მაგალითად, გარკვეული პროდუქციის რეკლამირების აკრძალვა ან გარკვეულ დღეებში რეკლამების გაშვება, ამ რგოლების ხანგრძლივობის ან სიხშირის შეზღუდვა ან ისეთი შეზღუდვები, რომლებსაც თავიდან უნდა აეცილებინათ რადიომსმენელებსა თუ ტელემაცურებლებში კომერციული რეკლამის სხვა პროგრამის ნაწილებში არევა, შესაძლოა, გამართლებული იყოს საყოველთაო ინტერესიდან გამომდინარე სავალდებულო საფუძვლებით. ასეთი შეზღუდვები შესაძლოა გათვალისწინებული ყოფილიყო გადაჭარბებული კომერციული რეკლამისაგან მომხმარებლის დასაცავად, ან კულტურული პოლიტიკის ფარგლებში გარკვეული პროგრამების ხარისხის შესანარჩუნებლად.

28. ამასთან, უნდა დადგინდეს, რომ სადავო შეზღუდვები შეეხება მხოლოდ ნიდერლანდების პუბლიკისათვის განსაზღვრული სარეკლამო რგოლების ბაზარს. ეს ბაზარი იყო ერთადერთი, რომელიც საკაბელო რეგულირების მიერ რეკლამის აკრძალვის მოქ-

მედების სფეროში მოექცა, რომელიც *Bond van Adverteerders* საქმეში წინასწარი გადან-ყვეტილების შეკითხვების საფუძველი იყო (იხ. 1988 წლის 26 აპრილის განაჩენი). მაშინაც კი, როდესაც სარეკლამო რგოლები ისეთ პროდუქტებს შეეხებოდა, რომელთა მოხმარებაც ნიდერლანდებში შესაძლებელი იყო, ეს შეზღუდვები გამოიყენებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც რგოლები ნიდერლანდურ ენაზე პროგრამებით ან ნიდერლანდურ ენაზე მორბენალი სტრიქონების მქონე პროგრამებით გადაიცემოდა. ამ შეზღუდვათა გაუქმება შეიძლება ნიდერლანდურ ენაზე იმ პროგრამების გადაცემისას, რომლებიც ბელგიაში ნიდერლანდურენოვანი ბელგიური პუბლიკისათვის იყო განკუთვნილი.

29. საკაბელო რეგულირებისაგან განსხვავებით, მომმართველი სასამართლოს მიერ დასახელებული კანონის დებულებები არ შეეხება საერთო შემოსავალს იმ სარეკლამო რგოლებიდან, რომლებიც სპეციალურად ნიდერლანდური პუბლიკისთვის არის გათვალისწინებული, თუმცა ისინი ბაზარზე საზღვარგარეთის მაუწყებლებთან რსფ-ის მოსალოდნელ კონკურენციას ზღუდავენ იმით, რომ ამ რგოლების გაშვების რეგლამენტირებას ახდენენ. როგორც ეს 1988 წლის 26 აპრილის განაჩენით გადაწყდა (...), ამ მიზნით არ შეიძლება მომსახურების თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვის გამართლება.

30. მომმართველი სასამართლოს მეორე და მესამე შეკითხვებს, შესაბამისად, პასუხი უნდა გაეცეს, რომ არ შეიძლება ისეთი შეზღუდვები, როგორიც ამ პროცესშია სადავო, გამართლდეს, საყოველთაო ინტერესებიდან გამომდინარე სავალდებულო საფუძვლებით.

სრულად წარმოგიდგინთ ევროპული სასამართლოს განაჩენს საქმეზე *Reinhard Gebhard v. Consiglio dell'Ordine degli Avvocati e Procuratori di Milano*²⁸⁶:

წევრი სახელმწიფოს მოქალაქე, რომელიც ეწეოდა სტაბილური და განგრძობადი ხასიათის პროფესიონალურ საქმიანობას სხვა წევრ სახელმწიფოში, სადაც იგი გამიჯნული იყო მოქმედი პროფესიონალური საფუძვლისგან იმ სახელმწიფოს მოქალაქეებისგან განსხვავებით, ექვემდებარება დაფუძნების უფლებასთან დაკავშირებულ, და არა მომსახურების შესახებ, თავს.

როგორც შეთანხმების მე-60 მუხლის მესამე პარაგრაფიდან ჩანს, მომსახურების განწევის თავისუფლების ნორმები მოიცავს, სულ მცირე, სიტუაციას, როდესაც მიმწოდებელი გადაადგილდება თავისი მომსახურების უზრუნველსაყოფად, რომელშიც პირი გადაადგილდება ერთი წევრი სახელმწიფოდან მეორეში არა დამკვიდრების, არამედ თავისი საქმიანობის დროებით განხორციელების მიზნით.

განსახილველი საქმიანობის დროებითი ხასიათი უნდა განისაზღვროს მისი ხანგრძლივობის, რეგულარული ხასიათის, პერიოდულობისა და განგრძობადობის კონტექსტში. ეს არ ნიშნავს, რომ მომსახურების მომწოდებელი, შეთანხმების შინაარსიდან გამომდინარე, არ აღიჭურვავს საკუთარ თავს გარკვეული ფორმის ინფრასტრუქტურით მასპინძელ წევრ სახელმწიფოში (აღნიშნულში შედის: ოფისი, კაბინეტები ან საკონსულტაციო ოთახები), იმდენად, რამდენადაც ამგვარი ინფრასტრუქტურა აუცილებელია განსახილველი მომსახურების უზრუნველსაყოფად.

წევრი სახელმწიფოს მოქალაქის შესაძლებლობა, გამოიყენოს თავისი უფლება დაფუძნებაზე, და მის მიერ ამ უფლების გამოყენების პირობები, უნდა განისაზღვროს იმ საქმიანობის კონტექსტში, რომლის განხორციელებასაც იგი გეგმავს მასპინძელი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

²⁸⁶ Case C-55/94, Reinhard Gebhard v. Consiglio dell'Ordine degli Avvocati e Procuratori di Milano [1995] I-04165.

იქ, სადაც სპეციფიკური საქმიანობის დაწყება არ არის რაიმე ნორმის საგანი მასპინძელ სახელმწიფოში, ნებისმიერი სხვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქეს მიენიჭება დაფუძნების უფლება და იქ ამ საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა. მეორე მხრივ, სპეციფიკური საქმიანობის დაწყება ან განხორციელება მასპინძელი წევრი სახელმწიფოს სპეციალური პირობების საგანია. იმისათვის, რომ სხვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქემ განახორციელოს აღნიშნული საქმიანობა, ძირითადად, უნდა შეესაბამებოდეს მათ.

ამგვარმა პირობებმა, რომლებიც კონკრეტულად შეიძლება შედგებოდეს ვალდებულებისგან, იქონიონ სპეციალური დიპლომები, განწერიანებული იყვნენ პროფესიონალურ კავშირში, ან დაექვემდებარონ პროფესიონალური ქცევის სპეციფიურ წესებს, ან იმ წესებს, რომლებიც პროფესიონალური ტიტულების გამოყენებას უკავშირდება, უნდა შეასრულონ სპეციალური მოთხოვნები, სადაც ისინი ვალდებული არიან, ხელი შეუშალონ, ან ნაკლებად მიმზიდველი გახადონ შეთანხმების მიერ გარანტირებული ფუნდამენტური თავისუფლება, ისეთი, როგორცაა უფლება დაფუძნებაზე. არსებობს ოთხი ამგვარი მოთხოვნა: მათი გამოყენება უნდა მოხდეს არადისკრიმინაციული ფორმით; მათი დადასტურება უნდა მოხდეს ზოგადი ინტერესების იმპერატიული მოთხოვნებით; ისინი უნდა შეესაბამებოდნენ მათ მიერ განხორციელებული და მისალწვე მიზნების დაცვას; და ისინი არ უნდა გასცდნენ იმ ზღვარს, რომელიც აუცილებელია მის მისაღწევად.

იმდენად, რამდენადაც კვალიფიკაციის ფლობასთან დაკავშირებული პირობებია განსახილველი, წევრმა სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ დიპლომების ექვივალენტურობა და, თუ საჭიროა, განახორციელონ განსახილველი პირის მოთხოვნილი ცოდნისა და კვალიფიკაციის შედარება, მათი ნაციონალური კანონმდებლობის შესაბამისად.

1. 1994 წლის 8 თებერვალს სასამართლოს მიერ მიღებული 1993 წლის 16 დეკემბრის ბრძანების თანახმად, *Consiglio Nazionale Forense* (ადვოკატთა ნაციონალურმა საბჭომ) ორი კითხვით მიმართა სასამართლოს წინასწარი განსჯადობისთვის შეთანხმების 177-ე მუხლის საფუძველზე, რომლებიც ეხებოდა საბჭოს დირექტივის 77/249/EEC (22 მარტი, 1977წ.) ადვოკატთა მიერ მომსახურების განწევის თავისუფლების ეფექტურად გამოყენების ხელშეწყობის მიზანს (OJ 1977 L 78, გვ. 17).

2. კითხვები წამოიჭრა დისციპლინური სამართალწარმოების საფუძველზე დაწყებული *Consiglio dell'Ordine degli Avvocati e Procuratori di Milano*-ს (მილანის ადვოკატთა და პროკურორთა კავშირის საბჭოს, შემდგომ – „მილანის ადვოკატთა საბჭო“) მიერ ბატონი გებჰარდის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალად ედებოდა 1982 წლის 9 თებერვლის №31/82 კანონით (ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობის მქონე ადვოკატების მიერ მომსახურების განწევის თავისუფლება) დადგენილი ვალდებულების დარღვევა იმ საფუძველით, რომ მან იტალიაში განახორციელა პროფესიული საქმიანობა რეგულარულ ბაზაზე მის მიერ შექმნილი საადვოკატო ბიუროების მეშვეობით, ვინაიდან სარგებლობდა ადვოკატის ტიტულით.

3. სასამართლოსადმი მიმართული წერილობითი შეკითხვების საპასუხოდ წარდგენილი საქმის მასალებისა და ინფორმაციის თანახმად, ბატონ გებჰარდს, როგორც გერმანიის მოქალაქეს, უფლება ჰქონდა, მინიჭებული განხორციელებინა „*Rechtsanwalt*“ გერმანიაში 1977 წლის 3 აგვისტოდან. იგი არის შტუტგარტის ადვოკატთა კოლეგიის წევრი და „დამოუკიდებელი კოლაბორაციონისტი“ რამდენიმე საადვოკატო ბიუროში (*Buerogemeinschaft*), თუმცა მას არ გააჩნია საკუთარი წარმომადგენლობები გერმანიაში.

4. ბატონი გებჰარდი 1978 წლიდან ცხოვრობდა იტალიაში, იტალიის მოქალაქე მეუღლესთან და სამ შვილთან ერთად. შესაბამისად, მთელი მისი შემოსავალი იბეგრება იტალიაში, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.
5. ბატონი გებჰარდი ეწევა პროფესიულ საქმიანობას იტალიაში 1978 წლის 1 მარტიდან, თავიდან როგორც კოლაბორაციონისტი (*con un rapporto di libera collaborazione*) მილანის რამდენიმე პრაქტიკოს ადვოკატთა წარმომადგენლობაში, და შემდგომ, 1980 წლის 1 იანვრიდან 1989 წლის დასაწყისამდე, როგორც წარმომადგენლობების ასოცირებული წევრი (*associato*). აღნიშნულ წარმომადგენლობებში იგი არ იყო გაკრიტიკებული თავის საქმიანობასთან დაკავშირებით.
6. 1989 წლის 30 ივლისს ბატონმა გებჰარდმა გახსნა საკუთარი ბიურო მილანში, რომელშიც იტალიელი ადვოკატი და პროკურორი მუშაობდნენ მასთან ერთად. სასამართლოს წერილობითი შეკითხვის საპასუხოდ, ბატონმა გებჰარდმა განაცხადა, რომ იგი ინსტრუქტაჟს უწევდა მათ დროდადრო სასამართლო პროცესებში მონაწილეობის თაობაზე იტალიაში იტალიელი კლიენტების ჩართვის მიზნით.
7. ბატონი გებჰარდი ამტკიცებს, რომ მისი საქმიანობა იტალიაში არსებითად არ არის სადავო, რადგან იგი ხელს უწყობს და აწარმოებს მოლაპარაკებებს გერმანულ ენაზე (მისი ბრუნვის 65%) და ახორციელებს იტალიურ ენაზე მოლაპარაკება ინტერესების დაცვას გერმანიასა და ავსტრიაში (მისი ბრუნვის 30%). დარჩენილი 5% ეხება იტალიელი პრაქტიკოსი ადვოკატების საქმიანობის ხელშეწყობას, რომელთა კლიენტებიც დგანან გერმანული სამართლით გამოწვეული პრობლემების წინაშე.
8. იტალიელ პრაქტიკოს ადვოკატთა ფგუფმა, იმ ადვოკატის ჩათვლით, რომელთანაც 1989 წლამდე ბატონი გებჰარდი თანამშრომლობდა, წარადგინა საჩივარი მილანის ადვოკატთა საბჭოს წინაშე. ისინი პრეტურისა და მილანის ტრიბუნალის წინაშე ასაჩივრებდნენ წერილებისთვის განკუთვნილ ბლანკზე განთავსებული ადვოკატის ტიტულის პროფესიული მიზნებით, მის პირდაპირ და „*Studio Legale Gebhard*“-ის პროფესიული კუთხით გამოყენებას.
9. მილანის ადვოკატთა საბჭომ აუკრძალა ბატონ გებჰარდს ადვოკატის ტიტულის გამოყენება. აღნიშნულის შემდეგ, 1991 წლის 19 სექტემბერს, მან გადაწყვიტა დაეწყო დისციპლინური წარმოება ბატონი გებჰარდის წინააღმდეგ იმ მიზეზით, რომ ამ უკანასკნელმა დაარღვია №31/82 კანონით ნაკისრი ვალდებულება, ვინაიდან რეგულარულად ახორციელებდა პროფესიულ საქმიანობას იტალიაში მის მიერვე დაფუძნებულ ბიუროებში და იყენებდა ადვოკატის ტიტულს.
10. 1991 წლის 14 ოქტომბერს ბატონმა გებჰარდმა მილანის ადვოკატთა საბჭოს მიმართა ადვოკატთა კოლეგიის წევრთა რეესტრში დასარეგისტრირებლად. მისი განაცხადი ეფუძნებოდა 1988 წლის 21 დეკემბრის ევროპული კავშირის საბჭოს დირექტივას 89/48/EEC, რომელიც ეხებოდა, სულ მცირე, სამწლიანი ვადის პროფესიული სწავლისა და ტრენინგების დასრულების დამადასტურებელი უმაღლესი განათლების დიპლომების ცნობის ზოგად სისტემას (OJ 1989 L 19, გვ. 16) და მის მიერ იტალიაში ათწლიანი ტრენინგის პერიოდის დასრულებას. როგორც ჩანს, ადვოკატთა საბჭომ არ მიიღო რაიმე ფორმალური გადაწყვეტილება აღნიშნულ განაცხადთან დაკავშირებით.
11. 1991 წლის 19 სექტემბერს დაწყებული დისციპლინური წარმოება დასრულდა 1992 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით, რომლის ძალითაც მილანის ადვოკატთა საბჭომ ბატონ გებჰარდს დააკისრა 6 თვის განმავლობაში მის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელების უფლების შეჩერების სანქცია (*sospensione dell' esercizio dell' attivita professionale*).

12. ბატონმა გებჰარდმა გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება *Consiglio Nazionale Forense*-ს წინაშე, და იმავდროულად ასაჩივრებდა რეესტრში მის დარეგისტრირებასთან დაკავშირებით განაცხადის სავარაუდო უარყოფასაც. კერძოდ, იგი თავის საჩივარში ასაბუთებდა, რომ დირექტივა 77/249 მას უფლებას ანიჭებდა, განეხორციელებინა თავისი პროფესიული საქმიანობა მილანში საკუთარი ბიუროების მეშვეობით.

13. დირექტივა 77/249 მოიცავს ადვოკატთა საქმიანობას, განხორციელებულს მომსახურების უზრუნველყოფის გზით. იგი აღნიშნავს, რომ მომსახურების გამწვევა ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული ტიტული, გამოყენებული იმ წევრ სახელმწიფოში, რომლიდანაც ის მოდის, გამოხატული იმ სახელმწიფოს ენაზე ან ერთ-ერთ ენაზე, პროფესიული ორგანიზაციის, რომელთანაც ის ავტორიზებულია, ან სასამართლოს აღნიშვნით, რომლითაც მას საქმიანობის უფლება აქვს მინიჭებული, იმ სახელმწიფოს კანონმდებლობიდან გამომდინარე (მე-3 მუხლი).

14. დირექტივა წარმოაჩენს განსხვავებას (ა) სამართლებრივ პროცესებში ან საჯარო მოხელეების წინაშე კლიენტის ინტერესების წარმოდგენასთან დაკავშირებულ საქმიანობებსა და (ბ) სხვა დანარჩენ საქმიანობებს შორის.

15. კლიენტის ინტერესების წარმოდგენასთან დაკავშირებულ საქმიანობებში ადვოკატმა უნდა დაიცვას მასპინძელი წევრი სახელმწიფოს პროფესიული ქცევის წესები, იმ წევრ სახელმწიფოში ვალდებულებების შესრულებისადმი ზიანის მიყენების გარეშე, რომლიდანაც იგი გამომდინარეობს (მე-4 მე-2 მუხლი). რაც შეეხება სხვა დანარჩენ განსახილველ საქმიანობებს, ადვოკატი რჩება იმ სახელმწიფოს პროფესიული ქცევის წესებისა და პირობების ამარა, რომლიდანაც იგი მოდის, პატივს სცემს ამ წესებს, მიუხედავად მათი წყაროსი, რომელიც არეგულირებს საქმიანობას წევრ სახელმწიფოში, კერძოდ, რომელიც დაკავშირებულია ადვოკატის საქმიანობების შეუსაბამობასთან სხვა სახის საქმიანობების განხორციელებასთან იმ სახელმწიფოში, პროფესიულ საიდუმლოებას, ურთიერთობას სხვა ადვოკატებთან, ერთი და იმავე ადვოკატისთვის ერთმანეთთან კონფლიქტური ინტერესის მქონე მხარეების ინტერესებში საქმიანობის აკრძალვას, და საიდუმლოებას (მე-4 მე-4 მუხლი).

16. 77/249 დირექტივის მე-4 1-ლი მუხლი ადგენს, რომ „სამართლებრივ პროცესებში ან საჯარო მოხელეების წინაშე კლიენტის ინტერესების წარმოდგენასთან დაკავშირებული საქმიანობები თითოეულ წევრ სახელმწიფოში განხილულ უნდა იქნეს იმ სახელმწიფოში ადვოკატებისთვის დადგენილი პირობების გათვალისწინებით, ცხოვრების უფლების ნებისმიერი პირობის ან პროფესიულ ორგანიზაციაში რეგისტრაციის მოთხოვნის გამოკლებით“.

17. 77/249 დირექტივის განხორციელება იტალიაში უზრუნველყოფილი იყო №31/82 კანონით, რომლის მე-2 მუხლი ადგენს:

„[წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს, რომლებსაც ნება მიეცათ წევრ სახელმწიფოში, რომლიდანაც ისინი მოვიდნენ, იმოქმედონ როგორც ადვოკატებმა] მიეცემათ უფლება, დროებით განახორციელონ ადვოკატის პროფესიული საქმიანობა (*con carattere di temporaneità*) განგრძობად და მკირევადიან საკითხებზე, ამ კანონში განსაზღვრული დეტალური ნორმების შესაბამისად.

წინა პარაგრაფში მითითებული პროფესიული საქმიანობების განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე, რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბიუროს ან სათავო ოფისის ან ოფისის ფილიალის შექმნა არ არის ნებადართული“.

18. აღნიშნულ ვითარებაში *Consiglio Nazionale Forense*-მ შეაჩერა სამართალწარმოება და შეკითხვით მიმართა სასამართლოს წინასწარ განსჯადობის მიზნით:

„(ა) რამდენად არის შესაბამისი 1982 წლის 9 თებერვლის №31/82 კანონის მე-2 მუხლი, რომელიც ეხება, ევროპული გაერთიანების წევრი სახელმწიფოების მოქალაქე ადვოკატთა თავისუფლებას, უზრუნველყონ მომსახურების განევა (შემოღებული 1977 წლის 22 მარტის ევროპული კავშირის 77/249/EEC დირექტივის განსახორციელებლად), რომელიც კრძალავს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბიუროს ან სათავო ოფისის ან ოფისის ფილიალის შექმნას, დირექტივის მიერ დადგენილი ნორმებისა, რომლის თანახმად, დირექტივაში არ არის მითითება იმ ფაქტზე, რომ ოფისის გახსნის შესაძლებლობა გაგებული იქნება როგორც პრაქტიკოსი ადვოკატების მიზნისა და მიმართულების ასახვა, განახორციელონ მათი საქმიანობები არა დროებით ან შემთხვევით საფუძველზე, არამედ — რეგულარულად;

(ბ) რაც შეეხება გამოსაყენებელ კრიტერიუმს იმის შესაფასებლად, თუ რამდენად არის საქმიანობები დროებითი ხასიათის, 1977 წლის 22 მარტის ზემოთ აღნიშნული დირექტივით მითითებული სისტემის თანახმად, მოქმედი ადვოკატების მიერ უზრუნველყოფილი მომსახურებების განგრძობადი და განმეორებითი ხასიათი უნდა იყოს გათვალისწინებული“.

19. წინასწარი შეკითხვების შინაარსიდან გამომდინარე, უნდა გვახსოვდეს, სასამართლომ ერთგვაროვნად დაადგინა, რომ მას არ გააჩნია ნაციონალური კანონმდებლობის გაერთიანების კანონთან შესაბამისობის განსაზღვრის უფლებამოსილება. თუმცა, სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება ნაციონალური სასამართლოს უზრუნველყოფა ყველა იმ კრიტერიუმით, რაც საჭიროა გაერთიანების კანონის ინტერპრეტაციისთვის, რომელმაც შეიძლება მისცეს მას შესაბამისობის დადგენის შესაძლებლობა მის წინაშე არსებულ საქმეზე მისაღები გადაწყვეტილების მიზნით (იხილეთ საქმე *C-63/94 Groupe National des Negociants en Pommes de Terre de Belgique* [1995] ECR I-0000, პარა. 7).

20. გაერთიანების მოქალაქის მდგომარეობა, რომელიც გადაინაცვლებს სხვა წევრ სახელმწიფოში ეკონომიკური აქტივობის განხორციელების მიზნით, რეგულირდება შეთანხმების თავით, რომელიც მუშაკთა თავისუფალ გადაადგილებას ეხება, ან დაფუძნების უფლების შესახებ თავით, ან მომსახურებების შესახებ თავით, რომლებიც აშკარად ექსკლუზიური ხასიათისაა.

21. გამომდინარე იქიდან, რომ მითითებული შეკითხვები განიხილება ძირითადად „დაფუძნებისა“ და „მომსახურების უზრუნველყოფის“ კონცეფციის ფარგლებში, მუშაკების შესახებ თავი შეუსაბამოდ უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან არა აქვს კავშირი ამ შეკითხვებთან.

22. მომსახურების შესახებ თავის ნორმები ექვემდებარება დაფუძნების უფლების თავში ასახულ ნორმებს იმდენად, რამდენადაც, უპირველეს ყოვლისა, 59-ე მუხლის პირველი პარაგრაფის ტექსტი გულისხმობს, რომ განსახილველი მომსახურების მიმწოდებელი და მიმღები „დაფუძნდნენ“ ორ სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში, და, მეორე რიგში, რადგან მე-60 მუხლის პირველი პარაგრაფი აკონკრეტებს, რომ მომსახურებასთან დაკავშირებული ნორმები გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ დაფუძნების უფლებასთან დაკავშირებული ნორმები არ გამოიყენება. შესაბამისად, აუცილებელია „დამკვიდრების“ კონცეფციის შინაარსის განხილვა.

23. დაფუძნების უფლება, განსაზღვრული შეთანხმების 52-ე-58-ე მუხლებით, მინიჭებული აქვთ როგორც იურიდიულ პირებს, 58-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინ-

არე, ასევე ფიზიკურ პირებს, რომლებიც არიან გაერთიანების წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეები. დადგენილი გამონაკლისებისა და პირობების საგანი უფლებას აძლევს ყველა ტიპის თვითდასაქმების ხასიათის საქმიანობის დაწყებასა და განხორციელებას სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სანარმოების შექმნასა და საქმიანობას, და სააგენტოების, ფილიალების ან შვილობილი კომპანიების დაფუძნებას.

24. აღნიშნულს მოსდევს ის ფაქტი, რომ, შეთანხმების შინაარსიდან გამომდინარე, პირი შეიძლება დაფუძნდეს ერთ წევრ სახელმწიფოზე მეტში, კერძოდ კი, კომპანიების შემთხვევაში, სააგენტოების, ფილიალების ან შვილობილი კომპანიების დაფუძნების გზით (52-ე მუხლი) და, როგორც სასამართლომ განსაზღვრა პროფესიის წევრთა საქმეში, მეორე პროფესიული ბაზის შექმნის მეშვეობით (იხილეთ საქმე 107/83 *Ordre des Avocats au Barreau de Paris v. Klopp* [1984] ECR 2971, პარა. 19).

25. შეთანხმების შინაარსიდან გამომდინარე, დაფუძნების კონცეფცია საკმაოდ ფართო ცნებაა, იგი უფლებას აძლევს გაერთიანების მოქალაქეს, სტაბილურ და მდგრად საფუძველზე მიიღოს მონაწილეობა წევრი სახელმწიფოს ეკონომიკურ ცხოვრებაში, რომელიც განსხვავებულია თავისი სახელმწიფოსგან და მიიღოს მისგან შემოსავალი, წვლილი შეიტანოს გაერთიანების ფარგლებში ეკონომიკურ და სოციალურ ინტეგრაციაში, საქმიანობების სფეროში, როგორც თვითდასაქმებულმა პირმა (აღნიშნულთან მიმართებით იხილეთ საქმე 2/74 *Reyners v. Belgium* [1974] ECR 631, პარა. 21).

26. აღნიშნულის საპირისპიროდ, იქ, სადაც მომსახურების მიმწოდებელი გადაადგილდება სხვა წევრ სახელმწიფოში, მომსახურების შესახებ თავისი ნორმები, კერძოდ კი მე-60 მუხლის მესამე პარაგრაფი გულისხმობს, რომ ის იქ დროებით ახორციელებს თავის საქმიანობას.

27. როგორც გენერალურმა ადვოკატმა აღნიშნა, განსახილველი საქმიანობების დროებითი ხასიათი უნდა განისაზღვროს არა მხოლოდ მომსახურების უზრუნველყოფის ხანგრძლივობის, არამედ მისი რეგულარობის, პერიოდულობის ან განგრძობადობის კონტექსტში. ის ფაქტი, რომ მომსახურებასთან დაკავშირებული ნორმები დროებითი ხასიათისაა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მომსახურების მიმწოდებელი, შეთანხმების შინაარსიდან გამომდინარე, არ არის უფლებამოსილი, აღიჭურვოს გარკვეული ფორმის ინფრასტრუქტურით მასპინძელ წევრ სახელმწიფოში (ოფისის, კაბინეტების ან საკონსულტაციო ოთახების ჩათვლით), იმდენად, რამდენადაც ამგვარი ინფრასტრუქტურა აუცილებელია განსახილველი მომსახურების განწევის მიზნით.

28. თუმცა აღნიშნული სიტუაცია უნდა განვასხვავოთ ბატონ გებჰარდთან მიმართებით შექმნილი სიტუაციისგან, რომელიც, როგორც წევრი სახელმწიფოს მოქალაქე, ახორციელებს პროფესიულ საქმიანობას სტაბილურ და განგრძობად საფუძველზე სხვა წევრ სახელმწიფოში, სადაც იგი არ შედის სახელმწიფოს მოქალაქეთა არსებულ აღნიშნულ პროფესიულ ბაზაში. ამგვარი მოქალაქე განიხილება დაფუძნების უფლებასთან და არა მომსახურებასთან დაკავშირებული თავის ნორმების ფარგლებში.

29. მილანის ადვოკატთა საბჭომ გაასაჩივრა, რომ ისეთი პირი, როგორც ბატონი გებჰარდია, არ უნდა იქნეს განხილული შეთანხმების მიზნებიდან გამომდინარე, როგორც „დაფუძნებული“ წევრ სახელმწიფოში (ამ შემთხვევაში იტალიაში), გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი ეკუთვნის ამ სახელმწიფოს პროფესიულ ორგანოს ან, სულ მცირე, თუ იგი ახორციელებს თავის საქმიანობას იმ პირებთან თანამშრომლობითა ან პარტნიორობით, რომლებიც აღნიშნულ ორგანოს განეკუთვნებიან.

30. აღნიშნული არგუმენტი ვერ იქნება გაზიარებული.

31. დაფუძნების უფლებასთან დაკავშირებული ნორმები მოიცავს საქმიანობის დაწყებასა და განხორციელებას (აღნიშნულთან მიმართებით იხილეთ სასამართლო მსჯელობა საქმეზე – *Reyners*, პარა.: 46 და 47). პროფესიული ორგანოს წევრობა შეიძლება იყოს კონკრეტული საქმიანობის დაწყებისა და განხორციელების წინაპირობა. ის შეუძლებელია თავისთავად იყოს დაფუძნებული უწყება.

32. აღნიშნულიდან გამომდინარეობს შეკითხვა, თუ რამდენად არის შესაძლებელი წევრი სახელმწიფოს მოქალაქის მიერ დაფუძნებაზე მისი უფლების განხორციელება და უნდა განისაზღვროს თუ არა ამ უფლების გამოყენების პირობები იმ საქმიანობებთან მიმართებით, რომელთა განხორციელებასაც იგი გეგმავს მასპინძელი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

33. 52-ე მუხლის მეორე პარაგრაფის პირობების თანახმად, წარმოების თავისუფლება უნდა განხორციელდეს წარმოების მოქმედების ქვეყნის კანონით, რომელიც ადგენს პირობებს საკუთარი მოქალაქეებისათვის.

34. იმის გამო, რომ განსახილველ სპეციფიკურ საქმიანობებს მასპინძელ ქვეყანაში არ შეეხება რაიმე ნორმები, იმ კუთხით, რომ იმ წევრი სახელმწიფოს მოქალაქეს არ უნდა ჰქონდეს რაიმე სოციალური კვალიფიკაცია მის განსახორციელებლად, ნებისმიერი სხვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქეს აქვს უფლება, დაფუძნდეს პირველი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და განახორციელოს ეს საქმიანობები იქ.

35. მიუხედავად აღნიშნულისა, თვითდასაქმების კონკრეტული საქმიანობის დაწყება და განხორციელება შეიძლება პირობითი იყოს, რადგან უნდა შეესაბამებოდეს კანონით, რეგულაციით ან ადმინისტრაციული მოქმედებით დადგენილ კონკრეტულ ნორმებს, გამართლებულს საერთო სიკეთით, როგორიცაა: ნორმები დაკავშირებული ორგანიზაციასთან, კვალიფიკაციასთან, პროფესიულ ეთიკასთან, ზედამხედველობასა და ვალდებულებებთან (იხილეთ საქმე *C-71/76 Thieffry v. Conseil de l'Ordre des Avocats a la Cour de Paris* [1977] ECR 765, პარა. 12). ამგვარ ნორმებს შეუძლიათ, დათქმა გაუკეთონ, რომ კონკრეტული საქმიანობის განხორციელების უფლება შეიძლება მიეცეთ მხოლოდ პირებს, რომელთაც აქვთ ფორმალური კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი, სერტიფიკატი ან სხვა მსგავსი საბუთი, პირებს, რომლებიც ეკუთვნიან პროფესიულ ორგანოებს ან პირებს, რომლებსაც ეხებათ კონკრეტული ნორმები ან ზედამხედველობა, როგორც შეიძლება იყოს ეს შემთხვევა. მათ აგრეთვე შეუძლიათ, დაადგინონ ისეთი პროფესიული ტიტულების გამოყენების პირობები, როგორიცაა ადვოკატის ტიტული.

36. იქ, სადაც სპეციფიკური საქმიანობის დაწყება ან განხორციელება ამგვარი პირობების საგანია მასპინძელ წევრ სახელმწიფოში, სხვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქე, რომელიც აპირებს ამ საქმიანობის განხორციელებას, უნდა შეესაბამებოდეს მათ. სწორედ ამ მიზნით 57-ე მუხლი ადგენს, რომ ევროპული კავშირის საბჭო გამოსცემს დირექტივებს, ისეთს, როგორიცაა 89/48 დირექტივა, დიპლომების, სერტიფიკატებისა და ფორმალური კვალიფიკაციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების ორმხრივი აღიარების შესახებ, ან, როგორც შეიძლება ვითარება იყოს, რომ ნაციონალური ნორმების კოორდინაციის შესახებ, რომლებიც ეხება თვითდასაქმებული პირის საქმიანობების დაწყებასა და განხორციელებას.

37. მიუხედავად აღნიშნულისა, სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარეობს, რომ ეროვნულმა ზომებმა, მიმართულმა, ხელი შეუშალოს ან წარმოაჩინოს ნაკლებად მიმზიდველად შეთანხმებით გარანტირებული თავისუფლებების სიცოცხლეში გატარება, უნდა დააკმაყოფილოს ოთხი პირობა: მათი გამოყენება უნდა მოხდეს არადისკრიმინაციული ხასიათით; მათი დადასტურება საჭიროა ზოგადი ინტერესების

იმპერატიული მოთხოვნებით; ისინი უნდა შეესაბამებოდნენ მათ მიერ განხორციელებული მიზნების მიღწევის დასაცავად; და ისინი არ უნდა გასცდნენ იმ ზღვარს, რომელიც აუცილებელია მის მისაღწევად (იხილეთ საქმე C-19/92 *Kraus v. Land Baden-Wuerttemberg* [1993] ECR I-1663, პარა. 32).

38. აღნიშნულის მსგავსად, თავიანთი ნაციონალური ნორმების გამოყენებისას ნევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება იგნორირება არ გაუკეთონ განსახილველი პირის მიერ სხვა ნევრ სახელმწიფოში უკვე მიღებულ ცოდნასა და კვალიფიკაციას (იხილეთ საქმე C-340/89 *Vlassopolou v. Ministerium fuer Justiz, Bundes und Europaangelegenheiten Baden Wuerttemberg* [1991] ECR I-2357, პარა. 15). შესაბამისად, მათ მხედველობაში უნდა მიიღონ დიპლომების ეკვივალენტურობა (იხილეთ სასამართლო განხილვა საქმეში – *Thieffry*, პარა.: 19 და 27) და თუ საჭიროა, გააგრძელონ მათი ნაციონალური კანონმდებლობისა და კომპეტენტური პირების მიერ მოთხოვნილი ცოდნისა და კვალიფიკაციის შედარება (იხილეთ საქმე C-340/89 *Vlassopolou*, პარა. 16).

39. ზემოთქმულიდან გამომდინარე, *Consiglio Nazionale Forense*-ს მიერ დასმული კითხვების საპასუხოდ უნდა გაცხადდეს შემდეგი:

- შეთანხმების მე-60 მუხლის მესამე პარაგრაფში განხილული მომსახურების უზრუნველყოფის დროებითი ხასიათი უნდა განისაზღვროს მისი ხანგრძლივობის, სისტემატიურობის, პერიოდულობისა და მდგრადობის კონტექსტში;
- შეთანხმების შინაარსიდან გამომდინარე, მომსახურების მიმწოდებელი უფლებამოსილია, აღიჭურვოს ინფრასტრუქტურით, რომელიც აუცილებელია კითხვაში დასმული მომსახურების განხორციელების მიზნით;
- ნევრი სახელმწიფოს მოქალაქე, რომელიც ახორციელებს პროფესიულ საქმიანობას სტაბილურ და მდგრად საფუძველზე სხვა ნევრ სახელმწიფოში, სადაც იმ სახელმწიფოს მოქალაქეთა პროფესიული ბაზის შემადგენელ ნაწილი არ არის, ექვემდებარება დაფუძნების უფლების, და არა მომსახურების შესახებ თავით დადგენილ, ნორმებს;
- ნევრი სახელმწიფოს მოქალაქის შესაძლებლობა, განახორციელოს თავისი უფლება დაფუძნებაზე, და პირობები ამ უფლების გამოყენებაზე, უნდა განისაზღვროს იმ საქმიანობის კონტექსტში, რომელსაც იგი აპირებს, რომ განახორციელოს მასპინძელი ნევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე;
- იქ, სადაც სპეციფიკური საქმიანობის დაწყება არ არის მასპინძელი სახელმწიფოს რაიმე ნორმების განხილვის საგანი, ნებისმიერი სხვა ნევრი სახელმწიფოს მოქალაქეს შესაძლებლობა მიეცემა, დაფუძნდეს პირველ სახელმწიფოში და განახორციელოს საქმიანობა იქ; მეორე მხრივ, სპეციფიკური საქმიანობის დაწყება ან განხორციელება მასპინძელი ნევრი სახელმწიფოს სპეციალური პირობების საგანია, სხვა ნევრი სახელმწიფოს მოქალაქემ რომ განახორციელოს ეს საქმიანობა, უნდა შეესაბამებოდეს მათ;
- მიუხედავად აღნიშნულისა, ეროვნულმა ზომებმა, მიმართულმა, ხელი შეუშალოს ან წარმოაჩინოს ნაკლებად მიმზიდველად შეთანხმებით გარანტირებული თავისუფლებების სიცოცხლეში გატარება, უნდა დააკმაყოფილოს ოთხი პირობა: ისინი უნდა გამოიყენონ არადისკრიმინაციული ხასიათით; მათი დადასტურება საჭიროა ზოგადი ინტერესების იმპერატიული მოთხოვნებით; ისინი უნდა შეესაბამებოდნენ მათ მიერ განხორციელებული მიზნების მიღწევის დასაცავად; და ისინი არ უნდა გასცდნენ იმ ზღვარს, რომელიც აუცილებელია მის მისაღწევად;
- აღნიშნულის მსგავსად, ნევრმა სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ დიპლომების ეკვივალენტურობა და, თუ საჭიროა, გააგრძელონ მათი ნაციონალური კანონმდებლობისა და კომპეტენტური პირების მიერ მოთხოვნილი ცოდნისა და კვალიფიკაციის შედარება.

მეხუთე ნაწილი

საკონკურენციო სამართალი

I. შესაბამისი ბაზრის დეფინიცია სასამართლოს გადანყვეტილებების მიხედვით

ევროპული სასამართლოს მიერ აღიარებული იყო ბაზრის დეფინიციის მნიშვნელობა. სასამართლომ აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა ევროკავშირის ხელშეკრულების 82-ე მუხლის დარღვევის დადგენამდე²⁸⁷, ვინაიდან მუხლის გამოყენება მოითხოვს ბაზარზე დომინანტური პოზიციის არსებობას, რაც გულისხმობს, რომ შესაბამისი ბაზარი უკვე იყო განსაზღვრული.²⁸⁸ 81-ე მუხლთან დაკავშირებით, ბაზრის განსაზღვრა, არსებითად, საჭიროა იმის დადგენამდე, ჰქონდა თუ არა შეთანხმებას მიზნად კონკურენციის პრევენცია, შეზღუდვა, ან განადგურება.²⁸⁹ პირველი ინსტანციის სასამართლომ გადანყვეტილებაში – *Lombard Club*²⁹⁰ – აღნიშნა, რომ ბაზრის განსაზღვრა სხვადასხვა როლს ასრულებს 81-ე მუხლისა და 82-ე მუხლის შემთხვევაში. 81-ე მუხლში ის განსაზღვრავს, იყო თუ არა კონკურენციაზე ზემოქმედება. ამდენად, *Lombard Club*-ის გადანყვეტილებაში, რომელშიც აღინიშნა ჰორიზონტალური კარტელი, კომისიისთვის გამართლებული აღმოჩნდა ფართო ბაზრის დეფინიცია – მოიცავდა მრავალ საბანკო პროდუქტს, რომლებიც სხვა კონტექსტში შეიძლებოდა ცალკეულ ბაზრებს მიკუთვნებოდა, ვინაიდან შესაძლებელი ხდებოდა ამ ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე ზემოქმედების დანახვა.

შესაბამისი ბაზარს ორი ასპექტი აქვს, ესენია: პროდუქტის ასპექტი, იგივე პროდუქტის ბაზარი და გეოგრაფიული ასპექტი, იგივე გეოგრაფიული ბაზარი. სასამართლომ მოახდინა შესაბამისი პროდუქტის ბაზრის დეფინიცია:

(...) შესაბამისი ბაზრის დეფინიცია არის არსებითი მნიშვნელობისა, რადგან კონკურენციის შესაძლებლობა შეიძლება შეფასდეს მხოლოდ განსახილველი პროდუქტის მახასიათებლებთან დაკავშირებით, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია არაელასტიკური მოთხოვნების დაკმაყოფილება და შეზღუდულად ხდება სხვა პროდუქტებთან ჩანაცვლება.²⁹¹

შესაბამისი ბაზრის კონცეფცია გულისხმობს, რომ უნდა არსებობდეს ეფექტური კონკურენცია იმ პროდუქტებს შორის, რომლებიც შეადგენენ მის ნაწილს, რაც გულისხმობს, რომ არსებობს ურთიერთჩანაცვლების მაღალი ხარისხი იმ პროდუქტებს შორის, რომლებიც შეადგენენ ერთი და იმავე ბაზრის ნაწილს, იმდენად, რამდენადაც საჭიროა ასეთი პროდუქტების სპეციფიკური გამოყენება.²⁹²

კონკრეტულ ბაზარზე სანარმოს შესაძლო დომინანტური მდგომარეობის გამოძიების მიზნებისათვის კონკურენციის შესაძლებლობა განხილულ უნდა იქნეს იმ პროდუქტებისგან შემდგარ ბაზარზე, რომლებიც, მათი მახასიათებლებისაგან გამომდინარე, აკმაყოფილებენ კონკრეტულ საჭიროებას და აქვთ ჩანაცვლების შეზღუდული უნარი.²⁹³

²⁸⁷ Case 6/72, *Europemballage Corp and Continental Can Co Inc v. Commission* [1973] ECR 215, CMLR 199, პარა. 32.

²⁸⁸ Case T-62/98, *Volkswagen AG v. Commission* [2000] 5 CMLR 853, პარა. 231.

²⁸⁹ Cases T-374,375,384 და 388/94, *European Night Services v. Commission* [1998] ECR II-3141, [1998] 5 CMLR 718. პარა. 93-95 და 105.

²⁹⁰ Cases T-259/02 და T-271/02 *Raiffeisen Zentralbank Osterreich and others v. Commission*, 2006 წლის 14 დეკემბერი.

²⁹¹ Case 6/72, *Europemballage Corp and Continental Can Co Inc v. Commission* [1973] ECR 215, CMLR 199, პარა. 32.

²⁹² Case 85/76, *Hoffmann-La Roche & Co AG v. EC Commission* [1979] ECR 461, [1979] 3 CMLR 211, პარა. 28.

²⁹³ Case 322/81 *Nederlandsche Banden – Industrie Michelin v. Commission* [1983] ECR 3461, [1985] 1 CMLR 282, პარა. 37.

მაგალითად, საქმეში – *United Brands*²⁹⁴ – სასამართლომ ბანანისათვის გამოყო ცალკე ბაზარი და არ გააერთიანა ის სხვა ხილის ბაზართან.

საქმე *United Brands v. Commission*:

საფუძვლები. (...) კომპანია *United Brands*-მა (შემდგომში – *UBC*) და მისმა წარმომადგენელმა 1976 წლის 15 მარტს სასამართლოში დაარეგისტრირეს პეტიცია კომისიის 1975 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილების შეცვლის მიზნით (...)

გადაწყვეტილების პირველი მუხლი ადგენს, რომ *UBC*-მა დაარღვია ევროპის ეკონომიკური საზოგადოების დამაარსებელი ხელშეკრულების 86-ე მუხლი:

- ა) ბელგია-ლუქსემბურგის ეკონომიკურ კავშირში, დანიაში, გერმანიაში, ირლანდია და ჰოლანდიაში მყოფი მისი დისტრიბუტორ/დამამნიფებლებისათვის მწვანე ბანანის გაყიდვისაგან თავის შეკავების მოთხოვნით;
- ბ) *Scipio*-ჯგუფის გარდა, წევრ სახელმწიფოებში სხვა მოვაჭრე მხარეებისათვის, კერძოდ დისტრიბუტორი/დამამნიფებლებისათვის „*Chiquita*“-ს სახეობის ბანანის გაყიდვისას ერთსა და იმავე ტრანზაქციებში სხვადასხვა თანხის მოთხოვნით;
- გ) ბელგია-ლუქსემბურგის ეკონომიკურ კავშირში, დანიაში, გერმანიასა და ჰოლანდიაში მყოფი მომხმარებლებისათვის (*scipio*-ჯგუფის გარდა) „*Chiquita*“-ს სახეობის ბანანზე უსამართლო ფასების დანესებით;
- დ) 1973 წლის 10 ოქტომბრიდან 1975 წლის 11 თებერვლამდე *Olsen*-ისათვის (ვალბი, კოპენჰაგენი, დანია) „*Chiquita*“-ს სახეობის ბანანის მიწოდებაზე უარის თქმით.

UBC-ის ძირითადი მოთხოვნა თავის აპლიკაციაში არის შემდეგი, რომ სასამართლომ შეცვალოს კომისიის 1975 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება (...)

(...)...*UBC*-მა თავისი დასკვნის მხარდასაჭერად წარადგინა რვა მოსაზრება:

- 1) ის ცვლის კომისიის მიერ შესაბამის ბაზარზე, ასევე პროდუქტისა და გეოგრაფიულ ბაზარზე ჩამოყალიბებულ ანალიზს;
- 2) ის უარყოფს, რომ შესაბამის ბაზარზე იმყოფება დომინანტურ მდგომარეობაში, ხელშეკრულების 86-ე მუხლის შესაბამისად;
- 3) ის მიიჩნევს, რომ მწვანე ბანანის გაყიდვასთან დაკავშირებული პირობების შესახებ პუნქტი გამართლებულია მომხმარებლისათვის მისაყიდი პროდუქტის ხარისხის დაცვის ინტერესებიდან;
- 4) მას სურს აჩვენოს, რომ დანიურ ფირმა *Olsen*-ისათვის მიწოდებაზე უარის თქმა იყო გამართლებული;
- 5) ის ყურადღებას ამახვილებს, რომ მას არ გადაუხდევინებია დისკრიმინაციული ფასები;
- 6) ის ყურადღებას ამახვილებს, რომ მას არ დაუწესებია უსამართლო ფასები;
- 7) ის ჩივის, რომ ადმინისტრაციული პროცედურა არ იყო სწორი;
- 8) ის დავობს ჯარიმის დანესების თაობაზე და სთხოვს სასამართლოს მის შემცირებას.
(...) ნაწილი 1. შესაბამისი ბაზარი

10. იმისათვის, რომ განისაზღვროს, ჰქონდა თუ არა დომინანტური პოზიცია *UBC*-ს ბანანის ბაზარზე, აუცილებელია, ამ ბაზრის განსაზღვრა როგორც პროდუქტის, ასევე გეოგრაფიული თვალთახედვიდან.

(...)

²⁹⁴ Case 27/76, *United Brands v. Commission* [1978] ECR 207, [1978] 1 CMLR 429.

12. ვინაიდან პროდუქტის ბაზარი არის განსასაზღვრე, პირველ რიგში, აპლიკანტის მტკიცებით, საჭიროა შეფასდეს, თუ რამდენად არის ბანანი ახალი ხილის ბაზრის არსებითი შემადგენელი და მომხმარებლისათვის გონივრულად ჩანაცვლებადი სხვა ახალი ხილით, როგორებიცაა: ვაშლი, ფორთოხალი, ყურძენი, ატამი, მარწყვი და ა.შ.; თუ შესაბამისი ბაზარი მოიცავს მხოლოდ ბანანს, როგორც ბრენდირებულს, ასევე არაბრენდირებულს, იგი არის, არსებითად, ერთგვაროვანი და სხვა ახალი ხილის ბაზრისგან განცალკევებული.

13. აპლიკანტი თავისი არგუმენტების დასასაბუთებლად აცხადებს, რომ ბანანი კონკურენციას უწევს სხვა ახალ ხილს იმავე მაღაზიებში, იმავე თაროებიდან, შედარებითი ფასებით და აკმაყოფილებს იმავე საჭიროებებს: მოიხმარება როგორც დესერტი, ან კვებათა შორის.

14. სტატისტიკა აჩვენებს, რომ ბანანის შესყიდვის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია იენისა და დეკემბერს შორის პერიოდში, ბაზარს ადგილობრივი ახალი ხილი დიდი ოდენობით მიეწოდება.

(...) სხვადასხვა დაკვირვება ცხადყოფს, რომ ბანანის ფასები და შესყიდვის რაოდენობა დამოკიდებულია სხვადასხვა პერიოდზე, კერძოდ ზაფხულის განმავლობაში და ეგრეთ წოდებულ „ფორთოხლის პერიოდში“ შეიმჩნევა მკვეთრი ცვლილებები, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს როგორც გაყიდვებზე, ასევე იმპორტზე.

18. აქედან გამომდინარე, აპლიკანტი ადგენს, რომ ბანანი და სხვა ახალი ხილი მიეკუთვნება ერთ ბაზარს და რომ *UBC*-ის მოქმედება ხელშეკრულების 86-ე მუხლთან მიმართებით განხილულ უნდა იქნეს ამ კონტექსტში.

19. კომისია აცხადებს, რომ ბანანზე არსებული მოთხოვნა განსხვავდება სხვა ახალ ხილზე არსებული მოთხოვნისგან, რადგან ბანანი საზოგადოების გარკვეული ნაწილის დიეტის მნიშვნელოვანი შემადგენელი ერთეულია.

20. ბანანის სპეციფიკური მახასიათებლები გავლენას ახდენს მომხმარებლის დამოკიდებულებაზე და, შესაბამისად, ის ვერ იღებს სხვა ხილს, როგორც შემცვლელს.

(...) 22. იმისათვის, რომ ბანანის ბაზარი განისაზღვროს როგორც სხვა ახალი ხილის ბაზრისგან განსხვავებული, საჭიროა, ბანანი გამოიყოს, რადგან იგი, თავისი განსაკუთრებული თვისებების გამო, შეზღუდულად ჩანაცვლებადი ხდება სხვა ხილის მიერ და კონკურენციას უწევს რთულად აღსაქმელი გზით.

23. ბანანის დამწიფება ხდება მთელი წლის განმავლობაში, სეზონების გაუთვალისწინებლად.

24. წლის განმავლობაში მიწოდება აღემატება მოთხოვნას და მისი დაკმაყოფილება შესაძლებელია ნებისმიერ დროს.

25. ამ კონკრეტული თვისების გამო, ბანანი არის პრივილეგირებული ხილი და მისი წარმოება და მარკეტინგი შეიძლება ადაპტირებული იყოს აღნიშნული ახალი ხილის მოწოდების სეზონურ მერყეობასთან, რომლებიც ცნობილია და რომელთა მოხმარებაც შესაძლებელია.

26. ვინაიდან მომხმარებელს შეუძლია ბანანის მიღება მთელი წლის განმავლობაში, არ არსებობს ამ ხილის სეზონური ჩანაცვლების მოთხოვნა.

27. ვინაიდან ბანანი არის ხილი, რომელიც ყოველთვის ხელმისაწვდომია საკმარისი რაოდენობით, შეკითხვაზე – რამდენად არის შესაძლებელი მისი სხვა ხილით ჩანაცვ-

ლება – პასუხი უნდა განისაზღვროს მთელი წლის გათვალისწინებით, რათა მოხდეს კონკურენციის განსაზღვრა ბანანსა და სხვა ახალ ხილს შორის.
(...)

31. ბანანს აქვს გარკვეული თვისებები, კერძოდ: გარეგნობა, გემო, სირბილე, კურკების არქონა, მარტივი მოხმარება, პროდუქციის დიდი რაოდენობა, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, დააკმაყოფილოს იმ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მუდმივი საჭიროება, რომელიც შედგება ძალიან ახალგაზრდების, მოხუცებისა და ავადმყოფებისაგან.

32. რაც შეეხება ფასებს, შესწავლამ დაადგინა, რომ ბანანის ფასის ვარდნაზე სხვა ხილის (ატიშისა და სუფრის ყურძნის) ფასები ახდენს გავლენას მხოლოდ ზაფხულის განმავლობაში, ძირითადად ივლისში, და ვარდნის მოცულობა არ აღემატება 20%-ს.
(...)

34. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ მომხმარებლების დიდი რაოდენობა, რომელთაც აქვთ ბანანის მოთხოვნილება, არ ამცირებს ბანანის მოხმარებას სხვა ახალი ხილის ბაზარზე შემოსვლისას და რომ მათი პიროვნული პიკის პერიოდებიც უმნიშვნელო გავლენას ახდენს დროის მნიშვნელოვნად შეზღუდულ პერიოდზე და, ჩანაცვლების თვალსაზრისით, ძალიან შეზღუდული დონით.

35. შესაბამისად, ბანანის ბაზარი არის სხვა ახალი ხილის ბაზრისგან, არსებითად, განცალკევებული.

ნაწილი 2. გეოგრაფიული ბაზარი

36. კომისიამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, დანია, ირლანდია, ჰოლანდიისა და ბელგია/ლუქსემბურგის ეკონომიკური კავშირი განიხილა როგორც გეოგრაფიული ბაზარი და ამ ბაზრის მიმართ განიხილა, თუ რამდენად შეეძლო *UBC*-ს ეფექტური კონკურენციისათვის ხელის შეშლა.
(...)

38. გაერთიანების სხვა წევრი სახელმწიფოები (საფრანგეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი), როგორც ჩანს, არ უნდა შევიდნენ გეოგრაფიული ბაზრის ამ განსაზღვრებაში, მიუხედავად ამ ქვეყნებში *UBC*-ის წარმომადგენლობის არსებობისა, იმპორტთან დაკავშირებული სპეციალური რეგულირებების, სავაჭრო პირობებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ამ ქვეყნებში სხვადასხვა ტიპისა და წარმომავლობის ბანანი იყიდება.

39. აპლიკანტი აღნიშნავს, რომ გეოგრაფიული ბაზარი, რომლის ტერიტორიაზეც განიხილება საწარმოს ეკონომიკური და კომერციული მოღვაწეობა, უნდა მოიცავდეს მხოლოდ იმ ადგილებს, სადაც კონკურენციის ერთგვაროვანი პირობებია.

40. მიუხედავად იმისა, რომ კომისიას ჰქონდა სრული საფუძველი აღნიშნული ბაზრიდან საფრანგეთის, იტალიისა და დიდი ბრიტანეთის გამოსარიცხავად, მან მხედველობაში არ მიიღო სხვა სახელმწიფოებში კონკურენციის პირობებს შორის არსებული განსხვავებები, რომელიც მას მიიყვანდა იმავე დასკვნამდე, რომელიც მან მიიღო ზემოთ აღნიშნული სამი სახელმწიფოს შემთხვევაში.

41. ფაქტობრივად, ჩართულ წევრ სახელმწიფოებში მოქმედებს ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული საბაჟო სისტემები: ნულოვანი სატარიფო სისტემა გერმანიაში, რომელიც ფარავს ბანანის კვოტას, რომელიც თანხვედრაშია ქვეყნის მოთხოვნის დიდ ნაწილთან, ტრანზიტული სატარიფო სისტემა ირლანდიასა და დანიაში და

20%-იანი სატარიფო საერთო სისტემა იმპორტზე ბენელუქსის ქვეყნებში.

42. კომისიამ ასევე არ გაითვალისწინა ჩართული წევრი სახელმწიფოების მცხოვრები მომხმარებლების ჩვევებს შორის არსებული განსხვავებები. ახალი ხილის მოხმარება გერმანიაში 2,5-ჯერ მეტია ირლანდიაში მოხმარებულზე, და 2-ჯერ აღემატება დანიაში მოხმარებულს, სხვადასხვა კომერციული მაგალითის, კონცენტრაციებისა და სავალუტო საკითხების მიხედვით.

43. აპლიკანტი ზემოთ აღნიშნულიდან აკეთებს დასკვნას, რომ კომისიის მიერ განსაზღვრული გეოგრაფიული ბაზარი მოიცავს ტერიტორიებს, სადაც კონკურენციის პირობები იმდენად განსხვავებულია, რომ მათი მიჩნევა ერთიან ბაზრად შეუძლებელია.

44. დომინანტურ მდგომარეობაში მყოფი სანარმოს მიმართ 86-ე მუხლის გამოყენების პირობები გულისხმობს საერთო ბაზრის არსებითი ნაწილის აშკარა განსაზღვრას, რომელშიც მას ექნება თავისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა, რაც ზიანს მიაყენებს ეფექტურ კონკურენციას, ამასთან, ეს უნდა იყოს ადგილი, სადაც კონკრეტული პროდუქტისათვის არსებული კონკურენციის ობიექტური პირობები ყველა მოვაჭრისათვის იქნება ერთი და იგივე.

45. გაერთიანებას ბანანისთვის არ შეუქმნია სოფლის ბაზრის ერთიანი ორგანიზაცია.

46. შედეგად, იმპორტის პროცედურები მნიშვნელოვნად განსხვავდება წევრი სახელმწიფოების შემთხვევაში და ასახავს ჩართული სახელმწიფოს კონკრეტულ კომერციულ პოლიტიკას.

(...)

51. სამი ბაზრის (საფრანგეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი) ეროვნული ფორმით ორგანიზების შედეგი არის ის, რომ აპლიკანტის ბანანი თანაბარ პირობებში ვერ უწევს კონკურენციას სხვა ბანანს, რომელიც არსებული უპირატესობის სისტემის გამო პრივილეგირებულ მდგომარეობაშია და კომისია მართალი იყო, როდესაც გეოგრაფიული ბაზრის განსაზღვრისას გამოყო აღნიშნული სამი ქვეყანა.

52. მეორე მხრივ, დანარჩენი ექვსი სახელმწიფოს ბაზარი არის თავისუფალი, მართალია, გამოსაყენებელი სატარიფო დებულებები და ტრანსპორტირების ხარჯები განსხვავებულია, მაგრამ არ არის დისკრიმინაციული და არსებულ პირობებში კონკურენცია ერთი და იგივეა ყველასათვის.

53. თავისუფალ კონკურენციაში ჩართვის თვალსაზრისით, აღნიშნული ექვსი სახელმწიფო ქმნის ტერიტორიას, რომელიც საკმარისად ერთგვაროვანია იმისათვის, რომ განხილულ იქნეს როგორც ერთიანი.

(...)

57. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ კომისიის მიერ განსაზღვრული გეოგრაფიული ბაზარი, რომელიც შეესაბამება საერთო ბაზრის არსებით ნაწილს, განხილულ უნდა იქნეს როგორც შესაბამისი ბაზარი, იმისათვის, რათა დადგინდეს, იმყოფებოდა თუ არა აპლიკანტი დომინანტურ მდგომარეობაში.

საქმე *Hoffmann-La Roche v. Commission*²⁹⁵:

საქმის ფაბულა: 1976 წლის 27 აგვისტოს შვეიცარიული კომპანია *Hofmann –La Roche & Company*-ს (შემდგომში – *Roche*) მიერ წარდგენილი ძირითადი მოთხოვნა იყო კომისიის 1976 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება. ამ გადაწყვეტილებაში სასამართლო

²⁹⁵ Case 85/76, *Hoffmann-La Roche & Co AG v. EC Commission* [1979] ECR 461, [1979] 3.

ადგენს, რომ, ხელშეკრულების 86-ე მუხლის შესაბამისად, *Roche* იმყოფებოდა დომინანტურ მდგომარეობაში ერთიან ბაზარზე, რაც მოიცავდა ვიტამინების – A, B2, B3 (პანტოთენური მჟავა), B6, C, E და H (ბიოტინი) – ბაზარს და ბოროტად იყენებდა თავის მდგომარეობას.

აპლიკანტმა თავის სასარგებლოდ წარადგინა ოთხი მოთხოვნა.

– მესამე მოთხოვნა: გასაჩივრებული გადაწყვეტილება არღვევს ხელშეკრულების 86-ე მუხლს, ვინაიდან კომისიამ არასწორად მოახდინა მისი განმარტება და ნებისმიერ შემთხვევაში არასწორად გამოიყენა დომინანტური მდგომარეობისა და ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენების კონცეფცია, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობას აღნიშნული შეთანხმების მსგავსი მიმართულებით განხილვის გზით.

ნაწილი 1: შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა

21. იმისათვის, რომ განისაზღვროს, იყო თუ არა *Roche* მითითებულ დომინანტურ მდგომარეობაში, აუცილებელია განისაზღვროს შესაბამისი ბაზარი როგორც პროდუქტის, ასევე გეოგრაფიული ბაზრის თვალთახედვიდან.

22. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-3 და მე-6 ნაწილებიდან ჩანს, რომ გეოგრაფიული ბაზარი მოიცავს სრულ ერთიან ბაზარს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 1972 წლის 31 დეკემბრამდე ექვს წევრ სახელმწიფოს, ხოლო ამ თარიღის შემდეგ ცხრა წევრ სახელმწიფოს.

23. გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეეხება 13 ჯგუფს მიკუთვნებულ დიდი მოცულობის ვიტამინებს, რომელთაგან *Roche* აწარმოებს და ყიდის რვას (A, B2, B3 (პანტოთენური მჟავა), B6, C, E და H (ბიოტინი)), ხოლო ხუთს (B12, D, PP, K და M) ის ყიდულობს სხვა მწარმოებლებისგან და შემდეგ ყიდის მათ.

კომისიამ დაადგინა, რომ *Roche* დომინანტურ მდგომარეობაში იმყოფებოდა მის მიერ წარმოებული რვა ჯგუფის ვიტამინებიდან შეიძღვის შემთხვევაში.

მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე, რომ, ერთი მხრივ, ვიტამინების ყოველ ცალკეულ ჯგუფს აქვს განსაკუთრებული მეტაბოლური ფუნქცია და ამის გამო შეუძლებელია მათი ჩანაცვლება და, მეორე მხრივ, იმ დანიშნულებით გამოყენების შემთხვევაში, რომელიც ამ სამ ჯგუფს საერთო აქვს, კერძოდ: საკვები, ცხოველთა კვება და ფარმაცევტული დანიშნულება – ეს ვიტამინები არ ხდებიან სხვა პროდუქტების კონკურენტები.

24. ამ ფაქტორების გათვალისწინების შედეგად, კომისიამ დაადგინა, რომ ვიტამინების თითოეული ჯგუფი შეადგენდა ცალკეულ ბაზარს და *Roche*-მ, რომელმაც პირველად განაცხადა, რომ ვიტამინების რამდენიმე ჯგუფი ქმნიდა ერთიან ბაზარს, მიიღო კომისიის გადაწყვეტილება, მაგრამ გააკეთა დათქმა, რომ C და E ჯგუფის ვიტამინები სხვა პროდუქტებთან ერთად ქმნიდა უფრო ფართო ბაზარს.

(...)

26. *Roche*-ს მიხედვით, ზემოთ აღნიშნულიდან უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ ზემოთ აღწერილი ორი ჯგუფის ვიტამინი არის უფრო ფართო პროდუქტის ბაზრის ნაწილი და რომ კომისიამ გაზარდა *Roche*-ს წილი ამ პროდუქტების ბაზრიდან ამოღებით.

(...)

28. თუ შესაძლებელია პროდუქტის სხვა მიზნებისთვის გამოყენება და ეს განსხვავებული გამოყენება შეესაბამება ეკონომიკურ საჭიროებებს, რომლებიც, თავის მხრივ, განსხვავებულია, არსებობს კარგი საფუძველი იმის აღსაქმელად, რომ, გარემოებებიდან

გამომდინარე, ეს პროდუქტი შეიძლება ეკუთვნოდეს სხვა ბაზარს, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს განსაკუთრებული თვისებები, რაც განსხვავდება როგორც სტრუქტურის, ასევე კონკურენციის პირობების თვალსაზრისით. თუმცა ზემოთ აღნიშნული არ ამართლებს დასკვნას, რომ ერთი სახის პროდუქტი, სხვა პროდუქტებთან ერთად, რომლებსაც შეუძლიათ მისი ჩანაცვლება, თუ მისი გამოყენება შესაძლებელია მრავალი დანიშნულებით და რომელთაც ის უწევს კონკურენციას, ქმნის ერთიან ბაზარს. შესაბამისი ბაზრის კონცეფცია, ფაქტობრივად, გულისხმობს, რომ უნდა არსებობდეს კონკურენცია იმ პროდუქტებს შორის, რომელნიც მის ნაწილს ქმნიან და რომ აღნიშნულ პროდუქტებს შორის უნდა არსებობდეს ჩანაცვლების გარკვეული დონე იმდენად, რამდენადაც გათვალისწინებულია ამ პროდუქტების სპეციფიკური გამოყენება. ასეთ ჩანაცვლება არ მომხდარა C და E ჯგუფის ვიტამინებს შორის დაკვირვების პერიოდში, რომლებიც, გარემოებებიდან გამომდინარე, ტექნიკური გამოყენებისათვის შეიძლება შეიცვალოს რომელიმე აღნიშნული ჯგუფის ვიტამინებით.

29. მეორე მხრივ, შეიძლება გაჩნდეს კითხვა: C და E ჯგუფის ვიტამინების შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისათვის აუცილებელია თუ არა, თითოეული ჯგუფის ყველა ვიტამინი განთავსდეს ერთ, მისი ჯგუფისათვის განსაზღვრულ, ბაზარზე, თუ პირიქით, თითოეული ჯგუფის ვიტამინებისათვის უნდა გამოიყოს ცალკე ბაზარი, – ერთი საკვები ჯგუფის ვიტამინებისათვის, ხოლო მეორე ტექნოლოგიური მიზნებით გამოსაყენებელი ვიტამინებისათვის?

30. თუმცა იმისათვის, რომ მოხდეს Roche-სა და მისი კონკურენტების საბაზრო წილის სწორი კალკულაცია, ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა არ არის აუცილებელი, ვინაიდან, როგორც კომისიამ მართებულად აღნიშნა, ასეთი განსხვავების დადგენის აუცილებლობის შემთხვევაში ეს უნდა მოხდეს როგორც Roche-ს, ისე მისი კონკურენტების მიმართ და აპლიკანტის მიერ სანინალმდეგო ჩვენების არარსებობისას თითოეული საბაზრო წილი იქნებოდა უცვლელი. და ბოლოს, Roche-მ სასამართლოს მიერ მისთვის დასმულ შეკითხვაზე განაცხადა, რომ თითოეული ჯგუფის ყველა ვიტამინი, მიუხედავად მათი ალტერნატიული გამოყენებისა, ექვემდებარებოდა ფასების ერთსა და იმავე სისტემას, რის გამოც მათი დაყოფა ცალკე ბაზრებად შეუძლებელი იყო.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ კომისიამ თავის გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში სწორად განსაზღვრა შესაბამისი ბაზარი.

II. საკონკურენციო სამართლის სუბიექტები; შეთანხმებების, გადანყვეტილებების და შეთანხმებული პრაქტიკის განსაზღვრება

1. სანარმო და სანარმოთა ასოციაცია

საქმეში – *Hofner and Elser v. Macrotron*²⁹⁶ – სასამართლომ ფოკუსირება მოახდინა შესაბამისი უწყების პასუხისმგებლობაზე.

საქმე *Hofner and Elser v. Macrotron*:

საქმის ფაბულა: დაქირავებულთა ხელშეწყობის თაობაზე გერმანული კანონის (AFG) მიხედვით, *Bundesanstalt*-ს, მოსამსახურეთა ფედერალურ სამსახურს, საჯარო (სახელმწიფო) სააგენტოსაქვს მონოპოლიამოსამსახურეთა დაქირავებაზე. *Bundesanstalt*-ი

²⁹⁶ Case C-41/90, Hofner and Elser v. Macrotron [1991] ECR I-1979, [1993] 4 CMLR 306.

ასევე აღნიშნულ უფლებას დელეგირების გზით გადასცემდა კერძო სააგენტოებს, რომლებიც მუშაობდნენ ბიზნესაღმასრულებლების დაქირავების საკითხებზე. ეს საქმე შეეხება გერმანიის სასამართლოში კერძო დამქირავებელ სააგენტოსა და იმ კომპანიას შორის წარმოშობილ დავას, რომელსაც სააგენტო უწევდა მოსამსახურეთა დაქირავებასთან დაკავშირებულ მომსახურებას *Bundesanstalt*-ის ექსკლუზიური უფლების დარღვევით. კერძო კომპანია მოითხოვდა კონტრაქტით გათვალისწინებული საფასურის გადახდას. გერმანიის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, მოთხოვნა არ დაექმყოფილებინა, რადგან კონტრაქტი დადებული იყო გერმანიის კანონმდებლობის დარღვევით და, შესაბამისად, იყო ბათილი. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ ნებისმიერი სამართლებრივი აქტი, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ აკრძალვას, არის ბათილი (აკრძალვა ეხება დაქირავებულთა ხელშეწყობით საქმიანობას, რომელიც არღვევს *AFG*-ს). გერმანიის სასამართლომ მიიჩნია, რომ დავის შედეგი დამოკიდებული უნდა ყოფილიყო გაერთიანების სამართალზე და შეკითხვებით მიმართა სასამართლოს 234-ე მუხლზე დაყრდნობით. კერძოდ, მან იკითხა, იყო თუ არა *Bundesanstalt*-ის ქმედება დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. ამ შეკითხვამ წარმოშვა იმის დადგენის საჭიროება, ითვლებოდა თუ არა *Bundesanstalt* სანარმოდ კონკურენციის წესებისათვის.

ევროპული სასამართლო

21. კონკურენციის სამართლის კონტექსტში, პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ, რომ სანარმოს კონცეფცია მოიცავს ყველა უწყებას, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობაში არის ჩართული, მიუხედავად მისი სამართლებრივი სტატუსისა და დაფინანსების წყაროსი, და, მეორე, დაქირავებულთა ხელშეწყობა არის ეკონომიკური საქმიანობა.

22. ფაქტი, რომ დაქირავებულთა ხელშეწყობის სფერო, როგორც წესი, საჯარო სააგენტოებისათვის არის გადაცემული, არ მოქმედებს ასეთი საქმიანობის ეკონომიკურ ხასიათზე. დაქირავებულთა ხელშეწყობა ყოველთვის არ იყო და არც არის საჭირო, რომ იყოს საჯარო უწყების საქმიანობის სფერო. ეს დადგენილება, კერძოდ, ეხება დასაქმების აღმასრულებლებს.

23. აქედან გამომდინარეობს, რომ უწყება, როგორცაა დასაქმების საჯარო სააგენტო, რომელიც ჩართულია დაქირავებულთა ხელშეწყობაში, კლასიფიცირებული უნდა იქნეს როგორც სანარმო, – გაერთიანების კონკურენციის სამართლის გამოყენების მიზნებისათვის.

24. უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმების საჯარო სააგენტო, რომელსაც წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით შეუძლია ზოგადი ხასიათის ეკონომიკური მომსახურების განევა, კერძოდ *AFG*-ის მესამე მუხლით გათვალისწინებულის, ითვლება კონკურენციის სამართლის სუბიექტად [86(2)EC], თუ არ დადგინდება, რომ ამ კანონის გამოყენება შეუთავსებელია სააგენტოს ვალდებულებების შესრულებასთან.

საქმეში – *Diego Cali*²⁹⁷ – ევროპულმა სასამართლომ განიხილა გენუაში ეროვნული პორტის ხელმძღვანელობის მიერ კერძო კომპანია *SEPG*-ისთვის დაბინძურების მეთვალყურეობაზე უფლებამოსილების გადაცემის საკითხი. პორტის მომხმარებელმა, დიეგო კალიმ, უარი განაცხადა მასზე *SEPG*-ის მიერ დაკისრებული თანხის გადახდაზე იმ მოტივით, რომ ეს უკანასკნელი ბოროტად იყენებდა დომინანტურ მდგომარეობას 82-ე მუხლის სანინააღმდეგოდ. სასამართლომ დაადგინა, რომ *SEPG* არ იყო სანარმო, ვინაიდან ის ეწეოდა გარემოსდაცვით საქმიანობას, რაც იყო არა ეკონომიკური ფუნქცია, არამედ სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის არსებითი საკითხი. საქმიანობის მიზანი

²⁹⁷ Case C-343/95 *Diego Cali e Figli Srl v. SEPG* [1997] ECR I-1547 [1997] 5 CMLR 484.

იყო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, პორტის გარემოს დაცვა და იმის გარანტირება, რომ საჯარო ღირებულებები სახელმწიფოსა და მოქალაქეების ინტერესების შესაბამისად იყო დაცული:

22. დანაგვიანების სანინალმდეგო მეთვალყურეობა, რომელზეც პასუხისმგებელი იყო *SEPG*, გენუას ნავთობის პორტთან დაკავშირებით, არის საჯარო ინტერესის სფერო და სახელმწიფოს არსებითი ფუნქციაა საზღვაო ტერიტორიების გარემოს დაცვის მიმართულებით.

23. ასეთი მეთვალყურეობა თავისი ხასიათით, მიზნებითა და წესებით, რომელთა სუბიექტიც ის არის გარემოს დაცვის განხორციელებისას, საჯარო ხელისუფლების ტიპური ფუნქციაა. ის არ არის ეკონომიკური ხასიათის, რაც გაამართლებდა ხელშეკრულებაში არსებული კონკურენციის ნორმების გამოყენებას...

ამდენად, საქმეში *Diego Cali*-ს მიღებული გადაწყვეტილება აბსოლუტურად ეწინააღმდეგებოდა სასამართლოს მიერ ადრე შექმნილ პრეცედენტს *Hofner*-სა და *Elser*-ში, ვინაიდან აღნიშნული ფუნქცია მხოლოდ საჯარო ორგანოს უნდა განხორციელებინა.

საქმეში – *Poucet et Pistre*²⁹⁸ – დადგინდა, რომ საფრანგეთის უწყება, რომელიც მუშაობდა სავალდებულო სოციალური დაცვის სქემაზე, არ იყო სანარმო. ამ საქმეში წარმოებული სქემის შედეგად მიღებული სარგებელი არ იყო შენატანის პროპორციული, ხოლო განხორციელებული შენატანები შემოსავლის პროპორციული იყო (აქ არსებობდა ჯვარედინი სუბსიდიურობის ელემენტი):

18. ავადმყოფობის ფონდები და ორგანიზაციები, რომლებიც ჩართული არიან საჯარო სოციალური დაცვის სისტემებში, ასრულებენ ექსკლუზიურ სოციალურ ფუნქციას. მათი საქმიანობა ეფუძნება ეროვნული სოლიდარობის პრინციპს და, არსებითად, არ არის მოგებაზე ორიენტირებული. მიღებული სარგებელი არის კანონით დადგენილი სარგებელი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო შენატანის მოცულობასთან.

19. შესაბამისად, ეს საქმიანობა არ არის ეკონომიკური და ამის გამო ორგანიზაცია, რომელსაც მინდობილი აქვს ეს ფუნქცია, არ ითვლება სანარმოდ ხელშეკრულების 81-ე და 82-ე მუხლების მიზნებისათვის.

საქმე *Federacion Nacional de Empresas de Instrumentacion Cientifica, Medicina, Tecnica y dental (FENIN) v. Commission*²⁹⁹

ევროპული სასამართლო

23. თავისი აპლიკაციის პირველი ნაწილის გასამყარებლად *FENIN* ამტკიცებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განსაზღვრული ეკონომიკური საქმიანობა არის ძალიან ვიწრო, ვინაიდან მიიჩნევს რომ საქმიანობა აუცილებლად უნდა შედგებოდეს მოცემულ ბაზარზე ნივთებისა და მომსახურების შეთავაზებისაგან და არ უნდა მოიცავდეს არანაირ მსყიდველობით საქმიანობას. *FENIN* აცხადებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიდგომა ბევრ უწყებას მისცემს შესაძლებლობას, აიცილოს ხელშეკრულებაში გათვალისწინებული კონკურენციის წესები, თუნდაც ასეთი უწყებების ქმედება ხელყოფდეს კონკურენციას.

24. კომისია აცხადებს, რომ სწორედ ნივთებისა და მომსახურების ბაზარზე განთავსება ახასიათებს ეკონომიკური საქმიანობის კონცეფციას და არა მსყიდველობითი საქმი-

²⁹⁸ Cases C-159-160/91, Poucet et Pistre v. Assurances Generales de France [1993] ECR I-637.

²⁹⁹ Cases C-205/03, Fedracion Nacional de Empresas de Instrumentacion Cientifica, Medicina, Tecnica y dental (FENIN) v. Commission [2006] ECR I-6295.

ანობა, როგორც ასეთი. შესაბამისად, არ არის საჭირო შესყიდვის გამოყოფა შესყიდული ნივთების გამოყენებისაგან.

სასამართლოს დადგენილებები

25. პირველი ინსტანციის სასამართლომ 35-ე პარაგრაფში სწორად აღნიშნა, რომ გაერთიანების კონკურენციის სამართალში „საწარმოს“ დეფინიცია ფარავს ყველა უწყებას, რომელიც ჩართულია ეკონომიკურ საქმიანობაში, მიუხედავად მისი სამართლებრივი სტატუსისა და მისი დაფინანსების გზისა. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 36-ე პარაგრაფში ასევე განაცხადა, რომ სწორედ მოცემულ ბაზარზე ნივთებისა და მომსახურების შეთავაზების შემცველი საქმიანობა არის ეკონომიკური საქმიანობის დამახასიათებელი (საქმე *C-35/96 Commission v. Italy* [1998] ECR I-3851, პარა. 36).

26. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 36-ე პარაგრაფში პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაასკვნა, რომ იმისათვის, რათა განისაზღვროს შესყიდვითი საქმიანობა, არ არსებობს ნივთების ყიდვის მისი შემდგომი გამოყენებისაგან განცალკევების საჭიროება, და რომ შესყიდვითი საქმიანობის ხასიათი უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, ყიდვის-შემდგომი გამოყენება შეესაბამება თუ არა ეკონომიკურ საქმიანობას.

27. შესაბამისად გამომდინარეობს: *FENIN*-ის მიერ წარდგენილი საჩივრის პირველი ნაწილი იმის თაობაზე, რომ *SNS*-ის მენეჯმენტის შესყიდვითი საქმიანობა შეესაბამებოდა ეკონომიკურ საქმიანობას, რაც შემდგომი მომსახურების განუყოფელი ნაწილია და რომელიც ცალკე უნდა იქნეს განხილული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, უარყოფილია, როგორც დაუდასტურებელი.

2. დაქირავებულები და პროფესიული კავშირები

საქმე *Albani International BV v. Stichting Brijfspensioenfonds Textielindustrie*³⁰⁰

გენერალური ადვოკატი:

ა) დაქირავებულები

(...) 211. შესაბამისად, ჩნდება შეკითხვა, როგორ უნდა მოხდეს იმ ფაქტის კლასიფიკაცია, რომ დაქირავებულები გვთავაზობენ ანაზღაურებასთან შეუსაბამო შრომას.

212. შეიძლება იმის მტკიცება, რომ ეს არის ისეთივე ეკონომიკური აქტივობა, როგორცაა პროდუქტების გაყიდვა, ან მომსახურების მიწოდება. ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს შესაძლებელია, – თუმცა სადავოა, – იყოს სიმართლე. თუმცა სამართლებრივი თვალსაზრისით, მე არ ვფიქრობ, რომ აღნიშნული მტკიცება სწორია.

213. პირველ რიგში, რთული აღსაქმელია, ტერმინი „საწარმო“ როგორ უნდა იქნეს გაგებული „დაქირავებულის“ მიმართ. ხელშეკრულების ინტერპრეტაცია ისე, რომ მან მოიცვას ეს უკანასკნელი ტერმინი, გასცდება მისი (საწარმოს) რედაქციის საზღვრებს.

214. მეორე, ტერმინის – „საწარმო“ ფუნქციურ ინტერპრეტაციას, რომელიც სასამართლომ შექმნა თავის პრეცედენტულ სამართალში, მიყვავართ იმავე შედეგამდე. საჯარო სამსახურების მიმართ სასამართლო განიხილავს, თუ რამდენად იყო ეს საქმიანობა,

³⁰⁰ Case C-67/96, *Albani International BV v. Stichting Brijfspensioenfonds Textielindustrie* [1999] ECR I-5751, [2000] 4 CMLR 446.

სულ მცირე, პოტენციურად, განხორციელებული პროდუქტებისა და მომსახურების სფეროში ჩართული კერძო პირის მიერ ... ინდივიდების კლასიფიცირებაც შეიძლება მოხდეს „სანარმოებად“... თუ ისინი მოქმედებენ როგორც პროდუქტებისა და მომსახურების ბაზრის დამოუკიდებელი ეკონომიკური პირები. ამ შემთხვევების თანმდევი რაციონალიზმი გამოიხატება იმით, რომ აღნიშნული პირები ასრულებენ სანარმოთა „ფუნქციებს“. 81-ე და 82-ე მუხლების გამოყენება გამართლებულია იმ ფაქტით, რომ საჯარო პირები თუ ინდივიდები მოქმედებენ იმავე ან მსგავს ბაზარზე იმავე პრინციპების მიხედვით, როგორც „სანარმოები“...

215. დამოკიდებული შრომა, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, არის დამოუკიდებელი შრომის აბსოლუტური ოპოზიტი. დაქირავებულები, როგორც წესი, არ ატარებენ ამ ტრანზაქციიდან გამონვეულ პირდაპირ კომერციულ რისკს. ისინი ექვემდებარებიან დამქირავებლების მითითებებს. სხვადასხვა კლიენტს კი არ სთავაზობენ მომსახურებას, არამედ მუშაობენ ერთ დამქირავებელთან. ამ მიზეზების გამო არსებობს არსებითი ფუნქციური განსხვავება დაქირავებულსა და მომსახურების მომწოდებელ სანარმოს შორის. მათ შორის არსებული განსხვავება აღინიშნება გაერთიანების სამართლის სხვადასხვა სფეროში (...) ან ეროვნულ სამართალში.

216. მესამე, გაერთიანების კონკურენციის სამართლის სისტემა არ არის შექმნილი დაქირავებულების მიმართ გამოსაყენებლად. კონკურენციის სანინაალმდეგო პრაქტიკის მაგალითები 81-ე-1-ლი (ა) და 82-ე მუხლებში თუ 81-ე-მე-3 მუხლის გამოყენების პირობები ნათლად არის განერილი იმ ეკონომიკური მონაწილეების მიმართ, რომლებიც ჩართული არიან პროდუქტებისა და მომსახურების მოწოდებაში... 81-ე-1-ლი მუხლის გამოყენება დაქირავებულების მიმართ აუცილებლად გამოიწვევს არცთუ ისე ადვილი ანალოგიის გამოყენებას პროდუქტებისა და მომსახურების ბაზარსა და შრომით ბაზარს შორის.

217. შესაბამისად, ჩემი აზრით, დაქირავებულები, ძირითადად, ხვდებიან 81-ე-1-ლი მუხლის აკრძალვის ფარგლებს გარეთ. მომავალი, ალბათ, გვიჩვენებს, თუ რამდენად იქნება ეს პრინციპი გამოყენებული ზოგიერთი მომიჯნავე სფეროს, მაგალითად პროფესიული სპორტის, მიმართ.

ბ) პროფესიული კავშირები

218. რადგან დაქირავებულების კლასიფიცირება არ შეიძლება „სანარმოებად“ 81-ე მუხლის მიზნებისათვის, პროფესიული კავშირები ან დაქირავებულთა წარმომადგენელი სხვა ასოციაციები არ არის „სანარმოთა ასოციაციები“.

219. თუმცა არიან კი პროფესიული კავშირები თვითონ „სანარმოები“?

220. უბრალო ფაქტი, რომ პროფესიული კავშირი არ არის მოგებაზე ორიენტირებული უწყება, მას ავტომატურად არ ართმევს იმ საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას, რომელსაც აქვს ეკონომიკური მახასიათებლები (...)

221. პროფესიული კავშირი არის დაქირავებულთა ასოციაცია. დადგენილია, რომ ასოციაცია შეიძლება მიჩნეულ იქნეს „სანარმოდ“, იმ შემთხვევაში, თუ ჩაერთვება ეკონომიკურ საქმიანობაში (...)

222. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ასოციაციას შეუძლია იმოქმედოს თავისი უფლებიდან გამომდინარე, თავისი წევრების სურვილის გარეშე, ან როგორც მის წევრებს შორის შეთანხმების აღმასრულებელმა ორგანომ. პირველ შემთხვევაში, მისი საქციელი მიეწერება ასოციაციას, ხოლო მეორე შემთხვევაში, წევრები თავად არიან მათ ქმედებაზე პასუხისმგებელნი.

223. ჩვეულებრივი პროფესიული ასოციაციების მიმართ დელიმიტაციის შედეგი ხშირად არ არის მნიშვნელოვანი, რადგან 81-ე მუხლი იმავე გზით გამოიყენება საწარმოებს შორის შეთანხმებისა და საწარმოთა ასოციაციების გადანყვეტილებების მიმართ (...) ის რელევანტური ხდება, როდესაც კომისიამ უნდა გადანყვიტოს, ვისკენ მიმართოს გადანყვეტილება და ჯარიმა (...)

224. თუმცა პროფესიული ასოციაციის შემთხვევაში დელიმიტაცია არის არსებითი საკითხი, რადგან, თუ პროფესიული ასოციაცია მოქმედებს, როგორც აგენტი, ის არის, უბრალოდ, მის წევრებს შორის არსებული შეთანხმების აღმასრულებელი ორგანო, რომლებსაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, არ ეხებათ 81-ე-1-ლი მუხლით დადგენილი აკრძალვები.

225. პროფესიული კავშირების საქმიანობასთან დაკავშირებით ორეტაპიანი პროცედურა გასავლელი: პირველი, უნდა გაირკვეს, არის თუ არა კონკრეტული ქმედება პროფესიულ კავშირზე მისაწერი და თუ ასეა, მეორე, – არის თუ არა ეს აქტივობა ეკონომიკური ხასიათის.

226. რა თქმა უნდა, ვხვდებით შემთხვევებს, როცა პროფესიული კავშირების საქმიანობა აკმაყოფილებს ორივე პირობას. ზოგიერთი პროფესიული კავშირი, მაგალითად, სრულფლებიანად ფლობს სუპერმარკეტებს, შემნახველ ბანკებს, ტურისტულ სააგენტოებს, თუ სხვა ბიზნესებს. როდესაც ისინი მოქმედებენ ამ სფეროდან, მათ მიმართ მოქმედებს კონკურენციის წესები.

3. ერთიანი ეკონომიკური უწყება

საქმე *P. Vihó Europe BV v. Commission*³⁰¹:

შპს „პარკერ პენი“, რომელიც შექმნილია ინგლისის კანონმდებლობის საფუძველზე, აწარმოებს საწერ მოწყობლობებს. ეს საქმე მოიცავდა ჰოლანდიური კომპანია *Vihó*-ს საჩივარს, რომელიც საბითუმო გაყიდვის მიზნით, ბაზარზე ათავსებდა საოფისე აპარატურას. *Vihó*-მ ვერ შეძლო პარკერის პროდუქციის მიღება იმავე პირობებით, როგორშიც ამას ახერხებდნენ პარკერის შვილობილი კომპანიები და დამოუკიდებელი დისტრიბუტორები. მან კომისიასთან გაასაჩივრა, რომ პარკერის სადისტრიბუციო სისტემა (რომელიც კრძალავდა წევრ სახელმწიფოებს შორის ექსპორტს, საერთო ბაზარს აწარმოებდა ეროვნულ ბაზრებად, სადაც ინარჩუნებდა ხელოვნურად მაღალ ფასებს) არღვევდა 81-ე-1-ლი მუხლს. პარკერი პროდუქციას ევროპაში ყიდდა თავისი შვილობილი კომპანიების მეშვეობით, გერმანიაში, ბელგიაში, საფრანგეთში, ესპანეთსა და ჰოლანდიაში. ამ კომპანიებში ის ფლობდა წილის 100%-ს. პროდუქციის გაყიდვები და მარკეტინგი კონტროლდებოდა სამი დირექტორისაგან შემდგარი ჯგუფის მიერ.

გამოძიების შემდეგ კომისიამ *Vihó*-ს აცნობა, რომ უარყოფდა საჩივარს. პარკერის შვილობილი კომპანიები სრულად იყვნენ მასზე დამოკიდებულნი და არ ჰქონდათ არანაირი რეალური ავტონომია, ხოლო სადისტრიბუციო სისტემა არ მიდიოდა საწარმოების ჯგუფზე ჯეროვანი ვალდებულების დაკისრების მიღმა. *Vihó*-მ გაასაჩივრა გადანყვეტილება პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომელიც დაეთანხმა კომისიის გადანყვეტილებას. 81-ე-1-ლი მუხლი შეეხება მხოლოდ ისეთ ეკონომიკურ უწყებებს, რომლებსაც კონკურენციის შესაძლებლობა ჰქონდათ. ის არ ფარავს შეთანხმებას თუ შეთანხმებულ პრაქტიკას იმ უწყებებს შორის, რომლებიც შედიან ერთსა და იმავე

³⁰¹ Case C-73/95 P, *Vihó Europe BV v. Commission* [1996] ECR I 5457, [1997] 4 CMLR 419.

ჯგუფში, ან ქმნიან ერთიან ეკონომიკურ კავშირს. *Viho*-მ გადაწყვეტილება გაასაჩივრა ევროპულ სასამართლოში. სასამართლომ დაადასტურა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ და კომისიამ სწორად მოახდინეს პარკერის ჯგუფის კლასიფიცირება ერთ ეკონომიკურ კავშირად, რომელშიც შვილობილ კომპანიებს არ გააჩნდათ რეალური ავტონომია ბაზარზე მათი მოქმედების კურსის განსაზღვრაში.

4. „შეთანხმების“, „გადაწყვეტილების“ და „შეთანხმებული პრაქტიკის“ მნიშვნელობა

საქმე *Establishments Consten SA & Grundig-Verkaufs-GmbH v. Commission*³⁰²:

საქმის ფაბულა: 1957 წელს *grundig*-მა, რადიოს, მაგნიტოფონების, დიქტოფეტონებისა და ტელევიზორების მწარმოებელმა გერმანულმა კომპანიამ, საფრანგეთისთვის ექსკლუზიურ აგენტად *consten*-ი აირჩია. *consten*-მა სხვა საკითხებს შორის თანხმობა განაცხადა, არ ევაჭრა სხვა კონკურენტი ფირმის პროდუქციით, შეეკვთა „გრუნდიგის“ პროდუქცია მინიმალური ოდენობით, გასაყიდად გამოეტანა აქსესუარები და ნაწილები და შეეთავაზებინა გაყიდვის შემდგომი მომსახურება. სანაცვლოდ *grundig*-ი დაეთანხმა, არ მიეწოდებინა პროდუქცია გასაყიდად საფრანგეთში და დაენესებინა საექსპორტო და რესაექსპორტო შეზღუდვები ნევრ სახელმწიფოებში მოქმედ ყველა დისტრიბუტორზე. *Grundig*-ის სავაჭრო ნიშანი „გინტი“ საფრანგეთში რეგისტრირებული იყო კონსტენტის სახელზე. შეთანხმების საფუძველზე კონსტენტს ჰქონდა სრული ტერიტორიული დაცვა. არავის არ შეეძლო საფრანგეთის ტერიტორიაზე „გრუნდიგის“ პროდუქციის აქტიურად თუ პასიურად გაყიდვა. *UNEF*-მა, პარიზულმა კომპანიამ, დაიწყო საფრანგეთში „გრუნდიგის“ პროდუქციის იმპორტი და უკეთეს ფასებში გაყიდვა. „კონსტენტმა“ საფრანგეთის სასამართლოში დაიწყო საქმის წარმოება *UNEF*-ის წინააღმდეგ და ამტკიცებდა, რომ ამ უკანასკნელმა პატივი არ სცა მის კონტრაქტს „გრუნდიგთან“, რომ ის ინვესტა უსამართლო კონკურენციას და რომ არღვევდა კონსტენტის სავაჭრო ნიშნის უფლებას. მან ასევე დაიწყო საქმის წარმოება სტრასბურგში „ლეისნერის“ წინააღმდეგ, რომელმაც ასევე მიიღო „გრუნდიგის“ პროდუქცია საფრანგეთში გასაყიდად. *UNEF*-მა იჩივლა კომისიასთან და 1963 წელს შეთანხმება განსახილველად გადაეცა კომისიას. საფრანგეთის სასამართლომ გადადო საქმისწარმოება კომისიის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე.

კომისიამ დაასკვნა, რომ შეთანხმებამ დაარღვია 81-ე-1-ლი მუხლი და მისი ინდივიდუალური გამორიცხვა არ იყო შესაძლებელი 81-ე-მე-3 მუხლის ფარგლებში. „კონსტენტმა“ და „გრუნდიგმა“ საჩივრით მიმართეს სასამართლოს. ერთ-ერთი მათი არგუმენტი იყო, რომ 81-ე-1-ლი მუხლი გამოიყენებოდა მხოლოდ „ჰორიზონტალური“, და არა „ვერტიკალური“, შეთანხმებების მიმართ. ამ არგუმენტს მხარს უჭერდა იტალიის მთავრობა.

ევროპული სასამართლო

ერთი სადისტრიბუციო კონტრაქტის მიმართ 81-ე-1-ლი მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით

აპლიკანტმა განაცხადა, რომ 81-ე-1-ლი მუხლის აკრძალვა გამოიყენებოდა მხოლოდ ეგრეთ წოდებული ჰორიზონტალური შეთანხმებების მიმართ. უფრო მეტიც, იტალიის მთავრობა აცხადებს, რომ სადისტრიბუციო შეთანხმება არ შეესაბამება „საწარმოებს შორის შეთანხმებას“, ვინაიდან მხარეები არ არიან თანაბარ პირობებში. ამ

³⁰² Cases 56 and 58/64, *Establishments Consten SA & Grundig-Verkaufs-GmbH v. Commission* [1966] ECR 299, 339-40, [1966] CMLR 418, 469-71.

სახის კონტრაქტების შემთხვევაში კონკურენციის თავისუფლება დაცული უნდა იქნეს ხელშეკრულების 82-ე მუხლის მეშვეობით.

არც 81-ე და არც 82-ე მუხლის რედაქცია არ იძლევა საფუძველს, რომ განისაზღვროს გამოყენების აშკარა სფეროები თითოეულ მუხლთან დაკავშირებით ეკონომიკის ხარისხთან მიმართებით, რომელშიც მოქმედებენ შეთანხმებული მხარეები. **81-ე მუხლი შეეხება ყველა შეთანხმებას, რომელნიც ხელყოფენ კონკურენციას საერთო ბაზარზე და არ ასხვავებს იმის მიხედვით, იყო თუ არა შეთანხმება მიღწეული იმავე დონეზე არსებულ ეკონომიკურ პროცესებში ჩართულ კონკურენტებსა თუ სხვადასხვა დონეზე მოქმედ არაკონკურენტ სანარმოებს შორის.** ძირითადად, თუ ხელშეკრულება არ ასხვავებს, ასეთი განსხვავება შეუძლებელია. უფრო მეტიც, 81-ე მუხლის გამოყენებლობა კონკრეტული სადისტრიბუციო ხელშეკრულების მიმართ, მხოლოდ იმაზე დაყრდნობით, რომ მიმწოდებელი და მიმღები *inter se* არ არიან კონკურენტები და ასევე არ იმყოფებიან თანაბარ პირობებში, არ არის სწორი. 81-ე-1-ლი მუხლის მიზნებისთვის კონკურენცია დარღვეული შეიძლება იყოს არა მხოლოდ მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმებით, არამედ ერთ-ერთ მხარესა და მესამე მხარეს შორის შემდგარი გარიგების საფუძველზე. ამ მიზნებისათვის მნიშვნელოვანი არ არის, იყვნენ თუ არა გარიგების მხარეები ეკონომიკაში არსებული ფუნქციებითა და მდგომარეობით თანაბარ პირობებში. აღნიშნული უფრო მეტად გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს მიღწეული შეთანხმებით სურთ, მესამე მხარისათვის შეზღუდონ ან თავიდან აცილონ კონკურენცია კონკრეტულ პროდუქციასთან დაკავშირებით, რითაც შექმნიან ან მოახდენენ მათთვის სასარგებლოდ უსამართლო უპირატესობის გარანტირებას, მყიდველის ან მომხმარებლის დანახარჯებით 81-ე მუხლის საერთო მიზნების საწინააღმდეგოდ.

ასევე შესაძლებელია, რომ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გარეშე სხვადასხვა ეკონომიკურ დონეზე მოქმედ პირებს შორის შემდგარმა შეთანხმებამ გამოიწვიოს წევრ სახელმწიფოებს შორის კონკურენციის ხელყოფა და იმავდროულად მიზნად ჰქონდეს კონკურენციის თავიდან აცილება, შეზღუდვა, თუ დარღვევა, რაც ექცევა 81-ე მუხლის აკრძალვის ფარგლებში.

ამასთან, უსარგებლოა, შევადაროთ ორი სიტუაცია, როდესაც ერთ შემთხვევაში გამოიყენება 81-ე მუხლი, როცა მენარმე დებს გარიგებას სადისტრიბუციო კომპანიასთან და, მეორე მხრივ, როდესაც მენარმე თავისი სანარმოს ფარგლებში ახდენს პროდუქციის დისტრიბუციას გარკვეული საშუალებით, მაგალითად კომერციული წარმომადგენლის მეშვეობით, როდესაც 81-ე მუხლი არ გამოიყენება. ეს ორი სიტუაცია განსხვავებულია კანონის მიხედვით. **81-ე მუხლი გამოიყენება, როდესაც საქმე გვაქვს რამდენიმე სანარმოსთან. შესაბამისად, ის არ გამოიყენება, როდესაც სანარმო აწყობს სადისტრიბუციო ქსელს თავისი ბიზნესორგანიზაციის ფარგლებში.**

დაბოლოს, შეთანხმება მნარმოებელსა და დისტრიბუტორს შორის, რომელიც აღადგენს ეროვნულ დაყოფას წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაში, შლის გაერთიანების ყველაზე ფუნდამენტურ პროტესტს. ხელშეკრულება, რომელიც მის პრეამბულასა და შინაარსში განიზრახავს სახელმწიფოებს შორის არსებული საზღვრების აღმოფხვრას და რომელიც ცალსახად ნეგატიურ პოზიციას გამოხატავს აღნიშნულის ხელახლა წარმოქმნის მიმართ, ნებას არ მისცემს სანარმოს, ხელახლა წარმოქმნას მსგავსი ბარიერები. 81-ე მუხლი შექმნილია ამ მიზნის განხორციელებისათვის, თუნდაც შეთანხმება მოხდეს ეკონომიკური პროცესების სხვადასხვა დონეზე მოქმედ სუბიექტებს შორის. შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული განცხადებები არ დაკმაყოფილდა.

საქმე *Albani International BV v. Stichting Brijfspensioenfonds Textielindustrie*³⁰³:

სასამართლო

46. თავისი მეორე შეკითხვით, რომლის განხილვაც, პირველ რიგში, არის საჭირო, ეროვნული სასამართლო ცდილობს დაადგინოს, ხელშეკრულების მე-3 (1-ზ), ევროპული გაერთიანების მე-5 და ხელშეკრულების 81-ე მუხლები კრძალავენ თუ არა საჯარო ხელისუფლების მიერ სექტორულ საპენსიო ფონდთან განვერთანების აუცილებელ მოთხოვნას იმ ორგანიზაციების მოთხოვნის საფუძველზე, რომლებიც ამ სექტორში დასაქმებული პირები არიან.

47. *Albani* დავობს, რომ მენეჯმენტისა და მოსამსახურე პირების მოთხოვნა სექტორულ საპენსიო ფონდებში განვერთანებასთან დაკავშირებით შეესაბამება ჩართულ სექტორში მოქმედ სანარმოებს შორის შეთანხმებას, ხელშეკრულების 81-ე მუხლის სანინაალმდე-გოდ...

57. (...) უფრო მეტიც, სოციალურ პოლიტიკაზე შეთანხმების (OJ 1992 C 191) პირველი მუხლი ადგენს, რომ გაერთიანებისა და წევრი სახელმწიფოების მიერ დასახული მიზანი მოიცავს გაუმჯობესებულ საცხოვრებელ და სამუშაო პირობებს, სწორ სოციალურ დაცვას, დიალოგს მენეჯმენტსა და მოსამსახურე პერსონალს შორის, ადამიანური რესურსების განვითარებას მაღალი ხარისხით, დაქირავებისა და გათავისუფლების თავიდან აცილების თვალსაზრისით.

58. ხელშეკრულების მე-4 (1) და (2) მუხლის მიხედვით, მენეჯმენტსა და დაქირავებულებს შორის დიალოგმა გაერთიანების დონეზე შეიძლება მათი სურვილის შემთხვევაში წარმოშვას საკონტრაქტო ურთიერთობები, მათ შორის შეთანხმებები, რომლებიც განხორციელდება ან პროცედურებისა და პრაქტიკის შესაბამისად, რაც დამახასიათებელი იქნება წევრი სახელმწიფოებისათვის ან ხელმომწერი მხარეების გაერთიანებული მოთხოვნის შემთხვევაში, კომისიისგან მიღებული შეთავაზების საფუძველზე საბჭოს გადანიყვეტილებით.

59. შეკითხვის მიღმა რჩება, რომ კონკურენციის გარკვეული შეზღუდვები დამახასიათებელია დაქირავებულებსა და დაქირავებულებს შორის არსებული კოლექტიური შეთანხმებებისათვის. თუმცა სოციალური პოლიტიკის მიზნები, რაც დევს მსგავს შეთანხმებებში, სერიოზულად დაზიანდება, თუ მენეჯმენტი და სამუშაო ძალა იქნება 81-ე მუხლის სუბიექტი, როდესაც ისინი ერთად შეეცდებიან სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის გარკვეული ზომების მიღებას.

60. შესაბამისად, ხელშეკრულების დებულებების ინტერპრეტაციიდან გამომდინარეობს, რომ შეთანხმება, მიღწეული როგორც მენეჯმენტსა და სამუშაო ძალას შორის დადებული კოლექტიური ხელშეკრულება, რომელსაც აქვს ზემოთ აღწერილი მიზანი, თავისი ხასიათისა და ამ მიზნის მიხედვით, არ ხვდება ხელშეკრულების 81-ე მუხლის მოქმედების ფარგლებში.

საქმე *Bayer AG v. Commission*³⁰⁴:

პირველი ინსტანციის სასამართლო

ბ. ხელშეკრულების 81-ე მუხლის ფარგლებში შეთანხმების კონცეფცია

66. სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ, როდესაც მწარმოებლის გადანიყვეტილე-

³⁰³ იხ. Supra note 14.

³⁰⁴ Case T-41/96, Bayer AG v. Commission [2000] ECR II-3383, [2001] 4 CMLR 126.

ბა შეესაბამება საწარმოს ცალმხრივ მოქმედებას, ეს გადაწყვეტილება არ ხვდება ხელშეკრულების 81-ე-1-ლი მუხლის მოქმედების ფარგლებში (საქმე 107/82 *AEG v. Commission* [1983] ECR 3151, პარა. 38; გაერთიანებული საქმეები 25/84 და 26/84 *Ford and Ford Europe v. Commission* [1985] ECR 2725, პარა. 21; საქმე T-43/92 *Dunlop Slazenger v. Commission* [1994] ECR II-441, პარა. 56).

67. ასევე ცხადია სასამართლო პრაქტიკიდან, რომ ხელშეკრულების 81-ე-1-ლი მუხლის მიზნებისათვის შეთანხმების მისაჩნვეად საკმარისია, რომ საწარმოებმა გამოხატონ მიზანი ბაზარზე განსაკუთრებული გზით მოქცევასთან დაკავშირებით (საქმე 41/69 *ACF Chemiefarma v. Commission* [1970] ECR 661, პარა. 112; გაერთიანებული საქმეები 209/78-დან 215/78-მდე და 218/78 *Van Landewyck and others v. Commission* [1980] ECR 3125, პარა. 86; საქმე T-7/89 *Hercules Chemicals v. Commission* [1991] ECR II-1711, პარა. 256).

68. რაც შეეხება ფორმას, რომლითაც საერთო ინტერესი უნდა გამოიხატოს, შეთანხმებისთვის საკმარისია, გამოხატული იყოს მხარეების სურვილი, ბაზარზე მოიქცნენ მათი პირობების შესაბამისად.

69. აქედან გამომდინარეობს, რომ ხელშეკრულების 81-ე მუხლის მნიშვნელობისათვის შეთანხმების კონცეფცია, როგორც ეს განმარტებულია სასამართლო გადაწყვეტილებებით, ფოკუსირებას აკეთებს, მინიმუმ, ორი მხარის თანმხვედრ, გამოხატულ ნებაზე. ფორმა, რომლითაც ის იქნება გამოხატული, არ არის მნიშვნელოვანი.

70. გარკვეულ გარემოებებში მწარმოებლის მიერ დისტრიბუტორების მიმართ აშკარად ცალმხრივად მიღებული ან დაკისრებული ზომები განიხილებოდა როგორც შეთანხმება ხელშეკრულების 81-ე-1-ლი მუხლის მიზნებისათვის (გაერთიანებული საქმეები 32/78, 36/78-იდან 82/78-ამდე *BMW Belgium and others v. Commission* [1979] ECR 2435, პარა. 28-30; *AEG*, პარა. 38; *Ford and Ford Europe*, პარა. 21; საქმე 75/84 *Metro v. Commission (Metro' II)* [1986] ECR 3021, პარა.: 72 და 73; *Sandoz*, პარაგრაფები 7-12; საქმე C-70/93 *BMW v. ALD* [1995] ECR I-3439, პარა.: 16 და 17).

71. ზემოთ მოყვანილი სასამართლო პრაქტიკა აჩვენებს, რომ განსხვავება უნდა გაკეთდეს იმ საქმეებს შორის, რომლებშიც ნამდვილად ჩანს ერთი საწარმოს ცალმხრივი გადაწყვეტილება, რომელიც არ მოითხოვს მეორე საწარმოს სურვილს, გამოხატვის ან მისი ჩართულობის გარეშე, და მეორე შემთხვევა, როდესაც ცალმხრივი მოქმედება ძნელად შესამჩნევია. მაშინ, როცა პირველი შემთხვევა არ ხვდება 81-ე მუხლის ფარგლებში, მეორე შემთხვევა კლასიფიცირდება როგორც შეთანხმება და ხვდება აღნიშნული მუხლის მოქმედების ფარგლებში. ეს არის, კერძოდ, ის შემთხვევები, როდესაც ხდება კონკურენციის პრაქტიკულად შეზღუდვა გარკვეული ზომებითა და მოქმედებით, რაც გამოხატულია როგორც მწარმოებლის ცალმხრივი ქმედება დისტრიბუტორის მიმართ, მისი საკონტრაქტო ვალდებულებებიდან გამომდინარე, მაგრამ რომელსაც ასევე მიღებული აქვს ამ დისტრიბუტორების ჩუმი თანხმობა.

72. ამ სასამართლო პრაქტიკიდან ასევე ნათელია, რომ კომისიისათვის შეუძლებელია დაადგინოს ხელშეკრულების 81-ე-1-ლი მუხლის მიზნებისათვის შეთანხმების არსებობა მწარმოებლის მიერ აშკარად გამოხატული ცალმხრივი მოქმედებისას, რასაც ის მისი საკონტრაქტო ვალდებულებების კონტექსტში დაარეგულირებს, თუ ის ვერ აღმოაჩენს მენარმის მიერ გამოხატულ პოზიციაზე მეორე საწარმოს აშკარად თუ ჩუმად გამოხატულ თანხმობას.

...

151. მოვაჭრეების მოქმედებისა და მათი პოზიციის შემონახვამ აჩვენა, რომ კომისიამ ვერ დაადასტურა ფაქტი, რომ ისინი გაერთიანებულნი იყვნენ აპლიკანტის პოლიტიკის

გარშემო პარალელური იმპორტის შემცირებასთან დაკავშირებით.

158. კომისია აცხადებს, რომ მისი გადანყვეტილება შეესაბამება მისი გადანყვეტილებების მიღებასა და სასამართლოს პრაქტიკას შეთანხმების კონცეფციასთან დაკავშირებით და იმეორებს, რომ ამ საქმეში ექსპორტზე დანესებული იყო ბარიერი, რაც აისახებოდა მიმწოდებელსა და მის მომხმარებელს შორის კომერციულ ურთიერთობებზე. ამას მოწმობდა ის ფაქტი, რომ მოვაჭრეების მიერ განთავსებული მოთხოვნა კმაყოფილდებოდა და ისინი იღებდნენ შესაბამის ქვითრებს, აქვე ხდებოდა მათი მხრიდან ჩუმი თანხმობა, რაც კომისიამ დადგენილად ცნო შეკვეთების შემცირებით.

159. თუმცა კომისია არცთუ ეფექტურად დაეყრდნო სასამართლოს მითითებულ გადანყვეტილებებს, როდესაც ახდენდა საკითხის ანალიზს, რამაც სასამართლო მიიყვანა დასკვნამდე, რომ მოვაჭრის თანხმობა ბაიერის ახალ პოლიტიკაზე არ იყო დაფუძნებული და რომ კომისიამ ვერ დაამტკიცა შეთანხმების არსებობა.

160. კომისია, პირველ რიგში, დაეყრდნო *Sandozis*-ს. ამ საქმეშიც დისტრიბუტორები დუმილით დათანხმდნენ ექსპორტზე დანესებულ აკრძალვებს, რათა, ერთი მხრივ, შეენარჩუნებინათ კომერციული ურთიერთობები და, მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ მათ არ ჰქონდათ არანაირი ინტერესი ექსპორტის შეწყვეტასთან დაკავშირებით, მწარმოებლის დადგენილი აკრძალვა მიიღეს პროდუქციის მიღების გაგრძელების მიზნით.

163. თუმცა ორი საქმე ჰგავს ერთმანეთს იმით, რომ ორივე მათგანი შეეხება ფარმაცევტული ჯგუფის პროდუქციას და ორივე საქმე გულისხმობს სამედიცინო პროდუქციის პარალელურ იმპორტს, მათი დამახასიათებელი კონკრეტული გარემოებები განსხვავდება. პირველ რიგში, მოცემული საქმისაგან განსხვავებით, *Sandoz*-ი თავის ყოველ ქვითარში აფიქსირებდა კონკურენციის შემზღუდველ დებულებას, რომელიც იმის გამო, რომ მუდმივად ჩნდებოდა სხვადასხვა ტრანზაქციის დოკუმენტებში, გახდა *Sandoz*-ისა და მოვაჭრეების საკონტრაქტო ურთიერთობების არსებითი ნაწილი; მეორე, მოვაჭრის რეალური მოქმედება დებულებასთან დაკავშირებით, რომელსაც ისინი ასრულებდნენ *de facto* და განხილვის გარეშე, ააშკარავებდა მათ ჩუმ თანხმობას ასეთი ფორმის კომერციულ ურთიერთობებზე. ამ საქმეში არ შეიმჩნევა არცერთი მახასიათებელი აღნიშნული ორიდან, არ არსებობს არც ფორმალური დებულება რომელიც აკრძალავს ექსპორტს და არც მოვაჭრის მხრიდან თანხმობის ან წინააღმდეგობის გაუწევლობის ფაქტს.

5. მნიშვნელოვანი ეფექტი კონკურენციაზე

საქმე *Volk v. Vervaecke*³⁰⁵

საქმის ფაბულა: საქმე შეეხება ექსკლუზიურ შეთანხმებას, რომელიც დაიდო ბ-ნ Volk-ს, Erd & Co, კომპანიის მფლობელს, რომელიც აწარმოებდა სარეცხ მანქანებს და Vervaecke-ს, ბელგიურ კომპანიას, რომელიც ახდენდა სახლის ელექტრომონოცილობების დისტრიბუციას, შორის. შეთანხმების საფუძველზე Vervaecke-ს ჰქონდა ბელგიასა და ლუქსემბურგში Volk-ის პროდუქციის გაყიდვის ექსკლუზიური უფლება. კომისიის დასკვნების მიხედვით, Erd & Co -ს სარეცხი მანქანების წარმოების ბაზარზე მთლიანად ევროპული გაერთიანების ტერიტორიაზე აქვს მხოლოდ 0.8% წილი, გერმანიის ბაზარზე – 0.2%, ხოლო ბელგიისა და ლუქსემბურგის ბაზარზე – 0.6%. გერმანიის სასამართლომ შეკითხვით მიმართა ევროპული გაერთიანების სასამართლო, კერძოდ, აინტერესებდა,

³⁰⁵ Case 5/69 Volk v. Vervaecke [1969] ECR 295, 302, [1969] CMLR 273, 282.

ხვდებოდა თუ არა შეთანხმება 81-ე-1-ლი მუხლის მოქმედების ფარგლებში იმ წილების გათვალისწინებით, რომლებიც Erd & Co-ს ჰქონდა.

სასამართლო

გარდა იმისა, რომ შეთანხმებას შეუძლია, რეაგირება იქონიოს წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე კანონით გათვალისწინებული ობიექტური ფაქტორებისა თუ იმ ფაქტების საფუძველზე, რაც წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე ახდენს პირდაპირ თუ ირიბ, რეალურ თუ პოტენციურ გავლენას, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბებას, 81-ე-1-ლი მუხლის აკრძალვა გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების მიზანია საერთო ბაზარზე კონკურენციის თავიდან აცილება, შეზღუდვა ან დამახინჯება. ეს პირობები გაგებული უნდა იქნეს შეთანხმების რეალური პირობებიდან გამომდინარე. შესაბამისად, შეთანხმება ვარდება 81-ე-1-ლი მუხლის მოქმედების ფარგლებიდან, თუ მას ბაზარზე უმნიშვნელო გავლენა აქვს, ბაზარზე პირების ან პროდუქციის სუსტი მდგომარეობის გამო.

III. დომინანტური მდგომარეობა და მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

1. დომინანტური მდგომარეობა

საქმე *Hoffmann-La Roche v. Commission*³⁰⁶:

38. მითითებული დომინანტური მდგომარეობა უკავშირდება სანარმოს ეკონომიკურ სიძლიერეს, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს, თავიდან აიცილოს შესაბამის ბაზარზე შენარჩუნებული ეფექტური კონკურენცია, რის შესაძლებლობასაც მას აძლევს საკუთარი სიძლიერე, იმოქმედოს მნიშვნელოვან დონემდე დამოუკიდებლად თავისი კონკურენტებისა და მომხმარებლებისაგან.

39. ასეთი მდგომარეობა არ გამოირიცხავს კონკურენტების არსებობას, როგორც ეს ხდება მონოპოლიის ან კვაზიმონოპოლიის შემთხვევაში, მაგრამ არსებული მდგომარეობიდან სარგებელმიღებულ სანარმოს შესაძლებლობას აძლევს, სულ მცირე, იქონიოს შესამჩნევი გავლენა იმ გარემო პირობებზე, რომლებშიც უნდა განვითარდეს კონკურენცია და ნებისმიერ შემთხვევაში მოიქცეს მისგან დამოუკიდებლად, რადგან ასეთ ქმედებას მისთვის საზიანო ეფექტი არ აქვს.

საქმე *France Telecom SA v. Commission*³⁰⁷:

პირველი ინსტანციის სასამართლო

99. ... უნდა აღინიშნოს, რომ დომინანტური მდგომარეობის დადგენისათვის კომისიას არ სჭირდება იმის დემონსტრირება, რომ სანარმოს კონკურენტებისათვის, თუნდაც გრძელვადიან პერსპექტივაში, ბაზარი დახურულია.

100. ამასთან, იმის გარდა, რომ საბაზრო წილების მნიშვნელობა შეიძლება იცვლებოდეს ერთი ბაზრიდან მეორე ბაზარზე, დიდი წილები რჩება მათთან და ინახება გამონაკლისი შემთხვევებისათვის, როგორც დომინანტური მდგომარეობის დამადასტურებელი მტკიცებულება. ევროპულმა სასამართლომ საქმეში – C-62/86AKZO v. Commission [1991] ECR I-3359 პარაგრაფი – დაადგინა, რომ ეს ხდებოდა ბაზრის 50%-იანი წილის შემთხვევაში.

³⁰⁶ Case 85/76, Hoffmann-La Roche & Co AG v. EC Commission [1979] ECR 461, [1979] 3.

³⁰⁷ Case T-340/03, France Telecom SA v. Commission, 30/01/2007.

101. კონკრეტულ ბაზარზე არსებული ცოცხალი კონკურენცია არ გამორიცხავს ამ ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის არსებობას, რადგან დომინანტური მდგომარეობის მახასიათებლები არის ბაზარზე მისი კონკურენტების საქმიანობის სტრატეგიის გაუთვალისწინებლად და ამ საქმიანობიდან ზიანის მიუღებლად მოქმედება. ამდენად, ბაზარზე კონკურენციის არსებობის ფაქტი დომინანტური მდგომარეობის მტკიცებისას არსებითი საფუძველია, თუმცა ის არ არის გადამწყვეტი ფაქტორი.

2. მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მნიშვნელობა

საქმე *Europemballage Corp and Contonental Can Co Inc v. Commission*³⁰⁸.

საქმის ფაბულა: „კონტინენტური ქილების“ კორპორაცია იყო ამერიკული კომპანია, რომელიც აწარმოებდა მეტალის შესაფუთებს. მან მოიპოვა გერმანული მეტალის ქილების მწარმოებელი კომპანიის *SLW*-ს წილის 85,8%. მანვე შექმნა სრულად კონტროლირებადი შვილობილი კომპანია, რომლის მეშვეობითაც ის გეგმავდა, მოეპოვებინა მაკონტროლებელი მდგომარეობა ქილების მწარმოებელ სხვადასხვა კომპანიასთან. განხორციელებული ტრანზაქციიდან მხოლოდ ერთის შედეგი იყო ჰოლანდიური კომპანიის *TDV*-ს შესყიდვა. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეს ქმედება ეწინააღმდეგებოდა ხელშეკრულების 82-ე მუხლს, ვინაიდან *SLW*-ს მეშვეობით კონტინენტური ქილების კორპორაციას დომინანტური მდგომარეობა ეკავა საერთო ბაზრის შესაბამის ნაწილზე, რაც გამოიხატებოდა ხორცის, თევზისა და კიბორჩხალასნაირთა პროდუქციის მსუბუქ შეფუთვისა და მინის დოქებისათვის მეტალის ჭიქების დამზადებით; მან *Europemballage*-ს მიერ *TDV*-ს „კონტინენტური ქილების“ კორპორაციაში წილების დიდი ნაწილის შესყიდვით დაარღვია ხელშეკრულების 82-ე მუხლი, ვინაიდან პრაქტიკულად აღმოფხვრა კონკურენცია შესაბამის ბაზარზე. გასაჩივრების შემდეგ სასამართლომ გააუქმა კომისიის გადაწყვეტილება იმ საფუძველით, რომ მან არასწორად განსაზღვრა შესაბამისი ბაზარი და არ გაითვალისწინა ჩანაცვლებადი პროდუქტის მიწოდება. გენერალურ ადვოკატ როემერის პოზიციისაგან განსხვავებით, სასამართლომ დაადგინა, რომ დომინანტური მდგომარეობის არსებობისას შერწყმის შემთხვევა გაუტოლდებოდა 82-ე მუხლის დარღვევას.

ევროპული სასამართლო

19. აპლიკანტი აცხადებს, რომ კომისია თავისი გადაწყვეტილებით, რომელიც ეფუძნება ხელშეკრულების 82-ე მუხლის ირონიულ ინტერპრეტაციას, ცდილობს, შექმნას საწარმოთა შერწყმის ისეთი კონტროლი, რომელიც სცილდება მის უფლებამოსილებას. ასეთი მცდელობა სცილდება ხელშეკრულების ავტორების მიზანს, რაც ჩანს არა მხოლოდ სიტყვიერ ფორმულირებაში, არამედ ეროვნული კანონმდებლობისა და ევროპული საზოგადოების ხელშეკრულების შედარებისას. 82-ე მუხლში მითითებული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მაგალითები ამ დასკვნას ადასტურებს, რადგან, როგორც ხელშეკრულებიდან ჩანს, ის უთითებს მხოლოდ ისეთ შემთხვევებზე, რომლის დროსაც ხდება ბაზარზე გავლენის მოხდენა ან რომლებსაც უარყოფითი გავლენა აქვთ მომხმარებლებსა და სავაჭრო პარტნიორებზე. ამასთან, **82-ე მუხლი დომინანტურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ ეკონომიკური ძალაუფლების გამოყენებას ბოროტად გამოყენებად მიიჩნევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის შეესაბამება მეთოდს, რომლითაც მოხდა მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.** მაგრამ საწარმოს სტრუქტურული მეთოდი – როგორიცაა დომინანტური მდგომარეობის გაძლიერება შერწყმის მეშვეობით

³⁰⁸ Case 6/72, *Europemballage Corp and Contonental Can Co Inc v. Commission* [1973] ECR 215, CMLR 199.

– არ უთანაბრდება ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას ხელშეკრულების 82-ე მუხლის გაგებით. შესაბამისად, დადგინდა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არის ბათილი, რადგან მას არ გააჩნდა მოთხოვნილი სამართლებრივი საფუძველი.
(...)

21. იმ მეთოდებს შორის განსხვავება, რომლებიც შეეხება სანარმოების სტრუქტურას და პრაქტიკას, რომელიც ზემოქმედებს ბაზარზე, არ შეიძლება იყოს განმსაზღვრელი, რადგან ნებისმიერმა სტრუქტურულმა ზომამ შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს ბაზრის გარემოებებზე, თუ ის გაზრდის სანარმოს ზომას და ეკონომიკურ ძალაუფლებას.
(...)

26. როგორც ზემოთ მოყვანილი მსჯელობებიდან ჩანს, 82-ე მუხლით დაკისრებული გარემოებები უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ მოხდეს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა. დებულება განსაზღვრავს იმ ქმედებებს, რომლებიც უნდა აიკრძალოს. ჩამონათვალი იძლევა მიახლოებით მაგალითებს და არა ამომწურავ სიას ხელშეკრულების მიხედვით დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თაობაზე. როგორც 82-ე მუხლის მეორე პუნქტის ქვეპუნქტებიდან ჩანს, დებულება გულისხმობს არა მხოლოდ იმ შემთხვევებს, როდესაც პირდაპირი ზიანი შეიძლება მიადგეს მომხმარებელს, არამედ იმ შემთხვევებსაც, როდესაც მათ ადგებათ ზიანი ეფექტურ კონკურენციაზე ზიანის გავლენის მოხდენით, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების მე-3 1-ლ (ზ) მუხლში. ბოროტად გამოყენების შემთხვევა შეიძლება დადგეს მაშინაც, თუ დომინანტურ მდგომარეობაში მყოფი სანარმო ისეთი გზით გაიმყარებს მდგომარეობას, რომელიც გაანადგურებს კონკურენციას იმგვარად, რომ ბაზარზე დარჩენილი ერთადერთი სანარმო სრულად დამოკიდებული ხდება დომინანტზე.

საქმე *Tetra Pak Rausing SA v. Commission*³⁰⁹

საქმის ფაბულა: წინამდებარე საქმე მოიცავს კომისიის გადაწყვეტილების საწინააღმდეგო საჩივარს, რომელშიც კომისიამ დაადგინა, რომ *Tetra Pak*-ის მიერ ექსკლუზიური პატენტის ლიცენზიის მოპოვება შეესაბამებოდა ბოროტად გამოყენებას.

გენერალური ადვოკატი კირხნელი

67. [მუხლი 82]...(...) მოიცავს ბოროტად გამოყენების ოთხ მაგალითს. პირველი ორი მაგალითი უპირატესად იცავს კონტრაქტის მხარეებს დომინანტი სანარმოებისაგან და მომხმარებლებს დომინანტზე მათი დამოკიდებულების ექსპლუატაციისაგან, მაშინ როცა (დ) ქვეპუნქტში გათვალისწინებული აკრძალვა, რომელიც შეეხება დამატებითი ვალდებულებების აღებასთან დაკავშირებული კონტრაქტის დადებას, აშკარად მიზნად ისახავს კონკურენტების, ისევე როგორც კონტრაქტის მხარეების, დაცვას, (გ) ქვეპუნქტში მოყვანილი მაგალითი კრძალავს დომინანტი სანარმოს სავაჭრო პარტნიორებს შორის დისკრიმინაციას, რომელსაც შეიძლება უარყოფითი გავლენა ჰქონდეს კონკურენციაზე. პირველი სამი მაგალითის საერთო მახასიათებელი არის ის, რომ ქმედება ემსახურება მოგების მიღების ლეგიტიმურ მიზანს უკანონო გზების მეშვეობით. ბოროტად გამოყენების მაგალითები, რომლებიც აშკარად არ ჩანს დებულებებში, გამომდინარეობს მათი ფორმულირებიდან. ისინი მიუთითებენ საზღვრებზე, რომელთა დაცვაც აუცილებელია დომინანტ მდგომარეობაში მყოფი სანარმოსთვის, თუნდაც მათი ქმედება არ ხვდებოდეს აღნიშნულ მაგალითებში, (...) კერძოდ კი, პროპორციულობის პრინციპი (...) და დისკრიმინაციის აკრძალვა.

³⁰⁹ Case T-51/89, *Tetra Pak Rausing SA v. Commission* [1990] ECR II-309, [1991] 4 CMLR 334.

68. ამ შემთხვევაში პროპორციულობის პრინციპი არის უპირატესი მნიშვნელობის, ვინაიდან ექსკლუზიური ლიცენზიის (და მხოლოდ ექსკლუზიური ლიცენზიის) მოპოვებასთან დაკავშირებული საჩივარი გულისხმობს არაპროპორციული ქმედების გასაჩივრებას. დომინანტი სანარმოს ქმედების მიმართ ამ პრინციპს აქვს შემდეგი მნიშვნელობა: დომინანტ მდგომარეობაში მყოფი სანარმო შეიძლება იყოს მოგებაზე ორიენტირებული, შესაძლებლობათა ფარგლებში ცდილობდეს ბაზარზე თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას და კანონიერი ინტერესების დაცვას. ასეთ დროს მას შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ ისეთი მეთოდები, რომლებიც აუცილებელია კანონიერი მიზნების მისაღწევად. კერძოდ, მას არ შეუძლია ისე მოქცევა, რომ აუცილებელზე მეტად შეზღუდოს კონკურენცია.

IV. დომინანტური მდგომარეობის დადგენა

საქმე *Nederlandsche Banden-Industrie Michelin v. Commission*³¹⁰:

სასამართლო

(აა) მძიმე ავტომობილების საბურავების ბაზარი

35. აპლიკანტი ამტკიცებს, რომ შესაბამისი ბაზრის დეფინიცია, რომელსაც დაეყრდნო კომისია, არის ძალიან ფართო, რადგან მომხმარებლისათვის მძიმე ავტომობილის სხვადასხვა ტიპისა და ზომის საბურავები არ არის ჩანაცვლებადი, და, ამავე დროს, იგივე განმარტება არის ძალიან ვიწრო, რადგან მსუბუქი მანქანისა და ფურგონების საბურავები არ არის გათვალისწინებული, მიუხედავად იმისა, რომ მათ იგივე პოზიცია აქვთ ბაზარზე. ის ასევე აღნიშნავს, რომ კომისიის მსჯელობა ურთიერთგამომრიცხავია, რადგან, ერთი მხრივ, ცდილობს, მდგომარეობა შეაფასოს მომხმარებლის პოზიციიდან, ხოლო მეორე მხრივ, ვითარებას უყურებს მიმწოდებლის თვალთ. გარდა ამისა, მიმწოდებლის საერთო გაყიდვების ნილში Michelin-ის მძიმე ავტომობილების საბურავების გაყიდვის ნილი შეადგენს 12-იდან 18%-ამდე, რაც გამორიცხავს დომინანტური მდგომარეობის არსებობას.

36. კომისია იცავს თავის გადაწყვეტილებაში განსაზღვრულ შესაბამისი ბაზრის განმარტებას და აღნიშნავს, რომ ტექნიკურად ერთგვაროვან პროდუქტებთან დაკავშირებით შეუძლებელია სხვადასხვა ბაზრის განსაზღვრა საბურავების სხვადასხვა ტიპისა და ზომის გათვალისწინებით: ამავე დროს, სხვადასხვა ტიპისა და ზომის საბურავების მოწოდების ელასტიკურობა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული; მეორე მხრივ, ურთიერთჩანაცვლებადობისა და მოთხოვნის ელასტიკურობის კრიტერიუმები საშუალებას იძლევა, ერთმანეთისაგან გამოიყოს მძიმე ავტომობილებისა და მსუბუქი ავტომობილების საბურავების ბაზარი, მოთხოვნის გათვალისწინებით, რომელიც მძიმე ავტომობილების საბურავების შემთხვევაში ხასიათდება გამოცდილი მყიდველებით.

37. როგორც სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, ბოლოს კი 1980 წლის 11 დეკემბრის საქმეში *31/90 NVL'Oreal v. PVBA De Nieuwe AMCK* [1980] ECR 3775, ამ ბაზარზე სანარმოს დომინანტური მდგომარეობის გამოძიების შესაძლებლობისთვის კონკურენციის შესაძლებლობა უნდა დადგინდეს იმ პროდუქტების გაერთიანებული ბაზრის კონტექსტში, რომლებიც, მათი თვისებებიდან გამომდინარე, ხელსაყრელია მუდმივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და მხოლოდ შეზღუდულ დონეზე არის სხვა პროდუქტებთან ჩანაცვლებადი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა გამოსა-

³¹⁰ Case 322/81, *Nederlandsche Banden-Industrie Michelin v. Commission* [1983] ECR 3461, [1985] 1 CMLR 282.

დეგია იმის შეფასებისას, თუ რამდენად შეუძლია ჩართულ სანარმოს, შეზღუდოს ეფექტური კონკურენციის არსებობა და მოიქცეს თავისი კონკურენტებისა და მომხმარებლებისაგან საგრძნობ დონემდე დამოუკიდებლად. შესაბამისად, ამ მიზნისათვის, შეფასება, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ თვისებრივად ერთი და იმავე პროდუქტის განხილვით, არ შეიძლება იყოს საკმარისი: კონკურენტული პირობები, მიწოდების სტრუქტურა და ბაზარზე არსებული მოთხოვნა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

38. გარდა ამისა, სწორედ ამ მიზეზის გამო შეთანხმდნენ კომისია და *Michelin NV*, რომ ბაზრის წილების შეფასებისას ახალი, ორიგინალურად აღჭურვილი საბურავები არ უნდა ყოფილიყო მხედველობაში მიღებული. ასეთ საბურავებზე ავტომობილების მწარმოებელთა პირდაპირი შეკვეთის არსებული კონკრეტული მოთხოვნის სტრუქტურის გათვალისწინებით დგინდება, რომ კონკურენცია ამ სფეროში იმართება აბსოლუტურად განსხვავებული ფაქტორებითა და წესებით.

39. იმდენად, რამდენადაც ნახსენებია ჩანაცვლებადი საბურავები, პირველ პუნქტად უნდა აღინიშნოს, რომ ურთიერთჩანაცვლება არ არსებობს, ერთი მხრივ, მსუბუქი ავტომობილისა და ფურგონის საბურავებსა და, მეორე მხრივ, მძიმე ავტომობილებს შორის. შესაბამისად მსუბუქი ავტომობილისა და ფურგონის საბურავებს არ აქვთ არანაირი გავლენა მძიმე ავტომობილების საბურავებს შორის არსებულ კონკურენციაზე.

40. გარდა ამისა, პროდუქციის სხვადასხვა ჯგუფზე განსხვავებულია მოთხოვნის სტრუქტურა. მძიმე ავტომობილების საბურავების მომხმარებელთა უმეტესობა არის მოვაჭრე, კერძოდ, დაკავებულია გადაზიდვითი საქმიანობით, რომელთათვისაც, როგორც კომისიამ განმარტა, ჩანაცვლებადი საბურავების შესყიდვა მნიშვნელოვანი დანახარჯის საგანია, რის გამოც მომხმარებლები მუდმივად სთხოვენ საბურავების მწარმოებლებს რჩევას და გრძელვადიან სპეციალურ მომსახურებას, რომელიც ადაპტირებული იქნება მათ სპეციფიკურ საჭიროებებთან. მეორე მხრივ, მსუბუქი ავტომობილისა და ფურგონის საბურავების ჩვეულებრივი მყიდველისათვის საბურავის შეძენა ჩვეულებრივი მოვლენაა და იმ შემთხვევაშიც კი, როცა მყიდველი იმავდროულად არის ბიზნესმენი, ის არ ელოდება თავის მოთხოვნაზე ადაპტირებულ სპეციალურ რჩევას და მომსახურებას საბურავის მიწოდებისაგან. ასევე მძიმე ავტომობილების საბურავების გაყიდვა მოითხოვს კონკრეტულ სპეციალიზებულ სადისტრიბუციო ქსელს, რაც არ ხდება მსუბუქი ავტომობილისა და ფურგონის საბურავების შემთხვევაში.
(...)

42. კომისიამ სწორად შეაფასა ბაზრის სტრუქტურა და მოთხოვნა, უპირატესად *Michelin NV*-ს დილერების დონეზე, მათი პრაქტიკის გამოყენებით. *Michelin NV*-მ, მართალია, სხვა კონტექსტში, მაგრამ განაცხადა, რომ ის იძულებული გახდა, შეეცვალა თავისი ფასდაკლების სისტემა, თავისი დილერების სპეციალიზაციის ტენდენციის გათვალისწინებით, რომელთაგან რამდენიმე, კერძოდ კი ავტოფარეხების მფლობელები, აღარ ყიდდნენ მძიმე ავტომობილებისა და ფურგონების საბურავებს. ეს ადასტურებს დილერთა სხვადასხვა ჯგუფის მოთხოვნის სტრუქტურებს შორის არსებულ განსხვავებებს. *Michelin NV*-ს არც ის ფაქტი გაუხდია სადავოდ, რომ მძიმე ავტომობილის, მსუბუქი ავტომობილისა და ფურგონის საბურავებს შორის არსებული განსხვავებები ასევე არსებობს მისი კონკურენტების პროდუქციაშიც, განსაკუთრებით, როდესაც ეს შეეხება ფასდაკლების სისტემებს, მაშინაც კი, როდესაც სხვადასხვა მწარმოებლების მიერ წარმოებული საბურავების სახეები შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს ერთ დეტალში.

43. მიუხედავად ამისა, იმ ფაქტიდან, რომ ქმედება, რომლის მიმართაც გამოიყენება გამონაკლისი, არ გამომდინარეობს, რომ ეს საქმე გავლენას ახდენს დილერებზე, რადგან *Michelin NV*-ს მდგომარეობა უნდა შეფასდეს დილერების მთლიან ბრუნვაში *Michelin*-ის წილის პროპორციულობის საფუძველზე. ვინაიდან გამოძიების შეკითხვაა, აქვს თუ არა *Michelin NV*-ს დომინანტური მდგომარეობა ბაზარზე, უმნიშვნელოა ის ფაქტი, რომ დილერების საქმიანობა უკავშირდება იმავე პროდუქციას, იმ შემთხვევაში, თუ ამ ორ პროდუქციას შორის არ არსებობს კონკურენცია.

44. მეორე მხრივ, იმის გადაწყვეტისას, არსებობს თუ არა დომინანტური მდგომარეობა, არც მძიმე ავტომობილების საბურავების ტიპსა და ზომებს შორის მინოდების ელასტიკურობის არარსებობა, რაც პროდუქციის პირობებს შორის განსხვავებას გამოხატავს, არც ჩანაცვლებისა და მოთხოვნის ელასტიკურობის არარსებობა, აღნიშნული ტიპისა და ზომის საბურავებს შორის მომხმარებლის სპეციალური მოთხოვნილებების თვალსაზრისით, არ იძლევა უფრო პატარა ბაზრების განსაზღვრის შესაძლებლობას, როგორც ამას მოითხოვდა *Michelin NV*. საბურავების ზომებსა და სახეებს შორის არსებული, ზემოთ აღნიშნული განსხვავებები დილერებისათვის არ არის არსებითად მნიშვნელოვანი, ვინაიდან მათ მომხმარებლების მხრიდან შესაძლოა, მიღებული ჰქონდეთ მოთხოვნა მძიმე ავტომობილების საბურავების სრულ ხაზზე. ამასთან, ჩართული სანარმოს მხრიდან კონკრეტული სპეციალიზაციის არარსებობისას პროდუქციაში ასეთი სახისა და ზომის განსხვავებებს არ აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა ბაზარზე სანარმოს მდგომარეობის შეფასებაში, რადგან ტექნიკურ დონეზე მათი მსგავსება და კონკურენციის პირობები ბაზარზე მათთვის იდენტურია.

45. შესაბამისად, კომისიამ სამართლიანად დაადგინა, რომ *Michelin NV*-ს ჰქონდა დომინანტური მდგომარეობა და მისი საბაზრო წილის შეფასებისას აბსოლუტურად სწორად მიუთითა სატივროთო ავტომობილების, ავტობუსებისა და მსგავსი ავტომობილების საბაზრო წილზე და გამოორიცხა მსუბუქი ავტომობილისა და ფურგონის საბურავების წილი.

(ბბ) განახლებულ საბურავებს შორის კონკურენციის გათვალისწინება

46. იმისათვის, რათა დაემტკიცებინა, რომ მისი ბაზრის წილი ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე კომისიის მიერ შეფასებული, აპლიკანტი ასევე ჩივის, რომ კომისიამ უსამართლოდ გამოყო განახლებული საბურავები შესაბამისი ბაზრიდან; აპლიკანტის მიხედვით, ეს მომხმარებელს სთავაზობს არსებით ალტერნატივას, როგორც ხარისხის, ასევე ფასის გათვალისწინებით. ამ არგუმენტის დასაცავად *Michelin NV* ახდენს უამრავ კალკულაციას, რომლის მიზანიც არის განახლებული საბურავების კონკურენტუნარიანობის ჩვენება ახალი საბურავების მიმართ.

47. კომისიის მიხედვით, განახლებული საბურავები არ უნდა შედიოდეს ზემოთ განსაზღვრულ შესაბამის ბაზარში, რადგან ისინი არ ცვლის ახალ საბურავებს. ეს, კომისიის მტკიცების მიხედვით, ასეა, პირველ რიგში, მომხმარებლის დამოკიდებულებიდან გამომდინარე, რადგან ისინი ახალ საბურავებს უფრო დაცულად მიიჩნევენ; მეორე, განახლებული საბურავების უმეტესობას სატრანსპორტო სანარმოები სწორედ თავისთვის ანარმოებენ, ხოლო განსახილველი ბაზარი გულისხმობს მომსახურების მიწოდებას; დაბოლოს, ვინაიდან განახლებული საბურავები არის მეორადი პროდუქტი და მასალა განახლებული საბურავებისათვის, რაც მნიშვნელოვნად გამოორიცხავს განახლებული საბურავების მიერ მათ ჩანაცვლებას, კონკურენცია უნდა შეფასდეს პირველ ბაზარზე, რომელიც მთლიანი ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილია.

48. ამის გათვალისწინებით, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ კონკურენტული

ურთიერთობა ორ პროდუქტს შორის არ გულისხმობს სრულ ურთიერთჩანაცვლებას კონკრეტული მიზნისათვის; ის არ არის წინაპირობა იმის დასადგენად, რომ არსებობს დომინანტური მდგომარეობა აღნიშნული პროდუქტის ბაზარზე, თუნდაც იმ შემთხვევაში, როცა ასეთის არსებობა არ არის აუცილებელი სხვა ნაწილობრივ ჩანაცვლებადი პროდუქტის არსებობის სრულად გამოსარიცხავად, იმდენად, რამდენადაც ასეთი კონკურენცია არ ახდენს გავლენას საწარმოს შესაძლებლობაზე, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს პირობებზე, რომელშიც უნდა იყოს კონკურენცია ან ნებისმიერ დონეზე მოიქცეს სხვა კონკურენტების ქმედების მხედველობაში მიუღებლად, და, მისი პოზიციიდან გამომდინარე, არ მიიღოს უარყოფითი შედეგი.

49. მხარეების მიერ გაკეთებული განცხადებებიდან და მოწმეების მიერ მიცემული ჩვენებებიდან, რომლებიც ადმინისტრაციული მოსმენისას შემომნდა, აშკარაა, რომ განახლებული და ახალი საბურავები გარკვეულ დონემდე ჩაენაცვლებიან ერთმანეთს, მაგრამ მხოლოდ შეზღუდულ დონეზე და არა ყველა შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, *Michelin NV*-მ მოახდინა კალკულაცია იმის საჩვენებლად, რომ განახლებული საბურავები ხარისხითა და ფასით შედარებადია ახალ საბურავებთან და რომ მომხმარებელთა დიდი რიცხვი რეალურად ახდენს პროდუქტის ამ ორი ჯგუფის ჩანაცვლებას; ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სანდოობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით, განახლებულის ღირებულება ნაკლებია, ვიდრე ახალი საბურავისა. კომისიამ განაცხადა, რომ მომხმარებელთა მნიშვნელოვან ნაწილს კონკრეტული დათქმები აქვს განახლებული საბურავების გამოყენებასთან, კერძოდ კი, ავტომობილის წინა საბურავებთან დაკავშირებით.

(...)

51. ამასთან, კონკურენტების მიმართ *Michelin NV*-ს ბაზრის წილის ზომის შეფასებისას არ უნდა გამოგვრჩეს, რომ განახლებული საბურავების ბაზარი არის მეორადი, რაც დამოკიდებულია ახალი საბურავების ბაზარზე არსებულ მიწოდებასა და ფასებზე, რადგან ყველა განახლებული საბურავი ადრე იყო ახალი საბურავი და არსებობს ზღვარი, რომლის შემდეგაც საბურავის განახლება შეუძლებელია. შესაბამისად, მოთხოვნის მნიშვნელოვანი ნაწილი ყოველთვის დაკმაყოფილდება ახალი საბურავებით. ასეთ პირობებში დომინანტურ მდგომარეობაში ყოფნა საწარმოს აყენებს პრივილეგიურ მდგომარეობაში განახლებული საბურავების მწარმოებელი საწარმოების მიმართ და ეს მას შესაძლებლობას აძლევს, მოიქცეს ბაზრის პირობებისაგან მეტად დამოუკიდებლად, ვიდრე ეს შესაძლებელია განახლებაზე მომუშავე საწარმოების შემთხვევაში.

52. ზემოთ აღნიშნულიდან ნათელია, რომ ნაწილობრივი კონკურენცია, რომელშიც ახალი საბურავების მწარმოებლები მონაწილეობენ, განახლებული საბურავების მწარმოებლებთან ერთად, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ახალი საბურავების მწარმოებლებს ჩამოერთვათ მათი ეკონომიკური ძალაუფლება, რომელსაც ფლობენ ახალი საბურავების ბაზარზე, თავიანთი დომინანტური მდგომარეობიდან გამომდინარე. *Michelin NV*-ს მდგომარეობის შეფასებისას მისი კონკურენტების სიძლიერესა და რაოდენობასთან დაკავშირებით, კომისია მართალი იყო, როდესაც მხედველობაში მიიღო 57-იდან 65%-ამდე წილი მძიმე ავტომობილების ახალი და ჩანაცვლებადი საბურავების ბაზარზე. *Michelin NV*-ს ძირითადი კონკურენტების წილი შეადგენს 4-იდან 8%-ს, რაც ხაზს უსვამს *Michelin NV*-ს უპირატესობას მის კონკურენტებთან მიმართებით, მაშინაც კი, როდესაც მხედველობაში მიიღება განახლებული საბურავების მწარმოებლებთან არსებული კონკურენცია.

საქმე *France Telecom SA v. Commission*³¹¹:

პირველი ინსტანციის სასამართლო

78. მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების მიხედვით (საქმე 322/81, *Nederlandsche Banden-Industrie Michelin v. Commission* [1983] ECR 3461, პარა. 37; საქმე T-65/96 *Kish Glass v. Commission* [2000] ECR II-1885, პარა 62; და საქმე T-219/99 *British Airways v. Commission* [2003] ECR II-5917, პარა. 91), მოცემული პროდუქტის ბაზარზე შესაძლო დომინანტური მდგომარეობის გამოძიების მიზნებისათვის კონკურენციის შესაძლებლობა უნდა დადგინდეს იმ ბაზრის კონტექსტში, რომელიც შედგება სრულად იმ პროდუქტებისა თუ მომსახურებისაგან, რომლებიც, მათი მახასიათებლებიდან გამომდინარე, მოსახერხებელია მუდმივი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და მხოლოდ შეზღუდულ დონეზე ხდება მათი ჩანაცვლება სხვა პროდუქციასა თუ მომსახურებასთან. ამასთან, შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა გამოიყენება იმის შეფასებისას, შეუძლია თუ არა საწარმოს, თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე, თავიდან აიცილოს ეფექტური კონკურენციის არსებობა და მოიქცეს მნიშვნელოვან დონემდე თავისი კონკურენტებისაგან დამოუკიდებლად და ამ შემთხვევაში თავისი მომსახურების მიმწოდებლებისაგან დამოუკიდებლადაც. ამ თვალსაზრისით შემოწმება არ შეიძლება შეზღუდული იყოს შესაბამისი მომსახურების ობიექტურ მახასიათებლებით, არამედ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბაზარზე არსებული საკონკურენციო პირობები და მიწოდებისა და მოთხოვნის სტრუქტურა.

79. იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტის გამოყენება შეიძლება სხვადასხვა მიზნისათვის და თუ გამოყენების სხვადასხვა სახე შეესაბამება ეკონომიკურ საჭიროებებს, რომლებიც თავის მხრივაც განსხვავებულია, არსებობს კარგი საფუძველი იმის მისაჩნევად, რომ ამ პროდუქტს, გარემოებების მიხედვით, შეიძლება ჰქონდეს სხვა, ცალკეული ბაზარი, რომელსაც შესაძლოა, ჰქონდეს სპეციფიკური თვისებები, რომლებიც განსხვავდება როგორც კონკურენციის სტრუქტურით, ასევე მისი პირობებით. თუმცა ეს ფაქტი არ ამართლებს იმ დასკვნას, რომ ეს პროდუქტი, სხვა პროდუქტებთან ერთად, რომლითაც სხვადასხვა ფორმით გამოყენებისას შეიძლება მოხდეს მისი ჩანაცვლება, ან რომლის კონკურენტიც შეიძლება ის იყოს, ქმნის ერთ, ერთიან ბაზარს.

80. შესაბამისი ბაზრის კონცეფცია გულისხმობს, რომ შეიძლება წარმოიქმნას ეფექტური კონკურენცია იმ პროდუქტებს შორის, რომლებიც ქმნიან მის ნაწილს, რაც გულისხმობს, რომ არსებობს ურთიერთჩანაცვლების საკმარისი დონე ყველა იმ პროდუქტს შორის, რომელიც შეადგენს ერთი და იმავე ბაზრის ნაწილს იმდენად, რამდენადაც ასეთი პროდუქტების სპეციფიკური გამოყენება არის საჭირო (საქმე 85/76, *Hoffmann-La Roche & Co AG v. EC Commission* [1979] ECR 461, [1979] 3 CMLR 211, პარა. 28.).

81. გაერთიანების კონკურენციის სამართლის მიზნებისათვის (OJ 1997 C, 372, გვ. 5, პარა. 7) კომისიის მიერ შესაბამისი ბაზრის დეფინიციიდან ჩანს, რომ შესაბამისი პროდუქტის ბაზარი მოიცავს ყველა იმ პროდუქტს და/ან მომსახურებას, რომელთაც მომხმარებელი მიიჩნევს ურთიერთჩანაცვლებად ან შემცვლელად, პროდუქტის მახასიათებლების, მათი ფასებისა და მიზნობრივი გამოყენების მიხედვით.

82. აღსანიშნავია, რომ არ არის მცირე განსხვავებაც კი მაღალი და დაბალი ხარისხის დაშვება შორის. (...)

89. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ WIN-ის მიერ შეგროვებული და მოწოდებული ინფორმაციიდან აშკარაა, მოცემულ საკვლევ პერიოდში მაღალი სიჩქარის ინტერნეტის მომხმარებელთა მიგრაცია დაბალი სიჩქარის ინტერნეტის მომხმარებელთა

³¹¹ Case T-340/03, *France Telecom SA v. Commission*, 30/01/2007.

ჯგუფში, მიუხედავად ფასში არსებული სხვაობისა, ძალიან დაბალია. აღნიშნული არსებითი განსხვავება მიგრაციის კოეფიციენტში მაღალი და დაბალი სიჩქარის ინტერნეტის მომხმარებელთა შორის დამაჯერებლობას არ სძენს იმ არგუმენტს, რომ ეს ორი მომსახურება ურთიერთჩანაცვლებადია მომხმარებლისათვის.
(...)

90. მეორე, კომისიის სახელით ჩატარებული და WIN-ის აპლიკაციას დართული კვლევებიდან ჩანს, რომ მომხმარებელთა 80% შეინარჩუნებდა პროვაიდერ კომპანიას ფასების 5-იდან 10%-ამდე ზრდის შემთხვევაში. კომისიის მოხსენების მე-17 პარაგრაფის მიხედვით, რომელიც შეეხება გაერთიანების კონკურენციის სამართლის მიზნებისათვის შესაბამისი ბაზრის დეფინიციას, მომხმარებელთა მაღალი პროცენტი, რომელიც, ფასის 5-10%-ით ზრდის მიუხედავად, არ აპირებს პროვაიდერის შეცვლას, არის მოთხოვნის მხრივ ჩანაცვლების არარსებობის ძლიერი ინდიკატორი.

91. შესაბამისად, ზემოთ აღნიშნულის მიხედვით, უნდა დადგინდეს: კომისიამ სწორად განსაზღვრა, რომ არ არსებობდა ჩანაცვლების საკმარისი დონე მაღალი და დაბალი სიჩქარის ინტერნეტის პროვაიდერებს შორის და სამართლიანად განსაზღვრა ბაზარი მაღალი სიჩქარის ინტერნეტის მომხმარებლებისთვის.

საქმე *Hugin Kassaregister AB and Hugin Cash Registers LTD v. Commission*³¹²:

ევროპული სასამართლო

5. დავის მოსაგვარებლად, პირველ რიგში, აუცილებელია, განისაზღვროს შესაბამისი ბაზარი. ამისათვის მხედველობაში უნდა მივიღოთ ფაქტი, რომ *Hugin*-ს სანინალმდეგოდ დადგენილი ქცევა მოიცავს „ლიფტონისათვის“, და საერთოდ მისი სადისტრიბუციო ქსელის გარეთ მყოფი სადისტრიბუციო კომპანიებისათვის, ნაწილების მიწოდებაზე უარის თქმას. შეკითხვა ასეთია: რამდენად შეესაბამება ნაწილების მიწოდება ცალკეულ ბაზარს, თუ ის არის უფრო ფართო ბაზრის შემადგენელი ნაწილი? ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია განისაზღვროს იმ კლიენტთა კატეგორია, რომლებიც მოითხოვენ ასეთ ნაწილებს.

6. ამ თვალსაზრისით, დადგენილია, ერთი მხრივ, საკასო აპარატები ისეთი ტექნიკური ხასიათისაა, რომ მომხმარებელს არ შეუძლია რაიმე ნაწილის მანქანაში ჩადება და ამისათვის სჭირდება ტექნიკოსის სპეციალური მომსახურება, ხოლო მეორე მხრივ, ნაწილების ღირებულებას აქვს მცირე მნიშვნელობა შენახვისა და შეკეთებისას. ამიტომ საკასო აპარატების მომხმარებლები არ ხვდებიან ბაზარზე როგორც მისი ნაწილების შემსყიდველები, ვინაიდან ისინი უფლიან და საჭიროების შემთხვევაში შეაკეთებენ თავიანთ აპარატებს. მიუხედავად იმისა, იყენებენ ისინი *Hugin*-ის შესყიდვის შემდგომ მომსახურებას, თუ ეყრდნობიან შემნახველ და შემკეთებელ სამუშაოებში ჩართულ დამოუკიდებელ სანარმოებს, მათი პირდაპირი და დამოუკიდებელი მოთხოვნა ნაწილებზე არ ჩანს, ვინაიდან ნამდვილად არსებობს შენახვისა და შეკეთების ბაზარი, რომელიც განსხვავდება ახალი საკასო აპარატების ბაზრისაგან. ეს აუცილებლად არის მომსახურების განევის ბაზარი და არა ნაწილების გასაყიდი ბაზარი, რის მიწოდებაზეც უარი კომისიის მიერ გადანყვეტილების მიღების საგანია.

7. მეორე მხრივ, სხვა საფეხურზე არსებობს განსხვავებული ბაზარი *Hugin*-ის ნაწილებისთვის, კერძოდ კი იმ დამოუკიდებელი სანარმოებისთვის, რომლებიც სპეციალიზებული არიან საკასო აპარატების შენახვასა და შეკეთებაში, გამოყენებული საკასო აპარატების

³¹² Case 22/78, *Hugin Kassaregister AB and Hugin Cash Registers LTD v. Commission* [1979] ECR 1869, [1979] 3 CMLR 345.

გადაკეთებაში, გამოყენებული აპარატების გაყიდვასა და მათ გაქირავებაში. ბაზარზე ასეთი საწარმოების როლი ბიზნესია, რომელიც მათი სხვადასხვა საქმიანობისთვის მოითხოვს ნაწილებს. მათ ნაწილები სჭირდებათ იმისათვის, რომ მოემსახურონ საკასო აპარატების სხვადასხვა მომხმარებელს, იქნება ეს შენახვისა და შეკეთების, გამოყენებული საკასო აპარატების გადაკეთების, თუ გამოყენებული აპარატების გაყიდვისა და მათი გაქირავების ფორმით. დაბოლოს, მათ აღნიშნული ნაწილები სჭირდებათ თავიანთი კუთვნილი აპარატების შეკეთებისათვის, მათი შემდგომი გაყიდვისა თუ გაქირავების მიზნით. გარდა ამისა, დადგენილია, რომ *Hugin*-ის ნაწილებზე არსებობს განსაკუთრებული მოთხოვნა, რადგან ეს ნაწილები არ არის ჩანაცვლებადი საკასო აპარატების სხვა ნაწილებთან.

8. შესაბამისად, *Hugin*-ის ნაწილების ბაზარი, რომელზეც მოთხოვნა აქვს სხვადასხვა საწარმოს, ამ საქმის ფაქტებისათვის ხელშეკრულების 82-ე მუხლის მოცემულობის მიხედვით, არის შესაბამისი ბაზარი. ფაქტობრივად ის არის ბაზარი, რომელზეც მოხდა მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

9. აუცილებელია იმის გამოკვლევა, იმყოფება თუ არა ამ ბაზარზე *Hugin* დომინანტურ მდგომარეობაში. ამ საკითხთან დაკავშირებით *Hugin* აღნიშნავს, რომ მას ნაწილების ბაზარზე მონოპოლია აქვს. კომერციული მიზნებისათვის ნაწილების ნებისმიერი კონკურენციული პროდუქცია, რომელიც *Hugin*-ის საკასო აპარატებში შეიძლება იქნეს გამოყენებული, არ არის დამაჯერებელი. *Hugin* ამტკიცებს, რომ არსებობს ნაწილების მოწოდების სხვა წყარო, კერძოდ კი გამოყენებული აპარატების დაშლა და შესყიდვა. მოწოდების აღნიშნული წყაროს ფასეულობა მხარეების დავის საგანია. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტებიდან საკასო აპარატების სფეროში ჩანს გამოყენებული აპარატების დაშლის პრაქტიკის არსებობა, ის არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მოწოდების საკმარის ალტერნატიულ წყაროდ. შესაბამისად „ლიფტონის“ წლიური ბრუნვა იმ წლების განმავლობაში, როდესაც *Hugin* მას უარს ეუბნებოდა ნაწილების მიწოდებაზე, მისი გაყიდვისა და გაქირავების წილი *Hugin*-ის ნაწილებით შეკეთების ბიზნესის საფუძველზე მკვეთრად შემცირდა, არა მარტო აბსოლუტურ პირობებში გამოხატულად, არამედ უფრო მეტად რეალურ პირობებში, ინფლაციის გათვალისწინებით.

10. შესაბამისად, მისი ნაწილების ბაზარზე *Hugin* იმყოფება მდგომარეობაში, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს, იმოქმედოს თავისი კონკურენტული მოწოდების წყაროს გათვალისწინების გარეშე. შესაბამისად, არ არსებობს საფუძველი იმაში ეჭვის შესატანად, რომ მას ბაზარზე აქვს 82-ე მუხლში გათვალისწინებული დომინანტური მდგომარეობა.

საქმე *Hilti AG v. Commission*³¹³:

პირველი ინსტანციის სასამართლო

64. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ბაზარზე Hilti-ის მდგომარეობის შეფასებისათვის უნდა განისაზღვროს შესაბამისი ბაზარი, რადგან კონკურენციის შესაძლებლობა სხვა პროდუქტებთან მიმართებით შეიძლება დადგინდეს მხოლოდ იმ პროდუქტების მეშვეობით, რომლებსაც აქვთ უნარი, დაკმაყოფილონ არაელასტიკური საჭიროებები და მხოლოდ შეზღუდულად ჩაენაცვლებიან სხვა პროდუქტებს (...).

66. სასამართლო მიიჩნევს, რომ ლურსმნის პისტოლეტი, კარტრიჯის ლენტი და ლურსმანი შეესაბამება სამ განსხვავებულ ბაზარს. ვინაიდან კარტრიჯის ლენტი და ლურსმანი სპეციფიკურად მზადდება და ასევე ხდება მათი შესყიდვა მომხმარებლის მიერ

³¹³ Case T-30/89, *Hilti AG v. Commission* [1991] ECR II-439, [1992] 4 CMLR 16.

ერთადერთი ბრენდის პისტოლეტისათვის, უნდა დადგინდეს, რომ არსებობს ცალკეული ბაზარი *Hilti*-ის შესაბამისი კარტრიჯის ლენტებისა და ლურსმნებისათვის, როგორც ამას ადგენს კომისია თავის გადაწყვეტილებაში (პარა. 55).

67. ლურსმნის მნიშვნელობის გათვალისწინება, მისი გამოყენება *Hilti*-ის აპარატებში, არსებითი ელემენტია ამ დავაში, რადგან 1960 წლის შემდეგ არსებობდნენ დამოუკიდებელი მწარმოებლები, რომლებიც ამზადებდნენ ლურსმნებს შესაბამისი პისტოლეტებისათვის. ზოგიერთი მწარმოებელი სპეციალიზებულია მხოლოდ პისტოლეტების დამზადებაში და, რა თქმა უნდა, რამდენიმე მათგანი ამზადებს ლურსმნებს მხოლოდ *Hilti*-ს აპარატებისთვის. ეს ფაქტი, თავისთავად, ჟღერს როგორც *Hilti*-ის აპარატურის შესაბამისი ლურსმნების ცალკეული ბაზრის არსებობის მტკიცებულება.

68. *Hilti*-ის მტკიცება, რომ პისტოლეტები, კარტრიჯის ლენტები და ლურსმნები მიჩნეულ უნდა იქნეს ერთ მთლიანობად, პრაქტიკულად უდრის ლურსმნის პისტოლეტის მწარმოებლებისათვის ნებართვის მიცემას, გამორიცხონ სხვა მოხმარების საგნების გამოყენება მათი წარმოებული პროდუქციიდან. როგორც ჩანს, კონკურენციის სამართლის გარდა, საერთო წესებისა თუ დამავალდებულებელი განცხადებების არარსებობის გამო მწარმოებლებს შეუძლიათ ისეთი მოხმარების საგნების წარმოება, რომლებიც გათვლილი იქნება არა მარტო მათი პროდუქციისათვის, არამედ მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება სხვა ბრენდის პროდუქციასთან მიმართებით, თუ, რა თქმა უნდა, ასეთი ტიპის წარმოება არ დაარღვევს პატენტის ან სხვა ინდუსტრიული თუ ინტელექტუალური სამართლის ნორმებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავეყრდნობით აპლიკანტის მტკიცებას, რომ სხვადასხვა წარმოების ერთი და იგივე პროდუქცია არ არის ჩანაცვლებადი, თუ არ მოხდება გამოსაყენებელი სისტემების შეცვლა, ამ საკითხის რეგულირება უნდა მოხდეს შესაბამისი კანონებისა და რეგულაციების მიღების გზით და არა ლურსმნის პისტოლეტების მწარმოებელთა ცალმხრივი ზომებით, რასაც აქვს დამოუკიდებელი მწარმოებლებისათვის ბიზნესის მოცულობის გაზრდის უპერსპექტივობის ეფექტი.
(...)

77. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ შესაბამისი პროდუქტის ბაზარი *Hilti*-ის საბაზრო მდგომარეობის შეფასებისათვის უნდა იყოს მისი პისტოლეტებისათვის გათვლილი ლურსმნების ბაზარი.

78. ეს დასკვნა გამომდინარეობს *Hilti*-ის მიერ კომისიისათვის მიწერილი 1983 წლის 23 მარტის ზემოთ აღნიშნული წერილიდან, რომელშიც გამოხატულია პოზიცია, რომ არსებობს ცალკეული ბაზრები პისტოლეტისთვის, კარტრიჯის ლენტებისა და ლურსმნებისათვის. მართალია, ეს არ არის 82-ე მუხლის მიზნებისათვის მისაღები „შესაბამისი ბაზრის“ ინტერპრეტაცია, მაგრამ წერილის შინაარსი მნიშვნელოვნად გამოხატავს *Hilti*-ის კომერციულ ხედვას იმ ბაზართან დაკავშირებით, რომელშიც ის საქმიანობს. *Hilti*-მ განმარტა, რომ წერილი მოამზადა მისმა კერძო იურისტმა გარეშე იურიდიულ მრჩეველთან და პროდუქტის მენეჯერთან ერთად. შესაბამისად, წერილი შეადგინეს იმ პირებმა, რომლებსაც, უნდა ვივარაუდოთ, რომ საწარმოსა და მისი საქმიანობის თაობაზე სრული წარმოდგენა ჰქონდათ.

საქმე *British Airways plc v. Commission*³¹⁴:

პირველი ინსტანციის სასამართლო

89. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სასამართლოს მოსაზრება იყო შემდეგი, რომ *BA*-ს დომინანტური მდგომარეობის დადგენის მიზნით, საჭირო იყო პროდუქტის ბაზრის განხილვა, რომელიც შედგება იმ მომსახურებებისაგან, რომელთაც ავიახაზები ყიდულობენ ტურისტული სააგენტოებისაგან საკუთარი ავიაბილეთების მარკეტინგისა და დისტრიბუციის მიზნით. კომისიის აზრით, ავიახაზების მიერ იმპლემენტირებულ პრაქტიკას აქვს ტურისტული სააგენტოების მომსახურების ბაზრის საჭირო ტრანსპორტის ბაზრისაგან დამოუკიდებლად შექმნის ეფექტი.

90. კომისიამ ასევე დააფიქსირა მოსაზრება, რომ შესაბამისი გეოგრაფიული ბაზარი ამ საქმეში, ტურისტული სააგენტოების ბიზნესის ეროვნული ჩარჩოების მიხედვით, იყო გაერთიანებული სამეფოს ტერიტორია.

91. შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით (საქმე 322/81 *Michelin v. Commission* [1983] ECR 3461, პარა. 37; საქმე T-65/96 *Kish Glass v. Commission* [2000] ECR II-1885, პარა 62, გასაჩივრების შემდეგ დადასტურებული სასამართლოს მიერ საქმეში C-241/00 *P Kish Glass v. Commission* [2001] ECR I-7759), იმისათვის, რომ შემონმდგეს პროდუქციის კონკრეტულ ბაზარზე სანარმოს შესაძლო დომინანტური მდგომარეობა, კონკურენციის შესაძლებლობა უნდა შეფასდეს იმ ბაზრის კონტექსტში, რომელიც შედგება იმ მომსახურებებისა და პროდუქციისაგან, რომლებიც მათი მახასიათებლებიდან გამომდინარე აკმაყოფილებენ კონკრეტულ საჭიროებებს და რომლებიც მხოლოდ შეზღუდულ დონეზე ჩაენაცვლებიან სხვა მომსახურებებსა და პროდუქციას. გარდა ამისა, ვინაიდან შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა გამოიყენება იმის შეფასებისას, შეუძლია თუ არა ჩართულ სანარმოს, თავიდან აიცილოს ეფექტური კონკურენცია და იმოქმედოს საგრძნობ დონეზე მისი კონკურენტების და ამ კონკრეტული შემთხვევისათვის მისი მომსახურების მიმწოდებლებისაგან დამოუკიდებლად, ასეთი შეფასება არ შეიძლება შეიზღუდოს შესაბამისი მომსახურების მახასიათებლებით და მხედველობაში აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული კონკურენციის პირობები და ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და მიწოდების სტრუქტურა.

92. *BA*-ს მტკიცებებიდან ჩანს, რომ ის თავადაც აცნობიერებს ტურისტული სააგენტოების მომსახურების ცალკე ბაზრის არსებობას, ვინაიდან მისი განცხადების 11.34 პარაგრაფში ის აცხადებს, რომ ტურისტული სააგენტოები თვითონ მოქმედებენ კონკურენტულ ბაზარზე და ერთმანეთს ეჯიბრებიან მომხმარებლებისათვის შეძლებისდაგვარად საუკეთესო მომსახურების მიწოდებაში.

93. ამასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ტურისტული სააგენტო მოქმედებს ავიახაზის სახელით, რომელიც თავის თავზე იღებს სატრანსპორტო მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და უპირატესობას და რომელიც აფორმებს კონტრაქტს პირდაპირ მომხმარებლებთან, – ის მოქმედებს როგორც დამოუკიდებელი შუამავალი, რომელიც მომსახურების მიწოდებით ახორციელებს დამოუკიდებელ საქმიანობას (ამასთან დაკავშირებით იხ. *VFR*-ის გადაწყვეტილება, საქმე 311/87, ECR 3801, [1989] 4 CMLR 213 პარა. 20).

94. როგორც კომისია აცხადებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების 31-ე პარაგრაფში, ტურისტული სააგენტოების განსაკუთრებული ბიზნესი შედგება, ერთი მხრივ, პოტენციური მოგზაურებისათვის რჩევების მიცემით, ავიაბილეთების დაჯავშნით და გა-

³¹⁴ Case T-219/99, *British Airways plc v. Commission* [2004] 4 CMLR 1008.

ცემით, სატრანსპორტო ტარიფების შეკრებით და ავიახაზებისათვის გადაცემით და, მეორე მხრივ, ავიახაზებისათვის სარეკლამო მომსახურების განევითა და კომერციული ხელისშეწყობით.

95. აღნიშნულთან დაკავშირებით, BA თავად აცხადებს, რომ ტურისტული სააგენტოები არის და იქნება, სულ მცირე ცოტა ხნის განმავლობაში მაინც, ავიახაზების ძირითადი სადისტრიბუციო გზა, რომელიც მათ მისცემს შესაძლებლობას, ეფექტურად გაყიდონ ადგილები მათ მიერ შესრულებულ ფრენებზე და რომ არსებობს ჩუმი ურთიერთდამოკიდებულება ტურისტულ სააგენტოებსა და ავიახაზებს შორის, რომლებსაც, თავის მხრივ, არ შეუძლიათ საჰაერო სატრანსპორტო მომსახურების ეფექტური განთავსება ბაზარზე.

96. როგორც BA-მ ასევე განაცხადა, ტურისტული სააგენტოები ახდენენ საჰაერო მარშრუტების, გაფრენისა და ჩაფრენის დროების ბევრად ფართო არჩევანის შეთავაზებას, ვიდრე ამას გააკეთებდა რომელიმე ავიახაზი. ტურისტული სააგენტოები ახდენენ ფრენასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაციის ფილტრაციას მოგზაურთა სასარგებლოდ, რომლებიც ემყარება სხვადასხვა ავიახაზის მიერ შეთავაზებული ფრენის სტრუქტურასა და ფასებს.

97. BA-მ ასევე აღნიშნა, რომ ის როლი, რომელსაც ასრულებენ ტურისტული სააგენტოები ავიახაზების ბილეთების დისტრიბუციისას, განმარტავს, თუ რატომ სურთ ავიახაზებს, შესთავაზონ მათ თავიანთი ადგილების გაყიდვით მიღებული უპირატესობები. ტურისტული სააგენტოების მიერ ავიახაზებისათვის განეული მომსახურების შეუცვლელი ხასიათი არის ყველა იმ საფასურის მიღმა, რომელთაც ტურისტულ კომპანიას სთავაზობენ ავიახაზები.

98. დაბოლოს, BA-მ თავად აღნიშნა ხაზგასმით, რომ ტურისტული სააგენტოების უმეტესობა ინდივიდუალურად აწარმოებს მოლაპარაკებებს ავიახაზებთან ბილეთების დისტრიბუციასთან დაკავშირებით და, შესაბამისად, მათ აქვთ შესაძლებლობა, ავიახაზი გახადონ კონკურენტუნარიანი.

99. ტურისტული სააგენტოების მიერ ავიახაზების მიმართ განეული მომსახურების განსაკუთრებული ხასიათი, ავიახაზების მიერ იმავე მომსახურებების განხორციელების მიზნით, სააგენტოების ჩანაცვლების რაიმე სახის სერიოზული შესაძლებლობის გარეშე, განმტკიცებულია ფაქტით, რომ იმ მოვლენების განმავლობაში, რომლის დროსაც არის შეტანილი საჩივარი, გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე გაყიდული ავიაბილეთების 85% გაყიდული იყო სწორედ შუამავალი ტურისტული სააგენტოების მეშვეობით.

100. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ტურისტული სააგენტოების მომსახურება არის ეკონომიკური აქტივობა, რომლისთვისაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების დროს ავიახაზებს არ შეეძლოთ მათი ბილეთების დისტრიბუციის ჩანაცვლება სხვა ფორმით და რომ ის, თავის მხრივ, შეესაბამება ავიატრანსპორტის ბაზრისაგან განსხვავებულ მომსახურების ბაზარს.

101. ის ფაქტი, რომ კონკურენციის შეზღუდვა, რომელსაც კომისია ადგენს BA-ს მიერ შესრულებული ანაზღაურების სქემებიდან გამომდინარე, წარმოიშობა BA-ს არსებული მდგომარეობიდან, რომელიც მას ჰქონდა არა როგორც მიმწოდებელს, არამედ როგორც ტურისტული სააგენტოს მომსახურების მყიდველს, განსახილველი ბაზრის განსაზღვრისათვის არარელევანტურია. ხელშეკრულების 82-ე მუხლი გამოიყენება იმ საწარმოების მიმართ, რომელთა დომინანტური მდგომარეობა დადგენილია როგორც მოცემულ საქმეში მათ მიერ განხორციელებული პროდუქციის მიწოდებასთან დაკავ-

შირებით, ისე იმ სანარმოების/პირების მიმართ, რომლებსაც შეუძლიათ იმავე მდგომარეობაში იყვნენ მომხმარებლებთან მიმართებითაც.

102. BA-მ მოსმენაზე თავად გაცნობიერა, რომ როგორც გამყიდველისათვის, ისე მყიდველისათვის არის შესაძლებელი დომინანტურ მდგომარეობაში ყოფნა ხელშეკრულების 82-ე მუხლის მიზნებისათვის.

103. აქედან გამომდინარე, BA-ს არ შეუძლია, მართებულად ამტკიცოს, რომ განსახილველი პროდუქციის ბაზრის განსაზღვრისათვის, იმ მოსაზრებით, რომ შეფასდეს ფინანსური უპირატესობის გავლენა კონკურენციის შედეგებზე, რისი გაკეთებაც შესაძლებელია გაერთიანებულ სამეფოში მოქმედი ტურისტული სააგენტოებისათვის, აუცილებელია განისაზღვროს, თუ რამდენად შეუძლია საჭაერო სატრანსპორტო მომსახურების ერთ მიმწოდებელს ერთ კონკრეტულ მარშრუტზე მომგებიანად გაზარდოს ფასი.

104. ასეთი პარამეტრი, რომელიც რელევანტური იქნება თითოეულ ავიახაზთან მიმართებით, არ არის იმ ხასიათის, რომ შესაძლებლობა მისცეს BA-ს, განავითაროს ეკონომიკური სიძლიერე არა როგორც ავიასატრანსპორტო მომსახურების მიმწოდებელმა, არამედ როგორც ტურისტული სააგენტოს მომსახურების მყიდველმა, გაერთიანებული სამეფოდან და მისი მიმართულებით არსებულ ყველა მარშრუტზე, როგორც ტურისტული სააგენტოების მომსახურების შემსყიდველ ყველა სხვა ავიახაზთან, ასევე გაერთიანებულ სამეფოში მოქმედ ყველა ტურისტულ სააგენტოსთან მიმართებით.

105. BA-ს საჩივარი კომისიის მიერ დადგენილი პროდუქციის ბაზართან მიმართებით, რომელიც ეფუძნება ავიაბილეთების დისტრიბუციის შესაძლო მარგინალიზაციას ტურისტული სააგენტოების შუამდგომლობის მეშვეობით, უნდა აღინიშნოს, რომ ავიახაზების მიერ გეოგრაფიული მიმართულებებით ექსკლუზიური სპეციალიზაცია და კონკრეტულ მიმართულებებზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ავიახაზის დამოუკიდებელი ქმედება არ უნდა იყოს მხედველობაში მიღებული.

106. აღნიშნული არგუმენტები ეფუძნება სიტუაციებს, რომლებიც ან ჰიპოთეზურია, ან უცხოა განსახილველი პროდუქციის ბაზრისათვის, რაც ასევე გამოხატულია საჭაერო ტრანსპორტის სააგენტოების მომსახურებაში, მოქმედი კონკურენციის პირობებში, როგორც ამ მომსახურების მომწოდებელ სააგენტოებს, ასევე იმ ავიაკომპანიებს შორის, რომლებიც იყენებენ მათ.

107. შესაბამისად, კომისიას არ დაუშვია შეცდომა სათანადო პროდუქტის ბაზრის განსაზღვრისას ტურისტული სააგენტოების მიერ მიწოდებულ მომსახურებაზე იმის დადგენისას, ფლობდა თუ არა BA დომინანტურ მდგომარეობას აღნიშნული მომსახურების შესყიდვისას.
(...)

108. გეოგრაფიული ბაზრის განსაზღვრავად, შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ის უნდა განისაზღვროს როგორც ტერიტორია, რომელზეც ყველა მოვაჭრე მოქმედებს იმავე ან მნიშვნელოვნად ერთგვაროვან კონკურენციულ პირობებში, იმდენად, რამდენადაც ეს მოიცავს სპეციფიკურ რელევანტურ პროდუქციას თუ მომსახურებას, და არ არის აუცილებელი, ეს პირობები იყოს არსებითად ერთგვაროვანი (საქმე T-83/91 *Tetra Pak v. Commission* [1994] ECR II-755, პარა. 91, რომელიც დადასტურდა გასაჩივრების შემდეგ გადანიშნულ შემთხვევაში C-333-94 *P Tetra Pak v. Commission (Tetra Pak II)* [1996] ECR I-5951).

109. ძნელი უარსაყოფია, რომ საქმეების ყოვლისმომცველ უმრავლესობაში მოგზაურები ჯავშნიან ავიაბილეთებს მათ საცხოვრებელ ქვეყანაში. თუმცა *BA* ამტკიცებდა, რომ ტურისტული სააგენტოების მიერ გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე გაყიდული ყველა ბილეთი აუცილებლად არ იყო გაყიდული ამ ქვეყნის რეზიდენტებზე, მან აღნიშნა, რომ ტრანზაქციები, რომლებიც განხორციელდა გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიის გარეთ, არ იყო შეტანილი ანგარიშში.

110. გარდა ამისა, როგორც კომისიამ განაცხადა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების 83-ე პარაგრაფში, *BA*-ს მიერ სირთულეების შექმნის გარეშე *LATA*-ს წესები ავიაბილეთებში კუპონების გამოყენებასთან დაკავშირებით გამოიწვევდა გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიის გარეთ გაყიდული ბილეთების გამოყენებას გაერთიანებული სამეფოს აეროპორტებიდან გაფრენის მიზნით.

111. ვინაიდან ავიაბილეთების დისტრიბუცია ხდება ნაციონალურ დონეზე, ავიახაზები, როგორც წესი, ყიდულობენ ბილეთების დისტრიბუციის მომსახურებას ეროვნულ დონეზე, როგორც ნაჩვენებია *BA*-ს მიერ ხელმოწერილ შეთანხმებებში გაერთიანებულ სამეფოში მოქმედ ტურისტულ სააგენტოებთან.

112. ასევე არ გამოთქმულა ეჭვი იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ავიახაზები თავიანთ კომერციულ მომსახურებას არგებენ ნაციონალურ საჭიროებებს და სტრუქტურას (...).

113. ასევე არ გაუსაჩივრებია *BA*-ს კომისიის განაცხადი, რომ ის გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე მოქმედი ტურისტული სააგენტოების მიმართ იყენებდა შესრულების ანაზღაურების სქემებს ერთი ფორმის მიხედვით წევრი სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე.

114. ასევე არ უარუყვია *BA*-ს, რომ სადავო ფინანსური წამახალისებლები გამოიყენებოდა მხოლოდ გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე *BA*-ს ბილეთების გაყიდვის მიმართ, მაშინაც კი, როცა ასეთი წამახალისებელი გარემოებები იყო შეთანხმების ნაწილი, რომელიც დადებული იყო ტურისტულ სააგენტოსთან, რომლის მოქმედებაც სცილდებოდა ერთი წევრი სახელმწიფოს საზღვრებს.

115. *BA*-ს მიერ წარმოებული მტკიცების საპირისპიროდ, ფაქტი, რომ ის დებდა გლობალურ შეთანხმებებს გარკვეულ ტურისტულ სააგენტოებთან, არ არის საკმარისი იმის დასადგენად, რომ ამ უკანასკნელს ურთიერთობა ჰქონდა საერთაშორისო დონეზე. როგორც ნაჩვენებია გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-20 პარაგრაფში, რომელიც არ გაუსაჩივრებია *BA*-ს, ასეთი გლობალური შეთანხმებები ხელმოწერილი იყო მხოლოდ სამ ტურისტულ სააგენტოსთან და შეეხებოდა მხოლოდ 1992-1993 წლებს. ის ზამთრის პერიოდს. გარდა ამისა, ეს შეთანხმებები ემატებოდა ლოკალურ შეთანხმებებს ჩართულ სახელმწიფოებში.

116. შესაბამისად, არ გამოდინარეობს, რომ კომისია შეცდა შესაბამისი გეოგრაფიული ბაზრის განსაზღვრისას, როდესაც ასეთად დაასახელა გაერთიანებული სამეფო, რათა ეჩვენებინა, რომ *BA*-ს შესაბამის ბაზარზე ეკავა დომინანტური მდგომარეობა, როგორც ტურისტული სააგენტოების მომსახურების შემსყიდველს, გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე მოქმედი სააგენტოებისაგან.

117. შესაბამისად, საჩივარი შესაბამისი პროდუქციისა და გეოგრაფიული ბაზრების არასწორად განმარტებასთან დაკავშირებით არ შეიძლება იქნეს მიღებული.

საქმე *Europemballage Corp & Continental Can Co Inc v. Commission*³¹⁵:

ევროპული სასამართლო

32. *SLW*-ის დომინანტური მდგომარეობისა და გასაჩივრებული შერწყმის შეფასებისათვის შესაბამისი ბაზრის დეფინიცია არის არსებითად მნიშვნელოვანი, ვინაიდან კონკურენციის შესაძლებლობა შეიძლება შეფასდეს მხოლოდ განსახილველი პროდუქციის მახასიათებლებთან კავშირში, რომლის მეშვეობითაც აღნიშნულ პროდუქციას შეუძლია დააკმაყოფილოს არაელასტიკური საჭიროება და მხოლოდ შეზღუდულ დონეზე ჩაენაცვლება სხვა პროდუქტებს.

33. ამასთან დაკავშირებით, გადანყვეტილების მეორე ნაწილის მე-5 და მე-7 პარაგრაფები შეეხება „დაკონსერვებული ხორცის პროდუქტების მსუბუქი ქილების ბაზარს“, „დაკონსერვებული ზღვის პროდუქტების მსუბუქი ქილების ბაზარსა“ და, „საჭმლის შეფუთვისათვის გვირგვინისებური საცობის გარდა, ყველა სახეობის მეტალის სახურავის ბაზარს“, რომლებზეც *SLW*-ის ჰქონდა დომინანტური მდგომარეობა და რომლებზეც გასაჩივრებული შერწყმის შედეგად საფრთხე ექმნებოდა კონკურენციას. გადანყვეტილება არ იძლევა რაიმე სახის დეტალებს, თუ რითი განსხვავდება აღნიშნული სამი ბაზარი ერთმანეთისგან და, შესაბამისად, რატომ უნდა მოხდეს მათი განხილვა ცალ-ცალკე. ასევე არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, თუ რითი განსხვავდება აღნიშნული სამი ცალკეული ბაზარი მსუბუქი მეტალის კონტეინერების ერთი საერთო ბაზრისგან, კერძოდ, ხილისა და ბოსტნეულის მეტალის კონტეინერების ბაზრისგან, შედეგებული რძის, ზეთის, ხილის ნვენისა და ქიმიოტექნიკური პროდუქტის ბაზრისგან. იმისათვის, რომ მიჩნეული იყოს როგორც განცალკევებული ბაზარი, განსახილველი პროდუქტი უნდა იყოს ინდივიდუალიზებული არა მარტო იმ ნიშნით, რომ ისინი გამოიყენება სხვადასხვა პროდუქციის შეფუთვისათვის, არამედ პროდუქტის კონკრეტული მახასიათებლებით, რომლებიც მათ გადააქცევს ამ მიზნისათვის გამოსაყენებლად. შესაბამისად, დომინანტური მდგომარეობა ხორცისა და თევზის მეტალის მსუბუქი კონტეინერების ბაზარზე არ არის განმსაზღვრელი ფაქტორი, ვინაიდან არ დადასტურებულა, რომ მსუბუქი მეტალის კონტეინერების სხვა სექტორში არსებულ კონკურენტებს არ შეუძლიათ ზემოაღნიშნულ ბაზარზე შელწევა საკმარისი ძალით იმისათვის, რომ შექმნან მნიშვნელოვანი ალტერნატივა.

საქმე *Nederlandsche Banden-Industrie Michelin v. Commission*³¹⁶:

ევროპული სასამართლო

23. აპლიკანტის პირველი განაცხადი ამ ნაწილში ასაჩივრებს კომისიის გადანყვეტილებას, რომ საერთო ბაზრის არსებით ნაწილი, რომელზეც მას აქვს დომინანტური მდგომარეობა, არის ნიდერლანდები. *Michelin NV* აცხადებს, რომ გეოგრაფიული ბაზრის ასეთი განმარტება არის ძალიან ვიწრო. ამას ეწინააღმდეგება ფაქტი, რომ კომისიამ თავისი გადანყვეტილება დააფუძნა *Michelin*-ის ჯგუფის მიერ წარმოდგენილ ფაქტორებს, როგორებიცაა: ტექნოლოგიური განვითარება და ფინანსური სიძლიერე, რომელიც, აპლიკანტის აზრით, უკავშირდება ბევრად უფრო ფართო ბაზარს, თუ არა მსოფლიო ბაზარს. *Michelin NV*-ს ძირითადი კონკურენტების საქმიანობაც მსოფლიო ბაზარზე ხორციელდება.

24. კომისია აცხადებს, რომ აღნიშნული უფრო ნაკლებად შეეხება ბაზრის განსაზღვრებას, ვიდრე კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება დომინანტური მდგომარეობის არსებობის დასადგენად. ვინაიდან საბურავების მწარმოებლებმა აირჩიეს, გაეყი-

³¹⁵ Case 6/72, *Europemballage Corp & Continental Can Co Inc v. Commission* [1973] ECR 215, [1973] CMLR 199.

³¹⁶ Case 322/81, *Nederlandsche Banden-Industrie Michelin v. Commission* [1983] ECR 3461, [1985] 1 CMLR 282.

დათ თავიანთი პროდუქცია სხვადასხვა ეროვნულ ბაზარზე ეროვნული შუამავლების მეშვეობით, კონკურენცია, რომელიც მიმართულია *Michelin NV*-ს მიმართ, არის ნიდერლანდების ბაზარზე.

25. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ თავისი გადანყვეტილება მან მიმართა არა მთლიანად *Michelin*-ის ჯგუფის, არამედ მხოლოდ ნიდერლანდების ტერიტორიაზე თავისი შვილობილი კომპანიისაკენ. სადავო არ გამხდარა, რომ *Michelin NV*-ს ძირითადი კონკურენტები ასევე ახორციელებენ საქმიანობას ნიდერლანდებში თავიანთი ჯგუფების ადგილობრივი შვილობილი კომპანიების მეშვეობით.

26. კომისიის მტკიცება შეეხება *Michelin NV*-ს პროდუქტს საბურავების დილერებთან მიმართებით, უფრო კონკრეტულად კი მის ფასდაკლების სისტემებს. ამასთან დაკავშირებით, სხვადასხვა კონკურენტი ჯგუფის შვილობილი კომპანიების კომერციული პოლიტიკა, როგორც წესი, ადაპტირებულია თითოეული ბაზრის სპეციფიკურ თვისებებზე. პრაქტიკაში ნიდერლანდებში დაფუძნებული დილერები მიწოდებას იღებენ მხოლოდ ნიდერლანდების ტერიტორიაზე დაფუძნებული მიმწოდებლებისაგან. შესაბამისად, კომისია მართალი იყო, როდესაც დაადგინა, რომ კონკურენციას *Michelin NV*, ძირითადად, ნიდერლანდების ბაზარზე აწყდებოდა და რომ ამ დონეზე კონკურენციის ობიექტური პირობები გამომდინარეობდა მოვაჭრეებისაგან.

27. აღნიშნული დასკვნები არ არის დაკავშირებული შეკითხვასთან, თუ რამდენად შედის ასეთ გარემოებებში ის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება *Michelin*-ის ჯგუფისა და მისი კონკურენტების მდგომარეობას უფრო ფართო ბაზარზე. აღნიშნული მხედველობაშია მისაღები, როდესაც მისაღებია გადანყვეტილება იმის თაობაზე, არსებობს თუ არა დომინანტური მდგომარეობა შესაბამისი პროდუქციის ბაზარზე.

28. ვინაიდან საერთო ბაზრის არსებითი ნაწილი ამ საქმეში არის ნიდერლანდები, *Michelin NV*-ს მდგომარეობა უნდა შეფასდეს ნიდერლანდების ბაზარზე.
(...)

53. აპლიკანტი შემდეგ დავობს კომისიის მიერ დომინანტური მდგომარეობის დადგენის დადასტურებისათვის გამოყენებული სხვა კრიტერიუმებისა და მტკიცებულებების თაობაზე. ის ამტკიცებს, რომ ის არ არის ერთადერთი საწარმო, რომელსაც ჰყავს კომერციული წარმომადგენელი, რომ დაქირავებული პერსონალის რაოდენობა იმავე სფეროში მის ძირითად კონკურენტებს უფრო მეტი ჰქონდათ, ვიდრე მას და რომ მისი პროდუქციის ფართო არჩევანი არ იყო კონკურენტული უპირატესობა, ვინაიდან განსხვავებული ტიპის საბურავები არ არის ჩანაცვლებადი ერთმანეთთან და ის დილერებს არ სთხოვდა საბურავების მთლიანი სერიის შესყიდვას.

54. ის ასევე ამტკიცებს, რომ კომისიამ არ გაითვალისწინა იმ მტკიცებულებითი ფაქტორების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც შეუთავსებელი იყო დომინანტურ მდგომარეობასთან. მაგალითად, დილერებისათვის საბურავების თვითღირებულებასა და გასაყიდ ფასს შორის არსებული განსხვავება *Michelin*-ის საბურავებსა და მისი კონკურენტების საბურავებს შორის შედარებითია, ხოლო მომხმარებლებისათვის, მიღების მიხედვით საბურავების ღირებულების თვალსაზრისით, *Michelin*-ის საბურავები უფრო მომგებიანია. 1979 წლიდან *Michelin NV*-ს ჰქონდა დანაკარგები. ვინაიდან მისი წარმოების სიმძლავრე არ არის საკმარისი, მის კონკურენტებს, რომლებიც ფინანსურად უფრო ძლიერები არიან და მეტი დივერსიფიკაცია აქვთ, ვიდრე *Michelin*-ის ჯგუფს, შეუძლიათ ნებისმიერ მომენტში ჩაანაცვლონ მათ მიერ მისაწოდებელი რაოდენობა. დაბოლოს, ვინაიდან მძიმე ავტომობილების საბურავების მომხმარებლები არიან გამოცდილი მყიდველები, მათ შეუძლიათ იმოქმედონ საბურავების მწარმოებელთა

გამანონასნორებლად.

55. ამ არგუმენტების საპასუხოდ, პირველ რიგში, განხილულ უნდა იქნეს, რომ ჰოლანდიის ბაზარზე *Michelin NV*-ს და მისი კონკურენტების ეკონომიკური სიძლიერის შეფასებისას საწარმოებს უპირატესობები, რომლებიც მათ მიიღეს სხვადასხვა საწარმოს ჯგუფებისადმი კუთვნილებით, რომლებიც მოქმედებენ ევროპაში ან თუნდაც მსოფლიოში, უნდა იყოს მხედველობაში მიღებული. ამ უპირატესობებს შორის ის მთავარი როლი, რომელიც *Michelin*-ის ჯგუფს აქვს თავის კონკურენტებთან მიმართებით, კერძოდ კი ინვესტიციების, კვლევის, მისი პროდუქციის არჩევანის განსაკუთრებული მდგომარეობით, რომლებზეც მიუთითებდა კომისია, არ უნდა იქნეს უარყოფილი. ფაქტობრივად, *Michelin*-ის ჯგუფი არის გარკვეული სახეობის საბურავების ერთადერთი მიმწოდებელი შესაბამის ბაზარზე.

56. შექმნილი მდგომარეობა უზრუნველყოფს, რომ ჰოლანდიის ბაზარზე მძიმე ავტომობილების საბურავების მომხმარებლების უმეტესობა მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს *Michelin*-ის საბურავებს. ისევე როგორც საბურავების შესყიდვა მნიშვნელოვანი ინვესტიცია საავტომობილო წარმოებაში და ვინაიდან დიდი დროა საჭირო იმისათვის, რომ პრაქტიკაში დადასტურდეს საბურავის კონკრეტული ტიპისა თუ ბრენდის ხარჯის მიმართ ვარგისიანობა, *Michelin NV* იმყოფება ისეთ მდგომარეობაში, რომელიც მას აძლევს ფართო იმუნიტეტს კონკურენციაში. შედეგად, ჰოლანდიაში დაარსებული დილერები, როგორც წესი, თავს უფლებას ვერ აძლევენ, არ გაყიდონ *Michelin*-ის საბურავები.

57. შესაბამისად, შეუძლებელია დავეთანხმოთ *Michelin NV*-ს მიერ გაკეთებულ სადავო არგუმენტებს, რომლებსაც იზიარებს საფრანგეთის მთავრობა, რომ *Michelin NV* ისჯება თავისი პროდუქციისა და მომსახურების მაღალი ხარისხისათვის. იმის დადგენა, რომ საწარმო იმყოფება დომინანტ მდგომარეობაში, თავისთავად არ არის ბრალის ნაყენება, უბრალოდ, გულისხმობს, რომ, იმ მიზეზების მიუხედავად, თუ რატომ იმყოფება ის დომინანტურ მდგომარეობაში, ჩართულ საწარმოს აქვს სპეციალური პასუხისმგებლობა, არ დაუშვას, მისმა პროდუქციამ დაარღვიოს მოქმედი, რეალური კონკურენცია საერთო ბაზარზე.

58. მნიშვნელოვანი წონა უნდა მიეცეს ასევე *Michelin NV*-ს კომერციული წარმომადგენლების ქსელს, რომელიც მას აძლევს პირდაპირ დაშვებას საბურავების მომხმარებლებზე ნებისმიერ დროს. *Michelin NV*-ს სადავოდ არ გაუხდია ის ფაქტი, რომ თავისი ქსელი მნიშვნელოვნად ფართო იყო კონკურენტების ქსელთან შედარებით და არც სადავო გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში შეუცვლია თავისი ქსელის მიერ განეული მომსახურების აღწერა, რომლის ეფექტურობა და ხარისხი უდავოა. მომხმარებლებთან პირდაპირი დაშვება და მომსახურების სტანდარტი, რომელსაც იძლევა მისი ქსელი, *Michelin NV*-ს შესაძლებლობას აძლევს, შეინარჩუნოს და გაიძლიეროს მდგომარეობა ბაზარზე და დაიცვას თავი თავის კონკურენტებზე უკეთ.

59. რაც შეეხება დამატებით კრიტერიუმებს და მტკიცებულებას, რომელშიც *Michelin NV* ცდილობს, უარყოს დომინანტური მდგომარეობის არსებობა, განხილულ უნდა იქნეს, რომ მოგების მიუღებლობა დროებით ან თუნდაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიღებული დანაკარგები არ არის შეუთავსებელი დომინანტური მდგომარეობის არსებობასთან. იგივე შეიძლება ითქვას შემდეგზე, – ის ფაქტი, რომ *Michelin NV*-ს მიერ დაწესებული ფასები არ შეესაბამება ბოროტად გამოყენებას და არ არის ოდნავ მაღალიც კი, არ ამართლებს დასკვნას, რომ არ არსებობს დომინანტური მდგომარეობა. დაბოლოს, *Michelin NV*-ს კონკურენტების არც ზომას, არც ფინანსურ ძლიერებას და

არც მრავალფეროვნების დონეს, ისევე როგორც იმ გამანონასწორებელ ფაქტორს, რომ მძიმე ავტომობილების საბურავების მყიდველები არიან გამოცდილი მოვაჭრეები, არ შეუძლიათ ჩამოართვეან *Michelin NV*-ს პრივილეგირებული მდგომარეობა ჰოლანდიის ბაზარზე.

60. შესაბამისად, დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმისათვის შესაბამისი სხვა კრიტერიუმები და მტკიცებულება იმის განსაზღვრისას, არსებობდა თუ არა დომინანტური მდგომარეობა, ადასტურებს, რომ *Michelin NV*-ს ჰქონდა ასეთი მდგომარეობა ბაზარზე.

61. შესაბამისად, უსაფუძვლოა *Michelin NV*-ს განცხადებები, რომელიც სადავოდ ხდიდა საერთო ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე მის მიერ დომინანტური მდგომარეობის ქონას.

საქმე *Tetra Pak Rausing v. Commission*³¹⁷:

საქმის ფაბულა: *Tetra Pak* აწარმოებდა ასეპტიკურ მუყაოს ძალიან ცხელი რძის შესაფუთავად და ასევე მანქანებს რძის საწარმოებლად და მუყაოში გადასატანად. ის ასევე აწარმოებდა არაასეპტიკურ მუყაოს პასტერიზებული (არაასეპტიკური) რძისათვის და მანქანებს რძის პასტერიზებისა და შესაბამის მუყაოში გადასატანად. სასამართლომ დაადასტურა კომისიის დასკვნები, რომ მოქმედებდა პროდუქტის ოთხი ბაზარი: ასეპტიკური შეფუთვის მანქანის, ასეპტიკური მუყაოს, არაასეპტიკური მანქანისა და არაასეპტიკური მუყაოს ბაზრები.

პირველი ინსტანციის სასამართლო

60. სანამ დავადგენთ, არის თუ არა გადანყვეტილებაში მოცემული ოთხი ასეპტიკური და არაასეპტიკური ბაზრის განმარტება მართებული, უნდა განისაზღვროს ასეპტიკური სექტორის ზუსტი მნიშვნელობა.

61. აპლიკანტის არგუმენტების საწინააღმდეგოდ, გადანყვეტილება მიზნად ისახავს, ორ ასეპტიკურ ბაზარში მოიაზროს ყველა ასეპტიკური აპარატი და მუყაო, მიუხედავად იმისა, თუ რისთვის ხდება მისი გამოიყენება – *UHT* რძის, თუ ასეპტიკურ პირობებში სხვა თხევადი პროდუქციის შესაფუთავად, კერძოდ ხილის წვენი, რომელსაც არ სჭირდება *UHT*-ს მეთოდით დამუშავება...

62. შესაბამისად, სასამართლომ უნდა გადანყვიტოს, ნამდვილად იყო თუ არა გადანყვეტილებაში განსაზღვრული ოთხი ცალკეული ბაზარი თხევადი პროდუქციის შეფუთვის სისტემების საერთო ბაზრის სხვა სექტორებისაგან განსხვავებული.

63. (...) იმისათვის, რომ შევავსოთ, შეუძლია თუ არა საწარმოს, მოიქცეს მნიშვნელოვნად დამოუკიდებლად თავისი კონკურენტებისა და მომხმარებლებისაგან, აუცილებელია, პირველ რიგში, განისაზღვროს პროდუქტი, რომელიც არ შეიძლება ჩანაცვლდეს სხვა პროდუქტით, მაგრამ საკმარისად ჩანაცვლებადია მისივე პროდუქტებთან არა მარტო პროდუქციის ობიექტური მახასიათებლების გამო, რომლის მეშვეობითაც აღნიშნული პროდუქცია ბევრად უფრო აკმაყოფილებს საერთო საჭიროებებს, არამედ კონკურენტული გარემოებების და ბაზარზე არსებული მიწოდებისა და მოთხოვნის სტრუქტურის გამო (იხ. საქმე 322/81, *Michelin v. EC Commission*(...)).

64. აღნიშნულ საქმეში ასეპტიკური შესაფუთავი სისტემების „ჩანაცვლებადობა“ არაასეპტიკურ სისტემებთან და მუყაოს გამოყენებელი სისტემების „ჩანაცვლებადობა“ სხვა მასალების გამოყენებელ სისტემებთან უნდა შეფასდეს საერთო ბაზარზე არსებული თხევადი პროდუქტების შეფუთვის სისტემების კონკურენტულ გარემოებებში.

³¹⁷ Case T-83/91, *Tetra Pak Rausing v. Commission* [1994] ECR II-755, [1997] 4 CMLR 726.

შესაბამისად, ამ საქმის სპეციფიკური კონტექსტიდან გამომდინარე, აპლიკანტის მიდგომა საერთო ბაზრის განსხვავებულ ქვებაზრებად დანაწილებასთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, თუ რისთვის გამოიყენებოდა შესაფუთავი სისტემები, რძისთვის, რძის პროდუქტებისა (გარდა რძისა), თუ სხვა პროდუქციისათვის, მათი სპეციფიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, როდესაც საჭიროა სხვა ჩანაცვლებადი სისტემის გამოყენება, შედეგად მოიტანს ბაზრის დანაწევრებას, რაც ვერ ასახავს ეკონომიკურ რეალობას. არსებობს მიწოდებისა და მოთხოვნის შედარებითი სტრუქტურა, როგორც ასეპტიკური, ისე არაასეპტიკური მუყაოსა და აპარატებისათვის, თუმცა მათი გამოყენება ხდება თხევადი პროდუქტების შეფუთვის მიზნით, ვინაიდან მიეკუთვნებიან ერთ სექტორს... ამასთან, როგორც ორივე მხარემ განაცხადა, *Tetra Pak*-ის ერთი და იმავე სახეობის აპარატურა და მუყაო ერთნაირად იყო შეფასებული, მიუხედავად იმისა, რისთვის იყო განკუთვნილი, რძის თუ სხვა პროდუქტის შესაფუთავად, რაც ადასტურებს, რომ ისინი მიეკუთვნებიან პროდუქციის ერთიან ბაზარს. შესაბამისად, აპლიკანტის არგუმენტაციის საწინააღმდეგოდ არ არსებობს ერთი და იმავე სახეობის შესაფუთი სისტემების ქვებაზრებად დაყოფის საჭიროება, იმის მიხედვით, თუ რომელი კონკრეტული კატეგორიის პროდუქციის შეფუთვისთვის ხდება მათი გამოყენება.

65. შესაბამისად, იმისათვის, რომ დამტკიცდეს, მიეკუთვნებოდა თუ არა გადაწყვეტილებაში განსაზღვრული ოთხი ბაზარი ნამდვილად ცალკეულ ბაზრებს განსახილველ პერიოდში, აუცილებელია, – როგორც კომისიამ განაცხადა, – განისაზღვროს, კერძოდ რომელი პროდუქტები არის არსებითად ჩანაცვლებადი ასეპტიკურ თუ არაასეპტიკურ აპარატურასა და მუყაოსთან დომინანტი რძის პროდუქტის ბაზარზე. იმის გათვალისწინებით, რომ მუყაოს შესაფუთი სისტემები უმეტესად გამოიყენებოდა რძის შესაფუთავად, დომინანტური მდგომარეობა ამ სექტორში აშკარა იყო, ისევე როგორც მთლიანად ბაზარზე. ნებისმიერი ასეთი დომინანტური მდგომარეობა არ შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ჩანაცვლებადი პროდუქტის არსებობით არარძის პროდუქტების შეფუთვის სექტორში, ვინაიდან ასეთი აღჭურვილობა შეესაბამებოდა გადაწყვეტილების მიერ დაფარული პერიოდის განმავლობაში მუყაოში შეფუთული პროდუქციის ძალიან მცირე ნაწილს. რძის შესაფუთი სისტემების დომინანტობა აშკარად გამოხატულია გადაწყვეტილებაში მოცემულ მონაცემებში, რომლებიც არ არის გასაჩივრებული აპლიკანტის მიერ, და რომელთა მიხედვითაც 1987 წელს მუყაოს სისტემების 72% მოდიოდა რძის შეფუთვის სექტორზე, ხოლო 7% რძის სხვა პროდუქტებზე. იმავე წყაროზე დაყრდნობით, 1983 წელს 90% მოდიოდა უშუალოდ რძისა და რძის სხვა პროდუქტების შეფუთვაზე. ეს მონაცემი უფრო მეტად იყო აღნიშნული *Tetra Pak*-ის მიერ ბაზარზე განთავსებული სისტემების შემთხვევაში. სასამართლოს წერილობითი მოთხოვნის შემდეგ *Tetra Pak*-ის მიერ წარმოდგენილი ცხრილებიდან ჩანს, რომ გაერთიანების ფარგლებში წარმოებული ასეპტიკური პროდუქციის 96% 1976 წელს გამოიყენებოდა რძის შეფუთვისათვის, ხოლო 1981 წელს იმავე მიზნისათვის გამოიყენებოდა 81%, 70% – 1987 წელს და 67% – 1991 წელს. აღნიშნული რიცხვები ადასტურებს, რომ, მიუხედავად შემცირებისა, *Tetra Pak*-ის ასეპტიკური მუყაოს უმეტესობა განსახილველი პერიოდის განმავლობაში გამოიყენებოდა რძის შესაფუთავად. რაც შეეხება არაასეპტიკურ მუყაოს, მისი 100% გამოიყენებოდა რძის შესაფუთავად 1980 წლამდე, ხოლო 1980 წლის შემდეგ იმავე წყაროზე დაყრდნობით ამ მიზნისათვის გამოიყენებოდა 99%. ზემოთ აღწერილი მიზეზების გამო, კომისია უფლებამოსილი იყო, მიეღო გადაწყვეტილება, რომ არ არსებობდა არარძის პროდუქტების შესაფუთავი სექტორის ცალკე ანალიზის ჩატარების საჭიროება.

(...)

2. აპარატურისა და მუყაოს ბაზრები არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან მხარეების არგუმენტების შეჯამება

79. აპლიკანტი აცხადებს, რომ შესაბამისი ბაზარი უნდა განისაზღვროს როგორც ინტეგრირებული შეფუთვის სისტემის ბაზარი, რომელიც შედგება შეფუთვისა და თხევადი პროდუქციის შესაფუთავი აპარატებისაგან. ის ამტკიცებს, რომ არსებობს 82-ე მუხლის (დ) პუნქტით გათვალისწინებული ბუნებრივი და კომერციული კავშირი აპარატებსა და მუყაოს შორის. კერძოდ კი, ასეპტიკური შემავსებელი აპარატებისა და ასეპტიკური მუყაოს განცალკევებამ შეიძლება სერიოზული რისკის ქვეშ დააყენოს საზოგადოების ჯანმრთელობა და მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს *Tetra Pak*-ის მომხმარებლებზე.

80. აპლიკანტი მიიჩნევს, რომ კომისიამ საერთოდ არ გაითვალისწინა *Tetra Pak*-ის კონკურენტების წარდგინებები, რომლებიც მხარს უჭერდა *Tetra Pak*-ის არგუმენტებს და არ წარმოადგინა არანაირი მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, თუ ვისი სურვილი იყო აპარატურისა და მუყაოს ცალ-ცალკე წარმოება – იყო ეს მუყაოს დამოუკიდებელი მიმწოდებელი შემფუთავებისა თუ უშუალოდ მუყაოს მიმწოდებლების სურვილი.

81. კომისია დავობს აპლიკანტის მიერ მითითებულ კავშირზე აპარატურასა და მუყაოს შორის. ის აცხადებს, რომ ხელშეკრულების 82-ე მუხლი კომპლექსური პროდუქციის მწარმოებელს თავიდან აცილებს მესამე მხარის მიერ ხელისშემშლელი პროდუქციის წარმოებას, რომელიც მიმართულია მისი სისტემების გამოყენებისაკენ.

სასამართლოს შეფასება

82. პირველი. აპლიკანტის არგუმენტაციის საწინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს: კომერციულ გამოყენებასთან დაკავშირებული მოსაზრებები არ უჭერს მხარს დასკვნას, რომ პროდუქციის შესაფუთავი აპარატურა განუყოფელია მუყაოსგან. მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში არსებობდნენ ისეთი არაასეპტიკური მუყაოს წარმოებაზე სპეციალიზებული დამოუკიდებელი მწარმოებლები, რომლებიც გათვლილი იყო სხვა მწარმოებლების მიერ შექმნილ და სხვა დანიშნულების აპარატებში გამოსაყენებლად. გადანყვეტილებიდან ჩანს... და აპლიკანტს არ გაუსაჩივრებია, რომ 1987 წლამდე „ელოპაკი“, რომელიც დაარსდა 1957 წელს, აწარმოებდა მხოლოდ მუყაოს და აქსესუარებს, მაგალითად ხელის ჩასაჭიდ ნივთებს. გარდა ამისა, ასევე გადანყვეტილების მიხედვით, რაც ასევე არ გაუსაჩივრებია აპლიკანტს, არაასეპტიკური მუყაოს სექტორის დაახლოებით 12% 1985 წელს განაწილებული იყო სამ კომპანიას შორის, რომლებიც, როგორც დისტრიბუტორები, აწარმოებდნენ მათსავე საკუთარ ლიცენზირებულ მუყაოს აპარატებისათვის. ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ აპარატებისა და მუყაოს ერთმანეთთან მიჯაჭვული გაყიდვა არ შეიძლება მიჩნეული იყოს კომერციულ გამოყენებად, ვინაიდან ასეთი გაყიდვები არ არის საერთო წესი არაასეპტიკური სექტორისათვის, ხოლო რაც შეეხება ასეპტიკურ სექტორს, ამ სფეროში მხოლოდ ორი მწარმოებელი მოქმედებდა: *Tetra Pak* და *PKL*.

83. გარდა აღნიშნულისა, აპლიკანტის არგუმენტები, რომლებიც შეეხებოდა საზოგადოების ჯანმრთელობას, მის ინტერესებს და მისი მომხმარებლების ინტერესებს, არ შეიძლება იქნეს მიღებული. სრული სისტემების მწარმოებელთა გადასაწყვეტი არ არის, საჯარო ინტერესის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით ისეთი წარმოებული პროდუქტი, როგორსაც მიეკუთვნება მუყაო, არის თუ არა იმ აპარატების არსებითი, ინტეგრირებული ნაწილი, რომლის მოქმედებისთვისაც ხდება მათი წარმოება. მიღებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ზოგადი და სავალდებულო ნორმებისა და წესების არარსებობის დროს, საზოგადოების კონკურენტის სამართლის მოქმედების ფარგლებში, ნებისმიერი დამოუკიდებელი მწარმოებელი თავისუფალია აწარმოოს პროდუქცია,

რომელიც თავსებადი იქნება სხვა მწარმოებლების მიერ წარმოებულ აპარატურასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ქმედება ხელყოფს კონკურენტის საკუთრების უფლებას (იხ.: საქმე T- 30/89, *Hilti v. EC Commission* (...)) და საქმე C- 53/92 P *Hilti v. EC Commission*(...)

85. შესაბამისად, აპლიკანტის მტკიცება იმის თაობაზე, რომ პროდუქციის შესაფუთავი აპარატურის და შესაფუთავი მუყაოს ბაზრები განუყოფელია ერთმანეთისგან, არ არის მისაღები.

საქმე *Hoffmann-La Roche & Co AG v. Commission*:

39. დომინანტური მდგომარეობის არსებობა შეიძლება გამომდინარეობდეს რამდენიმე ფაქტორისგან, რომლებიც ცალ-ცალკე აუცილებლად არ განსაზღვრავს დომინანტობას. აღნიშნულ ფაქტორებს შორის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი არის განსაკუთრებულად დიდი ბაზრის წილის ქონა.

40. ბაზრის არსებითი წილის ქონა, როგორც დომინანტური მდგომარეობის არსებობის მტკიცებულება, არ არის რეგულარული ფაქტორი და მისი მნიშვნელობა იცვლება ბაზრიდან ბაზარზე, ამ ბაზრების სტრუქტურის გათვალისწინებით, იმდენად, რამდენადაც ჩართულია პროდუქცია, მიწოდება და მოთხოვნა (...)

41. ამასთან, თუმცა ბაზრის წილის მნიშვნელობა შეიძლება იცვლებოდეს სხვადასხვა ბაზრის მიხედვით, უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით დიდი ბაზრის წილი თავისთავად არის... დომინანტური მდგომარეობის არსებობის მტკიცებულება. საწარმო, რომელსაც აქვს ბაზრის მნიშვნელოვნად დიდი წილი და ფლობს მას გარკვეული დროის განმავლობაში, მის მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობისა და იმ მოთხოვნის გათვალისწინებით, რომელსაც ის იღებს, – იმ კონკურენტების გარეშე, რომელთაც აქვთ ბაზრის ბევრად ნაკლები წილი იმისათვის, რომ შეძლონ იმ პირთა წრის მოთხოვნის თანხვედრა, რომლებსაც სურთ გაექცნენ დიდი წილის მქონე საწარმოებს, – ამ წილის მეშვეობით არის ძლიერების ისეთ მდგომარეობაში, რომელიც მას გადააქცევს აუცილებელ სავაჭრო პარტნიორად და რომელიც მნიშვნელოვნად ხანგრძლივი დროის განმავლობაში სწორედ ამის გამო უფრთხილდება მოქმედების იმ თავისუფლებას, რომელიც არის დომინანტური მდგომარეობის განსაკუთრებული მახასიათებელი. (...)

48. (...) საწარმოების ბაზრის წილსა და მათ კონკურენტებს შორის არსებული ურთიერთობა, განსაკუთრებით, სიდიდით შემდეგი კონკურენტების, საწარმოს ტექნოლოგიური უპირატესობა თავისი კონკურენტების მიმართ, კარგად განვითარებული გაყიდვების ქსელის არსებობა და პოტენციური კონკურენტების არარსებობა რელევანტური ფაქტორებია, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ის შესაძლებლობას იძლევა, შეფასდეს განსახილველი საწარმოს კონკურენტული ძლიერება, მეორე და მესამე კი იმიტომ, რომ ის თავისთავად არის ტექნიკური და კომერციული უპირატესობა, ხოლო, მეოთხე, იმიტომ, რომ იგი ახალი კონკურენტების ბაზარზე შეღწევისათვის დაბრკოლების შექმნის შედეგია. იმდენად, რამდენადაც განიხილება პოტენციური კონკურენტის არსებობისა თუ არარსებობის საკითხი, მიუხედავად იმისა, ნამდვილია ეს თუ არა, აუცილებლად უნდა იქნეს განხილული, – და ეს შეეხება ყველა განსახილველი ვიტამინის ჯგუფს, – რომ, ვინაიდან არსებული ფაქტორებიდან გამომდინარე მოთხოვნილი საინვესტიციო კაპიტალი განისაზღვრება შეუქცევადი ზრდადობით მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში, ახალი მწარმოებლის მიერ ბაზარზე შეღწევა არცთუ ისე ადვილია. ყურადღება ასევე უნდა მიექცეს ფაქტს, რომ მნიშვნელოვანი გამოუყენებელი საწარმოო უნარი ქმნის პოტენციურ კონკურენტციას მოქმედ მწარმოებლებს შორის. მიუხედავად ამისა, *Roche* იმყოფე-

ბა უპირატეს მდგომარეობაში, ვინაიდან, როგორც თვითონაც აღნიშნავს, მისი პირადი საწარმოო უნარი გადანყვეტილების მიერ განხილულ პერიოდში იყო საკმარისი იმისათვის, რომ ეპასუხა მსოფლიო მოთხოვნისათვის, გარდა იმ უარყოფითი საწარმოს უნარისა, რომელიც მას ათავსებდა რთულ ეკონომიკურ თუ ფინანსურ მდგომარეობაში.

49. ზემოთ განხილული არგუმენტებიდან ჩანს, რომ *Roche*-ს წილი თითოეულ შესაბამის ბაზარზე, თანდართული ფაქტორებისა და ბაზრის წილის ერთობლიობის გათვალისწინებით, რაც შესაძლებლობას იძლევა, დადგინდეს მისი დომინანტური მდგომარეობა, განსახილველია. და ბოლოს, აუცილებელი გახდება განხილვა, შესაძლებელია თუ არა, რომ *Roche*-ს განცხადებებმა, რომლებიც უკავშირდება ბაზარზე მის საქმიანობას, ძირითადად კი, საბაზრო ფასებს, შეცვალოს ის დადგენები, რომლებიც მიღებულ იქნა ბაზრის წილისა და სხვა ფაქტორების განხილვის საფუძველზე.

საქმე *United Brands Co and United Brands Continental Bv v. Commission*³¹⁸:

United Brands-ის საკითხები იყო, პირველ რიგში, ჰქონდა თუ არა ბანანს შესაბამისი ბაზარი სხვა ხილისგან განცალკევებით (რაც განხილულია ზემოთ) და, მეორე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, იყო თუ არა *United Brands*-ი დომინანტურ მდგომარეობაში ამ ბაზარზე.

ევროპული სასამართლო

67. იმისათვის, რომ დადგინდეს, იმყოფებოდა თუ არა *UBC* დომინანტურ მდგომარეობაში შესაბამის ბაზარზე, პირველ რიგში, განხილული უნდა იქნეს ბაზარზე არსებული მდგომარეობა იმდენად, რამდენადაც კონკურენციის საკითხი არის ჩართული.

68. ასეთ დროს საჭირო იქნება გავითვალისწინოთ ფაქტები, როდესაც ჩადენილი ქმედება უთანაბრდება ბოროტად გამოყენებას მაშინ, როდესაც აუცილებელი არ არის აღნიშნული ქმედება გაცნობიერებული იყოს როგორც ბოროტად გამოყენება.

(...) *UBC*-ს სტრუქტურა

69. სასურველია, შემომხედეს *UBC*-ის რესურსები და მისი მეთოდები საკუთარი პროდუქტის წარმოების, შეფუთვის, გაყიდვისა და განთავსების მიმართულებით.

70. *UBC* არის საწარმო, რომელიც ვერტიკალურად ინტეგრირებულია მაღალ დონეზე.

71. ეს ინტეგრაცია აშკარაა ყველა საფეხურზე, პროდუქციის მოწვევიდან მისი დატვირთვის ჩათვლით ვაგონებსა თუ სატვირთო მანქანებზე მიწოდების პორტებში და ამ საფეხურების შემდეგ, იმდენად, რამდენადაც დამნიფებისა და რეალიზაციის ფასები არის ჩართული. *UBC* თავის კონტროლს ავრცელებს დამამნიფებელ/დისტრიბუტორებზე და გადამყიდველებზეც კი, აგენტების სრული ქსელის შექმნით.

72. რაც შეეხება წარმოების საფეხურს, *UBC* ფლობს დიდ პლანტაციებს ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში.

73. ვინაიდან *UBC*-ის საკუთარი პროდუქცია ვერ ახდენს მოთხოვნის დაკმაყოფილებას, მას შეუძლია, ყოველგვარი სირთულის გარეშე, მიიღოს პროდუქცია დამოუკიდებელი ფერმერებისაგან, ვინაიდან დადგენილი ფაქტია, რომ, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, არის პროდუქციის ზედმეტობა.

74. ამასთან, რამდენიმე დამოუკიდებელ მწარმეს აქვს კავშირი *UBC*-სთან ბანანის პროდუქციის რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებული კონტრაქტების მეშვეობით,

³¹⁸ Case 27/76, *United Brands Co and United Brands Continental Bv v. Commission* [1978] ECR 207, [1978] 1 CMLR 429.

რომელიც მათ ავალდებულებს, *UBC*-ს რჩევის მიხედვით, სხვადასხვა სახეობის ბანანის რაოდენობის გაზრდას.

75. ბუნებრივი კატასტროფების შედეგი, რომელსაც შეუძლია დააზიანოს მიწოდება, მნიშვნელოვნად შემცირებულია იმ ფაქტით, რომ პლანტაციები გადაჭიმულია ფართო გეოგრაფიულ სივრცეზე და შერჩეული სახეობები არც ისე მგრძობიარეა ავადმყოფობებისადმი.

76. აღნიშნული მდგომარეობა გამოვლინდა მაშინ, როდესაც 1974 წელს *UBC*-მ შეძლო, რეაგირება მოეხდინა ქარიშხალ „*Fifi*“-ს შედეგებზე.

77. აქედან გამომდინარე, *UBC*-მ წარმოების საფეხურზე იცის, რომ მას შეუძლია დააკმაყოფილოს ყველა ის მოთხოვნა, რომელთაც მიიღებს.

78. შეფუთვისა და წარმოდგენის საფეხურზე *UBC*-ს თავის დაწესებულებებში თავისსავე განკარგულებაში აქვს: ქარხნები, მუშახელი, ნარგავები და მასალა, რომელნიც მას შესაძლებლობას აძლევს, აწარმოოს პროდუქცია დამოუკიდებლად.

79. წარმოების ადგილიდან გადაზიდვის პორტამდე ბანანის ტრანსპორტირება ხდება საკუთარი სატრანსპორტო საშუალებებით, მათ შორის რკინიგზითაც.

80. ზღვით გადაზიდვის საფეხურზე, როგორც გამოვლინდა, *UBC* არის ამ ტიპის ერთადერთი საწარმო, რომელსაც შეუძლია მოახდინოს თავისი პროდუქციის ექსპორტის ორი მესამედის გადაზიდვა საკუთარი ბანანის გადამზიდვის მეშვეობით.

81. ამდენად, *UBC*-მ იცის, რომ მნიშვნელობა არ აქვს, როგორი იქნება ბაზრის მდგომარეობა, მას შეუძლია, თავისი გაყიდვების საშუალო მოცულობის ორი მესამედის ტრანსპორტირება აწარმოოს რეგულარულად, რისკის გარეშე, რადგან გამოიყენება მისივე სატრანსპორტო გემები, რითაც მხოლოდ მას შეუძლია უზრუნველყოს ერთდროულად სამი გზავნილის მიღწევა ევროპამდე კვირაში სამჯერ. ყველაფერი ეს კი ახდენს მისი კომერციული სტაბილურობისა და კეთილდღეობის გარანტირებას.

82. რაც შეეხება ტექნიკურ ცოდნას, *UBC*-ის მუდმივი კვლევების საფუძველზე ის აგრძელებს წარმოების გაუმჯობესებას და თავისი პლანტაციებიდან მოგებას იღებს საწური სისტემის გაუმჯობესებით, ნიადაგის ნაკლოვანების გამოსწორებითა და ნარგავების ავადმყოფობასთან ეფექტური ბრძოლით.

83. მან შექმნა დამნიფების ახალი მეთოდი, რომელშიც ტექნიკოსი ინსტრუქტაჟს უტარებს *Chiquita*-ს ბანანის დისტრიბუტორ/დამამნიფებლებს.

84. ეს არის კიდევ ერთი გასათვალისწინებელი ფაქტორი, როდესაც ხდება *UBC*-ს მდგომარეობის შეფასება, ვინაიდან კონკურენტ ფირმებს არ შეუძლიათ, განავითარონ კვლევა შესაბამის საფეხურზე და ამ თვალსაზრისით არიან აპლიკანტთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში.

85. ცნობილია, რომ იმ საფეხურზე, როდესაც პროდუქცია საბოლოოდ სრულდება და საჭიროა ხარისხის კონტროლის ჩატარება, *UBC* აკონტროლებს არა მარტო იმ დამამნიფებელ/დისტრიბუტორებს, რომლებიც არიან მისი პირდაპირი მომხმარებლები, არამედ იმათაც, ვინც მუშაობდა მისი მნიშვნელოვანი მომხმარებლისათვის, როგორცაა *Scipio* ჯგუფი.

86. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მწვანე ბანანის ამკრძალავი ნორმის მიზანი იქნებოდა ხარისხის მკაცრი კონტროლი, ის ფაქტობრივად უწესებს *UBC*-ს აბსოლუტურ კონტროლს თავისი პროდუქციის ვაჭრობაზე იმ დრომდე, სანამ მოხდება პროდუქციის

ბაზარზე განთავსება, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც იწყება დამნიფების პროცესი, დაუყოვნებელი გაყიდვა არის თავიდან აუცილებელი.

87. ჰომოგენური პროდუქციის საერთო ხარისხის კონტროლი ბრენდის სახელის რეკლამირებას მეტად ეფექტურს ხდის.

88. 1967 წლიდან *UBC*-მ თავისი საერთო პოლიტიკა დააფუძნა შესაბამის ბაზარზე თავისი *Chiquita*-ს ბრენდის ბანანის ხარისხს.

89. შესაბამისად, არ არსებობს ეჭვი, რომ აღნიშნული პოლიტიკა *UBC*-ს უნებს კონტროლს პროდუქტის საკვებად მოსახმარ ბანანად ტრანსფორმირების პროცესზე, მიუხედავად იმისა, რომ პროდუქციის დიდი ნაწილი უკვე მას აღარ ეკუთვნის.

90. ეს პოლიტიკა ეფუძნებოდა დეტალურ რეორგანიზაციას წარმოების, შეფუთვის, გადაზიდვის, დამნიფების (ნარგავის ახალი ვენტილაციისა და გაგრილების სისტემით) და გაყიდვის (აგენტების ქსელი) მომზადებაში.

91. *UBC*-მ ეს პროდუქტი გადააქცია გამორჩეულ პროდუქტად, ფართომასშტაბიანი განმეორებადი რეკლამირებით და სარეკლამო კამპანიებით, რამაც მომხმარებელი აიძულა, აერჩია სწორედ ის პროდუქტი, მიუხედავად ფასებს შორის არსებული განსხვავებისა, სტიკერის მქონე და არმქონე ბანანებს შორის (რეგიონის მიხედვით 30-40%) და ასევე *Chiquita*-ს ბანანსა და იმ ბანანის ფასებს შორის (რეგიონის მიხედვით 7-10%), რომლებიც სხვა ბრენდის სახელით იყვნენ მარკირებული.

92. ეს იყო პირველი შემთხვევა, რომელმაც მოიტანა სრული უპირატესობა მარკირებული ტროპიკული ხილის წარმოდგენის მეშვეობით ფართომასშტაბიანი რეკლამირების მიზნით და ამან, თუ გამოვიყენებთ *UBC*-ს სიტყვებს, „მოახდინა რეველუცია ბანანის კომერციულ ექსპლუატაციაში“ (აპლიკაციის ოქმი, II, გვ. 10).

93. ამდენად, მან მიაღწია პრივილეგირებულ მდგომარეობას შესაბამის ბაზარზე *Chiquita*-ს ბანანის უპირატეს ბრენდად გადაქცევის გზით, რის შედეგადაც დისტრიბუტორი თავს უფლებას ვეღარ აძლევდა, არ შეეთავაზებინა ის მომხმარებლისათვის.

94. **გაყიდვის საფეხურზე ეს განმსაზღვრელი ფაქტორი, რაც გამართლებული იყო აღნიშნული ბრენდის სახელით მარკირებული ბანანის უცვლელი ხარისხით, უზრუნველყოფს მუდმივი მომხმარებლის ყოლას და ეკონომიკური სიძლიერის დაცვას.**

95. მისი რეალიზაციის ქსელი, რომელიც ფარავს მხოლოდ მომხმარებლების მცირე რაოდენობას, ხოლო დისტრიბუტორი/დამამნიფებლების – დიდ ჯგუფს, არის მისი მიწოდების პოლიტიკის გამარტივება და მასშტაბური ეკონომია.

96. იმდენად, რამდენადაც *UBC*-ს მიწოდების პოლიტიკა შედგება, ჭარბი წარმოების მიუხედავად, მხოლოდ *Chiquita*—ს ბანანის მოთხოვნის თანხვედრისაგან, რაც ხორციელდება ეკონომიურად და ზოგჯერ არასრულადაც, *UBC* რეალიზაციის საფეხურზე იმყოფება ძლიერ მდგომარეობაში.
(...)

121. ამდენად, *UBC*-ის ეკონომიკურმა სიძლიერემ შესაძლებლობა მისცა მას, მიეღო მოქნილი ერთიანი სტრატეგია, რომელიც მიმართული იქნებოდა იმ ახალი კონკურენტების წინააღმდეგ, რომლებიც დაფუძნდებოდნენ მთლიან შესაბამის ბაზარზე.

122. ბაზარზე შეღწევის მსურველი კონკურენტებისათვის ძირითადი ბარიერებია: განსაკუთრებულად დიდი საინვესტიციო კაპიტალი ბანანის პლანტაციების შექმნისა და გაძლიერებისათვის, მიწოდების წყაროს გაზრდის საჭიროება იმისათვის, რომ თავიდან

იქნეს აცილებული ხილის დაავადებებითა და ცუდი ამინდით (ქარიშხალი, წყალდიდობა) მიღებული შედეგები, ლოჯისტიკის არსებითი სისტემის გაცნობა, რაც აუცილებელია ძალიან დელიკატური პროდუქტის დისტრიბუციისათვის, მასშტაბური ეკონომია, რომლისგანაც ბაზარზე ახალმოსულები ვერ მიიღებენ მომენატლურ მოგებას და შელწვევის რეალური ღირებულება, რომელიც შედგება, *inter alia*, ყველა საერთო ხარჯისაგან, რაც გამონეულია ბაზარზე შელწვეით, კერძოდ: ადეკვატური კომერციული ქსელის შექმნა, ძალიან ფართომასშტაბიანი სარეკლამო კამპანიების გაძღოლა, ყველა ფინანსური რისკი, რომელნიც მცდელობის ჩავარდნისას აუნაზღაურებელია.

123. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც *UBC*-მ აღნიშნა, კონკურენტებს თავისუფლად შეუძლიათ გამოიყენონ წარმოებისა და დისტრიბუციის იგივე მეთოდები, რომლებსაც იყენებს აპლიკანტი, მათ მოუწევთ თითქმის დაუძლეველი პრაქტიკული და ფინანსური დაბრკოლებების გადალახვა.

124. ეს არის დომინანტური მდგომარეობის დამახასიათებელი შემდეგი ფაქტორი.

125. იმისათვის, რათა დადგინდეს, რომ დომინანტობა არსებითად არის ფასების დადგენის ძალაუფლება, ხოლო დანაკარგები შეუთავსებელია დომინანტურ მდგომარეობასთან, უნდა აღინიშნოს, რომ *UBC* მიუთითებს მის დანაკარგებზე ბანანების განაწილებისას, 1971-დან 1976 წლამდე – იმ პერიოდში, როდესაც მისმა კონკურენტებმა მიიღეს მოგება.

126. საწარმოს ეკონომიკური სიძლიერე არ იზომება მის მიერ მიღებული მოგებით; შემცირებული მოგების საზღვრები ან თუნდაც დანაკარგი გარკვეული დროის განმავლობაში არ არის შეუთავსებელი დომინანტურ მდგომარეობასთან, ისევე როგორც დიდი მოგება არის თავსებადი სიტუაციასთან, როცა ეფექტური კონკურენციაა.

127. ის ფაქტი, რომ *UBC*-ის მოგება გარკვეული დროის განმავლობაში შემცირებული იყო, ან საერთოდ არ არსებობდა, განხილული უნდა იყოს მისი მთლიანი მოქმედების ფარგლებში.

128. იმისი დადგენა, რომ, რა დანახარჯებიც არ უნდა ჰქონოდა *UBC*-ს, მისი მომხმარებლები აგრძელებდნენ მისგან მეტი პროდუქციის შესყიდვას, უფრო მნიშვნელოვანია. ეს ფაქტი არის დომინანტური მდგომარეობის კონკრეტული მახასიათებელი და ამის შემოწმება ამ საქმეში არის განმსაზღვრელი.

129. შესაბამისად, *UBC*-ის მიერ მიღებული ყველა პრივილეგიის კუმულაციური ეფექტი უზრუნველყოფს მის დომინანტურ მდგომარეობას შესაბამის ბაზარზე.

საქმე (კომისიის გადაწყვეტილება) *Eurofix-Bauco/Hilti*³¹⁹:

კომისია

69. ბაზარზე არსებული წილით მიღებულ სიძლიერესთან და მისი კონკურენტების შესაბამის სისუსტესთან ერთად *Hilti*-ს სხვა უპირატესობები აქვს, რომელიც მას ეხმარება ლურსმნის პისტოლეტების ბაზარზე მისი მდგომარეობის გაძლიერებასა და შენარჩუნებაში:

- მის ყველაზე მეტად გაყიდვად ლურსმნის პისტოლეტს *DX 450*-ს აქვს ტექნიკურად ახალი ისეთი მახასიათებლები, რომლებიც ისევ დაცულია პატენტით;
- *Hilti*-ს აქვს ჩატარებული განსაკუთრებულად ძლიერი კვლევა და განვითარებადი პოზიცია და არის მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი კომპანიათაგანი არა მარტო ლურსმნის პისტოლეტების წარმოებაში, არამედ სხვა განვითარებად ტექნოლოგიებში;

³¹⁹ Commission decision *Eurofix-Bauco/Hilti* [1988] OJ L 65/19, [1989] 4 CMLR 677.

- *Hilti*-ს აქვს ძლიერი და კარგად ორგანიზებული სადისტრიბუციო სისტემა – *EEC*-ის ფარგლებში მას ჰყავს შვილობილი კომპანიები და დამოუკიდებელი დილერები, რომლებიც ინტეგრირებულნი არიან მის სარეალიზაციო ქსელში, და რომლებიც, ძირითადად, პირდაპირ მომხმარებლებთან მუშაობენ;
- ლურსმნის პისტოლეტების ბაზარი არის საკმარისად მომნიჭებული, რამაც შეიძლება უარი ათქმევინოს ბაზარზე ახალ შემსვლელს, ვინაიდან გაყიდვა ან ბაზრის წილის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ ბაზარზე მოქმედი კონკურენტის ჩანაცვლების ფასად.

70. ზემოთ ჩამოთვლილ არგუმენტებს მივყავართ დასკვნამდე, რომ *Hilti*-ს აქვს დომინანტური მდგომარეობა *EEC*-ს ლურსმნის პისტოლეტების ბაზარზე, ისევე როგორც *Hilti*-ს პროდუქციასთან თავსებადი ლურსმნებისა და კარტრიჯის ლენტების ბაზარზე. ესენი შესაბამისი ბაზრებია გადანყვეტილების მიზნებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონკრეტულ საქმეში *Hilti*-ს პროდუქციასთან თავსებადი ლურსმნებისა და კარტრიჯის ლენტების ბაზარი არის მნიშვნელოვანი ლურსმნის პისტოლეტების გაყიდვაში, *Hilti*-ს დიდი წილის გამო. სწორედ ამ დიდი წილის გამო ლურსმნებისა და კარტრიჯის ლენტების დამოუკიდებელმა მწარმოებლებმა უნდა აწარმოონ ისეთი ლურსმნები და კარტრიჯის ლენტები, რომლებიც თავსებადი იქნებიან *Hilti*-ს ხელსაწყოებთან, იმ შემთხვევაში, თუ მათ სურთ, აწარმოონ ბაზრის ერთი პატარა სეგმენტის მიღმა და ამდენად მიაღწიონ მასშტაბურ ეკონომიას, რაც აუცილებელია როგორც კონკურენტუნარიანობის, ისე მოგების მიღებისათვის.

71. *Hilti*-ს ძალაუფლება ბაზარზე და დომინანტური მდგომარეობა პირდაპირ გამომდინარეობს ლურსმნის პისტოლეტების გაყიდვაში მისი დიდი წილიდან, რასაც ემატება მის კარტრიჯის ლენტებზე არსებული პატენტი. ეკონომიკური მდგომარეობა, რომელითაც ის სარგებლობს, შესაძლებლობას აძლევს მას, თავიდან აიცილოს ეფექტური კონკურენტის შენარჩუნება *Hilti*-ს პროდუქციასთან თავსებადი ლურსმნებისა და კარტრიჯის ლენტების შესაბამის ბაზარზე. რეალურად *Hilti*-ს კომერციული საქციელი, რომელიც აღწერილია ზემოთ და გაანალიზებულია ქვემოთ, არის მისი შესაძლებლობის მონმე, იმოქმედოს თავისი კონკურენტებისა და მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად განსახილველ შესაბამის ბაზარზე. დამატებით, *Hilti*-ს საფასო პოლიტიკა, რომელიც ასევე აღწერილია ზემოთ, ასახავს მის შესაძლებლობას, განსაზღვროს, ან, სულ მცირე, იქონიოს მნიშვნელოვანი გავლენა პირობებზე, რომელშიც უნდა განვითარდეს კონკურენცია. ასეთი ქმედება და მისი ეკონომიკური შედეგები, როგორც წესი, არ ჩანს ისეთ გარემოებებში, რომელშიც კომპანია ეჯახება რეალურ კონკურენტულ დაძაბულობას. შესაბამისად, კომისია მიიჩნევს, რომ *Hilti* ფლობს დომინანტურ მდგომარეობას ორ განსხვავებულ ბაზარზე, *Hilti*-ს პროდუქციასთან თავსებადი ლურსმნებისა და კარტრიჯის ლენტების ბაზარზე.

საქმე (კომისიის გადანყვეტილება) *Soda Ash-Solvay*³²⁰:

წინამდებარე საქმე მოიცავს *soda-ash*-ის ბაზარს. კომისიის გადანყვეტილების ეს ნაწილი ასევე მოიცავს მასალებს ბაზრის განსაზღვრის თაობაზე.

კომისია

137. *Solvay*-ს პირადი დოკუმენტაცია აცნობიერებს, რომ მას ეკავა დომინანტური მდგომარეობა დასავლეთ ევროპაში. მისი ისტორიული საბაზრო წილი, რომელიც შეადგენდა 70%-ს კონტინენტურ დასავლეთ ევროპაში სრული განსახილველი პერიოდის განმავლობაში, თავისთავად არის საბაზრო ძალაუფლების მნიშვნელოვანი დონის

³²⁰ Commission decision Soda Ash-Solvay [2003] OJ L10/10.

დამადასტურებელი. მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, საბაზრო წილი არის მხოლოდ ერთი ინდიკატორი, რომლიდანაც შეიძლება გამომდინარეობდეს დომინანტური მდგომარეობა. მისი მნიშვნელობა შეიძლება იცვლებოდეს თითოეული საქმის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის მახასიათებლებიდან გამომდინარე.

138. წინამდებარე საქმეში საბაზრო ძალაუფლების შეფასების მიზნებისათვის კომისიამ გაითვალისწინა ყველა შესაბამისი ეკონომიკური მტკიცებულება, მათ შორის შემდეგი ელემენტები:

- ი. *Solvay*-ს პოზიცია, როგორც გაერთიანების ფარგლებში სოდის ერთადერთი მწარმოებლის (გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის გამოკლებით);
- იი. *Solvay*-ს საწარმოო ძალა, ნარგავებით ბელგიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთსა და პორტუგალიაში;
- იიი. *Solvay*-ს დინების საწინააღმდეგო ინტეგრაცია დაუმუშავებელი მასალების ბაზარზე, როგორც გაერთიანებაში მარილის ყველაზე მსხვილის მწარმოებლის ინტეგრაცია;
- ივ. გაერთიანებაში ერთადერთი შედარებითი საბაზრო სიძლიერის მქონე მწარმოებლის, ICI-ს, მხრიდან რაიმე სახის კონკურენციის არარსებობა;
- ვ. *Solvay*-ს მაღალი ბაზრის წილი ბენელუქსის ქვეყნებში, საფრანგეთსა და გერმანიაში და მისი მონოპოლია ან თითქმის მონოპოლიური მდგომარეობა იტალიაში, ესპანეთსა და პორტუგალიაში;
- ვი. *Solvay*-ს შესანიშნავი ბაზრის დაფარვა როგორც ექსკლუზიური, ან თითქმის ექსკლუზიური მომწოდებლის გაერთიანების თითქმის ყველა მომხმარებლის მიმართ;
- ვიი. სინთეტიკური ფერფლის რომელიმე ახალი მწარმოებლის მიერ ბაზარზე შესვლისა და გაერთიანების ფარგლებში ახალი საწარმოების დაფუძნების საეჭვოობა;
- ვიიი. არაგაერთიანების ფარგლებში მწარმოებლების წინააღმდეგ არსებული დაცვა ან ტიღამპინგური ვალდებულებებით.
- იბ. *Solvay*-ს ტრადიციული როლი ფასების განსაზღვრაში;
- ბ. გაერთიანების სხვა მწარმოებლების მიერ *Solvay*-ს მიჩნევა დომინანტ მწარმოებლად და მათი მოდუნება *Solvay*-ს ტრადიციული მომხმარებლების აგრესიულად მოსაპოვებლად.

139. *Solvay*-ს საბაზრო ძალის დონის შეფასებისას კომისიამ გაითვალისწინა კაუსტიკური სოდით სოდის ფერფლის შესაძლებელი ჩანაცვლება. კაუსტიკური სოდა (*sodium hydroxide*) არის ფართოდ გამოყენებადი ქადალდისა და ალუმინის წარმოებაში და თეორიულად შეუძლია ჩანაცვლოს სოდის ფერფლი კონკრეტულ საწარმოო გამოყენებაში, როგორც ტუტის წყარომ, კერძოდ კი სადებინფექციო წარმოებაში და მეტალურგიულ პროცესებში (მეტიც, გამოყენებაც შესაძლებელია: სოდის ფერფლი თეორიულად ასევე არის ზოგიერთ პროცესში კაუსტიკური სოდის ალტერნატივა). პრაქტიკაში, როგორც ჩანს, კაუსტიკური სოდის არსებობა არ მოქმედებს *Solvay*-ს საბაზრო ძალაუფლების არსებითად შემზღუდავად, რაც რეალურად ეფუძნება სოდის მიწოდებას მინის მწარმოებლებისათვის, საიდანაც ძალიან მცირე ოდენობა, ისიც თუ საერთოდ იყო, იმისათვის მზადდებოდა, რომ კაუსტიკურ სოდას ჩაენაცვლებინა სოდის ფერფლი. (...)

145. ჩანაცვლების შესაძლებლობა, შესაბამისად, ვერ მოქმედებდა როგორც მნიშვნელოვანი შეზღუდვა *Solvay*-ს მიერ ბაზარზე ძალაუფლების განხორციელებისათვის სოდის ფერფლის სხვა მწარმოებლების მხრიდან.

146. კომისიამ შეაფასა *Solvay*-ს ძალაუფლება ბაზარზე იმ სრულ გეოგრაფიულ სივრცეში, რომელშიც ის მოქმედებდა და რომელიც ამ საქმეში შედგება იმ წევრი სახელმწიფოებისაგან, რომლებშიც მას აქვს საწარმოო მონოპოლიები. *Solvay*-ს პირადი შიდა დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ის მიიჩნევდა ცხრა „ეროვნულ მიმართულებას“, როგორც ერთგვაროვანი ბაზრის მონოპოლას (...).

147. იმ შემთხვევაშიც კი, თუ თითოეული ჩართული სახელმწიფოს ეროვნული ბაზარი განხილული იქნებოდა ცალ-ცალკე, *Solvay* მაინც იქნებოდა დომინანტი თითოეულ ბაზარზე და ზემოთ აღწერილი მოსაზრებები მის მიმართ იმავე ფორმით იქნებოდა გამოყენებული.

148. ზემოთ აღწერილი მოსაზრებების გამო, კომისია ადგენს, რომ განსახილველი პერიოდის განმავლობაში *Solvay*-ს ეკავა დომინანტური მდგომარეობა, ხელშეკრულების 82-ე მუხლის მიხედვით.

V. ქმედება, რომელიც შეიძლება იყოს მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

საქმე *Centre Belge d'Etudes du Marche-Telemarketing v. Compagnie Luxembourgeoise de elediffusion SA and Information Publicite Benelux SA*³²¹:

საქმის ფაბულა: „ტელეგაყიდვებისა“ თუ „ტელევაჭრობის“ სატელევიზიო რეკლამების დროს მითითებულია ტელეფონი, რომელზეც მომხმარებელი რეკავს პროდუქციისა თუ მომსახურების შეკვეთის მიზნით. ლუქსემბურგის ტელევიზიამ (CLT) შეწყვიტა რეკლამების გაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მისათითებელი ტელეფონის ნომერი ეკუთვნოდა მის შვილობილ კომპანიას. *Centre Belge*-ს, დამოუკიდებელი ტელეგაყიდვების მიმწოდებელ კომპანიას, არ შეეძლო თავისი პროდუქციის რეკლამირებისას საკუთარი ტელეფონის მითითება. ამ ფაქტმა გაართულა CLT-ის მდგომარეობა ბელგიის სასამართლოში და კომერციულმა სასამართლომ წინასწარი განხილვისათვის საქმე გადაუგზავნა ევროპულ სასამართლოს. CLT, როგორც კანონიერი მონოპოლისტი, დომინირებდა ბელგიის ტელესარეკლამო ბაზარზე და გათვლილი იყო ფრანგულად მოლაპარაკე მაცურებლებზე, ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ბელგიის ნაციონალურ არხებზე არ ხდებოდა რეკლამირება.

ევროპული სასამართლო

19. მეორე შეკითხვა ფორმულირებული იყო შემდეგნაირად: რამდენად ახდენს საწარმო, რომელსაც დომინანტური მდგომარეობა აქვს ერთ კონკრეტულ ბაზარზე, – თავისი ქმედებით დაიტოვოს დამატებითი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სხვა საწარმოს მიერ, თავისთვის ან თავისი ჯგუფის რომელიმე წარმომადგენლისათვის პირველის გაძევებით ამ საქმიანობიდან, – მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას 82-ე მუხლის მნიშვნელობით.
(...)

³²¹ Case 311/84, *Centre Belge d'Etudes du Marche-Telemarketing v. Compagnie Luxembourgeoise de elediffusion SA and Information Publicite Benelux SA* [1985] ECR 3261, [1986] 2 CMLR 558

23. კომისია ეყრდნობა სასამართლოს 1974 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებას გაერთიანებულ საქმედებზე (6 და 7/73 *Commercial Solvents and others v. Commission* [1974] ECR 223) და ადგენს, რომ ხდება დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება 82-ე მუხლის მნიშვნელობით, როდესაც დომინანტურ მდგომარეობაში მყოფი საწარმო, რომელსაც შეუძლია მეზობელ ბაზარზე მოქმედი სხვა საწარმოს საქმიანობის გაკონტროლება, იღებს გადაწყვეტილებას, დაიწყოს ფუნქციონირება მეორე ბაზარზე და ყოველგვარი საპატიო მიზეზის გარეშე წყვეტს პოლუქციისა და მომსახურების მიწოდებას პირველ ბაზარზე მყოფი საწარმოებისათვის, რომლებიც ორიენტირებული არიან სწორედ იმ ბაზარზე, რომლის დაპყრობაც სურს დომინანტ საწარმოს.

24. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქმედება განიხილება როგორც საკონტრაქტო პირობა და არა როგორც მიწოდებაზე უარის თქმა, კომისიის აზრით, ის, ნებისმიერ შემთხვევაში, მიიჩნევა როგორც 82-ე მუხლის დარღვევა. პირველი, *Information Publicite*, როგორც სატელევიზიო დროის გამყიდველი, ტელემარკეტინგის ოპერაციებისათვის ყველა სხვა საწარმოს უდგენს პირობებს, რომლებსაც იმავე ქმედებებისათვის თვითონ არ ექვემდებარება, კერძოდ კი პირობას, რომ მას შეუძლია, საკუთარი ტელეფონის ნომრის გამოყენება; ეს 82-ე მუხლის მიზნებისათვის არის უსამართლო სავაჭრო პირობა; მეორე, *Information Publicite* კონტრაქტის დასკვნას უქვემდებარებს დამატებითი ვალდებულებების აღებას, რომლებსაც არანაირი კავშირი არ აქვთ კონტრაქტის საგანთან, რაც ასევე არის 82-ე (დ) მუხლის დარღვევა.

25. იმისათვის, რომ პასუხი გაეცეს სასამართლოს მეორე შეკითხვას, მითითება უნდა მოხდეს ზემოთ ნახსენებ 1974 წლის 6 მარტის განაჩენზე (*Commercial Solvents*), რომელშიც სასამართლომ დაადგინა: მასალების ბაზარზე დომინანტ მდგომარეობაში მყოფი საწარმოს ქმედება, რომელიც უარს ეუბნება სხვა საწარმოებს ამ მასალის მიწოდებაზე, რომლებსაც ის სჭირდებათ სხვა პროდუქციის შესაქმნელად და ინახავს მთელ მასალას საკუთარი პროდუქციის შესაქმნელად, რითაც რეალურად იწვევს აღნიშნული მომხმარებლების მხრიდან კონკურენციის აღმოფხვრის შესაძლებლობას, შეესაბამება მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, 82-ე მუხლის თანახმად.

26. ეს წესი ასევე ეხება შემთხვევას, როდესაც ერთ ბაზარზე მოქმედი დომინანტი საწარმოს მომსახურება განუყოფელია მეორე ბაზარზე მოქმედი საწარმოს საქმიანობისაგან. თუ, როგორც სასამართლომ უკვე აღნიშნა თავის მიმართვაში, მათი ახლო კავშირის მიუხედავად, ტელემარკეტინგის ბაზარი განსხვავდება არჩეული სარეკლამო შუამავლის ბაზრისგან, და თუ ასეთი საქმიანობა შედგება, ძირითადად, რეკლამის დამკვეთებისათვის სატელეფონო ხაზებისა და ტელეფონის მოპასუხეთა ჯგუფის მომსახურების მიწოდებისაგან, ასეთი პირობების გავრცელება მხოლოდ ტელეკომპანიის გუნდზე უტოლდება ამ ტელევიზიის მიერ სხვა საწარმოებისათვის მიწოდებაზე უარის თქმას. აღნიშნულის გარდა, თუ უარის თქმა არ არის გამართლებული ტელევიზიის მახასიათებლებიდან გამომდინარე კომერციული მოთხოვნებით და თუ ეფუძნება ამ შესაძლებლობის დატოვებას მხოლოდ სატელევიზიო აგენტისათვის, რაც ხელს უწყობს კონკურენციის შესაძლო აღმოფხვრას, ეს ქმედება უტოლდება ხელშეკრულების 82-ე მუხლის დარღვევას, იმის გათვალისწინებით, რომ მუხლის სხვა პირობები დაკმაყოფილებულია.

27. შესაბამისად, მეორე შეკითხვის პასუხად უნდა აღინიშნოს, რომ 82-ე მუხლის მიხედვით, მდგომარეობის ბოროტად გამოყენება აღინიშნება იმ შემთხვევაში, როდესაც ყოველგვარი ობიექტური აუცილებლობის გარეშე კონკრეტულ ბაზარზე მოქმედი დომინანტი საწარმო თავისთვის ან თავისი ჯგუფის წევრი სხვა საწარმოებისთვის ინახავს დამატებით საქმიანობას, რომელიც მეზობელ ბაზარზე მოქმედი საწარმოს მიერ უნდა იყოს განხორ-

ციელეზული როგორც მისი საქმიანობის ნაწილი და რომელიც ქმნის ამ საწარმოს მხრიდან კონკურენციის აღმოფხვრის შესაძლებლობას.

საქმე *British Airways v. Commission*³²²:

პირველი ინსტანციის სასამართლო

127. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება შესაბამისი პროდუქტის ბაზარზე, რომელიც გავლენას ახდენს სხვა ცალკეულ ბაზარზე, რომელზეც არ მოქმედებს დომინანტი საწარმო, ხდება 82-ე მუხლის მოქმედების ფარგლებში, თუ ცალკეული ბაზარი მნიშვნელოვნად ახლოს, მჭიდროდ არის დაკავშირებული პირველთან (იხ. გაერთიანებული საქმეები: 6/73 და 7/73 *Istituto Chemioterapico Italiano and Commercial Solvents v. Commission* [1974] ECR 223, პარა. 22 და საქმე 311/84 *CBEM* [1985] ECR 3261, პარა. 26).

128. ამ შემთხვევაში სადავო შესრულების ანაზღაურების სქემები ქმნიდა შეთანხმებათა სერიის ნაწილს, რომელიც დადებული იყო BA-ს მიერ დიდ ბრიტანეთში დაფუძნებულ ტურისტულ სააგენტოებთან, საჭაერო ტრანსპორტის სააგენტოს მომსახურების, მათ შორის მისი ბილეთების გაყიდვის, დამატებითი სარეკლამო და კომერციულ განვითარებასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდების მიზნით.

129. როგორც ზემოთ აღნიშნა, ცნობილია, რომ ტურისტულ სააგენტოებს აქვთ გაყიდვის (პროდუქცია/მომსახურება) ფუნქცია, რომელიც მცირე დროის განმავლობაში ინარჩუნებს ამ როლს და, აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ავიახაზებისათვის.

130. მომსახურება, რომელსაც ავიახაზები ყიდნიან მგზავრებზე, დიდ ბრიტანეთში დაფუძნებული ტურისტული კომპანიების მეშვეობით მორგებულია დაგეგმილი რეისების საჭაერო ტრანსპორტის მომსახურებას, რომლის მიღებაც შეიძლება დიდი ბრიტანეთის აეროპორტებში და ამავე აეროპორტებიდან.

131. სასამართლო ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ BA-ს გასაჩივრებული პრაქტიკის დროს მის მიერ რეალიზებული ბილეთების 85% გაყიდული იყო შუამავალი ტურისტული სააგენტოების მეშვეობით.

132. შესაბამისად, აშკარად მჭიდრო კავშირი არსებობს, ერთი მხრივ, ავიახაზებისათვის დიდ ბრიტანეთში დაფუძნებული სააგენტოების მიერ საჭაერო ტურისტული მომსახურების მიწოდებასა და, მეორე მხრივ, ამ ავიახაზების მიერ განეულ საჭაერო სატრანსპორტო მომსახურებას შორის, რომელიც დიდი ბრიტანეთის საჭაერო ტრანსპორტის ბაზარზე შეესაბამება დიდი ბრიტანეთის აეროპორტებიდან და ამავე აეროპორტებში საჭაერო მარშრუტს.

133. ამასთან, BA-ს არგუმენტების ხაზი ეფუძნება მოსაზრებას, რომ ასეთი მჭიდრო კავშირი არსებობს ჩართულ ბაზრებს შორის. BA აღნიშნავს, ... რომ აგენტის მიერ მისი რეისების მხარდაჭერის არარსებობა ნიშნავს მისი (BA-ს) ბიზნესის აბსოლუტურ დანაკარგებს. მოგების ასეთი დანაკარგი შეიძლება დადგეს მხოლოდ BA-ს ბილეთების გაყიდვის შემცირებით.

134. შესაბამისად, BA აღნიშნავს, ... რომ, იმ შემთხვევაში, თუ მათ ექნებათ უფრო მაღალი მოთხოვნა ავიახაზების მომსახურებაზე, ავიახაზების მიერ ტურისტული სააგენტოებისათვის მიცემული უპირატესობა შედეგად მოიტანს ხარჯების მნიშვნელოვან შემცირებას.

³²² Case T-219/99, *British Airways v. Commission* [2003] ECR II-5917, [2004] 4 CMLR 1008.

135. შესაბამისად, კომისია მართალი იყო, როდესაც დაადგინა, რომ 82-ე მუხლის მიერ მოთხოვნილი კავშირი არსებობდა ავიახაზების მიერ ტურისტული სააგენტოების მეშვეობით შესყიდული ტურისტული სააგენტოების მომსახურების დიდი ბრიტანეთის ბაზარსა და დიდი ბრიტანეთის საჰაერო ტრანსპორტის ბაზარს შორის.

საქმე *AKZO Chemie BV v. Commission*³²³:

ევროპული სასამართლო

66. *AKZO* დავობდა კომისიის გადაწყვეტილების კანონიერების კრიტერიუმთან შესაბამისობაზე, რომელსაც თვითონ მიიჩნევდა გაუგებრად, ან, უკიდურეს შემთხვევაში, გამოუყენებლად. მისი აზრით, კომისიამ უნდა მიიღოს ობიექტური კრიტერიუმი, რომელიც დაეფუძნება თავის ღირებულებას.

67. ამასთან დაკავშირებით ის აცხადებს, რომ ფასის კონკრეტული დონის კანონიერების საკითხი არ უნდა გამოიყოს იმ სპეციფიკური ბაზრის გარემოებებიდან, რომელშიც ეს ფასი დადგინდა. ბოროტად გამოყენება არ არის, თუ დომინანტი საწარმო ცდილობს მიიღოს ოპტიმალური გასაყიდი ფასი და პოზიტიური დაფარვის საზღვრები. ფასი ოპტიმალურია იმ შემთხვევაში, თუ საწარმო გონივრულად მიიჩნევს, რომ სხვა ფასის შეთავაზება, ან ამ ფასის არარსებობა მოკლე ვადაში მოიტანს ნაკლებად ხელსაყრელ მოგებას. გარდა ამისა, დაფარვის საზღვრები პოზიტიურია, თუ შეკვეთის ღირებულება აღემატება ცვლადი ხარჯების ჯამს.

68. *AKZO*-ს მიხედვით, კრიტერიუმი, რომელიც ეფუძნება მოკლე დროში ოპტიმალური ფასის მიღების მცდელობას, არ შეიძლება უარყოფილ იქნეს იმის საფუძველზე, რომ ის საწარმოს შესაძლებლობებს დააზიანებს გრძელვადიან პერსპექტივაში. გარკვეული დროის შემდეგ საწარმოს შეუძლია, ზარალის ასანაზღაურებლად მიიღოს შესაბამისი ზომები, ან გამოვიდეს წაგებაზე ორიენტირებული საქმიდან. ამავდროულად, საწარმომ უნდა მიიღოს „ოპტიმალური შეკვეთები“, რათა შეამციროს დანაკლისი და უზრუნველყოს მოქმედების განგრძობადობა.

69. განხილული უნდა იქნეს, რომ, როგორც სასამართლომ განაცხადა გადაწყვეტილებაში 85/76, *Hoffmann-La Roche v. E.C. Commission* [1979] ECR 461, პარა. 91, მდგომარეობის ბოროტად გამოყენება არის დომინანტური მდგომარეობის მქონე საწარმოს ქცევის ობიექტური კონცეფცია, რომელსაც შეუძლია, გავლენა მოახდინოს ბაზარზე, სადაც სწორედ ამ უკანასკნელი საწარმოს ოპერირების გამო არის შესუსტებული კონკურენციის დონე და იმ პირობების შექმნას, რომელიც განსხვავდება იმ გარემოებებისაგან, რომელშიც უნდა ხდებოდეს კომერციულ ტრანზაქციებში პროდუქტებისა და მომსახურებების კონკურენცია, შედეგად აქვს ან ბაზარზე ჯერ კიდევ არსებული კონკურენციის შენარჩუნებისათვის ხელის შეშლა ან კონკურენციის ზრდის პროცესის შეფერხება.

70. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ 82-ე მუხლი უკრძალავს დომინანტ საწარმოს კონკურენტის განადგურებას და შესაბამისად საკუთარი პოზიციების გამყარებას იმ მეთოდების გამოყენებით, რომლებიც განსხვავდება კონკურენციის დამახასიათებელი პირობებისაგან. აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს, ფასების ყველანაირი კონკურენცია არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კანონიერად.

71. ცვლადი ხარჯების ქვემოთ არსებული ფასები (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ფასები, რომლებიც, ძირითადად, დამოკიდებულია წარმოებული პროდუქციის რაოდენობაზე), რომლის მეშვეობითაც დომინანტი საწარმო ცდილობს კონკურენტის ჩამო-

³²³ Case C-62/86, *AKZO Chemie BV v. Commission* [1991] ECR I-3359, [1993] 5 CMLR 215.

შორებას, მიჩნეულ უნდა იქნეს მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად. დომინანტ სანარმოს ასეთი ფასების გამოყენების ინტერესი მხოლოდ თავისი კონკურენტის ჩამოშორების შემთხვევაში აქვს, რის შემდეგაც მას ექნება შესაძლებლობა, თავისი მონოპოლიური მდგომარეობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად გაზარდოს ფასი, ვინაიდან თითოეულ გაყიდვას დანაკარგი მოჰყვა, კერძოდ ფიქსირებული დანახარჯის სრული ოდენობა (ის ხარჯები, რომლებიც მუდმივია, მიუხედავად წარმოებული რაოდენობისა) და, სულ მცირე, წარმოებულ პროდუქტთან დაკავშირებული ცვლადი ხარჯების ნაწილი.

72. დამატებით, საშუალო საერთო ხარჯის ქვემოთ დადგენილი ფასი, იგივე ფიქსირებულ დანახარჯს დამატებული ცვლადი ხარჯი, რომელიც საშუალო ცვლად ხარჯზე მაღალია, ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ ეს იყო კონკურენტის აღმოფხვრის გეგმის ნაწილი. ასეთი ფასები შეიძლება გამომდინარეობდეს ბაზარზე მოქმედი სანარმოებისაგან, რომლებიც შეიძლება ისეთივე ეფექტურები იყვნენ, როგორც დომინანტი სანარმოები, მაგრამ მცირე ფინანსური რესურსების გამო არ შეეძლოთ მათეკნ მიმართულ კონკურენციასთან გამკლავება.

73. ეს არის კრიტერიუმები, რომლებიც უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეში.

74. ვინაიდან მისაღები ლეგიტიმურობის კრიტერიუმი დომინანტი სანარმოს ღირებულებებსა და სტრატეგიაზე დაფუძნებული, AKZO-ს მტკიცება კომისიის გამოძიების არაადეკვატურობაზე, რომელიც შეეხება მისი კონკურენტების ხარჯების სტრუქტურასა და ფასების პოლიტიკას, დასაწყისშივე უნდა უარიყოს.

საქმე *T-340/03, France Telecom SA v. Commission*:

130. როგორც მზაკვრული ფასების მარეგულირებელი სასამართლო პრაქტიკიდან ჩანს, პირველი, საშუალო ცვლად ხარჯებზე ნაკლები ფიქსირებული, ფასი იძლევა საფუძველს, ვივარაუდოთ რომ ფასების პოლიტიკა მიმართულია კონკურენტის განადგურებისაკენ, თუ ფასი არის მთლიან ხარჯზე ნაკლები, მაგრამ საშუალო ცვლად ხარჯზე მეტი, ის, შეიძლება მიჩნეულ იქნეს მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად თუ დადგინდება, რომ ის არის კონკურენტის განადგურების გეგმის ნაწილი (*AKZO v. Commission* პარა. 100, 71 და 72, საქმე T-83/91 *Tetra Pak v. Commission* [1994] ECR II-755, პარა. 148 და 149, სასამართლოს მიერ დადგენილი საქმეებში C-333/94 *P Tetra Pak v. Commission* [1996] ECR I-5951, პარა. 41 'The Tetra Pak Cases').

195. (...) რაც შეეხება 82-ე მუხლის გამოყენებას და ბოროტად გამოყენების მიზანსა და შედეგს შორის განსხვავებას, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუხლის გამოყენებისათვის არაკონკურენციული მიზნისა და არაკონკურენციული შედეგის ჩვენებას ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს ერთი და იგივე შედეგი. თუ ჩანს, რომ დომინანტი სანარმოს მიერ განხორციელებული ქმედება მიზნად ისახავდა კონკურენტის შეზღუდვას, მას ექნება ასეთივე შედეგი. ამდენად, რაც შეეხება ფასებთან დაკავშირებულ პრაქტიკას, როგორც საქმეში – *AKZO v. Commission*, პარა. 100-ში – დაადგინა სასამართლომ, დომინანტი სანარმოს მიერ დადგენილი საშუალო ცვლად ხარჯებზე ნაკლები ფასები მიიჩნევა ბოროტად გამოყენებად, რადგან ასეთი ფასების დადგენაში სანარმოს ერთადერთი ინტერესი არის კონკურენტების განადგურება, ხოლო პროდუქტის მთლიან ხარჯზე ნაკლები, მაგრამ საშუალო ცვლად ხარჯზე მეტი ფასი მიიჩნევა ბოროტად გამოყენებად, თუ ის არის კონკურენტის განადგურების გეგმის ნაწილი. ამ შემთხვევაში სასამართლო არ ითხოვს პრაქტიკაში რეალური შედეგის დემონსტრირებას.

196. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ, როდესაც დომინანტურ მდგომარეობაში მყოფი სანარმო რეალურად ახდენს პრაქტიკის იმპლემენტაციას, რომლის მიზანიც

კონკურენტის გაძევება იყო, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიანია, ეს ვითარება არ არის საკმარისი დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების არსებობის ფაქტის გამოსარიცხავად, 82-ე მუხლის მიხედვით (*Compagnie maritime belge transports and Others v. Commission*, პარა. 104, 149 და საქმე T-228/97 *Irish Sugar v. Commission* [1999] ECR II-2969, პარა. 191).

საქმე *P. Tetra Pak International SA v. Commission*³²⁴:

სასამართლო

24. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლის საკითხი არ შეიძლება დაისვას, ვინაიდან 82-ე მუხლი არ იძლევა აშკარა მიმართულებებს, პროდუქტის ბაზარზე თუ სად შეიძლება მოხდეს მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, როგორც ეს აღნიშნული იყო 113-ე პარაგრაფში. ასევე სასამართლომ 115-ე პარაგრაფში სწორად აღნიშნა, რომ დომინანტი სწარმოს განსაკუთრებული პასუხისმგებლობის მოცულობა განხილული უნდა იქნეს თითოეული საქმის იმ სპეციფიკური გარემოებებიდან გამომდინარე, რომლებიც მიუთითებს კონკურენტის შესუსტებაზე.

25. ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მითითებული სასამართლო გადაწყვეტილებები: გაერთიანებული საქმეები 6/73 და 7/73, *Commercial Solvents v. Commission* [1974] ECR 223 და საქმე 311/84 *CBEM v. CLT and IPB* [1985] ECR 3261, რომლებიც იძლევა მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ისეთ მაგალითებს, როდესაც ბოროტად გამოყენებით ქმედებას გავლენა აქვს სხვა ბაზარზე. საქმეში C-62/86 *AKZO v. Commission* [1991] ECR I-3359 და საქმეში T-65/89 *BPB Industries and British Gypsum v. Commission* [1003] ECR II-389, გაერთიანების სასამართლომ სხვა ბაზარზე მომხდარი ქმედება, რომელსაც გავლენა აქვს დომინირებულ ბაზარზე, ცნო მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად გააკეთა დასკვნა თავისი გადაწყვეტილების 116-ე პარაგრაფში, როდესაც უარყო აპლიკანტის ყველა არგუმენტი, რომ სასამართლომ უარყო 82-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობა იმ ბაზარზე მომხდარი ქმედების მიმართ, რომელიც განსხვავდება დომინირებული ბაზრისაგან.

26. არც გენერალური ადვოკატის მოსაზრების 61-ე პუნქტში ჩამოყალიბებული არგუმენტების გამო შეუძლია Tetra Pak-ს, მიიღოს რაიმე სახის მხარდაჭერა საქმეებიდან: 85/76 *Hoffmann-La Roche v. Commission* [1979] ECR 461 ან *Michelin v. Commission*.

27. სიმართლეა, რომ 82-ე მუხლის გამოყენება გულისხმობს დომინანტური მდგომარეობის კავშირს ბოროტად გამოყენების ფაქტთან, რაც, როგორც წესი, არ გვხვდება, როდესაც დომინირებული ბაზრისგან განსხვავებულ ბაზარზე განხორციელებული ქმედება გავლენას ახდენს ამავე განსხვავებულ ბაზარზე. განსხვავებული, მაგრამ ასოცირებული, ბაზრის შემთხვევაში, როგორც მოცემულია წინამდებარე საქმეში, 82-ე მუხლის გამოყენება ასოცირებულ, მაგრამ არა დომინირებულ, ბაზარზე მომხდარი ქმედების მიმართ და იმ სწარმოს მიმართ, რომელსაც გავლენა ჰქონდა ასევე ასოცირებულ ბაზარზე, გამართლებული უნდა იყოს განსაკუთრებული გარემოებებით.

28. ამასთან დაკავშირებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ თავისი გადაწყვეტილების 118-ე პარაგრაფში აღნიშნა: არსებითი იყო ის ფაქტი, რომ Tetra Pak-ს ჰქონდა საერთო ბაზრის 78% როგორც ასეპტიკური, ისევე არასეპტიკური მუყაოს შეფუთვაში, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას ჰქონდა შვიდჯერ მეტი წილი, ვიდრე

³²⁴ Case C-333/94 P, *Tetra Pak International SA v. Commission* [1996] ECR I-5951, [1997] 4 CMLR 662.

მის უახლოეს კონკურენტს. 119-ე პარაგრაფში მან აქცენტი გააკეთა *Tetra Pak*-ის წამყვან როლზე არაასეპტიკურ სექტორში. შემდეგ, 121-ე პარაგრაფში მან დაადგინა *Tetra Pak*-ის მდგომარეობა ასეპტიკურ ბაზარზე, სადაც ამ უკანასკნელის წილი შეადგენდა 90%-ს და იყო კვაზიმონოპოლისტური. მან აღნიშნა, რომ არსებულმა მდგომარეობამ *Tetra Pak* გადააქცია არაასეპტიკური სისტემების ყველაზე მისაღებ მომწოდებლად. დაბოლოს, 122-ე პარაგრაფში მან დაადგინა, რომ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, 82-ე მუხლის გამოყენება გამართლებული იყო სხვა ბაზრებზე არსებული მდგომარეობით და მათ შორის არსებული მჭიდრო ასოცირებული კავშირის გამო.

29. ასოცირებული კავშირის რელევანტურობა, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო მხედველობაში, არ შეიძლება იქნეს უარყოფილი. ფაქტი, რომ სხვადასხვა მასალა უნდა იყოს ჩართული ერთი და იმავე თხევადი პროდუქტების შესაფუთავად, აჩვენებს, რომ *Tetra Pak*-ის მომხმარებლები ერთ სექტორში არიან მისი პოტენციური მომხმარებლები სხვა სფეროში. ეს შესაძლებლობა ჩანს 1987 წლის სტატისტიკაში, რომელმაც გამოავლინა, რომ *Tetra Pak*-ის მომხმარებლების დაახლოებით 35% იძენს როგორც ასეპტიკურ, ასევე არაასეპტიკურ სისტემებს. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ *Tetra Pak*-ისა და მისი ყველაზე მნიშვნელოვანი კონკურენტი *PKL*-ის წარმოდგენილები იყვნენ ოთხივე ბაზარზე. თითქმის სრული დომინირების მიღების შემდეგ ასეპტიკური მასალის ბაზრებზე *Tetra Pak*-ს ასევე შეეძლო გათვლა გაეკეთებინა მისთვის სასურველ სტატუსზე არაასეპტიკური მასალის ბაზრებზე. თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე, პირველ ბაზარზე მას შეეძლო თავისი შესაძლებლობების კონცენტრირება ამ უკანასკნელზე სხვა ეკონომიკური სუბიექტებისაგან დამოუკიდებლად.

30. ზემოთ აღწერილი გარემოებები ერთად, და არა ცალ-ცალკე, ამართლებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და აბსოლუტურად არ არის საჭირო იმის ჩვენება, რომ *Tetra Pak*-ს ჰქონდა დომინირებული მდგომარეობა არაასეპტიკური მასალის ბაზარზე, ვინაიდან დადგინდა, რომ *Tetra Pak* სარგებლობდა ქმედების თავისუფლებით იმავე ბაზრებზე, სხვა ეკონომიკური პირებისაგან განსხვავებით.

31. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლო მართალი იყო, როდესაც გამოიყენა 82-ე მუხლი ამ საქმის მიმართ, ვინაიდან კვაზიმონოპოლიური მდგომარეობა ასეპტიკური მასალის ბაზარზე და მისი წამყვანი როლი ცალკეულ, მაგრამ მჭიდროდ ასოცირებულ, არაასეპტიკური მასალის ბაზარზე მას აყენებდა ისეთ მდგომარეობაში, რომელიც აბსოლუტურად შედარებადია ბაზარზე მთლიანად არსებულ დომინანტურ მდგომარეობასთან.

32. ასეთ მდგომარეობაში მყოფმა სანარმომ აუცილებლად უნდა განსაზღვროს, რომ მისი ქმედება მოხვდება 82-ე მუხლის მოქმედების ფარგლებში. ამდენად, აპლიკანტის არგუმენტის სანინააღმდეგოდ, სამართლებრივი დარწმუნების მოთხოვნები განხილულია.
(...)

39. მეოთხე საჩივარში *Tetra Pak*-მა განაცხადა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დაუშვა სამართლებრივი შეცდომა, როდესაც მან *Tetra Pak*-ის ფასები არაასეპტიკური მასალის ბაზარზე დაახასიათა როგორც მზაკვრული, და არ გაითვალისწინა დაედგინა ამ მიზნისათვის აუცილებელი რამ, რომ მას გონივრული მოსაზრება ჰქონდა მომავალში მიღებული დანაკარგების ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

40. *Tetra Pak* მიიჩნევს, რომ დანაკარგების ანაზღაურება მზაკვრული გაყიდვების შემდეგ არის არსებითი ნაწილი მზაკვრული ფასების ცნებაში. მისი მტკიცების მიხედვით, ეს ნათლად ჩანს *AKZO*-ს თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 71-ე პარაგრაფიდან.

ვინაიდან როგორც კომისია, ისე პირველი ინსტანციის სასამართლო მიიჩნევს, რომ ღირებულებაზე დაბალი ფასებით გაყიდვა ხდებოდა მხოლოდ არაასესპტიკური მასალის ბაზარზე, რომელზეც *Tetra Pak*-ს არ ჰქონდა დომინანტური მდგომარეობა, შესაბამისად, მას არ ჰქონდა რეალური შესაძლებლობა, მოგვიანებით აენაზღაურებინა მიღებული ზარალი.

41. *AKZO*-ს გადანყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა ორი სხვადასხვა მეთოდის არსებობა იმის გასაანალიზებლად, ახდენდა თუ არა საწარმო პრაქტიკაში მზაკვრული ფასების გამოყენებას. პირველ რიგში, ცვლადი ხარჯების საშუალო მაჩვენებელზე დაბალი ფასი ყოველთვის მიიჩნევა ბოროტად გამოყენებად. ასეთ შემთხვევაში არ არსებობს სხვა ეკონომიკური სტიმულატორი, გარდა კონკურენტის განადგურებისა, ვინაიდან ყველა წარმოებულ და გაყიდულ პროდუქტს საწარმოსთვის მოაქვს მხოლოდ ზარალი; მეორე, ფასები, რომელიც არის მთლიანი ხარჯის საშუალო მაჩვენებელზე დაბალი, მაგრამ ცვლადი ხარჯების საშუალო მაჩვენებელზე მაღალი, მიიჩნევა ბოროტად გამოყენებად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ამ ქმედების მიზანი არის კონკურენტის აღმოფხვრა.

42. გასაჩივრებული გადანყვეტილების 150-ე პარაგრაფში პირველი ინსტანციის სასამართლომ განახორციელა იგივე კვლევა, რომელიც სასამართლომ *AKZO*-ს საქმეში. მან დაადგინა, რომ იტალიაში არაასესპტიკური მუყაოს გაყიდვისას 1976-1981 წლებში ფასები ბევრად დაბალი იყო, ვიდრე საშუალო ცვლადი ხარჯი. შესაბამისად, კონკურენტის განადგურების მიზნის დადასტურება არ იყო საჭირო. 1982 წელს ფასები იმავე მუყაოსათვის მერყეობდა საშუალო ცვლად ხარჯსა და საშუალო მთლიან ხარჯს შორის. ამ მიზეზით მისი გადანყვეტილების 151-ე პარაგრაფში პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, – და აპლიკანტს არ გაუკრიტიკებია ის ამ მიმართულებით, – რომ *Tetra Pak*-ის მიზანი იყო კონკურენტის აღმოფხვრა.

43. პირველი ინსტანციის სასამართლო ასევე მართალი იყო, როდესაც მისი გადანყვეტილების 189-ე და 191-ე პარაგრაფებში გამოიყენა იგივე მსჯელობა არაასესპტიკური აპარატების გაყიდვასთან დაკავშირებით დიდ ბრიტანეთში 1981 და 1984 წლებში.

44. ამას გარდა, არ იქნებოდა სწორი წინამდებარე საქმის გარემოებებში იმის მტკიცების მოთხოვნა, რომ *Tetra Pak*-ს რეალური შანსი ჰქონდა, აენაზღაურებინა მიღებული ზარალი. შესაძლებელი უნდა იყოს მზაკვრული ფასის გამოყენების დასჯა, თუკი არსებობს კონკურენტის განადგურების რისკი. პირველი ინსტანციის სასამართლომ თავისი გადანყვეტილების 151-ე და 191-ე პარაგრაფებში დაადგინა, რომ წინამდებარე საქმეში ასეთი რისკი არსებობდა. მიზანი, რომ არ მოხდეს კონკურენტის ხელყოფა, გამორიცხავს ჩარევის გადადებას და სტრატეგიის მიერ კონკურენტის რეალურ განადგურებამდე დალოდებას.

საქმეები *C-395 და 396/96 P, Compagnie Maritime Belge and Others v. Commission*³²⁵:

ევროპული სასამართლო

111. საჩივრის მესამე საფუძველი მოიცავს შეკითხვას, თუ რამდენად შეიძლება მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, როგორც ეს განმარტებულია გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში, იყოს ამგვარად დახასიათებული.

112. მიღებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, 82-ე მუხლში მოცემული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალული სია არ არის ამომწურავი

³²⁵ Cases C-395 and 396/96 P, *Compagnie Maritime Belge and Others v. Commission* [2000] ECR-I-1365, [2000] 4 CMLR 1076.

(საქმე 6/72 *Europemballage and Continental Can v. Commission*, (...) პარა. 26).

113. გარდა ამისა, დადგენილია, რომ გარკვეულ გარემოებებში ბოროტად გამოყენება შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ დომინანტი საწარმო ისე იძლიერებს მდგომარეობას, რომ მის მიერ დომინანტობის მიღწეული დონე არსებითად არღვევს კონკურენციას (*Europemballage and Continental Can* (...) პარა. 26).

114. დამატებით, დომინანტი საწარმოსათვის დაკისრებული განსაკუთრებული პასუხისმგებლობის მოცულობა განხილულ უნდა იქნეს თითოეული საქმის განსაკუთრებული გარემოებების მიხედვით, რაც მიუთითებს კონკურენციის შესუსტებაზე (საქმე 333/94 *P, Tetra Pak International SA v. Commission* (...) პარა. 24).

115. საზღვაო ტრანსპორტის ბაზარი არის ძალიან სპეციალიზებული. სწორედ ამ ბაზრის სპეციფიკურობის გამო შექმნა საბჭომ №4056/86 რეგულაციაში სხვა ეკონომიკური სექტორების მიმართ მოქმედისაგან განსხვავებული კონკურენციის წესები. უფლებამოსილება, რომელიც მიენიჭა შეუზღუდავი ვადით ლაინერების სათათბიროს, რათა ფიქსირებული ტარიფებით ეთანამშრომლათ საზღვაო ტრანსპორტთან, შესაბამისი რეგულაციებისა და კონკურენციის პოლიტიკის მიხედვით გამონაკლისია.

116. №4056/86 რეგულაციის პრეამბულის მერვე აბზაციდან ნათელია, რომ ლაინერების სათათბიროსთვის უფლებამოსილების შეუზღუდავი ვადით მიენიჭება, რათა ფიქსირებული ტარიფებით ეთანამშრომლათ საზღვაო ტრანსპორტთან, გამონკვეული იყო მათ სტაბილურობაზე გავლენის მოხდენის მიზნით და მათი მცდელობით, შეექმნათ ადეკვატურად ეფექტური საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების განრიგი. შედეგი შეიძლება იყოს ის, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ლაინერის ერთ სათათბიროს აქვს დომინანტური მდგომარეობა კონკრეტულ ბაზარზე, ამ მომსახურების მიმღებს შესაძლოა ჰქონდეს მცირე ინტერესი, მიმართოს დამოუკიდებელ კონკურენტს, თუ ეს უკანასკნელი ვერ შეძლებს, შესთავაზოს მას ლაინერების სათათბიროს მიერ შეთავაზებულ ფასებზე დაბალი ფასი.

117. აქედან გამომდინარეობს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც დომინანტ მდგომარეობაში მყოფი ლაინერების სათათბირო შერჩევით, განზრახ ამცირებს ფასებს იმ მიზნით, რომ მიუახლოოს თავისი კონკურენტისას, ის იღებს ორმაგ სარგებელს: პირველი, ის ანადგურებს არსებით და, შესაძლოა, კონკურენციის ერთადერთ შესაძლებლობას; მეორე, მას შეუძლია გააგრძელოს თავისი მომხმარებლებისაგან უფრო მაღალი ფასების გადახდის მოთხოვნა მისი მომსახურებისათვის, რაზეც გავლენას არ მოახდენს კონკურენცია.

118. ამ საქმეში არ არის აუცილებელი წესების მიღება გარემოებებზე, რომელშიც ლაინერების სათათბიროს შეუძლია, კანონიერად, თითოეული საქმის ანალიზზე დაყრდნობით, დაადგინოს მის მიერ რეკლამაში გამოყენებულ ფასზე ნაკლები ფასი იმისათვის, რომ კონკურენცია გაუწიოს თავის კონკურენტს, ან გადაწყვეტილება მიიღოს №4056/86 რეგულაციის 1-ლი მე-3 ბ მუხლის – „უნიფორმა თუ საერთო საზღვაო ტარიფები“ – გამოთქმის საფუძველზე.

119. არსებითაა იმის აღნიშვნა, რომ განსახილველი ქმედება ამ საქმეში არის შემდეგი: სათათბიროს აქვს საბაზრო წილის 90% და ჰყავს ერთი კონკურენტი. მიუხედავად ამისა, აპლიკანტებს სერიოზულად არასოდეს უდავიათ და, შესაბამისად, მოსმენაზე დაადასტურეს, რომ გასაჩივრებული ქმედების მიზანი იყო ბაზარზე კონკურენციის განადგურება G&C-ის მხრიდან.

120. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს არ დაუშვია შეცდომა, როდესაც

საც მიიღო კომისიის პროტესტი, რომ „მოჩხუბარი გემების“ სახელით ცნობილი პრაქტიკა, რომელიც მიმართული იყო G&C-ის მიმართ და შეესაბამებოდა მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, იყო გამართლებული. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში საერთოდ არ დგას ბოროტად გამოყენების პრაქტიკის ახალი დეფინიციის შემოტანის საკითხი.

121. შესაბამისად, „მოჩხუბარი გემების“ გასაჩივრების საფუძველი უნდა უარიყოს როგორც მიუღებელი და დაუდგენელი.

საქმე *Irish Sugar PLC v. Commission*³²⁶:

პირველი ინსტანციის სასამართლო

111. სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ „ბოროტად გამოყენება“ არის ობიექტური კონცეფცია. იგი შეეხება დომინანტი სანარმოს ქცევას, რომელიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ბაზრის სტრუქტურაზე, სადაც სანარმოს ყოფნის შედეგად კონკურენცია უკვე შესუსტებულია და რომელიც პროდუქტისა და მომსახურების კომერციული ტრანზაქციების მმართველი ნორმალური კონკურენციის მეთოდებისაგან განსხვავებული გზებით მოქმედებს და ინვესტს კონკურენციის არსებული დონის შეზღუდვას ან კონკურენციის დონის განვითარების დაბრკოლებას (*Hoffmann-La Roche* (...) პარა. 91). შესაბამისად, 82-ე მუხლი უკრძალავს დომინანტ სანარმოს კონკურენტის განადგურებას და ამ გზით მდგომარეობის გაძლიერებას იმ მეთოდების გამოყენებით, რაც არ ჯდება კონკურენციის ფარგლებში. ამ თვალსაზრისით, **ფასზე არსებული ყველა ფორმის კონკურენცია მიჩნეულ უნდა იქნეს ლეგიტიმურად** (*AKZO* (...) პარა. 70). **82-ე მუხლში გათვალისწინებული აკრძალვა შეიძლება გამართლებულ იქნეს ასევე იმ ფაქტით, რომ ზიანი არ მიაღდა მომხმარებელს** (*Continental Can*, პარა. 26 *Suiker Unie* პარა. 526 და 527 (...)).

112. აქედან გამომდინარე, რადგან დომინანტური მდგომარეობის არსებობის დადგენა თავისთავად არ გულისხმობს რაიმე საყვედურს ჩართული სანარმოს მიმართ, მისი მდგომარეობის მიზეზების მიუხედავად, მას აქვს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, არ მისცეს საკუთარ ქმედებებს საშუალება, შელახოს არსებული დაუმახინჯებელი კონკურენციის პირობები (*Michelin*, პარა. 57 (...)); ასევე, ვინაიდან იმ ფაქტს, რომ დომინანტურ მდგომარეობაში მყოფ სანარმოს არ შეიძლება ჩამოერთვას თავისი კომერციული ინტერესების დაცვის ფუნქცია, როდესაც ხდება მათზე თავდასხმა და ვინაიდან ასეთ სანარმოს უნდა მიეცეს უფლება, გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომლებიც მას სწორად მიაჩნია თავისი ინტერესების დასაცავად, მას არ შეიძლება მიეცეს ასეთი ქმედების განხორციელების უფლება, თუ მიზანი დომინანტური მდგომარეობის გამყარება და, შესაბამისად, მისი ბოროტად გამოყენებაა (*United Brands*, პარა. 189, *BPB Industries*, პარა. 69; საქმე 83/91 *Tetra Pak II*, პარა. 147, საქმე T-24/93 *CMB*, პარა. 107 (...)).

189. ამდენად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დომინანტურ მდგომარეობაში მყოფ სანარმოს აქვს უფლება, დაიცვას თავისი კომერციული ინტერესები, თუ მათ რაიმე ემუქრებათ (იხ. პარა. 112), დომინანტი სანარმოს კომერციული პოზიციის დაცვა, რომელიც ხასიათდება ამ შემთხვევაში აპლიკანტის მსგავსი მახასიათებლებით, რათა იყოს კანონიერი, უკიდურეს შემთხვევაში, უნდა ეყრდნობოდეს ეკონომიკური ეფექტურობის კრიტერიუმს და უნდა შეესაბამებოდეს მომხმარებლის ინტერესებს. ამ შემთხვევაში აპლიკანტს არ უჩვენებია, რომ აღნიშნული პირობები შესრულდება.

³²⁶ Case T-228/97, *Irish Sugar PLC v. Commission* [1999] ECR II-2969, [1999] 5 CMLR 1300.

პირველი ინსტანციის სასამართლო

ექსკლუზიური შესყიდვითი შეთანხმებების ბოროტად გამოყენებითი ხასიათი

65. საქმეში – *limine* – სასამართლო მიიჩნევს, რომ აპლიკანტი მართალია თავის შეხედულებაში, რომ მყიდველისათვის წამახალისებელი ფასის გადახდევინება არის სტანდარტული პრაქტიკა, რაც მიმწოდებელსა და დისტრიბუტორს შორის კომერციული თანამშრომლობის ნაწილია. ნორმალური საბაზრო კონკურენციის პირობებში ასეთი კონტრაქტები ორივე მხარის ინტერესის სფეროა. მიმწოდებელი, შესაბამისად, ცდილობს, დაიცვას თავისი გაყიდვები მოთხოვნის ლოიალობის უზრუნველყოფის გზით, როდესაც დისტრიბუტორს, თავის მხრივ, შეუძლია დაეყრდნოს მიწოდების უსაფრთხოებას და მასთან დაკავშირებულ კომერციულ შესაძლებლობებს.

66. ასეთი ფორმის კომერციული თანამშრომლობისთვის უჩვეულო არ არის სანაცვლოდ ექსკლუზიური შესყიდვითი ვალდებულების გაჩენა, ან რაიმე ვალდებულების წარმოშობა ზემოთ აღნიშნული გადახდის მიმღების მიერ მიმწოდებლისადმი. ამგვარი ექსკლუზიური წამახალისებელი ფასის გადახდა არ შეიძლება აიკრძალოს. როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა საქმეში – *T-61/89, Dansk Pelsdyravlterforening v. E.C. Commission*, ... ასეთი ვალდებულების შედეგების შეფასება ბაზრის ფუნქციონირებაზე დამოკიდებულია ამ სახის ბაზრის მახასიათებლებზე. როგორც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა საქმეში – *C-234/89, Delimitis v. Henninger Brau*, ძირითადად, აუცილებელია ბაზარზე ამგვარი გავლენის შეფასება, მათი სპეციფიკური კონტექსტიდან გამომდინარე.

67. მაგრამ ეს მოსაზრებები, რომლებიც გამოიყენება ნორმალური კონკურენტული ბაზრის მიმართ, არ შეიძლება ასე უნივერსალურად იქნეს მიღებული იმ ბაზრის შემთხვევაში, სადაც დომინანტი საწარმოს არსებობის გამო კონკურენცია თავისთავად შეზღუდულია. დომინანტი საწარმოს ეკისრება განსაკუთრებული ვალდებულება, საკუთარი ქმედებით საერთო ბაზარზე არ გამოიწვიოს კონკურენციის არსებითი რღვევა (საქმე – *322/81 Michelin v. Commission*, პარა. 57 (...)).

68. რაც შეეხება გასაჩივრებული ვალდებულების ხასიათს, სასამართლო განიხილავს, რომ, როგორც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, საწარმო, რომელიც არის დომინანტი და რომელიც ერთმანეთთან კრავს მყიდველებს, – იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის ამას აკეთებს მათი მოთხოვნის შემთხვევაში, – მათი ვალდებულების ან დაპირების გამო, რომ მოახდენენ მათი მოთხოვნის სრულ ან დიდი ნაწილის დაკმაყოფილებას ექსკლუზიურად დომინანტი საწარმოს მხრიდან, 82-ე მუხლის მიხედვით, ბოროტად იყენებს თავის მდგომარეობას (...), არ აქვს მნიშვნელობა, ეს განპირობებულია შემდგომი კვალიფიკაციის არარსებობით, თუ მომავალში შესაბამისი დახმარების მიღებით (საქმეები: *85/76 Hoffmann-La Roche v. Commission* (...) პარა. 89 (...) *C-62/86 AKZO v. Commission* (...) პარა 149). ასეთი მოგვარება გამართლებულია იმ ფაქტით, რომ, როგორც წინამდებარე საქმეში, ეკონომიკურ ოპერატორს ძლიერი მდგომარეობა აქვს ბაზარზე, ექსკლუზიური მიწოდების კონტრაქტის დადება არსებითი შესყიდვის მიზნით შეესაბამება ბაზარზე შესვლის მიუღებელ ბარიერს. ფაქტი, – თუნდაც მისი დადგენის შემთხვევაში, – რომ წამახალისებელი გადახდა იყო მოთხოვნის და ზრდადი შესყიდვითი ძალაუფლების პასუხი, არცერთ შემთხვევაში არ გაამართლებდა მიწოდების კონტრაქტში ექსკლუზიური პირობის ჩადებას. შესაბამისად, აპლიკანტს

³²⁷ Case T-65/89, *BPB Industries and British Gypsum Ltd v. Commission* [1993] ECR II-389, [1993] 5 CMLR 32.

არ შეუძლია ამტკიცოს, რომ კომისიას არ დაუდგენია აღნიშნული პრაქტიკის ბოროტად გამოყენებითი ხასიათი და არ არის აუცილებელი მხარეებს შორის დავისათვის შესყიდვასთან დაკავშირებით ექსკლუზიურობის მახასიათებლების მიცემა, რადგან სასამართლოს წინაშე არსებული დოკუმენტებიდან ცხადია, რომ განსახილველი საკონტრაქტო პირობები უკავშირდება ყველა, ან თითქმის ყველა, მომხმარებლის შესყიდვით საქმიანობას.

70. სასამართლო შემდეგ განიხილავს, რომ ბოროტად გამოყენება არის ობიექტური კონცეფცია და რომ, შესაბამისად, დომინანტი სანარმოო ქმედება, 82-ე მუხლის მიხედვით, შესაბამისად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ასეთად ბრალის არარსებობის შემთხვევაშიც კი. შესაბამისად, აპლიკანტის არგუმენტს, რომლის მიხედვითაც BG-ს არასოდეს ჰქონია მიზნად Iberian-ის შესუსტება თუ დაჩაგვრა, არაფერი აქვს საერთო ფაქტების სამართლებრივ კლასიფიკაციასთან.

71. იმ შემთხვევაშიც კი, თუ დადასტურდება, რომ სისტემის ერთ-ერთი მიზანი, როგორც ამას აპლიკანტი ამტკიცებს, იყო საერთოდ პლასტიკის პროდუქციის მხარდაჭერა, უნდა აღინიშნოს, ამას მივყავართ გადასახადის მეშვეობით დახმარებამდე, რაც მკაცრად განპირობებულია BG-ს მიმართ ექსკლუზიური ლოიალობით და, აქედან გამომდინარე, არის მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, მიუხედავად იმ არგუმენტისა, რომ შემწყნარებლობა კონკრეტული ბრენდის მიმართ არ არსებობს.

72. ასევე, აპლიკანტის მითითებამ თავისი კონკურენტის მიწოდებაზე არსებულ სირთულეებთან დაკავშირებით, არ შეიძლება გაამართლოს მათ მიერ დანტყებული ექსკლუზიური მიწოდების შეთანხმება, ვინაიდან არ შეუძლიათ, გონივრულად ამტკიცონ, რომ მათ მომხმარებლებს არ შეეძლოთ, მათი საბაზრო პოლიტიკის მისადაგებისას მხედველობაში მიეღოთ აღნიშნული სირთულეები.

73. არგუმენტს, რომ მყიდველებს ჰქონდათ შესაძლებლობა, ნებისმიერ დროს შეეწყვიტათ საკონტრაქტო ურთიერთობა BG-სთან, არ აქვს ძალა, რადგან კონტრაქტის მოქმედების შეწყვეტის უფლება მათთვის არ გამოიციხავს ამ კონტრაქტის პირობების გამოყენებას იმ დრომდე, სანამ ის გამოიყენებს აღნიშნულ უფლებას. ასევე უნდა აღინიშნოს, დომინანტურ მდგომარეობაში მყოფი სანარმო იმდენად ძლიერია, რომ შეუძლია მოსთხოვოს მომხმარებლებს არა მარტო კონტრაქტის ხელმოწერა, არამედ მისი შენარჩუნება, რათა შეწყვეტის სამართლებრივი შესაძლებლობა იყოს მოჩვენებითი. ირლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიაში განხორციელებული პრაქტიკა

119 (...) სასამართლოს მიხედვით, პირველი დოკუმენტური მტკიცებულებების პირველადი ანალიზის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების პრევენტაციიდან, რომელიც ამ ეტაპისთვის არ არის გასაჩივრებული, არსებითად ნათელია, რომ BG-მ გადამწყვიტა, გამოეყო 4% ანაზღაურებითი თანხა და გადაეცა ჩრდილოეთირლანდიელი მყიდველისათვის, რომელიც მიზნად ისახავდა ესპანეთიდან საპლასტერო დაფის იმპორტს. იმავე დროს, მან გადამწყვიტა, დაებრუნებინა თანხის 5% იმ მყიდველისათვის, რომელიც დათანხმდა, ექსკლუზიურად მიეღო BG-ს მიერ მიწოდებული საქონელი. ასეთი პრაქტიკა, თავისი დისკრიმინაციული ხასიათიდან გამომდინარე, აშკარად მიმართული იყო იმ მომხმარებლების დასჯისაკენ, რომლებიც აპირებდნენ საპლასტერო დაფების იმპორტირებას, რაზეც მათთვის გამიზნული იყო უარის თქმა, რათა შემდგომშიც გაეგრძელებინათ BG-ს მხარდაჭერა საპლასტერო დაფის ბაზარზე.

120. მეორე, სასამართლო აღნიშნავს, რომ, როგორც ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია (გადაწყვეტილებაში – *Michelin* (...)), იმ მომწოდებლის მიერ, რომელიც დომინანტურ მდგომარეობაში იმყოფება და რომელზეც მეტ-ნაკლებად არის დამოკიდებული

მომხმარებელი, თავისი ფინანსური უპირატესობის გამო, ლოიალური ანაზღაურების მეთოდების გამოყენება იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა უარი თქვას თავისი კონკურენტი საწარმოსაგან იმავე მიწოდების მიღებაზე, შეესაბამება 82-ე მუხლით გათვალისწინებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. ...ამასთან დაკავშირებით მცირე მნიშვნელობისაა, არსებობდა თუ არა, აპლიკანტის მტკიცების მიხედვით, ექსკლუზიური მიწოდების შეთანხმება, რომლის განმავლობაში ფასდაკლების უპირატესობა იყო პირობითი, მომხმარებელზე გათვლილი ერთ-ერთი პირობა.

საქმე *Manufacture Francaise Des Pneumatiques Michelin v. Commission*³²⁸:

პირველი ინსტანციის სასამართლო

56. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან ნათელია, რომ თანხების ანაზღაურება დომინანტი საწარმოს მიერ, იგივე ლოიალური ანაზღაურება, რომელიც ხდება მომხმარებელი საწარმოს მიერ მისი გაყიდვების ექსკლუზიურობის, ან თითქმის ექსკლუზიურობის სანაცვლოდ დომინანტი საწარმოს მიმართ, ეწინააღმდეგება 82-ე მუხლს. ასეთი ანაზღაურება გამონვეულია ფინანსური უპირატესობით, რათა მომხმარებელმა არ მოახდინოს კონკურენტი საწარმოსგან მოთხოვნის დაკმაყოფილება (გაერთიანებული საქმეები: 40/73-იდან 48/73-ამდე, 50/73, 54/73-იდან 56/73-ამდე 111/73, 113/73 და 114/73 *Suiker Unie and others v. Commission* [1975] ECR 1663, პარა. 518; *Hoffmann-La Roche v. Commission* (...), პარა.: 89 და 90; *Michelin v. Commission* (...) პარა. 71; და საქმე T-65/89 *BPB Industries and British Gypsum v. Commission* (...) პარა. 120).

57. უფრო ზოგადად, როგორც აპლიკანტი ამტკიცებს, ანაზღაურების სისტემა, რომელსაც აქვს ბაზრის დახურვის ეფექტი, ეწინააღმდეგება 82-ე მუხლს, თუ მისი გამოყენება ხდება დომინანტი საწარმოს მიერ. ამ მიზეზის გამო სასამართლომ დაადგინა, რომ ანაზღაურება, რომელიც შეეხება გაყიდვის მიზნის მიღწევას, ასევე ეწინააღმდეგება 82-ე მუხლს (*Michelin v. Commission* (...)).

58. რაოდენობითი ანაზღაურების სისტემას, რომელიც დაკავშირებულია გაყიდვების მოცულობასთან და რომელიც ხორციელდება დომინანტი საწარმოს მიერ, საერთო დამოკიდებულების მიხედვით, არ გააჩნია ბაზრის დახურვის ეფექტი, რომელიც იკრძალება 82-ე მუხლით (იხ. *Michelin v. Commission* (...) პარა. 71 და საქმე C-163/99 *Portugal v. Commission* [2001] ECR I-2613, პარა. 50). თუ გაზრდილი რაოდენობა შედეგად მოიტანს დაბალ ხარჯებს მომწოდებლისათვის, ამ უკანასკნელს აქვს უფლება, მოახდინოს შემცირება მომხმარებლის სასარგებლოდ უფრო მეტად ხელსაყრელი ტარიფის ფორმით (...).

59. აქედან გამომდინარეობს, რომ ანაზღაურების სისტემა, რომელშიც ფასდაკლების სისტემა იზრდება შესყიდვის მოცულობასთან ერთად, არ დაარღვევს 82-ე მუხლს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ანაზღაურების წესი და კრიტერიუმები გამოავლენს, რომ სისტემა არ არის ეკონომიკურად გამართლებული პრივილეგიის გათვალისწინებით და მიზნად ისახავს ლოიალურ და მიზანმიმართულ ანაზღაურებას, მომხმარებელს აარიდოს თავისი კონკურენტებისაგან პროდუქციის მიღება (იხ. *Hoffmann-La Roche v. Commission* (...), ციტირებული 54-ე პუნქტში, პარა. 90; *Michelin v. Commission* (...) პარა. 85; *Irish Sugar v. Commission* (...) პარა. 114; და *Portugal v. Commission* (...) პარა. 52).

60. იმის განსაზღვრაში, არის თუ არა რაოდენობითი ფასდაკლების სისტემა მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, აუცილებელია, განხილულ იქნეს ყველა გარემოება, კერძოდ კი გრანტის გაცემის მარეგულირებელი კრიტერიუმები და წესები და გამოძიებულ იქნეს,

³²⁸ Case T-203/01, *Manufacture Francaise Des Pneumatiques Michelin v. Commission* [2004] 4 CMLR 923.

პრივილეგიის მინიჭებისას ეფუძნებოდა თუ არა ის გამამართლებელ ეკონომიკურ მომსახურებას, თუ ანაზღაურების მიზანი იყო მყიდველის მიერ მოწოდების წყაროს არჩევის თავისუფლების შეზღუდვა თუ გაუქმება, რომლის მეშვეობითაც მოხდებოდა კონკურენტების დაშვება ბაზარზე და სანარმო გამოიყენებდა არათანაბარ პირობებს ერთი და იმავე ტრანზაქციების დროს სხვადასხვა სავაჭრო პარტნიორის მიმართ, ან მიზანი იქნებოდა დომინანტური მდგომარეობის გაძლიერება თუ კონკურენციის მოშლა (*Hoffmann-La Roche v. Commission(...)*, პარა. 90; *Michelin v. Commission (...)* პარა. 73; *Irish Sugar v. Commission (...)* პარა. 114). (...)

62. სასამართლო აღნიშნავს, რომ ფასდაკლებათა სისტემის უბრალო მახასიათებელი, როგორცაა რაოდენობრივი ანაზღაურება, არ ნიშნავს, რომ ასეთი ფასდაკლებები შეესაბამება 82-ე მუხლს. აუცილებელია გათვალისწინება ყველა იმ გარემოებისა, კერძოდ კი იმ კრიტერიუმებისა და წესებისა, რომლებიც გამოიყენება ფასდაკლებების დაწესებისას და გამოკვლევა ისეთი უპირატესობის გამოყენებისა, რაც არ იყო გამართლებული ეკონომიკური მომსახურებით, ანუ: რამდენად ისახავდა მიზნად მყიდველის მიერ მოწოდებასთან დაკავშირებული არჩევანის გაკეთების თავისუფლების შეზღუდვას თუ გაუქმებას, კონკურენტის მიერ ბაზარზე შეღწევის შეზღუდვას, არათანაბარი პირობების გამოყენებას ერთი და იმავე ტრანზაქციებისათვის სხვადასხვა სავაჭრო პარტნიორის მიმართ ან დომინანტი მდგომარეობის გაძლიერებას კონკურენციის მოშლის გზით (იხ. მე-60 პარაგრაფში ციტირებული გადაწყვეტილებები). (...)

64. გასაჩივრებული გადაწყვეტილებიდან ნათელია, კომისია მიიჩნევს, რომ რაოდენობრივი ანაზღაურების სისტემა, რომელიც გამოიყენება აპლიკანტის მიერ, შეესაბამება 82-ე მუხლის დარღვევას, ვინაიდან ის არ არის სამართლიანი, არის ლოიალობის გამომწვევი და აქვს დანაწილების ეფექტი (...).

65. სასამართლო პრაქტიკიდან, როგორც წესი, უნდა იქნეს მიღებული, რომ ლოიალობის გამომწვევ ანაზღაურების სისტემას, რომელიც გამოიყენება დომინანტი სანარმოს მიერ, აქვს 82-ე მუხლის მიერ აკრძალული ბაზრის დახურვის ეფექტი (იხ. პარა.: 56 და 60), მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს სისტემა დისკრიმინაციული. საქმეში – *Michelin v. Commission...*, სასამართლომ კომისიის გადაწყვეტილების სამართლიანობის განხილვისას (...) არ დაადასტურა კომისიის მტკიცება, რომ *Michelin*-ის მიერ გამოყენებული ანაზღაურების სისტემა იყო დისკრიმინაციული, მიუხედავად იმისა, რომ ის არღვევდა 82-ე მუხლს, ვინაიდან ის დილერებს აქცევდა თავისზე დამოკიდებულ მდგომარეობაში.

66. სასამართლო მიიჩნევს, რომ აუცილებელია, პირველი, – განხილულ იქნეს, ჰქონდა თუ არა კომისიას საპატიო მიზეზი, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში დაედგინა, რაოდენობითი ანაზღაურების სისტემა იყო ლოიალობის გამომწვევი, თუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის მომხმარებლებს დამოკიდებულს ხდიდა აპლიკანტზე, რის შემდეგაც ისინი აღარ ახდენდნენ მოწოდების მიღებას აპლიკანტის კონკურენტი მომწოდებლისგან. როგორც კომისიამ თავისი დასკვნის დაცვით ნაწილში აღნიშნა, სისტემის უსამართლობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ლოიალობის გამომწვევ ეფექტთან. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ლოიალობის გამომწვევი ანაზღაურების სისტემა, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, არის ასევე დამანაწევრებელი, ვინაიდან ის მიმართულია მომხმარებლისათვის სხვა მწარმოებლისაგან მიწოდების მიღების არიდებისაკენ. (...)

95. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ რაოდენობითი ანაზღაურების სისტემას, რომელშიც არსებობს სერიოზული განსხვავებები ფასდაკლების ტარიფებში მაღალ და დაბალ ზღვარს შორის, რომელიც მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში და რომელიც დადგენილია მიღებული წილის მთლიანი ბრუნვის საფუძველზე, აქვს ლოიალობის გამომწვევი ფასდაკლების სისტემის მახასიათებლები.

96. დამატებით, როგორც აპლიკანტი აღნიშნავს, ფასებისა და ნებისმიერი ფასდაკლების კონკურენციის მიზანი არის, წახალისოს მომხმარებელი, შეიძინოს მეტი პროდუქცია ერთი და იმავე მიმწოდებლისგან.

97. თუმცა დომინანტურ მდგომარეობაში მყოფ საწარმოს აქვს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, საკუთარი საქციელით, არ დაუშვას გამართული კონკურენციის მოშლა საერთო ბაზარზე (*Michelin v. Commission (...)* პარა. 57). ფასებზე არსებული ყველა ფორმის კონკურენცია არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კანონიერად (*AKZO v. Commission (...)* პარა. 70, *Irish Sugar v. Commission(...)* პარა. 111). დომინანტურ მდგომარეობაში მყოფ საწარმოს არ შეუძლია სხვა მეთოდების გამოყენება, გარდა კონკურენციის პირობებით გათვალისწინებულისა (*Irish Sugar v. Commission(...)* პარა. 111).

98. ასეთ გარემოებებში აუცილებელია იმის განსაზღვრა, გამოხატვის მიუხედავად, აპლიკანტის მიერ გამოყენებული რაოდენობრივი ანაზღაურების სისტემა ეფუძნება თუ არა ეკონომიკურ პრივილეგიას, რისი გამართლებაც შესაძლებელია ეკონომიკური თვალსაზრისით (ამასთან დაკავშირებით იხ.: *Michelin v. Commission (...)* პარა. 73; *Irish Sugar v. Commission (...)* პარა. 114; *Portugal v. Commission (...)* პარა. 52) თუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის აპლიკანტის მიერ ეკონომიკური მასშტაბის ფარგლებში ანაზღაურება დიდი რაოდენობით შეკვეთებზე. თუ მიწოდების რაოდენობის გაზრდა შედეგად მოიტანს მიმწოდებლისთვის დაბალი ხარჯების მიღებას, ამ უკანასკნელს უფლება აქვს, მოახდინოს მომხმარებლისთვის ფასების შემცირება მეტად ხელსაყრელი ტარიფის შეთავაზების ფორმით (გენერალურ ადვოკატ მიშოს მოსაზრება საქმეში – *Portugal v. Commission (...)* 106-ე ნაწილი). (...)

100. უნდა გავითვალისწინოთ, რომ, მიღებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, დომინანტურ მდგომარეობაში მყოფი საწარმოს მიერ ფასდაკლებების სისტემის გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს ეკონომიკურად გამართლებულ უპირატესობას (*Michelin v. Commission (...)* პარა. 85; *Irish Sugar v. Commission (...)* პარა. 114; *Portugal v. Commission (...)* პარა. 52). შესაბამისად, რაოდენობრივი ანაზღაურების სისტემა შეესაბამება 82-ე მუხლს, თუ დილერებისათვის მიწოდებული უპირატესობა გამართლებულია მათ მიერ განპირობებული ბიზნესის მოცულობით ან ნებისმიერი მასშტაბის ეკონომიით, რომელიც შეუძლია მიიღოს მიმწოდებელმა (*Portugal v. Commission (...)* პარაგრაფი 52). (...)

107. მნიშვნელოვანია ასევე იმის შემოწმება, თუ რამდენად დაადგინა აპლიკანტმა, რომ ანაზღაურების სისტემა, რომელსაც აქვს ლოიალობის გამომწვევი მახასიათებლები, ეფუძნებოდა ობიექტურ ეკონომიკურ მიზეზებს (ამასთან დაკავშირებით იხ. *Irish Sugar v. Commission (...)* პარა. 188; *Portugal v. Commission (...)* პარა. 56).

108. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით აპლიკანტი არ გვანჯდის არანაირ სპეციფიკურ ინფორმაციას. ის, უბრალოდ, აცხადებს, რომ დიდი ოდენობის შეკვეთები ინვესტს ეკონომიას, ხოლო მომხმარებელს აქვს უფლება, მიიღოს ეს ეკონომია თავის მიერ გადახდილ ფასში (განაცხადის 57-ე ნაწილი). ის ასევე მიუთითებს საჩივრის განაცხადის პასუხზე და მოსმენის ჩანაწერებზე (პასუხი, ნაწილი 91). იმის

დადგენის გარეშე, რომ რაოდენობრივი ანაზღაურებები ეფუძნებოდა რეალური ხარჯების შემცირებას (გენერალურ ადვოკატ მიშოს მოსაზრება საქმეში – *Portugal v. Commission* (...) 118-ე ნაწილი), აპლიკანტმა უბრალოდ განაცხადა, რომ რაოდენობრივი ანაზღაურება გამართლებული იყო პროდუქციის ღირებულებასა და დისტრიბუციაში მიღებული მასშტაბური ეკონომიით (მოსმენის ჩანაწერი, გვ. 62).

109. თუმცა არგუმენტების ასეთი ხაზი ძალიან ზოგადია და არ არის საკმარისი, წარმოადგინოს ეკონომიკური მიზეზები იმისათვის, რომ კონკრეტულად განმარტოს ფასდაკლების ტარიფები განსახილველი ანაზღაურების სისტემის სხვადასხვა საფეხურზე (*Portugal v. Commission* (...) პარა. 56).

110. შესაბამისად, როგორც აღნიშნულიდან გამომდინარეობს, კომისია უფლებამოსილი იყო, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში დაესკვნა, რომ რაოდენობითი ანაზღაურების სისტემა შეიქმნა, რათა საფრანგეთში სატვირთო მანქანების საბურავების დილერები მიეჯახვა აპლიკანტზე ეკონომიკურად გაუმართლებელ უპირატესობათა საფუძველზე, ვინაიდან ის იყო ლოიალობის გამომწვევი, ანაზღაურების სისტემის მიზანი იყო, დილერებისათვის ჩამოერთვა თავისუფალი არჩევანის უფლება, ბაზარზე არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, სხვადასხვა საწარმოს მიერ უკეთესი პირობების შეთავაზების საფუძველზე და მიმწოდებელი საწარმოს უმტკივნეულოდ შეცვლის შესაძლებლობა. ანაზღაურების სისტემამ შესაბამისად შეზღუდა დილერების არჩევანი და ბაზარზე შესვლა სხვა კონკურენტებისთვის გახადა რთული, მაშინ, როცა დილერების მასზე დამოკიდებულება, რაც შექმნილი იყო ფასდაკლებათა სისტემის გამო, არ ეფუძნებოდა შესაბამისი მასშტაბის ეკონომიით გამომწვეულ უპირატესობას (*Michelin v. Commission* (...) პარა. 85).

111. აპლიკანტს არ შეუძლია იპოვოს დახმარება რაოდენობრივი ანაზღაურების სისტემის გამჭვირვალე ხასიათში. ლოიალობის გამომწვევი ანაზღაურების სისტემა ეწინააღმდეგება 82-ე მუხლს, მისი გამჭვირვალობის მიუხედავად. დამატებით, რაოდენობრივი ანაზღაურების სისტემამ შექმნა ფასდაკლების კომპლექსური სისტემის ნაწილი, რომელთაგან რამდენიმე, აპლიკანტისვე მითითებით, გულისხმობდა მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას (...) სხვადასხვა ფასდაკლების სისტემის იმავდროულმა გამოყენებამ, – კერძოდ კი: რაოდენობრივმა ანაზღაურებამ, მომსახურების ბონუსებმა, პროგრესის ბონუსმა და ბონუსმა, რომელიც დაკავშირებულია PRO-ს შეთახმებასთან და Michelin-ის მეგობრების კლუბთან – რომლებიც არ გამოიხატებოდა ინვოისში, დილერისთვის შეუძლებელი გახადა, დაედგინა Michelin-ის საბურავების შესყიდვის ზუსტი ფასი შესყიდვის დროს. შექმნილმა სიტუაციამ უდავოდ ჩააყენა დილერი გაურკვეველ მდგომარეობაში და დამოკიდებული გახადა მომწოდებელზე.
(...)

113. შესაბამისად, კომისია მართალი იყო, როდესაც დაადგინა, რომ აპლიკანტის მიერ გამოყენებული ანაზღაურების სისტემა არღვევდა 82-ე მუხლს, ვინაიდან, *inter alia*, ის იყო ლოიალობის გამომწვევი.
(...)

140. დომინანტური საწარმოს მიერ დილერებისათვის ფასდაკლებების განევა უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ ეკონომიკურ გამართლებას (*Irish Sugar v. Commission* (...) პარა. 218). ის არ უნდა იყოს გამოწვეული საწარმოს სუბიექტური შეფასებით იმის თაობაზე, რომ დილერმა მის მიერ განხორციელებული შესყიდვებით დაიმსახურა ფასდაკლება. როგორც კომისია აღნიშნავს, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში (251-ე ნაწილი) ასეთი სუბიექტური შეფასებები დომინანტურ მდგომარეობაში მყოფ საწარმოს აძლევს შესა-

ძლებლობას, დილერზე მოახდინოს სერიოზული ზეწოლა (...) და უფლებას აძლევს მას, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დისკრიმინაციული მიდგომა.

141. შესაბამისად, ფასდაკლებების სისტემა, რომელიც გამოიყენება დომინანტი სანარმოს მიერ და რომელიც სანარმოს უტოვებს დისკრეციის მნიშვნელოვან ზღვარს იმის გადასაწყვეტად, შეუძლია თუ არა დილერს, მიიღოს ფასდაკლება, არის უსამართლო და შეესაბამება 82-ე მუხლით გათვალისწინებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას (ამასთან დაკავშირებით იხილეთ: *Hoffmann-La Roche v. Commission* (...) პარა. 105). სუბიექტური შეფასების გამო დილერები გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რადგან წინასწარ არ შეეძლოთ ეანგარიშათ, რა ხარჯების გაღება მოუწევდათ მომსახურების ბონუსის გათვალისწინებით (*Michelin v. Commission* (...) პარა. 83). (...)

219. ფაქტი არის ის, რომ აპლიკანტმა თავისი არგუმენტებით, ფაქტობრივად, მიიღო კომისიის გადაწყვეტილებაში დადგენილი ფაქტი, რომ დილერზე დაწესებული ვალდებულება ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით და *Michelin*-ის მიერ სხვადასხვა სფეროს ამსახველი მიწოდებული სიის მიღება მხოლოდ ასახავს *Michelin*-ის სურვილს, დეტალური ზედამხედველობა გაუწიოს დისტრიბუციას (გასაჩივრებული გადაწყვეტილების 322-ე ნაწილი). მიუხედავად იმისა, რომ ამ ინფორმაციის ნაწილი არის საჯარო, უმეტესი ნაწილი დახურულია. აპლიკანტის ერთპიროვნული მიზანი, დაავალდებულოს დისტრიბუტორები, აცნობონ მას ბრუნვის, სტატისტიკის, გაყიდვების პროგნოზის, მომავალი სტრატეგიისა და ბაზრის განვითარების თაობაზე, მიმართულია ბაზრის შესახებ იმ ინფორმაციის მიღებისაკენ, რომელიც არ არის ღია და რომელიც ღირებულია მისთვის საკუთარი საბაზრო სტრატეგიის განსაზღვრისათვის (*Hoffmann-La Roche v. Commission* (...) პარა. 107). დამატებით, აპლიკანტის უფლებამ, გამორიცხვის მეთოდით გამოიკვლიოს თავისი კლუბის წევრების მოქმედება დეტალურად, უდავოდ უნდა გაზარდოს თავისი კლუბის წევრების დამოკიდებულება *Michelin*-ზე, რომლებიც აღნიშნული ვალდებულებების შესრულებისათვის იღებენ ფინანსურ პრივილეგიებს (გასაჩივრებული გადაწყვეტილების 104-ე-106-ე ნაწილები). დილერებს, შესაბამისად, აღარ აქვთ ბაზრის წილის გაზრდის შესაძლებლობა კონკურენტის პროდუქციით, *Michelin*-ისგან დამოუკიდებლად.

220. 215-ე პარაგრაფში აღნიშნული ვალდებულებები მიმართულია კლუბის წევრების გაკონტროლებისაკენ, მათი აპლიკანტისადმი მიჯაჭვისა და სხვა მწარმოებლებისაგან კონკურენტის გაუქმებისაკენ. კომისია, შესაბამისად, მართალი იყო, როდესაც აღნიშნული ქმედებები დაახასიათა როგორც მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. (...)

240. ამდენად, საქმეში – *Michelin v. Commission* – სასამართლომ 238-ე პარაგრაფში განხილული პრინციპის საფუძველზე დაადგინა, რომ აუცილებელია ყველა პირობის განხილვა, კერძოდ კი ფასდაკლების დაწესების წესებისა და კრიტერიუმების შემოწმება და იმის გამოძიება, თუ რამდენად იყო ფასდაკლების სისტემა, რომელიც არ იყო გამართლებული მასშტაბური ეკონომიით, მიმართული მყიდველის მიერ მოწოდების წყაროს შერჩევის თავისუფლების შეზღუდვისა თუ გაუქმებისაკენ, კონკურენტების ბაზარზე შეღწევის შეზღუდვისაკენ, ერთი და იმავე ტრანზაქციებისათვის განსხვავებული პირობების გამოყენებისა თუ კონკურენტის მოშლის გზით მისი დომინანტური მდგომარეობის გაძლიერებისაკენ. ის ასკვნიდა, რომ *Michelin*-მა დაარღვია ხელშეკრულების 82-ე მუხლი, ვინაიდან მისი ფასდაკლების სისტემა მიმართული იყო, დილერებისათვის ბაზარზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, სხვადასხვა კონკურენტი მომწოდებელი კომპანიიდან ყველაზე ხელსაყრელის შერჩევის უფლების შეზღუდვისა და

რაიმე ფორმით ეკონომიკური ზიანის მიღების გარეშე მომწოდებლის შეცვლის თავიდან აცილებისაკენ.

241. შესაბამისად, გამომდინარეობს, რომ, 82-ე მუხლის მიხედვით, არაკონკურენტული მიზნისა და არაკონკურენტული შედეგის შექმნა არის ერთი და იგივე (ამასთან დაკავშირებით იხ. *Irish Sugar v. Commission* (...) პარა. 170). თუ დადასტურდება, დომინანტი საწარმოს ქმედების მიზანი არის კონკურენციის შეზღუდვა, მიიჩნევა, რომ აღნიშნულ ქმედებას ასეთივე შედეგი მოჰყვება.

საქმე *British Airways v. Commission*³²⁹:

248. სასამართლო პრაქტიკიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ერთგული ანაზღაურების ნებისმიერი სისტემა მიმართულია, მომხმარებელს აარიდოს თავისი კონკურენტებისაგან მიწოდების მიღება, რაც ეწინააღმდეგება ხელშეკრულების 82-ე მუხლს, იმის მიუხედავად, არის თუ არა ანაზღაურების სისტემა დისკრიმინაციული. იგივე შეეხება ერთგულებაზე დაფუძნებული შესრულების სქემას, რომელიც პრაქტიკაში გამოიყენება დომინანტურ მდგომარეობაში მყოფი მყიდველის მიერ, მომსახურების მომწოდებლებთან დაკავშირებით.

271. ამ საქმეში საჭიროა განისაზღვროს, საბაზრო შეთანხმებასა და ანაზღაურების ახალ სისტემას რამდენად აქვთ ერთგულებაზე დაყრდნობილი შედეგი დიდ ბრიტანეთში მოქმედი ტურისტული სააგენტოების მიმართ, და თუ მათ ასეთი აქვთ, რამდენად იყო ეს სქემები დაფუძნებული ეკონომიკურად გამართლებულ შეხედულებებზე (ამასთან დაკავშირებით იხ. *Michelin* პარა. 73, პარა. 246-ში ციტირებული *Portugal v. Commission*, პარა. 2 და *Irish Sugar v. Commission*, პარა. 114).
(...)

279. მეორე, იმ საკითხის განხილვისას, იყო თუ არა შესრულების ანაზღაურების სქემა, რომელიც გამოიყენებოდა BA-ს მიერ, ეკონომიკურად გამართლებული, უნდა აღინიშნოს, სიმართლეა, რომ დომინანტ საწარმოს არ შეიძლება ჩამოერთვას უფლება, მოიქცეს ისე, როგორც მას სწორად მიაჩნია, რათა დაიცვას თავისი კომერციული ინტერესი, თუ ის საფრთხის ქვეშ იმყოფება (*Irish Sugar v. Commission* პარა. 112).

280. თუმცა საწარმოს კონკურენტული მდგომარეობა, რომელიც BA-ს მსგავსად ფლობს დომინანტურ მდგომარეობას, უკიდურეს შემთხვევაში აქვს კანონიერი უფლება, დაეყრდნოს ეკონომიკური ეფექტურობის კრიტერიუმს (*Irish Sugar v. Commission* პარა. 189).

281. წინამდებარე საქმეში BA-ს არ უჩვენებია, რომ მისი შესრულების ერთგულებაზე დაფუძნებული ანაზღაურების სისტემა ემყარებოდა ეკონომიკურად გამართლებულ მოსაზრებებს.
(...)

293. დაბოლოს, BA-ს არ შეუძლია დაადანაშაულოს კომისია იმის დაფარვაში, რომ მისი პრაქტიკა იძლეოდა ექსკლუზიურ შედეგს. პირველ რიგში, 82-ე მუხლის დარღვევის დასადგენად არ არის აუცილებელი იმის დემონსტრირება, რომ ქმედების ბოროტად გამოყენებად კვალიფიკაციისათვის ბაზარზე შედეგის დადგომა არ არის აუცილებელი. ამასთან დაკავშირებით საკმარისია იმის ჩვენება, რომ დომინანტურ მდგომარეობაში მყოფი საწარმოს მიერ ბოროტად გამოყენებითი ქმედება მიმართულია კონკურენციის შეზღუდვისაკენ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქმედებას შესაძლებელია, ჰქონდეს ან აქვს ასეთი შედეგი.

³²⁹ Case T-219/99, *British Airways v. Commission* [2003] ECR II-5917, [2004] CMLR 1008.

294. აქედან გამომდინარეობს არა მარტო ის ფაქტი, რომ სადავო პრაქტიკას დიდი ბრიტანეთის საჰაერო ტურისტული სააგენტოების მომსახურებისა და საჰაერო ტრანსპორტის ბაზარზე უნდა ჰქონოდა შეზღუდვითი ხასიათი, მაგრამ ასევე ის, რომ ასეთი შედეგი დემონსტრირებული იყო კომისიის მიერ კონკრეტული ფორმით.

295. ვინაიდან გასაჩივრებული ქმედების დროს, დიდ ბრიტანეთში დაფუძნებული ტურისტული სააგენტოები ფლობდნენ დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე საჰაერო ბილეთების გაყიდვის 85%-ს, BA-ს ბოროტად გამოყენებითი ქმედება საჰაერო ბილეთების ბაზარზე აუცილებლად მოიტანდა შედეგად კონკურენტული ავიახაზების დიდი ბრიტანეთის საჰაერო ტრანსპორტის ბაზრიდან განდევნას, ბაზართან მისი მჭიდრო კავშირის გამოყენებით.

296. BA-ს მიერ დიდი ბრიტანეთის საჰაერო ტრანსპორტის ბაზარზე ამოქმედებული შესრულების ანაზღაურების სქემის მიზეზის გამო, სასამართლოს არ შეუძლია მიიღოს BA-ს არგუმენტი, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ მოიცავდა საჰაერო ტრანსპორტის ბაზრის ანალიზს, ან დამდგარი ზარალის მტკიცებულებას, რომელიც მიაყენა მისმა ფინანსურად წამახალისებელმა სქემამ კონკურენტულ ავიახაზებსა და მგზავრებს.

297. გარდა ამისა, როდესაც დომინანტურ მდგომარეობაში მყოფ საწარმოს რეალურად მოქმედებაში მოჰყავს თავისი კონკურენტების გაძევებაზე ორიენტირებული გეგმა, ფაქტი, რომ სასურველი შედეგი არ დგება, არ არის საკმარისი იმისათვის, რათა დადგინდეს 82-ე მუხლით გათვალისწინებული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

298. გარდა ამისა, ბაზარზე BA-ს კონკურენტი ავიახაზების წილების ზრდა, რაც დაინიშნა ბაზარზე მცირე წილების ფლობიდან, არ ნიშნავს, რომ BA-ს პრაქტიკას არ აქვს შედეგი. ასეთი პრაქტიკის არარსებობისას სამართლიანად შეიძლება იქნეს მიჩნეული, რომ BA-ს კონკურენტების წილების ზრდა იქნებოდა უფრო შესამჩნევი და მნიშვნელოვანი (ამასთან დაკავშირებით იხ. *Compagnie Maritime Belge Transport (...)* პარა. 149).

299. შესაბამისად, კომისიას არ დაუშვია შეფასებისას შეცდომა, როდესაც დაადგინა, რომ BA-მ თავისი ქმედებით დაარღვია ხელშეკრულების 82-ე მუხლი. მან ტურისტული სააგენტოების მიმართ აამუშავა შესრულების ანაზღაურების სქემა, რომელიც იყო როგორც დისკრიმინაციული თავისი რამდენიმე ბენეფიციარის მიმართ, სხვებისაგან განსხვავებით, ასევე მიზნად და შედეგად, ეკონომიკურად გამართლებული მოსაზრებების გარეშე, ჰქონდა ლოიალური ანაზღაურების სისტემა BA-სთან დაკავშირებული აგენტების მიმართ და, შესაბამისად, სხვა კონკურენტი კომპანიების გაძევება როგორც დიდი ბრიტანეთის საჰაერო ტურისტული სააგენტოების მომსახურების ბაზრიდან, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, დიდი ბრიტანეთის საჰაერო მგზავრობის ბაზრიდან.

...

311. ვინაიდან 82-ე მუხლი მიზნად ისახავს კონკურენციის სტრუქტურის ობიექტური შეზღუდვის დასჯას (*Europemballage and Continental Can v. Commission* [1973] ECR 215, პარა. 26), BA-ს არგუმენტი, რომ არ არსებობს მისი ანაზღაურების სქემის გამო მომხმარებლებისათვის მიყენებული ზიანის მიყენების დამადასტურებელი მტკიცებულება, არ შეიძლება იქნეს მიღებული.

საქმე C-95/04 P. *British Airways v. Commission*³³⁰:

საქმის ფაბულა: BA-მ არგუმენტაცია დაიწყო დავით, რომ „იმისათვის, რათა გაეკეთებინა განსხვავება ფასზე ლეგიტიმურ კონკურენციასა და უკანონო, არაკონკურენტულ თუ გამონაკლისებზე დაფუძნებულ ქმედებას შორის, პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა გამოეყენებინა 82-ე მუხლის მეორე პარაგრაფის (ბ) ქვეპუნქტი, რომელი პრაქტიკის შესაბამისადაც დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად კლასიფიცირებისათვის უნდა ხდებოდეს პროდუქციის, ბაზრის ან ტექნიკური განვითარების შემცირება, რაც საზიანო იქნება მომხმარებლისათვის. შესაბამისად, მან უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად შეზღუდა BA-მ თავისი ქმედებით ავიახაზების ბაზარი და რამდენად იყო ეს ქმედება ზიანის მომტანი მომხმარებლისათვის“.

ევროპული სასამართლო

57. პირველ რიგში, იმ განაცხადის შესახებ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ შეცდომა დაუშვა, როდესაც თავისი არგუმენტები დააფუძნა 82-ე მუხლის მეორე პარაგრაფის (ბ) ქვეპუნქტს იმის შეფასებისას, შეესაბამებოდა თუ არა განსახილველი საბონუსე სქემები ბოროტად გამოყენებას. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ 82-ე მუხლში ჩადებული ბოროტად გამოყენების სია არ არის ამომწურავი, ასე რომ, აღნიშნული პრაქტიკა არის დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების უბრალო მაგალითები (იხ. საქმე C-333/94 P *Tetra Pak v. Commission* [1996] ECR I-5951, პარა. 37). შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ხელშეკრულებით აკრძალული ბოროტად გამოყენების პრაქტიკა, რომელიც იგულისხმება აღნიშნულ დებულებაში, არ არის ამომწურავი (საქმე 6/72 *Europemballage and Continental Can v. Commission* [1973] ECR 215, პარა. 26, გაერთიანებული საქმეები: C-395/96 P და C-396/96 P *Compagnie Maritime Belge Transport v. Commission* [2000] ECR I-1365, პარა. 112).

58. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ დომინანტურ მდგომარეობაში მყოფი საწარმოს მიერ გაცემული ბონუსები და ფასდაკლებები შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ხელშეკრულების 82-ე მუხლს მაშინაც კი, როდესაც ისინი არ შეესაბამებიან ზემოთ ნახსენები მუხლის მეორე პარაგრაფში ჩამოთვლილ სიას. ამდენად, ერთგულების გამომხატველი ფასდაკლებებისა და გამონაკლისის შედეგის განსაზღვრისას სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება საქმეებში – *Hoffmann-La Roche* და *Michelin* – მთლიანად დააფუძნა 82-ე მუხლის დებულებებს და არა მისი მეორე პარაგრაფის (ბ) ქვეპუნქტს. გარდა ამისა, გადაწყვეტილებაში გაერთიანებულ საქმეებზე 40/73-იდან 48/73-ამდე, 50/73, 54/73-იდან 56/73-ამდე, 111/73, 113/73 და 114/73 *Suiker Unie and others v. Commission* [1975] ECR 1663, პარა. 523, რომელიც შეეხება ერთგულების ანაზღაურებას, სასამართლო აშკარად ეყრდნობა EEC ხელშეკრულების 86-ე მუხლის მეორე პარაგრაფის (გ) ქვეპუნქტს, რომლის მიხედვითაც დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების პრაქტიკა უნდა შედგებოდეს, მაგალითად, ერთი და იმავე ტრანზაქციისათვის სხვადასხვა სავაჭრო პარტნიორის მიმართ განსხვავებული პირობების გამოყენებისა და მათ არაკონკურენტულ გარემოში ჩაყენებისაგან.

61. საქმეებში – *Hoffmann-La Roche* და *Michelin* – სასამართლომ დაადგინა, რომ ამ ორი დომინანტი საწარმოს მიერ გარკვეული ფასდაკლებების გაკეთება შეესაბამებოდა მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

³³⁰ Case C-95/04 P, *British Airways v. Commission*, 15 March 2007.

62. აღნიშნული საქმეებიდან პირველი შეეხებოდა დომინანტი სანარმოს მიერ განხორციელებულ ფასდაკლებებს ვიტამინების კონკრეტულ ჯგუფებზე და რომელთა გაცემაც დროის უმეტეს შემთხვევაში პირდაპირ იყო დაკავშირებული ქვეკონტრაქტორის პირობასთან, რომ მას კიდევ მიეღო პროდუქცია დომინანტურ მდგომარეობაში მყოფი მიმწოდებლისაგან, კერძოდ კი *Hoffmann-La Roche*-სგან, დროის კონკრეტულ მონაკვეთში. სასამართლომ დაადგინა, რომ ზემოთ აღნიშნული ფასდაკლებების სისტემა, რომელიც ერთგულების ანაზღაურების სქემის გამოყენებით ახდენდა მყიდველების ნახალისებას, მიმართული იყო მომხმარებლების მიერ ექსკლუზიურად მისი პროდუქციის შესყიდვისაკენ, რაც არ შეესაბამებოდა საერთო ბაზარზე ურღვევი კონკურენციის მიზანს (*Hoffmann-La Roche (...)* პარა. 90).

63. საქმის – *Michelin* – 62-ე პარაგრაფში აღწერილი საქმისაგან განსხვავებით, *Michelin*-ის ქვეკონტრაქტორები არ იყვნენ ვალდებულები, მიეღოთ მოწოდებული საქონელი მთლიანად ან ნაწილობრივ *Michelin*-ისაგან. თუმცა ცვალებადი წლიური ფასდაკლებები გულისხმობდა, რომ მისგან სარგებლის მისაღებად კომპანიის ქვეკონტრაქტორებს უნდა მიეღნიათ ინდივიდუალური ფასდაკლების შედეგისთვის. ამ საქმეში სასამართლომ აღმოაჩინა რამდენიმე ფაქტორი იმისათვის, რომ *Michelin*-ის ქმედების კვალიფიკაცია ყოფილიყო დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. კერძოდ, ამ საქმეში მსჯელობისათვის ბევრად დიდი პერიოდი, ერთი წელი, იყო აღებული; მისი ფუნქციონირება არ იყო გამჭვირვალე ქვეკონტრაქტორებისათვის და *Michelin*-ისა და მისი კონკურენტი სანარმოს საბაზრო წილებს შორის განსხვავება იყო მნიშვნელოვანი (იხ. მაგ., *Michelin*, პარაგრაფები: 81-83).

64. *BA*-ს არგუმენტების საწინააღმდეგოდ, მოცემული ორი საქმიდან არ გამომდინარეობს, რომ ბონუსებისა და ფასდაკლებების გამოყენება შეიძლება შეესაბამებოდეს მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას მხოლოდ ზემოთ ნახსენებ საქმეებში აღწერილი გარემოებების არსებობისას. როგორც გენერალურმა ადვოკატმა თავისი პოზიციის 41-ე ნაწილში აღნიშნა, მნიშვნელოვანი ფაქტორები არის სასამართლოს წინა გადანყვეტილების თანმდევი და განმაპირობებელი და რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია წინამდებარე საქმის მიმართაც.

65. ამასთან დაკავშირებით, წინამდებარე საქმისათვის *Michelin*-ის საქმე განსაკუთრებით გამოსაყენებელია, ვინაიდან ის მოიცავს ფასდაკლების სისტემას, რომელიც დამოკიდებულია ინდივიდუალური შესყიდვის მიღწევაზე, და არ შეესაბამება არც რაოდენობაზე დაწესებულ ფასდაკლებას, რაც ექსკლუზიურად უკავშირდება შესყიდვის მოცულობას, არც ერთგულებასთან დაკავშირებულ ფასდაკლებას, რომელიც აღნიშნა *Hoffmann-La Roche*-ს შემთხვევაში, ვინაიდან *Michelin*-ის მიერ შექმნილი სისტემა არ მოიცავს გადამყიდველების რაიმე სახის ვალდებულებას, დომინანტი სანარმოსაგან მიიღონ მოწოდებული საქონელი სრულად ან მისი რაიმე სავალდებულო ნაწილი.

66. რაც შეეხება 82-ე მუხლის გამოყენებას ფასდაკლებების იმ სისტემის მიმართ, რომელიც დამოკიდებულია გაყიდვების მიზანზე, *Michelin*-ის გადანყვეტილების 70-ე პარაგრაფიდან ჩანს, რომ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევა იკრძალება, როდესაც იგი გავლენას ახდენს სავაჭრო ურთიერთობებზე. მუხლი გამოიყენება ისეთი ქმედების მიმართ, რომელსაც შესაძლებელია, გავლენა ჰქონდეს ბაზრის სტრუქტურაზე, რომელთანაც, როგორც ზემოთ აღნიშნული სანარმოს ყოფნის შედეგი, კონკურენციის დონე არის უკვე შესუსტებული. იგი სხვადასხვა ეკონომიკური ოპერატორის ტრანზაქციაზე დაყრდნობით, პროდუქტებსა თუ მომსახურებას შორის ნორმალური კონკურენციისაგან განსხვავებული მეთოდების გამოყენებით ცდილობს, ხელი შეუშლოს ბაზარზე არსებულ კონკურენციას ან მის ზრდას.

68. აქედან გამომდინარეობს, რომ იმის განსაზღვრისას, იყო თუ არა დომინანტი სანარმოს მხრიდან ფასდაკლებებისა და ბონუსების სისტემის გამოყენება, – რაც არ შეესაბამებოდა არც რაოდენობრივ ფასდაკლებებსა და ბონუსებს და არც ერთგულებით მიღებულ ფასდაკლებებსა და ბონუსებს *Hoffmann-La Roche*-ს გაგებით, – მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს, შეუძლიათ თუ არა ზემოთ აღნიშნულ ფასდაკლებებსა და ბონუსებს ექსკლუზიური ეფექტის ქონა, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირველი, რამდენად შეუძლიათ მათ ბაზარზე შეღწევის გართულება ან შეუძლებლად გადაქცევა და, მეორე, მისი ქვეკონტრაქტორებისათვის მიწოდების მიღებისას მომწოდებლებში თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობის შეზღუდვა ან გაუქმება.

69. ამის შემდეგ საჭიროა შემოწმდეს, იყო თუ არა გაცემული ფასდაკლებები და ბონუსები ეკონომიკურად გამართლებული. პირველი ინსტანციის სასამართლომ თავისი კვლევის 279-ე და 291-ე პარაგრაფებში განიხილა, რომ სანარმო თავისუფალია დაამტკიცოს, რომ მის მიერ გატარებული საბონუსე სისტემა, რომელსაც შედეგად ექსკლუზიური ეფექტი ჰქონდა, არის ეკონომიკურად გამართლებული.

72. პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-10, მე-15 და მე-17 პარაგრაფებიდან ჩანს, რომ განსახილველი ბონუსების სისტემა მიმართული იყო ინდივიდუალური გაყიდვებისაკენ, რადგან ბონუსების ტარიფები დამოკიდებული იყო *BA*-ს გაყიდვების ბრუნვაზე, რომელიც იანგარიშებოდა თითოეულ ტურისტულ სააგენტოზე გაყიდული ბილეთებიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

73. სასამართლო პრაქტიკიდან ასევე ნათელია, რომ ქვეკონტრაქტორების ვალდებულება დომინანტურ მდგომარეობაში მყოფი სანარმოს მიმართ და მათზე განხორციელებული ზენოლა შეიძლება იყოს ძალიან ძლიერი, როდესაც ფასდაკლება თუ ბონუსი არ უკავშირდება მხოლოდ გაყიდვებიდან მიღებულ ეკონომიკურ ზრდას, რაც გამონაკვეთია ამ პერიოდში ქვეკონტრაქტორების მიერ განხორციელებული შესყიდვებით და ვრცელდება ასევე გაყიდვების სრულ ბრუნვაზე. ამ გზით შედარებით ზომიერ ცვლილებებს – მიმართულს ზრდისა თუ შემცირებისაკენ, აქვს არაპროპორციული შედეგი ქვეკონტრაქტორებზე (იხ. ამასთან დაკავშირებით, *Michelin*, პარა. 81).

74. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ ამ ბონუსების სქემამ წარმოშვა იგივე მდგომარეობა (...).

75. დაბოლოს, სასამართლომ მიიჩნია, რომ დომინანტი სანარმოსგან, რომელიც გაცემდა ბონუსებს ზემოთ აღწერილი მახასიათებლებით, მყიდველებზე განხორციელებული ზენოლა ბევრად უფრო ძლიერია, თუ დომინანტ სანარმოს თავის კონკურენტთან შედარებით ბევრად დიდი საბაზრო წილი აქვს (იხ. მაგ., *Michelin*, პარა. 82.). მან დაადგინა, რომ ასეთ გარემოებებში, საერთო გაყიდვების მოცულობაზე ბონუსებისა და ფასდაკლებების არსებობისას ძალიან რთულია სანარმოს კონკურენტისათვის შესაბამისი ფასის დადგენა. მისი მნიშვნელოვნად მაღალი საბაზრო წილის გამო დომინანტი სანარმო არის შეუცვლელი ბიზნესპარტნიორი ბაზარზე. უფრო ხშირად ასეთი სანარმოს მიერ ფასდაკლებებისა და ბონუსების სისტემების გამოყენება მისი საერთო ბრუნვის საფუძველზე იღებს პრეცედენტის ხასიათს... იმისათვის, რომ დომინანტი სანარმოს ქვეკონტრაქტორები მიიზიდონ, ან მიიღონ დიდი მოცულობის შეკვეთები მათგან, მის კონკურენტებს უნდა შეეძლოთ მათთვის გაცილებით მაღალი ტარიფის ბონუსებისა და ფასდაკლებების შეთავაზება.

76. ამ საქმეში პირველი ინსტანციის სასამართლომ თავისი გადაწყვეტილების 277-ე პარაგრაფში დაადგინა, რომ *BA*-ს საბაზრო წილი მნიშვნელოვნად მაღალი იყო, ვიდრე

დიდ ბრიტანეთში მისი ხუთი კონკურენტის საბაზრო წილი. 278-ე პარაგრაფში მან დაასკვნა, რომ კონკურენტული ავიანაზები BA-ს მსგავს ხელსაყრელ პოზიციაში არ იყვნენ, რომ ჰქონოდათ შესაძლებლობა, დიდი ბრიტანეთის ბაზარზე მიეღოთ ისეთი მაღალი შემოსავლები, რაც მათ ნებას მისცემდა, აემუშაებინათ BA-ს მსგავსი ეფექტური ანაზღაურების სისტემები (გასაჩივრებული გადანყვეტილების 278-ე ნაწილი).

77. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლო მართალი იყო, როდესაც გასაჩივრებული გადანყვეტილების 270-ე-278-ე პარაგრაფებში, რომლებიც მიზნად ისახავდა ექსკლუზიური ეფექტის მიღებას, შეამონმა, თუ რამდენად ჰქონდა ბონუსების სისტემას ერთგულების დამდგენი შედეგი.
(...)

84. დომინანტი საწარმოს მიერ თავისი ქვეკონტრაქტორებისათვის ფასდაკლებებისა და ბონუსების შეთავაზება არ ნიშნავს აუცილებლად მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას და არ არის აკრძალული 82-ე მუხლით. არსებული სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, მხოლოდ ის ბონუსები და ფასდაკლებები ჩაითვლება ბოროტად გამოყენებად, რომლებიც არ არის ეკონომიკურად გამართლებული (იხ. მაგ. *Hoffmann-La Roche*, პარა. 90 და *Michelin*, პარა. 73).

85. პირველი ინსტანციის სასამართლო მართალი იყო, როდესაც წინამდებარე საქმის 69-ე პარაგრაფში დაადგინა, რომ განსახილველი ბონუსების სისტემა წარმოშობდა ექსკლუზიურ ეფექტს და საჭიროებდა იმის შემოწმებას, იყო თუ არა აღნიშნული სქემები ობიექტურად ეკონომიკურად გამართლებული.

86. დომინანტი საწარმოს მიერ გაცემული ბონუსებისა თუ ფასდაკლებების სისტემის ეკონომიკური გამართლება უნდა ეფუძნებოდეს საქმის ყველა პირობას (იხ., მაგალითად, *Michelin*, პარა. 73). უნდა განისაზღვროს ასეთი სისტემებით წარმოქმნილი ექსკლუზიური ეფექტი, რომელიც ხელს არ უწყობს კონკურენციას, რამდენად არის დაბალანსებული ან გადანაწილი იმ გავლენით, რაც ამ სისტემას ახლავს და რამდენად არის ის ეფექტური მომხმარებლისათვის. იმ შემთხვევაში, თუ ექსკლუზიურ ეფექტს არ აქვს კავშირი ბაზრისა და მომხმარებლის წახალისებასთან, ან თუ მისი წახალისების მიღწევის აუცილებლობა არის შესაძლებლობის მიღმა, ასეთი სისტემა მიჩნეული უნდა იქნეს ბოროტად გამოყენებად.

87. წინამდებარე საქმეში პირველი ინსტანციის სასამართლო სწორად დაეყრდნო სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე კრიტერიუმებს, თუ ეკონომიკურად რამდენად იყო გამართლებული განსახილველი ბონუსების სისტემა. გასაჩივრებული გადანყვეტილების 284-ე და 285-ე პარაგრაფებში მან მიიღო გადანყვეტილება, რომელიც ეფუძნებოდა BA-ს წარდგენილ არგუმენტებს, რომლებიც მოიცავდა საჰაერო ტრანსპორტის ფიქსირებული ღირებულების მაღალ დონეს და თვითმფრინავის დაკავების დონის მნიშვნელობას. საქმის გარემოებების შეფასების საფუძველზე, პირველი ინსტანციის სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ აღნიშნული სისტემები არ იყო ობიექტური ეკონომიით გამართლებული.
(...)

90. პირველი ინსტანციის სასამართლოს, შესაბამისად, არ დაუშვია შეცდომა, როდესაც დაადგინა, რომ ბონუსების სისტემას ჰქონდა ერთგულების შექმნის ეფექტი, რომელიც, თავის მხრივ, წარმოშობდა ექსკლუზიურ ეფექტს, და რომელიც არ იყო გამართლებული ეკონომიური თვალსაზრისით.

96. *BA*-ს არგუმენტთან დაკავშირებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს არ შეუძლებია ბონუსების სისტემის შესაძლო შედეგი, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 272-ე-273-ე პარაგრაფებში სასამართლომ განმარტა განსახილველი სქემების მოქმედების მექანიზმები.

98. ამის საფუძველზე პირველი ინსტანციის სასამართლომ კანონში რაიმე ცდომილების გარეშე შეძლო გაეკეთებინა დასკვნა, რომ განსახილველი ბონუსების სისტემა ხელს უწყობდა ერთგულების ეფექტის წარმოშობას. შესაბამისად, აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ *BA*-ს მიერ სასამართლოს დადანაშაულება სქემების სავარაუდო შედეგის შეუძლებლობაში არ დასტურდება.

99. ამასთან, თავისი საჩივრის 99-ე პარაგრაფში *BA* აცნობიერებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში სწორად მიიჩნია, რომ ტურისტული სააგენტოები ნახალისებულნი იყვნენ, გაეზარდათ *BA*-ს ბილეთების გაყიდვა. დამატებით, თავისი საჩივრის 113-ე პარაგრაფში მან განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ პირველი ინსტანციის სასამართლო შეაფასებდა ბონუსების სისტემის სავარაუდო გავლენას ტურისტულ სააგენტოებს შორის კონკურენციაზე, ის გააკეთებდა დასკვნას, რომ აღნიშნული გავლენა იყო უმნიშვნელო.

100. შესაბამისად, *BA* სერიოზულად არ უარყოფდა, რომ მის მიერ შემუშავებულ სქემებს ჰქონდათ ერთგულების ეფექტი ტურისტულ სააგენტოებზე და მიმართული იყო კონკურენტულ ავიახაზებს შორის მდგომარეობაზე გავლენის მოხდენისაკენ.
(...)

105. უნდა აღინიშნოს, რომ პირველი, როგორც განიმარტა ამ გადაწყვეტილების 57-ე და 58-ე პარაგრაფებში, დომინანტურ მდგომარეობაში მყოფი სანარმოს მიერ ფასდაკლებებისა და ბონუსების გაცემა შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს 82-ე მუხლს მაშინაც კი, თუ ისინი არ შეესაბამებიან აღნიშნული მუხლის მეორე პარაგრაფში ჩამოთვლილ მაგალითებს.

106. გარდა ამისა, როგორც სასამართლომ თავისი გადაწყვეტილების 26-ე პარაგრაფში აღნიშნა, საქმეში – *Europemballage and Continental Can* – 82-ე მუხლი მიმართულია არა მარტო პრაქტიკისაკენ, რომელიც შეიძლება პირდაპირ საზიანო იყოს მომხმარებლებისათვის, არამედ იმათკენაც, რომლებიც ზიანის მომტანია ეფექტური კონკურენტული გარემოსათვის, რაც აღნიშნულია ხელშეკრულების მე-3 მუხლის 1-ლ ზ ქვეპუნქტში.

107. პირველი ინსტანციის სასამართლო, შესაბამისად, უფლებამოსილი იყო, კანონში შეცდომის დაშვების გარეშე, არ განეხილა, რომ *BA*-ს ქმედება ზიანის მომტანი იყო მომხმარებლებისათვის, 82-ე მუხლის მეორე პარაგრაფის ბ ქვეპარაგრაფის მიხედვით, მაგრამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 294-ე და 295-ე პარაგრაფებში განეხილა, თუ რამდენად ჰქონდათ განსახილველ სქემებს შემზღუდავი ეფექტი კონკურენციაზე და გაეკეთებინა დასკვნა, რომ ასეთი შედეგის არსებობა დემონსტრირებული იყო კომისიის მიერ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში.

108. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მესამე საჩივარი უარყოფილ უნდა იქნეს როგორც დაუდასტურებელი.

საქმე *Eurofix-Bauco/Hilti*³³¹:

საქმის ფაბულა: *Hilti* იყო დომინანტი ლურსმნის პისტოლეტის მონოპოლიაში, რომლიდანაც ყველაზე მეტად გაყიდვადი მოდელი დაცული იყო პატენტით. ის ასევე ახდენდა

³³¹ Case Eurofix-Bauco/Hilti [1988] OJ L65/19, [1989] 4 CMLR 677.

კარტრიჯის ლენტის მიწოდებას, რომელიც ასევე იყო დაპატენტებული. ლურსმნები, რომლებიც იყო პისტოლეტების შესაბამისი, როგორც ჩანს, არ იყო პატენტით დაცული და ბაზარზე *Hilti*-ს შესაბამისი ლურსმნების რამდენიმე დამოუკიდებელი მწარმოებელი იყო. *Hilti*-ს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მომხმარებელს, რომელიც ყიდულობდა კარტრიჯს, ეყიდა მისივე ლურსმნები, რომ არ მომხდარიყო მათი შესყიდვა სხვა დამოუკიდებელი მწარმოებლებისაგან, ჰქონდა რამდენიმე მეთოდი: ა) დაპატენტებული კარტრიჯის ლენტის შესყიდვა დამოკიდებული იყო შესაბამისი ლურსმნების შესყიდვაზე; ბ) კარტრიჯებზე ფასდაკლების შემცირება, თუ მომხმარებელი არ ყიდულობდა ლურსმნებს; გ) აიძულებდა თავის დისტრიბუტორებს, არ მიენოებინათ საქონელი კონკრეტული მომხმარებლებისათვის, ისე, რომ ლურსმნების დამოუკიდებელ მწარმოებლებს არ ჰქონოდათ *Hilti*-ს კარტრიჯების ფლობის შესაძლებლობა; დ) მიწოდებაზე უარს ეუბნებოდა გრძელვადიან მომხმარებლებს, რომელთაც შეეძლოთ მისი მიყიდვა ლურსმნების დამოუკიდებელი მწარმოებლებისათვის; ე) ცდილობდა კარტრიჯის ლენტის ტექნოლოგიის ლიცენზიებზე აპლიკაციების განხილვის გადადებას ან უარის თქმას იმ მიზნით, რომ დამოუკიდებელ მწარმოებებს ვერ მიეღოთ სხვა კარტრიჯები, გარდა *Hilti*-სა; ვ) უარს ამბობდა გარანტიის გაცემაზე *Hilti*-ს პისტოლეტებზე, თუ გამოყენებული იქნებოდა მისი ლურსმნების ნაცვლად სხვა ლურსმნები. კომისიამ დაადგინა, რომ ლურსმნების პისტოლეტებს, კარტრიჯებსა და ლურსმნებს ჰქონდათ სხვადასხვა, ცალკეული პროდუქტის ბაზარი და რომ *Hilti* იყო დომინანტი მდგომარეობაში თითოეულ მათგანზე. მან დაადგინა, რომ *Hilti*-მ დაარღვია 82-ე მუხლი, ვინაიდან საკუთარი პრაქტიკით სცადა, ლურსმნები მიეჯაჭვა კარტრიჯისათვის და ასეთი ფორმით შეეზღუდა ან თავიდან აეცილებინა *Hilti*-ს შესაბამისი ლურსმნების დამოუკიდებელი მწარმოებლების შესვლა ბაზარზე. *Hilti* ამტკიცებდა, რომ პრაქტიკა ობიექტურად გამართლებული იყო, ვინაიდან, უსაფრთხოების მიზნით, აუცილებელი იყო *Hilti*-ს პისტოლეტების გამოყენების უზრუნველყოფა მხოლოდ *Hilti*-ს შესაბამისი პროდუქტით, დამოუკიდებელი მწარმოებლების მიერ შექმნილი ლურსმნები კი იყო ქვესტანდარტის. კომისიამ უარყო ეს არგუმენტი და განაცხადა, რომ *Hilti*-ს არასოდეს უცდია დამოუკიდებელ მწარმოებლებთან უსაფრთხოების სისტემების განხილვა და არც არასოდეს გაუფრთხილებია დიდი ბრიტანეთის სავაჭრო სტანდარტის დეპარტამენტი თუ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების აღმასრულებელი უწყება საფრთხის თაობაზე და რომ არცერთხელ არ დაფიქსირებულა რაიმე ანგარიში უსაფრთხოების სირთულეებზე, *Hilti*-ს გარდა, სხვა ლურსმნების გამოყენებიდან გამომდინარე. *Hilti* პირველი ინსტანციის სასამართლოში ასაჩივრებდა როგორც ბაზრის დეფინიციას, ასევე მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტის დადგენას.

კომისია

74. *Hilti*-მ ბოროტად გამოიყენა თავისი მდგომარეობა *EEC*-ს ლურსმნის პისტოლეტების შესაბამისი ბაზარზე და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, *Hilti*-ს შესაბამისი ლურსმნებისა და კარტრიჯის ლენტების ბაზარზე. ამით იგი, ძირითადად, შეეცადა, შეეზღუდა *Hilti*-ს შესაბამისი დეტალების დამოუკიდებელი მწარმოებლების შესვლა ბაზარზე. *Hilti*-ს მცდელობა, დაებლოკა ან შეეზღუდა ასეთი შესვლა, მიდიოდა დომინანტი საწარმოსათვის სამართლებრივად ნებადართული საზღვრის მიღმა. *Hilti*-ს კომერციული საქმიანობის განსხვავებული ასპექტები მიზნად ისახავდა *Hilti*-ს შესაბამისი კარტრიჯის ლენტების თავისუფალი მიღების შესაძლებლობის თავიდან აცილებას. *Hilti*-ს შესაბამისი კარტრიჯის ლენტების ასეთი თავისუფალი მიღების გარეშე, რომელზეც უკანასკნელ პერიოდამდე *Hilti* სარგებლობდა *EEC*-ს ბაზარზე პატენტის ფლობის გამო დაცვით, *Hilti*-ს შესაბამისი ლურსმნების დამოუკიდებელი მწარმოებლები მკაცრად იყვნენ შეზღუდულები ბაზარზე შეღწევისას. ამასთან, მომხმარებლები ვალდებულები

იყვნენ, დაყრდნობოდნენ *Hilti*-ს, მათი *Hilti*-ს პისტოლეტებისათვის როგორც კარტრიჯების, ისევე ლურსმნების შესყიდვისას. ახალი მწარმოებლების ბაზარზე შეღწევის და თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვის გზით *Hilti* ახერხებდა ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის შენარჩუნებას. მისი შესაძლებლობა, გაეტარებინა უკანონო პოლიტიკა, განპირობებული იყო მისივე ძალაუფლებით *Hilti*-ს შესაბამისი კარტრიჯის ლენტებისა და პისტოლეტის ლურსმნების ბაზარზე (სადაც მისი საბაზრო მდგომარეობა არის უძლიერესი და ბაზარზე შეღწევის ბარიერების დონე ძალიან მაღალი) და მიზნად ისახავდა თავისი დომინანტური მდგომარეობის გამყარებას *Hilti*-ს შესაბამისი ლურსმნების ბაზარზე (რაც პოტენციურად მეტად მტკივნეულია ახალი კონკურენციისათვის) (...) ბოროტად გამოყენების ახალი მცდელობები სათავეს იღებდა ან კონცენტრირებული იყო დიდ ბრიტანეთში, რაც შეესაბამებოდა საერთო ბაზრის არსებით ნაწილს. თუმცა, მინიმუმ, ერთი ასეთი ბოროტად გამოყენებით ქმედებას პირდაპირი შედეგი ჰქონდა მეორე წევრ სახელმწიფოში და დამატებით, *Hilti* თავისი სტრატეგიით ირიბად მიზნად ისახავდა, გავლენა ჰქონოდა *EEC*-ს მთლიან ბაზარზე და ცდილობდა, შეეჩერებინა ბაზარზე ახალი ოპერატორების შესვლა (რომელთაც შეეძლოთ ექსპორტის დაწყება) და თავიდან აეცილებინა სხვაგვარად შემოსავლიანი შუამავალი.

75. დაპატენტებული კარტრიჯების ყიდვისათვის მისი შესაბამისი დამატებითი ლურსმნების ყიდვის პირობის შემოღება შეესაბამება დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, ისევე როგორც შემცირებული ფასდაკლებები და სხვა დისკრიმინაციული პოლიტიკის გატარება, რაც აღწერილია მხოლოდ კარტრიჯის შეკვეთებთან დაკავშირებით. ასეთი პოლიტიკა მომხმარებელს არ უტოვებს არანაირი არჩევანის უფლებას ლურსმნების წყაროსთან დაკავშირებით და, როგორც ასეთი, ბოროტად ახდენს მის ექსპლუატაციას. დამატებით, ასეთ პოლიტიკას აქვს ლურსმნების იმ დამოუკიდებელი მწარმოებლების ბაზრიდან გამორიცხვის მიზანი თუ შედეგი, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ ბაზარზე მის დომინანტურ მდგომარეობას. მიჯაჭვულობა და ფასდაკლებების შემცირება იყო არა თითოეული ინციდენტი, არამედ შეესაბამებოდა საერთოდ მიღებულ პოლიტიკას.

საქმე *P. Tetra Pak International SA v. Commission*³³²:

ევროპული სასამართლო

34. თავის მესამე საჩივარში *Tetra Pak* აცხადებდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ შეცდომა დაუშვა კანონში, როდესაც ერთმანეთთან შეერთებული მუყაოსა და შესავსები მანქანის გაყიდვა მიიჩნია 82-ე მუხლის დარღვევად იმ გარემოებებში, როდესაც ბუნებრივი კავშირი არსებობდა ამ ორს შორის და შეერთებული გაყიდვა ხორციელდებოდა კომერციული გამოყენების შესაბამისად.

35. *Tetra Pak* ახდენს 82-ე მუხლის განმარტებას, როგორც მხოლოდ ისეთი კონტრაქტის დადების პრაქტიკის აკრძალვას, რომელიც დამოკიდებულია დამატებით მომსახურებაზე, რომელსაც, თავისი ხასიათიდან თუ კომერციული გამოყენებიდან გამომდინარე, არ აქვს კონტრაქტის საგანთან არსებითი კავშირი.

36. უნდა აღინიშნოს, რომ, პირველი, პირველი ინსტანციის სასამართლომ გარკვევით უარყო *Tetra Pak*-ის მიერ მიწოდებული არგუმენტი, რომელიც ითვალისწინებდა მანქანებსა და მუყაოს შორის ბუნებრივი კავშირის არსებობის გამოვლენას. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 82-ე პარაგრაფში მან დაადგინა: „კომერციული გამოყენების საკითხი მხარს არ უჭერს დასკვნას, რომ პროდუქციის დამფასოებელი მანქანა

³³² Case C-333/94 P, *Tetra Pak International SA v. Commission* [1996] ECR I-5951, [1997] 4 CMLR 662.

განუყოფელია მუყაოსაგან. მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში ბაზარზე იმყოფებოდნენ არასექტიკური მუყაოების წარმოებაში დასპეციალებული დამოუკიდებელი მწარმოებლები, რომლებიც მას ქმნიდნენ იმ სხვა მწარმოებლების მიერ შექმნილი სამანქანო გამოყენებისათვის, რომლებიც თვითონ არ აწარმოებდნენ ასეთ მანქანებს“. აღნიშნული შეფასება, რომელიც ეფუძნება კომერციულ გამოყენებას, გამორიცხავს *Tetra Pak*-ის მიერ დამტკიცებული ბუნებრივი კავშირის არსებობას და გულისხმობს, რომ სხვა მწარმოებლებსაც შეუძლიათ *Tetra Pak*-ის მანქანებისათვის გამოსაყენებელი მუყაოს დამზადება. რაც შეეხება ასექტიკურ მუყაოს, პირველი ინსტანციის სასამართლომ თავისი გადაწყვეტილების 83-ე პარაგრაფში დაადგინა, რომ „იმდენად, რამდენადაც ჩართულია საზოგადოების კონკურენციის სამართალი, ნებისმიერი დამოუკიდებელი მწარმოებელი თავისუფალია აწარმოოს სხვა მწარმოებლის მიერ წარმოებული დანადგარებისათვის დეტალები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ქმედება ზღუდავს კონკურენტის ინტელექტუალური საკუთრების უფლებას.“ მან ასევე 138-ე პარაგრაფში უარყო მითითებული არგუმენტი ბუნებრივი კავშირის არსებობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ *Tetra Pak*-ის გადასაწყვეტი არ იყო, მიეღო გარკვეული ზომები თავის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ტექნიკური მოსაზრებების საფუძველზე თუ პროდუქციისათვის ზიანის მიყენების, საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვისა და საკუთარი რეპუტაციის დაცვის საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული ფაქტორები, როგორც ერთად აღებული მთლიანი, უჩვენებს, რომ, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, *Tetra Pak* არ იყო ერთადერთი, რომელსაც შეეძლო თავისი მანქანებისათვის მუყაოს წარმოება.

37. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების 82-ე მუხლის მეორე პარაგრაფში ჩამოთვლილი ბოროტად გამოყენების პრაქტიკის ნუსხა არ არის ამომწურავი. შესაბამისად, მაშინაც კი, თუ ორი პროდუქტის გაერთიანებული გაყიდვა შეესაბამება კომერციულ გამოყენებას, ან არსებობს ბუნებრივი კავშირი განსახილველ ორ პროდუქტს შორის, ასეთი გაერთიანებული გაყიდვა მაინც შეიძლება შეესაბამებოდეს 82-ე მუხლით გათვალისწინებულ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი გაყიდვა ობიექტურად გამართლებულია. აქედან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა თავისი გადაწყვეტილების 137-ე პარაგრაფში არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს დეფექტურად.

საქმე *Microsoft, Commission Decision*³³³.

კომისია

(794) ხელშეკრულების 82-ე მუხლით აკრძალული მიჯაჭვულობა მოითხოვს შემდეგი ელემენტების არსებობას: ა) გაერთიანება და გაერთიანებული პროდუქცია უნდა შეადგენდეს ორ სხვადასხვა პროდუქტს; ბ) განსახილველი საწარმო არის დომინანტი გაერთიანებული პროდუქციის ბაზარზე, გ) ჩართული საწარმო არ აძლევს მომხმარებელს შესაძლებლობას, აირჩიოს მიჯაჭვული პროდუქცია იმ პროდუქციის გარეშე, რომელთანაც მოხდა მისი გაერთიანება; და დ) გაერთიანება ხურავს კონკურენციას.

(841) რა თქმა უნდა, არსებობს გარემოებები, რომლებიც უკავშირდება *WMP*-ს გაერთიანებას, რომელსაც სჭირდება იმ ეფექტების უფრო ახლოს განხილვა, რომლებიც გავლენას ახდენენ კონკურენციაზე. მაშინ, როცა დომინანტ პროდუქტზე სხვა პროდუქციის მიმაგრების კლასიკურ შემთხვევაში კომისია და სასამართლო მიიჩნევენ, რომ სხვა კონკურენტებისათვის მომავალში კონკურენციის დახურვის გავლენა დემონსტრირებული უნდა იყოს, წინამდებარე საქმეში მომხმარებლებს შეუძლიათ მესამე მხარის მე-

³³³ Microsoft, Commission Decision Comp/C-3/37.792, [2005] 4 CMLR 965.

დიაფლერები მიიღონ ინტერნეტის მეშვეობით, ზოგიერთ შემთხვევაში, აბსოლუტურად უფასოდ. შესაბამისად, შემდგომი განხილვისა და ანალიზის გარეშეც არსებობს კარგი მიზეზები იმისათვის, რომ *WMP*-ს მიმაგრება მიჩნეულ იქნეს ქმედებად, რომელიც, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, პასუხისმგებელია კონკურენციის დაზარალებაზე.

(978) კომისია მიზნად არ ისახავს, მიიღოს გადაწყვეტილება, როგორც სურვილი, ერთი უნიკალური მედიაფლერის ან მედიატექნოლოგიების (მაგალითად, *DRM*-ფორმატი) შექმნასთან დაკავშირებით, რომლებიც დომინანტი იქნება ბაზარზე. თუმცა ხასიათი, რომელშიც კონკურენცია იხსნება მედიაფლერის ბაზარზე, რაც არ იძლევა ასეთი სახის გავლენას, არის კონკურენციის მახასიათებელი. 82-ე მუხლი ნაკითხული უნდა იქნეს მისი განმსაზღვრელი მიზნის ფარგლებში. იგი მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ კონკურენცია შიდა ბაზარზე არ არის დარღვეული (იხ. ხელშეკრულების მე-3 მუხლი... შესაბამისად, კონკურენციის შენარჩუნება შიდა ბაზრებზე, ისე, რომ ინოვაციებს შეეძლოთ დამსახურებისამებრ წარმატების ან წარუმატებლობის მიღწევა, არის საზოგადოების კონკურენციის პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიზანი.

(979) *Microsoft*-მა *Windows*-თან *WMP*-ს მიმაგრებით *Windows* გამოიყენა როგორც სადისტრიბუციო არხი, რათა არაკონკურენტული გზით საკუთარი თავისთვის უზრუნველყო მნიშვნელოვანი საკონკურენტო უპირატესობა მედიაფლერების ბაზარზე მოქმედი კონკურენტების მიმართ, სწორედ *Microsoft*-ის მიერ გამოყენებული მიმაგრებით, რადგან მისი კონკურენტები *a priori* არიან ნაკლებად სახარბიელო მდგომარეობაში, იმის მიუხედავად, არის თუ არა მათ მიერ წარმოებული პროდუქცია მეტად მიმზიდველი.

(980) ამდენად, *Microsoft* იჭრება ნორმალურ კონკურენტულ პროცესში, რომლისგანაც სარგებლის მიღება შეუძლიათ მომხმარებლებს, კონკურენციის შევიწროების არარსებობის შემთხვევაში, ინოვაციის სწრაფი ციკლების მიღების თვალსაზრისით. *WMP*-ს მიმაგრება ზრდის შეცვლისა და გამოყენების ბარიერის შინაარსს, რომელიც იცავს *Windows*-ს და რომელიც ხელს შეუწყობს ასეთი ბარიერების აღმოფხვრას *WMP*-ისათვის. ბაზარზე არსებული სიძლიერე, რომელსაც მიაღწია ეფექტური ქსელით დახასიათებულ ბაზარზე, როგორცაა მედიაფლერის ბაზარი, არის განგრძობადი. თუ ერთხელ მაინც ქსელურმა ეფექტმა იმუშავა იმ კომპანიისათვის სასიკეთოდ, რომელმაც მიიღო გადამწყვეტი მომენტი, ის გაუტოლდება პოტენციური კონკურენტებისათვის ბაზარზე შესვლის ბარიერს (...).

(981) ეს გამოყოფს *Microsoft*-ს ეფექტური კონკურენციისაგან პოტენციურად უფრო ეფექტური მედიაფლერების მწარმოებლებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ შეცვალონ მისი მდგომარეობა. ამდენად, *Microsoft*-მა შეამცირა მედიაფლერში კაპიტალისა და ტალანტის ინვესტირება (...) და არაკონკურენტულად გაზარდა ბარიერები ბაზარზე შესასვლელად. *Microsoft*-ის საქციელი გავლენას ახდენს ბაზარზე, რომელიც შესაძლებელია იყოს ცხელი წერტილი ახალი და გასაოცარი პროდუქციისათვის, ეს რომ მომხდარიყო შეულახავი კონკურენციის კლიმატში.

(982) ამას გარდა, *WMP*-ის მიმაგრება *Microsoft*-ს აძლევს შესაძლებლობას, არაკონკურენტულად გაზარდოს თავისი მდგომარეობა ახლოს მყოფ მედიასთან დაკავშირებული პროგრამის ბაზარზე და შეასუსტოს ეფექტური კონკურენცია მომხმარებლებისათვის შესაძლო ზიანის მიყენებით.

(983) *Microsoft*-ის მიერ *WMP*-ის მიმაგრება ასევე გზავნის სიგნალს, რომელიც ზღუდავს ინოვაციას ნებისმიერ ტექნოლოგიაში, რომლითაც *Microsoft*-ს შეუძლია დაინტერესდეს და შემდგომში მიამაგროს *Windows*-ს (...) *Microsoft*-ის მიერ მიმაგრების მცდელობა შესაბამისი პროდუქციის ბაზრის მონაწილეებს უნერგავს არასაიმედოობის განცდას და,

შესაბამისად, ასუსტებს როგორც პროგრამების განმავითარებელთა მოტივაციას, განხორციელონ ინოვაცია მსგავს სფეროებში, ისევე მწარმოებლების მისწრაფებას, ინვესტირება მოახდინონ დამოუკიდებელი პროგრამების გამოყენებულ კომპანიებში (...) ასეთ ბაზარზე მოქმედი პირი სანარმოო კაპიტალის გაზრდის ან ბაზარზე შესვლის დასაწყისში იძულებული იქნება, შეამონმოს თავისი ბიზნესის მოდელის ელასტიკურობა *Microsoft*-ის გადანყვეტილების სანინალმდეგოდ, იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი გადანყვეტს, პროდუქტის საკუთარი ვერსია მიამაგროს *Windows*-ს (...).

(1984) შესაბამისად, არსებობს გონივრული ვარაუდი, რომ *WMP*-ის მიმაგრება *Windows*-თან გამოიწვევს კონკურენციის შესუსტებას ისეთი ფორმით, რომ ეფექტური კონკურენციის სტრუქტურის შენარჩუნება არ იქნება უზრუნველყოფილი განსაზღვრად მომავალში. აღნიშნული მიზეზების გამო, *WMP*-ის მიმაგრება *Windows*-თან არღვევს ხელშეკრულების 82-ე მუხლით გათვალისწინებული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვას, კერძოდ, არღვევს მეორე პარაგრაფის (დ) ნაწილს.

საქმეები: *Instituto Chemioterapico Italiano Spa and Commercial Solvents Corp v. Commission*³³⁴.

საქმის ფაბულა: *Commercial Solvents (CSC)* ახდენს ამინობუტანოლის დაუმუშავებელი მასალის წარმოებას, რომლისგანაც შესაძლებელია ეთამბუტოლის მიღება. *CSC*-ს აქვს იტალიური ფილიალი, *Istituto*, რომელიც ყიდდა ამინობუტანოლს იტალიაში *Zoja*-ზე, იტალიურ ფარმაცევტულ კომპანიაზე, რომელიც მისგან აწარმოებდა ეთამბუტოლს, ტუბერკულოზის სანინალმდეგოდ ძირითად პრეპარატს. 1970 წელს *Zoja*-მ *Istituto*-სთან გააუქმა თავისი შეკვეთა ამინობუტანოლზე, რადგან დამოუკიდებელი დისტრიბუტორები აღნიშნულ მასალას უფრო იაფად აწვდიდნენ. როდესაც ალტერნატიულმა მომწოდებლებმა არადამაკმაყოფილებლად მიანოდეს პროდუქტი, *Zoja*-მ ახალი შეკვეთა განათავსა *Istituto*-სთან. თუმცა *CSC*-მ გადანყვიტა, აღარ მოეხდინა ამინობუტანოლის მიწოდება *EEC*-ს ბაზარზე და ამის ნაცვლად მიეწოდებინა უკვე წარმოებული პროდუქტი დექსტროამინობუტანოლი, რომელსაც *Istituto* გადააქცევდა ეთამბუტოლად და მისგან თვითონ აწარმოებდა ეთამბუტოლზე დაფუძნებულ წამლებს. შესაბამისად, *Zoja*-ს უარი ეთქვა მიწოდებაზე. *Zoja*-მ შეუძლებლად მიიჩნია მიწოდების მიღება მსოფლიო ბაზარზე, რადგან ყველა გზას ისევ *CSC*-სთან მიჰყავდა. *Zoja*-მ საჩივრით მიმართა კომისიას, რომელმაც დაადგინა, რომ *CSC* ამინობუტანოლის ბაზარზე დომინანტი იყო და რომ *Zoja*-სთვის მიწოდებაზე უარის თქმით მან ბოროტად გამოიყენა თავისი მდგომარეობა, რასაც შეეძლო გამოეწვია ეთამბუტანოლის მთავარი მწარმოებლის განადგურება საერთო ბაზარზე. *CSC*-მ გადანყვეტილება გაასაჩივრა სასამართლოში, რომელმაც დაადასტურა დაუმუშავებელი მასალების ბაზარზე დომინანტი მდგომარეობის არსებობა და მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დადგენა.

ევროპული სასამართლო

23. აპლიკანტი აცხადებს, რომ ისინი არ უნდა განისაზღვრონ პასუხისმგებლად მიწოდების შეჩერებაზე *Zoja*-სთვის, რადგან ეს გამომდინარეობდა იმ ფაქტიდან, რომ 1970 წელს *Zoja*-მ თვითონ აცნობა *Istituto*-ს, რომ აუქმებდა ამინობუტანოლის დიდი რაოდენობის შესყიდვას, რომელიც მას უნდა მიწოდებოდა კონტრაქტის მიხედვით, რომელიც მაშინ ძალაში იყო *Zoja*-სა და *Istituto*-ს შორის. როდესაც 1970 წლის ბოლოს *Zoja* კვლავ დაუკავშირდა *Istituto*-ს აღნიშნული პროდუქციის მიღების მიზნით, ეს უკანასკნელი ვალდებული იყო, *CSC*-სთან კონსულტაციების საფუძველზე ეპასუხა, რომ *CSC*-მ შეცვალა თავისი კომერციული პოლიტიკა და რომ მოთხოვნილი პროდუქცია

³³⁴ Cases 6 and 7/73 *Instituto Chemioterapico Italiano Spa and Commercial Solvents Corp v. Commission* [1974] ECR 223, [1974] 1 CMLR 309.

აღარ იყო ხელმისაწვდომი. როგორც ისინი ამტკიცებდნენ, CSC-ის მიერ პოლიტიკის შეცვლა გამომდინარეობდა აბსოლუტურად ლეგიტიმური მოსაზრებებიდან იმ უპირატესობების გათვალისწინებით, რომელთაც ისინი მიიღებდნენ მათივე პროდუქციიდან დასრულებული პროდუქციის წარმოების გზით და რომ არ შეზღუდულიყვნენ დაუმუშავებელი მასალებისა და შუალედური პროდუქციის მინოდებით. აღნიშნული პოლიტიკიდან გამომდინარე, მან გადაწყვიტა, აღარ მიეწოდებინა ამინობუტანოლი თავისი დისტრიბუტორებისათვის მათ მიერ უკვე დაშვებული შეცდომის გათვალისწინებით.

24. დოკუმენტებიდან და მოსმენიდან ჩანს, რომ დაუმუშავებელი მასალების მომწოდებლები, EEC-ს მიხედვით, შეზღუდულები არიან *Istituto*-თი, რომელმაც როგორც ამას ამტკიცებს CSC, 1968 წელს დაიწყო ეთამბუტოლზე დაყრდნობით საკუთარი სპეციალიზაციის განვითარება და 1969 წლის ნოემბერში მიიღო იტალიის მთავრობის თანხმობა, რაც აუცილებელი იყო წარმოების დაწყებისათვის. მან 1970 წელს დაიწყო საკუთარი პროდუქციის წარმოება. როდესაც Zoja-მ გადაწყვიტა ამინობუტანოლის შემდეგი მინოდების მიღება, მან მიიღო ნეგატიური პასუხი. CSC-მ გადაწყვიტა შეეზღუდა ან, საერთოდ, სრულად შეენწყვიტა ნიტროპროპანისა და ამინობუტანოლის მინოდება გარკვეული მხარეებისათვის იმ მიზნით, რომ გაემარტივებინა საკუთარი დაშვება წარმოებული პროდუქციის ბაზარზე.

25. თუმცა საწარმოს, რომელიც იმყოფება დომინანტურ მდგომარეობაში დაუმუშავებელი მასალების პროდუქციის ბაზარზე და, შესაბამისად, აქვს შესაძლებლობა, გააკონტროლოს აღნიშნული მასალიდან გამომდინარე პროდუქციის მწარმოებლებისათვის მინოდება, მხოლოდ იმიტომ რომ გადაწყვეტს, თავად დაიწყოს პროდუქციის წარმოება (თავის ყოფილ მომხმარებლებთან კონკურენციის გამო) არ შეუძლია მოიქცეს ისეთი ფორმით, რომ გაანადგუროს მათი კონკურენცია, რაც ამ საქმეში უტოლდება საერთო ბაზარზე ეთამბუტოლის ერთ-ერთი მთავარი მწარმოებლის განადგურებას. ვინაიდან ასეთი ქმედება ეწინააღმდეგება ხელშეკრულების მე-3 1b მუხლში გამოხატულ მიზნებს, რომლებიც უფრო ვრცლად და დეტალურად არის აღწერილი 81-ე და 82-ე მუხლებში, გამომდინარეობს, რომ საწარმოს, რომელსაც დომინანტური მდგომარეობა აქვს დაუმუშავებელი მასალების ბაზარზე და რომელიც ასეთ დაუმუშავებელ მასალებს ინახავს მხოლოდ თავისთვის, რათა აწარმოოს აღნიშნულ მასალებზე დაყრდნობით პროდუქცია, უარს ეუბნება მინოდებაზე სხვა საწარმოს, რომელიც, თავის მხრივ, არის მწარმოებელი და, შესაბამისად, რისკავს, რომ მოხდეს კონკურენციის განადგურება ამ მწარმოებლის მხრიდან, ბოროტად იყენებს თავის დომინანტურ მდგომარეობას 82-ე მუხლის მიზნებისათვის. ამ კონტექსტში არანაირი მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტს, რომ საწარმომ მინოდება შეწყვიტა 1970 წლის გაზაფხულზე Zoja-ს მიერ შესყიდვის გაუქმების საფუძველზე, ვინაიდან, როგორც აპლიკანტის პირადი განცხადებიდან ჩანს, კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემდეგ ამინობუტანოლის გაყიდვა ნებისმიერ შემთხვევაში შეჩერდებოდა.

26. ასევე, აპლიკანტის თხოვნის საწინააღმდეგოდ, არ არის საჭირო იმის შემოწმება, ჰქონდა თუ არა Zoja-ს ამინობუტანოლის აუცილებელი საჭიროება 1970 და 1971 წლებში, თუ აღნიშნულ კომპანიას ისევ ჰქონდა აღნიშნული პროდუქციის მნიშვნელოვანი მოცულობა, რომელიც მას მისცემდა შესაძლებლობას, მოეხდინა თავისი პროდუქციის რეორგანიზაცია გონივრულ ვადაში, ვინაიდან ეს შეკითხვა არ არის აპლიკანტის ქმედების შესაბამისობის განსაზღვრისათვის.

27. დაბოლოს, CSC აცხადებს, რომ მის მიერ ნიტროპროპანისა და ამინობუტანოლის წარმოება განხილულ უნდა იქნეს პარაფინის ნიტრატის კონტექსტში, რომლიდანაც ნი-

ტროპროპანი არის ერთადერთი წარმოებული და რომ ზუსტად ასევე ამინობუტანოლი არის ნიტროპროპანის ერთადერთი წარმოებული. შესაბამისად, განსახილველი ორი პროდუქტის წარმოების შესაძლებლობა არ არის შეუზღუდავი, იგი დამოკიდებულია ნაწილობრივ სხვა წარმოებულების შესაძლო გაყიდვებზე.

28. თუმცა აპლიკანტი სერიოზულად არ დავობდა გადანყვეტილებაში გაკეთებულ განსახილველ განცხადებაზე, ვინაიდან „CSC-ს პროდუქციის მოცულობის გეგმის მიხედვით, შესაძლებელია დადასტურდეს, რომ CSC-ს შეუძლია დააკმაყოფილოს Zoja-ს საჭიროებები, რადგან Zoja-ს ნიტროპროპანის წარმოებაში CSC-ს გლობალური პროდუქციის ძალიან მცირე პროცენტული მაჩვენებელი აქვს (დაახლოებით 5-6%)“. შესაბამისად, დასკვნის სახით უნდა დადგინდეს, რომ კომისია მართალი იყო, როდესაც გადანყვიტა, მსგავსი განცხადებები არ უნდა მიეღო მხედველობაში.

29. აქედან გამომდინარე, აღნიშნული წარდგინებები უნდა უარიყოს.

საქმე *United Brands v. Commission*³³⁵:

სასამართლო

182. (...) ა) სასურველია, თავიდანვე პოზიტიურად დამტკიცდეს, რომ დომინანტ მდგომარეობაში მყოფ საწარმოს, ბაზარზე განსათავსებელი პროდუქციის მიზნებიდან გამომდინარე, – რომელიც ერიცხება მომხმარებლებისათვის ცნობილ და მათ მიერ შეფასებული სამარკო ნიშნის რეპუტაციას, – არ შეუძლია შეაჩეროს მიწოდება გრძელვადიანი მომხმარებლისათვის, რასაც აქვს ჩვეულებრივი კომერციული პრაქტიკა, თუ მომხმარებლის მიერ განთავსებული შეკვეთა არცერთ შემთხვევაში არ არის ჩვეულებრივისგან შორს.

183. ასეთი ქმედება შეუთავსებელია ხელშეკრულების მე-3 1ზ მუხლის მიზნებთან, რომლებიც დეტალურად განერილია 82-ე მუხლში, კერძოდ (ბ) და (გ) პარაგრაფებში, ვინაიდან გაყიდვაზე უარის თქმა ბაზარს მომხმარებლის საზიანოდ შეზღუდავს და გაუთოლდება დისკრიმინაციას, რომელმაც საბოლოოდ შეიძლება გაანადგუროს სავაჭრო პარტნიორი საერთო ბაზრიდან.
(...)

189. მიუხედავად იმისა, როგორც აპლიკანტი აღნიშნავს, სიმართლეა, რომ დომინანტური მდგომარეობა არ ართმევს საწარმოს უფლებას, დაიცვას თავისი კომერციული ინტერესები, თუ ხდება მათზე თავდასხმა, და ასეთ საწარმოს უნდა ჰქონდეს უფლება, განახორციელოს საწარმოს საპასუხისმგებლო ნაბიჯები, თუ საჭირო გახდება ინტერესების შესაბამისი ფორმით დაცვა, მისი ქმედება არ უნდა იქნეს მხარდაჭერილი იმ შემთხვევაში, თუ მისი რეალური მიზანი არის თავისი დომინანტური მდგომარეობის გაძლიერება და შემდეგ ბოროტად გამოყენება.

190. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არსებობს საწინააღმდეგო თავდასხმის მიღების შესაძლებლობა, ასეთი თავდასხმა უნდა იყოს მუქარის პროპორციული და უნდა ითვალისწინებდეს ერთმანეთის კონკურენტი საწარმოების ეკონომიკურ სიძლიერეს.

191. მიწოდებაზე უარის თქმაში გამოხატული სანქცია დომინანტურ მდგომარეობაში მყოფი საწარმოს მხრიდან იყო იმის გადაჭარბება, რაც უნდა ყოფილიყო იმ შემთხვევაში, თუ წარმოქმნებოდა ზემოთ ნახსენები შემთხვევა, რაც გონივრულად იყო მიჩნეული, როგორც დაკისრებული სანქცია, ისევე როგორც, ეს მოხდა ოლსენის მიერ UBC-ის დადანაშაულებაში.

³³⁵ Case 27/76, *United Brands v. Commission* [1978] ECR 207, [1978] 1 CMLR 429.

192. ფაქტობრივად, UBC-ს არ შეიძლება არ სცოდნოდა, რომ ასეთი საქციელით ის ზიანს მიაყენებდა მის სხვა დამამნიფებელ/დისტრიბუტორებს სხვა სამარკო ნიშნის რეკლამირებაში მხარდაჭერისას და რომ მის მიერ ერთ ერთზე დაკისრებული სანქციის განსხვავებული გავლენა მის მდგომარეობას საერთო ბაზარზე გააძლიერებდა და უფრო ეფექტურს გახდიდა.

193. შესაბამისად, ასეთი ქმედებების კურსი უტოლდება დომინანტ სანარმოსთან პა-ტარა და საშუალო ფირმების კომერციული ურთიერთობების დამოუკიდებლობაში სერიოზულ ჩარევას და ეს დამოუკიდებლობა, თავის მხრივ, გულისხმობს უფლებას, უპირატესობა მიანიჭოს კონკურენტის პროდუქციას.

194. ამ საქმეში ასეთი ქმედებების კურსის მიღება მიმართულია იმისაკენ, რომ ჰქონდეს სერიოზული უარყოფითი ეფექტი ბანანის შესაბამის ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე, როდესაც მხოლოდ დომინანტ სანარმოზე დამოკიდებულ კომპანიებს რჩებათ შესაძლებლობა, დარჩნენ ბიზნესში.

195. აპლიკანტის არგუმენტი, რომ დანიის ბაზარზე ბანანის ფასის 40 %-ით ვარდნა ნიშნავს, რომ მის მიერ მიწოდებაზე უარის თქმით კონკურენცია არ იყო დარღვეული, არ შეიძლება იქნეს მიღებული.

196. რეალურად ფასების ვარდნა გამონვეული იყო ძალიან ცოცხალი კონკურენციით – რომელსაც იმ პერიოდში მოიხსენიებდნენ როგორც „ბანანთა ბრძოლას“, რომელშიც ორი ტრანსნაციონალური კომპანია, UBC და Castle and Cooke, იყო ჩართული.

საქმე *BBI/Boosey & Hawkes: Interim Measures*³³⁶:

კომისია

19. დომინანტი სანარმოს საქმიანობის კურსი, რომელიც მიიღება ბაზრიდან კონკურენტის გაძევების მიზნით დამსახურებაზე ორიენტირებული ლეგიტიმური კონკურენციისაგან განსხვავებული მეთოდებით, შეესაბამება 82-ე მუხლის შეზღუდვას.

ამ საქმეში არსებული დოკუმენტური მტკიცებულებით დგინდება, რომ B&H-მა აწარმოა ქმედებათა კურსი, რომელიც მიმართული იყო BBI-ს მხრიდან კონკურენციის საფრთხის მოხსნისაკენ და რომ მის მიერ GHH-ისა და RCN-ისათვის მიწოდების გაუქმება ამ გეგმის ნაწილი იყო.

კარგად დადგენილი ფაქტია, რომ დომინანტი მწარმოებლის მიერ მიწოდებაზე უარის თქმა, არსებული მომხმარებლისათვის ობიექტური გამართლების გარეშე, შეიძლება შეესაბამებოდეს 82-ე მუხლის მიხედვით გათვალისწინებულ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას (საქმე 27/76 *United Brands v. Commission*; საქმე 6/73 და 7/73 *Commercial Solvents* (...)).

ამ საქმის ფაქტებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, GHH-ისა და RCN-ის დამოკიდებულება B&H-ზე ისეთი ფორმის იყო, რომ ამ უკანასკნელის მიერ მიწოდების შეჩერება, სავარაუდოდ, გამოიწვევდა მათი ბიზნესის მოშლას.

კონკურენციაზე ზიანის მიყენება შეიძლება დამძიმდეს, როდესაც ქმედების მიზანი არის არაპირდაპირი გზით დომინანტი სანარმოს პოტენციური კონკურენტებისათვის ბაზარზე შესვლის შეზღუდვა.

დომინანტ სანარმოს ყოველთვის შეუძლია, გადადგას გონივრული ნაბიჯები თავისი კომერციული ინტერესის დასაცავად, მაგრამ მიღებული ზომები უნდა იყოს სამარ-

³³⁶ BBI/Boosey & Hawkes: Interim Measures [1987] OJ L286/36, [1988] 4 CMLR 67.

თლიანი და მუქარის პროპორციული. ფაქტი, რომ დომინანტი სანარმოს მომხმარებელი შეიძლება ასოცირებულ იქნეს მწარმოებლის კონკურენტთან, ან პოტენციურ კონკურენტთან, როგორც წესი, არ აძლევს დომინანტ მწარმოებელს უფლებას, დაუყოვნებლივ უთხრას უარი მას მიწოდებაზე, ან მის საწინააღმდეგოდ დაანოსსო გარკვეული რეპრესალიები.

არ არსებობს ვალდებულება, რომლის მიხედვითაც დომინანტი სანარმო მოახდენს კონკურენციის თავისთვის სუბსიდირებას. იმ შემთხვევაში, როდესაც მომხმარებელი თავის მთავარ საქმიანობას დახმარებისათვის გადასცემს კონკურენტ სამარკო ნიშანს, დომინანტი სანარმოც კი ხდება უფლებამოსილი, გადახედოს თავის კომერციულ ურთიერთობას მომხმარებელთან და ადეკვატური ინფორმირების საფუძველზე შეწყვიტოს რაიმე სახის განსაკუთრებული ურთიერთობა. როგორც ჩანს, GHH-ისა და RCN-ისათვის სრულ მიწოდებაზე უარის თქმა და B&H-ის სხვა ქმედებები, რომლებიც მიმართული იყო მათ წინააღმდეგ, როგორც მისი რეაქციის ნაწილი BBI-ის მხრიდან გარკვეული საფრთხის შექმნასთან დაკავშირებით, ამ საქმეში მიჩნეული უნდა იქნეს როგორც B&H-ის მხრიდან მისი კომერციული ინტერესების დაცვის ლეგიტიმური ჩარჩოებს მიღმა განხორციელებულად.

საქმე *Liptons Cash Registers/Hugin*³³⁷:

კომისია

63. იმ შემთხვევებში, როდესაც სანარმო, რომელიც იმყოფება დომინანტურ მდგომარეობაში საერთო ბაზარზე ან მის არსებით ნაწილზე კონკრეტული პროდუქციის მონოდებისათვის და, კერძოდ, როდესაც დომინანტი სანარმო არის მონოპოლიური:

ა) ობიექტური გამართლების გარეშე ეუბნება უარს პროდუქციის მიწოდებაზე თავის ძირითად მომხმარებლებსა და გამომყენებლებს, რაც სერიოზულად აზიანებს ამ უკანასკნელის ბიზნესსაქმიანობას და, შესაბამისად, ართმევს მათ შესაძლებლობას, გააგრძელონ მომსახურების შეთავაზება, ან გააგრძელონ მათი ბიზნესი და, აქედან გამომდინარე, ანადგურებს ბაზარზე მოქმედი დომინანტი სანარმოსგან დამოუკიდებელ ყველა კონკურენტს და ღიად ტოვებს ბაზარს აღნიშნული მომსახურებისათვის; და

ბ) უკრძალავს თავის ფილიალებსა და დილერებს პროდუქციის მიწოდებას თავისი უშუალო სადისტრიბუციო ქსელის გარეთ. კერძოდ კი, სხვა წევრ სახელმწიფოში მოქმედი მყიდველებისათვის და, აქედან გამომდინარე, მიწოდებაზე უარის თქმას ანიჭებს მეტ ეფექტურობას, ზემოთ აღნიშნული მომხმარებლებისათვის პროდუქციის მიწოდებად;

ასეთი საქციელი უტოლდება დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, სადაც ის ინვესტს კონკურენციის არსებითად შეზღუდვას და წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენას.

საქმე *British Midland/Aer Lingus*³³⁸:

საქმის ფაბულა: ხაზებს შორის მოქმედება საჰაერო სატრანსპორტო ინდუსტრიისათვის სტანდარტული პრაქტიკაა, რომელიც აამოქმედა IATA-მ თავისი მრავალმხრივი შეთანხმებების საფუძველზე, რომლის მხარეებიც გახდნენ დაინტერესებული ავიახაზები, რის საფუძველზეც ჩართული ავიახაზები უფლებამოსილები არიან, ნახონ ერთმანეთის მომსახურება. შესაბამისად, ერთი გაცემული ბილეთი მოიცავს რამდენიმე ავიახაზის მიერ შესრულებულ სეგმენტს. გამცემი ავიაკომპანია კრებს ყველა სეგმენტის ფასს, რომელსაც შემდეგ იხდის მყიდველი და ავიაკომპანია მას შესაბამისი მომსახურებების

³³⁷ Liptons Cash Registers/Hugin [1978] OJ L22/23, [1978] 1 CMLR D19.

³³⁸ British Midland/Aer Lingus [1992] OJ L96/34, [1993] 4 CMLR 596.

მიხედვით უნაწილებს მომწოდებელ ავიახაზებს. აღნიშნული სისტემა მგზავრს აძლევს შესაძლებლობას, ერთი გზა იფრინოს ერთი ავიახაზის მეშვეობით, ხოლო დასაბრუნებელი გზა გაიაროს სხვა ავიაკომპანიის მეშვეობით. *Aer Lingus*, რომელიც კომისიამ ლონდონი (ჰითროუ) – დუბლინის საჰაერო მიმოსვლაში დომინანტად მიიჩნია, გამოვიდა *British Midland*-თან არსებული შიდა ხაზების შეთანხმებიდან მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა დაიწყო ჰითროუ-დუბლინის რეისის შესრულება. პრესისთვის განკუთვნილ განცხადებაში *Aer Lingus*-მა განაცხადა: „ჩვენ ჩამოვყალიბდით როგორც დომინანტი გადაამზიდავი კომპანია ორ დედაქალაქს შორის რეისზე და მიზნად გვქონდა ასეთად დარჩენა..., *British Midland*-ს არ აქვს შესაძლებლობა, შესთავაზოს მომხმარებელს ფრენის ასეთივე სიხშირე. ასე რომ, მათ სურთ, ჩვენ მივანოდოთ მათ პროდუქტი ხაზების შიდა შეთანხმების მეშვეობით.“ კომისიამ დაადგინა, რომ შიდა ხაზებისათვის უარის თქმა შეესაბამებოდა *Aer Lingus*-ის მიერ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, დააჯარიმა ის 750 000 ECU-ს ოდენობით და უბრძანა *British Midland*-თან შიდა ხაზების მეშვეობით თანამშრომლობა ჰითროუ-დუბლინის რეისზე ორი წლის განმავლობაში.

კომისია

24. ბოროტად გამოყენებითი ქმედება განსაზღვრულია როგორც „პრაქტიკა, რომელიც მიმართულია ბაზრის სტრუქტურის შეცვლისაკენ, რომელზეც განსახილველი საწარმოს არსებობის შედეგად კონკურენცია უკვე შესუსტებულია და რომელსაც ვაჭრობის მხარეების მიერ მოწოდებული პროდუქციისა და მომსახურების ბაზარზე ნორმალური კონკურენციის მმართველი ნორმებისაგან განსხვავებული მეთოდების გამოყენების გამო აქვს კონკურენციის დონის განვითარების შეზღუდვის ან მისი შენარჩუნების ხელის შეშლის ეფექტი“ (საქმე 85/76, *Hoffmann-La Roche v. E.C Commission* (...)).

25. შიდა ხაზისთვის უარის თქმა არ არის დამსახურებაზე მიმართული ნორმალური კონკურენცია. შიდა ხაზების სისტემა დიდი ხნის განმავლობაში იყო მიღებული როგორც ინდუსტრიული პრაქტიკა, რასაც ფართოდ გავრცელებული დადებითი შედეგები ჰქონდა როგორც ავიახაზებისათვის, ასევე მგზავრებისათვის. შიდა ხაზზე უარის თქმა სხვა მიზეზის გამო, გარდა ვალუტის კონვერტაციისა და ბენეფიციარი ავიახაზის სანდობისა, საკმაოდ უჩვეულო ნაბიჯია და ევროპული ავიახაზების ინდუსტრიის მიერ ამ დრომდე მიჩნეული იყო როგორც ნორმალური კონკურენტული სტრატეგია. *Aer Lingus*-მა, თავის მხრივ, შეინარჩუნა ლონდონი-დუბლინის რეისზე სხვა კონკურენტ ავიახაზებთან შიდა შეთანხმება, კერძოდ *British Airways*-სა და *Dan Air*-თან.

Aer Lingus დავობდა, რომ, მიუხედავად იმისა, შიდა ხაზების სისტემა უმეტეს შემთხვევაში მოგების მოტანა ყველა მონაწილე ავიახაზისათვის, მას ზიანი მიადგება *British Midland*-ის ჩართულობით, რადგან დაკარგავს ბაზრის წილიდან გარკვეულ ნაწილს ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს დადასტურდება – შემოსავლის დაკარგვასთან დაკავშირებული არგუმენტი – მაინც არ იქნება კანონიერი საფუძველი უარისათვის. *Aer Lingus*-ს არ უდავია იმასთან დაკავშირებით, რომ *British Midland*-ს ექნებოდა მნიშვნელოვანი გავლენა მის ხარჯებზე, მაშინ როცა არსებობს მტკიცებულება, რომ მის უარს შეეძლო გამოენვია მნიშვნელოვანი დაბრკოლება *British Midland*-ისათვის.

26. უარის თქმა შიდა ხაზების ახალ შესაძლებლობაზე, ისევე როგორც არსებულის გაუქმება, გარემოებათა გათვალისწინებით ხელს უშლის კონკურენციის განვითარებას. ის ფაქტი, თუ რამდენად წარმოიქმნება შიდა ხაზებთან დაკავშირებული ვალდებულება, დამოკიდებულია კონკურენციაზე შიდა ხაზებისათვის გაცემული უარის ეფექტზე (...).

27. როდესაც ავიაკომპანია იწყებს ახალ მომსახურებას, ის უნდა ელოდებოდეს გარკვეული დანაკარგის მიღებას საწყის ეტაპზე, რომლის განმავლობაშიც მას მოუწევს თავისი მომსახურების ეკონომიკური ოპერირების ორგანიზება და მგზავრებისა და სამგზავრო ბიზნესის მხრიდან მნიშვნელოვანი ინტერესის მიზიდვა. მისი მოლოდინი ვერ იქნება მომსახურების დანყების დღიდანვე იმ შემოსავლის მიღება, რომელიც აუცილებელია მომგებიანი მოქმედების უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, ბაზარზე შესვლა ყოველთვის იქნება რთული.

შიდა ხაზების შესაძლებლობაზე უარის თქმა ჰგავს აღნიშნული სირთულის გაზრდას. ახალშესული შიდა ხაზების შესაძლებლობის გარეშე, ტურისტული სააგენტოებისა და მოგზაურების მიერ მიიჩნევა მეორეხარისხოვან ავიაკომპანიად, რაც მისთვის გაართულებს მომგებიანი ოპერირებისათვის აუცილებელი კომერციული სტაბილურობის მიღწევას. ტურისტულ სააგენტოებს სურთ, თავიდან აიცილონ დროის დაკარგვა, დამატებითი სამუშაო და შემოსავლის პოტენციური დაკარგვა იმ ავიაკომპანიის ბილეთის გაცემით, რომელსაც არ გააჩნია შიდა ხაზების შესაძლებლობა. დამატებით, მგზავრების დიდ ნაწილს ურჩევნია ჰქონდეს ბილეთის შეცვლის ან ერთ ბილეთზე კომპლექსური მოგზაურობის მარშრუტის დატანის შესაძლებლობა, ხოლო შიდა ხაზების არარსებობა შედეგად მოიტანს ასეთი მგზავრების ჯგუფის გადასროლას ახალი ავიახაზებიდან სხვა ავიახაზებზე. შესაბამისად, შიდა ხაზებზე უარის თქმა ბაზარზე ახალშესულ ავიახაზებს მოაკლებს კარგად ინფორმირებულ ბიზნესმგზავრებს, რომელთათვისაც მოქნილი ბილეთის არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია და რომელთაგან მიღებული შემოსავალიც შეადგენს ავიახაზების შემოსავლის დიდი ნაწილს, ხოლო ასეთი შემოსავლის მნიშვნელოვან შემცირებას ექნება სერიოზული ეფექტი ახალი ოპერატორის ეკონომიკურ მდგომარეობაზე (...).

30. შესაბამისად, *Aer Lingus* იყენებდა სტრატეგიას, რომელიც (თუნდაც არ იყოს სრულად ეფექტური) არის როგორც შერჩევითი, ასევე ექსკლუზიური და ზღუდავს კონკურენციის განვითარებას ლონდონი (ჰითროუ) – დუბლინის მარშრუტზე.

საქმე *P. RTE & ITP v. Commission*³³⁹:

სასამართლო

(ა) დომინანტური მდგომარეობის არსებობა

46. იმდენად, რამდენადაც ჩართულია დომინანტური მდგომარეობა, უნდა დავიმახსოვროთ, რომ ინტელექტუალური საკუთრების უბრალო ფლობა არ შეესაბამება ასეთ მდგომარეობას.

47. თუმცა ძირითადი ინფორმაცია, როგორიცაა: არხი, დღე, დრო და პროგრამის სათაური სატელევიზიო სადგურებისათვის პროგრამების დასაგეგმავად აუცილებელი ინფორმაციაა, რაც, შესაბამისად, ერთადერთი წყაროა ისეთი სანარმოსთვის, როგორიცაა *Magill*, რომელსაც აქვს სურვილი, დაბეჭდოს პროგრამები სურათებთან ან კომენტარებთან ერთად. გარემოებებიდან გამომდინარე, RTE და ITP, როგორც ITV-ს აგენტები BBC-სთან ერთად სარგებლობს *de facto* მონოპოლიით ირლანდიაში სატელევიზიო პროგრამების ჩამონათვალის მეშვეობით მიღებული ინფორმაციის გავრცელებაში, ხოლო 30-40%-ით ჩრდილოეთ ირლანდიაში. აპლიკანტები, შესაბამისად, არიან ისეთ მდგომარეობაში, რომ მოახდინონ სატელევიზიო ყურნალების ბაზარზე ეფექტური კონკურენციის შეზღუდვა. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლო მართალი იყო, როდესაც დაადასტურა კომისიის შეფასება, რომ აპლიკანტი იმყოფებოდა დომინანტურ მდგომარეობაში (*Michelin*, პარა. 30).

³³⁹ Case C-241 - 1/91 P, RTE & ITP v. Commission [1995] ECR I-743, [1995] 4 CMLR 718.

(ბ) მდგომარეობის ბოროტად გამოყენების არსებობა

48. მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებელი და IPO არასწორად მიიჩნევენ, რომ ისეთი უფლების კავშირი, რასაც ადგილობრივ კანონმდებლობაში „საავტორო უფლება“ ეწოდება, დომინანტურ მდგომარეობასთან არ შეიძლება განხილულ იქნეს ხელშეკრულების 82-ე მუხლთან მიმართებით.

49. დამატებით, გაერთიანების სამართლის ჰარმონიზაციისა და სტანდარტიზაციის არარსებობისას ინტელექტუალური საკუთრების უფლების პირობებისა და პროცედურების განსაზღვრა ეროვნული წესების საქმეა. ამასთან, წარმოების ექსკლუზიური უფლება არის ავტორის უფლების ნაწილი და, შესაბამისად, ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმა იმ შემთხვევაშიც კი, თუ სანარმო არის დომინანტურ მდგომარეობაში, თავის მხრივ, არ შეიძლება შეესაბამებოდეს მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას (*Volvo v. Veng*, პარა.: 7 და 8).

50. თუმცა უნდა აღინიშნოს, ზემოთ ნახსენები გადანყვეტილებიდან აშკარაა (პარა. 9), რომ მესაკუთრის მიერ ექსკლუზიური უფლების გამოყენება გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება გულისხმობდეს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

51. ამ საქმეში გასაჩივრებული ქმედება არის შემდეგი. აპლიკანტი ეყრდნობოდა ადგილობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებულ „საავტორო უფლებას“ იმისათვის, რომ აეცილებინა *Magil*-ის ან იმავე განზრახვის მქონე სხვა რომელიმე დამოუკიდებელი სანარმოს მიერ საკვირაო ინფორმაციის გამოქვეყნება (არხი, დღე, დრო და პროგრამის სათაური), კომენტარებთან და აპლიკანტის მიერ მოპოვებულ სურათებთან ერთად.

52. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განხილული ერთ-ერთი გარემოება, რომლიდანაც მან დაადგინა, რომ ქმედება მოიცავდა ბოროტად გამოყენების ნიშნებს, იყო, პირველი, ის ფაქტი, რომ, სასამართლოს მიხედვით, არ არსებობდა მთელი კვირის პროგრამების შეთავაზების არც რეალური და არც პოტენციური ალტერნატიული წყარო. ამ თვალსაზრისით, პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადასტურა კომისიის დასკვნა, რომ 24-საათიანი პროგრამების სრული სია – 48-საათიანი პროგრამების დასვენების დღეებისა და შაბათ-კვირის წინ, რაც იბეჭდებოდა ყოველდღიურ და მთელი კვირის გამოცემებში და ზოგიერთი გაზეთის სატელევიზიო განყოფილებაში იყო მხოლოდ შეზღუდულ დონეზე ჩანაცვლებადი იმ ადამიანებისთვის, ვისაც მთელი კვირის სატელევიზიო პროგრამების გაცნობის სურვილი ჰქონდა. მხოლოდ მთელი კვირის სატელევიზიო პროგრამების გაცნობის შემდეგ შეექმნებოდა მკითხველს იმის შესაძლებლობა, განესაზღვრა, რომელი პროგრამების მიდევნებას აპირებდა და, შესაბამისად, დაეგეგმა თავისი გასართობი დრო. პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ არსებობდა განსაკუთრებული, მუდმივი და რეგულარული პოტენციური მოთხოვნა მომხმარებლების მხრიდან (იხ., მაგალითად, *RTE* გადანყვეტილება, პარა. 62 და *ITP* გადანყვეტილება, პარა. 48).

53. ამდენად, აპლიკანტები, – რომლებიც, გარემოებებიდან გამომდინარე, პროგრამების განრიგის ერთადერთი წყაროა, რაც არის მთელი კვირის სატელევიზიო პროგრამების მეგზურის შექმნის განუყოფელი დაუმუშავებელი მასალა, – მომხმარებლებს არ აძლევდნენ არანაირი არჩევანის საშუალებას, გარდა ერთისა, – ეყიდათ კვირის მეგზური თითოეული სატელევიზიო სადგურისათვის და ასეთი გზით გაეკეთებინათ მათთვის სასურველი შედარებები.

54. შესაბამისად, განმცხადებლის უარი, წარმოედგინა ძირითადი ინფორმაცია ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ახდენდა ახალი პროდუქტის, საერთო საკვირაო

სატელევიზიო პროგრამების მეგზურის, შექმნის თავიდან აცილებას, რის შეთავაზებაც არ ახდენდა აპლიკანტი და რაზეც იყო მომხმარებლის პოტენციური მოთხოვნა. ასეთი უარის თქმა მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, 82-ე მუხლის მეორე პუნქტის ბ ქვეპუნქტის მიხედვით.

55. მეორე, ასეთი უარი არ იყო გამართლებული არც სატელევიზიო მაუწყებლობებისა და არც სატელევიზიო პროგრამების გამომქვეყნებელი ჟურნალებისათვის (*RTE* გადაწყვეტილება, პარა. 73 და *ITP* გადაწყვეტილება, პარა. 58).

56. მესამე და ბოლო, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, აპლიკანტებმა თავიანთი ქმედებით დაიბევეს საკვირაო სატელევიზიო მეგზურის მეორადი ბაზარი არსებული ბაზრიდან კონკურენტების განდევნით (*Commercial Solvents*, პარა. 25), ვინაიდან ისინი უარს ამბობდნენ ძირითადი ინფორმაციის, იმავე დაუმუშავებელი მასალის (რაც განუყოფელი ნაწილია), მიწოდებაზე სატელევიზიო მეგზურის შექმნისათვის.

57. ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს არ დაურღვევია კანონი, როდესაც აპლიკანტის ქმედება მიიჩნია დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად, ხელშეკრულების 82-ე მუხლის ფარგლებში.

საქმე *Teirce Ladbroke SA v. Commission*³⁴⁰:

საქმის ფაბულა: *Ladbroke*-ს ბელგიაში ჰქონდა ტოტალიზატორები, რომლებიც მუშაობდა ცხენების რბოლაზე და რომელიც ფსონებს იღებდა საზღვარგარეთ, მათ შორის საფრანგეთში არსებულ რბოლებზე. ფრანგული ცხენების რბოლის ასოციაციათა კომპანიებს (PMU-ს და PMI-ს) ჰქონდათ ექსკლუზიური პასუხისმგებლობა, ორგანიზება გაენიათ, რათა საფრანგეთში განხორციელებული რბოლებისათვის ფსონები მიეღოთ საზღვარგარეთ და ამისთვის გამოეყენებინათ საფრანგეთის გარეთ არსებული ინფორმაცია. PMI-მ ფრანგული ცხენების რბოლის ტელევიზიით გადაცემის ექსკლუზიური უფლება გერმანიასა და ავსტრიაში მისცა DSV-ს. PMI-მ და PMU-მ უარი განუცხადადეს *Ladbroke*-ს მაუწყებლობის უფლების მიცემაზე, ხოლო DSV-მ უარი განუცხადა მათ მიწოდებაზე. *Ladbroke*-მა საჩივრით მიმართა კომისიას და განაცხადა, რომ აღნიშნული ქმედება იწვევდა 82-ე (და 81-ე) მუხლის დარღვევას, მაგრამ კომისიამ არ დააკმაყოფილა საჩივარი. *Ladbroke*-მ კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა პირველი ინსტანციის სასამართლოში. პირველი ინსტანციის სასამართლომ განაცხადა, რომ გეოგრაფიული ბაზარი იყო მხოლოდ ბელგია და არა უფრო ფართო ბაზარი, რომელიც ასევე მოიცავდა ბელგიას, საფრანგეთსა და გერმანიას, და მან უარყო საჩივარი.

პირველი ინსტანციის სასამართლო

128. უნდა აღინიშნოს, რომ ბელგიაში ფრანგული გამოსახულებისა და ხმის მიწოდებაზე უარის თქმა არ შეესაბამება ბოროტად გამოყენებას, ვინაიდან, როგორც სასამართლომ დაადგინა, ის არ მოიცავს რაიმე სახის დისკრიმინაციას ბელგიის ბაზარზე მყოფ ოპერატორებს შორის, და ასეთი უარი არ შეიძლება ბოროტად გამოყენებად ჩაითვალოს მხოლოდ იმის გამო, რომ გერმანიის ბაზარზე მოქმედ მაუწყებლობებს აქვთ ფრანგული გამოსახულება და ხმა. არ არსებობს კონკურენცია გერმანიისა და ბელგიის ტერიტორიაზე მოქმედ ტოტალიზატორებს შორის.

129. გარდა ამისა, არც ფრანგული გამოსახულებისა და ხმის გადაცემისათვის ტექნიკური ბარიერების არარსებობა ბელგიაში, არც ის ფაქტი, რომ აპლიკანტი საერთო

³⁴⁰ Case T-504/93, *Teirce Ladbroke SA v. Commission* [1997] ECR II-923, [1997] 5 CMLR 309.

თვალთახედვით მიიჩნევა ფრანგული ასოციაციების პოტენციურ კონკურენტად, არ არის საკმარისი, რომ გასაჩივრებული უარის თქმა მიჩნეულ იქნეს როგორც მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ვინაიდან ასოციაციები თავად არ არიან წარმოდგენილები იმ ცალკეულ გეოგრაფიულ ბაზარზე, რომელზეც ოპერირებს აპლიკანტი და, მეორე, მათ არ მიუციათ რაიმე სახის ლიცენზია იმავე ბაზარზე მოქმედი სხვა კომპანიისათვის.

130. აპლიკანტს არ შეუძლია დაეყრდნოს *Magill*-ის გადაწყვეტილებას მითითებული ბოროტად გამოყენების არსებობის დასამტკიცებლად, ვინაიდან აღნიშნული გადაწყვეტილება არ არის შესაბამისი. პირიქით, *Magill*-ში გამოხატული პოზიცია ეხება ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმას იმ კომპანიისთვის, რომელიც ცდილობს ბაზარზე შეღწევას, ამ შემთხვევაში კი აპლიკანტი არა მარტო წარმოდგენილია ბაზარზე, არამედ საკმაოდ მოზრდილი წილი აქვს ტოტალიზატორების ბაზარზე, რომელზეც განსახილველი პროდუქტი, კერძოდ ხმა და გამოსახულება, მიენოდება მომხმარებელს მაშინ, როცა ფრანგული ასოციაციები საერთოდ არ არის წარმოდგენილი ამ ბაზარზე. შესაბამისად, ბელგიის ბაზარზე ასოციაციების მიერ მათი ინტელექტუალური უფლებების პირდაპირი თუ არაპირდაპირი ექსპლუატაციის არარსებობის გამო მათ მიერ მიწოდებაზე უარის თქმა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც ბელგიის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა.

131. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვიგულისხმებთ, რომ ასოციაციების არარსებობა ბელგიის ბაზარზე არ იყო არსებითი ფაქტორი, რომლის გამოც არ მოხდა ხელშეკრულების 82-ე მუხლის გამოყენება, აღნიშნული დებულების გამოყენება მაინც არ მოხდებოდა ამ საქმეში. მიწოდებაზე უარის თქმა არ მოხდებოდა 82-ე მუხლის მოქმედების ფარგლებში, თუ ის არ მოიცავს პროდუქტს ან მომსახურებას, რომელიც იყო არსებითი ნაწილი განსახორციელებელი ქმედების და მას არ გააჩნდა რეალური თუ პოტენციური ჩამანაცვლებელი, ან იყო ახალი პროდუქტი, რომლის შექმნაც უნდა ყოფილიყო თავიდან აცილებული, მიუხედავად მუდმივი და რეგულარული პოტენციური მოთხოვნისა მომხმარებლების მხრიდან (ამასთან დაკავშირებით იხ. გაერთიანებული საქმეები: *C-241-242/91P, RTE and ITP v. E. C. Commission (...)*)

132. ამ საქმეში, როგორც კომისიამ და ჩართულმა მხარეებმა აღნიშნეს, მიუხედავად იმისა, რომ ცხენების რბოლის სატელევიზიო გადაცემა იყო დამატებითი და, რა თქმა უნდა, ხელსაყრელი მომსახურება მოთამაშეებისათვის, ის თავისთავად არ არის ტოტალიზატორის ფუნქციონირებისათვის, კერძოდ კი ფსონების მიღებისათვის არსებითი ნაწილი, ვინაიდან, როგორც ეს მტკიცებულებიდან ჩანს, აპლიკანტი წარმოდგენილია ბელგიის ბაზარზე და აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ფსონები საფრანგეთში მიმდინარე რბოლებზე. გარდა აღნიშნულისა, ის, რომ სატელევიზიო გადაცემა არ არის ტოტალიზატორის საქმიანობის არსებითი შემადგენელი ნაწილი, დასტურდება იმითაც, რომ სატელევიზიო გადაცემა ხდება მას შემდეგ, რაც ტოტალიზატორი მიიღებს ფსონებს იმ შედეგით, რომ მისი არარსებობა არ მოახდენს არანაირ გავლენას ფსონების განთავსებაზე და, შესაბამისად, არ შეზღუდავს ტოტალიზატორების საქმიანობას.

საქმე *IMS Health GmbH & Co OHG v. NDC Health GmbH & Co KG*³⁴¹:

საქმის ფაბულა: *Landgericht Frankfurt am Main* სვამს სამ შეკითხვას:

- პირველი: იყო თუ არა მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, როდესაც კონკურენტს, რომელიც ეძებდა იმავე გეოგრაფიულ და პროდუქციის ბაზარზე შესვ-

³⁴¹ Case C-418/01, *IMS Health GmbH & Co OHG v. NDC Health GmbH & Co KG* [2004] ECR I-5039, [2004] 4 CMLR 1543.

ლის გზებს, უარი ეთქვა ლიცენზიის გაცემაზე და, შესაბამისად, მომხმარებელი მიიღებს პროდუქციას, რომლის მომზადებაც დაცულია საავტორო უფლებით;

- მეორე: იყო თუ არა მომხმარებლების მონაწილეობა საავტორო მასალების განვითარებაში რელევანტური;
- მესამე: იყო თუ არა ის ხარჯები, რაც გასნია მომხმარებელმა საავტორო უფლებით დაცული საბანკო მონაცემების მოხმარებაზე გადასვლისას, შესაბამისი. სასამართლომ დაადგინა, რომ მეორე და მესამე შეკითხვები მოიცავდა ფაქტორებს, რომლებიც მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული იმის განსაზღვრისას, იყო თუ არა დაცული სტრუქტურა განუყოფელი შესაბამისი მარკეტინგული სწავლებისაგან. შემდეგი ამონარიდი არის გადაწყვეტილებაში პირველი შეკითხვის განხილვიდან.

ევროპული სასამართლო

34. მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების მიხედვით, რეპროდუქციის ექსკლუზიური უფლება ქმნის მესაკუთრის უფლებების ნაწილს, შესაბამისად, ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმა, მაშინაც კი, როცა ეს მოდის დომინანტი სანარმოს მხრიდან, თავისთავად არ შეესაბამება დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას (გადაწყვეტილება საქმეში – 238/87 *Volvo*, (...) პარა. 8, და *Magill*, პარა. 49).

35. ამასთან, როგორც **სასამართლო პრაქტიკიდან ჩანს, უფლების მესაკუთრის მიერ ექსკლუზიური უფლების გამოყენება გამონაკლის შემთხვევებში მოიცავს ბოროტად გამოყენებით ქმედებას** (*Volvo*, (...) პარა. 9, და *Magill*, პარა. 50).

36. სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი გამონაკლისი შემთხვევები იყო *Magill*-ის გადაწყვეტილებაში, რომელშიც დომინანტურ მდგომარეობაში მყოფი სატელევიზიო არხის მიერ განხორციელებული გასაჩივრებელი ქმედება მოიცავდა ადგილობრივ კანონმდებლობაში ჩადებული საავტორო უფლების გამოწვევას, კვირეული სატელევიზიო პროგრამების ბეჭდვასთან დაკავშირებით, რაც სხვა კომპანიას არიდებდა, კომენტარებთან ერთად, ყოველკვირეული პროგრამების ბეჭდვის შესაძლებლობას.

37. *Magill*-ის საქმის შეჯამების მიხედვით, (...) გამონაკლისი შემთხვევები განპირობებული იყო ფაქტით, რომ განსახილველი უარი შეეხებოდა პროდუქტს (...), რომლის მიწოდებაც განუყოფელი იყო განსახორციელებელი საქმიანობისგან, ვინაიდან აღნიშნული ინფორმაციის გარეშე ის პირი, რომელსაც ჰქონდა სურვილი, შეექმნა გზამკვლევი, ვერ შეძლებდა მიზნის განხორციელებას; ასევე იმ ფაქტით, რომ ასეთმა უარმა მოახდინა ბაზარზე ახალი პროდუქტის გაჩენის თავიდან აცილება, ის, რომ აღნიშნული უარი არ იყო ობიექტურად გამართლებული და ასევე იმ ფაქტით, რომ, სავარაუდოდ, გამოიწვევდა კონკურენციის აღმოფხვრას მეორად ბაზარზე.

38. სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარეობს, რომ **იმისათვის, რათა მოხდეს საავტორო უფლების მქონე სანარმოს მიერ უარის თქმა დაკვალიფიცირდეს ბოროტად გამოყენებად, საჭიროა სამი კუმულაციური მოთხოვნის დაკმაყოფილება, კერძოდ: უარის თქმა უნდა ახდენდეს ბაზარზე ახალი პროდუქტის შესვლის თავიდან აცილებას, რომელზეც არსებობს მომხმარებლის პოტენციური მოთხოვნა; ასევე, ის უნდა იყოს გაუმართლებელი და უნდა ახდენდეს კონკურენციის აღმოფხვრას მეორადი ბაზრიდან.**

39. სასამართლოსათვის წარდგენილ განხილვებში დავის საგანი გახდა მესამე მოთხოვნის განმარტება, შესაბამისად, პირველ რიგში, საჭიროა სწორედ მისი განხილვა.

მესამე პირობა, რომელიც დაკავშირებულია მეორადი ბაზრიდან კონკურენციის სრულ გაძევებასთან

40. აღნიშნულთან დაკავშირებით, კარგი იქნებოდა, გამოგვეყენებინა სასამართლოს მიდგომა *Bronner*-ის გადაწყვეტილების მიხედვით, სადაც პრესაზე ორიენტირებული საწარმო, რომელსაც ჰქონდა ყოველდღიური ჟურნალ-გაზეთების დიდი წილი წევრი სახელმწიფოს ბაზარზე და რომელიც ადგილობრივ დონეზე ახორციელებდა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჟურნალ-გაზეთების სახლში მიტანის მომსახურებას, უარს ეუბნება აღნიშნულ სქემაზე დაშვებას შესაბამისი ანაზღაურების შემდეგ სხვა გამომცემელს, რომელსაც მცირე ბრუნვის გამო არ შეუძლია განახორციელოს პროდუქტის სახლში მიტანის სქემა ეკონომიკურად გონივრული გარემოებების გამო. გადაწყვეტილების მიხედვით, ასეთი უარი შეესაბამება დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

41. სასამართლომ, პირველ რიგში, მოუწოდა ადგილობრივ სასამართლოს, განესაზღვრა, თუ რამდენად იყო სახლში მიტანის სქემა ცალკე ბაზარი, რომელზეც, გარემოებებიდან გამომდინარე, პრესის საწარმოს ჰქონდა *de facto* მონოპოლია და, შესაბამისად, ეკავა დომინანტური მდგომარეობა. ამის შემდეგ მან მოიწვია ადგილობრივი სასამართლო, რათა განესაზღვრა, თუ რამდენად ჩაითვლებოდა წევრ სახელმწიფოში თავისი გაზეთების ადგილზე მიტანის განმახორციელებელი ერთადერთი საწარმოს მიერ უარის თქმა კონკურენტი ყოველდღიური გაზეთების გამომცემელი კომპანიისათვის თავის სქემაში ჩართვაზე ბაზარზე კონკურენციის აღმოფხვრად, იმის გათვალისწინებით, რომ დისტრიბუცია ჩაითვალა გაყიდვის არსებით ნაწილად.

42. შესაბამისად, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ იმის შესაფასებლად, თუ რამდენად იყო დაშვებაზე უარის თქმა მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, რელევანტური იყო პროდუქტისა და მომსახურების ბაზრის შეფასება, რომელიც ამ შემთხვევაში შეესაბამებოდა ყოველდღიური გაზეთების ადგილზე მიტანის ბაზარს და ასევე საჭირო იყო გამომდინარე (მეორადი) ბაზრის შეფასება, რომელზეც პროდუქცია და მომსახურება გამოიყენება სხვა პროდუქციის შექმნის ან სხვა მომსახურების მიწოდების მიზნით, რომელიც ამ შემთხვევაში არის უშუალოდ ყოველდღიური გაზეთების ბაზარი.

43. ფაქტი, რომ ადგილზე მიტანის სისტემა არ იყო შექმნილი ცალკე, არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, მისი განხილვა მოხდეს ცალკე ბაზრის ფორმით.

44. როგორც გენერალურმა ადვოკატმა აღნიშნა თავისი შეხედულების 56-ე და 59-ე ნაწილებში, არსებული სასამართლო პრაქტიკის მიზნებიდან გამომდინარე, არსებითია განისაზღვროს პოტენციური ან, თუნდაც, ჰიპოთეზური ბაზარი. ასეთი შემთხვევები გვხვდება, როდესაც პროდუქცია და მომსახურება განუყოფელია ერთმანეთისგან, რათა მოხდეს ერთი კონკრეტული ბიზნესის წარმოება, ან როდესაც მათზე არსებობს რეალური მოთხოვნა საწარმოთა მხრიდან, რომელთაც სურთ განახორციელონ პროდუქციასა თუ მომსახურებასთან განუყოფელი საქმიანობა.

45. შესაბამისად, განმსაზღვრელია, რომ შეიძლება იდენტიფიცირებულ იქნეს პროდუქციის ორი სხვადასხვა საფეხური, რომლებიც ისე იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ძირითადი პროდუქტი განუყოფელი იყოს მეორადი პროდუქტის დამაყოფილებლისათვის.

47. ადგილობრივი სასამართლოს დასადგენია, თუ რა სიხშირით ხდება ასეთი შემთხვევა და ასეთის არსებობის შემთხვევაში მან უნდა განიხილოს, თუ რამდენად არის IMS-ის უარი ლიცენზიის გაცემაზე შესაბამისობაში კონკურენციის სრულ აღმოფხვრასთან გერმანული ფარმაცევტული პროდუქციის მიწოდების ბაზარზე.

პირველი პირობა, რომელიც დაკავშირებულია ახალი პროდუქტის წარმოშობასთან

48. როგორც გენერალურმა ადვოკატმა განაცხადა თავისი მოსაზრების 62-ე ნაწილში, ეს პირობა უკავშირდება მოსაზრებას, რომ საავტორო უფლების დაცვისა და მისი მესაკუთრის ეკონომიკური თავისუფლების ინტერესის დაბალანსებისას თავისუფალი კონკურენციის დაცვის ინტერესთან მიმართებით, ამ უკანასკნელს შეიძლება ჰქონდეს უპირატესობა მართო იმ შემთხვევაში, როდესაც ლიცენზიის გაცემაზე უარი ახდენს მეორადი ბაზრის განვითარების თავიდან აცილებას მომხმარებლისთვის საზიანოდ.

49. შესაბამისად, დომინანტი სანარმო მთავარი გაცემული უარი მისი საავტორო უფლებით დაცული პროდუქციის დაშვებაზე, როდესაც პროდუქტი განუყოფელია მეორად ბაზარზე ფუნქციონირებისაგან, შეიძლება მიჩნეულ იქნეს ბოროტად გამოყენებად მართო იმ შემთხვევაში, როდესაც სანარმო, რომელიც მოითხოვდა ლიცენზიას, მიზნად არ ისახავდა, მოეხდინა იმ პროდუქციისა და მომსახურების დუბლირება, რომელთა შეთავაზებასაც ახდენდა საავტორო უფლების მქონე სანარმო, არამედ სურდა, ეწარმოებინა ახალი პროდუქცია და მომსახურება, რომელზეც არსებობდა მომხმარებლის პოტენციური მოთხოვნა.

50. ადგილობრივი სასამართლოს განსასაზღვრავია, იყო თუ არა ასეთი შემთხვევა ძირითად საქმისწარმოებაში.

მეორე პირობა, დაკავშირებული უარის სამართლიანობასთან

51. რაც შეეხება წინამდებარე პირობას, ადგილობრივმა სასამართლომ უნდა შეამოწმოს, თავის წინაშე არსებული ფაქტებიდან გამომდინარე, თუ რამდენად არის ლიცენზიის გაცემის მოთხოვნაზე უარი ობიექტური გარემოებებით გამართლებული.

52. აქედან გამომდინარე, პირველ შეკითხვაზე პასუხი უნდა იყოს შემდეგი: დომინანტურ მდგომარეობაში მყოფი იმ სანარმოს მიერ გაცემული უარი ლიცენზიაზე, რომელიც არის ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელი წევრ სახელმწიფოში ფარმაცევტული პროდუქციის რეგიონალური გაყიდვების მონაცემთა ბაზისაგან განუყოფელ სტრუქტურასთან დაკავშირებით და სურს იმავე მონაცემთა ბაზის მიწოდების განხორციელება იმავე წევრ სახელმწიფოში, შეესაბამება დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, ხელშეკრულების 82-ე მუხლის მნიშვნელობით, შემდეგი პირობების დაკმაყოფილებით:

- სანარმო, რომელმაც მოითხოვა ლიცენზია, მიზნად ისახავს განსახილველი მონაცემების ბაზარზე ახალი პროდუქციისა თუ მომსახურების მიწოდებას, რაც არ არის უკვე შეთავაზებული საავტორო უფლების მესაკუთრე სანარმოს მიერ და რომელზეც არსებობს მომხმარებლის პოტენციური მოთხოვნა;
- უარი არ არის გამართლებული ობიექტური გარემოებებით;
- უარი არის იმგვარი, რომ საავტორო უფლების მქონე სანარმო უნახავს ფარმაცევტული პროდუქტის მიწოდების ბაზარს წევრ სახელმწიფოში, რაც, თავის მხრივ, იწვევს აღნიშნულ ბაზარზე კონკურენციის სრულ აღმოფხვრას.

საქმე *ITT Promedia v. EC Commission*³⁴²:

პირველი ინსტანციის სასამართლო

60. (...) როგორც კომისიამ სამართლიანად აღნიშნა, პირის შესაძლებლობა, ამტკიცოს თავისი უფლება სასამართლოს მეშვეობით და, აქედან გამომდინარე, გამოიყენოს სასამართლო კონტროლი ამასთან დაკავშირებით, შეესაბამება სამართლის საყოველთაო პრინციპის გამოხატვას, რომელიც ხაზს უსვამს წევრი სახელმწიფოების კონსტიტუცი-

³⁴² Case T-111/96, ITT Promedia v. EC Commission [1998] ECR II-2937, [1998]5 CMR 491.

ურ ტრადიციებს და რომელიც ასევე ჩადებულია ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის 1950 წლის 4 ნოემბრის ევროპული კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლებში (იხ. საქმე 222/84, *Johnson v. Chief Constable of the Royal Ulster Constabulary* (...)). ვინაიდან სასამართლოსადმი მიმართვა არის ფუნდამენტური უფლება და კანონით განმტკიცებული საყოველთაო პრინციპი, მხოლოდ აბსოლუტურად გამონაკლის გარემოებებში არის შესაძლებელი, რომ სასამართლოსადმი მიმართვა და სამართლებრივი საქმის წარმოება შეესაბამებოდეს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, ხელშეკრულების 82-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე.

61. მეორე, ვინაიდან კუმულაციური კრიტერიუმი შეესაბამება სასამართლოსადმი მიმართვის საყოველთაო პრინციპიდან გამონაკლისს, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს კანონის უზენაესობას, მათი გამოყენება უნდა მოხდეს მკაცრად, ისეთი ფორმით, რომელიც არ ხელყოფს საერთო წესს (იხ. *inter alia*, საქმე T-105/95, *WWF UK v. E.C. Commission* (...));
(...)

72. კომისიის მიერ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში განხილული კუმულაციური პირობებიდან ერთ-ერთის მიხედვით, სასამართლო საქმისწარმოება შეიძლება მიჩნეულ იქნეს ბოროტად გამოყენებად, ხელშეკრულების 28-ე მუხლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ შეიძლება, გონივრულად იქნეს მიჩნეული აღნიშნული ქმედების გამოიყენება, როგორც საწარმოს მცდელობა, ამტკიცოს თავისი უფლება და როდესაც მისი გამოყენება ხდება მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარის დასაშინებლად. აქედან გამომდინარე, საკითხის განხილვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შექმნილი გარემოება, ეს კრიტერიუმი დაკმაყოფილდეს.

73. გარდა აღნიშნულისა, როდესაც ხდება ამ კრიტერიუმის გამოყენება, საკითხი არ უნდა იქნეს განხილული იმ ფორმით, არის თუ არა ის უფლებები, რომელთა დასამტკიცებლადაც მოხდა საქმისწარმოების დაწყება, დამტკიცებული თუ დადასტურებული, არამედ ამ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს, იყო თუ არა ამ ქმედების მიზანი იმის მტკიცება, რაც საწარმოს გონივრულად შეეძლო მიეჩნია თავის უფლებად. ამ კრიტერიუმის მეორე ნაწილის მიხედვით, მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, თუ ქმედებას არ ჰქონდა ასეთი მიზანი და თუ იგი მიმართული იყო ოპონენტის დაშინებისაკენ.

საქმე *United Brands v. Commission*³⁴³:

საქმის ფაბულა: *United Brands* თავისი ბანანის ტრანსპორტირებას ახდენდა ატლანტიკის გადაკვეთაზე, როტერდამსა და ბრემერჰაფენში. ამ პორტებში ის მათ სხვადასხვა ფასად ყიდდა მონონებულ დამამნიფებელ/დისტრიბუტორებზე, რომლებიც წარმოდგენილები იყვნენ სხვადასხვა წევრი სახელმწიფოდან. კონტრაქტის პირობებში, რომლითაც ხდებოდა დისტრიბუტორებზე ბანანის მიყიდვა, იყო აკრძალვა, რომლის მიხედვითაც ამ დისტრიბუტორებს არ შეეძლოთ ბანანის გაყიდვა დამნიფებამდე („მწვანე ბანანის“ პირობა). კომისიამ დაადგინა, რომ აღნიშნული დებულება იყო ფასებს შორის სხვაობის გამყარების უბრალო ტაქტიკა, ვინაიდან მას შემდეგ, რაც ბანანი დაიწყებდა გაყვითლებას, ის იმდენად მალეფუჭებადი ხდებოდა, რომ შეუძლებელი იყო მისი ტრანსპორტირება სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. კომისიამ ასევე დაადგინა, რომ *United Brands*-ის პრაქტიკა, მიეყიდა დისტრიბუტორებისათვის მოთხოვნილზე ნაკლები რაოდენობის ბანანი, ამ უკანასკნელთ აიძულებდა, გაეყიდათ იგი ადგილობრივად და არ გაეტანათ ის სხვა ბაზრებზე. კომისიამ დაადგინა, რომ აღნიშნული პრაქტიკა ეწინააღმდეგებოდა 82-ე მუხლს, რაც გაასაჩივრა *United Brands*-მა.

³⁴³ Case 27/76, *United Brands v. Commission* [1978] ECR 207, [1978] 1 CMLR 429.

ევროპული სასამართლო

204. UBC-ის მიერ შესაბამის ბაზარზე განთავსებულ ყველა ბანანს აქვს ერთი და იგივე სახელი – „Chiquita“, აქვს ერთი და იგივე გეოგრაფიული წარმომავლობა, მიეკუთვნება ერთსა და იმავე სახეობას (Cavendish Valery) და არის თითქმის ერთი და იმავე ხარისხის.

205. ბანანის ტრანსპორტირება 20-კილოგრამიანი ყუთებით ხდება ორ პორტში – როტერდამსა და ბრემერჰაფენში, სადაც გადატვირთვის ხარჯები განსხვავდება მხოლოდ რამდენიმე ცენტით, და მათი მიყიდვა, სციპიოსა და ირლანდიის გარდა, ხორციელდება ერთსა და იმავე გარემოებებსა და გადახდის პირობებში მას შემდეგ, რაც მათ განათავსებენ მყიდველის ვაგონებსა თუ სატვირთო მანქანებზე. ფასი შეადგენს 3-4 დოლარს შორის თანხას, ხოლო 1974-ში შეადგენდა 5 დოლარს.

206. ჩამოტვირთვისა და დამამნიფებელ აპარატურამდე მიტანის ხარჯები, ისევე როგორც საბაჟო ტარიფებით გათვალისწინებული სხვა ხარჯები, ირლანდიის გარდა, ყველგან მყიდველის გადასახდელია.

207. ვინაიდან ასეთი მიდგომაა როტერდამსა და ბრემერჰაფენში ჩასული ყველა დისტრიბუტორის მიმართ, არსებობს მოლოდინი, რომ UBC მათ სთავაზობს ერთსა და იმავე გასაყიდ ფასს „Chiquita“-ს ბანანზე.

208. კომისია ადანაშაულებს აპლიკანტს თავის ბრენდირებულ ბანანზე ყოველ კვირას – ობიექტური გამართლების გარეშე – გასაყიდი ფასების ცვლის გამო, რაც საგრძნობლად განსხვავდება იმ წევრი სახელმწიფოების მიხედვით, სადაც მისი მომხმარებლები არიან.

209. წევრი სახელმწიფოების მიხედვით, განსხვავებული ფასების გადახდის პოლიტიკა გამოიყენება 1971 წლიდან გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის, ნიდერლანდებისა და BLEU-ს მიმართ, ხოლო 1973 წლის იანვარში გავრცელდა დანიაში მყოფ მომხმარებლებზე, ხოლო 1973 წლის ნოემბერში ირლანდიაზე.

(...)

227. მიუხედავად იმისა, რომ ბანანის ერთიანი ბაზრის შექმნის პასუხისმგებლობა არ გააჩნია აპლიკანტს, მას შეუძლია, შეეცადოს, მიიღოს მხოლოდ „ის, რასაც ბაზარი ატარებს“ და იმოქმედოს ბაზრის წესების შესაბამისად, რაც განსაზღვრულია ხელშეკრულებაში.

228. მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ არსებობს განსხვავებები ტრანსპორტის ღირებულებაში, საბაჟო ვალდებულებაში, სამუშაო ძალაში, განთავსების საბაზრო პირობებში, სხვადასხვა ვალუტის კურსში, – ეს ყველაფერი აკუმულირდება კონკურენციის სიმძიმეში, საიდანაც გამომდინარეობს, რომ აღნიშნული განსხვავებები არის სწორედ ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ განსხვავებულ გასაყიდ ფასს. ამის გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღწერილი გარემოებები UBC-მ უნდა გაითვალისწინოს შეზღუდულ დონეზე, ვინაიდან ის ყიდის პროდუქტს, რომელიც ყოველთვის არის ერთი და იგივე, ერთსა და იმავე ადგილზე, იმ დამამნიფებელ/დისტრიბუტორებზე, რომლებიც თავად ატარებენ მომხმარებლის ბაზრის რისკს.

229. მიწოდებისა და მოთხოვნის ურთიერთკავშირი, მათი მახასიათებლიდან გამომდინარე, უნდა გამოიყენებოდეს იმ თითოეულ საფეხურზე, რომელზეც ის გამოიხატება.

230. ბაზრის მექანიზმებზე უარყოფითი გავლენა აქვს გარემოებებს, როდესაც ფასების დათვლისას უგულვებელყოფილია ბაზრის ერთი ნაწილი და მხედველობაში მიიღება

მინოდებისა და მოთხოვნის წესი, რომელიც მოქმედებს მიმნოდებელსა და შესაბამის მომხმარებელს შორის, და არა წესი, რომელიც მოქმედებს მიმნოდებელსა (UBC) და მყიდველს (დამამნიფებელი/დისტრიბუტორი) შორის.

231. ამდენად, თავისი დომინანტური მდგომარეობის გათვალისწინებით, UBC-ს, რომელიც იღებდა ინფორმაციებს საკუთარი ადგილობრივი წარმომადგენლებისაგან, შეეძლო დაენესებინა მისი გასაყიდი ფასი შუამავალ მყიდველზე. ფასი და შესაბამისი „მთელი კვირის კვოტა“ არის ფიქსირებული და მომხმარებელს ეცნობება ბანანის გადამზიდავი გემის პორტში შესვლამდე ოთხი დღით ადრე.

232. ეს დისკრიმინაციული ფასები, რომლებიც იცვლებოდა წევრ სახელმწიფოებში არსებული პირობების მიხედვით, იყო სხვა არაფერი, თუ არა ბარიერების შექმნა პროდუქციის თავისუფალი გადაადგილებისთვის და მათი შედეგი გაძლიერებული იყო იმ დებულებით, რომელიც კრძალავდა მწვანე ბანანის გაყიდვას და შეკვეთილ რაოდენობაზე ნაკლები პროდუქციის მინოდებით.

233. ამდენად, უხეში დაყოფა ეროვნულ ბაზრებად შექმნილი იყო ფასების დონეზე, და განსხვავება გამოწვეული იყო ხელოვნურად, რაც დამამნიფებელი/დისტრიბუტორების გარკვეულ ნაწილს აქცევდა არაკონკურენტულ მდგომარეობაში, ვინაიდან კონკურენცია იყო განადგურებული.

234. ზემოთქმულიდან გამომდინარე, განსხვავებული ფასების გამოყენების პოლიტიკა, რომელმაც შესაძლებლობა მისცა UBC-ს, გამოეყენებინა არაერთგვაროვანი პირობები აბსოლუტურად თანაბარ ტრანზაქციებში სხვადასხვა სავაჭრო პარტნიორის მიმართ, რითაც მან ისინი ჩააყენა არაკონკურენტულ მდგომარეობაში, იყო მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.
(...)

248. დომინანტი საწარმოს მიერ პირდაპირ თუ არაპირდაპირ უსამართლო გასაყიდი თუ შესყიდვითი ფასების დაწესება არის, 82-ე მუხლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, რომელსაც აქვს გამონაკლისი.

249. სასურველია დადგინდეს, მოახდინა თუ არა დომინანტმა საწარმომ თავისი შესაძლებლობების გამოყენებით იმ სავაჭრო მოგების მიღება, რომელსაც ის მიიღებდა ნორმალური და არსებითად ეფექტური კონკურენციის პირობებში.

250. ამ შემთხვევაში იმ ფასის დაკისრება, რომელიც გადაჭარბებულია, ვინაიდან არ აქვს გონივრული კავშირი მინოდებული პროდუქტის ეკონომიკურ ღირებულებასთან, იქნება მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

251. აღნიშნული ექსცესი, *inter alia*, უნდა განისაზღვროს ობიექტურად და შესაძლებლობის შემთხვევაში დაანგარიშებული უნდა იყოს პროდუქტის გასაყიდი ფასისა და მისი წარმოების ფასის შედარებით, რაც გახსნიდა მოგების მოცულობის საზღვარს, თუმცა კომისიას არ მოუხდენია ასეთი კალკულაცია, ვინაიდან მას არ გაუანალიზებია UBC-ს ხარჯების სტრუქტურა.

252. აქედან გამომდინარე, შეკითხვები უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად: რამდენად არის განსხვავება მონეულ ხარჯებსა და დადგენილ ფასებს შორის გადაჭარბებული? და იმ შემთხვევაში, თუ პასუხი იქნება დადებითი, შემდეგი შეკითხვა იქნებოდა: დადგენილი ფასი უსამართლოა უშუალოდ პროდუქტის ღირებულებიდან გამომდინარე, თუ კონკურენტი პროდუქციის ფასთან შედარებით?

253. ასევე შეიძლება განისაზღვროს სხვა გზები – და ეკონომიკური თეორიის მიმ-

დეკრეტმა მოიფიქრეს რამდენიმე გზა – იმის დასადგენად, თუ რამდენად არის პროდუქციის ფასი უსამართლო.

(...)

258. კომისია თავის შეხედულებას, რომ ფასები იყო გადაჭარბებული, აფუძნებს სირთულეების ანალიზზე – მისი შეხედულებით გადაჭარბებული – სხვადასხვა წევრ სახელმწიფოებში გადახდილ ფასებს შორის და ზემოთ განხილული დისკრიმინაციული ფასების პოლიტიკის გათვალისწინების საფუძველზე.

(...)

260. იმის დადგენის შემდეგ, რომ სხვა წევრ სახელმწიფოში მოქმედი დამამნიფებლების მიმართ დაწესებული ფასები ბევრად აღემატებოდა, ზოგჯერ 100%-ითაც კი, ირლანდიაში მყოფი მომხმარებლების მიმართ დაწესებულ ფასებს, კომისიამ დაასკვნა, რომ UBC იღებდა არსებით მოგებას.

(...)

264. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად არადამაჯერებელი იყო UBC-ს მტკიცებულებები, ფაქტია, რომ კომისიას ეკისრება ვალდებულება, ამტკიცოს, რომ აპლიკანტი აწესებდა უსამართლო ფასებს.

265. UBC-ს ქმედება, რომელიც დამაჯერებლად ვერ დაასაბუთა კომისიამ, რომ UBC-მ კალკულაციაზე დაფუძნებით გონივრულს მიღმა ექსცესიური ფასები დააწესა, ღია კრიტიკისათვის, და მასთან დაკავშირებით არსებობს ეჭვი, რომლითაც შეიძლება ისარგებლოს აპლიკანტმა, ვინაიდან განსაკუთრებით ბოლო 20 წლის განმავლობაში რეალურ პირობებში ბანანის ფასები შესაბამის ბაზარზე არ გაზრდილა.

266. მიუხედავად იმისა, რომ „Chiquita“-ს ბანანის ფასი განსხვავებულია მისი კონკურენტი პროდუქტის ფასისაგან, განსხვავება არის 7%, რომელიც არ არის განმსაზღვრელი და რომელიც ავტომატურად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს გადაჭარბებულად და, შესაბამისად, უსამართლოდ.

267. აღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარეობს, რომ კომისიამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული ფაქტისა და შეფასების ადეკვატური სამართლებრივი მტკიცებულება, რომ UBC-მ ბანანებზე პირდაპირ თუ ირიბად უსამართლო ფასების დაწესებით დაარღვია ხელშეკრულების 82-ე მუხლი.

268. შესაბამისად, გადანეცივტილების 1 გ მუხლი უნდა გაუქმდეს.

საქმე *Portugal v. Commission: Landing Fees at Portuguese Airports*³⁴⁴:

ევროპული სასამართლო

49. კომისია ეთანხმება, რომ დომინანტურ მდგომარეობაში მყოფ საწარმოს აქვს უფლება, დააწესოს ფასდაკლებები. თუმცა ასეთი ფასდაკლებები უნდა იყოს გამართლებული ობიექტური საფუძვლებით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ განსახილველ საწარმოს უნდა მისცენ შესაძლებლობა, აწარმოონ მასშტაბური ეკონომია. ამ საქმეში პროტუგალიის ხელისუფლებას არ უხსენებია მასშტაბური ეკონომია. საერთო პირობაა, რომ თვითმფრინავს ესაჭიროება ერთი და იგივე დაჯდომისა და აფრენის მომსახურება, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი თვითმფრინავი ჰყავს კომპანიას.

³⁴⁴ Case C-163/99, Portugal v. Commission: Landing Fees at Portuguese Airports [2001] ECR I-2613, [2002] 4 CMLR 1319.

50. დომინანტურ მდგომარეობაში მყოფ სანარმოს შეუძლია, მომხმარებელს შესთავაზოს ფასდაკლება, გაყიდვის რაოდენობიდან გამომდინარე (იხ., *Inter alia*, საქმე 322/81 *Michelin v. Commission* [1983] ECR 3461, პარა. 71). თუმცა ასეთი ფასდაკლებების კალკულაციის წესს შედეგად არ უნდა მოჰყვეს სხვადასხვა სავაჭრო პარტნიორებთან განხორციელებული ერთი და იმავე ტრანზაქციების მიმართ სხვადასხვა პირობების გამოყენება, ხელშეკრულების 82-ე მუხლის მეორე პარაგრაფის გ ქვეპარაგრაფის მნიშვნელობით.

51. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რაოდენობითი ფასდაკლებების სისტემის არსი ისაა, რომ დიდი ოდენობით პროდუქციის შესყიდვისას მომხმარებელმა უნდა გადაიხადოს გაცილებით დაბალი ფასი პროდუქტის შეძენისას, ვიდრე მომხმარებელმა, რომელიც ახდენს პროდუქციის მცირე ოდენობით შესყიდვას ან მომსახურების მიღებას... რაოდენობითი ფასდაკლებების სისტემის დამახასიათებელი უბრალო ფაქტია, რომ ზოგიერთი მომხმარებელი დიდი ოდენობით შესყიდვის გამო სარგებლობს პროპორციულად მაღალი ფასდაკლებებით, ვიდრე სხვა მომხმარებლები. შესყიდული პროდუქციის ოდენობის არსებითობა დამახასიათებელია ამ ტიპის სისტემისათვის, მაგრამ მხოლოდ ამ მახასიათებლის მიხედვით არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ფასდაკლებების სისტემა დისკრიმინაციულია.

52. ასევე, იმ შემთხვევებში, როდესაც სხვადასხვა ფასდაკლების გამოყენების შედეგად ფასდაკლებები დამატებით ფასდაკლებებზე გამოიყენება მხოლოდ რამდენიმე სავაჭრო მხარის მიმართ, რაც მათ აძლევთ ეკონომიკურ უპირატესობას, და რაც არ არის გამართლებული არც მათ მიერ განხორციელებული ბიზნესით და არც მასშტაბური ეკონომიით. ფასდაკლების ასეთ სისტემას შედეგად მოაქვს განსხვავებული პირობების გამოყენება თანაბარი ტრანზაქციების მიმართ.

53. **ობიექტური გამართლების არარსებობის პირობებში მაღალი ფასდაკლების სისტემის გამოყენება, რომელიც შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ დომინანტურ მდგომარეობაში მყოფი სანარმოს რამდენიმე მსხვილ პარტნიორზე ან განგრძობადი პროგრესის არარსებობა რაოდენობითი ფასდაკლებების გაზრდისას შეიძლება შეესაბამებოდეს დისკრიმინაციული მოქცევის მტკიცებულებას.**

54. ამ საქმეში კომისიამ დაადგინა, რომ ყველაზე მაღალი ფასდაკლება (32.7% ლისაბონის აეროპორტში და 40.6% სხვა აეროპორტებში) გამოიყენა მხოლოდ ორმა ავიახაზმა – TAP-მა და Portugalia-მ. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში აღწერილი მონაცემები ასევე გვიჩვენებს, რომ ფასდაკლებების სისტემაში არსებული ზრდა არის მნიშვნელოვნად მაღალი დიდი მოცულობის, და არა მცირე მოცულობის, შესყიდვებისას, რომელსაც რაიმე სპეციფიკური ობიექტური გამართლების არარსებობისას მივყავართ დასკვნამდე, რომ მაღალი მოცულობის შესყიდვებისათვის ფასდაკლება არის გადაჭარბებული მცირე მოცულობის შესყიდვებზე არსებულ ფასდაკლებებთან შედარებით.

55. ნათელია, რომ პორტუგალიის რესპუბლიკამ, მოცემული საკითხის გამართლების მიზნით, წარმოადგინა მხოლოდ ზოგადი არგუმენტები, რომლებიც დაკავშირებული იყო აეროპორტის სისტემასთან, დაშვების ხარჯების რაოდენობრივ ფასდაკლებებთან მიმართებით და არ გაუკეთებია სხვა არაფერი, გარდა იმის მტკიცებისა, რომ სისტემა ღია იყო ყველა ავიაკომპანიისათვის.

56. იმ გარემოებებში, როდესაც, როგორც კომისია განიხილავს, ფასდაკლებების სისტემა უპირატესობას ანიჭებს გარკვეულ ავიახაზებს, ამ საქმეში *de facto* ნაციონალურ ავიახაზებს და იმ შემთხვევებში, როდესაც ჩართულ აეროპორტებს აქვთ ბუნებრივი მონოპოლია საქმიანობის ბევრ სფეროში, მსგავსი ზოგადი არგუმენტები არ

არის საკმარისი ეკონომიკური მიზეზების დასასაბუთებლად, განსაკუთრებით შერჩეული ტარიფების გასამართლებლად.

57. ამ გარემოებებიდან გამომდინარეობს, რომ განსახილველი სისტემა დისკრიმინაციას ახდენდა TAP-ისა და Portugalia-ს სასარგებლოდ.

VI. კარტელი და ოლიგოპოლია

საქმე *John Deere Ltd v. Commission*³⁴⁵:

პირველი ინსტანციის სასამართლო

51. სასამართლო, როგორც აპლიკანტი, აღნიშნავს, განიხილავს, რომ გადაწყვეტილებაში კომისიამ აკრძალა ინფორმაციის გაცვლის სისტემა, რომელიც შეეხება არსებითად ერთგვაროვან პროდუქციას, რომელიც პირდაპირ არ მოიცავდა აღნიშნული პროდუქციის ფასს, მაგრამ რომელიც არ აძლიერებს სხვა კონკურენციის შემლახველ ქცევას. როგორც აპლიკანტი სამართლიანად დავობს, კონკურენციულ ბაზარზე მოვაჭრეებს შორის გამჭვირვალებას რეალურად უფრო მეტად მიყვავართ მიმწოდებლებს შორის კონკურენციის გაძლიერებისაკენ, ვინაიდან ასეთ გარემოებებში იმ ფაქტს, რომ მოვაჭრე გაითვალისწინებს თავის ხელთ არსებულ ინფორმაციას – მის მიერ ბაზარზე შეღწევისა და იქ დაფუძნებისათვის არ უნდა ჰქონდეს მიწოდების გაცამტვერების, სხვა მოვაჭრეებისათვის მათი კონკურენტის წინასწარ ნავარაუდები ქმედების აუცილებლობაში გაურკვევლობის შემცირებისა თუ მისი მოხსნის შედეგი; მეორე მხრივ, სასამართლო მიიჩნევს, რომ, როგორც კომისია ამ შემთხვევაში დავობს, აპლიკანტის გასაჩივრების მიუხედავად, ინფორმაციის მუდმივი გამოყენება ძირითად მომწოდებლებს შორის, რომელიც მიმართულია მათი პირადი მოგებისაკენ, ხოლო შედეგად მოაქვს სხვა მომწოდებლებისა და მომხმარებლების ბაზრიდან გაძევება, რაც ეფუძნება: კონკრეტული ინფორმაციის გაცვლას მცირე ინტერვალებით, რეგისტრირებული ავტომობილების იდენტიფიცირებას, როდესაც მათი რეგისტრაციის ადგილი არის მაღალი დატვირთვის ოლიგოპოლიური ბაზარი, როგორც განსახილველი ბაზარია, სადაც კონკურენცია უკვე მნიშვნელოვნად არის შეზღუდული და ინფორმაციის გაცვლა გამარტივებული, გამოიწვევს მოვაჭრეებს შორის წარმოშობილი კონკურენციის არსებით შეზღუდვას (იხ. ქვემოთ მოცემული პარა. 81). ასეთ გარემოებებში ბაზრის ფუნქციონირების თაობაზე ინფორმაციის რეგულარულ და ხშირ გაცვლას ექნება ყველა კონკურენტისათვის ბაზრის მდგომარეობისა და სხვადასხვა ინდივიდუალური კონკურენტის სტრატეგიის პერიოდულად მიწოდების შედეგი.

52. ამას გარდა, განსახილველი ინფორმაციის მიწოდება ყველა მიმწოდებლისათვის გულისხმობს შეთანხმებას, ან ჩუმ თანხმობას მაინც, მოვაჭრეებს შორის დილერების გასაყიდი ტერიტორიების განსაზღვრის თაობაზე გაერთიანებული სამეფოს საფოსტო კოდების სისტემის მიხედვით, ისევე როგორც ინსტიტუციური ჩარჩო იძლევა შესაძლებლობას, მოხდეს ინფორმაციის გაცვლა მოვაჭრეებს შორის იმ სავაჭრო ასოციაციების მეშვეობით, რომლებსაც ისინი მიეკუთვნებიან და, მეორე, ასეთი ინფორმაციის სიხშირისა და სისტემატიური ხასიათის გათვალისწინებით ის კონკრეტულ მოვაჭრეს აძლევს საშუალებას, ზედმინვნით განსაზღვროს თავისი კონკურენტის ქმედება, რაც ამცირებს ან, საერთოდ, შლის ბაზარზე მომავალი მოქმედების გაურკვევლობას, რაც იარსებებდა, თუ არ მოხდებოდა ასეთი ინფორმაციის გაცვლა. ამასთან, კომისია სწორად ამტკიცებს თავისი გადაწყვეტილების 44-ე და 48-ე პუნქტებში, რომ, რა გადან-

³⁴⁵ Case T-35/92, John Deere Ltd v. Commission [1994] ECR II-957.

ყვეტილებაც არ უნდა ყოფილიყო მიღებული მოვაჭრის მიერ, რომელსაც მიზნად ჰქონდა გაერთიანებული სამეფოს სოფლის სამეურნეო დანიშნულების ტრაქტორების ბაზარზე შეღწევა, და ხდება თუ არა ის შეთანხმების წევრი, ეს შეთანხმება აუცილებლად არის არახელსაყრელი მისთვის. ჩართული მოვაჭრე არ ხდება ინფორმაციის გაცვლის შეთანხმების წევრი და თავისი კონკურენტებისაგან განსხვავებით თავს არიდებს ინფორმაციის გაცვლას და ბაზრის თაობაზე ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ინფორმაციის გაცვლის გზით, ან ის ხდება შეთანხმების წევრი და ამის შემდეგ მისი ბიზნესის სტრატეგია ცნობილი ხდება მისი ყველა კონკურენტისათვის მათ მიერ მიღებული ინფორმაციის მეშვეობით.

53. შესაბამისად, შუამდგომლობა, რომელიც ამტკიცებს, რომ ინფორმაციის გაცვლის თაობაზე განსახილველი შეთანხმება არ არღვევს გაერთიანების კონკურენციის წესებს, მიუღებელია.
(...)

81. მეორე, გაცვლილი ინფორმაციის ხასიათიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ აპლიკანტის მტკიცების საწინააღმდეგოდ, განსახილველი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება სადისტრიბუციო ქსელის თითოეული სადილეროს ტერიტორიაზე განხორციელებულ გაყიდვებს, განეკუთვნება ბიზნესსაიდუმლო ხასიათის ინფორმაციას. რა თქმა უნდა, ეს აღიარებულია თვითონ შეთანხმების მხარეთა მიერ, მათ მკაცრად განსაზღვრეს ის პირობები, რომელშიც უნდა მომხდარიყო მიღებული ინფორმაციის მინოდება მესამე მხარისათვის, განსაკუთრებით მათი სადისტრიბუციო ქსელის წევრებისათვის. სასამართლო ასევე განიხილავს, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა (51-ე პარაგრაფში), შესაბამისი ბაზრის მახასიათებლების ანალიზიდან გამომდინარე, განსახილველი ინფორმაციის ხშირი და სისტემატიური გაცვლა კონკრეტული მოვაჭრის კონკურენტების ქმედებას ბაზარზე ადვილად გათვლადს ხდის, ვინაიდან ის ამცირებს ან შლის გაურკვევლობას, რაც არ იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდებოდა ინფორმაციის გაცვლა. ამის გათვალისწინებით, აპლიკანტს არ შეუძლია დაეყრდნოს ფაქტს, რომ გაცვლილი ინფორმაცია არ მოიცავდა ინფორმაციას ფასების ან წარსულში გაყიდვების თაობაზე. შესაბამისად, შუამდგომლობის პირველი ნაწილი, რომელიც ამტკიცებს, რომ კონკურენცია არ იზღუდება, „დაფარული კონკურენციის თავიდან აცილების“ შედეგად უარყოფილია.

საქმე *Asnef-Equifax, Servicios de Informacion sobre Solvencia y Credito, SI v. Asociacion de Usuarios de Servicios Bancarios (Ausbanc)*³⁴⁶:

55. როგორც წინამდებარე განაჩენის 47-ე პარაგრაფში არის დადგენილი, ძირითად პროცესში განსახილველი რეესტრი, მსესხებლის ვალდებულების შემცირებით, შესაძლებლობას იღებს, გააუმჯობესოს მინოდების კრედიტი. როგორც საერთო ადვოკატი მიმოიხილავს თავისი მოსაზრების 54-ე პუნქტში, მსესხებლის ვალდებულების თაობაზე ინფორმაციის ნაკლებობის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტებს არ ექნებათ შესაძლებლობა, გამოარჩიონ ის მსესხებლები, რომლებიც თავიანთი შეხედულებით უფრო მეტად დაარღვევენ ვალდებულებას და, შესაბამისად, ასეთი ინსტიტუტების რისკი აუცილებლად გაიზრდება, რის შედეგადაც მათ მოუწევთ რისკის გათვალისწინება კრედიტების გაცემისას ყველა მსესხებელზე, მათი ჩათვლით, რომლებიც ყველაზე ნაკლებად ჰგვანან ვალდებულების დამრღვევთ, რომლებსაც შემდეგ მოუწევთ უფრო მაღალი ხარჯის გაღება, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა ინსტიტუტს შეუძლია შეაფასოს გადახდის შესაძლებლობა უფრო ზუსტად. სინამდვილეში ისეთ რეესტრს, როგორც

³⁴⁶ Case C-238/05, *Asnef-Equifax, Servicios de Informacion sobre Solvencia y Credito, SI v. Asociacion de Usuarios de Servicios Bancarios (Ausbanc)* [2006] ECR I-11125, [2007] 4 CMLR 6.

ზემოთ აღნიშნეთ, შეუძლია ასეთი ტენდენციის შემცირება.

56. ამასთან, ფინანსური ინსტიტუტების მიერ თავიანთ მომხმარებლებზე მათ ხელთ არსებული ინფორმაციის მნიშვნელობის შემცირება რეალურად უნარს აძლევს აღნიშნულ რეესტრებს, მოახდინონ კრედიტის მომხმარებლის მობილურობის გაზრდა. დამატებით, ასეთ რეესტრებს შეუძლიათ, ეს უფრო მეტად გაამარტივონ ბაზარზე შედენვის მსურველი ახალი კონკურენტებისათვის.

57. გარდა ამისა, იმის განსაზღვრისას, არის თუ არა მთავარ პროცესში ეს კონკურენციის შეზღუდვა 81-ე 1-ლი მუხლის მიხედვით, ევროპული გაერთიანება დამოკიდებულია იმ ეკონომიკურ და სამართლებრივ კონტექსტზე, რომელშიც რეესტრი არსებობს და, უფრო კონკრეტულად, ბაზრის ეკონომიკურ პირობებზე, ისევე როგორც რეესტრის კონკრეტულ მახასიათებლებზე.

58. ამასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ, თუ მიწოდება ბაზარზე არის საკმაოდ კონცენტრირებული, გარკვეული ინფორმაციის გაცვლა, რაც დამოკიდებულია გაცვლადი ინფორმაციის სახეზე, შეიძლება პასუხისმგებელი იყოს სხვა სანარმოების მიერ მათი კონკურენტების კომერციული სტარტეგიისა და ბაზარზე არსებული ვითარების თაობაზე ინფორმაციის მიღებაზე, რაც გამოიწვევს ბაზარზე ბრძოლის შემცირებას და გაზრდის ან ხელს შეუწყობს შეთანხმებების მიღწევას; მეორე მხრივ, თუ მიწოდება არის ფრაგმენტული, კონკურენტებს შორის ინფორმაციის გაცვლა შეიძლება იყოს ნეიტრალური, ან, თუნდაც, პოზიტიური, ბაზრის კონკურენციული ხასიათიდან გამომდინარე (იხ. ამასთან დაკავშირებით *Thyssen Stahl v. Commission*, პარა.: 84 და 86). ამ საქმეში საერთო საფუძველი, რაც ჩანს განაჩენის მე-10 პარაგრაფიდან, არის ის, რომ მიმართავმა სასამართლომ წინასწარი გადანყვევტილებისათვის თავის მიმართვაში გადანყვევტილება მოითხოვა „ფრაგმენტულ ბაზართან“ დაკავშირებით, რაც სასამართლოს შესამოწმებელია.

59. მეორე, ვინაიდან ძირითად პროცესში განსახილველ რეესტრს არ აქვს ბაზარზე არსებული მდგომარეობისა თუ კონკურენტების კომერციული სტარტეგიის გამჟღავნების უფლება, მნიშვნელოვანია, რომ პირდაპირ ან ირიბად არ გამჟღავნდეს გამსესხებლების ვინაობა. ამ საქმეში მიღებული გადანყვევტილებიდან აშკარაა, რომ Tribunal de Defensa de la Competencia-მ Asnef-Equifax-ს დაუწესა და ამ უკანასკნელმა მიიღო პირობა, რომ რეესტრში არსებული ინფორმაცია სესხის გამცემების თაობაზე არ უნდა გახსნილიყო.

60. მესამე, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთ რეესტრებზე დაშვება შეიძლებოდა არადისკრიმინაციული ფორმით კანონიერად და ფაქტობრივად ამ სფეროში მოქმედი ყველა აქტიური ოპერატორისათვის. თუ ასეთი დაშვების გარანტირება ვერ ხერხდება, ამ ოპერატორებიდან რამდენიმე არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ვინაიდან მათ ექნებათ ნაკლები ინფორმაცია რისკის შეფასებისათვის, რაც ასევე არ შეუწყობს ხელს ბაზარზე ახალი ოპერატორების შესვლას.

61. გამომდინარე აქედან, იმ შემთხვევაში, როცა შესაბამისი ბაზარი არ არის მნიშვნელოვნად კონცენტრირებული, სისტემა არ იძლევა სესხის გამცემების იდენტიფიცირების უფლებას და ფინანსური ინსტიტუტების დაშვებისა და გამოყენების პირობები არ არის დისკრიმინაციული. ინფორმაციის გაცვლის სისტემა, როგორცაა რეესტრი, არ არის პასუხისმგებელი, ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 81-ე 1-ლი მუხლის მიხედვით, კონკურენციის შეზღუდვაზე.

62. მაშინ, როცა ასეთ პირობებში აღნიშნულ სისტემებს შეუძლიათ შეამცირონ გაურკვეველობა კრედიტის აპლიკანტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული რისკის თაობაზე, ისინი არ არიან პასუხისმგებლები კონკურენციის გაურკვეველი რისკის შემცირებისათვის. ამდენად, თითოეულმა ოპერატორმა უნდა იმოქმედოს დამოუკიდებლად და ავტონომიურად, როდესაც მიიღებს ქმედების კურსს, სადაც გათვალისწინებული უნდა ჰქონდეთ აპლიკანტებთან დაკავშირებული რისკი. Ausbanc-ის საპასუხოდ, მხოლოდ საკრედიტო ინფორმაციის გაცვლის არსებობა არ იწვევს კოლექტიურ ანტიკონკურენციულ ქმედებას, როგორცაა ბოიკოტი პოტენციური მსესხებლების გარკვეული ჯგუფის მიმართ.

63. ამასთან, როგორც გენერალურმა ადვოკატმა აღნიშნა არსებით ნაწილში – თავისი შეხედულების 56-ე პუნქტში, **ნებისმიერი სავარაუდო საკითხი, რომელიც დაკავშირებულია პერსონალური მონაცემთა ბაზის სენსიტიურობასთან, როგორც ასეთი, არ არის კონკურენციის სამართლის საკითხი და მათი მონესრიგება უნდა მოხდეს მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი შესაბამისი დებულებების საფუძველზე.** ძირითად საქმის წარმოებაში სასამართლოს წინაშე წარდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ, რეესტრის მამართ გამოყენებადი წესების თანახმად, იმ მომხმარებლებს, რომელთაც მიაღდათ უარყოფითი შედეგი ესპანეთის კანონმდებლობის მიხედვით, შეუძლიათ შეამოწმონ მათ შესახებ არსებული ინფორმაცია და შეასწორონ ან საერთოდ წაშალონ ის.

გაერთიანებული საქმეები *Re Wood Pulp Cartel: Ahlstrom Oy v. Commission (Wood Pulp II)*³⁴⁷:

ევროპული სასამართლო

70. ვინაიდან კომისიას არ გააჩნია დოკუმენტაცია, რომელიც პირდაპირ დაადგენს ჩართული მწარმოებლების შეკრებას, საჭიროა დამტკიცდეს, იყო თუ არა კვარტალური ფასების გამოცხადების სისტემა ფასების გამოცხადებისა და ფასების გამოცხადების პარალელურობის იმავდროული ან დაახლოებით იმავდროული, რაც დადგინდა 1975-იდან 1985 წლამდე პერიოდში, რომელიც შეესაბამებოდა მკაცრ, ზუსტ და თანმიმდევრულ ორგანოს, როგორც წინასწარი შეხვედრის მტკიცებულებას.

71. აღნიშნული განსხვავებული ფაქტორების პრობაციული ღირებულების განსაზღვრისას უნდა აღინიშნოს, რომ პარალელური ქცევა არ უნდა იყოს მიჩნეული როგორც შეხვედრის მოწყობის მტკიცებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შეხვედრა შეესაბამება მხოლოდ ასეთი ქმედების დამაჯერებელ განმარტებას. აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ, მართალია, 81-ე მუხლი... კრძალავს ნებისმიერი ფორმით შეკრებას, რომელიც ამახინჯებს კონკურენციას, ის არ ართმევს ეკონომიკურ ოპერატორებს უფლებას, მოახდინონ გონივრული ადაპტაცია თავიანთი კონკურენტების არსებულ თუ მოსალოდნელ ქმედებასთან (იხ. *Suiker Unie*, (...) პარა. 174).

72. შესაბამისად, ამ საქმეში აუცილებელია, **პროდუქციის მახასიათებლების, საწარმოების ზომისა და რაოდენობის და განსახილველი ბაზრის მოცულობის გათვალისწინებით დამტკიცდეს კომისიის მიერ მითითებული პარალელური ქმედება შესაძლებელია თუ არა, დაკვალიფიცირდეს სხვაგვარად, ვიდრე შეკრება.**
(...)

126. ამ ანალიზის მიხედვით, უნდა დადგინდეს: რომ ამ საქმეში კონცენტრაცია არ არის პარალელური ქმედების ერთადერთი დამაჯერებელი განმარტება; დასაწყისით-

³⁴⁷ Cases C-89, 104, 114, 116-17 and 125-9/85, *ReWood Pulp Cartel: Ahlstrom Oy v. Commission (Wood Pulp II)* [1993] ECR I-1307, [1993] 4 CMLR 407.

ვის ფასების გამოცხადების სისტემა შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს როგორც რაციონალური პასუხი იმ ფაქტზე, რომ რბილი ქსოვილის ბაზარი შეესაბამებოდა გრძელვადიან ბაზარს და ასევე გამყიდველისა და მყიდველის მიერ კომერციული რისკის შეზღუდვის საჭიროებას; დამატებით, ფასების გამოცხადების თარიღების მსგავსება შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც მაღალი დონის ბაზრის გამჭვირვალობის პირდაპირი შედეგი, რომელიც არ უნდა აღინეროს როგორც ხელოვნური; დაბოლოს, ფასების პარალელ-იზმი და ფასების მიმართულება შეიძლება დამაკმაყოფილებლად განიმარტოს ბაზრის ოლიგოპოლისტური ტენდენციებით და განსაკუთრებული გარემოებებით, რომლებიც გავრცელებული იყო გარკვეულ პერიოდებში. შესაბამისად, პარალელური ქმედება, რომელიც დადგენილია კომისიის მიერ, არ შეესაბამება კონცენტრაციის (შეკრების) მტკიცებულებას.

127. მტკიცებულებების მკაცრი, ზუსტი და თანმიმდევრული ორგანოს არარსებობის შემთხვევაში უნდა დადგინდეს, რომ კომისიის მიერ გამოცხადებულ ფასებთან დაკავშირებით ვერ დადგინდა კონცენტრაციის არსებობა. შესაბამისად, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების 1-ლი 1-ლი მუხლი.

გაერთიანებული საქმეები *Societa Italiana Vetro SpA v. Commission ('Flat Glass')*³⁴⁸:

საქმის ფაბულა: საქმეში – *Flat Glass* – კომისიამ დაადგინა, რომ ბრტყელი მინის სამმა იტალიელმა მწარმოებელმა დაარღვია 81-ე 1-ლი მუხლი (ვინაიდან მიაღწიეს შეთანხმებას ფასების ფიქსირებასა და მათ პროდუქციაზე კვოტების დადგენის თაობაზე) და დაარღვიეს 82-ე მუხლი თავიანთი კოლექტიური დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით (თუმცა კომისიას არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რითაც დაადგინდა ამ უკანასკნელ დარღვევას, რაც ეფუძნებოდა 81-ე მუხლში დადგენილ დარღვევას). გასაჩივრებისას, პირველი ინსტანციის სასამართლომ გააუქმა კომისიის გადაწყვეტილება, რომ იყო გაერთიანებული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.³⁴⁹ 81-ე მუხლის დარღვევის დამადასტურებელი მტკიცებულებების შეგროვება საკმარისი არ იყო იმის დასადასტურებლად, რომ მათი ქმედება შეესაბამებოდა კოლექტიური დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

სასამართლომ, როგორც ჩანს, საბოლოოდ გამოხატა საკუთარი დამოკიდებულება, რომ 82-ე მუხლი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ დამოუკიდებელი საწარმოების მიმართ და რომ 82-ე მუხლი არ გამოიყენება ერთსა და იმავე კორპორაციულ ჯგუფში მოქმედი ერთი ან მეტი საწარმოს ქმედების მიმართ.

პირველი ინსტანციის სასამართლო

357. სასამართლო აღნიშნავს, რომ 82-ე მუხლის პირველი პარაგრაფის პირველივე სიტყვებია: „ერთმა ან მეტმა საწარმომ“ შეიძლება ბოროტად გამოიყენოს დომინანტური მდგომარეობა. მუდმივად მეორდებოდა, რომ, როგორც მხარეები აცნობიერებენ, შეთანხმების კონცეფცია და შეთანხმებული პრაქტიკა საწარმოებს შორის არ ფარავს შეთანხმებას და შეთანხმებულ პრაქტიკას იმ საწარმოებს შორის, რომლებიც მიეკუთვნებიან ერთსა და იმავე ჯგუფს, ან თუ ისინი ქმნიან ეკონომიკურ ერთობას... შესაბამისად, გამომდინარეობს, რომ, როცა 81-ე მუხლი გამოიყენება „საწარმოებს“ შორის შეთანხმებასა თუ შეთანხმებულ პრაქტიკაზე, ის გულისხმობს ურთიერთობას ორ ან მეტ ეკონომიკურ დაწესებულებას შორის, რომლებსაც შეუძლიათ ერთმანეთისათვის კონკურენციის განევა.

³⁴⁸ Cases T-68, 77 and 78/89, *Societa Italiana Vetro SpA v. Commission ('Flat Glass')* [1992] ECR II-1403, [1992] 5 CMLR 302.

³⁴⁹ [1989] OJ L33/44, [1990] 4 CMLR 535.

358. სასამართლოს შეხედულებით, არ არსებობს სამართლებრივი თუ ეკონომიკური მიზეზი იმის საგულისხმოდ, რომ ტერმინს „სანარმო“ 82-ე მუხლში აქვს განსხვავებული მნიშვნელობა, ვიდრე 81-ე მუხლში. რეალურად არ არსებობს არავითარი საფუძველი, რომელიც ხელს შეუშლიდა ორ ან მეტ დამოუკიდებელ ეკონომიკურ დანესებულებას, სპეციფიკურ ბაზარზე გაერთიანებულიყვნენ ისეთი ეკონომიკური კავშირით, რომელიც ამ ფაქტის მეშვეობით მათ ერთად ჩააყენებდა დომინანტურ მდგომარეობაში იმავე ბაზარზე მოქმედი სხვა კონკურენტების მიმართ. ეს შეიძლება მოხდეს, მაგალითად, როდესაც ორ ან მეტ სანარმოს შეთანხმებისა თუ ლიცენზიების საფუძველზე ერთობლივად აქვთ ტექნოლოგიური მიღწევა, რომელიც მათ აძლევს ძალაუფლებას, მოიქცნენ შესამჩნევ დონემდე დამოუკიდებლად მათი კონკურენტებისა და მომხმარებლებისგან (*Hoffmann-la Roche*, საქმე 102/77, 1978 ECR 1139, პარა. 38 და 48).

359. სასამართლო აღნიშნული ინტერპრეტაციისათვის პოულობს დასაყრდენს ევროპული საბჭოს 4065/86 რეგულაციის მე-8 მუხლში..., რომელშიც განერილია დეტალური წესები საზღვაო ტრანსპორტის მიმართ 81-ე და 82-ე მუხლების გამოყენებასთან დაკავშირებით. მე-8 მე-2 მუხლის მიხედვით, ლაინერების კონფერენციის მიერ მიღებულ სარგებელს, რაც ევროპული ხელშეკრულების 81-ე 1-ლი მუხლით დადგენილი აკრძალვებიდან გამონაკლისია, შეიძლება ჰქონდეს 82-ე მუხლთან შეუთავსებელი შედეგი. კონფერენციის მიერ გაკეთებული მოთხოვნა, – ყოფილიყო გამონაკლისი 81-ე 1-ლი მუხლის მოქმედების ფარგლებიდან, აუცილებლად გულისხმობს ორ ან მეტ დამოუკიდებელ ეკონომიკურ სანარმოს შორის შეთანხმებას.

გაერთიანებული საქმეები *Compagnie Maritime Belge Transports SA v. Commission*³⁵⁰:

ევროპული სასამართლო

35. ხელშეკრულების 82-ე მუხლის ფარგლებში დომინანტური მდგომარეობა შეიძლება ეკავოს რამდენიმე „სანარმო“. ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ „სანარმო“ კონცეფცია ხელშეკრულების ნაწილში, რომელიც ეძღვნება კონკურენციის წესებს, გულისხმობს ჩართული უწყების ეკონომიკურ დამოუკიდებლობას (იხ. კერძოდ საქმე 22/71 *Beguelin Import v. G.I. Import Export* [1971] ECR 949).

36. აქედან გამომდინარეობს, რომ გამოთქმა „ერთი ან მეტი სანარმო“ ხელშეკრულების 82-ე მუხლში გულისხმობს, რომ დომინანტური მდგომარეობა შეიძლება ეკავოს ორ ან მეტ ეკონომიკურ უწყებას, რომლებიც სამართლებრივად დამოუკიდებელი არიან ერთმანეთისაგან და რომლებიც, ეკონომიკური თვალსაზრისით, წარმოდგენილები არიან ერთად, ან მოქმედებენ ერთად ერთ შესაბამის ბაზარზე, როგორც კოლექტიური უწყება. ეს არის როგორც გამოთქმა „კოლექტიური დომინანტური მდგომარეობა“, რომლის გამოყენებითი დანიშნულება ამ განაჩენში არის მოცემული.

37. როგორც ჩანს, სანარმოს დომინანტურ მდგომარეობაში ყოფნის დადგენა არ არის, თავის მხრივ, კრიტიკის საფუძველი, მაგრამ, უბრალოდ, ნიშნავს, რომ, მიუხედავად იმ მიზეზებისა, რის გამოც ის ფლობს დომინანტურ მდგომარეობას, ჩართულ სანარმოს აქვს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, არ დაუშვას, მისმა ქმედებამ ზიანი მიაყენოს საერთო ბაზარზე არსებულ ნამდვილ კონკურენციას (იხ. *Michelin*, პარა. 57).

38. იგივე მოქმედებს იმ სანარმოების მიმართაც, რომლებიც ფლობენ კოლექტიურ დომინანტურ მდგომარეობას. იმის დადგენა, რომ ორი ან მეტი სანარმო მიერ კოლექტიური დომინანტური მდგომარეობის ფლობა, ძირითადად, უნდა ხდებოდეს

³⁵⁰ Cases C-395 and 396/96 P, *Compagnie Maritime Belge Transports SA v. Commission* [2000] ECR I-1365, [2000] 4 CMLR 1076.

შესაბამის ბაზარზე ჩართული სანარმოების მდგომარეობის ეკონომიკური შეფასების საფუძველზე, იმ საკითხის განხილვამდე, გამოიყენეს თუ არა ბოროტად ამ სანარმოებმა ბაზარზე თავიანთი მდგომარეობა.

39. ამდენად, ხელშეკრულების 82-ე მუხლის ანალიზის მიხედვით, აუცილებელია განვიხილოთ, მიეკუთვნებიან თუ არა ჩართული სანარმოები კოლექტიურ უწყებას თავიანთი კონკურენტების, სავაჭრო პარტნიორებისა და მომხმარებლების სანინალმდეგოდ კონკრეტულ ბაზარზე. ეს არის ის შემთხვევა, როდესაც დასმულ შეკითხვას პასუხი გაეცემა დადებითად და როდესაც უკვე შესაძლებელია იმის განხილვა, რეალურად ფლობს თუ არა კოლექტიური უწყება დომინანტურ მდგომარეობას და შეესაბამება თუ არა მათი ქმედება ბოროტად გამოყენებას.

40. გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში პირველი ინსტანციის სასამართლო საკმაოდ ფრთხილი იყო ამ სამი ელემენტის ცალ-ცალკე განხილვისას, კერძოდ კი კოლექტიური მდგომარეობის, დომინანტური მდგომარეობისა და ასეთი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების განხილვისას.

41. კოლექტიური უწყების არსებობის დასადგენად, როგორც განმარტებულია ზემოთ, აუცილებელია შემოწმდეს ეკონომიკური კავშირები თუ ფაქტორები, რომლებიც იძლევა სანარმოებს შორის ურთიერთობების დანყების შესაძლებლობას (იხ., *inter alia*, საქმე C-393/92 *Almelo* [1994] ECR I-1477, პარა. 43 და გაერთიანებული საქმეები: C-68/94 და C-30/95 *France and others v. Commission* [1998] ECR I-1375, პარა. 221).

42. კერძოდ, უნდა დამტკიცდეს, არსებობდა თუ არა ეკონომიკური კავშირი ჩართულ სანარმოებს შორის, რაც შესაძლებლობას აძლევდა მათ, ემოქმედათ ერთად, მათი კონკურენტებისა და მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად (იხ. *Michelin*).

43. **უბრალო ფაქტი, რომ ორი ან მეტი სანარმო დაკავშირებულია ერთმანეთთან შეთანხმებით, არსებობს სანარმოთა ასოციაციის გადანყვეტილება თუ შეთანხმებული პრაქტიკა, 81-ე 1-ლი მუხლის მნიშვნელობით, თავისთავად არ შეესაბამება ასეთი დასკვნის გამოტანის არსებით საფუძველს.**

44. მეორე მხრივ, შეთანხმებამ, გადანყვეტილებამ თუ შეთანხმებულმა პრაქტიკამ (მიუხედავად იმისა, ხვდება თუ არ ხვდება ხელშეკრულების 81-ე მე-3 მუხლის გამონაკლისების ფარგლებში), როდესაც ხდება მისი იმპლემენტაცია, შეიძლება შედეგად მოგვცეს ჩართული სანარმოების ისეთი სახით დაკავშირება ერთმანეთთან, რომ კონკრეტულ ბაზარზე მათი ქმედება იყოს მათი მოქმედება კოლექტიური უწყების ფორმით *vis-à-vis* მათი კონკურენტების, სავაჭრო პარტნიორების და მომხმარებლებისა.

45. კოლექტიური დომინანტური მდგომარეობის არსებობა შეიძლება გამომდინარეობდეს შეთანხმების პირობებიდან და ხასიათიდან, იმ გზიდან, რომელშიც ხდება მისი იმპლემენტაცია და, შესაბამისად, იმ კავშირებიდან და ფაქტორებიდან, რომლებიც დასაწყისს აძლევს სანარმოებს შორის კავშირს, და შემდეგ იძლევა ზემოთ აღნიშნულ შედეგს. მიუხედავად ამისა, შეთანხმების ან სხვა კავშირების არსებობა კანონში არ არის განუყოფელი კოლექტიური დომინანტური მდგომარეობის არსებობის დადგენისაგან; ასეთი დადგენა შეიძლება ეფუძნებოდეს სხვა დამაკავშირებელ ფაქტორებს და დამოკიდებული იქნება ეკონომიკურ შეფასებასა და, კერძოდ, განსახილველი ბაზრის სტრუქტურის შეფასებაზე.

249. უნდა განვიხილოთ, რომ, როგორც აღნიშნული განაჩენების სიტყვებიდან ჩანს, შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა განვითარებული იყო იმ რისკის კონტექსტის შეფასებიდან, რომ კონცენტრაცია შექმნიდა კოლექტიურ დომინანტურ მდგომარეობას და არა წინამდებარე საჩივრის პირველი ნაწილის კონტექსტში, კოლექტიური დომინანტური მდგომარეობის არსებობის განსაზღვრის თაობაზე.

250. როგორც ჩანს, როდესაც ხდება რისკის შეფასება, რომ იქმნება ასეთი დომინანტური მდგომარეობა, კომისიას მოეთხოვება *ex hypothesi* განახორციელოს დელიკატური პროგნოზირება ბაზრის შესაძლო განვითარებასთან და კონკურენციის პირობებთან დაკავშირებით სამომავლო ანალიზის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს კომპლექსურ ეკონომიკურ შეფასებას. მასთან დაკავშირებით კომისიას აქვს ფართო დისკრეტია, რომელსაც ამყარებს კონკრეტული ანალიზი გადანყვეტილების მიღების დროს არსებული მდგომარეობის თაობაზე. კოლექტიური დომინანტური მდგომარეობის არსებობის ფაქტის დადგენა გამყარებული უნდა იყოს წარსულსა თუ აწმყოში დადგენილი ფაქტების ელემენტებით, რომლიდანაც ჩანს, რომ მნიშვნელოვნად იზღუდება კონკურენცია ბაზარზე, სადაც ძალაუფლება თავმოყრილია რამდენიმე საწარმოში, რომელთაც შეძლეს მიეღოთ ბაზარზე მოქმედების ერთი და იგივე კურსი მნიშვნელოვან დონემდე დამოუკიდებლად თავისი კონკურენტებისა და მომხმარებლებისაგან.

251. აქედან გამომდინარეობს, რომ კოლექტიური დომინანტური მდგომარეობის არსებობის შეფასების კონტექსტში, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განსაზღვრული სამი პირობა საქმეში – *Airtours v. Commission*, პარა. 45, – რომლებიც გამომდინარეობდა კოლექტიური დომინანტური მდგომარეობის კონცეფციის თეორიული ანალიზიდან, რა თქმა უნდა, ასევე აუცილებელია. როგორც ჩანს, მათ შეუძლიათ, შესაბამის გარემოებებში არაპირდაპირ წარმოიქმნან, იმის საფუძველზე, რაც შეიძლება იყოს შერეული ნიშნები და ნიშნებთან დაკავშირებული მტკიცებულების საშუალებები, კოლექტიური დომინანტური მდგომარეობის არსებობის დამახასიათებელი მანიფესტაციები და ფენომენი.

252. ამდენად, ფასების სიახლოვე დიდი დროის განმავლობაში, განსაკუთრებით, თუ ის კონკურენციის დონეს აღემატება, იმ ფაქტორებთან ერთად, რომლებიც დამახასიათებელია კოლექტიური დომინანტური მდგომარეობისათვის, ალტერნატიული გონივრული განმარტების არარსებობისას საკმარისია კოლექტიური დომინანტური მდგომარეობის დასადაგენად, მაშინაც კი, როცა არ არსებობს ბაზრის ძლიერი გამჭვირვალობის მკაცრი პირდაპირი მტკიცებულება, იმდენად, რამდენადაც ასეთი გამჭვირვალობა ივარაუდება ასეთ გარემოებებში.

253. აქედან გამომდინარეობს, რომ ამ საქმეში ფასების დაახლოება, როგორც გადასახადებით, ასევე გადასახადების შემდეგ ბოლო 6 წლის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ პროდუქტები არ არის ერთი და იგივე (თითოეულ დისკს ჰქონდა განსხვავებული შინაარსი), და ასევე ფაქტი, რომ მათი შენარჩუნება ხდებოდა სტაბილურად, რომელიც იყო საკმაოდ მაღალი, მიუხედავად მოთხოვნის მნიშვნელოვანი ვარდნისა, სხვა ფაქტორებთან ერთად (საწარმოს ძალა ოლიგოპოლიურ გარემოში, საბაზრო წილების სტაბილურობა და ა.შ.), როგორც ეს დაადგინა კომისიამ თავის გადანყვეტილებაში, ალტერნატიული განმარტების არარსებობისას უნდა შეესაბამებოდეს გადაადგილებას, რომ ფასების დაახლოება არ არის ეფექტური კონკურენციის ნორმალური ფუნქციონი-

³⁵¹ Case Independent Music Publishers and Labels Association (Impala) v. Commission [2006] ECR II-2289, [2006] 5 CMLR 19

რების შედეგი და რომ ბაზარი არის არსებითად გამჭვირვალე, ვინაიდან ის იძლევა ფასების ჩუმი კოორდინაციის შესაძლებლობას.

გაერთიანებული საქმეები: *P Papierfabrik August Koehler AG and Others v. Commission*³⁵² [2009]:

ევროპული სასამართლო

Divipa-ს საჩივრის პირველი საფუძველი, დაკავშირებული მის მონაწილეობასთან დარღვევაში

49. *Divipa* უარყოფს თავის მონაწილეობას 1992 წლის 5 მარტისა და 1994 წლის 19 ოქტომბრის შეხვედრებში ესპანეთის ბაზრის თაობაზე და, აგრეთვე, უარყოფს ევროპის ბაზარზე კარტელში მონაწილეობას. იგი ყოფს საჩივრის საფუძველს სამ ნაწილად, რომელთა განხილვაც რიგრიგობით უნდა განხორციელდეს:

Divipa-ს საჩივრის პირველი საფუძველი: პირველი ნაწილი დაკავშირებულია 1992 წლის 5 მარტის შეხვედრაში მის მონაწილეობასთან

50. კერძოდ, *Divipa* ამტკიცებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დაამახინჯა *Sappi*-ის თანამშრომლის მიერ 1992 წლის 9 მარტს მიწოდებული ინფორმაციის ჭეშმარიტება იმ კუთხით, რომ მან ვერ შეძლო გაეთვალისწინებინა ან მისი ნაწილის ციტირება მოეხდინა აპელირების საფუძველზე სასამართლო განხილვისას, რომლის მიხედვითაც *Divipa*-ს ფასები გაგებულ იქნა არა პირდაპირ *Sappi*-ის, არამედ მომხმარებლების მიერ. *Divipa*-ს აზრით, არალოგიკურია, რომ საწარმომ, რომელმაც თითქოს მონაწილეობა მიიღო კარტელის შეხვედრაში, რომელზეც ფასების საკითხი განიხილეს, პირდაპირ, თავისთავად, არ მიანოდოს თავისი ფასები შეხვედრაზე. შესაბამისად, *Divipa*-ს მონაწილეობა 1992 წლის 5 მარტის შეხვედრაში არ დასტურდება.

51. კომისია პასუხობს, რომ ნებისმიერი დოკუმენტი განხილულ უნდა იქნეს საქმის სხვა დოკუმენტებთან ერთობლიობაში. იმდენად, რამდენადაც კომისიას და პირველი ინსტანციის სასამართლოს მოეთხოვებათ, განახორციელონ ყოვლისმომცველი შემოწმება. ის არგუმენტი, რომ ერთი კონკრეტული დოკუმენტი ვერ ამტკიცებს ფაქტს, ვერ იქნება გაზიარებული, თუ საქმეში სხვა დოკუმენტებიც არის წარმოდგენილი, რომელთაც შეუძლიათ წარმოადგინონ ამგვარი მტკიცებულება. *Divipa*-ს ეჭვი არ შეაქვს *AWA*-სა და *Sappi*-ის მიერ გაკეთებულ მტკიცებულებით განცხადებებში ან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მათ ინტერპრეტირებაში. ყოველ შემთხვევაში, კომისია, კერძოდ, მიუთითებს, რომ განცხადებაში *Sappi*-ის თანამშრომელი მარტივად ადასტურებს, რომ *Divipa*-მ არ გაზარდა თავისი ფასები და რომ მან ეს იცის მომხმარებლის მიერ მისთვის გაგზავნილი ფასების ნუსხის საფუძველზე. გასაკვირი არ არის, რომ საწარმო, რომელიც არ იცავს კარტელის ფარგლებში შეთანხმებულ ფასებს, არ აცნობებს კარტელის სხვა წევრებს აღნიშნულის თაობაზე, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი არ მონაწილეობს კარტელში. უფრო მეტიც, ლოგიკურია, რომ საწარმოებმა, რომლებიც კარტელში მონაწილეობენ, დაკვირვება უნდა განახორციელონ კარტელზე და გაატარონ ზომები იმ წევრების მიმართ, რომლებიც არ ასრულებენ ერთობლივად შეთანხმებულ გადაწყვეტილებებს.

52. ამასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ ევროპულ სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება, დაადგინოს ფაქტები ან შეამოწმოს ის მტკიცებულებები, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლომ გაიზიარა ამ ფაქტების მხარდაჭერასთან

³⁵² Joint Cases C-322/07 P, C-327/07 and C-338/07 P *Papierfabrik August Koehler AG and Others v. Commission* [2009].

დაკავშირებით. იმდენად, რამდენადაც უზრუნველყოფილია, რომ მტკიცებულება სწორად იქნა მოპოვებული და სამართლის ძირითადი პრინციპები და მტკიცებულების ტვირთთან და მტკიცებულების აღებასთან დაკავშირებული პროცედურული ნორმები იქნა განხილული, პირველი ინსტანციის სასამართლოს პრეროგატივაა იმ ღირებულების შეფასება, რომელიც მისთვის მოპოვებულ მტკიცებულებას უნდა დაერთოს. იქ, სადაც მტკიცებულების გასაგები აზრი დამახინჯებული იყო, შეფასება, შესაბამისად, არ არის კანონის შეხედულება, რომელიც ევროპული სასამართლოს განხილვის საგანია, როგორც ასეთი (იხილეთ, *inter alia*: საქმე C-551/03 P *General Motors v. Commission* [2006] ECR I-3173, პარა. 52; საქმე C-266/06 P *Evonik Degussa v. Commission and Council* [2008] ECR I-0000, პარა. 73, და გაერთიანებული საქმეები: C-101/07 P და C-110/07 P *Coop de France betail et viande and Others v. Commission* [2008] ECR I-0000, პარა. 59).

53. პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე ფაქტებისა და მტკიცებულებების დამახინჯება აშკარაა სასამართლოს დოსიეს დოკუმენტებიდან ამ ახალი ელემენტების ახალი შეფასების განხორციელების საჭიროების გარეშე (იხილეთ, *inter alia*: საქმე *General Motors v. Commission*, პარაგრაფი 54; საქმე *Evonik Degussa v. Commission and Council*, პარა. 74, და გაერთიანებული საქმეები: *Coop de France betail et viande and Others v. Commission*, პარა. 60).

54. პირველი ინსტანციის სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია ის გარემოება, რომ *Diva*-მ მონაწილეობა მიიღო 1992 წლის 5 მარტის შეხვედრაში მას შემდეგ, რაც სააპელაციო სასამართლო განხილვის პარაგრაფებში – 162-იდან 164-ის ჩათვლით, 171, 192, 194 და 197 – გააკეთა შემდეგი აღმოჩენები:

162. პირველ რიგში, *Sappi*-მ აღნიშნა, რომ მონაწილეობა მიიღო ესპანეთის ბაზართან დაკავშირებით ორგანიზებულ კარტელის შეხვედრებში, დაწყებული 1992 წლის თებერვლიდან, და მიაწოდა სხვადასხვა სახის ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით. კომისიისადმი 1999 წლის 18 მაისს გაგზავნილ პასუხში... *Sappi* მიუთითებს რამდენიმე საილუმო შეხვედრაზე ესპანეთის ბაზართან დაკავშირებით, რომელიც განხორციელდა 1992 წლის 17 და 27 თებერვალს, 1993 წლის 30 სექტემბერსა და 19 ოქტომბერს, და 1994 წლის 3 მაისსა და 29 ივნისს. აღნიშნულ პერიოდთან დაკავშირებით, 1993 წლიდან 1995 წლამდე *Sappi*-ის თანამშრომელმა განაცხადა..., რომ იგი დაესწრო ექვს თუ შვიდ შეხვედრას ბარსელონაში (ესპანეთი) სხვა მიმწოდებლებთან ერთად. აღნიშნული შეხვედრები ყოველწლიურად ოთხ-ხუთჯერ იმართებოდა. მისი ინფორმაციით, იგი პირველად ამგვარ შეხვედრას 1993 წლის 19 ოქტომბერს დაესწრო, ხოლო უკანასკნელად — 1995 წელს. მისი განცხადებით, აღნიშნული შეხვედრების მიზანი ესპანეთის ბაზრისთვის ფასების დადგენა იყო. შეხვედრები დაახლოებით ორ საათს გრძელდებოდა და, როგორც წესი, მთავრდებოდა გადაწყვეტილებით განსაზღვრული პროცენტულობით ფასების ზრდასთან დაკავშირებით. ამ შეხვედრებში მონაწილეობდნენ: *Copiragh*, *Koehler* და *Divipa*. *Sappi*-ის განცხადებების ამონაკრები, რომლებიც სხვადასხვა დოკუმენტშია ასახული, (საპროტესტო განცხადებების) თანდართული დოკუმენტების ნაწილია, ასე რომ, ყველა განმცხადებლისთვის ისინი ხელმისაწვდომია. კომისიამ ისინი წარადგინა სასამართლოს წინაშეც.

163. მეორე რიგში, *AWA*-მ აღნიშნა, რომ მონაწილეობდა კარტელის მრავალმხრივ შეხვედრებში უკარბონო ქაღალდის მწარმოებლების მონაწილეობით და კომისიას მიაწოდა კონკურენტთა შორის ორგანიზებული შეხვედრათა სია, განხორციელებული 1992-1998 წლებში. დოკუმენტი №7828, რომელიც *AWA*-ს მიერ კომისიისთვის 1999 წლის 30 აპრილს გაგზავნილი საპასუხო წერილის ამონაკრებია, შეიცავს *AWA*-ს მთავარ განცხადებას რამდენიმე შეხვედრის ორგანიზებასთან დაკავშირებით, *inter alia*, ლისაბონსა

(პორტუგალია) და ბარსელონაში (ესპანეთი) 1992-1994 წლებში, რომლებზეც იგი მოი-
აზრებს, რომ მონაწილეობდნენ *Divipa*-ს ან სხვა საწარმოთა წარმომადგენლები.
(...)

171. *Sappi*-ის ესპანური აგენტის მიერ *Sappi Europe*-ის მიმართ 1992 წლის 9 მარტს
გაგზავნილი შეტყობინება, მიუხედავად იმისა, რომ არ ასახავს შეხვედრის სრულ ან-
გარიშს, ნათელს ჰყფენს მითითებული საწარმოების, მათ შორის *Divipa*-ს, ქმედებას.
მონაწილე მხარეებმა განიხილეს ფასის 10 ესპანური პესეტით გაზრდის საკითხი, რაც
დისტრიბუტორების მიერ წარმოდგენილი ამოცანა იყო, თუმცა სრულყოფილად ეს მი-
ზანი მიღწეული არ ყოფილა. ამ შეტყობინების ავტორი აცხადებს, რომ *Divipa*-ს საერ-
თოდ არ გაუზრდია თავისი ფასები. მისი ინფორმაციით, ამკარაა, რომ *Sappi Europe*-ს
არ შეუძლია ფასების გაზრდა, თუ სხვა მიმწოდებლები არ განახორციელებენ იმავეს.
(...)

192. (...) *AWA*-ს განცხადებების თანახმად, მითითებულ ზემოთ მოყვანილ 163-ე პარა-
გრაფში, *Divipa* მონაწილეობდა ესპანეთის ბაზართან დაკავშირებულ შეხვედრებში,
რომლებიც გაიმართა 1992-1994 წლებში. ან, სულ მცირე, ზოგიერთ ამ შეხვედრაში.
(...)

194. 1999 წლის 18 მაისის *Divipa*-ს საპასუხო წერილით განხილული ფაქტი, რომ *Sap-
pi*-ის არ უხსენებია ესპანეთის ბაზართან დაკავშირებით 1994 წლის 19 ოქტომბერს
გამართული შეხვედრა, ახსნილია იმით, რომ *Sappi* არ დასწრებია ამ შეხვედრას, რაც
დადასტურებულია *Mougeot*-ის მიერ ამოღებული შეხვედრის მონაწილეთა სიით. ყოველ
შემთხვევაში, ეს ფაქტი ვერანაირ ზეგავლენას ვერ მოახდენს იმ არაერთ მტკიცებულე-
ბასთან მიმართებით, რომელთა მიხედვითაც მტკიცდება, რომ ეს შეხვედრა გაიმართა
და მას *Divipa* ესწრებოდა.
(...)

197. *Divipa*-ს მონაწილეობა კარტელში 1992 წლიდან და შემდგომ პერიოდში, ცხადია,
პირველ რიგში, *AWA*-ს განცხადებებიდან მითითებულ ზემოთ მოყვანილ 163-ე და
192-ე პარაგრაფებში. აღნიშნული განცხადებები დამატებით გამყარებულია *Divipa*-ს
სიტყვებით 1992 წლის 9 მარტის შეტყობინებით მითითებულ ზემოთ მოყვანილ 171-ე
პარაგრაფში (...).

55. ზემოაღნიშნული პარაგრაფებიდან ნათელია, რომ პირველი ინსტანციის სასამართ-
ლოს მიერ გაკეთებული აღმოჩენები ეფუძნებოდა ზოგიერთ ფაქტსა და ნიშან-თვისე-
ბას, *AWA*-ს განცხადებისა და *Sappi*-ის აგენტის 1992 წლის 9 მარტის შეტყობინების
ჩათვლით, და დოკუმენტების მიმოხილვამ არ გამოავლინა რაიმე შეცდომა სასამართ-
ლოს აღმოჩენებში.

56. არც რაიმე სახის შეცდომა იკვეთება იმ ფაქტიდან, რომ პირველი ინსტანციის სასა-
მართლომ არ აღნიშნა *Divipa*-ს ფასების დადგენასთან დაკავშირებით განსაზღვრული
დეტალები განსახილველ შეხვედრაზე, რაც გამოვლინდა არა იმ საწარმოს, არამედ მისი
მომხმარებლების მიერ მონოპოლიზებული ინფორმაციის საფუძველზე. როგორც მთავარმა
ადვოკატმა აღნიშნა თავისი მოსაზრების 165-ე პუნქტში, შეცდომა არ არის იმგვარი,
დავადგინოთ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ იგი დაუშვა *Divipa*-ს მიერ 1992
წლის 5 მარტის შეხვედრაში მონაწილეობის შეფასებასთან დაკავშირებით.

57. შესაბამისად, *Divipa*-ს საჩივრის პირველი ნაწილის პირველი საფუძველი უნდა მიჩ-
ნეულ იქნეს დაუსაბუთებლად.

VII. სადისტრიბუციო შეთანხმებები

საქმე *Pronuptia de Paris GmbH v. Pronuptia de Paris Irmgard Schillgallis*³⁵³:

საქმის ფაბულა: ფრენშაიზინგის შეთანხმება დაიდო *Pronuptia de Paris*-სა და ქ-ნ შილგალს შორის. ამ უკანასკნელს ჰქონდა ექსკლუზიური უფლება, გამოეყენებინა *Pronuptia de Paris*-ის სავაჭრო ნიშანი განსაკუთრებულ ტერიტორიებზე. *Pronuptia* ეხმარებოდა ქ-ნ შილგალს თავისი ბიზნესის კომერციულ მხარეებში. ამის სანაცვლოდ ქ-ნმა შილგალმა გადაწყვიტა, თავისი მალაზია მოეწყო ფრენშაიზინგის ინსტრუქციების მიხედვით: არ შეეცვალა მისი მდებარეობა, შეესყიდა მისი საქონლით კაბებისა და აქსესუარების 80% ფრენშაიზინგისაგან, გადაეხადა საავტორო ჰონორარი და ასე შემდეგ. მხარეებს შორის წარმოშობილი დავის გამო, გერმანული სასამართლოს წინაშე დადგა შეთანხმების 81-ე მუხლთან შესაბამისობის საკითხი. გერმანულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის შედეგი დამოკიდებული იყო ევროპული გაერთიანების სამართლის ინტერპრეტაციაზე და 234-ე მუხლის საფუძველზე გააკეთა მიმართვა ევროპული სასამართლოსადმი. პირველი შეკითხვა, რომელიც მან დასვა იყო შემდეგი: რამდენად იყო ხელშეკრულების 81-ე მუხლი გამოყენებადი ფრენშაიზინგის შეთანხმებების მიმართ, როგორცაც განეკუთვნებოდა მხარეებს შორის დადებული კონტრაქტი.

ევროპული სასამართლო

16. პირველი, ფრენშაიზინგს უნდა შეეძლოს ფრენშაიზინგის მიმღებთან შეთანხმოს თავისი *know-how* და შესთავაზოს მას, დაეხმაროს მისი მეთოდების გამოყენებაში იმ რისკის გარეშე, რომ მისი *know-how* და დახმარება გარკვეულ მოგებას, თუნდაც არაპირდაპირს, მოუტანს მის კონკურენტებს. ამის შესაბამისად, დებულებები, რომლებიც არსებითია რისკის თავიდან აცილებისათვის, არ შეესაბამება 81-ე 1-ლი მუხლის მიხედვით განსაზღვრულ კონკურენციის შეზღუდვას. ეს ასევე ვრცელდება დებულებაზე, რომელიც უკრძალავს ფრენშაიზინგის მიმღებს კონტრაქტის მოქმედებისა და მისი ვადის გასვლიდან გონივრული დროის განმავლობაში იმავე სახის მალაზიის გახსნას იმ ტერიტორიაზე, სადაც მან შეიძლება კონკურენცია გაუწიოს ქსელის წევრს. იგივე შეიძლება ითქვას ფრენშაიზინგის მიმღების ვალდებულებაზე, არ გადასცეს თავისი მალაზია სხვა მხარეს ფრენშაიზინგის გამცემის წინასწარი თანხმობის გარეშე; ეს დებულება მიზნად ისახავს *know-how*-ს და დახმარებისგან კონკურენტების მიერ არაპირდაპირი მოგების თავიდან აცილებას.

17. მეორე, ფრენშაიზინგის გამცემს უნდა შეეძლოს მიიღოს საჭირო ზომები თავისი ბიზნეს-სახელისა და სიმბოლოს მატარებელი ქსელის იდენტურობისა და რეპუტაციის დაცვისა და შენარჩუნებისათვის. ამასთან, ის დებულება, რომელიც ადგენს საჭირო კონტროლის ზომებს ამ მიზნის მიღწევისათვის, არ შეესაბამება კონკურენციის შეზღუდვას ხელშეკრულების 81-ე 1-ლი მუხლის მიხედვით.

18. იგივე გამოიყენება ფრენშაიზინგის მიმღების ვალდებულების მიმართ, გამოიყენოს ფრენშაიზინგის გამცემის მიერ განვითარებული მეთოდები და მის მიერ მიწოდებული *know-how*.

19. ამას ასევე ვხვდებით ფრენშაიზინგის მიმღების ვალდებულების შემთხვევაში, გაყიდოს კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებებით დაფარული პროდუქცია მხოლოდ ფრენშაიზინგის გამცემის ინსტრუქციების მიხედვით მოწყობილ და დეკორირებულ დანესებულებებში. იგივე მოთხოვნები გამოიყენება მალაზიების მდებარეობის მიმართ,

³⁵³ Case 161/84, *Pronuptia de Paris GmbH v. Pronuptia de Paris Irmgard Schillgallis* [1986] ECR 353, [1986] 1 CMLR 414.

რომლის შერჩევაც ასევე, სავარაუდოდ, გავლენას მოახდენს ქსელის რეპუტაციაზე. ამდენად, გასაგებია, რომ ფრენშაიზის მიმღებს არ შეუძლია გადაიტანოს თავისი მალაზია ფრენშაიზის გამცემის წინასწარი თანხმობის გარეშე სხვა ტერიტორიაზე.

20. ფრენშაიზის მიმღების მიერ ფრენშაიზის გამცემის წინასწარი თანხმობის გარეშე კონტრაქტით გათვალისწინებული უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემის აკრძალვა იცავს ამ უკანასკნელის უფლებას, თავისუფლად აირჩიოს ფრენშაიზის მიმღები, რომლის ბიზნესკვალიფიკაციაზეც არის დამოკიდებული ქსელის რეპუტაციის შექმნა და მისი შენარჩუნება.

21. ფრენშაიზის გამცემის კონტროლი ფრენშაიზის მიმღების მიერ შეთავაზებული პროდუქციის შერჩევაზე მოსახლეობას აძლევს შესაძლებლობას, მიიღოს ერთი და იმავე ხარისხის პროდუქცია ყველა ფრენშაიზის მიმღებისაგან. ეს გარკვეულ შემთხვევაში შეიძლება – მაგალითად, მოდური საგნების დისტრიბუციისას – იყოს არაპრაქტიკული ობიექტური ხარისხის სპეციფიკაციების განსაზღვრისათვის. ფრენშაიზის მიმღებთა დიდი რაოდენობის გამო ასევე შეიძლება ძალიან ძვირი იყოს აღნიშნული სპეციფიკაციების შემოწმება. ასეთ გარემოებებში დებულება, რომელიც ფრენშაიზის მიმღებს სთხოვს, გაყიდოს მხოლოდ ფრენშაიზის გამცემისაგან მიწოდებული პროდუქცია, ან მიწოდებული იმ პირებისაგან, რომლებიც შერჩეულია მის მიერ, შეიძლება საჭიროდ ჩაითვალოს ქსელის რეპუტაციის დაცვის მიზნისათვის. ასეთ დებულებას, როგორც ჩანს, არ უნდა ჰქონდეს ფრენშაიზის მიმღებისათვის სხვა ფრენშაიზის მიმღებისაგან აღნიშნული პროდუქციის მიღების აკრძალვის ეფექტი.

22. დაბოლოს, ვინაიდან რეკლამირება ეხმარება საზოგადოების თვალში ქსელის სახელისა და სიმბოლოს იმიჯის განსაზღვრაში, დებულება, რომელიც მოითხოვს ფრენშაიზის გამცემის თანხმობას ყველა სარეკლამო კამპანიაზე, ასევე არსებითია ქსელის იდენტურობის შენარჩუნებისათვის, იმ ვადით, რასაც დებულება მოიცავს რეკლამის ხასიათთან დაკავშირებით.

23. მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ მიწოდებული *know-how*-ს დაცვისაგან ან ქსელის იდენტურობისა და რეპუტაციის შენარჩუნების საჭიროებისაგან საკმაოდ შორს დგას გარკვეული დებულებები, რომლებიც ზღუდავენ კონკურენციას ქსელის წევრებს შორის. ეს ასევე გამოიყენება იმ დებულებების მიმართ, რომლებიც ანაწილებს ბაზარს ფრენშაიზის გამცემსა და ფრენშაიზის მიმღებს შორის, ან მხოლოდ ფრენშაიზის მიმღებებს შორის, ან ფრენშაიზის მიმღებებს თავიდან აცილებს ერთმანეთთან ფასებთან დაკავშირებულ კონკურენციაში ჩართვას.

24. ამასთან დაკავშირებით, ეროვნული სასამართლოს ყურადღება უნდა გამახვილდეს დებულებაზე, რომელიც ფრენშაიზის მიმღებს ავალდებულებს, გაყიდოს კონტრაქტით გათვალისწინებული პროდუქცია მხოლოდ ზემოთ აღწერილ დანესებულებებში. აღნიშნული დებულება უკრძალავს ფრენშაიზის მიმღებს მეორე მალაზიის გახსნას. მისი რეალური ეფექტი ნათელი ხდება, როდესაც ის განიხილება ფრენშაიზის გამცემის საწარმოსთან ერთად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ფრენშაიზის მიმღებს აქვს თავისი ბიზნესსახელისა და სიმბოლოს ექსკლუზიური გამოყენება მოცემულ ტერიტორიაზე. იმისათვის, რომ საწარმოს შესაბამისი გახდეს, ფრენშაიზის გამცემმა არა მარტო თავი უნდა შეიკავოს მოცემულ ტერიტორიაზე დაფუძნებისაგან, არამედ მოითხოვოს ფრენშაიზის სხვა მიმღებებისაგან, არ გახსნან მეორე მალაზია მათთვის განსაზღვრული ტერიტორიის გარეთ. ასეთი სახის დებულებების კომბინაცია შედეგად იძლევა ბაზრის განაწილებას ფრენშაიზის გამცემსა და, შესაბამისად, ფრენშაიზის მიმღებს შორის და ზღუდავს კონკურენციას ქსელის ფარგლებში. როგორც ნათელია, 1966 წლის 13 ივლისის სასამართლოს განაჩენიდან (გაერთიანებული საქმეებიდან: *Constan and Grun-*

dig v. Commission [1996] ECR 299) ასეთი სახის შეზღუდვა შეესაბამება კონკურენციის შეზღუდვას 81-ე 1-ლი მუხლის მიზნებისათვის, თუ ის მოიცავს ბიზნესსახელს ან სიმბოლოს, რომელიც უკვე კარგად ცნობილია. ასევე, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ მომავლმა ფრენშიაზის მიმღებმა არ აიღოს საკუთარ თავზე ქსელის ნევრად გახდომის, მისი საკუთარი თანხის ინვესტირების, მნიშვნელოვნად მაღალი თანხის გადახდისა და სანარმოსათვის საავტორო უფლებისათვის მნიშვნელოვანი ნლიური თანხის გადახდის რისკი, თუ ის ვერ იმედოვნებს, რომ ფრენშიაზის გამცემისა და ფრენშიაზის სხვა მიმღებების მხარეს არსებული კონკურენციისაგან დაცვის საფუძველზე მისი ბიზნესი იქნება მომგებიანი. ეს მსჯელობა, როგორც ჩანს, მხოლოდ რელევანტურია, თუ შეთანხმების განხილვა მოხდება 81-ე მე-3 მუხლით გათვალისწინებული დებულებების მიხედვით.

25. მიუხედავად იმისა, რომ დებულებები, რომლებიც ზღუდავს ფრენშიაზის მიმღების თავისუფლებას საკუთარი ფასების განსაზღვრისას, ზღუდავს კონკურენციას. ეს არ არის ის შემთხვევა, რომელშიც ფრენშიაზის გამცემი მიმღებს აწვდის ფასების ნუსხას, იმდენად, რამდენადაც არ არსებობს შეთანხმებული პრაქტიკა ფრენშიაზის გამცემსა და მიმღებს შორის, ან ფრენშიაზის მიმღებებს შორის ასეთი ფასების რეალურ გამოყენებაზე.

საქმე *SA Binon & Cie v. SA Agence et Messageries de la Presse*³⁵⁴:

44. პირველ რიგში, განხილულ უნდა იქნეს, რომ დებულებები ფასების ფიქსირების შესახებ, რომლებიც ჩადებულია მესამე მხარესთან დადებულ კონტრაქტებში, თავისთავად შეესაბამება კონკურენციის შეზღუდვას ხელშეკრულების 81-ე 1-ლი მუხლის მიხედვით.

45. აღნიშნულ გარემოებებში, როდესაც შეთანხმება, რომელიც ქმნის შერჩევითი დისტრიბუციის სისტემას და რომელიც გავლენას ახდენს ნევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე, მოიცავს ასეთ დებულებას. გამონაკლისი 81-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის აკრძალვიდან შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, 81-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის მიხედვით.

46. თუ დისტრიბუცია მოიცავს გაზეთებსა და ჟურნალებს, საცალო გაყიდვებზე ფასების ფიქსირება გამომცემლების მიერ შეესაბამება ერთადერთ საშუალებას ფინანსური ტვირთის დახმარებისათვის, რომელიც წარმოიშობა გაუყიდავი ცალების უკან დაბრუნების შედეგად და თუ ეს უკანასკნელი პრაქტიკა შეესაბამება ერთადერთ მეთოდს, რომლის მეშვეობითაც გაზეთებისა და ჟურნალების ფართო სელექცია შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს მკითხველებისათვის, კომისიამ მხედველობაში უნდა მიიღოს აღნიშნული ფაქტორები, როდესაც ამონებს შეთანხმებას, 81-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით.

საქმე *Van Den Bergh Foods Ltd v. Commission*³⁵⁵:

პირველი ინსტანციის სასამართლო

138. სასამართლო ადგენს HB-ის არგუმენტების საწინააღმდეგოდ, რომელიც მან გააკეთა 123-ე პარაგრაფში, გასაჩივრებული გადაწყვეტილებიდან ნათელია, რომ კომისიამ ჩაატარა HB-ის სადისტრიბუციო შეთანხმების დეტალური ანალიზი ხელშეკრულების 81-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის ოთხივე პირობის მიმართ (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილების პარაგრაფები – 221-იდან 254-ამდე).

³⁵⁴ Case 243/85, *SA Binon & Cie v. SA Agence et Messageries de la Presse* [1985] ECR 2015, [1985] 3 CMLR 800.

³⁵⁵ Case T-65/98, *Van Den Bergh Foods Ltd v. Commission* [2003] ECR II-4653, [2004] 4 CMLR 1.

139. რაც შეეხება პირველ პირობას, შეთანხმებები, რომლებიც გამონაკლისებში ხვდებიან, არის ის შეთანხმებები, რომლებსაც წვლილი შეაქვთ პროდუქციის გაუმჯობესებაში ან პროდუქციის დისტრიბუციაში, ან ტექნიკური თუ ეკონომიკური პროგრესის მხარდაჭერაში. სასამართლო ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ეს არის სწორედ ევროპული სასამართლოსა და პირველი ინსტანციის სასამართლოს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც გაუმჯობესება არ შეიძლება იდენტიფიცირდეს ყველა იმ უპირატესობასთან ერთად, რომელთაც მხარეები იღებენ წარმოების ან დისტრიბუციის თაობაზე შეთანხმების დადებიდან. გაუმჯობესებამ კონკრეტულად უნდა აჩვენოს არსებული შეთანხმების შეფასებითი ობიექტური უპირატესობა იმისათვის, რომ მოახდინოს იმ უსარგებლო გარემოებების კომპენსირება, რომლებსაც ისინი იწვევენ კონკურენციის სფეროში (გაერთიანებული საქმეები: 56/64 და 58/64 *Consten and Grundig v. Commission* [1966] ECR 299, ნაწილი 348, და *Langnese-Iglo*, პარა. 180).

140. პირველი პირობა განხილულია გასაჩივრებული გადანყვეტილების 222-ე-238-ე ნაწილებში. კომისიამ გააცნობიერა, რომ შეთანხმება, რომლითაც გასაყინი კაბინები არის ხელმისაწვდომი, შეიძლება იცავდეს რამდენიმე ან ყველა უპირატესობას, რაც აღწერილია №1984/83 რეგულაციის მეხუთე ნაწილში, როგორც HB-ისთვის, ისე მისი გადამყიდველებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ შეთანხმების მეორე მხარეს და რომ სადისტრიბუციო მეთოდები, რომლებიც ამ ბოლო პერიოდში გამოიყენება HB-ის მიერ, სთავაზობს მას და მის გადამყიდველებს გარკვეულ უპირატესობებს ეფექტური დაგეგმვის, ორგანიზებისა და დისტრიბუციის პირობებთან დაკავშირებით. შესაბამისად, კომისიამ დაადგინა, რომ ასეთი მომზადება არ არის მნიშვნელოვანი, ობიექტური ხასიათის უპირატესობა, რათა შეძლოს კონკურენციისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია. აღნიშნული მტკიცებების მხარდასაჭერად მან აღნიშნა, რომ განსახილველი შეთანხმება გასაყინი კაბინების თაობაზე მნიშვნელოვნად ამყარებდა HB-ის მდგომარეობას შესაბამის ბაზარზე, განსაკუთრებით მისი პოტენციური კონკურენტების *vis-à-vis*. ამასთან დაკავშირებით მან სწორად აღნიშნა, რომ ისეთი საწარმოს გაძლიერებას, რომელიც ისევე მნიშვნელოვანია ბაზარზე, როგორც HB, მიყვავართ მხოლოდ კონკურენციის შემცირებისაკენ, ვინაიდან საწარმოების შეთანხმებების ქსელი შეესაბამება სხვებისათვის ბაზარზე შეღწევის უდიდეს ბარიერს, ისევე როგორც არსებული კონკურენტების გაფართოებას შესაბამის ბაზარზე (კერძოდ იხ. გასაჩივრებული გადანყვეტილების 225-ე და 236-ე ნაწილები და ანალოგიის საფუძველზე *Langnese-Iglo v. Commission*, პარა. 182). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი ბაზრის დახურვის დონე არის დაახლოებით 40% (ამასთან დაკავშირებით იხ. პარა. 98) და არა 6%, როგორც ამას აცხადებდა HB (...).

141. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ HB-ის დავის საწინააღმდეგოდ (...), კომისიამ სწორად მიიღო მხედველობაში შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერები, რომლებიც წარმოიშვა ექსკლუზიურობის დებულებიდან და კონკურენციის შესაბამისი დასუსტებიდან, როდესაც ის აფასებდა HB-ის სადისტრიბუციო შეთანხმებას ხელშეკრულების 81-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული პირობების პირველი პირობის მიხედვით (ანალოგიით იხილეთ: *Consten and Grundig v. Commission*, პარა. 348, და *Langnese-Iglo*, პარა. 180). აქედან გამომდინარეობს, რომ სასამართლოს არ შეუძლია მიიღოს HB-ის არგუმენტი (...), ვინაიდან გასაჩივრებული გადანყვეტილების 222-ე-225-ე ნაწილები მოიცავს ფუნდამენტურ ლოგიკურ ჯაჭვს ხელშეკრულების 81-ე მუხლის 1-ლ ნაწილსა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილს შორის, და კომისია ვალდებული იყო, ამ საკითხზე მიღებული სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, ემტკიცებინა, არსებობდა თუ არა ისეთი ხასიათის ობიექტური უპირატესობა, რომელიც მოახდენდა იმ ზიანის კომპენ-

სირებას, რასაც კონკურენციას აყენებდა მიღებული შეთანხმება.

142. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ HB-ის სადისტრიბუციო შეთანხმებას აქვს ორი კონკრეტული ასპექტი, კერძოდ კი, პირველი, ისინი აკეთებენ გასაყინ კაბინებს, ხელმისაწვდომს გადამყიდველებთან დაკავშირებული ხარჯების გარეშე, და, მეორე, გადამყიდველები აღნიშნულ კაბინებს იყენებენ მხოლოდ HB-ის ნაყინების შესანახად. განსახილველი შეთანხმებით გარანტირებული უპირატესობები არის პირველი ასპექტის შედეგი და მათი მიღწევა შესაძლებელია გამონაკლისის დებულების გამოყენების გარეშეც.

143. სასამართლო ასევე იღებს კომისიის არგუმენტს, დაფიქსირებულს გასაჩივრებულს გადაწყვეტილების 227-ე ნაწილში, რომ, მიუხედავად გასაყიდ პუნქტებში ნაყინების გასაყიდი გასაყინი კაბინების ფართო ხელმისაწვდომობისა, რომელიც ფარავს არსებით გეოგრაფიულ ბაზარს და შედგება ძირითადად HB-ის კაბინებისაგან, შეიძლება მიჩნეული იყოს როგორც ობიექტური უპირატესობა აღნიშნული პროდუქციის დისტრიბუციაში, საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე. ნაკლებად სავარაუდოა, რომ HB აუცილებლად შეწყვეტს გასაყინი კაბინების მიწოდებას გამყიდველებისათვის, რა პირობებიც არ უნდა იყოს შექმნილი, გარდა მცირე რაოდენობის შემთხვევებისა, თუ მისი ძალაუფლება ექსკლუზიურობის ვალდებულების დადგენაზე მისი გასაყინი კაბინების მიმართ იქნება შეზღუდული. HB-მ ვერ აჩვენა, რომ კომისიამ დაუშვა მანიფესტაციური შეცდომა, როდესაც მხედველობაში მიიღო, რომ ბიზნესრეალობა ისეთი კომპანიისათვის როგორცაა HB, რომელსაც სურს, შეინარჩუნოს პოზიცია შესაბამის ბაზარზე, იქნება წარმოდგენილი შეძლებისდაგვარად ბევრ გასაყიდ პუნქტში (იხ. ნაწილი 228 და პარა. 125). HB-ის წარდგინებების სანინალმდეგოდ, კომისიას თითქმის არ უფარაუდია HB-ის მიერ გასაყინი კაბინების მიწოდების განგრძობადობა შესაბამის ბაზარზე, მაგრამ ჩაატარა სამომავლო ანალიზი ბაზრის მოქმედებასთან დაკავშირებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. ამასთან, HB-ის არგუმენტის სანინალმდეგოდ (იხ. პარა. 125), კომისიას შეეძლო მართებულად დაყრდნობოდა არგუმენტს, რომ მწარმოებლებმა, რომლებიც კონკურენციას უწევდნენ HB-ს, უნდა მიიღონ ერთიანი პოლიტიკა გასაყინი კაბინების გასაყიდ პუნქტებში მიწოდებასთან დაკავშირებით, რომლის ბრუნვაც ნაყინებში არის საკმაოდ დაბალი, იმისათვის, რომ მოხვდნენ HB-ის ინტერესის სფეროში და ასე უნდა მოიქცნენ, ვიდრე არ მიაღწევენ მეტად ხელსაყრელ პირობებს, ვიდრე გადამყიდველები მოელან მიიღონ იმ შემთხვევაში, თუ HB შეწყვეტს გასაყინი კაბინების მიწოდებას გარკვეული გასაყიდი პუნქტებისათვის. ზუსტად ამგვარად, კომისიას შეეძლო მართებულად მიეთითებინა იმ შესაძლებლობებზე, რომ კაბინები შეიძლება დამონტაჟებული ყოფილიყო დამოუკიდებელი გამყიდველებისაგან, რომლებიც მიიღებდნენ მიწოდებას სხვადასხვა წყაროდან და დააკმაყოფილებდნენ ყველა გასაყიდი პუნქტის მოთხოვნას, რომლიდანაც HB გაიტანდა თავის მონყობილობებს, ან რომლისთვისაც ის გადაწყვეტდა, რომ არ მიეწოდებინა მონყობილობები. HB-ს არ შეუძლია ამტკიცოს, რომ კომისიის ანალიზი დამახინჯებულია შეფასებაში დაშვებული აშკარა შეცდომით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის ამას გააკეთებს კონკრეტულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რისი გაკეთებაც ამ საქმეში HB-მ ვერ შეძლო.

144. ვინაიდან HB-ის სადისტრიბუციო შეთანხმებები არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების 81-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ პირველ პირობას, მესამე საჩივარი შესაბამისად უნდა იყოს უარყოფილი და არ არის აუცილებელი, განხილულ იქნეს, დაუშვა თუ არა კომისიამ აშკარა შეცდომა აღნიშნული დებულებით გათვალისწინებული სხვა პირობების შეფასებისას. თუ აღნიშნული ოთხი პირობიდან ერთ-ერთი არ არის დაკმაყოფილებული, გამონაკლისი უარყოფილ უნდა იქნეს.

VIII. შერწყმა

საქმე *BAT and Reynolds v. Commission*³⁵⁶:

36. უნდა აღინიშნოს, რომ შეთანხმებები, რომლებიც აკრძალულია 81-ე მუხლით, არის ის, რომლებსაც მათ მიზნად ან შედეგად აქვთ საერთო ბაზარზე კონკურენციის თავიდაც აცილება, შეზღუდვა ან განადგურება.

37. მიუხედავად იმისა, რომ ერთი კომპანიის მიერ თავისი კონკურენტის აქციების შესყიდვა თავისთავად არ არის კონკურენციის ამკრძალავი ქმედება, ასეთი შენაძენი ასევე არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც კომპანიების კომერციულ ქმედებაზე გავლენის მქონე ინსტრუმენტი, იმისათვის, რომ იმ ბაზარზე, რომელზეც მას აქვს ბიზნესი, მოხდეს კონკურენციის შეზღუდვა ან განადგურება.

38. ეს სიმართლეა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა წილების მქონეთა მემბერობით ან შეთანხმების დამატებითი დებულებების საფუძველზე შექმნილი, ინვესტორი კომპანია იღებს სხვა საწარმოს კომერციული ქმედების იურიდიულ თუ დე ფაქტო კონტროლს, ან, როცა შეთანხმება იძლევა საწარმოებს შორის კომერციული თანამშრომლობის შესაძლებლობას, ან ქმნის სტრუქტურას, რომელიც გამოყენებადი იქნება ასეთი თანამშრომლობისათვის.

39. ეს შეიძლება მოხდეს მაშინაც, როდესაც შეთანხმება ინვესტორ კომპანიას აძლევს შესაძლებლობას, გაიძლიეროს მდგომარეობა, გვიანი პერიოდის განმავლობაში და განახორციელოს ეფექტური კონტროლი სხვა კომპანიაზე. მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს შეთანხმების არა მხოლოდ მაშინვე დამდგარი შედეგი, არამედ მისი პოტენციური შედეგი და ალბათობა, რომ შეთანხმება იქნება გრძელვადიანი გეგმის ნაწილი.

საქმე *British Aerospace/GEC Marconi*³⁵⁷:

III. ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 296-ე მუხლის 1-ლი ბ ნაწილის გამოყენება

7. როგორც წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 პარაგრაფში უკვე აღნიშნულია, გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 296-ე მუხლის 1-ლ ბ ნაწილზე დაყრდნობით, ინსტრუქტაჟი გაუწია BAe-ს, არ მიეწოდებინა ინფორმაცია, რომელიც შეეხება ოპერაციის სამხედრო ასპექტებს.

8. კომისიამ განიხილა 296-ე მუხლის 1-ლი ბ ნაწილის გამოყენებადობა ამ საქმეში და გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე მან აღნიშნა, რომ:

- კონცენტრაციის ნაწილი, რომელიც არ იყო ცნობილი, დაკავშირებულია მხოლოდ იარაღის წარმოებასთან, ან იარაღით ვაჭრობასთან, სამხედრო აღჭურვილობასთან და ომის იმ მასალებთან, რომლებიც ნახსენებია 296-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულ სიაში;
- გაერთიანებული სამეფოს მიერ გატარებული ზომები საჭიროა მისი უსაფრთხოების არსებითი ინტერესების დასაცავად;
- მიღებულ ზომებს არ ექნება გადატანითი ეფექტი BAe-სა და MES-ის არასამხედრო პროდუქტზე.

³⁵⁶ Cases 142 and 156/84, BAT and Reynolds v. Commission [1987] ECR 4487, [1988] 4 CMLR 24.

³⁵⁷ Case IV/M. 1438 - British Aerospace/GEC Marconi.

9. შესაბამისად, კომისია კმაყოფილია, რომ გაერთიანებული სამეფოს მიერ მიღებული ზომები ხვდება ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 296-ე მუხლის 1-ლი ბ ნაწილის ფარგლებში. ვინაიდან აღნიშნულ ზომებს არ აქვთ საერთო ბაზარზე არსებული კონკურენციული პირობების გაუარესების ეფექტი, კომისია ვერ ხედავს ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 298-ე მუხლის გამოყენების საჭიროებას.

საქმე *Gencor Limited v. Commission*³⁵⁸:

პირველი ინსტანციის სასამართლო

273. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში *Flat Glass* მიუთითა სტრუქტურული ხასიათის კავშირებზე მხოლოდ მაგალითის გზით და არ გაუნერია, რომ ასეთი კავშირები უნდა არსებობდეს კოლექტიური დომინანტური მდგომარეობის არსებობის დასადაგენად.

274. ის, უბრალოდ, ადგენდა, რომ არაფერს შეუძლია, ხელი შეუშალოს ორ ან მეტ დამოუკიდებელ ეკონომიკურ სანარმოს ეკონომიკური კავშირებით გაერთიანებაში გამორჩეულ ბაზარზე და ამ ფაქტის მეშვეობით მოიპოვონ დომინანტური მდგომარეობა *vis-a-vis* იმავე ბაზარზე მოქმედი სხვა ოპერატორების მიმართ.
(...)

276. ამასთან, სამართლებრივ თუ ეკონომიკურ პირობებში არ არსებობს მიზეზი, როგორც ასეთი, რომელიც ეკონომიკური კავშირის ცნებიდან გამორიცხავდა ურთიერთდამოკიდებულებას მჭიდრო ოლიგოპოლიის მხარეებს შორის, რომლის ფარგლებშიც შესაბამისი მახასიათებლების მქონე ბაზარზე, კერძოდ კი ბაზრის კონცენტრაციის, გამჭვირვალობისა და პროდუქტის ერთგვაროვნების პირობებში, მხარეები იმყოფებიან ისეთ მდგომარეობაში, რომ განსაზღვრონ ერთმანეთის ქმედება და, შესაბამისად, აქვთ ძლიერი მხარდაჭერა, გააერთიანონ თავიანთი ქმედება ბაზარზე, კერძოდ კი ისეთი ფორმით, რომ გაზარდონ თავიანთი გაერთიანებული მოგება პროდუქციის შეზღუდვით, ფასების გაზრდის მიზნით. ასეთ კონტექსტში თითოეულ მოვაჭრეს გაცნობიერებული აქვს, რომ მისი მხრიდან მნიშვნელოვნად კონკურენციული ქმედება, რომელიც მიმართული იქნება მისი საბაზრო წილის გაზრდისაკენ (მაგალითად, ფასის შემცირება), პროვოცირებას მოახდენს სხვების მხრიდან იმავე ქმედების დაწყებისათვის, შესაბამისად, ის ვერ მიიღებს ვერანაირ სარგებელს ასეთი ინიციატივისაგან. ამდენად, ყველა მოვაჭრე მიიღებს შედეგს მის მიერ ფასების შემცირებიდან.

277. ასეთი დასკვნა უფრო მეტად მნიშვნელოვანია კონცენტრაციების კონტროლისათვის, რომელთა მიზანიც არის ანტიკონკურენციული ბაზრის სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და მისი გაძლიერებისათვის ხელის შეშლა. ასეთი სტრუქტურები შეიძლება წარმოიშვას აპლიკანტის მიერ მკაცრად არგუმენტირებული ეკონომიკური კავშირიდან ან ოლიგოპოლიური თვისებების ბაზრის სტრუქტურიდან, რომელშიც თითოეულმა სანარმომ შეიძლება მიიღოს ინფორმაცია საერთო ინტერესების შესახებ და ხელი შეუწყოს ფასების ზრდას შეთანხმების დადებისა და შეთანხმებულ პრაქტიკასა და გარიგებაში შესვლის გარეშე.

278. მოცემულ საქმეში აპლიკანტის საფუძველი იმ დავასთან დაკავშირებით, რომ კომისიამ ვერ მოახერხა დაედგინა სტრუქტურული კავშირის არსებობა, უადგილოა.

279. კომისია უფლებამოსილი იყო, ბაზრის ცვალებადობასა და *Amplats*-ებისა და *Implats*-ების ფასებს შორის მსგავსებებზე დაყრდნობით დაესკვნა, რომ შეთავაზებული ტრანზაქცია შექმნიდა კოლექტიურ დომინანტურ მდგომარეობას და რეალურად შედ-

³⁵⁸ Case T-102/96, *Gencor Limited v. Commission* [1999] ECR II-753 [1999] 4 CMLR 971.

ეგად მოიტანდა აღნიშნული ორი საწარმოს მიერ შექმნილ დუოპოლიას.

საქმე *Airtours plc v. Commission*³⁵⁹:

58. მაშინ, როცა №4064/89 რეგულაციის გამოყენების მიზნით კომისია ამონებს შესაძლებელ კოლექტიურ დომინანტურ მდგომარეობას, უნდა დამტკიცდეს, რამდენად შეიძლება ჰქონდეს კონცენტრაციას პირდაპირი და იმავდროული ეფექტი ასეთი სახის მდგომარეობის გაძლიერებაზე, რომელიც მნიშვნელოვნად და განგრძობადად შეზღუდავს კონკურენციას შესაბამის ბაზარზე (ამასთან დაკავშირებით იხ. *Gencor v. Commission*, პარა. 94). თუ არ ხდება კონკურენციის მნიშვნელოვანი შეზღუდვა, შერწყმა შეიძლება გამართლებული იყოს (ამასთან დაკავშირებით იხ. საქმეები: T-2/93 *Air France v. Commission* [1994] ECR II-323, პარა.: 78 და 79 და *Gencor v. Commission* პარა.: 170, 180 და 193).

59. სასამართლო პრაქტიკიდან ნათელია, რომ „მითითებული დომინანტური მდგომარეობის შემთხვევაში კომისია ... ვალდებულია, მითითებული ბაზრის სამომავლო ანალიზის საფუძველზე შეაფასოს, ახდენს თუ არა მისთვის შესაფასებლად გადაცემული კონცენტრაცია ისეთი გარემოს შექმნას, რომელშიც ეფექტური კონკურენცია შესაბამის ბაზარზე იქნება არსებითად შეზღუდული კონცენტრაციაში ჩართული საწარმოების მიერ, ან ერთი ან მეტი საწარმოს მიერ, რომლებსაც ერთად, კერძოდ კი მათი კავშირის გამომწვევი ფაქტორების გამო, შეუძლიათ მიიღონ საერთო პოლიტიკა ბაზარზე და მოიქცნენ მნიშვნელოვან დონემდე დამოუკიდებლად მათი კონკურენტებისაგან, დამკვეთებისა და მომხმარებლებისაგან“ (*Kali & Salz*, პარა. 221 და *Gencor v. Commission*, პარა. 163).

60. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ: „ეკონომიკურ თუ სამართლებრივ პირობებში არ არსებობს მიზეზი, რომლის საფუძველზეც ეკონომიკური კავშირის ცნებიდან გამოირიცხება მჭიდრო ოლიგოპოლიის მხარეებს შორის ურთიერთდამოკიდებულებითი ურთიერთობა, რომლის ფარგლებშიც შესაბამისი მახასიათებლების მქონე ბაზარზე, კერძოდ კი ბაზრის კონცენტრაციის, გამჭვირვალობისა და პროდუქციის ერთგვაროვნების პირობებში, მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთის ქმედების განსაზღვრა და, შესაბამისად, აქვთ ძლიერი მხარდაჭერა ბაზარზე ქმედების გაერთიანებისაკენ, კერძოდ კი ისეთი ფორმით, რომ გაზარდონ თავიანთი გაერთიანებული მოგება პროდუქციის შეზღუდვით, ფასების გაზრდის მიზნით. ასეთ კონტექსტში თითოეულ მოვაჭრეს გაცნობიერებული აქვს, რომ მისი მხრიდან მნიშვნელოვნად კონკურენციული ქმედება, რომელიც მიმართული იქნება მისი საბაზრო წილის გაზრდისაკენ (მაგალითად ფასის შემცირება), მოახდენს სხვების მხრიდან იმავე ქმედების დანყების პროვოცირებას, შესაბამისად, ის ვერ მიიღებს ვერანაირ სარგებელს ასეთი ინიციატივისაგან. ამდენად, ყველა მოვაჭრე მიიღებს შედეგს მის მიერ ფასების შემცირებიდან.“ (*Gencor v. Commission* პარა. 276).

61. კოლექტიური დომინანტური მდგომარეობა, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს კონკურენციას საერთო ბაზარზე ან მის არსებით ნაწილზე, შეიძლება წარმოიშვას როგორც კონცენტრაციის შედეგი, რომელშიც შესაბამისი ბაზრის რეალური მახასიათებლებიდან და მის სტრუქტურაში შეტანილი ტრანზაქციით გამოწვეული ცვლილებებიდან გამომდინარე, ეს უკანასკნელი თითოეულს გადააქცევს დომინანტი ოლიგოპოლიის წევრად. მას შემდეგ კი, რაც ის მიიღებს ინფორმაციას საერთო ინტერესების თაობაზე, მიიჩნევს, რომ მას შეუძლია, შესაძლებლად, ეკონომიკურად რაციონალურად და, ამდენად, სასურველად მიიღოს საერთო პოლიტიკა განგრძობად საფუძველზე, ბაზარზე, რომელზეც სურს გაზარდოს ფასები კონკურენციული ფასების მიღმა, 81-ე მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების დადების და შეთანხმებულ პრაქტიკასა და

³⁵⁹ Case T-342/99, *Airtours plc v. Commission* [2002] ECR II-2585, [2002] 5 CMLR 317.

გარიგებაში შესვლის გარეშე (ამასთან დაკავშირებით იხ. *Gencor v. Commission*, პარა. 277) და რეალური თუ პოტენციური კონკურენტების, დამკვეთებისა და მომხმარებლების გარეშე, ეფექტური რეაგირების უნარის შენარჩუნებით.

62. როგორც აპლიკანტი დავობდა, და როგორც კომისიამ მიიღო თავის შუამდგომლობებში, აუცილებელია სამი პირობის არსებობა იმისათვის, რომ დადგინდეს კოლექტიური დომინანტური მდგომარეობა:

- პირველი. დომინანტური ოლიგოპოლიის ყველა წევრს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, იცოდეს, თუ როგორ მოქმედებენ სხვა წევრები, რათა შეძლონ თვალყურის დევნება მათ მიერ საერთო პოლიტიკის შემუშავებაზე. როგორც კომისია განსაკუთრებულად აცნობიერებს, დომინანტური ოლიგოპოლიის თითოეული წევრისათვის არ არის საკმარისი, უბრალოდ იცოდეს, რომ ურთიერთდამოკიდებულებით ბაზარზე ქმედება მომგებიანია ყველასთვის, ამის ნაცვლად ყოველმა წევრმა უნდა იცოდეს, აქვს თუ არა ყველა სხვა ოპერატორს ისეთივე სტრატეგია და ინარჩუნებს თუ არა მას. შესაბამისად, ბაზარი არსებითად გამჭვირვალე უნდა იყოს დომინანტი ოლიგოპოლიის ყველა წევრისათვის, რომელთაც ზუსტად და სწრაფად უნდა მიიღონ ინფორმაცია ბაზარზე ყველა წევრის მოქმედების თაობაზე.
 - მეორე. მდუმარე კოორდინაციის მდგომარეობა შენარჩუნებული უნდა იყოს გარკვეული დროის განმავლობაში, სხვაგვარად რომ ვთქვათ, წევრებისთვის უნდა არსებობდეს წახალისება, რათა არ მოხდეს მათი გამიჯვნა საერთო საბაზრო პოლიტიკისაგან. როგორც კომისია განიხილავს, ეს ხდება მხოლოდ მაშინ, თუ დომინანტური ოლიგოპოლიის ყველა წევრი შეინარჩუნებს იმ პარალელურ ქმედებას, რომელიც მათთვის მომგებიანი იქნება. სამაგიეროს გადახდის ცნება საერთო პოლიტიკიდან გადახრის მიმართ არსებითია ამ პირობებისთვის. ასეთ შემთხვევაში მხარეები იბრძვიან, კოლექტიური დომინანტობა იყოს პრაქტიკული, რომ იქ არსებობდეს ადეკვატური შეზღუდვები, რათა უზრუნველყოფილი იყოს გრძელვადიანი წახალისებები, რომ არ მოხდეს საერთო პოლიტიკიდან გასვლა, რაც გულისხმობს, დომინანტი ოლიგოპოლიის თითოეულმა წევრმა უნდა იცოდეს, მისი მხრიდან მნიშვნელოვნად კონკურენციული ქმედება რომელიც მიმართული იქნება მისი საბაზრო წილის გაზრდისკენ, სხვების მხრიდან იმავე ქმედების დაწყების პროვოცირებას მოახდენს, შესაბამისად, ის ვერ მიიღებს ვერანაირ სარგებელს ასეთი ინიციატივისაგან (ამასთან დაკავშირებით იხ. *Gencor v. Commission* პარა. 276);
 - მესამე. სამართლებრივი სტანდარტის შესაბამისად, კოლექტიური დომინანტური მდგომარეობის არსებობის დამტკიცების მიზნით, კომისიამ ასევე უნდა დაადგინოს, რომ არსებული და მომავალი კონკურენტების, ისევე როგორც მომხმარებლების, სავარაუდო რეაქცია ვერ მიაყენებს ზიანს საერთო პოლიტიკის შედეგად მისაღებ შედეგს.
- ფაქტობრივად, პირველი ინსტანციის სასამართლომ დაასკვნა, რომ კომისიის გადანიშნულებულია, რომელიც საკმაოდ შორს იყო სამომავლო ანალიზის დამაჯერებელ მტკიცებულებებზე დაფუძნებისაგან, დამახინჯებული იყო შეფასებაში არსებული შეცდომების მთელი სერიისაგან იმის შეფასებისას, იყო თუ არა შექმნილი კოლექტიური დომინანტური მდგომარეობა.

საქმეები: *France v. Commission, Societe Commerciale des Potasses et de l'Azote (SCPA) v. Commission*³⁶⁰.

ევროპული სასამართლო

109. სასამართლო დასაწყისში განიხილავს, რომ რეგულაციის მე-2 (2) მუხლის საფუძველზე, „კონცენტრაცია, რომელიც არ ქმნის ან არ აძლიერებს დომინანტურ მდგომარეობას, რომლის შედეგადაც მნიშვნელოვნად შეიზღუდება ეფექტური კონკურენცია საერთო ბაზარზე ან მის არსებით ნაწილზე, შეიძლება მისაღები იყოს საერთო ბაზრისათვის.“

110. ამდენად, თუ კონცენტრაცია არ იწვევს დომინანტური მდგომარეობის ან შექმნას, ან გაძლიერებს, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი გავლენა შესაბამის ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოზე, ის უნდა გამოცხადდეს მისაღებად საერთო ბაზარზე.

111. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 71-ე ნაწილიდან ჩანს, რომ, კომისიის მოსაზრების მიხედვით, კონცენტრაცია, რომელიც მიჩნეული იქნებოდა დომინანტურად მდგომარეობის შექმნისა თუ გაძლიერებისაკენ მიმავალი, მასში შემავალი საწარმოს მხრიდან შეიძლებოდა არ მიჩნეულიყო ასეთის გამომწვევად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს კონცენტრაცია აკრძალული იქნებოდა, და თუ საწარმო მაინც მიაღწევდა დომინანტობას, ან გააძლიერებდა მას. **71-ე ნაწილის მიხედვით, კონცენტრაცია არ არის კონკურენციული სტრუქტურის გაფუჭების მიზეზი, თუ ნათელია, რომ:**

- **შერწყმული (მიღებული) საწარმო უახლოეს მომავალში აღმოჩნდებოდა გაძევებული ბაზრიდან, თუ მას არ მიიერთებდა სხვა საწარმო;**
- **შემრწყმელი საწარმო მოიპოვებდა შერწყმული საწარმოს წილს, თუ ეს უკანასკნელი გაძევებული იქნებოდა ბაზრიდან;**
- **თუ არ არსებობს ნაკლები არაკონკურენტული ალტერნატიული შესყიდვა.**

112. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, ის ფაქტი, რომ კომისიის მიერ განსაზღვრული პირობები იმის დასადგენად, რომ არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი კონცენტრაციასა და კონკურენტული სტრუქტურის გაუარესებას შორის, არსებითად არ შეესაბამება იმ პირობებს, რომლებიც გამოიყენება შეერთებული შტატების „დამარცხებული კომპანიის თავდაცვის“ პირობებს, არ არის თავისთავად გასაჩივრებული გადაწყვეტილების უმოქმედობის საფუძველი. მხოლოდ ფაქტი, რომ კომისიის მიერ დადგენილი პირობები იყო უუნარო იმ შესაძლებლობის გამოსარიცხავად, რომ კონცენტრაციას შეიძლებოდა გამოენვია ბაზრის კონკურენციული სტრუქტურის გაუარესება, შეიძლებოდა ჩათვლილიყო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად.

113. ამ საქმეში, საფრანგეთის მთავრობა სადავოდ ხდის იმ კრიტერიუმის შესაბამისობას, რომლის მიხედვითაც უნდა შემოწმდეს, შეძლებდა თუ არა მიმღები საწარმო ნებისმიერ შემთხვევაში მიეღო მიერთებულ საწარმოს ბაზრის წილი, თუ ეს უკანასკნელი იძულებული იქნებოდა, დაეტოვებინა ბაზარი.

114. როგორც ჩანს, ამ კრიტერიუმის არარსებობისას კონცენტრაციას შეეძლო, თუ სხვა კრიტერიუმები იქნებოდა დაკმაყოფილებული, მიჩნეული არ ყოფილიყო ბაზრის კონკურენციული სტრუქტურის გაუარესების მიზეზად, იმ შემთხვევაში, თუ გამოჩნდებოდა, რომ კონცენტრაციის არარსებობისას მიმღები საწარმო ვერ მიიღებდა მიერთებული საწარმოს ბაზრის წილის არსებით ნაწილს. ამდენად, შესაძლებელი იქნებოდა მიზეზობრივი კავშირის არსებობის უარყოფა კონცენტრაციასა და ბაზრის კონკურენ-

³⁶⁰ Cases C-68/94 and C-30/95, *France v. Commission, Societe Commerciale des Potasses et de l'Azote (SCPA) v. Commission* [1998] ECR I-1375, [1998] 4 CMLR 829.

ტული სტრუქტურის გაუარესებას შორის, მიუხედავად იმისა, თუ ბაზრის კონკურენტული სტრუქტურა გაუარესდებოდა უფრო ნაკლებ დონემდე, რომ არ შექმნილიყო კონცენტრაცია.

115. აღნიშნული კრიტერიუმის შექმნა მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ მიზეზობრივი კავშირი კონცენტრაციასა და ბაზარზე კონკურენციული სტრუქტურის გაუარესებას შორის შეიძლება ამოღებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონცენტრაციის შედეგად მიღებული კონკურენციული სტრუქტურა დააზიანებს კონკურენციას იმავე ფორმით, რა ფორმითაც მას მიაღებოდა ზიანი, რომ არ ყოფილიყო საწარმოების კონცენტრაცია.

116. ბაზრის წილის შთანთქმის კრიტერიუმი, მიუხედავად იმისა, რომ კომისიის მიერ არ არის მიჩნეული საკმარისად, რათა ბაზარზე არსებულ კონკურენციას აარიდოს რაიმე სახის უარყოფითი შედეგი კონცენტრაციის შექმნისგან, ეხმარება, უზრუნველყოს კონცენტრაციის ნეიტრალური შედეგი ბაზარზე კონკურენციული სტრუქტურის გაუარესებაზე. აღნიშნული თავსებადია მიზეზობრივი კავშირის კონცეფციასთან, რომელიც გათვალისწინებულია რეგულაციის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილში.

117. რაც შეეხება კომისიის მიმართ კრიტიციზმს, რომ მან ვერ შეძლო ეჩვენებინა, იმ შემთხვევაში, თუ კონცენტრაცია არ შედგებოდა, MdK-ს არ მოუწევდა ბაზრიდან გასვლა, განხილულ უნდა იქნეს ისე, როგორც კომისიამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 73-ე ნაწილში დაადგინა: მიუხედავად იმისა, რომ MdK-ს რესტრუქტურისაზიანება მოხდა 1993 წლის 1 იანვარს, აღნიშნული საწარმო აგრძელებდა მნიშვნელოვანი დანაკარგების მიღებას წლის პირველი 6 თვის განმავლობაში. კომისიის მიხედვით, MdK-ს სერიოზული გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობა არსებითად იყო მისი მოძველებული საოპერაციო სისტემის შედეგი და გაყიდვებში შექმნილი კრიზისი გამომდინარეობდა აღმოსავლეთ ევროპაში ბაზრის განადგურებიდან. MdK-ს ასევე აკლდა ეფექტური სადისტრიბუციო სისტემა (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 74-ე და 75-ე ნაწილები).

118. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 76-ე ნაწილში კომისია განიხილავს, რომ MdK-ს ჰქონდა შესაძლებლობა, გაეგრძელებინა მოქმედება მხოლოდ იმიტომ, რომ *Treuhand* მუდმივად ფარავდა თავის დანაკარგებს. კომისიამ, როგორც ჩანს, დაამატა, რომ *Treuhand*-ს არ შეეძლო MdK-ს ხარჯების დაფარვა დიდი ხნის განმავლობაში საჯარო დახმარებიდან, ვინაიდან ეს ნებისმიერ შემთხვევაში შეუთავსებელი იყო ხელშეკრულების დებულებებთან სახელმწიფოს დახმარების თაობაზე.

119. აქედან გამომდინარე, კომისია არ შეიძლება გაკრიტიკებული იყოს იმის დადგენისათვის, რომ MdK აღარ იყო ეკონომიკურად მოქმედი და, შესაბამისად, სათუო იყო, თუ რამდენად შეძლებდა ის თვითონ, დამოუკიდებლად მოეხდინა ხარჯების აკუმულირება იმ შემთხვევაშიც კი, თუ *Treuhand* შეძლებდა მისთვის რესტრუქტურისაზიანებისათვის საჭირო თანხების გამოყოფას შეთავაზებული კონცენტრაციისათვის.

120. ასეთ გარემოებებში კომისიის მიერ იმის წინასწარ განსაზღვრა, რომ შესაძლებელი იყო MdK-ს დახურვა უახლოეს მომავალში, თუ მას არ მიიერთებდა დამოუკიდებელი კერძო კომპანია, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მნიშვნელოვანი მტკიცებულებებით გაუმყარებლად.

121. დაბოლოს, იმ პირობის მიხედვით, რომელიც შეეხება ალტერნატიული, ნაკლებად არაკონკურენტული მეთოდის არარსებობას MdK-ს მიერთებაზე, უნდა აღინიშნოს არსებობა საფრანგეთის მთავრობის საჩივრისა, რომ კომისიამ, შემოწმების პროცესში

გამჭვირვალობის ნაკლებობის გამო ვერ მოახერხა ეჩვენებინა, რომ აღნიშნული პირობა იყო დაკმაყოფილებული.

122. საკმარისია აღინიშნოს, საფრანგეთის მთავრობამ უბრალოდ განიხილა, რომ MdK-ს პროფესიულმა კავშირებმა მიუთითეს განხილვის პროცესში გამჭვირვალობის ნაკლებობაზე, იმ დეტალების წარმოდგენის გარეშე, თუ მათი შეხედულებით რა იყო გამჭვირვალობის ნაკლებობა.

123. აღნიშნული საჩივრის დეტალების არარსებობის შემთხვევაში ის არ შეიძლება მიღებულ იქნეს.

124. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ კონცენტრაციასა და გერმანული ბაზრის კონკურენტული სტრუქტურის გაუარესებას შორის მიზეზობრივი კავშირის არარსებობა არ დამდგარა მნიშვნელოვანი განხილვის ქვეშ. შესაბამისად, უნდა აღინიშნოს, რომ იმდენად, რამდენადაც ბაზარი არის ჩართული, კონცენტრაცია აკმაყოფილებს რეგულაციის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილში ჩადებულ კრიტერიუმს და, შესაბამისად, შესაძლებელია გამოცხადდეს საერთო ბაზართან შეთავსებად შესწორების გარეშე. შესაბამისად, საფრანგეთის მთავრობის მტკიცების საწინააღმდეგოდ, გერმანიის ბაზრის გათვალისწინებით, შეუძლებელია მოეთხოვოს კომისიას, დაამატოს რაიმე პირობა კონცენტრაციის შეთავსებადობას.

საქმე *BASF/Pantochim/Eurodiol*³⁶¹:

(140) ზოგადად რომ აღვნიშნოთ, „ხსნის შერწყმის“ კონცეფცია მოითხოვს, შერწყმული საწარმო მიჩნეულ იქნეს „სუსტ ფირმად“ და შერწყმა, თავის მხრივ, არ უნდა იყოს კონკურენტული სტრუქტურის გაუარესების მიზეზი. ამდენად, „ხსნის შერწყმის“ გამოყენება უნდა აკმაყოფილებდეს ორ პირობას:

- (ა) მიერთებული საწარმო უახლოეს მომავალში უნდა გაძევდეს ბაზრიდან, თუ არ მოხდება მისი მიერთება სხვა საწარმოს მიერ; და
- (ბ) არ არსებობს ნაკლებად არაკონკურენტული ალტერნატიული შესყიდვა.

141. როგორც ჩანს, ამ ორი კრიტერიუმის გამოყენება მთლიანად არ გამორიცხავს მესამე მხარის მიერ ჩართული საწარმოს აქტივების მიღების შესაძლებლობას, მათი გაბანკროტების შემთხვევაში. თუ ასეთი აქტივები მიერთებული იქნება კონკურენტის მიერ გაბანკროტებასთან დაკავშირებული საქმისწარმოების დროს, ეკონომიკური შედეგი იქნება იგივე, რაც „სუსტი“ ფირმის მიერთებისას სხვა ალტერნატიული მყიდველის მიერ.

ამდენად, პირველ ორ კრიტერიუმთან ერთად საჭიროა დადგინდეს, რომ მიერთებული აქტივები აუცილებლად გაქრებოდა ბაზრიდან შერწყმის არარსებობის შემთხვევაში.

(142) ამ ზოგადი ჩარჩოდან გამომდინარე, კომისია ამ კრიტერიუმებს მიიჩნევს ასევე რელევანტურად „ხსნის შერწყმის“ კონცეფციის გამოყენებისათვის:

- (ა) მიერთებული საწარმო უახლოეს მომავალში უნდა გაძევდეს ბაზრიდან, თუ არ მოხდება მისი მიერთება სხვა საწარმოს მიერ;
- (ბ) არ არსებობს ნაკლებად არაკონკურენტული ალტერნატიული შესყიდვა; და
- (გ) მისაერთებელი აქტივები, უდავოდ, დატოვებენ ბაზარს, თუ მათი მიერთება არ მოხდება სხვა საწარმოს მიერ.

³⁶¹ Case IV/M.2314, BASF/Pantochim/Eurodiol.

(143) ნებისმიერ შემთხვევაში, „სსნის შერწყმის“ კონცეფციის გამოყენება მოითხოვს, რომ ბაზრის კონკურენტული სტრუქტურის გაუარესება შერწყმის დროს არ იყოს უკიდურეს შემთხვევაში იმაზე უარესი, ვიდრე ის იქნებოდა შერწყმის არარსებობისას.

საქმე *General Electric Company v. Commission*³⁶²:

73. ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ კომისიამ მხედველობაში უნდა მიიღოს პოტენციურად უკანონო და, შესაბამისად, დასჯადი ხასიათი იმ ზოგიერთი ფაქტორისა, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად დააზიანონ იმ შემთხვევაში, თუ არ აღმოფხვრა სანარმოს გარკვეულ საქმიანობაში ჩაბმის ნამქეზებელი ფაქტორები. ეს შეფასება, როგორც ჩანს, არ მოითხოვს იმ სხვადასხვა სამართლებრივი წესრიგის წესების ამომწურავ და დეტალურ შემონიშნებას, რომლებიც შეიძლება გამოყენებადი იყოს და პრაქტიკაში ჩადებული, მათ შორის, იმის გათვალისწინებით, რომ შეფასება, რომელიც მიზნად ისახავს იმის დადგენას, იყო თუ არა შეზღუდვა და მტკიცება, რომ ეს შეიძლება დასჯადი იყოს რამდენიმე სამართლებრივ წესში, მნიშვნელოვნად სპეკულაციური იქნება.

74. ამდენად, როდესაც კომისია განსაკუთრებული და დეტალური გამოძიების ჩატარების გარეშე ადგენს განსახილველი ქმედების უკანონო ხასიათს, ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 82-ე მუხლის ფარგლებში, ან გაერთიანების სამართლის სხვა დებულებების საფუძველზე, რომლის გამოყენების უფლებაც მას აქვს, მის პასუხისმგებლობას განეკუთვნება, დაადგინოს ის შედეგი და მხედველობაში მიიღოს აღნიშნული, როდესაც შეაფასებს შერწყმული უწყების ჩართულობას აღნიშნულ ქმედებაში (ამასთან დაკავშირებით იხ. *Commission v. Tetra Laval*, პარა.: 60, 74).

75. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ, თუმცა კომისია უფლებამოსილია, განხილვის საფუძველად მიიღოს საბოლოო ანალიზი, რომელიც ეფუძნება მისთვის ხელმისაწვდომ მტკიცებულებებს იმ დროისათვის, როდესაც ის მიიღებს მისი შერწყმის მაკონტროლებელ გადაწყვეტილებას განსახილველი ქმედების კანონიერებასთან დაკავშირებით და იმ ალბათობის გათვალისწინებით, რომ ის შესაძლებელია დაისაჯოს, მან განხილვის პროცესში აუცილებლად უნდა მოახდინოს მომავალი ქმედების იდენტიფიცირება და სადაც საჭიროა, შეაფასოს და მხედველობაში მიიღოს სავარაუდო უარყოფითი ეფექტი, რომელიც გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ქმედება აშკარად, ან დიდი ალბათობით, იქნება უკანონო, გაერთიანების სამართლის მიხედვით.
(...)

399. კომისიამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების არსებით ნაწილში განაცხადა, რომ შერწყმის შედეგად შერწყმულ უწყებას ექნება შესაძლებლობა, კონკურენტებისაგან განსხვავებით, თავის მომხმარებლებს შესთავაზოს კომერციული თვითმფრინავების საჰაერო ფართო პაკეტი, დიდი, რეგიონალური და კორპორაციული თვითმფრინავები, რომლებიც მოიცავს როგორც ძრავის მქონე და ავიაციურ ელექტროობას, ასევე არაელექტროპროდუქციას. მან ასევე დაადგინა, რომ მსგავსი ქმედება აშკარად იქნებოდა შერწყმული უწყების კომერციულ ინტერესთან და, ამდენად, სავარაუდოდ, ჩაერთვებოდა მასში სანარმოების შერწყმის შემდეგ (ნაწილები: 350-ე-404-ე, 412-ე-416-ე, 432-ე-434-ე, 443-ე-444-ე და 445-ე-458-ე). შედეგად, ავიაციური ელექტროობისა და ელექტროობის არმქონე პროდუქციის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა შეიქმნებოდა *Honeywell*-ისათვის, ხოლო *GE*-ს დომინანტური მდგომარეობა გაძლიერდებოდა დიდი კომერციული რეაქტიული თვითმფრინავების ძრავის ბაზარზე (გასაჩივრებული გადაწყვეტილების 458-ე ნაწილი).

³⁶² Case T-210/01, *General Electric Company v. Commission* [2005] ECR II-5575.

400. კომისიის შემთხვევა ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ, ერთი მხრივ, რეაქტიული ძრავა, ხოლო მეორე მხრივ, ელექტრო-, ან არაელექტრო- საავიაციო პროდუქცია არის დამატებითი, ვინაიდან ყველა ეს პროდუქტი განუყოფელია საჰაერო ხომალდის ამენებისაგან. საბოლოო მომხმარებელი, საჰაერო ხომალდის მმართველი, შესაბამისად, ვალდებულია, შეიძინოს ყველა ეს ნაწილი მათი მწარმოებლებისაგან პირდაპირ ან არაპირდაპირ. გასაჩივრებულ გადანყვეტილებში კომისიამ დაადგინა, რომ მთლიანობაში ყველა პროდუქტის მომხმარებლები არიან არსებითად ერთი და იგივე და, ამდენად, ეს უკანასკნელი პროდუქცია შესაძლებელია გაერთიანდეს (შეიკრას ერთად). კომისია ასევე განიხილავს, რომ აპლიკანტის ჯგუფი ფინანსურად საკმაოდ ძლიერია როგორც თავის კონკურენტებთან შედარებით ძრავის ბაზარზე, ისევე ელექტრო- და არაელექტრო- საავიაციო პროდუქციის ბაზარზე მოქმედ კონკურენტებთან შედარებით (ამასთან დაკავშირებით იხ. გასაჩივრებული გადანყვეტილების 302-ე-304-ე, 323-ე და 324-ე ნაწილები; ასევე იხ. 398-ე ნაწილი). ამდენად, შერწყმული უწყება თავისი შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, შეძლებს, შეამციროს მოგების ზღვარი ელექტროობისა და არაელექტროობის ბაზარზე იმ მიზნით, რომ გაზარდოს მისი საბაზრო წილი და მოგება მომავალში.

401. როგორც წინასწარი შენიშვნა, უნდა აღინიშნოს, რომ ის გზა, რომელიც არის წინასწარ განსაზღვრული კომისიის მიერ, თუ როგორ მოიქცევა მომავალში შერწყმული უწყება, არის მიმაგრებასთან დაკავშირებით კომისიის ანალიზის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ საქმეში. ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ აპლიკანტი არ არის წარმოდგენილი ელექტრო- და არაელექტრო- ავიაციის პროდუქციის ბაზარზე შერწყმამდე, ისევე, როგორც *Honeywell* არ არის წარმოდგენილი რეაქტიული თვითმფრინავების ძრავის ბაზარზე შერწყმამდე და რომ შერწყმას არ ექნება ჰორიზონტალური ანტიკონკურენციული შედეგი აღნიშნულ ბაზრებზე.

402. ამასთან, იმდენად, რამდენადაც ამას კომისია წინასწარ განსაზღვრავს გასაჩივრებული გადანყვეტილების 443-ე და 444-ე ნაწილებში, რომ მიმაგრებას ექნება გავლენა კორპორაციული რეაქტიული თვითმფრინავების ძრავის ბაზარზე, უნდა აღინიშნოს, რომ აპლიკანტის შერწყმამდე არსებული ბაზრის წილი იყო მხოლოდ 10-20% დამონტაჟებული საფუძვლის პირობებში, მაშინ როცა *Honeywell*-ის წილი შეადგენდა 40-50%-ს, ხოლო 0-10%-ს ისევე წარმოებაში არსებული თვითმფრინავების დამონტაჟებული საფუძვლის პირობებში, რაც მნიშვნელოვნად მცირე იყო *Honeywell*-ის 40-50%-იან წილთან შედარებით (იხ. გასაჩივრებული გადანყვეტილების 88-ე ნაწილი). აღნიშნულ გარემოებებში, იმ შემთხვევაშიც კი, რომ ყოფილიყო ნაჩვენები, შერწყმული უწყება ერთმანეთთან მიამაგრებდა ძრავს ელექტრო- ან არაელექტროსავიაციო პროდუქციასთან შერწყმის შემდეგ, არ იქნებოდა მიზეზობრივი კავშირი შერწყმასა და მიმაგრების შეთავაზებას შორის, გარდა იმ მცირე რაოდენობის შემთხვევებისა, რომელშიც ძრავა იყო ყოფილი GE-ს პროდუქტი. ამის გარდა, გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში არ არის დაფიქსირებული, რომ შერწყმის რომელიმე მხარე აწარმოებს ძრავას პატარა რეგიონალური თვითმფრინავებისათვის. აქედან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი სახის მიმაგრება, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს შერწყმამ რეგიონალური თვითმფრინავების ბაზარზე, ნებისმიერ შემთხვევაში მოიცავს მხოლოდ დიდ, რეგიონალურ თვითმფრინავებს.

403. გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში კომისიამ დაადგინა, რომ თითოეული ელექტროსავიაციო პროდუქტი რეგიონალური და კორპორაციული თვითმფრინავებისათვის, თავის მხრივ, შეესაბამება ბაზარს და რომ არსებობს ბაზარი ყველა სახის თვითმფრინავის თითოეული არაელექტროპროდუქტისთვის, მათ შორის დიდი კომერ-

ციული თვითმფრინავისათვის. შესაბამისად, მისი მსჯელობა სხვადასხვა საავიაციო ელექტროპროდუქტის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის შექმნასთან დაკავშირებით, მიმაგრების მეშვეობით, არ შეიძლება მიღებულ იქნეს კორპორაციული თუ რეგიონალური თვითმფრინავების სხვადასხვა ელექტროპროდუქციის ბაზრებთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, იმის ვარაუდის საფუძველზე, რომ ის ნამდვილად გახდება რეალობა ტრანზაქციის შემდეგ, ნებისმიერი მიმაგრება, რომელიც დაკავშირებული იქნება შერწყმასთან, გავლენას მოახდენს აღნიშნული ბაზრების მხოლოდ ერთ, დიდი, რეგიონალური თვითმფრინავების სეგმენტზე. იმავე გზით კომისიის მსჯელობა დანგრევის პირასაა (ოლონდ ამ შემთხვევაში უფრო ნაკლებად) არაელექტროსაავიაციო პროდუქციასთან დაკავშირებით, რომლისთვისაც კომისიამ განსაზღვრა ინდივიდუალური ბაზარი თითოეული სპეციფიკური პროდუქტისათვის, მიუხედავად თვითმფრინავის ზომისა და მისი სხვა მახასიათებლებისა.

404. სწორედ ამიტომ დიდი კომერციული თვითმფრინავების სექტორში, რომლისთვისაც კომისიამ განსაზღვრა ცალკე ბაზარი, როგორც რეაქტიული ძრავის ასევე თითოეული ელექტროავიაციური პროდუქტისათვის, კომისიის დამოკიდებულება მიმაგრების მიმართ დამაჯერებლად იყო გაძლიერებული.

405. შერწყმის სავარაუდო შედეგთან მიმართებით (ი) დიდი კომერციული თვითმფრინავებისა და დიდი რეგიონალური თვითმფრინავების რეაქტიული ძრავის ბაზართან, (იი) დიდი კომერციული თვითმფრინავების ელექტროპროდუქციის ბაზართან და (იიი) არაელექტროპროდუქციის ბაზართან, სასამართლომ უნდა განსაზღვროს, რამდენად დაადგინა კომისიამ, რომ შერწყმულ უწყებას არა მარტო ექნებოდა უნარი, ჩართულიყო გასაჩივრებულ გადანყვევტილებაში აღწერილ მიმაგრებით საქმიანობაში, მაგრამ ასევე დამაჯერებელი მტკიცებულების საფუძველზე აღნიშნა, რომ ის, სავარაუდოდ, ჩაერთვებოდა აღნიშნულ ქმედებებში შერწყმის შემდეგ და რომ შედეგად შეიქმნებოდა ან გაძლიერდებოდა დომინანტური მდგომარეობა ერთ ან მეტ შესაბამის ბაზარზე მნიშვნელოვნად ახლო მომავალში (*Tetra Laval v. Commission*, პარა. 58 და პარა.: 146-162).

საქმე *Tetra Laval BV v. Commission*³⁶³:

146. პირველ რიგში, უნდა განიხილოს, რომ რეგულაცია, კერძოდ კი მეორე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები, არანაირ განსხვავებას არ ახდენს, ერთი მხრივ, შერწყმის ტრანზაქციების ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ეფექტსა და, მეორე მხრივ, კონგლომერატის ეფექტის ქონას შორის. აქედან გამომდინარეობს, რომ ასეთი სახის ტრანზაქციებს შორის განსხვავების არარსებობისას შერწყმა შეიძლება აიკრძალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილება მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის ორივე მოთხოვნა (იხ. პარა. 120). შესაბამისად, შერწყმას, რომელსაც აქვს კონგლომერატის შედეგი, სხვა შერწყმის მსგავსად (იხ. პარა. 120), უფლებამოსილება უნდა მიეცეს კომისიის მიერ, თუ არ დადგინდება, რომ ის ქმნის ან აძლიერებს დომინანტურ მდგომარეობას საერთო ბაზარზე ან მის არსებით ნაწილზე, რითიც შედეგად მნიშვნელოვნად იქნება ხელყოფილი ეფექტური კონკურენცია. (...)

155. კომისიის ანალიზი კონგლომერატის შედეგის წარმომქმნელი შერწყმის თაობაზე განპირობებულია იმავე მოთხოვნების მსგავსად, რომლებიც სასამართლოს მიერ განსაზღვრულია კოლექტიური დომინანტური მდგომარეობის შექმნასთან დაკავშირებით (*Kali & Salz*, პარა. 222 და *Airtours v. Commission*, პარა. 63). ამდენად, კომისიის ანალიზი შერწყმის ტრანზაქციაზე, რომელსაც, მოსალოდნელია, ჰქონდეს ანტიკონკურენციული კონგლომერატის ეფექტი, საჭიროებს გარემოებების დეტალურ შემოწმებას,

³⁶³ Case T-5/02, *Tetra Laval BV v. Commission* [2002] ECR II-4381, [2002] 5 CMLR 1182.

რომლებიც მნიშვნელოვანია კონკურენციის პირობებზე გავლენის შესაფასებლად ბაზარზე. როგორც სასამართლომ უკვე აღნიშნა, როდესაც კომისიის მოსაზრებით შერწყმა უნდა აიკრძალოს, ვინაიდან ის ქმნის ან აძლიერებს ბაზარზე დომინანტურ მდგომარეობას განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, მისი პასუხისმგებლობაა, წარმოადგინოს ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები (*Airtours v. Commission*, პარა. 63). ვინაიდან კონგლომერატის ტიპის შერწყმის შედეგი ჩართულ ბაზარზე არსებული კონკურენციისათვის ზოგადად მიჩნეულია ნეიტრალურად ან, უფრო მეტი, მომგებიანად, როგორც ამ საქმეში ციტირებული ეკონომიკური წერილობითი ნაშუქებიდან ჩანს, რომლებიც მხარეების წერილობით საჩივარზე არის თანდართული ანალიზის სახით, შერწყმის ანტიკონკურენტული კონგლომერატის გავლენის მტკიცებულება ექვემდებარება ზედმიწევნით შესწავლას, რასაც უნდა ამყარებდეს იმ გარემოებების დამარწმუნებელი მტკიცებულება, რომლებიც წარმოშობენ აღნიშნულ შედეგს (ანალოგიის სახით იხ. *Airtours v. Commission*, პარა. 63).

156. ამ საქმეში ასეპტიკური მუყაოს ბაზარზე გავლენის ქონას, როგორც ეს აღწერილია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში, თვითგამოხატვის მოხდენას – დამატებით შერწყმული უწყების შესაძლებლობასთან, რომელიც ჩართულია ისეთ პრაქტიკაში, როგორიცაა მუყაოს შეფუთვის სისტემებისა და მოხმარების საგნების მიჯაჭვული გაყიდვები *PET* შეფუთვის სისტემებთან და იძულებითი გაყიდვები (345-ე და 365-ე ნაწილები) – პირველი, შერწყმული უწყების მიერ მზაკვრული ფასების გამოყენების შესაძლებლობით (364-ე ნაწილი, ციტირებული 49-ე პარაგრაფში); მეორე, ფასების ომით; და მესამე, ლოიალური ფასდაკლებების მიჩიქებით. ამ პრაქტიკებში ჩაბმა შერწყმულ უწყებას შესაძლებლობას მისცემს, შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს, რომ მუყაოს ბაზარზე მისი მომხმარებლები *Sidel*-ისგან იღებდნენ მათთვის საჭირო ნებისმიერ *PET* აღჭურვილობას. გასაჩივრებული გადაწყვეტილება ადგენს, რომ *Tetra* იმყოფება დომინანტურ მდგომარეობაში ასეპტიკური მუყაოს ბაზარზე, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ასეპტიკური მუყაოს შესაფუთი სისტემისა და ასეპტიკური მუყაოს ბაზარზე (231-ე ნაწილი. იხ. პარა. 40) დადგენა, რომელიც არ არის გასაჩივრებული აპლიკანტის მიერ.

157. უნდა აღინიშნოს, რომ, მიღებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, როდესაც საწარმო არის დომინანტურ მდგომარეობაში, ის ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში მოახიზნოს თავისი საქციელის მოდიფიცირება, რომ არ შეზღუდოს ეფექტური კონკურენცია ბაზარზე, მიუხედავად იმისა, მიიღო თუ არა კომისიამ გადაწყვეტილება ამასთან დაკავშირებით (საქმე 322/81, *Michelin v. Commission* [1993] ECR 3461, პარა. 57; საქმე T-51/89 *Tetra Pak v. Commission* [1990] ECR II-309, პარა. 23; და გაერთიანებული საქმეები: T-125/97 და T-127/97 *Coca-Cola v. Commission* [2000] ECR II-1733, პარა. 80).

158. ამას გარდა, სასამართლოს მიერ მოსმენაზე დასმული შეკითხვების პასუხად კომისიას არ უარუყვია, რომ *Tetra*-ს მიერ მისი ქმედებით მიღებული გავლენა შეესაბამებოდა *Tetra*-ს შერწყმამდე არსებული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას ასეპტიკური მუყაოს ბაზარზე. იგივე შეიძლება ითქვას კომისიის მიერ მის დაცვაში გამოხატულ პოზიციაზე, იმ გარემოებებში, რომლებშიც შერწყმული უწყება უარს ამბობს, მონაწილეობა მიიღოს *Sidel SBM*-ის აპარატების დამონტაჟებასა და საჭირო გადაკეთებაში, გაყიდვების შემდგომ მომსახურებასა და გარანტიის გაცემაში, როდესაც ასეთი აპარატურის შესყიდვა ხდებოდა შემსყიდველების მიერ. როგორც ჩანს, კომისიამ გადაწყვიტა, ემტკიცებინა, ის ფაქტი, რომ ასეთი ქმედება შეიძლებოდა შესაბამისობაში ყოფილიყო ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 82-ე მუხლის დამოუკიდებელ დარღვევასთან, არ გამორიცხავს, კომისიის შეფასებაში

გათვალისწინებულიყო, როდესაც ის ახდენდა შერწყმის შემდეგ შეძენილი კონტროლის ყველა საგარაუდო ფორმის შესწავლას.

159. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა რეგულაცია კრძალავს შერწყმას, რომელიც ქმნის ან აძლიერებს დომინანტურ მდგომარეობას, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი ანტიკონკურენციული ეფექტი, ეს პირობები არ მოითხოვს იმის დემონსტრირებას, რომ შერწყმული უწყება, როგორც შერწყმის შედეგი, იქნება ჩართული ბოროტად გამოყენებით და, შესაბამისად, უკანონო ქმედებაში. თუმცა, აღნიშნულიდან გამომდინარე, არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გაერთიანების სამართალთან შესაბამისობაში არ იქნება კონგლომერატის ტიპის შერწყმის ტრანზაქცია; ასეთი ალბათობა არ უნდა იქნეს გამორიცხული კომისიის მიერ, როდესაც ის აწარმოებს მის კონტროლს შერწყმაზე. შესაბამისად, როდესაც კომისია აფასებს შერწყმის საგარაუდო შედეგებს, ეყრდნობა ნაწინასწარმეტყველებ მომავალს, რომელიც, თავის მხრივ, უნდა შეესაბამებოდეს არსებული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. მას მოეთხოვება, შეაფასოს, მიუხედავად ასეთი ქმედების აკრძალვისა, რამდენად არის ალბათობა რომ შერწყმული უწყება მოიქცეს ამგვარად, თუ ამის საწინააღმდეგოდ ასეთი ქმედების უკანონო ხასიათი და/ან მისი გამოვლენის რისკი ასეთ სტრატეგიას ნაკლებ საგარაუდოს ხდის. მაშინ, როცა კარგი იქნებოდა, შეფასებისას მხედველობაში მიეღო ანტიკონკურენციულ საქმიანობაში ჩაბმის წამქეზებელი ფაქტორები, როგორებიცაა საქმეში – *Tetra*-სთვის იმ კომერციული უპირატესობებისაგან, რომლებიც შეიძლება წინასწარ ნავარაუდოებელი იყოს PET-ის აპარატების ბაზარზე (359-ე ნაწილი), კომისიამ ასევე უნდა გაითვალისწინოს ის დონე, რომელზეც უნდა შემცირდეს, ან საერთოდ აღმოიფხვრას ზემოთ აღწერილი წამქეზებელი ფაქტორები, განსახილველი ქმედების უკანონო ხასიათიდან, მისი აღმოჩენის ვარაუდიდან, როგორც გაერთიანების, ისე ადგილობრივ დონეზე კომპეტენციური ორგანოების მიერ განხორციელებული ქმედებიდან და მოსალოდნელი ფინანსური სასჯელიდან გამომდინარე.

160. ვინაიდან გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში კომისიას არ ჩაუტარებია მსგავსი შეფასება, გამომდინარეობს, რომ იმდენად, რამდენადაც კომისიის შეფასება ემყარება შესაძლებლობას, ან უფრო მეტი, ვარაუდს, რომ *Tetra* იქნება ჩართული ასეთ ქმედებაში ასეპტიკური მუყაოს ბაზარზე, მისი დადგენები აღნიშნული მიმართულებით არ შეიძლება იქნეს მიღებული.

161. უფრო მეტი, ის ფაქტი, რომ აპლიკანტმა შესთავაზა თავის მომავალ ქმედებაზე ვალდებულების აღება, ასევე არის ფაქტორი, რომელიც კომისიას მხედველობაში უნდა მიეღო, როდესაც ახდენდა შეფასებას, თუ რამდენად საგარაუდო იყო, შერწყმულ უწყებას ემოქმედა იმ ფორმით, რომელსაც შედეგად მოჰყვებოდა დომინანტური მდგომარეობის შექმნა PET-ის აპარატურის ერთ ან მეტ შესაბამის ბაზარზე. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული, რომ კომისიამ მხედველობაში მიიღოს აღნიშნული ვალდებულებების მნიშვნელობა, როდესაც ის აფასებდა მომავალში დომინანტური მდგომარეობის შექმნას არსებული გავლენისა და კონტროლის მეშვეობით.

162. აქედან გამომდინარეობს, რომ აუცილებელია შემოწმდეს, თუ რამდენად აფუძნებს კომისია თავის ანალიზს ასეპტიკური მუყაოს ბაზრის კონტროლის ალბათობასა და შერწყმული უწყების მიერ ასეთი გავლენის თანმდევ შედეგებზე არსებით დამაჯერებელ მტკიცებულებებს. ასეთი შემოწმებისას საჭიროა, ამ საქმეში მხედველობაში იქნეს მიღებული მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც, სულ მცირე, საგარაუდოდ, არ იქნება უკანონო. დამატებით, ვინაიდან წინასწარ განსაზღვრული დომინანტური მდგომარეობა შეიქმნება მხოლოდ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, კომისიის მიხედვით, 2005 წელს, მისი ანალიზი მომავალ მდგომარეობასთან დაკავშირებით, როდესაც გარკვეული

დისკრეციის ზღვარს იყენებს, უნდა იყოს მნიშვნელოვნად დამაჯერებელი.

საქმე *P. Commission v. Tetra Laval BV*³⁶⁴:

42. იმ სახის ანალიზი, რომელიც საჭიროა შერწყმის კონტროლისათვის, უნდა ჩატარდეს უდიდესი სიფრთხილით, ვინაიდან ის არ მოითხოვს წარსული შემთხვევების შემონიშნებას, – საიდანაც ძალიან ხშირად ბევრი მტკიცებულება არის ხელმისაწვდომი, რომლებიც შესაძლებელს ხდის მიზეზის გაანალიზებას, – არც ბოლოდროინდელი მოვლენების შესწავლას, უფრო მეტად, აღნიშნული ანალიზი მიმართულია მომავალი მოქმედებების განსაზღვრისაკენ, რაც მეტ-ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოხდება მომავალში, თუ არ იქნება მიღებული დაგეგმილი კონცენტრაციის ამკრძალავი ან გარკვეული პირობების განმსაზღვრელი დებულება.

43. ამდენად, სამომავლო ანალიზი შედგება იმის შემონიშნებისაგან, თუ როგორ შეცვლის კონცენტრაცია ამ ბაზარზე არსებული კონკურენციის განმსაზღვრელ ფაქტორებს, რათა დადგინდეს, რამდენად წარმოშობს ის ეფექტური კონკურენციის მნიშვნელოვან შეზღუდვას. ასეთი ანალიზი აუცილებელს ხდის, განხილულ იქნეს სხვადასხვა მიზეზობრივი კავშირი და ის შედეგი, რომელიც კომისიის შეხედულებით უფრო მეტად რეალურია.

44. „კონგლომერატის ტიპის“ კონცენტრაციის ანალიზი არის სამომავლო პროცედურა, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს, პირველი, მომავალში მნიშვნელოვნად გრძელი დროის მონაკვეთი და, მეორე, აუცილებელი კონტროლი, რომელიც დასაბამს მისცემს ეფექტური კონკურენციის მნიშვნელოვან შეზღუდვას, სუსტად შესამჩნევი, გაურკვეველი და რთულად დასადგენი მიზეზობრივი კავშირით. ვინაიდან ეს ასეა, კომისიის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების ხარისხი, რათა მიღებულ იქნეს კონცენტრაციის შეუთავსებლობა საერთო ბაზართან, არის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი. მტკიცებულება კი უნდა ამყარებდეს კომისიის დასკვნას, რომ თუ ასეთი გადანყვებილება არ იქნებოდა მიღებული, მასში გათვალისწინებული ეკონომიკური განვითარება იქნებოდა დამაჯერებელი.

საქმე *Guinness/Grand Metropolitan*³⁶⁵:

40. წამყვანი სპირტიანი სასმელების პორტფოლიოს მესაკუთრე უნდა სარგებლობდეს უამრავი უპირატესობით. კერძოდ, მისი მდგომარეობა თავის მომხმარებლებთან მიმართებით უფრო ძლიერია, ვინაიდან მას შეუძლია წარმოადგინოს პოდეუქციის ფართო არჩევანი და დაეყრდნოს თავისი ბიზნესის დიდ პროპორციებს, მას ექნება მნიშვნელოვანი ელასტიკურობა თავისი ფასების სტრუქტურირებაში, ფასდაკლებებსა და სარეკლამო კამპანიების ჩატარებაში. ასევე, მას ექნება უდიდესი პოტენციური პროდეუქციის მიმაგრებაში და მას ასევე ექნება შესაძლებლობა, გააკეთოს მასშტაბური ეკონომია და იქონიოს გაქანება გაყიდვებსა და მარკეტინგულ საქმიანობაში, და ბოლოს, ჩუმი (ან გამოხატული) მუქარა მიწოდებაზე უარის თქმაზე, არის უფრო მეტად პოტენციური.

41. აღნიშნული უპირატესობების ძალა და მათი პოტენციური ეფექტი ბაზრის კონკურენციულ სტრუქტურაზე დამოკიდებულია გარკვეული რაოდენობის ფაქტორებზე, ესენია: ჰყავს თუ არა პორტფოლიოს მფლობელს ერთი ან ერთზე მეტი წამყვანი ბრენდი კონკრეტულ ბაზარზე; სხვადასხვა ბრენდის ბაზრის წილი, კერძოდ კი კონკურენტების წილთან დაკავშირებით; ინდივიდუალური ბაზრის შესაბამისი მნიშვნელობა, რომელშიც მხარეებს აქვთ მნიშვნელოვანი წილები და პროდეუქციის ბაზარზე არსებული ბრენდები,

³⁶⁴ Case C-12/03 P. Commission v. Tetra Laval BV [2005] ECR I-987.

³⁶⁵ Case IV/M. 938, Guinness/Grand Metropolitan [1998] OJ L228/24.

რომელშიც არის გამოხატული პორტფოლიო; და/ან ბაზრების გარკვეული რაოდენობა, რომელშიც პორტფოლიოს მფლობელს ჰყავს ბრენდის ლიდერი ან ლიდერი ბრენდი.

საქმე *Fujitsu/Siemens*³⁶⁶:

63. ქვემოთ მოყვანილი მიზეზების გამო, ფინანსური სამუშაო სადგურების ბაზარი ავლენს სხვადასხვა სტრუქტურულ მახასიათებელს, რომლებიც ფინანსური სამუშაო სადგურების წყაროთა კოორდინაციას ერთმანეთის მსგავსს ხდის: პირველი, ბაზარი მნიშვნელოვნად კონცენტრირებულია *NCR*-ის *Siemens*-ის და *Fujitsu*-ს გამო, მათი გაყიდვების 70%-იანი წილის გათვალისწინებით; მეორე, *NCR*-ს და *Siemens*-ს *Fujitsu*-სთან ერთად აქვთ, უხეშად რომ ვთქვათ, სიმეტრიული ბაზრის წილები; მესამე, დანარჩენ კონკურენტებს, ყველას ერთად, აქვთ ბაზრის წილი, რომელიც არ აღემატება 10%-ს; მეოთხე, ფინანსური სამუშაო სადგურების ტექნოლოგიები არის მნიშვნელოვნად მონიფეზული, ვინაიდან ფინანსური სამუშაო სადგურებისათვის საჭირო ტექნოლოგიები არის სტანდარტულ პერსონალურ კომპიუტერზე დაფუძნებული ტექნოლოგიები.

64. ნებისმიერი კოორდინაცია მშობელ კომპანიებს შორის იქნება მნიშვნელოვნად დაფასებული. ორივე მხარეს ერთდროულად ექნება გაყიდვების 20-40%-იანი წილი და იქნება სიდიდით მეორე კონკურენტი *NCR*-ის შემდეგ, რომლის გაყიდვების წილიც შეადგენს ფინანსური სამუშაო სადგურების 30-40%-ს. ფინანსური სამუშაო სადგურების ბაზარზე ორი მთავარი ჯგუფის თითქმის სიმეტრიული ბაზრის წილების პირობებში და შედეგად მიღებული ურთიერთდამოკიდებულებითი ურთიერთობა *NCR*-სა და *Fujitsu/Siemens* (მიღებული ერთ ჯგუფად) შორის, ნებისმიერი კოორდინაცია მხარეებს შორის გამოიხატება უფრო მეტად როგორც ფინანსური სამუშაო სადგურების ბაზრის არსებით ნაწილზე კონკურენციის აღმოფხვრის მიზეზი.

65. კოორდინაციას მშობელ კომპანიებს შორის ასევე ექნება გავლენა წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე. როგორც *Siemens*, ისე *Fujitsu* არის ევროპული ეკონომიკური შეთანხმების სივრცეში მოქმედი ოპერატორები, საქმიანობით, რომელიც ფარავს ევროპული ეკონომიკური შეთანხმების ყველა დიდ წევრ სახელმწიფოს. ნებისმიერი ცვლილება მათ კონკურენციულ ქმედებაში აისახება და გავლენას მოახდენს გაერთიანების შიდა ვაჭრობაზე ფინანსურ სამუშაო სადგურებში.

66. როდესაც აღნიშნული მოსაზრებები ეცნობა მხარეებს, *Siemens*-მა შესთავაზა მექანიზმი იმ მიზნით, რომ მოეხსნათ კონკურენციული საზრუნავი, რომელიც შეეხებოდა ევროპული ეკონომიკური შეთანხმების ფარგლებში არსებულ ფინანსურ სამუშაო სადგურებს.

67. ორ წერილში, რომლებიც თარიღდება 1999 წლის 15 და 23 სექტემბრით, *Siemens*-მა განაცხადა შემდეგი:

„(ი) 1998 წლის ნოემბერში *Siemens*-მა განაცხადა, რომ მისი განზრახვა იყო, გაეყიდა თავისი საცალო გაყიდვებისა და საბანკო სისტემების ბიზნესი. ეს მოხდება *Siemens Nixdorf Retail*-სა და *Banking Systems GmbH*-ში (დაფუძნებული პადერბორნში) თავისი ყველა წილის გაყიდვით და აღნიშნულთან დაკავშირებული საზღვარგარეთ მისი ყველა ბიზნესსაქმიანობის გაყიდვით, იმისათვის, რომ ჩამოეჭრას რეგიონალურ იურიდიულ უწყებას („საცალო გაყიდვებისა და საბანკო სისტემის ბიზნესი“), ...*Siemens*-მა გადამწყვიტა, გაყიდოს საცალო გაყიდვებისა და საბანკო სისტემების ბიზნესი (...“
(...)

³⁶⁶ Case IV/JV.22, *Fujitsu/Siemens*.

69. *Siemens*-ის საწარმო აუქმებს კომისიის საზრუნავს, რომ *JVC*-ის შექმნის შედეგად ექნება *Siemens*-სა და *Fujitsu*-ს კონკურენციული ქმედების კოორდინირება ფინანსური სამუშაო სადგურების ბაზარზე. საწარმო, რომელიც გამოყოფს *Siemens*-ის საცალო გაყიდვებისა და საბანკო სისტემების ბიზნესს..., აშორებს წამახალისებელ ფაქტორებს *Fujitsu*-სთან მისი ქმედების კოორდინირებასთან დაკავშირებით.... გამოყოფის შემდეგ ფინანსური სამუშაო სადგურის ბაზარი აღარ იქნება კანდიდატი ბაზარი კოორდინაციისათვის, შერწყმის რეგულაციის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის მნიშვნელობით.

საქმე *Nestlé/Perrier*³⁶⁷ (კომისიის გადაწყვეტილება):

VIII. გავლენა ეფექტური კონკურენციის განვითარებასა და შენარჩუნებაზე

108. შერწყმის შემდეგ *Nestle*-სა და *BSN*-ის ქმედუნარიანობისა და მაღალი ბაზრის წილის და *Volvic*-ის *BSN*-ისადმი მიყიდვის, ისევე როგორც ადგილობრივი მინერალური და წყაროს წყლის კომპანიებისგან კონკურენციული გამანონასწორებლის უკმარისობა, გაზრდილი დამოკიდებულება საცალო გამყიდველებისა და გადაყიდველების *Nestle*-სა და *BSN*-ის ბრენდების პორტფოლიოზე, ახალმოსულებისაგან ფასების ეფექტური შემზღუდავი პოტენციური კონკურენციის არარსებობა და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით, კომისიამ უნდა დაასკვნას, რომ შეთავაზებული შერწყმით *Nestle* და *Perrier* შექმნიან დუოპოლისტურ დომინანტურ მდგომარეობას, რომელიც მნიშვნელოვნად შეზღუდავს ეფექტურ კონკურენციას საფრანგეთის ბოთლის წყლის ბაზარზე. აღნიშნული ბაზარი შეესაბამება საერთო ბაზრის არსებით ნაწილს.

109. *Nestle*-მ, რომელსაც მხარს უჭერდა *BSN*, განაცხადა, რომ შერწყმის რეგულაციის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი არ გამოიყენებოდა ოლიგოპოლიური დომინანტური მდგომარეობის მიმართ და თუ გამოიყენებოდა, კომისიამ ვერ დაადასტურა მნიშვნელოვანი კონკურენციის არარსებობა ადგილობრივ მომწოდებლებს შორის, ასევე რეალური თუ პოტენციური კონკურენციის არარსებობა მომავალი ოლიგოპოლიის მხრიდან.

110. შერწყმის რეგულაციის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს: კონცენტრაცია, რომელიც ქმნის ან აძლიერებს დომინანტურ მდგომარეობას, რომლის შედეგადაც ეფექტური კონკურენცია იქნება მნიშვნელოვნად ხელყოფილი საერთო ბაზარზე ან მის არსებით ნაწილზე, უნდა გამოცხადდეს საერთო ბაზართან შეუთავსებლად.

შეკითხვა არის შემდეგი: აღნიშნული დებულება ფარავს მხოლოდ ბაზრის მდგომარეობას, რომელზეც ეფექტური კონკურენცია მნიშვნელოვნად არის განადგურებული ერთი ფირმის მიერ, რომელსაც მართოს აქვს ძალაუფლება, მოიქცეს მნიშვნელოვან დონემდე დამოუკიდებლად თავისი კონკურენტებისაგან, კლიენტებისა და, შესაბამისად, მისი მომხმარებლებისაგან, თუ აღნიშნული დებულება ასევე ფარავს ბაზრის მდგომარეობას, რომელზეც ეფექტური კონკურენცია არის მნიშვნელოვნად შეზღუდული ერთზე მეტი ფირმის მიერ, რომელთაც ერთად აქვთ ძალა, მოიქცენ მნიშვნელოვან დონემდე დამოუკიდებლად დანარჩენი კონკურენტებისაგან, კლიენტებისა და, შესაბამისად, მათი მომხმარებლებისაგან.

111. *Nestle*-ს არ უარუყვია ის ფაქტი, რომ, ეკონომიკური თვალსაზრისით, როგორც ერთი ფირმის, ისე ოლიგოპოლიური დომინანტობა შეიძლება მნიშვნელოვნად ზღუდავდეს ეფექტურ კონკურენციას გარკვეული ბაზრის სტრუქტურის პირობებში.

³⁶⁷ Case No. IV/M. 190 - *Nestlé/Perrier*.

112. კომისია მიიჩნევს, რომ განსხვავება ერთი ფირმის დომინანტობასა და ოლიგოპოლიურ დომინანტობას შორის არ შეიძლება იყოს განმსაზღვრელი შერწყმის რეგულაციის გამოყენების ან არგამოყენებისათვის, ვინაიდან ორივე სიტუაციაში შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ეფექტურ კონკურენციას, ბაზრის გარკვეული პირობების გათვალისწინებით. ეს ხდება, კონკრეტულად, როდესაც შერწყმის წინ კონკურენცია შესუსტებულია ოლიგოპოლიებს შორის, რაც, სავარაუდოდ, კიდევ იფრო შესუსტდება კონცენტრაციის მნიშვნელოვანი გაზრდით და თუ წარმოიქმნება ფასის შემზღუდავი კონკურენციის უკმარისობა რეალური და პოტენციური კონკურენციისაგან, რომელიც მომდინარეობს ოლიგოპოლიის გარედან.

113. ევროპული ეკონომიკური გაერთიანების ხელშეკრულების მე-3 მუხლი მოუწოდებს ისეთი სისტემის უზრუნველყოფაზე, რომლითაც კონკურენცია საერთო ბაზარზე არ იქნება განადგურებული. ამდენად, ხელშეკრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი არის ეფექტური კონკურენციის შენარჩუნება. ეფექტური კონკურენციის შეზღუდვა, რომელიც აკრძალულია, თუ ეს არის ერთი ფირმის დომინანტური მდგომარეობის შედეგი, დაშვებადია, თუ ის არის ერთზე მეტი დომინანტი ფირმის ქმედების შედეგი. თუ, მაგალითად, როგორც შერწყმის შედეგი, „ორი ან მეტი საწარმო შეიძენს ბაზრის ძალაუფლებას და, სავარაუდოდ, გამოიყენებს გადაჭარბებულ ფასებს, ეს იქნება კოლექტიური ბაზრის ძალაუფლების გამოყენება, რომლის თავიდან აცილებასაც კონკურენციული ბაზრის სტრუქტურის შენარჩუნების გზით, მიზნად ისახავს შერწყმის რეგულაცია. დომინანტური მდგომარეობა არის, უბრალოდ, გზა, რომლის მეშვეობითაც შეიძლება დაბრკოლება შეექმნას ეფექტურ კონკურენციას. აღნიშნული დაბრკოლება იქმნება ერთი ფირმის ძალაუფლებიდან გამომდინარე, თუ კოლექტიური ძალაუფლების გამოყენება არ არის განმსაზღვრელი შერწყმის რეგულაციის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენება არგამოყენებისათვის.

114. მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ოლიგოპოლიური დომინანტობის აშკარა გამორიცხვის არარსებობის პირობებში არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კანონმდებლობა მიზნად ისახავდა ეფექტური კონკურენციის შეფერხების დაშვებას ორი ან მეტი საწარმოს მიერ, რომელთაც აქვთ ძალა, მოიქცნენ ბაზარზე მნიშვნელოვან დონემდე დამოუკიდებლად. ეს შექმნიდა ხარვეზს ხელშეკრულების ფუნდამენტურ მიზნებში, შეენარჩუნებინათ ეფექტური კონკურენცია მთელი დროის განმავლობაში, რათა არ დაზიანებულიყო საერთო ბაზრის სწორი ფუნქციონირება; თუ, იმ მიზნით, რომ მოხდეს შერწყმის რეგულაციის გამოყენების თავიდან აცილება, ის კმაყოფილი იქნება, დომინანტური მდგომარეობა განაწილდეს, მაგალითად, ორ კომპანიას შორის, რათა გაექცეს მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის აკრძალვას. ასეთ შემთხვევაში, საერთო ბაზრის ძირითადი პრინციპების სანინაალმდეგოდ, ეფექტური კონკურენცია მნიშვნელოვნად იქნება შეფერხებული. ამ ჰიპოთეზაში ევროპული ეკონომიკური გაერთიანების ხელშეკრულების მე-3 მუხლის მიზანი იქნება გაცამტვერებული.

115. აღნიშნული სამართლებრივი და ეკონომიკური განხილვებისას მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი ინტერპრეტირებული უნდა იყოს როგორც ერთი ფირმის, ასევე ოლიგოპოლიური დომინანტური მდგომარეობის დამფარავი. ასევე მნიშვნელოვანია იმისი აღნიშვნა, რომ ყველა ძირითადი ანტიტრასტრული სისტემა შერწყმის კონტროლის სისტემის მიმართ იყენებს, ან შეუძლია გამოიყენოს მათი წესები როგორც ერთი ფირმის, ისე ოლიგოპოლიური დომინანტობის მიმართ, მაგალითად: ამერიკული სისტემა, საფრანგეთის კანონი, გერმანიის კანონი და გაერთიანებული სამეფოს კანონი. ამ სისტემების უმეტეს ნაწილში დამკვიდრებული პრაქტიკაა შერწყმის კონტროლი, რაც ქმნის ოლიგოპოლიური დომინანტობიდან გამომდინარე პრობლემებს. არ შეიძლება მოხდეს ისე, რომ შერ-

წყემის რეგულაციის მიღების მერე შერწყმა, რომელიც ადრე ექვემდებარებოდა ასეთ კონტროლს, ახლა მოხვდება მხოლოდ ერთი ფირმის დომინანტური მდგომარეობის კონტროლის ქვეშ. შერწყმის რეგულაცია არა მარტო გადასცემს ეროვნული შერწყმის კონტროლის უფლებას, გაერთიანებას, არამედ ის ნევრი სახელმწიფოები, რომლებსაც აქვთ ოლიგოპოლიური დომინანტური მდგომარეობის კონტროლის მექანიზმები, იმავდროულად თავს ანებებენ ასეთ კონტროლს ერთდროულად გაერთიანების დონეზე რაიმე ჩამანაცვლებლის გარეშე. ამკარად გამოხატული დებულების არარსებობის პირობებში კონტროლის ასეთი ჩამორთმევა არ შეიძლება ვივარაუდოთ.

116. *BSN*-ის არგუმენტი, რომ კომისია არღვევდა სამართლებრივი სიზუსტის პრინციპს, ვინაიდან ეს საქმე იქნებოდა პირველი საქმე, რომელიც გამოიყენებოდა ოლიგოპოლიური დომინანტობის პრინციპის მიმართ, არ შეიძლება მიღებულ იქნეს. როგორც ზემოთ არის განმარტებული, შერწყმის რეგულაციის სწორ ინტერპრეტაციას მივყავართ დასკვნამდე, რომ მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი ყოველთვის ფარავდა დომინანტობას, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებდა ეფექტურ კონკურენციას დამოუკიდებლად იმისა, არსებული მდგომარეობა გამომდინარეობდა ერთი თუ მეტი ფირმის ქმედებიდან. ამასთან, *BSN*-ის არგუმენტი სწორი რომ ყოფილიყო, ის ნიშნავდა, რომ კომისიას არ შეეძლო განვეითარებინა თავისი ადმინისტრაციული პრაქტიკული სამართალი. მიუხედავად იმისა, რომ *BSN*-ის არგუმენტს შეეძლო სხვა გარემოებებში ყოფილიყო დროული, კერძოდ კი, სადაც მომდევნო კონტროლი იღებს სათავეს და მოიცავს ჩართულობას მიღებულ უფლებებში, შერწყმის კონტროლის სისტემა არის წინასწარი კონტროლის სისტემა, რომელიც განმარტების მეშვეობით არ აძლევს შერწყმის იმპლემენტაციას უფლებას, კომისიის მიერ წინასწარი უფლებამოსილების მიცემის გარეშე.

117. თუმცა *Nestle*-მ განაცხადა, რომ კომისიას არ დაუმტკიცებია მიმწოდებლებს შორის მნიშვნელოვანი კონკურენციის არსებობა, მას არ გაუგრძელებია კომისიის მიერ მე-18 მუხლის შესაბამისად გაკეთებულ განცხადებაში ნახსენები პირობების გასაჩივრება, კერძოდ კი იმასთან დაკავშირებით, რომ შერწყმის წინაც კი, მომწოდებლებს შორის არსებული ფასების კონკურენცია მნიშვნელოვნად იყო შესუსტებული – დიდი დროის განმავლობაში აღინიშნებოდა მაღალი დონის ფასების პარალელიზმი ძალიან მაღალი პროდუქციის ფასსა და ღირებულების ზღვარს შორის და დიდი ნაპრალი ეროვნული მინერალური წყლისა და ადგილობრივი წყაროს წყლის დამუშავების ფასებს შორის.

118. კომისიას არ უმტკიცებია, რომ არსებობდა ოლიგოპოლიური დომინანტური მდგომარეობა *Nestle*-ს *Perrier*-სა და *BSN*-ს შორის შერწყმამდე. ფაქტები და ბაზრის სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ ფრანგული ბოთლის წყლის ბაზარი არის უკვე საკმაოდ კონცენტრირებული, სადაც ფასების კონკურენცია მნიშვნელოვნად შესუსტებულია. ამ ბაზარზე არსებული კონკურენციის შენარჩუნება თუ განვითარება მოითხოვს კონკრეტულ დაცვას. ნებისმიერი სტრუქტურული მოქმედება, რომელიც კიდევ უფრო ზღუდავს კონკურენციის მოცულობას ასეთ გარემოებებში, მკაცრად უნდა იყოს განსჯადი. ბაზრის სტრუქტურის კომბინაცია, რომელიც წარმოიშობა შერწყმისა და გარკვეული დამატებითი ფაქტორებისაგან (იხ. 119-ე-120-ე ნაწილები), მიგვიყვანს დასკვნამდე, რომ შეთავაზებულ შერწყმას ექნება დუოპოლისტური დომინანტური მდგომარეობის შექმნის ეფექტი, რომელიც *Nestle*-სა და *BSN*-ს მისცემს შესაძლებლობას, ერთად გაზარდონ მოგება ერთმანეთთან კონკურენციისთვის თავის არიდებით და მნიშვნელოვან დონემდე მათი მომხმარებლებისა და კონკურენტებისაგან დამოუკიდებლად.

119. შერწყმის შემდეგ კონცენტრაციის დონე ექსტრემალურად გაიზარდა *Nestle*-სა და *BSN*-ისათვის, რომლებსაც ექნებათ მთელი ფრანგული წყლის ბაზრის 82% ღირებულებით და 75% მოცულობით (თითქმის 95% უგაზო მინერალური წყლის ბა-

ზარზე). ფრანგულ ბაზარზე იქნება მხოლოდ ორი ადგილობრივი უგაზო და გაზიანი მინერალური წყლის მიმწოდებელი. ორივე იმოქმედებს ბოთლის წყლის მაქსიმალურად მომგებიან სეგმენტში და ექნება ძლიერი ინტერესი და მოტივი – ერთად დაიცვან თავიანთი პოზიცია.

შერწყმის შემდეგ გაერთიანებაში აღარ იქნება მიახლოებული სიდიდის, კარგად ცნობილი ფართო არჩევანის მქონე და გეოგრაფიულად გავრცელებული კონკურენტი არც *Nestle*-სთვის და არც *BSN*-ისათვის. მომდევნო ძირითადი კომპანია, რომელიც არც *Nestle*-სთან იქნება დაკავშირებული და არც *BSN*-თან, იქნება „სპა ბელგიაში“, მთლიანი გაყიდვებით, მოცულობით – 256,3 მილიონი ლიტრი ბოთლის წყალი ბელგიაში და ბრუნვით 1989 წელს – 8,05 მილიარდი *Bfrs* (ECU 185 მილიონი), რაც რამდენჯერმე მცირეა, ვიდრე *Nestle*-სა და *BSN*-ის ბრუნვა. გერმანული ბოთლის წყლის მწარმოებლებიც გაცილებით მცირე ზომისაა. *Apollinaris*-ის გაყიდვა გერმანიაში 1990 წელს გაუტოლდა დაახლოებით 345 მილიონ ლიტრს, *gerolsteiner Brunnen* (427 მილიონი ლიტრი) და *Mineralbrunnen UEberkingen* (490 მილიონი ლიტრი) ასევე არიან მნიშვნელოვნად მცირე ზომისა, *Nestle*-სა და *BSN*-თან შედარებით.

120. სამიდან ორ მომწოდებლამდე შემცირება (დეუპოლია) არ არის უბრალო კოსმეტიკური ცვლილება ბაზრის სტრუქტურაში. კონცენტრაცია მივა ბაზარზე იმ მთავარი მოქმედის აღმოფხვრამდე, რომელსაც აქვს ყველაზე დიდი შესაძლებლობა გაყიდვებისა და რეზერვების მოცულობაში. *Perrier*-ის რესურსები და ბრენდები განაწილდება დარჩენილ ორ მომწოდებელზე. დამატებით, სამიდან მხოლოდ ორ ადგილობრივ მომწოდებლამდე შემცირება შექმნის არაკონკურენტულ პარალელურ ქმედებას, რომელიც ბევრად უფრო მარტივად მიიყვანს დარჩენილ კონკურენტებს კოლექტიური დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან.

121. მინერალური წყლის მიმწოდებლებმა საფრანგეთში განავითარეს გამჭვირვალობის ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობდა ჩუმ კოორდინაციას საფასო პოლიტიკაზე. ბოთლის წყლის საცალო ფასი გამჭვირვალეა. მთავარი პროდუქტების შეფუთვა და პროდუქტის ზომა ბაზარზე ერთი და იგივეა. საცალო ფასები ადვილად შეიძლება შემოწმდეს, ხოლო სტატისტიკის მოწოდება რეგულარულად ხდება სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ.

დამატებით, *Perrier*, *Vittel* და *BSN* აქვეყნებენ ყველა სატარიფო ფასს, რომლებიც შედარებითია (ძველი მუშაობის, დამატებული გადასახადების, თითოეული ბოთლისა და ტრანსპორტის სხვადასხვა საშუალების). ეს საბაზო ფასები შეესაბამება მითითებას, რომლის საფუძველზეც საფასო პოლიტიკა შეიძლება კოორდინებულ იქნეს ჩუმად. სატარიფო ფასის განვითარება დროთა განმავლობაში (რეალურ დროში, მაგალითად, ზოგადი ინფლაცია არ არის ჩადებული) აჩვენებს ფასების პარალელიზმის მაღალ დონეს (იხ. დანართები 5-8 (12)).

122. კომპანიებმა განავითარეს ინსტრუმენტები, რომელთაც უფლება მისცეს, გაეკონტროლებინათ და მონიტორინგი გაეწიათ ერთმანეთის საქციელისათვის. ტარიფების ერთგვაროვნება და გამჭვირვალობა საშუალებას იძლევა, განხორციელდეს ორმხრივი მონიტორინგი კონკურენტების საფასო პოლიტიკაზე. დამატებით, *Perrier*-მა, *BSN*-მა და *Vittel*-მა მოახდინეს ყოველი თვის განმავლობაში გაყიდული ძირითადი ბრენდების პროდუქციის რაოდენობის თაობაზე ინფორმაციის რეგულარული გაცვლის მექანიზმების იმპლემენტაცია. ეს ყოველ მათგანს აძლევს შესაძლებლობას, მუდმივად, თვეების მიხედვით, თვალი ადევნონ ერთმანეთის ქმედებას და გაყიდვების მოცულობას. გარდა ამისა, ეს ასევე შესაძლებლობას მისცემს, დაუყოვნებლივ აღმოაჩინონ რაიმე სახის

დევიაცია რომელიმე ცალკეული დიდი ბრენდის მოსალოდნელი საქციელისაგან.

შერწყმის შემდეგ აღნიშნული ინსტრუმენტები შეიძლება გახდეს ნაკლებად განუყოფელი ბაზარზე მომწოდებლების შემცირებისა და თვითონ ბაზრის გაზრდილი გამჭვირვალობის გაზრდის გამო. ასევე საჭიროა დამახსოვრებულ იქნეს, რომ აღნიშნული მომწოდებლები მათი გაყიდვების დიდ ნაწილს ახორციელებენ ერთსა და იმავე მომხმარებელთან.

123. ორი მონაწილე, რომელნიც რჩებიან ბაზარზე, არის ერთი და იმავე ზომისა და ხასიათის. შერწყმის შემდეგ ბაზარზე დარჩება ორი ნაციონალური მომწოდებელი, რომელთაც ექნებათ მსგავსი შესაძლებლობები და ბაზრის ერთი და იგივე წილი (სიმეტრიული დუოპოლია)...

ბაზარზე არსებული ადეკვატური მნიშვნელობისა და მათი მაღალი მოცულობის გაყიდვების გამო, ნებისმიერ აგრესიულ კონკურენტულ ქმედებას ერთის მიერ, ექნება მნიშვნელოვანი გავლენა მეორე მომწოდებლის მოქმედებაზე და მეტად სავარაუდოა, მოახდენს ძლიერი რეაქციის პროვოცირებას, რასაც შედეგად მოჰყვება, რომ ასეთი საქციელი მნიშვნელოვნად დააზიანებს ორივე მომწოდებელს მათი მოგების მიღებისას გაყიდვების მოცულობის გაზრდის გარეშე. მათი ორმხრივი დამოკიდებულება ამდენად ქმნის ძლიერ საერთო ინტერესსა და მოტივს, მაქსიმალურად გაზარდონ მოგება ანტიკონკურენტულ პარალელურ საქმიანობაში ჩაბმის გზით. საერთო ინტერესების აღნიშნული მდგომარეობა შემდგომში გაძლიერებულია ფაქტით, რომ *Nestle* და *BSN* არიან ერთი ზომისა და ხასიათის, ორივე არის აქტიური საკვების ფართო ინდუსტრიაში და უკვე თანამშრომლობენ ამ ინდუსტრიის რამდენიმე სექტორში.

124. მოთხოვნა არის ფასის შესაბამისად არაელასტიკური: ფასები შეიძლება გაიზარდოს იმის შიშის გარეშე, რომ გაყიდვების მოცულობა შემცირდება.

მომხმარებლის მოტივაციის გამო, იყიდოს და მოიხმაროს მინერალური წყალი ყოველდღიურად, არ არსებობს მინერალური წყლის რეალური ჩამანაცვლებელი. ბრენდირებული წყლის არსებული იმიჯი და ბრენდის მიმართ ლოიალობა განსაზღვრავს მოთხოვნის ფასის არაელასტიკურობას. შესაბამისად, რეალური ფასის ზრდას აქვს პროპორციულად მცირე გავლენა მოთხოვნის რაოდენობაზე; ფასის ზრდა შედეგად მოიტანს მთლიანი გადასახადებისა და მოგების გაზრდას. ფასების გაზრდის მოტივაცია და შესაძლებლობა ამ ბაზარზე ერთდროულად, როგორც ჩანს, წარსულში უკვე კარგად იყო გაცნობიერებული კომპანიების მიერ (იხ. დანართი 13, რომელიც აჩვენებს ფასების განვითარებას ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, კერძოდ კი პარალელურ ფასებს). შეთავაზებული კონცენტრაცია ამარტივებს და აძლიერებს *Nestle*-სა და *BSN*-ის მიერ ასეთი სტრატეგიის ჩუმად მიღების ალბათობას. ორივე კომპანია იყოფს დიდხნიან საერთო გამოცდილებას საფრანგეთის ბოთლის წყლის ბაზარზე.

125. ღირებულება არის მსგავსი. სავარაუდოდ, არცერთი კომპანია არ სარგებლობს ღირებულების მნიშვნელოვანი უპირატესობით.

შეიძლება ვიდავოთ, რომ კომპანიებს, რომელთაც აქვთ განსხვავებული ხარჯები, აქვთ ძალიან განსხვავებული შეხედულება ფასებზე, იმ ბაზარზე, სადაც ფასების პოლიტიკაზე არსებობს ჩუმი კოორდინაცია, კომპანიებს შორის გამოხატული და სავალდებულო შეთანხმებების გარეშე, სადაც უპირატესი ფასების დადგენა არის ძალიან რთული. ხარჯებში მნიშვნელოვანი განსხვავებები გონივრულად არის მიჩნეული ელემენტად, რომელსაც შეუძლია, ხელი შეუშალოს ჩუმი პარალელური საქციელის იმპლემენტაციას.

აღნიშნული ელემენტი არ არის წარმოდგენილი ბაზარზე. დაუმუშავებელი მასალა (წყალი, როგორც წყარო) არის უფასო. წარმოების პროცესი, ძირითადად, შედგება ბოთლში ჩამოსხმისაგან, რაც არის კარგად დამუშავებული ტექნოლოგია, სადაც რთული იქნება მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური უპირატესობის მიღწევა. რესურსებიდან მიღებული წყლის ბოთლში მოთავსება და შედეგად მიღებული მრავალრიცხოვანება ბოთლის მასალისა, ამცირებს მასშტაბური ეკონომიის მოცულობას. დაბოლოს, *Nestle*-მ დაადასტურა, რომ სამი მთავარი მომწოდებლის ფასები არ იყო ძალიან განსხვავებული და კომისიისათვის მიწოდებული ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით ადასტურებდა ამ შეხედულებას.

126. ტექნოლოგია მომნიშვნელოვანია. R & D არ ასრულებენ მნიშვნელოვან როლს.

მხარეების საბაზო წარმოების პროცესი შედგება ბოთლში წყლის ჩამოსხმისგან, რაც არის კარგად დადგენილი ტექნოლოგია. *Nestle*-ს არ წარმოუდგენია რაიმე ინდიკატორი ამ მიმართულებით რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებების მოლოდინის თაობაზე. დამატებით, წყლის ბაზარზე პროდუქციის ინოვაციის მოცულობა შემცირებულია. წყლის ინდუსტრია არ შეიძლება მივიჩნიოთ როგორც კვლევაზე დაფუძნებული ინდუსტრია, სადაც ახალმა ტექნოლოგიურმა განვითარებამ სწრაფად უნდა აღმოფხვრას დაკავებული პოზიციები. კვლევისა და განვითარების ქმედებები ამ ბაზარზე, ფაქტობრივად, არის მცირე მნიშვნელობის. *Nestle*-ს მთლიანი დანახარჯი R & D-ში წყალთან დაკავშირებით (1,5% სექტორში მთელი წლის განმავლობაში მიღებული ბრუნვის), არის აღნიშნულის ნათელი ინდიკატორი. ეს მონაცემი უფრო დაბალია, ვიდრე საკვების სექტორში არსებული საშუალო დანახარჯი (იხ. შეტყობინების 33-ე გვერდი). ის ასევე შეიძლება შედარებულ იქნეს R & D-ს ტიპური ინოვაციური ინდუსტრიის მიმართ განსაზღვრული ბრუნვის 15-იდან 25%-თან.

127. შეტყობინებული მოქმედება, თავის მხრივ, ასუსტებს *Nestle*-სა და *BSN*-ს შორის კონკურენციის განვითარებას.

Nestle-მ და *BSN*-მა ერთად მოახდინეს ძლიერი რეაგირება გარე მოქმედის (*Ifint*) მიერ *Perrier*-ის შესყიდვის მცდელობაზე. ვინაიდან *BSN*-სა და *Vittel*-ს აქვთ *Perrier*-თან შედარებით უფრო პატარა სათადარიგო ადგილი, *Perrier*-ს მესამე მხარის მფლობელობაში, რომელიც მოდიოდა წყლის ბაზრის გარედან, შეიძლება ბაზარზე გამოენვია პრობლემები და ორჭოფობა. *Nestle*-სა და *BSN*-ის გაერთიანებული რეაქცია *Ifint*-ის მცდელობასთან დაკავშირებით შეიძლება დანახულ იქნეს როგორც გაერთიანებული ქმედება ბაზარზე შეღწევის დაბრკოლების მიმართ.

128. შესაბამისი შეთანხმება *Nestle*-სა და *BSN*-ს შორის *Perrier*-ის გაყოფასთან დაკავშირებით (*Volvic*-ის გაყიდვა), კიდევ უფრო ასუსტებდა კონკურენციის განვითარების ალბათობას *Nestle*-სა და *BSN*-ს შორის. კონკურენცია ორ მომწოდებელს შორის კიდევ უფრო შემცირდებოდა იმ ფაქტით, რომ *BSN*-ს ექნებოდა ორი ბრენდი (*Evian* და *Volvic*) დაბალი მინერალიზაციის დონით (ლიტრზე 500 მილიგრამზე ქვემოთ), მაშინ, როცა *Nestle*-ს მფლობელობაში ექნებოდა სამი ბრენდი (*Contrex*, *Vittel* და *Hepar*) მაღალი მინერალიზაციის დონით (ლიტრზე 500 მილიგრამზე ზევით). ბრენდების ასეთი დაყოფა გაზრდიდა პროდუქციის დიფერენციაციას ორ მომწოდებელს შორის, რაც მოიტანდა შემდგომში კონკურენციის კიდევ უფრო შესუსტებას, ხოლო მყიდველები გახდებოდნენ კიდევ უფრო მეტად დამოკიდებულები თითოეულ მომწოდებელზე. დაბოლოს, ბოლო მომხმარებლები დაიტანჯებიან კონკურენციის არარსებობით ამ ბაზარზე, მაღალი ფასების გამო.

129. გვერდითი ფირმები (ადგილობრივი წყაროს წყალი) ან ცალობით მოვაჭრეები არ შეესაბამებოდნენ არსებით კონკურენტულ შემზღუდავებს.

ადგილობრივი წყაროსა და მინერალური წყლები ძალიან მცირე ზომისაა და ბევრად უფრო უკან არიან, ვიდრე ნაციონალური წყლების მნიშვნელოვანი ალტერნატივაა. როგორც განხილულ იქნა 64-ე ნაწილში, ამ კომპანიებიდან არცერთი არ შეესაბამებოდა არსებითი ფასების შემზღუდავ კონკურენტულ ძალას, რომელსაც ექნებოდა შესაძლებლობა, შეესუსტებინა შესაძლებლობა, რომლის შეთავაზებასაც ახდენდნენ *BSN*-ისა და *Netsle*-ს გავლენის ქვეშ მოქცეული ბაზრით, ერთმანეთს შორის კონკურენტის არიდებით და შემოსავლის მაქსიმალური გაზრდით. იგივე შეესაბამება საცალო მოვაჭრეების შემსყიდველ ძალაუფლებას (იხ. 77-ე ნაწილი). ბაზარზე მოქმედ არცერთ აღნიშნულ ძალას წარსულში არ ჰქონდა შესაძლებლობა, თავიდან აერიდებინა რეალურ პირობებში მინერალური წყლების მომწოდებლების მიერ მათი ფასების პარალელურ რეჟიმში მუდმივი ზრდა.

130. ბაზარზე შესვლისათვის ბარიერები საკმაოდ მაღალია.

ბაზარზე შესვლის პირობები და პოტენციური კონკურენტის გავლენა ფრანგული წყლის ბაზარზე ზემოთ არის განხილული. არ შეიძლება გონივრულად ვიქონიოთ მოლოდინი, რომ რეალური შესვლა, ან სავარაუდო შესვლის მუქარა ზიანს მიაყენებს *Nestle*-სა და *BSN*-ს, ერთობლივად მომგებიანად გაზარდონ თავიანთი ფასები მომავალში.

დამატებით, შერწყმა, თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტად ზრდის ახალმოსულებთან დაკავშირებულ ასოცირებულ რისკებსა და სირთულეებს.

დასკვნა

131. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ბაზრის სტრუქტურა, რომელიც წარმოიშობა *Nestle*-სა და *Perrier*-ის შერწყმის საფუძველზე (რასაც მოჰყვება *Volvic*-ის წყაროს მიყიდვა *BSN*-ისათვის), შექმნის დუოპოლისტურ დომინანტურ მდგომარეობას საფრანგეთის ბოთლის წყლის ბაზარზე, რომელიც მნიშვნელოვნად შეზღუდავს ეფექტურ კონკურენტისა და, სავარაუდოდ, გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს მომხმარებლების მიმართ, მთლიანი ფრანგული წყლის ბაზრისა (9000 მილიონი წლის განმავლობაში) და ფრანგი მომხმარებლების მიერ შექმნილი წყლის გათვალისწინებით (შეესაბამება გაერთიანებაში ყველაზე მაღალი მოხმარების პროდუქტს), ბოთლის წყლის ფასის მხოლოდ ძალიან მცირე ოდენობით, მაგრამ მნიშვნელოვანი პროცენტით (მაგალითად 5-%) გაზრდა გამოიწვევს არსებით დანაკარგებს მომხმარებლებისათვის.

ბ) *BSN*-ისათვის *Volvic*-ის მიყიდვის გარეშე. ერთი ფირმის დომინანტობა

132. იმ შემთხვევაში, თუ *Volvic*-ის შეთანხმება არ იქნება იმპლემენტირებული, შეთავაზებული შერწყმა *Nestle*-სა და *Perrier*-ს შორის შექმნის დომინანტ მდგომარეობას ახალი უწყებისათვის, რომელსაც მისცემს ძალაუფლებას, მოიქცეს მნიშვნელოვან დონემდე დამოუკიდებლად თავისი კონკურენტების, კლიენტებისა და, შესაბამისად, მომხმარებლებისაგან.

133. ფაქტორები, რომლებმაც კომისია აღნიშნულ დასკვნამდე მიიყვანა, არის შემდეგი:

- ბაზრის მაღალი წილი ფრანგული ბოთლის წყლის ბაზარზე (დაახლოებით 60% ღირებულებით და 53% მოცულობით), რაც უფრო მეტია, ვიდრე შემდეგი კონკურენტის ბაზრის წილი ორჯერ გამრავლებული;

- უწყების კომბინირებული საერთო და თავისუფალი შესაძლებლობები, როგორც უგაზო, ისე გაზიანი წყლის ბაზარზე: აღნიშნული უნარები მრავალჯერ აღემატება შემდეგი ყველაზე დიდი კონკურენტის შესაძლებლობებს და ბევრად აღემატება მთლიანი წყლის ბაზრის მოცულობას;
- მინერალური წყლის რესურსის პორტფოლიოს ფლობა *Nestle/Perrier*-ის მიერ: რვა უგაზო მინერალური წყლის წყარო, რომელთაგანაც სამი არის ძირითადი წყარო (*Contrex, Volvic* და *Vittel*) და შვიდი გაზიანი მინერალური წყლის წყარო, რომელთაგანაც ორი არის ძირითადი წყარო (*Perrier* და *Saint-Yorre*); ეს შექმნის უდიდეს უპირატესობას *vis-a-vis* მისი კონკურენტების მიმართ;
- ახალ უწყებას ასევე ექნება წყაროს წყლის რესურსების მნიშვნელოვანი რაოდენობა;
- ნაციონალურ დონეზე იარსებებს კიდევ ერთი კონკურენტი *BSN*, მხოლოდ ერთი მთავარი უგაზო წყლის რესურსით (*Evian*) და ერთი დიდი გაზიანი მინერალური წყლის რესურსით (*Badoit*); *BSN*-ს აქვს უგაზო მინერალური წყლის რეზერვი, რომელიც მას მხოლოდ შეზღუდული მოცულობის ქმედების შესაძლებლობას უტოვებს *Nestle/Perrier*-ის მიმართ საშუალო და გრძელვადიან პერიოდებში. გაზიანი მინერალური წყლის სეგმენტში მისმა რესურსმა *Badoit*-მა მიაღწია სრულ შესაძლებლობას და, ამდენად, აღარ შეუძლია უპასუხოს გაზრდილ მოთხოვნას;
- კონკურენცია ადგილობრივი წყაროს წყლებიდან არასაკმარისი იქნება იმისათვის, რომ შეზღუდოს *Nestle/Perrier*-ის ქმედებების მოცულობა;
- საცალო და საბითუმო გამყიდველები კიდევ უფრო მეტად დამოკიდებულები გახდებიან ახალი უწყების კარგად ნაცნობ ბრენდებზე და, ამდენად, არცთუ ისე ეფექტურად შეზღუდავენ *Nestle/Perrier*-ის საბაზრო ძალაუფლებას;
- არ არსებობს ფასის შემზღუდავი პოტენციური კონკურენტის ნიშანი, რომელიც სწრაფად და ეფექტურად შევა ფრანგული წყლის ბაზარზე;

134. თუ *Evian*-ის შეზღუდული თავისუფალი შესაძლებლობის მიუხედავად *BSN* მაინც შეინარჩუნებს მოქმედების გარკვეულ მოცულობას, რათა კონკურენცია გაუწიოს *Nestle/Perrier*-ს, არ შეიძლება არსებობდეს იმის მოლოდინი, რომ *BSN* შეძლებს, ეფექტური კონკურენცია გაუწიოს *Nestle/Perrier*-ის, ვინაიდან ორივე მომწოდებელს აქვს ძლიერი საერთო ინტერესი და მოტივი, ერთად გაზარდონ მოგება.

უგაზო მინერალური წყლის სეგმენტში *BSN*-ს აქვს მხოლოდ ერთი დიდი ბრენდი, *Evian*, რომლის მეშვეობითაც ის ახდენს მიწოდებას როგორც საფრანგეთის, ასევე ექსპორტის ბაზარზე. ნაკლებ სავარაუდოა, რომ *BSN*-მა მიიღოს გადაწყვეტილება, გამოიყენოს მისთვის ხელმისაწვდომი შესაძლებლობები და *Nestle/Perrier*-ისგან წამოიღოს მნიშვნელოვანი მოცულობა, ვინაიდან მას ექნება სურვილი, მონაწილეობა მიიღოს მთლიანი მოთხოვნის გაზრდაში და ასევე შეინარჩუნოს, და თუ შესაძლებელი იქნება, გაზარდოს მისი ექსპორტი. შესაბამისად, წინასწარ შეიძლება განისაზღვროს, რომ *BSN*-ს არ შეეძლება, გაუწიოს ან არ გაუწევს ეფექტურ კონკურენციას *Nestle/Perrier*-ს.

დასკვნა

135. ზემოთ აღწერილი ყველა მიზეზის გამო, კომისია ასკვნის, რომ *Volvic*-ის *BSN*-ისათვის, მიყიდვით თუ მიყიდვის გარეშე, შეთავაზებული შერწყმა შექმნის დომინანტურ მდგომარეობას, რომლის შედეგადაც ეფექტური კონკურენცია იქნება მნიშვნელოვნად შეზღუდული საერთო ბაზრის არსებით ნაწილზე საბჭოს №4064/89 რეგულაციის მე-2

მუხლის მე-3 ნაწილის მნიშვნელობით.

საქმე *Volvo/Scania*³⁶⁸ (კომისიის გადაწყვეტილება):

IV. საერთო ბაზართან თავსებადობა

12. შეთავაზებული მოქმედება შეეხება ორ ძირითად სფეროს: სატვირთო მანქანებსა (კერძოდ, მძიმე სატვირთო მანქანებს) და ავტობუსებს (ქალაქის ავტობუსებს, ქალაქთაშორის ავტობუსებსა და ტურისტულ ეტლებს). გამოძიებამ დაადასტურა, რომ შეთავაზებული კონცენტრაცია არ გამოიწვევს დომინანტური მდგომარეობის შექმნას ან გაძლიერებას დიზელის ძრავის (ინდუსტრიული და საზღვაო) ბაზარზე. შესაბამისად, დიზელის ძრავის ბაზარი აღარ იქნება განხილული ამ გადაწყვეტილებაში.

(ი) სატვირთო მანქანები

შესაბამისი პროდუქციის ბაზარი

13. შეთავაზებული კონცენტრაცია შექმნის სატვირთო მანქანების ევროპის უდიდეს მწარმოებელს (16 ტონაზე მეტი).

14. შეტყობინების განმხორციელებელი მხარე ეყრდნობა კომისიის წინა გადაწყვეტილებას (საქმე № IV/M.004 Renault/Volvo) იმისათვის, რომ მოახდინოს სამი ბაზრის სეგმენტის იდენტიფიცირება, სატვირთო ავტომობილების ზრდადი წონის მიხედვით: მსუბუქი ავტომობილების სეგმენტი (5 ტონაზე მცირე წონის), საშუალო წონის სეგმენტი (5-16 ტონა) და მძიმე წონის სეგმენტი (16 ტონაზე მეტი).

მძიმე წონის სატვირთო ავტომობილები საშუალო წონისა და მსუბუქი წონის სატვირთო მანქანების წინააღმდეგ

15. კომისიის მიერ აღნიშნული მიმართულებით ჩატარებული ბაზრის გამოძიება ფართოდ ადასტურებს შეტყობინების წარმდგენი მხარის განცხადებებს. რა თქმა უნდა, როგორც კონკურენტებმა, ისე მათმა მომხმარებლებმა დაადასტურეს, რომ მე-14 პარაგრაფში გაკეთებული განსაზღვრება სწორია და შეესაბამება ინდუსტრიის სტანდარტებს. დამატებით, უამრავი ელემენტი ადასტურებს, რომ გაკეთებული განსხვავება მართებულია.

16. 16 ტონაზე მცირე და 16 ტონაზე მეტი წონის სატვირთო მანქანების ტექნიკური კონფიგურაცია არის ძალიან განსხვავებული, როდესაც ეს შეეხება ძირითად კომპონენტს, როგორცაა ძრავის ტიპი და ლერძების რაოდენობა. ზედა ზღვარის ტექნიკური ასპექტები მეტად დახვეწილია, გამძლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე (სიცოცხლის ხანგრძლივობა) და ვინაიდან მოქმედების ხარჯები უფრო მეტია, ვიდრე სხვა წონის ავტომობილების შემთხვევაში. 16 ტონაზე მეტი წონის სატვირთო მანქანა არის ავტომობილი, რომელიც გამოიყენება როგორც მნიშვნელოვანი წონის ტრანსპორტში. ტრანსპორტის სახე შეიძლება იყოს რეგიონული ან გრძელ მანძილზე გათვლილი.

17. დამატებით, სატვირთო მანქანების ბაზარზე განთავსებაზე გავლენას ახდენს აღნიშნული ტექნიკური განსხვავებები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მყიდველისათვის. ამიტომ ტექნიკური ზღვარი ორი პროდუქტის ჯგუფს შორის შეესაბამება კომერციულ განსხვავებას, რომელიც შესაძლებელს ხდის, განასხვავოს მომხმარებელთა ორი ჯგუფი. ზედა რიგის სატვირთო მანქანები, როგორც წესი, მომხმარებლების მიერ არ არის მიჩნეული ჩანაცვლებად ან ალტერნატიულად საშუალო ან დაბალ ზღავრს მიკუთვნებულ სატვირთო ავტომობილებთან. ამდენად, სატვირთო მანქანების სამი კატეგორია განეკუთვნება ცალკეულ შესაბამისი პროდუქტის ბაზარს.

³⁶⁸ Case No COMP/M. 1672 Volvo/Scania; Commission Decision of 14/03/2000.

18. ამასთან, აღნიშნული განსხვავება, როგორც ჩანს, ასახავს ფაქტს, რომ სხვადასხვა პროდუქციის ხაზი არის გამოყენებული სხვადასხვა სატვირთო კატეგორიის სატვირთო მანქანების წარმოებისათვის და რომ მწარმოებლებს შეუძლიათ მათი წარმოების კონცენტრაცია მოახდინონ ერთ ზღვარზე და საერთოდ არ იყვნენ, ან ძალიან სუსტად იყვნენ წარმოდგენილები წარმოების სხვა დონეზე (მაგალითად, იმდენად, რამდენადაც *Volvo* და *Scania* არიან ჩართულები: *Volvo* წარმოდგენილია 7-იდან 16 ტონამდე წონისა, მაშინ როცა *Scania*-ს საერთოდ არ აქვს წარმოება აღნიშნულ სეგმენტში. არცერთი მხარე არ აწარმოებს 7 ტონაზე ნაკლები წონის სატვირთო მანქანებს. ორივე მხარე აქტიურია 16 ტონაზე მეტი წონის მქონე სატვირთო ავტომობილების ბაზარზე).

მძიმე წონის სატვირთო ავტომობილები (16 ტონაზე მეტი)

***Volvo*-ს მიერ შეტყობინებაში მოწოდებული ინფორმაცია**

19. ვინაიდან შეთავაზებული ტრანზაქცია უფრო მეტად შეეხება 16 ტონაზე მეტი წონის სატვირთო მანქანების ბაზრის სეგმენტს, ან მძიმე სატვირთო მანქანებს, წინამდებარე შეფასება ფოკუსირებას მოახდენს ბაზრის ამ კონკრეტულ სეგმენტზე.

20. შეტყობინებაში *Volvo*-მ მიუთითა, რომ მძიმე სატვირთო მანქანებისათვის, ზოგადად, არსებობს კატეგორიების ორი მოდელი: გრძელი წევისა და რეგიონული/ადგილობრივი. როგორც ჩანს, *Volvo* უთითებს: 16 ტონაზე მეტი წონის სატვირთო მანქანების შასი, არსებითად, ერთი და იგივეა ყველა მოდელისათვის. დიფერენციაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონფიგურაცია სპეციფიკური გამოყენებისათვის არის განსხვავებული (მაგალითად, ცემენტის მძღვეები, ქალაქის მომარაგების, გრძელი წევის ტრანსპორტი).

21. ამ კატეგორიებთან დამატებით, *Volvo* აღნიშნავს, შვედეთსა და ფინეთში გრძელი სატვირთო მანქანები (25.25 მეტრი) უფრო მაღალი, მაქსიმალური დატვირთვის შესაძლებლობებით (60 ტონა) უფრო ფართოდ გამოიყენება. სატვირთო მანქანების ეს სპეციფიკური ტიპი სხვა წევრ სახელმწიფოებში არ არის დაშვებული

22. შემტყობინებელი მხარე ამტკიცებს, რომ ნებისმიერი დიდი სატვირთო მანქანების მწარმოებელი იქნება ისეთ მდგომარეობაში, რომ მარტივად მოახდინოს მისი ერთ-ერთი სტანდარტის მოდიფიცირება განსაკუთრებული გამოყენებისათვის (მაგალითად: გრძელი სატვირთო მანქანები, რომლებიც გამოიყენება შვედეთსა და ფინეთში).

23. ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე *Volvo* აკეთებს დასკვნას, რომ 16 ტონაზე მეტი წონის სატვირთო მანქანები შეესაბამება იმავე პროდუქციის შესაბამის ბაზარს.

ბაზრის გამოძიების შედეგები

24. წინამდებარე საქმეში ჩატარებულმა ბაზრის გაფართოებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მომხმარებლის თვალთახედვიდან რეალობა საკმაოდ კომპლექსურია. კერძოდ, ბაზრის კვლევამ გამოავლინა, რომ არსებობს კრიტერიუმების გარკვეული რაოდენობა, რაც რელევანტურია მოცემული მძიმე სატვირთო მანქანის შერჩევისას, მეორესთან შედარებით.

25. ზოგადი კატეგორიის „მძიმე დატვირთვის სატვირთო მანქანებს“ შორის ძირითადი განსხვავება შეიძლება გავლენიანი იყოს, ერთი მხრივ, ეგრეთ წოდებულ „ხისტ სატვირთო მანქანებსა“ და, მეორე მხრივ, „მძიმე სატვირთო მანქანებს – ტრაქტორებს“ შორის. ხისტი სატვირთო მანქანები არის ინტეგრირებული სატვირთო მანქანები იმის გათვალისწინებით, რომ ისინი შეესაბამებიან ერთ ორგანოს, რომელსაც უნდა გამოაკლდეს ნახევრად ტრაილერი. „მძიმე სატვირთო მანქანები – ტრაქტორები“, მეორე მხრივ,

არის ადვილად განცალკევებადი, იმის გათვალისწინებით, რომ ნახევრად ტრაილერი ემატება კაბინის უკანა მხარის დასანყისს. მათი სატრანსპორტო საჭიროებებისა და პიროვნული პრეფერენსების საფუძველზე მომხმარებელი აირჩევს ან ტრაქტორს, ან ხისტ სატვირთო მანქანას. ფაქტიდან გამომდინარე, მომხმარებლის გეოგრაფიული მდებარეობა ძლიერ გავლენას მოახდენს მის არჩევანზე ტრაქტორის ტიპისა თუ ხისტი სატვირთო ავტომობილის არჩევისას. როგორც იქნება მითითებული 52-ე პარაგრაფში, ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში მყოფი მომხმარებლები, როგორც წესი, ყიდულობენ ხისტ მძიმე სატვირთო მანქანებს. არსებობს რამდენიმე ინდიკატორი, რომ მოთხოვნის გათვალისწინებით, ხისტი მანქანები და ტრაქტორები არ შეიძლება იყვნენ სრულად ჩანაცვლებადი. როგორც ჩანს, აღნიშნული შეკითხვა ღიად უნდა დარჩეს, ვინაიდან ის არსებით გავლენას არ ახდენს შეტყობინებულ კონცენტრაციის შეფასებებზე.

26. აღნიშნული საბაზისო განსაზღვრების მიღმა, ბაზარზე ჩატარებულმა გამოძიებამ გამოავლინა, რომ არსებობს სამი ძირითადი კრიტერიუმი, რომელთა მიხედვითაც მომხმარებლები საყიდლად ირჩევენ კონკრეტულ მძიმე სატვირთო მანქანას (გამოიყენება როგორც ხისტი, ისე ტრაქტორების მიმართ). პირველი კრიტერიუმი დაკავშირებულია ძრავასთან, კერძოდ, მის ძალასთან (hp). ძრავის ძალა მნიშვნელოვანია, გადასაზიდი სიმძიმისა და გამოსაყენებელი გეოგრაფიული ადგილის ტოპოგრაფიიდან გამომდინარე; მეორე კრიტერიუმი არის ლერძების რაოდენობა, რომლისგანაც შედგება სატვირთო მანქანები. გამოძიების მიხედვით, არსებობს ლერძების სტანდარტული კომბინაცია (4X2), რაც არის ყველაზე ფართოდ გავრცელებული კომბინაცია ევროპაში. სხვა კომბინაციები, რომლებიც შედგება ლერძების უფრო მაღალი რაოდენობისაგან (მაგალითად: 6X2 და 6X4) უფრო მეტად მიმართულია, რათა მოახდინოს მომხმარებლების სპეციფიკური მოთხოვნის დაკმაყოფილება, რომლებიც სანაცვლოდ, სულ მცირე, ნაწილობრივ არიან დაკავშირებული ტოპოგრაფიასთან და ამინდის განსაზღვრასთან; მესამე კრიტერიუმი დაკავშირებულია სატვირთო მანქანების კაბინასთან, რომელიც შეიძლება იყოს დაბალი, მაღალი ან ძალიან მაღალი, მოთხოვნილი კომფორტის გათვალისწინებით.

27. არჩევანის საკმაოდ არსებითი რაოდენობა არჩეული იქნება მომხმარებლის მიერ მისი სპეციფიკური საჭიროებებისა და ჩართული ტრანსპორტის ტიპის გათვალისწინებით. თუმცა, ზოგადად, ყველა მძიმე სატვირთო მანქანის მწარმოებელს შეუძლია შესთავაზოს სატვირთო მანქანა, რომელიც მოიცავს ნებისმიერ ძირითად ელემენტს, რომლებიც განმსაზღვრელია მომხმარებლის თვალთახედვიდან, ისევე, როგორც მწარმოებლის თვალთახედვიდან (მაგალითად, როდესაც ხდება გადანყვეტილების მიღება, შესთავაზონ თუ არა სატვირთო მანქანისათვის ისეთი ფასი, რომელიც შედარებადი იქნება მისი კონკურენტი მწარმოებლის მიერ შეთავაზებულ ფასთან).

28. ამასთან, სპეციფიკური მომხმარებლების მოთხოვნილებებისა და გამოსაყენებელი სპეციფიკური ნაციონალური რეგულაციების გათვალისწინებით, მომხმარებელს შეეძლება შევადგოს და ფინეთში შეიძინოს უფრო გრძელი სატვირთო მანქანა (25.25 მეტრი) ყველაზე მაღალი ტვირთწონის შესაძლებლობით (60 ტონა).

29. მიწოდების თვალსაზრისით, გამოჩნდება, რომ ნებისმიერი მსხვილი ევროპული სატვირთო მანქანების მწარმოებელი არის იმ მდგომარეობაში, რომ მოახდინოს სხვადასხვა ტიპის მძიმე სატვირთო მანქანების სრული არჩევანის შეთავაზება. იმისათვის, რომ მოახდინონ სპეციფიკური სატვირთო მანქანების შეთავაზება ცენტრალური ევროპის ტერიტორიაზე, მწარმოებლებს დასჭირდებათ დამატებითი ხარჯების გაღება. ღირებულება შემდეგ უნდა შედარდეს განსახილველი ბაზრის მიმზიდველობას. თუმცა, პროდუქციის ბაზრის საკითხისადმი სპეციფიკური მითითების საფუძველზე, განხილულ

იქნა, რომ ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მძიმე სატვირთო მანქანების ერთი ტიპის წარმოებიდან მერე ტიპზე გადასვლით, არ მიიჩნევა არსებითად. შესაბამისად, განხილულ იქნა, რომ მძიმე სატვირთო მანქანების სხვადასხვა ტიპი არ შეესაბამება ცალკეული პროდუქციის ბაზარს.

30. ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ მძიმე სატვირთო მანქანების კატეგორია (16 ტონაზე მეტი) ამ შეფასების მიზნებისათვის შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც ერთიანი შესაბამისი პროდუქცია ბაზარი.

შესაბამისი გეოგრაფიული ბაზარი

31. წინა საქმეში კომისიამ მიუთითა, რომ „აუცილებელი არ არის, განისაზღვროს, არის თუ არა სატვირთო მანქანებისათვის არსებული გეოგრაფიული ბაზარი გაერთიანების ბაზარი, თუ ისევე შედგება სხვადასხვა ნაციონალური ბაზრისაგან“, ვინაიდან შეკითხვა არ იყო არსებითი აღნიშნული სპეციფიკური საქმისათვის. გამოძიება ამ საქმეში ფოკუსირებული იყო ჩრდილოეთ ევროპაზე, კერძოდ სკანდინავიის ოთხ ქვეყანასა (დანია, ფინეთი, ნორვეგია, შვედეთი) და ირლანდიაზე. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნაციონალური ბაზრის განსაზღვრისას მოქმედებას არ მიეყვართ გაერთიანების სხვა ტერიტორიაზე დომინანტური მდგომარეობის წარმოქმნისაკენ, საჭირო აღარ არის განისაზღვროს გეოგრაფიული ბაზრის ზუსტი მოცულობა სკანდინავიის ქვეყნებისა და ირლანდიის მიღმა.

32. გამოძიებამ, როგორც ჩანს, აჩვენა, რომ აღნიშნული ხუთი ქვეყნისთვის მძიმე სატვირთო მანქანების შესაბამისი გეოგრაფიული ბაზარი ისევე ნაციონალიზებულია თავისი მოცულობით. აღნიშნული დასკვნის მიზეზები განმარტებული იქნება ქვემოთ; სანყისი წერტილი იქნება *Volvo*-ს მიერ შეტყობინებაში ჩადებული არგუმენტები.

კომისიის მიერ შესაბამისი გეოგრაფიული ბაზრის შეფასება

37. თავის პასუხში *Volvo* წარადგენს უამრავ ახალ არგუმენტს საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად, გეოგრაფიული ბაზრის მოცულობასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც პასუხიდან ჩანს, კომპანია აღარ მიიჩნევს თავის შეტყობინებაში მითითებულ არასაფასო ფაქტორებს საჭიროდ გეოგრაფიული ბაზრის განსაზღვრისათვის, ეს ფაქტორები მაინც შეფასებულია, ვინაიდან ისინი საჭირო ელემენტებია საერთო ბაზრის განსაზღვრის შეფასებისას. მიდგომის ძირითადი შეცვლა ისაა, რომ *Volvo*-ს ახლა სჯერა, შეფასების უპირატესი ფოკუსი უნდა იყოს მიმწოდებლის შესაძლებლობა, მოახდინოს ფასების დისკრიმინაცია ბაზარზე. პასუხში ჩამოყალიბებული მტკიცების სანინააღმდეგოდ, კომისიისათვის ხელმისაწვდომი მტკიცებულება აჩვენებს, რომ *Volvo* და მძიმე სატვირთო მანქანების სხვა მომწოდებლები იყენებდნენ საგრძნობად განსხვავებულ ფასებსა და საზღვრებს შედარებითი პროდუქციისათვის სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში. ეს ისევე, როგორც შესაბამისი არასაფასო მტკიცებულება, რომელიც აჩვენებს, რომ კონკურენციის პირობები მძიმე სატვირთო მანქანების ბაზარზე განსხვავებულია წევრი სახელმწიფოების მიხედვით, განხილულია მომდევნო პარაგრაფებში.

(...)

მომხმარებლის უპირატესობა

50. ბაზრის გამოძიებიდან აშკარაა, თუმცა სატვირთო მანქანების მწარმოებლები არიან ისეთ მდგომარეობაში, რომ მოახდინონ სატვირთო მანქანების სხვადასხვა მოდელის მიწოდება (მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ წევრ სახელმწიფოში მოქმედ სპეციფიკურ რეგულაციებთან ადაპტაცია ნამდვილად დამატებითი ხარჯია, რომელიც შეე-

საბამება გარკვეულ ბაზარზე შეღწევის მოტივაციის არარსებობას), მომხმარებლების მოთხოვნები იმგვარია, რომ სატვირთო მანქანების მოდელები და ტექნიკური კონფიგურაციები, რომლებიც იყიდება სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში, მნიშვნელოვნად განსხვავებულია.

51. ეს დასკვნა დამტკიცებულია სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში, სატვირთო მანქანების მთავარი მწარმოებლების მიერ ყველაზე მეტად გაყიდვადი სატვირთო მანქანების მოდელების მაგალითზე. ვიდრე განხილულია, რომ მნიშვნელოვანი განსხვავებები წარმოიქმნება თუნდაც სხვადასხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე გაყიდული მძიმე სატვირთო მანქანების ძირითად მახასიათებლებში (მაშინაც კი, როცა ერთი და იმავე მწარმოებლების მოდელები არის შედარებადი), ეს განსხვავებები მნიშვნელოვნად ნაკლებად არის აღნიშნული, თუ ერთმანეთს შევადარებთ სხვადასხვა სატვირთო მანქანის მწარმოებელთა ყველაზე კარგად გაყიდვად მოდელებს ერთი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.
(...)

53. (...) ძირითად მახასიათებელთა ტიპები, რომლებიც მიჩნეულია მძიმე სატვირთო მანქანების მთავარ ელემენტებად, საჭიროა შეიცვალოს წევრი სახელმწიფოების მიხედვით, სადაც ხდება სატვირთო მანქანების გაყიდვა. მომხმარებლებს ფინეთში, საბერძნეთში, ნორვეგიასა და შვედეთში აქვთ ძლიერი უპირატესობის განცდა ხისტი სატვირთო მანქანების მიმართ, სხვა სახელმწიფოში მყოფ მომხმარებლებთან შედარებით. იმავდროულად, მომხმარებლები ავსტრიაში, ფინეთში, საბერძნეთსა და ნორვეგიაში მოითხოვენ უფრო დიდ და ძლიერ ძრავებს, მაშინ, როცა მომხმარებლები გაერთიანებულ სამეფოში მოითხოვენ უფრო პატარა ძრავას. მსგავსი განსხვავებებია ლერძის კონფიგურაციის შემთხვევაშიც. დაბოლოს, კაბინის კომფორტის დონე უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანია ფინეთში, საფრანგეთში, გაერთიანებულ სამეფოში, იტალიაში, ნორვეგიაში, პორტუგალიასა და შვედეთში. გარდა ამისა, სკანდინავიის ქვეყნების გათვალისწინებით, აშკარაა, რომ მოთხოვნილი საბაზისო სპეციფიკაციები არსებითად განსხვავდება, არა მარტო, თუ მათი შედარება მოხდება სხვა წევრ სახელმწიფოებში არსებულ მოთხოვნებთან, არამედ სკანდინავიის სახელმწიფოებთან შედარებითაც, სადაც დანიელი მომხმარებლები უპირატესობას ანიჭებენ ტრაქტორის სტილის ავტომობილებს, მაშინ, როცა დანარჩენ სამ სახელმწიფოში მყოფი მომხმარებლები უპირატესობას ანიჭებენ ხისტ ტრანსპორტს საკაბინე კომფორტის ნაკლები მოთხოვნით. ამასთან, ნორვეგიელი მომხმარებლები და ფინელები მოითხოვენ უფრო მძლავრ ძრავას, ვიდრე შვედეთსა და დანიაში მცხოვრები მომხმარებლები.

54. არსებით მახასიათებლებს შორის არსებულ განსხვავებებთან მიმართებით, დამატებით, გამომდინარეობს, რომ მომხმარებლების მოთხოვნები შეიძლება იცვლებოდეს სხვადასხვა არჩევანის მიხედვით, რაც შეიძლება გამოიყენებოდეს მძიმე სატვირთო მანქანების მოდელთა მიმართ (მაგალითად, სიჩქარეთა კოლოფი და ძრავის ცილინდრების რაოდენობა).

55. გამომდინარეობს, რომ სკანდინავიის სამი სახელმწიფოს მომხმარებლები (ნორვეგია, ფინეთი და შვედეთი), როგორც წესი, ყიდულობენ ხისტი ტიპის (ინტეგრირებულ) მძიმე სატვირთო მანქანებს, რომლებსაც ძრავა აქვთ უფრო მძლავრი და ლერძების რაოდენობაც უფრო მეტია, ვიდრე სხვა წევრ სახელმწიფოებში გაყიდულს. ეს შესყიდვითი საქციელი დაკავშირებულია ტოპოგრაფიასა და კლიმატურ პირობებთან, რომელიც არსებობს სამივე ქვეყანაში, ისევე როგორც სპეციალურ რეგულაციებთან, რომლებიც განსაზღვრავს ნებადართულ ტონაჟს. აღნიშნული პირობების გათვალისწინებით, სატვირთო მანქანების გამომყენებლებს მოუწევთ ისეთი მანქანების გამოყ-

ენება, რომლებიც რეალურად შეძლებენ მოთხოვნილი მომსახურების მიწოდებას.

ტექნიკური მოთხოვნები იცვლება წვერი სახელმწიფოების მიხედვით

56. ბაზრის გამოკვლევამ გამოავლინა, რომ მიუხედავად ევროპულ დონეზე მიღწეული ჰარმონიზაციის გარკვეული დონისა (კერძოდ კი საბჭოს დირექტივა 85/3/EEC, რომელიც ჰარმონიზაციას უკეთებდა კავშირის ფარგლებში საერთაშორისო ტრანსპორტის წონასა და ზომებს), ისევ არსებობს გარკვეული რაოდენობის ტექნიკური მოთხოვნები მძიმე სატვირთო მანქანების მიმართ, რომელიც განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. ეს დასკვნა მოქმედებს გაერთიანებულ სამეფოში, ირლანდიასა და სკანდინავიის რამდენიმე ქვეყანაში. იმდენად, რამდენადაც გაერთიანებული სამეფო და ირლანდია არიან ჩართულები, ფაქტი, რომ ყველა სატრანსპორტო საშუალება ადაპტირებული უნდა იყოს მარჯვნივ მოძრაობაზე, მკაცრად ზღუდავს კონტინენტური ევროპისათვის გათვლილი ტრანსპორტის იმპორტირების შესაძლებლობას. ამასთან, კომისიის ყურადღება მიმართული იყო იმ ფაქტისკენ, რომ ერთი და იმავე მოდელის ავტომობილების სპეციფიკაცია, რაც მოქმედებს ირლანდიაში, განსხვავდება გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე არსებული მოთხოვნებისაგან. რა თქმა უნდა, *Scania*, *Volvo* და *Iveco* – ყველა აწარმოებს მძიმე სპეციფიკაციებს (საფეხურების მექანიზმებს, სამგზავრო ხაზებს, შეჩერებას, საბურავებსა და პლაცდარმებს) ირლანდიის ბაზარზე, ქვეყანაში არსებული გზების მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით. სკანდინავიის ზოგიერთი ქვეყნისათვის, როგორც აღინიშნა, მთელი ავტომობილის ტიპის მოწოდება (მაგალითად, ტექნიკური რეგულაციების სრული ჰარმონიზაცია) მძიმე სატვირთო მანქანების სექტორში არ იგეგმება მომავალი 2-3 წლის განმავლობაში. განსხვავებული რეგულაციები ისევ გამოიყენება, მაგალითად, შვედეთსა და ფინეთში, ვინაიდან მოიცავს ნებადართულ მთლიან სატრანსპორტო ტონაჟსა და სატვირთო მანქანის მაქსიმალურ სიგრძეს. უფრო მაღალი ტონაჟი და უფრო გრძელი სატვირთო მანქანები ევროპის დანარჩენი ქვეყნებისაგან განსხვავებით, ნებადართულია აღნიშნულ ორ ქვეყანაში (60 ტონა და 25-25 მეტრი). ეს, ზოგადად, *Volvo*-სა და *Scania*-ს აძლევს უპირატესობას, ვინაიდან მათი სატვირთო მანქანები ტრადიციულად იწარმოება უფრო გრძელი და მძიმე სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნათა თანხვედრისათვის (მაგალითად, ძრავა და ღერძების კონფიგურაცია).

57. შვედეთში ასევე არსებობს სპეციფიკური მარეგულირებელი ბარიერი ბაზარზე შესაღწევად. შვედეთის სამართლის მიხედვით, მოითხოვება განსაკუთრებული დამტკიცება, რომელიც ცნობილია „კაბინის ავარიის ტესტის“ სახელით. კონკურენტმა აღნიშნული ტესტის შედეგი კომისიას აუხსნა შემდეგი გზით: „ტექნიკური ბარიერი შვედეთის ბაზარზე შელწვევისათვის არის უკვე ნახსენები შვედეთის კაბინის ტესტი. ამან სხვა მეთოდებს შორის ეფექტურად შეაჩერა (კონკურენტის სახელი) გაყიდვისაგან მისი ყველაზე მეტად გაყიდვადი მოდელი (მოდელის სახელი) და მნიშვნელოვანი მოდელების მთელი რიგი. აღნიშნული მოდელები მოწოდებულია ევროპაში გაყიდვისათვის და, ფაქტობრივად, ყველგან იყიდება დიდი ოდენობით. ტესტის ჩაბარების ხარჯები აღემატება იმ მოგებას, რაც შეიძლება მიღებულ იქნეს დამატებითი გაყიდვებიდან არსებული ქსელის მეშვეობით“. ზეპირი მოსმენის დროს *Volvo*-მ დაადასტურა, რომ კაბინის ავარიის ტესტი შეესაბამება შელწვევის ბარიერს სატვირთო მანქანების არაშვედური მწარმოებლებისათვის. *Volvo*-მ შეაფასა, რომ *Daimler Chrysler*-მა გერმანიაში თავის მომხმარებლებს, რომელთაც სურდათ შვედური მოთხოვნების შესაბამისი კაბინის უსაფრთხოება, დამატებით მოსთხოვა 7.850 DM.

შესყიდვა ხდება ნაციონალურ საფუძველზე

58. სატვირთო მანქანების ბაზრის ზემოთ აღწერილი სპეციფიკურობიდან, რაც დაკავშირებულია მომხმარებლების მიერ გამოხატულ უპირატესობასთან, ტექნიკურ მოთხოვნებთან და ფასებს შორის არსებულ განსხვავებებსა და დილერების მხარდაჭერასთან, გასაკვირი არ არის, როგორც ბაზარზე ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ მძიმე სატვირთო მანქანების მყიდველები ძალიან იშვიათად უკავშირდებიან დილერებს, რომლებიც დაფუძნებული არიან და მოქმედებენ მათი ქვეყნის გარეთ. მაშინაც კი, როცა მყიდველი არის ეგრეთ წოდებული „სწრაფწარმავალი მომხმარებელი“ საერთაშორისო სატრანსპორტო აქტივობებითა და მოქმედებით, რაც ხდება სხვადასხვა ქვეყანაში, ბაზრის გამოკვლევამ გამოავლინა, რომ სატვირთო მანქანები იყიდება ნაციონალურად და ყიდვის გადაწყვეტილებები მიიღება დილერების დახმარებისა და იმ კონკრეტულ ქვეყანაში არსებული ფასების საფუძველზე. აღნიშნული *a fortiori* სიმართლეა, როდესაც მომხმარებელი არის მცირედან საშუალო ზომის სატრანსპორტო კომპანიამდე. როგორც ფაქტი, სკანდინავიის ქვეყნებში მძიმე სატვირთო მანქანების მყიდველები არიან მცირე და საშუალო ზომის კომპანიები, რომლებიც ყიდულობენ ადგილობრივად და არ ფიქრობენ, მიიღონ სარგებელი განსხვავებული ფასებისაგან, გაყიდვის შემდგომი საჭიროებისა და მომსახურების გათვალისწინებით, ვინაიდან მხედველობაში იღებენ კერძო პირების მიერ იმპორტირებული მეორადი სატვირთო მანქანების შემცირებული ღირებულებასთან დაკავშირებულ რისკს და ტექნიკურ მახასიათებლებს, რაც მოქმედებს სხვა წევრ სახელმწიფოებში.

59. ამას გარდა, დიდი ხანია, კომისიის ყურადღება გამახვილდა იმ ფაქტზე, რომ დილერები ახალი სატვირთო მანქანების გაყიდვას უყურებენ როგორც მომავალი შემოსავლის წყაროს მომსახურებისა და ნაწილების გაყიდვიდან, რომელზეც დილერს, როგორც წესი, აქვს მაღალი ზღვარი, ვიდრე ახალი სატვირთო მანქანის გაყიდვაზე. Volvo-ს მიერ წარდგენილი მონაცემები ადასტურებს, რომ დილერის მოგების დიდი ნაწილი მოდის მომსახურებიდან და ნაწილების გაყიდვიდან. შესაბამისად, დილერი, რომელმაც იცის, რომ სატვირთო მანქანის მიყიდვა კონკრეტული მომხმარებლისათვის არ გამოიწვევს გაყიდვის შემდგომ შემოსავალს, ნაკლებად მოტივირებული იქნება, ასეთ მომხმარებელს შესთავაზოს მიმზიდველი ფასი. აქედან გამომდინარე, მომხმარებლებმა, რომლებიც ცდილობენ, დამოუკიდებლად მოახდინონ სატვირთო მანქანების იმპორტი სხვა წევრი სახელმწიფოებიდან (მაგალითად დანიელი სატვირთო მანქანების მომხმარებლები სურვილს გამოთქვამენ, მანქანები შეიძინონ გერმანიაში), შეიძლება აღმოაჩინონ, რომ მათ მოუწევთ უფრო მეტი საფასურის გადახდა, ვიდრე იმ კონკრეტულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მომხმარებლებს. ასევე კომისიამ ყურადღება გაამახვილა, რომ სხვადასხვა პრობლემა (მომსახურება, გარანტიები და ა.შ.), რაც მეზობელი ქვეყნებიდან კერძოდ განხორციელებულ იმპორტს მოჰყვებოდა, იყო ის, რომ მეზობელ ქვეყანაში შესყიდვისას ფასის განსხვავება შეადგენდა მაქსიმუმ 10%-ს, რაც მეზობელი ქვეყნისათვის იყო მომგებიანი და ესეც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლები ყიდულობდნენ სატვირთო მანქანების გარკვეულ რაოდენობას.

60. შემდეგი საკითხი, რომელიც გავლენას ახდენს იმაზე, თუ რამდენად მიიჩნევენ სატვირთო მანქანის მომხმარებელი მიმზიდველად კერძოდ განხორციელებულ იმპორტს, ან პარალელური იმპორტიორისაგან შესყიდვას, არის ნაწილობრივ ან სრულად ანაზღაურების შესაძლებლობა სატვირთო მანქანებთან დაკავშირებული პრობლემებისათვის მას შემდეგ, რაც ამოიწურება საგარანტიო ვადა. გადაწყვეტილებას ასეთი ანაზღაურების განწევაზე, ჩვეულებრივ, იღებს იმპორტიორი, რომელსაც ძალიან მცირე მოტივი აქვს იმისათვის, რომ გასცეს ასეთი ანაზღაურება სატვირთო მანქანისათვის, რომელიც არ არის იმპორტირებული ოფიციალური იმპორტიორის მიერ.

დისტრიბუციისა და მომსახურების ქსელი

61. ბაზრის გამოკვლევამ გამოავლინა კიდევ ერთი საკითხი, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, როდესაც ხდება შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული ზომების განსაზღვრა. მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე მოქმედი ზოგიერთი მძიმე სატვირთო მანქანის ბაზარს მოიხსენიებენ როგორც „ევროპულ ბაზარს“, ისინი უცვლელად მიუთითებენ, რომ მთავარი ფაქტორი სატვირთო მანქანების შესყიდვისას არის გაყიდვის შემდგომი ქსელი (შენახვა, ორდინარული თუ არაორდინარული, ისევე, როგორც ნაწილების მიწოდება), რაც შეიძლება შეთავაზებული იყოს ამ სატვირთო მანქანების მწარმოებლების მიერ. სატვირთო მანქანების მომხმარებელთა პასუხები უცვლელად მიუთითებს, რომ კარგად გავრცელებული გაყიდვის შემდგომი და შემნახავი მომსახურება არსებითია სატვირთო მანქანების გამოყენებისათვის. როგორც ფაქტი, ბაზრის გამოძიებამ ნათელი გახადა, რომ სატვირთო მანქანის გამოყენების გადამწყვეტილება, შეიძინოს გარკვეული ტიპის სატვირთო ავტომობილი, დამოკიდებულია გარკვეული რაოდენობის ცვლილებაზე, რომელთაგანაც თითოეული არის არსებითი ყიდვის გადამწყვეტილებისათვის: ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია: ფასი, ყიდვისშემდეგი მომსახურება, მეორადი ღირებულება და გარანტიის პირობები (ყველა ეს ელემენტი აისახება ბრენდის სახელში, როგორც ამას ვნახავთ მოგვიანებით). შესაბამისად, სატვირთო მანქანის მწარმოებლის შერჩევა, რაც დაკავშირებულია სატვირთო მანქანის გარკვეული ბრენდის შესყიდვასთან, არსებითად დამოკიდებულია განსაკუთრებული სატვირთო მანქანის მწარმოებლის შესაძლებლობაზე, შესთავაზოს ეფექტური გაყიდვისშემდგომი დახმარება. აღნიშნულ კავშირს სატვირთო მანქანების მომწოდებლის სურვილსა და მისთვის ხელმისაწვდომ გაყიდვისშემდგომი მომსახურების ქსელს შორის, შეუძლია ახსნას, მომხმარებელთა უმეტესობა თუ რატომ (მიუხედავად იმისა, რომ *Volvo*-ს სახელის მიხედვით ისინი არიან „პროფესიონალი მყიდველები“) არ იყენებს ფასებს შორის არსებულ განსხვავებას საკუთარი სარგებლისათვის. იმავე მიზეზის გამო, სავარაუდოდ, შუამავლებისათვის საკმაოდ რთული იქნება, დააჯერონ სატვირთო მანქანების მომხმარებლები გარკვეულ ქვეყნებში, შეიძინონ პარალელურად იმპორტირებული ავტომობილები. უნდა აღინიშნოს, რომ, თუმცა მწარმოებლების მიერ შეთავაზებული გარანტიები, როგორც წესი, მოქმედებს მთლიანად ევროპის ფარგლებში, ეს ფარავს მხოლოდ სანარმოო დეფექტებს. ავტომობილის ნორმალური შენახვა და მომსახურება არ არის დაფარული გარანტიით, მაგრამ, როგორც წესი, ხდება ადგილზე, ხშირად მომსახურების კონტრაქტზე დაყრდნობით იმ დილერთან, რომელმაც გაყიდა ავტომობილი.

62. როგორც შემდგომში იქნება განხილული შეფასებაში, განსაკუთრებით სკანდინავიის ყველა ქვეყანაში, სიტუაცია ისეთია, რომ სხვა ევროპული სატვირთო მანქანების კომპანიებს აქვთ მნიშვნელოვნად პატარა და ნაკლებად გავრცელებული გაყიდვის შემდგომი ქსელი და რომ არსებული ალტერნატიული ქსელი, პირველ რიგში, მიმართულია მძიმე სატვირთო მანქანების საერთაშორისო კომპანიების საჭიროების მომარაგებაზე (რომლებიც მოითხოვენ გადაუდებელ სარემონტო სამუშაოებს ევროპაში), და, ნაწილობრივ, მანქანებისა და ფურგონების მომსახურებაზე. ბაზრის გამოკვლევის შედეგად მითითება გაკეთდა კონკურენტის ქსელის ადაპტირებაზე *Volvo*-სა და *Scania*-ს დონესთან, იმისათვის, რომ მომხმარებელი მომხმარებლის მოთხოვნებთან თანხვედრა, ვინაიდან სკანდინავიის ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული მოქმედებები მოითხოვდა არსებით ინვესტიციებს (რაც, რა თქმა უნდა, შედარებადი უნდა იყოს ბაზრის ეკონომიკურ მიმზიდველობასთან).

63. ბაზრის გამოკვლევის პერიოდში კონკურენტებმა მიუთითეს, რომ გადანყვეტილება, რომელიც დაკავშირებულია მომსახურების ქსელის შექმნასა თუ განვითარებასთან, დაკავშირებულია რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში გაყიდული ავტომობილების „კრიტიკულ მასასთან“. შეთავაზებული იყო, რომ ეს ყოფილიყო 10%-ის ფარგლებში, რაც დამოკიდებული იქნებოდა გარკვეული რაოდენობის ფაქტორებთან, და რაც, თავის მხრივ, მიერთებული იქნებოდა ბაზარზე არსებულ ხარჯებსა და შესაძლებლობებთან. სკანდინავიის ქვეყნებისათვის, მათ შესაბამისად, პატარა ზომის ბაზრისა და ტექნიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების გამო, დადგინდა, რომ ბაზრის წილი მინიმუმ 10%-იდან 15%-ამდე აუცილებელი იქნებოდა იმისათვის, რომ გაემართლებინა გადანყვეტილება დამატებითი ხარჯების გამოწვევასთან დაკავშირებით. კომისიამ ყურადღება გაამახვილა ასევე იმ ფაქტზე, რომ სკანდინავიის ქვეყნების პატარა ზომები შეიძლებოდა არ ყოფილიყო არსებითი მოტივი აღნიშნულ ბაზრებზე შეღწევისათვის, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფასი გაიზრდებოდა 5-იდან 10%-ამდე.

64. შესაბამისი გეოგრაფიული ბაზრის განსაზღვრისათვის არსებითია აღინიშნოს, რომ სადისტრიბუციო და მომსახურების ქსელის მნიშვნელობა, როგორც ჩანს, არის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი, რომელიც მომხმარებელს უზღუდავს მათი დაფუძნების ქვეყნის გარეთ ავტომობილების შესყიდვას და ასევე ზღუდავს შუამავლების შესაძლებლობას, სარგებელი მიიღოს ნევრ სახელმწიფოებს შორის არსებული ფასების დისკრიმინაციისაგან.

განსხვავებები ბაზრის წილში

65. ამასთან, *Volvo*-ს მიკუთვნება ევროპის ეკონომიკური შეთანხმების ფართის ბაზრისათვის მძიმე სატვირთო მანქანებთან მიმართებით არ არის მხარდაჭერილი იმ ფაქტებით, რომლებიც მოიცავენ მის გაყიდვებს ამ ტერიტორიის ფარგლებში, როგორც ეს აღნიშნულია შეტყობინებაში. დადგინდა, რომ *Volvo*-ს ბაზრის წილი შეადგენს 15,2%-ს ევროპის ეკონომიკური შეთანხმების ტერიტორიაზე. თუმცა მისი ბაზრის წილი მნიშვნელოვნად მაღალია უამრავ ცალკეულ ნევრ სახელმწიფოში (45% – შვედეთში, 34% – ფინეთში, 29% – დანიაში, 38% – ნორვეგიაში, 22%-იდან 25%-ამდე – ირლანდიაში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, პორტუგალიასა და საბერძნეთში). იმავდროულად, მისი ბაზრის წილი ზოგიერთ ქვეყანაში საგრძობლად დაბალია ევროპის ეკონომიკური შეთანხმების საშუალო მაჩვენებელზე (12% – ავსტრიაში, 8% – გერმანიაში, 13% – ესპანეთში, 12% – იტალიასა და 11% – ლუქსემბურგში). როგორც ჩანს ქვემოთ მოცემული ცხრილიდან, მსგავსი ნაციონალური განსხვავებები და გადაცდომა ევროპის ეკონომიკური შეთანხმების საშუალო მაჩვენებლისგან შეინიშნება როგორც *Scania*-ს, ისე სატვირთო მანქანების სხვა მწარმოებლების შემთხვევაშიც. თუნდაც იმ მეზობელ ნევრ სახელმწიფოებში, რომელთაც აქვთ დაახლოებით მსგავსი ტოპოგრაფია, როგორებიცაა: დანია და გერმანია, სერიოზული განსხვავებებია მთავარი მწარმოებლების ბაზრის წილებში. ისტორიული მიზეზებით გაუგებარი მითითების გარდა, *Volvo*-ს არ წარმოუდგენია რაიმე სახის განმარტება, მისი შეხედულებისამებრ თუ როგორ არის მანაც შესაბამისობაში ბაზრის წილებს შორის, ნევრი სახელმწიფოების მიხედვით, ასეთი განსხვავებების ფონზე, მისი მოქმედება მძიმე სატვირთო მანქანების ბაზარზე ევროპის ეკონომიკური შეთანხმების ფართობისა.

(...)

ნევრი სახელმწიფოების დონეზე ბაზრის სტრუქტურა – ამჟამად არსებული სტრუქტურა და შეთავაზებული კონცენტრაციის გავლენა

84. თავის პასუხში *Volvo* აკეთებს ორ ზოგად კომენტარს ინდივიდუალურ ნევრ სახელმ-

ნიფორმი შერწყმის კონკურენტული გავლენის შეფასებასთან დაკავშირებით. პირველ რიგში, ის დავობს, რომ მომხმარებლები არ გამოხატავენ გადაჭარბებულ შემოფოთებას შეთავაზებული კონცენტრაციის გამო; მეორე, ის ამტკიცებს, რომ ფასის დისკრიმინაცია დიდ და მცირე მომხმარებლებს შორის შეუძლებელია მძიმე სატვირთო მანქანების ბაზარზე. კომისიამ აღნიშნული საერთო შენიშვნები ყურადღებით განიხილა და მივიდა დასკვნამდე, რომ არცერთი არ იყო დადასტურებული ხელმისაწვდომი ფაქტებით. ინდივიდუალურ წევრ სახელმწიფოში შედეგების შეფასებამდე დასკვნის მიზეზები განხილული იქნება ქვემოთ.

მომხმარებლის შემოფოთება

85. როდესაც აფასებდა Volvo-ს არგუმენტს, რომ მომხმარებლები არ არიან ჩართულები, საჭიროა გათვალისწინება, რომ სატვირთო მანქანების ინდუსტრიას აქვს ექსტრემალურად ფრაგმენტირებული მომხმარებლების სტრუქტურა. იმისათვის, რომ მოვახდინოთ ილუსტრაცია, Volvo-ს მიერ წარმოდგენილი მაჩვენებლის მიხედვით არსებობს 23000-ზე მეტი სატვირთო მანქანის მფლობელი მხოლოდ შვედეთში. ამათგან 5%-ზე ნაკლები მართავს 10-ზე მეტი სატვირთო მანქანის ავტოპარკს. სიტუაცია დაახლოებით მსგავსია სხვა წევრ სახელმწიფოებშიც (ასევე ავტობუსების ბაზარზე, კერძოდ ტურისტული ეტლების ბაზარზე).

86. ასეთი ფრაგმენტული მოთხოვნის სტრუქტურის ბაზარზე არაგონივრული იქნებოდა, გვერდეს მოლოდინი, რომ ასეთი მომხმარებლების უმეტესობას შეეძლოს, წარმოადგინოს შეთავაზებული შერწყმის დახვეწილი სამართლებრივი ანალიზი. ეს ნიშნავს, რომ შეუძლებელია, როგორც Volvo გთავაზობს განვიხილოთ, მომხმარებლები, რომლებიც გაურკვეველი მიზეზების გამო აქტიურად არ მონაწილეობდნენ საქმის წარმოებაში, არ იქნებიან შემოფოთებულები. ამის ნაცვლად, კონკურენციის უწყების პასუხისმგებლობა, ყურადღებით განიხილოს შერწყმის შედეგები ბაზარზე, არის განსაკუთრებით ძლიერი.

87. ამდენად, კომისიას არ შეუძლია მიიღოს Volvo-ს ხედვა, რომ შეკითხვა, არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი შემოფოთება გარკვეულ ბაზარზე, შეიძლება პასუხგაცემული იყოს მხოლოდ ქვეყანაში მოქმედი 20 ყველაზე მსხვილი მყიდველის პასუხზე დაყრდნობით. ეს მიდგომა აუცილებლად წამოწვევს შეკითხვას, თუ რამდენად იციან მსხვილი მყიდველების წარმომადგენლებმა იმ გავლენის შესახებ, რასაც შერწყმა მოახდენს მცირე მომხმარებლებზე. Volvo-ს პირადი დოკუმენტაციიდან ჩანს მტკიცებულება, რომ ამ ბაზარებზე იქნება ფასების დისკრიმინაცია.

88. თუმცა შეზღუდული ნიმუშის საფუძველზეც კი კომისია ადგენს, რომ ქვემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში არსებობს შემოფოთების ძლიერი მიზეზი. ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც Volvo ამტკიცებდა, რელევანტური შეკითხვა არის წარმოდგენილი „საჩივრების“ რაოდენობა. ამის ნაცვლად ხარისხიანი ანალიზი უნდა ჩატარდეს წარმოდგენილ პასუხებზე. ამ კონტექსტიდან ნათელია, რომ საკონკურენციო უწყებას აქვს შემოფოთების ძლიერი საფუძველი, ვინაიდან ამ საქმეში მსხვილი მომხმარებლების არცთუ ისე უმნიშვნელო რაოდენობა აცხადებს, რომ *inter alia* მხარეები გახდებიან დომინანტები, რომ Scania არის ერთადერთი ალტერნატივა Volvo-სთვის, რომ სხვა ბრენდებს არ აქვთ შესაძლებლობა, შეასრულონ მათი ტექნიკური მოთხოვნები, ან აქვთ არასაკმარისი მომსახურების ქსელი და რომ ისინი ვალდებულები იქნებიან, მიიღონ ფასის გაზრდა 5-იდან 10%-ამდე. მაშინაც კი, თუ მივიღებთ, რომ მომხმარებლების გარკვეულ რაოდენობას არ გამოუხატავს შემოფოთება შეთავაზებულ კონცენტრაციასთან დაკავშირებით, კომისიას არ შეუძლია მიიღოს Volvo-ს არგუმენტი, რომ არ არსებობს

ბობს არანაირი შემფოთება მომხმარებლებს შორის.

89. იგივე არგუმენტი ასევე გამოიყენება GfK-ს მიერ Volvo-ს სახელით ჩატარებულ 12 მიმოხილვაში მისი პასუხისთვის (შემდგომში – „GfK-ს მიმოხილვები“). აღნიშნული მიმოხილვები ჩატარებული იყო ტელეფონით მსხვილი მომხმარებლების ნიმუშის მიხედვით სკანდინავიის ყველა ქვეყანაში, გაერთიანებულ სამეფოში, ირლანდიაში, ბელგიაში და პორტუგალიაში. სკანდინავიის ქვეყნებში დამატებითი კვლევა ჩატარდა მცირე ზომის მომხმარებლებთან მიმართებითაც. კომისიას არ შეუძლია დაეთანხმოს Volvo-ს მტკიცებას, რომ GfK-ს მიმოხილვები ახდენს შემფოთების არარსებობის დემონსტრირებას. ამის მიზეზი არის ორმაგი: პირველი, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, არსებობს მრავალი შეკითხვა იმ გზებთან დაკავშირებით, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს შეკითხვების ფორმულირება (მაგალითად, რესპონდენტებს არ ეკითხებოდნენ, თუ როგორი რეაქცია ექნებოდათ, თუ Volvo და Scania გაზრდიდნენ ფასს შერწყმის შემდეგ). ასეთი მეთოდოლოგიური კითხვითი ნიშნები უდავოდ ამცირებენ მტკიცებულებით ღირებულებას, რომელიც შეიძლება ახლდეს GfK-ს მიმოხილვებს;

90. მეორე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვივარაუდებთ, რომ მეთოდოლოგიურ კითხვით ნიშნებს დამაკმაყოფილებელი პასუხი გაეცა, რთულია მიჰყვე Volvo-ს არგუმენტს, რომ GfK-ს მიმოხილვები იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ შეთავაზებული შერწყმა შედეგად არ მოიტანს კონკურენციასთან დაკავშირებულ შემფოთებას. მიმოხილვაში დასმული ერთ-ერთი შეკითხვა იყო, შეიცვლიდა თუ არა რესპონდენტი მიმწოდებელს Volvo-ს ან Scania-ს მიერ ფასის 5%-ით გაზრდის შემთხვევაში. მანამ, სანამ თითოეული მიმოხილვის მითითებული შედეგი აჩვენებს, რომ რამდენიმე რესპონდენტი შეიცვლიდა მიმწოდებელს (თითოეული კვლევის ნახევარზე ნაკლები რესპონდენტი), ნაკლებად სავარაუდოა, რომ Volvo მიიღებს სტრატეგიას, რითიც მოახდენს საზღვრის გადაკვეთით ფასის გაზრდას. რა თქმა უნდა, Volvo-ს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია აჩვენებს, რომ ის იყენებს ინდივიდუალური ფასების სტრატეგიას თითოეული ტრანზაქციისათვის და რომ ფასებში მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოიყენება სხვადასხვა მომხმარებლის მიმართ. ასევე არსებობს ძლიერი მტკიცებულება, რომ Volvo-ს აქვს შესაძლებლობა, მოახდინოს ფასების დისკრიმინაცია მსხვილ და მცირე მომხმარებლებს შორის. ასევე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც მიმოხილვები აჩვენებს, რესპონდენტების ტიპური პასუხი კომპანიასთან დაკავშირებით, რომელზეც აპირებდნენ ფასის გაზრდის შემთხვევაში გადართვას, არის Volvo და Scania. შესაბამისად, როდესაც ისინი აფიქსირებდნენ მათ სურვილს ფასის 5%-იანი გაზრდის შემთხვევაში სხვა მიმწოდებელზე გადართვასთან დაკავშირებით, რესპონდენტებს ეძლეოდათ შესაძლებლობა, ევარაუდათ, რომ მათი შერწყმამდე არსებული შესაძლებლობა, გადართულიყვნენ Volvo-დან Scania-ზე, ან პირიქით, უცვლელი დარჩებოდა შეთავაზებული შერწყმის იმპლემენტაციის შემდეგაც. შესაბამისად, მომხმარებლების ისედაც დაბალი ნაწილი, რომლებიც აცხადებდნენ, რომ შეიცვლიდნენ მიმწოდებელს ფასის 5%-იანი ზრდის გამო და გადაერთვებოდნენ Volvo-დან Scania-ზე ან პირიქით, კიდევ უფრო დაბალი იქნებოდა, რომ სცოდნოდათ, რომ მათი შესაძლებლობა მიმწოდებლის შეცვლასთან დაკავშირებით შერწყმის შემდეგ განისაზღვრებოდა ორი ბრენდისათვის Volvo-ს მარკეტინგული სტრატეგიით.

ფასის დისკრიმინაცია

91. თავის პასუხში Volvo ამტკიცებს, რომ განსაკუთრებით რთული იქნებოდა წარმატებული ფასის დისკრიმინაციაში ჩართვა მძიმე სატვირთო მანქანების ბაზარზე და რომ იმ მომხმარებლებთან გაყიდვების დაკარგვასთან ასოცირებული რისკები, რომლებიც არ არიან მზად, გადაიხადონ უფრო მაღალი ფასები, გადააჭარბებს პოტენცი-

ური მოგებას ასეთი საქციელის გამო. დამატებით, ზეპირი მოსმენის დროს, *Volvo*-მ წარმოადგინა 1998 წელს შვედი და დანიელი მომხმარებლებისათვის მისი გაყიდვების ანალიზის შედეგი. მას შემდეგ, რაც ჩაატარა სხვადასხვა რეგულირება ავტომობილების სპეციფიკაციებზე, ანალიზმა აჩვენა, რომ ფასების განსხვავება არის მცირე, (0-10%) ნაკლები ფასი გამოიყენება მსხვილი მომხმარებლების მიმართ (განმარტებული როგორც ისინი, რომლებიც ყიდულობენ, სულ მცირე, 30 სატვირთო მანქანას) და აღნიშნული არ შეესაბამება ფასის მნიშვნელოვან დისკრიმინაციას. როგორც ჩანს, უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული ანალიზი *Volvo*-ს გაყიდვებზე შვედი და დანიელი მომხმარებლებისათვის 1998 წელს არ მოიცავს არანაირ მითითებას მისი გაყიდვების ჩარჩოზე შესაბამის გეოგრაფიულ ბაზარზე. *Volvo*-მ განაცხადა, რომ ფასების დისკრიმინაცია უნდა განისაზღვროს როგორც შემოსავლის განსხვავებული ჩარჩო სხვადასხვა მომხმარებლისათვის ერთი და იმავე პროდუქტის მიყიდვასთან დაკავშირებით.

92. ამის გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ *Volvo*-ს მტკიცება ფასის დისკრიმინაციის არარსებობასთან დაკავშირებით არის სერიოზულ წინააღმდეგობაში მისსავე შიდა დოკუმენტაციასთან, რომელიც წარმოების დროს მიაწოდა კომისიას. კომისიის მოთხოვნისთანავე *Volvo*-მ წარმოადგინა ინფორმაცია, რომელშიც მითითებული იყო მისი ფასები, მოგება და გაყიდვის საზღვრები, სამი განსხვავებული ძრავის მქონე სატვირთო მანქანების მცირე, საშუალო და მსხვილ მყიდველებზე (ფართოდ გაყიდვად მოდელზე). ყველაზე ფართოდ გაყიდვადი ძრავის ტიპზე აღნიშნული ინფორმაციიდან ჩანს, რომ მცირე მომხმარებელი გადაიხდის ფასს, რომელიც არის 20-30%-ით მაღალი, ვიდრე მსხვილი მომხმარებლის მიერ გადახდილი და 0-10%-ით მაღალი, ვიდრე საშუალო ზომის მომხმარებლის მიერ გადახდილი ფასი. კიდევ უფრო მნიშვნელოვნად ჩანს, რომ *Volvo*-ს მოგების ზღვარი აღნიშნული მოდელის გაყიდვაზე მცირე მომხმარებლებისათვის არის 10-20%, მაშინ, როცა მსხვილ და საშუალო ზომის მომხმარებლებზე განხორციელებული გაყიდვიდან მოგება არის, შესაბამისად, 0-10% და 10-20%. ამდენად, გამომდინარეობს, რომ, შესაბამისად, ფასის ისეთი მცირე სხვაობა როგორცაა 0-10% მცირე და საშუალო ზომის მომხმარებლებთან მიმართებით, შედეგად იძლევა 30-40% სხვაობას მოგებაში. იმავდროულად, მცირე მომხმარებლებისაგან მიღებული მოგების ზღვარი არის ისევე მაღალი, როგორც მსხვილი მომხმარებლებისაგან მიღებული მოგება (საშუალო ზომის მომხმარებლებისაგან მიღებული მოგების ზღვარი არის 0-10-ჯერ უფრო მაღალი, ვიდრე მსხვილი მომხმარებლებისგან მიღებული).

93. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ფასების არსებობის *Volvo*-ს შიდა დოკუმენტი შეესაბამება ძლიერ დადასტურებას, რომ კომპანიას რეალურად შეეძლო მოეხდინა ფასების დისკრიმინაცია სხვადასხვა მომხმარებლის ჯგუფის მიმართ განხორციელებულ გაყიდვებში და რომ აღნიშნული დადგენა უნდა იყოს პირველი ზემოთ აღნიშნულ და განვითარებულ არგუმენტებს შორის, ზეპირი მოსმენის პასუხის მიზნებისათვის.
(...)

საერთო დასკვნა მძიმე სატვირთო მანქანების ბაზართან დაკავშირებით

213. ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე უნდა დადგინდეს, რომ შეთავაზებული კონცენტრაცია შექმნის დომინანტურ მდგომარეობას მძიმე სატვირთო მანქანების ბაზარზე შვედეთში, ნორვეგიაში, ფინეთსა და ირლანდიაში. არსებობს ძლიერი მტკიცებულებები, რომ ეს ასევე მოხდება დანიაში. თუმცა აღნიშნული საკითხისათვის პასუხის გაცემა არ მოხდება მიმდინარე წარმოების კონტექსტში.
(...)

VII. საერთო დასკვნა

363. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ შეტყობინებული კონცენტრაცია შეუთავსებელია საერთო ბაზართან და EEA-ს შეთანხმების ფუნქციონირებასთან, ვინაიდან იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვივარაუდებთ სრულ შესაბამისობას შეთავაზებულ საწარმოებთან დაკავშირებით, ის შექმნის დომინანტურ მდგომარეობას მძიმე სატვირთო მანქანების ბაზარზე შვედეთში, ნორვეგიაში, ფინეთსა და ირლანდიაში, ტურისტული ეტლებისათვის ფინეთსა და გაერთიანებულ სამეფოში, საქალაქო ავტობუსების ბაზარზე შვედეთში, ფინეთში, ნორვეგიაში, დანიასა და ირლანდიაში, რომელთაგან თითოეული შედეგად მოგვცემს ეფექტური კონკურენციის არსებით შეზღუდვას, საერთო ბაზარზე შერწყმის რეგულაციის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის და EEA-ს შეთანხმების 57-ე მუხლის მიხედვით.

საქმე *Qualcomm Wireless Business Solutions Europe BV v. Commission*³⁶⁹:

2. სასამართლოს გადაწყვეტილებები

86. იმისათვის, რომ შევაფასოთ სხვადასხვა საჩივარი, რომლებიც პირველ საჩივარში ჩადო *Qualcomm*-მა, საჭიროა, პირველ რიგში, ყურადღება მივაქციოთ იმ მიმოხილვას, რომელიც განახორციელა კომისიამ კონცენტრაციებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების კონტექსტში, კერძოდ, როდესაც გადაწყვეტილებები მიიღება ვალდებულებების მიხედვით და შემდეგ ხდება დაბრუნება კომისიის მიერ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში კონცენტრაციასა და ვალდებულებებზე წარმოებულ შეფასებაზე. შემდეგ სასამართლო გააანალიზებს საჩივრებს, რომლებიც შეეხება იმ სტანდარტებს, რომლებზე დაყრდნობითაც მოხდა ვალდებულებების შეფასება. დაბოლოს, შეფასდება საჩივრები, რომლებიც შეეხება გადასახადების შეგროვების მოდულთან დაკავშირებულ ვალდებულებას და GPS-ის საზღვრებს.

87. შერწყმის რეგულაციის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, რომელშიც კომისია ადგენს, რომ ჩართული საწარმოების მხრიდან საჭიროების შემთხვევაში მოდიფიცირებისას შეტყობინებული კონცენტრაცია თანხვედრაშია რეგულაციის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. კერძოდ კი, კონცენტრაცია არ ქმნის ან აძლიერებს დომინანტურ მდგომარეობას, რომლის შედეგადაც ეფექტური კონკურენცია მნიშვნელოვნად იქნება შეზღუდული საერთო ბაზარზე ან მის არსებით ნაწილზე, რაც გულისხმობს, რომ მიღებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილება, რომელიც კონცენტრაციას ცნობს საერთო ბაზრის შესაბამისად.

88. კონცენტრაციების განხილვა, შესაბამისად, იწვევს სამომავლო ანალიზს, რომელიც არკვევს, თუ როგორ შეცვლის კონცენტრაცია ამ ბაზარზე კონკურენციის მდგომარეობის განმსაზღვრელ ფაქტორებს, რათა დადგინდეს, გამოიწვევს თუ არა აღნიშნული შერწყმა კონკურენციის სერიოზულ შეფერხებას. ასეთი ანალიზი იწვევს სხვადასხვა მიზეზობრივი ჯაჭვისა და შედეგის გათვალისწინებას იმის დასადგენად, თუ რომელი მათგანი არის მეტად სავარაუდო (ამასთან დაკავშირებით იხ. საქმე *C-12/03 P Commission v. Tetra Laval* [2005] ECR I-987, პარა. 43).

89. შედეგად, დადგინდა, რომ შერწყმის რეგულაციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, კომისიას აქვს უფლებამოსილება, კონცენტრაცია, რომელიც მოიცავს ვალდებულებებს საერთო ბაზრის შესაბამისად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ვალდებულებები შესაძლებლობას აძლევს მას, გააკეთოს დასკვნა, რომ კონცენტრაცია არ ქმნის და არც აძლიერებს დომინანტურ მდგომარეობას, რომლის შედეგად

³⁶⁹ Case T-48/04, *Qualcomm Wireless Business Solutions Europe BV v. Commission*; 19/June/2009.

დაც ეფექტური კონკურენცია მნიშვნელოვნად იქნება ხელყოფილი საერთო ბაზარზე (საქმე T-102/96 *Gencor v. Commission* [1999] ECR II-753, პარა. 318 და საქმე T-282/02 *Cementbouw Handel & Industrie v. Commission* [2006] ECR II-319, პარა. 294; აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ასევე საქმე T-87/05 *EDP v. Commission* [2005] ECR II-3745, პარა. 63). შესაბამისად, კომისიის ვალდებულებაა, თავის გადაწყვეტილებაში ალბათობის მნიშვნელოვანი დონის დაცვით გამოაცხადოს კონცენტრაცია საერთო ბაზრის შესაბამისად, რომ მხარეების მიერ შეთავაზებული კონცენტრაცია, რომელიც მოდიფიცირებულია მხარეების ვალდებულებებით, არ შექმნის და არც გააძლიერებს დომინანტურ მდგომარეობას, რომლის შედეგადაც კონკურენცია საერთო ბაზარზე ან მის არსებით ნაწილზე იქნება მნიშვნელოვნად ხელყოფილი. ამდენად, მტკიცების ტვირთი, რომელიც აწევს კომისიას, ნამდვილად არ არის ზიანის მომტანი მისი ფართო დისკრეციისთვის, კომპლექსურ ეკონომიკურ შეფასებასთან დაკავშირებით (აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. *EDP v. Commission*, პარა. 63 და ზემოთ მოყვანილი სასამართლო საქმეები).

90. შესაბამისად, ეს მნიშვნელოვანია დაინტერესებული მესამე მხარისათვის, რომლის მოქმედებაც მიზნად ისახავს იმ დასკვნის გაბათილებას, რომელმაც კონცენტრაცია, მიბმული ვალდებულებებით, გამოაცხადა საერთო ბაზართან თავსებადად, რათა აჩვენოს, რომ კომისიამ შეცდომა დაუშვა ვალდებულებების მისეულ შეფასებაში ისეთი გზით, რომ კონცენტრაციის შესაბამისობა საერთო ბაზართან კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

91. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანების სამართალწარმოებას აქვს სრული უფლებამოსილება, განიხილოს კომისიის მიერ კონკურენციის წესების გამოყენება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც დადგინდა, შერწყმის რეგულაციის წესები, კერძოდ კი მე-2 მუხლი, კომისიას უდგენს კონკრეტული დისკრეციის ზღვარს, განსაკუთრებით კი ეკონომიკური ხასიათის შეფასებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, გაერთიანების სასამართლოს მიერ დისკრეციის გამოყენების მიმოხილვისას, რაც არსებითია კონცენტრაციების წესების განსასაზღვრავად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დისკრეციის ზღვარი, რაც გამომდინარეობს ეკონომიკური ხასიათის დებულებებიდან, რომელიც, თავის მხრივ, ქმნის კონცენტრაციის წესების ნაწილს (გაერთიანებული საქმეები C-68/94 და C-30/95 *France and Others v. Commission* [1998] ECR I-1375 (*Kali and Salz*), პარა.: 223 და 224; *Commission v. Tetra Laval*, ციტირებული 88-ე პარაგრაფში, პარა. 38; საქმე T-210/01 *General Electric v. Commission* [2005] ECR II-5575, პარა. 60).

92. ვინაიდან გაერთიანების სამართალწარმოება ცნობს, რომ კომისიას აქვს დისკრეციის ზღვარი ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით, ეს არ ნიშნავს, რომ მათ თავი უნდა შეიკავონ კომისიის მიერ ეკონომიკური ხასიათის ინფორმაციის განმარტების განხილვისაგან. გაერთიანების სამართალწარმოებამ, *inter alia*, არა მარტო უნდა დაადგინოს, არის თუ არა გამოყენებული მტკიცებულება ფაქტობრივი სიზუსტის, სანდო და თანმიმდევრული, არამედ ასევე უნდა შეამოწმოს, რამდენად მოიცავს მტკიცებულება სრულ ინფორმაციას, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რათა შეფასდეს კომპლექსური ინფორმაცია და რამდენად შეუძლია მას, განაპირობოს მისგან გამომდინარე დასკვნა (*Commission v. Tetra Laval*, ციტირებული ზემოთ, 88-ე პარაგრაფში, პარა. 39).

93. ამ საქმეში მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტები ხვდება აღნიშნული პრინციპების მიხედვით განსახილველ კატეგორიაში, რაც განსაზღვრავს როგორც მტკიცებულებით მოთხოვნებს, ისე მტკიცების ტვირთს კონცენტრაციების საკითხთან მიმართებით და გაერთიანების სამართალწარმოების მიერ ამ სფეროში ჩატარებულ განხილვებს.

გ) კომისიის ანალიზი კონცენტრაციასა და არსებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით

94. გასაჩივრებული გადანყვეტილების მე-19 ნაწილი განმარტავს, რომ „გადასახადების შეგროვება“ შექმნილი იყო კონცენტრაციის მხარეების მიერ, საჯარო შესყიდვის კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, გერმანიის სახელით გადასახადების შეგროვების მიზნით, გერმანიის გზებზე მძიმე ავტომობილებთან გამოსაყენებლად. ამასთან დაკავშირებით, „გადასახადების შეგროვება“ არ არის კონკურენტული სხვა, კერძო მომსახურების მომწოდებლებთან მიმართებით.

95. გადასახადების შეგროვების უწყება, რომლის მიზანიც არის გადასახადების შეგროვება, როგორც ჩანს, პასუხისმგებელია ასევე ტელემატიკის მომსახურებისათვის ხელმისაწვდომი მონაცემების შეგროვებაზე. „გადასახადების შეგროვების“ უწყების ასეთი ფორმით გამოყენება არ ქმნის ტენდერების გამოცხადების ნაწილს, რაც უკავშირდება მძიმე საავტომობილო პროდუქტების გამო გადასახადების შეგროვებას და გამოიყენება გერმანიის საავტომობილო ტრასებზე, მაგრამ საოპერატორო შეთანხმება ძალაში შევიდა „გადასახადების შეგროვების“ უწყებასთან მიმართებით, იმ პროცედურის გათვალისწინებით, რომ „გადასახადების შეგროვების“ უწყებას შეეძლება შესთავაზოს სხვა ტელემატიკური მომსახურება მას შემდეგ, რაც მიიღებს შესაბამის უფლებამოსილებას გერმანიის მხრიდან. კონცენტრაციის მხარეებმა განაცხადეს, რომ მათ სურთ, ჰქონდეთ შესაძლებლობა, ტელემატიკური მომსახურება შესთავაზონ „გადასახადების შეგროვების“ უწყების მეშვეობით. შესაბამისად, კომისიამ დაასკვნა, რომ, ვინაიდან ტელემატიკური მომსახურების მიწოდება „გადასახადების შეგროვების“ უწყების მეშვეობით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სატრანსპორტო ქსელში გადასახადების შესაგროვებლად არასაკმარისი მოცულობის წარმონაქმნების შემცირების საერთო ინტერესში, გერმანია არ გაუნეწვს წინააღმდეგობას „გადასახადების შეგროვების“ უწყების მეშვეობით ასეთ მომსახურებებს და, შესაბამისად, კონცენტრაცია გავლენას მოახდენს საგზაო ტელემატიკური მომსახურებების განვითარებაზე, მომსახურებასა და მოქმედებაზე (გასაჩივრებული გადანყვეტილების მე-20-22-ე და 47-ე-49-ე ნაწილები).

96. საგზაო ტელემატიკური სისტემები, რომლებიც კომისიამ განსაზღვრა როგორც შესაბამისი პროდუქციის ბაზარი, მოიცავს მყარ დისკს, კომპიუტერულ პროგრამებსა და მომსახურებას სატრანსპორტო და ლოჯისტიკური სანარმოებისათვის. სატრანსპორტო სანარმოების თვალსაზრისით, რომლებიც არიან მომხმარებლები, აღნიშნული ბაზარი მოიცავს ე.წ. „ერთი გაჩერების მაღაზიებს“ (კომპიუტერული პროგრამების, მყარი დისკისა და ტელემატიკური მომსახურების მომწოდებლები), „მყარი დისკის მომწოდებლებს“ (მომწოდებლები, რომლებიც აწარმოებენ მხოლოდ ტერმინალურ აღჭურვილობას, მათ შორის კომპიუტერულ პროგრამებს) და „მომსახურების მომწოდებლები“ (მომწოდებლები, რომლებიც აწარმოებენ მხოლოდ საგზაო ტელემატიკურ მომსახურებას (გასაჩივრებული გადანყვეტილების 23-ე-32-ე ნაწილები).

97. კომისიამ განსახილველი გეოგრაფიული ბაზარი განსაზღვრა როგორც გერმანიის ტერიტორია და განაგრძო კონცენტრაციის შეფასება კონკურენტის სამართლის პოზიციიდან, კონცენტრაციის მხარეების მიერ მოწოდებული ვალდებულებების გათვალისწინების გარეშე (გასაჩივრებული გადანყვეტილების 33-ე-36-ე ნაწილები).

98. პირველი, კომისიამ აღნიშნა, რომ კონცენტრაცია ერთმანეთთან აკავშირებდა გერმანიის სატვირთო მანქანების მწარმოებლებს – *Daimler Chrysler*-ს, რომელიც ასევე არის მობილური და ტელემატიკური მომსახურების ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელი და *Deutsche Telekom*-ს, რომელიც არის ერთ-ერთი მთავარი გერმანული მობილური

ტელეკომუნიკაციის მწარმოებელი. კომისიამ დაადგინა, რომ, აქედან გამომდინარე, ორი საწარმო ძალიან კარგად არის განლაგებული ბაზარზე, რათა აწარმოოს ტელემატიკური მომსახურება (გასაჩივრებელი გადანაცვეტილების 39-ე და მე-40 ნაწილები).

99. კომისიამ ამის შემდეგ განიხილა, რომ *Daimler Chrysler*-მა დაადასტურა, მისი მიზანი იყო ადგილზე „გადასახადების შეგროვების“ ერთეულის გამოყენება საგზაო ტელემატიკურ მომსახურებაში და შესაძლებელი იყო იმის დაშვება, რომ გერმანია მას მისცემდა იმ უფლებამოსილებას რაც საჭირო იყო საოპერატორო შეთანხმებისათვის, რათა მოეხდინა ასეთი საგზაო ტელემატიკური მომსახურების მიწოდება (გასაჩივრებელი გადანაცვეტილების 43-ე-50-ე ნაწილები).

100. ვინაიდან ადგილზე „გადასახადების შეგროვების“ ერთეულის მიწოდება მოხდება უფასოდ და ვინაიდან ეს არის სატრანსპორტო საწარმოების პრაქტიკული ინტერესი, კომისიამ გააკეთა დასკვნა – ადგილზე გამოსაყენებელი ერთეული დაინსტალირდება იმ მძიმე ავტომობილების უმეტესობაში, რომლებიც იყენებენ გერმანიის საავტომობილო გზებს. ის ფაქტი, რომ საგზაო გადასახადების შემგროვებელი უწყებისათვის იმ ერთეულების მიწოდება, რომლებიც ახდენდნენ ტელემატიკურ მომსახურებას, იქნებოდა უფასო და შედეგად მოიტანდა მძიმე ავტომობილების სრული უმრავლესობის აღჭურვას ადგილზე „გადასახადების შეგროვების“ ერთეულით, რასაც ასევე გამოიყენებდნენ საგზაო ტელემატიკური მომსახურებისათვის. კომისიამ ამის საწინააღმდეგოდ, სატრანსპორტო საწარმოების პოზიციიდან გამომდინარე, დაადგინა, რომ მათი ხარჯებით ადგილზე დასადავამი მეორე ერთეულის დაინსტალირება სატარიფო ტელემატიკური მომსახურებისათვის, რის მიწოდებასაც მოახდენდა კონკურენტი საწარმო, არ იყო ეკონომიკური მიზნებისათვის პრაქტიკული. კომისიის აზრით, ეს განმარტებულია ვინრო საზღვრებში, რომელშიც სატრანსპორტო საწარმოები მოქმედებენ გერმანიასა და ევროპაში (გასაჩივრებელი გადანაცვეტილების 51-ე-54-ე ნაწილები).

101. კომისიამ, შესაბამისად, დაასკვნა, რომ ადგილზე „გადასახადების შეგროვების“ ერთეული დაფარავდა თითქმის ყველა მძიმე სატრანსპორტო საშუალებას გერმანიაში და, აღნიშნულიდან გამომდინარე, გახდებოდა დომინანტი პლატფორმა საგზაო ტელემატიკურ სისტემებში (გასაჩივრებელი გადანაცვეტილების 56-ე ნაწილი).

102. აღნიშნული დომინანტი პლატფორმის შექმნა, კომისიის თვალსაზრისით, გამოიწვევს გერმანიის საგზაო ტელემატიკურ სისტემებში ბაზრის დახურვას სატრანსპორტო და ლოჯისტიკური საწარმოებისათვის. უფრო ზუსტად, საგზაო ტელემატიკური მომსახურებისათვის დომინანტური პლატფორმის შექმნის შედეგად საგზაო ტელემატიკური მომსახურების მომწოდებლები დამოკიდებულები გახდებიან ადგილზე „გადასახადების შეგროვების“ ერთეულზე. ვინაიდან ადგილზე „გადასახადების შეგროვების“ ერთეული არის დახურული სისტემა, *Daimler Chrysler*-ს შეეძლება, გადასახადების შეგროვების გზით, გააკონტროლოს გერმანიის საგზაო ტელემატიკური სისტემების მომავალ ბაზარზე დაშვება (გასაჩივრებელი გადანაცვეტილების 57-ე-59-ე ნაწილები). გარდა ამისა, გადასახადების შეგროვების პლატფორმა მიგვიყვანს ტელემატიკური სისტემების ბაზარზე არსებული მომწოდებლების გაუჩინარებამდე. ვინაიდან ადგილზე არსებული ერთეულები ფარავს იმ არსებით ფუნქციებს, რაც ასევე ხელმისაწვდომია ბაზარზე არსებულ საგზაო ტელემატიკურ სისტემებში და ვინაიდან აღნიშნული ერთეულების მიწოდება მოხდება უფასოდ, კომისიამ დაადგინა, რომ სატრანსპორტო საწარმოები, რომელთა სატვირთო მანქანები უკვე აღჭურვილი იყო ადგილზე „გადასახადების შეგროვების“ ერთეულით, აღარ მოითხოვს „რაიმე შემდგომ ტელემატიკური ტერმინალის აღჭურვლობას, დამატებითი საგზაო ტელემატიკური შეთავაზებების გამოყენებისათვის, რაც მოწოდებული იქნება კონკურენტი სისტემის მწარმოებლის მიერ, გარდა ადგ-

ილზე „გადასახადების შეგროვების“ ერთეულისა“. ამდენად, იმის გამოცხადებამ, რომ ადგილზე „გადასახადების შეგროვების“ ერთეულის სისტემა მონოდეული იქნება უფასოდ, მნიშვნელოვნად გაართულა ბაზარზე მოქმედი საგზაო ტელემატიკური სისტემების მომწოდებლებისათვის ახალი მომხმარებლების მოპოვება და, გარდა ამისა, რისკის ქვეშ მოაქცია მათი ეკონომიკური არსებობის განგრძობადობა. აღნიშნული დახურვა უფრო გაძლიერდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილზე „გადასახადების შეგროვების“ ერთეულის ფუნქციები გაფართოვდება მეორე თაობის ერთეულში (გასაჩივრებული გადანაცვეტილების მე-60-65-ე ნაწილები).

103. კომისიამ, შესაბამისად, დაასკვნა, რომ ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, კონცენტრაცია გამოიწვევს *Daimler Chrysler*-ის მხრიდან დომინანტური მდგომარეობის შექმნას, ადგილზე „გადასახადების შეგროვების“ ერთეულის გაერთიანებული სანარმოს მეშვეობით, გერმანიის საგზაო ტელემატიკური სისტემების ბაზარზე სატრანსპორტო და ლოჯისტიკური სანარმოებისათვის, რომლის შედეგადაც ეფექტური კონკურენცია მნიშვნელოვნად იქნება ხელყოფილი საერთო ბაზარზე (გასაჩივრებული გადანაცვეტილების 66-ე ნაწილი).

104. კომისიამ დაასკვნა, რომ, როგორც ჩანს, კონცენტრაციის მხარეების მიერ წარდგენილი ვალდებულებები საკმარისი იყო მის მიერ შექმნილი წინააღმდეგობების მოსახსნელად (გასაჩივრებული გადანაცვეტილების 69-ე ნაწილი).

105. უფრო ზუსტად, გადასახადების შეგროვების მოდულის ვალდებულებასთან დაკავშირებით, კომისიამ გასაჩივრებული გადანაცვეტილების 70-ე ნაწილში განაცხადა, რომ მხარეების მიზანი, განევითარებინათ გადასახადების შეგროვების მოდული მესამე მხარის ალჭურვილობისათვის, გადასახადების მოდულის ამ ალჭურვილობისათვის დამატებითი დახმარების შექმნა და აუცილებელი მოწონება ამ ალჭურვილობის გამოყენებისა, მესამე მხარისათვის შესაძლებელს გახდის, აწარმოონ მათი საკუთარი ტელემატიკური ალჭურვილობა გადასახადების ფუნქციით. კომისია განმარტავს, რომ ტრანსპორტის, მშენებლობისა და დასახლების ფედერალურმა სამინისტრომ გადანაცვეტიტა უზრუნველყო, რომ მესამე მხარის მიერ მონოდეული საგადასახადო მოდულის მქონე ტელემატიკური ალჭურვილობის მდგომარეობა ხარჯებთან დაკავშირებით არ იყო განსხვავებული სატვირთო მანქანების საგადასახადო სისტემის მწარმოებელთან.

106. გასაჩივრებული გადანაცვეტილების 71-ე ნაწილში კომისიამ დაადგინა, რომ „მესამე მხარის ალჭურვილობის წარმოება და განვითარება, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება გადასახადების შეგროვება გადასახადების მოდულთან დაკავშირებით, ატაცებული იქნება (კერძოდ) სატვირთო მანქანების მწარმოებლებისა და მათი მომწოდებლების მიერ“. აღნიშნულის საფუძველზე და ბაზრის ტესტის შესაბამისად, კომისიამ ივარაუდა, რომ „მესამე მხარეებისათვის გადასახადების მოდულის ინტეგრირების შესაძლებლობა მათივე საკუთარ ალჭურვილობაში მნიშვნელოვნად შეზღუდავს ადგილზე „გადასახადების შეგროვების“ ერთეულის დომინანტურ პლატფორმად გადაქცევის შესაძლებლობას და მეკარის ფუნქციის მიღების ალბათობას გერმანიაში სატრანსპორტო და ლოჯისტიკური სანარმოების ტელემატიკური სისტემების ბაზარზე“.

107. GPS-ის გამოსახულების ვალდებულებასთან დაკავშირებით, კომისიამ დაადგინა, რომ მისი ბაზრის ტესტის მიხედვით, GPS-ის ფუნქციების გამოყენება ადგილზე „გადასახადების შეგროვების“ ერთეულთან მიმართებით, შესაძლებლობას მისცემს ტელემატიკური მოწყობილობების მომწოდებელ მესამე მხარეს, გააკეთოს დანაზოგი ერთ ერთეულზე 150-იდან 200 ევრომდე, და, მიუხედავად ავტომობილში ტერმინალური

მონყობილობების შემდგომი ინტეგრირებისა, ათავსებს მათ ისეთ მდგომარეობაში, რომ კონკურენცია გაუწიოს ადგილზე „გადასახადების შეგროვების“ ერთეულის საფუძველზე შეთავაზებულ ტელემატიკურ მომსახურებას (გასაჩივრებელი გადან-ყვეტილების 72-ე ნაწილი).

108. TGG-ს კარიბჭის ვალდებულების გათვალისწინებით, კომისიამ დაადგინა, რომ მესამე მხარის ტელემატიკური მომსახურების მიმწოდებლებს აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ არადისკრიმინაციული დაშვება ადგილზე არსებული ერთეულის არსებით ფუნქციონალობასა და დაუმუშავებელ მონაცემებზე ცენტრალური ტელემატიკური კარიბჭის მეშვეობით, რაც იმოქმედებს ნეიტრალურად და დამოუკიდებლად, კონცენტრაციის მხარეებთან დაკავშირებით (გასაჩივრებელი გადანყვეტილების 73-ე და 74-ე ნაწილები).

109. დაბოლოს, კომისიამ ყურადღება გაამახვილა ხარისხობრივი მორატორიუმის მნიშვნელობაზე, რომელიც იცავს გადასახადების შეგროვების პლატფორმას გერმანიის ბაზარზე დომინანტ პლატფორმად გადაქცევისაგან, დაკავშირებულს საგზაო მოძრაობის ტელემატიკურ სისტემასთან იმდენად, რამდენადაც GPS კავშირისა და გადასახადების შეგროვების მოდულის ვალდებულებები შესრულებული არ არის (გასაჩივრებელი დოკუმენტის 76-ე პუნქტი).

110. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, კომისიამ აღმოაჩინა: საერთო ვალდებულებები უზრუნველყოფენ, რომ გერმანიაში საგზაო მოძრაობის ტელემატიკების სისტემების ბაზარი რჩება ღია და რომ მხარეები და მესამე მხარეები გააგრძელებენ კონკურენციის თანაბარი პირობებით სარგებლობას. აქედან გამომდინარე, კომისიამ დაასკვნა, რომ ვინაიდან მხარეები ასრულებენ ვალდებულებებს, რეგისტრირებული კონცენტრაცია არ იქნება მიმართული, Daimler Chrysler-ის მაგიერ შექმნას დომინანტური პოზიცია, საგზაო მოძრაობის ტელემატიკების სისტემების გერმანულ ბაზარზე გადასახადების შეგროვების გზით (გასაჩივრებელი გადანყვეტილების 77-ე პუნქტი).

დ) სტანდარტი, რომლის გამოყენებითაც განხორციელდა ვალდებულებების შეფასება

111. Qualcomm არსებითად ასაჩივრებს, რომ კომისიის მიერ ვალდებულებების შეფასება განხორციელდა არასწორი სტანდარტის საფუძველზე მაშინ, როდესაც მან განაცხადა, რომ GPS კავშირისა და გადასახადების შეგროვების მოდულის ვალდებულებების შესრულებამ მარტივად შეზღუდა გადასახადების შეგროვების პლატფორმის დომინირება.

112. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლო ადგენს, რომ სანარმოთა შერწყმის რეგულაციის თანახმად, კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება არა იმის განსაზღვრა თუ რამდენად ზღუდავენ ეს ვალდებულებები კონცენტრაციის ზეგავლენას კონკურენციაზე, არამედ იმის დადგენა, თუ ეს ვალდებულებები რამდენად აძლევენ მას საშუალებას, დაადგინოს, რომ კონცენტრაცია არ ქმნის და არც აძლიერებს დომინანტურ პოზიციას, რომლის შედეგადაც საერთო ბაზარზე ან მის მნიშვნელოვან ნაწილში ეფექტიანი კონკურენცია მნიშვნელოვანწილად შეიზღუდება (იხილეთ პარა. 89, ზემოთ).

113. ამ საქმეში არანაკლებ აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ კომისიის მიერ აღმოჩენილმა GPS კავშირის ვალდებულებამ, რომელმაც „მეტად შეზღუდა გადასახადების შეგროვების, როგორც ტელემატიკური პლატფორმის, მოსალოდნელი დომინანტობა“ და რომ გადასახადების შეგროვების მოდულის ვალდებულებამ „ფართოდ შეზღუდა გადასახადების შეგროვების შანსები დომინანტ პლატფორმად გახდომით და შესვლის მფლობელის ფუნქციის შემძენი ტელემატიკური სისტემების ბაზარზე გერმა-

ნიაში ტრანსპორტისა და ლოჯისტიკური სანარმოებისთვის“ (გასაჩივრებული გადან-ყვეტილების 72-ე და 71-ე პუნქტები), არ გამოდგება კომისიის მიერ კონცენტრაციის შემოწმების შედეგად გაკეთებული დასკვნის გასამყარებლად, რადგან ეს შეფასება არასწორი სტანდარტის გამოყენებით იქნა განხორციელებული.

114. იმის საწინააღმდეგოდ, რასაც *Qualcomm* ასაჩივრებს, კონკურენციასთან დაკავ-შირებული შემფოთება, გამოთქმული კომისიის მიერ კონცენტრაციასთან მიმართე-ბით, როგორც ასეთი, გაკეთებულია არა იმ მიზნით, რომ შეუსაბამოდ გამოცხადდეს ადგილზე გადასახადების შემგროვებელი ერთეულების მიერ ფორმირებული საერთო ბაზრის პოტენციური დომინანტი პოზიციის პლატფორმა („გადასახადების შეგროვების პლატფორმა“), არამედ უკავშირდება იმ ფაქტს, რომ *Daimler Chrysler*-ს ადგილზე გა-დასახადების შემგროვებელი ერთეულების საფუძველზე შეუძლია მიიღოს დომინანტის პოზიცია საგზაო მოძრაობის ტელემატიკური სისტემების გერმანულ ბაზარზე (გასა-ჩივრებული გადანყვეტილების 38-ე და 66-ე პუნქტები).

115. კონცენტრაციასთან დაკავშირებით მხარეთა ვალდებულებები, რომელთან მი-მართებით კომისიამ მიიჩნია მის მიერ გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრა, მი-მართულია *Daimler Chrysler*-ის დასაცავად სათანადო ბაზარზე დომინანტად გახდომი-საკენ, პირველ რიგში, გადასახადების შეგროვების პლატფორმის დომინანტურობის შემცირებით *GPS* კავშირის ვალდებულებისა და გადასახადების შეგროვების მოდულის ვალდებულებისგან გამომდინარე; მეორე, *TGG* შესვლის ვალდებულებიდან გამომდინ-არე, გადასახადების შეგროვების პლატფორმის ღია ხელმისაწვდომობის უზრუნველყ-ოფის მეშვეობით საგზაო მოძრაობის ტელემატიკების მომსახურებების უზრუნველსაყ-ოფად; და, მესამე, ხარისხობრივი მორატორიუმის დაცვაზე ადგილზე გადასახადების შემგროვებელი ერთეულების საფუძველზე საგზაო მოძრაობის ტელემატიკური მომ-სახურებების პირობითობის უზრუნველსაყოფად (გასაჩივრებული გადანყვეტილების პუნქტები, 70-იდან 76-ის ჩათვლით).

116. ეს იყო მხოლოდ მთელი მოცულობით ამ ვალდებულებების შეფასების მეშვეობით – კომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომლის თანახმადაც თუ კონცენტრაციის მხარეები შეესაბამებოდნენ მას, კონცენტრაციას საგზაო მოძრაობის ტელემატიკის სისტემებ-ის გერმანულ ბაზარზე გადასახადების შეგროვებით არ დაუდგებოდა დომინანტური პოზიციის შექმნის შედეგი *Daimler Chrysler*-ის მიერ (გასაჩივრებული გადანყვეტილების 77-ე პუნქტი).

117. ამასთან დაკავშირებით, კარგი იქნება აღინიშნოს, რომ, პირველ რიგში, გერმანი-ის სახელით, გადასახადების შემგროვებელი პასუხისმგებელია მხოლოდ იმ სისტემის დაფუძნებასა და ოპერირებაზე, რომელიც განსაზღვრულია მძიმეწონიანი სატვირთო ავტომანქანების გადასახადების გადახდაზე გერმანიის ავტოსტრადებით სარგებლობის გამო და იგი, შესაბამისად, მოქმედი არ არის შესაბამის ბაზარზე (გასაჩივრებული გად-ანყვეტილების მე-7 და მე-19 პუნქტები) და, მეორე რიგში, გადასახადების შემგროვე-ბლის მიერ ადგილობრივი ერთეულების უფასო მომსახურებით უზრუნველყოფა (გასა-ჩივრებული გადანყვეტილების მე-17 პუნქტი) იყო გერმანიის მიერ დადგენილი მოთხ-ოვნა ავტოსტრადით სარგებლობის გადასახადების შეგროვების სისტემის გადასახადე-ბის შემგროვებლების მიერ მოქმედებისათვის. აღნიშნულის მიხედვით განსახილველი გადასახადების შეგროვების სისტემის შექმნისა და ადგილობრივი ერთეულებით უფა-სოდ სარგებლობის უზრუნველყოფა თვითონ ვერ შეადგენენ კომისიის შემოწმების სა-განს, გამომდინარე სანარმოთა შერწყმის რეგულაციიდან.

118. მიმდინარე განხილვიდან გამომდინარე, სასამართლო უარყოფს *Qualcomm*-ის

საჩივარს, რომ კომისიამ ვალდებულებები არასწორი სტანდარტების საფუძველზე შეამონმა.

ე) გადასახადების შეგროვების მოდულის ვალდებულება და *GPS* კავშირის ვალდებულება

შესავალი

119. როგორც წინასწარი შენიშვნა, უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის მიერ გამოხატული შეშფოთება კონკურენციასთან დაკავშირებით, კონცენტრაციის შესახებ ინფორმირების შემდეგ, იყო *Daimler Chrysler*-ის მიერ დომინანტური პოზიციის შექმნა საგზაო მოძრაობის ტელემატიკის სისტემების გერმანულ ბაზარზე გადასახადების შეგროვებით, რაც მოიცავდა როგორც საგზაო მოძრაობის ტელემატიკის მომსახურებას, ასევე აღჭურვილობას, რომელიც ამ მომსახურების მიწოდებას ემსახურებოდა.

120. კონცენტრაციის წინაშე მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებები მოიცავდა როგორც საგზაო მოძრაობის ტელემატიკის მომსახურებას, ასევე აღჭურვილობის უზრუნველყოფას, რომელსაც ამ მომსახურების მიწოდება უნდა განეხორციელებინა. შესაბამისად, *TGG*-ს შესვლის ვალდებულება, რომელიც ტელემატიკის მომსახურების მიწოდებულთა არადისკრიმინაციულ ხელმისაწვდომობასა და ადგილზე გადასახადების შემგროვებელი ერთეულების ნედლ მასალას უზრუნველყოფს, ეხება მხოლოდ საგზაო მოძრაობის ტელემატიკის მომსახურების მიწოდებას. *GPS* კავშირის ვალდებულება და გადასახადების შეგროვების მოდულის ვალდებულება, თავის მხრივ, დაკავშირებულია იმ აღჭურვილობის უზრუნველყოფასთან, რომლითაც ამგვარი მომსახურების მიწოდება ხორციელდება.

121. *Qualcomm*-ის საჩივრები ეხება მხოლოდ იმ ვალდებულებებს, რომლებიც უკავშირდება იმ აღჭურვილობით მომარაგებას, რომლის მეშვეობითაც საგზაო მოძრაობის ტელემატიკის მომსახურება უზრუნველყოფილი იქნება. *Qualcomm* არ უქმნის სირთულეებს *TGG*-ს შესვლის ვალდებულებას.

122. დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ამ ვალდებულების შეფასება დაედო საფუძვლად კომისიის დასკვნას, რომლის თანახმად, ისინი უფლებას მისცემდნენ საგზაო მოძრაობის ტელემატიკის სისტემებს, დარჩენილიყვნენ ღიად და დაიცავდნენ დომინანტური პოზიციის შექმნას *Daimler Chrysler*-ის მიერ ერთობლივი საწარმოს მეშვეობით საგზაო მოძრაობის ტელემატიკის სისტემების გერმანულ ბაზარზე (გასაჩივრებული გადანყვეტილების 77-ე პუნქტი).

გადასახადების შეგროვების მოდულის ვალდებულება

შესავალი

123. რაც შეეხება *Qualcomm*-ის საჩივარს, დაკავშირებულს გადასახადების შეგროვების მოდულის ვალდებულებასთან, გასაჩივრებული გადანყვეტილების 70-ე და 71-ე პუნქტიდან, როგორც აღნიშნული იყო ზემოთ, 105-ე და 106-ე პარაგრაფებში, ნათელია, ვალდებულება დასაბამიდან უზრუნველყოფს, რომ საგზაო მოძრაობის ტელემატიკის სისტემების მიწოდებელი მესამე პირებისათვის, საჭიროთო ავტომანქანების მწარმოებლების ჩათვლით, შექმნან და ბაზარზე განათავსონ ადგილობრივი ერთეული, რომელსაც შეეძლება გადასახადების შეგროვება, მსგავსად გადასახადების შემგროვებლისა. ამ ვალდებულების შედეგია, რომ სატრანსპორტო საწარმოებს, რომელთაც სურთ გამოიყენონ საგზაო მოძრაობის ტელემატიკის მათგან განსხვავებული სისტემები, რომელსაც უზრუნველყოფს ადგილზე გადასახადების შემგროვებელი ერთეულები, არ დასჭირდებათ მეორე ტერმინალის ინსტალაცია.

124. *Qualcom* ამტკიცებს, რომ თუმცა ვალდებულება არ აძლევს უფლებას ტელემატიკის სისტემების მიმწოდებელ მესამე პირებს, კონკურენცია ჰქონდეთ ადგილზე გადასახადების შემგროვებელ ერთეულთან, მას შემდეგ, რაც, პირველ რიგში, იგი არ აღმოფხვრის ადგილზე გადასახადების შემგროვებელი ერთეულის საფასურის უპირატესობას, რომლის უზრუნველყოფაც უფასოდ ხდება, და, მეორე, თუ მესამე პირები განავითარებენ საკუთარ ადგილობრივ ერთეულს გადასახადების შეგროვების ფუნქციით, ისინი გამოიწვევენ დამატებით ხარჯებს. დამატებით, *Qualcomm* კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს კომისიის აღმოჩენას, რომ სატივროთო ავტომანქანების მწარმოებლები შეიმუშავებენ ტელემატიკის ტერმინალებს გადასახადების შეგროვების ინტეგრირებული სისტემით.

- უპირატესობა, გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ ადგილზე გადასახადების შემგროვებელი ერთეულები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ უფასოდ

125. საკამათო არ არის, რომ ადგილზე გადასახადების შემგროვებელმა ერთეულებმა უფასოდ უნდა უზრუნველყონ სატრანსპორტო სანარმოები უსაფრთხოებასთან მიმართებით.

126. საკამათო არაა ისიც, რომ ხარისხობრივი მორატორიუმის გამო ადგილზე გადასახადების შემგროვებელ ერთეულებს ვერ გამოიყენებენ საგზაო მოძრაობის ტელემატიკის სისტემების უზრუნველსაყოფად მანამ, სანამ ამგვარი უზრუნველყოფის ავტორიზაცია არ იქნება მიცემული გერმანიის მიერ. აღნიშნული ავტორიზაციის მინიჭება მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც კონცენტრაციის მხარეები შეასრულებენ ყველა ვალდებულებას, გადასახადების შეგროვების მოდულის ვალდებულების ჩათვლით.

127. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღების წინმსწრები ადმინისტრაციული პროცედურის ფარგლებში გერმანიამ კომისიის მისამართით გაგზავნილ წერილში განაცხადა, რომ ნებისმიერი ფინანსური დახმარება მათი მხრივ კონცენტრაციის მხარეთა სასარგებლოდ დაფარავს მხოლოდ გადასახადების შეგროვების განხორციელებისთვის საჭირო ხარჯებს. გერმანიამ ეს პოზიცია დაადასტურა თავისი განცხადებებით გაკეთებული ჩარევისა და საქმის მოსმენის დროს.

128. დამატებით, ადგილზე გადასახადების შემგროვებელი ერთეულების საფასურთან დაკავშირებით, გერმანიამ იკისრა პასუხისმგებლობა იმასთან მიმართებით, რომ მესამე მხარეებისადმი მიდგომა, რომლებიც ტელემატიკური მოწყობილობების მიწოდებას უზრუნველყოფენ გადასახადების შეგროვების მოდულებში გასაერთიანებლად, არ იქნება განსხვავებული იმისგან, რომელიც სატივროთო ავტომანქანების გადასახადების შეგროვების სისტემაზე ფუნქციონირებს (გასაჩივრებული გადაწყვეტილების 70-ე პუნქტი). ამ სანარმოს მიმართ არსებობს გერმანიის თანხმობა, ასახული კომისიის მისამართით, 2003 წლის 2 აპრილს გაგზავნილ წერილში. აღნიშნული ასევე დადასტურებულ იქნა გერმანიის მიერ სასამართლო განხილვის დროს.

129. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილზე გადასახადების შემგროვებელი ერთეულების უფასო უზრუნველყოფას შედეგად მოაქვს კონკურენციის გარეშე უპირატესობა *Daimler Chrysler*-ისათვის იმდენად, რამდენადაც გადასახადების შეგროვების წარმოების საფასური შეფუთობას იწვევს. გერმანიის მიერ ნაკისრი ვალდებულების შედეგად, რომელიც განსახილველი ადგილობრივი ერთეულების მწარმოებელსა და მესამე მხარეებს, – ეს უკანასკნელნი სთავაზობენ თავიანთ საკუთარ საგზაო მოძრაობის ტელემატიკურ სისტემებს, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნება გადასახადების შესაგროვებლად, – შორის განსხვავებულ მიდგომას გამორიცხავს. არანაირი კონკურენციასთან დაკავშირებული უპირატესობა არა აქვთ მიცემული გადასახადე-

ბის შემგროვებელს ან *Daimler Chrysler*-ს მესამე მხარეებთან შედარებით. თანასწორი მიდგომა, როგორც კონცენტრაციის მხარეებს შორის, რომლებმაც გადასახადების შემგროვებელს განუსაზღვრეს შეკითხვაში დასმული ადგილობრივი ერთეულის განვითარება, ასევე მესამე მხარეებთან მიმართებით, რომლებიც ავითარებენ სხვა ადგილობრივ ერთეულებს გადასახადების შეგროვების მოდულის ვალდებულების საპასუხოდ, უზრუნველყოფილია იმდენად, რამდენადაც გერმანიის მიერ ადგილობრივი ერთეულების ღირებულების ანაზღაურება შემოფოთებას იწვევს.

130. ამიტომაც იყო მიზანშეწონილი კომისიისთვის, გაეკეთებინა დასკვნა, რომ გადასახადების შეგროვების მოდულის ვალდებულება დაკავშირებული იყო კონკურენციისთვის ზიანის მიყენებასთან, გაცხადებული გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში, კერძოდ კი, სატრანსპორტო საწარმოები არ იქნებოდნენ მზად, გადაეხადათ მეორე ადგილობრივი ერთეულისთვის. ამ ვალდებულების მიზეზით, მესამე მხარის წარმომადგენელ მწარმოებლებს შეეძლებათ შესთავაზონ ტელემატიკური სისტემები გაერთიანებული გადასახადების შეგროვების გადასახადების შეგროვების მოდულში და მიიღონ ისეთივე ფინანსური მხარდაჭერა, როგორსაც გადასახადების შემგროვებელი იღებს თავისი ადგილობრივი ერთეულების უფასო უზრუნველყოფით.

131. დასასრულს, და საერთო შეჯამებისთვის, უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში კომისია აშკარად არ დაეყრდნო ხარისხში რაიმე განსხვავებას, გამომდინარე გადასახადების შეგროვების მოდულის ვალდებულების შეფასებიდან, საგზაო მოძრაობის ტელემატიკის მომსახურებებსა, რომლებიც შეიძლება მიწოდებულ იქნეს ადგილზე გადასახადების შემგროვებელი ერთეულებით და იმათ შორის, რომლებიც შეიძლება უზრუნველყოფილ იქნენ მესამე მხარეების მიერ მიწოდებული აღჭურვილობით, გასაჩივრებული გადანყვეტილებიდან, ადგილი როგორც ერთი მთლიანი, აშკარაა, რომ ამგვარი ხარისხობრივი განსხვავება შესაფერისია კონცენტრაციის კონკურენციაზე გავლენის შეფასების მიზნით.

132. ვალდებულებების არარსებობის პირობებში კონკურენციაზე კონცენტრაციის გავლენის შეფასებაში კომისია ეყრდნობა ხარისხობრივ განსხვავებას (გასაჩივრებული გადანყვეტილების პუნქტები, 62-იდან 65-ის ჩათვლით). შესაბამისად, კომისიამ განაცხადა, რომ საგზაო მოძრაობის ტელემატიკის მომსახურებები, ხელმისაწვდომი ადგილზე გადასახადების შემგროვებელი ერთეულის მეშვეობით, არ მოიცავს ბაზარზე დღეის მდგომარეობით არსებული ტელემატიკური ტერმინალების გამოყენებით შეთავაზებულ ყველა მომსახურებას, არამედ „ისინი ძირეულ ფუნქციებს შეადგენენ, რომლებიც ასევე იმ სისტემების ნაწილია, რომლებიც დღესდღეობით ხელმისაწვდომია ბაზარზე“. დამატებით, მან, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ადგილზე გადასახადების შემგროვებელი ერთეულები უზრუნველყოფილია უფასოდ, განაცხადა, რომ „ეს (იყო)... მოსალოდნელი, რომ ავტოსატრანსპორტო პარკის ოპერატორები, რომელთა სატვირთო ავტომანქანები უკვე აღიჭურვნენ გადასახადების შემგროვებლის მიერ ადგილობრივი ერთეულით, აღარ შეიძენენ სხვა ტელემატიკური ტერმინალის აღჭურვილობას დამატებითი საგზაო მოძრაობის ტელემატიკის გამოსაყენებლად, შეთავაზებულს კონკურენტული სისტემის მიმწოდებლების მიერ დამატებით ადგილზე გადასახადების შემგროვებელი ერთეულებისა“.

133. აღნიშნული ხარისხობრივი განსხვავება მნიშვნელოვანს ხდის კომისიის ანალიზს გადასახადების შეგროვების მოდულის ვალდებულებასთან მიმართებით.

134. აღნიშნულთან დაკავშირებით, კომისიის მიერ თავისი არგუმენტის მხარდასაჭერად მოყვანილი *Frost & Sullivan* ანგარიში ამბობს, რომ იმ დროს, როდესაც კონცენტრაცია

შეფასდა, ევროპაში მოთხოვნა იყო სისტემებზე, რომელთა მეშვეობითაც უფრო სრულყოფილი საგზაო მოძრაობის ტელემატიკური სისტემები იქნებოდა მინოდებული და ადასტურებს, რომ ეს მოთხოვნა წლების განმავლობაში კიდევ უფრო გაიზრდება.

135. შესაბამისად, კომისიისთვის მიზანშეწონილი იყო, გაეკეთებინა დასკვნა, რომ იმ დროისთვის, როდესაც მოხდა კონცენტრაციის შეფასება, ევროპაში არსებობდა სისტემებზე მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც უფრო სრულყოფილი საგზაო მოძრაობის ტელემატიკური მომსახურებები უნდა ყოფილიყო მინოდებული და რომ ის მოთხოვნა გაიზრდებოდა წლების განმავლობაში. უფრო მეტიც, საერთო საფუძველია ის, რომ ადგილზე გადასახადების შემგროვებელ ერთეულს დასაწყისიდანვე შეეძლო ყოფილიყო გამოყენებული ნაკლებად სრულყოფილი ტელემატიკური მომსახურებებისათვის (გასაჩივრებული გადაწყვეტილების 62-ე პუნქტი). აღნიშნულიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ „ერთი გაჩერების მალაზიის“ მიმნოდებლები, გადასახადების შეგროვების მომსახურების დამატებით, თავიანთი სისტემებით სთავაზობენ უფრო სრულყოფილ ტელემატიკურ სისტემებს, ვიდრე ისინი, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან ადგილზე გადასახადების შემგროვებელი ერთეულებით, და მათ კითხვაში დასმული ადგილზე გადასახადების შემგროვებელი ერთეულებით წარმოებული მომსახურების მიმნოდებლების საწინააღმდეგოდ აქვთ კონკურენციული უპირატესობა.

136. ამ ხარისხობრივმა უპირატესობამ არადისკრიმინაციულ მიდგომასთან ერთობლიობაში, გადასახადების შეგროვების მოდულის ვალდებულების გამოყენებასთან მესამე პირების ხარჯებთან დაკავშირებით, მისცა კომისიას, შეფასებაში აშკარა შეცდომის დაუშვებლად, დასკვნის გაკეთების საფუძველი, რომ გადასახადების შეგროვების მოდულის ვალდებულება ფართოდ შეზღუდავს გადასახადების შემგროვებლის მცდელობებს, გახდეს დომინანტი პლატფორმა და შეიძინოს კარიბჭის მპყრობელის ფუნქცია გერმანიაში ტელემატიკური სისტემების ბაზრზე ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის საწარმოებისათვის.

დამატებითი გადასახადები

137. *Qualcomm* ამტკიცებდა, რომ ტელემატიკური სისტემების მიმნოდებელ მესამე მხარეებს დაეკისრებათ დამატებითი გადასახადები იმის ჩათვლით, როგორცაა თავიანთი სისტემების ინტეგრირება გადასახადების შეგროვების მოდულში, მოდულის განვითარება და მინოდება (იხილეთ ვალდებულებების პუნქტი B.IV.2.4) და მოდულის ინტეგრირების სისტემებისთვის გადასახადების დამტკიცება (იხილეთ ვალდებულებების პუნქტი B.IV.2.4).

138. ამასთან მიმართებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ კონცენტრაციის მხარეების მიერ აღებული ვალდებულებებიდან ნათლად ჩანს, ადგილზე გადასახადების შემგროვებელ ერთეულებს დაუყოვნებლივ არ შეეძლებათ ტელემატიკური მომსახურებების უზრუნველყოფა. აშკარაა, რომ ამ ვალდებულებების პუნქტების – A.3 და B.II.16.1 – მიხედვით, საჭიროა დამატებითი პროგრამული უზრუნველყოფის განხორციელება განსახილველ ადგილობრივ ერთეულებში ამგვარი მომსახურებების უზრუნველსაყოფად. ვალდებულებების A.3 პუნქტის მეორე პარაგრაფი ადგენს, რომ „დამატებითი ღირებულების მომსახურებები უზრუნველყოფილი იქნება პირდაპირ [განსახილველი ადგილობრივი ერთეულების] ფუნქციონირებით [ამ ერთეულებში] დამატებითი პილოტური კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით (რომელიც მოითხოვს გადამჭრელ მოქმედებას)“. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ განსახილველი ადგილობრივი ერთეულების ფუნქციონირება ასევე გამოიწვევს აუცილებელ საადაპტაციო ხარჯებს, თუ საწარმოებს შეეძლებათ მათი, როგორც საგზაო მოძრაობის ტელემატიკის აღ-

ჭურვილობის, გამოყენება. რაც შეეხება მოდულის განვითარებისა და მიწოდების გადასახადებსა და მოდულის ინტეგრირების მონოპოლიზაციისთვის გადასახადების განსაზღვრას, როგორც აღნიშნული იყო ვალდებულებების პუნქტში B.IV.2.4, *Qualcomm* არ უჩვენებს, რომ ეს გადასახადები იქნება იმაზე მეტი, ვიდრე ისინი, რომლებიც გადასახადების შემგროვებელმა გამოიყენა საკუთარი გადასახადების შეგროვების მოდულის განსავითარებლად. დასასრულს, ყველა შემთხვევაში *Qualcomm* არ ახდენს გასაჩივრებული დამატებითი გადასახადების რაოდენობის განსაზღვრას, არც მის საწყის მიახლოებითი ოდენობის დადგენას.

139. შესაბამისად, *Qualcomm*-მა არ დაადგინა, რომ ტელემატიკური სისტემის მიმწოდებელ მესამე მხარეებს მოუწევთ დამატებითი გადასახადების ტვირთვა, როდესაც იყენებენ გადასახადების შეგროვების მოდულის ვალდებულებას.

- სატვირთო ავტომანქანების მწარმოებლების მიერ ტელემატიკური ტერმინალების განვითარება გადასახადების შეგროვების ინტეგრირებული ფუნქციით

140. *Qualcomm* ასევე ეჭვქვეშ აყენებს კომისიის აღმოჩენას, რომლის მიხედვითაც სატვირთო ავტომანქანების მწარმოებლებმა ტელემატიკური ტერმინალების განვითარება დაიწყეს გადასახადების შეგროვების ინტეგრირებული ფუნქციით.

141. სასამართლო აღნიშნავს ამასთან მიმართებით, რომ *Frost & Sullivan*-ის ანგარიშიდან აშკარაა, 2000 წლიდან ორიგინალი ალჭურვილობის მწარმოებლებმა ევროპაში დააინსტალირეს ხაზზე მორგებული ტელემატიკური სისტემები თავიანთ სატვირთო ავტომანქანებში (იხილეთ *Frost & Sullivan*-ის ანგარიშის დიაგრამა – 3-10 და ილუსტრაცია – 3-14). დამატებით, ანგარიშმა აღმოაჩინა, რომ ავტომანქანების მწარმოებლები გეგმავდნენ კომერციული ტელემატიკური ავტომანქანების ბაზრის განვითარებასა და გაძლიერებას და ელექტრონული გადასახადების შემგროვებლისა და ტელემატიკური სისტემების კომბინაცია არაჩვეულებრივ შესაძლებლობაა (იხილეთ *Frost & Sullivan*-ის ანგარიში, გვ. 2-21). ანგარიში ასევე ასახავს, რომ მოსალოდნელია, ავტომანქანების მწარმოებლები მიზნად დაისახავენ, ხაზზე მორგებული საგზაო მოძრაობის ტელემატიკური სისტემები გახადონ პრიორიტეტული (იხილეთ *Frost & Sullivan*-ის ანგარიში, გვ. 3-11). დასასრულს, ანგარიშის ავტორები წინასწარმეტყველებენ, რომ 2009 წელს ორიგინალი ალჭურვილობის მწარმოებლები ევროპაში მიაღწევენ მძიმე კომერციული სატვირთო ავტომანქანების (16 ტონა და მეტი) საგზაო მოძრაობის ტელემატიკების ბაზრის დაახლოებით 80%-ამდე და მძიმე და საშუალო კომერციული სატვირთო ავტომანქანების შერეული ბაზრის 50%-ზე მეტზე შელწევას (იხილეთ *Frost & Sullivan*-ის ანგარიშის დიაგრამები, გვ. 3-20, 3-21 და 3-22).

142. სწორედ ამიტომ იყო მიზანშეწონილი კომისიისთვის, ანგარიშიდან გამომდინარე გაეკეთებინა დასკვნა, რომ მძიმე სატვირთო ავტომანქანების მწარმოებლები და მათი ალჭურვილობის მომმარაგებლები განავითარებენ თავიანთ საკუთარ საგზაო მოძრაობის ტელემატიკის სისტემებს. დამატებით, არაჩვეულებრივი შესაძლებლობის მიცემით გამოხატული ელექტრონული გადასახადების შემგროვებელი სისტემებისა და ტელემატიკური სისტემების კომბინაციით, აშკარა უზუსტობას არ არის იმის დასკვნა, რომ მძიმე სატვირთო ავტომანქანების მწარმოებლები და მათი ალჭურვილობის მომმარაგებლები ინტეგრირებას გაუკეთებენ ელექტრონული გადასახადების შემგროვებელ სისტემას, მათ საგზაო მოძრაობის ტელემატიკურ სისტემაში გადასახადების შეგროვების მოდულის ვალდებულებიდან გამომდინარე.

143. მიუხედავად ამისა, *Qualcomm* ამტკიცებს, რომ, თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე, ავტოსატრანსპორტო პარკის ოპერატორებს არ მოსწონთ თავიანთ სატვირთო

ავტომანქანებში ხაზზე მორგებული ტელემატიკური ტერმინალების ქონა, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი იყენებენ სხვადასხვა კუსტარულად დამზადებულ სატვირთო ავტომანქანას. ხაზზე მორგება ქმნის შეწყობილი ფუნქციონირების პრობლემას სხვადასხვა მწარმოებლის ხაზზე მორგებულ სისტემებს შორის, კერძოდ კი ავტოსატრანსპორტო პარკის გასაგზავნი ცენტრის დონეზე. დამატებით, სხვადასხვა ტერმინალის ინსტალაცია ართულებს მძღოლების მომზადებას.

144. ეს არგუმენტები არ უნდა იქნეს უარყოფილი. *Frost & Sullivan*-ის ანგარიში აცხადებს, რომ მძიმე სატვირთო ავტომანქანების მწარმოებლები ავითარებენ დამოუკიდებელი სატვირთო ავტომანქანების სისტემას, რათა დაძლიონ სატვირთო ავტომანქანების ოპერატორების საკითხი, რომელთაც აქვთ სხვადასხვა მოდიფიკაციის სატვირთო ავტომანქანათა პარკი (*Frost & Sullivan*-ის ანგარიში, გვ. 3-21). ანგარიშის თანახმად, „FMS სტანდარტი „წინგადადგმული ნაბიჯია იმ სისტემების მიმართულებით, რომელთაც ძალუძთ იმოქმედონ ყველა სატვირთო ავტომანქანასთან მიმართებით, რომლებიც მაღალი დონის სრულფასოვნებით ხასიათდებიან. უფრო მეტიც, არაფერი არსებობს შერეული ავტოსატრანსპორტო პარკის მფლობელების დასაცავად მათი სატვირთო ავტომანქანებისთვის (ავტოსატრანსპორტო პარკის ნაწილზე) შესაბამისი დამატებითი აღჭურვილობის ინსტალაციისგან. დამატებით და ყოველი შემთხვევისთვის, *Qualcomm*-მა ვერ წარმოადგინა რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს, რომ ავტოსატრანსპორტო პარკის ოპერატორებს არ მოსწონთ თავიანთ სატვირთო ავტომანქანებზე ხაზზე მორგებული ტელემატიკის ტერმინალების ქონა, ან, რომ უმეტესობა მათგანი იყენებს სხვადასხვა მოდიფიკაციის სატვირთო ავტომანქანებს.

145. შესაბამისად, კომისიას შეეძლო სწორად დაესკვნა, რომ მოსალოდნელი იყო, ესენი კონკრეტულად იქნებოდნენ სატვირთო ავტომანქანების მწარმოებლები და მათი აღჭურვილობის მომმარაგებლები, რომლებიც ავითარებენ და აწარმოებენ გადასახადების შეგროვების მოდულის ვალდებულებით მოცულ ტელემატიკურ აღჭურვილობას.

დასკვნა

146. ყოველივე ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს *Qualcomm*-ის საჩივარი, დაკავშირებული განცხადებასთან, რომ აშკარა შეცდომა იყო დაშვებული შეფასებისას, იმდენად, რამდენადაც იგი გადასახადების შეგროვების მოდულის ვალდებულებას უკავშირდება. *Qualcomm*-მა ვერ აჩვენა, რომ ვალდებულება უკანონო იყო, დაკავშირებული კომისიის შეშფოთებასთან კონკურენციის გამო, რაც ეხება საგზაო მოძრაობის ტელემატიკური სისტემების ბაზარზე უზრუნველყოფილი საგზაო მოძრაობის ტელემატიკური მომსახურებების განხორციელების შესაძლებლობის მიმცემ აღჭურვილობას.

C — მეორე სამართლებრივი საჩივარი უფლებამოსილების გადამეტების მტკიცებულების თაობაზე

1. მხარეთა არგუმენტები

159. *Qualcomm* ამტკიცებს, რომ კომისიამ, კონცენტრაციის შეფასებისას გადაამეტა თავის უფლებამოსილებას ზოგადი პოლიტიკის განხილვების გათვალისწინების გამო. შესაბამისად, კომისიამ არასწორად მიიღო მხედველობაში ის ფაქტი, რომ გადასახადების შეგროვების სისტემამ გერმანიასა და ვეროპაში შექმნა ტელემატიკური მომსახურებების დაწყების შესაძლებლობა და მას არ უნდოდა, შეეჩერებინა მისი დაწყება.

160. კომისია უარყოფს იმ ფაქტს, რომ მან გადაამეტა თავის უფლებამოსილებას ნებისმიერ კონტექსტში.

2. სასამართლოს მიერ გაკეთებული აღმოჩენები

161. დადგენილი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, უფლებამოსილების გადამეტების კონცეფცია ეყრდნობა საქმეებს, სადაც ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოიყენა თავისი უფლებამოსილება არა იმ მიზნით, რაც მისთვის იყო განსაზღვრული. გადანყვეტილება შეიძლება ჩაითვალოს უფლებამოსილების გადამეტებად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამკარაა, რომ ობიექტური, შესაფერისი და თანმიმდევრული ნიშნების საფუძველზე, მიღებულ იქნა ექსკლუზიური ან ნებისმიერი პროპორციის ძირითადი მიზნით, იმის მისაღწევად, რომელიც განსხვავდება გაცხადებულისგან (იხილეთ საქმე C-331/88 *Fedesa and Others* [1990] ECR I-4023, პარა. 24; საქმე C-407/04 P *Dalmine v. Commission* [2007] ECR I-829, პარა. 99; და საქმე T-143/89 *Ferriere Nord v. Commission* [1995] ECR II-917, პარა. 68). იქ, სადაც ერთზე მეტი მიზანია დასახული, თუ გადანყვეტილების საფუძველები შეიცავს, სწორ საფუძველთან დამატებით, მნიშვნელოვან საფუძველს, იგი არ გადააქცევს გადანყვეტილებას უკანონოდ უფლებამოსილების გადამეტებისთვის, და ადგენს, რომ გადანყვეტილება არ აჩერებს ძირითადი მიზნისკენ სწრაფვას (იხილეთ საქმე 2/54 *Italy v. High Authority* [1954] ECR 37, 54 და საქმე *EDP v Commission*, აღნიშნული ზემოთ, პარა. 89, პარა. 87).

162. ამ საქმეში *Qualcomm* არ უარყოფს, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილება არ შეიცავს რაიმე მითითებას ზოგადი პოლიტიკის განხილვასთან მიმართებით. იგი ზღუდავს თავის თავს, შეინარჩუნოს ზოგადი პოლიტიკის განხილვები, მხარდაჭერილი კომისიის მიერ საბოლოო ვალდებულებების მიღებისგან და მასთან მიმართებით ეყრდნობა საქმეზე პასუხისმგებელი კომისიის გუნდის ხელმძღვანელის მიერ 2003 წლის 20 მარტს ზეპირი განხილვისას გაკეთებულ გამონათქვამებს.

163. როგორც 2003 წლის 20 მარტის ზეპირი განხილვის ჩანაწერების ამონაკრებიდან ჩანს, კომისიის წარმომადგენელი დაეყრდნო იმ ფაქტს, რომ ადგილზე გადასახადების შემგროვებელი ერთეულები, სავარაუდოდ, ძალიან ფართო ტელემატიკური პლატფორმა იქნება და რომ იქ უზრუნველყოფილი იქნება ამ პლატფორმით ბევრად დიდი ბაზრის შეღწევადობა, ვიდრე მის გარეშე. იმის გათვალისწინებით, რასაც მან უწოდა „უფრო სტრატეგიული დაკვირვებები“, კომისიის წარმომადგენელმა შეკითხვით მიმართა ბაზარზე მოთამაშეებს პრობლემებთან დაკავშირებით მათი მოსაზრებების თაობაზე, რომლებიც გადასახადების შემგროვებლის მიერ იყო გამოწვეული, რომ *Daimler Chrysler*-ს არ ჰქონოდა პლატფორმაზე კონტროლი და პლატფორმასთან უფრო სრულყოფილი დანადგარების დაკავშირების შესაძლებლობა.

164. მიუხედავად ამისა, აღნიშნული დაკვირვებების საფუძველზე ვერ იქნება გაკეთებული დასკვნა, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილება მიღებული იყო, ან, უფრო ზუსტად, ვალდებულებები შეფასდა ნებისმიერი სხვა მიზნით, გარდა იმისა, რომელიც უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის ტელემატიკური სისტემების ბაზარზე ეფექტიან კონკურენციას. შერწყმის პროცედურებში შეთავაზებული ვალდებულებების კონკურენციაზე ზეგავლენის ანალიზი აუცილებლად მოიცავს არსებული სიტუაციისა და შესაბამისი ბაზრის მომავალი განვითარების შეფასებებს. მას შემდეგ, რაც კომისიამ დასაშვებად ცნო შესაბამის ბაზარზე კონკურენციის ეფექტიანობის განმაპირობებელი ვალდებულებები, ის ფაქტი, რომ მან საგზაო მოძრაობის ტელემატიკური სისტემების უფრო დიდი შეღწევადობით შესაბამის ბაზარზე მიიღო დასაშვებად ცნობილი ვალდებულებების პოტენციურად გამოწვეული განვითარება, არ ქმნის იმ გარემოებას, რომ კომისიამ გამოიყენა თავისი უფლებამოსილება არა იმ მიზნით, რომლითაც უფლებამოსილებები მინიჭებული ჰქონდა მას შერწყმის რეგულაციის საფუძველზე.

165. უფრო მეტიც, ის ფაქტი, რომ ასევე მისაღები იყო სხვა ვალდებულებები, რომლებიც არ იწვევენ ამგვარი ბაზრის განვითარებას, ვერ გამოიწვევს გასაჩივრებული გადანყვეტილების ანუღირებას, რადგანაც კომისიამ დაასკვნა, რომ გადანყვეტილებაში ასახულმა ვალდებულებებმა მას მისცა განსახილველი კონცენტრაციის საერთო ბაზართან შესაბამისობის დეკლარირების საფუძველი.

166. ყველა შემთხვევაში, უბრალო ფაქტი, რომ კომისიის წარმომადგენელმა შეკითხვით მიმართა წარმოდგენილ კონცენტრაციაში სანარმოებს, შესაძლო ბაზრის განვითარების კონტექსტში საგზაო მოძრაობის ტელემატიკის მომსახურებებისთვის გადასახადების შეგროვების პლატფორმის გახსნიდან გამომდინარე, არ წარმოადგენს იმ ფაქტს, რომ კომისია მისდევს გერმანიაში ტელემატიკური სისტემებისა და მოსახურებების უფრო დიდი შეღწევადობის დაზიანებისგან დაცვის, ან დაწყების გადაუდებლობის მიზანს, და ნაკლებად სარწმუნოა, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილება მიღებულ იქნა ამ მიზნის საფუძველზე.

167. შესაბამისად, *Qualcomm*-მა ობიექტური, შესაფერისი და თანმიმდევრული თვისებების საფუძველზე, ვერ დაამტკიცა, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილება მიღებული იყო გაუქმების მიღწევის და არა შერწყმის რეგულაციით დადგენილი მიზეზით. გამომდინარე აღნიშნულიდან, მეორე საკითხი უფლებამოსილების გადამეტების მტკიცებულების თაობაზე არ უნდა იქნეს უარყოფილი.

D — მესამე სამართლებრივი საჩივარი სახელმწიფო მიზეზების წარუმატებლობის თაობაზე

1. მხარეთა არგუმენტები

168. *Qualcomm* ამტკიცებს, რომ კომისიამ დაარღვია შეთანხმების 253-ე მუხლი, რამეთუ მან არ უზრუნველყო სათანადო მიზეზების დასახელება თავისი დასკვნის მხარდასაჭერად, რომლის თანახმადაც, ვალდებულებები საკმარისია მის მიერ წარმოქმნილ კონკურენციასთან დაკავშირებული ეჭვების გასაქარწყლებლად. სასამართლო დაეყრდნო მსჯელობას საქმეზე – T-310/01 *Schneider Electric*, რომელშიც განსახილველი საკითხი იყო უფლებამოსილების გადამეტებასთან დაკავშირებული მტკიცებულების შესახებ. *Commission* [2002] ECR II-4071, პარა. 197 და 203, *Qualcomm* ამტკიცებს, რომ კომისიის მიერ გაკეთებული დასკვნა მხარდაჭერილი უნდა იყოს დეტალური მიზეზებით, იმ ასპექტებთან დაკავშირებით, რომლებსაც კომისია აღიარებს, შესაბამისად, კონკურენციაზე კონცენტრაციის ზეგავლენის შეფასებისთვის. დამატებით, საერთო მიზეზებიდან გამომდინარე, სპეციფიკური დასკვნები უნდა შინაგანად დაკავშირებული იყოს. *Qualcomm* ამტკიცებს, რომ ამ შემთხვევაში აღნიშნული მოთხოვნები არ ყოფილა დაცული.

169. *Qualcomm* იცავს პოზიციას, რომ კონცენტრაციის შეფასების კონტექსტში იმის შემოწმებისას, გადასახადების შეგროვების პლატფორმა უნდა გამხდარიყო თუ არა დომინანტი ბაზარზე და მას უნდა განეხორციელებინა თუ არა ბაზარზე მოქმედი ალტერნატიული ტელემატიკური სისტემების მიმწოდებელთა გაუჩინარება, კომისიამ მიმართა რამდენიმე დეტალურ საკითხს (იხილეთ გასაჩივრებული გადანყვეტილების პუნქტები 38-იდან 56-ის ჩათვლით და 64-ე და 65-ე). თუმცა, როდესაც კომისიამ განიხილა *GPS* კავშირის ვალდებულება და გადასახადის შეგროვების მოდულის ვალდებულება, მას არ მიუმართავს არცერთი ამ საკითხისათვის.

170. შესაბამისად, რაც შეეხება გადასახადების შეგროვების მოდულის ვალდებულებას, კომისიამ უბრალოდ განაცხადა, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილების 71-ე პუნქტ-

ში, აღნიშნულთან მიმართებით, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გაკეთების გარეშე, ტექნიკური შესაძლებლობა ფართოდ ზღუდავს ადგილზე გადასახადების შემგროვებელი ერთეულის შესაძლებლობებს, გახდეს შესაბამის ბაზარზე დომინანტი პლატფორმა. *Qualcomm*-ის მიხედვით, კომისიის განცხადებასთან დაკავშირებით (გასაჩივრებული გადაწყვეტილების 72-ე პუნქტი), სიმართლეა, რომ *GPS* კავშირის ვალდებულება მოაქცევს მესამე პირებს ტელემატიკურ მომსახურებებთან კონკურენციის მდგომარეობაში, განხორციელებულს ადგილზე გადასახადების შემგროვებელი ერთეულის საფუძველზე. აღნიშნული სიტუაცია მსგავსია იმ ვითარებისა, რომელიც სასამართლოს მიერ განხილულ იქნა საქმეში – *C-76/00 P Petrotub and Republica v. Council* [2003] ECR I-79, პარა. 87. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ მიზეზი შეიძლება იყოს განსაკუთრებით მბრძანებლური განცხადება, იმ შესაბამისი საფუძველით, რომელიც არ შეიცავდა ამგვარი სახის რაიმე ახსნა-განმარტებით ელემენტს, რათა მოეხდინა დაკავშირებული მხარეებისა და თანამეგობრობის სამართალშემოქმედების განმარტების ინფორმირება აღნიშნული მიზეზების თაობაზე, რომელმაც იძულებული გახადა ხელისუფალი, თვითონ გაეკეთებინა მასთან დაკავშირებული აღმოჩენები.

171. დამატებით, კომისიის მიზეზები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში არ არის. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 62-ე და 63-ე პუნქტებში მან მიახლოებით განსაზღვრა ადგილზე გადასახადების შემგროვებელი ერთეულის ღირებულება 1000-იდან 2500 ევრომდე და განაცხადა, რომ სატრანსპორტო სანარმოებს არ მოუწევთ ალტერნატიული ტელემატიკური სისტემებისთვის გადახდა, თუ ისინი შეიძენენ ტელემატიკურ მომსახურებებს ადგილზე გადასახადების შემგროვებელი ერთეულის მეშვეობით. მიუხედავად აღნიშნულისა, როდესაც განიხილებოდა *GPS* კავშირის ვალდებულება, კომისიამ განაცხადა, რომ დანახარჯის დაზოგვა 150-იდან 200 ევრომდე ოდენობით თითოეულ ერთეულზე იქნება საფუძველი, მესამე პირების მიერ შეთავაზებულ ტელემატიკურ სისტემებს მიეცეს ადგილზე გადასახადების შემგროვებელ ერთეულებთან კონკურენციის შესაძლებლობა. კიდევაც, თუ ადგილზე გადასახადების შემგროვებელი ერთეულის უკეთესი ღირებულება არის 150 ევროსა და 200 ევროს შორის, უფასო ადგილობრივი ერთეულის უპირატესობა რჩება „კონკურენციის გარეშე“.

172. *Qualcomm* თავის პასუხში ასაბუთებს, რომ თუმცა კომისია ვალდებულებებთან დაკავშირებით გაკეთებული ინტერპრეტაციით, რომელიც მიმართული იყო მხოლოდ ადგილზე გადასახადების შემგროვებელი ერთეულის დომინანტური მდგომარეობის შეზღუდვისკენ, უფრო ლოგიკურ კომპენსირებას ახდენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიზეზებთან დაკავშირებით, იგი ეფუძნება მცდარ სამართლებრივ სტანდარტებს. ეს *Qualcomm*-ს დილემის წინაშე აყენებს დაკავშირებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიზეზებთან: იგი ან ლოგიკურ კავშირშია, როდესაც დაფუძნებულია მცდარ სამართლებრივ სტანდარტებზე, ან სწორ სამართლებრივ სტანდარტებს ეფუძნება, მაგრამ აშკარად შეუსაბამოა.

173. კომისიამ არსებითად დაიცვა საკუთარი პოზიცია, რომლის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება სათანადო მიზეზებითაა გამოწვეული და არ მოდის წინააღმდეგობაში იმდენად, რამდენადაც ასაბუთებს, რომ *GPS* კავშირის ვალდებულება და გადასახადების შეგროვების მოდულის ვალდებულება შეზღუდავენ *Daimler Chrysler*-ის დომინანტურ პოზიციას.

2. სასამართლოს აღმოჩენები

174. შეთანხმების 253-ე მუხლის მიერ მოთხოვნილი განცხადება მიზეზებზე უნდა იყოს საკითხში განსახილველი ზომების შესაბამისი და გამოააშკარაოს მიზეზების გასაგები

და ნათელი ფორმა, განხორციელებული იმ ინსტიტუტის მიერ, რომელმაც გაატარა ეს ზომა იმ კუთხით, რომ საშუალება მიეცა დაკავშირებული პირებისთვის მისი გამომწვევი მიზეზების დასადგენად და საშუალება მიეცა გაერთიანების კომპეტენტური სასამართლოსთვის, განხორციელებინა თავისი უფლებამოსილება საქმის განხილვასთან დაკავშირებით (იხილეთ საქმე *C-367/95 P Commission v. Sytraval and Brink's France* [1998] ECR I-1719, პარა. 63, და გაერთიანებული საქმეები T-25/95, T-26/95, T-30/95, T-31/95, T-32/95, T-34/95-იდან T-39/95-ის ჩათვლით, T-42/95-იდან T-46/95-ის ჩათვლით, T-48/95, T-50/95-იდან T-65/95-ის ჩათვლით, T-68/95-იდან T-71/95-ის ჩათვლით, T-87/95, T-88/95, T-103/95 და T-104/95 *Cimenteries CBR and Others v. Commission* [2000] ECR II-491, პარა. 4725). უნდა მოხდეს მიზეზთა განცხადების მიერ შეთანხმების 253-ე მუხლის მოთხოვნების დაკმაყოფილების შეფასება მასთან დაკავშირებული მუხლის არსებით ხასიათზე და იმ კონტექსტზე დაყრდნობით, რომელშიც იგი მიღებული იყო (იხილეთ საქმე *C-22/94 Irish Farmers Association and Others* [1997] ECR I-1809, პარა. 39).

175. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ მტკიცებულება, რომლის მიხედვით, არ არსებობს ან არის მხოლოდ არაადეკვატური მიზეზების განცხადება, არის საჩივრის არსებითი პროცედურული მოთხოვნის დარღვევა, რომელიც, როგორც ასეთი, განსხვავდება იმ საჩივრიდან, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების საფუძვლები არასწორია. ეს უკანასკნელი საჩივარი იყო სასამართლოს განხილვის საგანი, როდესაც მან განახორციელა ამ გადაწყვეტილების შინაარსი (იხილეთ საქმე *T-310/94 Gruber + Weber v. Commission* [1998] ECR II-1043, პარა. 41, და საქმე *T-311/94 BPB de Eendracht v. Commission* [1998] ECR II-1129, პარა. 66).

176. წინამდებარე საქმეში გასაჩივრებული გადაწყვეტილების 69-ე პუნქტი ავლენს კომისიის მიზეზებს გასაგები და ნათელი ფორმით.

177. სხვადასხვა პუნქტში კომისია ადგენს თითოეული ვალდებულების შინაარსს ისევე, როგორც მათ ზეგავლენას გადასახადების შემგროვებელსა და/ან გადასახადების შემგროვებლის მიერ უზრუნველყოფილი საგზაო მოძრაობის ტელემატიკურ მომსახურებებზე. დამატებით, ვალდებულებების ერთობლიობაში განხილვით, კომისიამ დაასკვნა, რომ ისინი შესაბამებოდნენ იმ მოთხოვნებს, რომელთაც გადასახადების შემგროვებლის მეშვეობით შეეძლოთ *Daimler Chrysler*-ის მიერ დომინანტური პოზიციის შექმნისგან დაცვა გერმანიაში საგზაო მოძრაობის ტელემატიკური სისტემების ბაზარზე.

178. როგორც გამომდინარეობს ზემოთ მოყვანილი 119-ე პარაგრაფიდან, სხვადასხვა პუნქტმა საშუალება მისცა სასამართლოს, გამოეყენებინა განხილვის უფლებამოსილება *Qualcomm*-ის მტკიცებულებებთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზე დაადგინა, რომ ისინი კარგად დასაბუთებული არ იყო. შესაბამისად, შეუძლებელია იმის დადგენა, რომ კომისია შემოიფარგლა კატეგორიული განცხადებებით ან ის, რომ *Qualcomm*-ის მიერ მითითებული წინააღმდეგობები ისეთი იყო, რომ წარმოედგინა მიზეზების განაცხადი მცდარად. *Qualcomm*, თავის პასუხში, თავისთავად უფრო მეტად ეთანხმება, რომ კომისიის მიზეზები ლოგიკურია იმდენად, რამდენადაც *GPS* კავშირის ვალდებულება ან გადასახადების შეგროვების მოდულის ვალდებულება მიმართულია მხოლოდ გადასახადების შეგროვების პლატფორმის დომინანტურობისკენ.

179. დასასრულს, იმდენად, რამდენადაც *Qualcomm* ეყრდნობა სასამართლო მსჯელობის 197-ე და 203-ე პარაგრაფებს საქმეში – *Schneider Electric v. Commission*, ზემოთ, 168-ე პარაგრაფში აღნიშნულ და გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში კომისიის მიზეზების ბუნდოვნებასა და წინააღმდეგობაში, უნდა ითქვას, რომ ეს არგუმენტები მიუთითებენ კომისიის მიზეზების სიმცდარეზე გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში. საკითხი დაკავ-

შირებულია გადანყვეტილების შინაარსის შეფასებასთან და არა განცხადებების მიზეზებთან (შინაარსთან დაკავშირებით იხილეთ ზემოთ მოყვანილი 86-ე პარაგრაფი).

180. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ საჩივარი სახელმწიფო მიზეზების წარუმატებლობის თაობაზე უარყოფილ უნდა იქნეს, როგორც დაუსაბუთებელი.

181. ყოველივე ზემოხსენებული განხილვის გათვალისწინებით, *Qualcomm*-ის საჩივართან დაკავშირებით განხილვა უნდა შეწყდეს.

IX. ინტელექტუალური საკუთრების უფლება

საქმეები: *Establishments Consten SA & Grundig-Verkaufs-GmbH v. Commission*³⁷⁰.

ევროპული სასამართლო

46. *Consten*-ის უფლება კონტრაქტის მიხედვით საფრანგეთში *GINT*-ის სავაჭრო ნიშნის ექსკლუზიური გამოყენების მიმართ, რომელიც მსგავსი ფორმით ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა ქვეყნებში, მიმართულია, შესაძლებელი გახადოს, მეთვალყურეობის ქვეშ იქონიოს და გარკვეული შეფერხებები შეუქმნას პარალელურ იმპორტს. ამდენად, შეთანხმება, რომლის მიხედვითაც *Grundig*-მა, როგორც საერთაშორისო რეგისტრაციის მეშვეობით სავაჭრო ნიშნის მფლობელმა, უფლებამოსილება მისცა *Consten*-ს დაერეგისტრირებინა ის საფრანგეთში საკუთარი სახელით, რაც მიმართულია კონკურენციის შეზღუდვისაკენ.

47. მიუხედავად იმისა, რომ *Consten*, *GINT*-ის სავაჭრო ნიშნის რეგისტრაციის მეშვეობით, საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით, მიიჩნევა როგორც ამ სავაჭრო ნიშნის უფლების ორიგინალი მფლობელი, ფაქტი მაინც რჩება, რომ ეს მოხდა *Grundig*-თან შეთანხმების მეშვეობით, რომლის საფუძველზეც მას მიეცა შესაძლებლობა, გავლენა მოეხდინა რეგისტრაციაზე.

48. შესაბამისად, აღნიშნული შეთანხმება არის სწორედ ის, რომელიც შეიძლება მოხვდეს 81-ე მუხლის პირველი ნაწილის მოქმედების ფარგლებში. აკრძალვა არაეფექტური იქნება, თუ *Consten*-ს შეეძლება, გააგრძელოს სავაჭრო ნიშნის გამოყენება, რათა მიიღოს იგივე შედეგი, რისი მიღწევაც იგეგმებოდა შეთანხმების მეშვეობით, რომელიც მიჩნეულ იქნა უკანონოდ.

49. ხელშეკრულების 30-ე, 295-ე და 307-ე მუხლები, რომლებსაც ეყრდნობოდა აპლიკანტი, არ გამორიცხავს გაერთიანების სამართლის გავლენას ნაციონალური ინდუსტრიული საკუთრების უფლების გამოყენებაზე.

50. 30-ე მუხლს, რომელიც ზღუდავს ვაჭრობის ლიბერალიზაციის წესების მოცულობას, რომელიც ჩადებული იყო ხელშეკრულების პირველი კარის მე-2 თავში, არ შეუძლია შეზღუდოს 81-ე მუხლის გამოყენების ფარგლები. 295-ე მუხლი საკუთარ თავს ზღუდავს იმის განცხადებისას, რომ „ხელშეკრულებამ არანაირი გზით არ უნდა მიაყენოს ზიანი წევრი სახელმწიფოების წესებს, რომლებიც არეგულირებს საკუთრების უფლების სისტემას“. გასაჩივრებული გადანყვეტილების ოპერატიული ნაწილის მე-3 მუხლში ჩადებული მითითება, რომელიც ეხება ნაციონალური სავაჭრო ნიშნის სამართლის მიხედვით უფლების გამოყენებისაგან თავის შეკავებას, იმ მიზნით, რომ შეუქმნას ბარიერები პარალელურ იმპორტს, არ ახდენს გავლენას იმავე უფლებების

³⁷⁰ Cases 56 and 58 *Establishments Consten SA & Grundig-Verkaufs-GmbH v. Commission* [1966] ECR 299, [1966] CMLR 418.

გადაცემაზე, უბრალოდ, ზღუდავს მათ გამოყენებას იმ აუცილებელ დონემდე, რაც არ მოახდენს 81-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ აკრძალვაზე. კომისიის ძალაუფლება, გამოსცეს ასეთი მითითება, რომლის შესახებაც დებულება ჩადებულია ევროპული საბჭოს №17/62 დებულების მე-3 მუხლში, ჰარმონიაშია კონკურენციის თაობაზე გაერთიანების წესების ძირითად მახასიათებლებთან, რომლებსაც აქვთ დაუყოვნებელი შედეგი და პირდაპირ სავალდებულოა ინდივიდებისათვის.

51. წესების ასეთი ტიპი, მისი ზემოთ აღწერილი ხასიათისა და ფუნქციების გამო, არ იძლევა უფლების არასწორი გამოყენების შესაძლებლობას ნებისმიერი ნაციონალური სავაჭრო ნიშნის სამართლის მიხედვით, რომელიც მიმართულია კარტელის თაობაზე გაერთიანების სამართლის ჩამოშლისაკენ.

52. 307-ე მუხლი, რომლის მიზანიც არის მესამე სახელმწიფოების უფლების დაცვა, არ არის გამოყენებადი ამ შემთხვევაში.

საქმე *Deutsche Grammophon Gesellschaft v. Metro-SB-Großmarkte GmbH*³⁷¹

საქმის ფაბულა: *Deutsche Grammophon (DGG)* ახდენდა თავისი ჩანაწერების ბაზარზე განთავსებას საფრანგეთში, მისი ფრანგული შვილობილი კომპანიის *Polydor*-ის მეშვეობით, „*Polidor*“-ის სახელწოდებით. *DGG*-ს მიერ ჩანაწერების გარკვეული რაოდენობა წარმოდგენილი იყო გერმანიაშიც და მიწოდდა *Polidor*-ს პარიზში. *Polidor*-მა აღნიშნული ჩანაწერები საწარმოებს მიანოდა მესამე ქვეყნებში. მათ ისინი გერმანიაში ერთ ფირმას მიჰყიდეს, რომელმაც, თავის მხრივ, მიჰყიდა *Metro*-ს. *Metro*-მ ამის შემდეგ ისინი განათავსა გერმანიაში და შეამცირა *DGG*-ს სტანდარტული ფასი მისი ჩანაწერებისთვის. *DGG*-მ უჩივლა *Metro*-ს გერმანულ სასამართლოში საავტორო უფლების დარღვევისათვის. ჰამბურგის სასამართლომ 234-ე მუხლის საფუძველზე მიმართა ევროპულ სასამართლოს, შეკითხვით, რამდენად არღვევდა ინტელექტუალური საკუთრების უფლების გამოყენება გაერთიანების დებულებებს, თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებით.

ევროპული სასამართლო

4. *Hanseatisches Oberlandesgericht*, ჰამბურგის სასამართლოს მიერ ჩანაწერი ფაქტებიდან ნათელია, რომ, რასაც ის ითხოვს, შეიძლება შემცირდეს არსებით შეკითხვამდე, თუ რამდენად ახდენს დაცული ნივთების დისტრიბუციის ექსკლუზიური უფლება, რაც გათვალისწინებულია ხმის ჩანერის მწარმოებლობის თაობაზე ნაციონალური სამართლით, გაერთიანების სამართლის ნორმების დარღვევის გარეშე ეროვნულ ტერიტორიაზე კანონიერად შემოტანილი პროდუქციის განთავსებას, რომელიც შემოტანილია ზემოთ აღნიშნული მწარმოებლის მიერ ან მისი თანხმობით გატანილია სხვა წევრ სახელმწიფოში. სასამართლოს ეთხოვა განემარტა გაერთიანების შესაბამისი დებულებების მნიშვნელობა და მოცულობა, კონკრეტული მითითებით მე-10 მუხლის მეორე პარაგრაფზე, ან 81-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

5. ხელშეკრულების მე-10 მუხლის მეორე პარაგრაფის მიხედვით, წევრმა სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ ნებისმიერი ზომისგან, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ხელშეკრულების მიზნების მიღწევას. ეს დებულება განსაზღვრავს წევრი სახელმწიფოების ზოგად ვალდებულებას, რომლის რეალური მნიშვნელობა დამოკიდებულია ხელშეკრულების თითოეულ დებულებასთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ საქმეზე ან საერთო სქემიდან გამომდინარე წესებზე.

³⁷¹ Case 78/70, *Deutsche Grammophon Gesellschaft v. Metro-SB-Großmarkte GmbH* [1971] ECR 487, [1971] CMLR 631.

6. ხელშეკრულების 81-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ეს „უნდა აიკრძალოს, როგორც შეუთავსებელი საერთო ბაზართან: ყველა შეთანხმება საწარმოებს შორის, საწარმოების ასოციაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და შეთანხმებული პრაქტიკა, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე და რომელსაც თავის მიზნად ან შედეგად აქვს საერთო ბაზარზე კონკურენციის პრევენცია, შეზღუდვა ან განადგურება.“ „შეკითხვაში მითითებული ექსკლუზიური უფლების გამოყენება ხდება აღნიშნული დებულებით გათვალისწინებული აკრძალვით ყოველ ჯერზე, როცა ის გამოავლენს თავს როგორც იმ შეთანხმების სუბიექტი, საშუალება თუ შედეგი, რომელიც პრევენციას უკეთებს სხვა სახელმწიფოდან თავის ტერიტორიაზე კანონიერად შეტანილი პროდუქტის იმპორტს, და რომელსაც შედეგად მოჰყვება ბაზრის დანაწილება.

7. თუ უფლების გამოყენება არ გამოხატავს 81-ე მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული კონტრაქტისა თუ შეთანხმებული პრაქტიკის ელემენტებს, გადაცემული შეკითხვის პასუხის გაცემის მიზნით, კიდევ უფრო ფართოდ უნდა განვიხილოთ განსახილველი უფლების შესაბამისობა ხელშეკრულების სხვა დებულებებთან, კერძოდ კი ნივთების თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებულ დებულებებთან.

8. ამ საქმეში განსახილველი პრინციპები არის სწორედ ის პრინციპები, რომლებიც დაკავშირებულია წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი ბაზრის შექმნასთან, რომელიც მოთავსებულია როგორც ხელშეკრულების მეორე ნაწილში, რაც ეძღვნება გაერთიანების დაფუძნებას ნივთების თავისუფალი გადაადგილებით, ასევე ხელშეკრულების მე-3 1-ლ ზ მუხლში, რომელიც სისტემის ინსტიტუციას აწერს იმის უზრუნველყოფას, რომ საერთო ბაზარზე არ მოხდეს კონკურენციის ხელყოფა.

9. უფრო მეტი, სადაც წევრ სახელმწიფოთა შორის ვაჭრობაზე გარკვეული აკრძალვები თუ შეზღუდვები არის ჩადებული 30-ე მუხლში, ხელშეკრულება ახდენს აშკარა მითითებას მათზე, იმის წარმოდგენით, რომ ასეთი გადახვევები არ უნდა შეესაბამებოდეს „თვითნებური დისკრიმინაციის საშუალებას, ან წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობის ფარულ შეზღუდვას“.

10. ამდენად, აღნიშნულ დებულებებზე, განსაკუთრებით 28-ე, 30-ე, 81-ე და 82-ე მუხლებზე დაყრდნობით, შეიძლება აღინიშნოს, რომ შეფასება უნდა მოხდეს, თუ რამდენად ახდენს საავტორო უფლებასთან დაკავშირებული ნაციონალური უფლების გამოყენება სხვა წევრი სახელმწიფოდან პროდუქციის შემოტანის შეზღუდვას.

11. ნივთების თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებულ სხვა აკრძალვებსა თუ შეზღუდვებს შორის, 30-ე მუხლი შეეხება ინდუსტრიულ და კომერციულ საკუთრებასაც. იმის ვარაუდის შემთხვევაში, რომ აღნიშნული დებულებები შეიძლება რელევანტური იყოს საავტორო უფლებასთან დაკავშირებით, ამ მუხლიდან ნათელია, რომ თუმცა ხელშეკრულება არ ახდენს გავლენას წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით აღიარებული უფლების არსებობაზე ინდუსტრიულ და კომერციულ საკუთრებასთან დაკავშირებით, ასეთი უფლების გამოყენება შეიძლება მაინც მოხდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული აკრძალვის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ ის უშვებს აკრძალვებსა თუ შეზღუდვებს პროდუქციის თავისუფალ გადაადგილებაზე, რაც გამართლებულია ინდუსტრიული და კომერციული საკუთრების მიზნებით, 30-ე მუხლი მხოლოდ უშვებს აღნიშნული თავისუფლებიდან გადახვევებს და მხოლოდ იმ დონეზე, რომელზეც ხდება მათი გამართლება ისეთი უფლებების დაცვის მიზნით და შეესაბამება ასეთი უფლების განსაკუთრებულ საგანს.

12. თუ უფლება, რომელიც დაკავშირებულია საავტორო უფლებასთან, მიმართულია წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ისეთი პროდუქციის განთავსების პრევენციისაკენ, რომელიც შემოტანილია უფლების მქონე პირის მიერ, ან მისი თანხმობით სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიიდან, იმ ერთადერთი საფუძვლით, რომ აღნიშნულ დისტრიბუცია არ განხორციელებულა მის ნაციონალურ ტერიტორიაზე, ასეთი აკრძალვა, რომელიც მოახდენს ნაციონალური ბაზრების იზოლაციის ლეგალიზებას, იქნება უარყოფითი დამოკიდებულება ხელშეკრულების არსებითი მიზნების მიმართ, რაც გულისხმობს ნაციონალური ბაზრების გაერთიანებას ერთიან ბაზრად.

აღნიშნული მიზანი მიღწეული არ იქნება, თუ წევრი სახელმწიფოების განსხვავებული სამართლებრივი სისტემების მიხედვით, ამ სახელმწიფოების მოქალაქეებს ექნებათ შესაძლებლობა, დაყონ ბაზარი და შემოიღონ თვითნებური დისკრიმინაცია და ფარული აკრძალვები წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე.

13. შესაბამისად, ის წინააღმდეგობაში იქნება საერთო ბაზარზე პროდუქციის თავისუფალი გადაადგილების თაობაზე დებულებებთან, ხმის ჩანერის მწარმოებლებისათვის, რათა მათ მოახდინონ დაცული ერთეულების ექსკლუზიური დისტრიბუცია, რის უფლებასაც მას აძლევს წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა ამ სახელმწიფოში, სხვა წევრი სახელმწიფოს ბაზარზე მის მიერ ან მისი თანხმობით განთავსებული პროდუქციის გაყიდვის აკრძალვის გზით, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ასეთი დისტრიბუცია არ განხორციელდა პირველი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

საქმე *Nungesser v. EC Commission*³⁷²

საქმის ფაბულა: *INRA*-მ, საფრანგეთის სახელმწიფო კვლევითმა ინსტიტუტმა, გამოიყვანა ჰიბრიდული სიმინდის ახალი ჯიშის თესლი, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ევროპული სოფლის მეურნეობისათვის. ფრანგული კომპანია მოქმედებდა *FRAESMA*-ს მემწეობით და მოემზადა გაენაწილებინა *INRA*-ს თესლის ნაირსახეობა. მან *Kurt Eisele*-ს (შემდგომში – *Nungesser KG*) მისცა ექსკლუზიური უფლება, ეწარმოებინა და შემდეგ *INRA*-ს თესლის ნაირსახეობის დისტრიბუცია განეხორციელებინა გერმანიაში. *INRA* შეუთანხმდა *Eisele*-ს, თვითონ არ მოეხდინა თავისი თესლების იმპორტი გერმანიაში და სხვებისთვისაც არ მიეცა ამის შესაძლებლობა. *Eisele* დაეყრდნო გერმანიაში არსებულ უფლებებს, თავიდან აეცილებინა საფრანგეთში სხვა წყაროდან მიღებული თესლების პარალელური იმპორტი სხვა იმპორტიორების მიერ. ერთმა იმპორტიორმა დაარეგულირა საქმიანობა, მაგრამ მეორემ საჩივრით მიმართა კომისიას.

კომისიამ დაადგინა, რომ ექსკლუზიურობა და ტერიტორიული დაცვის დებულებები ხვდებოდა 81-ე 1-ლი მუხლის მოქმედების ფარგლებში და არ შეიძლებოდა მათი გამორიცხვა. *Eisele/Nungesser*-მა გაასაჩივრა.

ევროპული სასამართლო

41. გერმანული კანონმდებლობის სინოპსისი აჩვენებს, რომ ბაზარზე განსათავსებელი შემომწეული და მოწონებული თესლები ექვემდებარება ხარისხის კონტროლს სახელმწიფოს მხრიდან და რომ აღნიშნული კონტროლი ვრცელდება სხვადასხვა ჯიშზე. როგორც ჩანს, ჯიშების მომწეებელთა უფლებები მიმართულია არა იმისაკენ, რომ ჩაანაცვლოს საკონკურენციო ხელისუფლების მიერ განხორციელებული კონტროლი აღნიშნული უფლებების მფლობელის მიერ განხორციელებული კონტროლით, არამედ გაავრცელოს უფლების მფლობელზე დაცვა, რომლის ხასიათიც და გავლენაც გამომ-

³⁷² Case 258/78, *Nungesser v. EC Commission* [1982] ECR 2015, [1983] 1 CMLR 278.

დინარეობს კერძო სამართლიდან. აღნიშნული თვალსაზრისით, ჯიშების მომშენებელთა სამართლებრივი მდგომარეობა არ არის რთული პატენტისა თუ სავაჭრო ნიშნის მფლობელის უფლებასთან შედარებით, იმ პროდუქციასთან დაკავშირებით, რომელიც ექვემდებარება მკაცრ კონტროლს საჯარო ხელისუფლებიდან. ეს ეხება ასევე ფარმაცევტულ პროდუქციას.
(...)

43. შესაბამისად, არ იქნება სწორი, თუ მივიჩნევთ, რომ ჯიშების მომშენებელთა უფლებები არის კომერციული ან ინდუსტრიული საკუთრების უფლების სახე, რასაც იმდენად სპეციფიკური ხასიათი აქვს, რომ კონკურენციის წესებთან დაკავშირებით მოითხოვს სხვა კომერციული თუ ინდუსტრიული უფლებებისაგან განსხვავებულ მოპყრობას. ეს დასკვნა გავლენას არ ახდენს, კონკურენციის წესებიდან გამომდინარე, პროდუქციის განსაკუთრებული ხასიათის გათვალისწინების საჭიროებაზე, რაც ჯიშების მომშენებელთა უფლებაა.
(...)

48. მიზეზების ჩამონათვალი, რომელსაც ეფუძნება გადაწყვეტილება, შეეხება გარემოებების ორ წყებას, იმ მიზნით, რომ მოხდეს განსახილველი ექსკლუზიური ლიცენზიის მიმართ 81-ე 1-ლი მუხლის გამოყენება (II, №3). ამდენად, მოყვანილი ფაქტების სისწორე დაცულია.

49. გარემოებების პირველი წყება აღწერილია შემდეგნაირად: „ერთი სანარმოს ლიცენზირებით, რომ მან გამოიყენოს მისი მომშენებლების უფლებები კონკრეტულ ტერიტორიაზე, ლიცენზიის გამცემი თავად კარგავს უფლებას და შესაძლებლობას, კონტრაქტის მოქმედების განმავლობაში იმავე ტერიტორიაზე სხვა სანარმოებზე გასცეს ლიცენზია (...)“

„სანარმოს მიერ პროდუქციის წარმოების შეწყვეტის ან მათი განუთავსებლობით ბაზრის იმ ტერიტორიაზე, რაც დაფარულია კონტრაქტით, ლიცენზიის გამცემი ზუსტად ასევე უუქმებს საკუთარ თავს, ისევე როგორც *Frasema*-ს და მის წევრებს, ამ ტერიტორიაზე განსახილველი პროდუქციის მიწოდების შესაძლებლობას.“

50. მიზეზების განაცხადის ნაწილს პასუხობს გადაწყვეტილების პირველი მუხლი, რომელიც მის პირველ და მეორე ნაწილებში აცხადებს, რომ 1965 წლის კონტრაქტით გაცემული ლიცენზიის ექსკლუზიური ხასიათი ეწინააღმდეგებოდა ხელშეკრულების 81-ე 1-ლ მუხლს, ვინაიდან ის აწესებდა:

ვალდებულებას *INRA*-ის მიმართ ან მისი მეშვეობით წარმოშობილი უფლებების მიმართ, თავი შეეკავებინათ რელევანტური თესლების წარმოებისაგან ან გერმანიაში სხვა ლიცენზიის მქონე პირების მიერ გაყიდვებისაგან, და ვალდებულებას *INRA*-ის მიმართ ან მისი მეშვეობით წარმოშობილი უფლებების მიმართ, თვითონ შეეკავებინათ თავი რელევანტური თესლების წარმოებისაგან გერმანიაში.

51. გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებების მეორე წყება აღწერილია შემდეგნაირად:

„ფაქტს, რომ მესამე მხარეს არ შეუძლია განახორციელოს იმავე თესლის (კერძოდ ლიცენზირებული თესლის) იმპორტი გაერთიანების სხვა ქვეყნებიდან გერმანიაში, ან მოახდინოს მისი ექსპორტი გერმანიიდან გაერთიანების სხვა ქვეყნებში, მიყვავართ ბაზრის დანაწილებამდე და გერმანელ ფერმერებს ართმევს უფლებას, აწარმოონ რაიმე სახის რეალური მოლაპარაკება, ვინაიდან თესლის მონოდება ხდება ერთი და მხოლოდ ერთი მომწოდებლის მიერ.“

52. მიზეზების განცხადების ნაწილი ასევე ასახულია გადაწყვეტილების პირველი მუხლის „ბ“ პუნქტში. იგი თავის მესამე და მეოთხე ნაწილებში აცხადებს 1965 წელს გაცემული ლიცენზიის კონტრაქტის ექსკლუზიური ხასიათის თაობაზე, რომელიც წინააღმდეგობაში მოდიოდა ხელშეკრულების 81-ე 1-ლ მუხლთან, იმდენად, რამდენადაც ის ადგენდა:

INRA-ს მიმართ არსებული ვალდებულება თუ მისგან გამომდინარე უფლებები, რომლებიც მესამე მხარეს არიდებს შესაბამისი თესლის შეტანას, გერმანიაში ლიცენზიის გამცემის მიერ გაცემული უფლებამოსილების გარეშე, ამ ტერიტორიაზე გამოყენებისა და გაყიდვისათვის; ასევე ბ-ნი *Eisele*-ს მიერ მისი საკონტრაქტო უფლებების ბოლოდროინდელი გამოყენება: მისი ჯიშების მომშენებლის უფლებების გამოყენება, რაც მიმართულია გერმანიაში იმპორტის განხორციელების ან სხვა წევრ სახელმწიფოებში შესაბამისი თესლის ექსპორტის თავიდან არიდებისაკენ.

53. განხილულ უნდა იქნეს, რომ მოსაზრებების აღნიშნული ორი წყება დაკავშირებულია ორ სამართლებრივ სიტუაციასთან, რომლებიც აუცილებლად იდენტურია. პირველი საქმე მოიცავს ეგრეთ წოდებულ ექსკლუზიურ ლიცენზიას ან მინერილობას და ლიცენზიის ექსკლუზიურობა დაკავშირებულია მხოლოდ საკონტრაქტო ურთიერთობასთან უფლების მფლობელსა და ლიცენზიის მქონე პირს შორის, რომელშიც მესაკუთრე თითქმის იღებს პასუხისმგებლობას, არ გასცეს სხვა ლიცენზია იმავე ტერიტორიაზე და არ იმოქმედოს როგორც ლიცენზიის მქონე პირის კონკურენტმა ამ ტერიტორიაზე; მეორე შემთხვევა კი მოიცავს ექსკლუზიურ ლიცენზიასა და მინერილობას აბსოლუტური ტერიტორიული დაცვით, რომლის საფუძველზეც კონტრაქტში დევს შეთავაზება, ამ ტერიტორიაზე პროდუქციასთან დაკავშირებით სრულად აღმოიფხვრას კონკურენცია მესამე მხარეებისგან, როგორცაა პარალელური იმპორტიორები თუ სხვა ტერიტორიაზე მოქმედი ლიცენზიის მქონე პირები.

54. საკითხი ნათელია. ამ საქმეში საჭიროა შემონმდეს, რამდენად ახდენს ლიცენზიის ექსკლუზიური ხასიათი, ვინაიდან ის არის ღია ლიცენზია, გავლენას კონკურენციის თავიდან აცილებაზე ან მის განადგურებაზე ხელშეკრულების 81-ე 1-ლი მუხლის მიხედვით.

55. ამასთან დაკავშირებით, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობამ აქცენტი გააკეთა, რომ სასოფლო მეურნეობის სიახლეების დაცვა ჯიშების მომშენებელთა უფლებების მეშვეობით შეესაბამება ასეთი ინოვაციების მხარდაჭერის საშუალებას და შეზღუდული პერიოდის განმავლობაში ექსკლუზიური უფლების გაცემა ქმედუნარიანია, წარმოადგინოს ინოვაციის შემდგომი მცდელობების დამატებითი მოტივი.

აქედან გამომდინარე, ის ადგენს, რომ ყველა ექსკლუზიური ლიცენზიის მთლიანად აკრძალვა, თუნდაც ღია ექსკლუზიური ლიცენზიისა, გამოიწვევს ლიცენზიებთან დაკავშირებით საწარმოების ინტერესების ვარდნას, რაც დამლუპველი იქნება გაერთიანების ფარგლებში ცოდნისა და ტექნიკის გავრცელებისათვის.

56. ექსკლუზიური ლიცენზია, რომელიც ახდენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების არსებითი საკითხის ფორმირებას, მოიცავს ჰიბრიდული სიმინდის თესლის კულტივაციასა და მარკეტინგს, რაც განვითარდა *INRA*-ს მიერ წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევისა და ექსპერიმენტების საფუძველზე და უცნობი იყო გერმანელი ფერმერებისათვის იმ დროისათვის, როდესაც თანამშრომლობა *INRA*-სა და აპლიკანტს შორის უკვე იღებდა გარკვეულ ფორმას. ამ მიზეზის გამო შემფოთება, რაც ნაჩვენებია ჩართული პირების მიერ და რომელიც შეეხება ახალი ტექნოლოგიების დაცვას, გამართლებულია.

57. ფაქტობრივად, ჰიბრიდული სიმინდის თესლის ლიცენზირებული მომშენებლების უფლების შემთხვევა ახალგანვითარებულია ერთ წევრ სახელმწიფოში. სანარმო, რომელიც დაფუძნებულია სხვა წევრ სახელმწიფოში, რომელიც არ იყო დარწმუნებული, რომ ის ვერ გაუძლებდა კონკურენციას სხვა ლიცენზიის მფლობელების მხრიდან მისთვის მიცემულ ტერიტორიაზე, ან უშუალოდ უფლების მფლობელის მხრიდან არსებულ კონკურენციას, შეიძლება დაფრთხეს ამ პროდუქციის კულტივიზირებასა და მარკეტინგთან დაკავშირებულ რისკთან დაკავშირებით; ასეთი შედეგი ზიანის მომტანი იქნება ახალი ტექნოლოგიების განვითარებისათვის და ასევე დააზარალებს კონკურენციას გაერთიანების ფარგლებში ახალ პროდუქტსა და მსგავს არსებულ პროდუქტებს შორის.

58. განსახილველი პროდუქტის სპეციფიკური ხასიათის გათვალისწინებით სასამართლო ადგენს, რომ ისეთ შემთხვევაში, როგორცაა აღნიშნული, ღია ექსკლუზიური ლიცენზიის გაცემა, სხვაგვარად რომ ვთქვათ ლიცენზია, – რომელიც გავლენას არ ახდენს მესამე მხარის მდგომარეობაზე, როგორცაა პარალელური იმპორტი და სხვა ტერიტორიაზე მოქმედი ლიცენზიის მქონე პირები, არ არის თავისთავად შეუსაბამო ხელშეკრულების 81-ე 1-ლ მუხლთან.

59. ამდენად, მესამე წარდგინების „ბ“ ნაწილი გამართლებულია იმ დონემდე, რომელსაც მოიცავს ლიცენზიის ექსკლუზიური ხასიათი.

(...)

76. უნდა დავიმახსოვროთ, რომ ხელშეკრულების 81-ე მე-3 მუხლის პირობების მიხედვით, 81-ე 1-ლ მუხლში ჩადებული აკრძალვიდან გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერი შეთანხმება სანარმოებს შორის, რომელთაც წვლილი შეაქვთ პროდუქციის გაუმჯობესებასა თუ ნივთების დისტრიბუციაში, ან ტექნიკური პროგრესის ხელისშეწყობაში, რომელიც არ ადგენს ჩართულ სანარმოებზე შეზღუდვას, და რომელიც არ არის განუყოფელი დასახული მიზნების მიღწევისაგან.

77. ვინაიდან ამ შემთხვევაში საკითხი დგას იმ თესლებთან მიმართებით, რომლის გამოყენებაც განზრახულია სიმინდის მწარმოებელი ფერმერების სოლიდური რაოდენობის მიერ, რაც მნიშვნელოვანი პროდუქტია როგორც ადამიანების, ისე ცხოველების კვების ინდუსტრიაში, აბსოლუტური ტერიტორიული დაცვა აშკარად მიდის იმის მიღმა, რაც განუყოფელია პროდუქციის გაუმჯობესებისა, თუ დისტრიბუციის, ან ტექნიკური პროგრესის ხელისშეწყობისაგან, როგორც ეს ნაჩვენებია ამ საქმეში არსებული აკრძალვით, რაც შეთანხმებულია ორივე მხარის მიერ *INRA*-ს სიმინდის თესლის გერმანიაში პარალელურ იმპორტთან დაკავშირებულ შეთანხმებაში, თუნდაც აღნიშნული თესლები მოშენებული ყოფილიყო თვითონ *INRA*-ს მიერ და ბაზარზე მათი განთავსება მომხდარიყო საფრანგეთში.

78. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ლიცენზიის მიმღებზე აბსოლუტური ტერიტორიული დაცვის გავრცელება, როგორც ამის არსებობა დადგენილია გასაჩივრებული გადანყვებილებით, შესაბამება არსებით მიზეზს გამონაკლისის მინიჭებაზე უარის თქმისთვის ხელშეკრულების 81-ე მე-3 მუხლის საფუძველზე. შესაბამისად, აღარ არის საჭირო, შემოწმდეს ასეთი გამონაკლისის მინიჭების თაობაზე სხვა საფუძველები, რაც მოყვანილია გადანყვებილებში.

საქმე *Erauw-Jacquery v. La Hesbignonne*³⁷³.

საქმის ფაბულა: მცენარეების მომშენებელთა უფლების მქონე პირმა მათ მისცა ლი-

³⁷³ Case 27/87, *Erauw-Jacquery v. La Hesbignonne* [1988] ECR 1919, [1988] 4 CMLR 576.

ცენზია კოოპერატივისათვის, იმ პირობით, რომ კოოპერატივს შეეძლო გაემრავლებინა ძირითადი თესლი და გაეყიდა პირველი და მეორე თაობის თესლი, მაგრამ არ შეეძლო გაეყიდა ძირითადი თესლი, ან მოეხდინა მათი ექსპორტი. ევროპულმა სასამართლომ გააცნობიერა ხარისხის კონტროლისა და შესაბამისი ძირითადი თესლის სწორი გადაცემის უზრუნველყოფა იმ პირობის მიერ, რომლებსაც ჰქონდათ მისი გამრავლების უფლება. გენერალურმა ადვოკატმა მიშომ მიახსენა სიტუაცია ფრენშაიზის მიმღებების მდგომარეობას, რომელშიც ფრენშაიზის მფლობელის ქმედება გამართლებულია, თავისი know-how-ისგან მიღებული პრივილეგიები აარიდოს თავის კონკურენტებს.

ევროპული სასამართლო

8. პირველ რიგში, ეროვნული სასამართლო მიზნად ისახავს, გამოარკვიოს, ხვდება თუ არა დებულება, რომელიც ძირითადი თესლის გამრავლების ლიცენზიის მქონე პირს უკრძალავს ამ თესლის გაყიდვას, გადაცემას თუ ექსპორტს, ხელშეკრულების 81-ე 1-ლი მუხლის მოქმედების ფარგლებში.

9. კომისია და ჯიშის გამამრავლებელი აცხადებენ, რომ დებულება რომელიც კრძალავს E2 ძირითადი თესლის გაყიდვასა და ექსპორტს, რომლის დანიშნულებაც არის მომყვანი პირებისათვის გადაცემა მხოლოდ გამრავლების მიზნით, არ არის წინააღმდეგობრივი ხელშეკრულების 81-ე 1-ლი მუხლისა. ასეთი დებულება ხვდება მცენარეების მომშენებელთა უფლებების ამბიციებში.

10. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, როგორც სასამართლო აცნობიერებს თავის 1982 წლის 8 ივნისის განაჩენში (საქმეში – 258/78 *Nungesser v. Commission* [1982] ECR 2015), ძირითადი მიმართულებების განვითარებამ შეიძლება მოიცვას მნიშვნელოვანი ფინანსური ვალდებულებები. შესაბამისად, პირს, რომელმაც განახორციელა მნიშვნელოვანი ძალისხმევა, გამოეყვანა ძირითადი თესლის ნაირსახეობები, რაც შეიძლება იყოს მცენარეების მომშენებელთა უფლების არსებითი საკითხი, ნება უნდა დაერთოს, დაიცვას თავი ამ თესლის ნაირსახეობის არასწორი გადაცემისაგან. ამასთან დაკავშირებით, დებულება, რომელიც უკრძალავს ლიცენზიის გამცემს ძირითადი თესლის გაყიდვასა და ექსპორტს, ხვდება 81-ე 1-ლი მუხლის აკრძალვების გარეთ.

11. აქედან გამომდინარე, შეკითხვის პირველი ნაწილის პასუხი, რომელიც ეროვნული სასამართლოს მიერ არის გადაცემული, უნდა იყოს შემდეგი: შეთანხმების დებულება, რომელიც მოიცავს თესლის გამრავლებას და გაყიდვას, და მასთან დაკავშირებული ერთ-ერთი მხარე არის გარკვეული მცენარეების მოშენების უფლების მფლობელი, ან მფლობელის წარმომადგენელი, რომელიც უკრძალავს ლიცენზიის მფლობელს ძირითადი თესლის გაყიდვასა და ექსპორტს, შესაბამისობაშია ხელშეკრულების 81-ე 1-ლ მუხლთან, იმდენად, რამდენადაც ის საჭიროა იმ მიზნით, რომ მომშენებლებმა შეარჩიონ ის მომყვანები, რომელთა ლიცენზირებაც უნდა მოხდეს შემდგომში.

საქმე *Coditel SA, Compagnie Generale pour la Diffusion de la television, and Others v. Cine-Vog Films SA and others*³⁷⁴.

3. ქმედება, რომელმაც დასაწყისი მისცა წინამდებარე წარმოებას, მიმართული იყო ზიანის ანაზღაურებისაკენ, რომელიც, როგორც *Cine-Vog* მიუთითებდა, მან მიიღო გერმანიის ტელევიზიით კინოფილმ „*Le Boucher*“ გადაცემის რეტრანსმისიის შედეგად, რომელთან დაკავშირებითაც *Cine-Vog*-ს ბელგიაში „*Les Films La Boetie*“-სგან მიღებული ჰქონდა ექსკლუზიური დისტრიბუციის უფლება.

³⁷⁴ Case 262/81, *Coditel SA, Compagnie Generale pour la Diffusion de la television, and Others v. Cine-Vog Films SA and others* [1982].

4. საქმიდან ნათელია, რომ „კოდიტელის“ კომპანიები ბელგიის ადმინისტრაციის მხრიდან მიღებული უფლებამოსილების საფუძველზე ახდენენ საკაბელო ტელევიზიის დიფუზიის მომსახურებას, რომელიც ფარავს ბელგიის ნაწილს. სატელევიზიო კომპლექტები, რომლებიც ეკუთვნის აბონენტებს, კაბელის მეშვეობით დაკავშირებულნი არიან ცენტრალურ (...) სპეციალურ ტექნიკურ მახასიათებლებთან, რომლებიც ბელგიურ სამაუნყებლო კომპანიებს შესაძლებლობას აძლევს, იყვნენ ამორჩეულები, ისევე როგორც გარკვეული უცხოური სამაუნყებლო კომპანიები, რომელთა გადაცემების მიღებაც აბონენტებს ყოველთვის არ შეუძლიათ კერძო ანტენების მეშვეობით და რომელიც კიდევ უფრო აუმჯობესებს აბონენტების მიერ მიღებული სურათისა და ხმის ხარისხს.

5. (...) მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ 85-ე მუხლი არ იყო გამოყენებადი დავის მიმართ, ევროპულ სასამართლოს გადაეცა ორი შეკითხვა, რომლებმაც არსებითად წამოწიეს პრობლემა, თუ რამდენად ახდენდნენ ხელშეკრულების 59-ე და მე-60 მუხლები მითითების შეზღუდვას, რაც შემოიფარგლებოდა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიით, ფილმზე არსებული საავტორო უფლების ფარგლებში, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ფილმის ინდუსტრიაში ასეთი მითითების რიგმა, მისი ეკონომიკური ხასიათის გათვალისწინებით, შეიძლება გამოიწვიოს საერთო ბაზრის დანაწილება.

6. 18 მარტით დათარიღებულ განაჩენში სასამართლომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

„ევროპის ეკონომიკური გაერთიანების“ ხელშეკრულების დებულებები, რომლებიც დაკავშირებულია მომსახურების წარმოებასთან, არ აცილებს თავიდან წევრ სახელმწიფოში კინემატოგრაფიულ ფილმში შესრულების უფლების მქონე წარმომადგენელს, თავის უფლებაზე დაყრდნობით აკრძალოს მითითებული ფილმის წარმოდგენა აღნიშნულ სახელმწიფოში მისი ავტორიზაციის გარეშე, საკაბელო გზით გავრცელების მეშვეობით, თუ ასეთი ფორმით გამოტანილი ფილმი არის აღებული და გადაცემული მესამე მხარის მიერ სხვა წევრ სახელმწიფოში აღნიშნული უფლების მფლობელის თანხმობით.

7. როგორც ჩანს, სტატუტის მიერ განსაზღვრული დროის განმავლობაში, რომელიც განერილია საკასაციო წესით გასაჩივრებაზე, „კოდიტელის“ კომპანიებმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს საკასაციო სასამართლოში და ამტკიცებდნენ, *inter alia*, რომ ამ უკანასკნელმა დაუშვა შეცდომა როდესაც დაადგინა, რომ ხელშეკრულების 85-ე მუხლი არ იყო გამოყენებადი განსახილველი საქმის მიმართ. ისინი აცხადებდნენ, რომ, ერთი მხრივ, 36-ე მუხლს არ შეეძლო, შეეზღუდა 85-ე მუხლის გამოყენების მასშტაბი და, მეორე მხრივ, იმ შემთხვევაში, თუ საავტორო უფლება, როგორც სამართლებრივი სტატუსი, არ ხვდება 85-ე მუხლით გათვალისწინებული შეთანხმებებისა და შეთანხმებული პრაქტიკის ფარგლებში, მისი გამოყენება შეიძლება იყოს მიზანი, შეთანხმების, გადაწყვეტილებისა თუ შეთანხმებული პრაქტიკის შედეგი ან საშუალება და რომ კონტრაქტი, რომელიც მოიცავს ექსკლუზიურ ლიცენზიას ან საავტორო უფლების მიწერილობას, უნდა გაუტოლდეს შეთანხმებას, გადაწყვეტილებას, ან შეთანხმებულ პრაქტიკას ხელშეკრულების 85-ე მუხლის მიზნებისათვის, არა მხოლოდ მისი დებულებებიდან წარმოშობილი უფლებებისა და ვალდებულებების გამო, არამედ ეკონომიკური და სამართლებრივი გარემოებების გამო, რომელიც არსებობს მის გარშემო, კერძოდ, მსგავსი შეთანხმებების არსებობის გამო, რაც დადებულია იმავე მხარეებს, ან, თუნდაც, მესამე მხარეებს შორის და ასეთი პარალელური შეთანხმების კუმულაციური შედეგიდან გამომდინარე.

8. საკასაციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ზემოთ აღნიშნული

წარდგინებები წარმოშობდნენ გაერთიანების სამართლის ინტერპრეტაციის საკითხს და შემდეგი შეკითხვით მიმართა სასამართლოს:

„როდესაც კომპანია, რომელიც არის კინემატოგრაფიული ფილმის გამოყენების უფლების მფლობელი, აფორმებს კონტრაქტს სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებულ კომპანიასთან და გადასცემს ექსკლუზიურ უფლებას, უჩვენოს ფილმი ამ სახელმწიფოში განსაზღვრული დროის განმავლობაში, არის თუ არა აღნიშნული კონტრაქტი პასუხისმგებელი, მასში შემავალი უფლებებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით შეესაბამებოდეს შეთანხმებას, გადაწყვეტილებას თუ შეთანხმებულ პრაქტიკას, რაც აკრძალულია სანარმოებს შორის, ხელშეკრულების 85-ე მუხლის პირველი და მეორე პარაგრაფების შესაბამისად, თუ აღნიშნული დებულებები არ გამოიყენება იმის გამო, რომ ან ფილმის ჩვენების უფლება არის საავტორო უფლების განსაკუთრებული საკითხის ნაწილი და, შესაბამისად, ხელშეკრულების 36-ე მუხლი იქნება 85-ე მუხლის გამოყენების წინააღმდეგ, ან იმიტომ, რომ წარმომადგენლის მიერ გამოყენებული უფლება ფილმის ჩვენებასთან დაკავშირებით, რომელსაც ის ეყრდნობა, გამომდინარეობს სამართლებრივი სტატუსიდან, რომელიც გამოიხატება წარმომადგენლის დაცვაში, *erga omnes*, და რომელიც არ ხვდება ხელშეკრულების 85-ე მუხლით გათვალისწინებულ შეთანხმების, გადაწყვეტილების თუ შეთანხმებული პრაქტიკის ფარგლებში?“

9. შეკითხვა არსებითად ცდილობს, გამოარკვიოს კონტრაქტის მიმართება, ხელშეკრულების 85-ე მუხლში შემავალ აკრძალვებთან დაკავშირებით, რომელშიც ფილმის საავტორო უფლების მფლობელი გადასცემს ექსკლუზიურ უფლებას, აჩვენოს ფილმი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე განსაზღვრული დროის განმავლობაში. უფრო ზუსტად, შეკითხვა ასეთია: რამდენად შეიძლება ასეთი გადაცემა მოხდეს ხელშეკრულების 85-ე მუხლის მოქმედების ფარგლებს გარეთ, ხელშეკრულების 36-ე მუხლის მეშვეობით აღნიშნული უფლებისათვის განსაკუთრებული ხასიათის მიწერით, ან, თუნდაც, ადგილობრივი კანონმდებლობით მისთვის დაცული სტატუსის მინიჭებით.

10. უნდა აღინიშნოს, რომ წინასწარი განხილვების გზით 36-ე მუხლი უშვებს აკრძალვებსა თუ შეზღუდვებს ვაჭრობაზე წევრ სახელმწიფოებს შორის იმ შემთხვევაში, თუ ისინი გამართლებულია, *inter alia*, იმ საფუძველზე, როგორცაა ინდუსტრიული და კომერციული საკუთრების დაცვა, პირობა, რომელიც ფარავს ლიტერატურულ და ხელოვნებასთან დაკავშირებულ საკუთრებას, მათ შორის საავტორო უფლებას, რომელშიც ძირითადი წარმოება დაკავშირებულია მომსახურების თავისუფალ მოძრაობაზე დამოკიდებულ აკრძალვაზე ან შეზღუდვაზე.

11. აღნიშნულთან დაკავშირებით, როგორც სასამართლომ დაადგინა თავის 1980 წლის 18 მარტის განაჩენში (*Coditel v. Vine-vong Films*, 1980, ECR 881), პრობლემები, რომლებიც არსებობდა ფილმის პროდიუსერის უფლებების განხილვაში ხელშეკრულების მოთხოვნებთან მიმართებით, არ არის იგივე, რაც დაკავშირებულია ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაობასთან, რომლის საჯარო განთავსებაც განუყოფელია სამუშაოს მასალების მოძრაობისაგან, როგორც წიგნებისა თუ ჩანაწერების შემთხვევაში, მაშინ, როცა ფილმების მიკუთვნება ლიტერატურულ თუ ხელოვნების სფეროსთან მათ ხელმისაწვდომს გახდის საჯარო ექსპლუატაციისათვის, რაც მოიაზრება მომსახურების თავისუფალ გადაადგილებაში, მნიშვნელობა არ აქვს საშუალებასა და მეთოდს, რომლითაც ის მიენოდება საზოგადოებას – იქნება ეს ტელევიზია თუ კინოთეატრი.

12. იმავე განაჩენში სასამართლომ დაადგინა, რომ ფილმის საავტორო უფლების მფლობელისა და მისი წარმომადგენლის უფლება, მოითხოვონ ანაზღაურება ფილმის ნებისმიერი ჩვენებისათვის, არის საავტორო უფლების არსებითი ფუნქციის ნაწილი.

13. განსხვავება, რომელიც გამომდინარეობს 36-ე მუხლიდან, რაც არსებობს უფლებათა ინტერპრეტაციის საკითხში წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობაში, სამსახირო და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, რაზეც არ შეიძლება გავლენა მოახდინოს ხელშეკრულების დებულებებმა და ასეთი უფლების გამოყენება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს დაუფარავ შეზღუდვას წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე, ასევე გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უფლება გამოიყენება მომსახურების თავისუფალი გადაადგილების კონტექსტში.

14. იმდენად, რამდენადაც გასაგებია, რომ მოქმედების გარკვეულმა ასპექტებმა, რომლებშიც გამოყენებულია უფლება, შეიძლება დაადასტუროს, რომ შეუთავსებელია 59-ე და მე-60 მუხლებთან, თანაბრად გასაგებია, რომ ზოგიერთი ასპექტი შეიძლება იყოს შეუთავსებელი 85-ე მუხლთან, რომელშიც ისინი გავლენას ახდენენ შეთანხმებაზე, გადანყვეტილებასა თუ შეთანხმებულ პრაქტიკაზე, რომელსაც თავის მიზნად ან შედეგად შეიძლება ჰქონდეს საერთო ბაზარზე კონკურენციის პრევენცია, შეზღუდვა თუ განადგურება.

15. როგორც ჩანს, უბრალო ფაქტი, რომ ფილმის საავტორო უფლების მქონე პირმა გასცა ერთადერთი ლიცენზია ფილმის ჩვენების ექსკლუზიური უფლებით წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და, შესაბამისად, აკრძალა გარკვეული პერიოდის განმავლობაში მისი ჩვენება სხვების მიერ, არ არის საკმარისი იმის დასადგენად და გასამართლებლად, რომ ასეთი კონტრაქტი მიჩნეული უნდა იქნეს როგორც შეთანხმების, გადანყვეტილების ან შეთანხმებული პრაქტიკის მიზანი, მეთოდი ან შედეგი, რომელსაც კრძალავს ხელშეკრულება.

16. კინემატოგრაფიული ინდუსტრიისა და გაერთიანებაში მისი ბაზრის მახასიათებლები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც დაკავშირებულია დუბლირებასა და სუბტიტრებთან განსხვავებული ენის ჯგუფების სასარგებლოდ, სატელევიზიო მაუწყებლობებისათვის შესაძლებლობათა მიცემით და ევროპაში კინემატოგრაფიული წარმოების დაფინანსების სისტემასთან დაკავშირებით, გამოიყენება იმის საჩვენებლად, რომ ექსკლუზიური ჩვენება/გამოფენის ლიცენზია თავისთავად არ ახდენს კონკურენციის პრევენციას, შეზღუდვას ან განადგურებას.

17. მიუხედავად იმისა, რომ საავტორო უფლება ფილმზე და მისგან გამომდინარე უფლება, კერძოდ ფილმის ჩვენება, თავისთავად არ არის 85-ე მუხლში განსაზღვრული აკრძალვების საგანი, აღნიშნული უფლებების გამოყენება შეიძლება მაინც მოხვდეს აღნიშნული აკრძალვების სფეროში, როდესაც არსებობს ეკონომიკური თუ სამართლებრივი გარემოებები, რომელთა შედეგიც არის ფილმის დისტრიბუციის მნიშვნელოვან დონემდე შეზღუდვა ან კინემატოგრაფიულ ბაზარზე კონკურენციის განადგურება, ბაზრის განსაკუთრებული მახასიათებლების გათვალისწინებით.

18. ვინაიდან არც სასამართლოსთვის გადაცემული შეკითხვა და არც საქმეზე არსებული მასალები არ გვანვდის არანაირ ინფორმაციას აღნიშნულთან დაკავშირებით, ეროვნულმა სასამართლომ უნდა განახორციელოს ის გამოძიება, რომელიც გახდება საჭირო.

19. შესაბამისად, უნდა განვაცხადოთ, რომ, სადაც საჭიროა, სასამართლოს ვალდებულებაა, აწარმოოს ასეთი გამოძიება და, კერძოდ, დაადგინოს: ქმნის თუ არა კინემატოგრაფიული ფილმის ჩვენების ექსკლუზიური უფლება ბარიერებს, რომლებიც არის ხელოვნური და გაუმართლებელი კინემატოგრაფიული ინდუსტრიის საჭიროებებისა და პირობებისათვის; ან ხომ არ აღემატება საფასურის გადახდის შესაძლებლობა სამართლიან ინვესტიციებს და თანხის ამოღებას; ან ხანგრძლივობის ექსკლუზიურო-

ბა, რომელიც არ არის პროპორციული მოთხოვნებთან; და, საერთო თვალსაზრისით, არის თუ არა უფლების ასეთი გამოყენება ამ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე ისეთი ფორმის, რომ მოახდინოს საერთო ბაზარზე კონკურენციის პრევენცია, შეზღუდვა ან განადგურება.

20. შესაბამისად, სასამართლოსთვის გასაცემი პასუხი უნდა იყოს, რომ კონტრაქტი, რომლითაც ფილმის საავტორო უფლების მფლობელი გასცემს ექსკლუზიურ უფლებას ფილმის ჩვენებაზე ნევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე განსაზღვრული ვადით, როგორც ასეთი, არ არის ხელშეკრულების 85-ე მუხლით განსაზღვრული აკრძალვების სუბიექტი. საჭიროების შემთხვევაში ეროვნულმა სასამართლომ უნდა შეაფასოს, არის თუ არა ამ საქმეში მეთოდი, რომლითაც გამოიყენება კონტრაქტით გათვალისწინებული ექსკლუზიური უფლება, ეკონომიკური თუ სამართლებრივი სფეროს სუბიექტი, რომლის მიზანი ან შედეგი არის ფილმების დისტრიბუციის პრევენცია ან შეზღუდვა, ან კინემატოგრაფიის ბაზარზე კონკურენციის განადგურება, ამ ბაზრის სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით.

ამ საფუძველზე სასამართლო, მისთვის ბელგიის საკასაციო სასამართლოს მიერ 1981 წლის 3 სექტემბრის ბრძანებით გადაცემულ შეკითხვაზე ადგენს:

კონტრაქტი, რომლითაც ფილმის საავტორო უფლების მფლობელი გასცემს ექსკლუზიურ უფლებას ფილმის ჩვენებაზე ნევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე განსაზღვრული ვადით, როგორც ასეთი, არ არის ხელშეკრულების 85-ე მუხლით განსაზღვრული აკრძალვების სუბიექტი. საჭიროების შემთხვევაში, ეროვნულმა სასამართლომ უნდა შეაფასოს, არის თუ არა ამ საქმეში მეთოდი, რომლითაც გამოიყენება კონტრაქტით გათვალისწინებული ექსკლუზიური უფლება, ეკონომიკური თუ სამართლებრივი სფეროს სუბიექტი, რომლის მიზანი ან შედეგი არის ფილმების დისტრიბუციის პრევენცია ან შეზღუდვა, ან კინემატოგრაფიის ბაზარზე კონკურენციის განადგურება, მოცემული ბაზრის სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით.

X. საჯარო სანარმოები

საქმე *Vereniging van Vlaamse Reosbureaus v VZW Social Dienst van de Plaatselijke en Gewestelijke Overheidsdiensten (Belgian Travel Agents)*³⁷⁵:

გადანყვეტილება ბელგიის ტურისტულ აგენტებთან მიმართებით

საქმის ფაბულა: ათწლეულების წინ ტურისტული აგენტების პროფკავშირის მიერ გამოცემული ეთიკის კოდექსი და ვაჭრობის სხვადასხვა დონესთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებები უკრძალავდა ტურისტულ აგენტებს ბილეთების მათი ხელმძღვანელების მიერ რეკომენდებულ ფასებთან შედარებით დაბალ ფასად გაყიდვას. პროფკავშირების აღნიშნული ხელშეკრულებები და გადანყვეტილებები ჩაანაცვლა 1966 წელს მიღებულმა კანონმდებლობამ. საკამათო გახდა ის, თუ რამდენად მოდიოდა წინააღმდეგობაში აღნიშნული კანონი, ერთად აღებულ, მე-10 და 81-ე მუხლებთან.

საკითხი დაისვა შემდეგნაირად — არღვევდა თუ არა 81-ე 1-ლ მუხლს იმ ტურისტულ აგენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც ტუროპერატორთა აგენტებს წარმოადგენენ.

³⁷⁵ Case *Vereniging van Vlaamse Reosbureaus v VZW Social Dienst van de Plaatselijke en Gewestelijke Overheidsdiensten (Belgian Travel Agents)* (311/85) 1 October 1987., [1987] ECR 3801, [1989] 4 CMLR 213, CMR 14, 499.

10. როგორც სასამართლომ ერთგვაროვნად აღნიშნა (იხილეთ ყველაზე ბოლო გად-
ანყვეტილება, დათარიღებული 1986 წლის 30 აპრილით, გაერთიანებულ საქმეებზე:
Case 209-იდან 213/84-ის ჩათვლით *Ministere Public v. Asjes* [1986] ECR 1425), მიუხედავად
იმისა, რომ ხელშეკრულების 81-ე და 82-ე მუხლები ეხება სანარმოს მოქმედებას და
არა წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობებსა და რეგულაციებს, ხელშეკრულება
აკისრებს წევრ სახელმწიფოებს ვალდებულებას, არ მიიღონ ან არ განახორციელონ
ისეთი ზომები, რომლებიც ეფექტურობას დაუკარგავს ზემოთ აღნიშნულ ნორმებს.
სასამართლომ განაცხადა, რომ მსგავსი სიტუაცია შეიქმნება, თუ წევრმა სახელმწი-
ფომ მოითხოვა ან მოიწონა 81-ე მუხლის საწინააღმდეგო ხელშეკრულებების, გად-
ანყვეტილებების ან შეთანხმებული პრაქტიკის მიღება-დანერგვა, ან გაამყარა მათი
ეფექტი.

11. სათანადო კუთხით ეროვნული სასამართლოსთვის პასუხის გასაცემად საჭიროა, უპ-
ირველესად, განისაზღვროს, ააშკარავენ თუ არა სასამართლოს წინაშე წარდგენილი
დოკუმენტები ამგვარი ხელშეკრულებების, გადანყვეტილებებისა თუ შეთანხმებული
პრაქტიკის არსებობას დასმული საკითხით მოცული საქმიანობის სფეროში, და მხოლოდ
ამის შემდეგ განისაზღვროს, ბელგიური ნორმების მსგავს ნორმებს შესწევთ თუ არა უნ-
არი, გაამყარონ ამგვარი ხელშეკრულებების, გადანყვეტილებების ან შეთანხმებული
პრაქტიკის ეფექტი ან იქონიონ ასეთი შედეგი.

12. სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი დოკუმენტები გვიჩვენებს, რომ ბელგიური
ნორმები სტრუქტურის ნაწილობრივ ფორმირებას ახდენენ სხვადასხვა დონეზე
ხელშეკრულებების მეშვეობით ტურისტული აგენტების დავალდებულებით, დაიცვან
ტუროპერატორების მიერ ტურებისთვის დადგენილი ფასები.

13. პირველ რიგში, კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, რაც კამათის
საგანი არ გამხდარა, 1963 წელს *Belgische Beroepsvereniging voor Reisbureaus* (ბელგიის
ტურისტულ აგენტთა კავშირი, შემდგომ ტექსტში “BBR”) მიიღო თავისი წევრების ეთი-
კის კოდექსი. ამ კოდექსის 22-ე მუხლი, რომლის შინაარსიც აისახა ძირითად საქმეში
განსახილველი 1966 წლის 30 ივნისის სამეფო დეკრეტის 22-ე მუხლში, ეხებოდა მომხ-
მარებელთა საკომისიო მოსაკრებლიდან წილის მიღების საკითხს და მათთვის აკრძა-
ლული ფასდაკლებების მინიჭებას ან ფასდაკლებებს, რომლებიც კომერციულ სარგე-
ბლობას, როგორც უსამართლო კონკურენციას, ეწინააღმდეგებოდა.

14. მეორე რიგში, ისევ და ისევ კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით,
1975 წელს BBR-ის ფარგლებში გაფორმდა თანამშრომლობის ჩარჩოხელშეკრულება
ტურისტული აგენტების საბჭოსა და BBR-ისთვის განკუთვნილი ჩარტერული ფრენის
ოპერატორების ჯგუფს შორის. ამ ხელშეკრულების მე-8 ხ მუხლი ადგენს, რომ აგენტს
შეუძლია, ნებისმიერი ფორმით არ გადაურიცხოს თავისი საკომისიოს ნაწილი მესამე
პირს და უნდა დაიცვას ორგანიზატორის მიერ გაყიდვისთვის დადგენილი ფასები და
პირობები.

15. ტუროპერატორებსა და ტურისტულ აგენტებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულე-
ბასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ბელგიის მთავრობის ვალდებულებების
სტანდარტული ფორმის ხელშეკრულების დანართი ზოგადი დებულებების პირველი
პუნქტით ადგენს თანამშრომლობის პირობებს, რომლის მიხედვითაც ტუროპერატორს
„შეუძლია, უარი თქვას [ტურების] გაყიდვაზე იმ აგენტებისათვის, რომლებიც კომერ-
ციული პრაქტიკის წესებთან შესაბამისობაზე უარს აცხადებენ და მოქმედებენ კანონ-
მდებლობის სულისკვეთების საწინააღმდეგოდ“. აღნიშნული ნორმა ტუროპერატორებს
საშუალებას აძლევს, მოშალონ თავისი ხელშეკრულებები ტურისტულ აგენტებთან,

რომლებიც არ იცავენ მათთვის მისადაგებული კომერციული პრაქტიკის წესებს იმ წესების ჩათვლით, რომლებიც უკრძალავენ საკომისიოს გაყოფასა და ფასდაკლებების უფლების მინიჭებას.

16. უფრო მეტიც, საკითხში ასახული 1996 წლის 30 ივნისის სამეფო დეკრეტის 22-ე მუხლის ტექსტიდან გამომდინარე, დასტურდება ხელშეკრულებების სისტემის არსებობა, მონოდებული ამგვარი პრაქტიკის პრევენციის მიზნით. 22-ე მე-2 d მუხლი, რომელიც „მომწოდებელთან მიმართებით“ ტურისტული აგენტის ვალდებულებებს ეხება, ადგენს, რომ აგენტმა უნდა „დაიცვას კლიენტებთან საკომისიოს წილის მიღებასთან დაკავშირებით შეთანხმებული აკრძალვა“.

17. შესაბამისად, უნდა დავასკვნათ, რომ, როგორც სასამართლოს წინაშე წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ირკვევა, ტურისტული აგენტების საქმიანობასთან დაკავშირებით არსებობს ხელშეკრულებათა სისტემა როგორც თვით ტურისტულ აგენტებს შორის, ასევე აგენტებსა და ტუროპერატორებს შორის მონოდებული, დაავალდებულოს აგენტები, დაიცვან ტუროპერატორთა მიერ დადგენილი ფასები, და იქონიონ აღნიშნული ეფექტი. მსგავსი ხელშეკრულებების მიზანი და ეფექტი ტურისტულ აგენტებს შორის კონკურენციის შეზღუდვაა. ასე რომ ვთქვათ, ისინი ტურისტულ აგენტებს აცილებენ ფასების კონკურენციაში მონაწილეობას საკუთარი ინიციატივით მიღებული გადანყვებილების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც უწილადებენ მიღებული საკომისიოს გარკვეულ ნაწილს თავიანთ მომხმარებლებს.

18. დამატებით, ამგვარმა ხელშეკრულებებმა შეიძლება გავლენა მოახდინონ წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე რამდენიმე გაგებით. პირველ რიგში, ერთ წევრ სახელმწიფოში მოქმედმა ტურისტულმა აგენტებმა შეიძლება გაყიდონ სხვა წევრ სახელმწიფოში მყოფი ტუროპერატორის მიერ ორგანიზებული სამოგზაურო პაკეტი; მეორე რიგში, ამ აგენტებს შეუძლიათ, სამოგზაურო პაკეტი მიჰყიდონ მომხმარებლებს, მცხოვრებთ სხვა წევრ სახელმწიფოებში; მესამე რიგში, განსახილველ საკითხში დასმული მოგზაურობა ხშირ შემთხვევაში სხვა წევრ სახელმწიფოებში განხორციელებას ეხება.

19. ბელგიის მთავრობამ იუარა, რომ 81-ე 1-ლი მუხლი შეიძლება შეეხოს ტუროპერატორსა და ტურისტულ აგენტს შორის ურთიერთობას, და ამტკიცებდა, რომ ეს არის ურთიერთობა ხელმძღვანელსა და აგენტს შორის. შესაბამისად, ტურისტული აგენტი აღქმული უნდა იქნეს როგორც ტუროპერატორის დამხმარე ორგანო. თავისი არგუმენტების გასამყარებლად ბელგიის მთავრობამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ ტურისტული აგენტები არ შედიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში კლიენტებთან საკუთარი სახელით, არამედ განსახილველ საკითხში დასმული ტურისტული პაკეტის ორგანიზატორი ტუროპერატორის სახელითა და მის სანაცვლოდ.

20. მიუხედავად ამისა, ეროვნული სასამართლოს მიერ მოხსენიებული ტურისტული აგენტი მიჩნეულ უნდა იქნეს დამოუკიდებელ აგენტად, რომელიც მომსახურებას უზრუნველყოფს სრულიად დამოუკიდებლად. იგი ვაჭრობს დიდი რაოდენობის ტუროპერატორების მიერ ორგანიზებული სამოგზაურო პაკეტებით, ხოლო ტუროპერატორი ვაჭრობს თავისი სამოგზაურო პაკეტებით დიდი რაოდენობის აგენტების მეშვეობით. ბელგიის მთავრობის მიერ წარმოდგენილი განცხადებების საპირისპიროდ უნდა აღინიშნოს, რომ ტურისტული აგენტი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დამხმარე ორგანო, ტუროპერატორის კომპანიის შემადგენელი ნაწილი.

21. აღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარეობს, რომ განსახილველ საკითხში წარმოდგენილის მსგავსი ხელშეკრულებები შეუსაბამოა ხელშეკრულების 81-ე 1 მუხლ-

თან.

22. დასადგენი რჩება, არის თუ არა ამ კონტექსტში განხილული, ეროვნული სასამართლოს წინაშე განსახილველად დასმული ისეთი ხასიათის პირობები, რომ შეძლონ ტურისტულ აგენტებსა და ტუროპერატორებს შორის არსებული ხელშეკრულებების ეფექტის გაძლიერება.

23. პირველ რიგში, 1966 წლის სამეფო დეკრეტის მეშვეობით ჩვეულებრივი სახელშეკრულებო აკრძალვების საკანონმდებლო ნორმებად ტრანსფორმირებით მოხდა განსახილველ საკითხში ასახულ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ეფექტის გამყარება იმდენად, რამდენადაც ნორმა იძენს გრძელვადიან ხასიათს და არ შეიძლება გაუქმდეს მხარეთა მიერ; მეორე რიგში, იმ უსამართლო მიდგომით, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს შეთანხმებული ფასებისა და ტარიფების დაცვა ან კლიენტების საკომისიოდან წილის მიღების აკრძალვა, სამართლიანი კომერციული პრაქტიკის საწინააღმდეგოდ, იგი უფლებას აძლევს ტურისტულ აგენტებს, რომლებიც შესაბამისობაში არიან კომერციული პრაქტიკის შეთანხმებულ ნორმებთან, აწარმოონ შეზღუდვის ბრძანებასთან დაკავშირებული პროცედურები იმ ტურისტულ აგენტებთან მიმართებით, რომლებიც ხელშეკრულების მხარეს არ წარმოადგენენ და არ მოდიან შესაბამისობაში ამ ნორმებთან; მესამე რიგში, როგორც ხელშეკრულების მხარეებთან, ასევე მესამე პირებთან მიმართებით, შესაძლებლობის არსებობა, ჩამოერთვას ტურისტული აგენტის სამოქმედო ლიცენზია კომერციული პრაქტიკის შეთანხმებული ნორმების დაცვის მხრივ შეცდომის დაშვების შემთხვევაში, მიუთითებს დიდი ეფექტის მქონე სანქციის არსებობაზე.

24. ეროვნული სასამართლოს მიერ დასმულ შეკითხვა A-ზე პასუხი ასეთია: წევრი სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმები ან რეგულაციები, რომლებიც მოითხოვენ ტურისტული აგენტისგან ტუროპერატორების მიერ განსაზღვრული სამოგზაურო პაკეტის ფასებისა და ტარიფების დაცვას, უკრძალავენ მათ, მიიღონ წილი თავიანთ კლიენტებზე გაყიდული სამოგზაურო პაკეტის საკომისიოდან ან ფასდაკლება შესთავაზონ თავიანთ კლიენტებს, რაც მიჩნეულია სამართლიანი კომერციული პრაქტიკის დარღვევად, შეუთავსებელია წევრი სახელმწიფოს ვალდებულებასთან ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების მე-10 მუხლთან მიმართებით, და დაკავშირებულია მე-3 ე და 81-ე მუხლებთან, რომელთა მიხედვითაც ამგვარი ეროვნული ნორმების მიზანი ან ეფექტი გაამყაროს ხელშეკრულებების, გადაწყვეტილებების ან შეთანხმებული პრაქტიკის ეფექტით, წინააღმდეგობაში მოდის 81-ე მუხლთან.

საქმე *Masterfoods Ltd and Valley Ice Cream (Ireland) Ltd v Van Den Bergh Foods Ltd (formerly HB Ice Cream Ltd)*³⁷⁶:

კომისიამ გამოაქვეყნა ბრალდებების განაცხადი *HB Ice Cream*-თან, ირლანდიაში ნაყინის უმსხვილეს მწარმოებელთან მიმართებით. *HB* ამარაგებდა მცირე საცალო მოვაჭრეებს სანაყინე მაცივრებით, რომლებიც ახორციელებდნენ ქვეყანაში საცალო ნაყინის ვაჭრობის 40%-ს იმ ვალდებულების სანაცვლოდ, რომ აღნიშნულ მაცივრებში განთავსებული იქნებოდა მხოლოდ *HB*-ის ნაყინი — „მაცივრის ექსკლუზიური უფლება“. კომისიამ, 81-ე და 82-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, განაცხადა, რომ ხდებოდა კონკურენტული მომმარაგებლების კონკურენციის გამორიცხვა იმ საცალო ვაჭრობის ობიექტებში, სადაც შესაძლებელი იყო მხოლოდ ერთი მაცივრის განთავსება.

HB-მ შეცვალა პოლიტიკა და ნება დართო იმ საცალო მოვაჭრეებს, რომელთაც დროებით სარგებლობაში გადასცა მაცივრები, დაყოვნების გარეშე ან იჯარის ფასის

³⁷⁶ Case *Masterfoods Ltd and Valley Ice Cream (Ireland) Ltd v Van Den Bergh Foods Ltd (formerly HB Ice Cream Ltd)* [1998] OJ L246/1, [1998] CMLR 530.

პირობებით შეეძინათ ისინი და, შესაბამისად, აღნიშნულით გაენწყვიტათ მათ შორის არსებული კავშირი. შემდგომი საჩივრების გამოძიების შედეგად კომისიამ ოფიციალურ ჟურნალში გამოაქვეყნა განცხადება ამ კომპრომისით დადებითი შედეგების მიღების თაობაზე. *HB*-მ ირლანდიის უმაღლესი სასამართლოსგან მოიპოვა აკრძალვის ბრძანება, რომლის თანახმად, *Mars*-ს ეზღუდებოდა საცალო მოვაჭრეების დარწმუნების უფლება, განეთავსებინათ მისი ნაყინი *HB*-ის მაცივრებში.

Mars-მა, რომელსაც სურდა ბაზარზე შეღწევა *HB*-ის მაცივრებში თავისი ნაყინის განთავსების მეშვეობით, საჩივრით მიმართა კომისიას, და აცხადებდა, რომ მხოლოდ რამდენიმე საცალო მოვაჭრე იყო მზად, გამოეყენებინა მასთან კავშირის განწყვეტის შესაძლებლობა. შესაბამისად, კომისიამ განაახლა პროცედურები საქმეზე – *Van den Bergh Foods Ltd* [1998] OJ L/246/1 [1998] 5 CMLR 530 და დაგმო მაცივრის ექსკლუზიური უფლება.

აღნიშნულ პერიოდში ირლანდიური სასამართლოს გადაწყვეტილება *Mars*-ისთვის აკრძალვის დადგენაზე განსახილველად წარუდგინეს ირლანდიის უზენაეს სასამართლო, რომელმაც წინასწარი განსჯადობა სთხოვა ევროპულ სასამართლოს. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ განიხილა გადადო კომისიის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამ შემთხვევაში ევროპული სასამართლო განიხილავს არა არსებით საკითხებს, არამედ დაკავებულია პროცედურული საკითხებით. მისი გადაწყვეტილების შესაბამისად, ეროვნულ სასამართლოს არ უნდა მიეღო კომისიის გადაწყვეტილების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომ *Van den Bergh* ცდილობდა, ძალაში მოეყვანა არსებული აკრძალვა, რომელიც კომისიის გადაწყვეტილებამდე იქნა მისთვის მინიჭებული.

კომისიამ თავის გადაწყვეტილებაში გაითვალისწინა, რომ მაცივრებით უზრუნველყოფამ ხელი შეუწყო დისტრიბუციას, ვინაიდან გადაჭრა ბევრი მცირე საცალო მოვაჭრის მიერ სათანადო დანადგარის შესაძენად თანხის არარსებობის პრობლემა. ამის მიუხედავად, პირველ ეტაპზე არსებული უპირატესობა გასათვალისწინებელია. ბევრ საცალო მოვაჭრეს არ ჰქონდა მეორე მაცივრის განსათავსებელი ფართი და თუ ისინი შევიდოდნენ ალტერნატიულ ექსკლუზიურ ურთიერთობებში *Mars*-თან, მაშინ უნდა შეენწყვიტათ არსებული მომწოდებლის პროდუქტით ვაჭრობა. *Mars*-თვის უფრო რთული იყო მცირე საცალო მოვაჭრეების დარწმუნება თავისი პროდუქტით ვაჭრობის თაობაზე, რადგან ის მხოლოდ ერთი სახეობის ნაყინს ამზადებდა და, შესაბამისად, მაცივრის პროპორციული ღირებულება მისთვის უფრო ძვირადღირებული იქნებოდა, ვიდრე სხვადასხვა სახეობის ნაყინის მიმწოდებლისათვის.

საქმე *Van den Bergh Foods Ltd* (98/531/EC, IV/34.073)³⁷⁷:

საბოლოო ჯამში, პირველი ინსტანციის სასამართლომ მხარი დაუჭირა კომისიის გადაწყვეტილებას. მან ფრთხილად განიხილა 81-ე მუხლთან მიმართებით კომისიის მიერ გაკეთებული ანალიზი ირლანდიაში ერთჯერადად შეხვეული ჩამოსასხმელი ნაყინის თაობაზე.

87. დოკუმენტიდან ჩანს, რომ ჩამოსასხმელი ნაყინის რეალიზაციის განმახორციელებელი ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო ობიექტები, როგორც წესი, პატარა ფართს ფლობენ და, შესაბამისად, შეზღუდული არიან.
(...)

³⁷⁷ Case *Van den Bergh Foods Ltd* (98/531/EC, IV/34.073) 11 March 1998., OJ 1998, L246/1, [1998] 5 CMLR 530, [1998] CEC 2,380; on appeal: *Van den Bergh Foods Ltd v Commission* (T-65/98), 23 October 2003., [2003] ECR II-4653, [2004] 4 CMLR 14, case under decision, C-552/03, OJ 2004.

88. უფრო მეტიც, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ შესაფერისი პროდუქტის ბაზრისთვის დამახასიათებელია თითოეული საცალო მოვაჭრისათვის, სულ მცირე, ერთი სანაყინე მაცივრის ქონა — თავის საკუთრებაში მყოფი ან მიწოდებული ნაყინის მწარმოებლის მიერ — ნაყინის რეალიზაციაში ქონისა და ვიზუალური რეკლამირების მიზნით. შესაბამისად, გადანყვებილება იმის თაობაზე, რომ საცალო მოვაჭრემ, რომელიც ყიდის პროდუქტს დაუყოვნებელი მოხმარების მიზნით, საკონდიტროს, ახალი და კარბონატით გამდიდრებული სასმელების მსგავსად, უნდა განასხვავოს, ერთი მხრივ, ის მომენტი, რომ ნაყინის მწარმოებელი სთავაზობს მას თავისი პროდუქტით ვაჭრობას არსებული ასორტიმენტის ჩანაცვლების ან დამატების პირობით და, მეორე მხრივ, ის მომენტი, რომ მსგავსი შეთავაზება ეხება სხვა პროდუქციის, როგორებიცაა სიგარეტი და შოკოლადი, მწარმოებლისგან, რომელსაც არ სჭირდება საყინულე და კმაყოფილება ფართით, ჩვეულებრივ, თაროზე. საცალო მოვაჭრეს სასინჯად განკუთვნილ პერიოდში არ შეუძლია, უბრალოდ, იქონიოს გაყიდვაში ნაყინების ახალი ასორტიმენტები სხვა პროდუქტებთან ერთად, იმის დასადგენად, არსებობს თუ არა სათანადო მოთხოვნა ამ ასორტიმენტზე. ან, პირველ რიგში, უნდა მიიღოს ბიზნესგადაწყვეტილება, თუ რამდენად გადააჭარბებს დამატებითი მოგება ინვესტიციებს, რისკსა და სხვა შესაძლო მოსალოდნელ უარყოფით ფაქტორებს, ასოცირებულს სანაყინე მაცივრის ან დამატებითი მაცივრის ინსტალაციასთან, სხვა პროდუქტებსა და ნაყინის ბრენდებზე ფასების დაცემისა და შეცვლის გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ რაციონალური საცალო მოვაჭრე გამოყოფს ფართს სანაყინე მაცივრისთვის მხოლოდ კონკრეტული ბრენდის ნაყინის გასაყიდად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ბრენდით ვაჭრობა უფრო მომგებიანი იქნება, ვიდრე სხვა ბრენდების ჩამოსასხმელი ნაყინებითა და გადაუდებელი მოხმარების პროდუქტებით ვაჭრობა.

89. სასამართლომ აღმოაჩინა, რომ გარემოებები, ასახული ზემოთ მოყვანილ 85-ე-88-ე პარაგრაფებში, გადასახადის გარეშე ნაყინის მაცივრით უზრუნველყოფა, *HB*-ის ნაყინის აშკარა პოპულარობა, მისი პროდუქციის ასორტიმენტის სიმრავლე და დადებითი შედეგები, ასოცირებული მის რეალიზაციასთან, ძალიან მნიშვნელოვანი საგულისხმო ფაქტორებია საცალო მოვაჭრეთა თვალთახედვაში, როდესაც ისინი იღებენ გადანყვებილებას დამატებითი ნაყინის მაცივრის დაყენებასთან დაკავშირებით, რომ ივაჭრონ მეორე, შესაძლებელია, ნაკლებფასიანი ნაყინის ასორტიმენტით ან უფრო მეტიც, მოშალონ სადისტრიბუციო ხელშეკრულება *HB*-სთან *HB*-ის სანაყინე მაცივრის საკუთარით შეცვლის ან სხვა მწარმოებლის მაცივრით ჩანაცვლების მიზნით, რაც ყველა შემთხვევაში იქნება ექსკლუზივის პირობის საგანი.

90. უფრო მეტიც, *HB*-ის დომინანტური პოზიცია ეკავა შესაბამის ბაზარზე წლების განმავლობაში. როდესაც საკამათო გადანყვებილება იქნა მიღებული, იგი ფლობდა შესაბამისი ბაზრის 89%-ს, როგორც მოცულობითი, ასევე ღირებულებითი თვალსაზრისით, და დარჩენილი ნაწილი განაწილებული იყო რამდენიმე მცირე მიწოდებელს შორის.

97. მიმდინარე მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლომ გამოავლინა: კომისიამ, მოთხოვნილი სამართლებრივი სტანდარტის შესაბამისად, დაამტკიცა, რომ შესაბამის ბაზარზე *HB*-ის პროდუქტების მაღალი სტანდარტისა და იმ ფაქტის მიუხედავად, რომ იგი სთავაზობს ნაყინის სრულ ასორტიმენტს, რომელთა უმრავლესობა მომხმარებელში დიდი პოპულარობით სარგებლობს, არსებობს ობიექტური და სპეციფიკური მტკიცებულება ირლანდიაში სხვა მწარმოებლების ნაყინზე მოთხოვნის სადემონსტრაციოდ, რომლის მიხედვითაც ისინი ხელმისაწვდომია, თუმცა ამ მწარმოებლებს შედარებით მცირე ასორტიმენტის ნაყინი აქვთ, კერძოდ კი, ისინი *Mars*-ის მსგავსი ნაყინის მწარ-

მოებლები არიან, რომელთაც ბაზარზე უკავიათ საკმაოდ სპეციფიკური ადგილი. ამ მიმართებით კომისიამ უჩვენა, რომ საცალო მოვაჭრეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა მზადაა, გასაყიდად გამოიტანოს სხვადასხვა მწარმოებლის წარმოებული ჩამოსასხმელი ნაყინი ერთ სანაყინე მაცივარში მათი განთავსებით. ეს განუხორციელებადია მათ მიერ მაშინ, როდესაც უნდა განთავსონ საკუთარი ან სხვა მწარმოებლის დამატებითი სანაყინე მაცივარი. შედეგად, სასამართლოსთვის მიუღებელია *HB*-ის არგუმენტი, რომლის თანახმად, სხვა მწარმოებლების ნაყინის გაყიდვაზე საცალო მოვაჭრეების მიერ სურვილის არქონა დამახასიათებელი უნდა იყოს არა ექსკლუზივის პირობით, არამედ იმ ფაქტით, რომ არ არსებობს შესაბამის ბაზარზე ამ პროდუქტების მიმართ მოთხოვნა.

98. სასამართლომ ასევე გამოავლინა, რომ კომისიამ გაითვალისწინა განსახილველი პროდუქტის სპეციფიკური თავისებურებანი, ამ საქმის ეკონომიკური კონტექსტი, და მართებულად განსაზღვრა ის გარემოება, რომ *HB*-ის სადისტრიბუციო ხელშეკრულებების ქსელი გადასახადისაგან გათავისუფლებული სანაყინე მაცივრებით უზრუნველყოფასთან ერთად ექსკლუზივის პირობის საგანიცაა და საცალო მოვაჭრეების მიმართ მნიშვნელოვანი გადარწმუნების ეფექტი აქვს საკუთარი ან სხვა მწარმოებლის სანაყინე მაცივრების დაინსტალირების კუთხით და, ფაქტობრივად, მოქმედებს როგორც სავაჭრო ობიექტების ერთობლიობა, რომელთაც მხოლოდ *HB*-ის სანაყინე მაცივრები გააჩნიათ, რაც შესაბამის ბაზარზე შეადგენს სავაჭრო ობიექტების 40%-ს. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ *HB*-ის სანაყინე მაცივრების მქონე საცალო მოვაჭრეებისათვის თეორიულად შესაძლებელია სხვა მწარმოებლების ნაყინის გაყიდვაც, პრაქტიკაში ექსკლუზივის პირობის ეფექტი ზღუდავს საცალო მოვაჭრეთა კომერციულ თავისუფლებას, აირჩიონ ის პროდუქტები, რომელთა გაყიდვაც მათ სურთ საკუთარ სავაჭრო ობიექტებში.

პირველი ინსტანციის სასამართლომ იგივე ხედვა წარმოაჩინა, როცა დაადასტურა, რომ, ყველა გარემოების გათვალისწინებით, კომისიას არ დაუშვია აშკარა შეცდომა 81-ე 1-ლი მუხლის გამოუყენებლობით.

106. რაც შეეხება *HB*-ის არგუმენტს, დაკავშირებულს ამ საქმეში „მიზნობრივი წესის“ გამოყენებასთან, სასამართლომ ხაზგასმით უნდა აღნიშნოს, რომ გაერთიანების კონკურენციის სამართალში ამგვარი წესის არსებობა მიუღებელია. ხელშეკრულების 81-ე 1-ლი მუხლის განმარტება, რომელიც შემოთავაზებულ იქნა *HB*-ის მიერ, ვერ იქნება შეთავსებადი 81-ე მუხლით დადგენილი წესების სტრუქტურასთან.

107. ხელშეკრულების 81-ე მუხლი თავის მესამე პარაგრაფში დაზუსტებით ადგენს იმ ხელშეკრულებების გამორიცხვას, რომლებიც ზღუდავენ კონკურენციას ზოგიერთი პირობის არსებობის შემთხვევაში, კერძოდ კი, როდესაც ისინი სავალდებულოა განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და არ აძლევს სანარმოებს კონკურენციის აღმოფხვრის შესაძლებლობას განსახილველი პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილთან მიმართებით. ეს მხოლოდ ამ პირობის სპეციფიკურ ფარგლებშია შესაძლებელი, კონკურენციის შეზღუდვის მომხრე და კონკურენციის საწინააღმდეგო მხარეების შესაძლო შეფასებით (აღნიშნულთან მიმართებით იხილეთ *Hachette v. Commission* [1994] ECR II-595, პარა. 48, და გაერთიანებული საქმეები: T-374/94, T-375/94, T-384/94 და T-388/94 *European Night Services and Others v. Commission* [1998] ECR II-3141, პარა. 136). ხელშეკრულების 81-ე მე-3 მუხლი ეფექტურობის დიდ ნაწილს დაკარგავდა, მსგავსი შეფასება ხელშეკრულების 81-ე 1-ლი მუხლის ფარგლებში რომ განხორციელებულიყო (აღნიშნულთან მიმართებით იხილეთ: Case C-235/92 P *Montecatini v. Commission* [1999] ECR I-4539, პარა. 133; Case T-14/89 *Montepide v. Commission* [1992] ECR II-1155, პარა. 265; Case T-148/89 *Trefilunion v. Commission* [1995] ECR II-1063, პარა. 109, და ასევე Case T-112/99 *M6 and Others v. Commission* [2001] ECR II-2459, პარა.: 72 და 74).

108. დამატებით, არ შეიძლება უდავოდ ვამტკიცოთ მხოლოდ იმ ფაქტის თაობაზე დაყრდნობით, რომ ბაზრის სავაჭრო ობიექტების 40%-ის მოცულობის ფლობა *HB*-ის ხელშეკრულებათა ქსელს ავტომატურად აძლევს კონკურენციის პრევენციის, შეზღუდვის ან ფორმის შეცვლის უნარს. აღნიშნული, რაზეც *HB* სასამართლო განხილვისას აპელირებდა, გულისხმობს, რომ 60%, შესაბამისად შესაფერისი ბაზრის სავაჭრო ობიექტების უმრავლესობა, დაბრკოლებას არ განიცდის, ექსკლუზივის პირობიდან გამომდინარე.

109. დისტრიბუციის ხელშეკრულებების ამგვარი ქსელის ეფექტის შეფასებისას საჭიროა იმ ეკონომიკური და სამართლებრივი კონტექსტის გათვალისწინება, რომელშიც ის ფუნქციონირებს და რომელშიც ის შეიძლება კომბინირებულ იქნეს სხვებთან ერთად კონკურენციაზე კუმულაციური ეფექტის მისაღებად (იხილეთ: *Delimitis*, პარა. 14, და *Langnese-Iglo v. Commission*, პარა. 100).

საქმე *Metro I: Metro v. Commission*³⁷⁸:

საქმის ფაბულა: *SABA* ამზადებდა ტელევიზორებს, რადიომიმღებებსა და მაგნიტოფონებს და ყიდდა მათ შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის (შსს) მეშვეობით. კომისიამ დაადგინა, რომ მისი პირობების ნაწილი არ არღვევდა 81-ე 1-ლ მუხლს, ხოლო დანარჩენი პირობები გამორიცხა. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა:

19. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ სადავო გადაწყვეტილების მე-2 მუხლი იურიდიულ საფუძველს მოკლებულია უფლებამოსილების გადამეტების გამო, რამეთუ კომისიამ ვერ შეძლო ელიარებინა 81-ე მუხლით დაცული ფასულობები, კერძოდ კი მომხმარებლის ინტერესებიდან გამომდინარე კონკურენციის თავისუფლება, მწარმოებლისა და მოვაჭრეთა ჯგუფის თანმხვედრი ინტერესები, რომელთაც სურვილი ჰქონდათ, დაეცვათ სავაჭრო ფასები, რომლებიც ამ უკანასკნელის მიერ მიჩნეულ იქნა დამაკმაყოფილებლად. ამას გარდა, თუ იგულისხმება ის, რომ აკრძალვიდან გამორიცხვა შეიძლება ნებადართული ყოფილიყო სადისტრიბუციო სისტემის გამო 81-ე მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ, განმცხადებელი ამტკიცებს, რომ კომისიამ ბოროტად გამოიყენა ეს ნორმები კონკურენციის შეზღუდვის საწინააღმდეგოდ გამონაკლისის მინიჭებისას, რაც აუცილებელი არ არის ობიექტის მიერ პროდუქციის ან დისტრიბუციის, ტექნიკური ან ეკონომიკური პროგრესის ხელშეწყობის გაუმჯობესების მისაღწევად, რასაც მივყავართ კონკურენციის აღმოფხვრისკენ თვითმომსახურე საბითუმო მოვაჭრეებისაგან.

20. ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-3 და 81-ე მუხლებში ასახული მოთხოვნები, კონკურენციისთვის ფორმის შეცვლის დაუშვებლობის თაობაზე, გულისხმობს მუშა რეჟიმში არსებული კონკურენციის არსებობას ბაზარზე, წარმოადგენს ძირითადი მოთხოვნების დასაცავად და ხელშეკრულების მიზნების მისაღწევად აუცილებელ კონკურენციის დონეს, კერძოდ კი, ერთიანი ბაზრის შექმნას შიდა ბაზრისათვის დამახასიათებელი პირობების უზრუნველყოფით. ამ მოთხოვნის თანახმად, კონკურენციის ხასიათი და ინტენსიურობა შეიძლება ცვალებადი იყოს მოცულობის მიხედვით განსაზღვრულ საკითხში დასმული პროდუქტებით ან მომსახურებით და შესაბამისი ბაზრის სექტორების ეკონომიკური სტრუქტურით. სექტორში, რომელიც მოიცავს მაღალი ხარისხისა და ტექნიკურად მოწინავე გრძელვადიანი მოხმარების საქონლის წარმოებას, სადაც დიდი და საშუალო მწარმოებლების მცირედი რიცხვი სთავაზობს სხვადასხვა პროდუქციას, რომელიც, მომხმარებელთა მოსაზრებით, იოლად ჩანაცვლებადია, ბაზრის სტრუქტურა არ უქმნის წინააღმდეგობას დისტრიბუციის არხების მრავალფეროვნების არსებობას, მისადაგებულს სხვადასხვა მწარმოებლის თავისებურ

³⁷⁸ Case Metro I: Metro v Commission (26/76), 25 Octoberi 1977, [1977] ECR 1875, [1978] 2 CMLR 1, CMR 8435.

ხასიათთან და განსხვავებული კატეგორიის მომხმარებლების მოთხოვნებთან. ამ მიმართებით კომისია მართალი იყო, როდესაც აცხადებდა, რომ შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემები სხვებთან ერთობლიობაში ქმნიდა კონკურენციის მხარეს, რომელიც შესაბამისობაშია 81-ე 1-ლ მუხლთან, უზრუნველყოფდა, რომ გადამყიდველები შერჩეული არიან რაოდენობრივი ხასიათის ობიექტური კრიტერიუმის საფუძველზე, რომელიც დაკავშირებულია გადამყიდველისა და მისი მუშახელის ტექნიკურ კვალიფიკაციასა და მისი სავაჭრო ობიექტის შესაბამისობასთან და რომ ამგვარი პირობები მისადაგებულია ერთგვარონად ყველა პოტენციურ გადამყიდველთან და არ გამოიყენება დისკრიმინაციული ფორმით.

21. სიმართლეა, რომ დისტრიბუციის ამგვარ სისტემებში ფასების კონკურენციას არსებითი ყურადღება არ ენიჭება არც როგორც ექსკლუზიურ, და არც როგორც ქეშმარიტად პრინციპულ ფაქტორს. ეს, წინამდებარე საქმის მსგავსად, მაშინ ხდება, როდესაც სადისტრიბუციო ქსელში შეღწევას ის პირობები სჭირდება, რომლებიც პროდუქტის სათანადო დისტრიბუციის მოთხოვნებს აღემატება. თუმცა, მართალია, ფასების კონკურენცია იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ვერასოდეს მოხდება მისი აღმოფხვრა, იგი არ არის კონკურენციის ერთადერთი ეფექტური ფორმა ან, ყველა შემთხვევაში, აბსოლუტური პრიორიტეტის მინიჭების საფუძველი. 81-ე მე-3 მუხლით კომისიისათვის მინიჭებული უფლებამოსილება გვიჩვენებს, რომ მუშა პროცესში მყოფი კონკურენციის შენარჩუნება შეიძლება შეეგუოს სხვადასხვა ხასიათის მქონე მიზნების დაცვას და დასაშვებია კონკურენციაზე განსაზღვრული შეზღუდვების არსებობა, რადგან ისინი აუცილებელია ამ მიზნების მისაღწევად და მათი შედეგი არ არის კონკურენციის აღმოფხვრა ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის. სპეციალისტი საბითუმო და საცალო მოვაჭრეებისათვის განსაზღვრული ფასის დონის შენარჩუნების სურვილი, რომელიც პასუხობს მომხმარებლის ინტერესებიდან გამომდინარე დისტრიბუციის არხის განგრძობადი არსებობის შესაძლებლობის დაცვის სურვილს, დისტრიბუციის ახალ მეთოდებთან ერთობლიობაში დაფუძნებულს კონკურენციის პოლიტიკის სხვადასხვა ტიპებზე, აყალიბებს ერთ-ერთ მიზანს, რომელიც შეიძლება მიღწეულ იქნეს 81-ე 1-ლ მუხლში ასახული აკრძალვისადმი დაქვემდებარების გარეშე, და თუ ის მიიღწევა მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც, მოექცევა 81-ე მე-3 მუხლის ჩარჩოს ფარგლებში. აღნიშნული არგუმენტი გამყარებული იქნება, თუ, დამატებით, ამგვარი პირობები უზრუნველყოფს გაუმჯობესებულ კონკურენციას, რამდენადაც იგი უკავშირდება სხვა ფაქტორებს და არა ფასებს.

საქმე *Metro II: Metro-SB-Grosmarkte GmbH & Co KG v. Commission*:

საქმის ფაბულა: *SABA*-მ კვლავ მიმართა სასამართლოს სარჩელით, როდესაც მის გამონაკლის უფლებას ვადა გაუვიდა. ამ დროის განმავლობაში ელექტრონული საქონლის მოხმარების ბაზარს დამატებითი შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემები დაემატა.

40. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ, თუმცა სასამართლომ წინა გადანყვეტილებაში აღნიშნა, „მარტივი“ შერჩევის სადისტრიბუციო სისტემებს უნარი შესწევთ განსაზღვრონ ხელშეკრულების 81-ე 1-ლ მუხლთან შესაბამისობაში მყოფი კონკურენციის მხარეები, მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, კონკურენცია შეიზღუდოს ან აღმოიფხვრას იქ, სადაც განსაზღვრული რაოდენობის ამგვარი სისტემების არსებობა ადგილს აღარ უტოვებს დისტრიბუციის სხვა ფორმებს, დაფუძნებულს კონკურენციის პოლიტიკის სხვადასხვა ფორმაზე ან ფასების სტრუქტურის მოუქნელობის შედეგებზე, რაც არ ბალანსდება ერთი და იმავე ბრენდის პროდუქტებს შორის კონკურენციის სხვა მხარეებითა და სხვადასხვა ბრენდს შორის ეფექტური კონკურენციის არსებობით.

41. შედეგად, კონკრეტულ პროდუქტთან მიმართებით შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემების დიდი რაოდენობის არსებობა თავისთავად არ იძლევა იმ დასკვნის საშუალებ-

ბას, რომ კონკურენცია შეზღუდულია ან სახეცვლილია. არც ამგვარი სისტემების არსებობაა გადამწყვეტი 85-ე მე-3 მუხლის მიხედვით გამონაკლისი უფლების მისანიჭებლად ან არმისანიჭებლად, რამეთუ ერთადერთი გასათვალისწინებელი ფაქტორი ამ მიმართებით ის ეფექტია, რომელიც ამგვარ სისტემებს, ფაქტობრივად, აქვთ საკონკურენციო სიტუაციაში. შესაბამისად, ფერადი ტელევიზორების შერჩევითი სადისტრიბუციო ქსელის მოცულობის კოეფიციენტი, რომელსაც *Metro* მიუთითებს, არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც გამონაკლისი უფლების მინიჭების დამცავი ფაქტორი.

42. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ გამონაკლისი უფლების მინიჭების შემდეგ „მარტივი“ შერჩევის სადისტრიბუციო სისტემების რაოდენობის მატება უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული მაშინ, როდესაც გამონაკლისი უფლების მიღებაზე განაცხადის განახლება გათვალისწინებული იქნება მხოლოდ სპეციალურ სიტუაციაში, რომელშიც შესაბამისი ბაზარი ისეთი მოუქნელი და სტრუქტურირებული იყო, რომ კონკურენციის ელემენტს, ასახულს „მარტივ“ სისტემებში, არ შეუძლია შეინარჩუნოს მუშა რეჟიმში მყოფი კონკურენცია. *Metro*-მ ვერ შეძლო ეჩვენებინა, რომ ამგვარი სპეციალური სიტუაცია არსებობს წარმოდგენილ საქმეში.

46. შესაბამისად, *Metro*-ს მოთხოვნა, დაფუძნებული ელექტრონული საქონლის მოხმარების სისტემაში შეფასებითი სადისტრიბუციო სისტემის გაფართოებაზე, არ უნდა იქნეს გაზიარებული.

საქმე *Corbeau*³⁷⁹:

საქმის ფაბულა: ბელგიის კანონმდებლობის თანახმად, ფოსტას წერილის მინიმალურ საზღაურად გაგზავნის ექსკლუზიური უფლება აქვს. ბ-ნმა *Corbeau*-მ ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული, როცა ლიეჟის ტერიტორიულ ერთეულში ორგანიზება გაუკეთა მსგავს მომსახურებას საფოსტო მომსახურებაზე არსებულთან შედარებით დაბალი ტარიფის დანესებით. იგი პირობას დებდა, რომ გზავნილი ადრესატამდე მიაღწევდა ჩაბარებიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის შუადღისას. წერილის გამგზავნის შეეძლო მისამართის შეცვლა მაშინაც კი, როდესაც წერილი გაგზავნის პროცესში იმყოფებოდა. *Corbeau* ჩვეულებრივი ფოსტით აგზავნიდა წერილებს უფრო შორეულ ადგილებში.

Corbeau-ს მიმართ განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა. მან დააყენა ბელგიის კანონმდებლობის ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 86-ე მუხლთან შეუსაბამობის საკითხი, რაც კონკურენციის პირობებს ეხებოდა. ევროპულ სასამართლოს ეთხოვა წინამდებარე განსჯადობა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.

ევროპული სასამართლო

7. ძირითად საქმეში მოყვანილ ფაქტებთან მიმართებით სასამართლოს წინაშე დასმული შეკითხვა გაგებულ უნდა იქნეს როგორც ეროვნული სასამართლოს დაინტერესება საკითხით – უნდა იქნეს თუ არა განმარტებული ხელშეკრულების 86-ე მუხლი შეუსაბამოდ წევრი ქვეყნის კანონმდებლობის მუხლთან, რომელიც ისეთ ორგანოს, როგორიცაა *Regie des Postes*, ანიჭებს ფოსტის შეგროვების, გაგზავნისა და მიწოდების ექსკლუზიურ უფლებას, რათა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შიშით აკრძალოს აღნიშნული სპეციფიკური მომსახურების შეთავაზება ეკონომიკური ოპერატორის არსებობით ამ სახელმწიფოს ბაზარზე.

8. კითხვაზე პასუხის გასაცემად, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ *Regie des Postes* მსგავსი ორგანო, რომელსაც ფოსტის შეგროვების, გაგზავნისა და მიწოდების

³⁷⁹ Case saqme *Corbeau* (C-320/91) 19 May 1993., [1993] ECR I-2553, [1995] 4 CMLR 621, [1995] 1 CEC 322.

ექსკლუზიური უფლება მიენიჭა, განხილულ უნდა იქნეს როგორც სანარმო, რომელსაც წევრმა სახელმწიფომ მიანიჭა ექსკლუზიური უფლებები, ხელშეკრულების 86-ე 1-ლი მუხლის შინაარსიდან გამომდინარე.

9. შემდგომ უნდა გავიხსენოთ, სასამართლომ ერთგვაროვნად დაადგინა, რომ სანარმო, რომელსაც აქვს სავალდებულო მონოპოლია საერთო ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დომინანტი, ხელშეკრულების 82-ე მუხლის შესაბამისად (იხილეთ გადაწყვეტილებები საქმეზე – C-179/90 *Merzi Convenzionali Porto di Genova* [1991] ECR I-5889, პარა. 14 და საქმეზე C-18/88 *RTT v GB-Inno-BM* [1991] ECR I-594

10. მიუხედავად იმისა, რომ 82-ე მუხლი შეეფარდება მხოლოდ ანტიკონკურენტულ ქმედებას, განხორციელებულს სანარმოს მიერ საკუთარი ინიციატივით და არა სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომებით (იხილეთ ზემოთ აღნიშნული საქმე *RTT v. GB-Inno-BM*, პარა. 20) (...).

11. სასამართლოს ამ მიმართებით ჰქონდა შესაძლებლობა, განეცხადებინა, რომ თუმცა წევრმა სახელმწიფომ ექსკლუზიური უფლებების მინიჭებით შექმნა დომინანტური პოზიცია, რაც, თავის მხრივ, შეუსაბამოა 82-ე მუხლთან, ხელშეკრულება არ მოითხოვს წევრი სახელმწიფოებისგან, მიიღონ ან განახორციელონ ზომები მათი ეფექტურობის უზრუნველყოფის ჩამოსართმევად (იხილეთ გადაწყვეტილება საქმეზე – C-260/89 *ERT* [1991] ECR I-2925, პარა. 35).

12. შესაბამისად, 86-ე 1-ლი მუხლი უზრუნველყოფს, კონკურენციასთან დაკავშირებული ხელშეკრულების ნორმებიდან გამომდინარე, არ მოხდეს არანაირი ზომებისა თუ ღონისძიებების გატარება იმ საზოგადოებრივ სანარმოსთან მიმართებით, რომელსაც წევრმა სახელმწიფომ მიანიჭა სპეციალური ან ექსკლუზიური უფლებები.

13. აღნიშნული პირობები განხილულ უნდა იქნეს 86-ე მე-2 მუხლთან ერთობლიობაში, რომლის თანახმად, ზოგადი ეკონომიკური ინტერესის მომსახურების განევაზე ნდობამინიჭებული სანარმოები ექვემდებარებიან კონკურენციის ნორმებს იმ დონემდე, სადამდეც ამ ნორმების მოქმედება, როგორც იურიდიულად, ასევე ფაქტობრივად, წინააღმდეგობას არ უქმნის მათ საქმიანობას კონკრეტულად განსაზღვრული ამოცანების განხორციელებაში.

14. შესაბამისად, ეს ბოლო ნორმები წევრ სახელმწიფოებს უფლებას აძლევს, მათი ნდობით აღჭურვილ სანარმოებს დააკისროს ზოგადი ეკონომიკური ინტერესის მომსახურების განევა, ექსკლუზიური უფლებები, რომლებიც წინააღმდეგობას შეუქმნიან ხელშეკრულების ნორმების განხორციელებას კონკურენციასთან დაკავშირებით იმ დონემდე, სადამდეც კონკურენციის შეზღუდვა ან, თუნდაც, კონკურენციის საერთოდ გამორიცხვა სხვა ეკონომიკურ ოპერატორებთან მიმართებით აუცილებელია ექსკლუზიური უფლებამინიჭებული სანარმოების მიერ კონკრეტულად განსაზღვრული ამოცანების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

15. რაც შეეხება მომსახურებას მთავარ საქმესთან მიმართებით, უდავოა, რომ *Regie des Postes* ზოგადი ეკონომიკური ინტერესის მომსახურების განევისთვის აღჭურვილია ნდობით და მოიცავს ვალდებულებას, შეაგროვოს, გაგზავნოს და მიანოდოს ფოსტა მომხმარებელთა მაგივრად დაინტერესებული წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე დადგენილი ტარიფებითა და ხარისხის პირობებით, განსხვავებული სიტუაციის სპეციფიკურობისა და თითოეული ოპერაციის ეკონომიკური მოგების ხარისხისაგან.

16. განსახილველი საკითხის არსი ისაა, რომ კონკურენციის შეზღუდვა ან თუნდაც

კონკურენციის საერთოდ გამორიცხვა სხვა ეკონომიკურ ოპერატორებთან მიმართებით აუცილებელია ექსკლუზიური უფლების მქონე სანარმოსათვის ზოგადი ინტერესების ამოცანის განხორციელების შესაძლებლობის მისაცემად და, უფრო კონკრეტულად, ეკონომიკური სარგებლის მისაღები პირობების მისაღწევად.

17. ამგვარი შეფასების საწყისი უნდა იყოს პირობა, რომლის მიხედვითაც ნდობამინიჭებული სანარმოს ვალდებულება, განახორციელოს მომსახურება თავის წინაშე დასმული ამოცანის განსახორციელებლად ეკონომიკური თანასწორობის ბალანსის დაცვით, გულისხმობს ნაკლებად შემოსავლიანი სექტორისთვის კომპენსაციას მომგებიანი სექტორის საწინააღმდეგოდ და, შესაბამისად, ამართლებს კონკურენციის შეზღუდვას იმ ინდივიდუალურ სანარმოებთან მიმართებით, რომლებითაც ეკონომიკურად მომგებიანი სექტორები დაინტერესებული არიან.

18. უდავოა, რომ ინდივიდუალური სანარმოებისთვის მათი არჩევანის სექტორში ექსკლუზიური უფლებების მქონე სანარმოსთან კონკურენციის წარმართვის უფლების მინიჭება მისცემს მათ შესაძლებლობას, კონცენტრირება მოახდინონ ეკონომიკურად მომგებიან ოპერაციებზე და შესთავაზონ უკეთესი ტარიფები იმასთან შედარებით, რასაც სთავაზობს ექსკლუზიური უფლების მქონე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ისინი, განსხვავებით ამ უკანასკნელისაგან, არ არიან დამოკიდებული ეკონომიკურ მიზეზებზე, ანაზღაურონ დანაკარგები არამომგებიან სექტორებში უფრო მომგებიანი სექტორების მოგების საწინააღმდეგოდ.

19. თუმცა კონკურენციის გამორიცხვა გაუმართლებელია იმ მიზეზით, რომ სპეციფიკური მომსახურება გამოყოფილია ზოგადი ინტერესების მომსახურებისაგან, რომელიც ეკონომიკური ოპერატორების სპეციალურ მოთხოვნებს პასუხობს და რომელიც ეხება ისეთ აუცილებელ დამატებით მომსახურებებს, არარსებულს ტრადიციულ საფოსტო მომსახურებაში, როგორებიცაა: გამგზავნის მისამართიდან წერილის შეგროვება, დიდი სისწრაფე ან მინოდების სანდოობა ან ტრანზიტის პერიოდში მინოდების მისამართის შეცვლის შესაძლებლობა. შესაბამისად, ეს სპეციფიკური მომსახურება თავიანთი არსითა და შეთავაზებული პირობებით, როგორიცაა გეოგრაფიული არე, რომელზეც ეს მომსახურება ვრცელდება, არ უქმნის საშიშროებას ექსკლუზიური უფლების მქონე სანარმოს მიერ განხორციელებულ ზოგადი ეკონომიკური ინტერესის მომსახურების ეკონომიკურ ბალანსს.

20. ეროვნული სასამართლოს გადასაწყვეტია, ექვემდებარება თუ არა განსჯადობას საკითხში ასახული მომსახურებების შეუთავსებლობა მანამ, სანამ ისინი არ იქნებიან ამ კრიტერიუმებთან შესაბამისობაში მოყვანილი.

21. ლიეჟის სასჯელაღსრულების ტრიბუნალის მიერ სასამართლოსადმი დასმული კითხვის პასუხია, რომ წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა წინააღმდეგობაში მოდის ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 86-ე მუხლთან, რამეთუ ისეთ ორგანოს, როგორიცაა *Regie des Postes*, ანიჭებს ფოსტის შეგროვების, გაგზავნისა და მინოდების ექსკლუზიურ უფლებას, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შიშით აუკრძალოს სახელმწიფოს, ბაზარზე არსებულ ეკონომიკურ ოპერატორს შესთავაზოს სპეციფიკური მომსახურება განსხვავებული ზოგადი ინტერესების მომსახურებისგან, რომელიც ეკონომიკური ოპერატორების სპეციალურ მოთხოვნებს პასუხობს და ეხება ისეთ აუცილებელ დამატებით მომსახურებას, არარსებულს ტრადიციულ საფოსტო მომსახურებაში, რაც არ უქმნის საშიშროებას ექსკლუზიური უფლების მქონე სანარმოს მიერ განხორციელებულ ზოგადი ეკონომიკური ინტერესის მომსახურების ეკონომიკურ ბალანსს. ეროვნული სასამართლოს გადასაწყვეტია, აკმაყოფილებს თუ არა ამ კრიტერიუმებს ძირითად საქმეში მოცემული და შეკითხვაში

ასახული მომსახურებები.

საქმე *Stergios Delimitis v Henninger Brau AG*³⁸⁰:

საქმის ფაბულა: ჰენინგერ ბრაუმ სტერგიოს დელიმიტის ლუდის სახლი მიაქირავა იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი კისრულობდა ვალდებულებას, გასაყიდად გამოტანილი ლუდის ყველა სახეობა შეეძინა ჰენინგერ ბრაუსგან და აგრეთვე, შეეძინა განსაზღვრული რაოდენობის ლუდი, მაგრამ მას ასევე შეეძლო ლუდის შეძენა ნებისმიერი მწარმოებლისგან, მხოლოდ სხვა წევრ სახელმწიფოში. ხელშეკრულების შეწყვეტისას დავა წამოიჭრა დელიმიტის დავალიანებაზე ლუდსახარში კომპანიის წინაშე. გაერთიანების სასამართლოს ეთხოვა, წინასწარი განსჯადობა განეხორციელებინა საქმესთან მიმართებით 81-ე 1-ლი მუხლის შეფარდების თაობაზე და ექსკლუზიურ შეძენაზე წინააღმდეგობისგან განთავისუფლებაზე, დადგენილება 1984/83 (ამჟამად ჩანაცვლებული).

სასამართლომ დაიწყო ამგვარი ხელშეკრულებიდან ორივე მხარისთვის სარგებლის გამოვლენით. დელიმიტისმა მიიღო უძრავი ქონება, მაშინ როდესაც სხვა მსგავს შემთხვევებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბარის მფლობელი მიიღებდა თავისი ქონების გაუმჯობესების შესაძლებლობას ან დაფინანსებას აღნიშნულის განსახორციელებლად. სამაგიეროდ, ჰენინგერ ბრაუმ მიიღო რეგულარული გასაღების ბაზარი საკუთარი ლუდისთვის.

სასამართლოს გადაწყვეტილება კონკურენციის შეზღუდვაზე

13. თუ ამგვარი ხელშეკრულებების ობიექტი არ არის კონკურენციის შეზღუდვა 81-ე 1-ლი მუხლის შესაბამისად, არ არის აუცილებელი იმის დადგენა, ჰქონდათ თუ არა მათ კონკურენციის პრევენციის, შეზღუდვის ან დამახინჯების ეფექტი.

14. სასამართლომ საქმეზე – *Case 23/67 Brasserie De Haecht v. Wilkin* [1967] ECR 407 გამოტანილ განაჩენში დაადგინა, რომ ამგვარი ხელშეკრულებების ეფექტი უნდა შეფასდეს იმ კონტექსტში, რომელშიც ისინი წარმოჩნდებიან და სადაც ისინი შეერწყმიან სხვებს, რათა ჰქონდეთ კუმულაციური ეფექტი კონკურენციაზე. გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს, აგრეთვე, რომ რამდენიმე მსგავსი ხელშეკრულების კუმულაციური ეფექტი განსაზღვრავს სხვა ფაქტორებს შორის ერთ ფაქტორს იმის დასადგენად, ექნება თუ არა კონკურენციის შესაძლო ცვლილებას გავლენა წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე.

15. შესაბამისად, ამ საქმეში საჭიროა ლუდის მიწოდების ხელშეკრულების ეფექტის გაანალიზება მსგავსი ტიპის სხვა ხელშეკრულებებთან ერთად, როგორებიცაა: ეროვნული კონკურენტების შესაძლებლობებზე ან სხვა წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლების ლუდის მოხმარების ბაზარზე შესვლის თაობაზე ან ბაზარზე მათი წილის გაზრდაზე და შედეგად, მომხმარებლისთვის შეთავაზებული პროდუქტის ასორტიმენტის ეფექტზე მსჯელობა.

16. ამგვარი ანალიზის გაკეთებისას, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს შესაბამისი ბაზარი. შესაბამისი ბაზარი წინასწარვე განსაზღვრულია განსახილველ საკითხში მოცემული საქმიანობის, ლუდით ვაჭრობის, ეკონომიკური არსიდან გამომდინარე. ლუდით ვაჭრობა ხორციელდება საცალო ვაჭრობის არხებით, სავაჭრო ობიექტებითა და სასმელის მოხმარებით. მომხმარებლის გადმოსახედიდან ამათგან ბოლო სექტორი, რომელიც ძირითადად საზოგადოებრივი დაწესებულებებისა და რესტორნებისგან

³⁸⁰ Case *Stergios Delimitis v Henninger Brau AG* (C-234/89) 28 February 1991w., [1991] ECR I-935, [1992] 5 CMLR 210, [1992] 2 CEC 530.

შედგება, შეიძლება განსხვავდებოდეს საცალო ვაჭრობის სექტორისგან იმით, რომ ლუდით ვაჭრობა საზოგადოებრივ დაწესებულებებში არ არის მხოლოდ პროდუქტის შექმნა, მაგრამ ასევე უკავშირდება მომსახურების განევას, და, ამასთან, ლუდის მოხმარება საზოგადოებრივ დაწესებულებებში, ჩვეულებრივ, არ არის დამოკიდებული ეკონომიკურ გათვლაზე. საზოგადოებრივი დაწესებულებების სპეციფიკურობა იმით გამოიხატება, რომ ლუდსახარში კომპანიები ამ სისტემის ფუნქციონირებისათვის ორგანიზებას უკეთებენ სპეციალურ სადისტრიბუციო სისტემას, რომელიც მოითხოვს სპეციალური აპარატურის ინსტალაციას და ამ სექტორისთვის დადგენილი ფასები, როგორც წესი, საცალო ღირებულებაზე მაღალია.

17. გამომდინარე ზემოთქმულიდან, ამ საქმეში შესაბამისი ბაზარი ის არის, რომელიც ლუდის სავაჭრო ობიექტებში დისტრიბუციასა და სასმელის მოხმარებას მოიცავს. ეს აღმოჩენა განპირობებული არ არის იმ ფაქტით, რომ ხდება ორი სადისტრიბუციო ქსელის ურთიერთგადაფარვა, რამდენადაც საცალო ვაჭრობა საშუალებას აძლევს ახალ კონკურენტებს, ცნობილი გახადონ თავისი ბრენდები და გამოიყენონ თავისი რეპუტაცია სავაჭრო ობიექტებითა და სასმელების მოხმარებით დადგენილ ბაზარზე შესაღწევად.

18. მეორე რიგში, შესაბამისი ბაზარი გამოყოფილია გეოგრაფიული თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს, რომ ლუდის მინოდების ხელშეკრულებათა უმეტესობა კვლავაც ეროვნულ დონეზე ფორმდება. აქედან გამომდინარეობს, რომ გაერთიანების კონკურენტის წესების გამოყენებისას ანგარიში უნდა გაენიოს სავაჭრო ობიექტებსა და სასმელის მოხმარებაში ლუდის დისტრიბუციის ეროვნულ ბაზარს.

19. იმისათვის, რომ შევაფასოთ, თუ რამდენად ქმნის დაბრკოლებას ზემოთ განსაზღვრულ ბაზარზე შეღწევაში ლუდის მინოდების რამდენიმე ხელშეკრულების არსებობა, საჭიროა დამატებით შევამოწმოთ ამ ხელშეკრულებების არსი და მოცულობა, მთლიანობაში ყველა მსგავსი ხელშეკრულების ჩათვლით, რომლებიც აკავშირებს დიდი რაოდენობის სავაჭრო ობიექტებს რამდენიმე ეროვნულ მწარმოებელთან (იხილეთ გად-ანყვეტილება საქმეზე – *Case 43/69 Bilger v. Jehle* [1970] ECR127). ბაზარზე შესაღწევად ამ ხელშეკრულებების ქსელების ეფექტი განსაკუთრებულად დამოკიდებულია ეროვნულ მწარმოებელთან საზოგადოებრივ დაწესებულებებთან დაკავშირებული სავაჭრო ობიექტების რაოდენობაზე, რომლებიც ისე მყარად არ არიან დაკავშირებული ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორებიცაა: ნაკისრი ვალდებულებების ხანგრძლივობა, იმ ლუდის ოდენობა, რომელსაც ეს ვალდებულებები უკავშირდება, და პროპორცია ამ რაოდენობებსა და იმ რაოდენობებს შორის, რომლებიც რეალიზებულ იქნა თავისუფალი დისტრიბუტორების მიერ.

20. მსგავსი ხელშეკრულებების პაკეტის არსებობა იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას მნიშვნელოვანი ეფექტი აქვს ბაზარზე შეღწევის შესაძლებლობებზე, არ არის საკმარისი იმ აღმოჩენის მხარდასაჭერად, რომ შესაბამისი ბაზარი შეუღწევადია, რამდენადაც ეს მხოლოდ ერთი ფაქტორია სხვებს შორის, რომელიც იმ ეკონომიკურ და სამართლებრივ კონტექსტს განეკუთვნება, რომელშიც ხელშეკრულება უნდა შეფასდეს (იხილეთ ზემოთ მოყვანილი საქმე – *Case 23/67 Brasserie De Haecht*). სხვა ფაქტორები, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, პირველ რიგში, არის ის, რომელიც ეხება ბაზარზე შეღწევის შესაძლებლობებს.

21. აღნიშნულთან მიმართებით აუცილებელია შევამოწმოთ, თუ რამდენად არის ახალი კონკურენტისთვის ხელშეკრულებების პაკეტის გარღვევის კონკრეტული შესაძლებლობები ბაზარზე უკვე დამკვიდრებული ლუდსახარში კომპანიის შექმნით მისი სავაჭრო ობიექტების ჩათვლით, ან ამ ხელშეკრულებების პაკეტის გვერდის ავლა

ახალი საზოგადოებრივი დანესებულებების გახსნით. ამ მიზნით საჭიროა კომპანიების შექმნისა და სავაჭრო ობიექტების დაფუძნების შესახებ იურიდიული ნორმებისა და ხელშეკრულებების, აგრეთვე სადისტრიბუციო სისტემის ეკონომიკური საქმიანობისათვის საჭირო სავაჭრო ობიექტების მინიმალური რაოდენობის განხილვა. მწარმოებლებთან კავშირის არმქონე ლუდის საბითუმო მოვაჭრეების არსებობა, რომლებიც ბაზრის აქტიური მოთამაშეები არიან, არის ფაქტორი, რომელსაც შეუძლია, ხელი შეუწყოს ახალი მწარმოებლის ბაზარზე დამკვიდრებას მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი შეძლებს საბითუმო მოვაჭრეთა ქსელის გამოყენებას საკუთარი წარმოების ლუდის დისტრიბუციისათვის.

22. მეორე რიგში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის პირობები, რომლის მიხედვითაც კონკურენტები მოქმედებენ შესაბამის ბაზარზე. ამ მიმართებით აუცილებელია ვიცოდეთ არა მარტო ბაზარზე წარმოდგენილ მწარმოებელთა რაოდენობა და სიდიდე, არამედ ამ ბაზრის დატვირთულობის ხარისხი და მომხმარებლის ერთგულება არსებულ ბრენდებთან მიმართებით, რამეთუ, როგორც წესი, უფრო რთულია გადატვირთულ ბაზარზე შეღწევა, რომელშიც მომხმარებლები ლოიალური არიან მცირე რაოდენობის დიდი მწარმოებლებისადმი, ვიდრე განვითარებად ბაზარზე, სადაც პატარა მწარმოებლების დიდი რაოდენობა მოქმედებს ძლიერი ბრენდების სახელების გარეშე. საცალო ვაჭრობაში ლუდის რეალიზაციის ტენდენცია გვაძლევს საჭირო ინფორმაციას მოთხოვნის დინამიკასა და, შედეგად, ლუდის ბაზრის, როგორც მთლიანის გადატვირთულობის ხარისხის განსაზღვრაზე. ამ ტენდენციის ანალიზი უფრო საინტერესოა ბრენდის მიმართ ერთგულების შეფასებისას. ახალი დასახელების ბრენდების სახით ლუდით ვაჭრობის მყარმა ზრდამ შეიძლება მიანიჭოს ამ დასახელების ბრენდების მესაკუთრეებს მნიშვნელოვანი რეპუტაცია, რომელიც შეიძლება გამოიყენონ საზოგადოებრივი დანესებულებების ბაზარზე შესაღწევად.

23. თუ შესაბამის ბაზარზე მოქმედი ყველა მსგავსი ხელშეკრულების შემოწმება და სხვა ფაქტორები, დაკავშირებული ეკონომიკურ და სამართლებრივ კონტექსტთან, რომელთან მიმართებითაც ხელშეკრულება უნდა შეფასდეს, გვიჩვენებს, რომ ამ ხელშეკრულებებს არა აქვს კუმულაციური ეფექტი ბაზარზე ახალი ეროვნული და უცხოელი კონკურენტების შეღწევისათვის დაბრკოლების შესაქმნელად. ინდივიდუალური ხელშეკრულებები, რომლებიც ერთობლიობაში ხელშეკრულებათა პაკეტს წარმოადგენენ, ხელშეკრულების 81-ე 1-ლი მუხლის შესაბამისად, ვერ იქონიებს ზეგავლენას კონკურენციის შეზღუდვის მიზნით. ისინი არ ექვემდებარება მუხლის პირობებში ასახულ აკრძალვებს.

24. იმ შემთხვევაში, თუ, მეორე მხრივ, ამგვარი შემოწმება გამოააშკარავებს, რომ რთული იქნება შესაბამის ბაზარზე შეღწევა, აუცილებელი იქნება იმ მოცულობის შეფასება, რომლითაც კითხვაში მოყვანილი ლუდსახარში კომპანიის მიერ გაფორმებულმა ხელშეკრულებებმა წვლილი შეიტანა კუმულაციურ ეფექტში, რაც წარმოიშვა ბაზარზე არსებული მსგავსი ხელშეკრულებების ერთობლიობით. კონკურენციაზე მოქმედი გაერთიანების წესების მიხედვით, ბაზრის დახურვის ამგვარი ეფექტის პასუხისმგებლობა დამახასიათებელია ლუდსახარში კომპანიებისათვის, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ბაზრის ფუნქციონირებაში. ლუდის მინოდების ხელშეკრულებები, გაფორმებული იმ ლუდსახარში კომპანიების მიერ, რომელთა წვლილი კუმულაციურ ეფექტში უმნიშვნელოა, არ ექვემდებარება 81-ე 1-ლი მუხლით დანესებულ აკრძალვებს.

25. ლუდსახარში კომპანიების მიერ გაფორმებული ლუდის მინოდების ხელშეკრულებათა წვლილის მოცულობის ზემოთ აღნიშნულ დახურულ კუმულაციურ ეფექტთან მიმართებით შეფასების მიზნით საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ხელშეკრულების

მხარეთა პოზიციები ბაზარზე. ეს პოზიცია არ განისაზღვრება მხოლოდ ლუდსახარში კომპანიის ან ნებისმიერი ჯგუფით, რომელსაც ის შეიძლება ეკუთვნოდეს მფლობელობაში არსებული ბაზრის წილით, არამედ მხედველობაშია მისაღები მასთან ან მის ჯგუფთან დაკავშირებული სავაჭრო ობიექტების რაოდენობა, დაკავშირებული შესაბამის ბაზარზე გამოვლენილი სავაჭრო ობიექტებისა და სასმელის მოხმარების საერთო რაოდენობასთან.

26. ლუდსახარში კომპანიის მიერ გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულებების წვლილი ბაზრის დახურვაში ასევე დამოკიდებულია მათ ვადაზე. თუ ვადის ხანგრძლივობა აშკარად აღემატება შესაბამის ბაზარზე გაფორმებული ლუდის მიწოდების ხელშეკრულებების საშუალო ვადას, ინდივიდუალური კონტრაქტი ექვემდებარება 81-ე 1-ლი მუხლით დადგენილ აკრძალვებს. ლუდსახარში კომპანიას ბაზრის შედარებით მცირე წილით, რომელიც აერთიანებს თავის სავაჭრო ობიექტებს წლების განმავლობაში, შეუძლია შეიტანოს ისეთივე მნიშვნელოვანი წვლილი ბაზრის დახურვაში, როგორც ბაზარზე შედარებით ძლიერი პოზიციის მქონე ლუდსახარში კომპანიას, რომელიც სისტემატიურად განიცდობს სავაჭრო ობიექტებისგან მოკლე ინტერვალებით.

27. პასუხი დასმულ პირველ სამ შეკითხვაზე ასეთია: ლუდის მიწოდების ხელშეკრულება იკრძალება ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 81-ე 1-ლი მუხლით, თუ სახეზეა ორი კუმულაციური პირობა. პირველ შემთხვევაში, გამომდინარე ხელშეკრულების ეკონომიკური და სამართლებრივი კონტექსტიდან კონკურენტებისთვის, რომელთაც შეუძლიათ შევიდნენ ბაზარზე თავისი წილის გაზრდის მიზნით, რთულია ეროვნულ ბაზარზე შელწევა სავაჭრო და სასმელის მოხმარების ობიექტებში დისტრიბუციის მიზნით. ფაქტია, რომ საკითხთან დაკავშირებული ხელშეკრულება ერთ-ერთია იმ მსგავსი ხელშეკრულებებისა, რომელთაც კუმულაციური ეფექტი აქვთ კონკურენციაზე და ამ ბაზარზე ადგენს მხოლოდ ერთ ფაქტორს სხვა ფაქტორებს შორის იმის შესაფასებლად – აშკარად რთულია თუ არა ბაზარზე შელწევა. მეორე შემთხვევაში, კითხვაში ასახულმა ხელშეკრულებამ მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს დახურვის ეფექტში, რაც გამოწვეულია ამ ხელშეკრულებების ერთობლიობით თავის ეკონომიკურ და სამართლებრივ კონტექსტში. ინდივიდუალური ხელშეკრულების წვლილის სიდიდე დამოკიდებულია შესაბამის ბაზარზე ხელშეკრულების მხარეთა პოზიციასა და ხელშეკრულების ვადაზე.

საქმე *13/77, NV GB-INNO-BM v. ATAB*³⁸¹.

საქმის ფაბულა: სასამართლოს შეკითხვით მიმართა ბელგიის საკასაციო სასამართლომ გაერთიანების სამართლის ბელგიურ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დასადგენად თამბაქოს იმაზე ნაკლებ ფასად გაყიდვის აკრძალვასთან დაკავშირებით, ვიდრე თამბაქოს მწარმოებლების ან იმპორტიორების მიერ იყო დადგენილი.

ევროპული სასამართლო

28. პირველ რიგში, საყურადღებოა, რომ შეთანხმებით გამიზნული ერთიანი ბაზრის შექმნა არ მოიცავს რეგულირების რომელიმე ნაციონალურ სისტემას, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ფიზიკურად თუ პოტენციურად ხელს შეუშლის ვაჭრობას გაერთიანების ფარგლებში.

29. მეორე რიგში, მე-3 1-ლი მუხლით განსაზღვრული ზოგადი მიზნები დაკონკრეტებულია შეთანხმების რამდენიმე ნორმაში კონკურენციის წესებთან დაკავშირებით, 82-ე მუხლის ჩათვლით, რომლის თანახმადაც, ერთი ან რამდენიმე საწარმოს მიერ დომი-

³⁸¹ Case 13/77, NV GB-INNO-BM v. ATAB [1977] ECR 2115.

ნანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება აკრძალულია როგორც შეუსაბამო საერთო ბაზართან, ვინაიდან შეუძლია, ზეგავლენა მოახდინოს ნევრ სახელმწიფოთა შორის ვაჭრობაზე.

30. შეთანხმების მე-10 მუხლის მეორე პარაგრაფი ადგენს, რომ ნევრმა სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ ნებისმიერი ზომის მიღებაზე, რომელთაც შეუძლიათ, საშიშროება შეუქმნან შეთანხმების მიზნების მიღწევას.

31. შესაბამისად, მართალია ის, რომ 82-ე მუხლი პირდაპირ სანარმოებს ეხება, ისიც ჭეშმარიტებაა, რომ შეთანხმება ავალდებულებს ნევრ სახელმწიფოებს, არ მიიღონ ან არ განახორციელონ რაიმე ქმედება, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს ამ ნორმების ეფექტურობას.

32. 86-ე მუხლი ადგენს, რომ საჯარო სანარმოებთან და იმ სანარმოებთან მიმართებით, რომელთაც ნევრი სახელმწიფო ანიჭებს სპეციალურ ან ექსკლუზიურ უფლებებს, ნევრ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, განახორციელოს ან გაატაროს, *inter alia*, იმ წესების სანინააღმდეგო ზომები, რომლებიც მოცემულია 81-ე-89-ე მუხლებში.

33. მსგავსად, ნევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება არ გაატარონ ზომები, რომლებიც კერძო სანარმოებს აძლევს საშუალებას, თავი დააღწიონ შეთანხმების 81-ე-89-ე მუხლებით დაკისრებულ ზენოლას.

34. ყველა შემთხვევაში, 82-ე მუხლი კრძალავს ერთი ან რამდენიმე სანარმოს მიერ დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებას, იმის მიუხედავად, თუ ეს მხარდაჭერილია ნაციონალური კანონმდებლობის ნორმებით.

35. ნებისმიერ შემთხვევაში, ნაციონალურ ზომები, რომელთაც აქვთ დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენების ხელშეწყობის ეფექტი, რითაც შეუძლიათ, ზეგავლენა მოახდინონ ნევრ სახელმწიფოთა შორის ვაჭრობაზე, ზოგადად, შეუთავსებელი იქნება 28-ე და 29-ე მუხლებთან, რომლებიც კრძალავენ რაოდენობრივ აკრძალვებს იმპორტსა და ექსპორტზე და ყველა ზომას, რომელთაც მსგავსი ეფექტი ექნება.

საქმე *Hofner v. Macroton*³⁸²:

საქმის ფაბულა: დავა წამოიჭრა გერმანიის სასამართლოში (*Oberlandsgericht Munchen*) კომპანიასა და მის მიერ დაქირავებული კადრების შერჩევის კონსულტანტებს შორის, რომელთაც გაყიდვების დირექტორი უნდა შეერჩიათ. ხელფასებთან დაკავშირებით დავისას კომპანიამ განაცხადა, რომ ხელშეკრულება მხარეთა შორის ძალადაკარგული იყო, რადგან დაარღვია დასაქმების ხელშეწყობის შესახებ გერმანიის კანონი, *the Arbeitsforderungsgesetz (the AFG)*. *AFG* ასაჩივრებდა დასაქმების ფედერალური ოფისის (*Bundesanstalt*) ექსკლუზიურ უფლებას მომავალი მუშაკებისა და დამსაქმებლების ერთმანეთთან დაკონტაქტებასთან დაკავშირებით. აღნიშნულის მიუხედავად, გარკვეული მოცულობით *Bundesanstalt*-მა ნება დართო დამოუკიდებელი კადრების შერჩევის კონსულტანტების არსებობასა და საქმიანობას და გამოაშკარავდა, რომ *Bundesanstalt*-ს თვითონ არ შეეძლო აღმასრულებელი კადრების მოზიდვის მოთხოვნის დაკმაყოფილება. გერმანიის სასამართლოს მიერ დასმული შეკითხვა ეხებოდა საკითხს, იყო თუ არა ბოროტად გამოყენებული დომინანტური პოზიცია და ექსკლუზიური უფლებების არსებობით დაირღვა თუ არა 86-ე 1-ლი მუხლი. სასამართლომ, პირველ რიგში, დაადგინა, რომ *Bundesanstalt* იყო 82-ე და 86-ე მუხლებს დაქვემდებარებული სანარმო. აღნიშნულის შემდეგ სასამართლომ განიხილა შეთანხმების დარღვევის საკითხი.

³⁸² Case C-41/90, *Hofner v. Macroton* [1991] ECR-I-1979, [1993] CMLR 306.

24. უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო დასაქმების სააგენტო, რომელიც ნევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით აღჭურვილია ზოგადი ეკონომიკური ინტერესის მომსახურების განხორციელების უფლებამოსილებით, ისეთის, როგორც განიხილება მე-3 მუხლით, რჩება კონკურენციის წესების სუბიექტად შეთანხმების 86-ე მე-2 მუხლის თანახმად, გარდა იმ შემთხვევისა და იმ დონემდე, როდესაც ნაჩვენებია, რომ იგი შეუსაბამოა მისი ვალდებულებებისგან გათავისუფლებასთან (იხილეთ გადაწყვეტილება საქმეზე *Sacchi* (...)).

25. რაც შეეხება მანერას, რომლითაც საჯარო დასაქმების სააგენტო სარგებლობს დასაქმების უზრუნველყოფის ექსკლუზიური უფლებით, იგი ახორციელებს საწარმოსთვის აღმასრულებელი კადრების მოზიდვას კადრების მოზიდვის კერძო საკონსულტაციო კომპანიების მეშვეობით და, შესაბამისად, უნდა აღინიშნოს, რომ შეთანხმების 82-ე მუხლის შეფარდებას არ შეუძლია, ხელი შეუშალოს სააგენტოსთვის დადგენილი ცალკეული ფუნქციების განხორციელებას, რადგანაც ამ უკანასკნელს აშკარად არ ძალუძს ბაზრის ამ ნაწილში არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება და, ფაქტობრივად, საშუალებას აძლევს აღნიშნულ კომპანიებს, განახორციელონ მის ექსკლუზიურ უფლებებში შეჭრა.

26. სიმართლეა, რომ 82-ე მუხლი ეხება საწარმოებს და 86-ე მე-2 მუხლით დადგენილი ლიმიტების ფარგლებში შეიძლება შეეფარდოს საჯარო საწარმოებს ან ექსკლუზიური უფლებებით აღჭურვილ საწარმოებს, ან სპეციფიკურ უფლებებს, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება, რომ შეთანხმება ითხოვს, ნევრი სახელმწიფოებისგან არ მიიღონ ან არ გაატარონ ღონისძიებები, რომელთაც შეიძლება ამ ნორმების ეფექტურობა გაანეიტრალონ (იხილეთ გადაწყვეტილება საქმეზე – 13/77 *Inno* (...) პარა.: 31 და 32). 86-ე 1-ლი მუხლი, ფაქტობრივად, ადგენს, რომ ნევრმა სახელმწიფოებმა საჯარო საწარმოებთან და სპეციალური ან ექსკლუზიური უფლებებმინიჭებულ საწარმოებთან მიმართებით არ უნდა განახორციელონ ან არ გაატარონ ნებისმიერი სახის ღონისძიება, რომლებიც ეწინააღმდეგება შეთანხმებაში ასახულ წესებს, კერძოდ კი 81-ე-89-ე მუხლებით გადმოცემულ ნორმებს.

27. შესაბამისად, ნევრი სახელმწიფოს მიერ მიღებული ნებისმიერი ზომა, რომელიც ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და რომლითაც იქმნება სიტუაცია, სადაც საჯარო დასაქმების სააგენტოს არ შეუძლია, თავიდან აიცილოს 82-ე მუხლის დარღვევა, შეუსაბამოა შეთანხმების წესებთან.

28. პირველ რიგში, უნდა გვახსოვდეს, რომ კანონიერად მინიჭებული მონოპოლიის მქონე საწარმო განხილულ უნდა იქნეს როგორც დომინანტური პოზიციის მფლობელი, შეთანხმების 82-ე მუხლის თანახმად (იხილეთ გადაწყვეტილება საქმეზე – 311/84 *CBEM*, [1985] CR 3261) და ნევრი სახელმწიფოს ტერიტორია, რომელზეც ეს მონოპოლია ვრცელდება, შეიძლება იყოს საერთო ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი (იხილეთ გადაწყვეტილება საქმეზე – C-322/81 *Michelin* (...), პარა. 28).

29. მეორე რიგში, უბრალო ფაქტი იმისა, რომ 86-ე 1-ლი მუხლის შინაარსიდან გამომდინარე ექსკლუზიური უფლების მინიჭებით ამგვარი დომინანტური პოზიციის შექმნა არც ისეთ წინააღმდეგობაშია შეთანხმების 81-ე მუხლთან (იხილეთ საქმე 311/84 *CBEM*, ზემოთ აღნიშნული, პარა. 17). ნევრი სახელმწიფო ამ ორ ნორმაში ასახულ აკრძალვას არღვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განსახილველ საწარმოს, იმის გამო, რომ, უბრალოდ, იყენებს მისთვის მინიჭებულ ექსკლუზიურ უფლებებს, არ შეუძლია, თავიდან აიცილოს საკუთარი დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება.

30. 82-ე ბ მუხლის თანახმად, დომინანტური პოზიციის ამგვარი ბოროტად გამოყენება კონკრეტულად შეიძლება მოიცავდეს მომსახურების ნორმების ლიმიტირებას, რათა ავნოს მათ, ვინც აღნიშნულისგან შემოსავლის მიღებას ცდილობს.

31. წვერი სახელმწიფო ქმნის სიტუაციას, რომელშიც მომსახურების უზრუნველყოფა ლიმიტირებულია, როდესაც საწარმო, რომელსაც იგი ანიჭებს ექსკლუზიურ უფლებას, ფართოვდება აღმასრულებელი კადრების მოზიდვის საქმიანობით, ამკარად არ არის იმ პოზიციაში, რომ დააკმაყოფილოს ბაზარზე ამგვარ საქმიანობაზე არსებული მოთხოვნა და როდესაც ეფექტი, რომელიც ახლავს ამგვარ საქმიანობას, წარმოებულს კერძო კომპანიების მიერ, შეუძლებელს ხდის მომსახურების განევას კანონმდებლობით დადგენილი ნორმების განხორციელების გამო, რომლის თანახმადაც, ამგვარი საქმიანობა აკრძალულია და აღნიშნული აკრძალვის უგულებელყოფა ამ საკითხთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებს ძალადაკარგულად აქცევს.

32. მესამე რიგში, ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ, შეთანხმების 82-ე და 86-ე 1-ლი მუხლების თანახმად, წვერ სახელმწიფოზე დაკისრებული მოვალეობები მას ავალდებულებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განსახილველი სააგენტოს ბოროტად გამოყენებით ქმედებას ძალიან რეალურად შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს წვერ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხსენებულმა ბოროტად გამოყენებულმა ქმედებამ მართლაც მოახდინოს ზეგავლენა ამგვარ ვაჭრობაზე. საკმარისია დადგინდეს, რომ ქმედებას შეუძლია მოახდინოს ამგვარი ეფექტი (იხილეთ საქმე 322/81, *Michelin*, ზემოთ აღნიშნული, პარა. 104).

33. წვერ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე ამგვარი პოტენციური ეფექტი კონკრეტულად იქ წარმოიშობა, სადაც კერძო კომპანიების მიერ განხორციელებული აღმასრულებელი კადრების მოზიდვა შეიძლება გაფართოვდეს და გავრცელდეს სხვა წვერი სახელმწიფოების მოქალაქეებსა თუ ტერიტორიებზე.

34. მიმდინარე განხილვის გათვალისწინებით, მეოთხე კითხვის საპასუხოდ უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო დასაქმების სააგენტო, ჩართული დასაქმების გარიგების საკითხებში, ექვემდებარება შეთანხმების 82-ე მუხლით დადგენილ აკრძალვას, რამეთუ ამ ნორმების შეფარდება არ უშლის ხელს მის მიერ მისთვის მინიჭებული ფუნქციების განხორციელებაში. წვერი სახელმწიფო, რომელიც დასაქმების სააგენტოს ანიჭებს ექსკლუზიურ უფლებას აღნიშნული საქმიანობის განხორციელებაზე, არღვევს შეთანხმების 86-ე 1-ლ მუხლს, რადგანაც ქმნის სიტუაციას, რომელშიც სააგენტოს არ შეუძლია, თავი აარიდოს შეთანხმების 82-ე მუხლის დარღვევას. კონკრეტულად, ეს ის საქმეა, რომელშიც შემდეგი პირობებია უზრუნველყოფილი:

- ექსკლუზიური უფლება ფართოვდება აღმასრულებელი კადრების მოზიდვის საქმიანობით;
- საჯარო დასაქმების სააგენტოს ამკარად არ ძალუძს, დააკმაყოფილოს ბაზარზე ამგვარ საქმიანობასთან არსებული მოთხოვნა;
- არსებული საქმიანობა, წარმოებული კერძო კომპანიების მიერ, შეუძლებელს ხდის მომსახურების განევას კანონმდებლობით დადგენილი ნორმების განხორციელების გამო, რომლის თანახმადაც ამგვარი საქმიანობა აკრძალულია და აღნიშნული აკრძალვის უგულებელყოფა ამ საკითხთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებს ძალადაკარგულად აქცევს;
- განსახილველი საქმიანობა შეიძლება გაფართოვდეს და გავრცელდეს სხვა წვერი სახელმწიფოების მოქალაქეებსა თუ ტერიტორიებზე.

საქმე *France v. Commission (Telecommunications Equipment)*³⁸³:

ევროპული სასამართლო

23. რაც შეეხება განცხადებას, რომ კომისია შეიჭრა შეთანხმების 83-ე და 95-ე მუხლებით საბჭოსთვის მინიჭებულ უფლებებში, აღნიშნული ნორმების შედარება უნდა მოხდეს 86-ე მუხლთან, მათი საგნისა და მიზნის გათვალისწინებით.

24. 95-ე მუხლი ეხება ნევრ სახელმწიფოებში კანონმდებლობით, წესებით ან ადმინისტრაციული პრაქტიკით დადგენილი ზომების მიღებას მუხლის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, რომლის ობიექტიც შიდა ბაზრის შექმნა და ფუნქციონირებაა. 83-ე მუხლის მიზანია ნებისმიერი სათანადო წესების ან დირექტივების მიღება, რათა ეფექტურობა მიეცეს 81-ე და 82-ე მუხლებში ასახულ პრინციპებს, რაც კონკურენციის წესებია ყველა საწარმოსთან მიმართებით. რაც შეეხება 86-ე მუხლს, იგი გულისხმობს ნევრი სახელმწიფოების მიერ ისეთი ზომების მიღებას, რომლებიც უკავშირდება საწარმოებს, რომლებთანაც ამ მუხლის ნორმებში აღნიშნული აქვთ სპეციფიკური კავშირი. 86-ე მუხლი მხოლოდ ამგვარ ზომებთან მიმართებით აკისრებს კომისიას ზედამხედველობის ვალდებულებას, რომელიც, სადაც საჭიროა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნევრი სახელმწიფოების მისამართით, დირექტივებისა და გადანყვეტილებების მიღების გზით.

25. შესაბამისად, უნდა განისაზღვროს, რომ კომისიისათვის 86-ე მე-3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება განსხვავებული და უფრო სპეციფიკურია, ვიდრე საბჭოსთვის 95-ე ან 83-ე მუხლებით დელეგირებული უფლებამოსილებები.

26. ასევე აღნიშვნას საჭიროებს ის გარემოება, რომ სასამართლომ გაერთიანებულ საქმეებზე 188-იდან 190/80-ის ჩათვლით (*France, Italy and United Kingdom v. Commission...* პარა. 14) დაადგინა: იმის შესაძლებლობა, რომ ნორმების შემცველი წესები, რომლებიც შეიჭრნენ 86-ე მუხლის სპეციფიკურ სფეროში, შეიძლება განისაზღვროს საბჭოს მიერ შეთანხმების სხვა მუხლებით მინიჭებული ზოგადი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ხელს არ უშლის უფლებამოსილების გამოყენებას, რომელიც დადგენილი აქვს კომისიას 86-ე მუხლით.

27. განცხადება კანონში კომისიის უფლებამოსილების არარსებობის თაობაზე არ უნდა იქნეს გაზიარებული.

საქმე *AOK bundesverband and Others v. Ichtyol-Gesellschaft Cordes and Others*³⁸⁴:

საქმის ფაბულა: გერმანიაში კანონმდებლობით განსაზღვრულ ჯანმრთელობის დაზღვევას უზრუნველყოფს დაავადებათა ფონდები (*Krankenkassen*). მოსამსახურეთა უმრავლესობას მოეთხოვება, იყოს კანონმდებლობით განსაზღვრული ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის მონაწილე, ერთ-ერთ ამ ფონდში განვერიანებისა და სავალდებულო შენატანების გზით. შენატანების ოდენობის დათვლა ხდება მოსამსახურის ხელფასის შესაბამისად და არა სქესის, ასაკის, ჯანმრთელობის რისკისა თუ სხვა გარემოების გათვალისწინებით. მოსამსახურეთა დაზღვევა ფარავს როგორც მოსამსახურეებს, ასევე მათი ოჯახის უმუშევარ წევრებსაც. მოსამსახურეებს, რომელთა შემოსავალიც აღემატება განსაზღვრულ დონეს, არ მოეთხოვებათ, შეუერთდნენ აღნიშნულ ფონდებს და მოსამსახურეთა ზოგიერთი ჯგუფი (კერძოდ, სამოქალაქო მოსამსახურეები) კი მიეკუთვნება კანონმდებლობით განსაზღვრულ ცალკე სქემას; მეორე მხრივ,

³⁸³ Case C-202/88, *France v. Commission (Telecommunications Equipment)* [1991] ECR I-1223, [1992] 5 CMLR 552.

³⁸⁴ Case C-264/01, 306/01 and 355/01, *AOK bundesverband and Others v. Ichtyol-Gesellschaft Cordes and Others* [2004] 4 CMLR 1261.

თვითდასაქმებულ და სხვა კატეგორიის პირებს უფლება აქვთ, სურვილის მიხედვით შეუერთდნენ აღნიშნულ ფონდებს. ფონდები ორგანიზებულია ასოციაციათა ფარგლებში რეგიონულად და სექტორულად. დავის საგანი ამ საქმეში გახდა დაავადებათა ფონდების მიერ წამლის გადასახადზე მაქსიმალური ზღვარის დადგენა. გერმანიის კანონმდებლობის თანახმად, ექიმთა ფედერალური კომიტეტი და დაავადებათა ფონდები განსაზღვრავს წამლების ჯგუფებს, რომლებისთვისაც თანხის მაქსიმალური ზღვარი უნდა განისაზღვროს და ადგენს მათზე მაქსიმალურ ზღვარს. პაციენტებმა საკუთარი ხარჯები უნდა გაიღონ, თუ მათ მიერ არჩეული წამლების ფასები აღემატება განსაზღვრული თანხის ოდენობას და არ შეუძლიათ დამატებითი ანაზღაურების მიღება დაავადებათა ფონდებიდან. ფარმაცევტულმა კომპანიებმა გერმანიის სასამართლოში განსახილველად წარადგინეს წამლის ფასებზე საკითხი მაქსიმალური საზღვრის დადგენის თაობაზე. ერთ-ერთი საკითხი იმასაც შეეხებოდა, თუ რამდენად შეესაბამებოდა საკითხი 81-ე მუხლს. აღნიშნულის განსახილველად საჭირო იყო იმის დადგენა, ფუნქციონირებდნენ თუ არა დაავადების ფონდები, როგორც „საწარმოები“. გენერალურმა ადვოკატმა იაკობსმა (2003 წლის 22 მაისის სიტყვა) გადანყვიტა, რომ დაავადების ფონდები „საწარმოების“ სახით ფუნქციონირებენ. მისი მსჯელობის თანახმად, თუმცა ისინი სოლიდარობის საფუძველზე ოპერირებდნენ, მათ საქმიანობაში არსებობდა კონკურენციის ელემენტი. მისი აზრით მნიშვნელოვანია, რომ ფონდები განსაზღვრავს მოსამსახურეთა შენატანების ოდენობებს, რომ ფონდებს შეუძლიათ შეეჯიბრონ იმის მიხედვით, თუ რა შემოსავალი მიიღეს და ისინი კონკურენციაში არიან იმ პირთა ბიზნესთან, რომლებთან მიმართებითაც წევრობა სავალდებულო არ ყოფილა.

ევროპული სასამართლო

46. კონკურენციის სამართალში საწარმოს კონცეფცია მოიცავს ნებისმიერ სუბიექტს, ჩართულს ეკონომიკურ საქმიანობაში, მიუხედავად მისი იურიდიული სტატუსისა თუ დაფინანსების წყაროსი (საქმე C-41/90 *Hofner and Elser* [1991] ECR I-1979 პარა. 21, და საქმე C-218/00 *Cisal* [2002] ECR I-691 პარა. 22).

47. სოციალური უსაფრთხოების სფეროსთან მიმართებით სასამართლომ დაადგინა, რომ სავალდებულო ჯანმრთელობის დაზღვევისა და მოხუცებულთა დაზღვევის სქემების მართვის უფლებით აღჭურვილი კონკრეტული უწყებები ორიენტირებული არიან ექსკლუზიურ სოციალურ მიზანზე და ემიჯნებიან ეკონომიკურ საქმიანობას. სასამართლომ აღმოაჩინა, რომ მსგავსი მიდგომა დაავადებათა ფონდებთან მიმართებითაც, რომლებიც კანონით განსაზღვრულ ფარგლებში მოქმედებენ და ვერ ახდენენ გავლენას შენატანების ოდენობებზე, იყენებენ თავის აქტივებსა და ადგენენ სარგებლის დონეს. ეროვნულ სოლიდარობაზე დაფუძნებული საქმიანობა სრულიად არამომგებიანია და გადახდილი სარგებელი არის კანონმდებლობით განსაზღვრული, რომელსაც არანაირი კავშირი არა აქვს შენატანებთან (გაერთიანებული საქმეები: C-159/91 და C-160/91 *Poucet and Pistre* [1993] ECR I-637 პარა.: 15-18).

49. მეორე მხრივ, სხვა უწყებები, რომლებიც მართავენ კანონმდებლობით განსაზღვრულ სოციალური უსაფრთხოების სისტემებს და აქვთ ზოგიერთი ისეთი თვისება, როგორიც ასახულია წინამდებარე საქმის 47-ე პარაგრაფში, კერძოდ კი არამომგებიანი და სოციალური ხასიათის საქმიანობაში მონაწილეობა, რაც სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესების საგანია, და მოიცავს სოლიდარულ მოთხოვნებს, მოაზრებულ უნდა იქნენ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართულ საწარმოებთან (იხილეთ საქმე C-244/94 *Federation francaise des societes d'assurance and Others* [1995] ECR I-4013, პარა. 22, და

საქმე C-67/96 *Albany* [1999] ECR I-5751, პარა.; 84-87).

50. შესაბამისად, *Federacion francesa des societes d'assurances and Others*, მე-17 პარაგრაფში, სასამართლომ დაადგინა, რომ საკითხში დასამუღი ორგანო, რომელიც ახორციელებს მოხუცების დამატებით სადაზღვევო სქემას, ჩართულია ეკონომიკურ საქმიანობაში, რადგან კონკურენციაში იმყოფება სიცოცხლის დამზღვევ კომპანიებთან და დაინტერესებულ პირს შეუძლია გააკეთოს არჩევანი იმის მიხედვით, თუ რომელი უზრუნველყოფს უკეთეს ინვესტირებას. საქმის – *Albany* – 81-ე და 84-ე პარაგრაფებში, რომლებიც ეხება სავალდებულო წევრობის სისტემაზე დაფუძნებულ დამატებით საპენსიო ფონდს და რომელიც იყენებს სოლიდარობის მექანიზმს სარგებლის დონისა და შენატანების ოდენობის განსაზღვრის მიზნით, სასამართლომ აღნიშნა, რომ, თქმულის მიუხედავად, ფონდმა თვითონ განსაზღვრა შენატანების ოდენობა და სარგებელი, და მოქმედებდა კაპიტალიზაციის პრინციპის მიხედვით. აღნიშნულიდან სასამართლომ დაასკვნა, რომ ამგვარი ფონდი ჩართულია ეკონომიკურ საქმიანობაში და იმყოფება სხვა სადაზღვევო კომპანიებთან კონკურენციაში.

51. გერმანიის კანონმდებლობით განსაზღვრულ ჯანმრთელობის დაზღვევის სქემაში დაავადებასთან ბრძოლის ფონდები, მსგავსად ზემოთ აღნიშნული უწყებებისა, საქმეში – *Poucet and Pristre* – ჩართული არიან სოციალური უსაფრთხოების სისტემის მართვაში. ამ კუთხით ისინი ასრულებენ ექსკლუზიურ სოციალურ ფუნქციას, რომელიც დაფუძნებულია ნაციონალური სოლიდარობის პრინციპზე და სრულიად არამომგებიანი ხასიათისაა.

52. კერძოდ, უნდა აღინიშნოს, რომ, კანონმდებლობის თანახმად, დაავადებასთან ბრძოლის ფონდები ვალდებულია შესთავაზოს თავიანთ წევრებს არსობრივად იდენტური სავალდებულო სარგებელი, რომელიც დამოკიდებული არ არის შენატანების თანხის ოდენობაზე. შესაბამისად, ფონდებს არა აქვთ შესაძლებლობა, გავლენა მოახდინონ ამ სარგებელზე.

53. თავის ბრძანებებზე დაყრდნობისას *Bundesgerichtshof* აღნიშნულთან მიმართებით აცხადებს, რომ დაავადებასთან ბრძოლის ფონდები გაერთიანებულია ერთგვარი სოლიდარობის პრინციპით ("*Solidargemeinschaft*"), რაც მათ შორის ხარჯებისა და რისკების დაბალანსების საშუალებას იძლევა. *SGB V 265*-ე პარაგრაფის თანახმად, დაბალანსება გამოწვეულია ზეგავლენით, როგორც დაავადებასთან ბრძოლის ფონდზე, რომლის მიერ ჯანმრთელობისათვის განეული ხარჯები ყველაზე დაბალია, ისე მათზე, ვინც აზღვევს ძვირადღირებულ რისკებს და ამ რისკებთან დაკავშირებული დანახარჯები ყველაზე მაღალია.

54. შესაბამისად, დაავადებათა ფონდები კონკურენციაში არ არიან ერთმანეთთან ან კერძო ინსტიტუტებთან, რადგან მათ მიეცემათ სამედიცინო მომსახურებასთან ან სამედიცინო პროდუქტთან დაკავშირებული კანონმდებლობით განსაზღვრული სავალდებულო სარგებელი, რაც მათი ძირითადი ფუნქციაა.

55. აღნიშნული მახასიათებლებიდან გამომდინარეობს, რომ დაავადებასთან ბრძოლის ფონდები საქმეებში – *Poucet and Pistre* და *Cisal* – ასახული უწყებების მსგავსია და მათი საქმიანობა თავისი ბუნებით მიჩნეულ უნდა იქნეს როგორც არაეკონომიკური ხასიათის.

56. თავისუფალი მოქმედების უფლება დაავადებასთან ბრძოლის ფონდებისთვის შენატანის ნებადართული ოდენობის დადგენისას და წევრების მოზიდვის მიზნით ერთმანეთს შორის გარკვეულ კონკურენციაში ჩაბმა არ შეესაბამება კითხვაში დასამუღი

საკითხის ანალიზს. როგორც სასამართლოსთვის ცალკე წარდგენილი დაკვირვებები, კანონმდებელმა წარმოადგინა კონკურენციის ელემენტი შენატანებთან დაკავშირებით იმ მიზნით, რომ სტიმული მიეცა დაავადებასთან ბრძოლის ფონდებისთვის ემოქმედათ რეალური მართვის პრინციპის შესაბამისად, რაც ყველაზე ეფექტური და ნაკლებად ხარჯიანია, გერმანიის სოციალური უსაფრთხოების სისტემის სწორად მართვის მიზნით. აღნიშნული მიზნების მიუხედავად, დაავადების ფონდების საქმიანობის ბუნება არანაირად არ იცვლება.

57. გამომდინარე იქიდან, რომ დაავადებასთან ბრძოლის ფონდების მსგავს უწყებებს არ გააჩნიათ ეკონომიკური ხასიათი, ეს უწყებები არ არიან შეთანხმების 81-ე და 82-ე მუხლებით განსაზღვრული საწარმოები.

58. მიუხედავად აღნიშნულისა, არსებობს ალბათობა, რომ მათი, ექსკლუზიურად სოციალური ბუნების ფუნქციის მიუხედავად, გერმანიის სოციალური უსაფრთხოების სისტემის მართვის ფარგლებში დაავადებასთან ბრძოლის ფონდები და ერთეულები, რომლებიც მათ წარმოადგენენ, კერძოდ კი ფონდის ასოციაციები, ჩართული არიან საქმიანობაში, რომელთაც აქვთ არა სოციალური, არამედ ეკონომიკური ხასიათი. ამ შემთხვევაში გადანყვეტილებები, რომლებსაც ისინი იღებენ, სავარაუდოდ, აღქმული უნდა იქნეს როგორც საწარმოების ან საწარმოთა ასოციაციების გადანყვეტილებები.

59. შესაბამისად, უნდა მოხდეს იმის განხილვა, ფონდის ასოციაციების მიერ თანხის მაქსიმალური ზღვრის განსაზღვრა არის თუ არა დაკავშირებული დაავადებასთან ბრძოლის ფონდების ექსკლუზიურ სოციალურ ბუნებასთან, ან თუ ხვდება ამ ჩარჩოების გარეთ და აქვს ეკონომიკური ხასიათის აქტივობა.

60. ფარმაცევტული კომპანიების წარდგინების თანახმად, ფონდის ასოციაციები საწარმოთა ასოციაციების ეკონომიკური ხასიათის გადანყვეტილებებს იღებენ, მაშინ როდესაც ისინი განსაზღვრავენ თანხის მაქსიმალურ ზღვარს.

61. მიუხედავად აღნიშნულისა, სასამართლოს წინაშე წარდგენილი დოკუმენტებიდან ნათელია, რომ, როდესაც ფონდის ასოციაციები განსაზღვრავენ თანხის მაქსიმალურ ზღვარს, ისინი, უბრალოდ, ასრულებენ მათზე *SGB V 35-ე* პარაგრაფით დაკისრებულ ვალდებულებას, იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ გერმანიის სოციალური უსაფრთხოების სისტემის განგრძობადი ფუნქციონირება. ეს პარაგრაფი აგრეთვე დეტალურად ადგენს თანხების განსაზღვრის პროცედურას და აკონკრეტებს, რომ ფონდის ასოციაციებმა უნდა დაიცვან გარკვეული მოთხოვნები, როგორც ხარისხის, ასევე მოგების თვალსაზრისით. *SGB V* ასევე ადგენს, რომ, თუ ფონდის ასოციაციები ვერ განსაზღვრავენ თანხის მაქსიმალურ ზღვარს, კომპეტენტურმა მინისტრმა უნდა მიიღოს გადანყვეტილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

62. შესაბამისად, მხოლოდ თანხის მაქსიმალური ოდენობის ზუსტი დონე არ არის ნაკარნახევი კანონმდებლობით, თუმცა გადანყვეტილება მიიღება ფონდის ასოციაციათა მიერ კანონმდებლობით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. დამატებით, მაშინ, როდესაც ფონდის ასოციაციებს ამ საკითხთან მიმართებით დისკრეციული უფლებამოსილება აქვთ, ეს უფლებამოსილება უკავშირდება დაავადებასთან ბრძოლის ფონდების მიერ გადახდილი თანხის მაქსიმუმს სამედიცინო პროდუქტთან მიმართებით, რომელიც ისეთი სფეროა, სადაც ეს უკანასკნელი არ იმყოფება კონკურენციამი.

63. აღნიშნულიდან გამომდინარე, თანხის მაქსიმალური ზღვრის განსაზღვრისას ფონდის ასოციაციებს არ ამოძრავებთ სპეციფიკური ინტერესი, რომელიც გამიჯნული იქნება დაავადებათა ფონდების ექსკლუზიური სოციალური მიზნისგან. აღნიშნულის

სანინალმდეგოდ, ამგვარი განსაზღვრების განხორციელებისას ფონდის ასოციაციები კისრულობენ ვალდებულებას, რომელიც სრულყოფილად დაკავშირებულია დაავადება-თა ფონდის საქმიანობასთან გერმანიის კანონმდებლობით დადგენილი ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის ფარგლებში.

64. შესაბამისად, აღნიშნავს საჭიროებს ის გარემოება, რომ თანხის მაქსიმალური ზღვრის განსაზღვრისას ფონდის ასოციაციები, უბრალოდ, ახდენენ გერმანიის სოციალური უსაფრთხოების სისტემის მართვას, რომელიც მათზე დაკისრებულია კანონმდებლობით. ისინი არ მოქმედებენ როგორც ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართული სანარმოები.

საქმე *Elliniki Radiophonia Tileorassi Anonimi Etaira (ERT) v. Dimotiki Etairia Pliroforissis (DEP)*³⁸⁵.

საქმის ფაბულა: სალონიკის რეგიონულმა სასამართლომ 234-ე მუხლთან დაკავშირებით შეკითხვებით მიმართა სასამართლოს, რომელიც საბერძნეთის რადიოსა და ტელევიზიის სანარმოს (ERT) პოზიციას ეხებოდა, რომელსაც საბერძნეთის მთავრობამ ექსკლუზიური უფლებები მიანიჭა საბერძნეთში პროგრამების ტელეტრანსლირებასა და განმეორებით ჩვენებებთან დაკავშირებით. საბერძნეთის სასამართლო უკრძალავდა ნებისმიერ პირს, ეწარმოებინა საქმიანობა, რომელზეც ERT-ის ჰქონდა ექსკლუზიური უფლება, ERT-ის თანხმობის გარეშე. სალონიკის მერმა და მუნიციპალურმა კომპანია DEP-მა შექმნეს სატელევიზიო არხი და დაიწყო ტელეგადაცემების მაუწყებლობა. ERT-მ სასამართლო აკრძალვაზე უფლება მოიპოვა და ყადაღა დაადებინა ახალი სატელევიზიო არხის ტექნიკურ აღჭურვილობას.

ევროპული სასამართლო

10. საქმეში – C-155/73 *Sacchi* (...), პარა. 14, სასამართლომ დაადგინა, რომ არაფერი იცავს შეთანხმებაში წევრ სახელმწიფოებს, საზოგადოებრივ ინტერესთან დაკავშირებული არაეკონომიკური ხასიათის განხილვის მიზნით, რადიო- და ტელევიზიის მაუწყებლობების კონკურენციის სფეროდან გაყვანისგან ერთი ან მეტი სანარმოსათვის ამ ფუნქციების განხორციელების ექსკლუზიური უფლების მინიჭებით.

11. მიუხედავად აღნიშნულისა, შეთანხმების 86-ე 1-ლი და მე-2 მუხლიდან გამომდინარეობს, რომ იმ ფორმამ, რა ფორმითაც მონოპოლია ორგანიზებულია ან გამოიყენება, შეიძლება დაარღვიოს შეთანხმების ნორმები, კერძოდ კი ის ნორმები, რომლებიც საქონლის თავისუფალ გადაადგილებას, მომსახურების უზრუნველყოფის თავისუფლებასა და კონკურენციის წესებს უკავშირდება.

12. შესაბამისად, ნაციონალური სასამართლოსთვის გაცემული პასუხი ასეთი უნდა იყოს: გაერთიანების სამართალი ხელს არ უშლის საზოგადოებრივ ინტერესებთან დაკავშირებული არაეკონომიკური ხასიათის სატელევიზიო მონოპოლიის უფლების მინიჭებას. თუმცა იმ ფორმამ, რა ფორმითაც მონოპოლია ორგანიზებულია ან გამოიყენება, არ უნდა დაარღვიოს შეთანხმების ნორმები, კერძოდ კი ნორმები, რომლებიც საქონლის თავისუფალ გადაადგილებას, მომსახურების უზრუნველყოფის თავისუფლებასა და კონკურენციის წესებს უკავშირდება.
(...)

27. როგორც წინამდებარე შენიშვნა, უნდა აღინიშნოს, რომ შეთანხმების 39-ე 1-ლი გ მუხლი უკავშირდება გაერთიანების მხოლოდ ერთ მიზანს, რომელსაც შეთანხმების

³⁸⁵ Case C-260/89, *Elliniki Radiophonia Tileorassi Anonimi Etaira (ERT) v. Dimotiki Etairia Pliroforissis (DEP)* [1991] ECR I-2925, [1994] 4 CMLR 540.

სხვადასხვა ნორმით, კერძოდ კი 81-ე, 82-ე და 86-ე მუხლებით, რომლებიც კონკურენციას ეხება, განსაკუთრებული განსაზღვრება აქვს მიცემული.

28. საწარმოს დამოუკიდებელი საქმიანობა განხილულ უნდა იქნეს საწარმოებთან შეფარდებული შეთანხმების ნორმების ფარგლებში, როგორებიცაა, კონკრეტულად: 81-ე, 82-ე და 86-ე მე-2 მუხლები.

29. რაც შეეხება 81-ე მუხლს, აღსანიშნავია, რომ, თავისი პირობების მიხედვით, იგი შეესაბამება „საწარმოთა შორის“ ხელშეკრულებებს. სასამართლო განხილვაში არაფერი მიუთითებს საწარმოთა შორის რაიმე ხელშეკრულების არსებობაზე. შესაბამისად, არ არსებობს ამ ნორმაზე მსჯელობის საჭიროება.

30. 82-ე მუხლი აცხადებს, რომ საერთო ბაზარზე ან მის რომელიმე მნიშვნელოვან ნაწილზე დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება აკრძალულია როგორც შეუსაბამო საერთო ბაზრისთვის, ვინაიდან მას შეუძლია, ზეგავლენა მოახდინოს ნევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე.

31. აღნიშნულის გათვალისწინებით, მხედველობაშია მისაღები, რომ საწარმო, რომელსაც კანონმდებლობით მინიჭებული მონოპოლია აქვს, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დომინანტური პოზიციის მქონე შეთანხმების 82-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე (იხილეთ სასამართლოს განაჩენი საქმეზე – *C-311/84 CBEM v. CLT and IBP (...)*, პარა. 16) და რომ ნევრი სახელმწიფოს ტერიტორია, რომელზეც ვრცელდება მონოპოლია, შეიძლება იყოს საერთო ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი (იხილეთ სასამართლოს განაჩენი საქმეზე – *C-322/81 Michelin v. Commission (...)*, პარა. 28).

32. თუმცა 82-ე მუხლი, როგორც ასეთი, არ კრძალავს მონოპოლიებს, მიუხედავად ამისა, იგი კრძალავს ამ მონოპოლიის ბოროტად გამოყენებას. ამ მიზნით, 82-ე მუხლი აკეთებს ბოროტად გამოყენების პრაქტიკის მაგალითების ჩამონათვალს.

33. ამ კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ შეთანხმების 86-ე მე-2 მუხლის თანახმად, საწარმოები, რომელთაც დაკისრებული აქვთ ზოგადი ეკონომიკური ინტერესის მომსახურების განევა, არის კონკურენციის წესების საგანი იმ დონემდე, რომ არ ჩანს ამ წესების შეფარდების შეუსაბამობა მათ მიერ წარმოებულ კონკრეტულ ფუნქციებთან (კერძოდ, იხილეთ სასამართლო განხილვა საქმეზე – *Sacchi*, ზემოთ აღნიშნული, პარა. 15).

34. შესაბამისად, ნაციონალური სასამართლოს გადასაწყვეტია, საწარმოს ამგვარი პრაქტიკა რამდენად შეესაბამება 82-ე მუხლს, და შემოწმება ამგვარი პრაქტიკისა, თუკი ის წინააღმდეგობაშია აღნიშნულ ნორმასთან, გამართლებული იქნება იმ კონკრეტული საქმიანობის ტვირთის საჭიროებით, რომლის განხორციელებაც დაეკისრა საწარმოს.

35. რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ გატარებულ ზომებს, კერძოდ კი ექსკლუზიური უფლებების მინიჭებას, უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ, როდესაც 81-ე და 82-ე მუხლები უშუალოდ მხოლოდ საწარმოებს ეხება, მიუხედავად ამისა, შეთანხმება მოთხოვნას უყენებს ნევრ სახელმწიფოებს, არ მიიღონ ან გაატარონ ზომები, რომელთაც შეუძლიათ დაარღვიონ აღნიშნული ნორმების ეფექტურობა (იხილეთ სასამართლო მსჯელობა საქმეზე – *C-13/77 INNO v. ATAB (...)*, პარა.: 31 და 32).

36. შესაბამისად, 86-ე 1-ლი მუხლი ადგენს, რომ იმ საწარმოებთან მიმართებით, რომელთაც ნევრმა სახელმწიფოებმა მიანიჭეს სპეციალური ან ექსკლუზიური უფლებები, ნევრმა სახელმწიფოებმა არც უნდა განახორციელონ და არც უნდა გაატარონ რაიმე ისეთი ზომა, რომელიც ეწინააღმდეგება შეთანხმებაში ასახულ წესებს.

37. აღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ შეთანხმების 86-ე 1-ლი მუხლი კრძალავს იმ საწარმოსთვის განმეორებითი სატელევიზიო მაუწყებლობის ექსკლუზიური უფლების მინიჭებას, რომელსაც პირდაპირი ტელემაუწყებლობის ექსკლუზიური უფლება აქვს, სადაც ეს უფლებები ქმნიან სიტუაციას, რომელშიც საწარმო მიმართულია, დაარღვიოს შეთანხმების 82-ე მუხლი, დისკრიმინაციული ტელემაუწყებლობის პოლიტიკის გამო, რომელიც პატრონაჟს უწევს საკუთარ პროგრამებს.

38. შესაბამისად, ნაციონალურ სასამართლოს პასუხად უნდა გაეცეს, რომ შეთანხმების 86-ე 1-ლი მუხლი კრძალავს პირდაპირი და განმეორებითი სატელევიზიო მაუწყებლობის ექსკლუზიური უფლების მინიჭებას ერთი საწარმოსათვის, სადაც ეს უფლებები ქმნიან სიტუაციას, რომელშიც საწარმო მიმართულია, დაარღვიოს შეთანხმების 82-ე მუხლი, დისკრიმინაციული ტელემაუწყებლობის პოლიტიკის გამო, რომელიც პატრონაჟს უწევს საკუთარ პროგრამებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც 82-ე მუხლის შეფარდება ხელს უშლის მისთვის მინიჭებული კონკრეტული ამოცანების განხორციელებას.

საქმე *Merci Convenzionali Porto di Genova v. Siderurgica Gabrielli SpA*³⁸⁶

საქმის ფაქტობრივი: იტალიური კანონმდებლობის მიხედვით, *Merci*-ს მინიჭებული ჰქონდა გენუის პორტში საქონლის დატვირთვის, გადმოტვირთვისა და აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მოქმედებების წარმოების ექსკლუზიური უფლება ნავმისადგომზე მომუშავე კომპანიის მეშვეობით. *Siderurgica*-ს გემის დატვირთვა დაგვიანდა, რაც, ძირითადად, გამოწვეული იყო ნავსადგომზე მომუშავე კომპანიის მუშათა გაფიცვით. ექსკლუზიური უფლება არ აძლევდა საშუალებას ხომალდის ეკიპაჟს, თვითონ განხორციელებინა გემის დატვირთვა. *Siderurgica*-მ მოითხოვა მისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება და *Merci*-ისთვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, რადგანაც აცხადებდა, რომ უსამართლო იყო საზღაურის განევა იმ სერვისისათვის, რომელიც მიიღო, ან რომელიც საერთოდ არ მიუღია. გენუის ტრიბუნალი დაეფუძნა 234-ე მუხლს, და კითხვით მიმართა, *inter alia*, ევროპულ სასამართლოს: უგულებელყოფდა თუ არა იტალიურ ნორმებს 86-ე 1-ლი მუხლი 82-ე მუხლთან ერთობლიობაში. სასამართლომ მე-14 პარაგრაფში დაადასტურა, რომ საერთო ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე კანონმდებლობით განსაზღვრული მონოპოლიის მქონე საწარმო მიჩნეულ უნდა იქნეს დომინანტური პოზიციის მქონედ, 82-ე მუხლის თანახმად.

ევროპული სასამართლო

16. შემდეგ საკითხად უნდა აღინიშნოს, რომ შეთანხმების 86-ე 1-ლი მუხლის შინაარსის შესაბამისად, ექსკლუზიური უფლებების მინიჭებით დომინანტური პოზიციის შექმნის მარტივი ფაქტი არც ისე შეუსაბამო არ არის 82-ე მუხლთან.

17. მიუხედავად აღნიშნულისა, სასამართლოს აქვს საფუძველი, განაცხადოს ამ მიმართებით, რომ წევრი სახელმწიფო აღნიშნულ ორ ნორმაში ასახულ აკრძალვებს არღვევს, თუ განსახილველი საწარმო, მისთვის მინიჭებული ექსკლუზიური უფლების გამოყენებით, თავიდან ვერ აიცილებს დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებას (იხილეთ სასამართლო მსჯელობა საქმეზე – C-41/90 *Hofner*, აღნიშნული ზემოთ, პარა. 29), ან როდესაც ამგვარი უფლებები მიმართულია, შექმნან ისეთი სიტუაცია, რომელშიც საწარმო მონოდებულა, ჩაიდინოს თავისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (იხილეთ სასამართლო მსჯელობა საქმეზე – C-260/89, *ERT*, აღნიშნული ზემოთ, პარა. 37).

³⁸⁶ Case C-179/90, *Merci Convenzionali Porto di Genova v. Siderurgica Gabrielli SpA* [1991] ECR I-5889, [1994] 4 CMLR 422.

18. შეთანხმების 82-ე მუხლის მეორე პუნქტის a, b და c ქვეპუნქტების თანახმად, დომინანტური პოზიციის ამგვარი ბოროტად გამოყენება გამოიხატება არასამართლიანი შესყიდვის ფასების ან სხვა არასამართლიანი ვაჭრობის პირობების იმ პირებზე დაკისრებით, რომლებიც განსახილველ მომსახურებას ითხოვენ, ტექნიკური განვითარების შეზღუდვაში, მომხმარებელთა საზიანოდ, ან სხვა სავაჭრო პარტნიორებთან ტოლფასი ტრანზაქციის არასათანადო პირობების გამოყენებაში.

19. ამ გაგებით, ნაციონალური სასამართლოს მიერ აღწერილი და ევროპული სასამართლოს წინაშე განხილული გარემოებიდან ჩანს, რომ საწარმოები, რომლებიც სარგებლობენ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი წესებით მინიჭებული ექსკლუზიური უფლებებით, როგორც შედეგი, მიმართული არიან, მოითხოვონ: არმოთხოვნილი მომსახურებისთვის საზღაურის მიღება, არაპროპორციული ფასების დაკისრება, თანამედროვე ტექნოლოგიის მოთხოვნაზე უარის გაცხადება, რომელიც ოპერაციების ღირებულების გაზრდასა და საქმიანობისთვის საჭირო დროის გაგრძელებას მოიცავს, ან ღირებულების ფასის დაკლება კონკრეტული მომხმარებლებისთვის და იმავდროულად აღნიშნულის კომპენსირება სხვა მომხმარებლებთან მიმართებით ფასების გაზრდის გზით.

20. ამ გარემოებების გათვალისწინებით, უნდა დავადგინოთ, რომ წევრი სახელმწიფო ქმნის შეთანხმების 82-ე მუხლის საწინააღმდეგო სიტუაციას მაშინ, როდესაც იგი იღებს ისეთ ნორმებს, როგორც ნაციონალური სასამართლოს წინაშე იყო განხილული და რომელთაც შეუძლიათ, ზეგავლენა მოახდინონ წევრ სახელმწიფოთა შორის ვაჭრობაზე იმგვარად, როგორც ეს აისახა ძირითად სარჩელში, რომელიც წინამდებარე სასამართლო მსჯელობის მე-15 პარაგრაფში მოყვანილ ფაქტორებს, პორტ გენუაში მიმოსვლის მნიშვნელობას ეხებოდა.

საქმე *Societe Civile Agricole du Centre d'Insemination de la Crespelle v. Cooperative d'Elevage et d'Insemination Artificielle du Departement de la Myaenne*³⁸⁷:

საქმის ფაბულა: საფრანგეთის კანონმდებლობამ საქონლის განაყოფიერების ზოგიერთ ცენტრს მიანიჭა ექსკლუზიური უფლება განაყოფიერების მომსახურების უზრუნველყოფაზე გარკვეული გეოგრაფიული არეალის ფარგლებში. სადავო გახდა ცენტრების მიერ განეული მომსახურებისთვის დადგენილი დიდი საფასური.

ევროპული სასამართლო

15. იმდენად, რამდენადაც განსახილველი საკითხი უკავშირდება შეთანხმების სათანადო ნორმებს, მე-10 მუხლი მოითხოვს წევრი სახელმწიფოებისაგან, კეთილსინდისიერად განახორციელონ გაერთიანების წინაშე ნაკისრი ვალდებულებები. თუმცა სასამართლომ თანმიმდევრულად დაადგინა, რომ ეს ნორმები დამოუკიდებლად არ შეეფარდება, როდესაც განსახილველი სიტუაცია ექვევა შეთანხმების სპეციფიკური ნორმების გამგებლობაში, მსგავსად იმისა, როგორც წინამდებარე საქმეშია (იხილეთ სასამართლო მსჯელობა გაერთიანებულ საქმეებში: C-78/90-იდან C-83-90-ის ჩათვლით *Compagnie Commerciale de l'Ouest and Others* [1992] ECR I-1847, პარა. 19). შესაბამისად, საკითხი განხილულ უნდა იქნეს შეთანხმების 86-ე 1-ლ და 82-ე მუხლებთან მიმართებით.

16. შეთანხმების 86-ე 1-ლი მუხლი უზრუნველყოფს, რომ საჯარო საწარმოებისა და იმ საწარმოების შემთხვევაში, რომელთაც წევრმა სახელმწიფოებმა მიანიჭეს სპეციალური ან ექსკლუზიური უფლებები, წევრ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ განახორციელონ ან

³⁸⁷ Case C-323/93, *Societe Civile Agricole du Centre d'Insemination de la Crespelle v. Cooperative d'Elevage et d'Insemination Artificielle du Departement de la Myaenne* [1994] ECR I-5077.

გაატარონ რაიმე სახის ზომები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან შეთანხმებაში ასახულ ნორმებს, კერძოდ კი იმ წესებს, რომლებიც მოცემულია მე-12 მუხლსა და 81-იდან 89-ის ჩათვლით მუხლებში,

17. ასეთ შემთხვევაში, განაყოფიერების ცენტრების საქმიანობის ავტორიზაციის აუცილებლობისა და თითოეულ ცენტრის მიერ ექსკლუზიური უფლებების უზრუნველყოფის გამო, მოემსახუროს განსაზღვრულ სფეროს, ნაციონალურმა კანონმდებლობამ მიანიჭა ამ ცენტრებს ექსკლუზიური უფლებები. ამ საწარმოების სასარგებლოდ, აღნიშნულის დადგენით, მონოპოლიათა მომიჯნავე სერიები ტერიტორიულად შეიზღუდა, თუმცა ერთობლივად მოიცვეს წევრი სახელმწიფოს მთელი ტერიტორია, რის გამოც ნაციონალურმა კანონმდებლობამ შექმნა საერთო ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილში შეთანხმების 82-ე მუხლს დაქვემდებარებული დომინანტური პოზიცია.

18. შეთანხმების 86-ე 1-ლი მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ექსკლუზიური უფლების მინიჭებით დომინანტური პოზიციის უბრალოდ შექმნა, როგორც ასეთი, არ არის წინააღმდეგობაში შეთანხმების 82-ე მუხლთან. წევრი სახელმწიფო არღვევს ამ ორ ნორმაში ასახულ აკრძალვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისთვის მინიჭებული ექსკლუზიური უფლების უბრალოდ გამოყენებისას განსახილველ საწარმოს არ შეუძლია, თავიდან აიცილოს თავისი დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება (იხილეთ სასამართლო მსჯელობა საქმეზე – C-41/90 *Hofner and Elze* (...), აღნიშნული ზემოთ, პარა. 29, და შედარებით ახალი საქმე – C-179/90, *Merci Convenzionali Porto di Genova* (...), პარა. 17).

19. წინამდებარე საქმეში გაცხადებული ბოროტად გამოყენებითი ქმედება გამოიხატება განაყოფიერების ცენტრების მიერ გადამეტებული საფასურის გადახდევინებით.

20. განსახილველი საკითხის არსია, არის თუ არა ამგვარი პრაქტიკა, რომელიც ადგენს დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებას, ნაციონალური კანონმდებლობის პირდაპირი პროდუქტი. ამ კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ კანონი, უბრალოდ, აძლევს უფლებას განაყოფიერების ცენტრებს, მოითხოვოს მესაქონლეებისგან, რომლებიც ცენტრებისგან ითხოვენ სხვა პროდუქციის სპერმით უზრუნველყოფას, გადაიხადონ დამატებითი საფასური, გამოწვეული აღნიშნული მოთხოვნით.

21. თუმცა განაყოფიერების ცენტრების ფუნქცია აღნიშნული საფასურის დაანგარიშებაა, ამგვარი ნორმა არ აძლევს ცენტრებს, არაპროპორციული საფასურის მოთხოვნის საშუალებას და, შესაბამისად, საკუთარი დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას.

22. შესაბამისად, შეკითხვის ამ ნაწილის პასუხია, რომ შეთანხმების 86-ე 1-ლი და 82-ე მუხლები დაბრკოლებას არ უქმნიან წევრ სახელმწიფოს, მიანიჭონ საქონლის განაყოფიერების ცენტრებს კონკრეტული ექსკლუზიური უფლებები განსაზღვრული არეალის ფარგლებში.

საქმე *RTT v. GB-INNO-BM SA*³⁸⁸.

საქმის ფაბულა: ბელგიის კანონმდებლობის თანახმად, *RTT*-ის მონოპოლია ეკავა საჯარო სატელეფონო სისტემის დაფუძნებასა და ფუნქციონირებას. კანონი ასევე ადგენდა, რომ მხოლოდ *RTT*-ის მიერ მიწოდებული ან მის მიერ აღიარებული ალჭურვილობა უნდა ყოფილიყო ჩართული მის ქსელში. *GB-INNO* თავის მაღაზიებში ყიდდა ტელეფონებს, რომლებიც *RTT*-ის მიერ არ იყო აღიარებული. *RTT*-მ კომერციულ სასამართლოს მი-

³⁸⁸ Case C-18/88, *RTT v. GB-INNO-BM SA* [1991] ECR I-5973.

მართა სარჩელით, რომლითაც მოითხოვდა, *GB-INNO*-ს არ გაეყიდა ტელეფონები მყიდველის ინფორმირების გარეშე, რომ აღნიშნული ტელეფონები *RTT*-ის მიერ აღიარებული არ იყო. კომერციულმა სასამართლომ, *inter alia*, შეკითხვით მიმართა ევროპულ სასამართლოს იმის თაობაზე, იზღუდებოდა თუ არა განსაზღვრული სტანდარტების დაკმაყოფილების შემონების უფლებამოსილების მინიჭებით, და შეთანხმების მე-3 1-ლი გ, 82-ე და 86-ე მუხლებით, წევრი სახელმწიფოს კომპანია ტელეფონის აღჭურვილობის სტანდარტის დამდგენთა და ეკონომიკური ოპერატორების მიერ, მაშინ როდესაც იგი კონკურენციას უწევდა ბაზარზე მყოფ სხვა ოპერატორებს ტერმინალების სფეროში.

ევროპული სასამართლო

15. ბელგიის კანონმდებლობის თანახმად, *RTT* ფლობს საჯარო სატელეკომუნიკაციო ქსელის დაფუძნებასა და ფუნქციონირებაზე მონოპოლიას. უფრო მეტიც, მხოლოდ *RTT*-ის მიერ მინოდებული ან მის მიერ აღიარებული აღჭურვილობა შეიძლება ჩართული ყოფილიყო მის ქსელში. შესაბამისად, *RTT*-ის აქვს: უფლებამოსილება ქსელში სატელეფონო აღჭურვილობის ჩართვის უფლების მინიჭებისა ან ამ უფლების ჩამორთმევის შესაძლებლობა, აღნიშნულ აღჭურვილობასთან მიმართებით იმ ტექნიკური სტანდარტების დადგენის უფლებამოსილება, რომლებსაც ეს აღჭურვილობა უნდა აკმაყოფილებდეს, და მასთან შეთანხმების გარეშე წარმოებული პროდუქციის შესაბამისობის შემონების უფლებამოსილება მის მიერ დადგენილ სპეციფიკაციებთან.

16. გაერთიანების განვითარების არსებულ ეტაპზე ეს მონოპოლია, რომელიც მოწოდებულია, საჯარო სატელეფონო ქსელი ხელმისაწვდომი გახადოს მომხმარებლისთვის, შეთანხმების 86-ე მე-2 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე ზოგადი ეკონომიკური ინტერესის მომსახურებას.

17. სასამართლომ უპირობოდ დაადგინა, რომ სამართლებრივი კუთხით მონოპოლიამინიჭებული საწარმო შეთანხმების 82-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება მიჩნეულ იქნეს დომინანტური პოზიციის მფლობელად და რომ წევრი სახელმწიფოს ტერიტორია, რომელზეც ეს მონოპოლია ვრცელდება, შეიძლება საერთო ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი იყოს (იხილეთ სასამართლო მსჯელობა საქმეზე – *C-41/90 Hofne (...)*, პარა. 28 და საქმეზე – *C-260/89 ERT (...)*, პარა. 31).

18. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ყოველგვარი ობიექტური საჭიროების გარეშე, შეთანხმების 82-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება მიმართულია იქითკენ, სადაც კონკრეტულ ბაზარზე დომინანტური პოზიციის მქონე საწარმო თავისთვის იტოვებს დამატებით საქმიანობას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს სხვა საწარმოს მიერ, როგორც მისი საქმიანობის შემადგენელი ნაწილი მომიჯნავე, მაგრამ განცალკევებულ ბაზარზე, ამგვარი საწარმოსგან ყოველგვარი კონკურენციის აღმოფხვრის შესაძლებლობით.

19. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ ბაზარზე ქსელის დაფუძნებისა და ფუნქციონირების მონოპოლიის მქონე საწარმო, ყოველგვარი ობიექტური საჭიროების მიუხედავად, თავისთვის იტოვებს მომიჯნავე, მაგრამ განცალკევებულ ბაზარს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბაზარს იმპორტირების, მარკეტინგის, დაკავშირების, შემონებისა და აღჭურვილობის მოვლისთვის აღნიშნულ ქსელში ჩართვის მიზნით, და, შესაბამისად, აუქმებს ყოველგვარ კონკურენციას სხვა საწარმოების მხრიდან, არის შეთანხმების 82-ე მუხლის დარღვევა.

20. მიუხედავად აღნიშნულისა, შეთანხმების 82-ე მუხლი შეეფარდება მხოლოდ საკუთარი ინიციატივით საწარმოების მიერ წარმოებულ ანტიკონკურენციულ ქცევას

(იხილეთ სასამართლო მსჯელობა საქმეზე – C-202/88 *France v. Commission 'Telecommunications terminals'*(...)) და არა სახელმწიფოს მიერ მიღებულ ზომებს. რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ მიღებულ ზომებს, მათ შეეფარდება შეთანხმების 86-ე 1-ლი მუხლი. აღნიშნული ნორმის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა მიღებული კანონებით, ნორმებით ან ადმინისტრაციული ზომებით არ უნდა ჩააყენონ საჯარო სანარმოები და ის სანარმოები, რომელთაც მათ მიანიჭეს სპეციალური ან ექსკლუზიური უფლებები, ისეთ პირობებში, რომელთა გამოც აღნიშნულ სანარმოებს არ შეეძლებათ იმოქმედონ საკუთარი შეხედულებით ისე, რომ არ დაარღვიონ შეთანხმების 82 მუხლი.

21. აღნიშნულიდან გამომდინარე, იქ, სადაც საჯარო სანარმოს ან იმ სანარმოს, რომელსაც სახელმწიფომ მიანიჭა სპეციალური ან ექსკლუზიური უფლებები, დომინანტური პოზიციის გაფართოება გამომდინარეობს სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომით. ამგვარი ზომა შეთანხმების 86-ე მუხლის დარღვევაა 82-ე მუხლთან ერთობლიობაში.

22. სატელეფონო აღჭურვილობის ბაზარზე კონკურენციის გამორიცხვა ან შეზღუდვა არ შეიძლება დასაბუთდეს ზოგადი ეკონომიკური ინტერესის საზოგადოების მომსახურების ფუნქციით შეთანხმების 86-ე მე-2 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე. ტერმინალების გამოშვება და გაყიდვა, კერძოდ კი ტელეფონების გაყიდვა, ნებისმიერ სანარმოს უნდა შეეძლოს. იმაში დასარწმუნებლად, რომ აღჭურვილობა პასუხობს მომხმარებელთა უსაფრთხოების ჩვეულებრივ მოთხოვნებს, მათ უსაფრთხოებას, ვინც ოპერირებს ქსელში და საჯარო ტელეკომუნიკაციების ქსელის დაცვას ნებისმიერი სახის დაზიანებისგან, საკმარისია, დაადგინო სპეციფიკაციები, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს აღნიშნულმა აღჭურვილობამ და დაადგინოს პროცედურა ტიპის დამტკიცების მიზნით, რომ შესაძლებელი იყოს, რამდენად შეესაბამებინ ამ სპეციფიკაციებს.

23. *RTT*-ის მიხედვით, შეთანხმების 86-ე 1-ლი მუხლის დარღვევა მხოლოდ მაშინ აღინიშნება, თუ წევრმა სახელმწიფომ გაამართლა დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება, რომელიც *RTT*-მ ფაქტობრივად თვითონ განახორციელა, მაგალითად, დისკრიმინაციული კუთხით ტიპის დამტკიცებისთვის ნორმების შეფარდება. თუმცა იგი იზიარებს იმ ფაქტს, რომ ბრძანება მითითებაზე არ ნიშნავს რაიმე სახის მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას ფაქტობრივად, და რომ იმ ნორმების დისკრიმინაციული შეფარდების უბრალო შესაძლებლობა, რადგან *RTT* განსაზღვრულია, როგორც ნებართვის გამცემი ორგანო და კონკურენციაში იმ სანარმოებთან, რომლებიც განაცხადს აკეთებენ ნებართვის მისაღებად, თავისთავად არ შეიძლება ნიშნავდეს ბოროტად გამოყენებით ქმედებას, შეთანხმების 82-ე მუხლის მიხედვით.

24. აღნიშნული არგუმენტი ვერ იქნება მიღებული. ამასთან მიმართებით აშკარად უნდა აღინიშნოს, რომ სატელეფონო აღჭურვილობის ბაზარზე სატელეფონო ქსელის დაარსებისა და ოპერირების მონოპოლიის გაფართოება, ყოველგვარი ობიექტური დასაბუთების გარეშე, როგორც ასეთი, აკრძალულია შეთანხმების 82-ე მუხლით ან 86-ე 1-ლი მუხლით 82-ე მუხლთან ერთობლიობაში. ეს გაფართოება შედეგია სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომისა. ისევე, როგორც კონკურენცია არ შეიძლება აღმოიფხვრას ამგვარი სახით, ასევე დაუშვებელია მისი ფორმის შეცვლა.

25. დამახინჯებული კონკურენციის სისტემა, როგორც განსაზღვრულია შეთანხმებაში, გარანტირებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებლობების თანახმად დაცულია სხვადასხვა ეკონომიკურ ოპერატორს შორის. სანარმოს, რომელიც ტერმინალის აღჭურვილობით ვაჭრობს, თუ ანდეს ამგვარი აღჭურვილობის სპეციფიკაციების შემუშავება, მათი განაცხადების განხილვა და ნებართვის გაცემა, ტოლფასია იმ უფლების მინიჭებისა, რომ მან სურვილის მიხედვით განსაზღვროს, რომელი

ტერმინალის აღჭურვილობა შეიძლება ჩაერთოს საჯარო ქსელში და, შესაბამისად, ამ საწარმოს თავის კონკურენტებთან მიმართებით ამკარად უკეთეს მდგომარეობაში აყენებს (იხილეთ სასამართლო მსჯელობა საქმეზე – C-202/88, პარა. 51).

26. აღნიშნულ გარემოებებში ეფექტიანი კონკურენციის შენარჩუნება და გამჭვირვალობის გარანტირება მოითხოვს, რომ სპეციფიკაციების შემუშავება, მათი განაცხადების განხილვა და ნებართვის გაცემა ხორციელდებოდეს საჯარო ან კერძო საწარმოებისგან დამოუკიდებელი ორგანოს მიერ, რომელიც შესთავაზებს საქონლის ან მომსახურების კონკურენციას სატელეკომუნიკაციო სექტორში (იხილეთ სასამართლო მსჯელობა საქმეზე – C-202/88, პარა. 52).

27. უფრო მეტიც, განსახილველ საკითხთან მიმართებით მოქმედი ნაციონალური წესების განმსაზღვრელმა ნორმებმა ძირითად საქმიანობაში შეიძლება ზეგავლენა იქონიოს სხვა წევრი სახელმწიფოებიდან სატელეფონო აღჭურვილობის იმპორტზე და, შესაბამისად, შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე, შეთანხმების 82-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე.

28. გამომდინარე ზემოთქმულიდან, ნაციონალური სასამართლოს პასუხად, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ შეთანხმების მე-3 1-ლი გ, 86-ე და 82-ე მუხლები ზღუდავენ წევრ სახელმწიფოს. საჯარო ტელეკომუნიკაციის ქსელის ოპერირების განმხორციელებელი საწარმოს უფლებაა, დაადგინოს სატელეფონო აღჭურვილობის სტანდარტები და შეამოწმოს, რამდენად პასუხობს ეკონომიკური ოპერატორები მითითებულ სტანდარტებს იმ პირობებში, როდესაც იგი აღნიშნული აღჭურვილობის ბაზარზე თვითონვე იმყოფება კონკურენციაში ამ ოპერატორებთან.

საქმეები *Deutsche Post AG v. Gesellschaft für Zahlungssysteme mbH (GZS) and Citicorp Kartenservice GmbH*³⁸⁹:

საქმის ფაბულა: 1989 წლის უნივერსალური საფოსტო კონვენციის თანახმად, ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებული არიან, გადაუგზავნონ და მიიღონ საერთაშორისო საფოსტო მისამართები მათი ქვეყნის რეზიდენტი პირებისაგან, რომლებიც მათ მიენოდათ სხვა ხელშემკვრელი მხარეების საფოსტო მომსახურების განმსაზღვრელი უწყებების მიერ. კონვენცია განსაზღვრავს წერილის მიღებისთვის დადგენილ საზღაურს მიმღები სახელმწიფოსთვის (საბოლოო დანიშნულების პუნქტის გადასახადები). კონვენცია ასევე ადგენს, *inter alia*, რომ სადაც გამგზავნის, რომელიც A ქვეყნის რეზიდენტია, მიზეზით წერილი, გაგზავნილი ადრესატისთვის A ქვეყანაში, დიდი რაოდენობით გაიგზავნება B ქვეყანაში, A ქვეყანას უფლება აქვს, დააკისროს თავისი საერთო შიდა ღირებულება გზავნილებისთვის ან დაუბრუნოს იგი თავის პირველ წყაროს (25-ე მუხლი). გერმანიაში მოქმედი სხვადასხვა პლასტიკური ბარათის კომპანიები გერმანიის გარეთ მდებარე ცენტრებს ელექტრონულად ურიცხავდნენ მონაცემებს თავიანთი მომხმარებლების ქვითრებისათვის, რომ მათ დაემზადებინათ გერმანელი მომხმარებლების ქვითრები და ფოსტით გამოეგზავნათ უკან, გერმანიაში. ერთი ასეთი შემთხვევა დასრულდა ქვითრების გაგზავნით დანიაში, სადაც საერთაშორისო გზავნილების საფასური უფრო დაბალია, ვიდრე გერმანიაში. *Deutsche Post*-ს დაეკისრა მხოლოდ საბოლოო დანიშნულების პუნქტის გადასახადის გადახდა. მან მოითხოვა მთლიანი შიდა ღირებულების გადახდა. საკრედიტო კომპანიებმა უარი განაცხადეს გადახდაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოებულ სასამართლო განხილვასთან დაკავშირებით, გერმანიის სასამართლოებმა შეკითხვით მიმართეს ევროპულ სასამართლოს იმის თაობაზე, თუ რამდენად ეწინააღმდეგებოდა *Deutsche*

³⁸⁹ Case C-147-148/97. *Deutsche Post AG v. Gesellschaft für Zahlungssysteme mbH (GZS) and Citicorp Kartenservice GmbH* [2000] ECR I-825, [2000] 4 CMLR 838.

Post-ის მიერ თავისი უფლებების განხორციელება უნივერსალური საფოსტო კონვენციის 25-ე მუხლს, შესაბამისად დაეკისრებინა შიდა საფოსტო ღირებულება მათთვის შეთანხმების 86-ე და 82-ე მუხლებს (და 49-ე მუხლს, რომელიც ასევე შეესაბამებოდა ამ სიტუაციას, გამომდინარე იქიდან, რომ ეს სიტუაცია მოიცავდა მომსახურების განვითარების უფლებასაც).

ევროპული სასამართლო

36. (...) პირველი სამი შეკითხვა ისე უნდა იქნეს გაგებული, რომ ნაციონალური სასამართლო არსებითად კითხულობს, ხომ არ ეწინააღმდეგება შეთანხმების 86-ე მუხლს, განხილულს 82-ე და 49-ე მუხლებთან ერთობლიობაში, უნივერსალური საფოსტო კონვენციის 25-ე მე-3 მუხლის მიერ მინიჭებული უფლების გამოყენება *Deutsche Post*-ის მიერ, დაანესოს გადასახადი, იმ შემთხვევებში, რომლებიც მითითებულია 25-ე 1-ლ მუხლსა და 25-ე მე-2 მუხლის მეორე წინადადებაში, შიდა ფოსტაზე დიდი ოდენობით საგნებზე გაგზავნილი სხვა წევრი სახელმწიფოს საფოსტო მომსახურების სააგენტოსთვის, განსხვავებით იმ წევრი სახელმწიფოსგან, რომელსაც ეს სააგენტო ეკუთვნის.

37. ამ კითხვის პერიფრაზს რომ ვუპასუხოთ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი ორგანო, როგორცაა *Deutsche Post*, რომელსაც წერილების შეგროვების, გადაზიდვისა და ადგილზე მიტანის ექსკლუზიური უფლება მიენიჭა, მიჩნეულ უნდა იქნეს საწარმოდ, რომელსაც განსახილველმა წევრმა სახელმწიფომ მიანიჭა ექსკლუზიური უფლებები, შეთანხმების 86-ე 1-ლი მუხლის შინაარსიდან გამომდინარე (იხილეთ სასამართლო მსჯელობა საქმეზე – C-320/91 *Corbeau* (...), პარა. 8).

38. აგრეთვე, სასამართლო პრაქტიკამ განსაზღვრა, რომ საერთო ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე კანონმდებლობით განსაზღვრული მონოპოლიის მექონე საწარმო შეიძლება მიჩნეულ იქნეს დომინანტური პოზიციის მფლობელად შეთანხმების 82-ე მუხლის საფუძველზე (იხილეთ სასამართლო მსჯელობა საქმეებზე: C-179/990 *Merci Convenzionali Porto di Genova v. Siderurgica Gabrielli* (...), პარა. 14; C-18/88 *RTT v. GB-Inno-BM* (...), პარა. 17; და *Corbeau* (...), აღნიშნული ზემოთ, პარა. 8).

39. სასამართლოს ჰქონდა საფუძველი, განეცხადებინა აღნიშნულთან მიმართებით, რომ, თუმცა უბრალო ფაქტია, წევრმა სახელმწიფომ შექმნა დომინანტური პოზიცია ექსკლუზიური უფლებების მინიჭებით, რაც არ მოდის წინააღმდეგობაში 82-ე მუხლთან, შეთანხმება მოითხოვს წევრი სახელმწიფოებისგან არ მიიღონ, არც გატარონ რაიმე სახის ზომები, რომელთაც შეუძლიათ დაუკარგონ ეფექტიანობა ამ ნორმებს (იხილეთ სასამართლო მსჯელობა საქმეებზე C-260/89 *ERT* [1991] ECR I-2925, პარა. 35; და *Corbeau* (...), აღნიშნული ზემოთ, პარა. 11).

40. შესაბამისად, შეთანხმების 86-ე 1-ლი მუხლი ადგენს, რომ წევრი სახელმწიფოს მიერ სპეციალური ან ექსკლუზიური უფლებებმინიჭებული საწარმოს შემთხვევაში, კონკურენციასთან დაკავშირებული შეთანხმების ნორმებს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რაიმე სახის ზომები, განხორციელებული ან გატარებული მათ მიერ (იხილეთ სასამართლო მსჯელობა საქმეზე – *Corbeau* (...), პარა. 12).

41. აღნიშნული ნორმები განხილულ უნდა იქნეს 86-ე მე-2 მუხლთან ერთობლიობაში, რომელიც უზრუნველყოფს, რომ საწარმოები, რომელთაც მინიჭებული აქვთ ზოგადი ეკონომიკური ინტერესის მომსახურების განვითარების უფლება, შეთანხმების ნორმებში ექცევიან იმდენად, რამდენადაც ამ ნორმების შეფარდება არ უშლის ხელს არც სასამართლო მსჯელობა საქმეებზე და არც ფაქტობრივად მათზე დაკისრებული კონკრეტული ამოცანების

შესრულებას.

42. დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ კონვენცია ფუნქციონირებს წერილის ფოსტის ბაზრის საფუძველზე, სადაც უნივერსალური საფოსტო კავშირის მონაწილე სხვადასხვა სახელმწიფოს საფოსტო მომსახურება არ არის ერთმანეთთან კონკურენციაში.

43. აღნიშნული კონტექსტის გათვალისწინებით, კონვენცია მოწოდებულია, დაადგინოს ნორმები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტისთვის გაგზავნილი საერთაშორისო გზავნილი და გადაცემული სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს საფოსტო მომსახურების სააგენტოს მიერ, გადაგზავნილი და ადგილზე მიტანილია. უნივერსალური საფოსტო კონვენციის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია ასახული 1-ლ მუხლში, ხელშემკვრელი სახელმწიფოს საფოსტო ადმინისტრაციის ვალდებულება, რომელსაც ეგზავნება საერთაშორისო გზავნილი თავის ტერიტორიაზე მყოფი რეზიდენტისთვის გადაგზავნისა და ადგილზე მიტანის მიზნით, რომლისთვისაც უნდა გამოიყენოს ყველაზე სწრაფი საფოსტო მომსახურების საშუალებები. აღნიშნულთან მიმართებით, სახელმწიფომ, რომელმაც აღიარა უნივერსალური საფოსტო კავშირის კონვენცია, არის ერთეული საფოსტო ტერიტორია, რომელშიც საერთაშორისო გზავნილის ტრანზიტის თავისუფლება ფაქტობრივად გარანტირებულია.

44. წევრი სახელმწიფოების საფოსტო მომსახურების სააგენტოებისთვის კონვენციისეული ვალდებულებების შესრულება ზოგადი ეკონომიკური ინტერესის მომსახურების შეთანხმების 86-ე მე-2 მუხლიდან გამომდინარეობს.

45. წინამდებარე საქმეში გერმანიის კანონმდებლობა ამგვარი მომსახურების განვითარებას ანიჭებს *Deutsche Post*-ს.

46. როგორც აღნიშნული იყო წინამდებარე საქმის სასამართლო მსჯელობის მე-5 პარაგრაფში, თავდაპირველად საფოსტო მომსახურების სააგენტოები იღებდნენ საერთაშორისო გზავნილებს შესაბამისი ანაზღაურების მიღების გარეშე. თუმცა, როდესაც ცნობილი გახდა, რომ ორ წევრ სახელმწიფოს შორის საფოსტო მიმოსვლის ნაკადი არ აბალანსებდა ერთმანეთს, ისე, რომ სხვადასხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოების საფოსტო მომსახურების სააგენტოები იძულებული იყვნენ, მიეღოთ საერთაშორისო გზავნილების დიდი ოდენობა, რაც დიდ განსხვავებას ასახავდა, სპეციალური ნორმები დადგინდა აღნიშნულთან დაკავშირებით, რომელთაგან ერთ-ერთი უნივერსალური საფოსტო კონვენციის 25-ე მუხლი იყო.

47. უნივერსალური საფოსტო კონვენციის 25-ე მე-3 მუხლის თანახმად, ხელშემკვრელი სახელმწიფოს საფოსტო მომსახურების სააგენტოებმა შეიძლება დაბეგრონ საფოსტო გზავნილები შიდა საფასურის მიხედვით, კერძოდ იმ შემთხვევებში, რომლებიც ეხება 25-ე 1-ლ და 25-ე მე-2 მუხლებს.

48. *Deutsche Post*-ისთვის საერთაშორისო გზავნილებზე, შიდას მსგავსად, მომსახურების განვითარების უფლების მინიჭება ქმნის სიტუაციას, რომელშიც მან შეიძლება საფოსტო მომსახურების მომხმარებელთა საზიანოდ ბოროტად გამოიყენოს თავისი დომინანტური პოზიცია, გამომდინარე მისთვის მინიჭებული ექსკლუზიური უფლებიდან, გადაგზავნოს და ადგილზე მიიტანოს ეს გზავნილები სათანადო ადრესატებისთვის.

49. შესაბამისად, აუცილებელია, შემოწმდეს ის მოცულობა, რომელზეც ამგვარი უფლების გამოყენება საჭიროა, რათა ამგვარი სახის სააგენტოს მიეცეს საშუალება, განახორციელოს ზოგად ინტერესთან დაკავშირებული დაკისრებული ამოცანები, გამომდინარე უნივერსალური საფოსტო კონვენციის ვალდებულებებისგან, კერძოდ კი, იმოქმედოს ეკონომიკურად მისაღებ პირობებში.

50. თუ ისეთი ორგანო, როგორც *Deutsche Post*-ია, ვალდებული იქნება, გადააგზავნოს და ადგილზე მიიტანოს გერმანიის რეზიდენტი ადრესატთან გერმანიის რეზიდენტი გამგზავნისგან სხვა წევრი სახელმწიფოს საფოსტო მომსახურების გამოყენებით გაგზავნილი დიდი ოდენობის გზავნილები, ამ ვალდებულების შესრულებიდან გამომდინარე, ყველა ხარჯის ანაზღაურების გარეშე, ეკონომიკურად დაბალანსებულ პირობებში ზოგადი ინტერესის ამგვარი ფუნქციის განხორციელება სარისკო იქნება.

51. წევრი სახელმწიფოს საფოსტო მომსახურების სააგენტოებს ერთდროულად არ შეუძლიათ გასწიონ ზოგადი ეკონომიკური მომსახურების განხორციელებით გამოწვეული ხარჯები, დაკავშირებული საერთაშორისო გზავნილების გადაგზავნასა და ადგილზე მიტანასთან, რაც მათი პასუხისმგებლობაა უნივერსალური საფოსტო კონვენციის თანახმად, და შემოსავლის დაკარგვასთან გამოწვეული იმ ფაქტით, რომ გზავნილების დიდი ოდენობები აღარ იგზავნება წევრი სახელმწიფოს საფოსტო მომსახურების სააგენტოების მეშვეობით, რომელშიც ადრესატები რეზიდენტები არიან, მაგრამ გაგზავნა სხვა წევრი სახელმწიფოს საფოსტო მომსახურების სააგენტოების მეშვეობით ხდება.

52. ამგვარ სიტუაციაში გაზიარებული უნდა იქნეს მტკიცებულება, რომლითაც, მოქმედების მიზეზებიდან გამომდინარე, უნივერსალური საფოსტო კონვენციის მიერ *Deutsche Post*-ისთვის მინდობილი ზოგადი ინტერესის ფუნქციაა, ეკონომიკურად დაბალანსებულ პირობებში განხილულ იქნეს საზღვრისპირა ფოსტა, როგორც შიდა ფოსტა, და, შესაბამისად, მოხდეს შიდა საფოსტო გზავნილების დაბეგვრა.
(...)

54. შესაბამისად, შეთანხმების 86-ე მე-2 მუხლი ადასტურებს, რომ განსახილველი წევრი სახელმწიფოების საფოსტო მომსახურების სააგენტოებს შორის შეთანხმების არარსებობის პირობებში დაადგინოს: საბოლოო დანიშნულების პუნქტის გადასახადები შემომავალი საზღვრისპირა ფოსტის გაგზავნისა და ადგილზე მიტანის არსებულ ღირებულებასთან დაკავშირებით, წევრი სახელმწიფოს მიერ თავისი საფოსტო მომსახურების სააგენტოებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების მინიჭება შიდა საფოსტო გზავნილების დაბეგვრის თაობაზე, რომელშიც ამ სახელმწიფოს რეზიდენტი გამგზავნები აგზავნიან, ან ქმნიან პირობებს დიდი ოდენობით გზავნილის გასაგზავნად სხვა წევრი სახელმწიფოს საფოსტო მომსახურების სააგენტოების მეშვეობით მათი პირველ წევრ სახელმწიფოში საბოლოოდ გაგზავნის მიზნით.
(...)

56. მეორე მხრივ, გამომდინარე იქიდან, რომ სხვა წევრი სახელმწიფოების საფოსტო მომსახურების სააგენტოების მიერ გადახდილი საბოლოო პუნქტის დანიშნულების გადასახადებით კომპენსირდება გადაგზავნისა და ადგილზე მიტანის ხარჯების ნაწილი, აუცილებელი არ არის ისეთი ორგანოსთვის, როგორც *Deutsche Post*-ია, კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება, კერძოდ კი, საფოსტო მომსახურება დაიბეგროს სრული შიდა საფასურით ამ მომსახურების სააგენტოების მიერ დიდი ოდენობის გზავნილების გაგზავნისთვის.

57. უნდა გვახსოვდეს, რომ ისეთ ორგანოს, როგორც *Deutsche Post*-ია, რომელსაც კანონმდებლობით განსაზღვრული მონოპოლია აქვს საერთო ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე, მიჩნეულ უნდა იქნეს დომინანტი პოზიციის მქონედ, შეთანხმების 82-ე მუხლის საფუძველზე.

58. შესაბამისად, ამგვარი ორგანოს მიერ შიდა საფოსტო მომსახურებაზე სრული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, სადაც დიდი ოდენობის გზავნილების გადაგზავნასა და ადგილზე მიტანასთან დაკავშირებული ხარჯები, განხორციელებული არა იმ წევრი

სახელმწიფოს საფოსტო მომსახურების სააგენტოების მიერ, არამედ სახელმწიფოსი, რომელშიც ორივე, გამგზავნიც და მიმღებიც, მისი რეზიდენტია, არ კომპენსირდება აღნიშნული მომსახურების სააგენტოების მიერ გადახდილი საბოლოო დანიშნულების პუნქტის გადასახადებით, შეიძლება მიჩნეულ იქნეს დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებად, შეთანხმების 82-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე.

59. ამგვარი უფლების გამოყენებისგან რომ მოხდეს ისეთი ორგანოს პრევენცია, როგორცაა *Deutsche Post*, რაც მინიჭებული აქვს უნივერსალური საფოსტო კონვენციის 25-ე მე-3 მუხლით, დაუბრუნოს გზავნილი პირველწყაროს, გამგზავნს სხვა არჩევანი არ რჩება, თუ არა, გადაიხადოს შიდა საფოსტო მომსახურების სრული ოდენობა.

60. როგორც სასამართლომ განაცხადა, შეთანხმების 82-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, დომინანტი პოზიციის მქონე სანარმოს მაგიერ გაყიდვაზე უარის თქმასთან დაკავშირებით, ამგვარი მოქმედება შეუთავსებელი იქნება შეთანხმების მე-3 1-ლი მუხლით დადგენილ მიზნებთან. ... როგორც აღწერილია 82-ე მუხლით, კერძოდ კი მისი მეორე პუნქტის b და c ქვეპუნქტებით (იხილეთ სასამართლო მსჯელობა საქმეზე – 27/76 *United Brands v. Commission* [1978] ECR 207, პარა. 183).

საქმე *Ambulanz Glockner v. Landkreis Sudwestpfalz*³⁹⁰:

საქმის ფაბულა: საზოგადოებრივი სასწრაფო დახმარების მომსახურების უზრუნველყოფა გერმანიაში ხორციელდება კანონმდებლობით, რომელიც ამ სასამართლო საქმეში მოიხსენიება როგორც “*RettdG 1991*“. აღნიშნული კანონმდებლობა ერთმანეთისგან განასხვავებს „სასწრაფო დახმარების ტრანსპორტსა“ და „პაციენტის ტრანსპორტს“ (არასასწრაფო დახმარების). რაინლანდ-პფალცის მხარეში სასწრაფო დახმარების ტრანსპორტზე უფლებამოსილება მიენიჭა ორ სამედიცინო დახმარების ორგანიზაციას, რომლებიც იმავდროულად არასასწრაფო დახმარების მომსახურებასაც ეწეოდნენ. თუმცა მაშინ, როდესაც *Ambulanz Glockner*-მა უფლებამოსილების განახლებისთვის მიმართა შესაბამის სახელმწიფო უწყებას, ორმა სამედიცინო დახმარების ორგანიზაციამ ეს გააპროტესტა – ასაბუთებდნენ, რომ არასასწრაფო დახმარების ბაზარზე არსებულ კონკურენციას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მათ შესაძლებლობაზე, უზრუნველყონ სასწრაფო დახმარების განევა. აღნიშნულის საფუძველზე კომპეტენტურმა სახელმწიფო უწყებამ უარი უთხრა *Ambulanz Glockner*-ს უფლებამოსილების განახლებაზე.

ევროპული სასამართლო

39. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ სპეციალური ან ექსკლუზიური უფლებების მინიჭებით უბრალო დომინანტური პოზიციის შექმნა შეთანხმების 86-ე 1-ლი მუხლიდან გამომდინარე, თავისთავად არ ეწინააღმდეგება შეთანხმების 82-ე მუხლს. წევრი სახელმწიფო დაარღვევს აღნიშნულ ორ ნორმას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განსახილველი საწარმო მისთვის მინიჭებული სპეციალური ან ექსკლუზიური უფლებების განხორციელებით მიმართულია, ბოროტად გამოიყენოს დომინანტური პოზიცია ან, სადაც ამგვარი უფლებები ქმნიან ისეთ სიტუაციას, რომელიც ამ სანარმოს უბიძგებს, ჩაიდინოს ბოროტად გამოყენებითი ქმედება (იხილეთ სასამართლო მსჯელობა საქმეზე – *Pavlov*, აღნიშნული ზემოთ, 127-ე პარაგრაფი).

40. სასამართლო პრაქტიკა ადგენს, რომ, შეთანხმების 82-ე მუხლიდან გამომდინარე, ბოროტად გამოყენებითა ქმედება იქ, სადაც ყოველგვარი ობიექტური საჭიროების გარეშე სანარმო, რომელსაც დომინანტი პოზიცია უკავია კონკრეტულ ბაზარზე, თავისთვის იტოვებს დამატებით საქმიანობას, რომელიც შეიძლებოდა განხორციელებული ყოფილ-

³⁹⁰ Case C-475/99, *Ambulanz Glockner v. Landkreis Sudwestpfalz* [2001] ECR I-8089, [2002] 4 CMLR 726.

იყო სხვა საწარმოს მიერ მომიჯნავე, მაგრამ განცალკევებული, ბაზრიდან, ამ საწარმო-სთან ყოველგვარი კონკურენციის აღმოფხვრის შესაძლებლობით (იხილეთ სასამართლო მსჯელობა საქმეზე – C-18/88 *GB-INNO-BM* [1991] ECR I-5941, პარა. 18). იქ, სადაც საწარმოს, რომელსაც სახელმწიფომ მიანიჭა სპეციალური ან ექსკლუზიური უფლებები, დომინანტური პოზიციის გაფართოება განპირობებულია სახელმწიფოს მიერ გატარებული ზომით, ამგვარი ზომა შეთანხმების 90-ე მუხლის დარღვევაა 86-ე მუხლთან ერთობლიობაში (იხილეთ სასამართლო მსჯელობა საქმეზე – C-18/88 *GB-INNO-BM*, პარა. 21 და საქმეზე C-203/96 *Dusseldorf and Others* [1998] ECR I-4075, პარა. 61).

41. წინამდებარე საქმეში *Ambulanz Glockner*-ის მიერ წამოყენებული არგუმენტი აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ იგი გამოაძევეს პაციენტთა ტრანსპორტის ბაზრიდან, როგორც შედეგი „*ReTTDG 1991*“-ის მე-18 მე-3 პარაგრაფის შეფარდებისა, რომელიც თავისი შინაარსით საშუალებას აძლევს საჯარო უწყებებთან კავშირში მოქმედ სამედიცინო დახმარების ორგანიზაციებს, შეუზღუდონ ბაზარზე შესვლა.

42. კომისია ასევე ასაჩივრებს, რომ სასწრაფო დახმარების ბაზარზე მქონე დომინანტური პოზიციის გაფართოება დაკავშირებულ, მაგრამ განცალკევებულ, პაციენტთა ტრანსპორტის ბაზარზე, არის ფედერალური და არა რაინლანდ-ჰვალციის მხარის კანონმდებლობის ცვლილების შედეგი, რომელიც არეგულირებს ამ უკანასკნელი ტიპის ტრანსპორტთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ კი, „*ReTTDG 1991*“-ის მე-18 მე-3 პარაგრაფის მიღება. მისი მტკიცებით, კონკურენციის ამგვარი შეზღუდვა ადგენს შეთანხმების 86-ე მუხლის დარღვევას 82-ე მუხლთან ერთობლიობაში.

43. ვინაიდან ზემოთ აღნიშნული არგუმენტები იქნა განხილული, უნდა დავადგინოთ, რომ „*ReTTDG 1991*“-ის მე-18 მე-3 პარაგრაფის აღსრულებით, რომლის შინაარსიც გულისხმობს სამედიცინო დახმარების განმასხვრციელებელი ორგანიზაციების წინასწარ კონსულტაციებს ნებისმიერ განაცხადთან მიმართებით, დაკავშირებულს დამოუკიდებელი ოპერატორის განაცხადთან არასასწრაფო დახმარების პაციენტთა ტრანსპორტირების მომსახურებისათვის ნებართვის მიღებაზე, რაინლანდ-ჰვალციის მხარის კანონმდებელმა იმ ორგანიზაციებს, რომელთაც უკვე ჰქონდათ ექსკლუზიური უფლება სასწრაფო დახმარების ბაზარზე, მიანიჭა პრივილეგიები ამგვარი ექსკლუზიური უფლებით პაციენტთა ტრანსპორტის ბაზარზე სარგებლობასთან დაკავშირებით. „*ReTTDG 1991*“-ის მე-18 მე-3 პარაგრაფის მოქმედებას აქვს ბაზრების შეზღუდვის ეფექტი... მომხმარებელთა საზიანოდ, შეთანხმების 82-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, რამეთუ დამატებითი სატრანსპორტო საქმიანობის უფლება მიანიჭა აღნიშნულ სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციებს, მაშინ, როდესაც ეს ფუნქცია შეეძლო ეტვირთა დამოუკიდებელ ოპერატორს.

საქმე *Commission v. Netherlands (Re Electricity Imports)*³⁹¹:

ევროპული სასამართლო

52. (...) შეთანხმების 86-ე მე-2 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე პირობების შესრულების გამო, აუცილებელი არ არის, რომ ზოგადი ეკონომიკური ინტერესის მომსახურების განხორციელებისათვის ნდობამინიჭებული საწარმოს ფინანსური ბალანსი ან ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა დარტყმის ქვეშ აღმოჩნდეს. ამკარაა, რომ საკითხში დასმული უფლებების არარსებობის შემთხვევაში, საწარმოსთვის შეუძლებელი იქნება მასზე დაკისრებული კონკრეტული ფუნქციების განხორციელება, რომლებიც განსაზღვრულია იმ ვალდებულებებისა და იძულების მითითებით, რომლის სუბიექტიც ის არის.

³⁹¹ Case 157/94, *Commission v. Netherlands (Re Electricity Imports)* [1997] ECR I-5699.

53. უფრო მეტიც, *Corbeau*-ს საქმეზე სასამართლო მსჯელობიდან გამომდინარეობს (...), რომ შეთანხმების 86-ე მე-2 მუხლის შეფარდების პირობები შესრულებულია იმ შემთხვევაში, თუ იმ უფლებების შენარჩუნება აუცილებელია მათი მფლობელისთვის ზოგადი ეკონომიკური ინტერესის ფუნქციების განსახორციელებლად, რომლებიც მინიჭებული აქვს მას ეკონომიკურად მისაღები პირობებით.

58. თუმცა სიმართლეა ის ფაქტი, რომ წვერი სახელმწიფოს, რომელიც ეფუძნება შეთანხმების 86-ე მე-2 მუხლს, ვალდებულია, მოახდინოს ნორმის მიერ დადგენილი პირობების შესრულების დემონსტრირება. მიუხედავად აღნიშნულისა, მტკიცებულების ტვირთი არ შეიძლება იყოს ისეთი ფართო, რომ მოსთხოვოს წვერი სახელმწიფოს, რომელიც დეტალურად ადგენს მიზეზებს, რომლისთვისაც, შეთანხმებული ზომების აღმოფხვრის შემთხვევაში, საწარმოსთვის მის მიერ მინიჭებული ზოგადი ეკონომიკური ინტერესის ფუნქციის ეკონომიკურად მისაღები პირობებით განხორციელება, თავისი შეხედულებით, რისკის მატარებელი იქნება, უფრო შორს წავიდეს და დაამტკიცოს, რომ არცერთი პოტენციური ზომა, რომელიც განმარტებით იქნება ჰიპოთეზური, ვერ მისცემს უფლებას, იმავე პირობებით მოხდეს მათი ფუნქციების განხორციელება.

საქმე *Gemeente Almelo and Others v. Energiebedrijf Ijsselmij NV*³⁹²:

ევროპული სასამართლო

46. შეთანხმების 86-ე მე-2 მუხლი ადგენს, რომ ზოგადი ეკონომიკური ინტერესის მომსახურების განხორციელების უფლებით აღჭურვილი საწარმო შესაძლოა გამოირიცხოს შეთანხმებაში ასახული კონკურენციის ნორმების შეფარდებისგან იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა კონკურენციაზე შეზღუდვების დასაკისრებლად, ან, თუნდაც, მთელი კონკურენციის აღმოსაფხვრელად, სხვა ეკონომიკური ოპერატორებისგან, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათთვის მინიჭებული კონკრეტული ფუნქციების განხორციელება (იხილეთ სასამართლო მსჯელობა საქმეზე – C-320/91 *Corbeau* (...), პარა. 14).

47. რაც შეეხება შეკითხვას – *IJM*-ის მსგავს საწარმოს მიენიჭა თუ არა ზოგადი ინტერესის მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მას საჯარო სამართლის მიერ რეგულირებული არაექსკლუზიური კონცესიის საფუძველზე მიეცა ფუნქცია, უზრუნველყო ნაციონალური ტერიტორიის ნაწილში ელექტროენერჯის მიწოდება.

48. ამგვარმა საწარმომ უნდა უზრუნველყოს, რომ იმ ტერიტორიის ფარგლებში, რომელზეც მას მიენიჭა კონცესია, ყველა მომხმარებელს, იქნება ეს დისტრიბუტორი თუ საბოლოო მიმღები, უწყვეტად მიანვდის ელექტროენერჯიას ნებისმიერ დროს მოთხოვნილი ნებისმიერი საჭიროების დასაკმაყოფილებლად, დადგენილი ტარიფებითა და იმ პირობებით, რომლებიც შეიძლება არ განსხვავდებოდეს ეკონომიურობით იმ ობიექტურ კრიტერიუმებთან მიმართებით, რომელიც ყველა მომხმარებელს შეესაბამება.

49. სხვა ეკონომიკურ ოპერატორებთან კონკურენციის შეზღუდვა დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ გამოჩნდება ამის საჭიროება, რათა საშუალება მისცეს ამგვარი ზოგადი ინტერესის ფუნქციით აღჭურვილ საწარმოს, განახორციელოს იგი. ამასთან მიმართებით მნიშვნელოვანია, მხედველობაში იქნეს მიღებული ის ეკონომიკური პირობები, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს, კერძოდ კი ხარჯები, რომელიც მან უნდა გასწიოს და კანონმდებლობა, კერძოდ, რომელიც გარემოს დაცვას ეხება.

³⁹² Case C-393/92, *Gemeente Almelo and Others v. Energiebedrijf Ijsselmij NV* [1994] ECR I-1477.

50. ნაციონალური სასამართლოს გადასაწყვეტია, აუცილებელია თუ არა ექსკლუზიური შეძენის უფლების განმსაზღვრელი ნორმა, რომელიც ადგილობრივ დისტრიბუტორებს უკრძალავს ელექტროენერჯის იმპორტირებას, იმისთვის, რომ მიეცეს უფლება რეგიონალურ დისტრიბუტორს, განახორციელოს თავისი ზოგადი ინტერესის ფუნქცია.

საქმე *Air Inter v. Commission*³⁹³:

პირველი ინსტანციის სასამართლო

138. აღნიშნული მუხლების გამოყენება უნდა გამოირიცხოს იმდენად, რამდენადაც მათ „ხელი შეუშალეს“ განმცხადებლისთვის მინიჭებული ფუნქციების განხორციელებას. გამომდინარე იქიდან, რომ პირობა უნდა განიმარტოს მკაცრად, ამგვარი მოქმედება არ იყო დასაბუთებული როგორც, უბრალოდ, დამაბრკოლებელი ან დამატებითი სირთულეების შემქმნელი. დამატებით, განმცხადებელს უნდა შეექმნა რაიმე სახის ხელშემშლელი გარემოებები მასზე დაკისრებული ფუნქციის განსახორციელებლად (აღნიშნულთან მიმართებით იხილეთ საქმე – 155/73, *Sacchi* (...)).

139. აღნიშნულთან მიმართებით განმცხადებელი, უბრალოდ, აცხადებს, რომ შიდა საჰაერო ტრანსპორტის ორგანიზაცია დაფუძნებული იყო ჯვარედინი სუბსიდიების სისტემაზე მომგებიან და არამომგებიან მარშრუტებს შორის და ის ორლი-მარსელისა და ორლი-ტულუზის მარშრუტებისათვის მინიჭებულ ექსკლუზიურობას ამართლებდა მისი ვალდებულებით, შეესრულებინა არამომგებიანი მარშრუტები რეგულარულად და არამომგებიანი ტარიფებით იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოს რეგიონული განვითარებისათვის. იგი არ ასახელებს შესაძლო დანაკარგის აღმნიშვნელ ციფრს თუ სხვა საჰაერო გადამზიდავები სარგებლობენ უფლებით, კონკურენცია გაუწიონ მას კითხვაში დასმულ ორ საჰაერო მარშრუტთან მიმართებით. იგი არც იმას უჩვენებს, რომ შემოსავლის დანაკარგი იმდენად დიდი იქნება, იძულებული გახდება, თვითნებურად დატოვოს მის ქსელში შემავალი კონკრეტული საჰაერო მარშრუტები.

140. ნებისმიერ შემთხვევაში, შიდა საჰაერო ქსელის სისტემა, შიდა ჯვარედინი სუბსიდიურ სისტემასთან ერთობლიობაში, რომელსაც განმცხადებელი ეყრდნობა თავისი საქმის სასარგებლოდ, არ არის მათი მიზანი, არამედ შედეგია საფრანგეთის სახელმწიფო უწყებების მიერ გაკეთებული არჩევანისა, საფრანგეთის რეგიონების განვითარების მიზნით. განმცხადებელმა არ გაასაჩივრა და ამ დრომდე არ დაადგინა, რომ 240/98 რეგულაციის ძალაში შესვლის შედეგად აღარ იყო სათანადო ალტერნატიული სისტემა, რომელსაც შეეძლებოდა რეგიონული განვითარების უზრუნველყოფა, კერძოდ კი წამგებიანი საჰაერო მარშრუტების დაფინანსების გაგრძელების უზრუნველყოფა (იხილეთ აგრეთვე სასამართლოს პრეზიდენტის ბრძანება საქმეში – C-174/94 R, *France v. E.C. Commission* (...)).

141. ზემოთქმულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა არ აჩვენა, რომ შეთანხმებული გადანყვებილება სამართლებრივად ან ფაქტობრივად ხელს შეუშლიდა მისთვის მინიჭებული კონკრეტული ფუნქციის განხორციელებას. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ განცხადება შეთანხმების 86-ე მე-2 მუხლის დარღვევის თაობაზე ვერ იქნება გაზიარებული.

საქმე *Corsica Ferries France SA v. Gruppo Antichi Ormeggiatori del Poro di Genova Coop. and Others*³⁹⁴:

³⁹³ Case T-260/94, *Air Inter v. Commission* [1997] ECR II-997, [1997] 5 CMLR 851

³⁹⁴ Case C-266/96, *Corsica Ferries France SA v. Gruppo Antichi Ormeggiatori del Poro di Genova Coop. and Others* [1998] ECR I-3949, [1998] 5 CMLR 402.

საქმის ფაბულა: იტალიის კანონმდებლობის თანახმად, სხვა წევრი სახელმწიფოების გემებს მოეთხოვებოდათ, ესარგებლათ ადგილობრივ ნავსაყუდელში გადამყვანი კომპანიების მომსახურებით, რომელსაც ყველა პორტში ექსკლუზიური ნებართვა ჰქონდა. *Corcisa Ferries*-მა სარჩელით მიმართა სასამართლოს და ამტკიცებდა, რომ ნავსაყუდელში გადამყვანი კომპანიები *Genoa* და *La Spezia* ბოროტად იყენებდნენ დომინანტურ პოზიციას, როცა სანაოსნო კომპანიებს უზღუდავდნენ გემის ნავსაყუდელში გადასაყვანად საკუთარი პერსონალის გამოყენების შესაძლებლობას, აგრეთვე, მომსახურების ღირებულების საფასური გაცილებით ალემატებოდა რეალურად განხორციელებულ მომსახურებას, და აწესებდა ტარიფებს, რომლებიც პორტიდან პორტში იცვლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი მომსახურების განწევას ეხებოდა. იტალიის სასამართლომ, *inter alia*, შეკითხვით მიმართა ევროკავშირის სასამართლოს იმის თაობაზე, თუ რამდენად კრძალავდა შეთანხმება ნაციონალურ ნორმებს, რომლებიც გემების ნავსაყუდელში გადასაყვან კომპანიებს ამგვარი მოქმედების უფლებას აძლევდა.

ევროპული სასამართლო

36. ნაციონალური სასამართლო კითხულობს, აქვს თუ არა ადგილი დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებას ნავსაყუდელში გადამყვანი კომპანიების – *Genoa* და *La Spezia* - მხრიდან, საერთო ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე იმ ექსკლუზიური უფლებების მინიჭების წყალობით, რომელიც მათ უბოძეს იტალიის საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

37. ამ საქმეში ბოროტად გამოყენებითი ქმედების არსებობის სამი ასპექტი არსებობს. აღნიშნული უნდა არსებობდეს ადგილობრივი, ნავსაყუდელში გადამყვანი, კომპანიებისთვის მინიჭებულ ექსკლუზიურ უფლებებში, რომლებიც ზღუდავენ სანაოსნო კომპანიების მიერ გემის ნავსაყუდელში გადასაყვანად საკუთარი პერსონალის გამოყენების შესაძლებლობას; აგრეთვე, მომსახურების ღირებულების საფასურის სიდიდეში, რომელიც ალემატება რეალურად განხორციელებულ მომსახურებას; და ისეთი ტარიფების დაწესებაში, რომელიც პორტიდან პორტში იცვლება, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი მომსახურების განწევას ეხება.

38. რაც შეეხება განსახილველი ბაზრის განსაზღვრას, მითითების წესიდან გამომდინარეობს, რომ იგი მოიცავს მესამე პირების მაგიერ გემების ნავსაყუდელში გადამყვანი კომპანიების მომსახურების განხორციელებას, რაც კონტეინერების – *Genoa* და *La Spezia* – პორტებში გადაზიდვას ეხება. იმის გათვალისწინებით, *inter alia*, თუ საზღვაო მიმოსვლის როგორი დატვირთულობაა ამ პორტებში და რა მნიშვნელობა აქვთ მათ შიდა გაერთიანების ვაჭრობაზე, აღნიშნული ბაზრები მიჩნეულ უნდა იქნენ საერთო ბაზრის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად (იხილეთ: საქმე – C-179/90, *Merci Convenzionali Porto di Genova* (...)) და საქმე C-163/96, *Raso and Others* (...)).

39. იმდენად, რამდენადაც ექსკლუზიური უფლებების არსებობა არის განხილვის საგანი, კანონით განსაზღვრულია, რომ საერთო ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე კანონმდებლობით მინიჭებული მონოპოლიის მქონე სანარმო შეიძლება მიჩნეულ იქნეს დომინანტური პოზიციის მქონედ, შეთანხმების 82-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე (იხილეთ: საქმე C-41/90, *Hofner and Elser v. Macrotron* (...)), საქმე C-260/89, *ERT v. DEP* (...), საქმე C-179/90, *Merci Convenzionali Porto di Genova* (...) და საქმე C-163/96, *Raso and Others* (...)).

40. შემდგომ, უნდა აღინიშნოს, რომ, თუმცა შეთანხმების 86-ე 1-ლი მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ექსკლუზიური უფლებების მინიჭების გზით უბრალო დომინან-

ტური პოზიციის შექმნა თავისთავად არ ეწინააღმდეგება 82-ე მუხლს, ნეერი სახელმწიფო დაარღვევს აღნიშნულ ორ ნორმაში ასახულ აკრძალვებს, თუ განსახილველი საწარმო, უბრალოდ, მისთვის მინიჭებული ექსკლუზიური უფლებების განხორციელების გამო, იძულებულია, ბოროტად გამოიყენოს დომინანტური პოზიცია ან თუ ასეთი უფლებები მონოდებულია, შექმნას ისეთი სიტუაცია, რომელშიც საწარმო იძულებულია, ჩაიღინოს ამგვარი ბოროტად გამოყენებითი ქმედებები (იხილეთ: საქმე C-41/90, *Hofner and Elser v. Macrotron (...)*, საქმე C-260/89, *ERT v. DEP (...)*, საქმე C-179/90, *Merci Convenzionali Porto di Genova (...)*, საქმე C-323/93, *Centre d'Insemination de la Crespelle (...)*, და საქმე C-163/96, *Raso and Others(...)*).

41. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ნეერ სახელმწიფოს შეთანხმების 82-ე მუხლის დარღვევის გარეშე შეუძლია მიანიჭოს ექსკლუზიური უფლებები საკუთარ პორტებში გემის ნავსაყუდელში გადაყვანის მომსახურებასთან დაკავშირებით ადგილობრივ ნავსაყუდელში გადაყვან კომპანიებს, უზრუნველყოფს რა ამ კომპანიებს, არ გამოიყენონ ბოროტად თავიანთი დომინანტური პოზიცია ან არ იყვნენ მიზანმიმართული, განხორციელონ ამგვარი ბოროტად გამოყენებითი ქმედება.

42. ზემოთ ხსენებული ბოროტად გამოყენებითი ქმედების არსებობის უარსაყოფად Genoa-სა და La Spezia-ს ნავსაყუდელში გადასაყვანმა კომპანიებმა მითითება შეთანხმების 86-ე მე-2 მუხლზე გააკეთეს, რომელიც ადგენს, რომ ზოგადი ეკონომიკური ინტერესის მომსახურების განხორციელებაზე უფლებამინიჭებული საწარმო ექვემდებარება შეთანხმებაში ასახულ კონკურენციის განმსაზღვრელ ნორმებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი შეფარდება ხელს არ უშლის მათზე დაკისრებული კონკრეტული ამოცანების სამართლებრივად თუ ფაქტობრივად განხორციელებას. შეთანხმების 86-ე მე-2 მუხლი დამატებით განსაზღვრავს, იმისთვის, რომ მოხდეს მისი შეფარდება, ვაჭრობის განვითარებაზე ზეგავლენა არ უნდა იქნეს იყოს იმ დონემდე, რომ იგი ეწინააღმდეგებოდეს გაერთიანების ინტერესებს.

43. ისინი იცავდნენ პოზიციას, რომ დადგენილი ტარიფები სავალდებულოა უნივერსალური გემების ნავსაყუდელში გადაყვანის მომსახურების შესანარჩუნებლად. ერთი მხრივ, ტარიფები შეიცავდნენ კომპონენტს, რომელიც უკავშირდებოდა დამატებით გადასახადს ნავსაყუდელში გადაყვანის უნივერსალური მომსახურების უზრუნველსაყოფად; მეორე მხრივ, ტარიფებს შორის განსხვავება პორტიდან პორტში, რომელიც, წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, იმის გათვალისწინების შედეგია, რომ, როდესაც ტარიფების გაანგარიშება ხდება, ნეიტრალური ფაქტორები გამოხატავენ ადგილობრივი გარემოებების ზეგავლენას, რომელიც მონოდებულია, განსაზღვროს ის გარემოება, რომ უზრუნველყოფილი მომსახურებები ეკვივალენტური არ არის, გამართლებულია მომსახურების ხასიათითა და უნივერსალური დაფარვის უზრუნველყოფის საჭიროებით.

44. აღნიშნულიდან გამომდინარე, განხილულ უნდა იქნეს, შეთანხმების ნორმებიდან, კერძოდ კი შეთანხმების 86-ე მე-2 მუხლით განსაზღვრული წესებისგან, გადახვევა შეიძლება შეეფარდოს ამ საქმეს. ამ მიზნით, უნდა განისაზღვროს, თუ რამდენად იქნება ნავსაყუდელში გადაყვანის მომსახურება მიჩნეული ზოგადი ეკონომიკური ინტერესის მომსახურებად, აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, და თუ ეს ასეა, პირველ რიგში, მისთვის დადგენილი კონკრეტული ამოცანების განხორციელება რამდენად იქნება მიღწეული მხოლოდ იმ მომსახურებების ხარჯზე, რომლის საფასურიც მეტია, ვიდრე რეალური ღირებულება და რომლისთვისაც ტარიფი იცვლება ერთი პორტიდან მეორეში, და, მეორე რიგში, ვაჭრობის განვითარება რამდენად არ არის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული იმ დონემდე, რა დონემდეც იგი წინააღმდეგობაში მოვა

გაერთიანების ინტერესებთან (აღნიშნულთან მიმართებაში იხილეთ საქმე C-157/94, *E.C. Commission v. Netherlands* (...)).

45. ძირითად წარმოებაში არსებული საქმის მასალებიდან ცხადია, რომ გემების ნავსაყუდელში გადაყვანის საქმიანობა ზოგადეკონომიკური ინტერესია, რომელსაც აქვს სპეციფიკური მახასიათებლები, დაკავშირებული სხვა ეკონომიკურ საქმიანობებთან, რომელთაც შესწევთ უნარი, მოაქციონ იგი შეთანხმების 86-ე მე-2 მუხლის კომპეტენციის ფარგლებში. გემების ნავსაყუდელში გადაყვანილი კომპანიები ვალდებული არიან, უზრუნველყონ ნავსაყუდელში გადაყვანის უნივერსალური მომსახურებით ნებისმიერი მომხმარებელი ნებისმიერ დროს, რათა დაცული იყოს უსაფრთხოება პორტის წყლებში. ყველა შემთხვევაში, იტალიას სათანადოდ ჰქონდა მიჩნეული, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი იყო, ადგილობრივი კომპანიებისთვის მიენიჭებინა ექსკლუზიური უფლება გემების ნავსაყუდელში გადაყვანის უნივერსალური მომსახურებისათვის.

46. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, შეთანხმების 82-ე და 86-ე 1-ლ მუხლებთან შეუსაბამო არ არის მომსახურების საფასურში გემების ნავსაყუდელში გადაყვანის უნივერსალური მომსახურების უზრუნველსაყოფად საჭირო ღირებულების შეტანა იმდენად, რამდენადაც იგი პასუხობს მომსახურების სპეციფიკური ხასიათით გამოწვეულ დამატებით ხარჯებს, ასევე, მომსახურებისათვის განსხვავებული ტარიფების დადგენა თითოეული პორტის სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით.

47. გამომდინარე ზემოთქმულიდან, მას შემდეგ, რაც გემების ნავსაყუდელში გადაყვანა კომპანიებს წევრი სახელმწიფოსგან მიენიჭათ შეთანხმების 86-ე მე-2 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე ზოგადი ეკონომიკური ინტერესის მომსახურების განვითარების უფლება, და სხვა პირობები შეთანხმების ნორმების შეფარდების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც ამ ნორმაშია მოცემული, დამაკმაყოფილებელია და ისეთი კანონმდებლობა, როგორც განხილვის საგანია, არ არის შეთანხმების 82-ე მუხლის დამრღვევი, განხილულ 86-ე 1-ლ მუხლთან ერთობლიობაში.

საქმე *Albany International BV v. Stichting Bedrijfspensioenfonds Textielindustrie*³⁹⁵:

ევროპული სასამართლო

102. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ, პირველ რიგში, შეთანხმების 86-ე მე-2 მუხლის თანახმად, საწარმოები, რომელთაც მინიჭებული აქვთ ზოგადი ეკონომიკური ინტერესის მომსახურების განხორციელების უფლება, დაქვემდებარებული არიან კონკურენციის განმსაზღვრელ ნორმებზე იმდენად, რამდენადაც ამგვარი ნორმების შეფარდება ხელს არ უშლის მათზე დაკისრებული კონკრეტული ამოცანების როგორც სამართლებრივად, ასევე ფაქტობრივად განხორციელებას.

103. გარკვეული ვითარების არსებობისას შეთანხმების ზოგადი ნორმების გვერდის ავლის შესაძლებლობის მიცემისას, შეთანხმების 86-ე მე-2 მუხლი ცდილობს, დაარეგულიროს წევრი სახელმწიფოების ინტერესები კონკრეტული საწარმოს გამოყენებით, კერძოდ კი საზოგადოებრივ სფეროში, როგორც გაერთიანების ინტერესის გამომხატველი პოლიტიკის ეკონომიკური ან ფისკალური ინსტრუმენტი, უზრუნველყოს კონკურენციის ნორმებთან თანხვედრა და საერთო ბაზრის ერთიანობის დაცვა (იხილეთ საქმე C-202/88 *France v. Commission* (...), პარა. 12, და საქმე C-157/94 *Commission v. Netherlands* (...), პარა. 39).

³⁹⁵ Case C-67/96, *Albany International BV v. Stichting Bedrijfspensioenfonds Textielindustrie* [1999] ECR I-5751, [2000] 4 CMLR 446.

104. ნევრი სახელმწიფოების ინტერესის გათვალისწინებით დადგენილია, რომ მათ არ შეიძლება ხელი შეეშალოთ, როდესაც განისაზღვრება მათ მიერ ზოგადი ეკონომიკური ინტერესის მომსახურების განხორციელების უფლების მინიჭება კონკრეტული საწარმოსთვის, იმ მიზნების გათვალისწინებით, რომლებიც უკავშირდება მათ ნაციონალურ პოლიტიკას ან მიაღწიონ მათ დავალდებულებისა და იძულების მცდელობით, რომლებსაც ისინი აკისრებენ ამგვარ საწარმოებს (იხილეთ საქმე *C-157/94 Commission v. Netherlands* (...), აღნიშნული ზემოთ, პარა. 40).

105. საქმის ძირითად წარმომავალში განსახილველია დამატებითი საპენსიო სქემა, როგორც ნიდერლანდების საპენსიო სისტემის ფარგლებში უმნიშვნელოვანესი სოციალური ფუნქციის განმახორციელებელი, კანონმდებლობით დადგენილი პენსიების ლიმიტირებული ოდენობის გამო, რომელიც გამოიანგარიშება კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ხელფასის ოდენობის საფუძველზე.

106. დამატებით, სოციალური ფუნქციების მნიშვნელობა, დაკავშირებული დამატებით პენსიებთან, ახლო წარსულში აღიარებულ იქნა გაერთიანების კანონმდებელი ორგანოს მიერ 1998 წლის 29 ივნისს ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 98/49/EC მიღებით, რომელიც ეხება გაერთიანების ფარგლებში მოძრავი დასაქმებული და თვითდასაქმებული პირების დამატებით საპენსიო უფლებებს (OJ 1998 L 209, გვ. 46).

107. შემდეგ უნდა აღინიშნოს, რომ საჭირო არ არის, შეთანხმების 86-ე მე-2 მუხლის გამოყენების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით, ზოგადი ეკონომიკური ინტერესის მომსახურების განხორციელების ფუნქციით აღჭურვილი საწარმოს ფინანსური ბალანსი ან ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა ხელყოფილ იქნეს. ამკარაა, რომ განსახილველი უფლებების არარსებობის შემთხვევაში შეუძლებელი იქნება, საწარმოსთვის დაკისრებული სპეციფიკური ამოცანების განხორციელება, განსაზღვრული ვალდებულებების მითითებითა და იძულებით, რომლის საგანიც ისაა (იხილეთ საქმე *C-157/94 Commission v. Netherlands* (...), აღნიშნული ზემოთ, პარა. 52), ან ამ უფლებების შენარჩუნება აუცილებელია მათი მფლობელებისათვის ზოგადი ეკონომიკური ინტერესის ფუნქციის განხორციელების საშუალების მისაცემად, რომელიც მასზე დაკისრებულ იქნა ეკონომიკურად მისაღები პირობების კვალობაზე (იხილეთ საქმე *C-320/91 Corbeau* [1993] ECR I-2533, პარა. 14-16, და საქმე *C-157/94 Commission v. Netherlands* (...), აღნიშნული ზემოთ, პარა. 53).

108. თუ ფონდის ექსკლუზიური უფლება ამ სექტორში ყველა მუშაკისთვის დამატებითი საპენსიო სქემის მართვის თაობაზე გაუქმებული იქნება, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის სახიფათო საქმიანობის განმახორციელებელი კარგი ჯანმრთელობის მქონე ახალგაზრდებით დაკომპლექტებული საწარმოები დაინყებენ უფრო უკეთესი სადაზღვევო პირობების მოძიებას კერძო დამზღვევებისგან. „კარგი“ რისკების პროგრესული გასვლა დატოვებს სექტორულ საპენსიო ფონდს „ცუდი“ რისკების წილის ზრდის პასუხისმგებლობით, რაც ხელს შეუწყობს პენსიების გაზრდას მუშაკებისთვის, კერძოდ კი მათთვის, ვინც დასაქმებულია პატარა და საშუალო სიდიდის საწარმოებში და არიან სტაჟიანი მუშაკები, რომლებიც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის სახიფათო საქმით არიან დაკავებული. ფონდი მათ ვეღარ შესთავაზებს მისაღები ოდენობის პენსიებს.

109. ამგვარი სიტუაცია, კერძოდ, ისეთ შემთხვევაში წარმოიშობა, როდესაც საქმის ძირითად განხილვაში ფონდის მიერ ექსკლუზიურად მართული დამატებითი საპენსიო სქემა გამოააშკარავებს სოლიდარობის მაღალ დონეს, რაც კონკრეტულად იმ ფაქტის შედეგია, რომ შენატანები რეალურად არ ასახავენ რისკს, იქიდან გამომდინარე, რომ პროცედურა გულისხმობს: ყველა მუშაკის მიღების ვალდებულებას წინასწარი სამედი-

ცინო შემონმების გავლის გარეშე, საპენსიო უფლებების ზრდის გაგრძელებას შენატანების გადასახადებისგან გათავისუფლების მიუხედავად და სამუშაოს შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მუშაკის გაკოტრების გამო ფონდის მიერ შენატანების დავალიანების გათავისუფლებას და პენსიების თანხების ინდექსაციას მათი ღირებულების შესანარჩუნებლად.

110. ამგვარი ზენოლა, რომელიც წარმოაჩენს ფონდის მიერ განეულ მომსახურებას, ნაკლებად კონკურენტუნარიანს სადაზღვევო კომპანიების მიერ განეულ მომსახურებასთან შედარებით, ამართლებს ფონდის ექსკლუზიურ უფლებას, მართოს დამატებითი საპენსიო სქემა.

111. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ფონდისთვის მინიჭებული ექსკლუზიური უფლების ჩამორთმევა შეუძლებელს გახდის მისთვის ზოგადი ეკონომიკური ინტერესის ფუნქციის განხორციელებას, რომელიც მას განესაზღვრა ეკონომიკურად მისაღები პირობებით და ხელყოფს მის ფინანსურ მდგრადობას.
(...)

123. შესაბამისად, მესამე კითხვის პასუხია, რომ შეთანხმების 82-ე და 86-ე მუხლები წინააღმდეგ არ უქმნიან საჯარო მოხელეებს, მინიჭონ საპენსიო ფონდს ექსკლუზიური უფლება, ამ სექტორში მართოს დამატებითი საპენსიო სქემა.

XI. გაერთიანებული საწარმო

საქმე *AEI/Reyrolle Parsons re Vacuum Interrupters*³⁹⁶:

საქმის ფაბულა: გაერთიანებული სამეფოს ორი კომპანია, *AEI* და *Reyrolle Parsons*, ერთობლივად ფლობდნენ სუბსიდიურ კომპანიას, *Vacuum Interrupters Ltd*, რათა განევიტარებინათ, გამოეცათ და გაეყიდათ ვაკუუმის შემწყვეტი პროდუქცია, რომელიც ჩამონტაჟებული უნდა ყოფილიყო ავტომატურ გამომრთველში ჩამრთველი მექანიზმის მონყობილობაში. ორივე კომპანია ათი წლის განმავლობაში კვლევებს ატარებდა ამ პროდუქტზე, მაგრამ მისი აწყობა და ფუნქციონირება რთული აღმოჩნდა და ბაზარზე მისი გატანის შესაძლებლობა არ შეიქმნა. ხელშეკრულება უზრუნველყოფდა კომპანიებს, შეეჩერებინათ დამოუკიდებელი მუშაობა ვაკუუმის შემწყვეტზე. როგორც კომისიამ განაცხადა (პარა. 10), „თითოეულმა კომპანიამ აღმოაჩინა, რომ განვიტარებისთვის განეული ხარჯები მოცულობითი იყო და აღიარეს, რომ, თუ ვაკუუმის შემწყვეტი კომერციული გამოყენებისთვის იქნებოდა გათვალისწინებული ისეთი ფასით, რომელიც მას კონკურენტუნარიანს გახდიდა ჩამრთველი მექანიზმის ტრადიციულ ფორმებთან, თანამშრომლობისა და რესურსების გაერთიანების შესაძლებლობა აუცილებელი იქნებოდა, რადგანაც ინდივიდუალური კომპანიების მიერ განეული დიდი დანახარჯები შემცირდებოდა“.

კომისია

15. 1970 წლის 25 მარტს, შეთანხმების ხელმოწერამდე, არც *Associated Electrical Industries Ltd* და არც *Reyrolle Parsons Ltd* არ აწარმოებდნენ ვაკუუმის შემწყვეტებს. მიუხედავად ამისა, მათი გამოცდილება და შესაძლებლობა, მძიმე ელექტრონულ ტექნიკაში ეწარმოებინათ ნაწილები მათი R&D-ის მუშაობის სიფართოვისა და ხარისხის მიხედვით, რომელთაგან ზოგიერთი კონცენტრირებული იყო ვაკუუმის შემწყვეტის მიმართულებით, მათი უნარ-ჩვევები ზოგადად ელექტრონული ტექნიკის წარმოების სფეროში და საქმიანობის ბუნებრივი ზრდა მათ პირაპირ კონკურენტებად აქცევდა

³⁹⁶ Commission Decision AEI/Reyrolle Parsons re Vacuum Interrupters [1977] OJ L48/32, [1977] 1 CMLR D67.

შესაფერისი პროდუქციის ბაზარზე. შესაბამისად, ისინი უნდა განხილული ყოფილიყვნენ როგორც პოტენციური კონკურენტები და 1970 წლის 25 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება, როგორც ხელშეკრულება პოტენციურად კონკურენტ მწარმოებლებს შორის.

16. შეთანხმების მიზანი და საგანი კონკურენციის შეზღუდვასა საერთო ბაზრის ფარგლებში. საერთო ბაზრის სფეროში არ არის წარმოდგენილი ელექტრონული საქონლის ნაწილების არცერთი მწარმოებელი, რომელიც ამზადებს და ყიდის ვაკუუმის შემწყვეტებს. როდესაც ორი კომპანია, რომელთაგან თითოეული პოტენციური მწარმოებელია და რომლებიც საერთო ბაზრის ფარგლებში აერთიანებენ თავიანთ საქმიანობებს კვლევის, განვითარების, წარმოებისა და გაყიდვის სფეროში ერთობლივი წარმოების დაფუძნებით, რომელიც დაკავშირებულია ამ ერთ პროდუქტთან იმ პირობებში, რომ საკუთარ თავს ართმევენ შესაძლებლობას, განავითარონ და გაყიდონ ეს პროდუქტი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და ერთმანეთთან კონკურენციით, კონკურენცია იზღუდება.

თუმცა ერთობლივი საწარმოს სქემას აქვს აშკარა უპირატესობები და კომისიამ გამორიცხა ისინი შეთანხმების 81-ე მე-3 მუხლის მოქმედების არეალიდან:

22. (...)

- (1) ვაკუუმის შემწყვეტების ხელმისაწვდომობა საშუალებას აძლევს ჩამრთველი მექანიზმის მწარმოებლებს, შექმნან, განავითარონ და აწარმოონ ელექტროავტომატიური გამომრთველები, რომელთაც ტექნიკური უპირატესობა აქვთ არსებულ საჭაერო და სითხის მონყობილობებზე.
- (2) შეთანხმება ადგენს ნორმებს ფინანსური წყაროსა და ტექნიკური მხარდაჭერისათვის, რომელიც აუცილებელია ვაკუუმის შემწყვეტების სრულყოფილი წარმოებისთვის R&D-ისთვის შესაძლებლობის მისაცემად.
- (3) სწორედ ვაკუუმის შემწყვეტების დამონტაჟებით იღებენ მოგებას ავტომატური გამომრთველებით მოსარგებლები.
- (4) ხელშეკრულება იძლევა ვაკუუმის ტიპის შემწყვეტის შემუშავების, წარმოებისა და მომხმარებლებზე ევროპულ კავშირში გაყიდვის შესაძლებლობას კონკურენციულ გარემოში იმ ანალოგებთან მიმართებით, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება ევროპული კავშირის ქვეყნებში ამერიკის შეერთებული შტატებიდან და იაპონიიდან განხორციელებული იმპორტის საფუძველზე, როდესაც ვაკუუმის შემწყვეტების ბაზარი შეიქმნება ევროპული კავშირის წევრ სახელმწიფოებში.
- (5) ტექნიკური და ფინანსური მცდელობა მოთხოვნილი ვაკუუმის შემწყვეტისა, როგორც კომერციულად სიცოცხლისუნარიანი პროდუქტის ვარგისიანობის ვადის მიხედვით საწარმოებლად ვერ იქნება მიღწეული, თუ ორივე მხარე მხოლოდ საკუთარ რესურსებზე იქნება დამოკიდებული.

საქმე *Optical Fibres*³⁹⁷:

საქმის ფაბულა: საქმე ეხებოდა სამ ერთობლივ საწარმოს, შექმნილს ამერიკის შეერთებული შტატების კომპანია *Corning Glass Works*-ს, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, გაერთიანებულ სამეფოს *BICC*-ს (50/50-ზე ულიმიტო პარტნიორობა), გერმანულ *Siemens*-სა (ერთობლივი საწარმო კომპანია 50/50 მფლობელობაში) და ფრანგულ *COFOCO*-ს (ერთობლივი საწარმო კომპანია 40/60-ზე მფლობელობაში) მიერ. ერთობლივი საწარმოები დაფუძნდა ოპტიკური მავთულისა და ოპტიკური კაბელის

³⁹⁷ Commission decision *Optical Fibres* [1986] OJ L236/30.

შემუშავების, წარმოებისა და გაყიდვისთვის ევროპის ტელეკომუნიკაციების ბაზარზე. *Corning*-ს გამოცდილება ჰქონდა ოპტიკური მავთულისა, და არა კაბელის, წარმოებაში, მაშინ, როდესაც ევროპელ პარტნიორებს არ ჰქონდათ ოპტიკური მავთულის წარმოების გამოცდილება. არ არსებობდა რაიმე, რაც ზღუდავდა კონკურენციას *Corning*-სა და სხვა პარტნიორებს შორის და ყველა მათგანი თავისუფალი იყო, ეწარმოებინა დამოუკიდებელი კვლევები და ოპტიკური მავთული და შეემუშავებინა, მიუხედავად იმისა, რომ რეალობაში არ არსებობდა ევროპული კომპანიებისთვის ამის კეთების შესაძლებლობა.

კომისია

46. ინდივიდუალური ერთობლივი საწარმოს ხელშეკრულებები, როგორც ასეთი, არ ზღუდავს კონკურენციას *Corning*-სა და მის პარტნიორებს შორის. როდესაც ხელშეკრულებები დაიდო, მხარეები არ იყვნენ არც მოქმედი და არც პოტენციური კონკურენტები ოპტიკური მავთულის ან ოპტიკური კაბელების ბაზარზე. ოპტიკური მავთულისა და ოპტიკური კაბელის წარმოება განსხვავებული საქმიანობებია. *Corning*-ს არ ჰქონდა ოპტიკური კაბელის წარმოების სფეროში გამოცდილება, მაშინ, როდესაც მის პარტნიორებს არ გააჩნდათ გამოცდილება მინის წარმოებაში, რაც შესაძლებელს გახდიდა, მათ კონკურენციას *Corning*-თან. მხარეთა გასათვალისწინებელი ფინანსური წყაროების მიუხედავად, *Corning*-ის შესვლა ოპტიკური კაბელების ბაზარზე, ან *Corning*-ის პარტნიორების მიერ ოპტიკური მავთულის ბაზარზე გამოტანა არ იყო მათი ბიზნესსაქმიანობების ბუნებრივი და მიზანმიმართულად წინასწარ გასათვალისწინებელი გაფართოება. *Corning*-სა და მის პარტნიორებს შორის თანამშრომლობა უფრო დამატებითი ხასიათისაა, რომელიც არ იწვევს კონკურენციის შეზღუდვას ან გაუქმებას თანამშრომლობაში მყოფი პარტნიორების დონეზე. უფრო მეტიც, ხელშეკრულებები ხელს არ უშლის მესამე მხარეთა მიერ ბაზარზე შესვლას, ან არა აქვთ სხვა რაიმე სახის წინასწარ გათვალისწინებული ანტიკონკურენტული გავლენა მათ საქმიანობებზე. თავდაპირველი ხელშეკრულების ტექსტში შეტანილი რიგი ცვლილებებისა ადასტურებს, რომ კონკურენცია შენარჩუნებულია და მესამე პირები არ განიცდიან დისკრიმინაციას ან ბაზრის დანაწევრებას. დამატებით, ამ გადაწყვეტილებაზე თანდართული პირობებისა და ვალდებულებების ძალით, კონკურენცია დაცულია და კომისია გააგრძელებს მომავალში სიტუაციის განვითარებაზე თვალყურის დევნებას.

47. კონკურენციის არც შეზღუდვა და არც გაუქმება არ ყოფილა მხარეებსა და ერთობლივ საწარმოებს შორის. ხელშეკრულებები უზრუნველყოფენ, რომ მხარეები თავისუფალნი არიან ოპტიკური მავთულის დამოუკიდებელ *R&D*-ში მონაწილეობის მისაღებად. უფრო მეტიც, ინდივიდუალური ერთობლივი საწარმოს ხელშეკრულებები არ შეიცავს ვალდებულებებს, რომლებიც სცილდება იმას, რაც აღნიშნული იქნება არა-კონკურენტებს შორის უბრალო ლიცენზირების ხელშეკრულებებში. შესაბამისად, მხარეები თავისუფალი არიან ოპტიკური მავთულის დამოუკიდებელ *R&D*-ში მონაწილეობის მისაღებად, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში ისინი დამოკიდებული არიან *Corning*-ის მიერ ტექნოლოგიის გადაცემის განგრძობადობაზე. დამატებით, ერთობლივ საწარმოებს არ აკისრიათ ვალდებულება, მიანიჭონ ექსკლუზიური ლიცენზია *Corning*-ის ინოვაციების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

48. ამ საქმეში კონკურენციის პრინციპული შეზღუდვები და გაუქმება უფრო რეალურია, აღმოჩენილ იქნეს ერთობლივ საწარმოებს შორის ურთიერთობებში. ერთობლივ საწარმოებს არსებითად იმავე ბიზნესის წარმოება აკისრიათ, კერძოდ კი ოპტიკური მავთულის დამზადება და გასაღება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეს ერთობლივი საწარმოები პირდაპირ კონკურენტული კომპანიები არიან. ერთობლიობაში აღებული

ხელშეკრულებები ინვესს ერთმანეთთან დაკავშირებული ერთობლივი საწარმოების ქსელის შექმნას, რომელთაც საერთო ტექნოლოგიური პროვაიდერი ჰყავთ ოლიგოპოლიურ ბაზარზე. *Corning* მსოფლიოში ოპტიკური მავთულების ერთ-ერთი მთავარი მწარმოებელი და დისტრიბუტორია. მისი პარტნიორები არიან ოპტიკური კაბელების მწარმოებლები, რომლებიც საკუთარ ქვეყნებში ბაზრის დიდ ნაწილს ფლობენ. შესაბამისად, ერთობლივი საწარმოები აერთიანებს კომპანიებს, რომელთაც ძლიერი პოზიციები აქვთ ოპტიკური მავთულისა და ოპტიკური კაბელის ბაზრებზე. თუმცა ერთობლივი საწარმოები თავისუფალნი არიან, განახორციელონ აქტიური და პასიური გაყიდვები ერთმანეთის ტერიტორიაზე. მხოლოდ პასიური გაყიდვების უფლება აქვთ მათ იმ ტერიტორიებზე, სადაც *Corning*-ს მინიჭებული აქვს ექსკლუზიური ლიცენზია. *Corning*-ს აქვს საკუთარი ინტერესები, ერთობლივი საწარმოების, სუბსიდიური კომპანიების ან ლიცენზიანტების მეშვეობით, ევროპული კავშირის რამდენიმე წევრ სახელმწიფოში. მისი ფინანსური შენატანი და მთავარი ტექნიკური და ფინანსური პერსონალის წარმომადგენლობა ერთობლივ საწარმოებში, რომელთა წარმატებაც დამოკიდებულია *Corning*-ის ტექნოლოგიის სწრაფ ხელმისაწვდომობაზე, უზრუნველყოფს, რომ *Corning* იმყოფება პოზიციაში, გავლენა მოახდინოს და კოორდინირება გაუწიოს ერთობლივი საწარმოების საქმიანობას.

საქმე *P&O/Stena Line*³⁹⁸:

კომისია

39. ერთობლივი საწარმოს ფორმირება კონკურენციის შეზღუდვაა, შეთანხმების 81-ე 1-ლი მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, რადგან მხარეები მოქმედი კონკურენტები იყვნენ შესაბამის ბაზარზე, რომელზეც ერთობლივი საწარმო ფუნქციონირებს.

40. კონკურენციის ამგვარი შეზღუდვა შესამჩნევია. მხარეებს აქვთ ბაზრის მაღალი კომბინირებული წილი (იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ კომბინირებულ ბაზრის წილზე – *Short Sea*-ზე ფასები დაეცა *Eurotunnel*-ის ბაზარზე შესვლის გამო). ერთობლივი საწარმო სრულფასოვნად ფუნქციონირებადი ერთობლივი საწარმოა, რომელიც მოქმედებს ტვირთების გადაზიდვის იმავე ბაზარზე, რომელზეც ოპერირებენ მისი „მშობელი“ კომპანიები და იმავე მომიჯნავე სამგზავრო გადაზიდვების ბაზარზე, რომელზეც აგრეთვე ოპერირებენ მისი დამფუძნებელი კომპანიები.

41. ერთობლივი საწარმოს ფორმირება გავლენას ახდენს წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე, რამეთუ ანიჭებს მხარეებს მნიშვნელობას *Short Sea*-ს ტურისტულ ბაზარსა და *Anglo/Continental*-ის ტვირთების გადაზიდვების ბაზარზე; (...)

61. შეთანხმების 81-ე მე-3 მუხლის პირველი და მეორე პირობები ითხოვს ეფექტიანობისა და სხვა სარგებლის, რაც შეიძლება მოსალოდნელი იყოს მხარეთა ცალ-ცალკე გადაზიდვების საქმიანობათა გაერთიანებით *Short Sea*-ზე, და მისი გავრცელების შეფასებას, რომელზეც ეს ეფექტიანობა სარგებელს მოუტანს მომხმარებლებს.

62. ერთობლივი საწარმოს შექმნა საპირისპირო სარგებელსაც მოიტანს, კერძოდ კი ერთობლივი საწარმოს მიერ შეთავაზებული მომსახურების სიხშირის მატება, განგრძობადი დატვირთვა, და ხარჯების დაზოგვა მიახლოებით (...) მილიონი გირვანქა სტერლინგი. საერთო დადებითი სარგებელი წარმოიშობა მაშინაც კი, როდესაც ერთობლივი საწარმო მიიღებს გადაწყვეტილებას ნიუჰევენ/დიპეს მარშრუტის განხორციელების შეწყვეტაზე.

7.2 სამართლიანი წილის საშუალების მიცემა მომხმარებლებისთვის შედეგით მიღე-

³⁹⁸ Commission Decision *P&O/Stena Line* [1999] OJ L163/61, [1995] 5 CMLR 682.

ბული სარგებლისგან

63. მომხმარებლები უნდა ელოდნენ სარგებელს გაუმჯობესებული მომსახურების სიხშირისა და განგრძობადი დატვირთვისგან, ასევე, საფასურის დაზოგვისგან იმ მიმართებით, რომ ერთობლივ საწარმოს ეფექტური კონკურენცია დაუპირისპირდება.

7.3 არანაირი აკრძალვები, რომლებიც სავალდებულო არ არის

64. შეთანხმების 81-ე მე-3 მუხლის მესამე პირობა მოითხოვს იმის განხილვას, თუ რამდენად ნაკლებად შემზღუდავი ალტერნატივებია ხელმისაწვდომი შემოთავაზებულ ერთობლივ საწარმოსთან მიმართებით სარგებლის მისაღწევად.

65. კომისია განიხილავს *P&O*-სა და *Stena*-ს შორის თანამშრომლობის შეზღუდულ ფორმებს, როგორებიცაა, მაგალითად; ერთობლივი განრიგის შემუშავება, დაშორება ან შერწყმა, ნაკლებადდასაჯერებელს ერთობლივი საწარმოს მიერ სარგებლის მიღწევის თვალსაზრისით. კერძოდ, თანამშრომლობის ნებისმიერი ფორმა, გარდა ერთობლივი საწარმოსი, ვერ უზრუნველყოფს დანაზოგს ადმინისტრირებასა და მარკეტინგში, რომელიც მიახლოებით (...) მილიონი გირვანქა სტერლინგის დანახარჯის დაზოგვის მნიშვნელოვანი წილია ((...) მილიონი გირვანქა სტერლინგი).

66. ხელშეკრულების თანახმად, *P&O* და *Stena* ვალდებულებას იღებენ, პირდაპირ ან ირიბად არ ჩაერთონ საზღვაო გადაზიდვის მომსახურების განვებაში ინგლისის სანაპიროს ნებისმიერ პორტში, რომელიც მდებარეობს ნიუჰევენსა და ჰარვიჩს შორის (ნიუჰევენის ჩათვლით და ჰარვიჩის გამოკლებით) ან ევროპული კონტინენტის სანაპირო ლენტზე დიპქესა და ზეებრუგეს შორის (დიპქეს ჩათვლით და ზეებრიუგეს გამოკლებით). ერთობლივი საწარმოს საქმიანობები ლიმიტირებულია საზღვაო გადაზიდვების უზრუნველყოფით დოვერ/კალაისის, დოვერ/ზეებრიუგესა და ნიუჰევენ/დიპქეს მარშრუტებით. აღნიშნული შეზღუდვები მიჩნეული უნდა იყოს როგორც აუცილებელი ერთობლივი საწარმოს შექმნისათვის.

7.4 კონკურენციის აღმოფხვრის დაუშვებლობა განსახილველი პროდუქტების მნიშვნელოვანი ნაწილის გათვალისწინებით

67. შეთანხმების 81-ე მე-3 მუხლის მეოთხე პირობა მოითხოვს იმის შეფასებას, უნდა ელოდეს თუ არა *Short Sea* ტურისტულ მგზავრთა ბაზარზე ერთობლივი საწარმოს ეფექტური კონკურენციის დაპირისპირებას.

68. „სერიოზული ეჭვების წერილში“ კომისიამ განაცხადა თავისი შეშფოთებების შესახებ, რომელთა თანახმად, ერთობლივი საწარმოს შექმნამ შეიძლება გამოიწვიოს კონკურენციაში მყოფი ორი კომპანიის ერთობლივი საწარმოსა და *Eurotunnel*-ის შესაფერისი პარალელური მოქმედების მონოპოლისტური ბაზრის სტრუქტურა. (...)

127. კომისიის აზრით, ბაზრის მახასიათებლები ისეთია, რომ უნდა ველოდეთ ერთობლივ საწარმოსა და *Eurotunnel*-ის ერთმანეთთან კონკურენციას, ვიდრე პარალელურად მოქმედებას ფასების ასანევად. უპირველეს ყოვლისა, მართალია, უფრო კონცენტრირებული ბაზრის სტრუქტურა იქმნება ერთობლივი საწარმოს დაფუძნებით, *Eurotunnel*-ისა და ერთობლივი საწარმოს მიერ ბაზრის მსგავსი დიდი წილის ფლობით, მიმდინარე წლებში საბაზრო წილები არ ხასიათდებოდნენ სტაბილურობით; მეორე მხრივ, *Eurotunnel* და ერთობლივი საწარმო ნაკლებად დასაჯერებელია, აღმოჩნდნენ შესაძლებლობათა შეზღუდვის საშიშროების წინაშე და მათ აქვთ განსხვავებული ღირებულების სტრუქტურა; მესამე მხრივ, სხვა საზღვაო გადამზიდვებს, 1999 წლამდე

მინც, შეუძლიათ გაუწიონ კონკურენცია. შესაბამისად, ერთობლივი საწარმო უნდა ელოდეს *Short Sea*-ს ტურისტულ მგზავრთა ბაზარზე ეფექტურ კონკურენციასთან შეჯახებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისია მიიჩნევს, რომ შეთანხმების 81-ე მე-3 მუხლის მეოთხე მოთხოვნა შესრულებულია.

128. ბაზრის მდგომარეობას არსებითად შეცვლის 1999 წლის შუა პერიოდში გადასახადებისგან გათავისუფლების ხელშეკრულებათა გაუქმება. გადასახადებისგან თავისუფალი ვაჭრობის მოგების დანაკარგების ეფექტიანობა არაერთგვაროვანია. სავარაუდოა, რომ ბილეთების ფასები გაძვირდება (...) და ზოგიერთმა ოპერატორმა განაცხადა, რომ ფასები გაიზრდება, სავარაუდოდ, 30-40%-ით (...), თუმცა ფასების გაძვირება შეამცირებს ტურისტების რაოდენობას და ოპერატორებს ექნებათ ძლიერი სტიმული, შეზღუდონ ფასების ზრდა ხარჯების შემცირებითა და შემოსავლის ალტერნატიული წყაროების განვითარებით.

129. გადასახადებისგან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გაუქმებამ შეიძლება დარტყმა მიაყენოს *Eurotunnel*-სა და ერთობლივ საწარმოს შორის კონკურენციას ერთი ან რამდენიმე მიმართულებით. პირველ რიგში, *Eurotunnel*-მა შეიძლება აღმოაჩინოს, რომ მისი *Le Shuttle* მომსახურების შესაძლებლობა შეზღუდულია, თუ არსებს შორის მოგზაურობის მოთხოვნა უნდა გაზრდილიყო იმაზე მეტად, ვიდრე ეს დაგეგმილი იყო და, მიუხედავად შესაძლო ფასების მატებისა, გადასახადებისგან თავისუფალი ვაჭრობის შედეგად მიღებული მოგების დაკარგვის გამო; მეორე, გამომდინარე იქიდან, რომ ოპერატორები წარუმატებლები არიან გადასახადებისგან თავისუფალი ვაჭრობის ჩანაცვლებაში მოგების წყაროების განვითარების მეშვეობით, მათ ნაკლები სტიმული ექნებათ დატვირთვის ფაქტორების გასაზრდელად, რათა შესაბამისად გაზარდონ მოგება; მესამე, იმის გამო, რომ სხვა საზღვაო გადამზიდვე ოპერატორებს 1999 წლის შემდეგ შეეძლებათ ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფა ერთობლივ საწარმოსა და *Eurotunnel*-თან მიმართებით, ბუნდოვანია.

130. შესაბამისად, კომისია ამ საქმეში სათანადოდ მიიჩნევს, შეზღუდოს გადასახადებისგან გათავისუფლების ვადა სამ წლამდე, ხელშეკრულების განხორციელების დღიდან, 1998 წლის 10 მარტიდან. კომისიას შესაძლებლობა მიეცემა, შეაფასოს ერთობლივი საწარმოს გავლენა *Short Sea*-ს ტურისტულ ბაზარზე 2000 წლის ზაფხულის სეზონის შემდეგ, რა დროისთვისაც დაგეგმილია, რომ ცნობილი გახდეს საბაზრო პირობებზე გადასახადებისგან გათავისუფლების ხელშეკრულებების სრული ეფექტიანობა მათი ვადის ამონურვისთვის.

საქმეები *Metropole Television SA (M6) and others v. Commission*³⁹⁹:

საქმის ფაბულა: განსახილველი ნორმები ეხებოდა ფასიანი ტელევიზიისთვის ევროვიზიის ხელმისაწვდომობის უფლებების მინიჭებას. ნორმები უზრუნველყოფდნენ „ქველიცენზირების სქემას“, რაც იძლეოდა ევროვიზიის ხელმისაწვდომობის უფლებების მინიჭებას ძირითად სპორტულ ღონისძიებებზე მესამე მხარისათვის, რომლებიც *EBU*-ს წევრების კონკურენტებს წარმოადგენდნენ. კომისიამ გაათავისუფლა *EBU*-ს ნორმები ერთობლივად შექმნილი სპორტული ტელევიზიის უფლებების თანასარგებლობისგან იმ მოტივით, რომ ქველიცენზირების სქემა უზრუნველყოფდა კონკურენტების ხელმისაწვდომობას და, შესაბამისად, თავიდან იცილებდა კონკურენციის აღმოფხვრას ბაზარზე. შესაბამისად, შეთანხმების 81-ე მე-3 მუხლის მოთხოვნა დაკმაყოფილებული იყო. *Metropole*-მ გაასაჩივრა, რომ ეს ასე არ იყო. კომისია არ გაჩერებულა ბაზრის

³⁹⁹ Cases T-185/00, T-216/00, T-299/00 and T-300/00, *Metropole Television SA (M6) and others v. Commission* [2002] ECR II-3805, [2003] 4 CMLR 707.

ზუსტ განსაზღვრაზე, მაგრამ განაცხადა, რომ თუნდაც ყველაზე ვიწრო შესაძლო განმარტებითაც კი (სპეციალურ ღონისძიებაზე, მაგალითად, როგორებიცაა: ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატი ან ზაფხულის ოლიმპიური თამაშები, უფლებების შექმნა), კონკურენცია არ აღმოფხვრილა. პირველი ინსტანციის სასამართლომ გაიზიარა, რომ კომისიის მტკიცებულება, ბაზარი უნდა შედგებოდეს მხოლოდ მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებებისგან, არ ახდენს ზეგავლენას იმის ანალიზზე, თუ შეთანხმების 81-ე მე-3 მუხლი რამდენად იქნა შესრულებული. შემდეგ იგი დაუბრუნდა იმის განხილვას, ამ ანალიზის გაკეთებისას კომისიამ ხომ არ დაუშვა შეფასებისას აშკარა შეცდომა.

პირველი ინსტანციის სასამართლო

63. რაც შეეხება ევროვიზიის სისტემის ეფექტიანობას კონკურენციაზე, შეთანხმებული გადანყვეტილება გვიჩვენებს (პარა.: 71-იდან 80-ის ჩათვლით), რომ ხდება ორი ტიპის შეზღუდვა: პირველ რიგში, სპორტულ ღონისძიებებზე სატელევიზიო უფლებების ერთობლივი შესყიდვა, მათ წილობრიობა და სიგნალების ურთიერთგაცვლა ზღუდავს ან აღმოფხვრის კონკურენციას EBU-ს წევრებს შორის, რომლებიც კონკურენტები არიან როგორც ზედა დინების ბაზარზე, უფლებების შექმნის თვალსაზრისით, ასევე — ქვედა დინების ბაზარზე, სპორტული ღონისძიებების სატელევიზიო მაუწყებლობასთან მიმართებით. დამატებით, ეს სისტემა იწვევს კონკურენციის შეზღუდვებს, რაც მესამე პირებს უკავშირდება, რამეთუ ის უფლებები, როგორც დადგენილია შეთანხმებული გადანყვეტილების 75-ე პარაგრაფში, ზოგადად ექსკლუზიური საფუძვლითაა გაყიდული, და, შესაბამისად, EBU-ს არანევრებს ხელი არ უნდა მიუწვდებოდეთ მათზე.

64. მაშინ, როცა სიმართლეა ის ფაქტი, რომ ღონისძიებისთვის სატელევიზიო ტელემაუწყებლობის უფლებების შექმნა თავისთავად არ არის კონკურენციის შეზღუდვა, რათა დაექვემდებაროს შეთანხმების 81-ე 1-ლ მუხლს და გამართლებული იყოს განსახილველი პროდუქტისა და ბაზრის კონკრეტული მახასიათებლებით. ამ უფლებების გამოყენებამ სპეციალურ სამართლებრივ და ეკონომიკურ კონტექსტში, ამის მიუხედავად, შეიძლება წარმოშვას ამგვარი შეზღუდვა (ანალოგიის მიზნით, იხილეთ საქმე 262/81 *Coditel v. Cine-Vog Films* [1982] ECR 3382, პარა.: 15-იდან 17-ის ჩათვლით).

65. აღნიშნულ კონტექსტში კომისია აცხადებს შეთანხმებული გადანყვეტილების 45-ე პარაგრაფში, რომ მთავარ სპორტულ ღონისძიებებთან დაკავშირებით ექსკლუზიური სატელევიზიო უფლებების შექმნას ძლიერი ზეგავლენა აქვს ქვედა დინების სატელევიზიო ბაზრებზე, რომლებშიც ხდება სპორტული ღონისძიებების მაუწყებლობა.

66. დამატებით, საქმეში არსებული დოკუმენტებისა და მხარეთა არგუმენტების ანალიზიდან ჩანს, რომ ისეთი მთავარი საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ტრანსლირების უფლების შექმნა, როგორიცაა ოლიმპიური თამაშები ან ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატი, ვერ იქნება წარუმატებელი, დიდი ზიანი მიაყენოს ბაზარს სპონსორობასა და რეკლამირებაში, რაც იმ სატელევიზიო არხების შემოსავლის ძირითადი წყაროა, რომლებიც ტელემაუწყებლობენ უფასო ეთერით მათი პროგრამების მიერ ფართო აუდიტორიის მიზიდვის გამო.

67. უფრო მეტია, როგორც SIC-მა აღნიშნა, ის ეფექტები, რომლებიც ზღუდავს კონკურენციას მესამე პირებისთვის, როგორც შედეგი ევროვიზიის სისტემის გამორჩეულობისა, პირველ რიგში, EBU-სა და მისი წევრების ვერტიკალური ინტეგრაციის დონით, რომლებიც არიან არამხოლოდ უფლებების შემსყიდველები, არამედ ასევე, სატელევიზიო ოპერატორებიც, რომლებიც მაუწყებლობენ შექმნილი

უფლებებით, და, მეორე რიგში, *EBU*-ს გეოგრაფიული გაფართოებით, რომლის წევრებიც ტელემაუნწყებლობას ახორციელებენ ევროპული კავშირის ყველა ქვეყანაში. როგორც შედეგი, როდესაც *EBU*-მ შეიძინა ტელემაუნწყებლობის უფლებები საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ტრანსლირებისათვის, ამ ღონისძიების ხელმისაწვდომობა ავტომატურად გამოირიცხა ყველა არაწევრი ოპერატორისათვის. საპირისპირო კონტექსტში სიტუაცია განსხვავებული ჩანს, როდესაც ტელემაუნწყებლობის უფლებები სპორტულ ღონისძიებებზე შეძენილია იმ სააგენტოს მიერ, რომელიც ყიდულობს ამ უფლებებს მათი გადაყიდვის მიზნით, ან როდესაც ისინი შეძენილია მედიაჯგუფის მიერ, რომელსაც ოპერატორები მხოლოდ ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში ჰყავს, რადგან ამ ჯგუფს მიზნად ექნება, შევიდეს მოლაპარაკებებში სხვა წევრი სახელმწიფოების ოპერატორებთან ამ უფლებების გაყიდვის მიზნით. ამ შემთხვევაში, უფლებების ექსკლუზიური შეძენის მიუხედავად, სხვა ოპერატორებს ჯერ კიდევ აქვთ შესაძლებლობა, მოლაპარაკონ მათ შეძენაზე მათი შესაფერისი ბაზრებისთვის.

68. ზემოაღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, როგორებიცაა ბაზრის სტრუქტურა, *EBU*-ს პოზიცია ბაზარზე კონკრეტულ საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებთან მიმართებით და *EBU*-სა და მის წევრთა ვერტიკალური ინტეგრაციის დონე, არსებობს მიზეზი იმის განსასაზღვრავად, თუ რამდენად შესაძლებელს ხდის ევროვიზიის სისტემაზე მესამე მხარის ხელმისაწვდომობის სქემა კონკურენციაზე შეზღუდვების ურთიერთდაბალანსებას, რაც ზიანს აყენებს მესამე მხარის წარმომადგენლებს და, შესაბამისად, კონკურენციიდან მათი გარიცხვის თავიდან აცილებას.
(...)

73. მიუხედავად აღნიშნულისა, თუნდაც ამის საჭიროება დასაბუთდეს იმ მიზეზებით, რომლებიც უკავშირდება სპორტული ღონისძიებების ექსკლუზიური ტელემაუნწყებლობის უფლებებსა და მათი ეკონომიკური ღირებულების უზრუნველყოფას (იხილეთ პარა. 60, ზემოთ), *EBU*-ს წევრების მიერ თავისთვის *EBU*-ს მიერ შეძენილი პროგრამების პირდაპირ ეთერში ტელემაუნწყებლობის დარეზერვებას, არცერთი ამ მიზეზთაგანი არ ამართლებს მათ შესაძლებლობას, განაგრძონ ეს უფლება ყველა კონკურენციაზე, რომლებიც იმავე ღონისძიების შემადგენელი ნაწილია, მაშინაც კი, როდესაც ისინი არ განიზრახავენ, განახორციელონ ყველა ამ კონკურენციის ტელემაუნწყებლობა პირდაპირ ეთერში.
(...)

83. პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის წარდგენილი ყველა ინფორმაცია მიმართულია იქითკენ, რომ გვიჩვენოს, იმის საწინააღმდეგოდ, რაც კომისიამ გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში დაასკვნა, ქველიცენზიის სქემა არ უზრუნველყოფს *EBU*-ს წევრების კონკურენტებს, უფლებების სათანადო ხელმისაწვდომობით გადასცენ სპორტული ღონისძიებები, წარმოებული ამ უკანასკნელის მიერ შეძენაში მონაწილეობის გამო. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, სქემის განხორციელების ნორმებში ან მეთოდში არაფერი აძლევს *EBU*-ს წევრების კონკურენტებს ქველიცენზიის მიღების შესაძლებლობას ევროვიზიის გამოუყენებელი უფლებების პირდაპირ ეთერში მაუნწყებლობისთვის. სინამდვილეში სქემა მარტივად იძლევა ნებართვას ქველიცენზიების შეძენაზე, იმისათვის, რომ კონკურენტებს ექსტრემალურად შემზღუდველ პირობებში მიაწოდოს სიახლეები.

ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებისა და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მუხლების შესაბამისობის ტაბულა

ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულება

მაასტრიხტის ხელშეკრულება	ამსტერდამის ხელშეკრულება	ლისაბონის ხელშეკრულება
თავი I	თავი I	თავი I
მუხლი ა	მუხლი 1	მუხლი 1
		მუხლი 2
მუხლი ბ	მუხლი 2	მუხლი 3
მუხლი გ	მუხლი 3	გაუქმებულია ⁽¹⁾
		მუხლი 4
		მუხლი 5 ⁽²⁾
მუხლი დ	მუხლი 4	გაუქმებულია ⁽³⁾
მუხლი ე	მუხლი 5	გაუქმებულია ⁽⁴⁾
მუხლი ვ	მუხლი 6	მუხლი 6
მუხლი ვ.1	მუხლი 7	მუხლი 7
		მუხლი 8
თავი II	თავი II	თავი II
მუხლი ზ	მუხლი 8	გაქმებულია ⁽⁵⁾
		მუხლი 9
		მუხლი 10 ⁽⁶⁾
		მუხლი 11
		მუხლი 12
თავი III	თავი III	თავი III
მუხლი თ	მუხლი 9	გაუქმებულია ⁽⁷⁾
		მუხლი 13
		მუხლი 14 ⁽⁸⁾

¹ არსებითად ცვლის ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-7 და ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-13 მუხლის პირველი და 21-ე მუხლის მე-3 აბზაცის მეორე ქვეპუნქტი.

² ცვლის ევროგაერთიანების დაარსების შესახებ ხელშეკრულების მე-5 მუხლს.

³ არსებითად ცვლის ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-15 მუხლს.

⁴ არსებითად ცვლის ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-13 მუხლს.

⁵ ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-8 მუხლი ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე (შემდომში ევროკავშირის შესახებ აქამდე არსებული ხელშეკრულება) შეიცავდა ევროგაერთიანების დაარსების შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებების შესახებ ნორმებს. ამ მუხლში არსებული ცვლილებები შეტანილ იქნა ევროგაერთიანების დაარსების შესახებ ხელშეკრულებაში და მე-8 მუხლი გაუქმდა. ამ ნომრით მოხდა ახალი დებულების დანომვრა.

⁶ მე-4 აბზაცი არსებითად ცვლის ევროგაერთიანების დაარსების შესახებ ხელშეკრულების 191-ე მუხლს.

⁷ ევროკავშირის შესახებ აქამდე არსებული შეთანხმების მე-9 მუხლი შეიცავდა ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების დაარსების შესახებ ხელშეკრულების ცვლილების შესახებ ნორმებს. ეს უკანასკნელი 2002 წლის 23 ივლისიდან აღარ მოქმედებს. მე-9 მუხლი გაუქმდა და ამ ნომრით ახალი დებულება დაინომრა.

⁸ - პირველი და მე-2 აბზაცები ძირითადად ცვლიან ევროგაერთიანების დაარსების შესახებ ხელშეკრულების 189-ე მუხლს.

- პირველი და მე-3 აბზაცები ძირითადად ცვლიან ევროგაერთიანების დაარსების შესახებ ხელშეკრულების 190-ე მუხლის 1-3 აბზაცებს.

- პირველი აბზაცი ძირითადად ცვლის ევროგაერთიანების დაარსების შესახებ ხელშეკრულების 192-ე მუხლის პირველ აბზაცს.

- მე-4 აბზაცი ძირითადად ცვლის ევროგაერთიანების დაარსების შესახებ ხელშეკრულების 197-ე მუხლის პირველ აბზაცს.

		მუხლი 15 ⁽⁹⁾
		მუხლი 16 ⁽¹⁰⁾
		მუხლი 17 ⁽¹¹⁾
		მუხლი 18
		მუხლი 19 ⁽¹²⁾
თავი IV	თავი IV	თავი IV
მუხლი I	მუხლი 10	გაუქმებულია ⁽¹³⁾
		მუხლი 20 ⁽¹⁴⁾
თავი V	თავი V	თავი V
		მუხლი 21
		მუხლი 22
		მუხლი 23
მუხლი ი.1	მუხლი 11	მუხლი 24
მუხლი ი.2	მუხლი 12	მუხლი 25
მუხლი ი.3	მუხლი 13	მუხლი 26
		მუხლი 27
მუხლი ი.4	მუხლი 14	მუხლი 28
მუხლი ი.5	მუხლი 15	მუხლი 29
მუხლი ი.12	მუხლი 22 (შეცვლილია)	მუხლი 30
მუხლი ი.13	მუხლი 23 (შეცვლილია)	მუხლი 31
მუხლი ი.6	მუხლი 16	მუხლი 32
მუხლი ი.7	მუხლი 17 (შეცვლილია)	მუხლი 42
მუხლი ი.8	მუხლი 18	მუხლი 33
მუხლი ი.9	მუხლი 19	მუხლი 34
მუხლი ი.10	მუხლი 20	მუხლი 35
მუხლი ი.11	მუხლი 21	მუხლი 36
მუხლი ი.14	მუხლი 24	მუხლი 37
მუხლი ი.15	მუხლი 25	მუხლი 38
		მუხლი 39
მუხლი მ	მუხლი 47 (შეცვლილია)	მუხლი 40
მუხლი ი.16	მუხლი 26	გაუქმებულია

⁹ არსებითად ცვლის ევროკავშირის შესახებ აქამდე არსებული ხელშეკრულების მე-4 მუხლს.

¹⁰ - პირველი აბზაცი არსებითად ცვლის ევროგაერთიანების დაარსების შესახებ ხელშეკრულების 202-ე მუხლის პირველ და მეორე წინადადებას.

- მე-2 და მე-9 აბზაცები არსებითად ცვლიან ევროგაერთიანების დაარსების შესახებ ხელშეკრულების 203-ე მუხლს.

- მე-4 და მე-5 აბზაცები არსებითად ცვლიან ევროგაერთიანების დაარსების შესახებ ხელშეკრულების 205-ე მუხლის მე-2 და მე-4 აბზაცებს.

¹¹ - პირველი აბზაცი ძირითადად ცვლის ევროგაერთიანების დაარსების შესახებ ხელშეკრულების 211-ე მუხლს.

- მე-3 და მე-7 აბზაცები ძირითადად ცვლიან ევროგაერთიანების დაარსების შესახებ ხელშეკრულების 214-ე მუხლს.

- მე-6 აბზაცი ძირითადად ცვლის ევროგაერთიანების დაარსების შესახებ ხელშეკრულების 217-ე მუხლის პირველ, მე-3 და მე-4 აბზაცებს.

¹² - ძირითადად ცვლის ევროგაერთიანების დაარსების შესახებ ხელშეკრულების 220-ე მუხლს.

- მე-2 აბზაცის პირველი ქვეპუნქტი ძირითადად ცვლის ევროგაერთიანების დაარსების შესახებ ხელშეკრულების 221-ე მუხლის პირველ აბზაცს.

¹³ ევროკავშირის შესახებ აქამდე არსებული ხელშეკრულების მე-10 მუხლი შეიცავდა ევროპული ატომური გაერთიანების დაარსების შესახებ ხელშეკრულების ცვლილებების შესახებ დებულებებს. ამ მუხლში არსებული ცვლილებები ევროატომის ხელშეკრულებას დაემატა და მე-10 მუხლი გაუქმდა. ამ ნომრით სხვა დებულება დაინომრა.

¹⁴ ცვლის ასევე ევროგაერთიანების დაარსების შესახებ ხელშეკრულების მე-11 და მე-11ა მუხლებს.

მუხლი ი.17	მუხლი 27	გაუქმებულია
	მუხლები 27ა-27ე ⁽¹⁵⁾	მუხლი 20
მუხლი ი.18	მუხლი 28	მუხლი 41
მუხლი ი.7	მუხლი 17 (შეცვლილია)	მუხლი 42
		მუხლი 43
		მუხლი 44
		მუხლი 45
		მუხლი 46
თავი VI	თავი VI	გაუქმებულია ⁽¹⁶⁾
მუხლი კ.1	მუხლი 29 ⁽¹⁷⁾	
მუხლი კ.2	მუხლი 30 ⁽¹⁸⁾	
მუხლი კ.3	მუხლი 31 ⁽¹⁹⁾	
მუხლი კ.4	მუხლი 32 ⁽²⁰⁾	
მუხლი კ.5	მუხლი 33 ⁽²¹⁾	
მუხლი კ.6	მუხლი 34	გაუქმებულია
მუხლი კ.7	მუხლი 35	გაუქმებულია
მუხლი კ.8	მუხლი 36 ⁽²²⁾	
მუხლი კ.9	მუხლი 37	გაუქმებულია
მუხლი კ.10	მუხლი 38	გაუქმებულია
მუხლი კ.11	მუხლი 39	გაუქმებულია
მუხლი კ.12	მუხლი 40, 40ა, 40ბ ⁽²³⁾	მუხლი 20
მუხლი კ.13	მუხლი 41	გაუქმებულია
მუხლი კ.14	მუხლი 42	გაუქმებულია
თავი VII	თავი VII ⁽²⁴⁾	
მუხლი კ.15	მუხლი 43, 43ა, 43ბ	მუხლი 20
მუხლი კ.16	მუხლი 44, 44ა, 44	მუხლი 20
მუხლი კ.17	მუხლი 45	მუხლი 20
თავი VIII	თავი VIII	თავი VI
მუხლი ლ	მუხლი 46	გაუქმებულია
		მუხლი 47
მუხლი მ	მუხლი 47 (შეცვლილია)	მუხლი 40
მუხლი ნ	მუხლი 48	მუხლი 48
მუხლი ო	მუხლი 49	მუხლი 49

¹⁵ ევროკავშირის შესახებ აქამდე არსებული ხელშეკრულების 27ა-27ე მუხლები გაძლიერებული თანამშრომლობის შესახებ შეიცვალა ასევე ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 326-ე და 334-ე მუხლებით.

¹⁶ ევროკავშირის შესახებ აქამდე არსებული ხელშეკრულების VI თავის დებულებები სისხლის სამართლის საქმეებზე პოლიციური და იურიდიული თანამშრომლობის შესახებ იცვლება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მესამე ნაწილის, V თავის, პირველი, მე-4 და მე-5 კარის დებულებებით.

¹⁷ იცვლება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 67-ე მუხლით.

¹⁸ იცვლება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 87-ე და 88-ე მუხლებით.

¹⁹ იცვლება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 82-2, 83-ე და 85-ე მუხლებით.

²⁰ იცვლება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 89-ე მუხლით.

²¹ იცვლება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 72-ე მუხლით.

²² იცვლება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 71-ე მუხლით.

²³ ევროკავშირის შესახებ აქამდე არსებული ხელშეკრულების 40-40ბ მუხლები გაძლიერებული თანამშრომლობის შესახებ იცვლება ასევე ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 326-334 მუხლებით.

²⁴ ევროკავშირის შესახებ აქამდე არსებული ხელშეკრულების 43-45 მუხლები და VII თავი გაძლიერებული თანამშრომლობის შესახებ იცვლება ასევე ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 326-334 მუხლებით.

		მუხლი 50
		მუხლი 51
		მუხლი 52
მუხლი პ	მუხლი 50	გაუქმებულია
მუხლი ყ	მუხლი 51	მუხლი 53
მუხლი რ	მუხლი 52	მუხლი 54
მუხლი ს	მუხლი 53	მუხლი 55

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება

ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ხელშეკრულება	ამსტერდამის ხელშეკრულება	ლისაბონის ხელშეკრულება
ნაწილი პირველი	ნაწილი პირველი	ნაწილი პირველი
მუხლი 1	მუხლი 1	გაუქმებულია მუხლი 1
მუხლი 2	მუხლი 2	გაუქმებულია ⁽²⁵⁾ კარი I მუხლი 2 მუხლი 3 მუხლი 4 მუხლი 5 მუხლი 6 კარი II მუხლი 7
მუხლი 3	მუხლი 3, აბზ. 1	გაუქმებულია ⁽²⁶⁾
მუხლი 3	მუხლი 3, აბზ. 2	მუხლი 8
მუხლი 3ა	მუხლი 4	(შეცვლილია) მუხლი 119
მუხლი 3ბ	მუხლი 5	(შეცვლილია) ⁽²⁷⁾ მუხლი 9 მუხლი 10
მუხლი 3გ	მუხლი 6	მუხლი 11
მუხლი 129ა	მუხლი 153, აბზ. 2	(შეცვლილია) მუხლი 12 მუხლი 13 ⁽²⁸⁾
მუხლი 4	მუხლი 7	გაუქმებულია ⁽²⁹⁾
მუხლი 4ა	მუხლი 8	გაუქმებულია ⁽³⁰⁾
მუხლი 4ბ	მუხლი 9	გაუქმებულია
მუხლი 5	მუხლი 10	გაუქმებულია ⁽³¹⁾
მუხლი 5ა	მუხლი 11	(შეცვლილია) ⁽³²⁾ მუხლები 326-334

²⁵ ძირითადად ცვლის ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-3 მუხლი.

²⁶ ძირითადად ცვლის ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 3-6 მუხლები.

²⁷ შეცვლილია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-5 მუხლით.

²⁸ გადმოტანილია ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ პროტოკოლის მთავარი ნაწილი.

²⁹ ძირითადად ცვლის ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-13 მუხლი.

³⁰ ძირითადად ცვლის ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-13 მუხლი და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 282-ე მუხლის პირველი აბზაცი.

³¹ ძირითადად ცვლის ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-3 აბზაცი.

³² ასევე იცვლება ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-20 მუხლით.

	მუხლი 11ა		მუხლები 326-334
მუხლი 6	მუხლი 12	(შეცვლილია)	მუხლი 18
მუხლი 6ა	მუხლი 13	(შეცვლილია)	მუხლი 19
მუხლი 7ა	მუხლი 14	(შეცვლილია)	მუხლი 26
მუხლი 7გ	მუხლი 15	(შეცვლილია)	მუხლი 27
მუხლი 7დ	მუხლი 16		მუხლი 14
მუხლი 191ა	მუხლი 255	(შეცვლილია)	მუხლი 15
მუხლი 213ბ	მუხლი 286	(შეცვლილია)	მუხლი 16
			მუხლი 17
	ნაწილი მეორე		ნაწილი მეორე
მუხლი 6	მუხლი 12	(შეცვლილია)	მუხლი 18
მუხლი 6ა	მუხლი 13	(შეცვლილია)	მუხლი 19
მუხლი 8	მუხლი 17		მუხლი 20
მუხლი 8ა	მუხლი 18		მუხლი 21
მუხლი 8ბ	მუხლი 19		მუხლი 22
მუხლი 8გ	მუხლი 20		მუხლი 23
მუხლი 8დ	მუხლი 21		მუხლი 24
მუხლი 8ე	მუხლი 22		მუხლი 25
	ნაწილი მესამე		ნაწილი მესამე
			კარი I
მუხლი 7ა ^a	მუხლი 14	(შეცვლილია)	მუხლი 26
მუხლი 7გ	მუხლი 15	(შეცვლილია)	მუხლი 27
	კარი I		კარი II
მუხლი 9	მუხლი 23		მუხლი 28
მუხლი 10	მუხლი 24		მუხლი 29
	კარი 1		თავი 1
მუხლი 12	მუხლი 25		მუხლი 30
მუხლი 28	მუხლი 26		მუხლი 31
მუხლი 29	მუხლი 27		მუხლი 32
			თავი 2
მუხლი 116	მუხლი 135	(შეცვლილია)	მუხლი 33
			თავი 3
მუხლი 30	მუხლი 28		მუხლი 34
მუხლი 34	მუხლი 29		მუხლი 35
მუხლი 36	მუხლი 30		მუხლი 36
მუხლი 37	მუხლი 31		მუხლი 37
			თავი III
მუხლი 38	მუხლი 32		მუხლი 38
მუხლი 39	მუხლი 33		მუხლი 39
მუხლი 40	მუხლი 34		მუხლი 40
მუხლი 41	მუხლი 35		მუხლი 41
მუხლი 42	მუხლი 36		მუხლი 42
მუხლი 43	მუხლი 37		მუხლი 43
მუხლი 46	მუხლი 38		მუხლი 44
			კარი IV
	თავი 1		თავი 1
მუხლი 48	მუხლი 39		მუხლი 45
მუხლი 49	მუხლი 40		მუხლი 46

მუხლი 50	მუხლი 41	მუხლი 47
მუხლი 51	მუხლი 42	მუხლი 48
	თავი 2	თავი 2
მუხლი 52	მუხლი 43	მუხლი 49
მუხლი 54	მუხლი 44	მუხლი 50
მუხლი 55	მუხლი 45	მუხლი 51
მუხლი 56	მუხლი 46	მუხლი 52
მუხლი 57	მუხლი 47	მუხლი 53
მუხლი 58	მუხლი 48	მუხლი 54
მუხლი 221	მუხლი 294 (შეცვლილია)	მუხლი 55
	თავი 3	თავი 3
მუხლი 59	მუხლი 49	მუხლი 56
მუხლი 60	მუხლი 50	მუხლი 57
მუხლი 61	მუხლი 51	მუხლი 58
მუხლი 63	მუხლი 52	მუხლი 59
მუხლი 64	მუხლი 53	მუხლი 60
მუხლი 65	მუხლი 54	მუხლი 61
მუხლი 66	მუხლი 55	მუხლი 62
	თავი 4	თავი 4
მუხლი 73ბ	მუხლი 56	მუხლი 63
მუხლი 73გ	მუხლი 57	მუხლი 64
მუხლი 73დ	მუხლი 58	მუხლი 65
მუხლი 73ვ	მუხლი 59	მუხლი 66
მუხლი 73ზ	მუხლი 60 (შეცვლილია)	მუხლი 75
	კარი IV	კარი V
		თავი 1
მუხლი 73ი	მუხლი 61	მუხლი 67 ⁽³³⁾
		მუხლი 68
		მუხლი 69
		მუხლი 70
		მუხლი 71 ⁽³⁴⁾
მუხლი 73მ	მუხლი 64 აბზ.1 (შეცვლილია)	მუხლი 72 ⁽³⁵⁾
		მუხლი 73
მუხლი 73ო	მუხლი 66 (შეცვლილია)	მუხლი 74 ^o
მუხლი 73პ	მუხლი 60 (შეცვლილია)	მუხლი 75
		მუხლი 76
		თავი 2
მუხლი 73კ	მუხლი 62	მუხლი 77
მუხლი 73ლ	მუხლი 63, 1 და 2 პუნქტები, მუხლი 64, აბზ. 2 ⁽³⁶⁾	მუხლი 78
მუხლი 73მ	მუხლი 63, 3 და 4 პუნქტები	მუხლი 79
		მუხლი 80
მუხლი 73ნ	მუხლი 64, აბზ. 1(შეცვლილია)	მუხლი 72

³³ ცვლის ასევე ევროკავშირის შესახებ აქამდე არსებული ხელშეკრულების 29-ე მუხლს.

³⁴ ცვლის ასევე ევროკავშირის შესახებ აქამდე არსებული ხელშეკრულების 36-ე მუხლს.

³⁵ ცვლის ასევე ევროკავშირის შესახებ აქამდე არსებული ხელშეკრულების 33-ე მუხლს.

³⁶ ევროგაერთიანების დაარსების შესახებ ხელშეკრულების 63-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები იცვლება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 78-ე მუხლის პირველი და მე-2 აბზაცებით, ხოლო 64-ე მუხლის მე-2 აბზაცი იცვლება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 78-ე მუხლის მე-3 აბზაცით.

		თავი 3
მუხლი 736	მუხლი 65	მუხლი 81
მუხლი 73°	მუხლი 66	მუხლი 74
მუხლი 73პ	მუხლი 67	გაუქმებულია
მუხლი 73ჟ	მუხლი 68	გაუქმებულია
მუხლი 73რ	მუხლი 69	გაუქმებულია
		თავი 4
		მუხლი 82 ⁽³⁷⁾
		მუხლი 83 ⁽³⁷⁾
		მუხლი 84
		მუხლი 85 ⁽³⁷⁾
		მუხლი 86
		თავი 5
		მუხლი 87 ⁽³⁸⁾
		მუხლი 88 ⁽³⁸⁾
		მუხლი 89 ⁽³⁹⁾
	კარი V	კარი VI
მუხლი 74	მუხლი 70	მუხლი 90
მუხლი 75	მუხლი 71	მუხლი 91
მუხლი 76	მუხლი 72	მუხლი 92
მუხლი 77	მუხლი 73	მუხლი 93
მუხლი 78	მუხლი 74	მუხლი 94
მუხლი 79	მუხლი 75	მუხლი 95
მუხლი 80	მუხლი 76	მუხლი 96
მუხლი 81	მუხლი 77	მუხლი 97
მუხლი 82	მუხლი 78	მუხლი 98
მუხლი 83	მუხლი 79	მუხლი 99
მუხლი 84	მუხლი 80	მუხლი 100
	კარი VI	კარი VII
	თავი 1	თავი 1
	ქვეთავი 1	ქვეთავი 1
მუხლი 85	მუხლი 81	მუხლი 101
მუხლი 86	მუხლი 82	მუხლი 102
მუხლი 87	მუხლი 83	მუხლი 103
მუხლი 88	მუხლი 84	მუხლი 104
მუხლი 89	მუხლი 85	მუხლი 105
მუხლი 90	მუხლი 86	მუხლი 106
	ქვეთავი 2	ქვეთავი 2
მუხლი 92	მუხლი 87	მუხლი 107
მუხლი 93	მუხლი 88	მუხლი 108
მუხლი 94	მუხლი 89	მუხლი 109
	თავი 2	თავი 2
მუხლი 95	მუხლი 90	მუხლი 110
მუხლი 96	მუხლი 91	მუხლი 111
მუხლი 98	მუხლი 92	მუხლი 112

³⁷ ცვლის ასევე ევროკავშირის შესახებ აქამდე არსებული ხელშეკრულების 31-ე მუხლს.

³⁸ ცვლის ასევე ევროკავშირის შესახებ აქამდე არსებული ხელშეკრულების 30-ე მუხლს.

³⁹ ცვლის ასევე ევროკავშირის შესახებ აქამდე არსებული ხელშეკრულების 32-ე მუხლს.

მუხლი 99	მუხლი 93	მუხლი 113
	თავი 3	თავი 3
მუხლი 100 ^a	მუხლი 95 (შეცვლილია)	მუხლი 114
მუხლი 100	მუხლი 94 (შეცვლილია)	მუხლი 115
მუხლი 101	მუხლი 96	მუხლი 116
მუხლი 102	მუხლი 97	მუხლი 117
		მუხლი 118
	კარი VII	კარი VIII
მუხლი 3ა	მუხლი 4 (შეცვლილია)	მუხლი 119
	თავი 1	თავი 1
მუხლი 102ა	მუხლი 98	მუხლი 120
მუხლი 103	მუხლი 99	მუხლი 121
მუხლი 103ა	მუხლი 100	მუხლი 122
მუხლი 104	მუხლი 101	მუხლი 123
მუხლი 104ა	მუხლი 102	მუხლი 124
მუხლი 104ბ	მუხლი 103	მუხლი 125
მუხლი 104გ	მუხლი 104	მუხლი 126
	თავი 2	თავი 2
მუხლი 105	მუხლი 105	მუხლი 127
მუხლი 105ა	მუხლი 106	მუხლი 128
მუხლი 106	მუხლი 107	მუხლი 129
მუხლი 107	მუხლი 108	მუხლი 130
მუხლი 108	მუხლი 109	მუხლი 131
მუხლი 108ა	მუხლი 110	მუხლი 132
მუხლი 109	მუხლი 111, აბზ. 1-3 და 5 (შეცვლილია)	მუხლი 219
მუხლი 109	მუხლი 111, აბზ. 4 (შეცვლილია)	მუხლი 138
		მუხლი 133
	თავი 3	თავი 3
მუხლი 109ა	მუხლი 112 (შეცვლილია)	მუხლი 283
მუხლი 109ბ	მუხლი 113 (შეცვლილია)	მუხლი 284
მუხლი 109გ	მუხლი 114	მუხლი 134
მუხლი 109დ	მუხლი 115	მუხლი 135
		თავი 4
		მუხლი 136
		მუხლი 137
	მუხლი 111, აბზ. 4 (შეცვლილია)	მუხლი 138
	თავი 4	თავი 5
მუხლი 109ე	მუხლი 116	გაუქმებულია
		მუხლი 139
მუხლი 109ვ	მუხლი 117, აბზ. 1, 2 მე-6 წინ., 3-9	გაუქმებულია
მუხლი 109კ	მუხლი 121 აბზ. 1 (შეცვლილია)	მუხლი 140 ⁽⁴⁰⁾
მუხლი 109ლ	მუხლი 122 აბზ. 2 წინ.2 (შეცვლილია)	მუხლი 140
მუხლი 109მ	მუხლი 123 აბზ. 5 (შეცვლილია)	მუხლი 140
მუხლი 109ზ	მუხლი 118	გაუქმებულია
მუხლი 109წ	მუხლი 123 აბზ. 3 (შეცვლილია)	მუხლი 141 ⁽⁴¹⁾

⁴⁰ - 140-ე მუხლის პირველი აბზაცი იმეორებს 121-ე მუხლის შინაარსს.

- 140-ე მუხლის მე-2 აბზაცი იმეორებს 122-ე მუხლის მე-2 აბზაცის მე-2 წინადადებას.

⁴¹ - 141-ე მუხლის პირველი აბზაცი იმეორებს 123-ე მუხლის მე-3 აბზაცის შინაარსს.

- 141-ე მუხლის მე-2 აბზაცი იმეორებს 117-ე მუხლის პირველ ხუთ წინადადებას.

მუხლი 109ვ	მუხლი 117 აბზ. 2 (შეცვლილია)	მუხლი 141
მუხლი 109ფ	მუხლი 124 აბზ. 1 (შეცვლილია)	მუხლი 142
მუხლი 109თ	მუხლი 119	მუხლი 143
მუხლი 109ი	მუხლი 120	მუხლი 144
მუხლი 109კ	მუხლი 121 აბზ. 1 (შეცვლილია)	მუხლი 140 აბზ.1
მუხლი 109კ	მუხლი 121, აბზ. 2-4	გაუქმებულია
მუხლი 109ლ	მუხლი 122 აბზ. 1-6	გაუქმებულია
მუხლი 109ლ	მუხლი 122 აბზ. 2 ნინ. 2 (შეცვლილია)	მუხლი 140 აბზ. 2 ქვეპუნქ.1
მუხლი 109მ	მუხლი 123 აბზ. 1, 2 და 4	გაუქმებულია
მუხლი 109მ	მუხლი 123 აბზ. 3 (შეცვლილია)	მუხლი 141 აბზ.1
მუხლი 109მ	მუხლი 123 აბზ. 5 (შეცვლილია)	მუხლი 140 აბზ.3
მუხლი 109ნ	მუხლი 124 აბზ. 1 (შეცვლილია)	მუხლი 142
მუხლი 109ნ	მუხლი 124 აბზ. 2	გაუქმებულია
	კარი VIII	კარი IX
მუხლი 109ო	მუხლი 125	მუხლი 145
მუხლი 109პ	მუხლი 126	მუხლი 146
მუხლი 109ჟ	მუხლი 127	მუხლი 147
მუხლი 109რ	მუხლი 128	მუხლი 148
მუხლი 109ს	მუხლი 129	მუხლი 149
მუხლი 109ტ	მუხლი 130	მუხლი 150
	კარი IX	მეხუთე ნაწილი კარი II
მუხლი 110	მუხლი 131 (შეცვლილია)	მუხლი 206
მუხლი 112	მუხლი 132 (შეცვლილია)	
მუხლი 113	მუხლი 133 (შეცვლილია)	მუხლი 207
მუხლი 115	მუხლი 134	გაუქმებულია
	კარი X	მესამე ნაწილი კარი II, თავი 2
მუხლი 116	მუხლი 135 (შეცვლილია)	მუხლი 33
	კარი XI	კარი X
მუხლი 117	მუხლი 136	მუხლი 151 მუხლი 152
მუხლი 118	მუხლი 137	მუხლი 153
მუხლი 118ა	მუხლი 138	მუხლი 154
მუხლი 118ბ	მუხლი 139	მუხლი 155
მუხლი 118გ	მუხლი 140	მუხლი 156
მუხლი 119	მუხლი 141	მუხლი 157
მუხლი 119ა	მუხლი 142	მუხლი 158
მუხლი 120	მუხლი 143	მუხლი 159
მუხლი 121	მუხლი 144	მუხლი 160
მუხლი 122	მუხლი 145	მუხლი 161
	თავი 2	კარი XI
მუხლი 123	მუხლი 146	მუხლი 162
მუხლი 124	მუხლი 147	მუხლი 163
მუხლი 125	მუხლი 148	მუხლი 164
	თავი 3	კარი XII
მუხლი 126	მუხლი 149	მუხლი 165

მუხლი 127	მუხლი 150	მუხლი 166
	კარი XII	კარი XIII
მუხლი 128	მუხლი 151	მუხლი 167
	კარი XIII	კარი XIV
მუხლი 129	მუხლი 152	მუხლი 168
	კარი XIV	კარი XV
მუხლი 129ა	მუხლი 153, აბზ. 1, 3, 4 და 5	მუხლი 169
მუხლი 129ა	მუხლი 153 აბზ. 2 (შეცვლილია)	მუხლი 12
	კარი XV	კარი XVI
მუხლი 129ბ	მუხლი 154	მუხლი 170
მუხლი 129გ	მუხლი 155	მუხლი 171
მუხლი 129დ	მუხლი 156	მუხლი 172
	კარი XVI	კარი XVII
მუხლი 130ა	მუხლი 158	მუხლი 174
მუხლი 130ბ	მუხლი 159	მუხლი 175
მუხლი 130გ	მუხლი 160	მუხლი 176
მუხლი 130დ	მუხლი 161	მუხლი 177
მუხლი 130ე	მუხლი 162	მუხლი 178
	კარი XVIII	კარი XIX
მუხლი 130ვ	მუხლი 163	მუხლი 179
მუხლი 130ზ	მუხლი 164	მუხლი 180
მუხლი 130თ	მუხლი 165	მუხლი 181
მუხლი 130ი	მუხლი 166	მუხლი 182
მუხლი 130კ	მუხლი 167	მუხლი 183
მუხლი 130ლ	მუხლი 168	მუხლი 184
მუხლი 130მ	მუხლი 169	მუხლი 185
მუხლი 130ნ	მუხლი 170	მუხლი 186
მუხლი 130ო	მუხლი 171	მუხლი 187
მუხლი 130პ	მუხლი 172	მუხლი 188
		მუხლი 189
მუხლი 130ყ	მუხლი 173	მუხლი 190
	კარი XIX	კარი XX
მუხლი 130ს	მუხლი 174	მუხლი 191
მუხლი 130ტ	მუხლი 175	მუხლი 192
მუხლი 130უ	მუხლი 176	მუხლი 193
		კარი XXI
		მუხლი 194
		კარი XXII
		მუხლი 195
		კარი XXIII
		მუხლი 196
		კარი XXIV
		მუხლი 197
	კარი XX	მუხუთე ნაწილი
		კარი III თავი 1
მუხლი 130ფ	მუხლი 177 (შეცვლილია)	მუხლი 208
მუხლი 130ქ	მუხლი 178	გაუქმებულია ⁽⁴²⁾

⁴² ძირითადად შეცვლილია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 208-ე მუხლის პირველი აბზაცის მე-2 ქვეპუნქტის მე-2 წინადადებით.

მუხლი 130ღ	მუხლი 179 (შეცვლილია)	მუხლი 209
მუხლი 130ყ	მუხლი 180 (შეცვლილია)	მუხლი 210
მუხლი 130შ	მუხლი 181 (შეცვლილია)	მუხლი 211
	კარი XXI	მეოთხე ნაწილი კარი III თავი 2
	მუხლი 181ა (შეცვლილია)	მუხლი 212
	მეოთხე ნაწილი	მეოთხე ნაწილი
მუხლი 131	მუხლი 182	მუხლი 198
მუხლი 132	მუხლი 183	მუხლი 199
მუხლი 133	მუხლი 184	მუხლი 200
მუხლი 134	მუხლი 185	მუხლი 201
მუხლი 135	მუხლი 186	მუხლი 202
მუხლი 136	მუხლი 187	მუხლი 203
მუხლი 136ა	მუხლი 188	მუხლი 204
		მეხუთე ნაწილი კარი I
		მუხლი 205
	მესამე ნაწილი კარი IX	კარი II
მუხლი 110	მუხლი 131 (შეცვლილია)	მუხლი 206
მუხლი 113	მუხლი 133 (შეცვლილია)	მუხლი 207
		კარი III თავი I
მუხლი 130ფ	მუხლი 177 (შეცვლილია)	მუხლი 208 ⁽⁴³⁾
მუხლი 130ღ	მუხლი 179 (შეცვლილია)	მუხლი 209
მუხლი 130ყ	მუხლი 180 (შეცვლილია)	მუხლი 210
მუხლი 130შ	მუხლი 181 (შეცვლილია)	მუხლი 211
		თავი 2
	მუხლი 181ა (შეცვლილია)	მუხლი 212
		მუხლი 213
		თავი 3
		მუხლი 214
		კარი IV
მუხლი 228ა	მუხლი 301 (შეცვლილია)	მუხლი 215
		კარი V
		მუხლი 216
მუხლი 238	მუხლი 310 (შეცვლილია)	მუხლი 217
მუხლი 228	მუხლი 300 (შეცვლილია)	მუხლი 218
მუხლი 5ა	მუხლი 11 აბზ. 1-3 და 5 (შეცვლილია)	მუხლი 219
		კარი VI
მუხლი 229-231	მუხლი 302-304 (შეცვლილია)	მუხლი 220
		მუხლი 221
		კარი VII
		მუხლი 222
	მეხუთე ნაწილი	მეექვსე ნაწილი
	კარი I	კარი I

⁴³ პირველი აბზაცის მე-2 ქვეპუნქტის მე-2 წინადადება ძირითადად ცვლის ევროგაერთიანების დაარსების შესახებ ხელშეკრულების 178-ე მუხლს.

	თავი 2	თავი 1
	ქვეთავი 1	ქვეთავი 1
მუხლი 137	მუხლი 189	გაუქმებულია ⁽⁴⁴⁾
მუხლი 138	მუხლი 190 აბზ. 1-3	გაუქმებულია ⁽⁴⁵⁾
მუხლი 138	მუხლი 190 აბზ. 4-5	მუხლი 223
მუხლი 138ა	მუხლი 191 აბზ. 1	გაუქმებულია ⁽⁴⁶⁾
მუხლი 138ა	მუხლი 191 აბზ. 2	მუხლი 224
მუხლი 138ბ	მუხლი 192 აბზ. 1	გაუქმებულია ⁽⁴⁷⁾
მუხლი 138ბ	მუხლი 192 აბზ. 2	მუხლი 225
მუხლი 138გ	მუხლი 193	მუხლი 226
მუხლი 138დ	მუხლი 194	მუხლი 227
მუხლი 138ე	მუხლი 195	მუხლი 228
მუხლი 139	მუხლი 196	მუხლი 229
მუხლი 140	მუხლი 197 აბზ. 1	გაუქმებულია ⁽⁴⁸⁾
მუხლი 140	მუხლი 197 აბზ. 2, 3 და 4	მუხლი 230
მუხლი 141	მუხლი 198	მუხლი 231
მუხლი 142	მუხლი 199	მუხლი 232
მუხლი 143	მუხლი 200	მუხლი 233
მუხლი 144	მუხლი 201	მუხლი 234
		ქვეთავი 2
		მუხლი 235
		მუხლი 236
	ქვეთავი 2	ქვეთავი 3
მუხლი 145	მუხლი 202	გაუქმებულია ⁽⁴⁹⁾
მუხლი 146	მუხლი 203	გაუქმებულია ⁽⁵⁰⁾
მუხლი 147	მუხლი 204	მუხლი 237
მუხლი 148	მუხლი 205 აბზ. 2, 4	გაუქმებულია ⁽⁵¹⁾
მუხლი 148	მუხლი 205 აბზ. 1 და 3	მუხლი 238
მუხლი 150	მუხლი 206	მუხლი 239
მუხლი 151	მუხლი 207	მუხლი 240
მუხლი 152	მუხლი 208	მუხლი 241
მუხლი 153	მუხლი 209	მუხლი 242
მუხლი 154	მუხლი 210	მუხლი 243
	ქვეთავი 3	ქვეთავი 4
მუხლი 155	მუხლი 211	გაუქმებულია ⁽⁵²⁾
		მუხლი 244
მუხლი 156	მუხლი 212 (შეცვლილია)	მუხლი 249 აბზ.2
მუხლი 157	მუხლი 213	მუხლი 245
მუხლი 158	მუხლი 214	გაუქმებულია ⁽⁵³⁾

⁴⁴ ძირითადად შეცვლილია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-14 მუხლის პირველი და მე-2 აბზაცებით.

⁴⁵ ძირითადად შეცვლილია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-14 მუხლის 1-3 აბზაცებით.

⁴⁶ ძირითადად შეცვლილია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-11 მუხლის მე-4 აბზაცით.

⁴⁷ ძირითადად შეცვლილია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-14 მუხლის პირველი აბზაცით.

⁴⁸ ძირითადად შეცვლილია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-14 მუხლის მე-4 აბზაცით.

⁴⁹ ძირითადად შეცვლილია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-16 მუხლის პირველი აბზაცითა და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 290-ე და 291-ე მუხლებით.

⁵⁰ ძირითადად შეცვლილია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-16 მუხლის მე-2 და მე-9 მუხლებით.

⁵¹ ძირითადად შეცვლილია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-16 მუხლის მე-4 და მე-5 აბზაცებით.

⁵² ძირითადად შეცვლილია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-17 მუხლის პირველი აბზაცით.

⁵³ ძირითადად შეცვლილია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-17 მუხლის მე-3 და მე-7 აბზაცებით.

მუხლი 159	მუხლი 215	მუხლი 246
მუხლი 160	მუხლი 216	მუხლი 247
მუხლი 161	მუხლი 217 აბზ. 1, 2 და 3	გაუქმებულია ⁽⁵⁴⁾
მუხლი 161	მუხლი 217 აბზ. 2	მუხლი 248
მუხლი 162	მუხლი 218 აბზ. 1	გაუქმებულია ⁽⁵⁵⁾
მუხლი 162	მუხლი 218 აბზ. 2	მუხლი 249
მუხლი 163	მუხლი 219	მუხლი 250
	ქვეთავი 4	ქვეთავი 5
მუხლი 164	მუხლი 220	გაუქმებულია ⁽⁵⁶⁾
მუხლი 165	მუხლი 221 აბზ. 1	გაუქმებულია ⁽⁵⁷⁾
მუხლი 165	მუხლი 221 აბზ. 2 და 3	მუხლი 251
მუხლი 166	მუხლი 222	მუხლი 252
მუხლი 167	მუხლი 223	მუხლი 253
მუხლი 168	მუხლი 224 ⁽⁵⁸⁾	მუხლი 254
		მუხლი 255
მუხლი 168ა	მუხლი 225	მუხლი 256
	მუხლი 225ა	მუხლი 257
მუხლი 169	მუხლი 226	მუხლი 258
მუხლი 170	მუხლი 227	მუხლი 259
მუხლი 171	მუხლი 228	მუხლი 260
მუხლი 172	მუხლი 229	მუხლი 261
	მუხლი 229ა	მუხლი 262
მუხლი 173	მუხლი 230	მუხლი 263
მუხლი 174	მუხლი 231	მუხლი 264
მუხლი 175	მუხლი 232	მუხლი 265
მუხლი 176	მუხლი 233	მუხლი 266
მუხლი 177	მუხლი 234	მუხლი 267
მუხლი 178	მუხლი 235	მუხლი 268
		მუხლი 269
მუხლი 179	მუხლი 236	მუხლი 270
მუხლი 180	მუხლი 237	მუხლი 271
მუხლი 181	მუხლი 238	მუხლი 272
მუხლი 182	მუხლი 239	მუხლი 273
მუხლი 183	მუხლი 240	მუხლი 274
		მუხლი 275
		მუხლი 276
მუხლი 184	მუხლი 241	მუხლი 277
მუხლი 185	მუხლი 242	მუხლი 278
მუხლი 186	მუხლი 243	მუხლი 279
მუხლი 187	მუხლი 244	მუხლი 280
მუხლი 188	მუხლი 245	მუხლი 281
		ქვეთავი 6

⁵⁴ ძირითადად შეცვლილია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-17 მუხლი მე-6 აბზაცით.

⁵⁵ ძირითადად შეცვლილია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 295-ე მუხლით.

⁵⁶ ძირითადად შეცვლილია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-19 მუხლით.

⁵⁷ ძირითადად შეცვლილია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-19 მუხლი მე-2 აბზაცის პირველი ქვეპუნქტი.

⁵⁸ პირველი აბზაცის პირველი წინადადებას ძირითადად ცვლის ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-19 მუხლის მე-2 აბზაცის მეორე ქვეპუნქტი.

		მუხლი 282
მუხლი 109ა	მუხლი 112	მუხლი 283
მუხლი 109ბ	მუხლი 113 (შეცვლილია)	მუხლი 184
	ქვეთავი 5	ქვეთავი 7
მუხლი 188ა	მუხლი 246	მუხლი 285
მუხლი 188ბ	მუხლი 247	მუხლი 286
მუხლი 188გ	მუხლი 248	მუხლი 287
	თავი 2	თავი 2
		ქვეთავი 1
მუხლი 189	მუხლი 249	მუხლი 288
		მუხლი 289
		მუხლი 290 ⁽⁵⁹⁾
		მუხლი 291 ⁽⁵⁹⁾
		მუხლი 292
		ქვეთავი 2
მუხლი 189ა	მუხლი 250	მუხლი 293
მუხლი 189ბ	მუხლი 251	მუხლი 294
მუხლი 189გ	მუხლი 252	გაუქმებულია
		მუხლი 295
მუხლი 190	მუხლი 253	მუხლი 296
მუხლი 191	მუხლი 254	მუხლი 297
		მუხლი 298
მუხლი 191ა	მუხლი 255 (შეცვლილია)	მუხლი 15
მუხლი 192	მუხლი 256	მუხლი 299
		თავი 3
		მუხლი 300
	თავი 3	ქვეთავი 1
მუხლი 193	მუხლი 257	გაუქმებულია ⁽⁶⁰⁾
მუხლი 194	მუხლი 258, აბზ. 1, 2 და 4	მუხლი 301
მუხლი 194	მუხლი 258 აბზ. 3	გაუქმებულია ⁽⁶¹⁾
მუხლი 195	მუხლი 259	მუხლი 302
მუხლი 196	მუხლი 260	მუხლი 303
მუხლი 197	მუხლი 261	გაუქმებულია
მუხლი 198	მუხლი 262	მუხლი 304
	თავი 4	ქვეთავი 2
მუხლი 198ა	მუხლი 263, აბზ.1 და 5	გაუქმებულია ⁽⁶²⁾
მუხლი 198ა	მუხლი 263 აბზ. 2-4	მუხლი 305
მუხლი 198ბ	მუხლი 264	მუხლი 306
მუხლი 198გ	მუხლი 265	მუხლი 307
	თავი 5	თავი 4
მუხლი 198დ	მუხლი 266	მუხლი 308

⁵⁹ ძირითადად ცვლის ევროგაერთიანების დარსების შესახებ ხელშეკრულების 202-ე მუხლის მესამე წინადადებას.

⁶⁰ ძირითადად შეცვლილია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 300-ე მუხლის მე-2 აბზაციით.

⁶¹ ძირითადად შეცვლილია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მე-300 მუხლის მე-4 აბზაციით.

⁶² ძირითადად შეცვლილია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მე-300 მუხლის მე-3 და მე-4 აბზაციებით.

მუხლი 198ე	მუხლი 267	მუხლი 309
	კარი II	კარი II
მუხლი 199	მუხლი 268	მუხლი 310
		თავი 1
მუხლი 201	მუხლი 269	მუხლი 311
მუხლი 201ა	მუხლი 270	გაუქმებულია ⁽⁶³⁾
		თავი 2
		მუხლი 312
		თავი 3
მუხლი 203	მუხლი 272 აბზ. 1 (შეცვლილია)	მუხლი 313
მუხლი 202	მუხლი 27 (შეცვლილია)	მუხლი 316
მუხლი 203	მუხლი 272 აბზ. 1 (შეცვლილია)	მუხლი 313
მუხლი 203	მუხლი 272 აბზ. 2-10	მუხლი 314
მუხლი 204	მუხლი 273	მუხლი 315
მუხლი 202	მუხლი 271 (შეცვლილია)	მუხლი 316
		თავი 4
მუხლი 205	მუხლი 274	მუხლი 317
მუხლი 205ა	მუხლი 275	მუხლი 318
მუხლი 206	მუხლი 276	მუხლი 319
		თავი 5
მუხლი 207	მუხლი 277	მუხლი 320
მუხლი 208	მუხლი 278	მუხლი 321
მუხლი 209	მუხლი 279	მუხლი 322
		მუხლი 323
		მუხლი 324
		თავი 6
მუხლი 209ა	მუხლი 280	მუხლი 325
		კარი III
მუხლი 5ა	მუხლი 11 და 11ა (შეცვლილია)	მუხლი 326 ⁽⁶⁴⁾
მუხლი 5ა	მუხლი 11 და 11ა (შეცვლილია)	მუხლი 327 ⁽⁶⁴⁾
მუხლი 5ა	მუხლი 11 და 11ა (შეცვლილია)	მუხლი 328 ⁽⁶⁴⁾
მუხლი 5ა	მუხლი 11 და 11ა (შეცვლილია)	მუხლი 329 ⁽⁶⁴⁾
მუხლი 5ა	მუხლი 11 და 11ა (შეცვლილია)	მუხლი 330 ⁽⁶⁴⁾
მუხლი 5ა	მუხლი 11 და 11ა (შეცვლილია)	მუხლი 331 ⁽⁶⁴⁾
მუხლი 5ა	მუხლი 11 და 11ა (შეცვლილია)	მუხლი 332 ⁽⁶⁴⁾
მუხლი 5ა	მუხლი 11 და 11ა (შეცვლილია)	მუხლი 333 ⁽⁶⁴⁾
მუხლი 5ა	მუხლი 11 და 11ა (შეცვლილია)	მუხლი 334 ⁽⁶⁴⁾
	მეექვსე ნაწილი	მეშვიდე ნაწილი
მუხლი 210	მუხლი 281	გაუქმებულია ⁽⁶⁵⁾
მუხლი 211	მუხლი 282	მუხლი 335
მუხლი 212	მუხლი 283	მუხლი 336
მუხლი 213	მუხლი 284	მუხლი 337
მუხლი 213ა	მუხლი 285	მუხლი 338

⁶³ ძირითადად შეცვლილია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 310-ე მუხლის მე-4 აბზაციით.

⁶⁴ ცვლის ასევე ევროკავშირის შესახებ აქამდე არსებული ხელშეკრულების 27ა-27ე, 40-40ბ და 43-45-ე მუხლებს.

⁶⁵ ძირითადად შეცვლილია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 47-ე მუხლით.

მუხლი 213ბ	მუხლი 286 (შეცვლილია)	მუხლი 16
მუხლი 214	მუხლი 287	მუხლი 339
მუხლი 215	მუხლი 288	მუხლი 340
მუხლი 216	მუხლი 289	მუხლი 341
მუხლი 217	მუხლი 290	მუხლი 342
მუხლი 218	მუხლი 291	მუხლი 343
მუხლი 219	მუხლი 292	მუხლი 344
მუხლი 220	მუხლი 293	გაუქმებულია
მუხლი 221	მუხლი 294 (შეცვლილია)	მუხლი 55
მუხლი 222	მუხლი 295	მუხლი 345
მუხლი 223	მუხლი 296	მუხლი 346
მუხლი 224	მუხლი 297	მუხლი 347
მუხლი 225	მუხლი 298	მუხლი 348
მუხლი 227	მუხლი 299 აბზ. 1	გაუქმებულია ⁽⁶⁶⁾
მუხლი 227	მუხლი 299 აბზ.2 ქვეპ. 2-4	მუხლი 349
მუხლი 277	მუხლი 299 აბზ.2 ქვეპ.1, აბზ.3-6 (შეცვლილია)	მუხლი 355
მუხლი 228	მუხლი 300 (შეცვლილია)	მუხლი 218
მუხლი 228ა	მუხლი 301 (შეცვლილია)	მუხლი 215
მუხლი 229	მუხლი 302 (შეცვლილია)	მუხლი 220
მუხლი 230	მუხლი 303 (შეცვლილია)	მუხლი 220
მუხლი 231	მუხლი 304 (შეცვლილია)	მუხლი 220
მუხლი 232	მუხლი 305	გაუქმებულია
მუხლი 233	მუხლი 306	მუხლი 350
მუხლი 234	მუხლი 307	მუხლი 351
მუხლი 235	მუხლი 308	მუხლი 352
		მუხლი 353
მუხლი 236	მუხლი 309	მუხლი 354
მუხლი 238	მუხლი 310 (შეცვლილია)	მუხლი 217
მუხლი 239	მუხლი 311	გაუქმებულია ⁽⁶⁷⁾
მუხლი 227	მუხლი 299 აბზ.2 ქვეპ. 1 აბზ. 3-6 (შეცვლილია)	მუხლი 356
მუხლი 240	მუხლი 312	მუხლი 356
	დასკვნითი დებულებები	
მუხლი 247	მუხლი 313	მუხლი 357
		მუხლი 358
მუხლი 248	მუხლი 314	გაუქმებულია ⁽⁶⁸⁾

⁶⁶ ძირითადად შეცვლილია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 52-ე მუხლით.

⁶⁷ ძირითადად შეცვლილია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 51-ე მუხლით.

⁶⁸ ძირითადად შეცვლილია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 55-ე მუხლით.

ევროკავშირის სასამართლო გადაწყვეტილებების სარჩევი

A	
1. Accession by the Community to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms; Opinion 2/94; Opinion of the Court of 28 March 1996; European Court reports 1996 Page I-01759.	12
2. Amministrazione delle Finanze dello Stato v Simmenthal SpA; Case 106/77; Judgment of the Court of 9 March 1978; European Court reports 1978 Page 00629	23
3. Amministrazione delle finanze dello Stato v Ariete SpA.; Case 811/79; Judgment of the Court (Third Chamber) of 10 July 1980; European Court reports 1980 Page 02545.	24
4. Acciaierie San Michele SpA (in liquidation) v High Authority of the ECSC. - Case 9-65; Order of the Court of 22 June 1965; European Court reports English special edition Page 00027.	35
5. A. Foster and others v British Gas plc; Case C-188/89; Judgment of the Court of 12 July 1990; European Court reports 1990 Page I-03313.	53
6. Andrea Francovich and Danila Bonifaci and others v Italian Republic; Joined cases C-6/90 and C-9/90; Judgment of the Court of 19 November 1991; European Court reports 1991 Page I-05357.	66
7. Arbeiterwohlfahrt der Stadt Berlin e.V. v Monika Bötel; Case C-360/90; Judgment of the Court (Sixth Chamber) of 4 June 1992; European Court reports 1992 Page I-03589.	98
8. ASBL Vereniging van Vlaamse Reisbureaus v ASBL Sociale Dienst van de Plaatselijke en Gewestelijke Overheidsdiensten; Case 311/85; Judgment of the Court of 1 October 1987; European Court reports 1987 Page 03801.	165,418
9. Association des Centres distributeurs Édouard Leclerc and others v SARL “Au blé vert” and others; Case 229/83; Judgment of the Court of 10 January 1985; European Court reports 1985 Page 00001.	181
10. Augustin Oyowe and Amadou Traore v Commission of the European Communities; Case C-100/88; Judgment of the Court (Second Chamber) of 13 December 1989; European Court reports 1989 Page 04285.	158
11. Alexander Dory and Bundesrepublik Deutschland; Case C-186/01; Judgment of the Court of 11 March 2003;	114
B	
12. Barber; Case C-109/91; Judgment of the Court of 6 October 1993; European Court reports 1993 Page I-04879	116
13. Brasserie du Pêcheur SA v Bundesrepublik Deutschland and The Queen v Secretary of State for Transport, ex parte: Factortame Ltd and others; Joined cases C-46/93 and C-48/93; Judgment of the Court of 5 March 1996; European Court reports 1996 Page I-01029.	69
14. B.N.O. Walrave and L.J.N. Koch v Association Union cycliste internationale, Koninklijke Nederlandsche Wielren Unie and Federación Española Ciclismo; Case 36-74; Judgment of the Court of 12 December 1974; European Court reports 1974 Page 01405	85

15. Belinda Jane Coote v Granada Hospitality Ltd.; Case C-185/97; Judgment of the Court of 22 September 1998; European Court reports 1998 Page I-05199	110
16. Bilka - Kaufhaus GmbH v Karin Weber von Hartz; Case 170/84; Judgment of the Court of 13 May 1986; European Court reports 1986 Page 01607	127
17. Broadcasting, Entertainment, Cinematographic and Theatre Union (BECTU) v Secretary of State for Trade and Industry. OPINION OF ADVOCATE GENERAL TIZZANO delivered on 8 February 2001; Case C-173/99	140
18. Bernard Connolly v Commission of the European Communities, Case C-274/99 P. Judgment of the Court of 6 March 2001	154
19. Brother International GmbH v Hauptzollamt Gießen; Case C-26/88; Judgment of the Court of 13 December 1989; European Court reports 1989 Page 04253	168
20. Bond van Adverteerders and others v The Netherlands State; Case 352/85; Judgment of the Court of 26 April 1988; European Court reports 1988 Page 02085.	234

C

21. Commission of the European Communities v Council of the European Communities; Case C-300/89; Judgment of the Court of 11 June 1991; European Court reports 1991 Page I-02867	4
22. Commission of the European Communities v Council of the European Communities; Case 45/86; Judgment of the Court of 26 March 1987; European Court reports 1987 Page 01493	15
23. Commission of the European Communities v Council of the European Communities.; European Agreement on Road Transport; Case 22-70; Judgment of the Court of 31 March 1971; European Court reports 1971 Page 00263.	16,82
24. Chafiq Ayadi v Council of the European Union; Case T 253/02; Judgment of the Court of 12 July 2006	20
25. Commission of the European Communities v Federal Republic of Germany; Case C-61/94; Judgment of the Court of 10 September 1996; European Court reports 1996 Page I-03989	39
26. Commission of the European Communities v Kingdom of the Netherlands; Case 72/85; Judgment of the Court of 20 March 1986; European Court reports 1986 Page 01219	45
27. Commission of the European Communities v Ireland; Sea fisheries; Case 61/77; Judgment of the Court of 16 February 1978; European Court reports 1978 Page 00417	45,92
28. Commission of the European Communities v Italian Republic; Case 363/85; Judgment of the Court of 9 April 1987; European Court reports 1987 Page 01733	46
29. Commission of the European Communities v Federal Republic of Germany; Case 29/84; Judgment of the Court of 23 May 1985; European Court reports 1985 Page 0166	47
30. Commission of the European Communities v Italian Republic; Case 300/81; Judgment of the Court of 1 March 1983; European Court reports 1983 Page 00449	47
31. Commission of the European Communities v Kingdom of Belgium; Case 239/85; Judgment of the Court of 2 December 1986; European Court reports 1986 Page 03645	47

32. Commission of the European Communities v Federal Republic of Germany, Case C-361/88; Judgment of the Court of 30 May 1991; European Court reports 1991 Page I-02567	47
33. Commission of the European Communities v Italian Republic; Forest reproductive material; Case 79-72; Judgment of the Court of 21 June 1973; European Court reports 1973 Page 00667	48
34. Commission of the European Communities v Italian Republic; Case 52-75; Judgment of the Court of 26 February 1976; European Court reports 1976 Page 00277	48
35. Commission of the European Communities v Kingdom of the Netherlands; Metrology; Case 95/77; Judgment of the Court of 11 April 1978; European Court reports 1978 Page 00863	49
36. Criminal proceedings against Kolpinghuis Nijmegen BV; Case 80/86; Judgment of the Court (Sixth Chamber) of 8 October 1987; European Court reports 1987 Page 03969	49
37. Criminal proceedings against Tullio Ratti; Case 148/78; Judgment of the Court of 5 April 1979; European Court reports 1979 Page 01629	52
38. Compagnie des forges de Châtillon, Commentry & Neuves-Maisons v High Authority of the ECSC; Case 54-65; Judgment of the Court of 16 June 1966; European Court reports English special edition Page 00185	71
39. Calpak SpA and Società Emiliana of the European Communities; Lavorazione Frutta SpA v Commission; Joined cases 789 and 790/79; Judgment of the Court of 17 June 1980; European Court reports 1980 Page 01949	75
40. Commission of the European Communities v Council of the European Communities; Judgment of the Court of 31 March 1971; European Agreement on Road Transport; Case 22-70; European Court reports 1971 Page 00263	16,82
41. Criminal proceedings against Gianfranco Perfili; C-177/94; Judgment of the Court (Sixth Chamber) of 1 February 1996; European Court reports 1996 Page I-00161	84
42. Criminal proceedings against Vincent Auer; Case 136/78; Judgment of the Court of 7 February 1979; European Court reports 1979 Page 00437	85
43. Criminal proceedings against Horst Otto Bickel and Ulrich Franz; Case C-274/96, Judgment of the Court of 24 November 1998, European Court reports 1998 Page I-07637	87
44. Commission of the European Communities v Italian Republic; Case C-388/01; Judgment of the Court of 16 January 2003	91
45. Commission of the European Communities v Ireland; Sea fisheries; Case 61/77; Judgment of the Court of 16 February 1978; European Court reports 1978 Page 00417.	45,92
46. Commission of the European Communities v Kingdom of Belgium; Case C-2/90; Judgment of the Court of 9 July 1992; European Court reports 1992 Page I-04431	166
47. Commission of the European Communities v Italian Republic; Case 24-68; Judgment of the Court of 1 July 1969; European Court reports 1969 Page 00193	171,174

48.	Commission of the European Economic Community v Grand Duchy of Luxembourg and Kingdom of Belgium; Joined cases 2/62 and 3/62; Judgment of the Court of 14 December 1962; European Court reports English special edition Page 00425	171
49.	Commission of the European Communities v Ireland; Case 249/81; Judgment of the Court of 24 November 1982; European Court reports 1982 Page 04005	176
50.	Commission of the European Communities v French Republic; Case C-265/95; Judgment of the Court of 9 December 1997; European Court reports 1997 Page I-06959	179
51.	Commission of the European Communities v the Federal Republic of Germany; Case 12-74; Judgment of the Court of 20 February 1975; European Court reports 1975 Page 00181	180
52.	Criminal proceedings against Jan van de Haar and Kaveka de Meern BV; Joined cases 177 and 178/82; Judgment of the Court (First Chamber) of 5 April 1984; European Court reports 1984 Page 01797	180
53.	Criminal proceedings against Bernard Keck and Daniel Mithouard; Joined cases C-267/91 and C-268/91; Judgment of the Court of 24 November 1993; European Court reports 1993 Page I-06097	184
54.	Conegate Limited v HM Customs & Excise; Case 121/85; Judgment of the Court (Fourth Chamber) of 11 March 1986; European Court reports 1986 Page 01007	186
55.	Campus Oil Limited and others v Minister for Industry and Energy and others; Case 72/83; Judgment of the Court of 10 July 1984; European Court reports 1984 Page 02727	187
56.	Commission of the European Communities v Ireland; Case 113/80; Judgment of the Court of 17 June 1981; European Court reports 1981 Page 01625	194
57.	Commission of the European Communities v Federal Republic of Germany; Case 178/84; Judgment of the Court of 12 March 1987; European Court reports 1987 Page 01227	195
58.	Centros Ltd v Erhvervs- og Selskabsstyrelsen; Case C-212/97; Judgment of the Court of 9 March 1999; European Court reports 1999 Page I-01459	220
59.	Commission of the European Communities v Kingdom of Spain; Case C-114/97; Judgment of the Court (Fifth Chamber) of 29 October 1998; European Court reports 1998 Page I-06717	226
60.	Caisse nationale d'assurance vieillesse des travailleurs salariés (CNAVTS) v Evelyne Thibault. Case C-136/95; Judgment of the Court (Sixth Chamber) of 30 April 1998; European Court reports 1998 Page I-02011	109
61.	Coloroll Pension Trustees Ltd v James Richard Russell, Daniel Mangham, Gerald Robert Parker, Robert Sharp, Joan Fuller, Judith Ann Broughton and Coloroll Group plc.; Case C-200/91; Judgment of the Court of 28 September 1994; European Court reports 1994 Page I-04389	129
62.	Commission of the European Communities v Federal Republic of Germany, Case 249/86. Judgment of the Court of 18 May 1989	159
63.	Commission of the European Communities v Italian Republic; Case 7-68. Judgment of the Court of 10 December 1968	164

64. Carmelo Angelo Bonsignore v Oberstadtdirektor der Stadt Köln; Case 67-74; Judgment of the Court of 26 February 1975; European Court reports 1975 Page 00297.	214
D	
65. Donato Casagrande v Landeshauptstadt München; Preliminary ruling requested by the Verwaltungsgericht München – Germany; Case 9-74; Judgment of the Court of 3 July 1974; European Court reports 1974 Page 00773	211,12
66. Deutz und Geldermann, Sektkellerei Breisach (Baden) GmbH v Council of the European Communities; Case 26/86; Judgment of the Court (Sixth Chamber) of 24 February 1987; European Court reports 1987 Page 00941	79
67. Douglas Harvey Barber v Guardian Royal Exchange Assurance Group; Case C-262/88; Judgment of the Court of 17 May 1990; European Court reports 1990 Page I-01889	98,116
68. Derrick Guy Edmund Hurd v Kenneth Jones (Her Majesty's Inspector of Taxes); Case 44/84; Judgment of the Court of 15 January 1986; European Court reports 1986 Page 00029	132
69. Dieter Krombach and André Bamberski, Case C-7/98. Judgment of the Court of 28 March 2000	160
70. D.M. Levin v Staatssecretaris van Justitie; Case 53/81; Judgment of the Court of 23 March 1982; European Court reports 1982 Page 01035.	198
71. Dieter Kraus v Land Baden-Württemberg; Case C-19/92; Judgment of the Court of 31 March 1993; European Court reports 1993 Page I-01663.	226
E	
72. European Parliament v Council of the European Communities; Radioactive contamination of foodstuffs; Case C-70/88; Judgment of the Court of 4 October 1991; European Court reports 1991 Page I-04529	11
73. Erich Dillenkofer, Christian Erdmann, Hans-Jürgen Schulte, Anke Heuer, Werner, Ursula and Trosten Knor v Bundesrepublik Deutschland; Joined cases C-178/94, C-179/94, C-188/94, C-189/94 and C-190/94; Judgment of the Court of 8 October 1996; European Court reports 1996 Page I-04845	68
74. Elisabeth Johanna Pacifica Dekker v Stichting Vormingscentrum voor Jong Volwassenen (VJV-Centrum) Plus; Case C-177/88; Judgment of the Court of 8 November 1990; European Court reports 1990 Page I-03941	107
75. Eckhard Kalanke v Freie Hansestadt Bremen; Case C-450/93; Judgment of the Court of 17 October 1995; European Court reports 1995 Page I-03051	124
76. Elestina Esselina Christina Morson v State of the Netherlands and Head of the Plaatselijke Politie within the meaning of the Vreemdelingenwet; Sweradjie Jhanjan v State of the Netherlands; Joined cases 35 and 36/82; Judgment of the Court of 27 October 1982; European Court reports 1982 Page 03723	131
77. Erich Stauder v City of Ulm – Sozialamt; Case 29-69. Judgment of the Court of 12 November 1969	136
78. Eugen Schmidberger, Internationale Transporte und Planzüge and Republik Österreich; Case C-112/00. Judgment of the Court of 12 June 2003	190

79.	Emir Gül v Regierungspräsident Düsseldorf; Case 131/85; Judgment of the Court (Fourth Chamber) of 7 May 1986; European Court reports 1986 Page 01573	210
80.	Erich Ciola v Land Vorarlberg; Case C-224/97; Judgment of the Court (Second Chamber) of 29 April 1999; European Court reports 1999 Page I-02517.	236
F		
81.	Flaminio Costa v E.N.E.L.; Case 6/64; European Court reports; Judgment of the Court of 15 July 1964; English special edition Page 00585	2
82.	Federal Republic of Germany, v European Parliament; In Case C-376/98, Judgment of the Court of 5 October 2000	14
83.	Firma Molkerei-Zentrale Westfalen/Lippe GmbH v Hauptzollamt Paderborn; Case 28-67; Judgment of the Court of 3 April 1968; European Court reports English special edition Page 00143	24
84.	Franz Grad v Finanzamt Traunstein; Case 9-70; Judgment of the Court of 6 October 1970; European Court reports 1970 Page 00825	27,80
85.	Fernando Roberto Giménez Zaera v Institut Nacional de la Seguridad Social and Tesorería General de la Seguridad Social; Case 126/86; Judgment of the Court (Sixth Chamber) of 29 September 1987; European Court reports 1987 Page 03697	32
86.	Fratelli Variola S.p.A. v Amministrazione italiana delle Finanze; Case 34-73; Judgment of the Court of 10 October 1973; European Court reports 1973 Page 00981	43
87.	Fratelli Zerbone Snc v Amministrazione delle finanze dello Stato; Case 94/77; Judgment of the Court of 31 January 1978; European Court reports 1978 Page 00099	45
88.	Fratelli Costanzo SpA v Comune di Milano; Case 103/88; Judgment of the Court of 22 June 1989; European Court reports 1989 Page 01839	46
89.	Felicitas Rickmers-Linie KG & Co. v Finanzamt für Verkehrsteuern, Hambourg; Case 270/81; Judgment of the Court (Third Chamber) of 15 July 1982; European Court reports 1982 Page 02771	52
90.	Fédération nationale de la boucherie en gros et du commerce en gros des viandes and others v Council of the European Economic Community; Case 19/62 to 22/62; Judgment of the Court of 14 December 1962; European Court reports English special edition Page 00491	75
91.	Franz Grad v Finanzamt Traunstein; Case 9-70; Judgment of the Court of 6 October 1970; European Court reports 1970 Page 00825	80,27
92.	Françoise Gravier v City of Liège; Case 293/83; Judgment of the Court of 13 February 1985; European Court reports 1985 Page 00593	86
93.	Federal Republic of Germany v Council of the European Union; Case C-280/93; Judgment of the Court of 5 October 1994; European Court reports 1994 Page I-04973	144
94.	Finanzamt Köln-Altstadt v Roland Schumacker; Case C-279/93; Judgment of the Court of 14 February 1995; European Court reports 1995 Page I-00225	204

95. F.C. Terhoeve v Inspecteur van de Belastingdienst Particulieren/ Ondernemingen buitenland; Case C-18/95; Judgment of the Court of 26 January 1999; European Court reports 1999 Page I-00345	204
G	
96. Gaston Schul Douane Expediteur BV v Inspecteur der Invoerrechten en Accijnzen, Roosendaal; Case 15/81; Judgment of the Court of 5 May 1982; European Court reports 1982 Page 01409	2
97. Gabrielle Defrenne v Société anonyme belge de navigation aérienne Sabena; 98. Case 149/77; Judgment of the Court of 15 June 1978; European Court reports 1978 Page 01365	96
98. Gabrielle Defrenne v Société anonyme belge de navigation aérienne Sabena; Case 43-75; Judgment of the Court of 8 April 1976; European Court reports 1976 Page 00455	96
99. Gabrielle Defrenne v Belgian State; Case 80-70; Judgment of the Court of 25 May 1971; European Court reports 1971 Page 00445	101
100. Gisela Rummler v Dato-Druck GmbH; Case 237/85; Judgment of the Court (Fifth Chamber) of 1 July 1986; European Court reports 1986 Page 02101	104
101. Gerardus Cornelis Ten Oever v Stichting Bedrijfspensioenfonds voor het Glazenwassers- en Schoonmaakbedrijf; Case C-262/88	116,98
102. Giuseppe Sacchi; Case 155-73; Judgment of the Court of 30 April 1974; European Court reports 1974 Page 00409	164,232
103. Granaria BV v Hoofdproduktschap voor Akkerbouwprodukten; Case 101/78; Judgment of the Court of 13 February 1979; European Court reports 1979 Page 00623	5
104. Gebroeders van Es Douane Agenten BV v Inspecteur der Invoerrechten en Accijnzen; Case C-143/93; Judgment of the Court of 13 February 1996; European Court reports 1996 Page I-00431.	6
H	
105. Hoechst AG v Commission of the European Community; Joined cases 46/87 and 227/88; Judgment of the Court of 21 September 1989; European Court reports 1989 Page 02859	5
106. Hermann Schröder HS Kraftfutter GmbH & Co. KG v Hauptzollamt Gronau; Case 265/87; Judgment of the Court of 11 July 1989; European Court reports 1989 Page 02237	6,141
107. Helga Nimz v Freie und Hansestadt Hamburg; Case C-184/89; Judgment of the Court (Sixth Chamber) of 7 February 1991; European Court reports 1991 Page I-00297	99
108. Handels- og Kontorfunktionærernes Forbund i Danmark, acting on behalf of Berit Høj Pedersen v Fællesforeningen for Danmarks Brugsforeninger and Dansk Tandlægeforening and Kristelig Funktionær-Organisation v Dansk Handel & Service; Case C-66/96; Judgment of the Court (Sixth Chamber) of 19 November 1998; European Court reports 1998 Page I-07327	100,119
109. Hermann Schröder HS Kraftfutter GmbH & Co. KG v Hauptzollamt Gronau; Case 265/87. Judgment of the Court of 11 July 1989	6,141

110. Hauptzollamt Hamburg-Oberelbe v Firma Paul G. Bollmann;----- 44
Case 40-69; Judgment of the Court of 18 February 1970;
European Court reports 1970 Page 00069
111. Hellmut Marschall v Land Nordrhein-Westfalen; Case----- 124
C-409/95; Judgment of the Court of 11 November 1997;
European Court reports 1997 Page I-06363.

I

112. Internationale Handelsgesellschaft mbH v Einfuhr- und----- 3,137
Vorratsstelle für Getreide und Futtermittel; Case 11-70;
Judgment of the Court of 17 December 1970; European Court
reports 1970 Page 01125
113. Inter-Environnement Wallonie ASBL v Région wallonne;----- 48
Case C-129/96; Judgment of the Court of 18 December 1997;
European Court reports 1997 Page I-07411
114. Institut national d'assurance maladie-invalidité and Union----- 38
nationale des fédérations mutualistes neutres v Antonio Viola;
Case 26/78; Judgment of the Court of 5 October 1978
115. Igor Simutenkov v Ministerio de Educación y Cultura, Real----- 40
Federación Española de Fútbol; Case C 265/03; Judgment of
the Court of 12. April 2005
116. International Business Machines Corporation v Commission----- 71
of the European Communities; Case 60/81; Judgment of the
Court of 11 November 1981; European Court reports 1981
Page 02639
117. Ian William Cowan v Trésor public; Case 186/87; Judgment----- 84
of the Court of 2 February 1989; European Court reports 1989
Page 00195
118. Italian Republic v Commission of the European Economic----- 93
Community; Case 13-63; Judgment of the Court of 17 July
1963; European Court reports English special edition Page
00165
119. Ingrid Rinner-Kühn v FWW Spezial-Gebäudereinigung GmbH----- 121
& Co. KG; Case 171/88; Judgment of the Court (Sixth Chamber)
of 13 July 1989; European Court reports 1989 Page 02743
120. Irène Vlassopoulou v Ministerium für Justiz, Bundes- und----- 229
Europaangelegenheiten Baden-Württemberg; Case C-340/89;
Judgment of the Court of 7 May 1991; European Court reports
1991 Page I-02357
121. Ireland v Commission of the European Communities; Case----- 6
325/85; Judgment of the Court of 15 December 1987; European
Court reports 1987 Page 05041

J

122. J.P. Jenkins v Kingsgate (Clothing Productions) Ltd; Case----- 103
96/80; Judgment of the Court of 31 March 1981; European
Court reports 1981 Page 00911
123. J. Knoors v Staatssecretaris van Economische Zaken; Case----- 132
115/78; Judgment of the Court of 7 February 1979; European
Court reports 1979 Page 00399
124. J. Nold, Kohlen- und Baustoffgroßhandlung v Commission of----- 137
the European Communities, Case 4-73. Judgment of the Court
of 14 May 1974

125. Joseph Henri Thomas Blesgen v Belgian State; Case 75/81; Judgment of the Court of 31 March 1982; European Court reports 1982 Page 01211	182
126. Jean Reyners v Belgian State; Case 2-74; Judgment of the Court of 21 June 1974; European Court reports 1974 Page 00631	224
127. Jean Thieffry v Conseil de l'ordre des avocats à la cour de Paris; Case 71-76; Judgment of the Court of 28 April 1977; European Court reports 1977 Page 00765	227
K	
128. Koninklijke Scholten Honig NV v Council and Commission of the European Communities; Case 101/76; Judgment of the Court of 5 May 1977; European Court reports 1977 Page 00797	79
129. Kathleen Hill and Ann Stapleton v The Revenue Commissioners and Department of Finance; Case C-243/95; Judgment of the Court (Sixth Chamber) of 17 June 1998; European Court reports 1998 Page I-03739	97,129
130. Kuratorium für Dialyse und Nierentransplantation e.V. v Johanna Lewark; Case C-457/93; Judgment of the Court of 6 February 1996; European Court reports 1996 Page I-00243	123
131. Kathleen Hill and Ann Stapleton v The Revenue Commissioners and Department of Finance; Case C-243/95; Judgment of the Court of 17 June 1998; European Court reports 1998 Page I-03739	129,97
L	
132. Liselotte Hauer v Land Rheinland-Pfalz; Case 44/79; Judgment of the Court of 13 December 1979; European Court reports 1979 Page 03727	136,6
133. Land Nordrhein-Westfalen v Kari Uecker and Vera Jacquet v Land Nordrhein-Westfalen; Joined cases C-64/96 and C-65/96; Judgment of the Court (Third Chamber) of 5 June 1997; European Court reports 1997 Page I-03171	132
M	
134. Meroni & Co., Industrie Metallurgiche, SpA v High Authority of the European Coal and Steel Community; Case 9-56; Judgment of the Court of 13 June 1958; European Court reports; English special edition Page 00133	10
135. Microsoft Corp., v Commission of the European Communities; Case T-201/04; Judgment of the Court of 17 September 2007	40
136. Marleasing SA v La Comercial Internacional de Alimentacion SA.; Case C-106/89; Judgment of the Court (Sixth Chamber) of 13 November 1990; European Court reports 1990 Page I-04135	46
137. M. H. Marshall v Southampton and South-West Hampshire Area Health Authority (Teaching); Case 152/84; Judgment of the Court of 26 February 1986; European Court reports 1986 Page 00723	53
138. Mund & Fester v Hatrex Internationaal Transport; Case C-398/92; Judgment of the Court of 10 February 1994; European Court reports 1994 Page I-00467	91
139. Mary Murphy and others v An Bord Telecom Eireann; Case 157/86; Judgment of the Court of 4 February 1988; European Court reports 1988 Page 00673	104,106

140. Macarthys Ltd v Wendy Smith; Case 129/79; Judgment of the Court of 27 March 1980; European Court reports 1980 Page 01275	105
141. M. A. De Weerd, née Roks, and others v Bestuur van de Bedrijfsvereniging voor de Gezondheid, Geestelijke en Maatschappelijke Belangen and others; Case C-343/92; Judgment of the Court of 24 February 1994; European Court reports 1994 Page I-00571	116
142. Maria Kowalska v Freie und Hansestadt Hamburg; Case C-33/89; Judgment of the Court of 27 June 1990; European Court reports 1990 Page I-02591	129
143. max.mobil Telekommunikation Service GmbH, established in Vienna (Austria) v Commission of the European Communities, Case T-54/99. Judgment of the Court of 29 January 2002	139
144. Metronome Musik GmbH v Music Point Hokamp GmbH, Case C-200/96. Judgment of the Court of 28 April 1998	150
145. Merci convenzionali porto di Genova SpA v Siderurgica Gabrielli SpA; Case C-179/90; Judgment of the Court of 10 December 1991; European Court reports 1991 Page I-05889	443,198
146. María Martínez Sala v Freistaat Bayern; Case C-85/96; Judgment of the Court of 12 May 1998; European Court reports 1998 Page I-02691	205
147. Maria Chiara Spotti v Freistaat Bayern; Case C-272/92; Judgment of the Court of 20 October 1993; European Court reports 1993 Page I-05185	215
148. Manfred Säger v Dennemeyer & Co. Ltd.; Case C-76/90; Judgment of the Court of 25 July 1991; European Court reports 1991 Page I-04221	235
N	
149. NV Algemene Transport- en Expeditie Onderneming van Gend & Loos v Netherlands Inland Revenue Administration; Case 26-62; Judgment of the Court of 5 February 1963; European Court reports English special edition Page 00001	2,21
150. Nicolas Decker v Caisse de maladie des employés privés; Case C-120/95; Judgment of the Court of 28 April 1998; European Court reports 1998 Page I-01831	13
O	
151. Opinion delivered pursuant to the second subparagraph of Article 228 (1) of the Treaty; Draft agreement between the Community, on the one hand, and the countries of the European Free Trade Association, on the other, relating to the creation of the European Economic Area; Opinion 1/91; Opinion of the Court of 14 December 1991; European Court reports 1991 Page I-06079	1
152. Orsolina Leonesio v Ministero dell'agricoltura e foreste; Case 93-71; Judgment of the Court of 17 May 1972; European Court reports 1972 Page 00287.	44
153. Parti écologiste "Les Verts" v European Parliament; Case 294/83; Judgment of the Court of 23 April 1986; European Court reports 1986 Page 01339	5,38
154. Peter Kaefer and Andréa Procacci v French State; Joined cases C-100/89 and C-101/89; Judgment of the Court of 12 December 1990; European Court reports 1990 Page I-04647	29

155. Paola Faccini Dori v Recreb Srl; Case C-91/92; Judgment of the Court of 14 July 1994; European Court reports 1994 Page I-03325	55
156. Phil Collins v Imtrat Handelsgesellschaft mbH and Patricia Im- und Export Verwaltungsgesellschaft mbH and Leif Emanuel Kraul v EMI Electrola GmbH; Joined cases C-92/92 and C-326/92; Judgment of the Court of 20 October 1993	83
157. Pietro Pinna v Caisse d'allocations familiales de la Savoie; Case 41/84; Judgment of the Court of 15 January 1986; European Court reports 1986 Page 00001	202
158. Pilar Allué and Carmel Mary Coonan v Università degli studi di Venezia; Case 33/88; Judgment of the Court (Fifth Chamber) of 30 May 1989; European Court reports 1989 Page 01591	203
159. Procureur du Roi v Benoît and Gustave Dassonville; Case 8-74; Judgment of the Court of 11 July 1974; European Court reports 1974 Page 00837.	175
Q	
160. R. & V. Haegeman v Belgian State; Case 181-73; Judgment of the Court of 30 April 1974; European Court reports 1974 Page 00449	39
161. René Hochstrass v Court of Justice of the European Communities; Case 147/79; Judgment of the Court (Second Chamber) of 16 October 1980; European Court reports 1980 Page 03005	94
162. Roquette Frères SA v Directeur général de la concurrence, de la consommation et de la répression des fraudes, Third party: Commission of the European Communities, C-94/00. Judgment of the Court of 22 October 2002	153
163. Regina v Ernest George Thompson, Brian Albert Johnson and Colin Alex Norman Woodiwiss; Case 7/78; Judgment of the Court of 23 November 1978; European Court reports 1978 Page 02247	165
164. Riccardo Tasca; Case 65-75; Judgment of the Court of 26 February 1976; European Court reports 1976 Page 00291	181
165. Régina v Pierre Bouchereau; Case 30-77; Judgment of the Court of 27 October 1977; European Court reports 1977 Page 0199	185
166. Rewe-Zentral AG v Bundesmonopolverwaltung für Branntwein; Case 120/78; Judgment of the Court of 20 February 1979; European Court reports 1979 Page 00649	188
167. Roman Angonese and Cassa di Risparmio di Bolzano SpA; Case C-281/98. Judgment of the Court of 6 June 2000	212
168. Reinhard Gebhard v Consiglio dell'Ordine degli Avvocati e Procuratori di Milano; Case C-55/94; Judgment of the Court of 30 November 1995; European Court reports 1995 Page I-04165	217,241
169. Reisebüro Broede v Gerd Sandker; Case C-3/95; Judgment of the Court (Fifth Chamber) of 12 December 1996; European Court reports 1996 Page I-06511	213
170. Rush Portuguesa Lda v Office national d'immigration; Case C-113/89; Judgment of the Court of 27 March 1990; European Court reports 1990 Page I-01417	232

S

171. SA Roquette Frères v Council of the European Communities;-----	4
Case 138/79; Judgment of the Court of 29 October 1980; European Court reports 1980 Page 03333	
172. Svenska Journalistförbundet v Council of the European Union;-----	7
Case T-174/95; Judgment of the Court of First Instance (Fourth Chamber, extended composition) of 17 June 1998; European Court reports 1998 Page II-02289	
173. SA Roquette Frères v Council of the European Communities;-----	10
Isoglucose; Case 110/81; Judgment of the Court (Second Chamber) of 30 September 1982; European Court reports 1982 Page 03159	
174. Sabine von Colson and Elisabeth Kamann v Land Nordrhein-----	51
Westfalen; Case 14/83; Judgment of the Court of 10 April 1984; European Court reports 1984 Page 01891	
175. Société nouvelle des usines de Pontlieue - Aciéries du Temple-----	70
(S.N.U.P.A.T.) v High Authority of the European Coal and Steel Community; Joined cases 32/58 and 33/58; Judgment of the Court of 17 July 1959; European Court reports English special edition Page 00127	
176. Sucrimex SA and Westzucker GmbH v Commission of the-----	70,73
European Communities; Case 133/79; Judgment of the Court (Second Chamber) of 27 March 1980; European Court reports 1980 Page 01299	
177. Société anonyme Usines Emile Henricot and others v High-----	70
Authority of the European Coal and Steel Community; Joined cases 23, 24 and 52-63; Judgment of the Court of 5 December 1963; European Court reports English special edition Page 00217	
178. Société nouvelle des usines de Pontlieue - Aciéries du Temple-----	71
(S.N.U.P.A.T.) v High Authority of the European Coal and Steel Community; Joined cases 42 and 49/59; Judgment of the Court of 22 March 1961; European Court reports English special edition Page 00053	
179. Société Anonyme à Participation Ouvrière Compagnie Nationale-----	72
Air France v Commission of the European Communities; Case T-3/93; Judgment of the Court of First Instance (Second Chamber) of 24 March 1994; European Court reports 1994 Page II-00121	
180. Sucrimex SA and Westzucker GmbH v Commission of the-----	73,70
European Communities; Case 133/79; Judgment of the Court (Second Chamber) of 27 March 1980; European Court reports 1980 Page 01299	
181. Salvatore Grimaldi v Fonds des maladies professionnelles;-----	80
Case C-322/88; Judgment of the Court (Second Chamber) of 13 December 1989; European Court reports 1989 Page 04407	
182. Steven Malcolm Brown v The Secretary of State for Scotland;-----	86
Case 197/86, Judgment of the Court of 21 June 1988, European Court reports 1988 Page 03205	
183. Susan Jane Worringham and Margaret Humphreys v Lloyds-----	97
Bank Limited; Case 69/80; Judgment of the Court of 11 March 1981; European Court reports 1981 Page 00767	

184. Silke-Karin Mahlburg and Land Mecklenburg-Vorpommern;-----	108
Case C-207/98. Judgment of the Court of 3 February 2000	
185. Susanna Brunnhofer and Bank der österreichischen-----	126
Postsparkasse AG. Judgment of the Court of 26 June 2001 In	
Case C-381/99	
186. SMW Winzersekt GmbH v Land Rheinland-Pfalz; Case-----	149
C-306/93; Judgment of the Court of 13 December 1994;	
European Court reports 1994 Page I-05555	
187. SpA Ferriera Valsabbia and others v Commission of the-----	151
European Communities, Concrete reinforcement bars, Joined	
cases 154, 205, 206, 226 to 228, 263 and 264/78, 39, 31, 83 and	
85/79. Judgment of the Court of 18 March 1980	
188. Stichting Collectieve Antennevoorziening Gouda and others v-----	237
Commissariaat voor de Media; Case C-288/89; Judgment of	
the Court of 25 July 1991; European Court reports 1991 Page	
I-04007	
189. Sirena S.r.l. v Eda S.r.l. and others, Case 40-70. Judgment of-----	163
the Court of 18 February 1971,	
T	
190. The Society for the Protection of Unborn Children Ireland Ltd-----	157
v Stephen Grogan and others; Case C-159/90; Judgment of the	
Court of 4 October 1991; European Court reports 1991 Page	
I-04685	
191. Tradax Graanhandel BV v Commission of the European-----	10
Communities; Cif prices for cereals; Case 64/82; Judgment of	
the Court (First Chamber) of 15 March 1984; European Court	
reports 1984 Page 01359	
192. The Queen and Secretary of State for Health, ex parte: British-----	15
American Tobacco (Investments) Ltd and Imperial Tobacco	
Ltd; In Case C-491/01. Judgment of the Court of 10 December	
2002	
193. The Queen v Secretary of State for Transport, ex parte:-----	37
Factortame Ltd and others; Case C-213/89; Judgment of the	
Court of 19 June 1990; European Court reports 1990 Page	
I-02433	
194. Teresa and Silvana Petroni v Office national des pensions-----	38
pour travailleurs salariés (ONPTS), Bruxelles.; Case 24-75;	
Judgment of the Court of 21 October 1975; European Court	
reports 1975 Page 01149	
195. The Queen v H.M. Treasury, ex parte British Telecommunications-----	67
plc.; Case C-392/93; Judgment of the Court of 26 March 1996;	
European Court reports 1996 Page I-01631	
196. Tanja Kreil and Bundesrepublik Deutschland; Case C-285/98.-----	111
Judgment of the Court of 11 January 2000	
197. The Queen v Immigration Appeal Tribunal et Surinder Singh, ex-----	133
parte Secretary of State for Home Department; Case C-370/90;	
Judgment of the Court of 7 July 1992; European Court reports	
1992 Page I-04265	
198. The Queen v Minister of Agriculture, Fisheries and Food, ex-----	148
parte National Federation of Fishermen's Organisations and	
others and Federation of Highlands and Islands Fishermen and	
others; Case C-44/94; Judgment of the Court of 17 October	
1995; European Court reports 1995 Page I-03115	

199. Terrapin (Overseas) Ltd. v Terranova Industrie CA Kapferer & Co, Case 119-75. Judgment of the Court of 22 June 1976	163
200. Torfaen Borough Council v B & Q plc; Case C-145/88; Judgment of the Court (Sixth Chamber) of 23 November 1989; European Court reports 1989 Page 03851	183
201. The Queen v Immigration Appeal Tribunal, ex parte Gustaff Desiderius Antonissen; Case C-292/89; Judgment of the Court of 26 February 1991; European Court reports 1991 Page I-00745	200
202. The Queen v Secretary of State for Transport, ex parte Factortame Ltd and others; Case C-221/89; Judgment of the Court of 25 July 1991; European Court reports 1991 Page I-03905	216
203. The Queen v H. M. Treasury and Commissioners of Inland Revenue, ex parte Daily Mail and General Trust plc; Case 81/87; Judgment of the Court of 27 September 1988; European Court reports 1988 Page 05483.	218
U	
204. United Kingdom of Great Britain and Northern Ireland v Council of the European Union; Case C-84/94; Judgment of the Court of 12 November 1996; European Court reports 1996 Page I-05755	18
205. Ursula Becker v Finanzamt Münster-Innenstadt; Case 8/81; Judgment of the Court of 19 January 1982; European Court reports 1982 Page 00053.	53
206. Unilever Italia SpA and Central Food SpA.; Case C-443/98; Judgment of the Court of 26 September 2000	64
207. Union royale belge des sociétés de football association ASBL v Jean-Marc Bosman, Royal club liégeois SA v Jean-Marc Bosman and others and Union des associations européennes de football (UEFA) v Jean-Marc Bosman; Case C-415/93. Judgment of the Court of 15 December 1995	152
208. Überseering BV and Nordic Construction Company Baumanagement GmbH (NCC); Judgment of the Court of 5 November 2002; Case C-208/00.	221
V	
209. Verbond van Nederlandse Ondernemingen v Inspecteur der Invoerrechten en Accijnzen; Case 51-76; Judgment of the Court of 1 February 1977; European Court reports 1977 Page 00113	52
210. Volker Steen v Deutsche Bundespost. Case C-332/90; Judgment of the Court of 28 January 1992; European Court reports 1992PageI-00341	131
211. Vereinigte Familiapress Zeitungsverlags- und vertriebs GmbH v Heinrich Bauer Verlag, Case C-368/95. Judgment of the Court of 26 June 1997	153
212. Vivien Prais v Council of the European Communities, Case 130-75. Judgment of the Court (First Chamber) of 27 October 1976, Volker Steen v Deutsche Bundespost. Case C-332/90; Judgment of the Court of 28 January 1992; European Court reports 1992 Page I-00341	159
213. Vereinigte Familiapress Zeitungsverlags- und vertriebs GmbH v Heinrich Bauer Verlag, Case C-368/95. Judgment of the Court of 26 June 1997	153

214. Vivien Prais v Council of the European Communities, Case----- 159
130-75. Judgment of the Court (First Chamber) of 27 October
1976

W

215. W. Beus GmbH & Co. v Hauptzollamt München; Case 5-67;----- 9
Judgment of the Court of 13 March 1968; European Court
reports English special edition Page 00083

216. Walter Rau Lebensmittelwerke v De Smedt PVBA; Case----- 194
261/81; Judgment of the Court of 10 November 1982; European
Court reports 1982 Page 03961.

X

217. X v Commission of the European Communities; Case C-404/92----- 153
P. Judgment of the Court of 5 October 1994;

Y

218. Yvonne van Duyn v Home Office; Public policy; Case 41-74;----- 51,213
Judgment of the Court of 4 December 1974; European Court
reports 1974 Page 01337

Z

219. Zuckerfabrik Süderdithmarschen AG v Hauptzollamt Itzehoe----- 152
and Zuckerfabrik Soest GmbH v Hauptzollamt Paderborn,
Joined cases C-143/88 and C-92/89. Judgment of the Court of
21 February 1991